მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

**გივი ელიავა**

# სამეგრელო

## მხარეთმცოდნეობითი შრომები

ისტორია ▪ არქეოლოგია ▪ ეთნოგრაფია

**I ტომი**

არტანუჯი

გამომცემელი ბუბა კუდავა

სარედაქციო კოლეგია
მანანა ბუკია
გივი ელიავა
მართა კასრაძე
ნანა კირთაძე
სოფიო კობიაშვილი
ბეჟან ხორავა

გარეკანის დიზაინი ილია ხელაიასი

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით [SP-2-21-386]

© მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 2022
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2022

ISBN 978-9941-504-00-6

გივი ელიავა

1919-2001

წიგნი ქრონოლოგიურად წარმოგვიდგენს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (დღეს გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი) დამაარსებლის, მრავალმხრივი მკვლევრის – ისტორიკოსის, მხარეთმცოდნისა და ეთნოგრაფის – გივი ელიავას 50-წლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველ შრომებს სამეგრელოს შესახებ. წინამდებარე ტომში შესული მასალა მოიცავს ისტორიული მეცნიერების სხვადასხვა დარგში (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) წლების განმავლობაში წიგნად გამოცემულ ნაშრომებს, ფაქტობრივად სრულად – სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებს, სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებულ კვლევებს, ასევე ცენტრალურ თუ რაიონულ პრესაში დაბეჭდილ სტატიებს.

# სარჩევი

ისტორია


ერთი საინტერესო აღმოჩენის შესახებ ..... 11
მარტვილი ..... 29
ოკაცეს ხეობის საიდუმლოებანი ..... 39
ჭყონდიდი – მარტვილი ..... 53
ზეპირსიტყვიერი მასალების გამოყენება საქართველოს ისტორიის სწავლებაში ..... 97
ჭყონდიდ-მარტვილი – უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერა ..... 108
აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი ..... 121
ვინ იყო გიორგი ჭყონდიდელი ..... 196
საბედიანო, ბედიანები და ქართული ცენტრალიზირებული სახელმწიფო ..... 205
მარტვილი ..... 213
წმიდათაწმიდად დავიცვათ ჩვენი ერის ეროვნული საუნჯე ..... 215
სახელოვანი წინაპრები – გიორგი ჭყონდიდელი ..... 217
შევისწავლოთ ჩვენი მხარის წარსული და აწმყო ..... 220
ისტორიული ძეგლები მეტყველებენ ..... 222
საყურადღებო ძეგლი – ტყვირის ეკლესია ..... 225
ჭყონდიდ-მარტვილი და შოთა რუსთაველი ..... 229
მასწავლებლის სამახსოვრო ..... 232
შოთა რუსთაველის 800 წლისთავისათვის რუსთაველის ნაკვალევზე ..... 235
კადარი ..... 237
სუჯუნა ..... 238
ღრმა მეცნიერული აზრის შესანიშნავი კრებული ..... 240
სისხლით დაწერილი დღიურები ..... 242
სეფიეთი ..... 243
წალენჯიხის შთაბეჭდილებები ..... 246
საინტერესო მონოგრაფია ..... 249
იანის მაცხოვრის ეკლესია ..... 251

## არქეოლოგია


არქეოლოგიური მოგზაურობა ისტორიულ საჭყონდიდლოსა და სალიპარტიანოში ..... 255
მახათის ველის არქეოლოგიური ძეგლები ..... 304
პეტრეს ნაკარუ ..... 306
ადამიანთა ცილივილზაციის განვითარების ეტაპები ქვის ხელცულის მაგალითზე ..... 385
მითოლოგიური საოცრებანი ქანდაკებებში მარტვილის ეროვნული მუზეუმის ფონდებიდან ..... 398
შესანიშნავი აღმოჩენა ..... 426
ბრინჯაოს ეპოქის სამარხი ნალეპსაოში ..... 428
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკთა ექსპედიცია მუშაობას განაგრძობს ..... 431
ფიჩხერის სამარხების საიდუმლო ..... 434
ფიჩხერის სამარხების საიდუმლო ..... 437
ფიჩხერის სამარხების საიდუმლო ..... 440
ფიჩხერის სამარხების საიდუმლო ..... 444
ფიჩხერის სამარხების საიდუმლო ..... 448
რიონისპირეთის პირველი შესანიშნავი განძი ..... 450
არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მუშაობა დაამთავრა ..... 453
ისევ ალაპარაკდნენ „დიხაგუძუბეები“ ..... 456
აბედათში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ..... 459
ხანგრძლივი დუმილის შემდეგ... ..... 461


## ეთნოგრაფია


ზოგიერთი ცნობა პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების ყოფა-ცხოვრების შესახებ ხალხურ ზეპირსიტყვიერ მასალებში .. 467
აღმოსავლეთ სამეგრელოს მოსახლეობის ოქტომბრის რევოლუციამდელი სამეურნეო ყოფა ..... 475
ტოპონიმების საძიებელი და ხალხური განმარტებები ..... 610
თოხების ნაირსახეობა აღმოსავლეთ სამეგრელოს ეთნოგრაფიული სინამდვილიდან ..... 645
სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ ..... 650

ქართულ წარმართულ ავსულთა ცენტრი – ტაბაკონა ფოლკლორულ მასალებში ..... 657
ქართა (აგვარა) სამეგრელოში ..... 669
მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და საბჭოთა სოფელში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები ..... 676
სურსათის წარმოებისა და გამოყენების რეჟიმი და ტრადიცია კოლხეთში ..... 683
მეგრული შვიდდღიური სისტემის ერთი წევრის შესახებ ..... 686
ეთნოგრაფიული სამეგრელო ..... 688
დედამიწის ღვთაებრივი თაყვანისცემის რიტუალი და სათაყვანო შრომის ჰიმნი „ოდოია“ (ოდოდია) ..... 768
თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სამეგრელოში .. 779
ჩაფილობა მეგრულ ყოფაში ..... 793
აგვარებისა და აცანგუარების საკითხისათვის ..... 798
ეთნოგრაფია სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილის ტოპონიმიკურ მასალებში ..... 806
სახვნელი იარაღი ..... 808
ზოგი რამ რევოლუციამდელ ეწერზე ..... 810
საშვილიშვილო საქმე ..... 812
სოფლის იდილია ..... 813
რისთვის მპატიჟებ? ..... 815
გულუხეთი ..... 817
„ჯარალა“ ..... 819
მეცნიერის თვალთახედვა სწორია და გასაზიარებელი ..... 823
პირველყოფილი მაგიის სათავეებთან ..... 826
საძიებლები ..... 829

# ისტორია

## ერთი საინტერესო აღმოჩენის შესახებ*

ცალკეულ ხალხთა ეკონომიკურ ცხოვრებაში ცვლილებანი საერთო საკაცობრიო ხასიათის ცვლილებანია, რომელიც თითეულ ხალხში თავისებური სახით ხორციელდება, მაგრამ ყველა ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია და ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ცალკეულ ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში ცვლილებებიც, მისი შემდგომი განვითარებაც და ახალ, უფრო მაღალ დონეზე ამაღლებაც, საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეა და მსოფლიოს კულტურულ საგანძურში დიდმნიშვნელოვან წვლილს შეადგენს. ეს წვლილი კი სხვა ხალხის კულტურულ ნაღვაწთან ერთად ქმნის იმ საერთო განძს, რომლის შესწავლის გარეშე ვერ შექმნი სწორ წარმოდგენას კაცობრიობის ისტორიის მთელ პროცესზე, დასაბამიდან დღემდე.

მართალია, საზოგადოების განვითარების ისტორიის ცალკეული პერიოდი, ცალკეული მომენტი სხვადასხვა ხალხისათვის თავისებურებებითა და ეროვნული ელფერით ხასიათდება, მაგრამ პროცესი მათი განვითარებისა, მათი წარმოშობის მიზეზები და ეკონომიკური ბაზა საერთო და ისტორიულად აუცილებელია. ცალკეული ხალხის ცხოვრება დასაბამიდან ამ საერთო კანონებს, ეკონომიკასა და კულტურის განვითარების საერთო მოთხოვნებს ემორჩილებოდა და ემორჩილება.

ხალხმა ყველგან თავისებური სახით, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად ერთნაირად გაიარა ველურობა, ბარბაროსობა; მართალია, ეროვნული ნიშან-თვისებებით, მაგრამ მაინც ყველა ერთნაირად დაადგა ცივილიზაციის გზას და ამ ცივილიზაციის ცალკეული ეტაპებიც მეტ-ნაკლებად მსგავსი შინაარსით განვლო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მათგანის შემთხვევაში ამ ეტაპთა პირდაპირი გამეორება, მართალია, არ მომხდრა, მაგრამ მთელი კაცობრიობისთვის ისტორიულად დადგენილი მყარი პროცესი უდავოდ არსებობს. მის გარეშე საზოგადოება ვერ შეძლებდა, ამაღლებულიყო ეკონომიკური და კულტურული განვითარების დღევანდელ დონემდე. აუცილებელი არაა ადეკვატური გამეორება განვითარების ეტაპებისა, სწორედ ამიტომ ზოგიერთს ენეოლითი არც გაუვლია, ისე მოუხდა სხვათა მიბაძვით რკინის კულტურაზე გადასვლა,

---

* გაზ. „სოციალისტური სოფელი“, გ. ელიავა, ერთი საინტერესო აღმოჩენის შესახებ, 48-52, 1957; გ. ელიავა, ერთი საინტერესო აღმოჩენის შესახებ, გეგეჭკორი, 1957.

ისევე როგორც გვაროვნული წყობილებიდან ფეოდალურზე. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არ არსებობდეს საზოგადოების განვითარების ცალკეული, ობიექტურად არსებული თანმიმდევრობა, რომელთა გავლა კონკრეტული ხალხისათვის ისტორიულად აუცილებელი, გარდაუვალი იყო და ზოგადად, კაცობრიობისათვისაც აუცილებელი და გარდაუვალია.

როცა საზოგადოება თავისი სიყმაწვილის პირველ პერიოდში თავს აღწევდა ველურობას, წელში იმართებოდა, ვერტიკალურ მდგომარეობას იღებდა და მარჯვენა ხელს საკუთარი არსებობის ძირითად ორგანოდ ცნობდა, როცა ამ ხელით იმარჯვებდა ტლანქი ქვის ნატეხზე და ამით ცდილობდა, მოეპოვებინა საზრდო და დაეცვა თავი, ამ დროს დგამდა პირველ გრანდიოზულ ნაბიჯს თავისი შემდგომი, სრულყოფილი ფორმირებისაკენ. ეს ნაბიჯი ის ბიძგია საზოგადოების ტექნიკაში, რომელმაც აამოძრავა აღმავალი ხაზით ველური, გაუჩინა საზრუნავი, საფიქრალი, საშრომი, საბრძოლი. აამოქმედა მისი ამ მოთხოვნილებისადმი სავსებით მომზადებული თანდაყოლილი ორგანოები აზროვნებისა და მეტყველებისა, ხელი შეუწყო მათ ერთდროულ დაბადებასა და განვითარებას, ხელი შეუწყო ადამიანთა ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლა-წარმატებას. ამ ბიძგით ამოძრავებული საზოგადოება შემდეგ არასდროს შეჩერებულა, უკან არასდროს დაუხევია, ტექნიკის ერთ დონეზე არასდროს გაყინულა, არამედ მრავალი ათეული ათასი წლის განმავლობაში წინ მიდიოდა. კიდევ უფრო ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა ტექნიკაში, ეკონომიკაში, წინაურდებოდა კულტურულად, იხვეწებოდა მისი მორალური მხარეებიც, ყალიბდებოდა მტკიცედ შეკრული ადამიანის მორალური საფუძვლები.

საზოგადოებაში განვითარების ამ პირველ ბიძგს ტექნიკაში ახალი, მძლავრი ბიძგები მოჰყვა. თუ პალეოლითმა მხოლოდ აამორძავა ადამიანი შემდგომი ეკონომიკური პროგრესისაკენ და რამდენიმე ათეული ათასი წლის განმავლობაში მოუნდა უფრო მაღალი გზის გაკაფვას, შემდგომმა ბიძგებმა უფრო სწრაფად, გრანდიოზული მასშტაბებით გამოიწვია საზოგადოების შემდგომი ეკონომიკური დაწინაურება. პირველი მძლავრი ბიძგი ქვის კულტურის შემდეგ სპილენძის კულტურაზე გადასვლაა. ქვასთან შედარებით ლითონის გამოყენება, რომლის პროგრესულობისა და გამოყენების აუცილებლობის შეცნობას ადამიანი რამდენიმე ათეულ ათას წელს მოუნდა, წარმოადგენდა ახალ მძლავრ ბიძგს, რომელმაც უფრო სწრაფად აამაღლა იგი გონებრივად, ხელი შეუწყო მისი შემოქმედებითი გონიერების შემდგომ უფრო ღრმა და

სწრაფ ფორმირებასა და განვითარებას, გაწაფა ფიზიკურადაც ლითონის დამუშავებასა და გამოყენებაში.

ლითონი, ქვასთან შედარებით, უფრო ხელსაყრელი და კარგი მასალაა. ქვის სასურველ ფორმამდე დაყვანა ხანგრძლივ შრომასა და დროს მოითხოვს, ამასთან, მაინც ვერ ხერხდება მისი სრულყოფა სასურველ ფორმად. იგი ტლანქია, ადვილად მსხვრევადი, ძნელად გამოსაყენებელი. ამიტომ უკეთესი მასალის მოძებნა და მისი დანერგვა ყოფა-ცხოვრებაში ადამიანის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. ცხოვრების პირობების შემდგომმა გართულებამ, ტექნიკის განვითარების შემდგომი სრულყოფის აუცილებლობამ ადამიანი თავისდაუნებურად მიიყვანა ახალი საშუალებების ძიების, ახალი მასალის გამოყენების მტკიცედ დანერგვის საჭიროებამდე. ამ აუცილებლობამ გამოიწვია ლითონის აღმოჩენა და გამოყენება.

ლითონი იჭედება, სწრაფად და ადვილად იღებს გამოცდილი ხელოსნის ხელში სასურველ ფორმას. მისგან დამზადებული პირები უფრო მჭრელია, ნივთიც უფრო ლამაზი და ადვილად მოსახმარია, უფრო ძვირფასიცაა. მისი დამზადება დიდ დროსა და შრომასაც არ მოითხოვს – ყველაფერი ეს დიდ უპირატესობას უქმნის ისეთ რბილ ლითონსაც კი, როგორიც სპილენძია. ამიტომ ადამიანი მის გამოყენებას სწრაფად ეწაფება და სულ მალე იგი ფართოდ ინერგება მის ყოფა-ცხოვრებაში, რასაკვირველია, ჯერ ცივი დამუშავებით და შემდეგ გადადნობითა და ჩამოსასხმელი დაყალიბებით.

ცივი დამუშავება სპილენძის კულტურის თავდაპირველი სახეა. სპილენძის საბადოები უხვად მოიპოვება ყველგან. იგი შედარებით ზედაპირული წიაღისეულია. მისი საბადოებიც უფრო უხვი სამადნო ძარღვებით არის ცნობილი, ვიდრე ზოგიერთი სხვა ლითონისა. ამასთან, მისი მადანი ნაკლებად გვხვდება უსუფთაო მინარევების სახით, რომელთა გაწმენდა დიდ დროსა და შრომას მოითხოვდა. ამასთან, უსუფთაო მადნის გაწმენდის და ისე გამოყენების პრაქტიკის შემუშავება ათასწლობით გამოცდილებას საჭიროებდა. ეს კი ქვის იარაღის დამზადების ოსტატს არც ჰქონდა და ასეთ მადანს ხელს ვერც მოჰკიდებდა, მისგან პირდაპირ ცივად ვერ გამოჭედავდა მისთვის სასურველ საგანს, რამდენადაც სპილენძი ამ მხრივ ყველა ლითონისაგან გამოირჩევა; მისი საბადოები მრავლად მოიპოვება ყველგან, შედარებით ზედაპირულიცაა და ასევე, სუფთა სახითაა უმეტესად წიაღში და პირდაპირ აღებული, ცივად დამუშავებისას, ადვილად მიჰყვება ოსტატის ხელს. ამიტომ მოუვიდა აზრად ადამიანს მისგან პირველი ლითონის იარაღის დამზადება. იგი ქვას ცივად, პირდაპირ ამუშავებდა და არ ეწეოდა მის დნობასა და ჩამოსხმას

ყალიბებში. ლითონსაც იგი ამ კუთხით მიუდგა, აიღო და პირდაპირ ცივად დაამუშავა. ეს იარაღი, ქვასთან შედარებით, უფრო ეფექტური გამოდგა, მაგრამ ხანგრძლივმა პრაქტიკულმა გამოცდამ გამოამჟღავნა ცივად ნაჭედი სპილენძის უარყოფითი მხარეებიც – იგი ადვილად ჩლუნდგება, იღუნება, რის გამოც ადამიანმა იზრუნა, გაეუმჯობესებინა იგი – სპილენძის მადანი გამოადნო, გამდნარი უფრო ადვილად ჩამოასხა ყალიბებში, გაუმჯობესდა მისი გამძლეობაც. მაგრამ პრაქტიკამ აქაც თავისი სიტყვა თქვა. სპილენძი ადამიანის ტექნიკის მზარდ მოთხოვნილებას მაინც ვერ აკმაყოფილებს, იგი მაინც არაა ისეთი მყარი, ნაკლებად მტკიცეა. ადამიანის წინაშე დაისვა შემდეგი ძიებისა და მცდელობის საკითხი, რომლის შედეგი იყო ლითონის შემადგენლობის გაუმჯობესება. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მარტო სპილენძი ძალზე რბილია, საჭიროა მისი განმტკიცება რაღაც მინარევით, რომელიც, შესაძლოა, ასევე უხვად მოიპოვებოდეს მიწის ზედაპირულ ფენებში და უფრო მტკიცე იქნება. ასეთი აღმოჩნდა კალა და სხვა მისი მსაგვსი წიაღისეული, რომელიც ადამიანმა შეურია სპილენძის მადანს და ერთად გამოადნო. დნობამ საუკეთესო შედეგი მოიტანა: მიღებული ლითონი უფრო მტკიცე, სიჩლუნგისადმი ნაკლებად მიდრეკილი აღმოჩნდა. იგი წინააღმდეგობას ადვილად უძლებს, ამიტომ ამ კარგი თვისებებით გაცილებით მაღლა დგას სპილანძის ნაკეთობასთან შედარებით. სწორედ ეს გაითვალისწინა ადამიანმა, როცა ამ ლითონის – ბრინჯაოს მასობრივ გამოყენებას მოკიდა ხელი. ბრინჯაოს კულტურის დასაწყისად მსოფლიო არქეოლოგია და ზოგადად, ისტორიული მეცნიერება, რომელიც არქეოლოგიის მონაცემებს ემყარება, თვლის ძველი წელთააღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა პერიოდს.

რასაკვირველია, ამ უძველესი პერიოდის დასამოწმებლად არც უხვი წერილობითი წყაროები მოგვეპოვება და არც სხვა რაიმე უფრო სრულყოფილი მასალები, რომლებიც პირდაპირი, ყოველგვარი მეშველი მასალების გარეშე მოგვითხრობს ბრინჯაოს კულტურის განვითარებისა და მის თავისებურებათა მთელ ისტორიას. ამიტომ მეცნიერება მის შესასწავლად იყენებს ნამარხ მასალებს, რაც მიწის წიაღმა შემოგვინახა იმ შორეული დროიდან დღემდე მეტალურგიული კერების ნაშთების (ყალიბების, ქურების, სამჭედლო სადგომებისა და ხელსწაყოების), საოჯახო თუ სხვა ნაგებობათა და მათი ნივთებისა და იარაღების, სამიწათმოქმედო იარაღის, საკულტო ნაგებობებისა და ბოლოს, სამაროვნების, უძველეს სამარხთა ინვენტარის სახით. ეს მასალები მრავალი საუკუნის განმავლობაში მიწის ღრმა ფენებში ჩაიმარხა; მათ შესახებ ამბის თითო-ოროლა მცოდნეთა სიკვდილის შემდეგ ცნობები იკარგებოდა. ასე

წყდებოდა პირდაპირი კავშირი ჩვენსა და იმ უხსოვარ დროს შორის. ამიტომ მეცნიერების დარგი – არქეოლოგია – ცდილობს შეავსოს ისტორიის სისწორე და მიწის ღრმა ფენებში ეძებოს ჩვენს წინაპართა კვალი, მათი საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელთა მეშვეობით აღადგენს ისტორიის განვითარების დონესა და თავისებურებებს.

ყოველი ახალი მონაპოვარი, ახლად გახსნილი სამაროვანი, საუკუნეების მტვერგადაცლილ ციხე-ქალაქთა და ნასახლართა ნანგრევები, დაღუპვას გადარჩენილი კულტურისა და ხელოვნების ძეგლი ახალ შუქს ჰფენს მსოფლიოს ყველა ხალხის ისტორიას, მისი განვითარების მთელ თავისებურებებს, მიმდინარეობას, ნათესაობას, მისი კულტურის თავისთავადობას, დონესა და, ერთი სიტყვით, ავსებს წერილობითი წყაროების მთელ ხარვეზს და აღადგენს ხალხთა განვითარების ერთიან, მთლიან სურათს უხსოვარი დროიდან, ვიდრე ჩვენთვის ცნობილ და შესწავლილ ეტაპამდე. ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში უხვად პოულობენ ჩვენი ისტორიის ბრწყინვალე რელიკვიებს, რომლითაც ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ კუთხედ ითვლება ჩვენი საყვარელი მშობლიური მხარე – საქართველო, რომლის მრავალმხრივ საყურადღებო ისტორია უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. ეს რელიკვიები, მდიდარი ნამარხი მასალები ნათლად გვარწმუნებენ იმაში, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გაუვლია ადამიანს პოლეოლითი და ნეოლითი. აქვე მას შეუქმნია სპილენძისა და ბრინჯაოს მდიდარი კულტურა. ამ კულტურის ძვირფასი ნივთები ადასტურებს იმ დროისათვის ჩვენი ხალხის კულტურის უაღრესად მაღალ დონეს. კერძოდ, ბრინჯაოს ნამარხი ნივთები საქართველოს მრავალ კუთხეშია ნაპოვნი. ამ ნივთთა შორის ზოგიერთი არქიოლოგების მიერაა გათხრილი და ნაპოვნი სამეცნიერო ექსპედიციის გზით, ზოგიერთი კი შემთხვევითაა ნაპოვნი ზედაპირზე, ან კიდევ შემთხვევით გათხრილი ცალკეულ პირთა მიერ და მათი მზრუნველობით სამეცნიერო დაწესებულებებისთვის გადაცემული, შესასწავლად და დასაცავად.

მართალია, ცალკეულ ამ სიძველეებს, ნაშთებს საუკუნეების განმავლობაში ნიადაგის დალექილი სქელი ფენა გვაძლევს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი უმთავრესად მდინარეების პირებსა და ფერდობებზე გვხვდება, რომლებიც ხანგრძლივი ჩამორეცხვისა და ჩამოქცევის გამო ძლიერ მოშიშვლებულია და სულ ადვილად შეიძლება მათი გათხრა. ზოგჯერ ზედაპირიდანაც კი ჩანს ან სულაც ზედ ძევს. ამიტომ ფხიზელ თვალსა და გონებას შეუნიშნავი არ რჩება ხოლმე. ასე მოხდა სოფელ კურზუშიც.

* * *

გეგეჭკორის რაიონის მთიანი სოფლები უხსოვარ დროში მჭიდროდ დასახლებული ადგილები ყოფილა. ამაზე მიგვითითებს ნასახლარები, ციხე-კოშკთა და ქალაქთა ნანგრევები, ცალკეულ ადგილთა სახელები და მათ შესახებ ხალხში არსებული გადმოცემები.

აგარაკ ლებარდეს შესასვლელთან, გორაკის ძირას, იქ, სადაც დღეს საქართველოს ჩაის ტრესტის დასასვენებელი სახლის ეზო იწყება, ამ ათი წლის წინათ უცნობ მგზავრს შემთხვევით მიწიდან ამოუგდია რკინის (თუ ბრინჯაოს) ნამარხი ნივთები, მათ შორის, კოლხური ცულები, თოხები, საომარი ნაჯახები, სარტყლის მორთულობანი და სხვ. (შეიძლება ოქროს ნივთებიც კი). ამის შემდეგ მას უფრო ღრმადაც გაუთხრია, ნაპოვნ ნივთებს შორის მისთვის საინტერესო შეუკრავს და წაუღია. როგორც იქ შემთხვევით მოხვედრილი ადამიანები გადმოგვცემენ, იგი თურმე შეკვრას არავის ანებებდა, სულ თან ატარებდა, სანამ აქედან არ წასულა, ხოლო დანარჩენი ნივთები გადაუყრია მდინარეში. ადგილობრივთაგან ამ ნივთებით არავინ დაინტერესებულა. მათ უფიქრიათ, ეს უახლესი პერიოდის ნივთებიაო და მიუყურადებიათ. ასე დაიკარგა ამ ძვირფასი აღმოჩენის კვალი. მაგრამ თვით ეს ფაქტიც კი იმას ადასტურებს, რომ ბრინჯაოს კულტურის პერიოდის სამაროვნები კურზუ-ლებარდეს ხაზზე უხვად არის დამარხული და გულდასმით ძიებას ადვილად შეუძლია დაამტკიცოს ამ აზრის სისწორე. ამ ფაქტით დარწმუნებულებს მტკიცედ გვჯეროდა, რომ ასეთი სამარხები ბევრგან აღმოჩნდებოდა. ეს ვარაუდი სრულიად შემთხვევით დადასტურდა მიმდინარე წლის იანვარში, სოფელ კურზუში. მასწავლებელმა ა. კ. ახალაიამ, როდესაც იგი სავენახე მიწას აბრუნებდა თავის საკარმიდამო ნაკვეთში, ამოყარა სამარხის ინვენტარი. ინვენტარის და თვით სამარხის გულდასმით (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო) შესწავლამ თვალსაჩინო შედეგები დატოვა.

როგორც საბჭოთა და საერთოდ, მსოფლიო არქეოლოგიის მიღწევები გვარწმუნებს, ბრინჯაოს კულტურა ხანგრძლივ პერიოდში არსებობდა და დიდმნიშვნელოვანი როლიც შეასრულა საზოგადოების, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში. ამ კულტურამ განუყოფლად იბატონა ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუახანებიდან, ვიდრე პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებამდე და უფრო გვიანაც. მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯაომ ადგილი ტექნიკასა და ყოფა-ცხოვრებაში რკინასა და ფოლადს დაუთმო, მაინც ძალიან დიდხანს ასრულებდა მნიშვნელოვან როლს. დღემდე ბრინჯაოს ნაწარმს

ფართოდ იყენებენ მრეწველობაში. როგორც ცნობილია, იგი უკეთეს სხმულს იძლევა, ვიდრე რკინა.

ბრინჯაოს კულტურა ძალიან ფართოდ, საკუთარი ეროვნული თავისებურებებით გაიარა ჩვენმა ხალხმა. ბრინჯაოს დღემდე აღმოჩენილი ნივთების ეს თავისებურება ადასტურებს იმ აზრის უსაფუძვლობას, თითქოს საქართველოს ბრინჯაოს საკუთარი მეტალურგიული წარმოება არ ჰქონოდა და აქ აღმოჩენილი ნივთები შემოტანილი იყო სხვა ქვეყნიდან. ის ფაქტი, რომ ეს ნივთები უხვადაა დაცული ყველა სამარხსა და საცავში, იმაზე მეტყველებს, რომ მეტალურგია ადგილობრივად იყო განვითარებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ სიუხვეს და მრავალფეროვნებასთან არ გვექნებოდა საქმე; ეს იარაღები და ნივთები შესრულებულია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. მაგალითად, საქართველოს ბრინჯაოს წარმოების დასავლური წრისთვის დამახასიათებელია ბრინჯაოს თოხები, ცულები (კოლხური ცულები), საომარი საჭრეთლები და ა. შ. დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში ძველთაგანვე მისდევდნენ ისეთი სათოხნი კულტურების მოყვანას, როგორიცაა ღომი, მჭადი, სელი, კანაფი. მათ დასამუშავებლად თავისებურ თოხებს ჭედდნენ. ამიტომაც ამ ადგილებში ნაპოვნი თოხები თავიანთი მოყვანილობით განსხვავდება სხვაგან აღმოჩენილი მსგავსი სასოფლო-სამეურნეო იარაღისაგან. ასევე სრულიად განსხვავებულია აქ აღმოჩენილი ცულები სხვაგან ნაპოვნი ბრინჯაოს მსგავსი იარაღებისაგან. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, მრავლადაა ნაპოვნი სადნობი ქურები, ყალიბები, ბრინჯაოს ნარჩენების შემცველი წიდები, თვით ბრინჯაოს წვრილმანი ნამსხვრევები და ზოდებიც კი. ამ მხრივ საგულისხმო ფაქტია კურზუს მეტალურგიული კერა – ჩეჩონაც.

ბრინჯაოს ეს ნივთები უმეტესად ნაპოვნია სამარხებში. ბრინჯაოს ეპოქისათვის დამახასიათებელია ორმო-სამარხები. აქ ჩამარხულ მიცვალებულთათვის თან ჩაუტანებიათ, როგორც წესი, ის საოჯახო, სამხედრო და საერთოდ, საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც მიცვალებულს სიცოცხლეში უტარებია, გამოუყენებია და რომლებსაც მაშინდელი რწმენით, სიკვდილის შემდეგ საიქიო ცხოვრებაში „გამოიყენებდა“. სამარხები ყველგან თანაბრად მდიდარი როდია: ზოგან სხვადასხვა მდიდარი მასალაა მოქცეული, ზოგან სამარხები არაა ასე მდიდრული. ორმო-სამარხში აღმოჩენილ მასალებს შორის დასავლეთ საქართველოსათვის კურზუს სამარხის ინვენტარი ერთ-ერთი პირველთაგანია, ამიტომ ამ მხრივაც იგი უაღრესად საყურადღებოა. საერთოდ, სამარხებს შორის მასალების მრავალფეროვნების მხრივ განსხვავება იმას ადასტურებს, რომ მაშინ

საქართველოში უკვე მკვეთრად ყალიბდებოდა ადამიანთა შორის ქონებრივი უთანასწორობა, გამოიყოფა გვაროვნული დიდკაცობა, რომელთა სამარხები თავისი მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით ძალზე განირჩევა გვარის უფრო ნაკლებად წარჩინებულ წევრთა სამარხებისაგან.

ბრინჯაოს ნაკეთობაც, რასაკვირველია, სათანადოდ ვერ აკმაყოფილებდა ადამიანთა მოთხოვნილებას. იგი, მართალია, სპილენძის ნაკეთობაზე უფრო მაგარი და მოხერხებული იყო, მაგრამ შრომის მრავალსახეობა და სირთულე შემდგომ პერიოდში ვერ ურიგდებოდა ბრინჯაოს იარაღს. დღის წესრიგში დადგა უფრო ხელსაყრელი, უფრო მტკიცე ლითონის იარაღის საჭიროება.

ბრინჯაოს კულტურამ ადამიანი ბევრად გააცნობიერა. იგი ღრმად უკვირდება ბუნებას, მის საიდუმლოებას, სწავლობს ლითონთა თავისებურებებს, მათ განსხვავებას, უპირატესობას, განსჯის ბრინჯაოს უარყოფით და დადებით თვისებებს, სინჯავს ახალი ლითონის – რკინის თვისებებს და ბოლოს რწმუნდება, რომ რკინა მეტად მტკიცე და უფრო მასობრივად გამოსაყენებელი ლითონია. იგი თანდათანობით ტოვებს ბრინჯაოს ნივთების მასობრივ წარმოებას და გადადის რკინის დამუშავებასა და მისგან საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადებაზე. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნავდი, ბრინჯაოზე სავსებით როდი იღებს ხელს, მას კიდევ დიდხანს იყენებს სამკაულების, სხვადასხვა საოჯახო ნივთებისა და სხვათა დასამზადებლად.

რკინის დამუშავებამ, რკინის იარაღის შემოღებამ და დანერგვამ დიდად შეუწყო ხელი საზოგადოების ეკონომიკასა და კულტურაში გრანდიოზულ პროგრესს, განავითარა მიწათმოქმედება, მეტალურგია, ხელოსნობა, საფეიქრიო წარმოება, აღმშენებლობითი საქმიანობა. რკინამ ხელი შეუწყო მდიდრულ, მაღალმხატვრულ ნაგებობათა აგებას, ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეთა მშენებლობას, ხელოვნების ძვირფასი ნიმუშების შექმნას. ამრიგად, რკინამ ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში უდიდესი გადატრიალება მოახდინა. „რკინამ გამოიწვია მიწის დამუშავება დიდ ფართობებზე, – წერდა ენგელსი, – უზრუნველყო სახნავად ტყიან ფართო სივრცეთა გაკაფვა; მან ხელოსანს მისცა ისეთი მაგარი და ბასრი იარაღი, რომელსაც ვერც ერთი ქვა, ვერც ერთი მაშინ ცნობილი ლითონი ვერა გაუძლებდა“.

რკინის კულტურის დასაწყისად, ან ადრეული რკინის პერიოდად უნდა ჩაითვალოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისი, ხოლო ამ ათასწლეულის შუა პერიოდიდან იგი ბრინჯაოსნაირ თანაბარ უფლებებსაც კი იხვეჭდა; მეტიც, სძლია მას და ყოფა-ცხოვრებაში გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია. ამ ხანის სამარხებში და ნივთთა

საცავებში ჩვენ ვპოულობთ ბრინჯაოსა და რკინის იარაღსა და ნივთებს, რასაკვირველია, ბრინჯაოს იარაღთა მეტ-ნაკლებობით. თვით სამარხების ინვენტართა თავისებურება ამ მხრივ იძლევა ბრინჯაოსთან რკინის ჭიდილისა და მისი გამარჯვების პროცესის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენის შესაძლებლობას.

ბრინჯაოს კულტურის დასავლური წრე მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ამ წრის მეტალურგიული წარმოების თვალსაჩინო კერები იყო ჩრდილოეთ კავკასიონის მთაგრეხილების სამხრეთი კალთები: რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელოს მაღალმთიანი რაიონები, აფხაზეთი. ამ ადგილებში დღესაც უხვადაა შემორჩენილი ადგილთა სახელწოდებანი, რომელიც ბრინჯაოსა და რკინის უძველს წარმოებაზე მიგვითითებს. ამ მხრივ საყურადღებო ადგილი უჭირავს თვით გეგეჭკორის რაიონსაც. ამ რაიონის ზედა ზონის სოფლები შეფენილია ქვემო სვანეთის მთაგრეხილის სამხრეთ კალთებზე. ეს ადგილები ცნობილია რკინითა და სხვა მინერალური შენაერთებით, მდიდარი წყლებით; ძველთაგანავე ცნობილია ამ ადგილებში ქვანახშირის, რკინის, ტყვიის, სპილენძისა და სხვა წიაღისეულის არსებობა. მოხუცები თავიანთი წინაპრების გადმოცემით მიუთითებენ ლითონთა მოპოვებისა და დნობის უძველეს ადგილებს, მაგალითად, კურზუში – ჩეჩონას, ნახუნაოში – ონოშქვერეს და სხვ.

ამ მხარეში მეტალურგიული წარმოების განვითარების მაღალ დონეზე თვალნათლივ მიუთითებს ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული მაგალითი – კურზუში გარდამავალი პერიოდის ორმო-სამარხის აღმოჩენის შესახებ.

სამარხის ადგილი და ნივთები ადგილზე დაათვალიერა და შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა დ. ქორიძემ, რომელმაც ამ სამარხისა და მისი ინვენტარის შესახებ მეტად საყურადღებო მეცნიერული აზრი გამოთქვა.

სოფელი კურზუ გეგეჭკორის რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 40 კმ-ით. ის მდებარეობს რაიონის ცენტრის ჩრდილოეთით, მთაგრეხილის მაღალ და საკმაოდ დანაწევრებული კალთის ბორცვებზე, აგარაკ ლებარდეს სამხრეთით. კურზუ ძველთაგანვე სამეგრელოს მთავართა და დიდებულთა სანადირო და საზაფხულო სააგარაკო ადგილად იყო აღიარებული. აქვე, სოფლის ჩრდილოეთით, მთების იწროხებში იყო მაგარი ბურჯებით გამაგრებული სიმაგრე – „გოკიდილი“, რომლის მიღმა შეხიზნულ მცხოვრებთ შემოსეულ მოძალადეთა მხრივ განადგურების შიში უკვე აღარ ჰქონდათ. თავისი გეოგრაფიულ-სტრატეგიული და ეკონომიკური მდგომარეობით ეს მნიშვნელოვანი ადგილი თავიდანვე იზიდავდა მოსახლეობას. თანაც მთები აქ ძალზე მდიდარია წიაღისეული სიმდიდრით, რაც ცხადია, ხელს უწყობდა ჩვენი წინაპრების მეტალურ-

გიულ საქმიანობას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აქ ასეთი ინვენტარით მდიდარი სამარხები აღმოჩნდა.

* * *

სამარხი შემთხვევით იქნა გახსნილი (ისე, როგორც ლებარდეში), ამიტომ მისი ზუსტი მეცნიერული დათვალიერება ვერ მოხერხდა. თუმცა შემდგომმა დაკვირვებამ და ადგილის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ იგი ორმო-სამარხია, დაახლოებით 2 მ სიგრძითა და 1,5-2 მ სიგანით. რადგან აქ ადგილი დამრეცია და სისქე სამარხის ზედაპირისა შემცირდა, ამიტომ საკმარისი იყო ნახევარ მ-ზე მიწის ამოთხრა, რომ სამარხი აყრილიყო.

ეს რომ უბრალო, ზედაპირული, შემთხვევით ნაყარი ინვენტარი, ან უბრალო იარაღთა საცავი არაა, არამედ სამარხი და თანაც ორმო-სამარხი, ამას ადასტურებს შემდეგი: ინვენტარი და თვით მიცვალებულის ნეშტი არ არის ჩაფლული რაიმე ხელოვნურ საცავში. აქ არც ქვევრის, არც კრამიტის და არც ქვის ან ხის ნიშნებია დაცული. ყველაფრით ჩანს, რომ ნეშტი, როგორ წესი, პირდაპირ განსაკუთრებულ სამარხად გაჭრილ ორმოში ჩაუმარხავთ; მეორე, მიცვალებული, რომლის კარგად გასარჩევი ბარძაყის, ნეკნების და თავის ქალის ძვლები საკმაო რაოდენობითაა ამოყრილი, დაფლულია სწორედ იმ დროს, როდესაც ინვენტარი ჩაიმარხა მიწაში, რაც დასტურდება იმითაც, რომ ბრინჯაოს რამდენიმე ინვენტარი თვით ძვალზე მტკიცედ იყო მიკრული, ალბათ საუკუნეების განმავლობაში ერთად დებით. ასევე, თითქმის ყველა ძვალი ატარებს მიწაზე ხანგრძლივად ჩაფლულ ბრინჯაოს შეფერილობის ფერს. ზოგი ძვალი ამ შეფერილობით მთლიანად გაჟღენთილია; და მესამე, აქ ნაპოვნი ინვენტარი შემთხვევით დაყრილ იარაღთა გროვას არ წარმოადგენს, არამედ წინასწარ კარგად შერჩეული და გამიზნულია. აქ მარტო ერთი ან ორი სახის იარაღი როდია, არამედ 36 სხვადასხვა საოჯახო, სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო ინვენტარია ჩაფლული. როგორც წესი, ასეთი რაოდენობით იარაღსა და საერთოდ, საყოფაცხოვრებო ინვენტარს ჩვენი წინაპრები მარხავდნენ მიცვალებულის სამარხში საიქიო ცხოვრებაში „გამოსაყენებლად“.

ამრიგად, სავსებით დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ეს ინვენტარი სამარხისეულია და თანაც ეს სამარხი ორმო-სამარხის ტიპისაა და ამ მხრივაც, მეცნიერული თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებოა.

სამარხისეულ ინვენტარს შეადგენდა რკინისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი. ქალის სამკაულები სამარხში არ არის აღმოჩენილი, ან მისი არსე-

ბობა ძალიან საკამათოა; ამ სადავო სამკაულებს მამაკაცებიც ატარებ-დნენ იმ დროს და თანაც ეს ორიოდე სადავო ნივთი ვერ ადასტურებს მამაკაცთან ერთად ქალის ნეშტის არსებობას სამარხში. ასეთი წესი არ ყოფილა საქართველოში მასობრივად გავრცელებული.

სამარხში ნაპოვნია: **ბრინჯაოს თოხი, 6 ცალი**. მათ შორის სამი შედარებით პატარაა. ფორმით ექვსივე სათოხნად მოსახერხებულად წამოხრილია. დიდი ზომის თოხის პირი დაახლოებით 11 სმ-ის სიგანისაა, ხოლო ტარის გასაყრელი ყუნწის ჩათვლით სიმაღლე 14 სმ-ია. მცირე ზომისა კი პირთან 8,5 სმ სიგანისაა და სიმაღლე ყუნწის ჩათვლით 12 სმ-ია. ორივე, როგორც მცირე ზომის, ისე დიდი ზომის თოხი, მარცხნივ საგრძნობლად მოცვეთილია. ეტყობა მის პატრონს მარცხენათი უფრო ემარჯვებოდა თოხნა. ყოველმხრივ ეტყობა, რომ ზომათა შორის განსხვავება გაცვეთის შედეგი არაა. საყურადღებოა, რომ ყველა იარაღი საფლავში ჩატანებულია კენტი რაოდენობით. სხვადასხვა ზომის თოხები, ალბათ სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად ჩაატანეს 3-3 ცალი. ამ ნივთის სიმრავლე და ზომაში ასეთი განსხვავებულობა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მაშინ, საერთოდ, დასავლეთ საქართველოში და კერძოდ, ამ ადგილას, უაღრესად განვითარებული ყოფილა მიწათმოქმედება. „ბრინჯაოს თოხის არსებობა მოწმობს იმას, რომ საკმაოდ ინტენსიურად ყოფილა განვითარებული მიწათმოქმედება, განსაკუთრებით მებაღეობის ტიპისა კობანის პერიოდისათვის (გარდამავალი პერიოდი ბრინჯაოდან რკინაზე – გ. ე.) დასავლეთ საქართველოში (ბ. კუფტინი, „კოლხეთის არქეოლოგიის მასალები“). ამ დროისათვის კი დასავლეთ საქართველოში გარდა მებაღეობისა, სათოხნი კულტურების – ღომისა და მჭადის მოყვანაც იყო განვითარებული. ამისათვის კი ასეთი თოხი იყო საჭირო და მოხერხებულიც.

**კოლხური ცული, 2 ცალი**. მათ შორის ერთი ბრინჯაოსი და მეორე რკინისაა და ფორმითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბრინჯაოს ცული უფრო ფაქიზადაა დამუშავებული. იგი მრგვალი, ლამაზთავიანია. რკინის ცული კი ბრტყელი, საჭრელი თავით ბოლოვდება. თავი ამ იარაღს მომტვრეული აქვს და ამიტომ მისი ფორმის სავსებით სწორად დადგენა არ შეიძლება, ისე კი ძალზე დაჟანგულია. ამიტომ მასზე მხატვრული დეტალების კვალი სრულიად წაშლილია. რკინის ცულის ახლანდელი სიგრძე 20 სმ-ია, პირის სიგანე 6 სმ-ს უდრის, ტარის გასაყრელი ყუნწის სიგანე 4X3 სმ-ია.

**საომარი „დანა“** ან **ცული 6 ცალი, ბრინჯაოსი**. აქაც ისეთივე განსხვავებაა, როგორიც თოხებში. მსგავსი დანები ან ცულები ნაპოვნია საქართველოს სხვა ადგილებშიც (სოხუმი, ციხისძირი და სხვ.).

იგი ბრტყელი, ბარის მოყვანილობოს ნივთია, ტარის გასაყრელი არა აქვს. მისი ძლიერ წახაზული შუა ნაწილი ალბათ ხის ტარის განაპობში ჩაეკვროდა ხოლმე და ასე ტარში ჩაკრულს იმარჯვებდა ადამიანი უფრო საომარი მიზნებისათვის, ასევე გასასწორებლად. შეიძლება, ამასთან ერთად, სხვა ფუნქციასაც ასრულებდა, რაზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მისი სისქე ყველაზე სქელ ადგილას, ყელზე მილიმეტრნახევარია, პირი კი ძალზე მჭრელი აქვს. ყელთან მისი სიგანე უდრის 13 სმ-ს, ხოლო ყელიდან მისი პირის რკალის ცენტრამდე 12 სმ-ია. მას მხოლოდ ერთ მხარეზე აქვს 6 ერთგვარი ნიშანი – ორ მახვილ კუთხედ ჩახვეული ხაზი, რომელიც, ჩვენი აზრით, მარტო მხატვრულ გაფორმებას როდი შეადგენს, რადგან მხატვრული გაფორმება უფრო მდიდრულად და მრავალსახიერად შეიძლებოდა, არამედ იგი უფრო ჰერალდიკური ნიშანი უნდა იყოს, ე. ი. გვარის უფროსის ან სამხედრო დიდებულის განსაკუთრებული საგვარეულო ემბლემა. აქედან სავსებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ იარაღს, გარდა სამეურნეო დანიშნულებისა, სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა და უპირატესად, სამხედრო იარაღი უნდა ყოფილიყო. ეს იარაღი შეიძლება მხოლოდ ერთი ჩაიკვროდა ტარში, შეიძლება ორი ერთად იკვროდა. ამდენად, ერთ ტარზე ორმხრივ ასეთი ცულის ჩაკვრა საშუალებას აძლევდა ადამიანს, ორმხრივ ეკვეთა, ორი პირით ეჭრა. ამიტომ, შესაძლებელია, სწორი იყოს ვ. ვიტტელის აზრი, რომ იგი ორმაგი ჩუგლუგის ნახევარია (იხ. ბ. კუფტინი „კოლხიდის არქეოლოგიის მასალები“, გვ. 221). ასეთი სახით ორივე მხრივ ერთნაირი იარაღის ტარში ჩამაგრება და შეკვრა უფრო ადვილი და მოსახერხებელი იყო. მსგავსი ცულები ან საჭრისები, დაშნები, აღმოჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სიდიდით განსხვავებულია ერთმანეთისაგან. პროფესორი კუფტინი ვარაუდობს, რომ, რადგან ისინი ძლიერ განსხვადებიან ერთმანეთისაგან თავისი სიდიდითა და მორთულობით, ამიტომ წვრილ ფორმებს არ შეიძლება მივაწეროთ ის ფუნქციები, რაც უფრო მსხვილ ფორმებს აქვს, ისინი შეიძლება ჩაითვალოს უფრო საცვლელ ერთეულებად. ამ აზრის დასადასტურებლად იგი იმოწმებს ე. ა. პოხომოვს, რომელსაც 1907 წელს ციხისძირში მსგავსი „დინის“ აღმოჩენისას გამოუთქვამს ასეთივე აზრი (იქვე, გვ. 222). თუმცა პროფესორი კუფტინი იმასაც არ უარყოფს, რომ მსგავსი ნივთები საჭრისებად, დანებად ამ სხვა დანიშნულებისათვის ყოფილიყო გამოყენებული. მისი აზრით, ასეთი ერთეულების არსებობა უნდა მიეწეროს კობანის პერიოდს, რომელიც უკვე ა. ე-მდე პირველი ათასწლეულის დასაწყისიდან იწყება და მოდის ამ ათასწლეულის შუა პერიოდამდე: ჩვენი აზრით, საცვლელ ერთეულად მისი გამოყენება არ გამორიცხავს მის ძირითად დანიშნულებასაც, როგორც საყოფაცხოვრე-

ბო ნივთისა. იგი შეიძლებოდა ყოფილიყო სამხედრო იარაღი – საომარი ცული, ჩუგლუგი, ან საცვლელი ერთეულიც. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მასზე არსებული ნიშანი გარდა რაღაც კერძო, სამხედრო თუ სამეურნეო დანიშნულებისა, უფრო არსებით და განსაკუთრებულ დანიშნულებაზეც უნდა მიუთითებდეს. ამიტომ იგი მხოლოდ იარაღი როდი იყო, არამედ გვარის ნიშანი – გერბი. ამ ნიშანთა სიმრავლით აღნიშნავდნენ ალბათ ამ ნივთის საცვლელ ღირებულებასაც. ამიტომ არც ისაა გამორიცხული, რომ ასეთი ნივთი საცვლელი ერთეულიც ყოფილიყო. უაღრესად საყურადღებოა ცნობილი მეცნიერის აზრი ამ ნივთის არსებობის პერიოდის შესახებ. ამდენად, ასეთი ნივთის ამ სამარხში არსებობაც იძლევა შესაძლებლობას იმ ვარაუდისა, რომ ეს სამარხი ჩაითვალოს ჩვენ წელთაღრიცხვამდე VIII-VI საუკუნეების სამარხად.

**ორი ცალი ხანჯალი** მათ შორის ერთი რკინის ტარითა და ტარსაცავის შესაკრავი მანჭვლებით, ორივ მხრივ მკვეთრად ამობურცული ზურგის ზოლებით. იგი ჟანგისგან ძლიერ დაზიანებულია. მეორე ხანჯალი მოღუნულია, უტარო. ეს ხანჯალი შედარებით ვიწროა და გრძელი. მსგავსი რკინის ხანჯლები ასევე მრავლადაა ნაპოვნი საქართველოს სხვადასხვა ადგილას ბრინჯაოს ნივთებთან ერთად და მიეკუთვნება ადრეული რკინის ეპოქას.

**რკინის დანა და მისი ტარი**. კარგად დამუშავებული დანა, მჭრელი პირით და ტარით, რომელსაც ტარსაცავის შესაკრავი მანჭვლებიც აქვს. მსგავსი დანები საკმაო რაოდენობითაა ნაპოვნი კობანის კულტურის გავრცელების ზონაში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის 1951 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებში აღწერილი და ა. შ.

**ბრინჯაოს ზარაკი**. ზარაკის ღერძი თავზე კი არაა, რომელზედაც ჩვეულებრივ კიდებენ ხოლმე ზარის ენას, არამედ ზარის ტანშია გარდი-გარდმო გაყრილი და მასზეა ენა ჩამოკიდებული. ზარაკს პატარა ყუნწი საბმური აქვს ზემოთ. ნივთის საერთო სიდიდე დაახლოებით 2X1 სმ-ია.

**ბრინჯაოს გულსაკიდი**. იგი ფრინველის თავის მოყვანილობისაა, ძალზე წამახვილებული ნისკარტით. უკანა ნაწილი ყელთან წამტვრეულია, ეტყობა აქ სხეულის სხვა ნაწილიც იყო გამოსახული. თვალების ადგილას საბმული ნახვრეტია გაკეთებული. იგი ერთგვარი საკულტო ნიშანი ან ავგაროზი უნდა იყოს, რომელსაც მკერდზე ატარებდა ხოლმე ყველა მამაკაცი თუ ქალი თავისი კერპის პატივსაცემად. ნივთის სიგრძე სამი სმ-ია. ვფიქრობთ, აქვე ნაპოვნი ორი ნივთი უფრო დიდი ზომისა და გაურკვეველი მოყვანილობის საკულტო ნიშნები ან ავგაროზები

უნდა იყოს. ეტყობა ეს საკულტო ნიშანი ან ავგაროზი ყელზე ეკიდა მის პატრონს ბრინჯაოს ან სხვა მასალის საბმურით, რომლის კვალი არაა დარჩენილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამარხში აღმოჩენილი მძივის რამდენიმე მარცვალს.

**ბრინჯაოს ქინძისთავი**. ერთი ცალი. იგი 3,5 სმ სიგრძისაა. მხოლოდ ცალმხრივაა თავხვეული. როგორც ეტყობა, წვერი წამტვრეული აქვს. მსგავსი ბრინჯაოს ქინძისთავი, ოღონდ ორმხრივ დახვეული თავით, ნაპოვნია გუდაუთაში და აღწერილია ლუკინისა და კუფტინის მიერ. მასთან ნაპოვნ სხვა ნივთებთან ერთად ამ ნივთსაც ცნობილი მეცნიერები მიაწერენ ყობანის პერიოდს.

**ფიბულა, ორი ცალი**. ერთი რკინისა და ერთი ბრინჯაოსი. რკინის ფიბულას ენა მომტვრეული აქვს. ფაბულა გრეხილ რკალს წარმოადგენს, რომლის თავი წაბრტყელებული და ენის კაუჭადაა ქცეული. მეორე ბოლო კი ერთ რგოლადაა მოხვეული და შემდეგ ენის ნაწილია დარჩენილი 2 სმ სიგრძისა. როგორც ჩანს, იგი კაუჭამდე გრძელდებოდა და სამაგრს წარმოადგენს.

**საფეთქლის ბრინჯაოს რგოლი**. მსგავს რგოლებს უხვად პოულობენ ბრინჯაოს სამარხებში და უფრო გვიანაც.

**ბრინჯაოს სარტყლის შემკულობა, 6 ცალი**. ეტყობა, ეს ნივთები დამაგრებული იყო ტყავზე, რადგან ყველა მათგანს აქვს კაუჭა-სამაგრები უკან, ხოლო ქვედა არშიაზე ხვრეტილები მიჰყვება თასმების შესაკრავად. ყველა მათგანი, დაწყებული სრულიად უმნიშვნელო, პატარა დეტალიდან, დამთავრებული მსხვილ ნივთამდე, კარგი გემოვნებითა და ხელოვნებითაა ნაკეთები. ამ ნივთთა შორის ყურადღებას იპყრობს ორი ერთნაირი და ერთი ფორმით მათგან განსხვავებული ნივთი. პირველ ორს ოდნავ ხვეული ფორმა აქვს. შუა ნაწილი ამოწეულია, ფრთები დაშვებული და ზედა წიბურები ორივე მხრივ ოდნავ წაწვეტებულია. ნივთის ქვედა არშია ამოღარულია 0,5 სმ სიგანეზე, თავიდან ბოლომდე, და ამ ღარში 6 ნახვრეტია გაკეთებული, ზუსტად 1 სმ დაშორებით ერთმანეთისაგან. სამკაული 9,5 სმ სიგრძისაა. ღარის ზემოთ, სამკაულის მთელ სიგრძეზე, წერტილების ხაზია გავლებული. ამ ხაზის ორივე მხარეზე თავიდან ბოლომდე დაშვებულია ირიბად დასმული ხაზები, რომლებიც სამკაულის ერთგვარ მხატვრულ გაფორმებას წარმოადგენენ. მესამე სამკაული ასეთივე ზომისაა, მაგრამ ფორმით ოდნავ განსხვავდება მათგან. მისი ზედა მხარეც შუაში ოდნავ ამოწეულია, მოგლუვებული ნაწიბურები ქვედა მხარეზე სწორია, გონიოებზე ღარი არ გასდევს. მისი ზედაპირი სწორი ხაზით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ხაზის ზემოთ, სამკაულის მთელ სიგრძეზე, ხვეული, ერთმანეთზე გადაბმული რგოლე-

ბია, ვერტიკალურად დახაზული. ქვემოთ კი უჯრედებში, პატარა სწორეებია ამოხაზული. მას ხვრეტილები არა აქვს, სამაგრად მხოლოდ უკანა ნაწილში კაუჭია გაკეთებული. მასზე და სხვა სამკაულზეც არის რკინის მანჭვლების კვალი, ბრინჯაოს ნივთებზე რკინის სამაგრის კვალი ადასტურებს მათ თანადროულ წარმოებასა და მოხმარებას.

**ბრინჯაოს ფირფიტების ნატეხები, 2 ცალი**. ერთი ბრტყელია და საგრძნობლად დაზიანებული, მეორე ქვედა ნაწილით სქელი, ე. ი. რაიმე ნივთის გონიოს მსგავსი, ხოლო ზედა ნაწილით უფრო ბრტყელია და ჩაგლუვებული. ეს ფირფიტები ისეთ შთაბეჭიდლებას ტოვებს, თითქოს ერთი ჭურჭლის ნაწილები ყოფილიყო ოდესმე. გადმოგვცემენ, რომ ასეთი ფირფიტები და მათი წვრილი ნამტვრევები ადგილზე მრავლად ყოფილა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფირფიტები ჩაფხუტის, ან ბრინჯაოს ჭურჭლის ნამსხვრევებია. თუ მათ ქვემოთ აღწერილ ბრინჯაოს ზოდს მივუმატებთ, თავიანთი ფორმით ერთგვარ შთაბეჭდილებას შეგვიქმნის ჩაფხუტის ისეთი ფორმის ნაწილზე, როგორიც ნაპოვნია სოხუმში და აღწერილია პროფ. კუფტინის მიერ, წიგნში – „კოლხეთის არქეოლოგიის მასალები“, გვ. 129, ტაბ. 8. მსგავსი ბრინჯაოს ჩაფხუტები ნაპოვნია საქართველოს სხვა ადგილებშიც და დათარიღებულია იმავე პერიოდით.

**ბრინჯაოს ზოდი**. იგი საკმაოდ სქელი, თითქოს დანის ფორმის ნამტვრევია. სიგრძე უდრის 6,5 სმ-ს, ხოლო სიგანე 1,5 სმ-ს, სისქე კი 0,5 სმ-ზე მეტია. საერთოდ ამ ნატეხს რაიმე განსაკუთრებული გაფორმების კვალი არ ემჩნევა. შეიძლება ვივარუდოთ, რომ იგი ჩაფხუტის ცხვირსაცავის ნაწილია.

**ბრინჯაოს ტარი ყუნწით**. გაცილებით უფრო მახვილი სამკაულის თავი უნდა იყოს. ამ სამკაულიდან ამოზიდული ბრინჯაოს ღერძი დაბრტყელებულია და თავთან ეს ბრტყელი ნაწილი ჩახვეულია, რომლის განივი სიღრუე გამოყენებული იყო ალბათ ზონარის, ან ძეწკვის გასაყრელად, მკერდზე ან ყელზე საბმურად.

სამარხის ადგილზე, მიწაში, კერამიკული ნაწარმის მრავალი წვრილი ნამტვრევია. ეტყობა, იქ თიხის ჭურჭელიც იყო ჩატანებული, რაც სავსებით სარწმუნოა, მაგრამ გათხრის დროს გაუფრთხილებლობის გამო ან კიდევ მიწაში ხანგრძლივი დებისა და მიწისქვეშა ბიძგების მიზეზით ჩაიმსხვრა და დაქუცმაცდა. ამიტომ სამარხისეული თიხის ჭურჭლის აღდგენა უკვე ვეღარ ხერხდება.

ცალკეული ნივთების ამ ზოგადი, ზერელე განხილვითაც კი ცხადი ხდება, რომ მასალა იმ ეპოქის კუთვნილებაა, როცა ჯერ კიდევ ბრინჯაო საკმაოდ ფეხმოკიდებულია ხალხის ყოფა-ცხოვრებაში და რომლისგანაც ამ დროს მასობრივად აკეთებენ სამეურნეო და სამხედრო იარაღებსა და

სამკაულებს. ამასთან, ეს ის ეპოქაა, როცა რკინა იკაფავს გზას ხალხის ყოფა-ცხოვრებაში და ადამიანი თითქმის ყველა ნივთს, ბრინჯაოსთან ერთად, მისგანაც ამზადებს, ე. ი. გარდამავალი ეპოქაა ბრინჯაოდან რკინაზე.

მსგავსი მასალები – ცულები, დანები, ხანჯლები, ფიბულები და ა. შ., უხვადაა ნაპოვნი დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით, აფხაზეთში. თავისებურებებით განსხვავებული, მაგრამ ძირითადად მაინც მსგავსი მასალებია ნაპოვნი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებშიც, ე. ი. მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, დვანის სამაროვანში, რომელიც აღწერილია ს. მაკალათიას მიერ. სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურ ექსპედიციის  მასალებში მსგავსი ნივთი მრავლადაა, თუმცა აქ ბრინჯაოსა და რკინის მასალებთან ერთად, ვერცხლისა და ოქროს სამკაულებიც მოიპოვება, რაც კურზუს სამარხის ინვენტარში არ შედის. სამაგიეროდ, კურზუს მასალებში ბრინჯაოსა და რკინის მრავალი ის ნაკეთობაა, რომლებიც იმ მასალების მსგავსია და რომელთაც ჩვენი მეცნიერები ადრეული რკინის ეპოქას მიაწერენ. რკინა ჩვენთან უკვე მყარად იყო დამკვიდრებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VII საუკუნეებში. ცალკეული საგნების გულდასმით, განხილვამ და მეცნიერთა მიერ შესწავლილმა მსგავსმა მასალებმა სავსებით შესაძლებელი გახადა ვარაუდი, რომ ეს სამარხი ჩვენს ერამდე VIII-VI საუკუნეებს მივაკუთვნოთ, რადგან ამაზე ადრე რკინა ბრინჯაოსთან, თითქმის თანაბარი უფლებებით არ გამოიყენებოდა. ამ ფაქტის რკინის კოლხური ცულის არსებობაც ამტკიცებს. უფრო გვიანი პერიოდით ვერ დავათარიღებთ, რადგანაც VI საუკუნეზე გვიანდელ სამარხებში რკინა უკვე უფრო გაბატონებულ მდგომარეობაში უნდა იყოს წარმოდგენილი, ხოლო ბრინჯაო – შედარებით ნაკლებად. ამასთან, აქ უკვე შეიძლებოდა ყოფილიყო მონეტებიც და უფრო ძვირფასი ლითონის ნივთებიც. წარმოდგენილი საცვლელი ერთეულის (ან საერთოდ, ამ ნივთის) არსებობაც არაა სარწმუნო განვითარებული რკინის ეპოქაში, როცა უკვე ჩნდება გაცვლის გარკვეული საშუალება – ფული და იგი ფართოდ ბატონდება კიდეც.

მათი არსებობა ამაზე გვიან არც ნამარხი ნივთებითაა დადასტურებული. თვით ორმო-სამარხებიც კი რკინის მყარად დამკვიდრების შემდეგ იცვლება ქვევრისა ქვაყუთებისა და სხვა სახის განსაკუთრებული საცავ-სამარხი მოწყობილობითა და ნაგებობით. სამარხის ინვენტარიც უფრო მრავალფეროვანი და მდიდრული ხდება. ამიტომ სავსებით სწორი იქნება, თუ ზემოთ გამოთქმულ აზრს შედარებით უფრო სარწმუნოდ ჩა-

ვთვლიოთ. ამ საკითხებზე მალე ჩვენი მკითხველი უფრო კვალიფიციურ სიტყვას მოისმენს საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევრებისაგან.

სამარხისა და მისი ინვენტარის ზოგადი გაცნობა-განხილვით შეიძლება წარმოვიდგინოთ მაშინდელი მამაკაცი მეომრის სამხედრო და სამეურნეო აღჭურვილობა. იგი შეირაღებული იყო საომარი ჩუგლუგით, რკინის ხმლითა და ხანჯლით, წელზე ერტყა ბრინჯაოს სამკაულებით შემოსილი სარტყელი, თავზე ბრინჯაოსავე ჩაფხუტი ეხურა, ასევე ბრინჯაოს ცხვირსაცავით, მეურნეობაში კი იყენებდა სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს თოხებს, რკინის დანებს, ბრინჯაოსა და რკინის კოლხურ ცულებს. შეიძლება მას სხვა იარაღი და ნივთებიც ჰქონდა (ისრები, შუბი და სხვ.), მაგრამ, ალბათ, გათხრის დროს დაიკარგა.

საქართველოში მაშინ მაღალ დონეზე მდგარა ხელოსნური წარმოება, რაზეც მეტყველებს აქ ნაპოვნი სამამულო წარმოების ნივთები.

აქვე აღმოჩენილი მკერდით სატარებელი საკულტო ნიშანიც ერთგვარ გასაღებს გვაძლევს წარმართული რელიგიის, ადგილობრივი კერპის ან ღვთაების შემდგომი გულდასმითი ძიებისათვის.

უაღრესად საყურადღებოა საომარ ცულზე, ე. წ. დანაზე აღნიშნული ნიშნები, რომელიც ჩვენი ჰერალდიკური კულტურის ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია და ამ ნიშანთა შემდგომმა უფრო დეტალურმა შესწავლამ შეიძლება ახალი, ძვირფასი მასალა მოგვცეს ჩვენი ხალხის კულტურის ისტორიის კვლევისათვის.

სასოფლო-სამეურნეო იარაღთა სიუხვე და სხვადასხვაობა გვარწმუნებს სამეურნეო საქმიანობისა და კერძოდ, მიწათმოქმედების მაღალ დონესა და მრავალფეროვნებაში.

მაშასადამე, ამ უაღრესად საინტერესო აღმოჩენას სერიოზული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის უფრო სრულყოფილი შესწავლისათვის. ამიტომ ფასდაუდებელია ის წვლილი, რაც ამ მხრივ ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას გაუწია მასწავლებელმა ა. ახალაიამ, თავისი გონივრული დამოკიდებულებით ამ მასალებისადმი.

მსგავსი შემთხვევები ადგილზე შეიძლება გახშირდეს. ჩვენი რესპუბლიკა და მათ შორის ჩვენი რაიონი უაღრესად მდიდარია სხვადასხვა ისტორიული ღირსშესანიშნაობით. ვინ იცის, კიდევ რამდენი საყურადღებო რამ მარხია მიწაში, ან გდია მიწის ზემოთ, მას ხომ ჯერ მეცნიერის, მკვლევრის ხელი არ შეხებია. ჩვენი ვალია, მზრუნველობით მოვკიდოთ ამ კეთილშობილ საქმეს ხელი, უფრო ფრთხილად და გულისყურით გავსინჯოთ ყოველი ნივთი, დავაკვირდეთ და გულდასმით შევისწავლოთ მასალა, რაც შემთხვევით მოგხვდება ხელთ, ან რომლებზეც მიგვითითებენ გადმოცემები, ლეგენდები. ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ ჩვენი

ქვეყნის ისტორიის შემდეგ სრულყოფას. არ დავკარგოთ ისინი, გადავცეთ მეცნიერებს, სწავლულებს, მკვლევრებს. ყოველ სოფელში შეიძლება აღმოჩნდეს ყორღანები, უძველესი სამარხები, ციხეთა ნანგრევები, სვეტები. სოფლად ჯერ კიდევ არიან მხცოვანი ადამიანები, რომლებიც დიდ ინფორმაციას ფლობენ ჩვენი ქვეყნის წარსულზე. ჩვენი ვალია, შევისწავლოთ, შევკრიბოთ, შევინახოთ, მომავალ თაობას შევუნარჩუნოთ ეს დიდებული განძი, არ მივცეთ დაკარგვის საშუალება. ეს უაღრესად სერიოზული და კეთილშობილური საქმეა. დიდი გულისყურით შევისწავლოთ ჩვენი რაიონის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი – ესაა ჩვენი ერთ-ერთი საპატიო მოქალაქეობრივი მოვალეობა.

## მარტვილი*

ერის ღირსება, მისი ეროვნული დიდება და სიამაყე მატერიალური კულტურის ძეგლებია. მასში ჩაქსოვილია მთელი ერის ეროვნული სახე, მისი წარსული და აწმყო, ძალა და მხნეობა, ათასწლოვანი ნააზრევი და ნაშრომი, ყველაფერი, რაც კარგი და კეთილი ჰქონია და აქვს.

საქართველო მდიდარია ჩვენი მამაცი და დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ხალხის მატერიალური კულტურის ძვირფასი რელიკვიებით. კლდეში გამოკვეთილი გრანდიოზული ქალაქები, ფაქიზი ხელოვნებითა და მაღალი მხატვრული ჩანაფიქრით ნაგები ტაძრები, ბრწყინვალე ქართული ჩუქურთმით შემკული სასახლეები და დარბაზები, აკადემიის დიდებული ნანგრევები, ციხე-ქალაქის განსაცვიფრებელი გალავნები, ფერწერის, მოზაიკის, ოქრომჭედლობისა და ხეზე ჭრის უკვდავი ნიმუშები, სოციალისტურ ეპოქაში შექმნილი ხელოვნებისა და კულტურის გრანდიოზული ძეგლები – ეს ხომ მთელი წიგნია, რომელიც ასე მკაფიოდ, მეტყველად მოგვითხრობს ქართველი შემოქმედი კაცის სულიერ სიბრძნესა და ძალაზე.

ეს ძეგლები უხვადაა მიმობნეული ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში, სოფელსა თუ ქალაქში, მთასა თუ ბარში. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გეგეჭკორის რაიონსაც.

გეგეჭკორის რაიონში 48 სხვადასხვა სახის ისტორიული ძეგლია. ყველა მათგანს საკუთარი თავგადასავალი, ისტორიული გამართლება და აზრი აქვს. სახიზრად გამოყენებული კარსტული გამოქვაბულებიც კი დოშაყეში, ბალდასა და გაჭედილში, რომლებიც მტრის შიშით სოფლიდან აყრილ, ადგილობრივ მკვიდრთ შეუსწორებიათ და ქვითკირის მძლავრი კედლით ამოუქოლავთ, დიდებული მოწმენი არიან გადამთიელ მოძალადეთა წინააღმდეგ ჩვენი ხალხის თავდადებული, გმირული ბრძოლისა. რაოდენ შეუდრეკელი ნებისყოფა, ძალა და შემართება უნდა ჰქონოდა ხალხს, რომ ტეხურის ხეობა შეეკრა და მთაზე „დგომის“ ჯიხებისა და გალავნის ჯაჭვი გაემართა. „დგომი“ სადგომია, აყრილი, გახიზნული ხალხის სადგომი. ამ ხალხს ეს ხეობა „გოკირილი“, ე. ი. საიმედოდ შეკრული ჰქონია, რომლის მიღმა განაგრძობდნენ შრომასა და ცხოვრებას, იცავდნენ ქართველი კაცის მხურვალე კერას, ამრავლებდნენ ვაზს და ქართული მიწის ბარაქასა და მადლს; არ უტყდებოდნენ მტერს. განა

* გ. ელიავა, მარტვილი, თბ., 1959.

აბედათის უძველეს ნაგებობათა გრანდიოზულობა, ნახარებაოსა და სალხინოს ტაძრების ჩუქურთმოვანი ქანდაკებებით შემკული კედლები, ნოღის ციხე და ალერტის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, თამაკონისა და ნახუნაოს ციხე-დარბაზები ჭეშმარიტად მეტყველებენ ჩვენი ხალხის მთელ ისტორიაზე, მის მწუხარებასა და სიხარულზე, მის შრომასა და ცხოვრებაზე?! მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია მარტვილი.

ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლი – მარტვილის ღმრთისმშობლის ტაძარი აღმართულია გეგეჭკორის (ყოფილი მარტვილის) რაიონის ცენტრში, მაღალ გორაკზე, საიდანაც საუცხოო სანახაობად არის გაშლილი მთელი დასავლეთ საქართველოს ხედი.

სოფელ ჭყონდიდს (მარტვილს) მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობა ეჭირა. იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი „არგუეთ-კლისორის“ გზაზე. ამიტომ სამეგრელოსა და აფხაზეთისაკენ მიმავალი ჯარის, ვაჭართა ქარავნების, საფოსტო შიკრიკთა და მეფეების მოციქულთა, მსტოვართა და საქმისკაცთა სადგური სწორედ აქ უნდა ყოფილიყო. „მშვენიერი მდებარეობა ადგილისა, ნაყოფიერი წიაღი მიწისა, მდიდარი მცენარეულობა, საუკეთესო ჰაერი, წმინდა და მარგებელი წყალი მდინარისა, წყაროისა და ჭისა, – აი, ბუნებითი ღირსებანი ამა სოფლისა“ („ივერია“, 1877 წ., 88). ასეთი ბუნებრივი ღირსებით ყოველმხრივ შემკული და

**მარტვილის საკათედრო ტაძარი (VII, X სს.) და ჩიქვანთა ეკლესია (X ს.)**

გეოგრაფიულ-სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებული მდებარეობის ადგილი ყოველთვის ხდებოდა ქვეყნის ერთ-ერთი ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი. ჭყონდიდი უძველეს საქართველოში წარმართთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. აქ მდგარა წარმართთა კერპი – დიდი მუხა (დიდი ჭყონი), რომლის სახელწოდება გავრცელებულა სოფელზეც.

სოფელი ჭყონდიდი და მისი მიდამოები ოდითგანვე განთქმული იყო ვაზის ძველმეგრული ჯიშებით – ჩეშითა და ოჯალეშით, რომლებიც ჭალებსა და მთის კალთებზე შეფენილ ზვრებში, მაღალ ხეებზე იყო მიშვებული (დღესაც მრავლადაა დარჩენილი ადგილის სახელწოდებანი: „ნახარდანუ“, „ნაოჯალუ“, „ჩეშონა“ და სხვ.). მათი მოსავლისაგან აყენებდნენ სახელგანთქმულ კოლხურ ღვინოებს, რომელთაც დიდი ფასი და მოწონება ჰქონდათ აღმოსავლეთის ბაზრებში. აქ თესდნენ და ამუშავებდნენ სელს („სუ“), კანაფს („კიფი“). აქვე იყო კერამიკისა და მჭედლობის უძველესი კერები. ყოველივე ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ამ სოფლისა და მისი ახლო-მახლო ადგილების მნიშვნელობას და კიდევ უფრო მეტად იპყრობდა ეგრისისა და შემდეგ სრულიად საქართველოს სასულიერო თუ საერო დიდებულთა ყურადღებას.

ამიტომ იყო, რომ წარმართთა ქურუმთუპირველესობას და შემდეგ ქრისტიანული ეკლესიის სასულიერო იერარქებს თავიანთ რეზიდენციად სწორედ ეს ადგილი აურჩევიათ.

ხალხში დღემდე დაცული გადმოცემა მოგვითხრობს, რომ წარმართები თავიანთ კერპს – ჭყონდიდს (დიდმუხას) დედისერთა ჩვილ ბავშვებს სწირავდნენ მსხვერპლად. ამ ცნობას არ შეიძლება სავსებით ვენდოთ, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მასში სიმართლის ნაწილიც იყოს, რადგან თავიანთი კულტურული განვითარების გარიჟრაჟზე, როგორც ყველა კულტურულ ერს, ასევე ქართველებსაც, წესად ჰქონიათ კერპთათვის ადამიანის მსხვერპლად შეწირვა. ისტორიკოსი დ. ბაქრაძე თავის შრომაში – „საქართველო ანდრია მოციქულის დროს“, შენიშნავს: „ვახუშტი დაურთავს: აზომან ნება მისცა ქართველებს თავიანთის შვილების შეწირვისა კერპთათვის“.[1] ხე-მცენარეთა თაყვანისცემა ქართველ კერპთაყვანისმცემელთა შორის ფართოდ გავრცელებული მოვლენა იყო. „საქართველოში ხე-მცენარეთა თაყვანისცემის არსებობის საუკეთესო დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს ძველ საქართველოში განთქმული ჭყონდიდი, – წერდა ივანე ჯავახიშვილი, – რომელიც მეგრულად დიდ

[1] დ. ბაქრაძე, საქართველო ანდრია მოციქულის დროს, 1884, გვ. 6.

მუხასა ნიშნავს და, თავდაპირველად, უეჭველია, მუხის მსახურების სალოცავ ადგილად უნდა ყოფილიყო".[1]

კერპმსახურება თავისი რიტუალითა და სარიტუალო ატრიბუტებით ჭყონდიდში მტკიცედ ყოფილა ფეხმოდგმული ქრისტიანობის გავრცელებამდე. როდესაც ქრისტიანობის სიომ მძლავრად დაუბერა ზღვისპირეთიდან, სოფლად დაიწყეს სიარული და ქადაგება ქრისტიანობის მქადაგებლებმა; ნელ-ნელა შეირყა მანამდე მტკიცედ გაბატონებული წარმართობა. თანდათან მოაკლდა, ალბათ, თაყვანისმცემელნი წმინდა ჭყონს. წარმართული რელიგიის ბატონობას წყალი შეუდგა. ხალხი ყველგან აშკარად გმობდა ქურუმებს, დასცინოდა მათ უგუნურ წესებს, ქრისტეს აღიარებდა და ქრისტიანულ რელიგიას ერთადერთ ჭეშმარიტ რელიგიად ცნობდა. ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ ქრისტეს სჯულის მქადაგებელნი და იერიში მიჰქონდათ წარმართთა მიმართ. ქურუმებისა და დიდებულთა სიმდიდრე, ძლიერება და თვითნებობა ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას, ხელს უშლიდა მის პოლიტიკურ ძლიერებას. ამიტომ მეფე დაინტერესდა ახალი რელიგიით. მასში იგი მის მიმართ მტრულად განწყობილი, საშიში ძალის განადგურების ერთადერთ საშუალებას ხედავდა. ქრისტიანულ რელიგიაში ქურუმებისა და დიდებულების წინააღმდეგ თავიანთ საიმედო თანამებრძოლსა და იარაღს ხედავდნენ აზნაურებიც. ამიტომ ამ იდეოლოგიური ჭიდილის დროს მტკიცედ შეკავშირდნენ მეფე და აზნაურები და თავიანთი კავშირი შეაშველეს კერპთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ მებრძოლ ქრისტიანულ რელიგიას. ამან ხელი შეუწყო ქრისტიანთა აღზევებას. ისინი ამხობდნენ წარმართთა შეუვალ ხელისუფლებას, სპობდნენ მათ რელიგიურ კერპებსა და სიმაგრეებს.

ასე მოხდა ეს ჭყონდიდშიც. ქრისტიანებმა ქურუმებს სძლიეს. მოჭრეს კერპი, დაანგრიეს სამსხვერპლო და ტაძარი. პირწმინდად აღგავეს პირისაგან მიწისა ყველაფერი წარმართული, მათ შორის ყველა ძეგლი, ყველა წარწერა და მის ნაცვლად ახალი, ქრისტიანული ძეგლები და წარწერები შექმნეს. წარმართული ტაძრის ნაცვლად წამებულთა სახელობის ქრისტიანული მონასტერი ააგეს („მარტვილი ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდენ, მესხნი ყრმასა უწოდენ" – საბა), იმ წამებულთა სახელობისა, რომლებსაც წარმართები საუკუნეების განმავლობაში, სწირავდნენ მსხვერპლად კერპს. სანამ ისინი აქ მონუმენტურ, კაპიტალურ ნაგებობას ააგებდნენ, მანამ უბრალო ხის ნაგებობით სარგებლობდნენ უცილობლად.

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I. გვ. 95.

მარტვილის ტაძარი ჯვრის ტიპის ნაგებობაა. იგი აშენებულია VII საუკუნეში. ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორიაში“ წერს: „ატენის სიონის, ძველი შუამთის, აგრეთვე მარტვილის აშენება, უშუალოდ დამოკიდებული მცხეთის ჯვარზე, ეკუთვნის VII საუკუნის დამდეგს“.[1] იგი, გადმოცემის თანახმად, აგებულია იმ ადგილას, სადაც წინათ წარმართთა კერპი და კერპთაყვანისმცემელთა ტაძარი იდგა, რომელიც, დიუბუა დე მონპერეს ვარაუდით, არანაკლები ღირსშესანიშნავი უნდა ყოფილიყო.

**მარტვილის საკათედრო ტაძარი (VII, X სს.), ჩიქვანთა ეკლესია (X ს.) და კომპლექსის გალავანი**

ეს წარმართული ტაძარი ქრისტიანებს დაუნგრევიათ და მისი ნაშთები ახალი ნაგებობის კედლებში ჩაურთავთ. ქრისტიანობამდელი ქართული კულტურის ძეგლის ეს მცირე ნაშთებიც კი საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებდა თავისი კაზმული ხელოვნებითა და ოსტატური შესრულებით, რაც იმას ადასტურებს, რომ მარტვილის მონუმენტურ ნაგებობათა ჯგუფი ეროვნულ ტრადიციებზეა დაფუძნებული.

[1] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I გვ. 139.

მარტვილის ნაგებობათა მთელ ანსამბლს შემოვლებული აქვს მაღალი, მძლავრ ბურჯებზე დაყრდნობილი გალავანი. გალავანს ჩრდილოეთის მხრიდან შესასვლელი ჰქონია სვეტის ტიპის სამსართულიანი ნაგებობის მეორე სართულის თაღქვეშ, რომელიც შემდგომში თავისი ლამაზი, თაღიანი პროპილეიანად ამოუქოლავთ და შენობა ჩვეულებრივი ტიპის მცირე საყდრად გადაუქცევიათ. იგი უძველეს და ულამაზეს ნაგებობას წარმოადგენს.

მარტვილის სამონასტრო კომპლექსში შედის აგრეთვე მაღალი სვეტი, რომელიც ზედ სამხრეთის გალავანზეა აღმართული, ტაძრის წინ, დასავლეთით. ამ სვეტის თავზე მოთავსებული იყო მესვეტე ბერის სენაკი. ამჟამად სვეტს მონგრეული აქვს სამხრეთი კედელი.

**მარტვილის სვეტი. XI ს.**

ამ კომპლექსში მთავარი ნაგებობა მარტვილის ტაძარია. იგი თავისი მხატვრული გაფორმებით გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს „მცხეთის ჯვრის“ მიერ დაკანონებული კედლის მხატვრულ გაფორმებასა და ახალ სტილს შორის, რომელიც VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ყალიბდებოდა.

ტაძარი შემდეგში არაერთხელ გადაუკეთებიათ. მისი მნიშვნელოვანი გადაკეთება მოხდა X საუკუნეში, დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) მეფე გიორგი II-ის განკარგულებით. ამ დროს ტაძრის რეკონსტრუქცია ისეთი მასშტაბით ჩატარებულა, რომ „ქართლის ცხოვრება“ მას აშე-

ნებას უწოდებს. ცხადია, გადამთიელ მოძალადეთა მხრივ დამანგრეველ ლაშქრობას ვერც ჭყონდიდი გადაურჩებოდა. მით უმეტეს, მურვან ყრუმ მთელი აბაშისა და ცხენისწყლისპირეთი მოარბია, ციხე-გოჯი დაანგრია, სადაც „არგუეთ-კლისორის“ გზით მოვიდა და გზაზე ჭყონდიდიც გააპარტახა. დასავლეთ საქართველოს მეფის აღმშენებლობით საქმიანობაში ამ დიდი მნიშვნელობის რელიგიურმა და კულტურულმა ცენტრმაც ჰპოვა გამოხატულება. აღდგა სერიოზულად დაზიანებული შენობა, მიუშენდა დასავლეთით კარიბჭე და სხვ. ამას ადასტურებს მარი ბროსეს მიერ ტაძრის კედელზე ამოკითხული წარწერა. გადაკეთება მომხდარა შემდეგშიც, რის გამოც ბევრი პირვანდელი დეტალი მოშლილი და შეცვლილია. შედარებით დაბალი გუმბათი შეუცვლიათ ახალი, უფრო მაღალი, თექვსმეტფანჯრიანი გუმბათით. გადაუკეთებიათ სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადები. ამ კედლების ძველი არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმება შეუცვლიათ ახალი, მასიური, სადა კედლებით, დასავლეთით მიუშენებიათ მაღალი კარიბჭე და ა. შ.

ძალიან საინტერესო და ეპოქისათვის დამახასიათებელია აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ლავგარდინები, რომლებიც რელიეფურად გამოკვეთილია შვერილის შუბლზე, სადაც მცხეთის ჯვრისაგან განსხვავებით, ქანდაკებანი, ცალკეული სცენები ერთიან დეკორაციულ ზოლშია ჩართული და ერთიან თხრობას წარმოადგენს. ასევე მოხდენილად არის გაფორმებული ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე კარებისა და ფანჯრების არშიები.

**მარტვილის ტაძრის დასავლეთ ფასადის რელიეფური ფრიზი. VII ს.**

გუმბათის მაღალი ყელი ამ კოხტა ნაგებობას იერსა და მშვენებას ჰმატებს. ამასთან, იგი კიდევ უფრო ვრცელსა და ხალვათს ხდის ამ მხრივ ისედაც უნაკლო შიდა სივრცეს. მონასტრის შიდა კედლები შემოსილი ყოფილა მაღალმხატვრული ფრესკებით. ამჟამად ამ მხატვრობის მხოლოდ ნაწილია დარჩენილი. მათ შორის აღსანიშნავია გუმბათის ყელის მხატვრული მორთულობა.

**მარტვილის ტაძრის გუმბათის მხატვრობა**

ისტორიული თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა ჩრდილოეთ კარის თავზე XVII საუკუნეში შესრულებული ფრესკა. მასზე გამოხატულია კაცია ჩიქვანი, თავის ოჯახით. ფრესკას აქვს შემდეგი წარწერა: „შენთა: მინდობილმან: ლეჩხუმის: საინასარიძოს: და: სალიპარტიანოს პატრონმან: დიდისა ხელმწიფისა: მეფისა: და: დადიანისა: ვაზირმან: იმერეთისა: ოდიშისა: თაუმან: და სარდალმან: ჩიქვანმან: კაციამ: და: თანა: მეცხედრემან: ჩვენმან: დიდისა: ერისთავთ: ერისთავის ქალმან თამარ: და: ძემან: ჩვენმან: გიორგიმ: იოსებ: ოტიამ: დავახატვინეთ“.

ტაძარში დაცულია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის – დავით დადიანისა და მისი ოჯახის წევრთა საფლავები.

მარტვილის სიძველეები არაერთხელ აუოხრებიათ გადამთიელ მოძალადეებს – არაბებს, მონღოლებს, თათრებს. „დიდი თურქობის“ დროს, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, ჭყონდიდიც აიკლეს თურქებმა. „დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსლვამდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი. ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადმე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა“.[1] მაგრამ სოფელი ჭყონდიდი და თვით მონასტერი თავისი კარგი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობითა და ბუნებრივი პირობების გამო უპირატესობას მაინც არ კარგავდა.

ბაგრატ IV-მ ეს მონასტერი სამოღვაწეო ადგილად დაუწესა გიორგი მთაწმინდელს, რომლის ჭყონდიდის ეპისკოპოსად განწესება ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ ქრისტიანულ აღმოსავლეთში სახელგანთქმულ მოღვაწეს მეფე საუკეთესო სასულიერო კარიერას შესთავაზებდა მხოლოდ. ასეთი უმაღლესი სასულიერო კარიერა მაშინ ჭყონდიდის ეპისკოპოსობა ყოფილა. გარდა ამისა, მეფე ბაგრატ IV-მ თავის საძვალედ მარტვილის მონასტერი აირჩია.

დავით აღმაშენებელმა ამ მონასტრის მღვდელმთავარი – გიორგი ჭყონდიდელი მთელი საქართველოს ვაზირთუპირველესად, თავის პირველ ვაზირად და მთავრობის მეთაურად დანიშნა. „ქართლის ცხოვრება“ გიორგის ასე ახასიათებს: „კაცი სრული ყოველითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სუიანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“.[2]

მაშასადამე, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდშიც ჭყონდიდი კვლავ რჩება მთელ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო კულტურულ და რელიგიურ ცენტრად. იგი მტკიცედ არის ჩართული საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში.

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 319.

[2] „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 336.

მარტვილის მონასტერი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს და, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს კულტურული ცენტრი იყო. აქ არსებობდა სკრიპტორიუმი – წიგნის გადამწერთა სახელოსნო. ბერები, გარდა წიგნების გადაწერისა, ღვთისმსახურებისა და საღვთო ქადაგებისა, წიგნიერების გავრცელების უაღრესად კეთილშობილურ საქმიანობას ეწეოდნენ.

ჭყონდიდს, იმავე მარტვილს, შემდეგშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი XIX საუკუნის დასასრულამდე კვლავ ინარჩუნებდა დასავლეთ საქართველოს რელიგიური და კულტურული ცენტრის მდგომარეობას. ისე, როგორც ქართული ეროვნული კულტურის მთელი საუნჯე, ეს დიდებული ძეგლიც და ადგილის უპირატესი მდგომარეობაც ქართველი ხალხის შემოქმედებითი საქმიანობით იყო შექმნილი...

მარტვილის სიძველეთა მთელი კომპლექსი ქართული ეროვნული კულტურისა და ხელოვნების ძვირფასი ძეგლია. თვით ტაძარი თავისი არქიტექტურული გაფორმებით უბადლო ქმნილებაა თავისი დროისა და ამიტომ მსოფლიოს გამორჩეული არქიტექტურის რიცხვს მიეკუთვნება.

# ოკაცეს ხეობის საიდუმლოებანი*

(ოდიშის მთიანი მხარის ისტორიიდან)

## წინათქმა

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიციამ, მიმდინარე წლის სექტემბერში, იმოგზაურა ისტორიული ოდიშის მთიან მხარეში – გორდსა და კინჩხაში. მარტვილის რაიონულმა გაზეთმა „სოციალისტურმა სოფელმა“ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში გამოაქვეყნა წერილთა სერია ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებზე. წინამდებარე ბროშურა ამ წერილთა კრებულს შეადგენს. წერილებში მოკლედ, ზოგადი დასკვნების სახით მიმოხილულია ექსპედიციის მუშაობის შედეგები. ამიტომ იგი ამ მუშაობის საერთო ანალიზს ვერც გვაძლევს და არც აქვს ამგვარი პრეტენზია. ყურადღებას იმსახურებს წერილებში გამოთქმული მოსაზრებანი, თეორიული დასკვნები, რასაც საზოგადოება მოწონებით შეხვდა. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შტატისა და შტატგარეშე მუშაკთა ღონისძიება ერთ-ერთი ნაყოფიერია მრავალთა შორის, რომელსაც პატრიოტული, საზოგადოებრივი შეგნებით ატარებს მუზეუმი.

ლ. მოწერელია

## ოდიშის მთიანი მხარე

ისტორიული ოდიშის, ანუ სამეგრელოს ტერიტორია ვრცელდებოდა მდინარე ცხენისწყლიდან სამურზაყანომდე, კავკასიონიდან რიონისპირეთამდე. მის შემადგენლობაში შედიოდა მთიანი მხარე – გორდი და კინჩხა. ამას მოწმობს ვახუშტის შემდეგი სიტყვებიც: „ხოლო ისულეთიდან ხაზი ცხენისწყლის კიდისა, ვიდრე გორდამდე, არს დასავლის მხარე

* გ. ელიავა, ოკაცეს ხეობის საიდუმლოებანი, გ. ფარულავას და პ. კირთაძის თანაავტორობით, გეგეჭკორი, 1961.

ოდიშისა, და აღმოსავლეთის კერძო იმერეთისა. ხოლო გორდიდან ვიდრე კავკასსამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკვერად“.[1]

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გორდი და კინჩხა მარტვილის მაზრაში შედიოდა. როგორც იონა მეუნარგია გვამცნობს, ამ დროს მარტვილის მაზრა აერთიანებდა სოფლებს: მარტვილი, გორდი, ინჩხური, ხუნწი, ჟუშკი, კინჩხა, დადღვაბუნა, ბალდა, საელიავო, ქვაითი, სუჩხე, საწისქვილო, რონდიში, ღვედი, ბობოთი, ნალეფსოუ, პირველი ნახუნოუ, აბედათი, ნაჯავახოუ, პირველი ნაგვაზოუ, მეორე ნაგვაზოუ.[2] ეს იმ დროს, როცა მთელი სამეგრელო 8 მაზრად იყო დაყოფილი.

ოდიშის მაღალმთიანი მხარე ძველთაგანვე იპყრობდა ყურადღებას თავისი წარმტაცი ბუნებით, სუფთა ჰაერით, ცივი და მაცოცხლებელი წყაროს წყლებით, მშრომელი, გულუხვი ადამიანებით. სწორედ ამიტომ სამეგრელოს დიდებულებს არაერთხელ ჰქონიათ ცილობა და ჭიდილი ამ მხარეზე ბატონობისთვის.

ოდიშის (სამეგრელოს) მთავრები – დადიანები და მათი კარის ცნობილი დიდებულები: ახვლედიანები, ჩიქოვანები და სხვ., თავიანთ სასახლეებს გორდსა და კინჩხაში აგებდნენ და სიცოცხლის უმეტეს ნაწილს აქ ატარებდნენ.

გორდში საზაფხულო რეზიდენცია, სააგარაკო სასახლე და ბაღი ჰქონდა სამეგრელოს მთავარს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში. ვინ მოსთვლის, რამდენ ქართველსა თუ უცხოელ გამოჩენილ ადამიანს უსარგებლია  სამეგრელოს მთავართა გულუხვი მასპინძლობით, დამტკბარა ამ ჯადოსნური ბუნების ეშხით, მოსულა ამ მთებით შემოზღუდულ წალკოტში და უნახავს საქართველო. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ი. მეუნარგიას ცნობით, ალ. ჭავჭავაძეს რჩევა მიუცია თავისი სიძისა და შვილისათვის (სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი და მისი მეუღლე, ეკატერინე ჭავჭავაძე), რომ გორდში მაღალარქიტექტურული ნაგებობა – ევროპული სასახლე აეგოთ და საზაფხულო სამთავრო კარი მოეწყოთ. „სასახლე... აშენებული იყო არხიტექტორის ვასილევის პლანით. ძველად და ლევანის დროსაც აქ უბრალო ოდა იდგა და მთავრები ამოდიოდნენ სანადიროდ“.[3]

გიორგის სასახლეში ხშირად ამოდიოდა ლევან დადიანი. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემებით დასტურდება, რომ ლევან დადიანს სანადირო ნაკრძალებიც კი ჰქონია ამ მხარეში. გორდის სანახები და მამული დავით დადიანის შეუნელებელი მზრუნველობის ქვეშ იყო მუდამ.

---

[1] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 148.

[2] იხ. ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, გვ. 113.

[3] იქვე, გვ. 60.

ცნობილია ისიც, რომ სამეგრელოში ყოფნის დროის საკმაოდ დიდი ნაწილი ეკატერინე ჭავჭავაძემ – დავით დადიანის ქვრივმა, სწორედ აქ გაატარა: აქვე ცხოვრობდა სამეგრელოს თავადი ნიკოლოზ დადიანიც. ი. მეუნარგიას გადმოცემით, ამ სასახლეში გარდაიცვალნენ დედოფალი მართა, დადიანი დავითი და დედოფალი ეკატერინე.[1]

კინჩხის მშვენიერ ბუნებას დაუტყვევებია სამეგრელოში რუსეთის ცარიზმის ერთ-ერთი ცნობილი მოხელე კ. ბოროზდინი. თავის წიგნში ბოროზდინი ასე აგვიწერს ამ კუთხეს: „სოფელი კინჩხა გორდიდან 14 ვერსის სიშორეზეა და მდებარეობს მაღლობ და მთიან ადგილას: ბუნება საუცხოვოა; უკვე ფიჭვი და ნაძვი იზრდება და უზარმაზარებიც. ერთი ვერსის მანძილზე სოფლამდე ძალაუნებურად ჩერდები კაცი და თვალები ვერ მოგიწყვეტია კალმით დახატული სანახაობისათვის. დაახლოებით 100 საჟენის სიმაღლის ღრედან, რომელიც გადმოცქერის ფართე მინდორს, ჩამოქუხს მთის მდინარე ოკაცე. ზევით ფართე ბაბთის მსგავსი წყალი ჩამოშვების დროს თანდათან ვიწროვდება და ბოლოს აურაცხელ წინწკლებად იბნევა. მზის სხივები ამ წყლის მტვერში რომ შეიჭრება, აუარებელ ცისარტყელებსა ქმნის და ესენი ერთიმეორეს სცვლიან. შვეიცარიაში ასეთი კუთხე როგორც კი გამოჩნდება სადმე, მაშინვე მთელი ქალაქი გაშენდება ტურისტების ფულებით, მაგრამ კავკასია ჯერჯერობით მიუწვდომლათა ჰმალავს თავის მშვენიერს ადგილებს“.[2]

როგორც ვხედავთ, მოგზაური ძლიერ მოხიბლა კინჩხის ცნობილმა წყალვარდნილმა, რომელიც ციციბურას კლდიდან ეშვება, მაგრამ ბოროზდინს შეცდომით ეს წყალი მდ. ოკაცედ მიუღია. რეალურად ეს არის ნაბეჩოს ღელედ წოდებული მდინარე, რომელიც ციციბურას კლდის ქიმიდან დაახლოებით 500 მ სიმაღლიდან გადმოჰქუხს, თავმოხსნილი და ბნელი გვირაბიდან.

ოდიშის ეს მთიანი მხარე არგუეთს, ანუ იმერეთს უკავშირდებოდა ცხენისწყლის ორი ხიდით – ბუმბუას და გოსტიბის ხიდებით. ბუმბუას ხიდით გზა ცხენისწყლის ნაპირებს მოუყვებოდა ხონისაკენ. ხიდზე გადიოდა სამეგრელოს მნიშვნელოვანი გზა ზუგდიდისკენ, ნოჯიხევიდან. აქვე გადიოდა სამთავრო „შოსე გზა“ ზუგდიდ-სალხინო-მარტვილიდან. ხიდი აღებდა მთებს შორის ჩაკეტილ ვიწრო ყელს. ამიტომაც ბუმბუას ხიდთან შორეული დროიდანვე იყო ვაჭართა სადგომები, სავაჭრო კარვები და მოედანი, სასტუმრო და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი. კაპიტალიზმის დროს ხიდი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საბაზრო და სა-

[1] იხ. ი. მეუნარგია, იქვე, გვ. 60.

[2] იხ. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 154.

მიმოსვლო პუნქტი გახდა. გორდიდან და კინჩხიდან სალხინოსკენ მთებზეც გადადიოდა საკმაოდ ფართო, საცალფეხო გზა.

ამდენად, გორდი და კინჩხა თავიდანვე სამეგრელოსა და იმერეთის ცენტრებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

გორდში მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაწყებითი ტიპის სკოლაც გაუხსნიათ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ეს იყო მარტვილის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ მეორე საგანმანათლებლო კერა მთელ სამეგრელოში. ეს ფაქტორი კარგად ახასიათებს გორდს, როგორც მნიშვნელოვან პუნქტს მე-19 საუკუნის ოდიშის სამთავროში.

ოდიშის მთიანი მხარის ბუნებრივ მშვენებას წარმოადგენს მდინარე ოკაცე, რომელიც სათავეს იღებს გოლეინის მთის ძირას, გზადაგზა იერთებს მრავალ ღელეს, წყაროს და კიბულას ქარაფოვანი მკერდის ნაპრალზე ულამაზეს ჩანჩქერად გადმოედინება. ოკაცე კინჩხას თავისი ღრმა და ჭორომებიანი ხეობით შუაზე ჰყოფს. მდინარის ხელმარჯვნივ რჩება სოფელი საწისქვილო, თავისი ზღაპრულად ლამაზი მთებითა და ტყე-ველით, ხელმარცხნივ – კინჩხაფერდი, ზედაკინჩხა, ქვედაკინჩხა და რონდიში. გორდს მდინარე აღმოსავლეთის მხრიდან ჩამოუდის და ქმნის ღრმა ხეობას – ბოგას. მთელ კინჩხასა და გორდის ერთ ნაწილს ამაყად დაჰყურებს ცამდე აზიდულ მთაზე წამომდგარი პიტალო კლდე – კლეიდა.

მდინარე ოკაცე სოფელ ნოღასთან ერთვის მდინარე ცხენისწყალს. ოკაცეს ხეობის ჩრდილო-დასავლეთი მხარე მოფენილია ხავერდოვანი მთა-გორებით, სოფლებით, რომელიც დასერილია ფლატეებით. ფლატეებზე მორბის წყაროს წყლები, რომელიც ამდიდრებს, აცოცხლებს და აძლიერებს მხარის დედომდინარეს – ოკაცეს.

## სარიტუალო-საკულტო ადგილები გორდსა და კინჩხაში

ოდიშის ეს მთიანი მხარე, ისე, როგორც მთელი საქართველოს ტერიტორია, მოფენილია ჩვენი ხალხის წარმართული და წინაქრისტიანული სარწმუნოების შესანიშნავი ადგილებითა და რელიკვიებით.

საზოგადოება თავის სინორჩის პერიოდში ყოველ ბუნებრივ მოვლენასა და ძალაში ღვთიურ ენერგიასა და სულს ხედავდა. იგი ამ მოვლენებსა და ძალებს განსაკუთრებულ კერპებს – ხატებს აღუმართავდა. ამ კერპებში ანსახიერებდა ბუნების მოვლენის ღვთაებრივ სახეს და ცდილობდა მისადმი ლოცვა-ვედრებით კერპის გულის მოგებას, თავის სასარგებლოდ მოქცევას. მზე, მთვარე და ვარსკვლავები განსაკუთრებულ ღვთიურ ძალად ითვლებოდნენ. ღმერთებად იყო მიჩნეული ცა,

დედამიწა, ცეცხლი, ხე და მდინარეც კი. კვირის ცალკეულ დღეებსაც ამ ღვთაებებისადმი სამსახურის დღეებად ინიშნავდა იგი. ძველ ხეთებში ელვა-ჭექის ღვთაებას ტარო ერქვა. ქართულში ეს სახელწოდება ამინდის ღვთაების სახელწოდებად გადაიქცა, ტერმინ „ტაროსის“ შექმნას დაედო საფუძვლად. აქედანაა ნაწარმოები თვით სამშაბათის მეგრულ-ჭანურ-სვანური სახელწოდებაც: „თახაშხა-ტიკინჩხა-თახაშ-ი“. ეს დღე ტარხონის – ძველი ქართული ღვთაების – ჭექა-ქუხილის, ამინდის ღვთაების სახელიდანაა ნაწარმოები. ტარხონი, ტაროსი და გადაკეთებული სახით ჩვენამდე მოღწეული ტარეში ადგილის, ძლიერი ხატისა და ეკლესიის სახელწოდებაა კინჩხაში. ეს ადგილი კინჩხის ყველაზე მაღალი და ბუნებრივად დაცული სიმაგრის – კიბულას შეფენაზეა, გაშლილ ველზე, რომელიც მედიდურად გადმოჰყურეს ღალდიდასა და ოკაცეს ხეობებს. იგი სამმხრივად ძლიერ მიუდგომი ადგილია.

ამ ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ გადასახედთან აღმართულია უძველესი ნაგებობის ნანრგევები. ნანგრევის ქვემოთ დაცულია ქვითკირის სამარხი, სათავსი – ეკვდერი. ეკვდერი მილის მსგავსი ნაგებობაა, ტაძრის, ანუ უძველესი სამლოცველოს საფუძველში ჩატანებული. სართულთა შორის გადახურვა თაღოვანია. მისი საერთო ფართობი დაახლოებით 12 კვადრატულ მ-ს უდრის. მიცვალებულები ქვის სარკოფაგებში უმარხიათ. ღია ეკვდერში ოთხი მიცვალებულის სარკოფაგია. ისინი დღეს დახსნილ-გაძარცვულია. ეტყობა ეს ნაგებობა იმ დროისაა, როცა ჩვენთან ჯერ კიდევ მიცვალებულს ქვა-კუბოებით მარხავდნენ. ამ ნაგებობის ჩრდილოეთით, 20-25 მ-ის სიშორეზე, დგას ათასწლოვანი ურთხლის ხე, რომელსაც ხალხი დღემდე დიდი პატივისცემით ეპყრობა. მათ მახლობლად, ამავე ეზოში, დაცულია ქვებით ამოყორილი მრგვალი ნაგებობა. ადგილზე შეკრებილი გადმოცემით და ამ მატერიალური კულტურის ძეგლების განხილვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს საკულტო ადგილი ტარხონის ანუ ტარეშის საკულტო-სარიტუალო ადგილი იყო. აქ იდგა მისი კერპი და სამლოცველო. კერპს მსხვერპლს სწირავდნენ ხოლმე. თუმცა მოხუცებს არც ახსოვთ, აქ ლოცვა და სარიტუალო წესების შესრულება ყოფილიყო. ეკლესუანს, ანუ ნაოხვამუს დღესაც დიდი რიდითა და პატივით ეპყრობიან. იგი ტარეშის დიდი და ძლიერი ხატის სახელითაა ცნობილი.

როგორც ჩანს, ქრისტიანობამ, ისე, როგორც წარმართობის სხვა კერპები – ხატები და სარიტუალო წესები, ეს ხატი და წესიც შეინარჩუნა. ოღონდ ტაროსის – ყველაზე ძლიერი ღმერთის ნაცვლად, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის ყველაზე აღიარებული დიდმოწამე გიორგის ხატი დაასვენა და ტარეშის სახედ ძლიერებითა და დიდებით აღჭურვა.

ეს იყო ალბათ ძლიერ დიდხანს, სანამ მოძალადეებმა მრავალჯერ არ ააოხრეს ტარეშის ეკლესია, არ დაიტაცეს განძეულობა, არ შერყვნეს მისი წალკოტი და არ დაანგრიეს ქართული მატერიალური კულტურის ეს შესანიშნავი ძეგლი.

საკულტო-სარიტუალო ადგილებიდან ცნობილია აგრეთვე წმინდა ლიანის გამოქვაბული. იგი, ხალხის გადმოცემით, წმინდანის – ლიას, ან ლიანას სამყოფი, მწირული საყუდი იყო. რამდენად სწორია ეს გადმოცემა, ამის დადგენა შეუძლებელია. ისე კი, გადმოცემა ყველასთვის ცნობილია და ქვაბულიც საყოველთაო პატივისცემის საგანი იყო თურმე წინათ. შეიძლება იგი პირველი ქრისტიანი მქადაგებლის ან განდეგილის სენაკი იყო. თუმცა, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, თანამედროვე სახით მისი საცხოვრებლად გამოყენება ნაკლებად სარწმუნოა. შეიძლება მას უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონოდა.

მესამე და არანაკლებ საინტერესო ადგილია ეკლესუანის გორა, ლენძუხას მახლობლად, ე. წ. ადგილ ხოჩოლზე. ეკლესუანის გორა გორაკის უნაგირიდან 10 მ-ის სიმაღლეზე აზიდული „დიხაგუძუბა“, ანუ ყორღანის ტიპის მიწაზვინულია. ეტყობა ქვების მიფენაც. ამ გორაკის შესახებ მრავალი გადმოცემა არსებობს, სადაც მითითებულია, რომ გორაკი სამარხი და უხსოვარი დროის სამლოცველო ყოფილა. ფერდობის კალთებსა და უნაგირას ორივე მხარეზე ექსპედიციამ ნეოლითისა და ბრინჯაოს ეპოქის მრავალი მოწმე იპოვა. აქ ზედაპირულად აიკრიფება კაჟის კარგად დამუშავებული ლამელები, საჭრისები, საფხეკები, ნუკლეუსები, უძველესი კერამიკის შესანიშნავი ფრაგმენტები. კერამიკა ჯერ კიდევ მტკიცედ გამოუწვავი და დაუმუშავებელია. ადგილობრივი მცხოვრებლები გადმოგვცემენ, რომ ამ ფერდობის ახვნისას ხშირად ხვდებოდნენ ბრინჯაოს მძივებს, ცულებს, თოხებს და სხვადასხვა ფორმის სამკაულებს, ასევე, კერამიკულ ჭურჭელთა შესანიშნავ ფრაგმენტებს. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს ადგილი, თუ ნეოლითისა არა, ადრებრინჯაოს ეპოქის ნასახლარი მაინც არის, ხოლო მიწაზვინული მაშინდელი სამარხია. იქვე, მახლობლად იყო ალბათ უძველესი სამლოცველო, რის გამო ადგილს ეკლესუანი, ანდა ნაოხვამუ შეერქვა. მსგავსი ყორღანი დაცულია კიბულაზეც.

ეს ადგილები რომ ბრინჯაოს ეპოქის ნასახლარია, შეიძლება იმითაც დადასტურდეს, რომ ადგილი კადარი და წმინდა ლიანის სანახები უძველესი მეტალურგიული წარმოების შესანიშნავი რელიკვიებითაა მოფენილი.

## გორდი-კინჩხის ტოპონიმების გენეზისის საკითხისათვის

გორდი და კინჩხა უაღრესად საინტერესოა ტოპონიმიკური თვალსაზრისითაც. ამ მხარის ტოპონიმიკა მრავალმხრივ საყურადღებო მასალებს შეიცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ცალკეულ, ღირსშესანიშნავ მოვლენასა და ფაქტზე. მხარის ტოპონიმიის გენეზისის საკითხიც ორი მიმართულებით უნდა იქნას განხილული: პირველი, ქართული ენის რომელი დიალექტის, რომელი ქართველური ენის საფუძველზეა აღმოცენებული ეს ტოპონიმიკური მასალა, და მეორე, თვით ცალკეული სახელწოდება რა მოვლენასა და ფაქტზე, რა ეკონომიკურ თუ სოციალურ საფუძველზეა აღმოცენებული.

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, გორდი და კინჩხა ისტორიული ოდიშის – სამეგრელოს სამთავროს ჩრდილო-აღმოსავლეთი მთიანი მხარე იყო. მას მჭიდრო ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოს შიდა რაიონებთან. მხარის მოსახლეობის დიდი ნაწილი უძველესი დროიდან ეგრები, ანუ მეგრელები იყვნენ – ქართული ეროვნების ერთ-ერთი ტომი. ცალკეული ოჯახების, გვარების ხშირი განსახლება-გადმოსახლების გამო შემდეგ მოსახლეობის ეს შედგენილობა ერთგვარად შეიცვალა. გარდა ამისა, იმერეთმაც, სადაც იმერული კილოკავია გაბატონებული, გავლენა მოახდინა მასთან ასე ახლომყოფ მეზობელ სოფლებზე, როგორც ეს ხიდში, სუხჩესა და ხუნწში მოხდა, და მეგრულის ნაცვლად იმერული კილოკავი გაბატონდა. მაგრამ ტოპონიმია უფრო მყარია, იგი ასე ადვილად როდი ჰყვება მსგავს ცვლილებებს. აქ ჩაწერილი მასალის 70 % მეგრულია, ანუ მეგრული დიალექტის საფუძველზეა აღმოცენებული. მაგალითად: რობი, ნათურქუ, კინჩხა, კენჭეხა, ჩხორონჭყო, საფინია, ნაჭარხლი, ხურუმი, ნასენაო, ნაბეჩო, წვინარია, თურჩუ, ბოგა, კიბულა, ეწერი, ქუცურათი, ოჭიკეთი, ნეფისნაბარგი, ციხფერდი, ნოღა, ატაბუნა, ოლობიე, იოსირე, ოხვირი და სხვ., წმინდა მეგრული წარმოშობის სახელწოდებანია. თვით ამ ლექსიკურ ერთეულთა გრამატიკული აღნაგობაც მეგრული დიალექტისთვის დამახასიათებელი ნიშნებითაა წარმოებული. ასე, მაგალითად, ნა-ბეჩ-ო, ნა-სენა-ო და სხვ. ნა-ო თავსართ-ბოლოსართით წარმოებული სიტყვებია; ისინი უჩვენებენ ნამყოფობას, მოვლენისა და ფაქტის წარსულ მდგომარეობას. ასეთივე გრამატიკული ერთეულია ო-ე-უ: ო-ლობი-ე, ო-ისირ-ე, ო-კაც-ე და სხვ., ამ თავსართ-ბოლოსართითაა წარმოებული. იგი სიტყვის მიმართულებას აძლევს მოვლენისა და ფაქტის ადგილსამყოფელის გასამარტავად, საგნის სადაურობას აღნიშნავს. მოვ-

ლენისა და საგნის ნამყოფობას აღნიშნავს აგრეთვე ნა-უ თავსართ-ბოლოსართი; მაგალითად, ნა-ბარგ-უ, ნა-თურქ-უ და ა. შ. რასაკვირველია, არცერთი ეს თავსართ-ბოლოსართი მხოლოდ მეგრულისეული ატრიბუტი არაა; იგი ძირი დედოენიდან, ქართულიდან გადმოყოლილი და დღეს უფრო მეტად მეგრულში შემორჩენილი გრამატიკული ერთეულია. თუმცა ქართულში სიტყვაწარმოებას მსგავსი მაწარმოებლებით ვხვდებით ხოლმე, მაგრამ იქ ეს ერთეული ელემენტია, მეგრულისთვის კი დამახასიათებელია. ჩვენ მიერ აქ ჩაწერილ მასალათა უმრავლესობა ამ თავისებურებით უნდა განვიხილოთ, ე. ი. ანალიზისას მეგრული დიალექტის გრამატიკული თავისებურებით უნდა მივუდგეთ. ეს ერთი მხარეა ამ მასალებისა, მეორე მხარე კი უფრო ძვირფასი და საჭიროა  მასში დაცული ცნობების გამო. ამის მიხედვით ისინი უნდა დაიყოს ოთხ ჯგუფად. პირველი, ეს ის სახელწოდებანია, რომლებიც ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენას ასახავენ (მაგალითად, ნეფის ნაბარგი, საძაღლია, სადადიო, საჩიქვანო, ბუმბუას ხიდი, საბატონო, ციხისკარი, ნათურქუ და სხვ.); მეორე ჯგუფის სახელწოდებანი, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და სამეურნეო ცხოვრებას ასახავს (ბეღელი, ნაკანაფარი, ასხი, ნაჭარხლი, ოლობიე, ოისირე, სათიბი, საწისქვილო, ნასაკირები და სხვ.); მესამე ჯგუფი ის სახელწოდებანია, რომლებიც აღნიშნავენ ხალხის რწმენებსა და ადათ-ჩვევებს (ოჭინკეთი, ოკაცე, ეკვდერი, ეკლესუანი, წმინდალიანი, ტარეში და სხვ.); მეოთხე ჯგუფი ადგილის ბუნებრივ თავისებურებას გამოხატავს (ბოგა, რობა, ჩხორონჭყო, უნაგირა, რონდიში, კლეიდა, კიბულა და სხვ.).

ამდენად, ყველა მასალა, რომელიც ექსპედიციამ აქ აკრიფა, ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი. ყველა მათგანი მდიდარ და მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ისტორიის მრავალ ფაქტსა და მოვლენაზე. საბატონო ბატონის ფეოდია, სენიორის ფეოდალური სამემკვიდრო მამულია, ხოლო საკირთაძო კირთაძეების – გლეხების სამოსახლო უბანია. ნათურქუ მტრის თავდასხმის და შიშიანობის დროს აყრილი და გახიზნული ხალხის სახიზრები, დროებითი ნაბანაკარებია. ნათურქუ, აგრეთვე, თურქთა, შემოსეული მტრის ჯარების ნაბანაკარი ადგილიცაა. პირველი წარმოდგენას გვაძლევს საქართველოში ბატონისა და ყმის ფეოდალურ ურთიერთობაზე, ქონებრივ უთანასწორობასა და უფლებრივ მდგომარეობაზე, მეორე კი დიდი თურქობისდროინდელ ამბებზე მოგვითხრობს. საინტერესოა ისიც, რომ იმ დროს, როდესაც გლეხების 20 კომლს სამოსახლოდ პატარა უბანი ჰქონდა, მაშინ ვეებერთელა და საუკეთესო ფართობზე ბატონის ძაღლთასაშენი და სადგომი – საძაღლია იყო მოწყობილი.

ამდენად, პირველი ჯგუფის მასალა თვალნათლივ წარმოგვიდგენს ჩვენი ხალხის სოციალურ მდგომარეობასა და მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ამბებს. მეორე ჯგუფის მასალა გვიამბობს, თუ რა სასოფლო-სამეურნეო კულტურა იყო გავრცელებული ამ მხარეში (კანაფი, ქერი, ჭარხალი, ლობიო, ისლი და სხვ.). ამასთან, ისინი მდიდარ სურათებად წარმოგვიდგენს მხარეში მესაქონლეობის განვითარების საკითხს. აქ განსაკუთრებული იალაღები იყო, ჰქონდათ დიდი სათიბი მასივები; იმდენ რძეს აწარმოებდნენ, რომ დამპყრობლებს მათგან მილებით მიუღიათ ასხის საძოვრიდან ნათურქუში რძე. ასევე მდიდარ მასალას გვაძლევს მესამე და მეოთხე ჯგუფის სახელწოდებანი მხარის მოსახლეობის რწმენების, ადათ-ჩვეულებებისა და ადგილთა თავისებურებების შესახებ. თვით სოფლის საერთო სახელწოდება გორდი გვიანი წარმოშობის სახელია და ნაწარმოებია ორი სიტყვისაგან – გორი და დიდი: გორდიდი – გორდი. მსგავსი სახელწოდება ახლაც აქვს შემორჩენილი ამ მხარეში მთას – გორმაღალი, რომლის უძველესი სახელწოდება მელოურია. ამ სახელწოდების წარმოშობის შესახებ არის რამდენიმე გადმოცემა. კინჩხა მეგრული სიტყვაა და კინჩხიდან (მხრები) არის ნაწარმოები, – ასე გვარწმუნებს გადმოცემა. შეიძლება იგი წარმართული დროიდან მომდინარე ღვთაების – ტიკინჩხას თავსართმოცილებული სახელწოდება იყოს. მით უმეტეს, აქ ამ ღვთაების სამლოცველო და სარიტუალო ადგილი ყოფილა.

ყველა ტოპონიმიკურ მასალას თავისი საფუძველი, თავისი შინაარსი და მდიდარი წარსული აქვს. ამიტომ უაღრესად საყურადღებო და საჭიროა მათი კიდევ უფრო დეტალური აღწერა და შესწავლა.

## ქართველი ხალხის მტრების წინააღმდეგ გმირული ბრძოლის ტოპონიმიკური და მატერიალური მოწმეები გორდსა და კინჩხაში

წარსულში გადამთიელი მტრების წინააღმდეგ გმირული ბრძოლების, დამარცხებისა თუ გამარჯვების შესანიშნავი მოწმეა მდინარე ოკაცე, მისი თვალწარმტაცი ხეობა, გარს შემოჯარული მთები და კლდეები, გორდიდები და გორმაღლები, კიბულები და ნათურქალები, ნაბოგუები და რობუები, ათობით ტოპონიმიკური ერთეული და მრავალი მატერიალური კულტურის ძეგლი.

მდინარე ცხენისწყლის ხეობის ყველაზე ვიწრო და მიუვალ ადგილას მტერმა ჩვენი კუთხის ორი მხარის – არგუეთის და ეგრისის დასარბევად ხიდი ააგო, რომლის აგებას ხალხი რომაელ სარდალს – პომპეუსს

მიაწერს. დღესაც ამ ხიდს პომპეუსის ან „პუმპუას (ბუმბუას) ხიდს“ ეძახიან. არ შეიძლება ჩვენ სავსებით ვენდოთ ამ ცნობას, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხს ეს დიდი ეროვნული უბედურება – რომაელთა ბატონობა და მათი მრისხანე ლაშქრობა ახსოვს და მტკივნეულადაც განიცდის მას. ხალხი პომპეუსს მიაწერს ციხფერდის ციხის აგებასაც. ზოგიერთ გადმოცემაში ადგილ სასახლესაც პომპეუსის ნაბანაკარად თვლიან. ერთი კია, რომ ციხფერდის ციხე, იგივე თამარის ციხე, როგორც ხალხი ეძახის მას, შესანიშნავი მოწმეა მტრების წინააღმდეგ ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლისა. იგი გუძუბასებრ ამოწეულ მთის წვერზე დგას და ამაყად გადასცქერის ცხენისწყლის ხეობას, კავკასიონიდან რიონისპირეთამდე და თვით შავ ზღვამდეც კი. ციხის კოშკზე შემდგარი ადამიანის თვალს ყურადღებიდან არ გამორჩება უმნიშვნელო წვრილმანიც კი, თაკვერიდან თუ არგუეთიდან, ჭყონდიდიდან თუ მთის ფერდობიდან მომავალ გზაზე, ტყეებსა და ველებზე, თითქმის 10-20 კმ-ის მანძილიდანაც კი. ციხე ქართული მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლია. იგი XV-XVI საუკუნეებზე უფრო ადრე აგებული არ უნდა იყოს, მაგრამ უძველეს ნაგებობათა ნაშთები, რომლის საფუძველზეც დგას იგი, უფრო ძველია. ციხე-დარბაზი გარსშემორტყმული ყოფილა ქონგურებიანი გალავნით, რომელსაც სამხრეთით და ჩრდილოეთით მაღალი კოშკები ჰქონია დატანებული. ამასთან, ჩრდილოეთის მხარეზე, არის მეორე, წაკვეთილი პირამიდის მსგავსი კოშკი, საცხოვრებელი სათავსებით. გალავანს დასავლეთით ჰქონია თაღოვანი კარიბჭე. ეს მხარე ოდნავ ჩავაკებულია, სხვა კი ციცაბო ქარაფებია. გალავნის შიგნითა ტერიტორია 100 კვადრატულ მ-ზე მეტი ფართობისაა. ამ ფერდობის პირდაპირ, ადგილ საქარიაზე არის ნეფის ნაბარგი. სახელწოდება მეგრული წარმოშობისაა და სიტყვასიტყვით მეფის ნაბანაკარს ნიშნავს. არსებობს გადმოცემა, თითქოს ამ ადგილას დაბანაკებულა თამარ მეფე თავისი ამალით. ადგილი გორაკის ოდნავ დამრეცი ველია ციხფერდის ციხისკენ მიმავალ გზაზე. ციხის პირდაპირ, მელოურის ველზე, გორდის სასახლის მახლობლად, ქარაფოვანი ხეობის კონცხზე დგას მეორე ციხე. იგი მიწაზვინულზეა აგებული, რომლის სიმაღლე დაახლოებით 8 მ-ს აღემატება. ორივე ციხის სამხრეთის კოშკები საყარაულო დანიშნულებისაა. არსებობს გადმოცემა, რომ კოშკის სახურავზე მდგომი მცველი საფრთხის შენიშვნისას კოცონს ანთებდა და ასე გადასცემდა მოახლოებული საფრთხის ამბავს სოფლებსა და მეზობელ კოშკებს.

საინტერესო ადგილია კიბულა, რომელიც ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს. იგი მთის კალთისეული სწორი ველია, რომელსაც ქარაფოვანი კლდეები აქვს გარსშემორტყმული, საიდანაც ველზე შესვლა ყოვლად

შეუძლებელია. ველი 1 კვადრატულ კმ-ზე მეტი ფართობისაა. შესასვლელი მხოლოდ ერთგან აქვს. მაღალი კედელი ხელოვნურად ჩაჭრილი და ქვითკირით ამოგმანულია. მას, ციხისკარს უწოდებენ. ერთ მხარეზე, კლდის ოდნავ ჩაწევის გამო, კედელი ქვითკირით არის ამოყვანილი. ამ კედელს თათრის კარს უწოდებს ხალხი. ველი მიუვალი ციხის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხალხის გადმოცემით, იგი თურქობის დროს სახიზარი ყოფილა. აქ შეხიზნული ხალხი წყლისა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას არ განიცდიდა; ამიტომ მტერს ვერ აუღია იგი. მაგრამ მის კართან დაბანაკებულ მტერს ხალხის სარწმუნოებრივი კერა – ტარეშის ხატის წმინდა ადგილები აუოხრებია, წაუბილწავს წალკოტი, დაუნგრევია სამლოცველო, ასხის მთიდან მილებით მიუღია მწყემსებისგან ხარკად დაწესებული რძე.

ხალხის საიმედო სახიზარს წარმოადგენდა ადგილი ბოგა – ოკაცეს ხეობაში არსებული ქვაბულები. ზოგიერთი ქვაბული ფართობით 30-40 კვადრატულ მეტრამდე აღწევს. მათი უმეტესობა პირაკრულია ქვითკირის კედლით. იატაკის კულტურულ ფენაში ჭარბადაა დაცული კეცები, კერამიკული ჭურჭლის ნაშთები, რკინის ნივთთა ნამტვრევები და ა. შ. ეს ქვაბულები მეტად საიმედო სახიზრები ყოფილაო, – გადმოგვცემს 82 წლის მოხუცი გიორგი ივანეს ძე ჩიხლაძე. ასეთივე სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტს წარმოადგენდა წმინდა ლიანის გამოქვაბულიც – კირქვის კლდეში კარსტული ღრმული, რომელიც ხელოვნური კედლით ამოუქოლავს ადამიანს. ამასთან, წინა ტალანი და სავალები ხელოვნურად ჩამოუნგრევია და შეუსწორებია. სავალი შესასვლელიდან 10-15 მ-ის შემდეგ ორ შტოდ იყოფა, რომელთაგან ერთი სამხრეთისკენ, მეორე კი აღმოსავლეთისკენ მიემართება. გვირაბის ორივე შტოდან წყაროს წყალი მოედინება, რომელიც გამოქვაბულის წინ, ბუნებრივ ღრმულში ჩადის. იგი, როგორც ჩანს, საიმედო წყალსაცავი იყო თავის დროზე. ამ ქვაბულს, სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, სხვა მიზანი არც შეიძლებოდა ჰქონოდა. იგი მშრალი არაა; არსად არა აქვს თახჩები და მშრალი ნიშებიც კი. ალბათ, უფრო დროებითი სამალავი და საძრომი იყო, სხვა, უფრო საიმედო ღრმულისაკენ.

ეს ძეგლები და მათთან დაკავშირებული გადმოცემები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გადამთიელ მოძალადეთა წინააღმდეგ ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლაზე. ამ სახიზრებში შემალული ქართველი კაცი მტრის უკუგდების შემდეგ კვლავ უბრუნდებოდა თავის დანგრეულ სამყოფს, კვლავ აღადგენდა ოჯახის ფუძეს და კერაზე ისევ ანთებდა ცეცხლს, ახარებდა ვაზს და კვლავ უბრუნებდა სისხლით გაპოხილ ქართულ მიწას ბარაქასა და მადლს.

## მხარის მოსახლეობის სამეურნეო და სოციალური მდგომარეობა ოქტომბრის რევოლუციამდე

გორდსა და კინჩხაში მრავალი მასალა აიკრიფა, რომელიც წარმოდგენას იძლევა ოქტომბრის რევოლუციამდე ქართველი მშრომელის სამეურნეო და სოციალურ მდგომარეობაზე. აქვე არის უძველესი, წინაკლასობრივი ხანის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის რელიკვიებიც. მაგალითად, კადარში წმინდა ლიანის მღვიმის ჩასახედთან, ბრეკზე, სადაც ნიადაგი მხოლოდ წითელმიწა ზვინულია, მრავლად არის დარჩენილი უძველესი მეტალურგიული წარმოებისეული მასალები. აქ მასობრივად აიკრიფება ცივსაბერი ქურის მდიდარი ფრაგმენტები, წიდები, სხმულის ნამსხვრევები. წმინდა ლიანის მეტალურგიული წარმოების კერა მეტალურგისა და მჭედლის ერთობლივი საქმიანობის ეპოქას მიეკუთვნება. საინტერესოა ისიც, რომ მეტალურგიული წარმოება მარტო რკინის მეტალურგია როდია, აქ შესანიშნავადაა წარმოდგენილი ბრინჯაოს ჩამოსხმაც. მასობრივად აიკრიფება წიდები, სხმულის წვრილმანი ნამცეცები, რომელზეც ჭარბად არის სპილენძის შედნობის კვალი, არის პატინამოდებული ერთეულებიც, ხოლო ქურის კედლებს მდიდრად აქვს შემორჩენილი ბრინჯაოს პატინა. რასაკვირველია, აქ მხოლოდ, და უფრო მეტად, სპილენძისა და ბრინჯაოს წარმოება როდი იყო; ეს რკინის მეტალურგიაა, მაგრამ აქვე ბრინჯაოს ზოდებსაც ასხამდნენ რკინის პარალელურად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ მეტალურგია სამეურნეო საქმიანობის არა ახალი, არამედ უძველეს ტრადიციაზე დამყარებული დარგია. იგი ჯერ კიდევ ენეოლითის ეპოქიდან მომდინარეობს. კულტურულ ფენაში შემორჩენილი ცალკეული ერთეულები ადასტურებენ, რომ კაჟის ინვენტარი ჯერ კიდევ შემორჩენილია ყოფა-ცხოვრებაში. ეს კერა, ზოგადად, ადრერკინის პერიოდისა უნდა იყოს, დაახლოებით VIII-VI საუკუნეებისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მასალათა ასეთი სიუხვე იმაზე მეტყველებს, რომ წარმოება დიდხანს არ შეწყვეტილა და შესაძლოა, ჩვენი წელთაღრიცხვის აქეთაც გრძელდებოდა.

ბრინჯაოს ეპოქის ნასახლარი ადგილია ეკლესუანი, ლენძუხას მახლობლად, ადგილ ხოჩოლზე. ეს ადგილი, როგორც ზემოთ აღვწერეთ, ორივე მხრივ ღელეებით ჩაჭრილი სერია. სერის თხემზე აღმართულია ხელოვნური მიწაყრილი. სერის ორივე მხარის ფერდობი ზედაპირულად მასობრივად შეიცავს კულტურული ფენის ნაშალს. კულტურული ფენა ბრინჯაოს ეპოქის შესანიშნავი რელიკვიებითაა წარმოდგენილი. ცხადია, რომ გორდი-კინჩხის ტერიტორიაზე არსებული გორები, გუძუბიანი სე-

რები და ღრმულები წინაკლასობრივი ადამანის ნაკვალევით მდიდარი ადგილებია.

მდიდარი მასალა აიკრიფა აგრეთვე საგლეხო რეფორმის წინა პერიოდისათვის მხარის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესახებ. გორდი და კინჩხა სადადიანო და საბატონიშვილო სამფლობელო იყო. დიდ მამულებს ფლობდნენ აგრეთვე ჩიქოვანები, რომლებიც მსახურთუხუცესებად და სასახლის სხვა დიდებულებად მსახურობდნენ სამთავრო კარზე. საბატონო იყო თურჩუს და ასხის იალაღები. ასხის იალაღებზე განსაკუთრებული ბაჟი იკრიფებოდა, რომელიც დადიანის ხაზინაში შედიოდა. იალაღებზე მოსახლეობას გაშვებული ჰყავდა ძროხა, ცხვარი, ხარი, თხა, ცხენი. განსაკუთრებულ პატივში იყო მეფუტკრეობა. იყო კომლი, რომელსაც 200-ზე მეტი ოჯახი ჰყავდა. თესავდნენ ღომს, სიმინდსა და ხორბალს. თესვას ეწოდნენ თესლთა ბრუნვის წესით. მევენახეობა მხარისათვის დამახასიათებელი არ არის. აქ არაა დაცული ადგილის არცერთი სახელწოდება, რომელიც მევენახეობის განვითარების ფაქტზე მიუთითებდეს. გაშენებული ჰქონდათ ცოტაოდენი მწვანე მაღლარზეც და დაბლარზეც. იყო იზაბელას ჯიშის ვაზიც. მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაში დიდი ადგილი ეჭირა სელისა და კანაფის მოყვანას.

გასული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში სოფელ კინჩხის მცხოვრებლები ჯარგვალ ქოხებში ცხოვრობდნენ. „სადგომებად ქოხები აქვთ, – წერდა ბოროზდინი, – ყავრით გადახურული, სახურავზე ჭადა ქვებით დაწყობილი, რომ მთის ძლიერ ქარს ყავარი არ მოეტაცებინა. ქედების კენწეროებზე მოსჩანს ქვითკირის ეკლესიები, რომელთაც გარშემო არტყიათ საღმრთო წალკოტები... ასეთი იყო კინჩხა. აქ მოსახლეობდა 500-მდე კომლი და ქედებზედაც 13 ეკლესია იდგა“.

გლეხებს მრავალი სახის ბეგარა ეკისრათ. მათ შორის მეძაღლეთა „საოჭკომურო“ ბეგარაც არსებობდა. ყოველი გლეხი ვალდებული იყო, გარდა ცნობილი „საოჭკომურო“ ბეგარისა, ბატონის მეძაღლე და ძაღლები შეენახა ერთ დღე-ღამეს, ეჭმია მათთვის და მოევლო. განსაკუთრებით უხიაგი ყოფილა ვინმე კიკოლა კურზუვალი. თუ მის თვალწინ არ დაკლავდნენ შავ ქათამს, ისე საჭმელს არ ჭამდა. მისი შეურაცხყოფა ბატონის გულისწყრომას იწვევდა.

„თუ მებატონეს სურდა, გლეხს სამოსახლოდანაც კი აყრიდნენ. სრულიად უსაფუძვლოდ გაროზგავდნენ კიდეც“, – იხსენებს 86 წლის მოხუცი გიორგი გედენიძე. „ურჩი ყმებისთვის განსაკუთრებული საწამებელი იარაღიც კი ჰქონდათ, – გვიამბობს 80 წლის მოხუცი კირილე ჯანჯღავა, – ციხეფერდის ციხეში ჩვენ ვიპოვეთ ხაჯალური, რომელიც ახლა

ჩემს ოჯახში ინახება“ (ეს საწამებელი იარაღი ამ ოჯახმა ექსპედიციას დაუთმო). მაგრამ გლეხებიც არ რჩებოდნენ ვალში, გლეხთა მძლავრი აჯანყებით შეშინებული ეს ბატონი ტყეშიც კი იმალებოდა, როგორც ამას ხალხური სიმღერა გვაუწყებს: „ეს დევივით ვაჟკაცი მოკუნტულა ჩიქვის ძირში“ (გ. გედენიძის ნაამბობიდან).

არც საგლეხო რეფორმის შემდეგ ადგათ გლეხებს კარგი დღე. განუკითხავი მებატონე კვლავ დაჟინებით მოითხოვდა საბატონო ვალდებულების შესრულებას. თუ ამას არ შეასრულებდა, „სტრაჟნიკებს“ ჩამოატარებდა კარდაკარ და აროზგინებდა გლეხებს. „გადავედი გადაღმა და ცხენს მოვკიდე აღვირში ხელი. დამირთეს და დამირთეს მათრახები. თოფი რომ გადმოიღეს, მაშინ გავიქეცი. იმ დღეს კიდევ სხვებიც გაელახათ“, – ასე იგონებდა ამ ამბავს მოხუცი გ. გედენიძე.

გორდსა და კინჩხაში ჩაწერილი მთელი ფოლკლორული მასალა მრავალმხრივ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ უძველესი დროიდან. ეს მასალები, კარგად გაშიფრულ-გაანალიზებული, გარკვეულ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ქვეყნის ისტორიის მკვლევრებს.

## ჭყონდიდი – მარტვილი*

(ისტორიული მიმოხილვა)

### გეოგრაფიული მდებარეობა და მეურნეობა

ამა თუ იმ ქვეყნის მატერიალური კულტურის ძეგლებში ჩაქსოვილია მათი შემოქმედი ხალხის ეროვნული სახე, მისი წარსული და აწმყო, ძალა და მხნეობა, ათასწლოვანი ნააზრევი და ნაშრომი, ყველაფერი, რაც კარგი და მნიშვნელოვანი ჰქონია და აქვს.

საქართველო მდიდარია მამაცი და მდიდარი კულტურული ტრადიციების მქონე ხალხის მატერიალური კულტურის ძვირფასი რელიკვიებით. კლდეში გამოკვეთილი უნიკალური ქალაქები, უზადო ხელოვნებითა და ღრმა მხატვრული ჩანაფიქრით ნაგები ტაძრები, ბრწყინვალე ქართული ჩუქურთმით შემკული სასახლეები და დარბაზები, აკადემიის დიდებული ნანგრევები, ციხე-ქალაქთა განსაცვიფრებელი გალავნები, ფერწერის, მოზაიკის, ოქრომჭედლობის, ნაირ-ნაირი ჩუქურთმების უკვდავი ნიმუშები მთელი წიგნია, რომელიც მკაფიოდ, მეტყველად მოგვითხრობს შემოქმედი ადამიანის სულიერი სიბრძნისა და ძალის შესახებ.

ეს ძეგლები უხვადაა მიმობნეული ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში, ყველა სოფელსა და ქალაქში, მთასა და ბარში. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილსაც.

სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში 350 სხვადასხვა ისტორიული ძეგლი და ადგილია. ყოველ მათგანს თავისი „თავგადასავალი“, თავისი ისტორიული გამართლება და გააზრება აქვს. დოშაყეში, ბალდასა და გაჭედილში სახიზრად გამოყენებული გამოქვაბულები, რომლებიც მტრის შიშით სოფლიდან აყრილ ადგილობრივ მკვიდრთ „შეუსწორებიათ“ და ქვითკირის მძლავრი კედლით ამოუქოლიათ, მოძალადეთა წინააღმდეგ ჩვენი ხალხის თავდადებული, გმირული ბრძოლის დიდებული მოწმენი არიან. რაოდენ შეუდრეკელი ნებისყოფა, ძალა და შემართება უნდა ჰქონოდა ხალხს, რომ ტეხურის ხეობა შეეკრა და მთაზე „დგომის“ ჯიხები და გალავნის ჯაჭვი გაემართა. „დგომი“ აყრილი, გახიზნული ხალხის ნადგომია: ხალხს ეს ხეობა „გოკირილი“, ე. ი. საიმედოდ შეკრული ჰქო-

* გ. ელიავა, ჭყონდიდი – მარტვილი, გამომცემლობა „ცოდნა“, თბ. 1962.

ნია. მის მიღმა იგი შრომობდა და ცხოვრობდა, იცავდა თავის მოგიზგიზე კერას, ახარებდა ვაზს და ამრავლებდა ქართული მიწის ბარაქას.

აბედათის უძველეს ნაგებობათა გრანდიოზულობა, ნახარებაოს და სალხინოს ტაძრების ულამაზესი რელიეფებით შემკული კედლები, ნოღის, შხეფის ციხეები და ალერტის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, თამაკონისა და ნახუნაოს ციხე-დარბაზები, ტყვირის ეკლესია და ნაქალაქევის (ნოქალაქენი) გრანდიოზული ნაგებობანი ჭეშმარიტად მეტყველებენ ჩვენი ხალხის მთელ ისტორიაზე, მის მწუხარებასა და სიხარულზე, შრომასა და ცხოვრებაზე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია მარტვილის სამონასტრო კომპლექსი.

ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლი – მარტვილის ღვთისმშობლის ტაძარი დგას გეგეჭკორის (ყოფილი მარტვილის) რაიონის ცენტრში, მაღალ გორაკზე, საიდანაც საუცხოო სანახაობად არის გადაშლილი მთელი დასავლეთ საქართველოს ხედი.

**მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი. VII, X სს.**

სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილი რიონის ნაპირებიდან სამეგრელოს მთაგრეხილამდე ვრცელდება. ბუნებითა და ისტორიული ღირსშესანიშნაობებით მდიდარი ეს მხარე მრავლად იზიდავს ტურისტებსა და

დამთვალიერებლებს. ნაყოფიერი ჭალები, მრავალმხრივ მდიდარი ტყე და მთები, ჭორომებიან-ჩანჩქერებიანი მდინარეები, კალმახით სავსე წაჩხურა, მჟავე წყლები, წიაღისეული სიმდიდრით უხვი მთის კალთები, შესანიშნავი გორდი, სალხინო, კურზუ და ლებარდე, ასხის თვალუწვდენელი იალაღები – ჯადოქარი მხატვრის მიერ შექმნილი წარმტაცი ფერწერული ტილოა. იგი ისტორიულად ჭყონდიდელთა ერთიან სამწყსოს შეადგენდა და ამიტომ მას საჭყონდიდლო ეწოდებოდა. ოდითგანვე საჭყონდიდლოდ მიჩნეული ეს ადგილი დღეს გეგეჭკორისა და აბაშის რაიონებად იყოფა. მისი ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი იყო მთელ საქართველოში მარტვილის მონასტრით სახელგანთქმული ჭყონდიდი.

სოფელ ჭყონდიდს, იმავე მარტვილს, ძველად მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა. იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასახელებული პუნქტი „არგუეთ-კლისორის“ გზაზე. სოფელი გაშლილია მდინარე აბაშის ბორცვიან, მრავლად დახრამულ ჭალაზე, რომელიც სამეგრელოს მთაგრეხილის ერთი განშტოების – ტაბაკოლას მთის ფერდობს შეადგენს. გაზეთი „ივერია“ 1878 წლის 5 სექტემბერს წერდა: „ს. მარტვილი ძევს დაბა ხონიდან ათს ვერსტზედ, ჩრდილო-დასავლეთით, მდებარეობს მშვენიერის მდინარის აბაშის პირზედ, რომელიც წარმოგვიდგენს სრულიად ვაკე ადგილს, გარდა აღმოსავლეთის ნაწილისა. მშვენიერი მდებარეობა ადგილისა, ნაყოფიერი ნიადაგი მიწისა, მდიდარი მცენარეულობა, საუკეთესო ჰაერი, წმინდა და მარგებელი წყალი მდინარისა, წყაროისა და ჭისა, – აი ბუნებითი ღირსებანი ამა სოფლისა“.

სოფლის ცენტრი მდებარეობს ბორცვებით გარშემოზღუდულ მცირე ველზე, რომელსაც დასავლეთით მდ. აბაშის პატარა შენაკადი – ინჩხია ჩამოუდის. ინჩხიასა და აბაშას შორის ნაოღალევის ვრცელი ნაყოფიერი ველია გაშლილი. ეს ველი ვრცელდება ტაბაკოლას კალთებამდე, საიდანაც სათავეს იღებს მდ. ინჩხია. აბაშის დასავლეთი ნაპირები შემოზღუდულია კოკათისა და ნაფაცაცუს საკმაოდ მოზრდილი ბორცვებით. სამხრეთით სოფლის ცენტრს ნახარებაოს მცირე სერები ზღუდავს. სამხრეთ-აღმოსავლეთით მას დაჰყურებს ჭვენიას მაღალი სერი, რომელსაც უნაგირა ორ ნაწილად ჰყოფს: ჩრდილოეთი ნაწილი საერთო სამარხია, სამხრეთი კი, რომელიც გაცილებით მაღალია ჩრდილოეთის ნაწილზე, ნავისებური მოყვანილობის თხემით მთავრდება. ამ მცირე (6000 მ2) ტაფობზე არის აგებული მონასტრის მთელი ანსამბლი. ეს ბორცვი ქვემოდან ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი გუძუბასებრ ამოზიდულია და თავწაკვეთილ კონუსს წააგავს. მისი თხემი სოფლის ცენტრიდან დაახლოებით 300 მ-ზე უფრო მაღლა მდებარეობს

და ქვემოდან რომ შეხედავთ, ზღვის ტალღებზე წამომჯდარი ნავი წარმოგიდგებათ თვალწინ. ოდესღაც იგი „ჭყონის“, ანუ მუხის გაუვალი ტყით ყოფილა გარშემორტყმული. ათასწლოვანი ხეების ჯავშანთან ერთად, მონასტერს ყოველმხრივ ციცაბო ქანობები ეკრა. მონასტრის პლატოდან ადვილად შეიძლება თვალი მოვავლოთ თითქმის 20-30 კმ რადიუსით გარშემოჯარულ სოფლებს. აქ მუდამ ქრის გრილი და საამო ნიავი, რომელსაც ახლომდებარე ტყეებიდან ყვავილების დამათრობელი სურნელი მოაქვს. იგი ამ მხარეში ერთადერთი პუნქტია, საიდანაც ადამიანს თავისუფლად შეუძლია, თვალყური ადევნოს მთელი ტეხურის, რიონისა და ცხენისწყლის გაშლილ ველებს. ამრიგად, მარტვილის ანსამბლს გარკვეული სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა.

„არგუეთ-კლისორის“ ძველი გზაც ჭყონდიდზე გადიოდა. იგი ქუთაისიდან ხონისა და ბუმბუას „ხინჯას“ – ბუმბუას ხიდის გავლით მდ. ცხენისწყალს კვეთდა. ბუმბუას ან პუმპუას, პომპეუსის (როგორც ხალხში არსებული გადმოცემები გვანიშნებენ) ქვითკირის ბურჯებიან, ფართო ხიდზე გავლით დატვირთულ ურმებს შეეძლოთ ცხენისწყლის გადალახვა. აქედან მთის ჭიუხებს მიუყვებოდა ფართო გზატკეცილი. დღესაც დარჩენილია ამ ძველი გზის – „ჯვეში შარას“ კვალი სუხჩეს, ხუნწისა და ქვეითის სერებზე. იგი ჭყონდიდს ჩადიოდა, ჭყონდიდიდან, ბობოთისა და სერგიეთის გავლით, ნოქალაქევის სიმაგრეში შედიოდა, აქედან კი, სახარბედიოსა და ეკის მთის გავლით, კლისორისაკენ მიემართებოდა.

ამ გზის გაყოლებაზე დღეს მრავალგან არის „ნაჯიხუები“, „ნაოხვამუები“, სანიშნო ათასწლოვანი ხეები და სიძველეთა ნანგრევები. გზის გასწვრივ მოჩანს „დიხაგუძუბები“ და „დიზაკურზულები“. ამ „ჯვეში შარას“ გასწვრივ უამრავი ძვირფასი არქეოლოგიური მასალა მოიპოვება. მათხოჯთან გზას, დადიანის ნაციხარის ქვემოთ, ფლატეზე, უძველესი ნაგებობის ბურჯები დგას. ეტყობა ისინი ოდესღაც მძლავრი სიმაგრის ბურჯები იყო. ხიდთან შეიმჩნევა აქეთ-იქით მდებარე კოშკების ბურჯებისა და ქვითკირით ნაშენი კედლების ნაშთები. ხიდთან, სუხჩეს გადასახედზე, არის ძველი ციხის კარგად შესამჩნევი ნანგრევები. აქვე აიკრიფა ძვირფასი არქეოლოგიური მასალა: უძველესი მეტალურგიული და კერამიკული წარმოების ნიმუშები, კაჟისა და ქვის იარაღის ძვირფასი ნაშთები. ასეთივე ნაგებობათა კვალი ჩანს ზედა ხუნწშიც. თვით ადგილთა სახელწოდებანი: „ნაჭკადუ“, „ნარონი“, „ნოჯიხუ“, „ჯვარფერდი“, „ჯიხფერდი“ და სხვ. ამ სიმაგრეებსა და კულტურის კერებზე მიუთითებენ. „ქვეითიც“ ხომ უძველესი გზა და ადგილია, სადაც მრავალ ადგილას, ერთიმეორის მიყოლებით, უძველესი კულტურის შესანიშნავი კერებია. აქვე დგას მრავალასწლიანი ცაცხვის ხე, რომელსაც

ხალხი „თურქთა სანიშნოს“ უწოდებს. გადმოცემები გვარწმუნებენ, რომ ამ გზაზე მრავალი ასეთი ცაცხვის ხე იდგა ერთიმეორის პირდაპირ და ლაშქრისა თუ მოგზაურისათვის საიმედო სანიშნოს წარმოადგენდა. თუ ამ გადმოცემებს ოდნავ მაინც დაეჯერება, მაშინ იგი ერთგვარი ცოცხალი სტელის მაგივრობას სწევდა უძველეს დროში. გადმოცემები იმასაც მოგვითხრობენ, რომ გზის გასწვრივ, ოდესღაც, ქვის სტელებიც მდგარა. აქედან ჩვენამდე მხოლოდ ერთი ლოდის ნამუსრევმა მოაღწია. მასზე რაიმე ნიშანი არ არის, მაგრამ ხალხი დარწმუნებულია, რომ იგი სანიშნო სვეტის ნატეხია.

აქვე, „ქვეითში“, ანუ „ქვაითში“ (როგორც მას დღეს უწოდებენ) არის შესანიშნავი უძველესი „ნაოხვამუ“ (ნაეკლესიარი), პატარა ბაზილიკური ეკლესიით. ეკლესია ვეებერთელა ლოდებითაა ნაგები ხორიათის ფერდობის გუძებისებრ აწვდილ კონცხზე. ეს ეკლესია და მის მიდამოებში არსებული ციხის ნანგრევები საიმედო საგუშაგო და სენაკი იყო ამ გზაზე. აქედან გზა ჭყონდიდისაკენ მიემართებოდა. ჭყონდიდი ჭვენიას ფერდობის მდინარე ანჩხიასაგან ჩახრამულ კალთაზე მდებარეობდა. აქ გზა, ეტყობა, ჩაკეტილი იყო მაგარი, სამგალავნიანი ციხე-ქალაქით, რომელსაც დღეს ხალხი „ქაჯიშ ნამარანუს“ (ქაჯის ნამარნევს) უწოდებს. შესაძლებელია, სწორედ ეს იყო ჭყონდიდელ ერისკაცთა და პატრონთა ციხე-ქალაქი. იგი აბაშასა და ინჩხიას შორის ნახევარკუნძულად შეჭრილ სერზე მდებარეობს. წლების განმავლობაში ამ მდინარეებმა მათ შორის მდებარე ნაოღალევის ველის ორივე მხარეს წარმოშვეს ღრმა ხეობები, გაშლილი ჭალებით. ამ ჭალებს შორის სერადაა გაჭრილი ნაოღალევის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბოლო, რომელიც უნაგირათი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ეტყობა, ეს უნაგირა ხელოვნურად არის ჩაკვეთილი გზის გასაყვანად, სერის ჩრდილო ნაწილიც გაყოფილია ორ ნაწილად და მცირე გასასვლელი აქვს. მისი სამხრეთი ნაწილი, როგორც გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განკარგულებაში არსებული არქეოლოგიური მასალები ადასტურებს, სამარხი და საყოფაცხორებო უბანი იყო, ხოლო ჩრდილოეთის ვრცელი მასივი – ქალაქი და საცხოვრებელი ადგილი. ორივე ნაწილს, თვით ჭალასთან, ერთიანი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. მეორე გალავანი, ისიც საერთო, ფერდობს შუაწელზე ერტყა, ხოლო მესამე გალავანი ცალ-ცალკე ზღუდავდა ორივე უბანს. სამხრეთის ველზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ გასასვლელთან, იდგა მაღალი, მძლავრი კოშკი, რომლის 2-3 მ-ის სიმაღლის ნანგრევი დღემდეა შემორჩენილი. ასეთივე კოშკი იდგა ჩრდილოეთი ველის სამხრეთ კიდეზე. ეტყობა, კოშკები სამხედრო დანიშნულების ციხეებს წარმოადგენდნენ. სამხრეთის ნაწილის უკიდურესი კონცხიდან სერს ქვემოთ ჩასდევს ქვის

საფეხურების ნაშთები. იგი გზისკენ ჩამავალ პროპილეის მსგავს ნაგებობას მოგვაგონებს.

სერის დასავლეთ მხარეში, სადაც მდინარე აბაშის ვრცელი ჭალაა, ერთ ადგილს შემორჩენია სახელწოდება „ნოდარბაზენი“, ანუ „ნოდაბაზენი“, რაც ქართულად ნადარბაზევს ნიშნავს. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ აქ, უხსოვარ დროს, ულამაზეს და მდიდარ ქალაქებში, შესანიშნავი დარბაზები და სასახლეები იდგა. სახელწოდება „ნოდარბაზენი“ დარბაზების არსებობაზე მიუთითებს. თვით ადგილის – „ქაჯიშ ნამარანუს“, (ქაჯის ნამარნევის) შესახებ ხალხში არსებობს გადმოცემა, რომ ეს ადგილი უძველეს დროს გამაგრებული ქალაქი და ციხე-სიმაგრე ყოფილა. როდესაც ქრისტიანებმა კერპი მოჭრეს, ვისაც ქრისტე არ სწამდა, ე. ი. კერპს ემსახრებოდა, ამ ქალაქში გამოიკეტა. ისინი ურჯულოები და დაწყევლილები იყვნენო, – გვიამბო 90 წლის მოხუცმა მიხა ხელაიამ. მათ არც ღმერთი სწამდათ და არც არაფერი ქრისტიანური, ისინი ხალხს თაღლითური ხერხებით მკურნალობდნენ, ირწმუნებდოდნენ, რომ მათ შეეძლოთ მოეყვანათ სეტყვა, ჭექა-ქუხილი, გრიგალი. ესენი იყვნენ ქაჯები, რომელთა დანახვისაც კი ეშინოდა ხალხს. ამიტომ ამ ქალაქს შემდეგ ქაჯების მარანი შეერქვაო. ქაჯებს (აქ შეხიზნულ წარმართებს) სამხრეთის ველზე მოწყობილი ჰქონდათ მარანი, სადაც ჩეშონას ველზე მოკრეფილი ყურძნიდან დაწურულ ჩეშის ღვინოს ინახავდნენო. დიდხანს ეს ადგილი დაწყევლილი და შეჩვენებული იყო, – გვარწმუნებს სხვა გადმოცემაც. ეტყობა, ქალაქის შეჩვენება წარმართთა დამარცხებასა და განდგომასთან იყო დაკავშირებული. წარმართები, როცა ისინი ჭყონდიდის საუფლოდან გამოდევნეს, როცა მათი კერპი განადგურდა, ამ ქალაქში მოემწყვდნენ, იზოლირებული გახდნენ. ხალხმა ეშმაკეულები, ქაჯები შეარქვა მათ და დღემდე ასე იხსენიებს. ქრისტიანთა რისხვით იავარქმნილი ეს ქალაქი უძველეს დროში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე და მძლავრი ქალაქი იყო „არგუეთ-კლისორის“ გზაზე.

„ქაჯის ქალაქის“ შემდეგ გზა, კოკათსა და ნაფაცაცეს გავლით, ნაქალაქევისაკენ მიდიოდა. კოკათსა და ნაფაცაცუში დღესაც შესანიშნავი არქეოლოგიური მასალა აიკრიფება. ნაფაცაცუში 1956 წელს ვინმე უგულავამ ამოყარა მთელი გალავანი, რომელიც მშრალი წყობით იყო ნაგები. აქვე, ზედაპირზე აიკრიფა კერამიკული ჭურჭელი, ფასკუნჯის თავის გამოსახულებით, ასამდე სხვა კერამიკული მასალა, ქვისა და კაჟის იარაღები, რომლებიც მეტყველებენ, რომ ეს გუძუბისებრ აწეული 200 მ-ის სიმაღლის ბორცვი უძველესი კულტურული კერისა და დიდი ქალაქის ადგილია. არსებობს ასეთი ხალხური გამოთქმა: „მარტვილი დაეცეს და ნაფაცაცუ აღდგესო“. საიდან მომდინარეობს ეს გამოთქმა,

არ ვიცით, მაგრამ ერთი რამ სარწმუნოა, რომ ეს სიმაგრე უძველესია და თითქმის მარტვილის დარი სიმაგრე უნდა ყოფილიყო უხსოვარ დროში. ასეთივე სიმაგრეა აბედათის უძველს ნაგებობათა მთელი ანსამბლი, რომელიც, ხალხის რწმენით, მარტვილთან რკინის ჯაჭვით იყო დაკავშირებული. გზა, რომელიც ჩვენ მიერ ასე ნაბიჯ-ნაბიჯაა მონიშნული უძველესი კულტურის ძეგლებითა და მასალებით, ამასთან, ხალხის გადმოცმითა და რწმენით, ისტორიული წყაროების დამოწმებითაც, გაივლიდა ჭყონდიდს. ჭყონდიდი კი ამ გზაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი და მძლავრი ბურჯი იყო.

ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ამ გზაზე მდგარა ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული წარმართული ბომონი. იგი, უეჭველად, მთელი გზის ბატონი და ამ კუთხის ხალხის უმთავრესი სალოცავი იყო.

მარტვილის ბორცვი საუკეთესო სათვალთვალო პუნქტის მოვალეობასაც ასრულებდა. ბუნებრივია, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთისაკენ მიმავალი ჯარის, ვაჭართა ქარავნების, საფოსტო შიკრიკების, მეფეთა მოციქულების, მსტოვართა და საქმის კაცთა სადგური სწორედ აქ უნდა ყოფილიყო.

კარგი გეოგრაფიული მდებარეობა და ამ გზაზე უპირატესი მდგომარეობა ხელს უწყობდა მხარის სამეურნეო დაწინაურებას. მარტო მის მიდამოებში შესამჩნევია 3 დიდი ციხე-ქალაქის ნაშთი, ნანგრევებითა და სხვა რელიკვიებით და ამასთანავე, უძველესი მეტალურგიის ათზე მეტი კერა. ქვეითის ნაჭკადუები, საელიაოსა და მარტვილის ფერდობის მეტალურგიული კერები, ნახუნაოს ნაჭკადუერი, სერგიეთისა და ბობოთის მეტალურგიული წარმოების შესანიშნავი კერები მეტყველებენ იმაზე, რომ ჭყონდიდის ირგვლივ და ჭყონდიდ-ნაქალაქევის გზის გაყოლებაზე, მრავალ ადგილას განვითარებული იყო უძველესი ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია. ეს მხოლოდ ვარაუდი კი არ არის, არამედ დადასტურებული აზრია, რომლის მასალები გეგეჭორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებშია დაცული.

აღსანიშნავია ისიც, რომ მარტო კონკრეტული ოჯახის, კერძო პირის მეტალურგიულ საქმიანობასთან როდი გვაქვს საქმე. აქ სათემო, საერთო საზოგადოებრივი წარმოებაა. ერთ ადგილას, ერთ კერაზე მრავალი ქურაა ჩაყრილი. თვით კერაც დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი (მაგ., კაჯი ცანავას ეზო, „ნაცაცხვერა“ ნახუნაოში, „ნაჭკადუ“ ქვეითში და სხვ.). ამ ადგილებში მეტალურგიული კერების ასეთი მასობრივი გავრცელებაც წიაღისეული სიმდიდრით იყო განპირობებული. ნახუნაოს, ნალეპსაოს მთებზე და ჭყონდიდის ირგვლივ მდებარე სერებზე, ტყეში, უხვად იყო მაგარი ჯიშის ხეები, რომელთაგან ადვილად მიიღებოდა ხის ნახშირი,

ნიადაგში უხვად იყო სპილენძის, კალისა და მარგანეცის მადანიც. ამრიგად, აქ მოსახლე კოლხ კაცს ადგილზე ჰქონდა ყველაფერი იმისათვის, რომ მეტალურგიული წარმოება გაეჩაღებინა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეტალურგიული წარმოება ამ კუთხეში უძველეს დროშია ჩასახული. ამ კერებზე ყველგან უხვად აიკრიფა უძველესი, პრეისტორიული ხანის კერამიკული მასალა. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მეტალურგიული წარმოება ჭყონდიდის მიდამოებში ენეოლითის ხანიდან მომდინარეობს (ამ საკითხს ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით).

ამასთან ერთად, ფართოდ იყო განვითარებული სოფლის მეურნეობაც. ჭყონდიდის (მარტვილის) მიდამოებში მრავლად გვხვდება ადგილთა სახელწოდებანი: „ნაესუ“, „ესუ²ე“, „კიფკვათარი“, „ნაკიფუ“ და სხვ. ეს სახელწოდებანი, მიუთითებს იმაზე, რომ ამ მიდამოებში უხსოვარი დროდან მისდევდნენ სელისა და კანაფის მოყვანას და მის გამოყენებას საოჯახო საქმიანობასა და ცხოვრებაში.

ძველი დროის ბერძენი ავტორები გადმოგცვემენ ცნობებს ქართველი ერისა და საქართველოს მიწა-წყლის შესახებ. ჰეროდოტე (480-428 წწ. ახ. წ-დე) წერს, რომ „კოლხეთში იზრდება სელი, რომლისაგან აკეთებენ ტილოს. აქედან გამოტანილს ბერძნები უწოდებენ სარდონულს. როგორც ამბობენ, კავკასიის მთებზე ხარობს ხე, რომლის ფოთლებს ნაყავენ, წყალში ხსნიან და ამით ღებავენ თავიანთ ნაქსოვებს, და ეს ნაქსოვი არ ხუნდება რეცხვაში და მატყლეულის დაძველებამდე ფერს არ კარგავს“[1].

კოლხეთში სელის წარმოების შესახებ ასეთივე ცნობებს გვაწვდიან ძველი ბერძენი მწერლები: ჰიპოკრატე, ქსენოფონტე, სტრაბონი და სხვ. სელისა და კანაფის მოყვანა ფეხმოდგმული იყო ჩვენი მხარის გლეხთა ყოფა-ცხოვრებაში XVIII საუკუნეშიც. XX საუკუნის ოციან წლებამდეც კი მისდევდნენ მათი ბოჭკოსაგან მაგარი ტილოს – ჯვალოს დამზადებას, ბაწრის გრეხვას და ბადეების ქსოვას, სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ქსოვილის დამზადებას. სელის ჯვალოსა და უფრო წმინდა ტილოსგან ტანისამოსს იკერავდნენ.

მაშასადამე, ყოფა-ცხოვრებაში სელისა და კანაფის გამოყენება ჩვენს ხალხს დიდხანს, თითქმის დღემდე გადმოჰყვა. უხსოვარი დროიდან მომდინარე ეს სამეურნეო ტრადიცია კიდევ ერთხელ თვალნათლივ მეტყველებს კოლხების სამეურნეო-შემოქმედებითი საქმიანობის მრავალათასწლოვან ისტორიაზე.

[1] მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1906, გვ. 74.

ოქტომბრის რევოლუციამდე გლეხისათვის სანატრელი იყო სელის მოკლე ქვედა საცვალიც კი. ერთი ხალხური სიმღერის მიხედვით, გლეხს ენატრებოდა „სუში კურთა თინახოლო კუნტა“ (სელის ქვედა საცვალი, ისიც მოკლე). დავით დადიანი ბებუთოვისადმი მიწერილ „უსტარში“ წერდა, რომ „სელს მრავალს ადგილს სთესენ და ხმარობენ ძაფათ თუ ტილოთ და არ ისყიდება გარეშე“. ჭყონდიდის მიდამოებში ჩაწერილი გვაქვს მრავალი მოგონება, რომლებშიც მოთხრობილია, როგორ მოჰყავდათ ეს კულტურა, როგორ და რისთვის იყენებდნენ მას. აღნიშნავენ, რომ სელის მარცვლისაგან შესანიშნავ საჭმელს – „ქუმუსაც“ კი ამზადებდნენ (ქუმუ დამოწმებული აქვს ივ. ჯავახიშვილს „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში“). მისგან ზეთსაც ხდიდნენ. სელის მარცვლისაგან ქუმუს დამზადება ახლაც იციან „**ნაესუში**“. „**ქუმუ-წყარს**“ სამკურნალო თვისებებსაც აკუთვნებდა სახალხო მედიცინა. მას სიმღერებშიც კი იხსენიებენ. „**ქუმუ რექ დო ქუმუ წყარი**“...[1]

მეგრულად სელს „**სუს**“ უწოდებენ, ხოლო კანაფს „**კიფის**“. „**ესუჲე**“, „**ნაესუ**“, „**ოსუჲე**“ და სხვ., სელის მოყვანის ტრადიციული ადგილებია. „ესუჲე“ პატარა უბანია ჭყონდიდის სანახებში, მარტვილის, ანუ გეგეჭკორის თემში. იგი ზედმიწევნით სასელო, ე. ი. სელის მოსაყვან ადგილს ნიშნავს. ესუჲეში სუჲები ცხოვრობენ (მოხუცი მეგრელი დღესაც **სუჲას** იტყვის და არა სულავას). ეს გვარი, ოდითგანვე, სელის მოყვანას მისდევდა. ისინი დღესაც თესავენ სელს, მისი ბოჭკოსაგან ამზადებენ ძაფს, ქსოვენ ბადესა და გრეხენ ბაწარს. ასეთი საქმიანობით ამ კუთხეში ყველაზე მეტად მხოლოდ ისინი და **სუჲაბერიები**, ანუ **სუჲაბრეიები** არიან ცნობილნი. გვარი სულაბერია წარმომდგარია სელბერვისაგან. **სუბრეი** სიტყვასიტყვით **სელბევრსა** ნიშნავს. ამ გვარის კაცთა სამეურნეო საქმიანობა და ეკონომიკური ძლიერების წყარო მათი გვარის წარმოშობასაც დაედო საფუძვლად. **სუჲაბერია** და **სუჲა** ჭყონდიდის მიდამოების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მრავალრიცხოვანი გვარია. სელისა და კანაფის მოყვანაც ამ მიდამოების ერთ-ერთი დამახასიათებელი დარგია უძველესი დროიდან.

ჭყონდიდისა და მარტვილის მიდამოებში მრავლადაა ადგილების სახელწოდებანი: „**ნაღუმუ**“, „**ოღუმოლი**“, „**ნაჭკიდუ**“ და სხვ. ეტყობა, რომ უძველესი დროიდან ამ მიდამოების მარცვლეულ კულტურათა ასორტიმენტში ყველაზე გაბატონებული მდგომარეობა ეკუთვნოდა

[1] ნ. სილაგაძის, მ. ხელაიას, ნ. სულაბერიძის მოგონებები, გმმ სამეცნიერო ფონდი, „ა“ ჯგუფი, №120.

ღომსა და ჭადს, რომელთა ნოყიერი მარცვლისაგან ამზადებდნენ ღომს და აცხობდნენ ჭადს; მათ იყენებდნენ სამკურნალო მიზნითაც.

ამ მიდამოებში, თითქმის ყოველ ნაბიჯზე, გვხვდება ადგილთა სახელწოდებანი: „**შონური**“, „**ნაოჯალუ**“, „**ობჟალეში**“, „**ჩერგვალი**“, „**ჩეში**“, „**ნახარდანუ**“, „**პერკი**“, „**კოლოშონა**“, „**ჭოდინა**“, „**მაჭყვადური**“, „**სამანჭრო**“, „**მახვატელი**“ და სხვ. ყველა მათგანი წარმომდგარია ვაზის ძველ ჯიშთა სახელწოდებებისაგან. როგორც გადმოცემები მოგვითხრობენ[1], ამ მიდამოებში უხვად იყო გავრცელებული ვაზის სხვადასხვა მეგრული ჯიში; ვაზის ეს ჯიშები მიშვებული იყო ხურმის, თხმელის, ვაშლისა და ბლის მაღალ ხეებზე. გ. გაბისონია მოგვითხრობს: „თითოეული ძირი ხიდან ხშირად 10 გოდორი ყურძენი ჩამოგვიკრეფია. დილით რომ ავიდოდით საკრეფად ხეზე, საღამოს ძლივს ვამთავრებდით კრეფას“. განსაკუთრებით ყოფილა გავრცელებული „ოჯალეში“ („შონური“, ანუ „ობჟალეში“). ვაზის ჯიშებისათვის, მათი თავისებურებებისა და მოთხოვნების მიხედვით, შესაფერისი ადგილები იყო გამოყოფილი. **ოჯალეშს** განსაკუთრებით მზისგული ადგილები ჰყვარებია. ამიტომ ეს ადგილები ყოველთვის სამხრეთის მზისგულ ფერდობებზე და მთელი დღის განმავლობაში მზით განათებულ მინდვრებზეა გაშლილი. „**ნაესუში**“, კალამუნას მთის კალთაზე, განსაკუთრებული უბანია „**ობჟალე**“, რომელსაც მთელი დღე ადგას მზე. აქ ობჟალეს ჯიშის ვაზის ხარობდა თურმე და ამიტომ დაერქვა ამ ადგილსაც „**ობჟალე**“, ე. ი. სამზეო. ამ ჯიშის ვაზის აღწერილობიდან ჩანს, რომ იგი ოჯალეში იყო. გავრცელებული ყოფილა აგრეთვე „**ჩეშიც**“. ეს ჯიში ისეთივე უხვმოსავლიანი და კარგი ხარისხის ღვინის მასალა ყოფილა, როგორც ოჯალეში, ოღონდ იგი „ჩე“, ანუ თეთრი იყო. ადგილთა სახელწოდების ასეთი სიუხვე იმაზე მეტყველებს, რომ მევენახეობას ამ მიდამოებში უხსოვარი დროიდან მომდინარე ტრადიცია აქვს და იგი მხარის სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ დარგს შეადგენდა[2].

ჭყონდიდ-მარტვილის მიდამოებში მოსახლეობა უძველესი დროიდან ფართოდ მისდევდა მეტალურგიულ წარმოებას, რომელიც საკუთარ ეროვნულ ტრადიციაზე იყო დაფუძნებული. აქ დამზადებული ლითონით კმაყოფილდებოდა მთელი საჭყონდიდლოს მოსახლეობის მოთხოვნილება. ამასთან ერთად, ის ალბათ გაჰქონდათ მის საზღვრებს გარეთაც. საკუთარი ლითონის ნედლეული ხელს უწყობდა ხელოსნური წარმოების განვითარებასაც, რასაც აქ ნაპოვნი ბრინჯაოსა და რკინის ნაკეთობანი

[1] მ. სურმავას, ნ. სილაგაძის, ა. წულაიას, ბ. გეგელიას, ნ. ნაჭყეპიას მოგონებები, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო ფონდი, № 125.

[2] ვაზის აღწერილობა მოცემულია ზემოთ მითითებულ გადმოცემებში.

ადასტურებენ. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჭყონდიდი, ზოგადად, აღებ-მიცემობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა უნდა ყოფილიყო.

აღნიშნულ მხარეში სელის წარმოების კერების სიმრავლე ამ კულტურის განვითარების ფართო მასშტაბზე მიუთითებს. სელის ტილო კოლხეთიდან შორეულ ქვეყნებშიც გაჰქონდათ. მის ექსპორტში ჭყონდიდის წილი მცირე როდი იქნებოდა. როგორც ჩანს, ჭყონდიდი და მისი მიდამოები ძალზე მდიდარი იყო მარცვლეულით, ხილით, თაფლით. თავისთავად ცხადია, ყოველივე ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მის მნიშვნელობას და იპყრობდა ეგრისისა და, მოგვიანებით, სრულიად საქართველოს სასულიერო და საერო დიდებულთა ყურადღებას.

ალბათ ამ მიზეზით აირჩიეს, თავის დროზე, როგორც წარმართა ქურუმებმა, ასევე ქრისტიანული ეკლესიის მაღალიერარქებმა საკუთარ რეზიდენციად ეს ადგილი.

## ჭყონდიდი – წარმართული რელიგიის ცენტრი სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში

სახელწოდება ჭყონდიდი წარმოიშვა „დიდი ჭყონის“ – დიდი მუხისგან. ჭვენიას მაღალი ბორცვი, როგორ გადმოგვცემენ, დამშვენებული იყო „ჭყონის“ (მუხის) ათასწლოვანი ხეებით. თვით ჭეენიაც „ჭყონიდან“ – „ჭყონარიდან“ არის წარმომდგარი. გადმოცემის თანახმად, უხსოვარ დროში იმ ადგილას, სადაც დღეს მარტვილის ტაძარი დგას, მდგარა ვეებერთელა „ჭყონის“ (მუხის) ხე, რომელიც კერპთაყვანისმცემლების კერპი, ღვთიური ძალით შემოსილი ბომონი ყოფილა. ადგილის ძველი მეგრული სახელი იყო „ჭყონ-დიდი“, ესე იგი დიდი მუხა. „გადმოცემა მოგვითხრობს, ტრაპეზი მარტვილის ეკლესიისა დადგმულია იმ მუხის ძირზე, რომელიც მოჰკვეთა ანდრია მოციქულმა, ოდეს მეგრელნი მოაქცია“.[1] ეს მუხა იმდენად ცნობილი და აღაიარებული ყოფილა, რომ მასზე სალოცავად, მის სათაყვანებლად მთელი ეგრისის მოსახლეობა იკრიბებოდა. „საქართველოში ხე-მცენარეთა თაყვანისცემის არსებობის საუკეთესო დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს ძველ საქართველოში განთქმული ჭყონდიდი, – წერდა ივ. ჯავახიშვილი, – რომელიც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს და თავდაპირველად, უეჭველია, მუხის მსახურების სალოცავ ადგილად უნდა ყოფილიყო“.[2]

წარმართთა ეს დიდი და სახელგანთქმული კერპი, როგორც ეტყობა, უძველესი დროიდან, ადამიანთა პირველყოფილი საზოგადოების პერიო-

---

[1] ექ. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 39.

[2] ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 94.

დიდან იდგა აქ. ბუნების ძალების წინაშე უძლურმა ადამიანმა მძლავრი ხე მიიჩნია ღვთაებად და თავის მფარველად ძირისა და ფუძის პატრონად გამოაცადა. ხისადმი ასეთი რწმენა ასეულ თაობას გადმოჰყვა და ქრისტიანობის დრომდე მოაღწია. გადმოცემების თანახმად, ჭყონდიდის დიდ კერპს საუკუნეების განმავლობაში დედისერთა ჩვილ ბავშვებს სწირავდნენ მსხვერპლად. „დიდ მუხას... თაყვანს სცემა ხალხი და სწირავდა მსხვერპლად თავის შვილებსა“.[1] ამ ცნობას არ შეიძლება სავსებით ვენდოთ, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მასში სიმართლის ნაწილიც იყოს, რადგან თავიანთი კულტურული განვითარების გარიჟრაჟზე, როგორც ყველა ერს, ასევე ქართველებსაც წესად ჰქონიათ კერპთათვის ადამიანის მსხვერპლად შეწირვა. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „მიერ ჟამითა შესწირვიდნენ კერპთა ძეთა და ასულთა თვითთა და იყო ესე ბოროტება მრავალსა წელსა“.[2] როგორც ისტორიკოსი დ. ბაქრაძე შენიშნავს, ეს წესი, ხალხის გადმოცემით, ბევრ ადგილას არის მინიშნებული და დადასურებული მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ადათის არსებობას ადასტურებს „ქართლის ცხოვრებაც“. მსგავსი წესი აღწერა სტრაბონმა საქართველოს საზღვარზე, ალბანეთთან.

ხალხურ გადმოცემებში შეწირვის რიტუალი დაწვრილებითაა აღწერილი. თუმცა ამ აღწერაში ბევრი რამ ზღაპრული და მოგონილია, მაგრამ ნაწილს მაინც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა წარმართულ ადათ-ჩვევათა, ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონის შესასწავლად. მიხა ხელაიას, გრიგოლ გაბისონიას, ნიკოლოზ ოსიძის, აკაკის გაბისონიასა და სხვათა გადმოცემებში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ხეს მსხვერპლად სწირავდნენ დედისერთა ჩვილ ბავშვს. სამსხვერპლო ყრმის შერჩევა ხდებოდა თურმე წლის ერთ-ერთ „**თუთაშ დღას**“ – „თუთაშხას“ (ორშაბათს). ამ დღეს მოგვები სხდებოდნენ ყრილობაზე და კენჭისყრით ირჩევდნენ სამსხვერპლო ყრმას. შემდეგ მშობლები ღვთის არჩეულის პატივსაცემად მართავდნენ „**საბატონ**“ დღეს (შაბათ დღეს) დიდებულ ლხინს, ხოლო მეორე დღეს – „**ბჟას დღას**“ (მზის დღეს, კვირას) დიდებული ეტლით მიამგზავრებდნენ ყრმას მუხის ეზოსკენ, სადაც დედა ამთავრებდა მსხვერპლად შეწირვის რიტუალს. საინტერესოა ის, რომ „**თუთაშ დღა**“ და „**ბჟაშ დღა**“ მთვარისა და მზის საზეიმო და საგამგიო დღედ იყო მიჩნეული; მხოლოდ მთვარისა და მზის „ნება-სურვილით“ ირჩეოდა სამსხვერპლო ყრმა და მხოლოდ მათი „კეთილი ნებით“ და „მზრუნველობით“ სწირავდა ტომი მათთვის განკუთვნილ საზეიმო დღეს მსხვერპლს.

[1] გაზეთი „ივერია“, 1878, 5 სექტემბერი.

[2] საქართველოს ისტორია, I ნაწ., 1885, გვ. 10.

მუხის კულტი, უდავოდ, დაკავშირებული იყო მზისა და მთვარის კულტთან.

„ჭყონდიდის“ კერპი ერთადერთი ხეკერპი როდი იყო საქართველოში. ხის თაყვანისცემის მრავალი შემთხვევაა აღწერილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მრავალ ადგილას. თვით XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებშიც მუხა კიწიაში ღვთიური ძალის მცენარედ მიაჩნდათ და მსხვერპლად სწირავდნენ ხარსა და ძროხას. სამღვდელო პირები, გვარად ბერიძეები, წინ აღუდგნენ ამ წესს და მოჭრეს იგი. ხის თაყვანისცემის ასეთივე გადმონაშთი იყო „სოფიობა“ ბანძაში. კულაშში, ჩვენს დრომდე იდგა საყოველთაოდ ცნობილი მუხა, რომელიც ასეული წლების განმავლობაში კერპად იყო აღიარებული. აი, როგორ აგვიწერს ამ ხეს და მისი თაყვანისცემის რიტუალს 1884 წელს გაზეთ „მწყემსის“ კორესპონდენტი, სოფლის მასწავლებელი ლ. ჯაში: „ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს იმოდენა ხე... ამ მუხას ტანზე ორი კუნძი აქვს გამობმული, თითოეულ კუნძზედ ხუთ-ხუთი პატარა კუნძია, კაცის თითების მსგავსად. ეს კუნძები ჯვრის სახის მსგავსად არის დაწყობილი. მუხის ძირში რა ნივთს არ ნახავს კაცი! აქ უპატრონოდ ყრია ვერცხლისა და სპილენძის ფულები, თოხი, ცხენის ნალები, ნაჯახი, სატევარი, ნამგალი, დანები, ლეკური, შანდლები და წმინდა სანთელს ხომ ანგარიში არა აქვს. მუხის ტანზე შემოხვეულია აბრეშუმის ძაფები. შესობილია მასში უანგარიშო ლურსმანი, რომელზედაც, როგორც ეტყობა, წმიდა სანთელი ნთებულა. ამ ხის ძირში ბევრი სხვადასხვა ნივთია. მუხის გარშემო მე შევნიშნე ორმოცამდე ქათამი და ძალიან გამიკვირდა, რადგან მახლობლად სოფლები არ არის. მეწისქვილეს ვკითხე, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ქათმები და მან აი, რა მიამბო მუხის შესახებ: „ეს ქათმები, მლოცველებისაგან არის შემოწირული. ამ ქათმებს გარდა აქ კიდევ სხვა ბევრი ქათამია, მაგრამ ახლა ალბათ შორს არიან წასულნი, მაგათ კაცი არ უვლის და არც არავინ აჭმევს საჭმელს. ეს დიდი მუხა წმინდა გიორგის მუხაა და ამიტომ წმინდა გიორგი თვითონ უვლის ამ ქათმებს. მათი მოპარვა და მოტაცება არაკაცს არ შეუძლია და არც ნადირსო“.[1] ქათმებს გარდა ამ მუხას სწირავდნენ ცხვრებს, ღორებს, თხებს და სხვ. კუნძებზე უნთებდნენ სანთელს, ევედრებოდნენ მუხას და ისე ემთხვეოდნენ ხოლმე მლოცველები ამ კუნძებს, როგორც ხატს... ხეს უვლიდა „ხატის კაცი“ – ვინმე ხურცილავა. 10 ნოემბერს (ძვ. სტილით) კი, წმინდა გიორგის დღესასწაულზე, აქ იკრიბებოდა მრავალი მორწმუნე, იმართებოდა დიდი ლხინი. ამ დღეს თურმე კერპს ხარსა და ძროხებს უკლავდნენ.

[1] ჟურნალი „მწყემსი“, 1884, №4, გვ. 6-7.

წარმართთა საყოველთაოდ აღიარებული კერპი – ჭყონდიდი, დასავლეთ საქართველოში სახელგანთქმული ბომონი, ხოლო თვით ეს ადგილი მთელ ამ მხარეში იმ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული კერა უნდა ყოფილიყო. „დიუბუას აზრით, – წერდა ექვ. თაყაიშვილი, – მარტვილი აშენებულია იმ ადგილზე, სადაც წინეთ საკერპო ტაძარი იყო და ზოგიერთი ნამტვრევები ამ ტაძრისა ჩაყოლებულია მარტვილის ეკლესიის კედლებში. დიუბუას შემდეგ მარტვილის ეკლესია სრულიად განუახლებიათ და გარედან ეკლესიას დაუკარგავს ძველებური სახე და უმეტესი ნაწილი იმ ქანდაკებათა ნაშთებისა, რომელნიც ჩატანებული ყოფილა ძველ კედელში“.[1]

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ სახელგანთქმულ კერპს კულტურული კოლხეთის ყოველმხრივ მდიდარ და განვითარებულ ადგილას ექნებოდა ქართულ სტილზე აგებული საკუთარი  წარმართული ტაძარი. ცნობილი მკვლევრის დიუბუას მითითება ამ არქიტექტურულ ფრაგმენტებსა და ქანდაკებებზე სავსებით გვარწმუნებს ამ აზრის სისწორეში. ისედაც ცხადია, რომ ბოლნისი, მცხეთის ჯვარი, მარტვილი არ აიგებოდა, თუ ხალხს დიდი ხნით ადრე შემუშავებული არ ექნებოდა ეროვნული მხატვრულ-არქიტექტურული ტრადიცია და სტილი. განსვენებული პედაგოგისა და კულტურის ძეგლთა უანგარო, თავდადებული მცველის – ნიკოლოზ ოსიძის მითითებით, სამხრეთის სამხროს სვეტზე კედელში ჩვენ აღმოვაჩინეთ სამშენებლო ქვად ჩართული ჩუქურთმიანი ფრაგმენტი, სვეტის ეს ბათქაშმორღვეული კედელი რელიეფებითა და ჩუქურთმებით არ არის შემკობილი და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩუქურთმიანი ფრაგმენტი მშენებლობის დროინდელი ჩანართია. იგი გამოყენებულია არა მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ სამშენებლო მიზნით. ფრაგმენტი 9-10 სმ-ია; სისქით 6 სმ-ს აღემატება. მის ერთ მხარეზე არის მოგლუვებული, გრეხილ არშიად ქცეული გონიო. მასზე შემორჩენილია რელიეფურად ამოკვეთილი, შუაში ამოღარული ორი ზურგულა და მათ შორის ირიბად ჩაკვეთილი ფართო ზურგულათშორისი ღარები. გონიო მარჯვნივ ჩასმულია რელიეფურად ამოკვეთილ და შუაში ამოღარულ ზურგულა არშიაში. არშიაზე ამოკვეთილია მცენარის შესანიშნავად გამოყვანილი ფოთოლი. მონამტვრევის გონიოებზე არის რელიეფურად ამოკვეთილი და შუაში ამოღარული ხაზულები, რომლებიც, ეტყობა, ფოთლის ან მცენარის ტოტების გაგრძელებას წარმოადგენდა. ეს ფრაგმენტი პირვანდელი ტაძრიდან აღებული ერთეული უნდა იყოს. იგი ფაქიზი შესულებითა და მხატვრული ჩანაფიქრით შესანიშნავ

[1] ექ. თაყაიშვილი, „ძველი საქართველო“, ტ. III, გვ. 39-40.

შთაბეჭდილებას ახდენს. ხელმყოფის მიერ კედლიდან ამოძრობილი ეს ფრაგმენტი ახლა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

წარმართობა დიდხანს, ჩვენი წელთაღრიცხვის შემდეგაც ბატონობდა კოლხეთში. მართალია, არსებითი ცვლილება მოხდა მსხვერპლად შეწირვის რიტუალში, მაგრამ ხისა და ცის მნათობთა თაყვანისცემის წარმართული წესები მაინც ძალაში რჩებოდა და კვლავინდებური ექსტაზითა და რელიგიური სასოებით სრულდებოდა. ჭყონდიდი კვლავაც ინარჩუნებდა მთელი კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრის მნიშვნელობას; იგი „არგუეთ-კლისორის“ გზაზე კვლავ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი და ეკონომიკური ცენტრი იყო.

## მარტვილის ტაძრის მშენებლობა და მისი საეპისკოპოსო კათედრალად გადაქცევა

ქრისტიანობა საქართველოში ორი მიმართულებით მოედინებოდა: ბიზანტიის გავლენით ზღვისპირეთის ახალშენები და რომაული გარნიზონები ამ რელიგიის ქადაგების პირველი კერები გახდა. აქედან ქვეყნის სიღრმეშიც შევიდნენ; ასევე, სირიისა და პალესტინის გზით სამხრეთ საქართველოში შემოვიდნენ ქრისტეს სჯულის მქადაგებელნი და ქალაქად თუ სოფლად ავრცელებდნენ ქრისტეს მოძღვრებას, რომელმაც ყველაზე ადრე და მასშტაბურად დასავლეთ საქართველოში მოიკიდა ფეხი.

გადმოცემის თანახმად, საქართველოში ღვთისმშობელ მარიამის რწმუნებით წმინდა მოციქული ანდრია იქნა გამოგზავნილი. ანდრია პირველწოდებული „ქართლის ცხოვრების“ და სხვა გვიანდელი ქრისტიანული წყაროების გადმოცემით, პირველი საუკუნის მოღვაწეა. ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ანდრიამ მორწმუნეთა თვალწინ შემოჰკრა ნაჯახი და ჩათალა დიდი მუხა, მაგრამ თვითონ უვნებელი დარჩა.[1] ამის შემდეგ ირწმუნა ხალხმა ხის უძლურება, დაგმო და მოჭრა იგი. რასაკვირველია, ამ გადმოცემას არავითარი ისტორიული დამოწმება, უტყუარი წყაროებით დადასტურება არ ახლავს. ერთი კი ნამდვილად სწორეა, რომ მორწმუნენი თანდათანობით მქადაგებელთა, მოციქულთა გავლენის ქვეშ ექცეოდნენ. მათი ქადაგების გავლენით კერპისადმი შიში გაუნელდათ და უკვე პატივაყრილი კერპი მორწმუნე ქრისტიანთა ხელით მოიჭრა და განადგურდა. ეს ერთბაშად, ქრისტიანობის ქადაგებისთანავე ვერ მოხდებოდა. ამ პროცესს ასეული წლები დასჭირდებოდა. „დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე, ქრისტიანობის ქადაგების დასაწყისი და გავრცელება 325 წლამდე გაცილებით უფრო

[1] ნ. ოსაძის, მ. ხელაიას და სხვათა გადმოცემები, გმმ სამეცნიერო ფონდი.

ადრე უნდა ვიგულისხმოთ“, – წერდა ივ. ჯავახიშვილი.[1] ამ დროს უკვე არსებობდა ტრაპიზონისა და ბიჭვინთის საეპისკოპოსოები.

ბუნებრივია, რომ დასავლეთი საქართველო და, კერძოდ, სამეგრელო, რომელიც დიდხანს რომის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო შემდეგ ბიზანტიის კულტურულ და ეკონომიკურ გავლენას განიცდიდა, თავდაპირველი გზა იყო საქართველოს სხვა მხარეებისაკენ, მისი გულისაკენ. სამეგრელოში ასე ადრე გავრცელებულმა რწმენამ არაერთხელ განიცადა სასტიკი დევნა კერპთაყვანისმცემლებისა და საერო ხელისუფალთაგან. ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან სჯულის დატევება, განუწყრა და წარავლინნა ერისთავნი მისნი, და იძულებით კუალადვე მიაქცივნა მეგრელნი და დამალეს ხატნი და ჯუარნი, და შერისხნა მეფე ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ მშუიდობით განუტევა ანდრია მოციქული“.[2] მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო დაგმობილი რელიგიიდან ქრისტიანობა თანდათან სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა.

ქრისტიანობის იდეურ და პოლიტიკურ გამარჯვებას, ცხადია, უნდა მოჰყოლოდა წარმართთა ტაძრებისა და კერპთსაუფლოების მოშლა და მათ ნანგრევებზე, ტრადიციულად დაწესებულ რელიგიურ კერებზე, ახალი ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების აგება.

შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდის შეცვალა წარმართული ჭყონდიდი ქრისტიანულმა ჭყონდიდმა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ მდებარეობასა და ეკონომიკურ მდგომარეობას შიდა სამეგრელოში, კერპის მოჭრა და ქრისტიანული ეკლესიის დაარსება ქრისტიანული რელიგიის გაბატონებისთანავე ან შესაძლოა, უფრო ადრეც მომხდარიყო.

აღნიშნულ საკითხზე მრავალი გადმოცემაა შემორჩენილი. ერთ-ერთის თანახმად, ქრისტიანმა მოციქულებმა ჭყონის მოჭრის შემდეგ ნახარებაოში, იქ, სადაც დღეს ნახარებოს ეკლესია დგას, ხალხს ახარეს და უქადაგეს კერპის მოჭრისა და ქრისტიანული რელიგიის გამარჯვების შესახებ.[3] ამის შემდეგ ამ ადგილას და კერპის გადანაჭერზე მათ თავიანთი მცირე სენაკები გამართეს. ცხადია, სანამ ქრისტიანობა ისე გაძლიერდებოდა, რომ შესაძლებელი გახდებოდა მონუმენტური ნაგებობის აგება ძველი წარმართული ტაძრის ნაცვლად, მანამ აქ ხის პატარა სენაკები იქნებოდა მოწყობილი. შემდეგში, ალბათ, დააარსეს წამებულთა სახელობის მონასტერი (იმ წამებულთა, რომელთაც კერპთაყვანის-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 231.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 42.

[3] ს. ოსიძის, მ. ხელაიას, გ. გაბისონიას მოგონებები, გმმ სამეცნიერო ფონდი, № 15.

მცემელნი კერპს მსხვერპლად სწირავდნენ საუკუნეების განმავლობაში). „მარტვილი ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდებენ, მესხნი ყრმასა უწოდენ“, – განმარტავს საბა.

**ნახარებაოს ტაძარი. XVIII ს.**

ასეთი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და ეკონომიკური პუნქტი ქვეყნის შიდა რაიონში, სერიოზული მნიშვნელობის რეგილიური კერა, რომელიც დიდი გზის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე მდებარეობდა, ცხადია, ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისა და მსხვილი სამონასტრო და საეპისკოპოსო კერების შექმნის ეპოქაში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო-საგანმანათლებლო ცენტრად უნდა ქცეულიყო. და მართლაც, VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ჩაეყარა საფუძველი მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ცნობილ მონუმენტურ ტაძარსა და მონასტრის სხვა ღირსშესანიშნაობებს. ცნობილი ქართველოლოგი მარი ბროსე, ცნობილი მკვლევრები – დიუბუა დე მონპერე და დიდი ქართველი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი, ძეგლის გულმოდგინე შესწავლისა და მისი არქიტექტურულ-მხატვრული განხილვის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ძეგლი სწორედ VI-VII საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. ექვთიმე თაყაიშვილი თავის ცნობილ ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“ წერს: „მარტვილის ეკლესიის თავდაპირველი გეგმა სრულიად ისეთი იყო, როგორც

ჯვარის ეკლესიისა მცხეთის მახლობლად, ატენის სიონისა და ძველი შუამთისა კახეთში. ამ გეგმის ეკლესიები ეკუთვნიან მე-7-8 საუკუნეს“.[1] დავა ტაძრის აგების შესახებ გამოიწვია „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობამ, რომელსაც ერთხმად იმოწმებენ ძველი და ახალი დროის მეცნიერები, რომ დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა“) მეფე გიორგი II (922-957 წწ.) „განაგნა და განაწყუნა ყოველნი საქმენი მამულსა ან სამეფოსა მისსა, აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტუილთათა“.[2] ეს ცნობა დამოწმებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. აქ ერთი რამ არის ყურადსაღები: X საუკუნეში ნაგებ გრანდიოზულ ტაძარს იმავე საუკუნეში, რამდენიმე წლის შემდეგ, არ გადააკეთებდნენ. სხვა რომ არა იყოს რა, ჯვრის ტიპის შესანიშნავ ნაგებობას შედარებით უფრო სუსტ წაგრძელებას არ მიადგამდნენ, რადგან იმავე საუკუნეში ასეთი საჭიროება არც იქნებოდა. ეს აუცილებელი გახდებოდა, მაშინ, როცა საუკუნეთა ქარტეხილებში გამოვლილი საეკლესიო ნაგებობა, მრავალგზის დარბევისა და მიწისძვრით მიყენებული ზიანის შემდეგ, აღდგენის საჭიროების წინაშე დადგებოდა. ამ მოვლენათა გამო იძულებული იქნებოდნენ, პირვანდელი კედელი სწორი და შედარებით სუსტი მხატვრულ-არქიტექტურული წაგრძელებით დაეფარათ. როგორც ცნობილია, მარი ბროსეს ეკლესიის კედელზე უპოვნია ხუცური წარწერა, რომელიც ასე ამოუკითხავს: „[ღმერთო შეიწყალე] მეფე აფხაზთა [და ქართველთა ორთავე შინა] ცხოვრებათა აღაშენა წმინდა ესე სანათლა[ვი]... დასაბამითგანთა წელთა... ქორონიკონსა სივ:“[3]

ქორონიკონი ამ წარწერისა უდრის 996 წელს, ბაგრატ III მეფობის დროს. მაშასადამე, 922-957 წლებს შორის აშენებული ტაძრისათვის 996 წელს, ე. ი. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მიუშენებიათ სანათლავი, კარიბჭე, რომელსაც სრულიად დაუფარავს ეკლესიის დასავლეთ ფასადის შესანიშნავი მხატვრობა. სრულიად გაუგებარია, რა საჭიროებას უნდა გამოეწვია ამ ფასადის ასეთი დამახინჯება (ეს მინაშენი არც საძვალეა, არც მსგავსი სხვა რამ დანიშნულების სათავსია) იმ დროს, როდესაც ტაძარი საკმაოდ ვრცელია და სათავსის სიმცირე არ იგრძნობა. თავისთავად ცხადია, სხვა მოსაზრებებს და უტყუარ ფაქტებს თავი რომ დავანებოთ, ეს მოსაზრებაც ეჭვის ქვეშ აყენებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობის სისწორეს.

---

[1] ძველი საქართველო, 1914, ტ. III, გვ. 40.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 265.

[3] ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 41.

**მარტვილის საკათედრო ტაძრის დასავლეთ ფასადი. მაცხოვარი მაკურთხეველი მარჯვენით. X ს.**

VI-VII საუკუნეებს შორის ნაგებმა ამ არქიტექტურულმა ძეგლმა, დიდმნიშვნელოვანმა რელიგიურმა კერამ, არაერთხელ განიცადა გადამთიელ მოძალადეთა მხრიდან აოხრება-განადგურება. არაბთა მრავალგზის დამარბეველ და გამანადგურებელ ლაშქრობებს ცოტა ზიანი როდი მიუყენებია ძეგლისათვის. „ახლა მურვანმა განიზრახა – წერს ს. მაკალათია, – თვით ეგრისში გაელაშქრნა. მურვანის ჯარი დაბანაკდა ჭყონდიდის ან მარტვილის მიდამოში და აქედან მურვანმა გაილაშქრა და აიღო ციხეგოჯი“.[1] არსებობს გადმოცემა, რომ მურვანმა მონასტერი გამოაწვევინა და ცხენის თავლად აქციაო.[2] ამ ბარბაროსი სარდლის ლაშქრობას დაუზიანებლად ვერ გადაურჩებოდა ტაძარი და ზოგადად, მთელი სამონასტრო ანსამბლი. ეს რომ ასე უნდა ყოფილიყო, ისიც მიუთითებს, რომ არაბთა სარდალს ციხეგოჯისაკენ მხოლოდ ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი გზით შეეძლო წასვლა. ამ გზაზე კი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ჭყონდიდი, ანუ მარტვილი იყო. თუ არაბებმა ასხის მთაზე გამართეს საიმედო სიმაგრე სვანეთის შესაკრავად, ციხეგოჯის შესამუსრად უეჭველად აქ დაბანაკდებოდნენ. მტრის ამ შემოსევა-დაბანაკებას მხოლოდ დიდი ზიანის მოტანა შეეძლო. ასე დანგრეული და იავარქმნი-

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1940, გვ. 67-68.

[2] ე. გეგიას, ნ. ოსიძის, გ. გაბისონიას და სხვათა გადმოცემები, გმმ სამეცნიერო ფონდი, №16.

ლი ნაგებობა სერიოზულ აღდგენა-აშენებას მოითხოვდა და, როგორც ჩანს, მთავარი სარესტავრაციო სამუშაოს წარმართვა სწორედ გიორგი II-ის დროს მოხდა. ეს ისეთი სერიოზული სამშენებლო ღონისძიება იყო, რომ თითქმის ხელახლა აშენებას უდრიდა. გარდა ამისა, ამ რელიგიური კერისა და არქიტექტურული ანსამბლის სერიოზული აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვდა ერთი პოლიტიკური ვითარებაც: ამ ხანებში ყოველმხრივი ბრძოლა წარმოებდა საქართველოს ეკლესიაზე ბიზანტიის გავლენის აღმოსაფხვრელად და დამოუკიდებელი ეკლესიის შესაქმნელად. თუ ბიზანტიური გავლენის კერები ზღვისპირეთი და აქ არსებული საეპისკოპოსო კათედრები იყო, ქართულ სამეფო კარს და საქართველოს ეკლესიის მესვეურთ ეს კერები უნდა მოესპოთ და თვითმყოფადი ეკლესიის კერები ქვეყნის შიდა რაიონებში გადაეტანათ. ეს ღონისძიება რომ განეხორციელებინათ, საჭირო იყო საეპისკოპოსო-საკათედრო ტაძრების კეთილმოწყობა, ზოგის აგება, ზოგის აღდგენა და ხელახლა „აღშენება“. რადგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ასეთი კერა ჭყონდიდის, მარტვილის ტაძარი იყო, მეფე გიორგიმ გადაწყვიტა მისი სერიოზული აღდგენა და საეპისკოპოსოდ გადაქცევა, რაც შეასრულა კიდეც. „აფხაზეთის მეფის გიორგი II დროს (922-957 წწ.) გაუქმებულ იქნა ზღვის სანაპირო ზონაში ფასისის კათედრა და იგი გადატანილ იქნა შიდა მხარეში, ახალ ცენტრში – ჭყონდიდში“, – წერს პავლე ინგოროყვა[1]. ამ სერიოზულ აღმშენებლობით და პოლიტიკურ მოვლენას „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე, რასაკვირველია, სხვანაირად ვერც შეაფასებდა. ამრიგად, უტყუარად შეიძლება დადგინდეს, რომ მარტვილის ტაძარი ადრე ნაგები ძეგლია, რომელიც გიორგი II-ის დროს აღუდგენიათ.

ბუნებრივად იბადება შეკითხვა: თუ ასეთი სერიოზული აღდგენითი მუშაობა ჩაატარა გიორგი II-მ, მაშინ იმავე საუკუნეში, რამდენიმე წლის შემდეგ, რატომ დასჭირდათ მისთვის ნაგებობის მიშენება და ამით დასავლეთ ფასადის დაფარვა? რადგან ძეგლი დაზიანებული იყო და მის აღდგენას სერიოზული აღდგენითი სამუშაოების ჩატარება დასჭირდა, თავისთავად ცხადია, რომ ერთხელ, თუნდაც გულდასმით აღდგენას არ შეეძლო მშენებლობის ყველა ნაკლის შევსება. ამიტომ საჭირო გახდა ასეთი ღონისძიების განმეორება. ამ ღონისძიების დროს სანათლავის მიმატების საკითხიც დადგა დღის წესრიგში და, აი, ეს დასავლეთ კარიბჭეც მიუშენეს; სხვა მიზეზით მისი გამართლება ყოვლად შეუძლებელია.

მაშასადამე, დღეს საყოველთაოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ ტაძარი აგებულია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე. ეს მოსაზრება

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 249.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში წამოაყენა და ღრმა მეცნიერული კვლევით დაადასტურა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა, რომელიც ძეგლის მხატვრულ-არქიტექტურული შესწავლისას ეყრდნობოდა ნ. სევეროვის არქიტექტურულ ანაზომებს. იგი წერს: „ატენის სიონის, ძველი შუამთის, აგრეთვე მარტვილის აშენება, უშუალოდ დამოკიდებული მცხეთის ჯვარზე, ეკუთვნის მე-7 საუკუნის დამდეგს“.[1] ხოლო ძეგლის აგების შესახებ არსებული სხვა ცნობები და, მათ შორის „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ დამოწმებული ცნობა მხოლოდ მის აღდგენასა და გადაკეთებაზე მიუთითებს.

ტაძრის საეპისკოპოსო კათედრად გადაქცევამ კიდევ უფრო აამაღლა ჭყონდიდის მნიშვნელობა სრულიად საქართველოს მასშტაბით, აგრეთვე ხელი შეუწყო მის კულტურულ ცენტრად გარდაქმნას.

## მარტვილის მონასტრის არქიტექტურული ანსამბლი

მარტვილის მონასტრის არქიტექტურული ანსამბლი (დღევანდელი სახით) შედგება რამდენიმე ერთეულისგან. მთელ ანსამბლს შემოვლებული აქვს მაღალი, მძლავრ ბურჯებზე დაყრდნობილი გალავანი, რომელიც აშენებულია სხვადასხვა დროს; შემონახულია უძველესი ნაგებობის ნაშთებიც. გალავნის უმეტესი ნაწილი უფრო გვიანდელი დროისაა.

კედელი გამაგრებულია ერთმანეთისგან 5-6 მ-ით დაშორებული ქვითკირის ბურჯებით. გალავანი ნაგებია რიყის ქვით და დატანებული აქვს კერამიკული მილაკები – წყალსაწრეტი ღარები. ზოგან ჩართულია ნათალი და მხატვრულად გაფორმებული ლოდები. ეტყობა, ეს ჩანართები უფრო გვიან დროს ეკუთვნის; განსაკუთრებით აღსანიშნავია მსგავსი ჩანართები სამხრეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. სამხრეთით, გალავანში ჩაყოლებულია რამდენიმე ლოდი, რომლებზეც რელიეფურად ამოკვეთილია სამკუთხოვანი სხეულები. სამკუთხედის წვეროები მცირე რკალით იკვრება. ეს ლამაზი გეომეტრიული ხაზულები ჩამჯდარია ლამაზ, რელიეფურ არშიაში. ლოდის ფორმა თაღოვანია. ეტყობა, ეს ქვები (აქ ისინი ხუთზე მეტია) ჩამოხსნილია წინანდელი ნაგებობის ლამაზად გაფორმებული თაღებიდან. გალავანში, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ჩართული ოთხკუთხა სათავსის გარე კედლებზე მრავლადაა გამოყენებული ძველი ნაგებობის კედლებიდან ჩამოცვენილი ლოდები. ერთ ლოდზე ნუსხა-ხუცური წარწერაა. ერთზე რელიეფურად ამოკვეთილია შესანიშნავი ჯვარი. სხვაზე შემორჩენილია ზოგან მხატვრულად გაფორმებული გონიო, ზოგან რელიეფური მხატვრობის ნაშთი. გალავანი

[1] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, გვ. 139.

სხვადასხვა დროსაა განახლებულ-გადაკეთებული. ეს ნაშთები გალავანში სამშენებლო ქვებად არის ჩართული სხვადასხვა დროს, მონასტრის არქიტექტურული ერთეულების მშენებლობის ან გადაკეთებისას. გალავანს ოვალური ფორმა აქვს. დასავლეთი რკალის მთელ მონაკვეთს გარედან თახჩებიანი კედელი მიუყვება. ამ მონაკვეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებთან ყოფილა ქვითკირის სხვა მინაშენები, რომელთა ერთ-ერთ კედლად თვით გალავანი გამოუყენებიათ. ამიტომაა მასზე თახჩები და მინაშენისეული ნაშთებიც. ეტყობა, ისინი ბერთა მცირე სენაკები და სხვა საყოფაცხოვრებო ნაგებობანი იყო. ჩრდილოეთ მხარეს დახურული მარანი ყოფილა. აქ ჩაკირულია უზარმაზარი ქვევრები, რომლებზეც არის უძველესი მხატვრული ხაზულებიც. აქვე, ჩრდილოეთ მხარეს, მონასტრის ეზოში შესასვლელი ნაგებობის – ჭიშკრის მცირე დახურული სათავსის კვალიცაა დარჩენილი. თუმცა იგი ძალიან ადრეული არ უნდა იყოს, მაგრამ აგურის თავისებურება და მისი შენებლობითი წყობა გვარწმუნებს, რომ უკანასკნელ საუკუნეებს არ უნდა ეკუთვნოდეს. აღმოსავლეთ მხარის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდურზე, როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირ გალავანში ამოყვანილია ოთხკუთხა სათავსი. ოთხი-ოთხნახევარი მ-ის სიმაღლეზე არის სართულთშორის გადახურვის კვალი. აღმოსავლეთით ამ სათავსს დატანებული აქვს ერთი ვიწრო სარკმელი, ჩრდილოეთით – ერთი კარი. დასავლეთ მხარეს, ძეგლის ეზოს ქვეშ, არის აგურით ამოყვანილი გვირაბის პირი, რომელიც შესასვლელიდან მეტრნახევარი სიღრმის შემდეგ ამოვსებულია. როგორც გადმოგვცემენ, ამ სათავსის ზემოთ ბერის ფიცრული სენაკი იდგა, ხოლო ეს სარდაფის მსგავსი ოთახი გამოყენებული ყოფილა სტუმრების დროებით მისაღებად. აქვე უნდა ყოფილიყო მცველთა ბინაც, რომლის წინ, დამრეც ველზე, არის ერთიმეორის გვერდით ჩაყრილი უზარმაზარი ამოკირული ქვევრები. ეტყობა, მონასტრის მომსახურე პერსონალი ღვინოსა და ჭირნახულს აქ ინახავდა. განსაკუთრებით საინტერესოა გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდური, რომელიც რკალად ეკვრის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლების შესაყარს. იგი დაშენებულია უძველესი კედლის საკმაოდ მაღალ პიედესტალზე. აღმოსავლეთ მხარეს, გალავანში, გზიდან მონასტრის ეზომდე, შედის თლილი ქვის საფეხურები. გალავნის კედელში ვიწრო კარია დატანებული. ეტყობა, იგი უფრო გვიანაა გაკეთებული.

**ჩიქვანთა ეკლესია. X ს.**

გალავანის ჩრდილოეთ ნაწილში დგას სამსართულიანი ჯვრის ტიპის პატარა ეკლესია. ამ ნაგებობის პირველი სართული გალავნის ქვემოთაა ამოყვანილი. სართულთშორის გადახურვა თაღოვანია. სათავსი სწორკუთხოვანია და აქვს თაღოვანი ჭერი. აღმოსავლეთის მხარეზე მას კანკელი ჰქონია. აქ დღესაც დაცულია თლილი ქვის ტრაპეზი. კედლებში დატანებულია თახჩები. სინათლე მხოლოდ ჩრდილოეთით გაჭრილი კარიდან შედის. შესაძლებელია, რომ იგი მცირე სენაკი – სამლოცველო იყო. კედლებში დღეს დარჩენილია თაღების საყრდენი სვეტისთავები. თაღების ქვემოთ სიცარიელე შემდგომ ამოქოლილია, რაც კარგად შეიმჩნევა შიგნითა და გარეთა ბათქაშაცვენილ კედლებზე. ამ სართულზე ჩრდილო-დასავლეთ მხრიდან იწყება ლამაზი პროპილეი, რომელიც თაღოვან კარებში შედის და თლილი ქვის საფეხურებით გადის ამ ნაგებობის მეორე სართულზე. თაღურად გადახურულ ტალანში, რომელსაც ჩრდილოეთის მხრივ სამი სარკმელი ჰქონდა დატანებული, ჩაწყობილი იყო საფეხურები, რომელიც მცირე ქვითკირის მოედნიდან ბრუნდებოდა სამხრეთისაკენ და ადიოდა სამსართულიანი ნაგებობის მეორე სართულზე, საიდანაც თავისუფლად შეიძლებოდა შესვლა მონასტრის ეზოში. ეს, როგორც ეტყობა, უძველესი დროიდან ერთადერთი და საიმედოდ დაცული ოთახი ყოფილა. ოთახი ამოყვანილია ძველი აგურისა და ქვის წყობით. კედლებს დატანებული აქვს თახჩები. აქედან, მეორე სართულის კიბის ქვეშ, თლილი ქვის საფეხურები შედის გვირაბში, თუ საიდუმლო

სათავსში, რომელიც დღეს ამოვსებულია. ოთახი მხოლოდ სანთლით თუ ნათდებოდა, მას არსაიდან აქვს სარკმელი და არც სხვა, თუნდაც უმნიშვნელო, სამზერი. ტალანში, ჩრდილოეთით, ვიწრო კარი გადის. 1952 წელს, ძეგლის გაწმენდისას, აქ საიმედოდ დაცული სამარხი აღმოჩნდა. სამარხში მიცვალებულის ძვლებთან ერთად იყო საოჯახო ჭურჭელი (დოქები, ქოთნები და სხვ.), რომელთა ნაშთები დაცულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. როგორც ჩანს, ცხედრის დამარხვის შემდეგ ოთახი ამოუქოლავთ, ამოუვსიათ და საიდუმლოდ დაცული, მიუვიწყებიათ. გათხრისას სამარხით ნაკლებად დაინტერესებულან, ამიტომ იგი მეცნიერული შესწავლის გარეშე დარჩენილა და ნაშთები გაფანტულა. საჭირო დასკვნების გაკეთება დღეს უკვე ვეღარ ხერხდება.

თაღედებზე დაყრდნობილ ოთახის გუმბათოვან ჭერს, რომელიც ძლიერ დაზიანებულა, მაინც ეტყობა მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული ფრესკების კვალი. ცარიელ და ვრცელ თაღედებს შორის სივრცე შემდეგ ამოუვსიათ, ოთახის აღმოსავლეთით თლილი ქვის მცირე ტრაპეზი დაუდგამთ და უქცევიათ სამლოცველოდ, საიდანაც მონასტრის ეზოსკენ გასასვლელი კარი გაუჭრიათ.

მეორე სართულზე დაშენებულია ადგილობრივი ტუფით მოპირკეთებული და გარედან ლამაზად გაფორმებული მესამე სართული. იგი ჯვრის ტიპის ნაგებობაა. ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით მას დატანებული აქვს თითო სარკმელი. შიგნითა სათავსის აღმოსავლეთით დგას თლილი ქვის ტრაპეზი. კედელში არის მცირე ნიშები, რომლებიც თაღისებრ იჭრება აფსიდებში. მასზე დადგმულია მაღალი და მრგვალი გუმბათი, 6 ვიწრო სარკმლით. იგი შორიდან გარკვევით ჩანს და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. ამ ნაგებობის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „ჩრდილოეთის მხრივ ეკლესიისა (იგულისხმება მთავარი ტაძარი – გ. ე.), ფერდობზე, პატარა თლილის ქვის სამსართულიანი ეკლესია არის ჯვრის გეგმისა, სრულიად შებურვილი სუროთი (რესტავრაციის შემდეგ ძეგლი გათავისუფლდა სუროსაგან. – გ. ე.). სილამაზე ამ ეკლესიისა სწორედ მომხიბლავია და მარტო ამის სანახავად ღირს, რომ კაცი გაემგზავროს მარტვილში“.[1] სართულის გარეგანი ფორმა, როგორც ზემოთ ითქვა, ჯვრისებრია. ფასადები შვერილებს წარმოადგენს, ხოლო კედლების შესაყარი წიბოები ქმნის ვიწრო სამკუთხოვან ნიშებს; შვერილები სახურავისკენ სამკუთხედად ვითარდება და ქმნის ისრის წვერისებრ სახურავს, რომლის ჩაღმართი ფრთები იკვრება ნიშების თავზე. ფასადებზე თაღოვანი სამი რელიეფური არშიაა თვით შვერილის შუ-

[1] ძველი საქართველო, ტ. III, 1914, გვ. 43.

ბლამდე. შუა არშია ფანჯრის პირდაპირ საკმაოდ მაღლა ადის, დანარჩენი ორი კი შედარებით დაბლა არის ამოკვეთილი კედლის მთელ მასივზე. ეს არშიები ისეთნაირადაა გაწყობილი, რომ კედლისა და სახურავის თავისებურ მდგომარეობას ჰარმონიულად ერწყმის. ასევე ნაზ ხაზულებშია გადაწყვეტილი ფანჯრის არშიებიც. მასიური რელიეფური არშიები გასდევს ნიშის კედლებსა და გუმბათის მთელ ყელს, სარკმლების ირგვლივ შესანიშნავადაა გაფორმებული გუმბათის წრიული კოზმიდიც.

ამ სათავსს დასავლეთის მხრიდან დატანებული აქვს კარი, რომლისკენაც მონასტრის შიდა ეზოდან საფეხურები მიემართება და კარის წინ მცირე ქვითკირის მოედნით მთავრდება. კარის ჩარჩოებზე ყოფილა მხედრული წარწერა, რომელიც ამოუკითხავს და გადმოუწერია ექვთიმე თაყაიშვილს: „...თქვენისა ფარვისამან სახლთუხუცესმან ჩიქოვანმა გიორგიმ საცხოვრებლად მრჩობლთა შინა ცხოვრებათა თვით და მეუღლისა ჩემისა...“.[1] სხვა წარწერის კვალი მასზე დაცული არ არის. მხოლოდ სამხრეთით, აფსიდის ფრთებზე შემორჩენილი იყო შესანიშნავად შესრულებული ორი ფრესკა: ერთი – დასავლეთით, მათე მახარებლისა (ფრესკა მთლიანად ჩამოშლილა, გარდა შარავანდედისა და მახარებლის პირისახის ცხვირისზედა ნაწილისა), მეორე – აღმოსავლეთით, შარავანდედიანი გამოსახულება და სახე ლუკა მახარებლისა. ფრესკა წარმოადგენს ხელოვნების შედევრს. ისე შესანიშნავადაა მოხაზული მაღალი, ოლიმპიური შუბლი, მასზე კულულებად გადმოყრილი შევერცხლილი თმა, მეტყველელი თვალები, ბრძენის ხშირი წარბები, რომ ძალაუნებურად გიზიდავს და გიპყრობს. ფრესკას შემორჩენილი აქვს ნუსხა-ხუცური წარწერა: „მახარობელი ლუკა“. ამ ორ ფრესკას სპეციალისტები XIV საუკუნეს მიაწერენ. აღმოსავლეთის სარკმლის ნიშში წმინდა გაბრიელ მთავარანგელოზი იყო ჩახატული. მართალია, ისიც ამავე დროით თარიღდება, მაგრამ, შესრულების თვალსაზრისით, შედარებით სუსტია.

აგების სტილითა და თავისებურებით ეს მცირე ტაძარი ერთ-ერთი ულამაზესი და იშვიათი ნაგებობაა. იგი მონასტრის სხვა ერთეულთა შორის ყველაზე ადრინდელია. ეტყობა, მთავარი ტაძრის აგების პერიოდში (VII ს.) გაკეთდა ამ ეზოში ეს მონუმენტური შესასვლელიც.

ეკლესიას „ჩიქვანების ეკლესიას“ უწოდებენ. როცა ჩიქვანები იმდენად აღზევდნენ, რომ სამეგრელოში პირველკაცები, მეფის კარის წარჩინებული მოხელენი და სალიპარტიანოს მეპატრონენი გახდნენ, მათ ეკლესია თავიანთ განსაკუთრებულ სალოცავად აქციეს, მოახატინეს და

[1] იქვე, გვ. 43.

შეამკობინეს. ამაზე მეტყველებს ზემოთ მოტანილი წარწერაც. იგი XVIII საუკუნეში შესრულდა.

**მარტვილის საკათედრო ტაძარი (VII, X სს.) და სვეტი (XI ს.)**

მონასტრის ანსამბლის მეორე, მცირე ერთეულია „სვეტი". „სამხრეთ-დასავლეთისაკენ ეკლესიისა ამართულია ოთხკუხედი მაღალი სვეტი, რომელზედაც მესვეტის საცხოვრებელი ეკლესია-ოთახია" (ე. თაყაიშვილი).[1] სვეტს სამხრეთი მხარე მონგრეული აქვს, მხოლოდ ჩრდილოეთი ნახევარი შემორჩენილია სახურავამდე. სახურავი შუაზეა გაპობილი. „სვეტი" აგების თავისებურებათა მიხედვით ორ სხვადასხვა დროს უნდა იყო აშენებული და შემდეგ გადაკეთებულ-გამაგრებული. მისი გეგმა მართკუთხედის ფორმისაა. სიმაღლე 20 მ-ზე მეტია. გვერდების სიგრძე 5 მ-ს აღემატება. უძველეს კედელს ეტყობა, რომ მესვეტის სამყოფი ან კოშკის ოთახი იყო. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები მასიურია. დასავლეთითა და აღმოსავლეთით – თაღებია. თაღებს შორის სივრცე თავისუფალ გასასვლელს წარმოადგენდა თავის დროზე. კოშკური ოთახის მხოლოდ ჩრდილოეთ ნახევარია შემორჩენილი. მასზე პატარა ნიშები და ბუხრის ნაწილი არის. შიდა კედლებზე მხატვრობის ნიშნები არ არის. სვეტს შემორჩენილი აქვს სახურავის ჩრდილოეთი ფრთა. როგორც ეტყობა, სახურავი ორფრთიანი იყო. გადახურულია ახალი კრამიტით. გარედან სვეტი შესანიშნავად არის მოჩუქურთმებული. კედლის ასე უხვი შემკულობა თვით ძირითადი ტაძრის კედლებზე არ არის. „აღ-

[1] ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. III, 1014, გვ. 43.

მოსავლეთის ნაწილზე ამ ეკლესიისა (ლაპარაკია კოშკურ ოთახზე – გ. ე.) მოჩანს ქანდაკება წელზევითი სვიმეონ მესვეტისა და საზოგადოდ ეს ნაწილი და მხარე სვეტისა შემკობილია ჩუქურთმებით და გრეხილებით" (ექ. თაყაიშვილი).[1] შესანიშნავ შთაბეჭდილებას სტოვებს სვეტის აღმოსავლეთ და დასავლეთი ფასადები. მასიური კედელი გაყოფილია ორ მცირე ნიშად, რომელთაც დაჰყვება რელიეფურად ამოკვეთილი ერთი თაღედური (იგი საფუძველთან სწორკუთხედის ფორმას ღებულობს) და მეორე სწორკუთხედი არშია. თითოეული არშიის სიგანე დაახლოებით 30 სმ-ია. არშიების გონიოები გრეხილითაა გაფორმებული, გული კი წნულ ჩუქურთმას წარმოადგენს. თაღებზე გაკეთებულია თაღედურად გათლილი ქვები, რომლებზეც მხატვრულად ამოჭრილ გეომეტრიულ სხეულთა შესანიშნავი მწკრივია ჩასმული ასევე ლამაზ, ბარელიეფურ გრეხილთა არშიაში... როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, ეს ქვები, ჩუქურთმოვანი არშიები, აღებულ უნდა იყოს სხვა ნაგებობიდან და გვიან უნდა იყოს ჩართული სვეტის გარე კედელში. ასევე ლამაზადაა გაფორმებული კოზმიდიც. საერთოდ, კოშკის ოთახი გარედან ისე მდიდრულადაა შემკული, რომ მას ძველად რაღაც სხვა დანიშნულება უნდა ჰქონოდა. შესაძლოა იგი მდიდრული საცხოვრისიც იყო. როგორც გადმოგვცემენ, უკანასკნელ დრომდე მასზე ბაგირის კიბით ადიოდნენ და მესვეტეებისაგან ლოცვა-კურთხევას იღებდნენ. „დიუბუას დროს, – წერდა ექ. თაყაიშვილი, – აქ კიდევ ცხოვრობდა მესვეტე და დაცული იყო კიბე, რომლის საშუალებითაც ხალხი ადიოდა და ჩამოდიოდა, რათა მიეღო რომანოზ მესვეტის ლოცვა-კურთხევა. მურავიოვის დროს აქ იყო მესვეტე იესე, რომელიც წინათ განმარტოებული ცხოვრობდა ტყეში და აქ რომანოზ მესვეტის გარდაცვალების შემდეგ" მოსულა.[2] როგორც გადმოცემები გვარწმუნებენ, ბერები, გარდა ქადაგებისა, ეწეოდნენ წიგნის გადაწერა-გავრცელების საქმესაც.

მონასტრის ნაგებობათა კომპლექსში შედიოდა აგრეთვე ულამაზესი სამსართულიანი სამრეკლო, რომლის სიმაღლე 20 მ-ს აღემატებოდა. იგი თლილი ქვით მოპირკეთებული და შესანიშნაგვი ჩუქურთმოვანი მოდილიონებით ყოფილა შემკული. 1825 წელს ბესარიონ ჭყონდიდელმა სამრეკლო ხელახლა ააგო. როგორც სამრეკლოს მშენებლობის ქვაზე არსებული წარწერა მოგვითხრობს, მან საფუძვლიანად დაანგრია ძველი, ალბათ, შედარებით დაბალი სამრეკლო და ააშენა ახალი, უფრო მაღალი, შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა. 1825 წელს შესრულებულ

[1] იქვე, გვ. 43.
[2] იქვე, 1914, გვ. 43.

წარწერაში ვკითხულობთ: „წელსა ქესით ჩყკე:. აგვისტოს კ ხელმწიფობასა ყდ უმაღლებულესისა და თთუით-მპყრობელესისა, ალექსანდრე პავლეს ძისა და მთავრობასა ღენერალ ლეინტელანტისა, სხვითა და სხვითა ორდენ კავალერისა მქონესა ლეონ გრიგოლის ძის დადიანისა: აღშენდა სამრეკლო ესე ყდ უსამღვდელოესისა სრულიად სამენგრელოისა მწყემსთ-მთავრისა ჭყონდიდელ მიტროპოლიტისა და კავალეროსნისა ბესარიონ კაცია დადიანის ძისა მიერ საფუძვლითგან დარღვეული მონაგებისა თუისსა წარგებითა“. ამის ქვემოთ იყო მეორე ქვა წარწერით: „ქე შეიწყალე ამისი კალატოზი გიორგი ქართველი ჯუბინაძე“[1]. სამრეკლო დაინგრა 1930 წელს.

კომპლექსში მთავარი ნაგებობა მარტვილის დიდი ტაძარია. იგი თავისი მხატვრული გაფორმებით გარდამავალი ეტაპია „მცხეთის ჯვრის“ მიერ დაკანონებული კედლის მხატვრულ გაფორმებასა და ახალ სტილს შორის, რომელიც VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ყალიბდებოდა.

**მარტვილის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის რელიეფური ფრიზი. ხარება (VII ს.)**

ტაძრის თავდაპირველი გეგმა ჯვრისებრია. მას ორმხრივ შვერილები და შვერილებს გვერდით ლამაზი ნიშები ჰქონია. სამხრეთით და ჩრდილოეთით შედარებით უფრო ვრცელი შვერილები ყოფილა, ვიდრე აღმოსავლეთითა და დასავლეთით. შვერილთა შუბლზე, ერთ კომპოზიციურ ჩარჩოშია ჩასმული მთელი ლავგარდანი, რომელშიც რელიეფურად ამოკვეთილი რამდენიმე კომპოზიცია უწყვეტ მოთხრობად გრძელდება ერთიმეორის მიყოლებით. ცალკეულ სიუჟეტურ ნაკვთებს შორის გადაშლილია შესანიშნავად შესრულებული მცენარეთა ტოტები, რომლებიც ცალკეულ სცენებს ერთმანეთთან აკავშირებს ორგანული მხატვრული

[1] იქვე, გვ. 44. ეს ქვები დაცულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

კავშირით. კოზმიდის ქვემოთ მოწყობილია შესანიშნავად გაფორმებული მოდილიონები წნეული ჩუქურთმით შესრულებული ჯვრებით, სხვადასხვა სახის დეკორითა და წმინდანთა გამოსახულებებით. ცალკეული სიუჟეტური ნაკვთი, თუ მხატვრული დეტალი ისეთი ოსტატობითა შესრულებული, რომ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველში და კარგ წარმოდგენას იძლევა ტაძრის ამგები ხუროთმოძღვრისა და მთავარი მხატვრის დიდ ხელოვნებაზე, მის ესთეტიკურ გემოვნებაზე. სწორედ ეს ლავგარდანები განასხვავებენ „მცხეთის ჯვრისაგან“ მარტვილის საკათედრო ტაძარს. თუ „მცხეთის ჯვარზე“ ცალკეული სიუჟეტური ნაკვთი, კომპოზიცია იზოლირებულ დეტალს შეადგენს, აქ ეს სტილი შეცვლილია ახალი, უფრო განვითარებული ხერხით – ლავგარდანის კომპოზიციური ერთიანობის სტილით. კედელი ჩუქურთმებითა და მხატვრული კომპოზიციებით არაა გადატვირთული. ფასადის ეს რამდენიმე დეტალიც კი სრულყოფილ და დიდებულ შთაბეჭდილებას ქმნის. იგი თავისუფლად, ძალდატანების გარეშე აღიქმება და ესთეტიკური სიამოვნებით ავსებს ადამიანს. ფასადის შემკულობის ეს მარტივი, მაგრამ კარგად მიგნებული ხერხი უდავოდ გამართლებული და გენიალურია, რომლის გამოყენებაში საუკეთესოდ დახელოვნებული ყოფილა ტაძრის ამგები ოსტატი. ასევე დიდი ოსტატობითა და ფაქიზი გემოვნებით არის შესრულებული ფანჯრის არშიებიც. აქ ჩუქურთმის თითოეული ხაზული ისეა გათვლილი და მოფიქრებული, რომ არ არღვევს საერთო ჰარმონიას, არ ტვირთავს კედელს და არ ღლის თვალს. ასეთი გაფორმება ოთხივე მხარეს არის, მაგრამ სამხრეთისა და ჩრდილოეთის სწორი კედლით დაფარვის გამო ეს მხატვრული დეტალები არ ჩანს. დღეს ხელშეუხებლად მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადია დარჩენილი. დასავლეთის ფასადიც დაფარულია გვიან მინაშენი კარიბჭით. ამ მინაშენს სრულიად დაუფარავს მთელი ფასადის მხატვრობა. მხოლოდ სანათლავის ზედა სართულზე, რომელიც განძსაცავს შეადგენდა შემდეგ, დაცულია ხელუხლებლად ლავგარდანი და კოზმიდის მთელი მხატვრული გაფორმება. აქაც იგივე სტილი და იგივე მხატვრული ჩანაფიქრია, მხოლოდ სიუჟეტური განსხვავებით. დასავლეთის კარიბჭე, ცენტრალური და ორი გვერდითი ეგვტერი გვიან და სხვადასხვა დროსაა მიშენებული. ამას ადასტურებს სანათლავის სავსებით დაცული შვერილი და ნიშები. შვერილში გაჭრილია კარი, რომლის შუბლზე, განსაკუთრებით ამოჭრილ ნიშში, ეტყობა X საუკუნეში ჩახატული ყოფილა მოზაიკური კომპოზიცია – ღვთისმშობელი ყრმით ხელში. მოზაიკა დღეს მთლიანად აცვენილია. სანათლავის გვიანდელი კედლები მიშენებულია ნიშების გონიოებზე. ორი გვერდითი ეგვტერიც – ჩრდი-

ლოეთის მცირე საყდარი და სამხრეთის სამარხი ფარავს დასავლეთის ფასადის დანარჩენ ნაწილს.

X საუკუნეში ნაგები სანათლავის ფასადი შემკულია ლამაზი ჩუქურთმებით. შესანიშნავი წნული ჩუქურთმოვანი არშია აქვს კარის პირსა და ფანჯრებს. ასევე, ორ გვერდით მოდილიონზე წნული ჩუქურთმით ამოჭრილია იშვიათი ხელოვნებით შესრულებული ჯვრები.

კარგი გემოვნებითაა შესრულებული ჩრდილოეთ და სამხრეთ კარისა და ფანჯრის პირები, თუმცა ისინი მხატვრული ჩანაფიქრით და სიძლიერით აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადების მხატვრობას ვერ შეედრება.

კედლებზე არსადაა შემორჩენილი ტაძრის თავდაპირველი ამგების ვანაობის აღმნიშვნელი ცნობა. მხოლოდ დიუბუას დროს ყოფილა შუა ეგვტერის ფანჯრის ზემოთ წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე მიქელ გალატოზი ოპიზარი“. წარწერა შესრულებული ყოფილა ასომთავრულით. იგი დიუბუას გადმოუღია და ამ გზით მოაღწია დღემდე. ეს წარწერა დღეს კედელზე არ შეინიშნება. წარწერა, როგორც ეტყობა, კედლის ამგებისაა, ხოლო ეს ეგვტერი აგებულია X საუკუნეში. ამიტომ წარწერაც X საუკუნეს მიეკუთვნება. კალატოზი ან მარტვილის ეკლესიის რესტავრატორ-მშენებელი ყოფილა ვინმე მიქელი ოპიზელი, ჭოროხის ხეობიდან – სამხრეთ საქართველოს ამ შესანიშნავი სამშენებლო ხელოვნების ტრადიციების მქონე მხრიდან. ჩრდილოეთ კედელზე მარი ბროსეს შეუნიშნავს ასომთავრული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე... ოქროპირი“. იგიც ეტყობა კალატოზია, ჩრდილოეთის კედლის ამგები და მომხატავი. მხოლოდ ეს ორი, ისიც ცნობილ უცხოელ მეცნიერთა მიერ გადმოწერილი წარწერა შემოგვრჩა ამ მონუმენტური ნაგებობის ამგებთა შესახებ.

ტაძარს თავდაპირველად აბსიდებზე დაყრდნობილი უფრო მცირე გუმბათი ჰქონია, შემდეგ იგი მაღალი და ნათელი, თექვსმეტსარკმლიანი ნაგებობით შეუცვლიათ. გუმბათის მაღალი ყელი ამ კოხტა ნაგებობას იერსა და მშვენებას მატებს. ამასთან, იგი კიდევ უფრო ვრცელსა და ხალვათს ხდის ამ მხრივ ისედაც უნაკლო შიდა სივრცეს.

ტაძარი შიგნით გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ვრცელი, მაღალი კამარა შეკრულია ოთხი ნახევარწრიული აბსიდით, რომელზეც დაყრდნობილია გუმბათი. კამარებს ქვეშ, ოთხმხრივ, მცირე ნიშებით შევდივართ ოთახებში, რომლებიც შენობის ოთხსავე წიბოსთან კვადრატულ კიდურებს შეადგენს. ჩრდილო-დასავლეთ კიდური კიბის საფეხურები, შუა ეკვტერის ზედა სართულისაკენ – განძსაცავისაკენ მიემართება. განძსაცავის წინ შვერილის შიდა თაღოვან სივრცეში არის რიკულებიანი მცირე მოედანი, რომელიც ტაძრის მთელ შიდა სათავსს გასცქერის. სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდური ოთახების შიდა კედლებში

დატანებულია საიდუმლო ხვრელები ქვის საფეხურებით, რომელიც შვერილთა სხვენზე სწორი კედლის აშენებით შექმნილ საიდუმლო ოთახებში შედის. ამ ოთახებს თითო ვიწრო სარკმელი აქვს. ამ საიდუმლო ხვრელებსა და ოთახებს, უდავოდ სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. დიდი შიშიანობის და თავდასხმების დროს აქ ინახავდნენ განძეულს და იმალებოდნენ კიდეც ტაძრეულნი თუ სხვა ერის შვილნი.

**მარტვილის საკათედრო ტაძრის შიდა თაღოვან სივრცეში მოქცეული აივანი**

ტაძრის იატაკზე დაგებულია ქვაფენილი, რომელიც ცენტრიდან წრიულადაა დაწყობილი. იატაკი უძველესია, ხოლო მარმარილოს ტრაპეზი გაკეთებულია გვიან, XVIII საუკუნეში.

უძველესი ფრესკების კვალი ტაძრის შიდა კედლებზე თითქმის წარხოცილია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ორიოდე ფრაგმენტს, რომელიც გვიანი მხატვრობის ქვემოთ გამოჩნდა სამხრეთ სამხროს მარცხენა კედელზე და დასავლეთ სამხროში. კანკელის ზემოთ შემორჩენილია XIV საუკუნის ფრესკა ღვთისმშობლისა. ალაგ-ალაგ შეინიშნება მსგავსი კომპოზიციები, რომლებიც ხელახლა მოხატვისას შეუნარჩუნებიათ მაღალმხატვრული ღირებულების გამო. ყველაზე უნაკლოდ დაცულია ჩრდილოეთ სამხროს მხატვრული მორთულობა. აქ რამდენიმე რეგისტრზე დაცულია XVI და XVII საუკუნეებში შესრულებული ფრესკები – ჩიქოვან-დადიანთა ოჯახების წევრთა გამოსახულებანი. მარჯვენა მხარეს პირველ რეგისტრზე მშვენიერი მხატვრული სტილით წარმოდგენილია ფიგურები წმინდა პეტრე და პავლე მოციქულებისა. ამავე სამხროში კაცია ჩიქვანის ოჯახია გამოსახული. კაციასა და მის თანამეცხედრეს ეკლესიის მაკეტი უჭირავთ ხელში. მათ შორის დგას მათი მემკვიდრე იესე. ფრესკას ახლავს მხედრული წარწერა: „აქ:. ჩიქვანი:-ბატონი კაცია.

მარტვილის ტაძრის ინტერიერი

ქ. თანამეცხედრე მათი... ქალი...“[1]. ხოლო მათი მემკვიდრის ზემოთ წერია: „ქ:. ჩიქვანი-იესე:“ მარცხნივ გამოსახულია იესო ქრისტე, რომელიც აკურთხებს დადიანებს. კაციას ოჯახის წევრთა ფრესკული კომპოზიციის გასწვრივ არის დიდი, მხედრულად შესრულებული წარწერა, რომელიც ალაგ-ალაგ ამოშლილია: „შენთა, მინდობილმან:. ლეჩხომის:. და:. საინასარიძოს:. და სალიპარტიანოს:. პატრონმან:. დიდისა:. ხელმწიფისა:. მეფისა:. და:. დადიანისა:. ვაზირმან:. იმერეთისა:. ოდიშისა:. თაუმან:. და:. სარდალმან:. ჩიქვანმან:. კაციამ:. და:. თანა:. მეცხედრემან:. ჩვენმან:. დიდისა:. ერისთავთ:. ერისთავის:. ქალმან:. თამარ:. და:. ძემან:. ჩვენმან:. გიორგიმ:. იოსებ:. ოტიამ:. დავახატვინეთ:. სამხრო:. ესე:. ტაძრისა:. შენისა:. ჩვენად:. საფლავად:. და:. შევამკეთ:. მურასათ:. პატიოსანისა:. ხატითა:. სახისა:. შენისათა:. და:. წირვისა:. იარაღითა:. სხვა:. რაც:. გლეხები:. შემოგწირეთ:. ან:. რაც:. ბეგარა სძესთ:. და:. ჩვენთვის:. აღაპი:. გავიჩინეთ:. იმისი:. გუჯარი:. დაგვიც:. თქვენს:. ტაძარშიდ:. ის:. გაშინჯონ:. და:. მოახსენებს:. და:. ნურცრვინ:. მოშლით:. და ვინცა:. მოშალოს:. ჩვენამდც:. მუქბად:. მეორე:. მოსვლას: გაიკითხვის:. და:. დაიხატა:. სამუხრო:. ეს:. სრული:. და:.“[2].

კაცია ცხოვრობდა XVIII საუკუნეში; ეს სამხროც XVII საუკუნეშია მოხატული.

**მარტვილის საკათედრო ტაძრის კედლის მხატვრობა. მოციქულთა თავნი პეტრე და პავლე**

[1] ექ. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 120.
[2] იქვე, გვ. 121-122.

საინტერესოა სანათლავის ან დასავლეთის შუა ეგვტრის შიდა მოხატულობა, რომელიც დღეს ძლიერ დაზიანებულია. აქ, ზედა რეგისტრზე სულიწმიდის მოფენა ყოფილა დახატული. მის ქვემოთ, ნიშში, ჩახატულია ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ზოსიმე კოპალაძე, რომლის მხრების გასწვრივ არის ასომთავრული წარწერა: „დიდისა საყდრისა მამა ჭყონდიდელი კოპალაძე ზოსიმე ადიდენ ღმერთმან“[1]. ეს ფრესკა სხვა წინანდელ ფრესკებზე ყოფილა გადახატული. დღესაც მოჩანს მის ქვემოთ იმ ფრესკათა ნაწილები. ეგვტრის თაღზე და მარცხენა კედელზე გამოხატული ყოფილა მეორედ მოსვლა. მის ქვემოთ არის ისტორიულ პიროვნებათა სურათები, რომლებიც დღეს ძალზე დაზიანებულია და არც წარწერა არაა მათზე შემორჩენილი.

**მარტვილის ტაძრის კონქის მხატვრობა**

ეკლესიის კანკელის წინ დაკრძალული არიან სამეგრელოს მთავრის – დავით დადიანის ქალიშვილები – თამარი და ნინო. აქვე მარხია ლევან დადიანი, რომლის საფლავზე არის სამარხის ქვა წარწერით: „დადიანი ლევან გრიგოლის ძე ღენერალ-ლეინტენატი და კავალერი შემდგომად ორმეოცდაორის წლის დიდებულად მფლობელობისა სამეგრელოს სამთავროჲსა. აღესრულა წელთა ჩყმვ, ივლისს ლ. ძემან მისმან დადიანმან

[1] იქვე, გვ. 124.

დავით დავსდევ ფიქალი ესე საფლავსა მისსა“.[1] მეორე მწკრივზე არიან დასაფლავებულნი და ფიქალი აძევთ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის, ანდრია და ნიკო დადიანების საფლავებს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის აფსიდის სვეტთან, ნაცრისფერი მარმარილოს მშვენიერი ბალდახინის ქვეშ მარხია სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი – დავით ლევანის ძე დადიანი. მას ორ ენაზე (რუსულ და ქართულ ენებზე) აქვს წარწერა:. „მფლობელი სამეგრელოისა მთავარი დავით ლევანის ძე დადიანი იშვა კვ-ს იანვარს ჩყიგ-სა წელსა, აღსრულდა ლ-ს აგვისტოს ჩყნგ-ს წელსა. აჰა, ესერა ღმერთი შემწე ჩემა და უფალი შესავედრებელი სულისა ჩემისა. ფსალ. ნგ. მოიხსენე უფალო სული შესვენებულისა მონისა ამის შენისა“.[2]

მის გვერდით მარცხნივ არის ფიქალი წარწერით:

„ქ. სდ სამეგრელოს დედოფალი მართა, ზურაბის ასული, და კავალერი წის ეკატერინას ა-ს ხარისხისა მიიცვალა წელსა ჩყლთ-ს, ნოემბრის ვ-ს სასახლესა გორდს და განსუენებულ იქმნა სამთავრო სასაფლაოსა ამას შინა მარტვილს:. ხოლო ფიქალი ესე დავსდევ პირმშომან ძემან ამისმან სამენგრელოს მემკვიდრემ დავით დადიანმა“.[3]

აქვე მარხია ლევან დადიანის ძე გრიგოლი. ფიქალზე არის შემდეგი წარწერა: „მთავარ ლევან დადიანის-ძე გრიგოლ გენერალ-ადიუტანტი 1814-1901 წ.“.

სამხრეთ ეგვტერში დამარხულია ნიკოლოზ გრიგოლის ძე დადიანი – გენერალ-მაიორი და კავალერი. აქვეა დამარხული ელიზბარ გრიგოლის ძე დადიანი.

ეს მხოლოდ მცირე სიაა იმათი, ვინც ასეთი პატივით მიუბარებიათ მარტვილის შიდა სათავსში და მის ეგვტრებში მიწისათვის. არა მხოლოდ სამეგრელოს მთავართა და მათი ოჯახის წევრთა სამარხი ყოფილა ეს მონასტერი. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, აქ დაუმარხავთ ერთიანი საქართველოს დიდი მეფე ბაგრატ მეოთხე: „სამშუილდის ტბათა მდგომსა ბაგრატ მეფესა დაეცა სალომობა მუცლისა... და დიდითა დიდებითა და პატივითა წარიყვანეს და დამარხეს ჭყონდიდს“. შემდეგ საქართველოს თურქ-სელჯუკები შემოესივნენ. ამ ბარბაროსებმა 1080 წელს, „დიდი თურქობის“ მძიმე წელს, დაარბიეს და ააოხრეს მთელი საქართველო. აი, რა ცნობას გვაწვდის ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება“: „დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლერჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი

[1] იქვე, გვ. 126.
[2] იქვე, გვ. 127.
[3] იქვე, გვ. 128.

(ხაზგასმა ჩვენია – გ. ე.) აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკდრი ყოველი, და მასვე ერთსა და დღესა დაწვეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა, მოჭამეს ქვეყანა და მოსწყდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ურელთა ქუეყნისათა, და ასე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი, ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ან სიმაგრეთა სადუმე ვნ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა".[1] თურქთა მიერ სასტიკად აოხერებული ჭყონდიდი, აკლებული და გამომწვარი მონასტერი, ბუნებრივია, ვერ დაიცავდა ამ სამარხის კვალს. იგი ან აოხრების შედეგად გაქრა, ან კიდევ თურქ-სელჯუკთა წაბილწვისაგან საიმედოდ დაიცვეს ქართველებმა: სამარხის კვალი მოშალეს (ხალხის გადმოცემით, ასეთი შემთხვევებიც ყოფილა. ამით ხსნიან თამარის საფლავის გაუჩინარებასაც), ხოლო აღდგენის შემდეგ ამ სამარხის გადამმალავთაგან ცოცხალი არავინ დარჩა, სხვამ კიდევ რაღაც პოლიტიკური მოსაზრებით არ იზრუნა მის აღსადგენად და ასე დაიკარგა კვალი.

თუმცა ჭყონდიდმა და ჭყონდიდის მონასტერმა თურქ-სელჯუკთა სასტიკი, ამაოხრებელი და გამანადგურებელი ლაშქრობა განიცადა, მაგრამ საუკეთესო გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობისა და სამეურნეო მდგომარეობის გამო, უპირატესობა მაინც არ დაუკარგავს. იგი კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან რელიგიურ, პოლიტიკურ და საგანმანათლებლო კერად დარჩა მთელ დასავლეთ საქართველოში.

მარტვილის მონასტრის მთელი ანსამბლი ქართული თვითმყოფადი კულტურისა და ხელოვნების ძვირფასი ძეგლია. თვით ტაძარი თავისი არქიტექტურული გაფორმებით, უბადლო ქმნილებაა თავისი დროისა და ამიტომ მსოფლიო უნიკუმთა რიცხვს მიეკუთვნება.

## ჭყონდიდი – საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული და რელიგიური ცენტრი

ჭყონდიდი რომ მთელი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების უძველესი კერა იყო, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი: მონასტრის ჩრდილოეთით მდებარე ფერდობის დიდ მასივზე ზედაპირულად აიკრიფა ენეოლითის ხანის ადამიანის საყოფაცხოვრებო იარაღები და ნივთები.

[1] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, 1955,, გვ. 319-320.

შესანიშნავი მდებარეობის, მტრისათვის მიუდგომელი, მაღლა აზიდული გორაკი, დიდრონი ასწლოვანი ხეებით დაფარული, წყაროს წმინდა წყლებით მდიდარი, საიმედო და კარგი საცხოვრებელი ადგილი იყო პირველყოფილი ადამიანისათვის. 1959 წელს აქ ნაპოვნმა მასალებმა ეს მოსაზრება დაადასტურა. ნახნავზე შემთხვევით აღმოჩნდა კაჟის ნამგლის პირები, შესანიშნავად გათლილი, პრიზმის ფორმის სამტვრევი, 20 ცალი საფხეკი, 11 შუალა საჭრისი, მრავალი ნუკლეუსი კაჟისა, რეტუშირებული ლამელები. აქვე აიკრიფა მდიდარი კერამიკული მასალაც, მათ შორის აღსანიშნავია გუძუბიანი და მხატვრულად გაფორმებული ჭურჭლის ფრაგმენტები, ვაზის ორრქიანი ყურები და სხვ.

ინტერესს იწვევს აგრეთვე სილქვის ლამაზად გათლილი სასამკაულო რგოლის ნამტვრევები. რგოლი საკმაოდ ფართო ყოფილა, ორ მხრივ ირიბად ჩათლილი, საკმაოდ ამობურცული ზურგის ხაზით. რიყის ქვის მასალათა შორის შესანიშნავია თანამედროვე ჩაქუჩის ფორმის იარაღი, რომელსაც ერთ ბოლოზე თხელი პირი აქვს, მეორე ბოლო კი მრგვალია, წელი ამობურცულია და მის ორივე მხარეს ეტყობა მკედით ტარზე დამაგრებისმიერი ხაზები. ყველა მასალა საკმაოდ გახეხილი და დამუშავებულია. აქვე გვხვდება უძველესი მეტალურგიული წარმოების რელიკვიებიც: მილაკები, ტიგელის ნამსხვრევები, წიდა და სხვ.

ჩამოთვლილ მასალათა მხოლოდ ზერელე განხილვაც კი ამტკიცებს, რომ საქმე გვაქვს ენეოლითურ ნასახლართან. ეტყობა, ამ ადგილზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცხოვრია ადამიანს, აქ გაუვლია ქვის ხანა, აქვე მიუგნია ლითონის საიდუმლოებისთვის და უწარმოებია იგი; აქვე ჰქონია თავისი პირველყოფილი სარწმუნოების კერა. ქრისტიანებს აქ წარმართული ტაძრისა და ბომონის ნანგრევზე აუგიათ მონუმენტური არქიტექტურული ძეგლი – მარტვილის მონასტრის მთელი ანსამბლი. ამრიგად, აქ ისტორიულ მოვლენათა ჯაჭვი არ გაწყვეტილა. ამაზე მიუთითებს ნივთიერი მასალები, ფაქტები, წყაროები. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს კოლხი ხალხის მოსახლეობას ამ ადგილზე უძველესი, პრეისტორიული ხანიდან დღემდე.

ადგილის ეს მოწინავე მდგომარეობა, კულტურული და სამეურნეო ტრადიცია წარმატებით ვითარდებოდა ფეოდალიზმის ეპოქაშიაც.

X საუკუნიდან საეპისკოპოსო ცენტრს – ჭყონდიდ-მარტვილს თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს მრავალმხრივ ცხოვრებაში. აქ მოღვაწე სასულიერო თუ საერო ბრძენკაცები ხელს უწყობენ ქვეყნის კულტურულ დაწინაურებას. ჭყონდიდის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ცენტრში იკრიბებიან იმდროისთვის ყველაზე სახელგანთქმული თეოლოგები, მთარგმნელ-გადამწერები, პედაგოგები და ჰიმნოგრაფები. აქ საუბრობენ

თეოლოგიის საკითხებზე, წერენ და გადაწერენ საღვთისმეტყველო თუ საერო თხზულებებს. სწორედ ასეთ მოღვაწეობას ეწეოდნენ მაშინ მონასტრები, რომლებიც განათლებისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს კერებს წარმოადგენდნენ.

„გიორგი მერჩულეს ძეგლიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ დემეტრე II-ის მოღვაწეობით „აფხაზეთის“ სამეფოში არსდებოდა ქართული მონასტერ-სავანეები, რომლებიც ძველი დროიდანვე დამკვიდრებული ბერძნული გავლენის შესუსტებასა და ქართული მწიგნობრობის ტრადიციების განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად“ (პავლე ინგოროყვა).[1] მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იყო მარტვილის მონასტერიც. ამან განაპირობა აქ ისეთი დიდი ჰიმნოგრაფისა და მგოსნის მოღვაწეობა, როგორიც იყო იოანე მინჩხი. იგი, როგორც ირკვევა, პირადი მეგობარი ყოფილა დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა“) მეფის – გიორგი II-ის. იოანეს თავისი პოეტური შემოქმედების დიდი ნაწილი სწორედ მისთვის მიუძღვნია. ცნობილი ქართველი მეცნიერის პავლე ინგოროყვას გამოკვლევით, იოანე მინჩხი საერო პირი იყო, სოფელ ინჩხურიდან. ინჩხური ჭყონდიდის სანახებშია და მის საეკლესიო სამფლობელოს შეადგენდა. „თვით ივანე მინჩხი წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან ყოფილა... გეოგრაფიული პუნქტი ინჩხი (ინჩხური), სამშობლო ივანე მინჩხისა (მინჩხურისა), როგორც მოვიხსენეთ, მდებარეობს ჭყონდიდის სანახებში“ (პავლე ინგოროყვა).[2] აქ დაბადებული ეს ნიჭიერი ახალგაზრდა, მოსულა მარტვილის მონასტერთან არსებულ კერაში, აქ მიუღია სწავლა-განათლება, აქვე გაცნობია ბერძნულ ჰიმნოგრაფიას და ჰიმნოგრაფთა მოღვაწეობას, აქვე დაუფლებია ქართულ პოეტურ ტრადიციებს. ახალგაზრდის მოღვაწეობას მიუქცევია მეფე გიორგის ყურადღება და ეტყობა, დაუახლოვებია კიდეც. იოანე მინჩხის ერთ-ერთ პოეტურ ნაწარმოებს – „გალობანი გიორგისნი“ აქვს ასეთი ზედწერილი: „ხოლო ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერებიან მინჩხისადა“ (პ. ინგოროყვა).[3]

იოანე მინჩხის მოღვაწეობა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების გარკვეული ეტაპია. მან იმ საუკუნეში თქვა თავისი სიტყვა, რომელმაც მცირე გავლენა როდი მოახდინა ქართული პოეზიის შემდგომი განვითარების საქმეში. ალბათ იმ მონასტრის კულტურულ კერაში მოღვაწეობდა ბევრი მოკრძალებული, მაგრამ სახელოვანი მოღვაწე, რომლებმაც, მართალია, ქრისტიანული თავმდაბლობის გამო საკუთარ

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 247.
[2] იქვე, გვ. 670.
[3] იქვე, გვ. 170.

ნაღვაწზე არ აღნიშნეს ვინაობა, მაგრამ თავიანთი საქმიანობით დიდი ღვაწლი დასდეს ქართული ხელოვნებისა და კულტურის განვითარების საქმეს. ეს ასე იყო მაშინაც და შემდეგაც. დიდი მოღვაწენი ქმნიდნენ უკვდავ ნიმუშებს არა პირადი განდიდებისთვის, არამედ ქართული კულტურის, მშობლიური ქვეყნის, ხალხის, სჯულის სიყვარულით. უპრეტენზიოდ აგურს აგურზე სდებდნენ, აგებდნენ ულამაზეს ნაგებობებს, რომელნიც საუკუნეების მანძილზე ანცვიფრებს მნახველს; ხატავდნენ შესანიშნავ ფრესკებს, მაგრამ თავიანთი შემოქმედების ნაყოფს არსად უკეთებდნენ ავტორის ვინაობის აღმნიშვნელ წარწერას. ასე იყო ეს მარტვილის სავანეშიც. ამიტომ მარტვილში მოღვაწე ქართული კულტურის მრავალი საამაყო ძეგლის ავტორის ვინაობა დაკარგული და უცნობია. ერთი კი უდავოა, მათი რიცხვი დიდი იქნებოდა. ისინი მოღვაწეობდნენ თავაუღებლად, უხმაუროდ და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

ეს სავანე დიდი საგანმანათლებლო და კულტურული კერა რომ იყო, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბაგრატ IV-მ აღმოსავლეთში ცნობილ მთარგმნელს, მწერალს, ისტორიკოსსა და პედაგოგს – გიორგი მთაწმინდელს სამოღვაწეოდ მარტვილის მონასტერი შესთავაზა. „ვითარცა იხილა მეფემან ბაგრატ ესევითარი სიწმიდით და ღირსებით მოქალაქობა და უსხეულოთა მსგავსი ცხოვრება და სასწაული მისი, დიდად შეიყუარა, ვითარცა ანგელოზი ღმრთისა, და ღონესა ეძიებდა, რათამცა თსა მამულსა წარიყვანა. და მისცა მღუდელთ-მოძღურობა ჭყონდიდისა საყდრისა, სადა შექმნა ბაგრატ საფლავი თუისი და დაუსვენებიან მრავალნი წმიდათა მარტუილი“.[1] ეტყობა, მაშინ მარტვილი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი იყო მთელ საქართველოში. აქ არა მარტო წიგნის გადაწერისა და გავრცელების საქმეს ეწეოდნენ, არამედ იყო რაღაც საშუალო საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი დაწესებულება-სასწავლებელი, სადაც ეს დიდი მოღვაწე პედაგოგიურ საქმიანობას გასწევდა და არაერთ განსაკუთრებულ ახალგაზრდას აღუზრდიდა სამშობლოს, სამეფო კარსა და ეკლესიას. ეს ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ამას ისიც ამტკიცებს, რომ საქართველოს დიდი მეფის – დავით აღმაშენებლის „აღმზრდელი“ იყო მარტვილის ეპისკოპოსი გიორგი ჭყონდიდელი: „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სიანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფელი ყოველ-

[1] ქართლის ცხოვრება, 1955, ნაწ. I, 303-304.

თა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა".[1] თუ ამ ცნობას ვერწმუნებით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ აქ, მარტვილის სავანეში, გიორგი ჭყონდიდელის მეთაურობით აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულება-სასწავლებელი არსებობდა, სადაც გარკვეული წლები გაუტარებია ჭაბუკ დავითს, გიორგი ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით. აქ და საქართველოში კიდევ რამდენიმე ადგილას არსებულმა საშუალო ტიპის სასწავლებელმა განაპირობა ის ფაქტი, რომ დავითმა, ამ მტკიცე საფუძველზე დაყრდნობით, უმაღლესი სასწავლებელიც კი დააარსა გელათსა და იყალთოში. დავითს სურდა გელათი ექცია „სხუად ათინად", საქართველოში სწავლა-განათლების უდიდეს კერად. გელათის აკადემია, საფიქრებელია, ივსებოდა მარტვილის მონასტრის სასწავლებელში განათლებამიღებული ახალგაზრდობით. ეს სასწავლებელი, შესაძლოა, აკადემიის ბაზა იყო.

ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ გელათის აკადემიისა და, საერთოდ, გელათის კულტურული და პოლიტიკური კერის შექმნის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, დავით აღმაშენებელთან ერთად, მისი მასწავლებელი, მისი პირველი ვაზირი – გიორგი ჭყონდიდელიც იყო. მხოლოდ მას, სასწავლებლის რექტორს, საქართველოში ცნობილ პედაგოგს, შეეძლო გაეწია დავით მეფისათვის ასეთი თანამოღვაწეობა.

ასეთ დიდ მოღვაწესა და აღმზრდელს ანდო მეფემ მთავრობის მეთაურობა, დააწესა ჭყონდიდ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა და მას მიანიჭა სრულიად საქართველოს ვაზირთუპირველესობა. ამიერიდან ყველა არზა, ყველა საჩივარი, ყველა სატკივარი, ყველა საიდუმლო გიორგის მოხსენდებოდა. გიორგი მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა. სხვა, მასზე მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც ჩაერეოდა მის საქმეში და განკარგულებას მისცემდა მას, არ არსებობდა. ეს დიდი პატივი წილად ხვდა ჭყონდიდის ეპისკოპოსს. ეს უბრალო და შემთხვევითი მოვლენა როდი იყო, განპირობებული იმ დიდი და უპირატესი მდგომარეობით, რასაც მაშინდელ საქართველოში ასრულებდა მარტვილის მონასტერი. ეს ტიტული – ჭყონდიდლობა, შემდეგშიც, თითქმის XIX საუკუნის დასასრულამდე, რჩებოდა საქართველოსა და იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავრო კარზე დიდი მოხელის, საეკლესიო მაღალიერარქის ტიტულად.

თამარის დროს ქართლის კათალიკოსი მიქაელი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ტიტულს ატარებდა. მიქაელის სიკვდილის შემდეგ,

[1] ქართლის ცხოვრება, 1955, ნაწ. I, გვ. 336.

როცა კვლავ აირია ქვეყანა (იმერელ-სვანებმა განდევნილი იური რუსი მოიწვიეს, მაგრამ ვერ შეძლეს თავიანთი განზრახვის აღსრულება), თამარი საგონებელში ჩავარდა, თუ ვინ მოეწვია თავისი ვაზირის თანამდებობაზე. ბოლოს არჩევანი შეჩერდა ანტონ გლონისთავის ძეზე, რომელიც გარეჯში მოღვაწეობდა. „ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისის-ხევი და მწიგნობართ-უხუცესობა“.[1] მაშასადამე, თამარის დროს, მართალია, ჭყონდიდელი არ იყო ვაზირთუპირველესი, მაგრამ ვაზირთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვაზირად მაინც ითვლებოდა. ამ პერიოდშიც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესები კვლავ სასულიერო დიდ მოღვაწეთა წრიდან ირჩეოდნენ.

შემდგომშიც ჭყონდიდ-მარტვილს არ დაუკარგავს ეს უპირატესო მდგომარეობა. გაზეთი „ივერია“ 1878 წელს წერდა, რომ: „სამეგრელოში მარტვილს ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც რომის ქალაქს ფრანგთა შორის დასავლეთის ეკლესიაში“. მთელ სამეგრელოში მხოლოდ აქ დაარსდა პირველი სასულიერო სასწავლებელი XIX საუკუნის პირველ წლებში, „რომელიც იყო წყარო სწავლისა და განათლებისა, როგორც სასულიერო, აგრეთვე საერო წოდებაშიაც... სწავლა, როგორც ყველგან, მიმდინარეობდა ძველის მეთოდით და უხეიროდ, მაგრამ იშვიათად მოიძებნება მეორე სასწავლებელი, რომელსაც მოეტანოს ამდენი სარგებლობა საზოგადოებისათვის“ („ივერია“).

ამრიგად, უძველესი დროიდან მოყოლებული მარტვილი-ჭყონდიდი მთელი საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური და რელიგიური ცხოვრების ერთ-ერთი ცნობილი კერა იყო.

## საჭყონდიდლო – ჭყონდიდის მონასტრის საეკლესიო საუფლო

მარტვილის მონასტრის საეკლესიო საუფლო, მისი სამწყსო გადაჭიმული იყო უნაგირას მთიდან, ვიდრე ცხენისწყლამდე. „აწცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენის-წყლამდე“, – წერდა ვახუშტი ბატონიშვილი.[2] ეს სამწყსო, საეკლესიო საუფლო, საჭყონდიდლოდ იწოდებოდა. იგი შეიცავდა აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტერიტორიას დღევანდელი საზღვრებით და ცხაკაიას რაიონის აღმოსავლეთ ნაწილს. ამასთან, სამწყსოს დიდი ნაწილი ამ ეკლესიის ფეოდალური საბატონო იყო. აქ მოსახლე გლეხები საეკლესიო გლეხებად იწოდებოდნენ, ხოლო აზნაურები ეკლესიას დაქვემდებარებული მცირე მემამულენი იყვნენ.

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1955, გვ. 123.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, 1941, გვ. 166.

საეკლესიო მამულები, „ხატმამულები“ აქ მოსახლე ყველა მსხვილი თუ წვრილი მემამულის სამემკვიდრო ფეოდის შემადგენლობაში შედიოდა. გარდა ამისა, ჭყონდიდის მონასტერს თითქმის მთელი ოდიშის სხვადასხვა კუთხეში სხვა უამრავი მიწა-მამული ჰქონდა. ამდენად, იგი ჩვენი კუთხის ერთ-ერთ უდიდეს მემამულედ, ფეოდალად წარმოგვიდგება. საერო ფეოდალებზე არანაკლებ ავიწროებდნენ გლეხებს მონასტრის მესვეურნი. საეკლესიო გლეხებს ეკლესიის მესვეურთა მოთხოვნით ემართათ ბეგარა: ტვირთობა, ცხენის ჩაბმა, ნადობა და სხვ., ასევე ღალა: რამდენიმე ლანდი (შულო) აბრეშუმი, ახალი პურის ძღვენი, ღვინო, ღომი, სულგუნი, ქათამი და ა.შ. ხოლო „ხატმამულსა“ და საეკლესიო მიწაზე მოყვანილი მთელი მოსავალი მთლიანად ეკლესიისა იყო. გარდა ამისა, ჭყონდიდელთა ინიციატივით აბაშაზე, ინჩხიასა და სხვა მდინარეებზე გამართული წისქვილები საჭყონდიდლოს საეკლესიო კუთვნილებად ითვლებოდა და მინდს ეკლესიის სასარგებლოდ იღებდნენ. მონასტერი დიდძალ შემოსავალს იღებდა ჯვრისწერის, მიცვალებულთა წესის აგებისა და სხვა ღვთისმსახურებისთვის. ეკლესიათა აშენება-აღდგენაზე მუშაობა ხომ გლეხის აუცილებელი მოვალეობა იყო. იგი საკუთარი საგზლით, უსასყიდლოდ მუშაობდა აქ.

მარტვილის მონასტერს მთელ საჭყონდიდლოში საეკლესიო გლეხთაგან იმდენად დიდი შემოსავალი შესდიოდა, რომ სამთავრო კარმა 12 ათასი მანეთი შეაძლია მონასტერს, რათა საეკლესიო გლეხთა მთელი შემოსავალი სამთავრო ხაზინის განკარგულებაში დაეთმო (იხ. ი. მეუნარგია).

ხშირი იყო ცილობა თავადთა და მონასტრის მესვეურთა შორის მიწა-მამულისათვის. გათავხედებული თავადი ფაღავა თუ სხვანი საეკლესიო ყმათა მიწას თავისად იჩემებდნენ და გლეხებს მძიმე მდგომარეობაში აყენებდნენ. იყო ბრძოლა, შეხლა-შემოხლა, ხანგრძლივი ჩივილი და ცილობა. ეს ყველაფერი გლეხის კისერზე გადადიოდა. თვით სამთავრო კარიც, რომელსაც სულ უფრო დიდი და დიდი გასავალი ჰქონდა, თავისი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას გლეხთა ახალ-ახალი ვალდებულებებით დაბეგვრის გზით ცდილობდა. მთავარმა დავით დადიანმა საეკლესიო გლეხებსაც დაადო სამთავრო საუდიერო გადასახადი. ახლა გლეხი საეკლესიო ვალდებულებასაც ასრულებდა და სამთავრო გადასახადსაც იხდიდა.

მონასტერი მთელ საჭყონდიდლოში მეურნეობის მოგვარებისა და შემოსავლის გაზრდისათვის იბრძოდა; ნერგავდა სხვადასხვა კულტურას, ხელს უწყობდა მეაბრეშუმეობის განვითარებას, ბაღ-ბოსტნის გაშენებას და სხვ. არის მრავალი მოგონება და გადმოცემა (იხ. ს. კორძახიას, ე. გეგიას, ნ. ოსიძის და სხვათა მოგონებები, გმმ სამეცნიერო ფონდი),

რომ ბერები ახალი ჯიშების გამოყვანასაც კი ასწავლიდნენ მეურნეებს, ნერგავდნენ უფრო უხვნაყოფიან ხეხილსა და ვაზს სოფლის მეურნეობაში. გ. გაბისონიამ მოგვითხრო, რომ ბერებს მონასტრის მიდამოებში სანერგეც კი ჰქონდათ მოწყობილი. ამ სანერგედან დამყნობილი ხეხილის ნორჩ ნერგებს ურიგებდნენ საეკლესიო გლეხებს, დადიოდნენ სოფლებში და ეხმარებოდნენ მათ ფუტკრის ოჯახების გადასმაში, მოვლასა და მოსავლის გამოწურვაში. თვით ეკლესიის სანახებშიც შესანიშნავი საფუტკრეები ჰქონდათ მოწყობილი.

აბაშაში დღესაც მოქმედებს ჭყონდიდელთა ბრძანებით საეკლესიო ყმათა მიერ გაჭრილი არხი – „ცუდღარი“, რომელსაც „ჭყოინდარის ღარს“ ეძახიან („ღარი“ მეგრულად არხია). რადგან მდინარეები შორს უვლიდა სოფელს, აქ გაუჭრიათ არხი, რომელსაც სამეურნეო მიზანი ჰქონდა. თუ შუაგულ სოფელში გაივლიდა არხი, შლამს მოუტანდა მეურნეებს, გვალვის დროს ნიადაგს ტენს შეუნარჩუნებდა და ძლიერ ტენიან ნიადაგში ბრინჯიც უხვად იხარებდა. რამდენიმე სოფელი ამ არხს საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის გამოიყენებდა: ეს დაედო საფუძვლად ჭყონდიდელთა ამ სიკეთეს და რამდენიმე კმ სიგრძეზე გაყვანილ იქნა ფართო და წყალუხვი არხი, რომელზეც, როგორც მოხუცები გვიამბობენ, ასზე მეტი წისქვილი იდგა. ასეთივე კარგი იდეა იყო ნაოღალევის „ჭყოინდარის ღარი“. სოფელ ინჩხურიდან, მდინარე ინჩხიას სათავიდან, 1 კმ-ზე იწყება ფართო არხი, რომლითაც ნაოღალევის ქვიან ველზე მოედინება ინჩხიას წყალი. იგი მრავალგან ქმნის მცირე ჩანჩქერებს, რომელზეც მოწყობილია წისქვილები. არხი რწყავს ქვიან ველს. ამასთან, მოსახლეობა არხით მომდინარე ანკარა წყალს სასმელადაც იყენებს. უდავოა, რომ ამ სამეურნეო ღონისძიებათა მთავარი მიზანი საეკლესიო შემოსავლის გადიდება იყო. ეკლესია წისქვილებში მინდს იღებდა, არხი რწყავდა საეკლესიო და „ხატმამულებს“, თანაც ემსახურებოდა საეკლესიო ყმებსაც, რისთვისაც მონასტერი სათანადო გასამრჯელოსაც იღებდა თურმე. გაცილებით მეტი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა სუჯუნის არხს.

„საჭყოინდრო“ აბაშის ხეობის ერთადერთი სამეურნეო-ტერიტორიული ერთეულია. მთელი ხეობა, დაწყებული თურჩუს მთიდან ისულეთამდე, საჭყონდიდლოს საუფლოს შეადგენდა. მის განკარგულებაში იყო საეკლესიო მამულები ტაბაკოლას მთაზე, სუხჩეში, გორდში, კინჩხასა და დიდღვაბუნაშიც. საეკლესიო მამულები იყო თვით თურჩუშიც. ე. ი. ჭყონდიდელი ეპისკოპოსები მრავალყმიანი და მამულიანი ფეოდალური სამფობელოს მესვეურნი იყვნენ.[1] არც მთავარს, არც თავადებს ხელი არ

[1] საქ. ცსსა ფონდი, № 489, საქმე 65387, ფ. I, საეკლესიო მამულთა სია.

მიუწვდებოდათ საეკლესიოდ განკუთვნილი მიწა-მამულისა და ყმებისადმი (იხ. კაცია ჩიქოვანის ბრძანებით შესრულებული წარწერა ეკლესიის კედელზე). მხოლოდ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს მიაღწია სამთავრო კარმა, თავის სასარგებლოდ დაებეგრა საეკლესიო გლეხები. ეს ყველაფერი ადასტურებს იმ აზრს, რომ საჭყონდიდლო, ისე როგორც საქართველოში სხვა საეკლესიო ფეოდალური სამფლობელოები, ერთიან სამეურნეო-ტერიტორიულ ერთეულს შეადგენდა. იგი მოიცავდა მთელი აბაშის ხეობას თავიდან ბოლომდე ისე, როგორც სალიპარტიანო – მთელი ტეხურის ხეობას.

როგორც ქართული ეროვნული კულტურის მთელი საუნჯე, ეს დიდებული ძეგლიც და ადგილის ეს მოწინავე მდგომარეობაც მშრომელთა ხელით იყო შექმნილი.

# ზეპირსიტყვიერი მასალების გამოყენება საქართველოს ისტორიის სწავლებაში*

საშუალო სკოლაში სამოქალაქო ისტორიის სწავლება ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანებს.

ბავშვები, ჩვენი საზოგადოების იმედი და მომავალი, უნდა აღიჭურვონ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებით, პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით. სამოქალაქო ისტორიის სწავლება ხელს უწყობს ადამიანის სულიერ, გონებრივ ფორმირებას, მის მორალურ ჩამოყალიბებას.

სკოლაში ყველა სასწავლო დისციპლინისა და მათ შორის, ისტორიის სწავლებაც მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. სახელმძღვანელო წიგნი მეცნიერების ცალკეულ დარგში მოსწავლეთათვის ცოდნის პირველწყაროა. მასწავლებლის ცოცხალი თხრობა, სახელმძღვანელოსთან ერთად, მშობლიური ქვეყნისა და ხალხის ისტორიის ღრმა და დეტალური შესწავლის ძლიერი ფაქტორია.

სახელმძღვანელო თვით მასწავლებელია! იგი მოითხოვს მასწავლებლის მიერ გაკვეთილის მასალის ახსნას კლასში, რის შემდეგ მოსწავლე ადვილად სძლევს ასათვისებელ მასალას. ამიტომ მასწავლებლის მოთხოვნაზე ბევრადაა დამოკიდებული მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, მათ მიერ ამა თუ იმ მასალის დაძლევის ხარისხი. თუ მასწავლებელი მიმზიდველად, მხატვრულად გადმოსცემს მასალას, თუ მას ამდიდრებს თვალსაჩინოებებით, მოსწავლეთათვის ნაცნობი და ინტერესის აღმძვრელი მაგალითებითა და მასალით, შესასწავლი თემატიკა საინტერესო და ადვილად ასათვისებელი ხდება.

ხალხური ზეპირსიტყვიერების გამოყენება სწავლების პროცესში აღიარებული საშუალებაა. მასზე ყოველთვის მიაპყრობდნენ მასწავლებელთა ყურადღებას ცნობილი პედაგოგები: კომენსკი, უშინსკი, პესტალოცი, დისტერვეგი, ი. გოგებაშვილი და სხვ. დიდმა ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა დაწყებითი სკოლის კურსშიც ჩართო ისტორიის ელემენტები. უკანასკნელი კლასის სახელმძღვანელოში მან მთელი მონაკვეთი დაუთმო მშობლიური კუთხის ისტორიის ზოგად, ეპიზოდურ მომენტებს, ხოლო წინა კლასების სახელმძღვანელოებში მშობლიური კუთხის ისტორიის გასაცნობად ხალხური ზეპისიტყვიერების მასალებზე

---

* გ. ელიავა, ზეპირსიტყვიერი მასალის გამოყენება საქ. ისტორიის სწავლებაში, კრ. „ისტორიის სწავლების საკითხები სკოლაში“, თბ.,1961, იბეჭდება შემოკლებით (რედ.).

აგებული პატარა მოთხრობები და ლექსები მოათავსა. მას ისტორიის სწავლებისას ისტორიული მოთხრობა, ისტორიული ფაქტის მხატვრული თხრობა სავალდებულოდ მიაჩნია. იგი მასწავლებლისაგან მოითხოვდა: „უამბეთ ბავშვებს ცოცხლად და სურათებად და თქვენ მათს ნორჩ გულში ჩასახავთ ღრმასა და მეტად ნაყოფიერ შთაბეჭდილებას“.[1]

ი. გოგებაშვილი ხალხურ ზეპირსიტყვიერ მასალებს, ფოლკლორულ ნიმუშებს ზედმეტისაგან წმენდდა, ამუშავებდა ენობრივად და ხალხის ამ სიბრძნით ჟღენთავდა თავის მოთხრობებს, წიგნებს, სახელმძღვანელოებს. „მკითხველს მოეხსენება, – წერდა ი. გოგებაშვილი, – რომ ჩვენს სახელმძღვანელოში „დედა ენა“ ბლომად არის მოქცეული ხალხური ლექსები და ზღაპრები. უმეტესი წილი ამ ნაწარმოებებისა ჩვენს მიერ არის შეკრებული სოფელ ვარიანში ოცდაათის წლის წინად და შემდეგ ჩართული „დედა ენაში“. „დედა ენის“ გამოსვლამდინ არცერთს ამ ჩვენს მიერ მოგროვილ ლექსთაგანს და ზღაპართაგანს ვერ შეხვდებით ჩვენს ლიტერატურაში.

დიდი რაოდენობა ჩვენი შეკრებილი ლექსებისა და ზღაპრებისა დავბეჭდეთ სწორედ ისე, როგორც გავიგონეთ ხალხისაგან, ზოგში კი ცვლილება შევიტანეთ. ეს ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზოგს ლექსს ფორმით მშვენიერს, შეუსაბამო და მავნე შემეცნება აფუჭებს და უვარგისად ხდის ბავშვებისათვის, ჩვენ ეს შემეცნებანი პედაგოგიური თვალსაზრისით გამოვტოვეთ და მათ მაგიერ ჩავურთეთ შესაბამისი და სასარგებლო შემეცნებანი“.[2]

ამრიგად, ხალხურ ზეპისიტყვიერ მასალებში დიდი სიბრძნის გვერდით ისეთი მომენტებიცაა, რაც აღზრდისათვის მავნეა. მაგალითად, ღვინით გატაცება, მეტისმეტად ტლანქი და უხეში მიმართვები და სხვ. ამიტომ, საჭიროა სკოლაში სათანადოდ დამუშავებული მასალების გამოყენება, რომელთაც დიდი სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ფოლკლორს. მათ იგი ისტორიულ წყაროდ მიაჩნდათ, სისტემატურად ეცნობოდნენ, გულდასმით სწავლობდნენ და აქტიურად იყენებდნენ ხალხის ფსიქოლოგიის შესასწავლად, მისი წარსულის უფრო სრულყოფილი განხილვისათვის. ვ. ი. ლენინი ხალხური ზეპირსიტყვიერების შესახებ წერდა: „ეს არის ნამდვილი ხალხური შემოქმედება, ეს-

[1] ი. გოგებაშვილი, ტ. II., გვ. 175

[2] იქვე, გვ. 409.

ოდენ საჭირო და მნიშვნელოვანი ხალხთა ფსიქოლიგიის შესწავლისათვის ჩვენს დროში“.

ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალის შეკრებისა და გამოყენების გამოცდილება მრავალ სკოლას, მრავალ მოწინავე მასწავლებელს აქვს. მაგალითად, ასეთი მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ქალაქ მახარაძის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ხოხლენკო. მასწავლებელი თავიდანვე ყურადღებით სწავლობდა ძეგლებისა და ისტორიული ადგილების შესახებ არსებულ გადმოცემებს. რაიონში გავრცელებულ ზეპირსიტყვიერ მასალებს კრებდა და იწერდა. ასეთი მასალების შეგროვებაში იგი აქტიურად რთავდა უფროსი კლასის მოსწავლეებსაც. შემდეგ ახდენდა შეკრებილი მასალების კრიტიკულ ანალიზს, ადარებდა მათ ისტორიულ წყაროებს და ასე დამუშავებულ, აწონ-დაწონილ და მოსწავლეთათვის სავსებით ცნობილ მასალას იყენებდა გაკვეთილზე. როგორც თავად ამბობს, „როცა ვასწავლი თემებს – „საქართველო და მისი მეზობლები ელინისტურ ხანაში“ და „საქართველოს სამეურნეო მდგომარეობა პირველი საუკუნის დამლევს ძველი წელთაღრიცხვით“, მაშინ მოსწავლეებს ვაცნობ, რომ ამ პერიოდში გურია საკმაოდ დასახლებული ტერიტორია ყოფილა და მასზე ყვაოდა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული კულტურა, განვითარების მაღალი დონით“.

გ. ხოხლენკო ხშირად მიმართავს სამამულო ომის გმირებთან შეხვედრებს, ესაუბრება მოსწავლეებს სამამულო ომის მონაწილეებზე, რომელნიც რაიონის მკვიდრნი არიან და საბჭოთა კავშირის გმირის სახელითა და დიდებით შეიმოსნენ.

ამ მხრივ სანიმუშო მაგალითს იძლევა აგრეთვე ქ. ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის ისტორიის წრე, რომელმაც შეაგროვა გადმოცემები ზუგდიდისა და მისი მიდამოების, რაიონის ტერიტორიაზე არსებული სხვა ისტორიული ძეგლებისა და ადგილების შესახებ. ამ მასალების საფუძველზე წრეში წაკითხულ იქნა მოხსენება დავით დადიანის შესახებ და სხვ. მსგავსი მუშაობა ჩატარდა მხარეთმცოდნეობის მასალების შეკრების საქმეში ბოგვის (თეთრიწყარო), გორისა და თელავის საშუალო სკოლებში.

ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალების შეგროვებისა და გამოყენების საქმეს ჩვენც თავიდანვე მივაქციეთ ყურადღება. გეგეჭკორის რაიონი ძალზე მდიდარია ისტორიული ძეგლებით: მარტვილის მონასტერი, ნოღის ციხე, თამაკონის ციხე-დარბაზი, პომპეუსის ხიდი, ნოჯიხევის ჯიხა, სალხინო, კურზუ, გორდი, ქაჯიში ნამანარუ, გაჭედილი, დოშაყისა და ბალდის ისტორიული მნიშვნელობის გამოქვაბულები, „გოკიდილი“ და სხვ. რაიონის ტერიტორიაზე ჩატარდა უტუ მიქავას აჯანყებულ გლეხთა

ერთ-ერთი დიდი რაზმის – უტუ თოდუას რაზმის ლაშქრობა, ჯანაშიების აჯანყება და სხვ. აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ ლენინის თანამებრძოლები და მოსწავლეები – მიხა ცხაკაია და საშა გეგეჭკორი. აქვე მრავლად მოიპოვება მათი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი რელიკვიები. ცალკეული ძეგლის, ისტორიული ადგილისა და პირობების შესახებ არსებობს მრავალი გადმოცემა, ლეგენდა, სიმღერა. აქვე, თამაკონიდან მთებზე გადადიოდა ტყვეთა მსყიდველთა გზა.

რაიონში დღეს 25 მილიონერი კოლმეურნეობაა. საკოლმეურნეო წყობა რაიონის კოლმეურნე გლეხების ბედნიერი და საამური ცხოვრების წყარო გახდა.

ჩვენ განვიზრახეთ ძეგლების, ადგილების, ისტორიული პირების შესახებ მასალების შეგროვება, მაგრამ ამ მასალების შეგროვებას უცბათ და ხელაღებით არ შევდგომივართ. ჯერ ცალკეულ საგაკვეთილო მასალაზე ან კიდევ წრეში წასაკითხ მოხსენებათა შედეგებზე გარკვეული მუშაობით დავაინტერესეთ მოსწავლეები. მათი ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, რომ ყოველგვარი ცნობა და მასალა განურჩევლად კი არ აკრიფონ, ჩაიწერონ, არამედ დაინტერესდნენ ისეთით, რომელიც მათ მიერ შესწავლილ მასალას, ან მათთვის ცნობილ ადგილს, ძეგლს, თუ მოვლენას ეხება. მოსწავლეებმა ამ მითითების საფუძველზე ჩაატარეს მუშაობა, მოვაწყვეთ მათი ჩაწერილი მასალების განხილვა. შეგროვილთაგან ყველაზე სწორი და საჭირო გამოვარჩიეთ, ენობრივადაც დავხვეწეთ, წერილობით წყაროებთან შევადარეთ და მათში მოცემული ისტორიული ცნობის სინამდვილე დავადგინეთ. ამის შემდეგ ყველა მათგანი გამოვარჩიეთ და ცალკეულ განყოფილებათა მიხედვით დავალაგეთ. ასეთ მუშაობას ვატარებდით წლების განმავლობაში, რის შედეგადაც დაგროვდა უამრავი მასალა. მათი სათანადო განხილვლის შემდეგ გადავწყვიტეთ, ისინი ერთ ჟურნალში აგვეკინძა, რომელსაც მოსწავლეებმა „საუნჯე“ უწოდეს. ამ მასალის საფუძველზე მოსწავლეებმა მოამზადეს და წაიკითხეს მოხსენებები. მასწავლებლები სისტემატურად იყენებდნენ ამ დიდ მასალებს გაკვეთილზე შესასწავლ მასალათა თვალსაჩინოების მიზნით, მაგრამ მასწავლებელი არ კმაყოფილდება მოსწავლეთა მიერ შეგროვილი მასალებით. საგაკვეთილო თემატიკის ეფექტური ახსნის უზრუნველსაყოფად იგი თვითონაც ეძებს და აგროვებს საჭირო მასალებს. მათ მიერ შეკრებილი მასალები მდიდარ და მრავალმხრივ თემებს აძლევენ მხატვრებს, ნორჩ კარტოგრაფებს, მძერწავებს. მოსწავლეთა მიერ ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალების შეკრება ხდება ცალკეული საგაკვეთილო მასალის გავლასთან, ან წრეში წასაკითხ მოხსენებაზე

მუშაობასთან დაკავშირებით. ხშირად ეწყობა შეხვედრები მთქმელებთან და მათი ნაამბობის მოსმენა და ჩაწერა ადგილზე.

ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მთქმელებთან მრავალი შეხვედრა მოვაწყეთ. პირველად ეს მოხდა 1952 წელს, როცა შევხვდით რაიონში ყველაზე ხნიერ ადამიანს – გეგეჭკორის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, 120 წლის ელისაბედ გეგიას, რომელსაც კარგად ახსოვს ბატონყმობის პერიოდი საქართველოში, უტუ მიქავას აჯანყება, ამბები დადიანთა ცხოვრებიდან, ყმა გლეხთა მძიმე მდგომარეობა და ა. შ. ამ ყოველივეს იგი მეტად ცოცხალი და ხატოვანი ენით გადმოსცემს. ე. გეგიამ იცის მრავალი გადმოცემა, თავის მამა-პაპისაგან განაგონი. მოსწავლეებზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა არჩილ დადიანის აღვირახსნილმა ბატონობამ. გათავხედებული თავადი ყმას შინ უვარდებოდა, იტაცებდა მის შვილებს, ზოგ მათგანს აუპატიურებდა, ზოგს კი ოსმალეთში ყიდდა. თუ მშობელი წინააღმდეგობას გაუწევდა, მას ხუნდებს დაადებდა, ბეჭებზე დაღს დაამჩნევდა. სოფლის მშრომელები ხშირად ნატრობდნენ თურმე: „როდის იქნება, ეს სულძაღლი არჩილ ბატონი ჩაძაღლდესო“.

ამ მძიმე და აუტანელმა მდგომარეობამ გამოიწვია გლეხთა მძლავრი აჯანყებანი. „სანამ უტუს ჯარი შეიკრიბებოდა, მანამ სოფელ-სოფელ ჩუმ-ჩუმად დადიოდნენ ყველაზე გულადი და გაბედული გლეხები და აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს, – უთხრა მან მოსწავლეებს, – ხალხი ამ ამბავს საიდუმლოდ ინახავდა. ერთხელ, მახსოვს, მამაჩემთან ღამით მოვიდნენ ყაბალახით პირსახეაკრული კაცები და დიდხანს იმუსაიფეს კაკლის ხის ქვეშ, სიბნელეში. დედა სულ წყრებოდა: ამოწყდეს მათი სახელი, გააბრიყვებენ იმ კაცს და ოჯახს დამინგრევენო. რამდენიმე დღის შემდეგ ხმა გავრცელდა: ბატონები ამოჟლიტეს გლეხებმა და ჯვარში, სალხინოში და სხვაგან ყმობიდან გათავისუფლდნენო. ჩვენი სოფლიდანაც წასულიყვნენ უტუს ჯარში. ჩვენ შემდეგ გავიგეთ ეს.

მოსწავლეებმა მოხუცს კითხვები დაუსვეს ბატონყმობის დროს გლეხთა მდგომარეობის, ბეგარისა და ღალის, ტყვეთა სყიდვისა და სხვა საკითხების შესახებ. მან მოსწავლეებს უამბო ბაბუისგან მოსმენილი ამბავი ტყვეებით ვაჭრობის შესახებ: ტყვეებით მოვაჭრე ძმებს სოფელ ინჩხურში 13 წლის ბიჭი მოუტაციათ, რომელიც გასაყიდად უნდა წაეყვანათ, მაგრამ ვერ გავიდნენ სოფლიდან. იმ ღამეს ბავშვი ტყეში ხეზე მიკრული დატოვეს. ბავშვი ღამით მგლებს შეეჭამათ.

მოსწავლეებმა მოხუცის ნაამბობი ჩაიწერეს, თავიანთი შთაბეჭდილებანი გამოთქვეს. შემდეგშიც ჩვენ ხშირად მივმართავდით ამ ცნობებს

გაკვეთილებზე. ამ შეხვედრამ მდიდარი მასალა მოგვცა საწრეო მუშაობის ხაზითაც მოხსენებათა მომზადებისათვის.

როდესაც ვასწავლით თემას – „ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მომზადება და გამარჯვება“, ვაწყობთ შეხვედრებს ძველ რევოლუციონერებთან (გ. კიტოვანი, პ. ბაჩილავა, პ. წოწორია, ვ. ელიავა და სხვ.), რომლებიც 1905 წლიდან აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში, იყვნენ არალეგალური ორგანიზაციის წევრები, აწყობდნენ გლეხთა აჯანყებებს. ბაჩილავამ თვითონ შეკრიბა დიდი პარტიზანული რაზმი და რაიონში გახდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი. იგი მოქმედებდა ს. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით.

კიტოვანი, ბაჩილავა, წოწორია და ელიავა იგონებენ რევოლუციის პირველ დღეებს, 1905 წლის ამბებს სამეგრელოში, ახალი თაობის ადამიანების მოღვაწეობას, პირველ მსოფლიო ომში ჯარისკაცთა შორის ბოლშევიკ-აგიტატორების საქმიანობას, პროლეტარიატის ბრძოლას მენშევიკთა უდღეური ბატონობის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ცალკეული ეპიზოდებს. ეს ამბები ზრდის მოსწავლეებში რევოლუციურ სულიკვეთებას, აღძრავს მათში სამართლიანი საქმიანობისათვის ბრძოლის სულისკვეთებას.

ასევე ხშირად მივმართავთ რაიონის მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან – პ. ჯანჯღავასთან შეხვედრას. პ. ჯანჯღავას ნაამბობი კოლმეურნეობის განვითარების ეტაპებზე, კოლმეურნეობის სამეურნეო გამოცდილებასა და წარმატების მიზეზებზე, კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებზე, წარმატებული მეთოდების დანერგვაზე, დიდ აღმზრდელობით გავლენას ახდენს მოსწავლეებზე. ისინი განსაკუთრებით ინტერესდებიან კოლმეურნეობის პირველი წლებით, როდესაც კოლმეურნეებს ბრძოლა უხდებოდათ საკოლმეურნეო მოძრაობის მტრების – კულაკების წინააღმდეგ, რომლებიც აშინებდნენ საშუალო გლეხებს: კოლმეურნეობა ყველაფერს ჩამოგართმევთ, თქვენს საქონელს დახოცავს, გაგაღატაკებთ და ამის შემდეგ თქვენი გაპროლეტარება აქვთ განზრახული. დაკალით თქვენი საქონელი, ნურაფერს შეიტანთ კოლმურნეობაშიო. ზოგი შეშინებული საშუალო გლეხი აჩანაგებდა საკუთარ მეურნეობას, ხოცავდა საქონელს, გარბოდა კოლმეურნეობიდან, ერთი სიტყვით, ექცეოდა კულაკის გავლენის ქვეშ, ეხმარებოდა მათ საკოლმეურნეო მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მაინც დიდხანს ვერ ახერხებდნენ კულაკები, თავიანთი გავლენის ქვეშ ჰყოლოდათ საშუალო გლეხობა. პარტიისა და ხელისუფლების შემდგომმა ღონისძიებებმა საშუალო გლეხობა დაარწმუნა იმაში, რომ კოლმეურნეობა მათი

შეძლებული და ბედნიერი ცხოვრების ერთადერთი, სავსებით სწორი გზა იყო, კულაკები კი ატყუებენ მათ.

ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ მასწავლებელი შედეგებს აჯამებს, მოსწავლეებთან ერთად განიხილავს და აანალიზებს ნაამბობს. ამასთან, ავალებს მოსწავლეებს, ჩაიწერონ ეს მასალები, აგრეთვე თავიანთი შთაბეჭდილებანი, შეადგინონ ილუსტრაციები, ალბომები, ფოტოსურათის ფირები და სხვ. მასწავლებელი ამ მასალებს ხშირად ურთავს ხოლმე თავის თხრობაში და მოსწავლეებისგანაც ითხოვს, საკუთარი პასუხები დაასაბუთონ და დაასურათონ ამ მასალებით. ამ გზით მოსწავლეები შეგნებულად და ღრმად ითვისებენ საპროგრამო მასალებს.

მსგავს მუშაობას ატარებენ გეგეჭკორის რაიონის ბანძის საშუალო სკოლის მასწავლებლები – ს. გაბუნია და რ. ქუთელია. ისინი ცალკეული თემების მიხედვით წინასწარ ავალებენ მოსწავლეებს ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალების შეგროებას. წლიდან წლამდე გროვდება მდიდარი გადმოცემები, ლეგენდები, სიმღერები, რაც მათ მდიდარ მასალას აძლევს არა მარტო გაკვეთილის თვალსაჩინოდ ჩატარებისათვის, არამედ მოსწავლეთა მოხსენებების მოსამზადებლად, ალბომებისა და ჟურნალების შესადგენად.

ზეპირსიტყვიერი მასალების გამოყენება სკოლაში ორი გზით მიმდინარეობს: ერთი, უშუალოდ გაკვეთილზე, გაკვეთილის მასალაში ჩართვით და მეორე, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ხაზით.

მასწავლებელი წინასწარ სერიოზულად ემზადება გაკვეთილისათვის, ადგენს მის მიერ ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმას. გეგმის შედგენისას ზუსტად ითვალისწინებს თემის სისრულეს. ამის მიხედვით ახდენს მის დოზირებას, ნათლად წარმოიდგენს მასალის გადაცემის მიზანს. დასახული მიზნის განხორციელება მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლის თხრობის დახვეწას, მის გამდიდრებას დამატებითი მასალებით, ცოდნის შევსებას. ამიტომ გეგმის შედგენისას მასწავლებელი წინასწარ ითვალისწინებს თხრობის მოცულობასაც, არჩევს დამატებით მასალას, ანალიზს უკეთებს ამ მასალებს და განსაზღვრავს, თუ როდის, რა მოცულობით, რასთან დაკავშირებით გამოიყენოს ეს მასალები. აქვე ითვალისწინებს იმასაც, რომ ამ მასალით არ გადაღალოს ან არ დაჩრდილოს სახელმძღვანელო წიგნის მიერ ნაჩვენები კურსი, არ გადატვირთოს მოსწავლეები. ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოყენებული ეს მასალები კარგ შედეგს იძლევა.

ისტორიის ცალკეულ მონაკვეთს, ცალკეულ საკითხს შესაფერისი მასალებით უნდა ვამდიდრებდეთ. მაგალითად, როდესაც მე-9 კლასის მოსწავლეებს მასწავლებელი გაკვეთილის მასალად აძლევს, ან უხსნის

„ძველ ქართულ წარმართულ სარწმუნოებას და თქმულებებს“, თავის თხრობაში იგი ჩაურთავს გადმოცემას ჭყონდიდის კერპის – ჭყონის შესახებ. მოკლედ უამბობს სარწმუნოებრივი რიტუალის შესრულების ცალკეულ ეპიზოდებს, ამავე დროს, ხაზს უსვამს ბერძნული მითის – „პრომეთეს“ და ძველი ქართული მითის – „ამირანის შესახებ თქმულების“ მსგავსებას, მოიყვანს წარმართული რელიგიის დამახასითებელ სხვა მასალასაც. მასწავლებლის თხრობაში ჩართული ეს მასალა კიდევ უფრო ღრმა და ცხად წარმოდგენას უქმნის მოსწავლეებს რელიგიის, კერძოდ, წარმართულობის არსზე. მასწავლებელი ცხადყოფს, რომ რელიგია ბრმა და გაუნათლებელი, ბუნების ძალებისა და მოვლენების წინაშე შიშით მოცახცახე ადამიანთა გამოგონილია, რომელიც შემდეგ გაბატონებული კლასის ხელში გამოყენებული იქნა ბეჩავი, მშრომელი და ჩაგრული ხალხის დასამონებლად. ამგვარი მუშაობით ვაღრმავებთ და ვამტკიცებთ მოსწავლეთა ცოდნას რელიგიის შესახებ. ასე ვზრდით მოსწავლეებს ანტირელიგიური სულისკვეთებით.

როდესაც მასწავლებელი ხსნის თემას – „არაბების შემოსევა საქართველოში“, თავის თხრობაში მოიმარჯვებს გადმოცემას მურვან ყრუს მიერ სოფელ ჭყონდიდისა და მარტვილის მონასტრის აოხრების შესახებ. დავით აღმაშენებლის მეფობის დროს მომხდარ რეფორმებთან დაკავშირებით კი მოსწავლეებს უამბობს გიორგი ჭყონდიდელის (უპირველესი ვაზირის) მოღვაწეობის შესახებ. ამ ფაქტითა და სხვა მასალების გამოყენებით ცხადვყოფთ, რომ მაშინდელ საქართველოში სოფელი ჭყონდიდი (ახლანდელი გეგეჭკორი) საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ეკონომიკური, რელიგიური, კულტურული და პოლიტიკური ცენტრი ყოფილა. ჭყონდიდი გეოგრაფიულად იმ გზაზე მდებარეობდა, რომელიც იმერეთს აერთებდა აფხაზეთთან („არგუეთ-კლისორის გზა“). რადგან ეს თემა მოსწავლეებისათვის ნაცნობ მასალებზეა აგებული, ამიტომ უფრო მიმზიდველი, საინტერესო და ადვილად ასათვისებელია.

საკითხის – „დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში“ – მასალების თვალსაჩინოებისათვის თხრობაში ვიყენებთ გადმოცემას თურქობის შესახებ. მოძალადე ოსმალები დაუნდობლად ჟლეტდნენ ადგილობრივ მკვიდრთ, ტყვეები მიჰყავდათ ოსმალეთში და იქ მონებად ყიდდნენ. იყო ფეოდალთა გაუთავებელი ქიშპობა და ომები. მოგვყავს გადმოცემა თამაკონის ციხე-დარბაზის აგების შესახებ. ვაჩვენებთ ფეოდალთა მხრივ ყმების ჩაგვრის საშინელ სურათებს (ხუნდებზე დასმა, შანთით დადაღვა), ტყვეთა სყიდვის მთელ საშინელებას. აქვე აღვნიშნავთ გეგეჭკორის რაიონში კარგად ცნობილ გადმოცემას ინჩხურში ტყვეების მსყიდველთა მიერ ჩადენილ საშინელ ბოროტმოქმედებაზე, მოვუთხრობთ გადმოცე-

მებს სახალხო გმირების – სერგისა და სხვათა შესახებ. ეს მასალები, მხატვრულ სურათებად წარმოდგენილი, ნათელ წარმოდგენას უქმნის მოსწავლეებს ბატონყმობის საშინელ სუსხზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მუშაობა ზუსტადაა განსაზღვრული წინასწარ გაკვეთილის გეგმით. სათანადოდ აწონ-დაწონილია სად, როდის, რა სისრულით უნდა ჩაერთოს იგი გაკვეთილის პროცესში. მაგალითისათვის განვიხილავთ ერთ-ერთ გაკვეთილს, რომლის თემაა „დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში“. გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეებს გავაცნოთ ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს დაცემის მიზეზები და მისი შედეგები, გავაღრმავოთ მოსწავლეთა ცოდნა ფეოდალური წყობილების, ბატონყმური ურთიერთობის შესახებ.

**საშინაო დავალების** („კახეთის აჯანყება 1659 წელს და თეიმურაზის პოლიტიკის საბოლოოდ დამარცხება“, ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან გადმოცემა – „ბახტრიონის აღება თუშთაგან“ – გაცნობა, შესასწავლი მასალიდან თარიღების ამოწერა) **შესრულების შემოწმება**.

**მოსწავლეთა გამოკითხვა**...

კითხვები კლასის მიერ საშინაო დავალების შესრულების შესამოწმებლად:

– როგორ განახორციელა სელიმ-ხანმა შაჰის გეგმა?

– რა გადმოცემა არსებობს ხალხში ამის შესახებ?

– რა იყო აჯანყების მიზეზი?

– რა შედეგები მოჰყვა აჯანყებას?

– რა გადმოცემა არსებობს ხალხში აჯანყებულთა მიერ მტრის განდევნის, ბახტრიონის ციხისა და სოფლის გათავისუფლების შესახებ?

– ვის დაემორჩილა იმედგაცრუებული თეიმურაზი?

– სად და როგორ პირობებში გარდაიცვალა თეიმურაზი?

**კავშირი ძველსა და ახალ მასალას შორის დამყარდება კითხვით**: დაახასიათეთ XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების მთავარი მომენტები.

**ახალი მასალის ახსნა. ახალი მასალის ძირითადი საკითხები**:

შინააშლილობა XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში.

შინააშლილობის სამწუხარო შედეგები ქვეყნისათვის (ფეოდალთა შინაომები. გადმოცემა თამაკონის ციხე-დარბაზის შესახებ).

ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის გადმოცემები: „ტყვეთა სყიდვის შესახებ ინჩხურში მომხდარი ამბავი“, „მათხოჯში მომხდარი ამბავი“.

გლეხების აყრა და გაქცევა. დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის რიცხობრივი შემცირება.

**თვალსაჩინოება**: XVII საუკუნის საქართველოს რუკა.

**საშინაო დავალება**: 1. თემის – „დასავლეთ საქართველო მე-17 საუკუნეში“ – შესწავლა, სახელმძღვანელო წიგნის 352-356 გვ.

2. ლექსების წაკითხვა რვეულიდან „ხალხური სიტყვიერება“ ტყვეთა სყიდვის შესახებ; ორი გადმოცემის ჩაწერა მათხოჯსა და ინჩხურში მომხდარი ამბების შესახებ, „დადია მოზონჯუნდუა დო ბაჩია შარას გიაჩოქუდუა“ (დადიანი მობრძანდებოდა და ბაჩილავა გზაზე დაჩოქილი უცდიდაო).

3. ქრონოლოგიურ ცხრილში გაკვეთილის მასალიდან თარიღებისა ფაქტების ჩანიშვნა.

გაკვეთილი წარიმართება გეგმის სრული შესაბამისობით. მოსწავლეები თავიანთ თხრობასა და პასუხებში ეხებიან გადმოცემას თუშთა მიერ ბახტრიონის აღების შესახებ, ირანის შაჰის გეგმას კახეთში, მის წინააღმდეგ საქართველოს ხალხის პატრიოტულ სულისკვეთებას და ამ გეგმის განხორციელების შედეგებს, აჯანყების მიზეზებსა და შედეგებს. საბოლოოდ, ისინი აკეთებენ სწორ დასკვნებს. თანაც საშინაო დავალების რვეულებში მათ ჩაწერილი აქვთ ეს გადმოცემები და ამ საკითხებთან დაკავშირებული სხვა მასალები.

ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელი მთელი სერიოზულობით ასახავს ქვეყნის შინააშლილობასა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის მიზეზებსა და შედეგებს, ოსმალთა ბატონობის სუსხს, რისთვისაც იყენებს 120 წლის მოხუცი კოლმეურნის – ელისაბედ გეგიას ნაამბობს იმის შესახებ, რომ თათრები ხალხის დასამშვიდებლად ქვეყნის ხშირ აწიოკებას მიმართავდნენ. ისინი კალიებივით მოედებოდნენ ხოლმე მთელ ქვეყანას, აჩანაგებდნენ სახნავ-სათესებს, ხეხილის ბაღებსა და ვენახებს, აუპატიურებდნენ ქალებს, მუცელს უფატრავდნენ ორსულ დედებს, ურჩ მამაკაცებს ზურგს ჩაუჭრიდნენ და შიგ ცეცხლს წაუკიდებდნენ. ასობით ქალ-ვაჟს საქონლის ნახირთან ერთად გარეკავდნენ ოსმალეთისკენ, ბატონები კი იმ დროს ჯურღმულებში იმალებოდნენ და ოსმალთა წასვლის შემდეგ ათმაგად ინაზღაურებდნენ ზარალს ისედაც გაჩანაგებული გლეხობის ხარჯზე. ჯერ თვითონ იწვევდნენ ისინი ოსმალებს ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, შემდეგ კი ოსმალები დაუპატიჟებლად იჭრებოდნენ ხოლმე მალულად თუ აშკარად, იტაცებდნენ ადამიანებს და მიჰყავდათ ოსმალეთში.

მასწავლებელი წარმოადგენს ტყვეებით ვაჭრობის საშინელ სურათებს. მოუთხრობს ათი გაყიდული, ქვევრში უპატრონოდ ჩაყრილი დის ამბავს, ქაცარავების მიერ ინჩხურში ხეზე მიკრული და მგლების მიერ გამოხრული ყრმის შესახებ, ხალხის ამ მძიმე მდგომარეობის გამო დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირების, გლეხთა აყრისა და გაქცევის ტრაგიკულ ისტორიებს. ასე ხატოვნად და მიმზიდველად გადაცემული მასალა დიდ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეებზე, უზრუნველყოფს მათ მიერ მასალის საფუძვლიან ათვისებას.

ამრიგად, ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელსაც მიმართავენ მასწავლებლები და მოსწავლეები (კითხვებზე პასუხების გაცემისას, გამეორებისას, კლასგარეშე და სკოლის გარეთ მუშაობისას, ცალკეული მოვლენისა და ფაქტის დასასურათებლად, ანალიზისა და დასკვნის გასაკეთებლად) დიდმნიშვნელოვან დამხმარე საშუალებას წარმოადგენს. იგი შუქს ჰფენს ფაქტის, მოვლენის, ისტორიული ამბის არსს. ნათელ წარმოდგენას უქმნის მოსწავლეს ისტორიის ძირითად მამოძრავებელ ძალებსა და ისტორიული მოვლენის მსვლელობასა და შედეგებზე, ხალხისა და მისი ყველაზე მოძრავი, რევოლუციური ნაწილის – მშრომელი კლასების როლზე; შესაძლებლობას იძლევა, ისტორიული მოვლენის, ფაქტის ანალიზი და სწორი დასკვნები გააკეთონ.

ზეპირსიტყვიერი მასალის გამოყენება მიმზიდველს ხდის მასწავლებლის თხრობას, აღრმავებს შესასწავლ მასალას, ხელს უწყობს მოსწავლეებში პატრიოტული სულისკვეთების აღზრდას.

ცნობილია, რომ ბავშვსა და მის სულზე უაღრესად დადებით გავლენას ახდენს ფოლკლორული მასალა. ხალხურ სიბრძნეში მოცემული ვაჟკაცობის, გმირობის, პატრიოტობის, თავდადების, უზადო მორალურ ქცევათა მარგალიტები ზრდის და აკეთილშობილებს ბავშვებს. ხალხი თავისი შემოქმედების ამ ტკბილი საზრდოთი კვებავს ბავშვებს. ამიტომ წერდა უშინსკი: „როდესაც ხალხურობას მიმართავს, აღზრდა ყოველთვის მიიღებს პასუხს და ჰპოვებს ხელშეწყობას ადამიანის ცოცხალ და ძლიერ გრძნობაში: ეს გრძნობა მოქმედებს გაცილებით უფრო ძლიერ, ვიდრე გონების მიერ მიღებული შეხედულებების ან დასჯის შიშით დანერგილი ჩვეულებები“.

ხალხური სიტყვიერება ხალხის საუნჯეა, სადაც მკვეთრად, ყოველგვარი კლასობრივი ეგოიზმის გარეშე, მართებულად და ხატოვნადაა გამოსახული ხალხის ისტორია დასაბამიდან დღემდე; ამ საუნჯიდან აღებულო ნიმუშები ახლობელი, დედის ძუძუსავით ტკბილი და სასარგებლოა.

# ჭყონდიდ-მარტვილი – უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერა*

## შესავალი

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სტაციონარულ ექსპოზიციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჭყონდიდის (მარტვილის) ისტორიულ წარსულს. მუზეუმის სპეციალურ სტენდებზე მე-4 დარბაზიდან მე-7 დარბაზამდე წარმოდგენილია მასალები თემაზე: „ჭყონდიდ-მარტვილი უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერა". თემატურ სტენდებზე ცალკეული ისტორიული ეტაპების მიხედვით, პირველადი სამეუზეუმო მასალებით, წარმოდგენილია ჭყონდიდის (მარტვილის) საგანმანათლებლო საქმიანობის ცალკეული მომენტები.

ჭყონდიდი (მარტვილი) ცენტრია იმ პოლიტიკურ-სამეურნეო ერთეულისა, რომელიც ქართულ საისტორიო ლიტერატურასა და წყაროებში ცნობილია საჭყონდიდლოს სახელწოდებით.

აბაშისპირი, დაწყებული შესართავიდან, ვიდრე გაჭედილ-ბალდის ციცაბო მთებით რაჩხის გულამდე, ერთი მთლიანი ტერიტორიაა. ისტორიულად იგი ჭყონდიდელთა ერთიან სამწყსოს შეადგენდა და ამიტომ საჭყოინდოს ანუ საჭყონდიდლოს სახელს ატარებდა. „სა-ჭყონდიდო – название округа около Мартвильского монастыря, части Сенакского уезда" – განმარტავდა ი. ყიფშიძე.

საჭყონდიდლოს ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა მთელ საქართველოში სახელგანთქმული ჭყონდიდი, თავისი მარტვილის მონასტრით.

ასეთი მნიშვნელოვანი რელიგიური კერა და ამ კერის პოლიტიკურ-სამეურნეო საუფლო დიდი ხნიდან იყო უძველესი ქართული კულტურის ერთ-ერთი ცენტრი.

---

* გ. ელიავა, „ჭყონდიდ-მარტვილი – უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერა" (მეგზური), თბ., 1969.

## სტენდი: ჭყონდიდ-მარტვილი ლიტერატურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობის უძველესი ცენტრი

მუზეუმის გამოფენების ამ სტენდზე მოთხრობილია ჭყონდიდ-მარტვილის, როგორც ერთ-ერთი უძველესი კულტურული ცენტრის ისტორია. ჭყონდიდი, როგორც უძველესი ქართული სახელმწიფოს – კოლხეთის ეკონომიკური ცენტრი, ბუნებრივია, მისი კულტურული ცენტრიც უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ამ ადგილზე მთელ ძველ საქართველოში სახელგანთქმული წარმართული ბომონის – ჭყონდიდის (დიდი მუხის) არსებობაც. ეს კერპი დასავლეთ საქართველოს სათაყვანო იყო. „საქართველოში ხე-მცენარეთა თაყვანისცემის არსებობის საუკეთესო დამამტკიცებლად – წერდა აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი – უნდა ჩაითვალოს ძველ საქართველოში სახელგანთქმული ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს და თავდაპირველად, უეჭველია, მუხის მსახურების სალოცავი ადგილი უნდა ყოფილიყო“.[1]

ეს ტაძარი, როგორც ჩვენს საისტორიო ლიტერატურაშია დადგენილი, აშენებულია VI საუკუნის მიწურულსა და VII საუკუნის დასაწყისში. მსგავსად ატენის და შუამთის ტაძრებისა, იგი ჯვრის ტიპის ნაგებობაა: არაბთა ლაშქრობის დროს ძლიერ დანგრეული და მეათე საუკუნეში საფუძვლიანად აღდგენილი დასავლეთ საქართველოს მეფის – გიორგი II მიერ[2].

გამოფენაში ჩართულია არქეოლოგიური, წერილობითი თუ ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები, რომლებიც თვალსაჩინოდ, პირველადი მასალებით გადმოგვცემენ ჭყონდიდის კულტურული დაწინაურების დონეს.

აქ გამოფენილია ფოტოასლები და ამონაწერები, ხოლო ფონდებში დაცულია ხელნაწერი დოკუმენტები და წიგნები, რომლებიც გადაწერილი და დაცული იყო მარტვილის მონასტერში, რაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის წიგნის გადამწერთა და მომრთავ-მომკაზმელთა მოღვაწეობაზე.

მარტვილში უნდა იყოს შესრულებული ბევრი საინტერესო ჰიმნოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები, რომლებიც X საუკუნის სახელგანთქმულ პოეტებსა და მოღვაწეებს – სტეფანე ჭყონდიდელს და იოანე მინჩხს ეკუთვნით. X საუკუნეში გიორგი II-ის მიერ დაარსებული ჭყონდიდ-მარტვილის საეპისკოპოსო კათედრა ბიზანტიის ეკლესიის გავლე-

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 94.

[2] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, გვ. 139.

ნის წინააღმდეგ ბრძოლისა და საქართველოს ეკლესიის გაძლიერების მნიშვნელოვან კერად იქცა.



**გიორგი ჭყონდიდელი**
მოქანდაკე ოთარ ფარულავა

ჭყონდიდ-მარტვილი საგანმანათლებლო და კულტურული მოღვაწეობის თვალსაჩინო კერაც იყო. ამ კერამ მცირე როლი როდი შეასრულა საქართველოს ეკლესიისა და ფეოდალური სახელმწიფოს შექმნაში. X საუკუნეში აქ მოღვაწეობდა ისეთი სახელგანთქმული მწერალი, როგორიც იყო სტაფანე სანანოიძე, ჭყონდიდელი, რომელსაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ საუკუნო ხსენება დაუწესა. „სტეფანე ჭყონდიდელი რომ გამოჩენილი მწერალი ყოფილა, ამას მოწმობს რუის-ურბნისის 1104 წ-ის საეკლესიო კრება, რომლის ძეგლისწერა საუკუნო ხსენებას აწესებს სხვათა განთქმულ მწერალთა შორის სტაფანე სანანოჲს ძისას“[1] – წერდა თ. ჟორდანია.

ძეგლისწერაში ვკითხულობთ:

„კეთილად მსახურთა და მართლმადიდებელთა: პირველ აღსრულებათა სანატრელთა მეფეთა ჩუენთა, საუკუნომცა არს ხსენება და კურთხევა მათი.

სანატრელთა და წმინდათა კათოლიკოსთა და ნეტართა მღვდელმთავართა და მღვდელთა, საუკუნომცა:.

საუკუნოჲსა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მნათობთა ჩუენთა ეფთჳმი და გიორგი მთაწმინდელთაჲ საუკუნომცა.

ღირსთა მამათა ჩუენთა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოის ძესა, მღვდელმთავართა და მღვდელთა საუკუნომცა“.[2]

მარტვილში მოღვაწეობდა, ალბათ, მეორე ცნობილი პოეტი იოანე მინჩხი, გიორგი II-ის თანამედროვე და თანამოღვაწე. პ. ინგოროყვა წერს, რომ იოანე მინჩხი, „უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის, როგორც პოეტი და კომპოზიტორი“.[3] პ. ინგოროყვას

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 113.
[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 71.
[3] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 671.

მოსაზრებით, იგი უნდა ყოფილიყო ჭყონდიდის სანახებიდან, სოფელ ინ-ჩხურიდან. აქედან უნდა იყოს ნაწარმოები **მინჩხი, მინჩხური**.[1]

მარტვილის ტაძარი დიდი კულტურული კერა იყო. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ბაგრატ IV-მ ეს კათედრა სამოღვაწეოდ მიუჩინა სახელ-განთქმულ პედაგოგსა და მეცნიერს – გიორგი მთაწმინდელს. „ვითარ-ცა იხილა მეფემან ბაგრატ ესევითარი სიწმინდით და ღირსებით მოქა-ლაქობა და უსხეულოთა მსგავსი ცხოვრება და სასწაული მისი, დიდად შეიყუარა, ვითარცა ანგელოზი ღმრთისა, და ღონესა ეძიებდა, რათამცა თუისსა მამულსა წარიყვანა და მისცა მღდელთმოძღურება ჭყონდიდისა საყდრისა, სადა შექმნა ბაგრატ საფლავი თვისი და დაუსვენებიათ მრა-ვალნი წმიდათა მარტვილნი“, – ნათქვამია ქართლის მატიანის ჩანართ-ში.[2] უდავოა, რომ აქ იგი მოწვეული იქნებოდა არა მხოლოდ მღვდელთმ-სახურებისა და მწიგნობრული საქმიანობისათვის, არამედ პედაგოგიური მოღვაწეობისათვისაც. თუ ეს ასეა, მაშინ მარტვილში რაღაც საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო ტიპის რგოლი უნდა არსებულიყო იმთავი-დანვე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, „იმ ფაქტთა შორის, რომელნიც ხელს უწყობდნენ ძველი ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებას, მნიშვნე-ლოვანი ადგილი ეკავა, რასაკვირველია სკოლას, როგორც ისეთ დაწესე-ბულებას, რომელიც მონასტერ-ეკლესიებთან, სამღვდელმთავრო კათე-დრებთან თუ სრულიად განცალკევებით, მუდამ აღვივებდა კულტურის ნაპერწკალს და ინახავდა ლიტერატურული შემოქმედების ლამპარს“.[3] ჭყონდიდი ერთ-ერთი ცნობილი და აღიარებული ცენტრი იყო ამ დროს, თვით მეფეთა საძვალედაც მიჩნეული (ბაგრატ IV აქ დაუმარხავთ). მა-შინდელ საქართველოს მწიგნობართუხუცესად ჭყონდიდელი ეპისკოპო-სის დანიშვნა და ჭყონდიდლობის საერთო, ზოგად სახელად გადაქცევა[4] მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ჭყონდიდელი საქართველოს ცენტრალიზე-ბული სახელმწიფოს შექმნასა და განმტკიცებაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა. ასეთი კერის მეთაური საქართველოს მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი დასაყრდენი უნდა ყოფი-ლიყო. ამასთან, დავითის დროის ჭყონდიდელი ეპისკოპოსი მონაზონი გიორგი ხომ მეფის აღმზრდელი და თანააღზრდილიცაა[5]. „მეფეს ყმაწვი-ლობიდანვე მხარში უდგა მისი აღმზრდელი და თანაგამკაფველი ყოველ-

[1] იქვე, გვ. 370.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, თბ., გვ. 303-304.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 80.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, 1928, გვ. 126.

[5] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 336; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, გვ. 38.

თა გზათა და საქმეთა და ღვაწლთა მისთა“ გიორგი მწიგნობართუხუცესი (პროფ. ნ. ბერძენიშვილი).

მარტვილის მონასტერი შემდგომშიც ინარჩუნებს მწიგნობრული და საგანმანათლებლო მოღვაწეობის ერთ-ერთი ცენტრის მნიშვნელობას. ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელს ლოგიკის სახელმძღვანელოც კი უთარგმნია სკოლისათვის: აკადემიკოსი კ. კეკელიძე წერს: „წიგნი ანტონის სახელმძღვანელოდ განუზრახავს, რომელიც შემდეგი სიტყვებიდან სჩანს: „ხოლო აწ მოძღუართა და მოწაფეთა თანა ლოცვა ჰყავთ ჩემ უღირსისათვის; მოძღუართა – რამეთუ ორღანო არს თქუენი სიბრძნის მოყუარებისა ესე წინამდებარე წიგნი; მოწაფეთა – რამეთუ უმკუეთრეს ჰყოფს გონებასა თქუენსა ხედვითისა სიბრძნისა მიმართ“.[1]

მარტვილელი ბერები XIX საუკუნის პირველ წლებშიც არ წყვეტენ წიგნის გადაწერისა და გავრცელების საქმიანობას. ამას ადასტურებს მონასტრის წიგნსაცავში დაცული ხელნაწერთა მინაწერები, რომელთა ნაწილი გამოფენილია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში. აქვე გადაუწერია და გაუვრცელებია „ვეფხისტყაოსანი“ დიაკონ პეტრე მოწერელიას 1825 წელს. ერთი ეგზამპლარი ამ ხელნაწერისა დღეს ჩვენი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. XVI საუკუნეში გადაწერილი „კიბეც“ აქვეა დაცული. მარტვილში ერთ-ერთ ბერს 1800 წელს მატიანე უწერია. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში დაცულია ამ ჩანაწერების ერთი რვეული.

ასეთ კერაზე, სადაც მღვდელთმსახურებასთან ერთად დიდი კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობა მომდინარეობდა უძველესი დროიდან, სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის თხოვნით, 1830 წელს გაუხსნიათ სამაზრო სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1880 წლამდე თითქმის ერთადერთი სასწავლებელი იყო ამ კუთხეში. მარტვილი და მისი მონასტერი რომ დიდი საგანმანათლებლო კერა იყო უძველესი დროიდან და ასეთად დარჩენილა XIX საუკუნეშიც, ამ ფაქტს ადასტურებს 1878 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატია, სადაც ვკითხულობთ: მარტვილი „იყო წყარო სწავლისა და განათლებისა, როგორც სასულიერო, აგრეთვე, საერო წოდებაშიც იშვიათად მოიძებნება მეორე სასწავლებელი, რომელსაც მოეტანოს ამდენი სარგებლობა საზოგადოებისათვის“.

მუზეუმის გამოფენები თვალსაჩინოდ მოუთხრობენ დამთვალიერებლებს ამ კულტურულ და საგანმანათლებლო ისტორიას.

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, თბ., გვ. 368.

## სტენდი: ჭყონდიდის სანახები – კულტურის კერები

მუზეუმის გამოფენებში ცალკე სტენდი აქვს დათმობილი ჭყონდიდის სანახებში არსებულ კულტურულ კერებს, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ქართული კულტურის განვითარების საქმეში. მათ შორის აღსანიშნავია: ინჩხური, ნახარებაო, ბანძა.

### ინჩხური

ინჩხური ეგრისის მთაგრეხილის სამხრეთით, ტაბაკელას მთის შეფენებაზე მდებარე პატარა სოფელია. სიტყვა ინჩხური წარმომდგარია მეგრული სიტყვა **ირჩხუდან** (ირეცხება). აქ ხშირი ნიაღვარი იცის. პატარა მთის მდინარე **ინჩხია** ხანგრძლივი წვიმების დროს ძლიერ დიდდება და წალეკავს ხოლმე მის ნაპირებზე მდებარე ადგილებს. ამიტომ იტყვიან **ირეცხება** – **ირჩხუ**.

სოფელში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი და ადგილი. მათ შორის აღსანიშნავია **ნამანცხვარუ**, რომელსაც თამარის ნადარბაზევსაც ეტყვიან. არსებობს გადმოცემა, თითქოს, აქ თამარის დარბაზები და ციხესიმაგრე მდგარა. ამ ადგილებში ოდითგანვე ცხოვრობდნენ ლითონის ოსტატები, მჭედლები – ლაგვილავები და წოწორიები, რომელთაც „**რკინის კაცებს**“ ეძახდნენ. ნამანცხვარუს ქვემოთ არის **დიეკი**, ხოლო მის ზემოთ – **ნაშეფუა**. დიეკი ღრმად ჩაჭრილი და ქვითკირით ამოყვანილი, ხუთი მ-ის სიმაღლის ფართო ჭაა. გადმოცემით, აქ დამნაშავეებს აგდებდნენ ხოლმე, ე. ი. იგი დილეგი ყოფილა, ხოლო ნაშეფუაში გრძელ, ხის უკედლო ფარდულს აგებდნენ თურმე დიდგვაროვანთა – დიდებულთა პატივსაცემად. აქ უმართავდნენ მათ დიდ პურობას. იგი გორდიდან სალხინოსაკენ მიმავალი გზის შუა ადგილია. ამ მთის საცხენო გზით დადიოდნენ დადიანები ამ ორ აგარაკზე.

მდინარე აბაშის გაღმა, დასავლეთის ნაპირზე, უნაგირას უკიდურესი ჩრდილოეთი კიდური კარსტული ქვაბულების მთელი სისტემითაა დაქსელილი. მათ შორის ერთი (ცენტრალური) სახიზარი ქვაბულია. წინა პირი ქვითკირით აქვს ამოქოლილი, რომელსაც დატანებული აქვს სამზერები და სათოფურები, აგრეთვე ვიწრო კარი. დღეს მხოლოდ მათი ნაწილია შემორჩენილი.

ინჩხურში, დიდი ინჩხურის ან „ტუტა უჩას ნაოხვამუზე“, გ. წოწორიამ იპოვა ქვა, რომელზეც ამოკვეთილი წარწერა შეიძლება წავიკითხოთ როგორც „**შოთასა**“. წარწერა XI-XII საუკუნის კლასიკური ხელითაა შესრულებული.

თუ ვირწმუნებთ პავლე ინგოროყვას ვარაუდს, ინჩხური უნდა იყოს X საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტის – ივანე მინჩხის მშობლიური სოფელი. „თვით სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს ინჩხურიდან ან ინჩხიდან. მდინარის სახელწოდება ინჩხია ამ ვარაუდს კიდევ უფრო ამაგრებს. სოფლის ძველი სახელწოდება **ინჩხური** კი არა, ინჩხუ უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასეა, მაშინ **ინჩხი** მართლაც ადვილად დამარწმუნებელი ფუძეა მინჩხისა, რომელსაც თავში მაწარმოებელი ნიშანი „მ“ მოუდის, რაც ადრე მიღებული და გაბატონებული იყო ადგილთა ძველქართულ სახელთა წარმოებაში“.[1]

ადგილი სააგარაკოა, მდიდარი ხე-ტყით, ვაზით, სასარგებლო წიაღისეულით, შესანიშნავი ჰაერითა და მიწის ნაყოფიერებით. ამიტომ მარტვილის მონასტრის შემოგარენში იგი ძველთაგანვე ყველაზე აღიარებული „**ხატის მამულია**“, „**საჭყოინდრო**“[2]. ასეთი ღირსსაყურადღებო ძეგლების არსებობა, დაბოლოს, ეპიგრაფიკული ძეგლის მოწმობაც მიუთიუთებს ამ ადგილის კულტურულ დაწინაურებაზე საჭყონდიდლოში.

მუზეუმის გამოფენებში ჩართულია მრავალი ხელნაწერი დოკუმენტი, ეპიგრაფიკული ძეგლი, არქეოლოგიური ნივთი და ფოტოდოკუმენტი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ამ ადგილის ისტორიულ წარსულს.

## ბანძა

სოფლის სახელწოდებას ადგილობრივი მოხუცები განმარტავენ **ბანიძგად** – ბანის კიდედ (**ძგა** მეგრულად კიდეს ნიშნავს). ბანძის ცენტრში, სამოთხის უბანში, არის სამოთხეკარის ეკლესია, სადაც დღემდე შემორჩენილია ძველი ბაზილიკური ნაგებობის ნანგრევები და ურთხელის ათასწლოვანი ხეები, რომელთაგან ერთ-ერთი, ყველაზე ძველი და ყველაზე დიდი, სარიტუალო ხე ყოფილა. მას დიდი პატივით ეპყრობოდა მოსახლეობა. მის ძირას ჩამხობილი მლოცველი ხატად მიჩნეულ ხეს (ძლიერ ძალად მიჩნეულ კერპს) შესთხოვდა მტრის და მოღალატის შეჩვენებასა და მოსპობას. ხესთან საუკუნეების განმავლობაში მიჰქონდათ ძვირფასი შესაწირავი: ვერცხლის ფულები, სპილენძისა და ვერცხლის ნაკეთობანი, ხელძღვენი სურსათ-სანოვაგის სახით, რომელსაც ლოცვის შემდეგ იქვე ტოვებდნენ. ამ ნივთებს ტაბუ ედო – „ვაშინერს“. ამიტომ

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 670

[2] ხელნაწერი დოკუმენტები, სიგელები, მიწის ყიდვა-გაყიდვის საბუთები. იხ. გმმ ხ.მ. ფონდი, ა. ჯგ. №1285-1940 და სხვ.

მის მიდამოებში დღესაც მრავლად ნახულობენ სხვადასხვა დროის ნივთებს, მონეტებს და ა. შ.

სამოთხეკარის ეკლესიის ეზოში ოდითგანვე მუხის ხის მცირე სენაკი მდგარა. შემდეგ ეს ნაგებობა თავის ეზოში გადაუტანია კიკუ ფაღავას. ნაგებობის სარტყლები ხეზე კვეთის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენენ. ამოკვეთილია მცენარეულ გამოსახულებათა შესანიშნავი ფრაგმენტები. ხაზულები ზოგან რელიეფურადაა შესრულებული. შესანიშნავია ფოთლებისა და გრეხილების კვეთა.

აბაშის ხეობის ეს ადგილი ნოყიერი ნიადაგითა და ბუნების მშვენიერებით ხასიათდება. ასეთი სიმდიდრის წიაღში დიდებულები, სალხინო და სააგარაკო სასახლეებსა და კარ-მიდამოებს აშენებდნენ. ქართველი მშრომელი, შემოქმედი გლეხკაცი თავის ცოდნითა და გამოცდილებით ეროვნული ხელოვნებისა და კულტურის შესანიშნავ ნიმუშს ქმნიდა. ასეთი შემოქმედების ნიმუშია **სამოთხე** ბანძაში, სადაც ამჟამად ეკლესიის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. გადმოცემით, აქ ოდესღაც დიდი მეფის „სასახლე და ქალაქი, მისი სამოთხე – სალხენი, სანავარდო, სანეტარო ბაღნარ-წალკოტთა მხარე ყოფილა“. დღეს აქ არაფერია დარჩენილი, გარდა შესანიშნავი წყაროს წყლებისა და მისი მიდამოების სახელწოდებისა – „**წაკორტები**“. ხალხის გადმოცემით, „წაკორტები“ სალხინო და სანეტარო ვაზნარ-ბაღნარი ადგილია, ე. ი. წალკოტებია.

მსგავსი სალხინო-სანეტარო ადგილები იყო **სანავარდოები** რიონისპირეთსა და მარტვილის მონასტრის მახლობლად, **ნახარებაოში**. მაგრამ დღეს, გარდა ხალხური გადმოცემებისა, აქ ვერაფერს ვპოულობთ. მდინარე აბაშის ნაპირას, სამოთხის ჩრდილო-დასავლეთით, ველიანზე, გაშლილი ადგილი **ტაბაკურია**, სადაც მდინარის მიერ ჩაკვეთილ ფლატეზე ნათლად ჩანს ელინისტური ეპოქის საცხოვრისის შესანიშნავი კულტურული ფენა. აქ ზედაპირზე აიკრიფა ამ ეპოქის მდიდარი მასალა. მის პირიდაპირ, მდ. აბაშის გაღმა, ნაპოვნია მდიდარი არქეოლოგიური განძი, ანტიკური ეპოქის ადამიანის სამარხისეული ინვენტარით, რომელიც აღწერილია პროფ. ს. მაკალათიას მიერ.

სამოთხის უბნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში არის მექი ფაღავას ეზო, ნარგავებითა და დამხმარე ნაგებობებით. ეს ეზო, რომელიც მდიდარია წყაროს წყლებით, საინტერესო დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს. აქ გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო მოწყობილი ადგილობრივი თავადის შესანიშნავი კარ-მიდამო – **მახორობა**, სადაც ოჯახის პატრონი **მექი ფაღავა** (ცნობილი ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე) და მისი მეუღლე, **დარია ფაღავა** (ბანძის ცნობილი დრამატული დასის წევრი) ხვდებოდნენ ცნობილ ადამიანებს.

საინტერესოა, რომ ბანძა და „ფაღავას სასახლე“ დამოწმებულია იმერეთის 1737 წელს შედგენილ რუკაზედაც.[1] როგორც ჩანს, თავად ფაღავას სასახლე ამ სოფელში და, საერთოდ, საჭყონდიდლოში, XVIII საუკუნისათვის ერთ-ერთი თვალსაჩინო დიდებულის რეზიდენცია იყო. მექი ფაღავას სახლში არაერთხელ ყოფილან რაფიელ ერისთავი, სოფრომ მგალობლიშვილი, აკაკი წერეთელი. ამ სახლში მიმდინარეობდა შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ პირველი რეპეტიციები. აქ შეუსვენია ზუგდიდისაკენ მიმავალ ილია ჭავჭავაძეს. დილას, როცა მზით გაცისკროვნებული მიდამოს ცქერით ტკბებოდა აივანზე გადმომდგარი ილია, მექიმ და მისმა მეუღლემ, დიდი ყანწით, რომელიც საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის დაამზადებინეს, ოჯალეში მიართვეს ილიას. ბუნების მშვენიერებით, მასნპინძლის გულუხვობით მოხიბლულ და აღელვებულ პოეტს ხელში აუღია ყანწი და შეუსვამს საქართველოს სადღეგრძელო. შემდეგ, ამ ილიასეულ ყანწს, ოჯახი ინახავდა რელიკვიად, დღეს კი ჩვენი მუზეუმის ექსპონატია.

ბანძის ჩრდილოეთით, მდინარე აბაშის ვრცელ ჭალაზე, ფართო მინდორზე, **ნოჯიხენთან** შემორჩენილია ორიგინალური ფორმის ციხის ნანგრევი. ირგვლივ ციხეს გალავნის ორი რიგი ნანგრევი ეკვრის. გალავნის შიგნით შემორჩენილია სამხრეთის ვრცელი კოშკის და ჩრდილოეთის ოთხკუთხა, მცირე კოშკის ნანგრევები. დასავლეთით გალავნის ეზოში წყაროს თვლის ეკვდერია შემორჩენილი. მის იქით, მდ. აბაშის გადასახედამდე, არის ველი, რომელიც მოფენილია მდიდარი არქეოლოგიური მასალით. აქ, ახალ ნახნავზე აიკრიფა რუსუდანის მონეტები, მოზაიკურ ჭურჭელთა ფრაგმენტები და სხვ. ეტყობა, იგი ვახუშტის მიერ მითითებული ციხე უნდა ყოფილიყო. „ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ – წერს ვახუშტი. ბანძაში აღიზარდა და სიყმაწვილის წლები გაატარა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ – თედო სახოკიამ.

## ნახარებაო

ნახარებაო მარტვილის გორის სამხრეთით, მცირე სერით გამოყოფილი და ნოღელას ნამდინარევ ველზე გაშლილი პატარა სოფელია. იგიც ხატის მიწად იწოდებოდა და საეკლესიო მამული და სოფელი იყო ოდითგანვე.

ამ სერის ფერდობები შემოსილი ყოფილა ხურმის მაღალი ხეებით, რომლებზედაც ჩერგვალისა და ჩეშის მაღლარი იყო მიშვებული. ნახარე-

[1] იხ. „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, I, 1953.

ბაოს აღმოსავლეთით მცირე, მაგრამ მაღალი სერია, რომელსაც ხალხი ორეკეშის ეძახის. არსებობს გადმოცემა, თითქოს, სანამ მარტვილს ააგებდნენ, ამ სერზე იდგა მცირე სენაკი და ცისკრის მსახურებისას აქ ზარს რეკდნენ თურმე. გარდა ამისა, საზოგადო ყრილობაზედაც ორეკეშიდან რეკვით უხმობდნენო ხალხს.

**დაბლობი მდ. ცხენისწყალსა და მდ. აბაშას შორის. ცენტრში – სოფ. ნახარებაოს წმ. გიორგის ეკლესია. XVIII ს.**

ხალხის გადმოცემით, ანდრია მოციქულის მიერ მუხის მოჭრა და წარმართობის დამარცხება ქრისტეს მოციქულებმა აქ ახარეს ხალხს. ამიტომ ადგილს ნახარებაო დაექვაო.

აქ არაერთ ადგილას აღმოჩნდა ნეოლითის ხანის ადამიანის საცხოვრისის კულტურული ფენა. ნეოლითის მდიდარი კულტურული ფენა აღმოჩნდა საკაჟიასა და ორეკეშზე. ეს მასალა დაცულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში, ხოლო მათგან ყველაზე თვალსაჩინო მასალა ჩართულია ამ სტენდზე.

ნახარებაოს ეკლესიის აშენების შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: „**მარტვილი ააშენეს და ნახარებაოც ამოუშენესო**“. ალბათ, მარტვილის აშენების დროს ნახარებაოს ძველ კულტურულ კერაზე მცირე სენაკი ააგეს. გვიან კი, მთელ საქართველოში ცნობილმა მოღვაწემ – ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელმა თავისი მღვდელმთავრობის (1777-1788) პერიოდში ააშენა დღეს არსებული პატარა, ლამაზი ეკლესია და სამრეკლო. ეკლესიის გარე კედლები შემოსილია ბარელიეფებით, ხოლო დასავლეთის

**ნახარებაოს ეკლესია და სამრეკლო. XVIII ს.**

კარის თავზე ჯვრის ამობურცული, 2 მ-ის სიმაღლის ქანდაკებაა, რომლის ტანი და ტოტები შესანიშნავი ორნამენტითაა შემკული. კარისა და ფანჯრის არშიებიც და კარის ჭრილებიც შემკულია ორნამენტებით, წნული ჩუქურთმითა და წმინდანთა სახეების ბარელიეფური გამოსახულებებით. ეკლესიის დასავლეთით, გაშლილ ადგილას დგას ლამაზი, ორსართულიანი სამრეკლო, რომლის პირველი სართულის კოზმიდი ოთხი სვეტის თაღედურ-წრიულ გონიოსა კრავს. მის ყელზე აღმართულია ისევ ოთხი სვეტი და მათი თაღედური მკლავები შეკრულია გუმბათური სახურავით. იგი დიდი მანძილიდან ჩანს და შესანიშნავ შთაბეჭდილებას უქმნის ადამიანს. ეკლესიის ჩრდილოეთის კედელთან ყოფილა ანტონის დაბალი ეკვდერი, რომელიც დღეს მთლიანად დანგრეულია, ხოლო საფლავის წარწერიანი ქვა მოშლილია.

კ. კეკელიძე წერს: „ანტონი ჭყონდიდლობდა 1788 წლამდე, როდესაც კათედრა დატოვა და უბრალო ბერად მის მიერ გაშენებულ ნახარებაოს მონასტერში დამკვიდრდა გარდაიცვალა ანტონი 1815 წელს და დაიმარხა ნახარებაოს მონასტერში“[1].

ნახარებაოში არსებობდა მცირე საეკლესიო სასწავლებელი, სადაც პირველდაწყებით განათლებას იღებდნენ. აქ უსწავლია მხატვარსა და წიგნების მომკაზმველს – ბესარიონ ჩიქოვანს. აქ გადაწერილი რამდენიმე წიგნი დაცულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მათ შორის შესანიშნავია სჯულის კანონი, გადაწერილი მე-18 საუკუნის დასასრულს. ანტონ ჭყონდიდელი პედაგოგი და სახელმძღვანელოს ავტორიც იყო.

[1] კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია. ტ. I. 1951, გვ. 365.

## სტენდი: მარტვილის სასულიერო სასწავლებელი

ეს სტენდი მოთავსებულია მე-6 დარბაზის ცალკე განყოფილებაში, სადაც წარმოდგენილია ხელნაწერი საბუთები, ჟურნალები, ოქმები, პირველადი ფოტოდოკუმენტები, ეთნოგრაფიული ხასიათის მემორიალური მასალა, რაც თვალნათლივ მოუთხრობს დამთვალიერებელს ამ სასწავლებლის ისტორიაზე, მის დიდ საგანმანათლებლო მნიშვნელობაზე.

საშინელმა უბედურებამ – მონღოლთა შემოსევამ, მე-13 საუკუნიდან მოშალა და დიდი ხნით შეასუსტა ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება. ამიტომ, ბუნებრივია, ჩაკვდა ბევრი კულტურული კერა, მინელდა დიდი ხნიდან გაჩაღებული საგანმანათლებლო მოღვაწეობა, მაგრამ ეს კერები მაინც გულში თბილად ინახავდნენ ქართული კულტურის გაუმქრალ საგანძურს და ჩუმი, დაძაბული, შეუწყვეტელი შრომით ახალ-ახალ კულტურულ მონაპოვარს მატებდნენ მას.

ასე იყო საქართველოს ყველა კუთხეში და მათ შორის ჭყონდიდშიც, რომელიც განძსაცავში ინახავდა ჩვენი მეურნეობისა და კულტურის დიდებულ ნიმუშებს, თავის კედლებში ზრდიდა ახალგაზრდობას, ასწავლიდა მშობლიურ ენას.

სამეგრელო ოსმალების მუდმივი ლაშრობის ასპარეზი გახდა. იქ მოქმედი ეროვნული კერები ოსმალების საშინელ რისხვას იწვევდა. ამიტომ იყო, რომ 1830 წლამდე მთელ სამეგრელოში არც ერთი სასწავლებელი არ იყო. 1830 წელს, როგორც უკვე ითქვა, ლევან დადიანის დიდი მზრუნველობით, მარტვილის მონასტერთან გაიხსნა სასულიერი სასწავლებელი.

ამ სასწავლებლის პირველ მასწავლებლად და ზედამხედველად დაინიშნა თბილისის მაზრის სოფელ მცხეთის მცხოვრები **რომანოზ ბარისაშვილი** (ბორისოვი), საეკლესიო გლეხის შვილი, თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე, 19 წლისა. 1831 წელს ამ სასწავლებელში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: ქართული გრამატიკა, ქართული მართლწერა, რუსული ენა, რუსული მართლწერა, საეკლესიო კითხვა ქართულ ენაზე. ამ დროს აქ სულ 51 ბავშვი სწავლობდა.

1835 წლიდან ამ სასწავლებელში, გარდა რომანოზ ბარისაშვილისა, ასწავლიდნენ **დიმიტრი კოლუბინსკი** და **გიორგი გურგენიძე**. ეს სასწავლებელი 1835 წლის სექტემბრიდან სამაზრო სასულიერო სასწავლებლად გადაკეთდა.

1838 წელს მასწავლებლად დაინიშნა დიმიტრი ფომინი, მოგვიანებით – **ივანე ასათიანი** და ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლე – **პეტრე გაწერელია**.

1835 წლიდან მეცადინეობა უფრო მასშტაბური სასწავლო გეგმით წარმოებდა. სასწავლებელში არითმეტიკასაც ასწავლიდნენ. რომანოზ ბოროსოვი ამ სკოლაში მუშაობდა 1844 წლის 22 ოქტომბრამდე. მისი განთავისუფლების შემდეგ სასწავლებლის ზედამხედველად მუშაობა დაიწყო **დავით მაჭავარიანმა**. მასთან ერთად, სკოლაში მასწავლებლად დაინიშნა **ეპიფანე გაწერელია**.

1849 წლიდან სასწავლებლის ზედამხედველია **ივანე ჭიჭინაძე**, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. იგი აქ თითქმის 1870 წლამდე მუშაობდა.

მარტვილის სასულიერო სასწავლებელი ერთადერთი საგანმანათლებლო კერა იყო მთელი 50 წლის განმავლობაში, სადაც განათლებამიღებული ახალგაზრდები სხვადასხვა კუთხეში 80-იანი წლებისათვის სათავეში უდგებიან სამრევლო, სამონასტრო, თუ საშინაო სასწავლებლებს და ფართოდ ავრცელებენ სწავლა-განათლებას.

ამ სკოლაში განათლება მიიღეს ცნობილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: **უიარაღომ** (კ. თათარაშვილი), **გ. ჭალადიდელმა** (გ. ქოჩაქიძე), **კორტოხამ** (ს. ძიმისტარაშვილი), **წუთისოფელმა** (ნ. ჯავახია), **ი. მეუნარგიამ**, **თ. სახოკიამ**, **მ. ცხაკაიამ**, **ნ. ჯანაშიამ**, **პ. ჭარაიამ**, **ი. ვართაგავამ** და სხვ.

გამოფენაში ფართოდაა ჩართული ამ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის მასალები, თ. სახოკიას ავტოგრაფები, პირადი ნივთები, მის მიერ შეკრებილი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, მიხა ცხაკაიას ავტოგრაფები და მემორიალური ნივთები, სასწავლებლის საკლასო ჟურნალები, ოქმები და ა.შ.

აქვე მდიდარი მასალაა წარმოდგენილი თედო ჟორდანიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი წერილები, მარტვილის, კიწიის და ბანძის სკოლების პედსაბჭოების სხდომების ოქმებსა და სასკოლო ჟურნალებში გაკეთებული შენიშვნები, ვრცელი მეთოდური მითითებები.

* * *

ამრიგად, ჭყონდიდ-მარტვილი ძველი დროიდანვე იყო თვალსაჩინო კულტურულ-საგანმანათლებლო და სამწერლობო მოღვაწეობის კერა, სადაც საქართველოს სხვა დიდ კულტურულ კერებთან ერთად, დაირწა მრავალი ქართველი მოღვაწის აკვანი.

საქართველოს ამ ერთ-ერთი კულტურული კერის შესახებ მოუთხრობს მნახველებს გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამოფენა.

# აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი*

## აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული მიმოხილვა

უძველესი დასავლურ-ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება – კოლხეთი კარგად ცნობილი და აღწერილია უცხოურ წყაროებში, ბერძენ, რომაელ, სპარსელ და ძველი მსოფლიოს სხვა ქვეყნების მოგზაურთა, ისტორიკოსთა, გეოგრაფთა, ფილოსოფოსთა და სამხედრო პირთა შრომებში. ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, დღიურებსა და დიპლომატიურ მიმოწერებში. კოლხეთი ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცივილიზებული ქვეყანა იყო, რომელთანაც მეზობელ ქვეყნებს სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ. კოლხეთში, კერძოდ, ფაზისში არსებობდა სწავლა-განათლების უძველესი კერა. არსებობდა უძველესი მეტალურგიული წარმოებისა და ხელოსნური საქმიანობის სხვა ცნობილი კერები, საიდანაც უცხოეთში გაჰქონდათ ფოლადი, რკინა, რკინისა და ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის ნაწარმი, ოქრო და ვერცხლი, სელის ტილოები, თაფლი და სურნელოვანი ღვინოები. აქედან საბერძნეთის ოლიმპიადებში მონაწილეობა მიუღია არაერთ პიროვნებას, რომელთაც თავიანთი სპორტული შემართებით, ორატორული ხელოვნებითა და ფილოსოფიის ცოდნით სახელი მოუხვეჭავთ. უცხო ქვეყნის მოლაშქრეებს თვალი ეჭირათ კოლხეთისაკენ: მათგან მზადდებოდა ორგანიზებული ლაშქრობანი, მოგზაურობანი თუ კეთილმოყვრული „მიმოსვლანი“ და სხვ. „კოლხეთი, იბერიასთან ერთად, შეადგენს იმ ნიადაგს, რომელზედაც საშუალო საუკუნეებში შენდება ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობა, – წერს აკადემიკოსი ს. ჯანაშია, – ... IV ს-ში, ძვ. წ., კოლხეთი ვრცელი ქვეყანაა, რომლის უკიდურეს სანაპირო სექტორებში მდებარეობენ ქალაქები – პიტიუნტი და კერასუნტი და რომელიც მრავალტომიანს თუ მრავალთემიან მოსახლეობას შეიცავს“[1]. კოლხური თვითმყოფადი ქართველური კულტურა უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და ადრეული შუა საუკუნეებიდან, იბერიასთან ერთად,

---

* გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო,“ თბ., 1971.

[1] ს. ჯანაშია, შრომები, ტ.VII, თბ.,1952, გვ. 320

ერთ ქართულ სახელმწიფოდ გაერთიანებული, წლების განმავლობაში მოდის ეროვნული განვითარების უწყვეტი ხაზით.

კოლხეთის ყველაზე აყვავებული, ყველაზე ცენტრალური ნაწილი მდებარეობდა რიონისპირეთში, მის ორივე მხარეზე გაშლილ ჭალებსა და განსაკუთრებით მის მარჯვენა სანაპიროზე, თანამედროვე ქუთაისის, სამტრედიის, გეგეჭკორის, ფოთისა და ცხაკაიას რაიონების ტერიტორიაზე ე. წ. **მუხერისის**, ანუ სამოქალაქოს ოლქში. პროკოპი კესარიელი ამ ოლქს უწოდებს „**კოლხიდის საუკეთესო ნაწილს**“, რომელიც „შეიცავს, – წერს იგი – მრავალს, მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს. ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას“[1].

**მუხერისის**, ანუ **სამოქალაქოს** ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული უბანი იყო ტეხურისა და აბაშის ხეობები, შესართავიდან მოყოლებული მარტვილ-ბანძა-ნოქალაქევამდე. ეს უბანი, ე. ი. ტეხურა-აბაშის აუზი, თავისი რელიეფითა და ბუნებრივი პირობებით მრავალმხრივ თავისებური და შესანიშნავია. იგი ზღვის დონიდან 60-100 მ-ის სიმაღლიდან იწყება, კერძოდ, რიონისპირეთში და 2800 მ-ის სიმაღლემდე ვრცელდება ეგრისის მთაგრეხილამდე. რელიეფის ლანდშაფტური სხვაობანი მკვეთრი კონტრასტული ცვლილებებით კი არ ხასიათდება, არამედ თანდათანობითი რელიეფური გადასვლებით მიემართება კავკასიონის მთებისაკენ. რიონისპირეთის გაშლილი ჭალები, მარტვილ-აბედათის ბორცვიანი ზეგნებით მაღლდება თანდათანობით, შემდეგ ბალდა-სალხინო-კურზუს მთისპირა ფერდობებითა და მთიანი მასივებით იცვლება, ხოლო ზემოთ ლებარდე-დვირა-ასხის მაღალმთიანი გრეხილით გვირგვინდება.

რიონისპირეთი ხასიათდება ნაყოფიერი ნიადაგით, სადაც საუკუნეების განმავლობაში კოლხები და ლაზები მარცვლეულ კულტურებს თესავდნენ, ინტენსიურ მიწათმოქმედებას ეწეოდნენ. ითესებოდა ღომი, ფეტვი, ბრინჯი, სელი და კანაფი. დუღდა საქალაქო ცხოვრებაც. აქ გადიოდა „ჯვეში შარები“ – ძველი სახმელეთი გზები ფოთი-ქუთაისისა და ციხისძირ-ჭყონდიდისაკენ. ეს გზაჯვარედინი ერთმანეთს კვეთდა შუაქალაქში, რომელიც ამ გზათა თავშესაყარს და მის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ამ გზის გასწვრივ მდებარეობდა ძველი სამდინარო გზა ფაზისზე (რიონზე), ე. წ. ინდოეთის სავაჭრო გზა, რომელიც მტკვრის ხეობით ჩადიოდა კასპიის ზღვაში და აქედან ინდოეთისაკენ მიემართებოდა.

[1] გეორგიკა, II, გვ. 163-165.

## აბაშისა და ტეხურის ხეობების ძველი სამეურნეო-პოლიტიკური ერთეულები: საჭყონდიდლო, სალიპარტიანო, საჭილაო

სანამ განვიხილავდეთ აბაშისა და ტეხურისპირეთის ისტორულ სიძველეებს, გვინდა მოკლედ მოვხაზოთ ის სამეურნეო-პოლიტიკური ვითარება, რომელიც შუა საუკუნეებში იქმნებოდა ამ მდინარეთა ხეობების გასწვრივ და რომელიც დიდხანს გადამწყვეტ როლს ასრულებდა მხარის მშრომელთა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. გვიან შუა საუკუნეებში (XVI საუკუნის დასასრული), როგორც ცნობილია, დიდ მდინარეთა ხეობების გაყოლებაზე ყალიბდებოდა ფეოდალური სამეურნეო-პოლიტიკური ერთეულები, მათ შორის აბაშის ხეობაში ჭყონდიდის საეპისკოპოსოს მსხვილი ტერიტორიულ-სამეურნეო საუფლო. იგი ჭყონდიდის საეკლესიო საუფლოსთან ერთად ეკლესიის ფეოდალური საუფლოც იყო ისევე, როგორც ტეხურის ხეობის დიდი ნაწილი სამეურნეო-პოლიტიკური ერთეულის – **სალიპარტიანოს** შემადგენლობაში შედიოდა.

ტოპონიმიკურ მასალებში მრავალი შესანიშნავი ცნობა და ტოპონიმია შემორჩენილი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ამ თემასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი გავარკვიოთ.

აბაშისპირეთი, დაწყებული შესართავიდან გაჭედილ-ბალდის მთიანი ვიწროებით, რაჩხის გულამდე, ისტორიულად ჭყონდიდელთა ერთიან სამწყსოს შეადგენდა და ამიტომ **საჭყოინდროს**, ანუ **საჭყონდიდლოს** სახელსაც ატარებდა.

საჭყონდიდო, როგორც ბევრჯერ აღვნიშნეთ, მდინარე აბაშის სანაპირომდე ვრცელდება, აბაშიდან ცხენისწყლამდე მდებარე ტერიტორია უჭირავს, ხოლო სალიპარტიანო აბაშიდან მის დასავლეთით მდებარე მთელ ტერიტორიას მოიცავს სეფიეთამდე. სეფიეთის შემდეგ იგი მდ. ტეხურის სანაპირომდე იჭრება, რადგან ტეხური გაშლილ ველიანში გამოდის და ბრუნს აკეთებს. ამიტომ ამის შემდეგ სალიპარტიანო-საჭყონდიდოს შორის მცირე მონაკვეთზე სწორედ მდინარე ტეხური წარმოადგენს საზღვარს. ნოქალაქევიდან ჩრდილოეთი უნაგირას მთაზე გადადის სალიპარტიანოს ტერიტორია და, მის დასავლეთით, თამაკონიდან დასავლეთისკენ ვრცელდება, დოშაყემდე, შედარებით ბორცვებიან ვაკეებზე. ნოქალაქევის ქვემოთ სალიპარტიანო მამული ტეხურის დასავლეთის სანაპიროს მოიცავს უნაგირას მთის ჩათვლით. ასეთი მამულის არსებობას თვით ტოპონიმებიც ადასტურებს: ეკში და ძველ სენაკში **საიპარტიო** უბანია, სახარბედიოში მთას და სოფელს მოხუცები **საიპარტიოს**

უწოდებენ. კიწიაში მთელი დასავლეთის ბორცვებიანი ზოლი საიპარ-ტიანოს სახელს ატარებს დღესაც. მოხუცები ამტკიცებენ, რომ ამ ზო-ლით სრულდებოდა საიპარტიანო მიწა-მამული; აქ იპარტიანებს დიდი სასახლე და ციხე-კოშკები ჰქონდათო. კურზუში დადიანთა სასახლეს ხალხი გრიგოლ დადიანს, მანუჩარის ძმას, და ლიპარტიანს მიაწერს. ოჩეშიც დგებუაძეთა სასახლეს მიუთითებენ. ამ მასალებით სავსებით დარწმუნებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პოლიტიკურ-სამეურნეო ერთეული აღმოსავლეთით მდ. ზანათი, ოჩხამურით, გურძემიითა და ლეძაძამის გორაკებით შემოისაზღვრებოდა ნოქალაქევამდე, აქედან კი უნაგირათი ისაზღვრებოდა და ტეხურის გაშლილ ველიანში ვრცელ-დებოდა. ცნობილ მეცნიერს, ვახუშტი ბატონიშვილს, მხედველობაში უნდა ჰქონდეს სწორედ ეს ქვემო ნაწილი, ეს ველიანი. მას პირადად არ მოუვლია სამეგრელო, ამიტომ მარტოოდენ გადმოცემით, ეტყობა, სწორად ვერ აღწერა იგი და მხოლოდ მის ქვემო ნაწილზე მოინიშნა, მა-შინ, როცა სალიპარტიანოს დიდი ნაწილი უნაგირას მთის დასავლეთით მდებარეობს, ბორცვებიან ზეგანსა და ველიანში. იგი აღნიშნავს: „არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი **სალიპარტიანო**“. მაშასადამე, ეს ტერიტორია მდებარეობს მარსილიდან ნოქალაქევის შემდეგ, ტეხურის დასავლეთით არსებულ უნაგირას მთამდე. ეს უნებლიე შეცდომა რომ დავაზუსტოთ, დიდ დახმარებას გაგვიწევს ტოპონიმები და მათთან და-კავშირებული ფოლკლორული მასალა.

ამრიგად, აღმოსავლეთ სამეგრელოს მეორე მსხვილი სამეურნეო-პო-ლიტიკური ერთეული იყო **სალიპარტიანო**. იგი სამთავრო კარის სურვი-ლისამებრ ეძლეოდა დადიანთა ოჯახის ერთ-ერთ წევრს, შემდეგ – სამ-თავრო კარის უერთგულეს თავადსა და აზნაურს, თუგინდ იგი სამთავრო ოჯახის წევრიც არ ყოფილიყო. სალიპარტიანო, როგორც ითქვა, მსხვი-ლი ტერიტორიული ერთეული იყო, რომელიც მთელი უნაგირას მთის გასწვრივ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდი-ლო-დასავლეთით – ველიანებსა და ბორცვიან ზეგანზე.

ტეხურისა და აბაშის აუზში მესამე ძველი სამეურნეო-პოლიტიკური ერთეული იყო **საჭილაო**. მას ადრე მთელი ტერიტორია ეჭირა ტეხურ-სა და ცხენისწყალს შორის, რიონამდე. მოგვიანებით კი მდ. ნოღელასა და ცხენისწყალს შორის არსებულ ტერიტორიაზე მოექცა. ეს პოლი-ტიკური ერთეული ადრე შუა საუკუნეებიდან XVI საუკუნემდე ძლიე-რი პოლიტიკური და სამეურნეო ერთეული ყოფილა, ხოლო ჭილაძენი საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული დიდებულნი იყვნენ სრულიად საქართველოსი, მოგვიანებით კი დასავლეთ საქართველოს სამეფო კა-რზე. იმერეთის მეფე გიორგის მიერ ჯავახ ჭილაძის სიკვდილით დასჯის

შემდეგ საჭილაო დაქუცმაცდა. ჭილაძეთა გვარიც შემცირდა და რიგითი თავადის სიმაღლემდე დავიდა. ამ ერთეულის დიდი ნაწილი საჭყონდიდლოს საუფლოში შევიდა, ხოლო ნაწილი – სალიპარტიანოს შემადგენლობაში.

## ისტორიული ძეგლები და ადგილები

მდინარე აბაშა რაჩხის მთის შიშველი მკერდიდან გადმოედინება. იგი ეგრისის მთაგრეხილის გულში იბადება, შემდეგ, ბალდის მთიან ორწოხეებში მომწყვდეული, მრავალ ჩანჩქერად ვარდება ოფუცხოოს ღრმულში. აქ იქმნება შესანიშნავი წყალვარდნილი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ აბჰესის – საქართველოში ერთ-ერთი პირველი ელექტროსადგურის – ბაზად აქცია. ინჩხურთან შედარებით უფრო ხალვათად იკაფავს გზას, ხოლო სოფელ სერგიეთის შემდეგ ლაღად მიედინება ვრცელ ჭალებში. მდინარე აბაშას ბოგასთან შეერთვის მდინარე ინჩხია, რომელიც ინჩხურში ტაბაკონას მთიდან იღებს სათავეს და თევზის სიუხვით ხასიათდება.

მდინარე აბაშის მთელი მარცხენა მხარე გაწოლილია ცხენისწყლის პირებამდე. ცხენისწყალს ამ მხარეზე ჩასდევს მდინარე ნოღელა. მას მეტად უხვი შლამი მოაქვს, რომლითაც ნოყიერდება ნიადაგი და 20-30 წლის მანძილზე უხვ მოსავალს იძლევა ხოლმე. ეს ტრადიცია ასეული წლის განმავლობაში დაუნერგავს კოლხ კაცს და თავისი სამიწათმოქმედო საქმიანობის ძირითად ნორმად გაუხდია.

## ზანათი

სოფელი ზანათი აბაშისა და ტეხურის თავშესაყართან მდებარეობს, რიონის მარჯვენა მხარეზე. იგი აბაშის რაიონის უკიდურესი სოფელია. აქ, აბაშისა და ტეხურის თავშესაყარის ქვემოთ, გაშლილია **ტურაკელის** ვრცელი ჭალა, ხოლო ტეხურისა და რიონის შესართავთან, ტურაკელის აღმოსავლეთით, მცირე ველი **კოდორეა** გაშლილი. ტურაკელის ჭალის ამ უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდურზე, **ისულას** პირდაპირ, მის გასწვრივ და თითქმის სამხრეთ-აღმოსავლეთ გაგრძელებაზე, არის უძველესი სამაროვანი, რასაც ზანათის ადგილობრივ მკვიდრ მოხუცთა დიდი ნაწილი ზანების თიდ, მათ სახლობად, მათ ნასახლარად თვლის. საინტერესოა ისიც, რომ სიტყვა **ზაანარი** სვანურად მეგრელს ნიშნავს. ეს ტერმინი (ძირი ქართულია) სვანურს შემორჩა. იგი ზანების ტომის, მისი ერთი შტოს დასახლების ადგილზე მიუთითებს. ტურაკელის ჭალის მიღმა, ნატახაზე გადის ბერძნების გზა (**ჯვეში შარა** // **ბერძენი-**

**ში შარა**), რომლის ორივე მხარეს, ნატახას მასივზე, არის **დიხაზურგები**. დიხაზურგას კულტურული ფენა უხვად შეიცავს ანტიკური ეპოქის მდიდარ ნაშთებს. ტურაკელის ჭალის სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდურის დასაწყისში, ტეხურის ნაპირას, არის შესანიშნავი კულტურული ფენის სამაროვანი, ქვევრ-სამარხებით. ერთ-ერთ ქვევრ-სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოსა და თითბრის ბეჭდები არწივის გამოსახულებით, მძივები, მონეტები, სამაჯურები და სხვა ნივთები. აქ აღმოჩენილი ნახევარდრაქმები ჩვენს ერამდე V-II საუკუნეების ვერცხლის კოლხური მონეტებია. სამაროვანი და მის ტერიტორიაზე არსებული ქვევრ-სამარხიც შეიძლება ამავე წლებით დათარიღდეს. V საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე აქ გადიოდა რიონისპირეთის უძველესი სახმელეთო გზა – „**ბერძენიში შარა**“, ანუ „**ჯვეში შარა**“ (ძველი გზა). ადგილი მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული კოლხური მოსახლეობით, რომელიც მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობაში იყო ანტიკურ ქვეყნებთან, ჰქონია საკუთარი მონეტები, შესანიშნავი ქალაქები და სოფლები. მაღალ დონეზე მდგარა მოსახლების სამეურნეო და კულტურული ცხოვრება.

ზანათში არის ორ ადგილას **ჭილორტი**. მოხუცთა გადმოცემით, ეს ადგილები **ჭილების** საცხოვრისი ყოფილა წინათ (ჩვენი აზრით, ადრეულ შუა საუკუნეებში). მის სამხრეთით, ლუღონასთან, არის ადგილი **ნიოხვამუ**, შემდეგ – **ნადუქანუ**. წინათ აქამდე რიონიდან არხი ამოდიდა. ახლა რიონი ძლიერ შორს, სამხრეთითაა გადაწეული (მაშინ შედარებით ახლოს, აღმოსავლეთით ჩაუდიოდა). აქედან დასავლეთისკენ, მის პარალელურად იყო რიონიდან გადმოყვანილი ეს არხი, საიდანაც ნადუქანუებამდე (ნაოხვამუებამდე) ამოდიოდნენ მცირე გემები და ნავები, რომელთაც ფოთიდან ამოჰქონდათ სავაჭრო საქონელი. ძველი გზაც სწორედ მის გასწვრივ მიემართებოდა ქუთაისისაკენ. დღეს ამ ადგილებში გაშლილია ზანათის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა.

## სუჯუნა

სუჯუნა აბაშის აღმოსავლეთისპირა, მეტად საინტერესო ისტორიული წარსულის სოფელია. იგი ვრცელ ჭალაზეა გაშლილი. ეს სოფელი ოდესღაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო „ფაზის-კოტაის“ სამდინარო და სახმელეთო გზაზე. გვიან, ალბათ, ჭილაიების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოფელიც იყო. შემდეგ, გვიან შუა საუკუნეებში, ჭყონდიდელთა საზამთრო რეზიდენციად ქცეულა. კაპიტალიზმის ხანაში სუჯუნა ჩრდილო და შიდა სამეგრელოს სოფლებთან ვაჭრობის მნიშვნელოვანი კერა იყო. ვაჭრებს აქამდე არხით ამოჰქონ-

დათ საქონელი ფოთიდან. აქ იყო ბაზები და საქონლის გამანაწილებელი კანტორები. აქედანვე იგზავნებოდა შიდა რაიონებში საქონელი გასაყიდად.

**სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესია და არხი. XVIII ს.**

სუჯუნა, ადგილობრივ მკვიდრთა რწმენით, წყალდამდგარს ნიშნავს: **სუ** – წყალი, **ჯუნა** – დამდგარი (სოფლის სახელწოდების სხვა განმარტება ადგილზე არ იციან). შესაძლოა, ოდესღაც მართლაც დაჭაობებული ადგილი იყო და ამ მიზნითაც გაჭრეს არხი, ამოაშრეს იგი და არხში რიონის წყალი ჩაუშვეს სამდინარო ტბასთან კავშირის დასამყარებლად, კონტროლისა და ბატონობის უზრუნველსაყოფად. სოფლის ჭყონდიდელთა ერთ-ერთ რეზიდენციად გამოცხადების შემდეგ ააშენეს კარგი გემოვნებით ნაგები ქვითკირის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი. გადმოცემით, აქ არსებული ტაძრის აგებამდე ხის ეკლესია მდგარა. ეს ახალი ნაგებობა, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი წერს, ნაგები უნდა იყოს XVIII საუკუნეში. „ეკლესია აქ მოზრდილია, ძლიერ ლამაზი, თეთრის თლილის ქვით ნაშენი, გუმბათიანი, მაგრამ ძველი არ არის. აშენებულია ანტონი ჭყონდიდელის მიერ, რომელიც ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის

დასასრულს. მოხსენებულია ერთ სიგელში 1796 წელს“[1]. ეკლესია გარედან კარგი გემოვნებითაა შესრულებული. თლილი ქვის კომპოზიციურ მონახაზებში ამოკვეთილია წმინდანთა გამოსახულებანი და წნული ჩუქურთმით ამოყვანილი ჯვრები. გემოვნებითაა გაფორმებული კარისა და ფანჯრის არშიებიც. ეკლესიის ეზოში დგას ორსართულიანი ლამაზი სამრეკლოც.

აქ ესვენა სუჯუნის სასწაულმოქმედი ხატი წმ. გიორგისა. ეს ხატობა იმართებოდა 23 ნოემბერს. ამ დღეს აქ დიდძალი მლოცველი მოდიოდა. ვისაც შეპირებული ჰქონდა, ღამეს ათევდა. იკვლებოდა შეთქმული საკლავი, მუხლის მოყრით ეკლესიას გარშემო უვლიდნენ... სუჯუნის წმინდა გიორგის ხატი ითვლებოდა სულით ავადმყოფთა მკურნალად... სუჯუნაში იცოდნენ ქადაგად დაცემაც...“ – წერს პროფ. ს. მაკალათია[2].

ექვთიმე თაყაიშვილის აღწერით[3], ეკლესიაში ინახებოდა ოქროვერცხლის მრავალი ძვირფასი ხატი და ჯვარი, რომლებზეც შესრულებული იყო ბევრი საინტერესო წარწერა. საგანძურში დაცული იყო წმინდა გიორგის რკინის ოროლები, რომელთაც დიდ პატივს სცემდნენ, როგორც წმინდა გიორგის სახელთან და ხატთან დაკავშირებულ ნივთს.

## ტყვირი და შუაქალაქი

მდ. აბაშის აღმოსავლეთ ჭალის რიონისპირა მასივზე, ნაესაკაოს თემის მახლობლად, არის ორი მნიშვნელოვანი ადგილი – **შუაქალაქი** და **ტყვირი**.

ანტიკური ეპოქის კოლხეთი მჭიდროდ დასახლებული სოფლებითა და ქალაქებით იყო მოფენილი. პროკოპი კესარიელის დროს შიდა (შუაგულ) ჭანეთში მრავალი ქალაქი იყო. მათ შორის დასახელებულია „**სქამალინხონი**“, რომელიც გზაგასაყარზე მდგარა. ეს სახელი ნამდვილად ჭანურია და შეიძლება წარმომდგარი იყოს „**შქა-მალი-ნოღასაგან**“. „შქა“ ჭანურად შუას ნიშნავს, ხოლო „ნოღა“ – საბაზრო ადგილს, ქალაქს. მაშასადამე, „შქამალი ნოღა“, შეიძლება „შუა ქალაქად“ გადმოვთარგმნოთ, რაც მის მდებარეობასაც შეეფერება“ – წერს ივ. ჯავახიშვილი[4].

ჩვენ ამ პუნქტის სახელწოდებამ იმიტომ დაგვაინტერესა, რომ რიონისპირეთში, სადაც ლაზთა, ანუ მეგრელთა მრავალი დაბა-ქალაქი იყო მაშინ, ახლაც არის შემორჩენილი სახელწოდება „**შუა ქალაქი**“. რიონის-

---

[1] ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 31.

[2] სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 372.

[3] ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 23-31.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I.

პირეთის ამ გაშლილ ველიანს **მუხერისს**, ანუ **სამოქალაქოს** უწოდებ-დნენ[1]. მის ცენტრში მდებარეობს სწორედ შუაქალაქი. სახელწოდება „**შქა-მალი-ნოღა**“ – სამი ჭანურ-მეგრული სიტყვისაგან შედგება: „შქა“ – შუაა, „მალი“ ჩვენს დიდ მეცნიერს არ განუმარტავს; იგი ჭანეთშიც და სამეგრელოშიც „მაულარს“ – მოსიარულეს, მომდინარეს ნიშნავს, ხოლო „ნოღა“ მეგრელს (ჭანს) მხოლოდ ასეთი პატარა მდინარის აღმნიშვნელ ტერმინად აქვს მიჩნეული. გარდა ამისა, „**ნოღა**“ მდინარისპირა, ნამდინარევ გაშლილ ჭალასაც ეწოდება, სადაც ხშირი თავშეყრა, ჯარიანობა, საზოგადოებრივი თავყრილობა იმართებოდა. ხშირად გაიგონებთ ახლაც: „**მეუ ნოღაშა**“, „**ნოღას გერე საქონელი**“. აქაც ჭანურ-მეგრული გაგება ამ სიტყვისა ერთმანეთს არ ღალატობს: ჭანსაც და მეგრელსაც ეს კომპოზიტი, უდავოა, ასე ესმის: „**შქა ოულარი თუ მაულარი ნოღა**“, ანუ ქალაქი, დაბა, ე. ი. შუაქალაქი. მთელ ჭანეთში ასეთი შუაქალაქები, როგორც ჩანს, მრავლად იყო; ერთ-ერთი მათგანი სამოქალაქოს ცენტრში, რიონისპირეთში (ნაესაკაოს თემში) იყო, მას დღესაც ხალხი „შუაქალაქს“ ეძახის.

არსებობს გასული საუკუნის შუა წლებში ეპისკოპოს გრიგოლ ჭყონდიდლის მიერ გაცემული წყალობის წიგნი, სადაც მოხსენიებულია ეს შუაქალაქი: „ქ. ნებითა ღთისათა ესე წყალობისა წიგნი მტკიცე და საბოლავოდ გასათავებელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენ დადიანის ბეჟანისძემან ბატონმან ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გრიგოლ შენ ჩუენს ყმას გეგეჭკორს იოვანეს და შენს შვილებსა, ყუელას ერთობით ასე და ამა პირსა ზედა, რომ დაგუეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და ჩუენი საყდრის მამული იყო შვაქალაქს და შენ იქ დაგასახლეთ, მოგაბარეთ ასე რომ პუმპული რაც არის ის კარგად აშენე და ჩუენთვის იყოს და სხვა, რაც ყურძენი იყოს ის შენთვის მომიცემია“... და ა. შ. ასევე მოხსენებულია აღნიშნული პუნქტი გასული და ამ საუკუნის პერიოდიკაშიც, 5 სხვადასხვა სიგელსა და წყალობის წიგნში.

აქ ზედაპირზე დღეს არავითარი ნაგებობა ან უძველესი ნაგებობის კვალი არ დარჩენილა. არც რიონია მის მახლობლად. ახლა რიონი მისგან სამხრეთით, თითქმის კილომეტრნახევარზეა გადაწეული. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ოდესღაც იგი სწორედ ამ ქალაქის მახლობლად არ მიედინებოდა და მეგრულ-ჭანურად „**შქაოულარი**“ თუ „**შქამაულარიშიად**“ წოდებული არ იყო. ეს რომ ნამდვილად უძველესი ქალაქი თუ ნაქალაქარია, გვიდასტურებს აქ ნაპოვნი არქეოლოგიური მასალაც. 1958 წელს გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიციამ ეს

[1] იქვე, გვ. 425.

ადგილი შეისწავლა. აქ ზედაპირულად აიკრიფა მრავალი საინტერესო მასალა, მათ შორის ანტიკური ხანის ჭურჭლის ფრაგმენტები, ჩუქურთმიანი ქვები, მეტალურგიული ნაშთები, ანტიკური **საცრემლე**, დაიზვერა ე. წ. გიგინეიშვილის ჭაც. ჭის გათხრის დროს გიგინეიშვილს ორი საჟენის სიღრმეზე ჩაუჭრია გალავნის ნაწილი, რომელიც უკიროდ ყოფილა ნაგები. მას იქიდან ამოუტანია კოტაამოკვეთილი მშრალი წყობის გახეხილი ქვები. ერთზე საინტერესო ორნამენტიცაა. ამოუტანია ფულიც კი, რომელიც შემდეგ დაუბნევია. ეტყობა, ქალაქის ნანგრევები ძალზე ღრმადაა. რიონი შემდეგ მრავალჯერ გადმოსულა კალაპოტიდან, გადაუსილავს ნაპირები და უძველესი ქალაქის ნაშთები ქვეშ მოუყოლებია. აქ შეკრებილი გადმოცემები და ლეგენდები ადასტურებენ, რომ ფოთიდან რიონით შუაქალაქში ამოდიოდნენ გემები; აქ ყოფილა მაღალი და ლამაზი სასახლეებით დამშვენებული ძველთაძველი ქალაქი. ადგილობრივ მკვიდრთა შორის დარჩენილი ლეგენდები გვარწმუნებენ, რომ რიონისპირეთში ამ ქალაქის გავლით მიდიოდა დიდი გზა ფოთიდან ქუთაისამდე. ეს ქალაქი სწორედ ამ გზის შუა ადგილას მდგარა, მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო პუნქტი ყოფილა. აქედან რიონზე გადასვლით ციხისძირისკენაც გადიოდა გზა, ხოლო ჩრდილოეთით ჭყონდიდის მიმართულებით მიმავალ გზას ახლაც მექაჲაქეში შარას, **მარტვილიში შარას** უწოდებენ. იგი რიონისპირეთიდან მარტვილამდე მიდის. ამდენად, ქალაქი იმ უძველესი „**ფაზის-კოტაის**“ სახმელეთო გზის ცენტრიც ყოფილა. ამასთან, იგი პეტრადან ჭყონდიდისაკენ – შიდა სამეგრელოსაკენ მიმავალ გზაჯვარედინზეც მდგარა. ფოთიდან რიონით მიმავალი გემებიც აქ ჩერდებოდნენ. ეს იყო რიონზე ერთ-ერთი საიმედო ნავსადგური. ასეთი ვარაუდი, თავის დროზე, აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ გამოთქვა: „ამ საგანზე პლინიუსი გვიამბობს: ყველაზე განთქმული პონტოს მდინარეთა შორის ფასიდი უდიდეს ხომალდებისათვის სანაოსნოა 38,500 ნაბიჯის (53,5 ვერსის მანძილზე) და შემდეგ დიდ სივრცეზე – მომცროთათვის. პირდაპირი ხაზით ამ მანძილს დაახლოებით ორპირამდე მივყავართ, ნამდვილად კი საძიებელი პუნქტი შესაძლოა სუჯუნას რაიონში დაიდვას“[1]. შუაქალაქი სუჯუნის მახლობლად მდებარეობს. განსვენებულ მეცნიერს, ეტყობა, ეს ვარაუდი გაკეთებული აქვს არა არქეოლოგიური მონაცემების, არამედ სხვა გეოგრაფიული და მანძილის გამოთვლის საფუძველზე, მაგრამ უკანასკნელად ჩვენ მიერ ჩაწერილი ტოპონიმიკური მასალა და არქეოლოგიურ-დაზვერვითი მუშაობის შედეგები ერთხელ კიდევ საფუძვლიან მოსაზრებად აქცევს ამ ვარაუდს.

[1] ს. ჯანაშია, ტ. II, გვ. 378.

მაშასადამე, სწორედ შუაქალაქი იყო ამ დიდ სახმელეთო და სანაოსნო გზაზე „საძიებელი პუნქტი“, დიდ გემთა უკანასკნელი ნავსაყუდარიც მდ. რიონზე.

მდ. რიონი ამის ზემოთ უკვე ზიგზაგოვან კალაპოტს იჭერს და სულ მალე მის ქვიან, ქარაფოვან ხეობაში შევდივართ. თავისთავად ცხადია, დიდ გემს ამ სახიფათო კალაპოტით უკვე არ შეეძლო ნაოსნობა. აქ ჩერდებოდა და გადატვირთვის შემდეგ უკან ბრუნდებოდა ფაზისში. აქედან კი მცირე გემთა ქარავანი უფრო ღრმად იჭრებოდა ხეობაში, ხოლო ტვირთის ნაწილი სახმელეთო გზითაც მიდიოდა **ქუთათისაკენ**. ადვილი შესაძლებელია, ასეთი მნიშვნელოვანი პუნქტი, შუა გზაზე მდებარე ქალაქი – **შუაქალაქი** ყოფილიყო. ამ აზრს სხვა საბუთიც ადასტურებს; დაახლოებით 54 კმ-ია ფოთიდან ამ პუნქტამდე. უდავოა, იგი ცენტრი იყო სამოქალაქოსი და ამ მხრივაც ამართლებდა შუაქალაქი თავის სახელწოდებას. ასეთი სახმელეთო გზა რომ არსებობდა, ამაზე სტრაბონიც და სხვა, უფრო გვიანი ხანის მოგზაურები და ისტორიკოსებიც მიუთითებენ. გზა მიუყვებოდა სამდინარო გზას, მოდიოდა რიონის ნოღაში, რიონის გაშლილ ველებზე. მის გაყოლებაზე იყო უამრავი დაბა-ქალაქი. დღესაც რიონის სანაპირო ხაზს ადგილობრივი მკვიდრნი „**ჯვეში შარას**“ უწოდებენ; გადმოცემები მოგვითხრობს, რომ ამ გზით ამოდიოდა რომაელთა ლაშქარი; ამ გზით დადიოდნენ უცხოელი თუ კოლხი ვაჭრები და საქმის კაცები; ეს გზა ფაზისიდან რიონის ჩრდილო სანაპიროებს მიუყვებოდა, გაივლიდა ისულას, შუაქალაქამდე. აქედან ჩრდილო სანაპიროების გაყოლებით, ორპირით **კუტაიში**, ან **ქუთათიში** ჩადიოდა. იგი მეტად მოხერხებული გზა ყოფილა თავის დროზე: მიუყვებოდა გაშლილ ჭალას, გაივლიდა აყვავებულ დაბა-ქალაქებს და მოგზაურს არაფრის შიში არ უნდა ჰქონოდა. რიონიც ხომ ადგილობრივ მკვიდრთა მიერ „**ჯვეში შარადაა**“ ცნობილი. აბაშაში იგივე გიგინეიშვილი, ა. გაბელაია, ს. კორძახია და სხვანი გადმოგვცემენ მათი წინაპრებისაგან მოსმენილ ამბებს, რომ ამ სამდინარო გზით, გემებით და „ფელუკებით“ (მცირე ნავებით) სუჯუნაშიც ამოჰქონდათ საქონელი ფოთიდან და შემდეგ სუჯუნაში ნაწილდებოდა იგი მთიან სამეგრელოში გასაგზავნადო. მას შემდეგ, რაც რიონმა ადგილი ინაცვლა და სოფლებს ძლიერ დაშორდა, სუჯუნაში შემოიყვანეს არხი, რომლითაც აქ შემოდიოდა ნავები („ფელუკები“). ეს ღარი უაღრესად მნიშვნელოვანი სავაჭრო არხი იყო. შემდეგ „ღარი“, ანუ არხი შეუერთდა **ცუდღარს** – **ჭყოინდარის ღარს** და სეფიეთიდან რიონამდე გაიკაფა სამდინარო გზა, თუმცა სუჯუნის ზემოთ ამ არხით დიდი ხანია აღარავინ ნაოსნობს. ჭყოინდარს ცუდღარით ნოღის წყალი სანაოსნო მიზნით არ შეუერთებია სუჯუნის ღარისათვის. თუ სუჯუნის

ღარით რიონის წყალი აქეთ შემოდიოდა და შემდეგ ქალაქის გავლით ისევ რიონს უერთდებოდა, ახლა რიონის წყალმა შეწყვიტა დაბაში შესვლა, – თვით ცუდღარი იკაფავს გზას რიონისაკენ, არხიც შემცირდა, ამიტომ მასზე ნაოსნობა უკვე არ შეიძლება.

**ტყვირის ეკლესია. XVI ს.**

რიონისპირეთში, ყოფილ საჭილაოს ცენტრში, დღეს ჭალასა და შიშველ ადგილას (ოდესღაც, ალბათ, სოფლის მჭიდროდ დასახლებულ შუაგულში), დგას ლამაზი, გუმბათიანი ნაგებობა, პატარა, მაგრამ ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლი – ტყვირის ეკლესია.

იგი ჯვრის ფორმის ოთხკუთხა ნაგებობაა. თითოეულ გვერდზე სწორკუთხედად წინ წამოწეული მცირე შვერილები ჯვრის ტოტებს ქმნიან. ეკლესიის ძირითად ნაწილს წამოდგმული აქვს მრავალკუთხედად ჩაკვეთილი გუმბათი, სადაც დატანებულია 8 ვიწრო სარკმელი. ეკლესიის გარეთა კედლებში ჩართულია კირქვის ფართო ფილები, შესანიშნავი ორნამენტოვანი მედალიონებითა და კარ-ფანჯრის არშიებით. დასავლეთის კარისთავზე არის ჩუქურთმიანი ჯვარი, რომლის ირგვლივ შესრულებულია მხედრული წარწერა. ამავე მხრიდან ეკლესიას მიდგმული აქვს ეკვდერი, რომლის შესასვლელის შუბლზე, გარეთ, ცხვრის ქანდაკებაა დატანებული. მსგავსი ქანდაკებითაა შემკული სეფიეთის ეკლესიაც. სამხრეთის კარისთავზე არის დიდი ფიქალი, რომელზედაც ნუსხახუცური წარწერაა. ჩრდილოეთით ფასადის შვერილს, მთელ სიგანეზე, მოდგმული აქვს ეკვდერი, სადაც ვრცელი აკლდამაა (ექვთიმე თაყაიშვილის მითითებით, იგი იერემია ჭყონდიდელს ეკუთვნის). ამჟამად აკლდამა სავსებით აყრილი და თავმოხდილია. ეკლესიის ეზოში ვიპოვეთ იერემია ჭყონდიდლის საფლავის ქვის ნაწილი, რომელიც დიდი ხანია დაკარგულად ითვლებოდა. ამ ქვაზე იკითხება: „მაცხოვარო პირო ღმრთისაო შეიწყალე სული ჭილაძის პატრონის მამა ჭყონდიდელის...“ ეს ქვა დღეს გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. ამ ეკვდერს ოვალური ფორმის სვეტისთავების თაღედებზე დაყრდნობილი ლამაზი ოვალური გადახურვაც ჰქონია. ახლა სახურავი მორღვეულია. კედლებზე შემორჩენილია ლამაზი სვეტები და თაღედთა საყრდენები; ეკვდერს დატანებული აქვს ორი ვიწრო სარკმელი. ეკლე-

**ტყვირის ეკლესიის კარის მორთულობა**

სიის ფასადთა ბევრ ქვაზე არის ამოკვეთილი ნუსხახუცური, ან მხედრული წარწერა.

ძეგლის ძირითად ნაწილსა და დასავლეთის ეკვდერს შემორჩენილი აქვთ თაღოვანი სახურავი, რაც ყოველ მხარეზე ქმნის ისრისწვერისებური სახურავის გვერდულებს. გვერდულთა თავშესაყარი მკლავებს კრავს და ქმნის ოთხკუთხედ კვარცხლბეკს, რომელზეც მრავალკუთხა გუმბათია აღმართული. გუმბათს ყოველ ჩათლილ გვერდზე თითო ვიწრო სარკმელი აქვს ჩართული. მისი გადახურვა წრისებურია. სახურავს შემოვლებული აქვს თლილი ქვის კოზმიდი.

ეკვდრები ეკლესიის მთავარ ნაწილს გვიან აქვს მოდგმული: თავდაპირველად ეკლესიის ჯვრის გეგმით ნაგები ძირითადი ნაწილია აშენებული. ყველა წარწერა ძირითადი ნაწილის ფასადებზეა შესრულებული. სამხრეთით კარისთავზე არის ნუსხახუცური წარწერა, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი ასე კითხულობს: „სახელითა ღმრთისათა აღეშენა. მაცხოვრისა მტყუვირისა საყდრისა აღმაშენებელსა ქუველსა ჭილაძესა შეუნდვეს ღმერთმან. ძმათა მისთა კახაბერსა და ჩუბინსა შეუნდვეს ღმერთმან. ვინცა შენდობა ბრძანოთ, შეგინდვნეს ღმერთმან“[1]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკლესიის კედლებზე უამრავი სხვა წარწერაცაა. ყველა მათგანი ამოკითხული და გადმოწერილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. რატომღაც განსვენებულ მეცნიერს არ გადმოუღია მხოლოდ ერთი მეტად საინტერესო მხედრული წარწერა, თუმცა ამის მიზეზი თვითონვე აგვიხსნა. იგი წერს: „შიგნით და გარეთ ეხლა ეკლესია შელესილი და შეთეთრებულია კირით და თავის პირვანდელი სახე დაუკარგავს. კარის მარცხნივ დახშული ჩუქურთმიანი კამარა (არკა) არის, თაღის ქვემოთ ჩუქურთმიანი ჯვარია“[2]. ეტყობა, ექ. თაყაიშვილის მიერ ძეგლის შესწავლის დროს ჯვრის ირგვლივ მთელი ფიქალი შელესილი

[1] ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, 1913-1914, ტ. III, გვ. 4.

[2] იქვე, ტ. III, გვ. 2.

ყოფილა ბათქაშით და, ამდენად, ეს წარწერაც დაფარული იყო. დღეს კი ბათქაში ჩამოცვენილია და წარწერა თავისუფლად იკითხება:

1. ღ(მერთ)თო:. და ჯვარო:. ქრისტე-
2. საო:. შეუნ(დე) და შე(ე)წიე:. შედანსა
3. ჭილაძესა: და მეუღლესა: მისა კან
4. დაკესა:. ძეთა მისთა
5. პ(ი)რნ(ა)(თელსა):. კახაბერსა:. ქვ-
6. ელსა: ნათელსა. ეშმასა: ჩუბინსა: აბრამსა:.
შედანსა:. და ჯ(ა)ვ(ა)(სსა).
7. ასულსა:. მი(ს)სა:. კეკლუცსა მზ(ე)ქალსა:.
ულ(უმ)პიასა:.

ეს წარწერა, როგორც ჩანს, უაღრესად საყურადღებოა. ჯერ ერთი, იმით, რომ პალეოგრაფიული თვალსაზრისით, XVI საუკუნეზე გვიანი არაა, მეორე, აქ მოხსენებულია ჭილაძის გვარეულობიდან რამდენიმე პიროვნება. ამათ შორის შედანი და აბრამი მხოლოდ მეორეჯერ გვხვდება ისტორიულ წყაროებში. ქველი და ჩუბინი ამავე ეკლესიის მშენებლებად არიან მოხსენებულნი ექ. თაყაიშვილის მიერ გადმოწერილ ზემოთ დამოწმებულ წარწერაში. ჯავახი XVI საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილი პიროვნებაა. იგი იმერეთის მეფე გიორგი მეორემ დასაჯა. სხვა დანარჩენი აქ მოხსენებული პირი ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება. ეს წარწერიანი ქვა, ეტყობა, თავდაპირველად ხუცურით შესრულებული სამხრეთის კარისთავზე არსებული წარწერიანი ქვის ადგილას ჩაუსვამთ, ხოლო დასავლეთის კარისთავზე ყოფილა არქიტრავი, რომელიც ახლა ამ კედლის ქვემო ნაწილში არის ჩართული, კარის ჩრდილოეთ მხარეს. არქიტრავი კარის არშიების ხაზს აგრძელებს და თაღად ერტყმის გარს არქიტრავის გულში ამოკვეთილ ჯვარსა და მის ჩუქურთმიან ფონს. ჯვარი და ჩუქურთმა ხეზე კვეთის ხალხური ნიმუშების განმეორებაა, – ოსტატი, ალბათ, ადგილობრივი ხელოსანი იყო. იგი, ეტყობა, ხეზე ჭრის ოსტატია, რომელმაც ხეზე კვეთის სტილი ქვაზედაც გადაიტანა. ამ მხრივ არქიტრავი და ამავე კედელზე კარის სამხრეთის ფრთაზე არსებული მეორე ქვის მხატვრული ჭრაც უაღრესად საყურადღებოა.

ვინ არის შედან ჭილაძე? „ეს უკანასკნელი ჯავახთან ერთად მოხსენიებულია გამოჩინებულის ეკლესიის ხატის წარწერაში, საჯავახოში, გურიაში“[1], – წერს ექ. თაყაიშვილი. შედან ჭილაძე, ეტყობა, ძლიერი ფეოდალი, საჭილაოს მფლობელი, თავისი დროისათვის სახელოვანი პირი

[1] ექ. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III, გვ. 33.

იყო. მისი შვილებიდან ყველაზე ცნობილია ჯავახი, რომელიც იმერეთის მეფის კარზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ამიტომ მეფის რისხვა სწორედ მას დაატყდა თავს. „ხოლო მეფემან ამან გიორგი მოკლა ჯავახ ჭილაძე მეგობრობისათვის დადიანისა და დაიპყრა მეფემან მამული ჭილაძისა. გარნა არა მისცეს მეფესა ჭილაძისა მამული დადიანმა და გურიელმა და მოადგენ მეფესა და მამული ჭილაძის ნახევარი დაიპყრა დადიანმა და ნახევარი გურიელმან", – წერს თავის „ქართველთ ცხოვრებაში" ნიკო დადიანი. შედანის შვილი, ქველი ჭილაძე, ტყვირის ეკლესიის მშენებლად ჩანს ზემოთ დამოწმებულ წარწერაზე უფრო გვიან შესრულებულ ხუცურ წარწერაში. ამ წყაროში მოხსენებული არიან ქველის ძმები – ჩუბინი და კახაბერი. რატომღაც წარწერა გადაუადგილებიათ, ხოლო თავიანთ ძეგლზე მამის სახელი არ ამოუკვეთიათ. საინტერესოა, რატომ?!

წარწერაში მოხსენებული პირი – აბრამი სეფიეთის ეკლესიის მომხატავია. მასზე ახლაცაა სეფიეთის ეკლესიაში შემორჩენილი ხუცური წარწერა, რომელიც თავის დროზე გადმოუწერია და გამოუქვეყნებია კიდეც ექ. თაყაიშვილს.

აქ მოხსენებული სხვა დანარჩენი პირები ისტორიულ წყაროებში არ ჩანან. შეიძლება ამ წარწერამ სხვა საყურადღებო საკითხებიც გაგვიშიფროს, უცნობ პიროვნებათა დაძებნაში დაგვეხმაროს. წარწერის პალეოგრაფიული თავისებურება, ქვათა წყობა, მათი ჩასმა-გადასმის საიდუმლოს გახსნის შესაძლებლობა ამ მხედრული წარწერის ბათქაშიდან განთავისუფლებამ მოგვცა. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ, რადგან ქველი და ჩუბინი (ძმები) ამ წარწერაში შედანის შვილებად არიან მოხსენებული, აქვე მათ ძმებად ჩანან ჯავახი და აბრამიც, ამდენად, ქველი და ჩუბინი XVI საუკუნის მოღვაწეები არიან და ეკლესიის საფუძვლიანი რესტავრაცია-აღდგენა სწორედ XVI საუკუნეს უნდა მიეწეროს. მანამ აქ, ალბათ, იდგა ქვის ნაგებობა, რომელიც რაღაც მიზეზით დაინგრა ისე, რომ კვლავ საჭირო შეიქმნა მისი აღდგენა-აშენება, რასაც ქველმა აგურის წყობით მიაღწია. ამისი ნათელი დადასტურებაა თვით ძეგლის კედელთა ამოყვანა. ქვის წყობის ამგვარი ხერხის შესწავლა მის პირვანდელ მხატვრულ გაფორმებაზეც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს.

აღსანიშნავია ეკლესიის მხატვრული გაფორმების თავისებურებაც: აქ, დასავლეთის შესასვლელის თავთან, კოზმიდში ერთ მხარეს ჩართულია ცხვრის თავის ქანდაკება, სეფიეთის მსგავსად (ოღონდ სეფიეთში აღმოსავლეთითაა). სხვაგან მსგავსი მხატვრულ-არქიტექტურული ჩანართი არსად გვხვდება, რაც საფუძვლიანს ხდის იმ ვარაუდს, რომ ქრისტიანული ეკლესიის ეს რელიგიური სიმბოლო ჭილაძეებს გვაროვნულ

ემბლემად ჰქონოდათ. ცხვარი დადიანთა სამთავრო გერბის ატრიბუტიცაა! საერთოდ, ტყვირის ეკლესია უაღრესად საყურადღებო ძეგლია.

## კადარი

კადარი ძველი აბაშის დასავლეთით გაშლილი ველია, წინათ მჭიდროდ დასახლებული, ახლა კი მოსახლეობა არ არის. ამ ნასახლარი ველიანის შუა ადგილას არის აგურით ნაგები ძველი ბაზილიკური ეკლესია. მას სამხრეთითა და დასავლეთით ეკვდერები ჰქონია მოშენებული, დღეს კი ეკვდერისა და გალავნის უმნიშვნელო ნაშთიღაა შემორჩენილი. გარეთ ბარელიეფები სრულიად მოშლილია. ნაგებობა სწორკუთხაა. მხოლოდ კანკელის მხრიდან, აღმოსავლეთით, აქვს ოდნავ ტეხილი რკალური ფასადი, სადაც სამი ვიწრო სარკმელია დატანებული. გადახურვა თაღედურია. მხოლოდ ქვითკირის თაღედური სახურავიღაა შემორჩენილი. შიგნით ფრესკების უმნიშვნელო ნაშთებია. ამ მხატვრობის ნაწილი ახლა ყველაზე უკეთესად მხოლოდ საკურთხეველში არის დაცული. ზემო რეგისტრზე იესო ქრისტეს გამოსახულებაა, ქვემოთ კი – მისი მოწაფეებისა (წმინდა პეტრე, პავლე, ფილიპე და სხვა). მათ ირგვლივ არის ნუსხახუცური წარწერა. ჩრდილოეთ კედელზეც ჩანს ანგელოზთა გამოსახულებანი, ფრთები და სახის ნაწილი. ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ მხარეს შემორჩენილია საერო დიდებულთა ფრესკის ნამუსრევი და ნუსხახუცური წარწერის ნაშთი, რომელიც დადიანებზე მიუთითებს. ფრესკებს ექვთიმე თაყაიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს: „მხატვრობის შემკულობანი, სადაც დაცულია, ძლიერ ლამაზია“, – წერს იგი. მისი სიგრძე 16,5 მ-ია, განი კი 9 მ-ს უდრის. კარები დატანებული აქვს სამხრეთითა და დასავლეთით. კარისა და ფანჯრის არშიებზე, ეტყობა, ბარელიეფები იყო. ამჟამად ეს მხატვრული გაფორმება სრულიად მორღვეულია. ეკლესია, როგორც ექ. თაყაიშვილი ვარაუდობს, ნაგები უნდა იყოს არა უგვიანეს XIV საუკუნისა (იგი სწორედ მის მიერვე აღწერილი ჩუქურთმების მიხედვით აკეთებს ასეთ დასკვნას)[1]. ეკლესია ამ პერიოდის შესანიშნავი ძეგლია.

## სეფიეთი

სოფელი სეფიეთი აბაშა-გეგეჭკორის გზაზე, სადგურ აბაშიდან ჩრდილოეთით, 12 კმ-ზე მდებარეობს. ეკლესია გზის პირას, მდინარე აბაშის მარცხენა სანაპიროზეა აშენებული, ასწლიანი ცაცხვის ხეებით და-

[1] ექ. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III.

**სეფიეთის ტაძარი. V ს.**

ბურულ ეზოში. მას ორი დამოუკიდებელი ნაგებობის წაგრძელებული ფორმა აქვს, რადგან ერთმანეთსაა მიშენებული და ტიპიურ სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. დასავლეთის ეკვდერი, თუ საქალებო, ეტყობა, დაბალი ნაგებობა იყო. იგი ქვის მსხვილი ფილებითაა ნაგები, აქვს სამი ვიწრო სარკმელი დასავლეთ მხარეს, კარის ზემოთ. კედელი უპროპორციოა. თავდაპირველი გადახურვა თაღოვანი ყოფილა. თაღთა საყრდენი სვეტები დღესაც შემორჩენილია ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე. ამ ნაგებობის გარეთა, ჩრდილოეთის კედელზე, ჩართულია ვეებერთელა ლოდი ნუსხახუცური წარწერით, რომელზეც ამოკვეთილია ორ მხარეს კოპიტიანი გრძელი ფოსოები. გადმოცემა გვიამბობს, რომ ეს ფოსოები ოსტატის ფეხის ანაბეჭდიაო. წარწერა ძლიერ გადარეცხილია და ძნელად იკითხება. ასეთივე ქვა ეკლესიის ძირითადი ნაწილის ჩრდილოეთ კედელთანაა საფლავის ქვად გამოყენებული. ქვა იმავე ზომისაა, ისეთივე წარწერა და ნიშნები აქვს. წარწერა ძალზე გადასულია და თითქმის არ იკითხება. დასავლეთ ეგვტერს ნაპოვნ ეკლესიად თვლის ხალხი. თითქოს პირველმა მცხოვრებლებმა იგი ტყეში, ცაცხვისა და მუხის გაუვალ უსიერში იპოვეს, ტყე გაჩეხეს, მის მიდამოებში დასახლდნენ, ეკლესია შეინარჩუნეს, ხოლო გვიან ეკლესიას მთავარი ნაგებობა მიუდგეს და ამით გააფართოვეს, ძველი კი საქალებოდ შეინარჩუნეს. აქ რომ რაღაც ძველი ნაგებობა იდგა ამ ეკლესიის აშენებამდე, მართლაც დასტურდე-

ბა ჩვენ მიერ აქ ნაპოვნი კაპიტელით. იგი ახლა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. მის ოთხკუთხა პიედესტალზე, ოთხსავე მხარეს, ამოკვეთილია ჯვარი და მზის გამოსახულება. გამოსახულებანი სწორხაზაა, ყოველგვარი დაწვნისა და გრეხილის გარეშე. პიედესტალზე დგას ჩახვეული ყვავილის ჯამის ფოთოლაკების მსგავსი გრაგნილი. ამ ნაწილს ორივე მხარეზე სვეტის დასაყენებელი კოტები აქვს ამოჭრილი: „ეს ძეგლი V საუკუნის არქიტექტურული ნაკვთია“ (რენე შმერლინგისა და თეიმურაზ ბარნაველის განსაზღვრებით).

ეკლესიის მთავარი ნაწილი სწორკუთხა, გრძელი ნაგებობაა, რომელსაც გვერდებზე სვეტებით გამოყოფილი დერეფანი აქვს ორივე მხარეს. დერეფანთა ზემოთ, 4 მ-ის სიმაღლეზე, არის სახურავთა შორის გადახურვის, ე. ი. ჭერის კვალი, ჩრდილოეთის ეს მე-2 სართული შიგნით მასიური კედლითაა ჩახურული, ალბათ, საცავ ოთახს წარმოადგენდა. სამხრეთით კი სვეტებია ამოყვანილი. სვეტთა შორის სივრცე თავისუფალ სამზერს წარმოადგენს. ალბათ, ამ სამზერებიდან ადევნებდნენ თვალყურს ქალები საეკლესიო ცერემონიალს.

საკურთხეველი მრგვალია. ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი რკალური ფორმისაა. საინტერესოა ისიც, რომ ფანჯარა შუაში კი არა აქვს გამოკვეთილი, არამედ ჩრდილოეთ მხარესაა გადმოწეული, ხოლო შუაში საფეხურიანი ნიშია, სადაც კარგად დაცული წმინდა ნინოს ფრესკული გამოსახულებაა. საკურთხევლის შიდა მხატვრობაც საინტერესოა. ეკლესიის შიდა კედლებზე დაცულია ფრესკები. განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთ კედელზე ფრესკა წმინდა გიორგისა, რომელიც გველეშაპს მახვილით გმირავს. ეკლესიის თაღის დიდი ნაწილი იესო ქრისტეს ფრესკას უჭირავს.

საინტერესო წარწერებია დასავლეთ ეგვტერში. აქ, აღმოსავლეთის ფანჯრის თავზე, არის ხუცური წარწერა, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი ასე კითხულობს: „დაიხატა ეკლესია ესე კოპალაძემა ჭყონდიდელმა, ზოსიმე, შუნდვეს ღმერთმა, ამინ“[1]. თვით ჭყონდიდელ ზოსიმე კოპალაძის ფრესკა, სახითა და მკერდის ნაწილით, დაცულია მარტვილის მონასტერში. მასზე შემორჩენილია ხუცური წარწერაც. ზოსიმე XVI საუკუნის მოღვაწეა. აქ არის ისტორიული პიროვნებების ფრესკებიც, მაგრამ ისეა შებღალული, რომ მათი ამოცნობა უკვე შეუძლებელია. აქვე, სვეტზე, არის ნუსხახუცური წარწერა. ექვთიმე თაყაიშვილი ამ წარწერას ასე კითხულობს: „და ესე ჭილაძემა აბრამი, მერმე ჭყონდიდელმა ზოსიმე

[1] ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 34.

**სეფიეთის ტაძრის საკურთხევლის კონქის მხატვრობა. წმ. ნინო XVII ს.**

კოპალაძემ დავახატვინე ესე, ამინ“[1]. აქ მოხსენებული აბრამ ჭილაძე ამ ეკლესიის პირველ მომხატავად ჩანს. თუ ეს ასეა, მაშინ ეკლესია პირველად XVII საუკუნის დასაწყისში მოუხატავთ. ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „კარის მარჯვნივ, ქვემოდ, კიდევ რამდენიმე დიდებულის სურათია გაფუჭებული. ერთზე ჩვენ ძლივს გავარჩიეთ წარწერა: „ელაჭიში ოჩიგავა“.

ეს გვარი რომ გაიგონა სეფიეთის მნათემ, რომელიც ჩემთან იყო, გაუკვირდა და მკითხა: საიდან შეიტყვეთ ეს გვარიო? მე ვუთხარი, აი, აქ მხატვრობაზე ამოვიკითხე-მეთქი, და მერე დაუმატა: დიდება შენს სახელს ღმერთო, რომ სიმართლეს არ კარგავო. მე ვკითხე, რა სიმართლეს ეძებ-მეთქი, და მან ასე მიამბო: მე ოჩიგავა ვარ, წინეთ ჩვენი გვარის კაცები ყოფილან აქ დიდებულნი და ესენი ყოფილან სულ აქ დახატულები, მაგრამ შემდეგ გაძლიერებულან თოფურიძენი, ჩვენი გვარის კაცების სურათები წაუშლიათ და თავიანთი დაუხატავთო“[2].

ეკლესიის ფასადებზე რაიმე მნიშვნელოვანი მხატვრული ჩანართი არაა შემორჩენილი, გარდა აღმოსავლეთით, საკურთხევლის დაბალი სახურავის ზემოთ, შუა ნაწილის სახურავის კოზმიდზე ჩართული ცხვრის ქანდაკისა, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთაც გვქონდა საუბარი. ეკლესია, ზოგადად, მხატვრული და არქიტექტურული თვალსაზრისით საყურადღებო ძეგლია.

სეფიეთის მიდამოებში მრავალი შესანიშნავი ისტორიული ძეგლია ნაპოვნი. „1931 წლის თებერვალში, – წერს პროფ. ს. მაკალათია, – მიწის მოხვნის დროს იპოვნეს თიხის კოჭობი, რომაული მონეტებით სავსე. კოჭობში აღმოჩნდა დაახლოებით 400 მონეტა. დაწყებული ტრაიანედან

[1] იქვე, გვ. 35.
[2] იქვე.

(97-117 წ.) დამთავრებული ალექსანდრე სევერით (222-235 წ.)[1]. მონეტათა შორის არის განსაკუთრებული ეგზემპლარები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ნუმიზმატიკური განძის იშვიათ ნაწილს შეადგენს. ეს ნუმიზმატიკური მასალა დაიცვა და შეისწავლა პროფ. ს. მაკალათიამ. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭლის ყური, რაც ორიგინალური მხატვრული ნაკეთობის ნიმუშია. იგი ღვთაება მითრას კულტთან დაკავშირებული სარიტუალო ინვენტარი უნდა იყოს[2].

ეს მასალები კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებს ამ ადგილის დიდ ისტორიულ წარსულს.

„სოფ. სეფიეთი აბაშისპირას მდებარეობს და ეს ადგილი წარმოადგენდა ირან-ბიზანტიის ბრძოლების ერთ-ერთ ასპარეზს“ – წერს პროფ. ს. მაკალათია[3].

## ვედიდკარი

ვედიდკარი სიტყვასიტყვით **ველდიდკარს** ნიშნავს – დიდი ველის კარს, მის ზღუდე-კარიბჭეს. ამ გაშლილ ადგილას ყოფილა ურთხელისა და ძელქვის **ტები** (ტყე) და შარაგზის გასაყარი **მახათსა** და **მუხურჩი-საკენ**. ამ შესანიშნავ ადგილას ყოველწლიურად შემოდგომაზე იმართებოდა ჯარობა-თავშეყრა, მარულა. ეკლესიის ეზოში აღდგომა დღეს ეწყობოდა რელიგიური დღესასწაული სოფიობა – „ჭვენიერობა“ („სოფიობა“ – მეგრული სიტყვაა და **სოფუადანაა** წარმომდგარი). ამ დღისათვის შესაწირავ ხეს ხელით თხრიდნენ ვაჟკაცები და რელიგიური სიმღერით გარს უვლიდნენ ეკლესიას. შემდეგ ამ ხეს მის კედლებს მიაყუდებდნენ, თვითონ კი წირვის მოსასმენად შედიოდნენ ეკლესიაში. საღამოს იმართებოდა დიდი საერთო პურობა[4]. ვედიდკარის ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით მახათის ვრცელი მასივია. აქ ორ ადგილას იდგა დიდი ჯიხა (ციხე): **ჭიოკას ჯიხა** და **ჭიას ჯიხა**. ჭიოკას ჯიხა სოფლის ცენტრის მახლობლადაა. მისი ნაშთები დღესაც დაცულია. ჯიხის ირგვლივ მთელ ჰექტარ ფართობზე, მოხვნისას ჩნდება ნეოლითური და ენეოლითური ეპოქის შესანიშნავი კულტურული ფენა, ხშირი პლანტაჟის გამო შესამჩნევად არეული. ჭიას ჯიხა დღეს სავსებით მოშლილია. მთელი **მახათის** ვეებერთელა მასივი ენეოლითურ ეპოქაში მჭიდროდ

---

[1] ს. მაკალათია, სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XII, თბ., 1944, გვ. 217-257.

[2] ს. მაკალათია, გვიანანტიკური ჭურჭლის ნაშთი სოფელ სეფიეთიდან, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1955, გვ. 78.

[3] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 34.

[4] იქვე, გვ. 370-371.

დასახლებული ადგილი უნდა ყოფილიყო. აქ მრავალ ადგილას აიყარა ენეოლითური კულტურული ფენა, მეტად საინტერესო მასალებით, რომლებიც დაცულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

**ბანძა**

სოფლის სახელწოდებას, ადგილობრივი მოხუცების გადმოცემით, განმარტავენ **ბანი ძგად** – ბანის კიდედ (**ძგა** მეგრულად კიდეს ნიშნავს). ბანძის ცენტრში, სამოთხის უბანში, არის **სამოთხეკარის** ეკლესია, სადაც დღემდე შემორჩენილია ძველი ბაზილიკური ნაგებობის ნანგრევები და ურთხელის ათასწლოვანი ხეები, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ბებერი და ყველაზე დიდი, სარიტუალო ყოფილა. მას მოკრძალებით ეპყრობოდა მოსახლეობა. მის ძირში მუხლმოდრეკილი მლოცველი ხატად მიჩნეულ ხეს, ძლიერ ძალად აღიარებულ კერპს, მტრისა და მოღალატის შეჩვენება-მოსპობას შესთხოვდა. ხესთან საუკუნეების განმავლობაში მიჰქონდათ ძვირფასი შესაწირავი: ვერცხლის ფულები, სპილენძისა და ვერცხლისავე ნაკეთობანი, ხელძღვენი – სურსათ-სანოვაგე, რასაც ლოცვის შემდეგ იქვე ტოვებდნენ. ამ ნივთებს ტაბუ ედო – „ვაშინერს“. ამიტომ მის მიდამოებში დღესაც მრავლად აიკრიფება სხვადასხვა დროის ნივთები, მონეტები და ა.შ.

**სამოთხეკარის** ეკლესიის ეზოში ოდითგანვე მუხის ხის უძველესი მცირე სენაკი მდგარა. შემდეგ ეს ნაგებობა თავის ეზოში გადაუტანია კიკუ ფაღავას. ნაგებობის სარტყლები ხეზე კვეთის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. მასზე ამოკვეთილია მცენარეულ გამოსახულებათა შესანიშნავი ფრაგმენტები. ხაზულები ზოგან რელიეფურადაა შესრულებული. შესანიშნავია ფოთლებისა და გრეხილი გონიოების კვეთა.

აბაშის ხეობის ეს ადგილი ყოველმხრივ უხვი ნიადაგითა და ბუნების მშვენიერებით ხასიათდება. ამ ბუნებრივი სიმდიდრის წყალობით დიდებულები გლეხკაცის შრომით თავისთვის სალხინო და სააგარაკო სასახლეებსა და კარ-მიდამოებს აშენებდნენ. გამრჯე ქართველი გლეხკაცი თავის ცოდნა-გამოცდილებას უხვად იყენებდა მათი შექმნისას და ეროვნული ხელოვნების, თვითმყოფადი კულტურის შესანიშნავ ნიმუშებს ქმნიდა. სწორედ, ასეთი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი იყო „**სამოთხე**“ ბანძაში. **სამოთხეკარის** მიდამოებს ხალხი დღესაც **სამოთხეს** უწოდებს. აქ მხოლოდ სამოთხეკარის შესანიშნავი ეკლესიის ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ოდესღაც, ხალხის გადმოცემით, აქ დიდი მეფის „სასახლე და ქალაქი ყოფილა, მისი სამოთხე – სალხენი, სანავარდო, სანეტარო, ბაღნარ-წალკოტთა მხარე“. დღეს ზედაპირულად ამ სამეურნეო ერთეუ-

ლისა აღარაფერია დარჩენილი, გარდა შესანიშნავი წყაროს წყლებისა, რომლებიც მრავალ ადგილას მოჩუხჩუხებს, და ამ მიდამოთა სახელწოდებებისა – „**წაკორტები**“ (ხალხის გადმოცემით, წაკორტები სალხინო და სანეტარო ვარდნარ-ხილნარიანი ადგილია, ე. ი. წალკოტებია). ჩვენ შევისწავლეთ **სამოთხესა** და **წაკორტებთან** დაკავშირებული მასალები, რომლებიც სავსებით ადასტურებენ აქ ამ სამეურნეო ერთეულთა მოწყობის მტკიცე და თანაც ადრეული პერიოდიდან მომდინარე ტრადიციას.

მსგავსი სალხენი და სანეტარო ადგილი იყო ე. წ. **სანავარდოები** რიონისპირეთში და მარტვილის მონასტრის მახლობლად, ნახარებაოში. მაგრამ დღეს, გარდა ხალხური გადმოცემებისა, აქ ვერაფერს ვპოულობთ.

დადიანთა გვიანი სარეზიდენციო ცენტრები და მეურნეობანი ამ მხარეში მრავალ ადგილას არის შემორჩენილი. მათ შორის შესანიშნავია **სალხინო** და **კურზუ**.

აქ, მდინარე აბაშის ნაპირას, სამოთხის ჩრდილო-დასავლეთით, გაშლილ ველიანზე ადგილი **ტაბაკურია**, სადაც მდინარის მიერ ჩაჭრილ ფლატეზე ნათლად ჩანს ელინისტური ეპოქის საცხოვრისის შესანიშნავი კულტურული ფენა. აქ ზედაპირულად აიკრიფა ამ ეპოქის მდიდარი მასალა. მის პირდაპირ, მდ. აბაშის გაღმა, ნაპოვნია მდიდარი არქეოლოგიური განძი გვიანი ბრინჯაოს ეპოქის ადამიანის სამარხისეული ინვენტარით, რაც აღწერილი აქვს პროფ. ს. მაკალათიას.

სამოთხის უბნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში არის მექი ფაღავას ეზო, ნარგავებითა და დამხმარე ნაგებობებით. ამ ეზოში, რომელიც მდიდარია წყაროს წყლებითა და შესანიშნავი დასასვენებელი ადგილებითაც, გასული საუკუნის 90-იან წლებში მოწყობილი იყო შესანიშნავი კარ-მიდამო – **მახორობა**, სადაც ოჯახის პატრონი, მექი ფაღავა – ცნობილი ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე და მისი მეუღლე – ბანძის ცნობილი დრამატული დასის წევრი დარია ფაღავა ხვდებოდნენ საქართველოს ცნობილ ადამიანებს, ქართველი ხალხის დიდ შვილებს; აქ არაერთხელ ყოფილან რაფიელ ერისთავი, სოფრომ მგალობლიშვილი, აკაკი წერეთელი; ამ სახლში მიმდინარეობდა შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ პირველი რეპეტიციები; აქ იყო ზუგდიდისაკენ მიმავალი ილია ჭავჭავაძე; აქ მოილხინა მან. დილას, როცა მზით გაცისკროვნებული მიდამოს ცქერით ტკბებოდა, მექიმ და მექის სახლობამ დიდი ყანწით, რომელიც ამ დღისათვის საგანგებოდ დაამზადებინეს, ოჯალეშის ღვინო მიართვეს ილიას. ბუნების მშვენიერებით მოხიბლული და აღელვებული პოეტი ხელში იღებს ყანწს და მშობლიური საქართველოს სადღეგრძელოს ამბობს. შემდეგ

ამ ყანწს ოჯახი რელიკვიად ინახავდა. ახლა იგი გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

ბანძის ჩრდილოეთით, მდინარე აბაშის ვრცელ ჭალაზე, ბანძის მინდორზე, ნოჯიხენთან, შემორჩენილია ორიგინალური ფორმის ციხის ნაშთი. ირგვლივ მას ორ რიგად გალავნის ნანგრევი ეკვრის. გალავანს შიგნით შემორჩენილია სამხრეთით ვრცელი კოშკისა და ჩრდილოეთით ოთხკუთხა მცირე კოშკის ნანგრევები. დასავლეთით გალავნის ეზოში წყაროსთვლის ეკვდერია შემორჩენილი. მის იქით, მდ. აბაშის გადასახედამდე, არის ველი, რომელიც მოფენილია მდიდარი არქეოლოგიური მასალით. აქ ახალ ნახნავზე აიკრიფა რუსუდანისეული მონეტები, მოზაიკურ ჭურჭელთა შესანიშნავი ფრაგმენტები და სხვ. იგი ვახუშტის მიერ მითითებული ციხე უნდა იყოს. „ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“[1], – წერდა იგი. ბანძაში აღიზარდა და სიყმაწვილის წლები გაატარა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ თედო სახოკიამ.

ბანძის ორკლასიანი სასწავლებლის (ახლა საშუალო სკოლა) შენობაში ჰქონდა ბინა 1918 წელს ბანძის აჯანყებულთა შტაბს, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი რევოლუციონერი შალვა ასკურავა.

ბანძაში გაბუნიებისა და კეკელიების უბანი ააოხრა ალიხანოვ-ავარსკიმ, გადაწვა და იავარჰყო იგი 1905 წლის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობის გამო. ნაჯიხუსთან მოხდა პირველი შეტაკება 1918 წელს, შეიარაღებულ ბოლშევიკურ რაზმსა და მენშევიკურ ჯარს შორის. აქ პირველად შეაჩერეს და უკუაქციეს მენშევიკური ძალები. ამ ადგილას გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინიციატივით ობელისკი შენდება.

## ნაჯახუ

ნაჯახუ წარმომდგარია სიტყვა **ნაჯიხუდან**, ე. ი. ნაციხარიდან (ჯიხა მეგრულად ციხეს ნიშნავს). როგორც ამ სოფლის ჭარმაგნი გადმოგვცემენ, აქ, ჯვეში შარას, ანუ ძველი გზის გაყოლებაზე მრავალი ციხე ყოფილა. სოფლის ცენტრში დედაციხე მდგარა, რომელიც დიდი შემოსევების დროს მტერს დაუნგრევია. ამ ადგილებს ხალხი **ნათურქუსაც** ეძახის.

სოფლის ცენტრში, ხელოვნურ ბორცვზე, დგას ქვითკირის მცირე ეკლესია, რომელსაც, ეტყობა, ოდესღაც ლამაზი თაღოვანი გადახურვა ჰქონია, ექვსფანჯრიანი მცირე გუმბათით. ეკლესია გვიანდელია, XVIII საუკუნეზე ადრე არ უნდა იყოს ნაგები. კარისა და ფანჯრის არშიები ბა-

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 166.

რელიეფური კვეთილობითაა შემკული. ეკლესიის შიდა კედლებზე არაა შემორჩენილი ფრესკები. ეკლესიის ცენტრში დაცულია უზარმაზარი ქვევრი. იგი დანელიების **საოხვამურო**, **ოდუდია** ქვევრი ყოფილა. დანელიების მთელი გვარეულობა თურმე აქ იკრიბებოდა მათი ფუძის ხატის ლოცვის დღეობაზე. ლოცვის შემდეგ, შიგ ეკლესიაში, ქვევრის ირგვლივ, იშლებოდა გვაროვნული **საოხვამურო** – სალოცავი სუფრა და იმართებოდა სარიტუალო პურობა – **დიარა**.

სოფელ ნაჯახაოს აღმოსავლეთ მხარეს, ცხენისწყლის ჭალაზე, მდინარე ნოღელას მთელს სიგრძეზე გადის საინტერესო კულტურული ფენის შემცველი ხაზი, დაახლოებით 200-300 მ-ის სიგანისა, რომელსაც მახათიდან მოყოლებული ნარონას (ნადგომს) ეძახიან. აქ ზედაპირულად, ნიადაგის პლანტაჟის დროს მიაგნეს შესანიშნავ ქვებს. ქვებზე ამოტვიფრულია ხაზობრივი ნიშნები, ზოგან თითო, ზოგან – რამდენიმე. იგი აპოლონ როდოსელის მიერ აღწერილი კურბეისის (კირბების) შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ხაზი **ჯვეში შარაცაა** (ძველი გზაცაა). ასე იცნობენ და უწოდებენ მას ადგილობრივი მოხუცები.

## ლეხაინდრე

სოფელი ლეხაინდრე აბაშასა და ცხენისწყალს შორის მდებარე ვრცელი სოფელია, ხაინდრავების, ადგილობრივ მცირე აზნაურთა სამემკვიდრო სამფლობელო. ხაინდრავები სამეგრელოში სახელგანთქმული მეცხენეები იყვნენ. მათ თავიანთი განსაკუთრებული დაღიც კი ჰქონდათ ცხენებისათვის. ხაინდრავას დაღს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავა ცხენის გვაროვნულ დაღთა შორის, ხოლო თვით ხაინდრავებს – მეცხენეთა წრეში. მდინარე ნოღელასპირა უბანს, ნარონა ხაზის ამ სოფლის მონაკვეთის ცენტრს, **კოტორი** ეწოდება: „**კოტორის**“, ანუ „**კოტიორას**“ მიდამოებში დგას სამი ხელოვნური ბორცვი, რომელთაც ნაოხვამუებს უწოდებს ხალხი. მათ შორის ყველაზე დიდს, **გოგიაშ ნაოხვამუ** ეწოდება. აქ ნიადაგის პლანტაჟისას აიკრიფა ენეოლითური ეპოქის ძვირფასი ნივთიერი მასალა. იგი ჩვენს ყურადღებას იმსახურებს იმითაც, რომ მსგავსი სახელწოდების ქალაქი არაერთხელ არის მოხსენებული ბერძენ ისტორიკოსთა და მოგზაურთა მიერ. კოტორა – მოსინიკების ქალაქი – მოხსენებული აქვს ქსენოფონტეს. ამ კოტიორს იცნობს „ქართლის ცხოვრება“ და ასახელებს იმ ქალაქთა შორის, რომლებიც ბიზანტიას წაართვა თამარ მეფემ XIII საუკუნეში. მაშასადამე, ეტყობა, ამ სახელწოდების ქალაქი მრავალი იყო ძველ საქართველოში. ერთ-ერთი მათ შორის ალბათ ესეც იყო, რომელიც ამ დიდი საცხოვრისის ცენტრს

წარმოადგენდა და ანტიკური ეპოქის კოლხეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული კერა უნდა ყოფილიყო.

რიონისპირეთის მდიდარი ადგილები დაქსელილი იყო სავაჭრო გზებით, რომელთა გაყოლებაზე მდიდარი და მრავალრიცხოვანი დასახლება ჩანს. უძველესი სავაჭრო გზის – ფოთი-ქუთაისის ერთ-ერთი სახმელეთო შტო – ფოთი – შუაქალაქი – კოტიორა – ხიდით იმერეთს გადადიოდა. ამ გზით უნდა შემოსულიყო სამეგრელოში რომაელთა ლაშქარიც. ხიდკარიდან მეორე შტო მთებს მიუყვებოდა და ჭყონდიდის გავლით კლისორისაკენ მიდიოდა. ეს ძველი გზაც ტოპონიმიაში **ჯვეში შარად** – ძველ გზადაა მინიშნული. იგი ხუნწსა და ქვაითს გაივლის. ქვაითში დგას უძველესი ცაცხვი, რომელიც ამ გზაზე, ეტყობა, სტელის როლსაც კი ასრულებდა. აქედან გზა ჭყონდიდში ჩადიოდა, ჭყონდიდიდან ჯოჟოს გაივლიდა და არქეოპოლისში ჩადიოდა. აქედან კი კლისორისაკენ მიემართებოდა. მესამე გზა შუა ქალაქიდან ქვეყნის რელიგიური ცენტრისკენ – ჭყონდიდისკენ მიემართებოდა. ეს გზაც მინიშნულია „**ჯვეში შარას**“, ანუ „**მარტვილიში შარას**“ სახელწოდებით. იგი გაივლის აბაშას, სამიქაოს, ონოღიას, ნაჯახაოს, ლეხაინდრაოს, ნაგვაზაოს და მარტვილში ჩადის. ყველგან ეს გზა აღინიშნება ძველი გზის სახელწოდებით. იგი უძველესი დროიდან მომდინარე მაგისტრალია, რომელსაც სუჯუნაში, ადრე შუაქალაქში უკიდურესი პუნქტი ჰქონდა.

ასეთ ნარონ-ნადგომები, ანუ ნოხორიები-ნოხორობენები მრავლად გვაქვს მონიშნული სოფლების რუკებზე, რაც ამ ადგილების უძველეს მოსახლეობაზე მიგვითითებს, რადგანაც თვით ტოპონიმები მეგრულ-ჭანურ ძირზეა აღმოცენებული, ამდენად, მოსახლეობაც კოლხური, ქართული იყო. მათ აქ ცხოვრება დაიწყეს უძველესი დროიდან. აქვე შექმნეს ეს ტოპონიმები. მართალია, შემდგომ მოსახლეობა მოიშალა, მაგრამ მათ შესახებ ცნობა მაინც შემორჩა ხალხს ტოპონიმთა სახით.

მაშასადამე, უძველესი კოლხეთის ცენტრალური ნაწილი დასახლებული იყო ჭანურ-მეგრული ტომებით. მათ აქ მდიდარი ქალაქები და სოფლები ჰქონდათ. თავიანთი წვლილი შეიტანეს საზოგადოების განვითარების საქმეში და გარდასულ დროთა ერთადერთ მეტყველ მოწმეებად, როგორც ვთქვით, ტოპონიმებიღა შემოგვინახეს. ახალი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეებში რიონის სამხრეთისპირეთი დაიცალა მოსახლეობისაგან, მაგრამ შემდგომ აქ ჩამოსახლებულმა სხვა ქართველურმა ტომებმა (გურულებმა) ეს სახელწოდებანი შეინარჩუნეს. ისინი დღემდე ამ სახით მოქმედებენ და ცოცხლობენ.

კოლხეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი იყო **მუხერისი**, ანუ **სამოქალაქო**, რომლის შემადგენლობაში შედიოდა მთე-

ლი აღმოსავლეთი სამეგრელო, კერძოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთ სამეგრელოს ქვემო ნაწილი. კოლხეთის ამ გულის მნიშვნელოვანი ქალაქი **არქეოპოლისი** იყო (დღევანდელი ნოქალაქევი), ხოლო ეკონომიკური ცენტრები, დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო და პოლიტიკური ცენტრები – **ქუთაისი** და **ფოთი**. აღმოსავლეთ სამეგრელოს რიონისპირეთის ნაწილს კვეთდა სამი სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გზა, რომლის ჯვარედინზე იდგა სავაჭრო ქალაქები: **კოტორი**, **შუაქალაქი**, **სუჯუნა**, **ისულა**. კოლხეთის გულის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რელიგიური ცენტრი ჭყონდიდი იყო, რომლისაკენ მიემართებოდა ჯვეში შარა. შუაქალაქისა და ისულას მიდამოები ანტიკურ ეპოქაში მჭიდროდ რომ იყო დასახლებული და საქალაქო ცხოვრებაც კარგად განვითარებული, ამას ადასტურებს ამ მიდამოებში ნაპოვნი მდიდარი არქეოლოგიური მასალა (მაგ., ასეთი მასალა შეგროვდა ონოღიაში). **ონოღია** ვრცელ ვაკეზეა გაშლილი, მდ. ნოღელას სანაპიროზე. მისი ტერიტორიის დიდ ნაწილზე გადის ნარონა ზოლი. ონოღია პირდაპირი გზით უკავშირდება ხონს. აქ უძველესი **ჯვეში შარა** გადიოდა. გადმოცემით, ეს გზა პუმპუას (პომპეუსის) ლაშქრობის მოწმეა. აქ ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა, სოფლის მდებარეობა და ტოპონიმი **ონოღია** გვარწმუნებს, რომ მას შესაძლოა რაიმე კავშირი ჰქონდეს ძველ ბერძნულ წყაროებში მოხსენებულ **ონოგურისთან**. „იმავე დასავლეთ საქართველოში სხვა საფორტიფიკაციო ხაზითაც იყო ცნობილი ციხე-სიმაგრეები. თუ უფრო სამხრეთით სასიმაგრო ხაზს წარმოადგენდა შორაპანი – ვარდციხე – ტოლები – ისულა – ფოთი, უფრო ჩრდილოეთით ამ პირველ ხაზს პარალელურად გასდევდა მეორე საფორტიფიკაციო ხაზი – სკანდა-ქუთაისი-ონოგურისი და არქიეპოლისი, ანუ ნოქალაქევი“, – წერს პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი.

### აბედათი

აბედათი უნაგირას ბორცვებზე შეფენილი მზისგული სოფელია. აქ ნიადაგი ალუვიური ხასიათისაა. თითქმის ყოველ ნაბიჯზე მოედინება წიაღიდან წყაროს წყლები. იგი ოდითგანვე ამ მხარის ბაღნარად ითვლებოდა და ითვლება დღესაც. აქ უხვად ისხამს ხეხილი, ხარობს ათასგვარი ვაზი. წყაროს წყლის პირები დაფარულია სურნელოვანი ყვავილებით. მთის კალთებსა და ბორცვის ფერდობებზე შესანიშნავი ჩაის პლანტაციებია გადაშლილი. ამ სოფლის თითქმის ყველა უბანში ათ-თორმეტ ადგილას ვხვდებით სახელწოდებას – **წაკორტები**. როგორც ჩანს, ძველად ამ ადგილებში მასობრივად ყოფილა წალკოტები მოწყობილი. წალ-

**აბედათის ციხესიმაგრე და კარის ეკლესია. IX, XV, XVI სს.**

კოტთა მოწყობა, უდავოდ, ჩვენი მხარის მშრომელთა სამეურნეო ტრადიცია ყოფილა.

სოფელი ისტორიული ძეგლებითაც მდიდარია. აქ მრავალ ადგილას ვხვდებით ხელოვნურ ბორცვებს – „**დიხაგუძუბებს**“, „**ნაოხვამუებს**“, „**ნაციხარებს**“ და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა ტარჩენის ნაპირას, მარსილის ველზე, ბანძასა და აბედათს შორის, აბედათის სასოფლო საბჭოს ცენტრის მახლობლად, ადგილი „**ტარჩუ**“. ხალხის გადმოცემით, აქ დადიანთა დიდებული ციხე და სასახლე ყოფილა წინათ. მარსილის სასახლე ცნობილია ერთი განსაკუთრებული წყაროდანაც. ტარჩუ სწორედ ამ სასახლისა და ციხის ადგილი უნდა იყოს. იგი ოდესღაც სალიპარტიანოს ცენტრი და მისი მთავარი სარეზიდენციო კერა ყოფილა.

ხალხი ყოველ ციხეს და სტრატეგიულ სიმაგრეს, თავდაცვით ბურჯს **ნათურქუს** უწოდებს (ასე შეარქვეს ყველა იმ სტრატეგიულ სიმაგრეს, რომლებიც დიდი შიშიანობის დროს, უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით, სახიზრად, საყარაულოდ, სამხედრო სიმაგრედ აუგიათ). აქ, „ნათურქუში“ თვით ძეგლი კი არ იგულისხმება თურქის მიერ აგებულად, არამედ თურქობის, დიდი შიშიანობის, მტრის შემოსევისა და ბრძოლის დროს, სამხედრო სტრატეგიური მიზნით ადგილობრივი, ქართველი ხალხის მიერ განხორციელებულ ღონისძიებაზეა ლაპარაკი. რადგანაც ყველაზე ახლობელი, ყველაზე მოუსვენარი და ყველაზე ხშირი მარბიელი მტერი სწორედ თურქობა, თათრობა იყო. ამიტომ ყოველი

მოძალადე ხალხის საერთო, ზოგად სახელად იქცა „თურქობა“: „თურქი ხო ვარექ!?“ – თათარი ხომ არა ხარ, ე. ი. დაუნდობელი, სისხლისმსმელი კაცი ხომ არა ხარო.

ასეთი მძლავრი სიმაგრეა აბედათის ციხე-დარბაზიც. აქ დაცულია მეტად საინტერესო ძეგლი **ნადოხორუს** მახლობლად, ზედ ბჟერის მთის შეფერდებაზე: ძეგლი დაშენებულია ძველი ნაგებობის ნანგრევზე. ნანგრევი გორაკის თხემს ერტყმის ირგვლივ. სამხრეთით შემორჩენილია სამსართულიანი კოშკი. კოშკის პირველი სართული გამოყენებული ყოფილა დილეგად. მას არსაიდან აქვს არც კარი და არც დიდი სარკმელი, ოღონდ ორგან ვიწრო სამზერები შეინიშნება. ხოლო ორი ზედა სართული საცხოვრებელი ტიპის ნაგებობაა, თახჩებითა და კარგად გაფორმებული ვიწრო, ლამაზი სარკმლებით. კოშკი და მის ორივე მხარეზე მკვიდრად ნაგები გალავანი მიუდგომელი და გაუტეხელი სიმაგრის შთაბეჭდილებას ტოვებს.

საინტერესოა ამ უძველეს ძეგლზე უფრო გვიან, XV-XVI საუკუნეებში დაშენებული ციხე-დარბაზი, ღვთისმშობლის სახელობის კარის ეკლესიით, რომელიც მოთავსებულია გალავნის შიგნით, აღმოსავლეთ მხარეზე, კოშკის პირისპირ. გალავნის სიმაღლე 6 მ-ია, კედლის სისქე – ერთნახევარი მეტრი. მასში მხოლოდ ერთი მხრით შეიძლება შესვლა. გალავნის ჩრდილო-დასავლეთით გაშენებულია სამსართულიანი კოშკი. იგი შედარებით ხელუხლებლადაა დაცული. სხვა დანარჩენი ნაგებობანი, რომელთა ნანგრევები უხვად არის 600 კვ. მ ფართობის მოედანზე, არაა ისე შემორჩენილი, რომ მათი ზუსტი გეგმის მოხაზვა შეიძლებოდეს. ნაგებობა დადიანთა დიდი ციხე-სიმაგრე ყოფილა. აქ, გადმოცემით, ბატონიშვილებს კარგი საცხოვრებელი დარბაზებიც ჰქონიათ. ხოლო ციხის დასავლეთით, ქვემოთ, აბანოს ნანგრევებიც კია შემორჩენილი.

## ნახუნუ

სოფელი ნახუნუ, გადმოცემით, **ხუხუნების** საცხოვრებელი ადგილი ყოფილა. ამიტომ სოფელს ნახუხუნუს ნადგომს უწოდებენ, – ასე განმარტავს ხალხი. ხუხუნები დღეს ამ სოფელში არ ცხოვრობენ. ისინი ბატონყმობის სუსხიან პირობებს აქედან გაქცევიან და სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში დასახლებულან. სოფელი უნაგირას მთის ბორცვებიანი ფერდობია, მცირე ღელეების მიერ ღრმად ჩახრამული; განსაკუთრებით ფართო და ღრმა ხეობა აქვს შექმნილი მთის ნაკადულს – **ისკიას**. **ისკიას**, **წკანტიღალის**, **წკირღალის** მიდამოებში არის მარგანეცის ხშირი გამოსავლები, რკინის მინარევიანი წყაროსთვლები. ღელეებში მრა-

ვლად ყრია მარგანეცის კონკრეციები, მერგელის პორფირიტების წვრილი ნამცეცები.

ნახუნაოს მთის თხემზე დგას **ნათურქუ ჯიხა**. აქ 500 კვ. მ ფართობის სივრცეს გარს უვლის 4 მ-ის სიმაღლის, 80 სმ-ის სისქის კედელი, აგებული ადგილობრივი რიყის ქვითა და კირით. მას ერთ მხარეზე, ჩრდილოდასავლეთით, აქვს ასევე სწორკუთხოვანი კოშკი, რომლის მხოლოდ 1 სართულია დღეს შემორჩენილი. მის ქვემოთ, სოფლის დასაწყისში, არის ადგილი „**გინაჩამალი**“ (გადასაცემი). აქ, ხალხის გადმოცემით, წმინდა ხე მდგარა და ყოველი ჩაგრული, დაზარალებული თავის მოძალადეს, მჩაგვრელს, დამზარალებელს გადასცემდა, განსაკუთრებული რიტუალის დაცვით.

**ნაცაცხვერის** გორაკზე, მძიმე პლანტაჟისას, გაიხსნა ზედა პალეოლითის ადამიანის ნასახლარი, ხოლო მის აღმოსავლეთ ფერდობზე ნეოლითის საცხოვრისი მოშიშვლდა. აქ 3000-მდე ნივთი აიკრიფა. აქვე აღმოჩნდა უძველესი მეტალურგიული წარმოების კერა: ქოთან-ქურებით, სხმულებით, ჭურჭლებით და ა. შ. მსგავსი კერა ამ სოფელში ათ ადგილას გაიხსნა. მათ შორის საინტერესო კერაა კაჯი ცანავას ეზოში და **ჭკადურობუში**.

## ჭყონდიდი (მარტვილი)

სოფელი მარტვილი, ანუ დღევანდელი გეგეჭკორის რაიონის ცენტრი – დაბა გეგეჭკორი – უძველესი გზის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური, სტრატეგიული და რელიგიური ცენტრი იყო. XVIII საუკუნის დასასრულსაც ამ ადგილს ჭყონდიდს უწოდებდნენ.

ძველ საქართველოში საყოველთაოდ აღიარებული იყო ადგილი „ჭყონდიდი“. ეს სახელწოდება წარმომდგარია დიდი მუხისაგან (**ჭყონი** მუხას ნიშნავს მეგრულად). აქ უძველესი დროიდან მდგარა დიდი მუხა, რომელსაც, გადმოცემის თანახმად, წარმართები ღვთაებად თვლიდნენ და თავდაპირველად მსხვერპლად სწირავდნენ დედისერთა ჩვილ ბავშვს.

კერპთათვის მსხვერპლად ადამიანის შეწირვა მაშინ, იმ უძველეს დროს, გავრცელებული ყოფილა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში. „კერპთმსახურება იყო გავრცელებული, როგორც საქართველოს თემებში, აგრეთვე იმის მოსაზღვრე ქვეყნებში[1]... თუ რა ძალით მოქმედებდა საქართველოში კერპთმსახურება, ამას „ქართლის ცხოვრებავე“ მოიხსენიებს, როცა იტყვის: „ქართველებს ეპყრათ სჯული უბოროტესი

[1] დ. ბაქრაძე, საქართველო ანდრია მოციქულის დროს, 1884, გვ. 13-15.

ყოველთა ნათესავთა: აზომან ნება მისცა ქართველებს თავიანთის შვილების მსხვერპლად შეწირვისა კერპთათვის“[1]. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყველა კულტურულ ერს თავისი განვითარების გარიჟრაჟზე კერპთათვის მსხვერპლად ადამიანები შეუწირავთ: „სამეგრელოში ხე-მცენარეთა თავყვანისცემის არსებობის საუკეთესო დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს ძველ საქართველოში განთქმული ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად დიდ მუხასა ნიშნავს და თავდაპირველად, უეჭველია, მუხის მსახურების სალოცავ ადგილად უნდა ყოფილიყო“[2]. ხალხის რწმენით, მუხაში ჩაბუდებულ ღვთის სულსა და ძალას სცემდნენ თაყვანს და განსაკუთრებულ სარიტუალო დღესასწაულს – „დოდგიმირის“ დღესასწაულსაც კი მართავდნენ მუხასთან. მუხაში განსახიერებული ეს ღვთაება **კაპუნია** ყოფილა. პროფ. ს. მაკალათია წერს: „კაპუ ან კაპუნია ყოფილა ღვთაება და ადამიანს ვალად სდებია მისთვის შეეწირა ადამიანის სული – „**კოჩიშა გინოძე კოჩიში შურია**“. ამიტომ ვისაც შვილი ეყოლებოდა, ერთი შვილი მისთვის უნდა მიეცაო. შემდეგ ხალხს მისგან თავი დაუხსნია და კაცის სულის სანაცვლოდ მსხვერპლად ღორი გაუჩენიათო.“[3] ძველ აღმოსავლეთში თაყვანს სცემდნენ კჯბელეს – დიდ დედას, სიცოცხლისა და ნაყოფიერების დედას, რომელიც შემდეგ რეას თაყვანისცემაში გაერთიანდა. **რეა-კჯბელეს** კულტი კოლხეთშიც ყოფილა გაბატონებული. ამ ღვთაებათა საკულტო ხედ მუხა ითვლებოდა (აპოლოდორეს ცნობა). აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი კჯბელეს კულტს ქართულ წარმართულ ღვთაება კოპალას კულტს უკავშირებს. სამეგრელოში კოპალას სარიტუალო ადეკვატი უნდა იყოს **კაპუ-კაპუნია**. ხალხის გადმოცემით, ანდრია მოციქულის მიერ მუხის მოჭრის შემდეგ კაპუნობის წმინდა სარიტუალო წესთა შესრულება ხალხს ოჯახებში გადაუტანია. ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ ახალ რელიგიას თავისი სამოსელით შეუმოსავს ეს რელიგიური ტრადიცია და შეუნარჩუნებია იგი.

ჭყონდიდის მიდამოები მდიდარია მეტად საინტერესო ისტორიული ძეგლებითა და ადგილებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველყოფილ ადამიანთა საცხოვრისთა ხაზი „**ალანიაშ გა**“ – **მარტვილის ფერდობი, საელიავოს „დიხაკურზულა“, ნახუნაოს „ნაცაცხვერა“**. ეს ხაზი ბორცვიანი ზეგნის ერთიან ზოლს შეადგენს აბაშის სანაპიროზე; აქ საინტერესოა „ალანიაშ გა“. იგი მარტვილის მონასტრის მიღმა, აღმოსავლეთით, ღელესთან არსებულ ბორცვთა შორის ყველაზე მაღალ გუძუბად აღმართული ბორცვია. მისი თხემისა და გორაკის შეფენაზე, ახალ ნახნა-

[1] იქვე, გვ. 6.
[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 94.
[3] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 308.

ვში, დიდი რაოდენობით აიკრიფება ენეოლითის მასალები. აქ აღმოჩნდა კაჟის ისრის წვერები, მინიატურულიდან დაწყებული საშუალო ზომის ერთეულამდე, სულ 15 ცალი; ნამგლის პირები, სხვადასხვა ზომის ხელ-ცულები. მათ შორის რამდენიმე ცალი მინიატურული ცულია. რიყის ქვის ლამელა ჩაკვეთილია საჭრელი პირის ამოსაყვანად, გვერდები ჩასწორებულ-გაჩეხილია, სამტვრევი ბოლო ოვალური აქვს. აქვე ნაპოვნია რიყის ქვის ცხვრისა და ძაღლის ქანდაკებანი. ნაპოვნია აგრეთვე უცხო ცხოველის ქანდაკება. ეტყობა, ეს ერთეულები სარიტუალო-საკერპო ნივთები იყო. საინტერესოა აქ აკრეფილი სასამკაულო ნივთები: ქვის ფირფიტები და რგოლი, რომელთაც დატანებული აქვს მკედის გასაყრელი ხვრეტილი, ზოგს შუაში და ზოგს გონიოზე. ალანიაშ გას მასივზე მრავალგანაა გაშიშვლებული კულტურული ფენა, რომელშიც ჭარბად შეინიშნება ნახშირისა და ნაცრის შრე. აქვე აიკრიფება ნაირფერად მოხატული ნაცრისფერი და შავი კერამიკულ ჭურჭელთა ფრაგმენტები. საინტერესოა ვაზის გონიო, რომელზეც ამოხაზულია პურის თავთავთა შტრიხები.

ასეთივე ფენა გაშიშვლდა მარტვილის მონასტრის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზედ გალავანთან. აქ აღმოჩნდა ნაცრისფერი კაჟისაგან დამზადებული სამტვრევი. იგი მეტად გულდასმითაა ნამუშევარი. ამ ნივთის პოვნამ გამოიწვია ამ ადგილების არქეოლოგიური დაზვერვა, რამაც 200 შესანიშნავი ისრის წვერი, ნამგლის პირი, წვეტიანები, ცულები, საფხეკები, ობსიდიანის მრავალი სახის ლამელა, ათასგვარი ჭურჭლის ფრაგმენტი მოგვცა, მათ შორის, ოვალურად ამოხაზული ორნამენტიანი ვაზის გონიოები, სარიტუალო ვაზის ორრქიანი ყურები. აქვე ექსპედიციამ იპოვა უძველესი მეტალურგიული წარმოების მასალები: ტიგელის ნამსხვრევები, კრიცის ნამსხვრევი, წიდები, მილაკები და სხვ. ეტყობა ენეოლითის ხანის კაცს ეპოქის დასასრულს ამ ფერდობზე დაუწყია მეტალურგიული საქმიანობა, გამოუდნია სპილენძი და რკინა. ამრიგად, ეს ადგილი ენეოლითის ეპოქაში დასახლებული ყოფილა; აქვე დაუდვია სათავე პირველყოფილ მეტალურგიასაც: აქვე უცხოვრია ადამიანს ადრეულ რკინის ეპოქაშიც; ამ ნავისებურად მაღლა აღმართულ ბორცვზე მას თავისი ბომონი – წმინდა ჭყონი ჰქონია, რომლის კულტი დიდხანს ბატონობდა მხარეში. ამდენად, ისტორიულ პროცესთა ჯაჭვში, დაწყებული პირველყოფილი საზოგადოების ეპოქაში, აღმავალი ხაზით უწყვეტად მოსულა ქრისტიანობამდე. ეს თავის მხრივ მტკიცედ ადასტურებს, რომ კოლხი ადგილობრივი მკვიდრია: მის შემოსახლებას და გადასახლებას ადგილი არ ჰქონია. იგი იყო და ქრისტიანობის შემდეგაც ამ ადგილების სრული ბატონ-პატრონი დარჩა.

ნეოლითის ხანის ადამიანის კვალი ფართოდ შეინიშნება **საელიავოს „დიხაკურზულაზე“**. იგი გეგეჭკორის რაიონული ცენტრის ჩრდილო-დასავლეთით, ნაოღალევის გაშლილი ველის შუაგულში მდებარეობს. აქ, მდინარე აბაშის მარცხენა სანაპიროზე, ტაბაკელას მთიდან ჩამოსდევს უბორცვო ველი, რომელსაც ხალხი „**ნაოღალევს**“ (ნამხრევს) ეძახის. ამ ველის ცენტრში აღმართულია 10 მ-ის სიმაღლის გუძუბა ბორცვი, რომელზეც შეინიშნება ბრტყელი ქვის მიფენა. იგი ხელოვნური ზვინული ბორცვია. მის მთელს შეფენაზე და ირგვლივ, ახალ ნახნავზე, მასიურად შიშვლდება ნეოლითის ხანის ადამიანის მეტად საინტერესო იარაღები: ცულები, ისრის წვერები, ნამგლის პირები, საფხეკები, ობსიდიანის საფხეკები და ლამელები. თვით ბორცვი ყორღანული ტიპის გორაკია. მის შეფენაზე არის ნახშირისა და ნაცრის ფენაც. აქვე შეინიშნება კერამიკულ ჭურჭელთა შესანიშნავი ფრაგმენტები. მათ შორის აღსანიშნავია ვაზის ორრქიანი ყურები, პურის თავთავებით დაშტრიხული ჯამები, ვაზის ორნამენტით მორთული კედლები. განსაკუთრებით შესანიშნავია ერთი ვაზის კედელი, რომელზეც ამოხაზულია ოვალური ფორმის გრეხილები, რომლებიც, ალბათ, წრეს კრავდნენ ჭურჭლის ირგვლივ. აქვე შეინიშნება მეტალურგიული წარმოების მოწმეები, ტიგელის ნამტვრევები, მილაკები და წიდები. მასალათა ერთფეროვნებით, მათი დამუშავების თავისებურებით იგი მარტვილის ფერდობისა და ალანიაშ გას ადეკვატურია. ეტყობა, ესენი ერთი ეპოქის, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კულტურული კერებია.

მხარის მშრომელი მოსახლეობა გამოირჩეოდა თავისი მდიდარი სამეურნეო საქმიანობითაც. მათი უხსოვარი დროიდან მომდინარე სამეურნეო ტრადიცია იყო სელის მოყვანა და მისგან სელის მაღალხარისხოვანი „სარდონული“ ტილოს დამზადება. სოფელი **ნაესუ**, ანუ დღევანდელი **ნალეფსაო**, სელის მოყვანისა და მისგან ტილოს წარმოების შესანიშნავ უბნადაა მიჩნეული. აქ დღესაც თესავენ სელს და მისგან ამზადებენ დარაიასთან მინაქსოვ სელის სუფთა ტილოს, შალთან მინაქსოვ ჯვალოს, გრეხენ ბაწარს, ქსოვენ ბადეს და სხვ. თვით სოფლის სახელწოდება ნაესუ სუ-სგანაა წარმომდგარი, ე. ი. **ნასუ**, **ოსულე** – **ნასელარი** და სასელე ადგილი, სადაც სელს თესავენ, სელი მოჰყავთ; ასევეა **ნაკიფუ**, რაც ნაკანაფარს, კანაფის მოსაყვან ადგილს ნიშნავს. აქ არა მხოლოდ სოფლის სახელი გვაქვს შემორჩენილი, არამედ პიროვნებათა გვარებიც, რომლებიც სელისაგანაა წარმომდგარი. ეტყობა, ამ გვარისანი უხსოვარი დროიდან სელის მწარმოებლები იყვნენ. **სუჲთა** და **სუჲბრეია** ან **სუჲბერია** – ორივე გვარის ძირი **სუ**-ა, სელია. არქეოლოგიური მასალებით, მატერიალური კულტურის დღემდე შემორჩენილი ძეგლებით მტკიცდე-

ბა, რომ აბაშისპირეთი ანტიკურ ხანაში მოფენილი ყოფილა შესანიშნავი ქალაქებით, სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაგრეებით.

მტკიცე ციხე-ქალაქისა და ლამაზი არქიტექტურული ძეგლის შთაბეჭდილებას ტოვებს **ქაჯების ნამარანუ**, ნოდაბაზენის ზემოთ, აბაშასა და ინჩხიას შორის სამკუთხედად შეჭრილ ნაოღალევის ველის წვერზე, რომელიც ჩაკვეთილია უნაგირივით, ორ ნაწილად. ერთ ნაწილზე მარანი და სამარხია, მეორე, უფრო ვრცელ მოედანზე, ქალაქის ნანგრევები და გალავნის საფუძველია შემორჩენილი. სამხრეთ ნაწილს კიდურიდან ჭალისაკენ ჩასდევს პროპილეის ნაშთი. **ნოდარბაზენი** სიტყვასიტყვით ნადარბაზევს ნიშნავს. მოხუცების გადმოცემით, აქ დარბაზები იდგა და დიდი ქალაქი იყო. ტერმინ დარბაზის არსებობაც უაღრესად საყურადღებო ფაქტია. დარბაზის არქიტექტურული სახეც სავსებით გასაგებია ადგილობრივი მოხუცებისათვის. ისინი აგვიწერენ მას, დეტალურად აღნიშნავენ მისი აგების თავისებურებებსაც.

ქაჯის ნამარნევში ვიპოვეთ მეტად საინტერესო მასალები: კრამიტის სამარხის ნაწილი, ინვენტარით – ხანჯლის ტარით, სამაჯურის ნამსხვრევით, თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებით. კრამიტის სამარხის აგურზე აღნიშნული იყო ასო W. აქვე ნაპოვნ იქნა ქვევრისა და ამფორის ნამტვრევები, თიხის ჯამები, სარიტუალო ვაზის ორრქიანი ყურის ფრაგმენტები და სხვ. ციხე-ქალაქი ელინისტური ეპოქის შესანიშნავი მოწმეა. თანაც იგი საიმედო სტრატეგიული პუნქტია არგუეთ-კლისორის გზაზე. შეიძლება იგი ჭყონდიდის „დიდ კაცთა“ სარეზიდენციო სიმაგრეც იყო.

ამ სოფლის ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია მარტვილის ტაძარი. იგი აგებულია VII საუკუნეში. ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლი აღმართულია გეგეჭკორის (ყოფილი მარტვილის) რაიონის ცენტრში. იგი მაღალ გორაკზე დგას, საიდანაც საუცხოო სანახაობად არის გაშლილი მთელი დასავლეთ საქართველოს ხედი.

უხსოვარი დროიდან წარმართთა ქურუმთუპირველესობას და შემდეგ ქრისტიანული ეკლესიის სასულიერო ხელისუფალთ თავიანთ რეზიდენციად ეს ადგილი აურჩევიათ. წარმართობაც დიდხანს ბატონობდა ამ ადგილებში. ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ ახალი რელიგიის მესვეურებმა მუხა მოჭრეს, ქურუმები სძლიეს, დაანგრიეს სამსხვერპლო და ტაძარი. პირწმინდად აღგავეს პირისაგან მიწისა ყველაფერი წარმართული, მათ შორის ყველა ძეგლი, ყველა წარწერა და მის ნაცვლად ახალი, ქრისტიანული ძეგლები და წარწერები გააკეთეს. წარმართული ტაძრის ნაცვლად მოწამეთა სახელობის ქრისტიანული მონასტერი ააგეს („მარტვილი ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდენ“ – საბა), მაგრამ სანამ ქრის-

**მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (VII, X სს.) და სვეტი (XI ს.)**

ტიანები აქ მონუმენტურ ძეგლს აღმართავდნენ, ალბათ, ამ უბრალო ხის ნაგებობით სარგებლობდნენ.

მარტვილის ტაძარი ჯვრის ტიპის ნაგებობაა. იგი აშენებულია VII საუკუნეში. აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორიაში“ წერს: „ატენის სიონის, ძველი შუამთის, აგრეთვე მარტვილის აშენება, უშუალოდ დამოკიდებული მცხეთის ჯვარზე, ეკუთვნის VII საუკუნის დამდეგს“. იგი, გადმოცემის თანახმად, აგებულია იმ ადგილას, სადაც წინათ წარმართთა კერპი და კერპთაყვანისმცემელთა ტაძარი იდგა, რომელიც, დიუბუა დე მონპერეს ვარაუდით, არანაკლებ ღირსშესანიშნავი უნდა ყოფილიყო. ეს წარმართული ტაძარი ქრისტიანებს დაუნგრევიათ და მისი ნაშთები ახალი ნაგებობის კედლებში ჩაურთავთ. ქრისტიანობამდელი ქართული კულტურის ძეგლის ეს მცირე ნაშთებიც კი საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი კაზმული ხელოვნებითა და ოსტატური შესრულებით, რაც იმას ადასტურებს, რომ მარტვილის მონუმენტურ ნაგებობათა ჯგუფი ეროვნულ ტრადიციებზე არის დაფუძნებული.

მარტვილის ნაგებობათა მთელ ანსამბლს შემოვლებული აქვს მაღალი, მძლავრ ბურჯებზე დაყრდნობილი გალავანი. გალავანს ჩრდილოე-

თის მხრიდან შესასვლელი ჰქონია სვეტის ტიპის სამსართულიანი ნაგებობის მეორე სართულის თაღქვეშ, რომელიც შემდგომ ლამაზთაღიან პროპილეიანად ამოუქოლავთ და შენობა ჩვეულებრივი ტიპის მცირე საყდრად გადაუქცევიათ. იგი უძველეს და ულამაზეს ნაგებობას წარმოადგენს.

მარტვილის სიძველეთა კომპლექსში შედის აგრეთვე მაღალი სვეტი, რომელიც ზედ სამხრეთის გალავანზეა აღმართული, ტაძრის წინ, დასავლეთით. ამ სვეტის თავზე მოთავსებული იყო მესვეტე ბერის სენაკი. ამჟამად სვეტს მონგრეული აქვს სამხრეთის კედელი.

ამ კომპლექსში მთავარი ნაგებობა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარია. იგი თავისი მხატვრული გაფორმებით გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს „მცხეთის ჯვრის“ მიერ დაკანონებულ კედლის მხატვრულ გაფორმებასა და ახალ სტილს შორის, რომელიც V-VII საუკუნეთა მიჯნაზე ყალიბდებოდა.

ტაძარი შემდეგ არაერთხელ გადაუკეთებიათ. ყველაზე მნიშვნელოვანი გადაკეთება მოხდა X საუკუნეში, დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) მეფე გიორგი II-ის განკარგულებით. ამ დროს ტაძრის რეკონსტრუქცია ისეთი მასშტაბით ჩატარებულა, რომ „ქართლის ცხოვრება“ მას ხელმეორედ აშენებას უწოდებს. ცხადია, გადამთიელ მოძალადეთა მხრივ გამუდმებულ თარეშს ვერც ჭყონდიდი გადაურჩებოდა. მით უმეტეს, მურვან ყრუმ მთელი აბაშისა და ცხენისწყლისპირეთი მოარბია, ციხეგოჯი დაანგრია. აქ „**არგუეთ-კლისორის**“ გზით მოვიდა და გზაზე ჭყონდიდიც გააპარტახა. დასავლეთ საქართველოს მეფის აღმშენებლობით საქმიანობაში ამ დიდი მნიშვნელობის რელიგიურმა და კულტურულმა ცენტრმაც ჰპოვა გამოხატულება: აღდგა სერიოზულად დაზიანებული შენობა. მიუშენდა დასავლეთით კარიბჭე და სხვ. ამას ადასტურებს მარი ბროსეს მიერ ტაძრის კედელზე ამოკითხული წარწერა. გადაკეთება მომხდარა შემდგომაც, რის გამოც ბევრი პირვანდელი დეტალი მოშლილი და შეცვლილია. შედარებით დაბალი გუმბათი შეუცვლიათ ახალი, უფრო მაღალი, თექვსმეტფანჯრიანი გუმბათით, გადაუკეთებიათ სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადები. ამ კედლების ძველი არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმება შეუცვლიათ ახალი, მასიური, სადა კედლებით, დასავლეთით მიუშენებიათ მაღალი კარიბჭე და ა. შ.

ძალიან საინტერესო და ეპოქისათვის დამახასიათებელია აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლების ლავგარდინები, რომლებიც რელიეფურად გამოკვეთილია შვერილის შუბლზე, სადაც, მცხეთის ჯვრისაგან განსხვავებით, ქანდაკებანი, ცალკეული სცენები მთლიანად დეკორაციულ ჭრილშია ჩართული და თითქოს ერთიან თხრობას წარმოადგენს.

ასევე მოხდენილად არის გაფორმებული ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე კარებისა და ფანჯრების არშიები.

გუმბათის მაღალი ყელი ამ კოხტა ნაგებობას იერსა და მშვენებას ჰმატებს. ამასთან, იგი კიდევ უფრო ვრცელსა და ხალვათს ხდის ამ მხრივ ისედაც უნაკლო შიდა სივრცეს. მონასტრის შიდა კედლები შემკობილი ყოფილა მაღალმხატვრული ფრესკებით. ამჟამად ამ მხატვრობის მხოლოდ ნაწილია დარჩენილი. მათ შორის აღსანიშნავია გუმბათის ყელის მხატვრული მორთულობა. ისტორიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ჩრდილოეთის კარის თავზე XVII საუკუნეში შესრულებული ფრესკა. მასზე გამოხატულია კაცია ჩიქოვანი, თავისი ოჯახით. ფრესკას აქვს შემდეგი წარწერა: „შენთა: მინდობილმან: ლეჩხუმის: საინასარიძოს: და სალიპარტიანოს:. პატრონმან:. დიდის:. ხელმწიფის:. და:. დადიანისა: ვაზირმან: იმერეთისა: ოდიშისა: თაუმან: და სარდალმან: ჩიქვამან: კაციამ: და: თანა: მეცხედრემან: ჩვენმა: დიდისა: ერისთავთ: ერისთავის:. ქალმან:. თამარ: და: ძემან: ჩვენმან: გიორგიმ: იოსებ: ოტიამ: დავახატვინეთ“.

სხვა ფრესკებიდან აღსანიშნავია კანკელის თაღზე ღვთისმშობლის შესანიშნავი ფრესკა. დასავლეთის კარის თავზე ყოფილა ღვთისმშობლის მოზაიკური გამოსახულებაც, რომლისაგან ახლა მხოლოდ მცირე წარწერაა შემორჩენილი. ჩიქოვანების საყდრის გუმბათის ყელზე შემორჩენილი იყო მახარობლების – მათესა და ლუკას გამოსახულებები, რომლებიც XIV საუკუნის მხატვრული ხელოვნების შედევრებია.

ტაძარში დაცულია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის – დავით დადიანისა და მისი ოჯახის წევრთა საფლავები.

მარტვილის სიძველეები არაერთხელ აუოხრებიათ გადამთიელ მოძალადეებს: არაბებს, მონღოლებს, თათრებს. „დიდი თურქობის“ დროს, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, ჭყონდიდიც აიკლეს თურქებმა. „დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღუის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთაისისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსვლადმდე თოვლისა, მოჭამეს ქვეყანა და მოსწყვიდეს, თუ საღღა ვინ დარჩომილიყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი. ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადმე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოის-

**მარტვილის საკათედრო ტაძრის მხატვრობა. ჯვარცმის დეტალი. გვიანი შუა საუკუნეები.**

**მარტვილის საკათედრო ტაძრის მხატვრობა. კაცია ჩიქვანი ოჯახით. გვიანი შუა საუკუნეები.**

**სანაწილე ხატი მარტვილიდან, ვედრების გამოსახულებით. VIII-IX სს.**

რა“[1]. მაგრამ სოფელი ჭყონდიდი და თვით მონასტერი თავისი კარგი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობითა და ბუნებრივი პირობების გამო უპირატესობას მაინც არ კარგავდა. ბაგრატ IV-მ მონასტერი სამოღვაწეო ადგილად დაუწესა გიორგი მთაწმიდელს, რომლის ჭყონდიდის ეპისკოპოსად განწესება ყურადღებას იმით იმსახურებდა, რომ ქრისტიანულ აღმოსავლეთში სახელგანთქმულ მოღვაწეს მეფე საუკეთესო სასულიერო კარიერას შესთავაზებდა, ხოლო ასეთი უმაღლესი სასულიერო კარიერა მაშინ ჭყონდიდის ეპისკოპოსობა ყოფილა. გარდა ამისა, მეფე ბაგრატ IV-მ თავის საძვალედ მარტვილის მონასტერი აირჩია.

დავით აღმაშენებელმა ამ ეპარქიის მღვდელმთავარი გიორგი ჭყონდიდელი მთელი საქართველოს ვიზირთუპირველესად, თავის პირველ ვაზირად და მთავრობის მეთაურად დანიშნა. „ქართლის ცხოვრება“ გიორგის ასე ახასიათებს: „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმჭრიახი, სვიანი და ფრთხილი, თანააღზრდილი და აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფველი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“.

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955, გვ. 319.

**წმ. გიორგის ჭედური ხატი მარტვილიდან. XIV-XVIII სს.**

მაშასადამე, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდშიც ჭყონდიდი კვლავ რჩება მთელ საქართველოში ერთ-ერთ თვალსაჩინო კულტურულ და რელიგიურ ცენტრად. იგი მტკიცედ არის ჩართული საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში.

მარტვილის მონასტერი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს) კულტურული ცენტრი იყო. აქ არსებობდა სკრიპტორიუმი – წიგნების გადამწერ ბერთა სამყოფი. ბერები, გარდა წიგნების გადაწერისა, ღვთისმსახურებისა და საღვთო ქადაგებისა, წიგნებისა და მწიგნობრობის გავრცელების საქმიანობასაც ეწეოდნენ.

მარტვილის მონასტერში, ექვთიმე თაყაიშვილის აღწერით, დაცული ყოფილა მრავალი შესანიშნავი ხელნაწერი, რომელთა დიდი ნაწილი ახლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „ცხოვრება მაქსიმე აღმსარებლისა“, ეტრატზე დაწერილი ნუსხახუცურით, XI საუკუნის მეორე ნახევარში „წ-ისა ისაკის თხრობანი“, ეტრატზე XII-XIII სს. შესრულებული, „დავითნის“ თარგმანი ქაღალდზე, ნუსხახუცურით, XI საუკუნის ხელით და ა. შ., სულ 74 ხელნაწერი. აქვე დაცული ყოფილა მრავალი შესანიშნავი განძი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: სამიტროპოლიტო ოქროს ჯვარი, VIII-IX საუკუნეებისა, უცხო ოსტატის ნახელავი; მეორე სამიტროპოლიტო ჯვარიც მინანქრიანია, ძვირფასი ქვებით გაწყობილი, X საუკუნისა, ხელობა ბიზანტიურია; ღვთისმშობლის ხატი, ძვირფასად შემკული, ზედ შესანიშნავი წარწერებით, XIII საუკუნის ნაოსტატარი. აქვეა ღვთისმშობლის სხვა ხატი, ქართველი ოსტატის ხელით შესრულებული, ვერცხლისა, ზედ მრავალი საყურადღებო წარწერით, – XVII საუკუნის ხელობა; ღვთისმშობლის ოქროს ხატი ჩვილით, ძვირფასი თვლებით შემკული, გაკეთებულია XI-XII საუკუნეებში; X საუკუნეში დამზადებული ღვთისმშობლის ოქროს ხატი ჩვილით, პატარა ხატი ვერცხლის უჯრაში, ძვირფასი თვლებით შემკული, – VIII საუკუნის ხელობა; ვერცხლის ჯვარი საჭყონდიდლო, მოოქრული, XI საუკუნის შესანიშნავი ნამუშევარი (მას გიორგი ჭყონდიდელის სალაშქრო ჯვარს უწოდებენ) და სხვა მრავალი.

**ნახარებაოს ტაძარი. XVIII ს.**

ახლა ამ განძთა უმრავლესი ნაწილი დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. წმინდა გიორგის ვერცხლის ხატი (XIV საუკუნის ხელობა), რომელიც მოჭედილია XVIII საუკუნეში, დაცულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ხატზე წმინდა გიორგი შუბით გმირავს გველეშაპს. იგი ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია. ხატის შუბლზე არის ნუსხახუცური წარწერა. ამ წარწერის ქვემოთ, ხატის ჭედური ფონის არშიაში, ჩაქსოვილია მეორე ნუსხახუცური წარწერა. პირველი ასო შეიძლება თავკიდურწაკვეთილი გ იყოს.

მთავარ ტაძარში დაცულია სამარხები, რომლებზეც არის ეპიტაფიები. აქ დამარხულია სამეგრელოს მთავარი ლევან V დადიანი, მისი მეუღლე მართა; მარმარილოს განსაკუთრებული ბალდახინის ქვემოთ დამარხულია დავით დადიანი. ბალდახინის დასავლეთი მხარე მარმარილოს ფიქლითაა აკრული. ფიქალზე ნუსხახუცურით წერია: „მფლობელი სამეგრელოისა მთავარი დავით ლევანის-ძე დადიანი იშვ კვ-ს იანვარს ჩყიგსა წელსა, აღსრულდა ლ-ს აგვისტო. ჩყნგ-ს წელსა. აჰა ესე რა ღმერთი შემწე ჩემდა და უფალი შესავედრებელ სულისა ჩემისა. ფსალ ნ. გ. მოიხსენე უფალო სული შესვენებულისა მონისა ამის შენისა“. იგივე წარ-

წერა აქვე რუსულადაცაა. მის წინ, ერთმანეთის გვერდით, დამარხულნი არიან ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, ნიკოლოზ დავითის ძე დადიანი, ანდრია დავითის ძე დადიანი და სხვანი[1].

ჭყონდიდს, ანუ მარტვილს შემდგომშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი XIX საუკუნის დასასრულამდე კვლავ ინარჩუნებდა დასავლეთ საქართველოს რელიგიური და კულტურული ცენტრის მნიშვნელობას. მთელ სამეგრელოში პირველი სასწავლებელი – სამეგრელოს სამაზრო სასულიერო სასწავლებელი – გაიხსნა მარტვილში, 1830 წელს, რომელიც თითქმის 50 წლის განმავლობაში ერთადერთი ეწეოდა ამ მხარის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. აქ ხანგრძლივი დროის მანძილზე მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები – რომანოზ ბორისოვი და ივანე ჭიჭინაძე. ამ სკოლაში სწავლა-აღზრდა მიიღეს ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა: იონა მეუნარგიამ, ნიკო ჯანაშიამ, თედო სახოკიამ; მწერლებმა: ჭალადიდელმა, უიარაღომ; საზოგადო მოღვაწეებმა: პ. ჭარაიამ, ი. ვართაგავამ. ეს სკოლა გახდა მთელ სამეგრელოში სწავლა-განათლების საფუძველი. აქ აღზრდილი პედაგოგები მოღვაწეობდნენ 1890 წელს სამეგრელოს 10 სკოლაში.

მარტვილის სიძველეთა მთელი კომპლექსი ქართული ეროვნული კულტურისა და ხელოვნების ძვირფასი ძეგლია. თვით ტაძარი თავისი არქიტექტურული გაფორმებით უბადლო ქმნილებაა იმ დროისათვის და ამიტომ მსოფლიო უნიკუმთა რიცხვს მიეკუთვნება.

მარტვილის მონასტრიდან ნახევარ კმ-ზე, მის სამხრეთით, მცირე ბორცვზე, სოფელ **ნახარებაოს** გადასახედთან, არის თლილი ქვის უგუმბათო ეკლესია და ორსართულიანი შესანიშნავი სამრეკლო. ეკლესიის შიდა მხატვრობა მთლიანად მოშლილია. გარეთა კედელზე არის მეტად კარგად შესრულებული ქანდაკებები. სამხრეთის კარის თავზე წმიდა გიორგის ურჩხულთან ბრძოლის ქანდაკებაა ჩართული, დასავლეთის კარის თავზე კი ვეებერთელა მოჩუქურთმებული ჯვარია ამოკვეთილი. კარისა და ფანჯრის არშიები ჩუქურთმითაა შემკული. ეს ჩუქურთმები მარტვილის მონასტრის ჩუქურთმიანი არშიების განმეორებას წარმოადგენს. სამრეკლოზეც არის მხატვრული ხაზულები. ეკლესია XVIII საუკუნის ძეგლია.

აქ არის დამარხული ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი (1754 -1804 წწ.) – ცნობილი მოღვაწე, ფილოსოფოსი, მთარგმნელი, ამ მცირე სამრევლო ეკლესიის მონასტრად გადამკეთებელი და მონასტრის პირველი მეთაური.

---

[1] ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, 1913-1914, გვ. 44-128.

სოფელ ქვაითში, ხატმამულის მაღალ გორაზე, დგას ეკლესია, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს გადაჰყურებს. ეკლესია მცირე მოცულობის ოთხკუთხა ნაგებობაა. მისი სიგრძე 5 მ-ია, სიგანე – 4. იგი ბაზილიკური ნაგებობის მეტად ორიგინალურ ნიმუშს წარმოადგენს. ეკლესია ნაგებია უზარმაზარი ლოდებისაგან. აქვს ერთი კარი, სამხრეთის მხარეზე, და ორი სარკმელი. შემორჩენილია ტრაპეზის სვეტი. გადახურვა თაღოვანი აქვს. კარისა და ფანჯრის არშიები ჩუქურთმიანი გრეხილებით ყოფილა შემკული. ეკლესიასთან ბევრი ლეგენდაა დაკავშირებული. მას ძალიან ძველ ეკლესიად თვლიან. არსებობს გადმოცემა, თითქოს იგი თამარის ბრძანებით იყოს აგებული. დღეს ეს მეტად საინტერესო ძეგლი ეკალ-ბარდებითაა დაფარული, მისასვლელადაც ძალიან ძნელია. ადგილს, სადაც ეკლესია დგას, „ნაოხვამუს“ უწოდებენ. ეტყობა, ძალიან დიდი ხანია, რაც აქ ხვამა – სარიტუალო ცერემონიალის შესრულება მიატოვეს, ეკლესია მიივიწყეს და **ნაოხვამუ** შეარქვეს (თუმცა ოხვამე შედარებით კარგადაა დაცული და ხვამაც თავისუფლად შეიძლება). რაღაც მიზეზია, საიდუმლო მიზეზი, რის გამოც აქ ხვამა დათმეს და სოფლის ცენტრში ააშენეს ქვითკირის ახალი ეკლესია.

გეგეჭკორის სამოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობაში (მაშინ უმაღლესი დაწყებითი სკოლის შენობაში) ჰქონდა ბინა მარტვილის რევოლუციურ შტაბს, 1918 წელს, როცა ერთი კვირის მანძილზე ნაოღალევი და მისი მიდამოები რევოლუციურ პარტიზანულ რაზმს ეპყრა ხელთ.

სოფელ ქვაითში, დღეს რომ ნაეკლესიარია, იდგა მიხა ცხაკაიას სახლი, სადაც მან ყრმობის წლები გაატარა. შემდეგ იგი, მარტვილის სასულიერო სასწავლებელში სწავლის დროს, ცხოვრობდა იორდანე ქორაიას სახლში, რაიონის ცენტრში.

გეგეჭკორის რაიონულ ცენტრში, სახელდობრ, გეგეჭკორების უბანში, დგას სახლი, დაცულია ეზო, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა საშა გეგეჭკორი.

ნახარებაოს გზაზე, ნოჯიხევის მახლობლად, მოსახვევთან, 1918 წლის დასასრულს მენშევიკებმა მოკლეს ბოლშევიკი გიორგი ადამია. ეს ადგილები მუზეუმის მიერ მონიშნულია მემორიალური დაფებითა და ობელისკებით.

### ოფუცხოო

სოფელ ინჩხურსა და გაჭედილს შორის, აბაშის ხეობის მეტად თავისებურ, ჩანჩქერებიან ადგილს, სადაც წინათ გაუვალი ტყე და მეტად ქვიანი, საშიშარი ადგილი ყოფილა, ოდითგანვე ხალხი **ოფუცხოოს**

ეძახის. **ოფუცხოლარი** სწრაფად გასარბენ, საჩქარო, საშიშ ადგილს ნიშნავს (სხვაგვარად „ოფუცხოლარი“ რუწკუპი, წოროხი, ციცაბობილიკიანი ადგილიცაა). ეს ბუნებრივად დატეხილი მთიანი იწროები ყაჩაღებისა და საშიშ პიროვნებათა, მგელ-დათვთა და სხვა მხეცთა საბუდარი იყო. მაგრამ ასეთი უცნაური ადგილი მეტად ლამაზიცაა თავისი პირვანდელი, ველური ბუნების მშვენებით, მდინარის გამოხრული, ტინის ვიწრო კალაპოტით, რომლის მრავალგან ჩაჭრილი კედლებიდან ათეულობით მ-ის სიმაღლეზე გადმოქუხს ჩანჩქერები, რაც თვალისმომჭრელი სილამაზით ავსებს ქვის დაკბილულ, თითქოსდა გრძელ ლამბაქზე ჩადგმული მდინარის სანახებს. აქ არა მარტო ბუნების ასეთი პირველყოფილი სილამაზე იზიდავს, არამედ მდინარის ნაპირთა ნაყოფიერებაც ანცვიფრებს კაცს: ტბები და ჩანჩქერთა ირგვლივ ღრმულები სავსეა თევზით, მათ შორის შესანიშნავი კალმახით. მდინარის ნაპირებზე უხვად ხარობს ვაზი, მსხალი, ვაშლი, მრავალნაირი ყვავილი და მოცვი. ეს ხეხილოვან-ყვავილოვანი გარემო კიდევ უფრო ლამაზსა და სრულყოფილს ხდის ადგილის ბუნებრივ ღირსებას.

ამ ადგილმა დადიანთა ყურადღება ადრიდანვე მიიპყრო. იქ, სადაც დღეს გაჭედილის ხიდია, XVIII საუკუნეში დადიანმა ერთთაღიანი აგურის შესანიშნავი ხიდი გააკეთებინა ოსტატებს და ამით შეკრა, გაჭედა (აქედან წარმოსდგა სახელიც) მდ. აბაშის ეს ვიწრო ყელი, გააერთიანა ორივე ნაპირი. ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში დადიანებმა ტყე გააჩეხვინეს და ოფუცხოოს ბუნებით ყველაზე მშვენიერ ადგილას მცირე, ორთვალიანი ქვითკირის სააგარაკო სახლი დაადგმევინეს. აქ მთელი დღეობით მოდიოდნენ დიდებულები, ლხინობდნენ, თევზაობდნენ, დროს ატარებდნენ. დადიანთა განკარგულებით, აქვე, ლამაზ ადგილას, ტინის ნაპრალებში, ჩადგეს ორთვალიანი წისქვილიც. ეს შესანიშნავი იშვიათობა დღესაც არის მოქმედებაში. წისქვილთან გააკეთეს კალმახსაშენი აუზი და მცირე სათევზაო.

ეს იყო დროებითი სააგარაკო ადგილი, აქ მუდმივი ბინადარნი არ იყვნენ.

ოფუცხოოს ზემოთ, აბაშის მარჯვენა ნაპირზე, საგუბრის სამხრეთით, არის კარსტული გამოქვაბული, რომელიც ქვითკირით პირაკრული და გამაგრებულია. ხოლო ქვემოთ, ხიდური არხის გასწვრივ, გალავნის კვალია შემორჩენილი. გამოქვაბული ერთი ფართო ტალანისაგან შედგება. მას ხალხი **ნათურქუს** უწოდებს. გვარწმუნებენ, რომ თურქობის დროს, შიშიანობის გამო ხალხს უღრან ტყეში ეს გამოქვაბული გაუმაგრებია და სახიზრად გამოუყენებიაო. ასეთი სახიზარი სათავსები მრავლადაა დაცული აბჰესის საგუბრის ორივე მხარეს. განსაკუთრებით საინტერე-

სოა მოთენას ფერდობის შესანიშნავი გამოქვაბული. იგი ორტალანიანია, ვიწრო გასასვლელითა და წყაროსთვალით. წინა ტალანის ირგვლივ ტინის კედელი ჩაკვეთილია სავარძლებად და თახჩებად. ეს ქვაბები ჩვენი ხალხის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის დიდებული მოწმეებია. აქ, გაჭედილის ხიდთან, მოხდა 1918 წელს ბოლშევიკურ პარტიზანულ რაზმებსა და მენშევიკურ ჯარს შორის შეტაკება. მენშევიკებმა ვერ სძლიეს პარტიზანულ რაზმებს, რომელთაც სათავეში ედგნენ – საშა გეგეჭკორის საერთო ხელმძღვანელობით – მიშა გეგეჭკორი, კატრიბი ჩემია, გუდუ გაბისონია, კლიმენტი გვალია, პეტრე წოწორია, პავლე ბაჩილავა და სხვანი. მტერი იძულებული გახდა უკუქცეულიყო და ხელი აეღო სალხინოს უბნის ხელში ჩაგდების მცდელობაზე. ეს ადგილი მუზეუმის მიერ ობელისკითაა აღნიშნული.

სოფელ ბალდის ზემოთ მდინარე აბაშას უერთდება პატარა მთის ნაკადული **ჯორწყუ**. **ჯორ**(ის) **წყუ** ჯორის წყაროს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად, აქ ჯორს არწყულებდნენ და ამიტომ ნაკადულსაც ეს სახელი შეერქვაო. ამ მცირე წყარომ ძლიერი მოვარდნაც იცის, წვიმიან ამინდში ამღვრეულ-აქაფებული წამოვა და მის კლდოვან ნაპირებს ანგრევს. ამიტომ უხსოვარი დროიდან ამ მოუსვენარ ღელეს უზარმაზარი ხევი, ათასგვარად ჩახრამული და გამოხრული კალაპოტი ჩაუკვეთია. ჯორწყუს ზემო წელზე, მის ნაპირას, არის ერთმანეთის მიყოლებით სამი ქვაბული. ისინი შეისწავლა 1957 წელს მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც დოც. გ. დევდარიანი ხელმძღვანელობდა. ჯგუფში შედიოდა ამ სოფლის მკვიდრი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ც. ხურცილავა. მათ დეტალურად განიხილეს სამივე ქვაბული და აღწერეს იგი. მათ შორის ერთ-ერთში, ყველაზე დიდ ქვაბულში, იპოვეს საინტერესო არქეოლოგიური მასალა, რომელიც დასაცავად გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადმოსცეს.

გამოქვაბულის პირველი ტალანის ჭერი თანდათან მაღლდება. იგი უკიდურეს ადგილას 5 მ-ს აღწევს და 52 კვადრატული მ-ის ფართობისაა. მშრალია, უხვადაა მოფენილი სტალაქტიტებით. შემდეგ შიგნით ვიწრო გვირაბი მიემართება, 230 მ სიღრმის აღმავალი ხაზით. გვირაბში მიედინება ნაკადული, რომელიც შესავალი ტალანის უკანა კედლამდე, ამ გვირაბის პირამდე, მარჯვნივ უხვევს და ხვრელში ჩაედინება. მღვიმე შიგნით საინტერესო სანახავია. ამასთან, შესავალი ტალანი პირაკრულია ქვითკირით და შუა საუკუნეებში, შიშიანობის დროს, ადგილობრივ მკვიდრთა საიმედო სახიზრად ყოფილა მიჩნეული. დღესაც ხალხი მღვიმეს **ნათურქუ მღვიმეს** ეძახის.

**ბალდის ტაძარი. XVIII ს.**

ჯორწყუს გამოქვაბულის ქვემოთ, სოფელ ბალდაში, სწორედ აბაშის ხეობის ყველაზე ვიწრო ყელთან, ბორცვზე, დგას **ბალდის** წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. იგი შედარებით ახალია, – XVIII საუკუნის ბოლო წლებში უნდა იყოს ნაგები. ეკლესიის გარეთა კედლებზე ფანჯრისა და კარის პირები შემკულია ორნამენტოვანი არშიებით. მის ეზოში შეინიშნება უძველესი ნაგებობის კვალი. საინტერესოა ეკლესიის გვერდით ხურცილავას ეზო, სადაც უძველესი ნაგებობის თახჩებიანი მთელი კედელია შემორჩენილი. ალაგ-ალაგ ჩართულია ვეებერთელა ლოდები. ხურცილავას ეზოს ჭიშკარიც XIX საუკუნის დასასრულის ხეზე კვეთის შესანიშნავი ნიმუშია. აქ ამოკვეთილია მზე, მთვარე და ვარსკვლავები: გადმოგვცემენ, რომ ამით ოსტატმა მზეზე, მთვარესა და ვარსკვლავებზე არსებული ძველი თქმულება აამეტყველაო.

საინტერესოა სოფლის დასასრულს, მთის ძირას არსებული წარმართული სარიტუალო კერა **ისკიოდა**. აქ მდგარა წინათ დიდი მუხა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ და მსხვერპლსაც სწირავდნენ.

მითრას კულტის სათაყვანებელი ადგილი ყოფილა **მისარონი**. აქ მისრას საოხვამუროაო, – გვიამბობენ ადგილობრივი მოხუცები.

## ტეხურის ხეობა

მდინარე ტეხურა ეგრისის მთაგრეხილის სამხრეთის კალთებიდან მოედინება, კვეთს მის მაღალმთიან გულს, ჭრის ტინის ქარაფოვან კლდეებს და ბარისკენ იკაფავს გზას; ტალერთან ფართოდ გაივაკებს, სალხინოს ველზე ვრცელ ჭალებს გაივლის, თამაკონთან, უნაგირას მთის ახლოს, ლაღად გაიჭრება ლეძაძამისკენ, სადაც მცირე ხანს ისევ ივაკებს და უნაგირას ყელს ჩაუვლის; ნოქალაქევთან, ტურაკელის ჭალაზე, აბაშას შეერთვის; მცირე მანძილზე ნარიონალ ჭალას კვეთს, შემდეგ ისულასაკენ ვრცელ ვაკეზე მოიკვლევს გზას. ისულას დაბლა, ამ უძველესი, ელინისტური კოლხური ქალაქის ქვემოთ, უერთდება დედა ფაზისს, რომლის ტალღები მას შავი ზღვისაკენ მიაქანებენ. თამაკონთან, მის მარჯვენა მხარეს, ისევ ზეგანია აღმართული, რომელზეც გურძემი, კიწია, დოშაყე და ჟინოთა მდებარეობს.

## ისულა

მდინარე რიონი უძველესი დროიდან ძველ ბერძნულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში ცნობილია მდ. ფაზისად. იგი ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და აღიარებული ქართული სახელმწიფოს – კოლხეთის დედამდინარეა. ეს მდინარე ითვლებოდა კოლხეთის ყველაზე ცნობილ სამდინარო გზად – „**ფაზის-კოტაის**“ გზად. ფოთიდან ქუთაისამდე ამ სამდინარო გზით ამოდიოდნენ შავი ზღვიდან შუაქალაქამდე დიდი გემები, შორაპნამდე კი – მომცრო გემები.

რიონისპირეთის სხვა ცნობილ საფორტიფიკაციო კერათა შორის ძველ ბერძნულ წყაროებში ხშირად ვხვდებით **ნესოსს**. იგი მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც ორი, ერთ მდინარედ შეერთებული, ტეხური და აბაშა რიონს ერთვოდა. მაშინ აყვავებული, უაღრესად დიდი მნიშვნელობის პუნქტი იყო ეს მცირე სოფელი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ნასოფლარი ისულეთი, რომელიც დღეს ცხაკაიას რაიონში შედის. „იგი წარმოადგენდა ამ მდინარეების შესართავთან გადაღობილ და გამაგრებულ სამკუთხედს, რომელიც ერთგვარად კუნძულს ემსგავსებოდა: იმ ადგილს რომაელებმა უწოდეს „**ისულა**“, რაც წარმოადგენს ლათინურ ისულას (ინსულა) დამახინჯებულ სახეს და ნიშნავს კუნძულს“[1], – წერს პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი. ეს ადგილი იმდენად დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ უცხოელ – ბერძენ და რომაელ მწერალთა და მოგზაურთა თხზულებებში ხშირად იხსენიება ხოლმე. ასეთი მნიშვნელოვანი კერა და მისი მიდამოე-

[1] ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, გვ. 55.

ბი, უეჭველია, მჭიდროდ იყო დასახლებული. ეს აზრი, წყაროების მიხედვით, დიდხანს არქეოლოგიური მასალებით დაუმოწმებელი იყო. ახლა ჩვენ ხელთ გვაქვს ამ აზრის ერთი ბრწყინვალე დადასტურება – არქეოლოგიური განძი. იგი ნაპოვნია თეკლათის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე, ისულას მახლობლად, **ოფაჩაფუში** (ასე ჰქვია ამ ადგილს), **ნაოჩუს** ცენტრში. თვით სახელწოდება ოფაჩაფუ წარმომდგარია მდინარეთა გასაყარიდან. აქ იყრებოდა, ცალკევდებოდა ორი მდინარე და კუნძულს ქმნიდა. საერთოდ, ნაოჩუს მთელ ამ ტერიტორიაზე ეს ადგილი მჭიდროდ დასახლებული უბანი იყო. ამას ადასტურებს ამ ადგილას ნაპოვნი უამრავი არქეოლოგიური მასალა; აქ, გარდა ბევრი მნიშვნელოვანი ზედაპირული კერამიკული მასალისა, ნაპოვნია სამი ქვევრსამარხი. პირველი ქვევრსამარხი სრულიად ჩამტვრეულია. მასში ბრინჯაოს მრავალი სამკაული და ნივთი ყოფილა, მაგრამ მთხრელებს დაუბნევიათ. აქვე ორ ადგილას, მიაგნეს ახალ ქვევრსამარხებს. პირველ ქვევრსამარხში აღმოჩნდა კოლხური თეთრის (ფულის) მეტად ჭრელი კოლექცია. აქ არის კოლხური ნახევარდრაქმები. მათზე ჯერ კიდევ ჩანს გამოსახულებანი, მაგრამ საკმაოდ მოცვეთილი შუბლი და ზურგი აქვთ. აქ, მიცვალებულის თითქმის დანაცრებულ მაჯაზე შეინიშნება რამდენიმე მეტად საინტერესო ბრინჯაოს სამაჯური, მტევნებთან – ბრინჯაოს ბეჭდები, ყელთან კი – მინის, ბრინჯაოსა და თიხის შესანიშნავი მარცვლები. შემდგომ ქვევრსამარხში აღმოჩნდა მძიმის შესანიშნავი კოლექცია, სამაჯურების უნიკალური ნიმუშები და კოლხური ნახევარდრაქმები. საყურადღებოა აქ ნაპოვნი ბრინჯაოს რამდენიმე სამაჯური. ისინი 20-ზე მეტია. მეორე სამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს სამაჯურიც ორიგინალური ფორმისაა: მას ზედა მხარეზე აქვს ფართო 1,51 სმ-ის ფირფიტა, რომელზეც მეომარია გამოსახული, მარჯვენა ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს. მის ქვემოთ არის ექვსქიმიანი ვარსკვლავის თავისებური გამოსახულება. ფირფიტის ორივე მხარეს არის ირგვლივი ზურგულა ჭდეები, თითო მხარეზე ხუთ-ხუთი. შემდეგ წვრილი ხაზულები მიუყვება. სამაჯურის ორივე ბოლო მომრგვალებულია და ჭდის გასწვრივ აქვს სამ-სამი ვიწრო ხაზული. აქვე ნაპოვნი მეორე სამაჯური. ეს არის სქელი, ბრინჯაოს მრგვალი რგოლი, რომელზეც ხუთ ადგილას არის სამ-სამი ირგვლივი, ოთხკუთხა ჭდეები, ჭდეების ოთხივე მხარეს – ჭდეური თვლები. სამაჯურის განი 6 სმ-ია, სიმაღლე – 5 სმ, სისქე – 3 მმ-ზე მეტი. დანარჩენ მეტად ორიგინალურ სამაჯურებზე არის გველის თავები, ბოლოებამოტვიფრული, ხოლო ტანს განივი ჭდეები მიუყვება, ცენტში ზურგულა გამყოფი ხაზით. ყურადღებას იპყრობს ერთი ბრინჯაოს სამაჯური პირველი სამარხიდან. აქ თავები უფრო წვეტიანი და სრულყოფილია. თავზე ამოკ-

**შხეფის ციხე**

ვეთილია ჯვარედინი ხაზები, რომლებიც შუბლთან მიჯნას ქმნის, რაც შუბლისა და თვლის ჩასაჯდომი უნდა იყოს. სამაჯურის მთელ სიგრძეზე არის განივი ჭდეების სეგმენტები, თვლიანი საორნამენტო ხაზებით. ერთ ბეჭედზე ოდესღაც გემა მჯდარა. დღეს მხოლოდ ცარიელი საჯდომი ღრმულია შემორჩენილი. სხვა ბეჭდები მარტოოდენ სუფთა რგოლებია. საინტერესო უნდა ყოფილიყო საყურეებიც, მაგრამ ისინი ჩაიმსხვრა და მხოლოდ რგოლთა ფრაგმენტებიღა გვაქვს შემორჩენილი. მსგავსი მასალა, თითქმის ამავე კულტურული ფენის უშუალო გაგრძელება, ნაპოვნია ტურაკელის ჭალის დასასრულს, კოდორეს დასაწყისში, ტეხურის მარჯვენა სანაპიროზე.

## შხეფი

ტეხურის აუზში მრავალ ადგილას არის დაცული წინაპართა სამხედრო-სტრატეგიული ნაგებობანი: ციხე-დარბაზები, საყარაულო კოშკები, ხერგილები და გალავნები. ამ ნაგებობათა ზერელე გაცნობაც კი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლასა და თავდაცვით ღონისძიებებზე.

ქ. ცხაკაიადან 6 კმ-ზე, მთაში, შორიდან შეინიშნება უსურვაზით მწვანედ შებურვილი ციხე-დარბაზი, რომელიც შედარებით კარგადაა დაცული და თავისი გრანდიოზული აგებულებით ანცვიფრებს დამთვალიერებელს. იგი ციცაბო მისადგომებით დაცული ბორცვის წვერზე დგას. გარს შემორტყმულია 6-8 მ-ის სიმაღლის ქონგურებიანი გალავნით, რომელიც ირგვლივ კლაკნილ, ოვალურ შვერილებად, ტალღოვან კედლად ერტყმის შიდა სივრცეს. მისი ფართობი 1625 $მ^2$-ზე მეტია. ჩრდილოეთით კედელი სამი ასეთი შვერილითა და ორი მათ შორის არსებული ვრცელი ღარით, ანუ ნიშით ლამაზ ტალღოვან სახეს აძლევს კედელს. ასეთივე კედელი სამხრეთ-დასავლეთ კიდურზე შეწეულია და შიგ კარია ჩართული. ეს ერთადერთი გარეთა კარია, რომლის შიგნით სრულიად იზოლირებული 50 $მ^2$ ფართობის ოთახია (იგი დროებითი მოსაცდელი, ან ციხის მცველი რაზმის სადგომი იყო ალბათ). აქედან კიბის საფეხურები ადის მცირე ეგვტერში, სადაც კედლის სისქე 1,3 მ-ს უდრის. ეგვტერი ორი კარითაა ჩაგმანული. იგი შიდა ციხეს კეტავს. პირველი კარი წინა ოთახის ჩასაკეტია. ეგვტერში საფეხურები ზემოთ მიდის და მის ბოლოს, 60 სმ-ის სიმაღლეზე არის მეორე კარი. ისიც 1 მ სიგანის და 1,5 მ სიმაღლისაა. აქაც მცირე სათავსია 30 $მ^2$ ფართობისა. აქედან საფეხურებს ციხე-სიმაგრის შიდა ეზოში შევყავართ. აქაც სქელი კედელია აღმართული და 1 მ სიგანის კარი აქვს ეზოში შესასვლელად. სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდურთან, საყარაულოს შიგნით, რომელიც ციხის გარეთ ცალკე სათავსოდაა მიშენებული, არის ოთხკუთხა, სამსართულიანი ვრცელი კოშკი. ეტყობა, იგი საცხოვრებელი ნაგებობა იყო. მის წინ, მოედანზე, მარანია, ხოლო მარნის გვერდით ჩანს უფრო თხელი ნაგებობის კვალი, სასახლის თუ საცხოვრებელი ნაგებობის სხვა ნანგრევი. ჩრდილო-აღმოსავლეთის კიდურზე ორსართულიანი, ლამაზი, მრგვალი კოშკია, რომლის პირველი სართული კარის ეკლესიად ყოფილა გამოყენებული. აქ დღესაც შემორჩენილია წმინდა ნაწილთა და ხატთა სასვენი ნიშები, კანკელის ნაწილი და ტრაპეზის ნანგრევი. სართულთა შორის გადახურვა სწორი ყოფილა. ლონდირთა ფოსოები დღესაც შემორჩენილია კედლებზე. მის წინ დაცულია დახურული სარდაფი, რომელსაც შიგნით ოთხკუთხედის ფორმა აქვს. მას აღმოსავლეთის მხარეზე შესასვლელი კარი ჰქონია დატანებული. დასავლეთით, კედელთან მიშენებულია ოთხსართულიანი, წაკვეთილი პირამიდის ფორმის დიდი კოშკი, რომლის პირველი სართული დილეგია, მეორე სართულზე კი კოშკში შესასვლელი კარი. კოშკში სართულთა შორის გადახურვა ოვალური ფორმისაა; ამ კოშკს შემორჩენილი აქვს ქონგურები; ასეთივე ქონგურები შემორჩენილი აქვს გალავანსაც. ძეგლი ისე კარგადაა დაცული, რომ დამთვალიერებელს შეუძლია მისი

არქიტექტურული აგებულებაც და ცალკეულ ერთეულთა დანიშნულებაც თავისუფლად შეიცნოს. ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთ მხარეზე ოთხი მ-ის სიღრმის თხრილი ამოუთხრიათ სტრატეგიული მიზნით.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის წიგნში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – წერს: „ხოლო ტეხურსა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“. აქ ვახუშტი სწორად განსაზღვრავს ციხის ადგილსამყოფელსაც და ზუსტად მიგვინიშნავს უნაგირას მთის ზოლს. ეს ციხე მაშინ, ეტყობა, საკმაოდ ცნობილი ყოფილა. მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს ციხეში იმ დროისათვის ფრიად დამახასიათებელი ტრაგედია დატრიალებულა. „განრისხა ღმერთი მამია დადიანმან, წაართუა დედასა მისსა და წარმოიყვანა ყრმა იგი, და შხეფის ციხეში დაატყუევა და იყო ყრმა იგი გამოუცდელი, და ვერ გაუძლო ტყვეობასა, შეწუხდა იგი განშორებისათვის დედისა თვისისა, და გარდმოიგდო თავი თვისი ციხისა მისგან, და ესრეთ აღესრულა იგი“[1], – ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“. ბიძამ თავისი ნორჩი ძმისწული შეამწყვდია ციხეში, მისი ტახტის დაპატრონების მიზნით. ამან კვლავ არეულობა და შინააშლილობა გამოიწვია სამთავროში. 1591 წელს ამ ციხეში დაამწყვდიეს და აქვე გარდაიცვალა იმერეთის მეფე ლევანი, ძლეული და აქ დამწყვდეული მამია დადიანის მიერ. ომერ ფაშას ლაშქრობის დროს, მცირე ხნით, სამეგრელოს მთავრინა ეკატერინე ჭავჭავაძე თავს აფარებდა შვილებით ამ ძლიერ ციხე-სიმაგრეს. ამრიგად, იგი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშიც მოქმედებდა. „მართალია, მატიანეთა ფურცლებზე იგი მხოლოდ გვიან საუკუნეებში იხსენიება, მაგრამ, ჩანს, რომ ციხე ადრეულ საუკუნეებშია აგებული“, – წერს პროფ. პ. ზაქარაია[2].

ციხის მიდამოებში, მის ფერდობზე, გარდა გვიანი პერიოდისა, აიკრიფა ანტიკური ეპოქის შესანიშნავი მასალები: ამფორები, ვაზის ფრაგმენტები და სხვ. ეტყობა, ეს ფერდობი ციხის აგებამდე დიდი ხნით ადრე დასახლებული იყო ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ეპოქის ადამიანით. როგორც ჩანს, აქ ცხოვრება ანტიკურ ეპოქაშიც ჰყვაოდა.

შხეფის სამხრეთ-დასავლეთით დგას ციხე. იგი შხეფის დიდ ციხესთან შედარებით უფრო „კეთილნაშენია“, ოღონდ მოცულობით – მცირე. მისი გალავნის შიგნით ფართობი 312 მ2-ია. გალავანი და ციხე აგებულია ნათალი ქვით. ციხეც სწორკუთხოვანი ნაგებობაა. აქვს მცირე სარკმლები და ერთ მხარეს – კარი. ციხეს გარს ერტყმის ჩრდილოეთის მხარეზე

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ IV, თბ., 1973, გვ. 504.

[2] პ. ზაქარაია, სამშობლოს გუშაგები, თბ., 1965, გვ. 68.

მეორე, შედარებით უფრო მტკიცე გალავანი. ახლა კოშკის მხოლოდ ერთი სართულია შემორჩენილი. გალავნის ჩრდილოეთი, გარეთა მხარე ღრმა, ხელოვნური ხევითაა გამოყოფილი ბორცვის ტაფობის დანარჩენი ნაწილისაგან. სხვა მხრიდან ციხეს ციცაბო ფერდობი აქვს.

## გეჯეთი

გეჯეთი ტეხურის ხეობის შესანიშნავი სოფელია. იგი ტეხურის გაშლილი ჭალის ველიანზე მდებარეობს. სოფლის სახელწოდებას – გეჯეთს, ხალხი **გეჯეს** თიდან ნაწარმოებად თვლის. სოფლის ისტორიულ ღირსშესანიშნაობათა შორის აღსანიშნავია **მისარონი**, რომელსაც მითრას ღვთაების სათაყვანო ადგილად მიიჩნევენ. „ჯეგე-მისარონის სამლოცველო იყო აგრეთვე სოფ. გეჯეთში, რომელიც ნოქალაქევიდან 3 კმ-ით არის დაშორებული. აქ დღესაც დაცულია მისარონის ადგილი, სადაც წინათ ქვის პატარა შენობა მდგარა. თებერვალში, მირსობა დღეს, სალოცავად მოდიოდნენ გეგენავები, ალასანიები და აქ ჯეგე-მისარონს შესთხოვდნენ თვალის სისაღეს, ყურის, თავის და წელის ტკივილისაგან განკურნებას. ხატს სწირავდნენ მძივებს, ფულებს, ნემსებს, ფერად ძაფებს და სხვ.“, – წერს პროფ. ს. მაკალათია[1]. გეჯეთის წმინდა გიორგის ხატი ძლიერ ხატად ითვლებოდა.

გეჯეთში 1917 წლის შემოდგომიდან არსებობდა ბოლშევიკური პარტიის ძლიერი პირველადი ორგანიზაცია, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო 1918 წლის აჯანყების მომზადებასა და ჩატარებაში. გეჯეთის პარტიული ორგანიზაცია ამხ. ს. მამულიას და სხვათა მეთაურობით, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებში, სენაკის პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად, სენაკის სამაზრო კომიტეტისა და სენაკის ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ორგანიზაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო. „აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი ჩვენი ორგანიზაცია, რომელიც მაშინ ითვლებოდა ძლიერ ორგანიზაციად. ეს იყო გეჯეთის ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია მთელი თავისი შემადგენლობით იყო მეტად აქტიური“, – წერდა 1928 წელს სამსონ მამულია თავის მოგონებაში[2].

## ნოქალაქევი

ნოქალაქევს ძველ ბერძნულ წყაროებში **არქეოპოლისად** იცნობენ. არქეოპოლისი „ძველ ქალაქს“ ნიშნავს. ამდენად, უდავოა, რომ იგი ძალ-

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 304.
[2] ს. მამულია, მოგონებანი, გვ. 38.

ზე ადრე არსებული ქალაქია და მუხურისის კარიბჭეს წარმოადგენდა. ალბათ, ეს სამგალავნიანი ციხე-ქალაქი ლაზიკის დედაქალაქი იყო. იგი მდინარე ტეხურის პირას იდგა, მაღალი გალავნითა და ციხე-კოშკებით შემოზღუდული. პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს: არქეოპოლისი „არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“.

ციხე-ქალაქის ნანგრევები სამ ნაწილად იყოფა: ქალაქის პირველი გალავანი გაშლილ ველზეა აგებული; მეორე ბორცვის წელს ეკვრის, მესამე კი ზედ ბორცვის თხემზეა, ქალაქის ირგვლივ. აქ ნაპოვნი მასალები და მოედნის მდებარეობა გვაფიქრებინებს, რომ იგი საზოგადოებრივი შეკრების ადგილი, საბაზრო და უცხო პირთა მოსაცდელი უნდა ყოფილიყო. იქ, ალბათ, დროებით შესასვენებელი ნაგებობანი, ჯარისკაცთა ბინები, გარნიზონის სადგომები იყო. ამ მოსაზრებას ადასტურებს სამხრეთი კედლის გასწვრივ დარბაზთა თუ კოშკის ოთახთა ნანგრევების არსებობა, სამხრეთი კიდურის კოშკის პირველი სართულის ნანგრევები.

ამ ნაწილში თხელი კედლით იყო გამოყოფილი მცირე მოედანი, სადაც თავდაპირველად იდგა ოთხი მხრივ ღია თაღოვანი კედლებით ნაგები მცირე, მრგვალი სათავსი, რომლის სახურავისკენ ქვაფენილის კიბე მიემართება. დღეს თაღოვანი ღია კედლები ამოვსებულია და ჩვეულებრივ ოთახადაა ქცეული. ეს საკულტო-სარიტუალო ნაგებობა მისარონის, მითრას კულტის სათაყვანო ნაგებობად ითვლება.

გარდა ამისა, ეზოში შეინიშნება უძველეს ნაგებობათა რამდენიმე ნაშთიც. უძველესი ნაგებობა უნდა იყოს „ორმოცთა“ ეკლესია. იგი შემდეგ გადაკეთებულია. მისი გეგმა სრულიად შეცვლილია. თავდაპირველად ეს უგუმბათო ნაგებობა ქრისტიანული მოთხოვნების საფუძველზე იყო სახეცვლილი.

საინტერესო გადმოცემა არსებობს ამ ეკლესიისა და მისი მიდამოების შესახებ: თითქოს ყოველ წელს, შემოდგომაზე, ლაზეთიდან ჩამოდიოდა ვიღაც მოხუცი კაცი, რომელიც შუადღის ჟამს, როცა ეკლესიის გუმბათის ჯვარი ჩრდილს დასცემდა ჩრდილოეთ მხარეზე მის ეზოში არსებულ ერთ-ერთ საფლავს, შეუდგებოდა ამ საფლავის გასუფთავებას, გადაწმენდდა გულდაგულ, ზედაშით სასმელს მოაპკურებდა, ილოცებდა და მეორე დღეს ისევ უკან წავიდოდა. მოხუცს ადგილობრივი მოსახლეობისათვის უთქვამს: ეს ჩვენი მამა-პაპის საძვალეა. შვიდი საუკუნეა, რაც ამ საძვალეს დაშორებულნი, ვალდებულად ვთვლით თავს ყოველწლიურად ჩამოვიდეთ იქ, ვილოცოთ, გავწმინდოთ საფლავი და დავიცვათო. მოხუცები გადმოგვცემენ, რომ დიდი ხანია ახლა არც ეს მოხუცი და არც სხვა ვინმე აქ არ გვინახავსო.

ნოქალაქევის ციხე

ნოქალაქევის ორმოცი სებასტიელი მოწამის ტაძარი. VI ს.

ზედ მთის წელზე, ტეხურის გადასახედთან, საიდანაც ქალაქისაკენ ფართო გზა მიუყვებოდა, დგას შესანიშნავი ციხე-კოშკი, რომლის გალავანი და აღმოსავლეთი კოშკი საკმაოდ დაცულია. ციხე-კოშკი ციხე-ქალაქის მეორე გალავნითა და თვით ქალაქის კარიბჭე, მისი საიმედო ბურჯი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ ციხე-კოშკის წინ, სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, გვირაბში, მდინარიდან ამოსასვლელი ქვის საფეხურებია დაგებული. გვირაბი ტეხურისპირამდე ჩადის. ჩვენ მდინარეში ჩასილული საფეხურები და საფეხურების ორივე მხარეს ბურჯებად მდგარი სვეტები შევნიშნეთ. ყველაფერი ეს ადასტურებს, რომ ქალაქი ამ მხრიდან სრულიად მიუდგომელი იყო, რადგან ტეხური მაშინ ძლიერ წყალუხვი, ღრმა და შედარებით ვიწრო იყო. აქ, ალბათ, რიონიდან ნავები შემოდიოდნენ. ეს სავსებით დასაშვებია: მის ქვემოთ ტეხურის დინება შედარებით წყნარია, ადგილი კი – გაშლილი და სწორი. ცხადია, მცირე ნავები გვირაბის წინ სწორედ ამ მხრიდან ადგებოდნენ ნავსაყუდარს. ამის შემდეგ სასურველ სტუმარს ქალაქში გვირაბით აიყვანდნენ, ხოლო არასასურველს ნავსადგურისა და გვირაბის ზედა კარებს ჩაუკეტავდნენ ხოლმე. მსურველი სხვა მხრივ ვერსაიდან მიუდგებოდა ციხეს. იგი ყოველმხრივ 1,2 მ-ის სისქის გალავნის კედლით იყო შეკრული. ფონზე გადასასვლელად ქალაქის პირველი გალავნის სამხრეთ კიდურზე კარი ვიწროდ იყო დატანებული. ამ ნაწილში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გალავანში დატანებული კარითაც შემოდიოდნენ. ბორცვის თხემისაკენ მიუყვება საფეხურების ნაშთები. ბორცვის ირგვლივ მესამე გალავანია აგებული. გალავნის პიედესტალი კარგად დამუშავებული, უზარმაზარი ლოდებითაა აწყობილი, ზემოთ კი უფრო წვრილი ქვის ქვითკირია. გალავანში ჩართულია რამდენიმე კარი – ორი აღმოსავლეთით, ერთი – სამხრეთ-აღმოსავლეთით, მეოთხე – ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამხრეთ-აღმოსავლეთის კარი დახურული ყოფილა სქელი ქვითკირის ეგვტერით. ასევე ხვეულ ეკვდერში გადიოდა ჩრდილო-აღმოსავლეთის კარიც. ქალაქის კედლის ჩრდილოეთით იდგა მაღალი, ოთხსართულიანი კოშკი, რომლის ორი სართული დღესაც დაცულია. სამხრეთ-დასავლეთით, ზედ გალავანზე, იდგა სვეტებს დაყრდნობილი სასახლე. სასახლის მეორე სართული მდგარა თაღედებად გადაყვანილ ოთხკუთხა სვეტებზე. დღეს ეს სვეტები კარგადაა დაცული სამხრეთის მხარეს. სასახლის ჩრდილო კიდურზე ყოფილა მაღალი, ოთხსართულიანი კოშკი, რომლის ქონგურებიანი ჩრდილოეთი კედელი დღესაც დაცულია. ქალაქის შიგნით შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევი, რომლის კანკელის თაღისებური გადახურვა დღესაც ურღვევადაა შემორჩენილი. ეკლესიის ოთხივე კედელი დაცულია, ოღონდ სახურავი აქვს მორღვეული. ზედ ქალაქის ჩრდი-

ლოეთ კიდურთან, ბორცვი ხელოვნურადაა გაყოფილი. ხელოვნური ჩანს განიერი თხრილიც, სადაც, ალბათ, გადიოდა მაშინდელი გზა, რომელიც არგუეთსა და კლისორს ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ მხარეზე ციცაბო ფერდობს თხრილი ქმნიდა. ქალაქის შიგნით, დასახელებულ ნაგებობათა გარდა, არავითარი მშენებლობის კვალი არაა შემორჩენილი. ჩვენმა არქეოლოგებმა ამ ქალაქში სერიოზული არქეოლოგიური მუშაობა ჩაატარეს. „ქართველმა არქეოლოგებმა ეს ციხე-სიმაგრეები შეისწავლეს იმდენად, რომ შესაძლებელი გახდა ძველი კედლების ნაშთების გამოვლენა, მათი დათარიღება, კერძოდ არქეოპოლისში, ანუ ნოქალაქევში გამოვლინდა პირველ-მესამე საუკუნეების თლილი ქვებისაგან და დიდი ლოდებისაგან გამზადებული კედლები“, – წერს პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი.

ნოქალაქევის მიდამოებში საინტერესოა დედამოკა. ეს ადგილი ტეხურის ხეობის ვიწრო ყელზეა, ნოქალაქევის ციხის გადასახედთან. იქ წყალში ღრმად ჩასმულია ვეებერთელა ლოდი, რომელსაც ადამიანის ფორმა აქვს. ლოდს ირგვლივ წყალი უვლის და თავისებურ გამოსახულებას ქმნის. ხალხი დღესაც დიდი პატივით ეპყრობა ამ ადგილსა და ლოდს. იგი მოძალადეთა ლაშქარს გამოქცეული ქალის გაქვავებულ სხეულად მიაჩნიათ. სისხლიან მდევარს გამოქცეული ორსული ქალი მოვიდა მდინარის პირას, გადახტა წყალში და ღმერთმა ქვად აქციაო, – მოგვითხრობს ლეგენდა. დედამოკა ორსულ დედას ნიშნავს. ნოქალაქევის სანახებში, დედამოკასთან, არის ცხელი აბანოები ბუნებრივი წყლებისა, რომლებიც თავისი ღირსებით მაცესტას, წყალტუბოსა და მენჯის სამკურნალო წყლებს არ ჩამოუვარდება. აბანოს მიდამოებიც ბუნებივ, ხელთუქმნელ სურათს წარმოადგენს: მთის ასწლოვანი ხეებით დაჩრდილული ფერდობი, ანკარა წყაროს წყლები, მდინარის ჭორომებიანი ვიწრო ხეობა ადამიანის თვალსა და გულს ახარებს.

ნოქალაქევი, ქართული წყაროების მიხედვით, **ქუჯის ციხე**, სხვაგვარად, **ციხე გოჯი**, მეტად საინტერესო ძეგლია, რომელიც ელინისტურ ეპოქაში აქ გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ამიტომ მისი კვლავ და ყოველმხრივ შესწავლა მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

მშრალი წყობის შესანიშნავი ქალაქის ნანგრევები ჩვენ მიერ მიკვლეულია აბედათში – „**ნაოხვამუზე**“, და სერგიეთში – „**ნაფაცაცუზე**“. აქ მთელი კედელი შემთხვევით დაირღვა და მისი კოტაამოძერწილი, უზარმაზარი, შესანიშნავად თლილი ქვები დატაცებულ იქნა.

ნოქალაქევში 1918 წლიდან არსებობდა ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ედგნენ ლეონტი კარტოზია და სხვა ამხანაგები.

იმ ორგანიზაციის მებრძოლმა რაზმმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სამეგრელოს გლეხთა 1918 წლის აჯანყებაში. აჯანყებულ გლეხთა თავშესაფარი ადგილი იყო ციხის ეზო და მისი მიდამოები.

## ლეძაძამე

სოფელი ლეძაძამე გაშლილია ტეხურის ჭალაზე, საკმაოდ ვაკე ადგილას. მისი ცენტრი სადადიო სამოსახლოა. მას ძველთაგან **ბერთემს** ეძახიან. აქ, **მენჯირობუში**, გაიხსნა უძველესი მეტალურგიული წარმოების შესანიშნავი კერა; აქვე აიკრიფა ნეოლითის ხანის ადამიანის საყოფაცხოვრებო ნივთთა შესანიშნავი კოლექცია (კაჟისა და რიყის ქვის იარაღები, კერამიკა და სხვ.).

ნეოლითის ხანის ნასახლარის ზედაპირული ინვენტარი აიკრიფა აგრეთვე **მარიანეთსა** და **ხამნოხორიიში**. ეტყობა, სოფ. ლეძაძამეს მიდამოები დასახლებული იყო ნეოლითისა და ენეოლითის ხანის ადამიანით. აქ ეწეოდა იგი თავის პრიმიტიულ მეტალურგიულ წარმოებას. ისტორიულ ადგილთა შორის საინტერესოა **მითრას** კულტის სარიტუალო ადგილები. ხშირად გვხვდება **მისრას** (მითრას) საკულტო-სარიტუალო კერები – მისარონები. ისინი რატომღაც უფრო ხშირად თავმოყრილია ნოქალაქევ-ლეძაძამე-გეჯეთის მიდამოებში. აქ, ერთმანეთის გვერდით 10-12 ადგილს ეწოდება „მისარონი“. არის შემორჩენილი უძველესი საკულტო ნაგებობის ნანგრევებიც: თაღოვანი, თითქმის მრგვალი, მაღალი ბჭეებით (ისინი შემდეგ, ქრისტიანული სარიტუალო მოთხოვნების საფუძველზე გადაკეთდა). ადგილების სახელწოდებათა ასეთი თავმოყრა და საკულტო ნაგებობათა არსებობა, ასევე გადმოცემებისა და ლეგენდების დამოწმება გვარწმუნებს, რომ ეს ადგილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო მითრას კულტის მსახურებისა და „**მისარონი**“ წარმომდგარია მითრასაგან (მითრა-მისრა-მისარონი). მითრა იყო ნათელი ცის ღვთაება, ავი და ბოროტი სულის წინააღმეგ მებრძოლი. „მეგრელები მირსობას ხუთშაბათობით იხდიან, რომელსაც ცააშხა (ცის დღე) ეწოდება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ხუთშაბათი ჩვენში მიკუთვნებული ყოფილა მითრასადმი, რომელიც ბრწყინვალე ზეცის მეუფედ ითვლებოდა და მზის, მთვარის და ვარსკვლავების დახმარებით ბნელ ძალებს გამუდმებით ებრძოდა“[1]. ამ ღვთაებას მთელი ეგრისი სცემდა თაყვანს. იყო განსაკუთრებული სარიტუალო დღე (ხუთშაბათი), როდესაც ხალხი იკრიბებოდა მისრას, ე. ი. მითრას ხატობაზე. მეგრელები ომირსე ღორსაც კი ასუქებდნენ და ხატობის დღეს მითრას პატივსაცემად კლავდნენ. ქრის-

[1] ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, 1938, გვ. 18.

ტიანობის გავრცელების შემდეგ რიტუალი დარჩა და მითრა წმინდა მარიამად (ჯეგემარიონი ლეძაძამეში), ან კიდევ წმინდა გიორგიდ შეიცვალა. ადგილთა სახელწოდებანი მდიდარ ცნობებს გვაწვდის ამ კულტთან დაკავშირებულ სარწმუნოებრივი წესების შესახებ. მითრას კულტმსახურების შესანიშნავი ადგილები ყოფილა **გოდოგანსა** და **დღვანაში** (გეგეჭკორის რაიონში), ოცინდალეს მახლობლად (ჩხოროწყუს რაიონში), **ბალდაში**, **კიწიასა** და **აბედათში** (გეგეჭკორის რაიონი) და სხვ.

ლეძაძამეში **ჯეგემარიონის** ნანგრევები უძველესი წარმართული სალოცავის ქრისტიანულ სტილზე გადაკეთებული ნაგებობის ნაშთია. ეკლესიის ძველი, ოთხთაღიანი ნაგებობა შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ნოქალაქევის ეკლესიის ეზოში დაცული უძველესი სამლოცველო-სარიტუალო ნაგებობის მსგავსია. აგების სტილითა და თავისებურებით, ეტყობა, ისინი ერთ პერიოდს ეკუთვნიან. თვით სახელიც ჯეგემარიონი წარმომდგარია მითრას (მისრას) კულტიდან. შემდეგ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის სასვენ ადგილებად გადაუკეთებიათ.

ეკლესიის ეზოში დაკრძალულია საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი ადამიანი, გამოჩენილი მწერლის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის, შალვა დადიანის მამა – ნიკო დადიანი და მისი მეუღლე.

მითრას საკულტო ადგილები სხვაცაა სოფელში. აქვე არის ორი მისარონი. **კვირკვალიც** კი უძველესი „ნაოხვამუ“ და მითრას კულტის სარიტუალო კერად უნდა მივიჩნიოთ.

მეტად საინტერესო ძეგლია დავით ბატონიშვილის **ჯიხა** და სასახლის ნაშთები. ამასთანავე, ჯიხის ფერდობის კულტურულ ფენაში ანტიკური ხანის კერამიკული მასალა აიკრიფება.

კვაუთის გავლით ლეძაძამეზე გადადის **ჯვეში შარა** – ძველი გზა, რომელიც ქუთაისიდან ხონის გავლით, **ნაჯახაო-აბედათით**, აფხაზეთისაკენ მიემართებოდა.

### კიწია

სოფელი **კიწია** მდებარეობს მდ. ტეხურის მარჯვენა მხარეს, სოფ. თამაკონიდან 4 კმ-ზე. სოფლის ცენტრს **ეჭიეს** უწოდებენ. სახელწოდება წარმომდგარია საჭიადან, რაც **ჭიების** დასახლების უბანს ნიშნავს. დღეს აქ ჭისა და ჭიაიას არც ერთი გვარი არ სახლობს. ეს გვარი კოლხეთში უძველესია. იგი გვაროვნულ-თემური წყობილების დროიდან მომდინარეობს. ეს ადგილიც იმ უძველესი დროის ნასახლარად შეიძლება მივიჩნიოთ.

**ალერტის წმ. გიორგის ტაძარი. XVIII ს.**

კიწიის სასოფლო საბჭო ორი სოფლისაგან შედგება: **ნოღა** და **კიწია**. ნოღა უძველესი დროიდან ცნობილი ისტორიული ადგილია. აქ დღემდე კარგადაა დაცული რამდენიმე უძველესი წარმართული ტიპის „ნაოხვამუ“. მათ შორის აღსანიშნავია ამბაკო ბურდღუს ძე ხარებავას ეზოში არსებული უძველესი ნაგებობა. ეს ეზო მდებარეობს ნოღის ციხის ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე ახუთის მარცხენა სანაპიროზე, გაშლილ ჭალაში. „ნაოხვამუ“ ოდნავ მომაღლო ბორცვზეა გაშენებული. მას მთელი ეზოს გასწვრივ გასდევს მტკიცედ ნაგები გალავნის ცოკოლი (ალბათ, წელთა სიმრავლით მორღვეული. იგი აღმოსავლეთით თვით „ნაოხვამუს“ კედელს ეკვრის. აგებულია მასიური ქვებითა და შესანიშნავი უძველესი ხსნარით. დღეს მიწის ზედაპირზე დარჩენილი მისი ნაწილი ალაგ-ალაგ მეტრ-ნახევარია, ხოლო დასავლეთის კედლის სიმაღლე 4 მ-ს აღწევს. გალავნის ცოკოლი განიერ ლავგარდანად ეკვრის ამ კედელს. შენობას ერთ მხარეს კარი, ორ მხარეს კი ფანჯარა ჰქონია (ვარაუდით). „ნაოხვამუზე“ არსებობს გადმოცემა, თითქოს უძველეს დროში იგი აქ მოსახლე გვართა სალოცავი და ძირის (ჯინჯი) ხატი ყოფილა. უფრო დაწვრილებითი ცნობები მასზე ხალხის მეხსიერებას არ შემოუნახავს. გალავნის შიგნით და კედლებთან ახლაც პოულობენ ადამიანის ძვლებსა და კერამიკულ ნაკეთობათა ნაშთებს. შემდეგ, ალბათ, უფრო გვიან, ძი-

რის ხატი გადაუტანიათ ნოღის ციხის პირდაპირ, ამ ეზოს აღმოსავლეთით, მაღლობზე, რომელსაც დღესაც „**ჯეგევერდიშ ოხვამუს**“ ეძახიან.

ეს ეზო იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ 1955 წელს ამბაკო ხარებავამ „ნაოხვამუს“ ფერდობის ძირას, სადაც ნიადაგის ზემოთ მრავლადაა მოფენილი ადამიანის ძვლები და კერამიკულ ნაგებობათა ნამტვრევები, იპოვა მიწაში ჩაფლული ბრინჯაოს ზოდები. ეს ადგილი მდებარეობს სოფელ დოშაყესთან, „**ბახვაშ ნოხორის**“ (სახელია) მახლობლად. აქვე, მდ. ახუთის მარცხენა სანაპიროზე, სწორედ ამ ეზოს ქვეშ, ძევს ქვანახშირის სქელი ფენა. „ბახვაშ ნოხორი“ მეტალურგიული წარმოების საკმაოდ განვითარებული კერა ყოფილა. ასეთივე იყო **ჭკადუერიც**, მდ. ახუთის ჭალაზე მდებარე სოფელი. ამრიგად, საფიქრებელია, რომ ეს მიწაში ჩაფლული ბრინჯაოს მარაგი აღებული იყო წარმოების ამ კერიდან, ან შეიძლება ამ მდინარის მარცხენა სანაპიროზეც არსებობდა მეტალურგიული წარმოების მსგავსი კერა. ერთი კი ცხადია: ბრინჯაოს პერიოდში ეს ადგილი საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ამ ადგილებში ფართოდ განვითარებული ბრინჯაოს კულტურაც ჰყვაოდა ალბათ.

წარმართული ხის თაყვანისცემის დღემდე შემორჩენილი ნაშთია ალერტის ჭყონზე არსებული გადმოცემაც. **ალერტი** საკმაოდ ცნობილი რელიგიური კერა იყო დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორიც ილორი და სხვ. აქ მოდიოდა ადამიანი განსაკურნებლად, ბედის ამოსაცნობად, პატიების მისაღებად. აქ თავს იყრიდნენ მორწმუნენი, დიდებითა და პატივით ზეიმობდნენ ალერტობას (ალერტობა და ალერტი უძველესი ტერმინებია, ისინი ისტორიის ადრეული პერიოდიდან მომდინარეობენ).

ალერტს **ალავერდის** შემცირებულ ფორმად თვლის პროფ. ი. ყიფშიძე. იგი „მეგრული ენის გრამატიკაში“ წერს: „**ალავერდი**“ ან შემცირებული ფორმა **ალერტი**: ალავერდი, ალერტი სოფლის სახელწოდებაა სენაკის მაზრაში“. ალერტობა ან ალავერდობა სცოდნიათ სოფელ ონოღიასა და ვედიდკარში. აქ მდგარა ალერტის განსაკუთრებული სალოცავი, სადაც დანელიები და ხაინდრავები დღესასწაულს მართავდნენ. ეტყობა, ეს წარმართული რიტუალი, მისარონის მსგავსად, სამეგრელოს დიდ ნაწილში ყოფილა გავრცელებული. საყურადღებო ძეგლია ალერტის ეკლესიის ქვეშ და მის გარშემო არსებული უძველესი ნაგებობის ნანგრევები. ალერტის წმინდა გიორგის ეკლესიაც ძველი ნაგებობის საფუძველზეა დაშენებული. იგი XVIII საუკუნეზე ადრე არაა ნაგები. ეკლესია გუმბათიანია. ჩრდილოეთით, ეკლესიის წინ, თლილი ქვის ქვაფენილია, ხოლო ქვაფენილის გასწვრივ ძველი ნაგებობის ნაშთია შემორჩენილი.

ეკლესია საკმაოდ ვრცელია. იგი ფორმით ჯვრის მოყვანილობისაა. ოთხივე მხარეზე სწორკუთხა შვერილები აქვს. სამხრეთითა და დასავლე-

**ნოღის ციხე**

თით ეკლესიისთვის დაუტანებიათ კარი. სამხრეთით, კარის თავზე, არის ურჩხულთან მებრძოლი წმინდა გიორგის ბარელიეფური გამოსახულება. იგი მთლიანი ქვის ფილაზეა ამოჭრილი. წმინდანის გამოსახულება არაა მაღალი ოსტატობით შესრულებული. ბარელიეფს ირგვლივ შემოვლებული აქვს ფოთლოვანი ჩუქურთმა. სხვა დანარჩენი კარისა და სარკმელთა მორთულობა სადაა. საკურთხეველი გარედან სამ მრგვალ შვერილად არის აყვანილი. შვერილთა შორის კუთხოვანი ნიშებია. თითო შვერილში თითო სარკმელია დატანებული. შიგნით ეკლესიის კუთხის სვეტთა კამარით შეკრულია გვირგვინი, რომელზეც წამოდგმულია 6-ფანჯრიანი ვიწრო, მაღალი გუმბათი. შიგნით ეკლესია საკმაოდ ვრცელია – 159 მ. ფრესკები არაა კარგად დაცული. წმინდანთა გამოსახულებები შებღალულია.

ეკლესიის ეზოში არის სამსართულიანი ლამაზი სამრეკლო, რომელიც თლილი ქვისგანაა ნაგები. იგი დაშენებულია კოშკისმაგვარი ნაგებობის პიედესტალზე. ეტყობა, მანამდე ეს ნაგებობა სხვა მიზანს ემსახურებოდა. არის გადმოცემა, რომ სანამ ეკლესიას ააგებდნენ, აქ მცირე სამლოცველო მდგარა, ხოლო სამლოცველოს ეზოში იყო დიდი მუხა, რომელსაც თურმე უხსოვარი დროიდან სცემდა ხალხი თაყვანს.

ეს მუხა XIX საუკუნის დასაწყისამდეც კი მდგარა აქ, სანამ ბლაღოჩინ ბერიძეს იგი არ მოუჭრია და ამით ბოლო არ მოუღია წარმართული გავლენისათვის. ეს სარიტუალო კერა ამ წარმართულ ნიადაგზე არის წარმოშობილი.

ეკლესიის ეზოდან მნახველის თვალწინ საუცხოო სანახაობა იშლება: აქედან თავისუფლად ჩანს დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, მდინარეების – ტეხურისა და ცხენისწყლის ნაპირები; ჩანს აგრეთვე მდ. რიონის მიდამოებიც. ლამაზი, ბუნებრივი მდებარეობის გამო ამ ადგილს ბევრი ღირსება აქვს. ამიტომ იყო, რომ იგი საყოველთაოდ აღიარებულ და დაცულ საკულტო-სარიტუალო ადგილად ითვლებოდა ძველთაგანვე. დღესაც მრავალმხრივ საინტერესოა და, რა თქმა უნდა, მუზეუმი თავის საექსკურსიო მარშრუტებში ალერტსა და მის მიდამოებსაც ითვალისწინებს.

**ნოღის ციხეც**, რომელიც კიწიის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, მის დასავლეთ მხარეს, მაღალ, ვრცელ სერზე დგას, შედარებით კარგად დაცული ძეგლია. მას წრიული ფორმა აქვს. ციხე ორგალავნიანია. პირველი გალავნის სისქე 1 მ-ია, ხოლო სიმაღლე – 5 მ. გარეთა, ანუ პირველი გალავანი მხოლოდ ერთი კარით იღება. გალავნებს შორის სივრცე 2 მ-ია. შიდა გალავანს მხოლოდ ერთ მხარეს, დასავლეთით, აქვს შესასვლელი კარი, რომელიც მაღალი, სამსართულიანი კოშკის პირველ სართულში გადიოდა. დღეს ამ კოშკს მეორე და მესამე სართული მორღვეული აქვს. ციხის ოთხივე მხარეს, თვით შიდა გალავანზე, აღმართულია თითო მრგვალი კოშკი. კოშკები სამსართულიანია და ლამაზი ქონგურებით გვირგვინდება. მსგავსი ქონგურები გასდევს ორივე გალავანს ირგვლივ. შიდა გალავნის შიგნითა მხარეზე, ქონგურების ქვემოთ, სარბენები ყოფილა მოწყობილი, რასაც მოწმობს მისი სამაგრი ძელების ფოსოები, რომლებიც მთელ კედელს გასდევს ირგვლივ და უწყვეტ სარტყლად ეკვრის გალავანს.

ჩრდილოეთის კოშკი თავისებურია. ისიც სამსართულიანია, მაგრამ მისი პირველი სართული ყრუ კედლითაა ამოყვანილი. შიგნით ჩასასვლელი მხოლოდ მეორე სართულის იატაკიდან აქვს. ეტყობა, იგი დილეგის მოვალეობას ასრულებდა. ამ კოშკის მეორე სართულის კედელში დატანებულია ვიწრო კარი: კოშკი საყარაულო და საბრძოლო ნაგებობაა: მის კედლებზე მრავლადაა დატანებული სათოფურები და სამზერები.

აღმოსავლეთის კოშკის პირველი სართული ეკლესიად ყოფილა გამოყენებული. აქ დღეს შემორჩენილია კანკელის ნაწილი, ტრაპეზი და ნიშები ხატებისათვის. მეორე და მესამე სართულები აქაც სამხედრო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო.

სამხრეთის კოშკი სამსართულიანი, ოთხკუთხა ნაგებობაა. მისი კარ-ფანჯრების არშიები ლამაზი ჩარჩოთია გაფორმებული. ეტყობა, იგი საცხოვრებლად იყო გამოყენებული.

როგორც გადმოგვცემენ, სასახლე ხით ნაგები ყოფილა. ეზოში მრავლადაა ქვევრები. ციხე სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის კარგად დაცული საინტერესო ძეგლია.

„ნოღას ეს ციხე იყო სადადიანოს ცენტრში და ამ ციხეში უცხოვრიათ დადიანებს. ბოლო დროს ციხე ჰკუთვნებია ნიკო დადიანს. სოფ. ნოღას მცხოვრებლებს კარგად ახსოვთ, თუ რამდენი ტანჯვა-წამება განუცდიათ მათ წინაპრებს დადიანებისაგან“,[1] – წერს პროფ. ს. მაკალათია.

კიწიაში მეტად საინტერესო კარსტული გამოქვაბულებია, რომლებიც ქვითკირით პირაკრულნი, შუა საკუნეებში, შიშიანობის დროს, სახიზრად გამოუყენებიათ აქ მცხოვრებლებს. ამიტომ მათ **ნახიზურს** (სახიზარს) ხალხი დღესაც **ნათურქუს** ეძახის.

## დოშაყეს გამოქვაბული

ეს გამოქვაბული მდებარეობს ღრმა ხევში, სოფელ დოშაყეში. იგი გამოქვაბულიდან გამომდინარე პატარა ნაკადულს შეუქმნია ათასწლობით. გამოქვაბული 450 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონიდან. მისი შესავალი დარბაზი, პირველი ქვაბი, პირაკრულია ქვითკირით და სახიზრად გამოყენებული ადგილობრივ მკვიდრთა მიერ. ამ დარბაზს ორივე მხარეს ჩასდევს კედელში თაროს მსგავსად გამოთხრილი ჰორიზონტალური შვერილები. ჭერის სიმაღლე 3 მ-მდეა, ხოლო დარბაზის სიგანე 32 მ2-ს არ აღემატება. დარბაზის ცენტრში მოჩქეფს ნაკადული, რომელსაც წლების განმავლობაში ჩამოუზიდავს ქვიშისა და თიხის ნაშალი, რაც კედლის გასწვრივ მიულამავს და იატაკი დაუფარავს. ნაკადულის შიშველ ნაპირებზე შევნიშნეთ რიყის ქვის ტლანქი, წვეტებიანი ნაკეთობანი და ხელცულები, გულდასმით მოვსინჯეთ მთელი მისი ნაპირები და მრავალ საყურადღებო მასალას წავაწყდით: აქ არის ნახშირისა და ნაცრის ფენა, რომელშიც ტლანქად ნამუშევარ თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებიც კი მოიპოვება. შემდეგ მთის გულისაკენ ჰორიზონტალური ხაზით მიემართება გვირაბი, რომლის საშუალო სიგანე 1 მ-ს უდრის. მას მრავალი გასასვლელი აქვს და ყოველი გასასვლელისაკენ სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით მოჩუქურთმებული დარბაზები ხვდება ხოლმე კაცს. შესასვლელიდან კმ-ის შემდეგ არის ერთი მრგვალი ფორმის თაღოვანი ჭერის სრულიად მშრალი დარბაზი. ნაკადული აქ დარბაზს გვერდს უვლის და გვერდით მღვიმეში გაედინება. იქიდან კვლავ უხვევს და ისევ გვირაბით განაგრძობს დინებას შესასვლელისაკენ. ამ მრგვალი დარბაზის იატაკზე, რომელიც მოფენილია სტალაქტიდთა

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 166.

**სალხინოს ტაძარი. XVIII ს.**

ნამსხვრევებით, შეინიშნება მდიდარი კულტურული ფენა, ნახშირითა და ტლანქი კერამიკული ჭურჭლის მსხვილი ფრაგმენტებით. აქვე აიკრიფა ქვის ტლანქი იარაღებიც.

გამოქვაბული შედგება რამდენიმე მეტად საინტერესო ტალანისაგან, საიდანაც მრავალმხრივ მიემართება სხვადასხვა ზომის გვირაბთა ლაბირინთი. სამივე ქვაბი პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების უძველესი პერიოდის შესანიშნავი მოწმე უნდა იყოს. საფიქრებელია, ისინი ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის საცხოვრებლადაც მივიჩნიოთ.

## ნამკოლუ

სოფელი ნამკოლუ ძველთაგანვე ცნობილია კერამიკული წარმოებით. აქ ყოველ კოლმეურნეს დღესაც თავის საკარმიდამო ნაკვეთზე აქვს საკმაოდ მოზრდილი კერამიკული ქურა, სადაც ამზადებს ქვევრებს, ქოთნებს, კოკებს და სხვა მრავალგვარ ჭურჭელს, პირადი თუ საზოგადო მოხმარებისათვის. **ნამკოლუ** ნაკოლუსაგან, ნაკოლარი ადგილისაგან არის წარმომდგარი. **კოლო** წვრილი საოჯახო ჭურჭელია, ყელყარყარა დოქი, ხოლო ნამკოლუ ასეთი კოლოების დამზადების უძველესი კერაა. ამიტომ შემორჩა სოფელს ეს სახელწოდება დღემდე. კოლოების დამზადებაში დახელოვნებულ უძველეს გვარს **კოლუაც** კი შეარქვეს. ეს ხელობა მათ საერთო გვაროვნულ სახელად იქცა. ახლა იმასაც ამბობენ, რომ ადგილს ნაკოლუ კოლუების ნასახლარის მიხედვით შემორჩაო. პროფ. ს. მაკალა-

თია წერს: „სამეგრელოში ცნობილია სოფელი ნამიკოლუ, სადაც კეთდება კარგი ხარისხის თიხის ჭურჭელი. ამ სოფელში თიხის ჭურჭლის გაკეთებას დაახლოებით 200-მდე კომლი მისდევს და ხელოსნობა ოჯახში მემკვიდრეობით გადადის“[1].

ასე მემკვიდრეობით შემორჩენილი ეს დარგი დღესაც წამყვანად ითვლება. სამეგრელოს ბაზრებში თითქმის ყველგან შეხვდებით აქაური გლეხის მიერ დამზადებულ თიხის შესანიშნავ ჭურჭელს. ეს ამ მხარის სამეურნეო ღირსებაცაა.

**სალხინო. დადიანების მარანი**

## სალხინო

მდინარე ტეხურის პირას, ტეხურისა და მისი შენაკადი პატარა მდინარის – **წაჩხურუს** ათასწლოვან ნალექ ალუვიურ ველობზე (ეს ველი ლეცავესა და წაჩხურის მთიანი ფერდობებით ჯორწყუმდე ვრცელდება) გაშლილია სოფელი, რომელიც ოდესღაც დაბურული ყოფილა ჩვეულებრივი ხურმისა და ჭუტა ვაშლის შესანიშნავი, ნათელი ტყით. ხურმისა და ჭუტა ვაშლის ასწლოვან კორომებს შემოხვეული ჰქონია ოჯალეშისა და ხვანჭკარის ჯიშის ვაზი, ამიტომ სოფლის ცენტრს დღესაც უძველეს სახელწოდებას – **ოჯალეშს** უწოდებენ, ხოლო მის აღმოსავლეთით, გორაკებიან ზეგანს – **ხვანჭკირს**. დღეს მაღლარზე აქ არც ერთი ეს ჯიში არაა შემორჩენილი. დადიანის სიძემ, მიურატმა, მათ ნაცვლად ახალი ჯიშების დანერგვა ისურვა, მაგრამ ადგილობრივი განადგურდა, ვერც უცხომ იხარა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი, თუმცა დაბლარზე, მაგრამ მაინც, ოჯალეშის აღდგენა. სოფელს სამხრეთ-დასავლეთით მოუსვენარი, მუდამ ხმაურანი, მუდმივ მბორგავი მდ. ტეხური ჩამოუდის. იგი უხვია ძვირფასი თევზეულით, ხოლო მას შუაზე ყოფს და ტეხურს შეერთვის მოკლე, მაგრამ წყალუხვი და შესანიშნავი თვისებების მდინარე **წაჩხურუ**. წაჩხურუ წყარჩხურუს – „წყალცივს“ ნიშნავს. მართლაც, იგი ყინულის ნაჟურივით ცივია.

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 216.

ამიტომ მასში ბანაობას გაურბიან ხოლმე. აქ ოქროსფერფორეჯებიანი კალმახია, რომელსაც რბილი და უაღრესად სასიამოვნო ხორცი აქვს. ამ მხრივ ვერც ერთი სხვა მდინარის კალმახი ვერ შეედრება წაჩხურუსას. აქ, მთებში, მოსახლეობენ გულორდავები, ცაავები, თოდუები, რომლებიც უძველესი დროიდან მესაქონლეობას მისდევენ. აქაური ძროხისა და თხის ჯიში მთელ სამეგრელოში ცნობილი და აღიარებულია, ნიადაგიც ყოველმხრივ ნაყოფიერია. აქ უძველესი დროიდან მოჰყავთ ღომი, ჭადაჭადა, ხორბალი, ქერი, ჭვავი. მთებში მისდევენ მეფუტკრეობას, ჰაერიც თავისებურად რბილი და მუდმივ ზომიერია. ზამთარი ნაკლებად მკაცრი იცის, ზაფხული – სასიამოვნო, გრილი და ნიავიანი. ბუნებით ასე ყოველმხრივ შემკული ადგილი ადრიდანვე აურჩევიათ დადიანებს თავიანთ საზაფხულო საცხოვრისად – აგარაკად და რეზიდენციად. ამ სოფლის მთიან მხარეში, აბაშის ხეობის გადასახედზე მდგარა დადიანთა ციხე და სასახლე სახარია. ვახუშტი ამის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის: „ამაზედ არს **სახარია**, ციხე და სასახლე დადიანისა“[1]. შემდგომ ეს ადგილი მთლიანად მთავრის კუთვნილ სარეზიდენციო სოფლად გადაუქცევიათ და მისთვის თვალწარმტაცი მდებარეობის გამო „**სალხინო**“ უწოდებიათ. აქ XIX საუკუნის დასაწყისამდე მთავრის კარ-მიდამოს ცენტრში მხოლოდ ფიცრული ოდა-სახლები მდგარა. კარ-მიდამოს ყველაზე თვალსაჩინო ადგილას კაცია II დადიანს 1782 წელს ქვითკირისაგან ნაგები ლამაზი, უგუმბათო კარის ეკლესია აუგია. მის შიგნით, ჩრდილო-დასავლეთ სვეტზე, შემორჩენილია შემდეგი წარწერა: „ქრისტეს დედავ, მცირე წვლილს ვბედავ, შენს სახლად იძღვენ ეს ეკლესია, შენს მიერ შენდა გძღვნობ ვით შეგშვენდა, ჩემზე მხედველ ჰყავ ჩემი მესია, მე დადიანმან შენგან მოსავმან კაციამ გიგე სახლი ესია და მეუღლით და ძით მნათობთა მბაძით მრჩობლ სეფევა გვეც უმჯობესია“.

ეკლესია 16 მ სიგრძისა და 13 მ სიგანისაა. შიდა მოხატულობა არაა შემორჩენილი. სამხრეთის სვეტთან დარჩენილია შემოსასვლელი და მთავრისა და მისი მეუღლის ქვის სავარძელი. გარედან ეკლესია სწორკუთხა ნაგებობაა. ეკლესიას სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით კარი აქვს. დასავლეთით, ანუ მთავარი კარის თავზე, არის ვეებერთელა, ბარელიეფურად ამოკვეთილი ჯვარი, რომელიც შესანიშნავი ჩუქურთმითაა შემოსილი. შესანიშნავია კარისა და ფანჯრის არშიათა მორთულობა. სახურავი დაყრდნობილია სადა, მაგრამ ლამაზად გაფორმებულ კოზმიდზე. ჩრდილოეთ კარის თავზე ყოფილა მელნით შესრულებული ხუცური წარწერა, რომელიც ახლა ძალზე ცუდად იკითხება. ამ წარწერის

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 166.

ქვემოთ, ცენტრში, არის ამოხაზული ლამაზი გრეხილოვანი ნუსხახუცური სტრიქონი. წარწერა პალეოგრაფიულად ძალიან საინტერესოა. იგი ადრეულადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან კალიგრაფია და მართლწერა პროფესიონალის კვალს ტოვებს.

კარ-მიდამოს ეზოში შემორჩენილია კიდევ ორი მეტად საინტერესო ერთეული: **სასახლე** და **მარანი**. სასახლის ამ გეგმით მშენებლობა ჯერ კიდევ ლევან დადიანს დაუწყია. მისი მშენებლობის სტილი ფრანგულია, მთლიანი, განიერი, წინა აივნითა და გამოჩარხული ქვის ლამაზი მოაჯირით. უკან, მეორე სართულის გასწვრივ, ვრცელი მოედანია, ირგვლივ მოაჯირი აქვს შემოვლებული. სხვა დანარჩენი არქიტექტურული სახე სრულიად მოშლილი და შეცვლილია. პირველ სართულზე, ცენტრალურ ნაწილას, დიდი დაბრაზი ყოფილა – სალხინო დარბაზი, შუაში ვეებერთელა ჭურით, ირგვლივ მაგიდებითა და სავარძლებით. ჭურის თავზე ლამაზ სვეტებზე შემდგარი თაღოვანი ბალდახინი ყოფილა აღმართული. ქვედა სართულის შუაგულ ზოლში არის ჩატანებული უზარმაზარი ქვევრი, რომლის გარეშე შიგ ზოლში გაკეთებულია სალხინოდ გამზადებულ მუხის სვეტებზე აყვანილი ფანჩატური, ლამაზად მოქარგულის თაღით, სრულიად ამართლებს სასახლის წოდებას – „სალხინოს“,[1] – წერს ი. მეუნარგია. ამავე დარბაზის უკანა კედლის კუთხეში ყოფილა ვეებერთელა, ლამაზად გაფორმებული ბუხარი, რომლის ნიშზე ბახუსის შესანიშნავი ქანდაკება მდგარა. დარბაზის მთელი კედლები შემოსილი ყოფილა მუხისა და კაკლის ხის ფილებისაგან აწყობილი შესანიშნავი ჭრის პანელით. ხეზე კვეთის ასეთივე უბრწყინვალესი ნიმუშის კარები ჰქონია ყველა შესასვლელს. პანელით შემოსილი ყოფილა ოთახის თითოეული კედელი. ახლა სასახლეს აქედან მხოლოდ ერთი კარი აქვს შემორჩენილი. მთელი კარი ქართული ჩუქურთმითაა შემკული. მის ქვემოთ ოსტატურად ამოყვანილი სიცოცხლის ხის ქანდაკებაა.

ჟამთა ქარტეხილს გადარჩენილი მეორე შენობა ორსართულიანი მარანია. იგი სიგრძით 35 მ-ზე მეტია, განით – 10 მ-მდე. პირველ სართულზე, რომელიც წაჩხურუს გადასახედთანაა ამოყვანილი, სარდაფია ღვინოების შესანახად. მეორე სართული, კარ-მიდამოს ეზოს გასწვრივ, ყურძნის დასაწური და ღვინის დასაყენებელი სათავსოა. აქ დაწურული ღვინოები მილით სარდაფში ჩადიოდა. იქ კი ასკოკიან ქვევრებსა და კასრებში ისხმებოდა თურმე. ეს ნაგებობა შედარებით გვიანდელია.

ბუნების შესანიშნავი ძეგლია თვით კარ-მიდამოც: სასახლიდან ჩრდილოეთით, ჭიშკრისაკენ, თითქმის 200 მ-ის სიგრძეზე მიემართება ჭადრე-

[1] ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, გვ. 62.

**სალხინოს დადიანების სასახლე და ჭადრების ხეივანი**

ბისა და ბზის ორმაგი ხეივანი. ხეივანთა შორის არის ვრცელი მოედანი, რომელიც „ფიქრთ გასართველად“ და დროის გასატარებლად ჰქონიათ მთავრებს. მრავალგან არის მოწყობილი წყაროს წყლის ლამაზად ამოყვანილი თვალი. აქვე შემორჩენილია სასახლის წისქვილი, სადაც სასახლის მშენებელი გლეხები ფქვავდნენ. მათს საგზალსაც მინდი ედო, რაც გლეხთა უკმაყოფილებას იწვევდა. ამან თავის მხრივ დააჩქარა გლეხთა 1857 წლის მრისხანე ამბოხება.

ჭადრების შესანიშნავი ხეივანი მიდის 400 მ-ის სიგრძეზე, სოფლის ცენტრშიც და შესანიშნავ ჩრდილსა და დასასვენებელ ადგილს ქმნის. მრავალი უაღრესად საინტერესო და ლამაზი სანახაობა იშლება დამთვალიერებლის თვალწინ სოფელ სალხინოში. სოფლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, ზედ **ხირზენთან**, არის წაჩხურუს მთავარანგელოზის ეკლესია. ამ ეკლესიის დღეს არსებული ბაზილიკური შენობა შედარებით გვიან ნაგებია: იგი XVII საუკუნეზე ადრეული არ ჩანს, მაგრამ მის ეზოში და გალავანთან არის უძველესი ნაგებობის შესანიშნავი კვალი.

წაჩხურუ **მოსკე ღვთაების** უძველესი კულტურის შესანიშნავი კერაა. წაჩხურუში მოსკეს კულტი უძველესი დროიდან მომდინარეობს. მოსკე წარმართული სარწმუნოების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პატივსაცემი ღვთაება იყო მთელ წარმართულ სამყაროში. მას განსაკუთრებულ სალოცავს აღუმართავდნენ ხოლმე. ასეთი სალოცავები დიდხანს იყო შემორჩენილი აღმოსავლეთ საქართველოში, ხევსურეთსა და სვანეთშიც კი. „**მოსკე**“ – „**მეძევე**“, „**მეშვილე**“ – შვილის მომცემი, ნაყოფიერების, ოჯახის მფარველი ღვთაება იყო. არის გადმოცემა, რომ უშვილო ქალი ფეხშიშველი მივიდოდა მოსკეს ხატთან, მკერდს გადაიღეღდა, ხატის წინ დაემხობოდა, სანთელს დაუნთებდა და სთხოვდა შვილიანობას: „მოსკე პატონი, სკან მარდიში ღირს ქოპილი, ქომუჩ სქუა“ (მოსკე ბატონო, შენი მადლის ღირსი გამხადე, მომეცი შვილი) – შესთხოვდა იგი. „ბებიაჩემი გვიამბობდა, – იხსენებს 90 წლის სალომე ჯანჯღავა, – დიდხანს შვილი არ მყავდაო. ვიღაც მკითხავი ყოფილა ჩვენს სოფელში, იმისათვის უმკითხვინებიათ; მკითხავს უთქვამს, ვერცხლის აკვანი წაუღე მოსკე წაჩხურუს, წადი იქ, ილოცე და შვილი გაგიჩნდებაო. ჩვენს სოფელში ოქრომჭედელი იყო, ივანე კარტოზია, იმას გავაჭედვინეთ ვერცხლის პატარა აკვანი და წავედითო. იქ ჩემმა დედამთილმა, მაია გაგუხემ, წამიყვანა ფეხშიშველი. ლოცვით შევედით ეკლესიის ეზოში. შემდეგ მთელ ღამეს ხატს ვევედრებოდი. ასე ვათიე ღამე. რომ დავბრუნდი, შვილი გამიჩნდაო“.

წაჩხურუს დიდძალი თაყვანისმცემელი ჰყავდა. მის სალოცავად შორეული კუთხიდანაც მოდიოდა ხალხი. ქრისტიანული, ახალი ეკლესიის

აგებამდე აქ, როგორც ადგილზე არსებული მატერიალური კულტურის მასალათა განხილვის შედეგად დგინდება, შესანიშნავი წარმართული ტაძარი და ციხე-გალავანი ყოფილა აღმართული. ეკლესიის გალავანში კარი აღმოსავლეთითაა დატანებული. იგი ეკვდერით ყოფილა ჩაკეტილი. გალავნის სისქე 80 სმ-ს აღემატება. ეკვდერის ფართი 12 კვადრატულ მ-ზე მეტია. მას მაგარი, 80 სმ სისქის კედელი აკრავს. კედლებში ჩართულია მცირე ნიშები, სანთლისა და წმინდა ნაწილების ჩასაწყობად.

ეკლესიის ასეთი ძლიერი გალავნით დაცვა ნაკარნახევი იყო თავდაცვითი მიზნით. იგი სწორედ სალხინოს ჩრდილო-დასავლეთით, ტალერის ზემოთ მდებარეობს, უძველესი თავშესაფარი ადგილის – **ხირზენის** (სახიზრის) გადასახედთან. ხირზენის მისადგომებთან მოსული მტერი, წაჩხურუს ამ წმინდა ადგილსაც წაუბილწავს არ დატოვებდა. იძულებული იყვნენ, ეკლესია ძლიერი გალავნით გაემაგრებინათ. ეკლესიის კედლებზე ფრესკები ყველა არ არის შემონახული. რაც დაცულია (წმინდანთა გამოსახულებანი და სხვ.), ისიც მაინცდამაინც მაღალმხატვრული ღირებულებებით არ გამოირჩევა, გარედანაც ღარიბადაა გაფორმებული.

თავისი ისტორიული წარსულით მეტად საინტერესო უბანია **ჟინოთა**, რაც **ჟინანთართან** არის დაკავშირებული. „ხალხის წარმოდგენით, „ჟინანთარი“ უხილავი წმინდა ცეცხლის, წმინდა გენიის, წმინდა სულის სახით იყო წარმოდენილი. იგი ოჯახის კერაზე უჩინრად ზის და მას მფარველობს, იცავს ოჯახის შემადგენლობას შინ და გარეთ, ყოველგვარი ავი და ბოროტი სულისაგან. ხელს უწყობს შინაური პირუტყვის გამრავლებას და იცავს ამ პირუტყვს მტაცებელი მხეცებისა და ქურდებისაგანო“ – გადმოგვცემს გედეონ ხუხუნი. ეს იმდენად სახელგანთქმული ხატი ყოფილა, რომ სამეგრელოს ყველა სოფლიდან აქ მოდიოდნენ თურმე ამ ღვთაების პატივსაცემად. ჟინანთარი ცეცხლთაყვანისცემის თავისებური სახეა. იგი უძველესი, პირველყოფილი საზოგადოებიდან მომდინარეობს, – იმ დროიდან, როდესაც ადამიანები ცეცხლს ყველაზე წმინდა, ყველაზე მაღალ ღვთაებად თვლიდნენ. შემდეგ დიდხანს შემორჩა ეს კულტი ხალხს. ქრისტიანობამაც შეინარჩუნა იგი თავის ყაიდაზე, თავისი მოთხოვნილების საფუძველზე გადაკეთებული.

დადიანთა შესანიშნავი იალაღები იყო შეფენილი ასხის მთაზე. აქვე, ალპური ზონის ქვემოთ, წიწვიანი ტყის ზონაა გაშლილი. სალომე დადიანმა სწორედ აქ, დიდკარეს გადასახედთან, სანამ ალპური ველები დაიწყებოდეს, მშვენიერი წიწვიანი ტყის მცირე ტაფობზე (რომლის შუაგულში მთის ცივი წყაროს წყალი მოჩუხჩუხებს) ააგებინა ხის საკმაოდ მიმზიდველი სასახლე. აქ ივლისის თვეში ამოდიოდნენ თურმე სააგარაკოდ და გვიან აგვისტომდე ცხოვრობდნენ. „საზღვარგარეთიდან

**წაჩხურუს მთავარანგელოზთა ეკლესია**

ჩამოსული უცხოელები, – წერს გედეონ ხუხუნი თავის მოგონებაში, – განცვიფრებაში მოდიოდნენ, როცა ცოტა ხნით ესტუმრებოდნენ ასხის აგარაკს, იხიბლებოდნენ ჯერ ქვიბიის მთის ბუნების უხვი სიმდიდრით, შემდეგ კი ასხის საღი და ადამიანისათვის მარგებელი ჰაერით. ეს სააგარაკო სახლი ერთ ხანს არსებობდა, შემდეგ უყურადღებოდ დარჩა, მოუვლელობით დაინგრა. მასალები მწყემსებმა წაიღეს“.

მდ. წაჩხურის მარცხენა ნაპირას, ზედ ქვიბიის გზაზე, სალხინოს სასოფლო საბჭოს ცენტრიდან 7 კმ-ის დაშორებით (ზღვის დონიდან 500 მ, ხოლო წაჩხურისპირეთიდან 20 მ-ის სიმაღლეზე) არის მღვიმე. იგი შედგება ერთი ვრცელი დარბაზისაგან, რომლის საერთო ფართობი 91 $მ^2$-ია. მღვიმე ვიწრო გვირაბით ვრცელდება მთის გულისაკენ. გვირაბის პირი ამოქოლილია, ამიტომ მასში გასვლა შეუძლებელია. გვირაბის ჭერი ოვალური ფორმისაა. მისი წინა პირი ქვითკირის სქელი კედლით ყოფილა ამოქოლილი. დღეს მხოლოდ მისი ნანგრევებია შემორჩენილი. ქვაბის ჭერის სიმაღლე 8 მ-ს აღემატება. იგი მშრალია. აქ ნამდინარევი ან ნაკადულის კვალი არ შეინიშნება. იატაკის ორი კულტურული ფენა ერთმანეთისაგან სქელი, წითელი თიხის კაჟნარევი მასის ტკეპნილით გამოიყოფა. ზედა ფენა უფრო სქელია და შეიცავს მრავალფეროვან მასალას, სადაც ვიპოვეთ რუსუდანის მონეტა, რკინის შუბის პირები, ისრის წვერები, ნახშირისა და ნაცრის სქელი ფენა. ეტყობა, ეს შუა საუკუნეების კვალია, როცა ამ ქვაბს ხალხი სახიზრად იყენებდა ხოლმე. ქვედა ფენა, რომლის კულტურული ჩანართის სისქე 80 სმ-ს აღემატება, პალეოლითური მასალითაა მდიდარი. აქ აიკრიფა გამოქვაბულის დათ-

ვის ძვლები და ეშვები, ტლანქი ქვის წვეტიანები და ხელცულები, კაჟის ლამელები და ნუკლეუსები. ამ მასალებით დგინდება, რომ ეს ქვაბი ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის ერთ-ერთი საიმედო და ხანგრძლივი პერიოდის საცხოვრისი ყოფილა. ამასთან, იგი ბუნების შესანიშნავ ნიმუშსაც წარმოადგენს.

ისტორიული ძეგლებითა და სხვა ღირსშესანიშნაობებით ასე მდიდარი სოფელი გამოირჩეოდა სამეურნეო საქმიანობითა და კარგი ისტორიული ტრადიციითაც. აქ იყო მესაქონლეობა-მევენახეობის კერა. ხის ჯამ-ჭურჭლის დამზადებასაც მისდევდნენ.

ხის ჭამ-ჭურჭლეულის დამზადება, ხეზე კვეთა აქაური მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო. **ონისორე** და **ოქაბარკე** ამ წარმოების ძირითადი კერებია: აქ უძველესი დროიდან ჩვენი კუთხის მშრომელს მოწყობილი ჰქონდა ქაბარკა, ძემლარ-წკეპლარით. ხეს ამუშავებდა, მისგან საუკეთესო ჯამ-ჭურჭელს აკეთებდა, სახლის მოწყობილობას ახარატებდა. სოფელი სალხინო ასეთი წარმოებით დღემდე გამოირჩევა.

## კურზუ

სოფელი **კურზუ** სამეგრელოს მთაგრეხილის სამხრეთ შეფენაზე მდებარეობს. სოფელი გაშლილია მთის კალთების ბორცვიან ზეგანზე და მთის ფერდობებზე. იგი ბუნებრივი პირობებით ძალიან ლამაზი და მდიდარია. ოდესღაც აქ ხილისა და ვაზის შესანიშნავი დობილოები ყოფილა, ტყე – ნადირით სავსე, ხოლო ნიადაგი – ყოველმხრივ უხვი. აქ თესდნენ ხორბალს, ქერს, ღომს, ფეტვს. მოსახლეობა მეფუტკრეობას მისდევდა. ძირითად მოსაქმეობას მესაქონლეობა შეადგენდა. ზაფხულსა და შემოდგომაზე ეს სოფელი შესანიშნავი საცხოვრებელი და სააგარაკო ადგილია; მის მიდამოებში ზამთარ-ზაფხულ ნადირობენ. ამიტომ უძველესი დროიდან აქ მოსახლე მშრომელი კაცი ნადირობასაც მისდევს. იგი მრავალ საშუალებას იყენებს საამისოდ – წვრთნის და ამრავლებს მონადირე ძაღლებს. კურზუში ზამთარი რბილი, თუმცა თოვლიანი, მაგრამ ნაკლებად ქარიანი და სუსხიანი იცის. სოფელი, მიუხედავად იმისა, რომ ზღვის დონიდან 700 მ სიმაღლეზე მდებარეობს, მთების რკალშია მოქცეული და ძლიერი ქარებისაგან დაცულია. „სოფ. კურზუ იყო საბატონო და ეკუთვნოდა დადიანებს. ეს სოფელი მოთავსებულია ტეხურის ხეობის სათავეში და იგი მთიანი სამეგრელოს უკანასკნელი სოფელია. მოსახლეობა მისდევს მესქონლეობას“[1], – წერს პროფ. ს. მაკალათია.

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 240.

ასეთი მშვენიერი და მდიდარი სოფელი ადრიდანვე გახდა სამეგრელოს მთავართა და დიდებულთა სააგარაკო და სალხინო რეზიდენცია. მთავარი და მისი ოჯახის წევრები აქ მოსახლე გაბისონიებს ავალებდნენ სანადირო ძაღლების (კურზუს) მოშენებას. ისინი **კურზვალად** – მონადირე ძაღლთა მომშენებლად ითვლებიან. ამ ძაღლთა ბაგები და სანაშენო მეურნეობა ყოფილა მოწყობილი **რზენი კურზუს** ტერიტორიაზე. სოფელს ამიტომ შერჩენია სახელად მეგრულად მწევარ ძაღლთა აღმნიშვნელი სიტყვა.

ადრე მხოლოდ ხის ფიცრული ოდები ჰქონიათ **დოხორეს** ტერიტორიაზე დადიანებს. აქვე, დოხორეს მოედანზე, მაღალი, ათასწლოვანი ცაცხვი დგას, სადაც ჯირითი და ქვის მრგვალი ლოდის ტყორცნა სცოდნიათ. აქვეა კარის ეკლესიის ნანგრევებიც. კაცია დადიანს ძლიერ ჰყვარებია ეს სოფელი და ხშირად მთელ ზაფხულსა და შემოდგომასაც კი აქ ატარებდა თურმე. XVIII საუკუნეში დადიანებს აქ აუგიათ ქვითკირის ერთსართულიანი ლამაზი სასახლე, რომლის დიდი ნაწილი დღესაც შემორჩენილია. სასახლის სამხრეთ მხარეს გრძელი, 3 მ სიგანის აივანი აქვს. აივანი მიწას 80 სმ-ით არის დაშორებული, უკანა მხრიდან კი ქართული ე-ს ფორმა აქვს. სულ ხუთი ვრცელი ოთახისაგან შედგება. აღმოსავლეთის ორი ოთახი დღეს ჩამონგრეულია. შერჩენილია ცენტრალური, ვრცელი, 70 მ სიგანის დარბაზი, რომლის ბუხარი და ჭერი ორნამენტითაა მოჩუქურთმებული. დასავლეთ მხარეზე სასახლეს აქვს ორი ოთახი: ერთი, წინა ოთახი, საცხოვრებელია, ხოლო უკანა ოთახი დილეგის პირველ სართულს წარმოადგენს. დილეგს ამ ოთახიდან და გვერდითა (აღმოსავლეთის) მხრიდან აქვს მთლიანი ხისაგან დამზადებული ვიწრო კარები. 5 მ სიმაღლეზე დატანებულია ვიწრო სარკმლები. ზემოთ, ეტყობა, მეორე სართულიც იყო, ალბათ, სამხედრო დანიშნულებისა. დღეს მეორე სართული მორღვეული აქვს და ერთიანი სახურავის ქვეშაა მოქცეული. ეს სასახლე მეგრელ ფეოდალთა სასახლეებს შორის ერთ-ერთი დამახასიათებელი და დღემდე შემონახული ერთეულია, ამიტომ მისი დაცვაც საჭიროა.

მაღლობზე, ნადოხორუზე, სადაც დღეს თევდორე კენჭაძის სამოსახლოა, გიორგი დადიანის – მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – კარ-მიდამო ყოფილა. დღეს აქ არაფერია დაცული, გარდა მცირე გვაროვნული სასაფლაოსი, სადაც გიორგი და მისი მეუღლე დაუმარხავთ. ეს ადგილიც ისტორიული თვალსაზრისით საყურადღებოა.

სოფელ კურზუს სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, გოდოგნისა და დღვანის ბორცვებზე, ორი საინტერესო ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი. ეკლესიები ოთხკუთხა ნაგებობანია, გარედან შესანიშნავად გაფორმებუ-

ლი. კარებისა და ფანჯრის არშიები ჩუქურთმათა წნულითაა შემოსილი. ისინი XVIII საუკუნეზე გვიან არ უნდა იყოს ნაგები.

საყურადღებოა აგრეთვე საკულტო ადგილი – **ქეჯვარი** სანაჭყეპიოში. იგი ნაჭყეპიათა სალოცავი ადგილია. აქ ოდესღაც ქვის ჯვარი მდგარა და მას თაყვანს სცემდა ხალხი. გადმოცემით, უხსოვარ დროში აქ მდგარა დიდი მუხის ხე, რომელსაც ღვთიურ ძალას მიაწერდნენ და თაყვანს სცემდნენ. ამ ხის დაცემის შემდეგ ხისავე ძელი აღუმართავთ და მასთან ქრისტიანული ქვის ჯვარიც დაუდგამთ. აქ, ამ ძეგლთან, უხსოვარი დროიდან ხარს კლავდნენ მლოცველები და დაკლული საქონლის ხორცს ინაწილებდნენ. რაც უნდა ცუდი ნაწილი რგებოდა, მლოცველი ბედნიერად თვლიდა თავს, როცა მას მიიღებდა. ოჯახის ყველა წევრი თანაბრად ჭამდა ხორცის ამ ნაჭერს: ეს სავალდებულო იყო. აქ ხის თაყვანისცემასთან და მისადმი ხარის მსხვერპლად შეწირვის უძველეს წარმართულ ტრადიციასთან გვაქვს საქმე.

საოხვამურო ადგილები თავის კარ-მიდამოშიც ჰქონდა ამა თუ იმ მოსახლეს. ეს მისი ფუძის სალოცავი იყო. გვიან ასეთ საოხვამუროსთან რამდენიმე ოჯახი იკრიბებოდა. ეს იმიტომ, რომ თავდაპირველად საოხვამურო ერთ დიდ, დედაოჯახს ეკუთვნოდა. დრო გავიდა, ოჯახი ქვეოჯახებად, ანუ შტოებად დაიყო. წარმოიქმნა თური და დინო, ე. ი. ერთი პაპისაგან (დიდი პაპისაგან), ერთი დედაოჯახისაგან მომდინარე რამდენიმე ოჯახი, რომელმაც ერთი **დინო** შეადგინა. ფუძის საოხვამურო ერთ ადგილას, იმ დედაოჯახში დარჩა, ვისი კუთვნილებაც იყო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **თური** და **დინო** ერთი და იგივე როდია. **თური** გვარია საერთო მცნებით, **დინო** კი ამ გვარის ერთი სისხლითნათესაური შტოა. თურს საერთო შორეული ნათესაობა და საერთო გვარი აკავშირებს. ამასთან, თურს საერთო საოხვამურო, მთელი თურის საოხვამურო **ჯინჯიში ხატი** – ძირის ხატი აქვს. მაგ., ჯანაშიებს ერთი სალოცავი ჰქონდათ. აფხაზეთში გადასული ჯანაშიებიც კი ჩამოდიოდნენ და აქ ლოცულობდნენ ხოლმე. საგვარეულო „ჯინჯიში“ პატონი უფრო შორეული და საერთოა; ისინი უფრო ხშირად ეკლესიებთანაა. რადგან ეს საოხვამურები უძველესია, მათზეა ქრისტიანული ეკლესიები დაფუძნებული. ამიტომ გვარის ეს უძველესი და საერთო ძირის ხატი ამ ეკლესიასთან შემორჩა. მაგალითად, ჯაშიებს მარტვილის ეკლესიასთან ჰქონდათ თავიანთი ძირის სალოცავი. ჭიათურაში მოსახლე ჯაშიებსა და ჯაიანებს ძირის ხატის მოსალოცავად აქ უვლიათ.

## გოკირილი და დგომი

მდ. ტეხურის ხეობის ყველაზე ვიწრო ყელი დობერარზენის ზემოთ, **ნათურქუ ჯიხის** იქით, კრავს ლებარდესაკენ მიმავალ გზას. ამიტომ სწორედ აქ, ამ ვიწრო ყელთან, ქვითკირის მაღალი კედლით შეუკრავთ ოდესღაც ჩვენს წინაპრებს ეს ხეობა და აქედან მაღლა, რამდენიმე კმ-ზე, გაუჭიმავთ ქვითკირის ხერგილი, ქვითკირის გალავანი. ამ სიმაგრეს დღესაც ხალხი **გოკირილის** – შეკრულს ეძახის. ამ სიმაგრის მიღმა გახიზნული ხალხი იმედიანად იყო, მას მტრის თავდასხმის შიში არ ჰქონდა.

გოკირილის იქით, 2 კმ-ზე, მთაში, გალავნის უწყვეტი ჯაჭვია აგებული. იგი მეორე მტკიცე სალტეს კრავს იმ ადგილას. გალავანში მრავლადაა ჩართული ოთხკუთხა, ორსართულიანი, ნათალი ქვით ნაგები შესანიშნავი ციხე-კოშკები. ამ ადგილებს **დგომს** ეძახიან, ე. ი. ნადგომ, ნაბანაკარ ადგილს და დღემდე პატივისცემით ახსენებენ; აღნიშნავენ, რომ იგი ხირზენია (სახიზარია).

ასე ყოფილა ოდითგანვე ნაბიჯ-ნაბიჯ ციხე-კოშკებითა და თავდაცვითი ზღუდეებით გამაგრებული ქართული მიწის ყოველი მტკაველი; ეს სიმაგრეები, სტრატეგიული ნაგებობანი თვალსაჩინოდ გვიმოწმებს ჩვენი ხალხის მუდმივ შიშიან, მტერმრავალ, სისხლის წვიმებით დაქუფრულ წარსულს, ჩვენი ხალხის გმირულ შემართებას გადამთიელ მოძალადეებთან ბრძოლაში, მის უკვდავ სულსა და გამარჯვების დიად რწმენას.

ეს მხარე სამეურნეო საქმიანობით უხსოვარი დროიდანვე დაწინაურდა; კოლხეთი იყო სელის ტილოს მიმწოდებელი მაშინდელი მსოფლიოს ყველა ბაზრისათვის ჩვ. წ. V საუკუნეშიც კი; აქაური თაფლი და ღვინო ხომ მაშინდელ კულტურულ აღმოსავლეთში უაღრესად სახელმოხვეჭილი ჩანს. აქ თურმე სტრაბონის დროს გემთმშენებლობისათვის საჭირო ყველა მასალა უხვად მოიპოვებოდა; აქაური ხელოსნური ნაწარმი, ფოლადი, რკინა, ბრინჯაოსა და თიხის ნაკეთობანი ყველგან დიდ აღტაცებასა და მოწონებას იმსახურებდა. იმ დროიდან მოყოლებული კოლხეთი სამეურნეო საქმიანობის ამ ტრადიციას ბოლომდე წარმატებით ინარჩუნებდა. აბაშისა და ტეხურის აუზში რკინისა და ბრინჯაოს წარმოება ნეოლითურ ეპოქაშია ჩასახული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითქმის ყველა პრეისტორიულ ფენაში ვპოულობთ ამის დამადასტურებელ უამრავ მასალას.

საინტერესო არქიტექტურული ძეგლი იდგა **ლებარდეშიც**. იგი სამი მხრით სწორკუთხა კედლით იყო ნაგები, ხოლო აღმოსავლეთით საკურთხევლის მხარე რკალური ფორმისაა. ეს საინტერესო ბაზილიკა აუშენებიათ ადგილობრივი ტუფის ქვით. იგი გარედან შესანიშნა-

ვი ბარელიეფური გამოსახულებით შეუმკიათ. გადახურული ყოფილა თაღოვანი სახურავით; კარისა და ფანჯრის არშიები კი – შესანიშნავი ქართული ორნამენტით შემკული. ეს მცირე ზომის, მაგრამ მეტად საინტერესო არქიტექტურული ძეგლი, რომელიც XVII საუკუნეზე ადრეულად არ შეიძლება მივიჩნიოთ, დაანგრიეს 1955 წელს, დასასვენებელი სახლის აგებისას! აქ, ამ ძეგლის არსებობის დამადასტურებლად მხოლოდ რამდენიმე ლამაზად გაფორმებული ქვაა შემორჩენილი. ეს ძეგლი ადასტურებს, რომ XVII საუკუნეში აქ, კერძოდ, **დვირა-ლებარდეს** ზონაში, ყოფილა მოსახლეობა, რომელსაც ჰქონია თავისი მაღალმხატვრული გემოვნებით აშენებული საკულტო-სარიტუალო ნაგებობანი.

ანტიკური ხანის მოწმეა ძველი გზა **პუმპუას**, ანუ **ბუმბუას** ხიდიდან (ცხენისწყალზე, სოფელ ხიდსთან) საჩიქვანოთი, ტაბაკელას მთით, ანდა გორდი-კინჩხით, ასხისა და კემლაკეისრის გავლით, სვანეთისაკენ. ამ ხაზით შედარებით ადვილად ვუკავშირდებით მაღალმთიან ზონას და ლებარდეს გადასასვლელით – ქვემო სვანეთსაც. სწორედ ქვემო სვანეთის გადასახედთან არის პუნქტი **კემლაკეისარი**. აქ დღეს ციხე-სიმაგრის მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევებიღაა. ეტყობა, ძალიან დიდი ხნის წინანდელი სიმაგრეა. ხალხის გადმოცემა მის აშენებას რომაელ სარდალს მიაწერს. რომაელი სარდალი აქ დამდგარა, თავისი სიმაგრე აუგია და აქედან შიშის ზარი დაუცია სვანეთისათვისო. რამდენად სწორია ეს გადმოცემა, ჩვენ არ ვიცით, ერთი კი უდავოა: სიმაგრეს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რათა ამ გზით მოსული ლაშქარი შეეჩერებინა. ეს გზა რომ არსებობდა და იგი საქართველოში მოლაშქრე ბარბაროსთა მუდმივ სტრატეგიულ ხაზს წარმოადგენდა, ადასტურებს ასხის მთაზე, ზედ ცაგერის გადასახედთან, **არაბებიშ ნაკარუს** არსებობა. აქ დიდი ციხე-სიმაგრის ნაშთია შემორჩენილი. ხალხი მის აგებას არაბებს მიაწერს. აქ მდგარა არაბთა ლაშქარი და ამ გზის ბატონ-პატრონი გამხდარაო, – გვარწმუნებენ გადმოცემები. ამრიგად, ეს გზა დიდხანს, ელინისტური ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული საფორტიფიკაციო ხაზი ყოფილა. უქიმერიონის ციხით შეკრულ რაჭა-ლეჩხუმის გზას სწორედ ეს ხაზი შეცვლიდა.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ მკითხველისთვის, ყველა დაინტერესებული პირისთვის, მოკლედ მოგვეთხრო ამ კუთხის ისტორია, ყოფა-ცხოვრება და კულტურულ-ეკონომიკური ვითარება. რასაკვირველია, ყველაფერი ეს მეტად ზოგად, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც საყურადღებო მასალას მიაწვდის დამთვალიერებელს და მოგზაურს აბაშა-ტეხურის ხეობის მოსახლეობის ეკონომიკასა და კულტურაზე. ამით ჩვენი ნარკვევის მიზანიც ნაწილობრივ მიღწეული იქნება.

## ვინ იყო გიორგი ჭყონდიდელი*

საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის პერიოდში, ამ სახელმწიფოს შემქმნელის – დავით IV აღმაშენებლის აღმზრდელი, თანამოღვაწე და ამ პერიოდის ყველა უპირველესი ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის ინიციატორი და მოთავე გიორგი ხუცეს-მონაზონი, მოგვიანებით – გიორგი ჭყონდიდელი, ვაზირთუპირველესი, ძალიან საყურადღებო ისტორიისა და ბიოგრაფიის ადამიანი უნდა ყოფილიყო. იგი ქრონიკებში დიდად განსწავლულ პირად ჩანს. ადრიდანვე, სიყმაწვილის ხანიდან, განათლებას, სწავლას მოწყურებულ და დაწაფებულ ყმაწვილად გვევლინება. ასეთი სულისკვეთება მხოლოდ საკმაოდ განათლებულმა და შეძლებულმა, საყოველთაოდ აღიარებულმა ოჯახმა ჩაუნერგა ალბათ ყმაწვილს, სადაც ყველაფერი განათლების, სწავლის, სიბრძნისმოყვარეობის პრიმატზე მიუთითებდა. რიგითი, ჩვეულებრივი მოქალაქის, მეომრისა და მეურნის მდაბიო ოჯახისაგან განსხვავებით, აქ გაბატონებული ცოდნისმოყვარეობის სულისკვეთება კარისკაცის თუ ერისმთავრის ტიტულისაკენ მისწრაფებას ანელებდა და განათლებას, სიბრძნისმეტყველებას და რწმენისადმი ერთგულების სულისკვეთებას ნერგავდა აქეთკენ მიდრეკილებით გამორჩეულ ყმაწვილში.

მომავალი წმინდანი, ალბათ, ამ სულისკვეთებამ მოიცვა, აღიტაცა და თავდადებით შეუდგა თავისი მიზნის, რწმენისადმი სამსახურის თავდადებისაკენ სვლას. სულმა ხორცი დაჯაბნა მასში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაწყებული გიორგი ხუცეს-მონაზვნით, გიორგი ჭყონდიდელით დამთავრებული, ერთი პიროვნების განათლებისა და სრულყოფილების ეტაპები უნდა იყოს.

ეს ყმაწვილი, თავიდანვე ცოდნას დაწაფებული, წმინდა მოღვაწეთა, განათლებული სასულიერო თუ საერო აზრისა და სწავლების დიდად მოთაყვანეა. რადგან ასეა, იგი თავიდანვე, სინორჩის ხანიდან უნდა დამოწაფებოდა ცნობილ სწავლულებს, საგანმანათლებლო და სარწმუნოებრივი ღვაწლის ქურუმებს.

ამრიგად, ჩვენი აზრით, მაშინდელ პირობებში ასე თავმდაბალი, ცოდნის წყურვილით ანთებული ყმაწვილი მხოლოდ დიდკაცთა წრიდან გამოსული პირი უნდა იყოს. იგი ქრისტეს სჯულის სიკეთის, მისი სწავლების გამავრცელებელთა, დიდ სწავლულთა წიგნებს და სწავლებას სიყრმი-

* გ. ელიავა, კრებული „ეტიუდები“. ქუთ., 1992.

დან ოჯახში უნდა გაეტაცებინა, დაევიწყებინა მისთვის საერო სწრაფვანი და თავი გადაედო ცოდნის შეძენისათვის, სასულიერო სამსახურისათვის. იგი, ეტყობა, წმინდა მოღვაწეთა სასულიერო გზასა და ღვაწლს ირჩევდა და მიჰყვებოდა მათ, ემსახურებოდა და სწავლობდა მათგან. ეს აზრი ეფუძნება ერთ უდავო ჭეშმარიტებას, რომ ასე განსწავლული და ამხელა უნარისა და გამოცდილების აღმზრდელი დიდი ბიოგრაფიის გარეშე არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ აზრმა გვაიძულა, ამ მხრივ არსებული საისტორიო მონაცემებისათვის თვალყური მიგვედევნებინა და თანმიმდევრობით გვევარაუდა მომავალი წმინდანის სრულყოფილების დიდებული გზა.

ამ გზის დასაწყისად მიგვაჩნია გელათში დაცულ ტყავის წიგნში არსებული მათეს სახარების ბოლო მინაწერი: „დაიწერა ხელითა გიორგი მწირველისითა“[1]. იგი შესრულებულია 1050 წელს. ეს გიორგი მწირველი, რიგითი მსახური, წიგნის გადაწერასა და წყაროებს დაწაფებულ მორჩილად გვევლინება. აქვე მითითებულია: „ოდეს იერუსალიმს წავიდოდეთ“[2]. ამრიგად, ეს მოგზაურობა, ცნობილ მღვდელმსახურთა მეთაურობით, საკმაოდ გააზრებული და მომზადებულიც ჩანს. აქ პირველად მოხსენებული გიორგი მწირველი იქნებ ჩვენთვის საინტერესო პირადაც ჩაითვალოს. ეს უნდა იყოს მისი ბიოგრაფიის პირველი ფურცელი[3].

თუ იგი უბრალო, მდაბიური წარმოშობისაა, ასე უცბად მწირველის ან კიდევ წიგნის გადამწერის რთულ საქმეს დაუფლებული ვერ იქნებოდა, ვერც მსახურად დაემგზავრებოდა წმინდა მამებს იერუსალიმში. და თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ეს მწირველი და მსახური, სადღაც 1030-1035 წლებს შორის უნდა იყოს დაბადებული. ეს ყმაწვილობის ასაკი მისი რიგითი მსახურების, მოსწავლეობის იქით ვერ გავრცელდებოდა და თუ ეს ასეა, მაშინ იქნებ გამართლდეს მისი ყმაწვილობისდროინდელი რუდუნებითი ღვაწლიც.

ჩვენთვის ერთი საყურადღებო ცნობაა ალავერდის სახარების კაცხიდან მოტანილი ეგზემპლარის ბოლო მინაწერი. ეს მინაწერი ეკუთვნის 1051 წელს. იქ ლუკას სახარების ბოლოს წერია: „განსრულდა... ხელითა ფრიად ცოდვილისა გიორგისითა“... და შემდგომ გიორგის წარმომავლობის მიმანიშნებელ წარწერად შეიძლება მივიღოთ აქვე, იოანეს

---

[1] თ. ჟორდანია, „ქრონიკები“, I, ტფ., 1892, გვ. 192.

[2] იქვე, გვ. 192.

[3] თუმცა ჩვენ ვითვალისწინებთ გიორგის სახელის მრავალჯერ მოხსენების ფაქტს „ქრონიკებში“, და ყველა მათგანი არ მიგვაჩნია ერთდაიგივედ. ჩვენი ვარაუდით, გიორგი მწირველით იწყება ბიოგრაფია, რომელსაც ბოლომდე ვადევნებთ თვალს. ეს ჩვენი ვარაუდი, ვფიქრობთ, საფუძვლიანია, თუმცა არ უარყოფს საწინააღმდეგო აზრისა და მტკიცების შესაძლებლობას.

თავის დასასრულს დატანილი მინაწერი: „მე უღირსი სვიმონ და შვილნი ჩვენი გიორგი და დიმიტრი და გრიგოლი“.[1] ამ მინაწერში გიორგი იქნებ ის მწირველია. მაშინ სვიმონის ვაჟიშვილი გიორგი ამ დიდებული ოჯახის მემკვიდრედ ჩანს. იგი ერთ-ერთი ცნობილი პირი უნდა იყოს. იქნებ ეს ბედიანთა ცნობილი გვარის შვილია – ბედიანთა დინასტიის მემკვიდრეა და, ამდენად, იქნებ სამეფო კართან ნათესაობით იყოს დაკავშირებული. ეს პიროვნებები ახლოს ყოფილან წმ. ექვთიმე მთაწმინდელთან და მისი შრომების გადაწერის მეთაურნიც იყვნენ. 1060 წლის ტყავის სახარებაზე, იოანეს სახარების დასასრულს აქვს ასეთი მინაწერი: „და თუ რაიმე გაშუენდეს ჩვენში ყოველნი სახარებანი პირველითგან  წმინდად თარგმნილ არს და კეთილად ხანმეტიცა და საბაწმინდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღთისთუის ერთმანეთსა ნუ გარევთ და გლახაკისა გიორგისათუის ლოცვა ყავით“.[2] ეტყობა ეს წიგნიც გიორგი ხუცეს-მონაზვნის მიერაა გადაწერილი. ასევე წერია ბრეთის ტყავის სახარებაზე. აქაც იგივე სათხოვარია. აქ ითხოვენ, რომ საბასწმინდასა და ხანმეტნში გადაწერილი ხელნაწერი დაიცვან და გლახაკ გიორგის სცენ პატივი.[3]

ასევე სატფურების ეკლესიის სახარებაც გიორგის გადაწერილი ჩანს. მას ასეთი მინაწერი აქვს: „ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთვის. რნ წმინდა ესე სახარება ვთარგმნე“.

„ქე დიდებულ ყავ სული ნეტარისა წ-ის მამისა ჩუენის გიორგი მთაწმინდელისა ა. ნ.“.[4]

ღირსი გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ჩამოსვლისთანავე, 1058 წელს დაუკავშირდა გიორგი მონაზონს. იგი იყო მისი მთარგმნელი, მსახური, ბიოგრაფი. ქვათახევის სამოციქულო (1083 წ.) გადაწერილია გიორგი ათონელის ხელნაწერიდან და ერთადერთს წარმოადგენს. თ. ჟორდანია მიუთითებს, რომ „ეს ხელნაწერი მით უფრო სანდოა და ძვირფასი, რომ იგი, სიძველის გარდა, თვით გიორგი ათონელის სამოციქულოდან არის გადაწერილი ამავე გიორგი მონაზვნისაგან, რომელიც მუდამ თან ახლდა წმინდა მთარგმნელს და რომლის ცხოვრებაც აღწერა“[5]. ეს წარწერა აქვე დამოწმებულია: „წმინდანო მამანო, ეს წმინდა წიგნი და ყოვლისა სოფლისა მოძღუარი მე გლახაკი გიორგი ხუცეს მონაზონმან

[1] იქვე, გვ. 203.
[2] იქვე, გვ. 207.
[3] იქვე, გვ. 207.
[4] იქვე, გვ. 207.
[5] ქრონიკები, 1, გვ. 230.

ვთარგმნე მთაწმინდის სულიერის მოძღვარისა ჩემისა გიორგის ბრძანებითა და მადლითა“.[1]

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ გიორგი მთაწმინდელის ჭყონდიდში მობრძანებამ კიდევ უფრო გააღრმავა მათი კავშირი. თედო ჟორდანია წერს: „მეფე რომ იმერეთს გადავიდა, გიორგი მთაწმინდელი ჭყონდიდში დარჩა“[2]. ჭყონდიდში იგი თავის ბიოგრაფთან ერთად იყო. გიორგი ხუცეს-მონაზონი სიცოცხლის ბოლომდე რჩება გიორგი მთაწმინდელის მსახურად და მხლებლად. გიორგი არ რჩება ჭყონდიდში და მისი ბიოგრაფიც თან მოჰყება მას. და რჩება მასთან სიცოცხლის ბოლომდე – 1065 წლამდე.

გიორგი მონაზონი წერს: „რომელი ესე მისივე მადლითა აღვსწერე სამოძღურებლად, საწვრთნელად და გასანათლებლად დაბნეულისა სულისა ჩემისა, მე უღირსმან გიორგი მონაზონმან ღირსისა და წმინდისა მამათ-მამისა გიორგი მთაწმინდელისა თვალთ მხილველმან და ხელთ მსახურმან და მოწაფემან ჟამთა მათ ჭირისა და იწროებისათა დევნილებისა და ტყუეობისათა, ოხრებისა და სიკუდილისათა. ოდეს სრულიად დაოხრდა ზეგარდმო სამცხე თუნიერ რაიმე ნეშტისა, რომელნი სიმაგრეთა შინა დაშთეს იგიცა სალმობიერნი და ურვეულნი“.

ამრიგად, გიორგი ხუცეს-მონაზონი არის მხლებელი, მსახური და თანამოღვაწე გიორგი მთაწმინდელისა. იგი მის მოსწავლედ თვლის თავს. ამ მძიმე დროს, როცა მთელი სამცხე და, მოგვიანებით, სრულიად საქართველო ააოხრეს თურქ-სულჯუკებმა, იგი, ალბათ ამ ხანის მოწმე, ტყვეობისა და დევნის ობიექტიც იყო თავისი ხალხის ამ საშინელი უბედურებისას. მთელი განსაცდელი და სიმძიმე თავის თავზე გამოსცადა, მაგრამ ქრისტიანულ მრწამსზე ხელი არ აუღია. ეს ჯერ კიდევ სრულიად საქართველოს მოოხრებას, „დიდ თურქობას“ უსწრებდა წინ. ამ დროს მათი თავდასხმის ობიექტი იყო სამცხე, სადაც გიორგი ხუცეს-მონაზონი თან ახლდა გიორგი მთაწმინდელს.

თედო ჟორდანიას მოსაზრება, რომ რუის-ურბნისის კრების მონაწილე, კრების თვალი გიორგი-ხუცეს მონაზონი სხვა პირი იყო და არა გიორგი ჭყონდიდელი, საფუძვლიანად უარყოფილია. საქართველოს ისტორიის დიდ მკვლევართა აზრი ამ პირთა იდენტურობას აცხადებს (ბატონები: ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, რ. მეტრეველი, მ. ლორთქიფანიძე და სხვანი). საფუძვლიანი ჩანს ჩვენი ვარაუდი, რომ „მწირველიდან“ მოყოლებული, გიორგი მონაზონი და გიორგი ხუცეს-მონაზონი ერთი ადამიანის საეკლესიო იერარქიის სხვადასხვა საფეხურია.

---

[1] იქვე, გვ. 230-231.

[2] საეკლესიო მუზეუმი, №170, გვ. 343; „სამოთხე“, გვ. 466; თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, გვ. 97.

ასე მოვიდა იგი რუის-ურბნისის კრებამდე და ასე იყო გარდაცვალებამდე (1118 წ.). ბატონი თედო ჟორდანია წერდა: „თვალად წმინდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა“[1]. აქ ამ იდენტურობაში ეჭვია გამოთქმული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს იდენტურობა მეცნიერულ ლიტერატურაში დადასტურებულია. აკადემიკოსი როინ მეტრეველი აღნიშნავს, რომ „საეკლესიო კრების აქტიური მონაწილე ჩანს დავით აღმაშენებლის მწიგნობართუხუცესი გიორგი მონაზონი. იგი „ძეგლისწერაში“ კრების თვალად არის მოხსენიებული: „ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თვალად წმინდისა ამის კრებისა (ხაზგასმა ჩემია – რ. მ.). ცნობილისა გიორგი მონაზვნისა და მწიგნობართ-უხუცესისა-მრავალმცა“[2].

დავითგარეჯის წიგნსაცავში დაცულ ტყავის წიგნს წარწერა აქვს, სადაც მოხსენებულია იოანე ჭყონდიდელი მღვდელმთავარი[3] ათონის აღაპებში[4]. იოანე იყო ბედიელი მთავარეპისკოპოსი. იგი მხლებლად ახლდა მართა ბაგრატის ასულს ბიზანტიაში. იოანე 1085 წლის ახლო ხანებში გახდა ჭყონდიდელი. თედო ჟორდანია წერს: იოანე უნდა იყოს „წინამოადგილე გიორგი ჭყონდიდელისა, მწიგნობართუხუცესისა“[5]. უდავოა, გვიან და შემდეგ მწიგნობართუხუცესი, ჭყონდიდელი გახდა გიორგი ხუცეს-მონაზონი.

ეს დიდად განათლებული პირი, ეტყობა, ჭყონდიდში მოღვაწეობს იოანეს დროს ხუცეს-მონაზვნად და როგორც სამეფო კართან დაახლოებული პირი, უფლისწულს ემსახურება აღმზრდელად.

ამ მოღვაწეზე კეთილმოსახსენებელს აღავლენს რუის-ურბნისის კრება 1103-1104 წწ., თავის „ძეგლისწერაში“: „ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმინდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართ უხუცესისა, მრავალმცა“.[6]

ამრიგად, ჩვენი თვალმიდევნება გვარწმუნებს, რომ გიორგი მწირველი, შემდეგ გიორგი ხუცეს-მონაზონი, ბედიელთა შთამომავალი, თავდადებით იღვწის ცოდნის შეძენისა და სწავლისათვის. იგი ივიწყებს დიდი გვარიშვილობის საერთო მოთხოვნებს, უარყოფს თავის საერო, ხორციელ მიდრეკილებებს და ხდება მონაზონი, თავდაპირველი მწირველი. შემდეგ უახლოვდება დიდ სწავლულს – გიორგი მთაწმინდელს.

---

1 იქვე, გვ. 232.
2 იქვე, გვ. 232.
3 რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, 1986, გვ. 124-125.
4 იქვე, გვ. 232.
5 იქვე, გვ. 232.
6 გვ. 233.

თავის დიდ ცოდნას და განათლებას ეუფლება ამ დიდი მოღვაწისაგან, ხოლო სამხედრო და ორგანიზაციულ წრთობას გაჭირვებებში, მოგზაურობებსა და სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში იძენს. ამიტომ, ბუნებრივია, სამეფო კარი ანდობს მას თავის პოლიტიკის, უფლისწულის აღზრდას, საშინაო-პოლიტიკურ და რწმენის საქმეებს; ცნობს ღირსად, იყოს მასწავლებელი უფლისწულისა. ეს შემთხვევით მოვლენად არ ჩანს: გიორგი რაღაც სიახლოვითაც უნდა იყოს დაკავშირებული სამეფო კართან. იგი ტრიალებს სამეფო კარზე, დაბადებიდანვე ანდობენ უფლისწულის თანდგომას და ზრუნვას მისი ზრდისა და წრთობისადმი.[1]

იგი, ეტყობა, სვიმონ ბედიელ-ალავერდელის ახლობელია, ახლობელია იოანე ჭყონდიდელ-ბედიელისა. ამდენად, ჩვენი ვარაუდით და ამ წყაროების თვალმიდევნებით ვასკვნით, რომ იგი წარმოშობით ბედიანი და სამეფო კარის ახლობელია. ნაკლებ საკამათოდ გვეჩვენება ქრონიკით დამოწმებული თედო ჟორდანიას ვარაუდი: „ზედამხედველად საქმეთა მანდაურთა (შარვანისათა) აჩინა (მეფემან) მწიგნობართუხუცესი თუისი სვიმონ ჭყონდიდელი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი, დედის ძმისა თუისისა“ (მეფისა თუ სვიმონისა? უკანასკნელი სიტყვა „თუისა“ – „მისის“ მაგიერ, – აზრსა ბადებს, რომ გიორგი ყოფილა დედის ძმა დავით აღმაშენებლისა“[2]). აქ, საფიქრებელია, „თუისი“ და „მისი“ ასე ერთაზროვანი როდია. თუისის მაგივრად მისის გამოყენება სპეციალისტ მეცნიერ-გადამწერს, თუ საჭირო იყო, არ შეეშლებოდა. ამაში ეჭვის შეტანა ზედმეტ სიფრთხილედ მიგვაჩნია. თანაც გიორგი თუ „თავადგა სიყრმითაგანთა, პატრონისა მსახურებათათუის“[3], მაშინ იგი მხოლოდ ძალიან ახლობელი, ძალიან ახლომდგომი უნდა ყოფილიყო. მისი დედა – ელენე, როგორც ქრონიკა გვიდასტურებს, შესაძლოა, ბედიანთა მემკვიდრე იყო. სხვა მხრივ, ეს სიახლოვე ძნელად აიხსნება (შეიძლება, ეს გენიალური სწავლული და მოღვაწე მდაბიო იყო და იმსახურებდა ასეთ ყურდღებას, მაგრამ ეს ძალიან იშვიათი და უნიკალურია. ესეც გამართლებული ვარაუდია, მაგრამ რადგან წყარო საფუძველს გვაძლევს, რაც უდავოდ ჩანს, თანაც „თანააღზრდილი“, თანაშეზრდილი, თავისიანი, რასაკვირველია, ასაკით უფროსი, იქნებ 25 ან 30 წლითაც, მაგრამ ახლობელი, თავისიანია). თუ გიორგი 1050 წელს 20 წლის ყმაწვილი იყო, ან იქნებ ნაკლებისა, 1073 წელს ან მის ახლო ხანებში იგი 50 წელზე მეტისა არ ჩანს, ხოლო 1073 წელს კი უფლისწულის დაბადება უდავოა. თუ 1065 წელს გიორგი მთაწმინდელი გარდაიცვალა, გიორგი მონაზო-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, გვ. 241-7.
[2] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 297.
[3] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 387.

ნი თავისუფალია მისი მსახურებისაგან. იგი წერს გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიას და დაყუდებულია ბერად, ჭყონდიდში(?), რადგან ეს მისი სულიერი სამწირველოა. ამდენად, ჭყონდიდელი – ახლობელი, თავისიანი ბერი სინორჩიდან თანა დაუყენეს აღმზრდელად უფლისწულს. აქ „თანააღზრდილობა“ ტოლობას არ უნდა ნიშნავდეს. იგი იყო „თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფველი ყოფელთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“.[1] აქ „თანააღზრდილი“ ახლობლობაზე მიუთითებს მხოლოდ. უფრო მეტიც, უმრავლესობა მაინც ჭყონდიდელთა შორის ბედიანები ჩანან. ისიც, რომ ბედიის გვარისა და ტიტულის კაცნი ახლობლები არიან, ძალიან სანდონი სამეფო კარისათვის, ამიტომ იოანე ჭყონდიდელი – წინა მოადგილე გიორგისა, მეფის ასულს მართას ან მარიამს თან ახლდა ბიზანტიაში. გიორგი აღმზრდელია მეფისა, ხოლო სვიმონი – მმართველად დანიშნეს შარვანს. ასეთი ნდობა და პატივი მხოლოდ ახლობლობით და სანდოობით თუა ნაკარნახევი, მით უმეტეს იმ დიდ ჭირთა დროს მაინც. მეტიც, გიორგი ხომ მსახურია, მხლებელი და გამორჩეული მოწაფე გიორგი მთაწმინდელისა. ესეც ხომ დიდი ღირსებით მოსავს აღმზრდელს უფლისწულისას. ამიტომ, იმისათვის, რომ ასეთი პატივით აღჭურვილიყო და ასეთი ნდობა მოეპოვებინა, წარმომავლობასაც ექნებოდა სადღაც უდავო მნიშვნელობაც. ეს ამ ვარაუდის ამოსავალ საფუძვლად მიგვაჩნია.

ამრიგად, გიორგი ხუცეს-მონაზონი, მანამ ყოველმხრივ ცნობილი პიროვნება, მთარგმნელი, მწიგნობარი, მეცნიერი, პედაგოგი, ყოველ საერო და საეკლესიო საქმეთა მცოდნე, ახლობელი სამეფო კარისა, გახდა უფლისწულის, თავისი ახლობელი ყმაწვილის, დიდად გონიერისა და გენიოსის აღმზრდელი. „თანააღზრდილი“ აღმზრდელი გახდა. ამაში არაფერია უცნაური. ეს გიორგი სხვა არავინაა, თუ არა ის ხუცეს-მონაზონი, რომელიც ასე ჩანს 1051 წლიდან ქრონიკებში. ჯერ მწირველი, შემდეგ გიორგი მთაწმინდელის თანამგზავრი და მსახური, მოგვიანებით გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი, შემდეგ ხუცეს-მონაზონი გიორგი, რუის-ურბნისის კრების მიერ „კრების თვალად“ წოდებული – ერთი პიროვნებაა უდავოდ. ამ ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვით, გიორგი ხუცეს-მონაზონი და გიორგი ჭყონდიდელი – მწიგნობართუხუცესი ერთი და იგივე პირია, რომლის ეს სრული ტიტული წერილობით წყაროებში მხოლოდ 1110 წელს გამოჩნდა. მ. ლორთქიფანიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებლის დროს მწიგნობართუხუცესი ვაზირია. ეს ვაზირობა, სხვა მრავალთა შორის, მისი უპირველესობის მაუწყ-

[1] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 336.

ებელი ნიშანია[1]. როგორც ჩანს, გიორგი მეფე დავითის თანამეფობის დროიდან – 1085 წლიდან სააჯო კარზე ჰყავს, როგორც ვაზირთუპირველესი. გიორგი და დავითი – მეფე მამა და თანამეფე შვილი – გიორგის პირველი ვაზირობის თანადგომით სარგებლობდნენ. ხოლო როცა 1089 წელს დავითი დამოუკიდებელი მეფე ხდება, იგი განუყოფლად სააჯო კარზე ზის, პრემიერ-მინისტრის პოსტი უჭირავს და მისი აღმზრდელის სრულყოფილების გზას კაფავს. ასე წარმომდინარდა მისი ცხოვრების ეს უკანასკნელი პერიოდი სამეფო კარზე.

უდავოა, გიორგი იყო ჩამგონებელი და თანამოღვაწე „სახლის სახლს შეერთების“. იგი „ძმადნაფიცობის“ სტატუსის თანაავტორიც იყო. იგი ხდება ინიციატორი მთელი კავკასიის ხალხთა გაერთიანებისა, „კავკასიის იმპერიის“ შექმნისა, რომლის ცენტრი იყო საქართველოს ცენტრალიზირებული სახელმწიფო, ქ. თბილისის დედაქალაქობით. იქნებ, სხვათა შორის, ამ ძალდატანებითი ღონისძიების გამო ითხოვს მიტევებას თავის ჰიმნში – „გალობანი სინანულისანი“. ამან, უდავოდ, მონანიების ვალდებულება დაუსახა „მესიის მახვილს“ – დავითს, რომელმაც ითხოვა, რომ დაემარხათ გელათის შესასვლელში, რათა ყოველ ქართველს მის მკერდზე გადაევლო. ეს ძალდატანებითი ღონისძიება მაშინ მთელი კავკასიელი ხალხისათვის, ისე, როგორც საქართველოსათვის, აუცილებელი იყო. „შემოერთებული სახლები“ არ იყო კოლონიები დღევანდელი გაგებით. იგი ურთიერთთანადგომითა და ძმობით იყო დაკავშირებული, რაც მაშინ ასე საჭირო იყო.

გიორგი ჭყონდიდელი თანააღზრდილთან ერთად „თანაგამკაფველია ყოფელთა გზათა, საქმეთა და ღვაწლთა“[2] მეფე დავითისა. თანამოღვაწეა, მისი ნაბიჯების თანამდგომი. მასთან ერთად ინიციატორი და თანაავტორი სამეფო საქმეებისა და ღონისძიებებისა; ესეც გიორგის დიდი პატივით წარმოგვიდგენს და რაც უდავოდ გამართლებულ და რეალურ ფაქტად გვეჩვენება. უბრალოდ როდი ამოწმებს მატიანე ამ ახლობლობასა და თანადგომას. ამ აზრს ერთხელ კიდევ მტკიცედ ადასტურებს ცნობა: „იგლოვა... თუით მეფემან, ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსვითა შავისათა ორმეოც დღე“[3]. ეს გლოვა უფრო გაგრძელდებოდა, რომ უფლისწულის შობა არ დამთხვეოდა.

გიორგი ჭყონდიდელის მახასიათებელი იყო თავმდაბლობა, საქართველოსადმი, ქართველი ერისადმი ერთგულება, მისი დამოუკიდებლო-

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი, კრ. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, თბ., 1956, გვ. 5.

[2] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 336.

[3] იქვე, გვ. 337.

ბისადმი თავდადება. იგი იყო ბერი, შეწირული საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოსადმი. ქრისტეს მსგავსად, „მან დაიმდაბლა თავი თუისი და იქმნა იგი მორჩილი ვიდრე სიკვდილამდე“. ამით მოიხვეჭა საუკუნო უკვდავება და პატივი.

გიორგი ჭყონდიდელმა აღზარდა გენიოსი მეფე; მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ხორცშესხმაში, იყო შეუდარებელი პედაგოგი, პოლიტიკოსი, მეცნიერი, მოღვაწე, რომელმაც საქართველოს ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნაში თავისი სული და აზრი გაიღო, ქვეყნის აღმავლობაში გვერდით ედგა სწორუპოვარ მეფეს.

P. S.

აქ ავტორს ხაზი არ გაუსვამს კუთხური ტენდენციებისათვის. მას კოლხეთი ერთიანი საქართველოს მთლიანი სხეულის ერთ ნაწილად მიაჩნია – ხორცისმიერ, სისხლისმიერ ნაწილად. ამდენად, სხვადასხვა კუთხის ქართველნი ერთიანი საქართველოს შვილები არიან და არა რაიმე გამოყოფილისა, ცალკე მდგომის და გადამწონისა. რა ვუყოთ, თუკი ცოტნე კოლხი იყო, მაგრამ, განა ღირსეული შვილი მთელი საქართველოს ხატი არაა?! განა პაატა ერთიანი ქართველი ერის შეწირული მსხვერპლი არ არის?! განა საბა ყოველი ქართველის ბერ-მოძღვარი არაა?! განა გიორგი მთაწმინდელი მხოლოდ მესხია და არა კუთვნილება სრულიად საქართველოსი?! ასეა, ჩვენი აზრით, გიორგი ჭყონდილელიც – იგი მთლიანი საქართველოს მოძღვართმოძღვარია, ერთიანი და ყოველი კუთხის თანაბრად საფიცარი შვილი! იყო და მერე როგორი! ასეთია ჩვენი აზრი და ვითხოვთ, ნურვინ მიგვაწერს უგუნურ მიკერძოებას, რეგიონალიზმს. იმედს გამოვთქვამთ, რომ მკითხველი გაგვიგებს, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მას.

# საბედიანო, ბედიანები და ქართული ცენტრალიზირებული სახელმწიფო*

საბედიანო – ისტორიული ერთეული, იგივე ოდიში (სამეგრელო), რომელიც მოიცავდა აფხაზეთს, საკუთრივ სამეგრელოს, გურიას, შემდეგ იმერეთს, საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის მეთაური რეგიონი იყო. ლეგენდის თანახმად, თარგამოსმა, შვიდ შვილთა შორის ერთ-ერთს, **ეგროსს** „მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი. აღმოსავლეთით მთა მცირე, რომელსაც აწ ჰქვიან ლიხი, დასავლით ზღუა, ჩრდილოით მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თუისი ეგრისი. დღეს მას ადგილსა ჰქვიან ბედია“[1]. ამრიგად, ამ ლეგანდას ჩვენ ნამდვილ ამბავს ვუწოდებთ. ეგროსმა შექმნა პირველი სახელმწიფო – **ეგრისი** და მისი დედაქალაქი **ეგრისი**, მოგვიანებით **ბედია**. იგი საზღვრებით მოიცავდა მთიან აფხაზეთს, ჩრდილო კავკასიის სამხრეთის შეფენას სოჭიდან, ადლერიდან, რომელიც მცირე ხაზარეთს საზღვრავდა ეგრისისაგან, მთელ ზღვისპირეთს, ე. ი. მთელ კოლხეთს, რომელსაც თავიდანვე, თარგამოსის დროიდან, ეგრისი ერქვა. მისი დედაქალაქი ეგრისი იყო. გავიდა ხანი, იგი ბედიად გადასახელდა. აქ, ამ ქალაქში ეგროსის მემკვიდრენი – ბედიანები და ოდიშარნი სახლობდნენ და **საბედიანოს**, ან საოდიშაროს მთელი ტერიტორია ერთ სამთავროს შეადგენდა. როგორც ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა, საბედიანო საოდიშოა XV ს-ის II ნახევარში. იგი 1470-75 წლებში მოიცავდა სამეგრელოს, საკუთრივ საოდიშოს, აფხაზეთსა და გურიას. ეს მოსაზრება გვიან ეჭვქვეშ იყო დაყენებული, მაგრამ ერთი რამ ცხადია, საბედიანო რომ დიდი ტერიტორიული ერთეული იყო აფხაზეთისა და სამეგრელოს შემადგენლობით და ბედია მის ცენტრს წარმოადგენდა ადრიდანვე, თითქმის VII-XII საუკუნეებში, ეს უდავოცაა, რასაც ადასტურებს თუნდაც VII-X-XI საუკუნეებში ბედიანთა საგვარულოს უპირატესობა. ბედიანთა გვარი ერთ-ერთი აღმატებული გვარი იყო, რომელიც აფხაზთა და ქართველთა სამეფო გვარეულობის ერთ-ერთი ამოსავალი ცენტრი გახლდათ.

---

* მოხსენება, წაკითხული ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის ისტორიის ინსტიტუტის I სამეცნიერო კონფერენციაზე, 1994 წ-ის 20 დეკემბერს; კრებული „ძიებანი – 2“, ქუთ., 1995, გვ. 33-43.

[1] ქართვლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 5.

ამ გვარეულობიდან გამოდიოდნენ სამეგრელოს მთავრებიც, საქართველოს ვაზირები, სარდლები, შესაძლოა, აფხაზეთის მეფეებიც. ბედიანები საერო და საეკლესიო ხელისუფლების მეუფენი იყვნენ. ასე იკვეთება ეს საისტორიო წყაროებსა და მატიანეებში. ეს ადრეულ დიდებულ თავადთა, თავკაცთა საგვარავნო საუფლო იყო. მართალია, XV საუკუნეში ივანე ჯავახიშვილი, სამეგრელოსა და აფხაზეთის საერთო რეგიონულ ეთნიკურ ცენტრად მიიჩნევს, მაგრამ, მანამ ხომ აქ ბედიანები, საქართველოს დიდკაცები VII საუკუნიდან აქედან ამოვიდნენ. აქ მათი მონაწილეობით დაიწყო ბრძოლა საქართველოს ცენტრალიზებული ხელისუფლებისათვის. ბრძოლას წარმართავდა ლეონ I-ისა და ლეონ II-ის სამეფო კარი. XV საუკუნეში უკვე ეს ტერიტორიული ეთნიკური რეგიონი უფრო მცირე სამთავროს ტოლი გახდა და აფხაზეთისა და სამეგრელოს გამაერთანებელ ქალაქს და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ამ დროს ბედია ხან აფხაზეთის, ხანაც სამეგრელოს, საოდიშოს სამთავროს პოლიტიკური ცენტრი ხდებოდა, რომლის საზღვრები, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, მოდიოდა ცხენისწყლამდე. მას „მზღვრიდნენ“ იმერეთისა და ოდიშის საზღვრად.[1]

იმ ფაქტს, რომ გვიან, XII საუკუნიდან, ბედიები, ბედიანები დიდთავადნი და თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი იყვნენ, ადასტურებს თუნდაც ბედიანთა საეკლესიო და საერო უფლებამოსილება და მსახურება.

იმას, რომ იგი დიდი პოლიტიკური ცენტრი იყო, ადასტურებს თუნდაც ლეონ I-ისა და ლეონ II-ის სამეფო ღვაწლი. ეს მეფეები ქართველთა და აფხაზთა შთამომავალნი იყვნენ. მათში ორი ეთნიკური ერთობა იყო გამოხატული. ამდენად, ამ პირველ, ძლიერ მთავართა და მეფეთა საერისკაცო ღვაწლი მიეკუთნებოდა არა მხოლოდ აფხაზთა ეროვნებას (ქართველ აბაზთა და არა აფსუათა), არამედ ქართველთა ეროვნებასაც, რადგან მეგრელნი და მაშინდელი აფხაზნი არ იყვნენ ეთნიკური წარმომავლობით სხვადასხვანი. ორივე მეფე – ლეონ I და ლეონ II აფხაზებიც და ქართველებიც იყვნენ წარმოშობით. მათი პოლიტიკური საუფლო ცენტრი იყო საბედიანო, ბედიანთა ეთნიკური ქალაქი. ბედიანები იყვნენ ამ მეფეთა მეუღლენი და დედანი. საბედიანო და ბედიანთა გვარეულობა აფხაზთა დიდკაცობასთან ერთად ამ მეფეთა საგვაროვნო გარემო იყო. სწორედ ამიტომ ამ გარემოში დაიბადა, მომწიფდა აზრი საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისა. საბედიანომ ამ იდეის ჰეგემონია იკისრა. ეს სამეფო კარი დაუკავშირდა ქართლისა და ტაოს

[1] ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ., 1941, გვ. 147.

დიდკაცობას და საქართველოს გაერთიანება და ცენტრალიზებული ხელისუფლება ითავა. ლეონ II სწორედ საქართველოს გაერთიანების იდეას ატარებდა თავის ტრაქტატებში, მიწერ-მოწერებში. ამიტომ, სწორედ ქართულმა აზრმა და ხელისუფლებამ გაათბო, გააღვივა და წარმატებისკენ წაიყვანა ქართული სახელმწიფოს შექმნის დიდი, კეთილშობილური იდეა. საბედიანოდან აფრენილი ეს აზრი არა ადიღურ-აფხაზურ-აფსუური გაერთიანების იდეას ისახავდა მიზნად, არამედ საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის სულისკვეთებას. ამან განაპირობა გუდაყვის საეპისკოპოსოს შეცვლა ბედიის საეპისკოპოსოთი: „ამან დიდმა მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა (ბაგრატ III) და შექმნა საეპისკოპოსოდ. მიიცვალა მუნ გუდაყვის საეპისკოპოსო. შესწირა სოფელნი მრავალნი, ყოველთა ეკლესია, აკურთხა და დასვა ეპისკოპოსი. უკეთუ ვინმეს ენებოს განცდად, გულისხმისყოფად სიმრავლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა და მისგან გულიხსმა ჰყოს, რომელი არავინ ყოფილ არს სხვა მეფე მსგავსი მისი ქვეყნისა ქართლისა და აფხაზეთისა“.[1] გუდაყვის საეპისკოპოსო უფრო ადრეული საეკლესიო კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ბედიანები, რომელთაც თავიანთი სასულიერო ღვაწლი განაგრძეს ბედიაში და აქედან მოყოლებული ბედიანი ეპისკოპოსნი და საეკლესიო დიდებულნი, თითქმის XIX საუკუნემდე, საქართველოს საეკლესიო დიდებულთა წამყვან თაობებს არ ჩამოშორებიან. ამდენად, ბედიანთა გვარი ადრევე ცნობილი დიდებულთა გვარია. იგი ფარნავაზის დროიდან მოდის ალბათ. „ნებროთის წიგნი“, პირველი ქართლის მატიანე, რომელიც ახლა დაკარგულად ითვლება, ბევრ და საინტერესო ცნობას შეიცავდა მასზე. ამაზე წერს შალვა დადიანი, რომ მისი მამის, დიდი ნიკოს ბიბლიოთეკას ამშვენებდა ეს მატიანე და სადღაც დროისა და ბედის უკუღმართობაში ჩაიკარგა კიდეც. მასზე ბატონი შალვა დიდ გულისწუხილს გამოთქვამდა და საქართველოს ისტორიის თავდაპირველ წყაროთა დიდ დანაკლისად მიიჩნევდა მას. იქნებ „ნებროთის წიგნის“ ადრეული ხელნაწერი არც იქნებოდა, მაგრამ გვიან გამდიდრებული მოვიდა, ალბათ, ამ მდიდარ წიგნსაცავში ბეთლემის ბიბლიოთეკის ხელყოფით დაკარგული და დღემდე დაუძებნელი.

ამდენად, ბედიანთა და დადიანთა ასე გამორჩეული გვარი „ქართლის ცხოვრების“ სახელით დღეს ჩვენთვის წყაროებში და მათ შორის „ნებროთის წიგნში“ გამოჩინებული ჩანს. ეს მოსაზრება 1958 წელს ჩვენთან სტუმრად მყოფმა შალვა დადიანმა გულისტკივილით აღნიშნა. ასე

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, 1955, გვ. 281.

იყო თუ ისე, ბედიანთა და ეგრისის ისტორია ადრეული დროიდან იწყება. იგი თავიდანვე არა ადიღურ-აბაზურია, არამედ აფხაზურ-ქართულ სამყაროს აერთიანებს. მეფენი იყვნენ ბაგრატიონთა გვარისა. ამიტომაც ჩაისახა საბედიანოში საქართველოს სახელმწიფოს შექმნის იდეა. ჩვენ გვაფიქრებს „ქართლის მოქცევის" ცნობა ფარსმან ქველის დედის – დადანას სახელი გვარ-სახელი ხომ არ იყო (დადანა მეფობდა 132-146 წ.)?

ლეონ II, რომელიც, როგორც წყაროები გვარწმუნებენ, იყო აფხაზურ-ქართული წარმოშობისა, სათავეში ჩაუდგა საქართველოს გაერთიანების დიდ საქმეს, რომლის საწყისი ლეონ I-ის დროს ჩაისახა. თვით ლეონი და კონსტანტინე ქართულად მეტყველებდნენ. საქმის წარმოება ქართული იყო, რწმენა – მართლმადიდებლური, ქრისტიანული. სწორედ აქ იქადაგა პირველწოდებულმა ანდრიამ, აქედან მოყოლებული ქრისტიანობა იყო რელიგიურ-იდეოლოგიური რწმენა. გუდაყვის მონასტერი, მისი მღვდელმთავრის – ბედიანის წინამძღვრობით ზრდიდა და აკავშირებდა აქ მოსახლე მოძმე ერებს. ქრისტიანული რწმენა აერთიანებდა მორწმუნეებს. მართალია, თავდაპირველად აქ მღვდელმსახურება ბერძნული იყო, მაგრამ როდესაც ბედიის საეპისკოპოსო შეიქმნა, მღვდელმსახურება თანდათან ქართული გახდა. ბედიის მონასტერი უკვე ქართულ გზაზე შედგა და ქართული მღვდელმსახურება უპირველესად ჩაითვალა. ამდენად, საბედიანო და ბედიის მონასტერი გახდა საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი გზის მეკვლე. ლეონ II-ის (782-798 წწ.) მოღვაწეობის ნიშან-თვისება იყო ეს ტენდენცია. ამ გზას ადგა გიორგი II. ისინი, როგორც თედო ჟორდანია, პავლე ინგოროყვა და ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავენ, ამ მოძრაობის მეთაურნი გახდნენ.

ამ საქმის დიდი გამგრძელებელი და ნაყოფიერი მოღვაწე გახდა აფხაზთა და ქართველთა მეფე – **ბაგრატ III** (978-1014 წწ.). შემდეგ ეს გზა დიდი წარმატებით გააგრძელა **ბაგრატ IV**-მ (1027-1072 წწ.). ორივე მეფე იყო ქართველი, აფხაზური წარმომავლობისა. საქმის წარმოება და მეტყველება იყო ქართული. იდეა საქართველოს გაერთიანებისა დაფუძნებული იყო ქრისტიანული რელიგიის იდეოლოგიურ მრწამსზე. ყველაზე გამორჩეულად და თვალსაჩინოდ ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის ინიციატორი და ბოლომდე საქმის მიმდევარი იყო დიდი მეფე ბაგრატ III კურაპალატი (978-1014 წწ.).

საქართველოს ისტორიაში იმ აღრევისა და განუკითხაობის დროს, როცა აშოტ კურაპალატი (ქართლის მეფე) და მისი მემკვიდრენი ცდილობდნენ ქართლის დაპატრონებას და საქართველოს გაერთიანებას თავის ხელში, აშოტის ძენი ქართლის მეფობის პრეროგატივით სარგებლობენ. მათი მემკვიდრენიც ქართლის მეფობის უფლებით სარგე-

ბლობენ და იბრძვიან. არაბების ხშირი თარეში, ტაო-კლარჯეთის მეფეთა ხელმიუწვდომელობა ქართლის ცალკეულ კუთხეთა შემოკრებისაკენ გაერთიანების სურვილის გადაულახავი ზღუდე ხდებოდა. უფრო მეტიც, მაშინ საქართველო კუთხეებად იყო დაყოფილი. გურგენი მხოლოდ ქართლს ფლობდა, თადეოსი კი უძლური და უსინათლო იყო. დავით კურაპალატი, რომელსაც საკმაოდ დიდი წონა და ავტორიტეტი ჰქონდა, თვითონ უძეო იყო. ამ დროს ქართლის ერისთავმა იოანე მარუშისძემ, რომელიც ხედავდა, თუ თადეოსის ხელში როგორ ილეოდა და იქცეოდა ქვეყანა, გადაწყვიტა, მიემართა დავით კურაპალატისათვის და მისი ძალითა და ძლიერებით დაედო საფუძველი საქართველოს გაერთიანებისათვის. ბაგრატ რეგვენი უძეოდ გადაეგო, გურგენი მხოლოდ ქართლის მეფედ ითვლებოდა, ხოლო აფხაზეთი თადეოსს ეკავა. დავით კურაპალატს აფხაზეთის მეფობა ბაგრატ III-თვის უნდა ჩაებარებინა, რადგან ქართლს გურგენი, ბაგრატის მამა მართავდა, ბაგრატ III აღიარეს აფხაზეთის მეფედ და ქართლის კურაპალატად. გურგენი 1008 წლამდე ცოცხალია, ბაგრატ III კი აფხაზეთის მეფე და ქართლის კურაპალატია. მაშასადამე, 977-978 წწ. ბაგრატ III-ის აფხაზეთში გამეფების თარიღია და არა ქართლში... 1008 წელს ბაგრატი ყოფილა აფხაზთა მეფე და ქართველთა კურაპალატი,[1] ხოლო 1008 წლის შემდეგ იგი განუყოფელი საქართველოს მეფე ხდება. ამ საქმეში დიდია ივანე მარუშიძის როლი და ღვაწლი. ამ დროს აფხაზეთში მეფობს უსინათლო თადეოსი. მის დროს შინააშლილობამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ იოანე მარუშისძე იძულებული შეიქნა, დავით კურაპალატი მოეწვია. „მან წარავლინა მოციქულნი წინაშე დავით კუროპალატისა, აწვია, რათა მოილაშქროს ძალითა, აღიღოს ქართლი ან დაიჭიროს თვითონ ან უბოძოს ბაგარატის ძეს გურგენისა, ასულსა წულისა გიორგი აფხაზთა მეფისა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“.[2]

რადგან დავითს შვილი არ ჰყავდა, ამიტომ თავისი ახლობელი ნათესავი, „ბაგრატი, ძე გურგენისი, გაზარდა შვილად თვისად“[3]. მართლაც ეს აზრი ძალიან მისაღები იყო. იგი გაერთიანებული საქართველოს მკვიდრ გზას აჩენდა. როცა დავით კურაპალატმა მტკიცე პირობა მიიღო, ბაგრატი გამოაცხადა თავის ძედ და მემკვიდრედ და გაგზავნა აფხაზეთის მეფედ. „ინება, რათა მოიყუანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და მის თანა ყოველთა დიდებულთა ერისთავთა და აზნაური, აფხაზეთსა და ქართლისათა გამოითხოვეს“. ამაზე წერს „ქართლის ცხოვრება“: „მოიყვანეს იგი

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 125.
[2] ტ. I, გვ. 275.
[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1965, გვ. 125.

აფხაზეთს, დალოცეს მეფედ და დაემორჩილნეს ყოველნი ბრძანებანი მისსა: რამეთუ დასრულებულიყო ასაკითა და ვითარ გადახდა ამას წინა წელიწადი ორი, იწყო განგებად და საურვად და გამართლებად ყოველსა საქმესა, მზგავსისა პაპის მისისა დიდისა გიორგი მეფისა“. [1]

ბაგრატ მეფე დავით კურაპალატისაგან გამოცხადდა ან ჯერ თადეოსის თანამეფედ, შემდეგ მეფედ აფხაზეთისა და ქართლისა. ბაგრატი გამეფდა 977-978 წწ. აფხაზეთში, 1002 წ. ყოფილა აფხაზთა მეფე და ქართლის კურაპალატი. 1002 წელს ბაგრატი III-ის მამა გურგენი ითვლებოდა ქართლის მეფედ. ამიტომ იყო, რომ ქართლის კურაპალატი ეწოდა. ბაგრატი III 980 წ. ერთადერთი მეფე ხდება აფხაზეთში. იგი თადეოსს აგზავნის ტაოს. ბაგრატი იწყებს აფხაზეთის ტერიტორიულ გაფართოებას, იერთებს არგუეთს. მის სამხედრო სახელმწიფო ღვაწლს თან სდევს სამშენებლო საქმიანობა – ქუთაისის ტაძრის მშენებლობა, რაც თავისი სახიერებითა და ხელობის სიღრმით შეუდარებლი შედევრი იყო. მან ასეთივე სამშენებლო საქმენი გასწია საქართველოს მრავალ კუთხეში განსაკუთრებულად გამოსაყოფია დიდებული ეკლესია ბედიისა, გუმბათოვანი. სწორედ ბედია აქცია საკუთარ საძვალედ, სადაც იგი 1014 წელს დაიმარხა. ამის შემდეგ ბედიის ეკლესია მეფეთა აღიარებული საძვალე გახდა. „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე... დაუმორჩილა ღმერთმან მტერნი წინაღმდგომნი, მომადლა დღეთა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქვეყანისათა... შემდგომად დიდი მეფის ვახტანგ გორგასალისა არავინ გამოჩინებულ არს სხვა მზგავს მისი დიდებითა და ძალით და ყოვლთა განგებითა“[2] – წერს მემატიანე.

ბაგრატ III-მ სრულყო გიორგი II-ის მიერ დაწყებული საქმე – მარტვილს მიუშენა დასავლეთის სანათლავი, შესანიშნავი გარე ფასადითა და მხატვრობით. ბაგრატ III-ის დაწყებული საქმე დიდებულად განაგრძო და დააგვირგვინა მისებრ დიდებულმა მეფე ბაგრატ IV-მ, რომელიც დაიკრძალა მარტვილის მონასტერში. ამ მეფეთა ღვაწლი არა მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური მიმართულება იყო უპირველესი, არამედ მათი მეფობის პერიოდში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაც თვალსაჩინო დონეზე იდგა. ორივე იყო აფხაზთა მეფე და მემკვიდრე აფხაზთა და ქართველთა. ამდენად, დაპირისპირება და მტრობა კი არ იყო აფხაზთა და ქართველთა შორის, არამედ სისხლითნათესაობა და ძმობა წარმართავდა მათ ურთიერთობას. ამრიგად, ოდესღაც ლეგენდარული ეგრისი, შემდეგ ბედიად წოდებული, საისტორიო წყაროებით, ერთ-ერთი

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 275.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1960, გვ. 133.

სასულიერო და პოლიტიკური ცენტრია. **ბედია** ბედიანთა გვარეულობის მემკვიდრეობითი საუფლოა. ეს გვარი ჯერ კიდევ ულუსა და ლელას დროიდან, შესაძლოა, უფრო ადრეც, გამორჩეული ყოფილიყო. ბედია ბედიანთა გვარ-სახელის ეპონიმია. ამ გამორჩეული გვარეულობის წარმომადგენლები მეფეთა და სამეფო კარის უპირველესი მოღვაწენი იყვნენ. ისინი მოღვაწეობდნენ ბედიაში, მარტვილში, ალავერდსა და შუამთაში. ბედიელები იყვნენ სამხედრო ვაზირები, მთავარსარდლები, სამეფო კარის სხვა, დიდ სახელოთა მფლობელნი. ისინი იყვნენ აფხაზნი და ქართველნი, დედით, მამით, ყოველი ძმობით. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ბედიანთა ოჯახში დაბადებული ყრმა გიორგი საერო სამსახურს კი არ ისახავს თავისი ცხოვრების მიზნად, არამედ სასულიერო-საგანმანთლებლო ღვაწლს. იგი ამ გრძნობას ბედიანთა დიდებულ ოჯახში დაეუფლა და სრულიად მცირეწლოვანი გახდა მწირველი, შემდეგ მსახური და მხლებელი გიორგი მთაწმინდელისა. იქნებ ბაგრატ IV-მ მისი რჩევით უბოძა სამოღვაწეოდ გიორგი მთაწმინდელს მარტვილი, სადაც გიორგიმ არ ისურვა მსახურება. გიორგი მწირველი-მონაზონი თან გაჰყვა მას მთელ საქართველოში, ისწავლა მისგან, გათვითცნობიერდა, დააგროვა დიდი ცოდნა, რომელიც მოახმარა საქართველოს დიდი მეფის – დავით აღმაშენებლის აღზრდას, დავითის მიერ სრულყოფილი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნას. მტკიცე ხელისუფლება, ძლიერი ძალაუფლება ყოფილა და მომავალშიც ყოველთვის იქნება ჩვენსავით პატარა, პლურალიზმის სულისკვეთებით განწყობილი ერისათვის აუცილებლი. ამის გამო იქნებ მისაყვედუროთ. მე კომუნისტურ დიქტატურას არ ვემხრობი, მაგრამ დემოკრატიული ძლიერი ხელისუფლების მომხრე ვარ და ვიქნები. ასე აღზარდა გიორგიმ დავითი. იგი ბედიანი იყო. ამას არ ვამტკიცებ ვიწრო რეგიონალური სულისკევთებით, არამედ სიმართლის გრძნობით. ეს ხომ ისტორიული სინამდვილეა. ისტორიკოსი თედო ჟორდანია წერს: „მეფური დამარხვა გიორგისა გელათს, მეფეთა სამარხავში, ჰბადებს აზრს, რომ გიორგი უნდა ყოფილიყო ნათესავი მეფისა. ამ აზრს თითქმის ამოწმებს ბნელი ფრაზა მემატიანისა: „ზედამხედველად საქმეთა მანდაურთა (შარვანისათა) აჩინა (მეფემან) მწიგნიბართ უხუცესი თუისი სვიმონ ჭყონდიდელი, მაშინ ბედიელ-ალავერდდელი, მიმსგავსებული გიორგი, დედის ძმისა თუისისა (მეფისა თუ სვიმონისა?),[1] უკანასკნელი სიტყვა „თუისისა“ მისის მაგიერ, აზრს ჰბადებს, რომ გიორგი ყოფილა დედის ძმა (დავით აღმაშენებლისა; დედა დავითისა – ელენე)“.[2]

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 243.

[2] იქვე.

ჩვენ ეს უდავოდ სარწმუნოდ გვეჩვენება. ამიტომ ბედიანი მეფის მეუღლე, დედა დიდი მეფისა, დიდ და საპატიო გვარს წარმოადგენდა, რომელსაც მიენიჭა ეს მაღალი ღირსება. ამის უარყოფა ძნელია. ამდენად, იგი ბედიანი უნდა ყოფილიყო, ხოლო დავითის დედა, გიორგი II-ის მეუღლე იყო ბედიანის ქალი, ელენე. იგი ისტორიულ წყაროებშიც დამოწმებულია. ამიტომაც მას მიანდეს სინორჩის ხანიდან აღზრდა უფლისწულისა. ამის უარყოფა ტენდენციურად არ მიმაჩნია.

მაგრამ ბედიანები მარტო დიდებულები როდი იყვნენ, არამედ ისინი იყვნენ დადიანები, სამეგრელოს მთავარნი, ულუსა და ლელას შემდეგ და იქნებ მანამდეც.

ეს ტიტული და სახელი საყოველთაოდ აღიარებული კუთვნილება იყო ბედიანებისა. მაგალითისთვის საკმარისია თუნდაც ბედიან-დადიანი: შერგილ ბედიან-დადიანი, ვარდან დადიანი, შერგილ დადიანი, თუნდაც ცოტნე დადიანი და ა. შ. ყველა მათგანი გამოსული იყო ბედიანის გვარიდან. ყველა ერთობლივად, მეტ-ნაკლებად დაინტერესებული იყო საქართველოს გაერთიანებით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში. თუნდაც „ნებროთის წიგნით“ უწყებული ფაქტი ნათლად ადასტურებს ბედიანთა, დადიანთა – ქართველთა და აფხაზთა მეფეების ნათესაურ ერთობას[1].

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ I-II-III.

## მარტვილი*

### VII საუკუნე

ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლი – მარტვილი დგას გეგეჭკორის (ყოფილი მარტვილი) რაიონის ცენტრში, მაღალ გორაკზე, საიდანაც საუცხოო სანახაობად იშლება მთელ დასავლეთ საქართველოს თვალწარმტაცი ხედი.

მარტვილი ჯვრის ტიპის ნაგებობაა. იგი აგებულია VII საუკუნეში. ტაძარი ქრისტიანებს იმ ადგილას აუგიათ, სადაც, გადმოცემის თანახმად კერპი – დიდი ჭყონი (დიდი მუხა) მდგარა წინათ. წარმართებს აქ, როგორც დიუბუა დენ-მონპერე ამტკიცებს, მანამდე არანაკლებ ღირსშესანიშნავი წარმართული ტაძარი ჰქონდათ, რომელიც ქრისტიანებს დაუნგრევიათ და მისი ნაშთები ახალი ნაგებობის კედლებში ჩაურთავთ. ეს მცირე ნაშთები საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებდა თავისი მხატვრული ღირებულებითა და ნატიფი ნაკეთობით. ამდენად, მარტვილის მხატვრული სტილი და აგებულება საკუთარ ეროვნულ ტრადიციებზე არის დაფუძნებული.

ძეგლთა მთელ კომპლექსს გარს უვლის მაღალ, მძლავრ ბურჯზე დაყრდნობილი გალავანი, რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონია შესასვლელი, გალავანზე მდგარი სამსართულიანი სვეტის ტიპის ნაგებობის მე-2 სართულის თაღქვეშ, რომელიც გვიან თავისი ლამაზი, თაღიანი პროპილეიანად ამოუქოლავთ და შენობა ჩვეულებრივი ტიპის მცირე საყდრად უქცევიათ. იგი უძველეს და ულამაზეს ნაგებობას წარმოადგენს.

მარტვილის სიძველეთა კომპლექსში შედის აგრეთვე მაღალი სვეტი, რომელიც ზედ სამხრეთ გალავანზე დგას, ტაძრის წინ, დასავლეთით. ამ სვეტის თავზე წინათ მესვეტე ბერის პატარა სამყოფი ყოფილა. ამჟამად სვეტს მონგრეული აქვს ნახევარი ნაწილი.

კომპლექსის ყველაზე შესანიშნავი ერთეულია თვით მარტვილის ტაძარი. იგი თავისი მხატვრული გაფორმებით გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს „მცხეთის ჯვრის“ მიერ დაკანონებული კედლის მხატვრულ გაფორმებასა და ახალ სტილს შორის, რომელიც VI-VII სს-თა მიჯნაზე ყალიბდებოდა. ტაძარი შემდეგ არაერთხელ გადაუკეთებიათ. მისი მნიშვნელოვანი გადაკეთება მომხდარა X საუკუნეში დასავლეთ საქართველოს

* გაზ. „სოციალისტური სოფელი“, №131, 9. XI.1958.

(აფხაზთა) მეფე გიორგი II-ის განკარგულებით. შედარებით დაბალი გუმბათი შეუცვლიათ ახალი, უფრო მაღალი, 16-ფანჯრიანი გუმბათით. გადაუკეთებიათ სამხრეთის და ჩრდილოეთის ფასადები, ამ კედლების ძველი მხატვრულ-არქიტექტორული გაფორმება შეუცვლიათ ახალი, მასიური კედლით. დასავლეთით მოუშენებიათ მაღალი კარიბჭე და სხვ. გადაკეთება შემდეგშიც მომხდარა, რის გამოც ბევრი პირვანდელი დეტალი მოშლილი და შეცვლილია.

უაღრესად საინტერესო და ეპოქალურად დამახასითებელია აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლების ლავგარდინები, რომელიც რელიეფურად გამოკვეთილია შვერილის შუბლზე და, მცხეთის ჯვრისაგან განსხვავებით, ქანდაკებანი, ცალკეული სცენები ერთიან დეკორატიულ ზოლშია ჩართული, თითქოს ერთიან თხრობას წარმოადგენს. ასევე მიმზიდველადაა გაფორმებული ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე კარისა და ფანჯრის არშიები.

გუმბათის მაღალი ყელი ისედაც დიდებულ ნაგებობას შნოსა და ლაზათს ჰმატებს. ამასთან, იგი კიდევ უფრო ვრცელსა და ხალვათს ხდის ამ მხრივ ისედაც დაუწუნებელ შიდა სივრცეს. მონასტრის შიდა კედლები შემოსილი ყოფილა მაღალმხატვრული ფრესკებით, დღეს ამ მხატვრობის მხოლოდ ნაწილიღაა დარჩენილი.

ტაძარში დაცულია დავით დადიანისა და მისი ოჯახის წევრთა საფლავები.

მარტვილის სიძველეები არაერთხელ აუოხრებიათ, გადაუწვავთ და გაუჩანაგებიათ გადამთიელ მოძალადეებს: არაბებს, მონღოლებს, თათრებს. „დიდი თურქობის“ დროს ჭყონდიდი აიკლეს თურქებმა, გამოწვეს მონასტრები, მაგრამ სოფელი ჭყონდიდი და თვით მონასტერი თავისი შესანიშნავი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდგომარეობისა და ბუნებრივი პირობების გამო უპირატეს მდგომარეობას არ კარგავდა მაინც. საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხემ თავის საძვალედ მარტვილის ტაძარი აირჩია, ხოლო დავით აღმაშენებელმა ამ მონასტრის ეპისკოპოსი – გიორგი ჭყონდიდელი მთელი საქართველოს ვაზირთუპირველესად, თავის პირველ ვაზირად და მთავრობის მეთაურად დანიშნა.

მონასტერი საქართველოსა და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს კულტურული ცენტრი იყო. აქ არსებობდა სკრიპტორიუმი – წიგნების გადამწერ ბერთა სამყოფი; მესვეტეები, გარდა საღვთო ქადაგებებისა, წიგნის გადაწერისა და გავრცელების საქმიანობასაც ეწეოდნენ.

მარტვილის მთელი კომპლექსი ქართული ეროვნული კულტურისა და ხელოვნების ძვირფასი ძეგლია, თვით ტაძარი თავისი არქიტექტურული გაფორმებით მსოფლიო საგანძურში შედის.

## წმიდათაწმიდად დავიცვათ ჩვენი ერის ეროვნული საუნჯე*

ერის ღირსება, მისი ეროვნული დიდება და სიამაყე – ერის მატერიალური კულტურის ძეგლებია. მასში ჩაქსოვილია მთელი ერის ეროვნული სახე, მისი წარსული და აწმყო, ძალა და მხნეობა, მისი ათასწლობით ნააზრევი და ნაშრომი, ყველაფერი, რაც კარგი და კეთილი ჰქონია და აქვს ერს. ამიტომ ამ საუნჯის დაცვა ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა ყოველი პატიოსანი მამულიშვილისა.

წინაპრები გვასწავლიდნენ და გვასწავლიან, პატივი ვცეთ და წმიდათაწმიდად დავიცვათ ერის ეს დიდებული საუნჯე.

კულტურის ძეგლებით უაღრესად მდიდარია ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხე, სოფელი, ყველა ქალაქი, მთა და ბარი. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გეგეჭკორის რაიონსაც.

ჩვენს რაიონში, VII საუკუნის ისეთი ღირსშესანიშნავი ნაგებობის გვერდით, როგორიცაა მარტვილის მონასტრის მთელი კომპლექსი, არის 48 სხვადასხვა სახის ისტორიული ძეგლი; ყველა ამ მსხვილ და წვრილ ძეგლს საკუთარი „თავგადასავალი“, თავისი ისტორიული გამართლება და აზრი აქვს. სახიზრად გამოყენებული კარსტული გამოქვაბულები დოშაყეში, ბალდასა და გაჭედილში, რომლებიც მტრის შიშით სოფლიდან აყრილ ადგილობრივებს შეუსწორებიათ და ქვითკირის მძლავრი კედლით ამოუქოლავთ, დიდებული მოწმეები არიან, მოსახლეობის გადამთიელ მოძალადეთა წინააღმდეგ ჩვენი ხალხის თავდადებული გმირული ბრძოლისა. როგორი შეუდრეკელი ნებისყოფა, ძალა და შემართება უნდა ჰქონოდა ხალხს, რომ ტეხურის ხეობა შეეკრა და მთაზე ე. წ. დგომის ჯიხებისა და გალავნის ჯაჭვი გაემართა. „დგომი“ ხომ ნადგომია, აყრილი, გახიზნული ხალხის ნადგომი. ამ ხალხს ეს ხეობა „გოკირილი“, ე. ი. საიმედოდ შეკრული ჰქონია, რომლის მიღმა განაგრძობდნენ შრომასა და ცხოვრებას, იცავდნენ ქართველი კაცის მხურვალე კერას, ახარებდნენ ვაზს და ქართული მიწის ბარაქასა და მადლს, არ უტყდებოდნენ ჭირს და არ ნებდებოდნენ მტერს. განა აბედათის უძველეს ნაგებობათა გრანდიოზულობა, ნახარებაოს და სალხინოს ტაძრების ჩუქურთმოვანი ქანდაკებებით შემკული კედლები, ნოღის ციხე და ალერტის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, თამაკონისა და ნახუნაოს ციხე-დარბაზები

* გაზ. „სოციალისტური სოფელი“, №6, 14. I.1959.

ჭეშმარიტად მეტყველებს ჩვენი ხალხის მთელს ისტორიულობაზე, მის მწუხარებასა და სიხარულზე, მის შრომასა და ცხოვრებაზე!

ამიტომ უაღრესად დროული, ბრძნული ნაბიჯია ჩვენი რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიება – კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შექმნა. ეს მასობრივი ორგანიზაცია თავის წმიდა საქმედ აცხადებს მათ მოვლასა და დაცვას; ყველა მოქალაქე, რომელსაც სწამს და უყვარს თავისი ერის ეროვნული ღირსება და დიდება, მტკიცედ მოჰკიდებს ხელს ამ ორგანიზაციის შენების საქმეს.

ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს გეგეჭკორის რაიონის მშრომელებმა. დღემდე შექმნილია 51 პირველადი ორგანიზაცია, რომელიც დაახლოებით 1000 წევრზე მეტს ითვლის. ამ საქმის მოგვარების დროულობის, მისი განხორციელებისადმი მგზანებარე ინტერესების დემონტრაცია იყო კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველი რაიონული კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეები არა მარტო იწონებენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ამ ღონისძიებას, არამედ თვითონაც იკისრეს ვალდებულება – ყველა ძეგლი, დიდი იქნება ეს თუ პატარა, გაწმინდონ, შემოაკავონ და დაიცვან.

რაიონის მშრომელები, რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივი მიესალმებიან ამ უდიდესი პატრიოტული ღონისძიებების განხორციელებას, თავის მხრივ, ვალდებულებას კისრულობენ, ყველაფერი გააკეთონ კულტურის ძეგლთა მოვლის, დაცვისა და შესწავლის უზრუნველსაყოფად.

# სახელოვანი წინაპრები – გიორგი ჭყონდიდელი*

ქართველი ხალხის დიდებულ შვილთა ნუსხაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჭყონდიდის ეპისკოპოსსა და, პოლიტიკურ მოღვაწეს – გიორგი ჭყონდიდელს, რომელიც 1099-1118 წლებს შორის მოღვაწეობდა და დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში.

გიორგი ჭყონდიდელი თავისი დროისათვის უაღრესად განათლებული პიროვნება ყოფილა. სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად იგი ფართო პედაგოგიურ და სამწერლო მოღვაწეობასაც ეწეოდა თურმე, მაგრამ ერთ-ერთი დიდი ქართველი მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ დიდ მოღვაწეს არსად არ აღუნიშნავს, არსად ხელი არ დაუდვია საკუთარი ვინაობის გამხელით მისი ნაღვაწისათვის. არ შემოგვრჩა ამ ჩუმი, ფუტკარივით მოსაქმე, მაგრამ უპრეტენზიო, დიდი მოღვაწის ფრესკული გამოსახულება, არც აღმოსავლეთის და არც დასავლეთის, არც საქართველოს სამეფო კარის არქივებმა არ შეგვინახა მისი ხელმოწერა. იგი საქმიანობდა არა პირადი სახელის უკვდავსაყოფად, არამედ ერის კეთილდღეობის, მისი კულტურისა და მეურნეობის აყვავებისათვის.

გიორგი ჭყონდიდელი, რომლის საერო სახელი და გვარიც არ ვიცით, უაღრესად განსწავლული ყოფილა მეცნიერების ყოველ დარგში, კარგად იყო დაუფლებული რამდენიმე აღმოსავლურ ენას, ბერძნული ფილოსოფიის, რიტორიკის, მეტაფიზიკის, ქრისტიანული რელიგიის ყველა საღვთისმეტყველო ძეგლსა და წყაროს. იყო სიკეთისა და სიბრძნის განსახიერება. ამასთან, ფრიად გონიერი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსიც ყოფილა. იგი, – გვარწმუნებს „ქართლის ცხოვრება“, – იყო „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა და სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმჭრიახი, სვიანი და ფრთხილი“. ამიტომ მარტო პირადი მეგობრობა როდი ამოქმედებდა დავით აღმაშენებელს თავის პირველ ვაზირად, ვაზირთუხუცესად დაენიშნა და ამიერიდან ჭყონდიდელის ტიტული დიდ სამოხელო ტიტულად ექცია.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „შემდგომად კვლავად შეიძინეს ჭყონდიდელი და იყო იმის ხელისანი ქვრივ-ობოლნი, დავრდომილნი, უსამართლოდ ქმნილნი, შეწუხებული და შეჭირვებული. ესე აუწყებდა ამათა ყოველსავე მეფესა, ესევე იყო მწიგნობართუხუცესი ყოველთა სამეფოთა ბედით თქმულთა. ესე მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკლესია-მონას-

* გაზეთი „კოლხეთის ცისკარი“, №86, 27. IX. 1962.

ტერთა და ლაშქართა მოსაწვევად და მათდა სამჭირნოთა მოხსენებად მეფისა. ასევე იყო ლაშქრობისა ჟამსა პატიოსნისა ჯვარისა მძღვანებელი წინაშე სპათა და ბრძოლისა ჟამსა უკან მსვლელი ან ჩახთაული და ახალ წელს მაკვლევი მეფისა". ამიერიდან ყოველი არზა, ყოველი საჩივარი მხოლოდ სააჯო კარზე გიორგის წარედგინებოდა, მხოლოდ გიორგი მოახსენებდა მათ შესახებ მეფეს. კვირის გარკვეულ დღეებში სააჯო კარზე გიორგი ჯდებოდა ღია კარზე და თავისუფლად იღებდა ყოველ მთხოვნელს. განსჯიდა მათს საჩივარს, სჯიდა დამნაშავეს და ეხმარებოდა და ზრუნავდა ჩაგრულსა და დავრდომილებზე.

იგი მარტო საეკლესიო საქმეებით როდი იყო დაინტერესებული, როგორც ბერი, არამედ დიდ სახელმწიფოებრივ საქმიანობასთან ერთად, სამშობლოს განსაცდელის ჟამს საომარ ქურანაზე (წაბლისფერ ცხენზე) ამხედრებული, ჯვრითა და მახვილით ხელში, წინ მიუძღოდა ლაშქარს.

გიორგი იყო დავით აღმაშენებლის პირადი მრჩეველი, აღმზრდელი, მეგობარი და თანშეზრდილი, დიდი თანამოღვაწე. ბერის პირველვეზირად აღზევება მიმართული იყო ამ სახელის სამემკვიდროდ დასაკუთრების ტენდენციის წინააღმდეგ, მაგრამ, გარდა ამისა, იგი პირველი კაცი იყო სახელმწიფოში, რომლის დიდ განსწავლულობას, გონიერებას, სახელმწიფოს მართვის დიდ უნარს ბადალი არ მოეძებნებოდა. სწორედ ამ თავისებურებს ემყარებოდა უბრძნესი მეფე დავითი, როცა თავის აღმზრდელ გიორგის ამ თანამდებობაზე ნიშნავდა. იგი იყო „აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფველი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა" („ქართლის ცხოვრება").

თუ ამ ცნობას ვენდობით, მაშინ გიორგი არა მხოლოდ ბერი და სასულიერო პირი ყოფილა აღზევებამდე, არამედ პედაგოგიც. რასაკვირველია, ყველაზე სახელგანთქმული პედაგოგიც, ვისთვისაც მიუნდვიათ უფლისწულის აღზრდა; თუ ასეა, მაშინ გიორგის ჭყონდიდში – მარტვილში უნდა ჰქონოდა რაღაც საკმაოდ მაღალი საგანმანათლებლო დაწესებულების მსგავსი კერა, სადაც უსათუოდ დავითიც სწავლობდა მისი დიდი მეგობრის – გიორგის მეთაურობით. ეს რომ ასეა, გვარწმუნებს რამდენიმე სხვა წყაროც, რომელზედაც შემდეგ გვექნება დაწვრილებით საუბარი.

გიორგი ჭყონდიდელი ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული პიროვნებაა მაშინდელი საქართველოსა და მთელ აღმოსავლეთში. ამ დიდი პოლიტიკოსის ხელი ერია ყველა იმ დიდ საქმეში, რითაც დავითის მოღვაწეობის მთელი პერიოდი ხასიათდება. მან დიდი წვლილი შეიტანა თურქ-სელჯუკებისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და საქართველოს უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცევაში. მან ჩააგონა მეფეს ყივ-

ჩაღთაგან მუდმივი ლაშქრის შექმნა, მათი საქართველოში ჩამოსახლებით. იგი თან ახლდა მეფეს ოსეთში, საიდანაც უნდა გადმოსულიყო საქართველოში ყივჩაღთა ლაშქარი თავიანთი ოჯახებით. აქ მოხუცი დიდმოღვაწე გარდაცვლილა. „ხოლო მაშინ ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი...რომელიც იგლოვა ყოველმან, ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შავისათა ორმოც დღე“ (ქართლის ცხოვრება). გიორგის გარდაცვალება დიდი დანაკლასი იყო საქართველოსთვის, მეფისთვის, სამეფო კარისთვის. ამიტომ ეს მოვლენა მთელ საქართველოში საყოველთაო გლოვით აღინიშნა.

გიორგი ჭყონდიდელი წარსულში ჩვენი ერის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შვილია, რომლის პირადი მაგალითი და დიდებული ნაღვაწი მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩაუქრობელ ლამპრად ენთება ქართველი ერის ისტორიაში.

# შევისწავლოთ ჩვენი მხარის წარსული და აწმყო*

ჩვენი მხარე – სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილი – ისტორიული კოლხეთის ცენტრი იყო უძველესი დროიდან. ამ ტერიტორიაზე გადიოდა უძველესი სავაჭო, სახმელეთო და სამდინარო გზები, ფაზისიდან და დიოსკურია-ცხუმიდან ქუთაისამდე. რიონის, აბაშისა და ცხენისწყლის ხეობები და სანაპიროები უძველესი ქართული გვარ-ტომების ხალხის – კოლხების სამეურნეო და კულტურული მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პუნქტები იყო. აქ, მდინარე რიონის სანაპიროზე მდებარეობდა დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური პუნქტი – **შუაქალაქი** (დღეს პატარა სოფელია აბაშის რაიონში). ტეხურის ხეობის ვიწრო ყელის გადასახედთან საუკუნეების განმავლობაში ამაყად იდგა ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში – ძველი ქალაქი **არქეოპოლისი** ან **ციხე-გოჯი**, ხოლო მარტვილში, ფერდობის თავისებურ კონცხზე, წარმართობის უდიდესი კერპი და ტაძარი. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ამ ადგილზე აიგო მონუმანტური ტაძარი.

გეგეჭკორის სარაიონთაშორისო მხარეთმცოდნეების მუზეუმის მიერ დღემდე 350-ზე მეტი ისტორიული ძეგლი და ადგილია აღრიცხული და შესწავლილი. აღმოჩენილია პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების, ბრინჯაოს ეპოქისა და შემდგომი პერიოდის ადამიანის – კოლხი კაცის, ქართველი შემოქმედი ადამიანის მოღვაწეობის ათასობით შესანიშნავი რელიკვია, რომელიც ნათლად მეტყველებს ჩვენი ხალხის დიდ ისტორიულ წარსულზე.

ფეოდალიზმის ეპოქაშიც აქ მსხვილი სამეურნეო-ტერიტორიული ერთეულები იყო შექმნილი, რომელთაც ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ტეხურის ხეობის მთელ გაყოლებაზე, **ეკის** მთიდან ვიდრე **მინგარიეს** მთამდე, **სალიპარტიანო** იყო გადაჭიმული. აბაშის ხეობის სიგრძეზე ჭყონდიდელთა საეკლესიო-ტერიტორიული ერთეული – **საჭყონდიდელო** მდებარეობდა. ჭყონდიდლებს ეკუთვნოდათ აბაშის რაიონის ტერიტორია მთლიანად და გეგეჭკორის რაიონის დიდი ნაწილი. მათი ბატონობის პერიოდში გაყვანილ იქნა „**ცუდღარი**“ აბაშაში და „**ჭყოინდარიში ღარი**“ მარტვილში. ეს ღარები და არხები სერიოზული მნიშვნელობის სამეურნეო არხები იყო. მარტო „ჭყოინ-

* გაზეთი „კოლხეთის ცისკარი“, №14, 14. V. 1962.

დარის ღარზე“, სათავიდან ვიდრე ნაოღალევამდე, ოცზე მეტი წისქვილი იდგა. გარდა ამისა, იგი წარმოადგენდა სარწყავ სისტემასაც და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყაროსაც.

ამავე ეპოქაში ჭყონდიდელები ჯერ მთლიანად საქართველოს, შემდეგ დასავლეთ საქართველოს სამეფოს, ბოლოს სამეგრელოს სამთავრო კარზე პირველი ვაზირის, მრჩევლის, მეფის შვილთა აღმზრდელისა და სულიერი მეუფის მოვალეობას ასრულებდნენ. ჩვენი მხარე დიდხანს მთელი სამეგრელოს კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი იყო.

მხარის ამ შესანიშნავ წარსულზე ნათლად მეტყველებს ტოპონომიკური მასალებიც. მტრებთან გმირული ბრძოლა, სოციალური უთანასწორობა, მხარის სამეურნეო ცხოვრების ყველა მოვლენა ნათლადაა ასახული ადგილთა სახელწოდებებში, რომლებიც თანდათან მივიწყებას ეძლევიან. ეს ადგილები დღეს ახალი, სოციალისტური ყოფის შესაბამის სახელებს ატარებს. თუ „**ოფოცხოლი**“ ყველაზე საშიშ და მიუვალ ადგილს ეწოდება, „**აბჰესი**“ – ამ ადგილის დღევანდელი სახელწოდება – ახალი სოციალსიტური ცხოვრების მთელს დიდებას აღნიშნავს. სოფელ თამაკონში სახელოწოდება **„ეჯანაშე**“, ძველად ღარიბდა მოვარდნილ, ყრუ კუთხეზე მიუთითებდა, „**მშრომელი**“ კი, როგორც ამჟამად ეწოდება ამ ადგილს, ახალი ცხოვრების ძალუმი სუნთქვით გვახარებს.

რამდენი რამეა ძველსა და ახალში, წარსულსა და აწმყოში შესასწავლი, შესანახი, საშვილიშვილოდ დასაცავი. ეს კეთილშობილი მოვალეობა აკისრია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს – მუზეუმებს. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თავისი მრავალრიცხოვანი აქტივით, კორესპოდენტთა ქსელით, დიდ და სასარგებლო საქმიანობას ეწევა.

ცხაკაიას საწარმოო ზონის შექმნა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მუზეუმის შემოქმედებით-სამეცნიერო საქმიანობას.

ინტელიგენციის, მოსწავლე-ახალგაზრდობის, კოლმეურნეების, ყველა მშრომელის საშვილიშვილო საქმეა ჩვენი მხარის წარსულის და აწმყოს დაბეჯითებით და ღრმად შესწავლა. ეს საბჭოთა ცხოვრების მიერ დაყენებული სადღეისო საქმეა. ჩვენი ვალია, სხვა დიდმნიშვნელოვან ამოცანებთან ერთად, ეს ამოცანაც წარმატებით განვახორციელოთ.

## ისტორიული ძეგლები მეტყველებენ*

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი განაგრძობს ჩვენი მხარის ისტორიული ძეგლებისა და ადგილების, მისი სოციალისტური ყოფის, ეკონომიკისა და კულტურის მიღწევების შესწავლას. მუზეუმის შტატისა და შტატგარეშე კოლექტივი 1963 წელს გულდასმით სწავლობდა ისტორიულ ძეგლებს.

უკანასკნელ ხანებში დავზვერეთ **ჯორწყუს** ხეობა. ხეობის მღვიმეებსა და მათ გარშემო არსებულ კულტურულ მასივებზე მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალა ავკრიფეთ. ეს მასალები ადასტურებს, რომ აქ მოსახლე უძველეს კაცს ნეოლითურ ხანაში დაუწყია განვითარებული კერამიკული და მეტალურგიული საქმიანობა, აქ გამოუდნია სპილენძი, დაუმზადებია ბრინჯაო და მისგან ჩამოუსხამს იარაღები. აქვე დაუწყია რკინის მეტალურგია. დაუმზადებია თიხის შესანიშნავი ჭურჭლები, მეურნეობაში ფართოდ გამოუყენებია ნამგლები. აქ აკრეფილი ჭურჭლის ფრაგმენტებზე ამოხაზულმა პურის თავთავის შტრიხებმა და ნამგლის პირებმა ღრმად დაგვარწმუნა, რომ აქ მოსახლე ნეოლითელი და ენეოლითელი კოლხი კაცი დაწინაურებული მიწათმოქმედიც ყოფილა. მას მეურნეობაში დაუნერგია მარცვლეულ კულტურათა მოყვანა და მათ საფქვავად ნაირსახოვანი ხელსაფქვავებიც გამოუყენებია.

მრავალმხრივ საინტერესოა „**ალანიაშ გას**“ და „საელიავოს დიხაგუძუბაზე“ აკრეფილი მასალები. ისინი მოგვითხრობენ ნეოლითური და ენეოლითური კაცის კულტურულ დონესა და თავისებურებებზე. „**საეილავოს დიხაგუძუბაზე**“ აკრეფილი ისრის წვერები, ნამგლის პირები და კერამიკული ჭურჭლის შესანიშნავი ფრაგმენტები მრავალმხრივი მხატვრული თავისებურებებით დიდ ინტერესს იმსახურებს. აქ ნაპოვნი თიხის სურის გონიო და ყური განსაკუთრებული სახის სასმისის შთაბეჭდილებას გვიქმნის თავისი ფართო პირითა და ორიგინალური მილაკით. ჭურჭელი შავი კერამიკული მასისგან არის დამზადებული და მოხატულია მხატვრული ხაზულებით. ინტერესს იმსახურებს აგრეთვე სხვა ჭურჭლის ფრაგმენტებიც. მასზე ამოკვეთილია რაღაც სანიშნო მაგიური ხაზები, რომლებიც ხშირად გვხვდება სარიტუალო ნივთებსა და საკერპო ნაკეთობათა ნამსხვრევებზე. ასევე – ქვის ნიშნიან ლოდებზე. ეტყობა, ნივთი სარიტუალო დანიშნულების უნდა ყოფილიყო.

---

* გაზეთი „კოლხეთის ცისკარი“, №56, 12. V.1964.

ძალიან საინტერესოა „**ალანიაშ გაზე**“ აკრეფილი ხელცულები. აქ მათი სამი ზომის ერთეულები აიკრიფა. ერთი, როგორც ჩანს, შედარებით დიდი, მეორე – საშუალო ზომისა, და მესამე – მინიატიურული. დიდი ზომის ხელცული უფრო სამხედრო და სერიოზული სამეურნეო დანიშნულებისათვის იყო განკუთვნილი, საშუალო ზომისა უფრო საოჯახო საქმიანობაში გამოსაყენებელი ერთეულია, ხოლო მინიატიურული ეგზემპლარები, ალბათ, საფხეკად თუ გამოიყენებოდა.

ბანძაში, ადგილ „**ტაბაკურზე**“ ნაპოვნი მასალები ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ აქ მებაღეობა, მევენახეობა და მეხილეობა უაღრესად ყოფილა განვითარებული. არქეოლოგიური და ფოლკლორული მასალები მოგვითხრობს, რომ **ტაბაკურის** უბანში იყო „**წაკორტები**“ (წალკოტები), სადაც ვარდ-ყვავილები, ვენახები და ხილი იყო ულევად – გვარწმუნებს აქ ჩაწერილი გადმოცემები. ტაბაკურის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაშლილ ველიანზე „**სამოთხე**“ ყოფილა. ეს ტერმინი, როგორც ირკვევა, სანავარდო, სალხინო, დროის გასატარებელ ადგილს ეწოდებოდა ძველ ქართულში. იგი, როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი არკვევს, ქართული წარმოშობის სიტყვაა. აქ აკრეფილი სხვადასხვა სახის სასმისთა და ვაზების ფრაგმენტები, აქ ჩაწერილი გადმოცემები გვარწმუნებს, რომ ბანძის „სამოთხე“ სერიოზული სამეურნეო ერთეული ყოფილა. იგი, ეტყობა, სარეზიდენციო უბანი იყო.

მუზეუმის ექსპედიციამ კვლავ დაზვერა **შუაქალაქი**. ამ ადგილმა რიონისპირეთში ჩვენი ყურადღება არაერთხელ მიიზიდა. ჩვენ ხელთა გვაქვს მრავალი საინტერესო მასალა: ანტიკური საცრემლე, ჯამი, სამშენებლო ქვები, მონეტა და სხვა. ჩვენ ხელთ არსებული მასალები გვარწმუნებს, რომ ეს უნდა იყოს სწორედ ის ქალაქი, რომელსაც აკადემიკოსი ს. ჯანაშია სუჯუნის მახლობლად მიუთითებდა და რომელსაც „კოტაის-ფაზისის“ სამდინარო და სახმელეთო გზაზე ცენტრალური მდგომარეობა ეკავა. ჩვენ მომავალში განვაგრძობთ აქ მუშაობას.

მუზეუმმა ყურადღებით შეისწავლა **ტყვირის** ძეგლი. მის კედელზე ჩვენ მიერ უკვე ამოკითხული და გაშიფრულია მეტად საინტერესო მხედრული წარწერა, რომელიც პელეოგრაფიულად XV საუკუნეს მიეკუთვნება. აქ მოხსენებულია **შედან ჭილაძე**, მისი მეუღლე **ცვატა** და **შედანის ტყუპი ძმა აბრამი**. წინასწარი შედარებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეს პიროვნებანი ცხოვრობდნენ XV საუკუნეში. ეს წარწერა ისტორიულ მეცნიერებას დამატებით ცნობას აწვდის აბრამ ჭილაძეზე, რომელსაც წარწერა „**ქველსა და ტფილს**“ უწოდებს. საინტერესოა ისიც, რომ ეს წარწერა აკადემიკოს ექ. თაყაიშვილს არ უნახავს, რადგან, როგორც თვითონ აღნიშნავს, ეს კედელი ბათქაშით ყოფილა დაფარული. რატომ

დაფარეს ბათქაშით ეს საინტერესო წარწერა? რაიმე საიდუმლოება ხომ არ იმალება შედან და აბრამ ჭილაძეების მიმართ? საკითხი, უდავოდ, ძალიან საინტერესოა.

მუზეუმმა 1963 წელს საფუძველი ჩაუყარა ღია ცისქვეშ გამოფენას. აქ გადმოტანილია ოქტომბრის რევოლუციამდელი გლეხის კარ-მიდამო, თავისი ეთნოგრაფიული, საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დაცვით. აქვე მოწყობილია მშვენიერი სავენახე. რკინის მაღალ ხარდანზე და ხურმის მაღლარზე მიშვებულია მუზეუმის შტატისა და შტატგარეშე მუშაკთა მიერ აღდგენილი 17 ძველკოლხური ჯიშის ვაზი. მალე მუზეუმი ამ ჯიშებს აღადგენს, გაამრავლებს და გაავრცელებს რაიონის კოლმეურნეობებში. ამასთან ამ შესანიშნავ ჯიშებს აღწერს და დამატებით სარწმუნო ცნობებს მიაწოდებს მეცნიერ-სწავლულებს მათ შესახებ. აღსანიშნავია, რომ მათგან 5 ჯიში ლიტერატურაში ჯერ სრულიად აღუწერელია.

ამ რამდენიმე დღის წინ მუზეუმის მუშაკებმა ისარგებლეს შემთხვევით – გეგეჭკორის რაიონში დიდი მეცნიერის, ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის შემქმნელის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, ამხ. გიორგი ჩიტაიას ჩამოსვლით და მისი ხელმძღვანელობით მოაწყვეს სალხინოსა და გაჭედილის სასოფლო საბჭოებში ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ეთნოგრაფიული ხასიათის გასვლა. ამ გასვლაში, პროფესორ გ. ჩიტაისათან ერთად, მონაწილეობდა სამუზეუმო საქმის ცნობილი მცოდნე, საქართველოს სსრ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, ამხ. პ. კიკნაძე და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ამხ. რეზო თოდუა.

ამრიგად, ჩვენი მუზეუმი მრავალ ამოცანას ისახავს მიზნად და ფიქრობს, მომავალში უფრო მეტი გააკეთოს.

## საყურადღებო ძეგლი – ტყვირის ეკლესია*

რიონისპირეთში, ყოფილი საჭილაოს ცენტრში, დღეს ქალასა და შიშველ ადგილას, დგას ლამაზი გუმბათიანი ნაგებობა, ქართული კულტურის პატარა, მაგრამ შესანიშნავი ძეგლი – **ტყვირის ეკლესია**.

იგი ჯვრის ფორმის, ოთხკუთხა ნაგებობაა. თითოეულ გვერდზე სწორკუთხედად წინ წამოწეული მცირე შვერილები ქმნიან ჯვრის ტოტებს. ეკლესიის ძირითად ნაწილს წამოდგმული აქვს მრავალკუთხედად ჩაკვეთილი გუმბათი, რომელსაც დატანებული აქვს 8 ვიწრო სარკმელი. ეკლესიის გარე კედლებში ჩართულია კირქვის ფართო ფილები, შესანიშნავი ორნამენტოვანი მოდილიონებით, კარისა და ფანჯრის არშიებით. დასავლეთ კარის თავზე არის ჩუქურთმოვანი ჯვარი, რომლის ირგვლივ შესრულებულია მხედრული წარწერა. ამ მხარეს ეკლესიას მიდგმული აქვს ეკვდერი, რომლის შესასვლელის შუბლზე, გარეთ, ცხვრის ქანდაკებაა დატანებული. მსგავსი ქანდაკება დატანებული აქვს სეფიეთის ეკლესიასაც. სამხრეთის კარისთავზე არის დიდი ფიქალი, რომელზედაც შესრულებულია ნუსხახუცური წარწერა. ჩრდილოეთით ეკლესიას შვერილის მთელ სიგანეზე მოდგმული აქვს ეკვდერი, სადაც ვრცელი აკლდამაა (ექვთიმე თაყაიშვილის მითითებით, იერემია ჭყონდიდელისა). დღეს იგი სავსებით აყრილი და თავმოხდილია. ამ ეკვდერს, ოვალური ფორმის, სვეტის თავების თაღედებზე დაყრდნობილი ოვალური, ლამაზი გადახურვა ჰქონია. კედლებზე შემორჩენილია ლამაზი სვეტები და თაღედთა საყრდენები. ეკვდერს დატანებული აქვს ორი ვიწრო სარკმელი. ეკლესიის ფასადთა ბევრ ქვაზე ამოკვეთილია ნუსხახუცური, ან მხედრული წარწერა.

ძეგლის ძირითად ნაწილსა და დასავლეთის ეკვდერს შემორჩენილი აქვს თაღოვანი სახურავი, რაც ყოველ მხარეზე ქმნის ისრის წვერისებრი სახურავის გვერდულებს. გვერდულთა თავშესაყარი ჰკრავს მკლავებს და ქმნის ოთხკუთხედ კვარცხლბეკს, რომელზედაც მრავალკუთხა გუმბათია აღმართული. გუმბათის ყოველ ჩათლილ გვერდზე თითო ვიწრო სარკმელი აქვს ჩართული. მისი გადახურვა წრისებურია. სახურავს შემოვლებული აქვს თლილი ქვის კოზმიდი.

ეკვდერები ეკლესიის ძირითად ნაწილს გვიან აქვს მოდგმული. თავდაპირველად ეკლესიის ჯვრის გეგმის ძირითადი ნაწილია აგებული. ყვე-

---

* ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, კრ. VI, თბ., 1966, გვ. 39-42.

ლა წარწერა ძირითადი ნაწილის ფასადებზეა შესრულებული. სამხრეთით კარის თავზე არის ნუსხა-ხუცური წარწერა.

ექვთიმე თაყაიშვილი ამ წარწერას ასე კითხულობს: „სახელითა ღმრთისაითა აღეშენა. მაცხოვრისა მტყუვირისა საყდრისა აღმაშენებელსა ქუველსა ჭილაძესა შეუნდვეს ღმერთმან. ძმათა მისთა კახაბერსა და ჩუბინსა შეუნდვეს ღმერთმან. ვინც შენდობა ბრძანოთ, შეგინდვნეს ღმერთმან“ (ძველი საქართველო ტ. III, გვ. 4). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკლესიის კედლებზე სხვა უამრავი წარწერაა. ყველა ისინი ამოკითხული და გადმოწერილია აკადემიკოს ექ. თაყაიშვილის მიერ. განსვენებულ დიდ მეცნიერს არ გადმოუწერია ერთი მეტად საინტერესო მხედრული წარწერა. ეს მომხდარა გასაგები მიზეზის გამო. იგი წერს: „შიგნით და გარეთ ეხლა ეკლესია შელესილი და შეთეთრებულია კირით და თავის პირვანდელი სახე დაუკარგავს. კარის მარცხნივ დახშული ჩუქურთმიანი კამარაა (არკა), თაღის ქვემოთ ჩუქურთმიანი ჯვარია“ (ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 2). ეტყობა ექ. თაყაიშვილის მიერ ძეგლის შესწავლის დროს ჯვრის ირგვლივ მთელი ფიქალი შელესილი ყოფილა ბათქაშით და – ეს წარწერაც დამალული. დღეს ბათქაში ჩამოცვენილია და წარწერა თავისუფლად იკითხება. ჩვენ ამ წარწერას ასე ვკითხულობთ:

1. ღ(მერ) თო:. და ჯვარო:. ქრისტე-
2. საო:. შეუნ(დე), და შე(ე)წიე:. შედანსა
3. ჭილაძესა:. და მეუღლესა:. მისა
4. ქ(ალბატო)ნ და ც(ვა) ტასა:. ძეთა:. მისთა
5. პ(ი)რნ(ა)(თელსა):. სასობარსა:. ქვ-
6. ელსა:. ნათელლსა:. ეშმასა:. ჩუბინსა:. აბრამსა:. შედანსა:.

და (ჯ) (ა) (ვ) (ა) ხ (სა).

7. ასულსა; მი (ს) სა:. ტკ (ბილ) ქალ (ო) ბასა.

მზ (ე) ქალსა:. ულ (უმ) პიასა:.

ეს წარწერა უაღრესად საყურადღებოა, ერთი იმით, რომ წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით XVI საუკუნეზე გვიანდელი არაა. მეორე – აქ მოხსენებულია ჭილაძის გვარეულობიდან რამდენიმე პიროვნება. მათ შორის შედანი და აბრამი მხოლოდ ორჯერ გვხვდება ისტორიულ წყაროებში. ქველი და ჩუბინი ამავე ეკლესიის მშენებლებად არიან მოხსენიებული ექ. თაყაიშვილის მიერ გადმოწერილ, ზემოთ დამოწმებულ წარწერაში. ჯავახი XVI საუკუნის I ნახევარში ცნობილი პიროვნებაა. იგი იმერეთის მეფე გიორგი II დასაჯა. სხვა დანარჩენი პიროვნებანი ისტორიულ წყაროებში პირველად არიან მოხსენებულნი. ეს წარწერიანი ქვა ეტყობა თავდაპირველად ხუცურით შესრულებული სამხრეთის

კარისთავზე არსებული წარწერიანი ქვის ადგილას ყოფილა ჩასმული, ხოლო დასავლეთის კარისთავზე ყოფილა არქიტრავი, რომელიც ახლა ამ კედლის ქვემო ნაწილში არის ჩართული, კარის ჩრდილოეთის მხარეს. არქიტრავი კარის არშიების ხაზს აგრძელებს და თაღად ერტყმის გარს არქიტრავის გულში ამოკვეთილ ჯვარს და მის ჩუქურთმიან ფონს. ჯვარი და ჩუქურთმა ხეზე ხალხური ჭრის ნიმუშების განმეორებაა. ოსტატი ალბათ ადგილობრივი ხელოსანი იყო. იგი ეტყობა ხეზე ჭრის ოსტატია, რომელმაც ხეზე კვეთის სტილი ქვაზეც გაავრცელა. ამ მხრივ არქიტრავი და ამავე კედელზე, კარის სამხრეთის ფრთაზე არსებული მეორე ქვის მხატვრული ჭრაც უაღრესად საყურადღებოა.

ვინ არის შედან ჭილაძე? „ეს უკანასკნელი, ჯავახთან ერთად, მოხსენიებულია გამოჩინებულის ეკლესიის ხატის წარწერაში, საჯავახოში, გურიაში“ – წერს ექ. თაყაიშვილი (იქვე, გვ. 17). შედან ჭილაძე, ეტყობა, ძლიერი ფეოდალი, საჭილაოს მფლობელი, თავისი დროისათვის სახელოვანი პიროვნება იყო. მისი შვილებიდან ყველაზე ცნობილია ჯავახი, რომელიც ეტყობა იმერეთის მეფის კარზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ამიტომ მეფის რისხვა სწორედ მას დაატყდა თავზე. შედანის შვილი ქველი ჭილაძე ტყვირის ეკლესიის მშენებლად ჩანს ალბათ ამ წარწერაზე გვიან შესრულებულ ხუცურ წარწერაში. ამ წყაროში მოხსენებული არიან ქველის ძმები – ჩუბინი და კახაბერი. რატომღაც წარწერა გადაუადგილებიათ, ხოლო თავიანთ ძეგლზე მამის სახელი არ ამოუკვეთიათ. საინტერესოა, რატომ?

წარწერაში მოხსენებული პიროვნება აბრამი სეფიეთის ეკლესიის მომხატავია. მასზე ახლაცაა სეფიეთის ეკლესიაში შემორჩენილი ხუცური წარწერა, რომელიც თავის დროზე გადმოუწერია და გამოუქვეყნებია ექვ. თაყაიშვილს.

აქ მოხსენებული სხვა პირები ისტორიულ წყაროებში არ ჩანან. წარწერის პალეოგრაფიული თავისებურება, ქვათა გაწყობა, მათი ჩასმა-გადასმის საიდუმლოების გახსნის შესაძლებლობა ამ მხედრული წარწერის ბათქაშიდან განთავისფლებამ მოგვცა. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ რადგან ქველი და ჩუბინი, ძმები, ამ წარწერაში შედანის შვილებად არიან მოხსენებული, აქვე მათ ძმებად ჩანან ჯავახი და აბრამიც. ამდენად, ქველი და ჩუბინი XVI საუკუნეს უნდა მიეწეროს. მანამ ალბათ ქვის ნაგებობა იდგა, რომელიც რაღაც მიზეზით დაინგრა, ისე, რომ კვლავ საჭირო შეიქმნა მისი აღდგენა, „აღშენება“, რაც ქველმა აგურის წყობით განახორციელა. ძეგლის კედლის წყობა ამას სავსებით ადასტურებს. კედლის წყობის შესწავლა მის პირვანდელ მხატვრულ გაფორმებაზეც გვაძლევს ერთგვარ წარმოდგენას.

ეკლესიას ერთი თავისებურებაც აქვს: აქ და სეფიეთის ეკლესიის კოზმიდში ჩართულია ერთ მხარეზე, ე. ი. წინაპირზე, ტყვირში დასავლეთის შესასვლელის თავზე, ხოლო სეფიეთში აღმოსავლეთით – ცხვრის თავის ქანდაკება. ეს ჩვენი მხარის ძეგლთა შორის მხოლოდ აქ შეინიშნება. სხვაგან მსგავსი მხატვრულ-არქიტექტურული ჩართვა არსად გვხვდება. ეტყობა ეს ქრისტიანული ეკლესიის რელიგიური ემბლემა ჭილაძეთა გვაროვნულ გერბში ჩაერთო, მისი გვაროვნული ემბლემა გახდა, რომელიც, შემდეგ, რატომღაც დადიანთა საგვაროვნო ემბლემად იქცა. აქ პირველ დადიანებთან ჭილაძეების რაიმე ნათესაურ ურთიერთობაზე ხომ არა გვაქვს მითითება?

საერთოდ, ტყვირის ეკლესია უაღრესად საყურადღებო ძეგლია, რომლის მოვლა-დაცვა პირველი რიგის ამოცანად შეიძლება დავაყენოთ. დღემდე იგი სრულიად მოუვლელი იყო. ამიტომ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების აბაშის II საშუალო სკოლის პირველადმა ორგანიზაციამ იკისრა ამ ძეგლზე შეფობა. სკოლის მთელი კოლექტივი უაღრესად დაინტერესებულია ამ ძეგლით და იმ კეთილშობილი ამოცანით, რომელიც მან თავისი სურვილით იკისრა.

## ჭყონდიდ-მარტვილი და შოთა რუსთაველი*

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. აქ უძველეს დროში ჩაისახა სამეურნეო საქმიანობის ისეთი დარგები, რომლებიც შემდეგ მთელი მსოფლიოს მოსახლეობის საქმიანობის წამყვანი და გადამწყვეტი დარგები გახდა. მიწათმოქმედების – ცივილიზირებული მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საქმიანობის დამფუძნებელი ქვეყანა, აღმოსავლეთის, შუამდინარეთის სხვა ქვეყნებთან ერთად, ჩვენი ქვეყანაა, კოლხეთია. ბერძნული მითოლოგია კოლხებს უკავშირებს ანდამატის საუკეთესო სახვნელ იარაღს. ბერძნული მითის საფუძველზე, ჰეფესტომ იგი აიეტს გაუკეთა (პროფესორი გ. ჩიტაია).

ქართველ ხალხი უძველესი დროიდან მომდინარე მდიდარი კულტურული ნიადაგით საზრდოობს. „ქრისტიანულ ხანას წინ უსწრებდა განვითარების გრძელი პერიოდი, რომელიც იდეოლოგიის ხაზით უძველეს მდიდარ სარწმუნოებებს და კულტებს შეიცავდა“, – წერს პროფესორი ვ. ბარდაველიძე.

ასეთი ხალხის კულტურულ ყოფასა და ცხოვრებაში ადრიდანვე იქმნება დიდმნიშვნელოვანი კულტურული კერები. **ჭყონდიდი** ამ კერათა შორის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული კერა იყო. აქ **კაპუნიას** ანუ **რეაკუებელეს** ღვთაება ბატონობდა, რომლის სარიტუალო მცენარედ უხსოვარი, გვაროვნული წყობილების დროიდან მუხის ხე ითვლებოდა. დიდი ქართველი მეცნიერი, პროფესორი ი. ყიფშიძე თავის წიგნში – „მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა“ (რუსულ ენაზე) წერდა: „კაპუნია, გადმოცემით, კერპის სახელწოდებაა, რომელიც იდგა იმ ადგილზე, სადაც ახლა მარტვილის მონასტერია“. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ძველ საქართველოში სახელგანთქმული ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს... თავდაპირველად, უეჭველია, მუხის მსახურების სალოცავ ადგილად უნდა ყოფილიყო“. ამრიგად, ჭყონდიდი, როგორც რელიგიური და კულტურული კერა, უძველესი დროიდან მომდინარეობს. ამ კერის მღვდელმსახურები – ჭყონდიდლები – უძველესი დროიდან ცნობილი მოღვაწეები არიან.

VII საუკუნეში, მონასტრის დაარსებასთან და ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძრის აგებასთან ერთად, კიდევ უფრო მეტად

* გაზეთი „შრომის დროშა“, №117, 6. X.1966.

ამაღლდა და გაძლიერდა ჭყონდიდელთა მოღვაწეობა. ასეთი კერა ვერ გადაურჩა მურვან ყრუს დამარბეველ ლაშქრობას და განადგურებელ კერაზე მცირე ხნით შეწყდა მოღვაწეობა, მაგრამ კერა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ როცა გიორგი II-ის დროს საკითხი დადგა ქართული ეკლესიის კერების შექმნისა, დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ კერად ჭყონდიდი იქნა აღიარებული და ფოთიდან (ბერძნული რელიგიური ცენტრიდან) აქ იქნა გადმოტანიალი საეპისკოპოსო, რომელიც შემდეგ სულ მალე სამთავარეპისკოპოსო ხდება. „ცხადია მხოლოდ, უკვე ბაგრატ IV-ის დროს ის სამთავარეპისკოპოსოა და პირველი სამღვდელმთავრო (აფხაზეთის კათალიკოსის შემდეგ) ლიხთიმერეთში“, – წერდა აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი.

აქ გიორგი II-ის დროს X საუკუნეში მოღვაწეობდნენ პირველი ქართველი პოეტები და ჰიმნოგრაფები – სტეფანე ჭყონდიდელი (საეკლესიო მწერალი) და ოანე მინჩხი (საერო პოეტი და ჰიმნოგრაფი). მათი ლიტერატურული მოღვაწეობის კერა ეს მონასტერი იყო. ჭყონდიდის კერა დიდ საგანმანათლებლო და კულტურულ კერად დარჩა ბოლომდე, XIX საუკუნის დასასრულამდე.

ბაგრატ IV-მ კიდევ უფრო აამაღლა ეს კერა, იგი სამღვდელმთავროდ გახადა და მთელ აღმოსავლეთში ცნობილი მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის კათედრად აღიარა. თუმცა გიორგიმ არ ისურვა კათედრის მიღება. ბაგრატ IV-მ ეს კერა თავის საძვალედაც აქცია.

XI საუკუნეში ამ მონასტერში მოღვაწეობდა საყოველთაოდ ცნობილი და სახელგანთქმული გიორგი ჭყონდიდელი – „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა, სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვიანი და ფრთხილი, თანააღზრდილი, აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“, – წერს „ქართლის ცხოვრება“. აქედან ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის აღზრდა ამ მონასტერსა და მის სანახებში მომხდარა. „მეფეს ყმაწვილობიდანვე მხარში ედგა მისი აღმზრდელი... გიორგი მწიგნობარ-თუხუცესი“, – წერს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი. ამრიგად, ეს კერა დიდი კულტურული და საგანმანათლებლო კერაა, სადაც მეფის ძეთა აღზრდა ხდებოდა...

XII-XIII საუკუნეებში აქ მოღვაწეობდნენ თამარის დროის დიდი მოღვაწეები, მწიგნობართუხუცესები – მიქაელ და ანტონ ჭყონდიდლები.

ჭყონდიდი იყო შერგილ და ცოტნე დადიანების (XII-XIII სს.) საერისმთავროში სამთავარესპისკოპოსო მონასტერი. შერგილმა აქ განსაკუთრებული ნიშიც კი ააგებინა მარმარილოს ღვთისმშობლის დიდი

ხატის დასაბრძანებლად, მის სვეტისთავებზე წარწერილია ასომთავრულით – „დადიანი შერგილი“.

აი, საფუძველი, რომელზედაც უნდა დაფუძნებულიყო რუსთაველის ურთიერთობა ჭყონდიდთან, მის კულტურულ კერასთან. აი, ერთ-ერთი ნაწილი იმ დიდი კულტურული საფუძველებისა, რომლებზედაც აღმოცენდა რუსთაველი და მისი დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ასეთი კულტურული კერები საქართველოში თავიანთი საერთო ქართული ეროვნული მოღვაწეობით ქმნიდნენ მაშინდელი საქართველოს მაღალ კულტურულ დონეს, რაც აპირობებდა ქართველი ხალხის გენიალურ შვილთა დიდებულ მოღვაწეობას, რომელსაც საერთო საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

შოთა რომ კარგად იყო ცნობილი, აღიარებული და დიდი სიყვარულითაც სარგებლობდა ჩვენი ხალხის მშრომელთა შორის, ადასტურებს სოფელ ინჩხურში, „ნაოხვამუზე“ გიორგი გიორგის ძე წოწორიას მიერ ნაპოვნი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელზედაც ლამაზი მრგვლოვანით ამოკვეთილია „**შოთასი**“. ჩვენი აზრით, იგი XII—XIII საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს და უცილობლად დაკავშირებული დიდი შოთა რუსთაველის სახელთან.

აქ, როგორც ცნობილია, გადაწერდნენ და ავრცელებდნენ „ვეფხისტყაოსანს“. ჩვენ ხელთ არის ამ მონასტერში XIX საუკუნის დასაწყისში გადაწერილი ხელნაწერი. მუზეუმის მიერ შეკრებილი ფოლკლორული განძიც მდიდარ მასალებს გვაწვდის შოთას ხალხური ბიოგრაფიის, მისი პოემის დიდი აღიარების და გავლენის გარშემო. ჩვენ მიერ ამ დღეებში ჩაწერილი „**შოთაში არიკი**“ მეტად საინტერესო ცნობას შეიცავს, თუ როგორ აფასებდა ხალხი, უყვარდა და აღიარებდა შოთას: „**შოთაშენი მუჟანს დიდა სქიდუდუნი ანგეიოზეფი გინოხვენა დვირეს დო ნობირუენა. თე დღას ვასერეე, ბჟას ვედიურთუმუ**“ (როცა შოთა იბადებოდა, იმ დღეს ანგელოზები დამსხდარიყვნენ, იმ დღეს სულ არ დაღამებულა და მზე არ ჩასულა). ხალხი მას დაბადებიდან ღვთისშვილად და ხალხის სათაყვანო გენიად თვლის. ხალხის რწმენით, მზემაც კი შეწყვიტა თავისი ჩვეულებრივი მოგზაურობა დასავლეთისაკენ და შეუსვენებლივ ანათებდა გენიალური შვილის შობის დიდებულ მომენტს. აი, ასე სწამს ხალხს, ასე უყვარს თავისი გენიალური შვილი. ასე ინახავს მის ხსოვნას – უკვდავსა და დიდებულს.

## მასწავლებლის სამახსოვრო*

შოთა რუსთაველი ჩვენი ერის გენიალური პოეტი, ერის ამოუწურავი სიბრძნის წყაროა.

შოთას გენიალურ პოემაში ყველა დაინტერესებული პირი იპოვის ადამიანისთვის ყველა საჭირო შეკითხვაზე პასუხს, იპოვის ყველა სატკივრისა თუ საჩივრის მალამოს. ამიტომაა იგი მარად უბერებელი, მარად დიადი. „ვეფხისტყაოსანში“ ყველა სხვა მრავალ საკითხთა შორის ფართოდაა მოცემული ადამიანის აღზრდის საკითხებიც.

შოთა აღზრდის პირველ მცნებად თვლის სიკეთეს. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. მისი გმირები ადამიანისადმი, გვერდით მყოფი ყველა ადამიანისადმი უანგაროდ კეთილნი არიან. ისინი ბოროტების წინააღმდეგ, ეშმაკეულის წინააღმდეგ ამოღებულ მახვილს წარმოადგენენ. ეს დიდებული მაგალითი, ეს პირველი სიბრძნე, პირველი დიდი მხარეა მწვრთნელისა, პედაგოგისა. მასწავლებელი, მწვრთნელი, პირველ რიგში, კეთილი უნდა იყოს თავისი ქცევით, საქმით, ნაბიჯებით. იგი ამას უნდა ამჟღავნებდეს არა ხელოვნურად, არა არტისტული გააზრებით, არამედ გულისხმიერი, შინაგანი წვით. მისი გული უნდა ანათებდეს სიკეთის ჩაუქრობელი ალით. „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ – მოითხოვს შოთა. მხოლოდ სიკეთეს, გულისმიერ სიკეთეს და სიყვარულს შეუძლია დადებითად იმოქმედოს ბავშვის სულზე. ყველაზე უფრო ამ გულისმიერ სიკეთეს ბავშვი გრძნობს, რომელიც არა გონების თვალით სჯის ადამიანის ნაბიჯს, არამედ ალღოთი, მიამიტი, ჯერ კიდევ დაუმძიმებელი გულის ძალით გრძნობს გულის სითბოს. ბავშვი თავის სინორჩის ასაკში ყველაფერს ხედავს, და თავისი მიამიტი ქცევებით რეაგირებს. იგი ყოველთვის თვალში შემოგცქერის. თუ შენს თვალში ვერ იპოვა სიკეთე, მოგერიდება, ზურგს შეგაქცევს. კი ვერ იტყვის – რატომ, მაგრამ მოგშორდება. მაინც გული უგრძნობს. თუ კეთილად შეგიცნო, შემოგაფრინდება, გამოგყვება, გემორჩილება, შენი ნაბიჯების გადაღებას ცდილობს, შენს ქცევებს ბაძავს. ეს მოზრდილში გონებით დაჩრდილულია, იგი პირდაპირ და უცბად ვერ რეაგირებს, ცდილობს გონების თვალით განსაჯოს. ამიტომ იტყოდა დიდი პედაგოგი: ბავშვის გონება დაუწერელი დაფაა: მასზე კეთილს შეუძლია საუკეთესო

* გაზეთი „შრომის დროშა“, №122, 18. X.1966.

სამახსოვრო დაწეროს. კარგი აღმზრდელის თვალები სიკეთის სხივით ანათებს ყოველთვის, მისი თვალები ბოროტების, შურისა და ზიზღის ფარდით არასდროს იხურება. ამიტომ უყვართ იგი, ამიტომ ბაძავენ მის ნაბიჯებს, ამიტომ მიჰყვებიან მის ნებას და იზრდებიან კარგები. იყო კეთილი – მასწავლებლის, აღმზრდელის მიმართ პირველი მოთხოვნაა. ამას მოითხოვს აღმზრდელისაგან ჩვენი დიდი პოეტიც, ჩვენი ერის ეროვნული გენია.

ეს ერთი მხარეა, მართალია, პირველი მხარე, მაგრამ მაინც ერთი, რომელიც, სხვა მხარეებთან შერწყმული, აღწევს ბავშვის აღზრდის დადებით შედეგებს. მეორე – მტკიცე მოთხოვნა, რომელსაც შოთა აღზრდას უყენებდა, არის სიმართლე და პატიოსნება: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“; „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. ბავშვის მიამიტი თვალები შენში მარტო სიკეთეს კი არა, სიმართლეს და პატიოსნებასაც ეძებს. მას ჰგონია, რომ შენი ყველა სიტყვა სრული ჭეშმარიტებაა. ხანდახან მამასაც ეკამათება და საბუთად შენს სიტყვას იყენებს. შენ მისთვის ავტორიტეტი ხარ. თუ შეგნიშნა, რომ შენ იგი მოატყუე, თუგინდ უნებლიე სიცრუე თქვი, გული უტყდება შენზე, ზურგს შეგაქცევს. იყავ ბოლომდე მართალი, პატიოსანი. თუგინდ ძალიან მკაცრი განაჩენის გამოტანა მოგიხდეს, მაინც თქვი სიმართლე, პატიოსნად და პირდაპირ. ბავშვი გაიგებს; შესაძლოა ძალზე იმოქმედოს ამ მძიმე სიმართლემ, მაინც მთელი გულით შეგიყვარებს. ნუ დაკარგავ ამ რწმენის შესაძლებლობას, რადგან იგი შენი შემდგომი საქმიანობის გზა და ხიდია. ეს ცხოვრებას ჩვენთვის არაერთხელ დაუდასტურებია. იყავ მართალი და პატიოსანი – აი, მეორე მხარე, მეორე მოთხოვნა მასწავლებლის, აღმზრდელის მიმართ.

მესამე მხარე მასწავლებლის ინტელექტუალური სიმაღლეა.

„ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი“, – ამბობს შოთა. მართლაც, ბრძნად მქმნელი, ცოდნით მოღვაწე აღმზრდელი ყოველთვის დადებით შედეგს აღწევს. ბავშვი მასწავლებელში ეძებს მცოდნეს, ბოლომდე მცოდნეს, დიდ და ამოუწურავ ცოდნას. ეცადე, იცოდე ჯერ შენი საგანი, იცოდე სახელმძღვანელოზე გაცილებით მეტი, იცოდე, ყველა დამხმარე მასალაც, რომ ინტერესის აზარტში შესულმა ბავშვმა არ დაგიჭიროს, არ ჩაგჭრას; შემდეგ კი მეზობელი, მონათესავე დისციპლინებიც, რადგან ბავშვი დიდი ცნობისა და ცოდნის მოყვარეა. იგი პატარა ჩავარდნასაც კი არ გაპატიებს. მის სიყვარულს ჩრდილი არ უყვარს. დაჩრდილული სიყვარული სიყვარული არაა. კარგი მასწავლებელი სწავლობს, ცოდნას იძენს შეუსვენებლივ. იგი არასდროს გაურბის თავისი მოსწავლის შეკითხვას. ცდილობს, ხვალისთვის მეტი იცოდეს.

გაკვეთილიდან თუმცა დაღლილი, მაგრამ გამარჯვებული ბრუნდება. „მე დღეს გავიმარჯვეო“ – სიხარულით გეტყვის ხოლმე. ასე ზეიმობს იგი ყოველი გაკვეთილის დამთავრებას. ყოველი გაკვეთილი, ყოველი ნაბიჯი მისთვის დიდი დღესასწაული და გამარჯვებაა. ასე სწამს მას მასწავლებლის ვალი და მისი მოღვაწეობის შედეგები. ასეთი რწმენით მოღვაწეობს, ასეთი რწმენით თვალებგაცისკროვნებული საქმიანობს კარგი აღმზრდელი, კარგი მასწავლებელი. აქეთკენ მოგვიწოდებს ჩვენ დიდი შოთა, მისი გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ამოუწურავი სიბრძნე; აი, რას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი საქმიანობა. ვიყოთ კეთილი, პატიოსანი და მცოდნე – აი, რა აუცილებელი მოთხოვნები დგას ჩვენ წინაშე. აი, რა უნდა გვახსოვდეს ყოველთვის აღმზრდელებს.

## შოთა რუსთაველის 800 წლისთავისათვის* რუსთაველის ნაკვალევზე

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი უდიდესი ეროვნული დღესასწაულია. ყოველი ქართველი ადამიანი, ყოველი დიდი თუ მცირე დაწესებულება თავს ვალდებულად თვლის, ამ დიდი თარიღის აღნიშვნაში საპატიო წვლილი შეიტანოს.

ამ მხრივ არც გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დარჩება ვალში. აქ დაცულია სხვადასხვა სახის ექსპონატი, რომლებიც ქართველი ხალხის დიდ კულტურულ წარსულსა და სახელოვან ტრადიციებზე მეტყველებს.

უწინ საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია, დაწყებული ეგრისის მთაგრეხილიდან უნაგირას მთის აღმოსავლეთით, ვიდრე რიონამდე, საჭყონდიდოს სახელით ცნობილ ერთ ტერიტორიულ სამეურნეო ერთეულს შეადგენდა. იგი ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრას ეკუთვნოდა. მის შემადგენლობაში შედიოდა საეკლესიო სოფელი **ინჩხური,** სადაც ცნობილი ქართველი მკვლევარის პ. ინგოროყვას გამოკვლევით, უცხოვრია დიდ ქართველ ჰიმნოგრაფს, დასავლეთ საქართველოს მეფის, გიორგი II-ის თანამედროვესა და მეფესთან დაახლოებულ პირს, **იოანე მინჩხს**, რომლის პოეტური ფსევდონიმი **მინჩხური** წარმომდგარი უნდა იყოს ამ სოფლის სახელწოდებიდან.

ჭყონდიდის სანახებში უხსოვარი დროიდან იყო ალბათ სერიოზული საეკლესიო და საერო ნაგებობა. ასეთი კერა უნდა ყოფილიყო ინჩხურში, იოანე მინჩხის მშობლიურ სოფელში. ამ ვარაუდის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ამ სოფელში მცხოვრებმა გ. წოწორიამ იპოვა ლოდი, რომელზეც არის X-XI საუკუნეებში მრგვლოვანით შესრულებული წარწერა: (შოთასა). მის ზემოთ, ქვის გონიოზე ასოთა ბოლოებია შემორჩენილი. ეტყობა, იგი წარწერის ნაწილია. ქვას ერთი მხარი ჩასწორებული აქვს, მიჯრით მიწყობისათვის, ამიტომ მას საფლავის ქვად ვერ ჩავთვლით, იგი ან კედლის მოსაპირკეთებელი ლოდის, ან იატაკის ფილაქნის ნაწილი უნდა იყოს.

თუ აქ ასეთი ნაგებობა იდგა, რომელსაც წარწერებით დამშვენებული კედლები და იატაკი ჰქონდა, ეტყობა იგი რაღაც სერიოზული სარიტუალო ან საერო ნაგებობა იყო. ასეთი დიდი პოეტის მშობლიურ სოფელში

---

* გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, №26, 1. III.1966.

მსგავსი ნაგებობის არსებობა არაა გამორიცხული. მეორე, თვით საკუთარი სახელი შოთა, ჩვენი მშობლიური, ეროვნული სახელია, რომელიც ასე ფართოდ ყოფილა გავრცელებული შუა საუკუნეებში. მდაბიო ხალხის შვილები ალბათ ათასობით ატარებდნენ ამ სახელს. შოთა, დღემდე ჩვენამდე სათაყვანოდ მოსული სახელი ჩვენი ერის ეროვნული კუთვნილებაა. იგი უძველესი დროიდან მომდინარეობს, ხოლო შოთა რუსთაველის შემდეგ უფრო გავრცელდა და სხვა შინაარსით მოიცვა ათასობით ქართული ოჯახის გული და გონება. ეს შესანიშნავი ძეგლი ჩვენი მუზეუმის იშვიათი ექსპონატია. მუზეუმი ფიქრობს, ჩაატაროს უფრო სერიოზული არქეოლოგიური მუშაობა ამ ადგილებში.

გარდა ამისა, მუზეუმის განკარგულებაში ინახება „ვეფხისტყაოსნის“ მრავალი უნიკალური გამოცემა. ყველაზე საინტერესო მაინც „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერი ეგზემპლარია, რომელიც XIX საუკუნის პირველ წლებში გადაუწერიათ.

მუზეუმს თავის ფონდში დაცული აქვს ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები: სურები, სარტყელები, რომლებზედაც ამოტვიფრულია შოთას ყველასათვის საყვარელი სახე. მუზეუმს აქვს თამარის სახით შემკული ბეჭდები.

მუზეუმის მუშაკებმა ადგილზე მრავალი ზღაპარი, ანდაზა და ლეგენდა შეკრიბეს, რომელიც შოთასა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ თემაზეა შექმნილი.

მუზეუმში დაცული ეს მასალები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თუ რაოდენ ყურადღებითა და პატივისცემითაა მოსილი ჩვენს ხალხში ყველაფერი, რაც გენიალური პოეტის სახელთანაა დაკავშირებული.

## კადარი*

**კადარი** ძველი აბაშის დასავლეთით გაშლილი ველია, წინათ მჭიდროდ დასახლებული, სადაც დღეს მოსახლეობა აღარ არის. ამ ნასახლარი ველის შუა ადგილას არის აგურით ნაგები ძველი ბაზილიკური ეკლესია. მას სამხრეთით და დასავლეთით ეგვტერები ჰქონია მიშენებული. დღეს ეგვტრის და გალავნის უმნიშვნელო ნაშთია შემორჩენილი, ექსტერიერის ბარელიეფები სრულიად მოშლილია. ნაგებობა სწორკუთხაა. მხოლოდ კანკელის მხრიდან აღმოსავლეთით აქვს ოდნავ ტეხილი რკალური ფასადი, სადაც სამი ვიწრო სარკმელია დატანებული. გადახურვა თაღედურია. დღე მხოლოდ ქვითკირის თაღედური სახურავი აქვს შემორჩენილი. ინტერიერში, აქა-იქ ფრესკების მცირე ფრაგმენტებია დაცული. მხატვრობის ნაწილი ყველაზე უკეთესად მხოლოდ საკურთხეველში არის დაცული. ზემო რეგისტრში იესო ქრისტეს გამოსახულებაა. მის ქვემოთ არიან მისი მოწაფეები – წმინდა პეტრე, პავლე, ფილიპე და სხვ. მათ ირგვლივ არის ნუსხახუცური წარწერა. ჩრდილოეთში კედელზეც ჩანს ანგელოზთა გამოსახულებანი, ფრთები და სახის ნაწილი.

ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ მხარეს შემორჩენილია საერო დიდებულთა ფრესკის ფრაგმენტი და ნუსხახუცური წარწერის ნაშთი, რომელიც დადიანებზე მიუთითებს. ფრესკებს ექვთიმე თაყაიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს: „მხატვრობის შემკობილობანი, სადაც დაცულია, ძლიერ ლამაზია“. ეკლესიის სიგრძე 16,5 მ-ია, განი კი 9 მ-ს უდრის. კარები დატანებული აქვს სამხრეთით და დასავლეთით. კარისა და ფანჯრის არშიაზე, როგორც ჩანს, ბარელიეფები ყოფილა. დღეს ეს მხატვრული გაფორმება სრულიად მორღვეულია.

ეკლესია, როგორც ექ. თაყაიშვილი ვარაუდობს, უნდა იყოს ნაგები არა უგვიანეს XIV საუკუნისა. იგი სწორედ მის მიერ აღწერილი ჩუქურთმების მიხედვით აკეთებს ასეთ დასკვნას. ეკლესია ამ პერიოდის შესანიშნავი ძეგლია.

* გაზეთი „განახლებული აბაშა“, №69, 8. VI. 1967.

## სუჯუნა*

სუჯუნა – მდინარე აბაშის აღმოსავლეთით, პატარა, მეტად საინტერესო ისტორიული წარსულის მქონე სოფელია. იგი ვრცელ ჭალაზეა გაშლილი. ეს სოფელი, ეტყობა, ოდესღაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო „ფაზის-კოტაის“ სამდინარო და სახმელეთო გზაზე. გვიან, ალბათ, **ჭაიების** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოფელიც იყო. უფრო გვიან იგი ჭყონდიდელთა საზამთრო რეზიდენციად ქცეულა. კაპიტალიზმის შემოჭრასთან ერთად, სუჯუნა ჩრდილო და შიდა სამეგრელოს სოფლებთან ვაჭრობის მნიშვნელოვანი კერა იყო. ვაჭრებს აქამდე არხით ამოჰქონდათ საქონელი ფოთიდან. აქ იყო ბაზები და საქონლის განაწილების კანტორები. სწორედ აქედან იგზავნებოდა შიდა რაიონებში საქონელი გასაყიდად.

სუჯუნა, ადგილობრივ მკვიდრთა რწმენით, წყალდამდგარს ნიშნავს. **სუ** – წყალი, **ჯუნა** – დამდგარი (სოფლის სახელწოდების სხვა განმარტება ადგილზე არ იციან). ოდესღაც შეიძლება მართლაც დაჭაობებული ადგილი იყო იგი და ამისთვის არხი გაჭრეს, ამოაშრეს და არხში რიონის წყალი ჩაუშვეს სამდინარო გზასთან კავშირის დასამყარებლად, კონტროლისა და ბატონობის უზრუნველსაყოფად.

სოფლის ჭყონდიდელთა ერთ-ერთ რეზიდენციად გამოცხადების შემდეგ აქ ააგეს ქვითკირის მაღალი გემოვნებით ნაგები ტაძარი. გადმოცემით, ტაძრის აგებამდე აქ მდგარა ხის ეკელსია. ეს ახალი ნაგებობა, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი წერს, აშენებული უნდა იყოს მე-18 საუკუნეში. „ეკლესია აქ მოზრდილია, ძლიერ ლამაზია. თეთრი თლილის ქვით ნაშენი, გუმბათიანი, მაგრამ, ძველი არ არის. აშენებულია ანტონ ჭყონდიდელის მიერ, რომელიც ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, მოხსენებულია ერთ სიგელში 1796 წელს“, – წერს განსვენებული მეცნიერი. ეკლესია გარედან კარგი გემოვნებითაა შესრულებული. თლილი ქვის კომპოზიციურ არეებში ამოკვეთილია წმინდანთა გამოსახულებანი და წნული ჩუქურთმით ამოყვანილი ჯვრები. გემოვნებითაა გაფორმებული კარისა და ფანჯრის არშიებიც. ეკლესიის ეზოში დგას ორსართულიანი ლამაზი სამრეკლო.

„აქ ესვენა „სასწაულმოქმედი“ სუჯუნის წმინდა გიორგის ხატი, რომლის ხატობა იმართებოდა 23 აპრილს. ამ დღეს აქ დიდძალი მლოც-

* გაზეთი „განახლებული აბაშა“, №75, 22. VI. 1967.

ველები მოდიოდნენ. ვისაც შეპირებული ჰქონდა, ის ღამეს ათევდა, საკლავს კლავდა, მუხლის მოყრით ეკლესიას გარშემო უვლიდა... სუჯუნის წმინდა გიორგის ხატი ითვლებოდა სულით ავადმყოფთა მკურნალად... სუჯუნაში იცოდნენ ქადაგად დაცემაც“... – წერს პროფ. ს. მაკალათია.

ექვთიმე თაყაიშვილის აღწერით, ეკლესიაში ძვირფასი ვერცხლისა და ოქროს მრავალი ხატი და ჯვარი ინახებოდა, რომლებზედაც შესრულებული იყო საინტერესო წარწერები. განძთა შორის დაცული იყო წმინდა გიორგის სახელთან და ხატთან დაკავშირებული ნივთებიც.

# ღრმა მეცნიერული აზრის შესანიშნავი კრებული*

ახლახან მკითხველმა მიიღო ცნობილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს ისტორიის მკვლევრის, ჩვენი თანამემამულის, პროფ. ვარლამ დონდუას „საისტორიო ძიებათა“ I ტომი. ეს წიგნი მეცნიერული აზრის შესანიშნავი კრებულია. აქ ცალკეული საკითხები განხილულია ისეთი სიღრმითა და მეცნიერული გულითადობით, წყაროთა და მსოფლიო ლიტერატურის ისეთი ფართო მასშტაბების გამოყენებით, რომ მიუხედავად წიგნის ერთიანი სიუჟეტური ძარღვით შეუზღუდველობისა, ღრმად და ყოველმხრივ სრულყოფილად განგვაცდევინებს კვლევის თემას, შეგნებით შეგვაცნობინებს საკითხთა მთელ არსს, მაგრამ არა საკითხთა იზოლირებულ ასპექტში, არამედ თითქმის სიუჟეტურ მთლიანობაში. აქ მსჯელობა პოპულარული ხასიათისა როდია, არამედ მტკიცედ გამიჯნული, მეცნიერული ლაკონურობით და განსაზღვრებათა თავისებური ხაზგასმით ჩაწნულ-აკინძული. ყველა სიტყვას თავისი ადგილი აქვს, აქ უადგილო ან ზედმეტი სიტყვა არაა. მათემატიკური სიზუსტით, ქართული ენის ცოდნისა და სიყვარულის დიდი გულმოდგინებით შედგენილი ყოველი წინადადება, რაც პროფესორ ვარლამ დონდუას ახასიათებს ყველგან: პუბლიკაციაში, გამოსვლაში, ლექციაში, პირად საუბარში. ესაა სწორედ ის მაგიური ძალა, რომელიც გიმორჩილებს და ზეგავლენის ქვეშ გამყოფებს.

„საისტორიო ძიებათა“ პირველ ტომში შეტანილი ყველა შრომა საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებს ეხება (XVIII საუკუნემდე). თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ ყველგან ერთი აზრია: ერის ისტორიის ყველა საკითხი, რაც არ უნდა მცირე იყოს იგი, მაინც პირველხარისხოვანია და ყოველმხრივ გულდასმით ძიებასა და კვლევას მოითხოვს.

მკითხველი დიდი ინტერესით კითხულობს და იმახსოვრებს „ლეონტი მროველისეული პროტოისტორიის ზოგ ამოსაკითხს“. აქ ავტორი მთელი უშუალობით, წყაროთა და მასალათა მეცნიერული გაშიფრვით ამტკიცებს, რომ ლეონტი მროველისეული „ქართველნი“ და „ქართლოსიანნი“ ორი სხვადასხვა მცნებაა. ქართველნის ქვეშ მას საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი ჰყავს გათვალისწინებული, ხოლო ქართლოსიანში იყვნენ სხვა ტომებიც – „ბუნთურქნიც“ – ლეშთმჭამელნი, მაგრამ

* გაზ. „განახლებული აბაშა“, №23, 23. V. 1968.

ისინი საკუთრივ ქართველნი არ იყვნენ, ე. ი. ლეონტისეული ქართლოსიანნი არ იყვნენ.

ასევე მეცნიერული უშუალობითა და მთელი სისრულითაა გამოკვლეული საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ერთიანობის ისტორია XI საუკუნეში, მეფე ვახტანგ VI-ს დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, პეტერბურგის ქართული კოლონიის ისტორიულ ლიტერატურული მემკვიდრეობისა და სხვა საკითხები.

წიგნში განხილულია მეტად საინტერესო საკითხები: „ლიპარიტეთისა“ და ანალოგიური ფორმის გვარ-სახელებისთვის ქართულ ისტორიულ წყაროებში. ავტორი თავის შრომაში: „თამარ მეფის და რუსუდანი“, მთელი სისრულით ამტკიცებს გიორგი III-ის მეორე ქალიშვილის, თამარის დის – რუსუდანის არსებობის რეალურ ფაქტსაც.

ვსაყვედურობთ გამომცემლობას, მეტად დიდი მეცნიერული ღირებულების წიგნში ზოგი მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც კორექტურული შეცდომების გამო. ვისურვებთ, სულ მალე გვეხილოს წიგნის ბაზარზე პროფესორ ვარლამ დონდუას „საისტორიო ძიებანის“ II, III და ა. შ., ტომები.

## სისხლით დაწერილი დღიურები*

კაცობრიობას არ ახსოვს უფრო მრისხანე და ავაზაკური ომი. მილიონობით ლამაზი სიცოცხლე შეეწირა მას, დაინგრა ქალაქები და სოფლები.

გადაიარა მრისხანე ტალღად და მიჩუმდა, შეწყდა ომის საშინელებანი.

ომის ექო მაინც ხმიანებს და ზარავს ადამიანებს. ახლა მსოფლიოს კიდით კიდემდე გაისმის საპროტესტო მოწოდება – „არ გვინდა ომი, არა“.

ამ მრისხანე დღეების საკვირველ ამბებს მოგვითხრობს ახლახან ჩვენს ფონდში შემოსული ნიკოლოზ ერმილეს ძე ესიავას საბრძოლო დღიურები.

იგი ფრონტულ პირობებში, ძირითადად, სანგრებში უწერია. მასში მტვრის, სისხლისა და ტყვიის კვალია უხვად მიმობნეული. რა გატაცებით, მთელი შეგნებით აღუნუსხია ყოველი საბრძოლო დღის ამბები ამ შესანიშნავ მებრძოლსა და ადამიანს. რა გატაცებით მოგვითხრობს იგი თავის მეგობრებსა და თანამებრძოლებზე!

„ყველაფერი ერთმანეთშია არეული: დაჭრილების კვნესა, მოხუცები, ბავშვიანი ქალები, ვისმა გულმა უნდა გაუძლოს ამ სანახაობას... მხეცს არც ერთი არ ებრალება, ყველას ერთნაირად აყრის ყუმბარებს თავზე“ – აღნიშნავს ნიკოლოზი, ყირიმის საშინელი ტრაგედიის მოწმე.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, წვეთ-წვეთობითაა ომის მთელი საშინელება და ჩვენი მებრძოლების გმირული ამბები მოთხრობილი.

სისხლისა და ტყვიის სუნსა გრძნობ დღიურის ყოველ გვერდზე და მთელი გატაცებითა და შეგნებით ამბობ, ამხანაგ ნიკოლოზთან ერთად – „ძირს ომი!“.

ვფიქრობთ, საშინელი ომის საკვირველი მოწმის – ნიკოლოზ ესიავას დღიურები გამოვაქვეყნოთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე პერიოდულად. თვით მკითხველი დარწმუნდება მის საკვირველ ხასიათსა და შინაარსში.

---

* გაზ. „შრომის დროშა“, №56, 9. V. 1970.

## სეფიეთი*

სოფელი სეფიეთი მრავალმხრივ საინტერესო ისტორიული წარსულის ადგილია. აქ 1931 წელს აღმოჩენილი და პროფ. ს. მაკალათიას მიერ აღწერილი მონეტების განძის მეშვეობით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება „აბაშის ამ ნაპირას ყოფილიყო მოქმედი ლაშქრის ბანაკი, საიდანაც სწარმოებდა სამხედრო ხასიათის ოპერაციები“ (ს. მაკალათია). მონეტები ანტიკური ხანის იშვიათი მოწმეებია. ისინი ეკუთვნის რომის 14 იმპერატორს, I საუკუნიდან III საუკუნის დასასრულამდე. მათ შორის მდიდრადაა წარმოდგენილი სეპტიმიუს სევერის (193-211 წ.) მონეტები, სულ 222 ერთეული. ასევე, მრავლადაა მისი მეუღლის, იულია დომნასი – 24 ცალი, კარაკალასი (211-217 წწ.) – 23 ერთეული, ალექსანდრე სევერის (222-235 წწ.) – 33 ცალი და ა. შ. ეს განძი აქ შემთხვევით მოხვედრილი არ უნდა იყოს; იგი რომაელთა ლაშქრობის დროს შემოტანილი და მრისხანე ხანის მოწმეა.

ხალხური გადმოცემები და სეფიეთის ეკლესიის ეზოში ნაპოვნი რენე შმერლინგის მიერ ჩვენი თხოვნით შესწავლილი კაპიტელიც ადასტურებს, რომ V საუკუნეში სოფლის ცენტრში მაღალმხატვრული ნაგებობა მდგარა, რომელიც დამშვენებული ყოფილა ლამაზი კაპიტელებითა და ბარელიეფებით. გადმოცემები მოგვითხრობს, რომ ადგილ „ნაოჭკადურეშში“ უხსოვარი დროის სამჭედლო მდგარა, სადაც **„ჭახუნდესია რკინას“** – რკინას წურავდნენო. აქ ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა სავსებით ადასტურებს უძველესი მეტალურგიული წარმოების არსებობას. მილაკები, ტიგელის კედლის ფრაგმენტები, წიდები, სხმულები ბრინჯაოს ეპოქის განვითრებულ მეტალურგიულ წარმოებაზე მეტყველებს.

ადგილი **„ნაჩხუბუ“** კი 1856 წლის ნოემბერში რუსთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის მიერ ომერფაშას ჯარის დამარცხების ფაქტის მოწმეა. ამ ბრძოლის შემდეგ თათართა ფეხი არ დადგმულა ამ მიწაზე.

ყველაზე საინტერესო სეფიეთის ეკლესიაა. **„სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესია ერთი უძველესთაგანი ეკლესიაა სამეგრელოში, ქვითა და აგურით ნაშენი, გეგმით ბაზილიკა არის სამწილედი შიგნით“ (ექ. თაყაიშვილი).** იგი სამნავიანი ბაზილიკაა. ამ სტილის ნაგებობათა შორის ყველაზე საინტერესო არქიტექტურული აღნაგობით მას გარეთ, ოვალური ფორმის კანკელის კედლის ზემოთ, სახურავის შესაყართან,

* გაზ. „განახლებული აბაშა“, №154, 26. XII. 1970.

აღმოსავლეთით, ცხვრის თავის ქანდაკება ამშვენებს, რომლის მსგავსი ჩართვა ტყვირის ეკლესიაშიც იყო, ოღონდ აქ – დასავლეთის ეგვტერის შუბლზე. საინტერესოა თავისი არქიტექტურული აღნაგობით დასავლეთის სანათლავი. იგი, ეტყობა, სხვა ნაგებობის სახურავმოხსნილი და თავდაპირველი ნაგებობაა, რომლის თაღოვანი სახურავი გვერდის სამ სვეტზე ყოფილა დაყრდნობილი. დღეს სვეტები და თაღთსაყრდენები შემორჩენილია, ხოლო სახურავი გადაკეთებულია. საინტერესოა ეკლესიის შიდა მხატვრობა, განსაკუთრებით კანკელის ნიშში წმინდა ნინოს ფრესკა, რომელზედაც ექ. თაყაიშვილი წერს: „მხატვრობა ულამაზოა, მაგრამ ეს ერთადერთი მაგალითია ჯერჯერობით ცნობილი წმინდა ნინოს სურათისა ეკლესიის კედლებზე დასავლეთ საქართველოში“. საკურთხეველის ცაზე მაცხოვრის დიდი სურათია. მის იქით-აქეთ მარიამ ღვთისმშობელი და მთავარანგელოზები არიან გამოსახული. ტაძრის ჩრდილოეთის მხარე ფერისცვალებას, ამაღლებასა და ჯვარცმას ეთმობა, სამხრეთის თაღზე – ნათლისღება, შობა და სხვა სცენები დაუხატავს მომხატავს.

ჩრდილოეთ კედელთან დიდი ლოდია იატაკში ჩასმული, რომელზედაც წარწერაა ამოკვეთილი, მაგრამ გაფუჭებულია და წაკითხვა ვერ ხერხდება. ასეთივე ლოდი ჩასმულია დასავლეთის ეგვტრის ჩრდილოეთ კედელზედაც.

ყველაზე საინტერესოა დასავლეთის ეკვტერის კედლის მხატვრობა. აღმოსავლეთის ფანჯრის ზემოთ ასომთავრული წარწერაა შემორჩენილი: „დახატა ეკლესია ესე კოპალაძემა ჭყონდიდელმა ზოსიმემ. შეუნდვეს ღმერთმა, ამინ“. იგი XVII საუკუნის ერთ-ერთი ეპისკოპოსი უნდა იყოს. მისი სახე მარტვილის მონასტრის კედელზეა შემორჩენილი. მაგრამ აქ საყურადღებოა ისიც, რომ სეფიეთის ეკლესიის პირველ მომხატავად სხვა ჩანს, რასაც სამხრეთის კედლის შუა სვეტზე არსებული ასომთავრული წარწერა ადასტურებს. მას ექ. თაყაიშვილი ასე კითხულობს:

„ . . . . და ესე ჭილაძემა
აბრამი, მერ-
მე მე ჭყონდიდელ-
მან ზოსიმემ კოპა-
ლაძემ დავახატვი-
ნე ესე. ამინ“.

აბრამ ჭილაძის გამოსახულებაც ზედ ყოფილა დახატული: მაგრამ დღეს იგი სრულიად აყრილია და ვერ იცნობა. დადიანთა ეგვტრის კედელზე სხვა დიდებულთა სურათებიც ყოფილა. დღეს ყველა წაშლილია. ერთგან „თოფურია“-ც იკითხება, ხოლო შემოსასვლელი კარის მარჯვნივ სრულიად აცვენილი ფრესკაა. მის ქვემოთ ასომთავრულით წერია:

„ელაჭიშ ოჩიგავა“. ეტყობა, აქ თოფურიათა და ოჩიგავათა, ამ სოფლის აზნაურთა და დიდებულთა სურათებიც იყო დახატული. დღეს არცერთი აღარ ჩანს.

აბრამ ჭილაძე ჭილაძეთა გვარეულობაში ყველაზე საინტერესო პიროვნების – ჯავახ ჭილაძის ძმაა, რომელიც XVI საუკუნის I ნახევარში ცხოვრობდა. იგი იმერეთის მეფის კარზე დიდ როლსაც თამაშობდა თურმე და აქ ატეხილ პოლიტიკურ კინკლაობას ემსხვერპლა კიდეც, მეფე გიორგიმ სიკვდილით დაასჯევინა იგი. ჯავახი და აბრამი ტყვირის ეკლესიის კედელზე ჩვენ მიერ ამოკითხულ მხედრულ წარწერაში შედან ჭილაძის შვილებად ჩანან. შედან ჭილაძე XVI საუკუნის მნიშვნელოვანი პიროვნება ყოფილა. მასზე გამოჩინებულის ეკლესიის ხატზედაცაა წარწერა. ჯავახთან ერთად, ეტყობა, აბრამი შედანის შვილთა შორის დიდი ქველმოქმედი ფეოდალი ყოფილა. იგი ტყვირის ეკლესიის მშენებლად და მომხატველადაც ჩანს ტყვირის მხედრულ წარწერაში.

ამრიგად, სოფელი სეფიეთი, მისი ისტორიული ღირსშესანიშნაობებითა და ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მოწმეებით, უდავოდ, საყურადღებო ადგილია, რომელიც შემდგომ უფრო დაბეჯითებით არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს.

## წალენჯიხის შთაბეჭდილებები*

წალენჯიხა – ხალხურ მეტყველებაში წენჯიხა, ან ხშირად წენდიხა, უძველესი დროიდან დიდი ისტორიული წარსულის და კულტურული ტრადიციის ცენტრი იყო კოლხეთში, მოგვიანებით კი, ზოგადად, სამეგრელოს სამთავროში. ქართული კულტურის დიდებული ძეგლია მაცხოვრის ეკლესია, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, იყო „მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდამ ზღვამდე“. მშვენიერი მდებარეობა უჭირავს ეკლესიას. იგი ბორცვის ბრტყელ კონცხზეა წამოდგმული. კონცხის შემოგარენი 5 მ-ის სიმაღლის მძლე ბურჯებით გამაგრებული გალავნითაა შემოზღუდული. როგორც ეტყობა, გალავანს, რომლის სისქე დაახლოებით 1 მ-ია და ალაგ-ალაგ უფრო მეტიც, ქონგურებიც ჰქონია დატანებული, ხოლო მათ ქვემოთ სარბენების ლონდირთა ფოსოები ახლაც შემორჩენილია ალაგ-ალაგ. გარეთ – აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთითაც შემორჩენილია ციხე-კოშკი და ქვითკირის საცხოვრებელ ნაგებობათა ნანგრევები. განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთ-აღმოსავლეთის კიდურზე შემორჩენილი შენობის პირველი სართული, რომლის სიგრძე 10 მ-ზე მეტია, ხოლო სიგანე – 8 მ. იგი ჩაშენებული ყოფილა ძველი, საცავი გალავნის შიგნით, რომელიც შემდგომ გადაუკეთებიათ, ძველი – ახალი და უფრო ვიწრო კედლით შეუცვლიათ.

ეკლესიის ეზოში რამდენიმე ერთეულია: შესანიშნავი ეკლესია, სამრეკლო, უძველესი სამლოცველო ეგვტრისა და საძვალის დიდებული ნანგრევი. ამ ანსამბლის ცენტრალური ნაგებობა მაინც მაცხოვრის ეკლესიაა. მისი თავდაპირველი გეგმა ჯვრის სახითაა განხორციელებული, სამნაწილედი შიდა სივრცით. გარეთ ეკლესიისათვის XIII-XV საუკუნეებში სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით მიუშენებიათ თაღებიანი ფრთები, რომლებიც დაყრდნობილია ლამაზ სვეტებზე და სვეტთა შორის სივრცის კამარა ცალკეულ სეგმენტში კუთხოვანი სხივებით მზის დისკოს ეკვრის გარს და მეტად იშვიათ შთაბეჭდილებას სტოვებს. სტოები ხობის ეკლესიის მსგავსად ტაძარს სილამაზეს და არქიტექტურულ სიღრმეს უორკეცებს. ჩრდილო-დასავლეთი კუთხის თავისუფალი თაღედი ეგვტრითაა ჩაკეტილი, რომელიც ლევან II დადიანის საძვალეს

* გაზ. „შრომის დროშა“, №49, 25. IV. 1972.

წარმოადგენს. ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „ეკლესიია უფრო ძველია, ვიდრე ცაიშისა და უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს X-XI საუკუნეებისა“. ამასვე ადასტურებენ აკადემიკოსები – შ. ამირანაშვილი, გ. ჩუბინაშვილი და სხვ.

ამ კომპლექსში ყველაზე საინტერესოა ეკვდერთა ნანგრევი. იგი ჩაშენებულია დასავლეთის მხარეს, გალავანში, და მისი დღემდე შემორჩენილი ნანგრევებიც ძლიერ საყურადღებოა. სამი ვიწრო ეკვდერი, ოვალური თაღოვანი გადახურვით, თითოეული მათგანი სიგრძით 11 და განით 4 მ-ია. კედლები, თაღოვან სვეტებზე დაყრდნობილი, ოდესღაც სვეტთა შორის ღია სივრცეებით, ხოლო თაღებსა და სვეტისთავებზე სარეზონანსო კერამიკული ჩანართებით, წარმართულ სარიტუალო სამლოცველო ეგვტერთა შთაბეჭდილებას სტოვებს. მათ გაგრძელებაზე, სამხრეთისაკენ, სამი, 2,5 მ სიგანის მცირე ეკვდერია, სადაც უკვე სვეტთა შორის თაღური სივრცე თავიდანვე ამოქოლილი ჩანს. ისინი, ეტყობა, საძვალე ეგვტერებია. ამ ერთეულის არქიტექტურა მეტად საინტერესოა და იგი შეიძლება უფრო ადრეული, წარმართული სარიტუალო ნაგებობის ნანგრევი იყოს.

ეკლესიაში XIV საუკუნისა და უფრო გვიანი ხანის მრავალი საინტერესო ფრესკა და ლაპიდარული წარწერაა შემორჩენილი. მათ შორის მთავარანგელოზ გაბრიელისა და ღვთისმშობლის გამოსახულებები იმ ეპოქის მხატვრული ხელოვნების დიდებული ნიმუშებია. ღვთისმშობლის სახის, სხეულისა და ხელების მხატვრული გარდასახვა დიდებულია. დიდი მხატვრული გემოვნებითაა შესრულებული თითქმის ყველა ფრესკა და მხატვრული დეტალი. როგორც მარცხენა სვეტზე არსებული წარწერა გვამცნობს, ფრესკებზე გარდა საბერძნეთიდან მოწვეული კირმანუელ ევგენიკოსისა, მუშაობდნენ ადგილობრივი ოსტატები – მახარობელი ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა. წარწერის სხვა მხრივ გაგება, ვფიქრობთ, შეუძლებელია. ექ. თაყაიშვილს ისინი ბერძენი მხატვრის მომწვევებად მიაჩნია, კონსტანტინეპოლს წარგზავნილ ბერებად, რომლებმაც ევგენიკოსი მოიყვანეს წალენჯიხაში, ვამეყ დადიანის ბრძანებით. აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი კი მათ მხატვრებად თვლის, რომლებმაც ევგენიკოსთან ერთად შეასრულეს დღემდე შემორჩენილი მრავალი დიდებული ფრესკა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარწერის სხვანაირად წაკითხვა, მასში სხვა აზრის დანახვა შეუძლებელია. ამასთან, წარწერები გვიდასტურებს აზრს, რომ ძალიან ადრეული ხანიდან, შეიძლება X საუკუნეზე ადრეც, სამეგრელოს ერისმთავართა დროიდან, ეს ეკლესია მათი კარის ეკლესია და საძვალე ყოფილა. ამ ისტორიულ ძეგლთა მთელი ანსამბლის უფრო დეტა-

ლური ანალიზი მომავლის საქმეა. მკითხველებს მხოლოდ ჩვენს პირველ შთაბეჭდილებებს ვაცნობთ. ექსპედიციას, რომელსაც აქ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო საზოგადოების მივლინებით მოუხდა მოგზაურობა, მეგზურობა გაუწიეს რაიონული გაზეთის მუშაკმა ა. ძაძამიამ და საისტორიო საზოგადოების რაიგანყოფილების თავმჯდომარემ, მე-2 საშუალო სკოლის დირექტორმა, ეთნოგრაფმა და პედაგოგმა აკაკი შანავამ. მათ, გარდა ძეგლის დათვალიერებისა, ხელი შეგვიწყეს, მეგრულ ლექსიკურ ერთეულთა მრავალი საინტერესო ნიმუშის ჩაწერასა და გაშიფვრაში. აქ ჩვენ მიერ შედგენილ ტერმინთა და გამოთქმათა მცირე საძიებელი ლინგვისტთა, ენათმეცნიერთა შესწავლისა და აღიარების ობიექტი გახდება. თუნდაც რად ღირს წარმართულ ავსულთა – როქაპისა და ეშმაკთა შესახებ მეტად საინტერესო ფოლკლორული ნიმუშები, ან კიდევ ვაზის, ღომისა და ფეტვის მოვლისა და გამოყენების შესახებ მრავალმხრივ საინტერესო ცნობები.

## საინტერესო მონოგრაფია*

ქ. ქუთაისი ათასი წლების გამავლობაში მთელი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ერთადერთი ბურჯი იყო. აქ დაირწა აიეტის დიდი სახელმწიფოს მაღალი ცხოვრების და ბრწყინვალე ტრადიციების აკვანი. აქ დაიბადა გრძნეული და საოცარი ქალი, მკურნალი მედეა. აქ მოვიდა და განცვიფრებული დარჩა კოლხური კულტურის იგავმიუწვდომი საკვირველებით ბერძენ გმირთა დიდი ჯგუფი, იაზონის მეთაურობით. აქ გამოიყენეს მათ პირველად გუთანი და მით მოხნეს მიწა აიეტის სახვნელ მასივზე. მაღალკულტურულ ტრადიციებზე დაყრდნობილი მიწათმოქმედება, ოქროთი სიმდიდრე, არქიტექტურისა და ხელოვნების თვალწარმტაცი, ჯერუნახი მშვენიერებანი ზღაპრად წაიღეს თავიანთ ქვეყანაში ბერძნებმა. აქედან მოყოლებული **ქუთაისი** – სავარდო და სამაისო ქალაქი, **ქუთაისი** – ედემი ყოველთვის იდგა ქართველი ხალხის ყველა საქმის, მოწინავე აზრისა და მისწრაფების ავანგარდში. ასეთი ქალაქის ისტორია, მისი ყოველი მომენტი მკვიდრადაა დაკავშირებული ჩვენი ხალხის, ჩვენი დიდი ქვეყნის ისტორიის, კაცობრიობის ისტორიის ყველა მნიშვნელოვან მოვლენასთან და ფაქტთან. ამიტომ მისი ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა, უდავოდ, სასარგებლო და მისასალმებელი ფაქტია, რაც ასე საქმის სიყვარულით, დიდი მონდომებით და გულწრფელი პატივისცემით შეასრულა ავტორთა ჯგუფმა: დოც. **პეტრე ვაჭრიძის, გურამ გაბუნიას** და სხვათა აქტიური მონაწილეობით და ხელმძღვანელობით.

**„ძველი და ახალი ქუთაისი“** – ასე ეწოდება ამ მონოგრაფიულ კრებულს. იგი გასულ წელს გამოუშვა წიგნის ბაზარზე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ და გამოქვეყნებისთანავე წიგნმა გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა. წიგნი დაბეჭდილია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, მდიდარი ილუსტრაციებით და შესანიშნავი მხატვრული და ტექნიკური რედაქციით. იგი შედგება შვიდი თავისგან. პირველ თავში – **„ქუთაისის ისტორიული წარსულიდან“** (ავტორი გურამ გაბუნია) განხილულია ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, მისი ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე. ფაქტები და მოვლენები ღრმა მეცნიერული გულითადობით და სისრულითაა აღწერილი. გამოყენებულია მრავალი უცხოური და ქართული

* გაზ. „შრომის დროშა“, № 58, 16. V. 1974.

წყარო და ლიტერატურა. გაკეთებულია ახალი და სწორი მეცნიერული დასკვნები. მეორე თავი – **„რევოლუციური ტრადიციები“** – ეკუთვნის დოც. პეტრე ვაჭრიძეს. მასვე ეკუთვნის მესამე თავიც – **„პირველი ოცი საბჭოთა წელი“.** წიგნის ეს ნაწილი დიდი პასუხისმგებლობით და სიყვარულითაა გაკეთებული.

თავი მეოთხე – **„როცა სამშობლოს უჭირდა“** დაწერილია გურამ გაბუნიას მიერ. აქ მოთხრობილია სამამულო ომის წლებში ქ. ქუთაისის წვლილზე. ქალაქი ათასობით მებრძოლს აგზავნის ფრონტზე. ამასთან, ქვეყანას უზრდის კადრებს, ხოლო ქარხნებსა და ფაბრიკებში გრძელდება სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოება, ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებები. მეხუთე თავი – **„ქუთაისი ომისშემდგომ ხუთწლედში“** შესრულებულია ავტორთა ჯგუფის მიერ. ასევე ავტორთა ჯგუფის მიერაა შესრულებული მეექვსე თავიც – **„ქუთაისის კულტურული ცხოვრება“**. აქ მოთხრობილია ქალაქის სახალხო განათლებაზე, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და შემოქმედებით ორგანიზაციებზე, პრესასა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. მეშვიდე თავში აღწერილია ქალაქის ღირსშესანიშნაობანი (ავტორები – მ. ნიკოლეიშვილი და პ. ვაჭრიძე). მონოგრაფია სრულდება ამონაწერებით ქუთაისის შესახებ წყაროებიდან, უცხოელი თუ რუსი და ქართველი ავტორების შრომებიდან. შრომას ერთვის რუსული რეზიუმეც.

ამრიგად, მონოგრაფია ქ. ქუთაისის შესახებ სრულყოფილი მეცნიერული შრომაა, რომლის ეფექტური გამოყენება ყველა მსურველს, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია.

## იანის მაცხოვრის ეკლესია*

ზემო სვანეთი ისტორიული ძეგლებით, მატერიალური კულტურის იგავმიუწვდომელი ღირსშესანიშნაობებით საოცრად მდიდარი მხარეა. ყოველი სოფელი, ყოველი უმნიშვნელო ადგილი დათაჯულია მატერიალური კულტურის საკვირველი მოწმეებით. თუნდაც ლენჯერში ლაშთხვერის მთავარანგელოზის ეკლესია ავიღოთ. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, XI საუკუნეში ნაგები, მაგრამ ეკლესიის შიდა კედლები საკვირველად მაღალმხატვრული დონით შესრულებული ფრესკებითაა მორთული. კარის თავზე, შიგნით, ანგელოზის ფრესკა – ყმაწვილის დიდებული სახეა ნიშში ჩახატული. საოცარი ფერები, სახისა და ცალკეული ნაკვთების მხატვრული სილბო და სინაზე, ტუჩებზე ანგელოზური ღიმილი გიპყრობს და გიზიდავს კაცს და დიდხანს ტკბები ნახატის საოცარი ძალითა და სითბოთი. კედლები ზომიერად, მაგრამ დიდი მხატვრული სიღრმითა და სისრულითაა დასურათებული, რომ შესვლისთანავე გრძნობ, ისმენ ფერთა დამათრობელ, გამხარებელ და ამაღლებულ მუსიკას. ფერთა და მხატვრულ სახეთა ეს ერთიანი გამა ღრმად გრჩება მეხსიერებაში. მის ეზოში დღესაც დაცულია ლენჯერის სათემო ზარი. ეკლესიის გარე ფასადზე, დასავლეთის კედელზე, 6 მ სიგრძისა და 2 მ სიგანის დღემდე საოცრად სახიერად შემორჩენილი ფრესკა საერთო ხასიათის სიუჟეტზეა აგებული – ამირანის ბრძოლა ბაყბაყდევთან. იგი შესრულებულია XI საუკუნეში და დღესაც სრულყოფილადაა შემორჩენილი. ეს ფრესკა ქართული რენესანსული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია.

ასეთი ძლიერი საინტერესო ძეგლია ლატალის ცენტრში, იანიშში, იანის ოთხნავიანი მაცხოვრის ეკლესია. ცენტრალურ ნაგებობას შედარებით დაბალ სარტყლად, სამ მხრივ უვლის დახურული სტოა, ოვალური სახურავითა და შესანიშნავად გაფორმებული ფასადებით. იგი XI-XIII საუკუნეების უნიკალური ნაგებობაა. სტოათა ფართი 2,5 მ-ია. მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე არის ოთხი ოვალური ნიში, რომელიც ორი ოვალური გონიოთია შემოფარგლული. გონიოთა თვალები მრგვალი ბურთულებით ეყრდნობა კაპიტელებს. ნიშთა შორის ბარელიეფური ოვალია, რომელთაც ირგვლივ შესანიშნავი ორნამენტოვანი ხაზულები უვლის. ლამაზი ვარდულებითაა დამშვენებული კარისა და სარკმლის გონიოები და თავები, რომელთა ცენტრში ბარელიეფური, ორნამენტე-

* გაზ. „შრომის დროშა“, №17, 10. II.1981.

ბით დამშვენებული ჯვრები ზის. ძალიან საინტერესოა ეკლესიის ხის უნიკალური კარები, რაც ხეზე კვეთის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს. ეკლესია ლატალის თემის საერთო სალოცავი იყო. აქ, ლამზირობაზე, მთელი სოფელი იკრიბებოდა. ეკლესიაში დაცულია მრავალი საინტერესო ხატი და ჯვარი. კედლებზე არის შემორჩენილი XI-XIII საუკუნეების შესანიშნავი ფრესკები. იგი მხატვრული ხელოვნების იშვიათი ნიმუში და ქართული რენესანსული კულტურის უბრწყინვალესი ძეგლია.

# არქეოლოგია

# არქეოლოგიური მოგზაურობა ისტორიულ საჭყონდიდლოსა და სალიპარტიანოში*

შემოქმედი ქართველი კაცის გონებითა და მარჯვენით შექმნილი ათასწლოვანი კულტურა უკვდავ ნიშნად მოჰყვება ქართველ ერს კაცობრიობის დასაბამიდან. კულტურის ძეგლებში – ისტორიის ამ უკვდავ მოწმეებში დიდი მადლი და აღმზრდელობითი ძალაა დაუნჯებული. არაფერს ისე დადებითად არ შეუძლია იმოქმედოს ადამიანის სულზე, აამაღლოს და ააღელვოს იგი, როგორც მშობლიური ხალხის ისტორიის დიდებულ ეპიზოდებს, მის ქვასა და რკინაში გაცხადებულ საიდუმლოებებს. მადლიანი ქართული მიწის ყოველ ნაბიჯზე ათასობით ძვირფასი რელიკვიაა ჩაკირულ-ჩამარხული. ყოველ ბარის პირს, ბარაქასთან ერთად, მიწის სიღრმიდან ამოაქვს ბრწყინვალე რელიკვიები, რომელიც დიდებული სიმართლითა და უკვდავებით დანკოს გულივით ანათებს და აშუქებს თავის ხალხს.

ისე როგორც მთელი საქართველო, სამეგრელოც უხვად ინახავს ჩვენი ერის ისტორიის უკვდავ რელიკვიებს, რომელთა აღმოჩენა, დაცვა, შესწავლა და ხალხის შთამომავლობის სამსახურში ჩაყენება დაუსახავს მიზნად ჩვენს ახლადფეხადგმულ დაწესებულებას – გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მუზეუმის შემოქმედებითი კოლექტივი, უანგაროდ, ხალხისადმი უმწიკვლო სამსახურის სულისკვეთებით აღგზნებული, ეძებს მშობლიურ მიწაში ჩამარხულ ამ რელიკვიებს, შიფრავს ქვასა და რკინაში გაცხადებულ წინაპართა დიდებულ საიდუმლოებებს და ამ გზით ცდილობს, დადებითად იმოქმედოს ადამიანის სულზე, გააღვივოს პატრიოტული სულისკვეთება.

ქვემოთ გვინდა მკითხველს მოკლედ ვუამბოთ მუზეუმის მიერ ამ მხრივ ჩატარებული მუშაობის შედეგებზე. აქ ჩვენ არ გვიცდია გარკვეული თემატური თანმიმდევრობით გაგვეკეთებინა მუშაობის შედეგების მიმოხილვა. ქვეთავებში შესულია მხოლოდ ცალკეულ ადგილებზე აკრეფილ მასალათა ერთგვარი ანალიზი.

---

* გ. ელიავა, არქეოლოგიური მოგზაურობა ისტორიულ საჭყონდიდლოსა და სალიპარტიანოში, კრებული „ჭყონდიდი-მარტვილი“, სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“, თბ., 1962.

## მრავალი ათასი წლის წინათ

საზოგადოება თავისი სიყმაწვილის პირველ პერიოდში, იმ დროს, როდესაც ადამიანი თავს აღწევს ველურობას, წელში იმართება და მარჯვენა ხელი მისი არსებობის ძირითადი ორგანო ხდება, როცა ამ ხელით იმარჯვებს ტლანქი ქვის ნატეხზე და მისით ცდილობს მოიპოვოს საზრდო და დაიცვას თავი – აკეთებს პირველ გრანდიოზულ ნაბიჯს წინ, საზოგადოების შემდგომი, კიდევ უფრო სრულყოფილი ფორმირებისაკენ. ამ ნაბიჯმა ადამიანი აამოძრავა, გაუჩინა საზრუნავი, საფიქრალი, საშრომი, საბრძოლო, აამოქმედა მისი ამ მოთხოვნილებისადმი სავსებით მომზადებული, აზროვნებისა და მეტყველების თანდაყოლილი ორგანოები; ხელი შეუწყო მათ განვითარებას, ადამიანთა ეკონომიკური და კულტურული წინსვლის წარმატებას. ამ ბიძგით ამოძრავებული საზოგადოება შემდეგ არასდროს შეჩერებულა, უკან არასდროს დაუხევია, ერთ დონეზე არასდროს გაყინულა, არამედ მრავალი ათეული ათასი წლის განმავლობაში წინ მიდიოდა, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა ტექნიკაში, ეკონომიკაში, წინაურდებოდა კულტურულად, იხვეწებოდა მისი მორალური მხარეები, ყალიბდებოდა მორალის საფუძვლები.

პირველყოფილ ადამიანთა ნაკვალევი გეგეჭკორის რაიონის ტერიტორიაზე მრავალ ადგილას შეინიშნება. სალხინოსა და დოშაყეს გამოქვაბულები შეიძლება ყოფილიყო პალეოლითის ხანის ადამიანის საცხოვრისი. აქ, მხოლოდ დაზვერვითი მუშაობისას, აღმოჩნდა აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელი ძვლისა და კაჟის რამდენიმე იარაღი და ნივთი. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა სალხინოს გამოქვაბული. იგი თავისი აგებულებით და შედარებითი სიმშრალით ყურადღებას იპყრობს. აქ 1959 წელს თითქმის ზედაპირულად იქნა ნაპოვნი ეშვები და კაჟის ლამელები, რომელზედაც ადამიანის ხელის მოქმედების კვალი აშკარად ჩანს.

უაღრესად საყურადღებოა ბალდის ჯორწყუს გამოქვაბულები, მათ შორის ერთ-ერთში 1958 წელს აღმოჩნდა მეტად ძვირფასი მასალა – გამოქვაბულის დათვის, ფოცხვერისა და ბიზონის ძვლები, რომლებიც შედიოდნენ ჩვენი მხარის უძველეს, პრეისტორიულ ფაუნაში, შემდეგ ეს ცხოველები გადაშენდნენ. სოფ. ბანძაში, ნიადაგის პლანტაჟისას, 1958 წელს ამოიყარა კაჟის კარგად დამუშავებული ისრის პირი და ნუკლეუსები. სოფ. ნალეპსაოში, ჩაის ნიადაგის მომზადებისას, კოლმეურნეებმა მეტად საინტერესო მასალა ამოყარეს მიწიდან (მთელი კულტურული ფენა მოშალეს). როგორც დამსწრენი გვარწმუნებენ, ამოყრილ მასალათა შორის იყო ოცზე მეტი ისრის პირი კაჟისა, საფხეკები, საჭრისები,

კაჟისა და რიყის ქვისგან დამზადებული დანები, რიყის ქვის ცულები, ნახშირისა და ნაცრის ფენა, ძვლები და ა. შ. ეს მოხდა 1936 წელს. მას შემდეგ მხოლოდ ერთმა კოლმეურნემ შეინახა კაჟისგან დამზადებული ისრის წვერი სამკუთხედის ფორმისა, მხრებწახნაგებად წამოწეული, მაღალი ყელით.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მოწმეთა, ჩვენი წინაპრების ყოფა-ცხოვრებისა და ტექნიკის განვითარებას რომ შესწრებია. ყველაზე შესანიშნავი და ნათელი მოწმე მაინც მახათის ენეოლითის ხანის ნამოსახლარზე ნაპოვნი მასალებია.

## ენეოლითურ ტომთა საცხოვრისი მახათის ველზე

1960 წლის სექტემბერში პირველყოფილ ადამიანთა სატომო საცხოვრისის მეტად საინტერესო და მდიდარ რელიკვიებს შემთხვევით წავაწყდით მახათის გაშლილ ველზე.

მახათის (ანუ მახათას) ველი გაშლილი ჭალაა. იგი, მოხუცთა თქმით, გაუვალი უღრანი ტყით ყოფილა დაბურული. მხოლოდ ორ ადგილას, ერთმანეთისაგან ორი კმ-ის დაშორებით, იდგა ციხეები, რომლებიც გარშემოზღუდული ყოფილა მაღალი, ორმაგი გალავნით. გალავანთა შორის წყლით სავსე არხი ყოფილა. ციხეებში თურმე ერთი კარითა და ასაწევი ხიდით შედიოდნენ. გადმოგვცემენ, რომ ციხე-კოშკებს შორის გაბმული იყო წვრილრგოლებიანი გრძელი ჯაჭვი, რომელიც პირდაპირ აკავშირებდა ამ ორ ციხეს. მისი ჟღარუნი ხალხს მოუწოდებდა სასეირნოდ, სალოცავად თუ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. გარდა ამ უძველესი რელიკვიებისა, სხვა არაფერი ყოფილა საუკუნეების განმავლობაში ამ საიდუმლოებით მოცულ ველზე. შემდეგ ტყე გაიჩეხა, ველი უნაყოფო და მწირი გახდა. აქ უკანასკნელ დროს გაიყვანეს არხი და კვლავ სიცოცხლე დაუბრუნეს მის გამომშრალ გულს.

მოხუცებს არაფერი ახსოვთ თვით სახელწოდების შესახებ. ვერავითარ, თუნდაც ფანტასტიკურ გადმოცემას ვერ წავაწყდით ამის შესახებ. ეტყობა, ძალიან შორეული ეპოქიდან მომდინარეობს ეს სახელწოდება. თუმცა ერთ საინტერესო მომენტთან კი გვაქვს საქმე: არსებობს გადმოცემა ერთ-ერთი ციხე-კოშკის მებატონის შესახებ. იგი, გადმოცემის თანახმად, ადგილობრივი დიდკაცი ყოფილა, ჭის გვარისა. სხვა მრავალ გადმოცემაშიც, რომლებიც ჩვენ შევკრიბეთ რაიონის ტერიტორიაზე, მრავალ ადგილას გვხვდება **ჭის** გვარი. დამახასიათებელია, რომ დღევანდელ ნახუნაოში ჭილაიების გვარეულობას ყოველდღიურ მეგრულ საუბარში **ჭიჲებს** ეძახიან. ადგილს, სადაც ჭილაიები სახლობენ, **ჭიშთის**

უწოდებენ. ამასთან, კურზუში ორი გვაროვნული თემიდან ერთი – ჭის თემი იყო, ე. ი. ერთი „სუკი“ (ბორცვი) ჭის თურს (გვარს) ეკავა, ჭის გვარეულობის, ჭის თურის „ოხორი“ (საცხოვრისი) იყო. საინტერესოა ისიც, რომ აბაშაში ტყვირის ტერიტორია ჭიას თურს ეკავა, ადგილობრივი დიდკაციც ჭი იყო. ტყვირის ეკლესიის ამგებად **ჭი** ან **ჭიაძე** იხსენიება. ჭი იმერეთშიც გავრცელებული გვარია. იქ **ჭილაძეები** ან **ჭიაძეები** სახლობენ. თვით ადგილის სახელწოდებაც არაერთგან მიგვითითებს ამ დიდი და მეტად საინტერესო ეთნიკური ერთეულის შესახებ, თუგინდ **ჭიათურის** სახელწოდებაც. საფიქრელია, რომ აქ **ჭიას გვარეულობის ოხორი, ჭის თურების ნასახლარი, ნაოხორი** იგულისხმება. ეს სიტყვა ორი დამოუკიდებელი ქართული სიტყვისგანაა წარმომდგარი: ჭი გვარის მეთაურის სახელია და თური გვარის ზოგადი სახელწოდებაა. გვარის მეთაურის სახელი რომ გვარის, თურის სახელწოდებად იქცეოდა, ეს მეცნიერულ ლიტერატურაში სადავო არცაა. აქ კი შეიძლება მაგალითად ერთი გადმოცემა მოვიტანოთ, რომლის მიხედვით **ახალაიას** გვარი წარმომდგარია გვარის მეთაურის – **ახაიას** სახელიდან. ახალაიები თავიანთ დიდპაპად და გვარის დამფუძნებლად თვლიან ვიღაც ახაიას. ახაია ძლიერი და დიდი ოჯახის მამა ყოფილა. მას ოთხი ვაჟიშვილი ჰყოლია: ქაქუჩია, მაგოია, ხუხუია, ძიტუია. ამ შვილებს შემდეგ საკუთარი დიდი ოჯახები ჰქონდათ, მაგრამ მამის სახელი გვარად გაუხდიათ. ახლა მაგოიას ახაიას ეძახდნენ თურმე, ქაქუჩიას ახაიად მოიხსენიებდნენ და ა. შ. გადმოცემის თანახმად, ასე წარმოიშვა მათი გვარი. გვარის საიდუმლოება შორეული, გვაროვნული წყობის წიაღში უნდა ვეძებოთ, გვარის – თურის მეთაურის სახელისაგან ნაწარმოებად უნდა ვივარაუდოთ. მართალია, ყველა გვარის სახელწოდება გვარის უხუცესის სახელისგან როდია წარმომდგარი. ზოგი გვარს მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას უკავშირებდა, ზოგი ადგილის სახელწოდებას, ზოგი ადამიანთა სამეურნეო საქმიანობას, მაგრამ გვარის სახელწოდება, ძირითადად, მაინც მისი მეთაურის სახელისგანაა წარმომდგარი. ამიტომ აქაც მეტად საყურადღებოა ჭიის გვარეულობის მოსახლეობა. ეს მრავალმხრივ საყურადღებო და მრავალრიცხოვანი გვარი, ეტყობა, სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში ესახლა და ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარი ყოფილა. თუ ოდესმე ამ ადგილების (ჭიშთისა და ჭიათურის) სახელწოდების გახსნას და მისი ისტორიის უძველესი პერიოდის საიდუმლოების ამოკითხვას შეუდგება მკვლევარი, ეს ეთნიკური კვანძი, უდავოდ, მნიშვნელოვანი რგოლი იქნება მის ხელში. აქ კი ასეთი ვრცელი საუბარი დაგვჭირდა იმისათვის, რომ დაგვემტკიცებინა – მოსახლეობას და მათ შრომით საქმიანობას ამ ადგილზე შორეული ისტორია აქვს. ეს დგინდე-

ბა იმ ნივთიერი მასალებითაც, რომლებიც ჩვენმა ექსპედიციამ იპოვა 1960 წლის 5 სექტემბერს, მახათის ველზე, ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, **ნაჯიხუს** აღმოსავლეთით.

აქ ნიადაგის პლანტაჟისას ტრაქტორმა თითქმის 10 ჰა-ზე გააშიშვლა მეტად საინტერესო კულტურული ფენა, რომელიც, მართალია, ტრაქტორისგან აიყარა, მაგრამ ანაყარი მასალა გაწყობილია განსაკუთრებული თავისებურებით, წრეხაზისებრ საზღვრებში. ასეთი წრე ერთმანეთის გვერდით რამდენიმეა (დაახლოებით 5-6 კერა). აქ დაახლოებით 100 მ-ის სიგანის თიხნარია; ეტყობა, ოდესღაც ეს ადგილი პატარა მდინარის კალაპოტი იყო, შემდეგ კი მდინარე ან ამოშრა, ან კალაპოტი შეიცვალა. როგორც ადგილის დეტალურმა განხილვამ გვიჩვენა, მახათის ველის ვრცელ ფართობზე უძველესი ნასახლარია, სადაც ერთი გვარისა ერთი „თურის“ სოფელი როდია, არამედ მთელი ტომის სოფლები წარმოდგენილია ცალკეული ნაკვეთების სახით. თითო ნაკვეთზე 5-6, არა უმეტეს, 10 წრისებური კულტურული ფენის კვალია. ეს წრეხაზის ფორმის ზღუდარი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის საცხოვრებლის საფუძველი. აქ ან წნელისაგან შემოღობილი, თიხის ბათქაშით შელესილი ფაცხა იდგა, ან ალიზით ამოყვანილი კარავი. დღეს ნაკარავი ფენილის მასალა საკმაოდ შეიცავს ნახანძრალი ბათქაშის ნაცვენებს. კარავი მრგვალი ყოფილა, შუა ადგილას, განსაკუთრებით დატკეპნილ და შემტკიცულ კერაზე, ცეცხლი ენთო. თითოეული კარვის საერთო ფართობი დაახლოებით 10-12 $მ^2$-ს აღემატებოდა. აქ მცხოვრებ ადამიანებს მასობრივად გამოუყენებიათ კერამიკული ჭურჭელი და ქვის იარაღები. ეტყობა, კარავი დიდ, გვაროვნულ ოჯახს ეკუთვნოდა (მსგავსი ნაგებობის საფუძველი მიკვლეულია სოფელ **ოზნში**, თრიალეთში, **ხაზაანთ გორაზე** და სხვაგან). ცალკეულ გვარს ცალკე სოფელი ეკავა. ტომი რამდენიმე გვარისაგან შედგებოდა, ხოლო თური (გვარი) რამდენიმე დიდ გვაროვნულ ოჯახს შეიცავდა. ხორციელ ნათესავთა ეს ოჯახები ერთ სოფელში ცხოვრობდნენ.

აქ მცხოვრები ადამიანი განვითარების მაღალ დონეზე იდგა. ამაზე მეტყველებს ზედაპირულად აკრეფილი საყოფაცხოვრებო, სამეურნეო თუ სამხედრო იარაღის და სხვა მასალათა შესანიშნავი კოლექცია, რომელიც შედგება **გურზისაგან**, ტარში ჩასამაგრებელი ქვაჩაქუჩისაგან. იგი მრგვალი, გრძელი სილქვის ნახევარი ნაწილია. ცალ მხარეზე მრგვალი სამტვრევი ბოლო აქვს. ყელზე ორივე მხარეს აქვს ტარის ჩასამაგრებელი მანჭვლის ფოსოები. ფოსოები ხმარების გამო საკმაოდ გაცვეთილია; ნივთი კარგადაა გახეხილი, ეტყობა ნახმარობისეული ფხაჭნის კვალი. იგი საერთოდ მოზრდილი ერთეულია, სიგრძით 11 სმ-ს აღემატება, სისქე კი 7,5 სმ-ს უდრის, ყელთან ოდნავ შეწეულია.

**ხელცულები** დამზადებულია იმავე მასალისაგან. სამტვრევი საკვეთი ბოლოები წაწვეტებული აქვს. ნივთი დაახლოებით რომბის ფორმისაა, სიგრძით 21 სმ-ზე მეტია. წელის სიგანე 7,5 სმ-ს უდრის, ხოლო სისქით 4 სმ-ზე ცოტათი ნაკლებია, ორმხრივ საკვეთი ბოლო აქვს და თავიდან ბოლომდე საკმაოდ გახეხილ-გაპრიალებულია. ხმარებისაგან აქვს ჩამონამტვრევები და ნაფხაჭნები. წელზე, ორივე მხარეს, ტარში ჩასაყრელი მანჭვლის ფოსოებია ამოკვეთილი. ფოსოები ხმარებისაგან საკმაოდ გაცვეთილია. მათი სიგანე 3 სმ-ს აღემატება, ხოლო სიღრმე 0,5 სმ-ზე მეტია. ასეთი ხელცულები აღწერილია **კუიბიშევის** ნეოლითური სადგომისა და **სიაონძის** ბრინჯაოს პერიოდის სამარხის ინვენტარებში[1]. მართალია, აღნიშნულ მასალებზე მანჭვლების საჯდომი ფოსოები არ არის ამოჭრილი, მაგრამ ისინი მაინც შეიძლება ნეოლითური ხანის უკანასკნელ პერიოდსა და ენეოლიურ ხანას მივაკუთვნოთ.

**ხელცული**, ანუ **პირთხელი** სილქვისა. ნივთს წვერწაკვეთილი სამკუთხედის ფორმა აქვს. იგი საკმაოდ გახეხილ-გაპრიალებულია. ფართო ბოლოზე აქვს ხელოვნურად ჩათლილი პირთხელი – საკვეთი პირი. პირთხელის ორივე მხარეზე არის ჩასწორების გვერდითი ხაზები, რომლებიც ღრმა ღარებს ჰქმნიან. მეორე ბოლო მოგლუვებულია. ნივთი ერთ მხარეს მთლიანად ათლილი და გაპრიალებულია, მეორე მხარეს კი ზურგის ხაზად ზოლად აჭრილი გლუვი ზედაპირი აქვს. ორივე ბოლოზე შეიმჩნევა ხმარებით გამოწვეული ანახლეჩები (ანატკეცები). ცულის სიგრძე 7,5 სმ-ია, პირთხელის სიგანე 3,5 სმ-ს უდრის. ნივთის სიგანე წელზე 2,5 სმ-ია, ხოლო სისქე – 1,5 სმ-ს აღემატება. მსგავსი ნივთები მასობრივადაა აღწერილი ნეოლითური და ენეოლითური სადგომების ინვენტარში. უკანასკნელ ხანებში მსგავსი ნივთები აღწერილია **მეშოკოს** ენეოლითურ ნასახლარში[2].

ამასთან ერთად, აღმოჩნდა რიყის ქვისაგან დამზადებული სხვა მასალებიც: ხელსაფქვავის ან მარცვლის სასრესის ქვედა და ზედა ქვები, ნამგლის მოყვანილობის ტლანქად დამუშავებული ნივთი, ხელჩასავლებად მოსახერხებელი, ტარიანი, ქართული მუზარადის ფორმის ცული თუ სამტვრევი, შურდულის ბურთულები და, განსაკუთრებულად აღსანიშნავი სახნისის ფორმის ქვა. მას ერთი გვერდი დაზიანებული აქვს. იგი ჯერ ამოხრილი ფორმითაა ატკეცილი, შემდეგ ზურგი ათლილ-რეტუშირებული აქვს. ცხვირი – საჭრელი წვერი, სახნისისებრ საკვეთად აქვს მოწყობილი. პირველი შეხედვისთანავე გებადებათ აზრი, რომ იგი სახნისად

[1] საბჭოთა არქეოლოგია, 1960, II; 1961, I.

[2] საბჭოთა არქეოლოგია, 1960, II; 1961, I.

(ოხონალო) ყოფილა გამოყენებული. მეგრული სიტყვა „**კინახონა**“ ორი დამოუკიდებელი სიტყვისგან შედგება – **რკინა** და **ხონუა**. „ხონუა“ მეგრულად ხვნას ნიშნავს. ხვნა თუ ადამიანის ყოფის უძველესი ტერმინია და რკინა კი შედარებით გვიან შემოსული ლექსიკური ერთეული, მათგან შემდგარი კომპოზიტი მხოლოდ რკინის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ უნდა იყოს დამკვიდრებული, მაგრამ რკინის ძალაში შემოსვლისას **ხონუა** – ხვნა ადამიანთა საქმიანობის ერთ-ერთ დარგს შეადგენდა. მაშინ სახნავად, უცილობლად, რაღაც იარაღებს იყენებდნენ. ადამიანი მიწას ჯერ მარგილით ჩიჩქნიდა, შემდეგ, განვითარებულ ქვის ეპოქაში, რვილეს გამართვა, სახვნელი ქუსლის, ანუ **ძელის სახნისის** დაყენებაც ისწავლა. ამ დროს რვილეს გაწევა ადამიანს უხდებოდა. მესაქონლეობის განვითარებამ, ხარის მოშინაურებამ, მისი ფიზიკური ძალის გაცნობამ ადამიანი ამ შრომისგან გაათავისუფლა, მაგრამ ხის მარგილი – საკვეთი ან ქუსლი – სახვნელი ვერ გამოდგა საკმაოდ სრულყოფილი. იგი მხოლოდ გადანაწვავს (ეწერი) ან ძლიერ ფხვიერ მიწას თუ ერეოდა, ყამირს კი ვეღარ ტეხდა. საჭირო იყო რაღაც უფრო მაგარის წამოცმა ქუსლის წვერზე, კბილანაზე. პირველი ასეთი სახნისი ქვა უნდა ყოფილიყო. რატომ? იმიტომ, რომ ქვა ამ დროს ადამიანის სამხედრო, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ინვენტარის დასამზადებლად ერთადერთ ნედლეულს წარმოადგენდა. ამ ნედლეულისაგან მან სახვნელის, სახნისის გამოკვეთა დაიწყო. მართალია, ადამიანი ვერ მოახერხებდა მისთვის წამოსაცმელი გონიოებიც სრულყოფილად დაეტანებინა, მაგრამ დასამაგრებლად საჭირო ამობურცულ ფორმას მაინც აძლევდა. ზედ რომ დაამაგრებდა, ან ქუსლის გონიოს ღარებში ჩააკრავდა, მაშინ ალბათ მაგარ მკედსაც გადაუჭერდა. ამრიგად, ჩამაგრებული წვერწამახული სახნისი – სახვნელი ადვილად ჭრიდა ყამირს, ბელტს ბელტზე აბრუნებდა, ე. ი. „**ხონუნდუ**“ – ხნავდა. როდესაც ქვა რკინამ ჩაანაცვლა, „**ქუათ ხონუა**“ – ქვით ხვნა რკინით ხვნად – „**კინათ ხონუად**“ შეიცვალა. არ არის გამორიცხული, რომ აქ აღმოჩენილი ნივთიც სწორედ ის „**ქუახონა**“ ან პირველი ქვის სახნისი იყო. ასეთი სახნისის წარმოება და გამოყენება ადამიანებს ძლიერ გვიან, ალბათ ბრინჯაოს ეპოქამდეც გადმოჰყვათ, თუმცა ამაზე არც ერთ საინტერესო წყაროში არაფერია ნათქვამი. ივანე ჯავახიშვილის თანახმად, „როდის შემოიღეს ძველ საქართველოში „ძელის სახნისის“ მაგიერ რკინის სახნისი, დანამდვილებით ამის თქმა შეუძლებელია, რადგან ასეთი ცვლილება, როგორც ეტყობა, ისტორიის წინა ხანაში უნდა მომხდარიყო“[1].

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1930, გვ. 201-202.

აქვე აღმოჩნდა კაჟისგან დამზადებული მრავალი საინტერესო მასალა: **ისრის წვერი** სამკუთხედის ფორმისა, შედარებით მცირე ზომის, ტარში სამაგრი ორი რქით. რქები თითქმის ნახევარზე წამტვრეულია. ისრის წვერი 4 სმ-ის სიგრძისაა, რქებშორის ღარის სიგანე 0,7 სმ-ია. ნივთის ორივე გვერდი საკმაოდ მჭრელია, ზედაპირი რეტუშით ჩასწორებულია და ბოლოვდება საკმაოდ მახვილი წვეროთი. მსგავსი ისრის პირები მრავლადაა ნაპოვნი სოფელ ოზნში და უბნისში ენეოლითური ნასახლარების ინვენტართა შორის. მსგავსი ისრის წვერი კუფტინს აღწერილი აქვს ოჩამჩირის ნავსადგურის მახლობლად მდებარე გორის ქვედა კულტურულ ფენაში ნაპოვნ მასალებს შორის.

**სამეგრელოში აღმოჩენილი კაჟისგან დამზადებული სამუშაო იარაღები. მარტვილის მუზეუმი**

**ნამგლის პირი** ოდნავ ოვალური ფორმისაა, 11 საჭრელი კბილით. ის 5,5 სმ-ის სიგრძისაა, სიგანე 1,5 სმ-ს აღემატება, ხოლო სისქით 0,5 სმ-ზე მეტია. შედარებით განსხვავებული ფორმის ნამგლის პირები ჩვენ ნაპოვნი გვაქვს რაიონის ტერიტორიის სხვადასხვა ადგილას, მარტვილის ფერდობზე, ნახუნაოში და სხვ. აქ ნაპოვნი მასალა კი, მათგან განსხვავებით, უფრო სრულყოფილი და შედარებით უფრო მსხვილი ერთეულიცაა. ასეთი ერთეულები აღწერილია საქართველოს მრავალ კუთხეში ნაპოვნ ენეოლითური ხანის მასალათა შორის. მათ შორის ბევრი კუფტინის მიერაა შესწავლილი და აღწერილი.

არქეოლოგიურ მასალათა შორის ნამგლის პირის პოვნა მოწმობს იმ უძველეს დროს ჩვენს მხარეში სამკელი კულტურების გავრცელებას. პურეულის, ღომის, მჭადის მოყვანას ჩვენს მხარეში ხომ უძველესი დროი-

დან მისდევდნენ. მათ მოსაწევად სამკალი იარაღიც არსებობდა და ეს იარაღი იყო ნამგალი, რომელიც ჯერ კიდევ ნეოლითის ხანიდან შემოვიდა ხმარებაში. იგი ქართული ორიგინალური ეროვნული ინვენტარი უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს მეგრული სახელწოდება „**მაგანა**“ და ძველი ქართული სახელწოდება „**მანგალი**“. აღმოსავლეთის ძველ კულტურულ ენებში ნამგალს სწორედ „**მანგალს**“ უწოდებენ. „თუ სომხურში „მანგალ“ ან „მანკალ“ მართლაც უთვისტომოსა და უცხო სტუმრის მსგავსად, განმარტოებულ სიტყვას წარმოადგენს, ქართული „მანგალის“ შესახებ ამის თქმა შეუძლებელია. უკვე ქალაქ მანგლისის სახელი ცხადყოფს, რომ ამ სიტყვას საქართველოში ფესვები ჰქონია გადგმული“[1]. ამ აზრის სრულ სისწორეზე მეტყველებს საქართველოში თითქმის ყველა ნეოლითურ და ენეოლითურ კერაზე აღმოჩენილი მასალები.

აქვე აიკრიფა კაჟის უამრავი სხვა მასალაც, მათ შორის, კონუსური ფორმის ნუკლეუსები, ანატკეცის მკვეთრი ხაზებით, რომლებიც კონუსის წვერისაკენ გრძელდება და წვერზე იყრის თავს. ისინი ხელოვნურად დათლილ წვეტიანას მოგვაგონებენ. არის თეთრი, ნაცრისფერი და ხორცისფერი კაჟის ნუკლეუსები, სიგრძით 2 სმ-დან 5,6 სმ-მდე. მსგავსი მასალა აღწერილია მდინარე **ვიჩეგდას** სანაპიროზე ნაპოვნ მიკროლითურ მასალაში[2].

იყო აგრეთვე **ობსიდიანის** მასალაც. მაგალითად, საკმაოდ დიდი ზომის **შუალა საჭრისი**, ტარში ჩასაყრელი ყელით, ცალმხრივ ოდნავ ამოზნექილი, ტირიფის ფოთლის ფორმისა; საჭრისი 5,5 სმ-ის სიგრძისაა, სიგანით 5 სმ-ზე მეტია, ხოლო სისქე 0,4 სმ-ს უდრის. ტარში ჩასაყრელი ერთი ყუნწი აქვს, ორივე პირი რეტუშირებული და მჭრელია. საჭრისი ბოლოვდება ოვალური მჭრელი წვეროთი. აქვე არის, აგრეთვე, ლამელები ობსიდიანისა, ობსიდიანისვე მცირე ფორმის საჭრისები და სხვ. ამით დასტურდება, რომ აქ მობინადრე ხალხი ფართოდ იყენებდა რიყის ქვასა და კაჟთან ერთად ობსიდიანსაც, რომლისგანაც ამზადებდა იარაღებს, სამკაულებსა და ა. შ.

საინტერესოა აგრეთვე კერამიკული მასალაც. ეტყობა, აქ მობინადრე ადამიანები ეწეოდნენ კერამიკულ წარმოებას. ამ ადგილზე საკმაოდ გამოუწვავ და ტლანქ ნივთებთან ერთად, აიკრიფა კერამიკული ჭურჭლის უძველეს, შესანიშნავ ნაკეთობათა ნაშთები. ამ მასალათა პირველი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ჩარხისა და ფიჭვის დაუხმარებლად, ხელითაა მოზელილი და ფორმამიცემული. მხოლოდ შიდა პირია ხმარებისაგან

[1] ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. II, 1935, გვ. 87-88.
[2] საბჭოთა არქეოლოგია, № 1, 1961, გვ. 249-251.

ჩაცვეთილი. გარეთა პირი დაჭმუჭნულ-უსწორმასწოროა, მაგალითად, ჭურჭლის ყური. მხოლოდ ყურის ყუნწია საჯდომისმიერ ნაწილთან ერთად შემორჩენილი. მის დასამზადებლად გამოყენებულია არასრულად გამომწვარი ნაცრისფერი კერამიკული მასალა, რომელშიც არეულია სილა და კაჟის წვრილი ნამცეცები. ასეთივე, ოღონდ შავი მასისაგან დამზადებული ფრაგმენტი უფრო პრიმიტიულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთი ფრაგმენტი რამდენიმე ათეული აიკრიფა ამ ადგილზე, რაც მეტყველებს კერამიკული წარმოების უძველეს წესზე.

კერამიკულ მასალათა მეორე ნაწილი კი საკმაოდ სრულყოფილი, შესანიშნავად დამუშავებული და ფორმამიცემულია. მაგალითად, სარიტუალო ვაზის ყურების ფრაგმენტი, რომელიც წარმოდგენილია გონიოებთან და ყურის საჯდომი კედლის ნაწილთან ერთად. მას ზედა ნაწილზე აზის ორი საკმაოდ წამოწეული რქა. ჭურჭლის ზედაპირზე არის ტილოთი დამუშავების კვალი. მსგავსი ფრაგმენტი აღწერილი აქვს კუფტინს **დაბლაგომის** შუა ფენის მასალებში. გარდა სპეციალური დანიშნულებისა, იგი სარიტუალო ჭურჭლის სასამკაულო ერთეულიც უნდა იყოს. აქვე არის აგრეთვე კერამიკული ჯამის ცალი მხარე ფუძიანად. მისი სიღრმე 3,5 სმ-ია. გონიოების გაყოლებაზე მიუყვება სასამკაულო ღარი – არშია. ჭურჭელი დამზადებულია შავი კერამიკული მასისაგან. ნაპოვნია პატარა სურის ყელიც, ოდნავ გადაზნექილი გონიოთი. ყელზე, ერთმანეთის პარალელურად, გავლებულია ხუთი სასამკაულო გრეხილი. არის სხვა, წვრილი და მსხვილი კერამიკული ფრაგმენტებიც. საერთოდ, ამ მასალათა მსგავსი ერთეულები აღწერილია **ნაცარგორას**, **ოჩამჩირის**, **დაბლაგომისა** და სხვა ენეოლითურ ნასახლართა არქეოლოგიურ მასალებში. აქ აკრეფილ მასალებში გარკვეული ნაწილი უფრო ადრეული წარმოების მასალებია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ადგილის ქვედა ფენები შეიძლება შორეული წარსულის მასალებსაც შეიცავდეს. ამ მასალათა შორის არ არის დიდი რაოდენობით ლითონი, მაგრამ ენეოლითური კულტურის მასალის ასეთი სიუხვე და მათ შორის, ლითონის ორიოდე სახეობის არსებობა, მრავლისმთქმელია. აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს გრძელი ზოდის მცირე ნაწილი. ეტყობა, იგი სკამაოდ გრძელი, ოთხკუთხა ლენტისებური ზოდი ყოფილა. მისი სიგანე 5 სმ-ზე მეტი არაა, სისქე 3 სმ-ზე ცოტათი მეტია, გონიოები, ანუ წახნაგები გლუვი აქვს, საერთოდ, ოდნავ გადაგრეხილია, ბოლოები ირიბად აქვს ჩამოჭრილი, ზოდი საკმაოდ პატინამოდებულია.

აქვე იქნა ნაპოვნი ძველი სამიწათმოქმედო იარაღის – **ერქვანის** ერთ-ერთი დამახასიათებელი ერთეულის – საკვეთის, ანუ ხმალას მსგავსი რკინის ნივთი. იგი ყუნწიანად 43 სმ-ზე მეტი სიგრძისაა, ყუნწთან მისი სიგანე 7 სმ-ს აღემატება. ნივთი სამკუთხედად ჩამოთლილია. ერთი

მხრივ ყუნწის ჩაყოლებაზე პირი ალმაცერად აჭრილ-ჩასწორებულია (შესაძლოა, იგი საკვეთის დანიშნულებას ასრულებდა). მეორე პირი სწორია და საკვეთად არაა მოწყობილი. ყუნწს სამკუთხედის ფორმა აქვს. ერთი გვერდი საკვეთი გვერდის გაგრძელებას წარმოადგენს. ყუნწის სიმაღლე 6 სმ-ს უდრის. ნივთს ტარზე ჩასაკრავი მანჭვლის კვალი ან სამანჭვლე ხვრეტილი არ აქვს. აღნიშნულ ნივთს, სხვა არაფერი დანიშნულება შეიძლებოდა ჰქონოდა, თუ არა საკვეთელის ან ხმალას ფუნქცია. მსგავსი არაერთი ხმალა, ოღონდ უფრო მჭრელი პირით, ნაპოვნია **პოჩეპსკის** ნასახლარზე და უძველესი ბრინჯაოს ჩინურ მასალებში[1]. ერთი კია, რომ სამეგრელოში საკვეთელიან სასოფლო-სამეურნეო იარაღს არ იყენებდნენ. ჩვენთან მხოლოდ სახნისიანი „ოგაფა“ (კავი) იყო ხმარებაში, ამიტომ უდავოდ საინტერესოა ამ ინვენტარის უფრო ყურადღებით შესწავლა. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ „ოქოქას“ მსგავსი სახვნელი ამ მხარეშიც ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ მას კბილანაზე წამოცმული სახნისი როდი ექნებოდა, არამედ ღერძში სოლით ჩაკრული ხმალას მეშვეობით გაჭრიდა და დაღარავდა მიწას. ან კიდევ შეიძლება ერქვანის მსგავსი იარაღი არსებულიყო უფრო მკვრივი, მძიმე მიწების დასამუშავებლად. ერთი სიტყვით, ეს ნივთი სასოფლო-სამეურნეო იარაღის სახვნელი ნაწილი უფროა, ვიდრე სხვა საყოფაცხოვრებო იარაღი.

მაშასადამე, წარმოდგენილ მასალათა მხოლოდ ზერელე განხილვაც კი ცხადჰყოფს, რომ ეს ადგილი ენეოლითური პერიოდის ნასახლარია, სადაც ესახლა მრავალრიცხოვანი ტომი, რომელიც აქ ცხოვრობდა ხანგრძლივად – ნეოლითიდან ვიდრე ბრინჯაოს ეპოქამდე. შემდეგ დრომ თავისი გააკეთა – ტომი დაიშალა, ადგილი გვაროვნულ ომში აოხრდა, კარვები გადაიწვა. ამ ტომის გადარჩენილმა შვილებმა მეზობელი თუ შორეული დაუსახლებელი ადგილები დაიკავეს. მათ შესახებ წინაპართა სათანადო გადმოცემებმა დღემდე ვერ მოაღწია. ასე ჩაიმარხა ისტორიის ორომტრიალში მახათის, ანუ მახათას ველის საიდუმლოება. დარჩა ძეგლები, პრეისტორიის მოწმე ქვისა და კაჟის იარაღები, რომლებიც ავსებენ წყაროთა ხარვეზებს.

## ისევ პრეისტორიულ ნასახლართა შესახებ

პრეისტორიული ხანის ადამიანის ყოფა-ცხოვრების მასალებს ხშირად ნახნავ ან ნაბარავ მიწაზე ზედაპირულად პოულობენ. ამ შემთხვევით ნაპოვნ მასალათა შორის არასპეციალისტთა თვალს ხშირად ყველაზე თვალსაჩინო ეგზემპლარები ხვდება. ასე მოხდა ეს სოფელ **ნაგვაზაო-**

[1] საბჭოთა არქეოლოგია, 1960, გვ. 4.

**შიც**. მიწის ხვნისას ნესტორ გეგეჭკორმა ნიადაგიდან ამოყარა ფორმამიცემული ქვები. ერთ-ერთ მათგანს დააკვირდა და მიხვდა, რომ ეს უბრალო, რიყის ნაგორავები ქვა როდი იყო, არამედ ადამიანის მიერ ხელოვნურად ფორმამიცემული და შეიძლება იარაღად გამოყენებულიც. ამ ქვათა შორის ორი გადაარჩია: ერთი რიყის მოგრძო ქვა და მეორე – უცნაური ფორმის კაჟი. მისი აღწერით, კაჟი იყო დაალოებით 20 სმ სიგრძისა, ორმხრივ მჭრელი პირით, საკმაოდ მსხვილი წვერითა და ტარის ჭრილით. იგი გაკვირვებით გვიამბობდა, რომ კაჟი სულ დათლილი და დასწორებული იყო ხანჯლის მსგავსადო. მან ორივე ქვა შეინახა. აქედან ბავშვებს ერთი დაეკარგათ, ხოლო მეორე შემთხვევით გადარჩა და მუზეუმს წარუდგინა. წარმოდგენილი ნივთი ქვის ცულია, ერთ ბოლოზე საკვეთი პირთხელით და მეორე – გლუვი ბოლოთი. პირთხელი ორივე მხარეზე ხელოვნურად ჩათლილ-ჩასწორებულია. ნივთი გახეხილ-გაპრიალებულია. საგნის სიგრძე 17 სმ-ს უდრის, განით 6 სმ-ზე მეტია, სისქე 4 სმ-ს აღემატება. მასალა ნეოლითური ეპოქის ნამუშევარია. თუ გეგეჭკორისეულ აღწერას ვენდობით, მეორე ნივთი კაჟის ხანჯალი ყოფილა. ასეთი ხანჯალი შემთხვევით აღმოჩნდა სოფ. **რუსთავში** და დღეს დაცულია ცხინვალის მუზეუმში. რიყის ქვის აქ აღწერილი ცული მრავლადაა ნაპოვნი ნეოლითურ ნასახლართა კულტურულ ფენებში, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ორივე ეს ნივთი ადასტურებს სოფელ **ნაგვაზაოს** ტერიტორიაზე ნეოლითური ხანის ადამიანის ნასახლარის არსებობას. საჭიროა ამ ადგილის შემდგომი არქეოლოგიური შესწავლა.

პრეისტორიული ხანის საუკეთესო კერას წააწყდა ჩვენი ექსპედიცია **საელიავოს „დიხაკურზულაზე“**. იგი საკმაოდ მაღალი, ძაბრისებრ ამოწეული, დაახლოებით 6 მ-ის სიმაღლის ბორცვია ნაოღალევის გაშლილ ველზე. როგორც მოხუცები გადმოგვცემენ, აქ ვინმე გრიგალავას, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას, ადამიანის ჩონჩხი და თიხის ჭურჭელი უნახავს. აღნიშნულ ბორცვზე მრავალი გადმოცემა არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, იგი თამარ მეფის ამალას აღუმართავს. მოგზაურობის დროს თამარ მეფეს შესასვენებლად დაბანაკება ამ ველზე უსურვებია. ისეთი მრავალრიცხოვანი ამალა ჰყოლია, რომ მათი ქოშების ნაფხეკისგან ასეთი გორა აღმართულა. გორაკის ფენილი წითელი მიწაა. მის კალთასა და ბორცვის ფერდობებზე ათხრილ ადგილას მასობრივად იკრიფება კაჟის ნუკლეუსები და ლამელები. აქ ვიპოვეთ კოვზის ფორმის კაჟის შუალა საჭრისი. მისი ფართო, წამოღუნული ბოლო ალბათ ტარად იყო გამოყენებული. გრძელი ნაწილი ორმხრივ საკვეთი, საჭრელი პირია. ეტყობა, იგი თავის დროზე პირველყოფილი ადამიანის

ხელში ძლიერ ბასრი იარაღი იყო. ნივთი დამზადებულია ხორცისფერი კაჟისაგან. ცალი გვერდი სალამელო ანაფლეთია. მეორე მხარე კი ათ-ლილ-რეტუშირებულია, საკვეთი პირებიც რეტუშითაა ჩასწორებული და ბოლოვდება საკმაოდ მსხვილი წვერი. ნივთი 7 სმ-ზე მეტია. ასეთი იარაღი აღწერილია როგორც ზედაპალეოლითურ, ასევე ნეოლითის ადრეული პერიოდის ნადგომთა კულტურულ ფენებში აღმოჩენილ მასალათა შორის.

აქ ნაპოვნ კაჟის მასალათა შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, დაახლოებით სამკუთხედის ფორმის **ხერხის პირი**, ოთხი საჭრელი კბილანით. დიდი ნაწილი ახლახან აქვს მომსხვრეული. კბილანებს ეტყობა საკმაო ცვეთა. ასეთი ხერხის პირი ხშირად გვხვდება ნეოლითური საცხოვრისების მასალებში.

არის აგრეთვე, ოვალური ფორმის, წელში მოხრილი **საჭრისი**. ცალ მხარეზე საჭრელი პირი რეტუშით ჩასწორებულია. მეორე მხარე შეუსწორებელია და კაჟისათვის დამახასიათებელი სქელი პატინითაა დაფარული. საჭრისი მთავრდება საკმაოდ ბასრი წვერით. ნივთი 5 სმ-ის სიგრძისაა.

აქვე აღმოჩნდა ციფრი 6-ს ფორმის შუალა საჭრისი, რომლის ქვედა, ფართო ნაწილის ორივე მხარე და წვერი რეტუშითაა შესწორებული და საკმაოდ ბასრია. ბასრი პირი ხელჩასავლებ ნაწილსაც ჩასდევს ერთ მხარეზე. იგი 5 სმ სიგრძისაა, სიგანით 2 სმ-ზე მეტია. მსგავსი ინვენტარი მასობრივად აღწერილია ზედა პალეოლითური და ნეოლითური ეპოქის ნასახლარების მასალებში. აქ, საერთო ჯამში, 50-ზე მეტი საინტერესო კაჟის მასალა აიკრიფა. მათ შორის დანები, შუალა საჭრისები, საფხეკად გამოყენებული ლამელები და განსაკუთრებულად მაღალი ფორმის ნუკლეუსები, ანატკეცის სწორი და მკვეთრი ღარებით.

ამ მასალათა შორის არის აგრეთვე რიყის ქვის რამდენიმე ერთეული. მათ შორის ხელცული, ხმარებისმიერი ანახლეჩებითა და ნაცვეთებით, საკმაოდ ფართო მოცულობის სასრესი ქვები, რომლებსაც ზურგი ხშირი ხმარებისგან საკმაოდ მოცვეთილი აქვთ.

აქვე ნაპოვნია მდიდარი კერამიკული მასალა. მათ შორის აღსანიშნავია გუძუბებიანი კერამიკული ჭურჭლის გონიო. ფრაგმენტს გუძუბის ირგვლივ საორნამენტო რგოლები აქვს შემოხაზული.

საინტერესოა კერამიკული ვაზის გონიო კედლის ნაწილიანად. მას გონიოს პარალელურად გასდევს 4 საორნამენტო ღარი. შემდეგ, მთელ კედელს ღარებიდან (ქვემოთ ალბათ ფსკერამდე) ჩამოსდევს 3 პარალელური ღარის სვეტი. სვეტებს შორის ამოხაზულია პურის თავთავისთვის დამახასიათებელი შტრიხები, როგორსაც ოდიშში ნაპოვნი

**კერამიკა. ჭურჭლის პირი საელიოდან. მარტვილის მუზეუმი**

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების მხატვრული გაფორმებისას ვხვდებით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ ეს შტრიხები გაკეთებულია ყოველგვარი გამყოფის გარეშე, აქ კი გამყოფი ღარის სვეტები ჩამოხაზულია და მათში მწკრივადაა მოქცეული ეს შტრიხები; თანაც ნაკეთობის მხრივ ეს მასალა შედარებით უფრო სრულყოფილია, ვიდრე ოდიშის კერამიკული მასალის მხატვრული გაფორმება. ამ საგნის შტრიხებით მორთვა უნდა მიუთითებდეს საკმაოდ განვითარებულ მიწათმოქმედებაზე. ეტყობა, ამ დროს საკმაოდ პოპულარული და განვითარებული ყოფილა მარცვლეულ მცენარეთა მოყვანა და გამოყენება ადამიანის სამეურნეო საქმიანობასა და ყოფა-ცხოვრებაში. ასეთი ნიშნებით ხასიათდება ნეოლითური ეპოქა. განხილული მასალებიც ამ ეპოქების უდავო მოწმენი არიან.

## „გოგიაშ ნაოხვამუ“

სოფელი ლეხაინდრაო მდებარეობს გაშლილ ვაკეზე, რომელიც მდინარეების – ნოღელისა და ცხენისწყლის ნამდინარევი ჩანარღვევითაა დასერილი. მას არ ახასიათებს ზედაპირის ბორცვიანობა, ზედ მცირედი რელიეფური გორაკებიც არ არის. ასეთი მდებარეობის ადგილზე ადამიანის თვალს ხვდება ცხენისწყლისპირა ოთხი-ხუთი გუძუბა, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით, თითქმის სწორ ხაზზე მდებარეობენ ცხენისწყლის ჭალის გადასახედთან, ფლატეზე. ისინი 5-6 მ-ზე მეტი სიმაღლისანი არიან. ბორცვები მდინარის მიერ წარმოქმნილი ღორღიან-ქვიშიანი ნაზვინი ან ნარიყი როდია, არამედ ნატკეპნი წითელმიწის გროვაა. ისინი ადამიანის მიერ აღმართული ზვინულებია. ამ ბორცვებს, „**გოგიაშ ნაოხვამუს**“ ეძახიან. არავის ახსოვს, რომ ოდესმე აქ სამარხი ყოფილიყო. მოხუცები მამა-პაპისაგან მოსმენილს გადმოგვცემენ, რომ ეს ადგილი ვინმე გოგიას სალოცავი („ოხვამური“) იყო, ხოლო მთელ ამ ტერიტორიას, საერთოდ, **ოკატუეშს** და **კოტორს** ეძახიან.

ზვინულის კალთების უბრალო ანაჩიჩქნშიც კი მასობრივად მოიპოვება მდიდარი კერამიკული მასალა. კერამიკული მასალითა და საერთოდ, კულტურული ნაშთებით მდიდარი ფენილი თითქმის მთელი 2 კმ-ის მან-

ძილზე მიჰყვება ფლატეს. ველის ჩამოქცეული ნაპირის შიშველი გული შრეებადაა დაყოფილი. ზედა შრე 40-50 სმ-ის სისქის ზედაპირული ფენილია. მას მოყვება დაახლოებით 1 მ-ის სისქის ნახშირით, ნაცრით, კერამიკული მასალითა და სხვა კულტურული ნაშთებით მდიდარი ფენა. შემდეგ წითელი თიხაა. მის ქვემოთ კი ნამდინარევი ქვიშნარია. კულტურული ფენა მრავლად შეიცავს როგორც უძველეს წარმოებისეულ კერამიკულ მასალას, ასევე, უფრო გვიანი პერიოდის კერამიკული ჭურჭლის შესანიშნავად მოხატულ ნამსხვრევებს. ნიადაგის ტრაქტორით პლანტაჟისას ხშირად გუთანი კულტურულ ფენამდე ჩადის და მის ზედა ნაწილს აბრუნებს ხოლმე. ამიტომაა, რომ მთელი ველის გადახნული ნაწილი მოფენილია მდიდარი კულტურული მასალით. მასობრივად ყრია მარცვლის სასრესი ქვები, შურდულის ბურთულები, კაჟის ლამელები.

აქ დასახლება რომ ძალიან შორეული პერიოდიდან მომდინარეობს, ამას ადასტურებს ის ნივთიერი მასალა, რაც არაერთხელ აიკრიფა ველზე და ბორცვების შეფენაზე. ეს მასალები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ერთი – უფრო ადრეული, ენეოლითური ეპოქისა, და მეორე – შედარებით გვიანი, ანტიკური ხანისა. ადგილისა და დასახლების თავისებურებით, აგრეთვე მასალათა მრავალფეროვნებით ეს ადგილი მოგვაგონებს **ქობულეთ-ფიჭვნარის** ანტიკურ ნასახლარს და „ნაოხვამუს“ მდიდარ მასალებს.

**კერამიკა. ჭურჭლის კედელი ლეხაინდრაოდან. „გოგიაშ ნაოხვამუ“. მარტვილის მუზეუმი**

აქ ნაპოვნ კერამიკულ მასალათა შორის აღსანიშნავია ამფორის ნამტვრევები. არის ნაცრისფერი და შავი კერამიკული მასისაგან დამზადებული ფრაგმენტები, რომლებშიც ჭარბადაა არეული ქარსისა და კაჟის ნამცეცები. მასა შედარებით სილანაჭარბია. ეტყობა ქსოვილოვანი დამუშავების კვალიც. არის ტლანქად დამუშავებული სამძირა და ერთძირა ამფორას ნამსხვრევები და ფაქიზად შესრულებული ჭურჭლის ფრაგმენტებიც. აქვეა მრავალნაირი ვაზის ნაშთებიც. გუძუბიანი კედლები მოხატულია განივი და სწორი ხაზულებით, გუძუბის ირგვლივ ხვეულებით. არის ორრქიანი სარიტუალი ჭურჭლის ყურები, ლამაზად მოხატული სურის ყელი და კედლები. ერთ-ერთი ვაზის ფრაგმენტი დაახლოებით 5 სმ-ს აღემატება. მას აქვს სწორი გონიო. ვაზის კედლები ყელის ორმოს გარეშე თანდათანობით ამობურცულად ვი-

თარდება წელისკენ. ზედ გონიოსთან დაუდის სამი საორნამენტო ღარი, ორი ქვედა და ზედა ღარი ფართოა, ხოლო შუა მხოლოდ ამოღარული ბუდურების ჯაჭვს აკეთებს გონიოს მთელ გაყოლებაზე. ასეთი, ოღონდ ირიბად წაწვენილი ხაზულების სალტე აქვს ირგვლივ შემორტყმული ფრაგმენტს. მსგავსი კერამიკული ფრაგმენტები აღწერილი აქვს „ნაოხვამუს“ მასალებში კუფტინს.[1] მრავლად აიკრიფა აგრეთვე მეტალურგიული წიდები, სხმულები, გვხვდება მილაკები, ტიგელის ნამსხვრევები და იარაღის ქვაზე ამოთლილი ყალიბის ფრაგმენტიც. ამასთან ერთად, ნაპოვნია კაჟის ისრის პირი, შედარებით მცირე ზომის ლამელები, ნუკლეუსები, კერის ნამტვრევები და სხვ. ეტყობა, აქ მოსახლე ადამიანთა შრომითი საქმიანობა მრავალფეროვანი იყო. ისინი ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, მოჰყავდათ ხორბლეული მცენარეები, საფქვავად იყენებდნენ სასრეს ქვებს, ეწეოდნენ კერამიკულ წარმოებას, ჩვევად ჰქონდათ ჭურჭლის ლამაზად მორთვა.

ჭურჭელს ეტყობა მორთვის თავისებური სტილი, რომელიც თუ მთლიანად მთელი დასავლეთ საქართველოსათვის არა, სამეგრელოს რაიონებისათვის მაინც საერთო ნიშნებით ხასიათდება. ეტყობა, რომ ადამიანებს სხვადასხვა ჭურჭლისათვის სხვადასხვანაირი, სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის ხაზულები ჰქონდათ დადგენილი და ამ ფორმებს აყენებდა ყველა დასახლებაზე მოქმედი ოსტატი. ეს აქ მოსახლე ხალხის უახლოეს ეთნიკურ ნათესაობაზეც მეტყველებს. კერამიკული ნაწარმი შედარებით განვითარებულ ეპოქაში გაცვლა-გამოცვლის საგანიც იყო. წარმოებაში საერთო ნიშნებისა და ფორმების არსებობა წარმოებითი გამოცდილების ურთიერთგაზიარების ჩვევაზე მიუთითებს.

მოსაქმეობის მნიშვნელოვანი დარგი იყო აგრეთვე მეტალურგიული წარმოებაც.

ანტიკური ეპოქის კოლხეთი მჭიდროდ დასახლებული სოფლებითა და ქალაქებით იყო მოფენილი. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ამ მხრივ **სამოქალაქო**, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც შედიოდა **კოტორი**. რიონისპირეთის მდიდარი ადგილები დაქსელილი იყო სავაჭრო გზებით, რომელთა გაყოლებაზე იყო მდიდარი და მრავალრიცხოვანი დასახლება. უძველესი სავაჭრო გზის ერთ-ერთი შტო **ხიდიკარიდან** (ხინჯიკარი) მთებს მიჰყვებოდა და, ჭყონდიდის გავლით, კლისორისაკენ მიემართებოდა. ამ გზის მეორე შტო ცხენისწყლის მჭიდროდ დასახლებულ ჭალებს მიუყვებოდა **შუაქალაქისაკენ**, აქედან კი **ფაზისისკენ** მიემართებოდა.

[1] მასალები კოლხიდის არქეოლოგიისათვის, ტ. II, ტაბ. 47-48.

ეს შტო კოტორსაც გაუვლიდა. შემდგომ არქეოლოგიურ ძიებას შეუძლია ფარდა ახადოს ამ საინტერესო ნასახლარის მთელ საიდუმლოებას.

## უძველესი მეტალურგიული წარმოების კერები გვიამბობენ

უძველესი მეტალურგიული წარმოების პირველი ნიმუშები ჩნდება ნეოლითურ და ენეოლითურ კერებზე, რომლებიც მრავალ ადგილას იქნა აღმოჩენილი ისტორიულ საჭყონდიდლოსა და სალიპარტიანოს ტერიტორიაზე. მაგალითად, მსგავსი კულტურის მდიდარი ნაშთები გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიციამ იპოვა მარტვილის ფერდობზე, მარტვილის ბორცვის ჩრდილოეთ კონცხიდან სოფლისკენ დაქანებულ ფერდობამდე, დაახლოებით 200 მ2 ფართობზე. კავით ნახნავ ადგილზე აიკრიფა ნეოლითისა და ენეოლითური კულტურის ხანის ადამიანის იარაღები (კაჟი და რიყის ქვა), რომლებიც გამოირჩევიან დამუშავების თავისებურებით, ფორმითა და სიმდიდრითაც. აქვე იქნა ნაპოვნი მეტალურგიული წარმოების შესანიშნავი მასალები, ისინი ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმაზე, თუ როგორ წინაურდებოდა ქვის ხანის პირობებში ადამიანის ტექნიკა, როგორ მაღლდებოდა ადამიანი გონებრივად.

საზოგადოების განვითარების პირველ ბიძგს ტექნიკაში ახალი, მძლავრი ბიძგები მოჰყვა. პალეოლითმა მხოლოდ აამოძრავა საზოგადოება შემდგომი ეკონომიკური პროგრესისაკენ. რამდენიმე ათეულ ათას წელს მოუნდა ადამიანი ნეოლითისაკენ გზის გაკაფვას; შემდგომმა ბიძგებმა უფრო სწრაფად, გრანდიოზული მასშტაბით გამოიწვია საზოგადოების შემდგომი ეკონომიკური დაწინაურება. პირველი მძლავრი ბიძგი ქვის კულტურის შემდეგ იყო სპილენძის კულტურაზე გადასვლა.

ლითონი, ქვასთან შედარებით, უფრო ხელსაყრელი და კარგი მასალაა. ქვის სასურველ ფორმამდე დაყვანა ხანგრძლივ შრომასა და დროს მოითხოვს, მაგრამ მისი სრულყოფა სასურველ ფორმად მაინც ვერ ხერხდება. იგი ტლანქია, ადვილად მსხვრევადი, ძნელად გამოსაყენებელი. ამიტომ უკეთესი მასალის მოძებნა და მისი დანერგვა ყოფა-ცხოვრებაში ადამიანის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. ცხოვრების პირობების შემდგომმა გართულებამ, ტექნიკის განვითარების შემდგომი სრულყოფის აუცილებლობამ ადამიანი, თავისდაუნებურად, მიიყვანა შემდგომი, ახალი საშუალებების ძიებისა და ახალი მასალის გამოყენების მტკიცედ დანერგვის საჭიროებამდე. ამ აუცილებლობამ გამოიწვია ლითონის აღმოჩენა და გამოყენება.

ლითონი იჭედება, დამუშავებას ემორჩილება. გამოცდილი ხელოსნის ხელში სწრაფად და ადვილად იღებს სასურველ ფორმას. მისგან დამზადებული პირები უფრო მჭრელია, ნივთიც უფრო ლამაზია და ადვილად მოსახმარი. ლითონისაგან ამა თუ იმ ნივთის დამზადება დიდ დროსა და შრომას არ მოითხოვს. ყოველივე ეს დიდ უპირატესობას უქმნის ისეთ რბილ ლითონსაც კი, როგორიც სპილენძია. ამიტომ ადამიანი მის გამოყენებას სწრაფად დაეწაფა და სულ მალე იგი ღრმად და ფართოდ დაინერგა ყოფა-ცხოვრებაში. რასაკვირველია, ჯერ უხდებოდა მისი ცივად დამუშავება, შემდეგ კი გადადნობა და ჩამოსხმა-დაყალიბება.

ცივად დამუშავება სპილენძის კულტურის თავდაპირველი სახეა. სპილენძის საბადოები ყველგან უხვად მოიპოვება. იგი შედარებით ზედაპირული წიაღისეულია. მისი საბადოები უფრო უხვი სამადნო ძარღვებით არის ცნობილი, ვიდრე ზოგიერთი სხვა ლითონის საბადოები. ამასთან, მისი მადანი ნაკლებად გვხვდება უსუფთაოდ, მინარევებით, რომელთაგან გაწმენდა დიდ დროსა და შრომას შეიწირავდა. მისი გაწმენდისა და ისე გამოყენების პრაქტიკის შემუშავება ათასწლობით გამოცდილებას საჭიროებდა, ეს კი ქვის იარაღის დამზადების ოსტატ ადამიანს არც ჰქონდა და უსუფთაო მადანს ხელს ვერ მოკიდებდა, მისგან პირდაპირ ცივად ვერ გაჭედავდა მისთვის სასურველ საგანს. სპილენძი ამ მხრივ ყველა ლითონისაგან გამოირჩევა. მისი საბადოები უხვად მოიპოვება ყველგან, შედარებით ზედაპირულიცაა და ძალიან მდიდარი სამადნო ძარღვებიც იცის. ასევე, სუფთა სახითაა უმეტესად წიაღში და პირდაპირ აღებული, ცივად დამუშავებისას ადვილად მიჰყვება ოსტატის ხელს. ამიტომ პირველი ლითონის იარაღი ადამიანმა სპილენძისაგან დაამზადა. იგი ქვას ცივად, პირდაპირ ამუშავებდა. მისი დნობა და ყალიბებში ჩამოსხმა შეუძლებელი იყო. ამიტომ ამ ლითონსაც იგი ამ კუთხით მიუდგა, აიღო და პირდაპირ, ცივად დაამუშავა. ეს იარაღი, ქვასთან შედარებით, უფრო ეფექტური გამოდგა.

სპილენძის ცივად დამუშავების პრაქტიკა საზოგადოებას დიდხანს გადმოჰყვა. ამას ადასტურებს ფაქტი, რომ დღესაც „მელინჯეები“, ანუ ინჯისმკეთებლები, ე. ი. სპილენძის ოსტატები ამ ლითონის გადადნობილი მასისაგან ცივად აწარმოებენ ჭურჭლის ჭედვასა და შეკეთებას. ამისათვის მათ განსაკუთრებული „**საინჯო**“, ე. ი. „**ინჯისათვის**“, ანუ სპილენძისათვის გამოსაყენებელი სამჭედლო იარაღები აქვთ. ამრიგად, სპილენძის ცივად ჭედვა მესპილენძეთა კუსტარულ ხელოსნურ წარმოებაში დღესაც არაა მთლიანად ძალადაკარგული. ასეთ კუსტარულ წარმოებას დღესაც განაგრძობს დაბა გეგეჭკორის მცხოვრები უ. ადამია, რომელიც რკინის მჭედელი კი არ არის, არამედ მეინჯეა, ე. ი. მეს-

პილენძე და ეს მისი გვაროვნული მემკვიდრეობაა. ასევეა ქ. გვილავაც. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველყოფილი მეინჯეობა როდია, ე. ი. სპილენძის თვითნაბადი ზოდის პირდაპირი ჭედვით დამუშავება კი არაა, არამედ გადადნობილი, მადნის გადადნობით მიღებული მასის დამუშავება. აქ, რასაკვირველია, სერიოზული განსხვავებაა, მაგრამ შრომის ამ სახეობის პროცესის შენარჩუნება იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანი საუკუნეების განმავლობაში დახელოვნდა ამ საქმეში. ამ დარგში გაჩნდნენ განსაკუთრებული მუშაკები: მესპილენძეები ანუ „**მელინჯეები**“, განსხვავებით ბრინჯაოსა და რკინის ოსტატებისაგან, რომლებმაც თაობიდან თაობას გადმოსცეს ამ საქმიანობის ჩვევები და საიდუმლოებანი (თანამედროვე „მელინჯეობაში“ ცივად ჭედვა განპირობებულია თვით ლითონის ბუნებითაც, იგი ცივადაც ადვილად მიჰყვება ხელოსნის ხელს).

მაგრამ ხანგრძლივმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ გამოამჟღავნა ცივად ნაჭედი სპილენძის უარყოფითი მხარეებიც. იგი ადვილად ჩლუნგდება, იღუნება, ე. ი. არაა მყარი. ამიტომ ადამიანმა მისი გაუმჯობესება დაიწყო. სპილენძის მადანი მან გამოადნო და ჩამოასხა ყალიბებში. გაუმჯობესდა მისი გამძლეობაც. პრაქტიკამ აქაც თავისი სიტყვა თქვა: საერთოდ, სპილენძი, ტექნიკის მზარდ მოთხოვნილებას მაინც ვერ აკმაყოფილებს. იგი მაინც ნაკლებად მყარი, მტკიცეა, ამიტომ ადამიანის წინაშე დაისვა შემდგომი ძიებისა და მცდელობის საკითხი. ამის შედეგი იყო ლითონის შემადგენლობის გაუმჯობესება სხვადასხვა მინარევებით. ასეთ მინარევად ადამიანმა გამოიყენა კალა და მისი მსგავსი სხვა წიაღისეული. ამ ნარევის გამოდნობამ საუკეთესო შედეგი მოიტანა, მიღებული ნაერთი – ბრინჯაო უფრო მტკიცე იყო და უფრო ნაკლებად ჩლუნგდებოდა. ბრინჯაოს კულტურის დასაწყისად მსოფლიო არქეოლოგია და საერთოდ, ისტორიული მეცნიერება, რომელიც არქეოლოგიის მონაცემებს ემყარება, თვლის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის შუა პერიოდს.

მეცნიერება ამ უძველესი პერიოდის შესასწავლად იყენებს ნამარხ მასალას, რაც მიწის წიაღმა შემოგვინახა იმ შორეული დროიდან დღემდე; ესენია მეტალურგიული კერების ნაშთები: ყალიბები, ქურები, სამჭედლო სადგომები და ხელსაწყოები, საოჯახო თუ სხვა ნაგებობები, სხვადასხვა ნივთებისა და იარაღების საკულტო ნაგებობა და იარაღი, ბოლოს, სამაროვნები, უძველეს სამარხთა ინვენტარის სახით. ეს მასალები მრავალი საუკუნის განმავლობაში დედამიწის ღრმა ფენებში ჩაიმარხა. მეცნიერების ერთი დარგი – არქეოლოგია მიწის ღრმა ფენებში ეძებს ჩვენს წინაპართა კვალს, მათ საყოფაცხოვრებო ნივთებს და მათი შესწავლის

გზით აღადგენს ისტორიის ცალკეულ პერიოდში საზოგადოების განვითარების დონესა და თავისებურებებს.

საბჭოთა ქვეყნის ყოველ კუთხეში უხვად პოულობენ ისტორიის ბრწყინვალე რელიკვიებს, რომელთა შორის ერთ-ერთ მდიდარ კუთხედ სახელოვანი წარსულის მქონე მხარე – საქართველო ითვლება. არქეოლოგიური მუშაობის შედეგები გვარწმუნებენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანებს გაუვლიათ პალეოლითი და ნეოლითი, აქვე შეუქმნიათ მათ სპილენძისა და ბრინჯაოს მდიდარი კულტურა. ბრინჯაოს ნამარხი ნივთები საქართველოს მრავალ კუთხეშია (დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში). მათგან ზოგი არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მეცნიერული გათხრების გზით, ზოგიერთი შემთხვევით იპოვნეს ზედაპირზე, ან კიდევ, სხვადასხვა მიზნით წარმოებული გათხრების შედეგად ცალკეულმა პირებმა გამოიჩინეს მზრუნველობა და გადასცეს სამეცნიერო დაწესებულებებს შესასწავლად და დასაცავად.

მართალია, ამ სიძველეებსა და ნაშთებს საუკუნეების განმავლობაში დალექილი ნიადაგის სქელი ფენა აძევს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი გვხვდება უმთავრესად მდინარეების პირებსა და ფერდობებზე, რომლებიც ხანგრძლივი ჩამორეცხვისა და ჩამოქცევის გამო ძლიერ მოშიშვლებულია. მათი გათხრა სულ ადვილად შეიძლება. ზოგჯერ ეს მასალა ზედაპირზეც კი ჩანს, ანდა სულაც ზემოდან დევს. ამიტომ ფხიზელ თვალსა და გონებას შეუნიშნავი არ რჩება ხოლმე. ასე მოხდა ეს სოფელ კურზუშიც.

გეგეჭკორის რაიონის მთიანი სოფლები უხსოვარ დროშიც მჭიდროდ დასახლებული ადგილები ყოფილა. ამაზე მიგვითითებს ნასახლარები, ციხე-კოშკთა და ქალაქთა ნანგრევები, ცალკეულ ადგილთა სახელები და მათზე ხალხში არსებული გადმოცემები. ამიტომ აქ ყოველი ძეგლი, ყოველი ნაჯიხურიც უაღრესად საყურადღებო და შესანიშნავია.

აგარაკ ლებარდეში, მის შესასვლელთან, გორაკის ძირას, იქ, სადაც დღეს საქართველოს ჩაის ტრესტის დასასვენებელი სახლის ეზო იწყება, ამ ათი წლის წინ მუშას, რომელსაც ადგილზე არავინ იცნობდა (იგი გავლით, დღიურ მუშად ყოფილა თურმე ჩამოსული). შემთხვევით მიწიდან ამოუგდია რკინის (თუ ბრინჯაოს) ნამარხი ნივთები: კოლხური ცულები, თოხები, საომარი ნაჯახები, სარტყლის მორთულობანი და სხვ. (შეიძლება ოქროს ნივთებიც კი). ამის შემდეგ მას უფრო ღრმად გაუთხრია მიწა და ნაპოვნ ნივთებს შორის მისთვის საინტერესო შეუხვევია, შეუკრავს და წაუღია. დანარჩენები კი მდინარეში გადაუყრია. როგორც ამას აქ შემთხვევით მოხვედრილი ადამიანები გადმოგცვემენ, იგი თურმე შეკვრას არავის აჩვენებდა და სულ თან ატარებდა. ადგილობრივთაგან ამ

ნივთებით არავინ დაინტერესებულა. უფიქრიათ, ეს უახლესი პერიოდის ნივთებიაო და ყურადღება არ მიუქცევიათ. ასე დაიკარგა ამ ძვირფასი აღმოჩენის კვალი. მაგრამ თვით ეს ფაქტიც კი იმას ადასტურებს, რომ ბრინჯაოს კულტურის პერიოდის სამაროვნები კურზუ-ლებარდეს ხაზზე უხვად არის ჩაფლული და გულდასმით ძიებას ადვილად შეუძლია დაამტკიცოს ამ აზრის სისწორე. ამ ფაქტით დარწმუნებულთ ჩვენ მტკიცედ გვჯეროდა, რომ ასეთი სამარხები კიდევ აღმოჩნდებოდა. ეს ვარაუდი სრულიად შემთხვევით დადასტურდა. 1957 წლის იანვრის თვეში, სოფელ კურზუში მასწავლებელი აპ. კ. ახალაია, როდესაც სავენახე მიწას აბრუნებდა თავის საკარმიდამო ნაკვეთში, შემთხვევით წააწყდა ნამარხის ინვენტარს. ინვენტარისა და თვით სამარხის გულდასმით (რამდენადაც შესაძლებელი იყო) შესწავლამ თვალსაჩინო შედეგები მოგვცა.

ჩვენმა ხალხმა ბრინჯაოს კულტურა ძალიან ფართოდ, საკუთარი ეროვნული თავისებურებებით გაიარა. ბრინჯაოს ნაწარმი აქ საკუთარი ეროვნული ელფერის მატარებელია. დღემდე აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ეს თავისებურება ადასტურებს იმ აზრის უსაფუძვლობას, თითქოს საქართველოს საკუთარი ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოება არ ჰქონდეს და აქ აღმოჩენილი ნივთების ჩამოსასხმელად მასალა საიდანღაც შემოტანილი იყოს ჩვენს ქვეყანაში. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ეს ნივთები ერთეულობით და იშვიათად როდი მოიპოვება, იგი უხვადაა დაცული ყველა სამარხში, ყველა საცავში. იგი რომ სხვა ქვეყნიდან ყოფილიყო შემოტანილი, ასეთ სიუხვესთან არ გვექნებოდა საქმე; შეიძლებოდა ყველგან ყოფილიყო, მაგრამ ერთეულობით და არა ათობით; შეიძლებოდა რამდენიმე ნაწარმი ყოფილიყო და არა ყველა სახის საყოფაცხოვრებო საგანი და ნივთი. იარაღები და ნივთები შესრულებულია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. მაგალითად, საქართველოს ბრინჯაოს წარმოების დასავლური წრისათვის დამახასიათებელია ბრინჯაოს თოხები, ცულები (კოლხური ცულები), საომარი საჭრისები და სხვ. დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში, ძველთაგანვე მისდევდნენ ისეთი სათოხნი კულტურების მოყვანას, როგორიცაა ღომი, მჭადი, სელი, კანაფი. მათ დასამუშავებლად თავისებურ თოხებს სჭედდნენ ხოლმე. ამიტომაა, რომ ამ ადგილებში ნაპოვნი თოხები თავიანთი მოყვანილობით ერთგვარად განსხვავდება სხვაგან აღმოჩენილი მსგავსი სასოფლო-სამეურნეო იარაღისაგან. ასევე, სრულიად განსხვავებულია აქ აღმოჩენილი ცულები სხვაგან ნაპოვნი ბრინჯაოს მსგავსი იარაღისაგან.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც აღმოსავლეთში, მრავლადაა ნაპოვნი სადნობი ქურები, ჩამოსასხმელი ყალიბები, ბრინჯაოს წვრილმანი ნამსხვრევები და ზოდებიც კი. ამ მხრივ საგულისხმოა კურზუს მეტალურგიული კერა – **ჩეჩონაც**. ჩეჩონაში, რომელიც მთის კალთის მაღალ ბორცვზე მდებარეობს, ამ რამდენიმე წლის წინათ მწყემსმა ნაჭყეპიებმა სპილენძის რამდენიმე ფართო და ბრტყელი, მრგვალი ფირფიტა იპოვეს (თითო დაახლოებით 3-4 კგ წონისა); აქვე ნაპოვნი იყო სპილენძის ნივთებიც, მაგრამ მწყემსებმა ფირფიტები და ეს ნივთები დაჭრეს და საოჯახო ჭურჭლის შესაკეთებლად გამოიყენეს. მხოლოდ მცირე ნაწილიღა შემორჩათ ხელზე. დგომის მიდამოებში ჩვენმა ექსპედიციამ 1957 წელს იპოვა ბრინჯაოს ზოდი და წვრილი ნამსხვრევები, აქვე იყო წიდაც. ბრინჯაოს ზოდების დიდი მარაგი აღმოაჩინეს თოდუებმა დოშაყეში. აქ მრგვალი ზოდები (თითქმის ორ ტონამდე) იყო მიწაში ჩაფლული, ნაწილი ამ ზოდებისა ექსპედიციის განკარგულებაში გადმოვიდა. ერთ ტონამდე ზოდი იქნა ნაპოვნი კურზუში კოლმეურნე გაბისონიას ეზოში. ზოდები, წვრილი ნამსხვრევები და წიდა აღმოჩნდა სანაჭყეპიოში, ქობალიას კარავთან, ნალეპსაოში, კიწიაში, ნოღაში, აბჰესთან მდებარე ადგილ „მანცხვარის“ კულტურულ ფენაში. ბრინჯაოს წიდა აღმოჩნდა ქვიბიაში ადგილ „წიდაზე“ არსებულ რკინის წიდებს შორის. იქვე აღმოჩნდა ტიგელის კედლის ნამტვრევებიც, რომელიც შავი მასისაგანაა მოზელილი. ტიგელის კედლის მასა შემტკიცებულია კაჟის წვრილმანი ნამსხვრევებით. ასეთივე ტიგელის კედლის ნამსხვრევები და წიდები აღმოჩნდა ნახუნაოში, კაჯი ცანავას ეზოში, ლენჭეხაში და სხვ. ყველგან კულტურული ფენა მოშლილია ტრაქტორით ან გუთნით მიწის ხვნისას. მხოლოდ ზედაპირზე თუა ნამსხვრევები და წიდები დარჩენილი. ამ მხრივ ყველაზე უფრო დაცულია დოშაყეში ადგილი „**ჭკადუერი**“ და „**ბახვაშ ნოხორი**“.

ბრინჯაოს კულტურა რომ საკუთარ ეროვნულ ტრადიციებსა და ბუნებრივ სიმდიდრეზე იყო დამყარებული, ამაზე მიუთითებს სხვათა შორის მეგრულში დღემდე მტკიცედ დარჩენილი ტერმინები – „**ინჯრა**“ და „**ინჯი**“. საინტერესოა, რა შეიძლება იყოს ამ სიტყვის ფუძე, საიდან შეიძლება იყოს იგი ნაწარმოები? ჩვენი აზრით, სიტყვა „ინჯრა“ ნაწარმოებია სიტყვა „ინჯიდან“, რაც მეგრულში სპილენძს ნიშნავს. საბა ინჯრას ასე განმარტავს: „ერთი საჯერი საჭამადი“, ე. ი. ერთი ოჯახის ერთ ჯერზე სამყოფი კერძი, ან კიდევ ერთ ჯერზე საკმარისი პროდუქტი. ასე ესმით ეს საქართველოს ყველა კუთხეში: ქართლში, კახეთსა და სვანეთში. თვით ლაზებიც ასეთივე განმარტებას აძლევენ „ინჯრას“.

ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ „ინჯი“ არის ფუძე „ინჯრობისა“. რატომ ვფიქრობთ ასე, რატომ დაედებოდა ფუძედ ადამიანის ქცევის გარკვეულ წესს სწორედ სპილენძის, ე. ი. ლითონის მეგრული სახელი? იმიტომ, რომ ჯერის საწყაო, საზომი გახდა სწორედ ინჯისაგან დამზადებული ქვაბი (კარდალა). „ქომუჩი საინჯრო“ (მომეცი საინჯრო), ასე იტყვიან მეგრელები. აქ იგულისხმება – მომეცი საინჯრო ქვაბი. როდესაც ადამიანმა ერთ ჯერზე საკმარი პროდუქტების მტკიცედ აწყვა და აზომვა დაიწყო, მან საწყაოდ, საზომად სწორედ ქვაბი გამოიყენა, ქვაბი კი სპილენძისა იყო, ანუ სპილენჯისა, როგორც ამას სვანები ამბობენ: „**სპილენჯიშ ცხვად**“ (სპილენძის ქვაბი) ან უფრო ხშირად „სპილენჯი ცხვად“ (ჩვენ აქ არ ვამახვილებთ ყურადღებას მიცემით ბრუნვაში მეგრულისა და სვანურის მსგავსებაზე). მაშასამადე, ორ სხვადასხვა დიალექტში შენარჩუნებულია უძველესი სახელწოდება სპილენძისა, ლინჯი – მეგრულში და სპილენჯი – სვანურში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფუძე სპილენძისა სწორედ „ლენჯი“ ან „ლინჯი“ უნდა ყოფილიყო. დროთა ვითარებაში ქართულსა და სვანურში **ო** – შეიცვალა **ე**-თი, ან კიდევ პირიქით მოხდა მეგრულში, მაგრამ მაინც ცხადია, რომ მათ საერთო ფუძე აქვთ. გამოსარკვევია, საიდან შეიძინა „ლინჯმა“ ან „ლენჯმა“ თავსართი „**სპი**“, ამას ალბათ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვა ენების ლექსიკური ფონდის გულდასმით განხილვა გახსნის შემდგომში. ამრიგად, „ლინჯი“ ან „ინჯი“ სპილენძის უძველესი სახელწოდებაა ქართული ენის ყველა დიალექტში. ქართველური ენების დედო, ძირი ენა, რომელიც უხსოვარ დროს შემუშავდა და რომელიც შემდგომ სამ სატომო ენად გაიყო, თავის ელფერს, თავის ლექსიკურ საუნჯეს და გრამატიკულ თავისებურებებს ტოვებს ამ სატომო ენებში, რომლებიც ენის განვითარების გზაზე თანდათან სცილდებიან დედო ენას, მაგრამ ბევრს და არსებითს მისგან მაინც ინარჩუნებენ. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, დედო ენაში „ლინჯი“ ან „ინჯი“ იყო სახელწოდება სპილენძისა, ან სპილენჯისა. ასე მომდინარეობდა იგი უძველესი დროიდან და საწყაოც ჯერისა სწორედ მისგან უკეთებიათ. ამიტომ ჯერს ინჯრა ან „ინჯა“ შერქმევია. ასე დარჩენილა ენაში, ასე მოსულა იგი დღემდე და ასე დარჩება მანამ, ვიდრე ჯერის აზომვა ადამიანის ყოფა-ცხოვრების ნორმად დარჩება.

ეს რომ სწორია და „ინჯი“, ანუ „ლინჯი“ რომ საწყაოს ზოგადი სახელწოდება იყო, მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ძველ წერილობით წყაროებში ყმის ბატონისადმი ფეოდალურ ვალდებულებას ამ საწყაოთი ზომავდნენ სამეგრელოში. „საკლავი, ქათამი მისი მარილითა, 3 ლინჯი ღომი, 2 ფოხალი ღვინო და ოჭკომური მისის ღომითა, ღვინოთა,

ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხით, სამარხითა, რაიცა იმ დღეს მოუნდებოდეს“[1]. ან კიდევ საეკლესიო სოფლის, ჯგალის ფეოდალური ვალდებულების საერთო სიაში ვკითხულობთ: „არის ჯგალის სასახლის მიმდგომის კაცების ბეგრის ჯუმლი 45 საკლავი, 6 ქათამი, 6 პური, 140 ლიჯი ღომი, 178 ფოხალი ღვინო, 4 წონა სანთელი, და 30 ადლი ტილო“[2] და ა. შ. თუმცა, აქ შეიძლება შეგვნიშნონ, რომ ღომი არა ნამზად კერძს მიუთითებს, არამედ მარცვალს, მაგრამ ეს ხომ არ ცვლის არსებითად საქმის შინაარსს: საერთოდ საწყაო, ან ინჯრისათვის საკმარი მარცვლის საწყაო ისევ **ინჯია** – ე. ი. სპილენძის ქვაბი ან სპილენძის ჭურჭელი.

ამდენად, საწყაოთა და მით უმეტეს, საყოფაცხოვრებო ჭურჭელს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ზომის ერთეული ისევ ინჯია, ანუ სპილენძის ქვაბი. აქ ერთ რამეზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ „**ბრინჯაოს**“ სწორედ „**ინჯი**“ უდევს საფუძვლად „**ბრინჯაო**“ „**ინჯის**“ ნაწარმია. გამოსარკვევია, რას გამოხატავს „**ბრ**“ ნაწილაკი, რომელიც თავში მოუდის ამ სიტყვას. ბრინჯაო წარმოებული ლითონის ნამდვილი სახელია, რომელიც ნაწარმოებია ორი ნივთიერების შეერთებით, ინჯისა და იმ ნივთიერებისა, რომლის სახელწოდება „ბრ“ ნაწილაკით იწყება.

ამდენად, ეს ორი სიტყვა ერთმანეთთან მტკიცე ურთიერთობაშია და აქაც სპილენძის უძველეს სახელწოდებად კვლავ ინჯი რჩება.

აქ რომ უძველეს დროში უწარმოებიათ სპილენძი და ბრინჯაო და აქვე ყოფილა მისი მეტალურგიული წარმოება, შეიძლება დავადასტუროთ ერთი მაგალითითაც. სამეგრელოში და საერთოდ, საქართველოში, არის საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული გვარი, **ინჯია** (რომლის დამახინჯებული, გადაკეთებული ფორმაა ინჯგია. ძველ წყაროებში და მასალებში ეს გვარი ყველგან ინჯიად იკითხება). არის გადმოცემა, რომ ამ გვარის კაცები უხსოვარი დროიდან „**მეინჯეები**“ – მესპილენძეები იყვნენ. ისინი ამზადებდნენ სპილენძის ნივთებს, არემონტებდნენ მათ. ამიტომ ამ გვარის თავკაცების უძველესი საქმიანობის გამომხატველი სიტყვა დღემდე გვარად შემორჩა შთამომავლობას. ამრიგად, ჩვენი მხარე უძველესი დროიდან ინჯის საიდუმლოების მფლობელია. მაშასადამე, საქართველო სპილენძის წარმოების ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა.

ბრინჯაოს ნივთები უმეტესად ნაპოვნია ორმო-სამარხებში. ორმო-სამარხებში ჩამარხულ მიცვალებულთათვის ჩაუტანებიათ საოჯახო, სამხედრო და ზოგადად, საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც გარდაცვლილს სიცოცხლეში ჰქონია, უტარებია, გამოუყენებია და რომლე-

[1] ს. კაკაბაძე, საცაიშლოს გამოსავლის დავთარი, ტფ., 1913, გვ. 7.
[2] იქვე, გვ. 45.

ბსაც, მაშინდელი რწმენით, სიკვდილის შემდეგაც, საიქიო ცხოვრებაშიც გამოიყენებდა. ზოგ სამარხში მრავლადაა მდიდრული მასალაც.

**სამეგრელოში აღმოჩენილი რკინისა და ბრინჯაოს იარაღები. მარტვილის მუზეუმი**

ორმო-სამარხებში აღმოჩენილ მასალებს შორის დასავლეთ საქართველოსათვის კურზუს სამარხის ინვენტარი ერთ-ერთი პირველთაგანია. ამიტომ ამ მხრივაც იგი უაღრესად საყურადღებოა: საერთოდ სამარხებს შორის მასალების მრავალფეროვნების მხრივ განსხვავება იმას ადასტურებს, რომ მაშინ საქართველოში უკვე მკვეთრად ყალიბდებოდა ადამიანთა შორის ქონებრივი უთანასწორობა. გამოიყო გვაროვნული დიდკაცობა, რომელთა სამარხები თავისი მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით ძალზე განირჩევა ერისკაცთა – გვარის უფრო ნაკლებად წარჩინებულ წევრთა სამარხებისაგან.

ბრინჯაოს ნაკეთობაც, რასაკვირველია, სათანადოდ ვერ აკმაყოფილებდა ადამიანის მოთხოვნილებას. იგი, მართალია, სპილენძის ნაკეთობაზე უფრო მაგარი და მოხერხებული იყო, მაგრამ შრომის მრავალსახეობა შემდგომ პერიოდში ვერ ურიგდებოდა ბრინჯაოს იარაღს. დღის წესრიგში დადგა უფრო სრულყოფილი, მაგარი, მტკიცე ლითონის იარაღის საჭიროება. ასეთი ლითონი რკინა იყო. დროთა განმავლობაში ადამიანი თანდათანობით ტოვებს ბრინჯაოს ნივთების მასიურ წარმოებას და გადადის რკინის დამუშავებასა და მისგან საყოფაცხოვრებო და სამხედრო იარაღის დამზადებაზე. თუმცაღა, იგი ბრინჯაოზე სავსებით როდი იღებს ხელს, მას კვლავ დიდხანს იყენებს სამკაულებისა და სხვადასხვა საოჯახო ნივთის დასამზადებლად.

რკინის დამუშავებამ, რკინის იარაღის შემოღებამ და დანერგვამ დიდად შეუწყო ხელი საზოგადოებაში ეკონომიკისა და კულტურის გრანდიოზულ პროგრესს. უაღრესად განავითარა მიწათმოქმედება, მეტალურგია, ხელოსნობა, საფეიქრო წარმოება, სამშენებლო საქმიანობა; რკინამ ხელი შეუწყო მდიდრულ, მაღალმხატვრულ ნაგებობათა აგებას, ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეთა მშენებლობას, ხელოვნების ძვირფასი ნიმუშების შექმნას. რკინამ უზრუნველყო სამხედრო საჭურვლის გაუმჯობესება და ამით სამხედრო ტექნიკისა და მეცნიერების მეტად განვითარება, უცხოელ მოძალადეთაგან ცალკეულ ტომთა თავდაცვითი ღონისძიებების გაუმჯობესება. რკინამ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში უდიდესი გადატრიალება მოახდინა. გამოიწვია მიწის დამუშავება დიდ ფართობებზე, უზრუნველყო სახნავად ფართო, ტყიან სივრცეთა გაკაფვა, ხელოსანს მისცა ისეთი მაგარი და ბასრი იარაღი, რომელსაც ვერც ერთი იმ დროისათვის ცნობილი ლითონი ვერ გაუძლებდა.

რკინის კულტურის დასაწყისად, ანუ ადრეული რკინის პერიოდად უნდა ჩაითვალოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისი, ხოლო ამ ათასწლეულის შუა პერიოდიდან იგი ბრინჯაოსთან თანაბარ უფლებასაც კი იხვეჭს; უფრო მეტიც, ძლევს მას და ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს. ამ ხნის სამარხებსა და ნივთთა საცავებში ჩვენ ვპოულობთ ბრინჯაოსა და რკინის იარაღებსა და ნივთებს. ბრინჯაოს იარაღთა მეტნაკლებობით აღმოჩენა იმ დროს, როცა რკინა გაცილებით ნაკლები რაოდენობითაა მასთან ერთად აღმოჩენილი, მიუთითებს იმაზე, რომ რკინა ამ დროს ჯერ კიდევ სავსებით ვერ უტოლდებოდა ბრინჯაოს. თვით სამარხების ინვენტართა თავისებურება იძლევა ამ მხრივ რკინის ბრინჯაოსთან ჭიდილისა და პირველის გამარჯვების პროცესის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენის შესაძლებლობას.

ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ნაშთები: ქურები, ყალიბები, რკინისა და ბრინჯაოს ზოდები, სამჭედლო და სამსხმელო იარაღები, წიდა, ათასგვარი ნაკებობანი, მადნეულის უძველესი მაღაროები და ა.შ., რომლებიც ასე უხვადაა ნაპოვნი საქართველოს ტერიტორიაზე, საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მაშინდელი საქართველოს ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის დონეზე.

ბრინჯაოს კულტურის დასავლური წრე მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ამ წრის მეტალურგიული წარმოების თვალსაჩინო კერები იყო ჩრდილოეთ კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთი კალთები: რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელოს მაღალმთიანი რაიონები, აფხაზეთი და სხვ. ამ ადგილებში დღესაც უხვადაა შემორჩენილი ადგილთა სახელწოდებანი, რომლებიც ბრინჯაოსა და რკინის უძველეს წარმოებაზე მიგვითითებს. ამ მხრივ საყურადღებო ადგილი უჭირავს გეგეჭკორის რაიონსაც. მისი ზედა ზონის სოფლები შეფენილია ქვემო სვანეთის მთაგრეხილის სამხრეთ კალთებზე. ეს ადგილები ცნობილია რკინითა და სხვა მინერალური მინარევებით, მდიდარი წყლებით. ძველთაგანვე ცნობილია ამ ადგილებში ქვანახშირის, რკინის, ტყვიის, სპილენძისა და სხვა წიაღისეულ სიმდიდრეთა არსებობა. მოხუცები მამა-პაპათა გადმოცემით ასახელებენ ლითონთა მოპოვების უძველეს ადგილებს. მაგალითად, კურზუში – **ჩეჩონა**, ნახუნაოში – **ნაცაცხვუ**, **ჭკადურობუ** და სხვ.

ამ მხარეში მეტალურგიული წარმოების განვითარების მაღალ დონეზე თვალნათლივ მიუთითებს ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული მაგალითი – კურზუში გარდამავალი პერიოდის ორმო-სამარხის აღმოჩენა.

სამარხის ადგილი და ნივთები ადგილზე დაათვალიერა და შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა დ. ქორიძემ.

სოფელი კურზუ გეგეჭკორის რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 40 კმ-ით. იგი განაპირა სოფელია და მდებარეობს რაიონის ცენტრის ჩრდილოეთით, მთაგრეხილის მაღალ და უაღრესად დანაწევრებული კალთის ბორცვებზე, აგარაკ ლებარდეს სამხრეთით. იგი ძველთაგანვე სამეგრელოს მთავართა და დიდებულთა საყვარელი სანადირო და საზაფხულო სააგარაკო ადგილად იყო აღიარებული. აქვე, სოფლის ჩრდილოეთით, მთების ორწოხებში იყო მაგარი ბურჯებით გამაგრებული სიმაგრე გოკიდილი (შეკრული), რომლის მიღმა შეხიზნულ მცხოვრებთ შემოსეულ მოძალადეთა მხრივ განადგურების შიში უკვე აღარ ჰქონდათ. სოფელი კურზუ ძლიერ მჭიდროდ დასახლებულ, მდიდარ, დოვლათიან სოფლად ითვლება დღესაც. რასაკვირველია, ასეთი მთაგორიანი ადგილი, თავისი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობით, ეკონომიკური

მდგომარეობითა და წიაღისეული სიმდიდრით თავიდანვე იზიდავდა მოსახლეობას. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ასეთ ადგილებში ინვენტარით უხვი სამარხები აღმოჩნდება ხოლმე.

სამარხი შემთხვევით გაითხარა ისევე, როგორც ლებარდეში; ამიტომ მისი ზუსტი მეცნიერული დათვალიერება ვერ მოხერხდა, მაგრამ შემდგომმა დაკვირვებებმა და ადგილის შესწავლამ ცხადყო, რომ იგი დაახლოებით 2 მ-ის სიგანის სამარხია. რადგან ადგილი დამრეცია, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიწა გადაირეცხა და სამარხის ზედაპირის სისქე შემცირდა. ამიტომ საკმარისი გახდა 1 მ-ზე მიწის ამოთხრა, რომ სამარხი აყრილიყო.

ეს უბრალო, ზედაპირული, შემთხვევითი ნაყარი ინვენტარი ან უბრალო იარაღსაცავი როდია. ის სამარხია და ისიც ორმო-სამარხი. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

1) ინვენტარი და თვით მიცვალებულის ნეშტი არ არის ჩაფლული ხელოვნურ საცავში; აქ არც ქვევრისა და კრამიტის, არც ქვისა და ხის ნიშნებია დაცული. ყველაფრით ჩანს, რომ ნეშტი, როგორც წესი, პირდაპირ სამარხად გაჭრილ ორმოში ჩაუმარხავთ;

2) მიცვალებული, რომლის ბარძაყის, ნეკნებისა და თავის ქალის (ყბებითა და კბილებით) ძვლები საკმაო რაოდენობითაა ამოყრილი, დაფლულია სწორედ იმ დროს, როდესაც ინვენტარი ჩაფლეს მიწაში, რადგან ბრინჯაოს რამდენიმე ინვენტარი თვით ძვალზეა მტკიცედ მიკრული (ალბათ საუკუნეების განმავლობაში ერთად დებით). ასევე, თითქმის ყველა ძვალი ატარებს მიწაში ხანგრძლივად ჩაფლული ბრინჯაოს შეფერილობის ნიშნებს. ზოგი ძვალი ამ შეფერილობით მთლიანად გაჟღენთილია;

3) აქ მარტო ერთი ან ორი სახის იარაღი როდია, არამედ 36 სხვადასხვა სახის კარგად შერჩეული ყველა საოჯახო, სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო იარაღია ჩაფლული. როგორც წესი, ჩვენი წინაპრები, ამ რაოდენობით იარაღებსა და საყოფაცხოვრებო ინვენტარს მარხავდნენ მიცვალებულის სამარხში „საიქიო ცხოვრებაში გამოსაყენებლად“.

ამრიგად, სავსებით დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ეს ინვენტარი სამარხისეულია; სამარხი ორმო-სამარხის ტიპისაა და მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო.

სამარხისეულ ინვენტარს შეადგენდა რკინისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი: იარაღები და სამკაულები, თანაც ყოველგვარი საოჯახო, სასოფლო-სამეურნეო და საომარი იარაღი. ქალის სამკაულები სამარხში არ არის აღმოჩენილი ან მისი არსებობა ძალიან საკამათოა. ასეთ სამკაულე-

ბს იმ დროს მამაკაცებიც ატარებდნენ და თანაც ორიოდე სადავო ნივთი ვერ ადასტურებს მამაკაცთან დედაკაცის ნეშტის არსებობას სამარხში.

სამარხში ნაპოვნია: **1. ბრინჯაოს 6 თოხი**, მათ შორის სამი შედარებით პატარაა, სამი კი უფრო დიდი. ფორმით ექვსივე სათოხნად მოსახერხებლად გამოსაყენებელი წახრილობისაა. დიდი ზომის თოხის პირი დაახლოებით 11 სმ სიგანისაა. სიმაღლე, ტარის გასაყრელი ყუნწის ჩათვლით, 14 სმ-ია; მცირე ზომის თოხი პირთან 8,5 სმ-ის სიგანისაა და ყუნწის ჩათვლით აქვს 12 სმ-ის სიმაღლე. ორივე, როგორც მცირე ზომის, ისე დიდი ზომის თოხი მარცხნივ საგრძნობლად მოცვეთილია; ყოველმხრივ ეტყობა, რომ მის პატრონს მარცხენათი უფრო ემარჯვებოდა თოხნა. ზომათა შორის განსხვავება გაცვეთის შედეგი არაა. საყურადღებოა, რომ ყველა სახის იარაღი საფლავში ჩატანებულია კენტი რაოდენობით. ისინი კარგად დამუშავებული და ლამაზად გაფორმებულია. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ მაშინ, ზოგადად, დასავლეთ საქართველოში და კერძოდ, ამ ადგილას უაღრესად განვითარებული ყოფილა მიწათმოქმედება. „ბრინჯაოს თოხის არსებობა მოწმობს იმას, რომ საკმაოდ ინტენსიურად ყოფილა განვითარებული მიწათმოქმედება, განსაკუთრებით მებაღეობის ტიპისა, კობანის პერიოდისათვის (გარდამავალი პერიოდი ბრინჯაოდან რკინაზე – გ. ე.) დასავლეთ საქართველოში“.[1] როგორც ცნობილია, ეს ნივთი (თოხი) გარდამავალ პერიოდს ეკუთვნის. ამ დროისათვის კი დასავლეთ საქართველოში მებაღეობის, სათოხნი კულტურების – ღომისა და მჭადის გარდა სელისა და კანაფის მოყვანაც იყო განვითარებული, რისთვისაც ასეთი თოხი იყო საჭირო.

**2. კოლხური ცული**. მათ შორის ერთი ბრინჯაოსი და მეორე რკინისა. ისინი ფორმითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბრინჯაოს ცული უფრო ფაქიზადაა დამუშავებული. იგი მრგვალი, ლამაზთავიანია,

**კოლხური ცულები. მარტვილის მუზეუმი**

[1] ბ. კუფტინი, კოლხიდის არქეოლოგიის მასალები, ტ. I. გვ. 213.

წვრილხაზოვანი მხატვრული გაფორმების კვალით. რკინის ცულს თავი მომტვრეული აქვს და ამიტომ მისი ფორმის სავსებით სწორად დადგენა არ შეიძლება. ისე კი ყელის მოყვანილობა გვარწმუნებს, რომ იგი სწორი საჭრელი თავით ბოლოვდებოდა (რაც, რასაკვირველია, პირველი და უცნაური შემთხვევა როდია). ნივთი ძალზე დაჟანგულია, ალაგ-ალაგ ძალზე ჩაჭმულიც არის, რის გამო მასზე მხატვრული დეტალების კვალი სავსებით წაშლილია, მაგრამ საფიქრებელია, რომ იყო. რკინის ცულის ახლანდელი სიგრძე 20 სმ-ია, თუ ვივარაუდებთ, რომ მისი თავის გაგრძელება 1 სმ იქნებოდა, მაშინ იგი 21 სმ-ის სიგრძისა ყოფილა. პირის სიგანე 6 სმ-ს უდრის, ტარის გასაყრელი ყუნწისა – 3-4 სმ-ია.

**3. სეგმენტური იარაღები.** 6 ცალი. ბრინჯაოსი. აქაც ისეთივე განსხვავებაა, როგორც თოხებში; მსგავსი დანები, ანუ ცულები ნაპოვნია საქართველოს სხვა ადგილებშიც (სოხუმი, ციხისძირი და სხვ.). იგი ბრტყელი, ბარის მოყვანილობის ნივთია, ტარის გასაყრელი არა აქვს. მისი ძლიერ წამახული შუა ნაწილი, ანუ ყელი ალბათ ხის ტარის განაპობში ჩაიკვროდა, რომ ადამიანს მოემარჯვებინა ის საომარი მიზნისათვის, ხის სათლელად, მისი ზედაპირის გასასწორებლად. შეიძლება იგი სხვა ფუნქციასაც ასრულებდა. სისქე ყველაზე სქელ ადგილას, ყელზე 1,5 მმ-ია. პირი ძალზე მჭრელი აქვს. ყელთან ნივთის სიგანე უდრის 13 სმ-ს, ხოლო ყელიდან პირის რკალის ცენტრამდე – 12 სმ-ს. მას მხოლოდ ერთ მხარეზე აქვს 6 ერთგვარი ნიშანი – ორ მახვილ კუთხედ ჩახვეული ხაზი, რომელიც მარტო მხატვრულ გაფორმებას როდი შეადგენს (რადგან მხატვრული გაფორმება უფრო მდიდრული და მრავალსახიერი შეიძლებოდა); იგი უფრო ჰერალდიკური ნიშანი, ე. ი. გვარის უფროსის ან სამხედრო დიდებულის განსაკუთრებული საგვარეულო ემბლემა უნდა იყოს. აქედან ადვილად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ იარაღს, გარდა სამეურნეო დანიშნულებისა, სამხედრო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა და უპირატესი სამხედრო იარაღი უნდა ყოფილიყო. შეიძლება ეს იარაღი მხოლოდ ერთი ჩაიკვროდა ტარში, ან შეიძლება ორი ერთად იკვროდა და ამდენად ერთ ტარზე ორმხრივ ასეთი ცულის ჩაკვრა საშუალებას აძლევდა ადამიანს, ორმხრივ ეკვეთა, ორი პირით ეჭრა. ამდენად, შესაძლებელია სწორი იყოს ვ. ვიტტელის აზრი,

**სეგმენტური იარაღი. მარტვილის მუზეუმი**

რომ იგი „ორმაგი ჩუგლუგის“ ნახევარი იყოს[1]. ჯერჯერობით სხვაგან ნაპოვნი მასალები ამას არ ადასტურებენ. მაგრამ შემდეგ საუკუნეებში სხვადასხვა ქვეყანაში ტარში ჩაკრულ ასეთ ცულებს, ანუ ჩუგლუგებს იყენებდნენ საომარ იარაღად. შეიძლება ეს უახლესი იმ უძველესის განვითარება იყოს; შეიძლება იმიტომაც არ ჰქონდეს მათ ტარის საჭერები, ან ყელის უფრო სხვა ფორმა, რომ ორივე მხრივ ერთნაირი ასეთი იარაღის ტარში ჩამაგრება და შეკვრა ასეთი სახით უფრო ადვილი და მოსახერხებელია. კოლხური ცულისა და აქ ნაპოვნი რკინის კარგად ნაკეთი დანის პირის გვერდით, ამ იარაღის სამეურნეო იარაღად გამოყენება ნაკლებად სარწმუნოა.

როგორც აღვნიშნეთ, მსგავსი სეგმენტური იარაღი აღმოჩენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება. პროფესორი კუფტინი ვარაუდობს, რომ, რადგან ისინი ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი ზომითა და მორთულობით, ამიტომ წვრილ ფორმებს არ შეიძლება მივაწეროთ ის ფუნქციები, რაც უფრო მსხვილ ფორმებს აქვთ. ისინი შეიძლება ჩაითვალოს უფრო საცვლელ ერთეულებად. ამ აზრის დასადასტურებლად იგი იმოწმებს პოხომოვს, რომელმაც 1907 წელს ციხისძირში მსგავსი „დანის“ აღმოჩენისას გამოთქვა ასეთივე აზრი, თუმცა პროფესორი კუფტინი იმასაც არ უარყოფს, რომ მსგავსი ნივთები საჭრისებად, დანებად ან სხვა დანიშნულებისათვის ყოფილიყო გამოყენებული. მისი აზრით, ასეთი ერთეულების არსებობა უნდა მიეწეროს კობანის პერიოდს, რომელიც უკვე პირველი ათასწლეულის დასაწყისიდან იწყება და მოდის ამ ათასწლეულის შუა პერიოდამდე. ჩვენი აზრით, საცვლელ ერთეულად მისი გამოყენება არ გამორიცხავს მის ძირითად დანიშნულებას. იგი შეიძლება ყოფილიყო სამხედრო იარაღი ან საომარი ცული, ან ჩუგლუგი და ამასთან საცვლელი ერთეულიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასზე არსებული ნიშანი, სამხედრო თუ სამეურნეო დანიშნულების გარდა, რაღაც უფრო არსებით და განსაკუთრებულ დანიშნულებაზეც მიუთითებს. ამიტომ შეიძლება იგი იყო იარაღიც და გვარის ნიშანიც (გერბი). ყოველ გვარს მსგავს ცულზე ან ჩუგლუგზე თავისი განმასხვავებელი გვარონული ნიშანი ექნებოდა. ამასთან, ალბათ ამ ნიშანთა სიმრავლით აღნიშნავდნენ ამ ნივთის საცვლელ ღირებულებასაც. ამიტომ არც ისაა გამორიცხული, რომ ასეთი ნივთი საცვლელი ერთეულიც ყოფილიყო. უაღრესად გასაზიარებელია ცნობილი მეცნიერის აზრი ამ ნივთის არსებობის პერიოდის შესახებ. ამდენად, ასეთი ნივთის ამ სამარხში არსებობაც იძლევა

[1] ბ. კუფტინი, კოლხიდის არქეოლოგიის მასალები, გვ. 22.

შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ ეს სამარხი ჩაითვალოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VI საუკუნეების სამარხად.

**4. ხანჯალი, ორი ცალი**. მათ შორის ერთი რკინისაა. აქვს ტარი და ტარსაცავის შესაკრავი მანჭვლები. დღეისათვის დარჩენილი ნაწილი ტარიდან წვერამდე 38,5 სმ-ია, ორივე მხრივ მკვეთრად ამობურცული ზურგის ზოლებით. ის მიწაში ხანგრძლივი დებით ჟანგისაგან ძლიერ შეჭმულია, ალაგ-ალაგ ჩამტვრეული და ძალზე დაწვრილებულია. მეორე ბრინჯაოსგანაა დამზადებული, ორმხრივ მჭრელი პირი აქვს და უტაროა. სიგრძით დაახლოებით ამ ხანჯლის ტოლია. იგი შედარებით უფრო ვიწროა და გრძელი. მსგავსი ხანჯლები, ბრინჯაოს ნივთებთან ერთად, მრავლადაა ნაპოვნი საქართველოში და მიეკუთვნება ადრეული რკინის ეპოქას. ეტყობა, ბრინჯაოს იარაღის ოსტატები უფრო მეტი გულისყურითა და დახვეწილობით აკეთებდნენ რკინის ხანჯლებს და ამიტომაც მასთან ნაპოვნ სხვა ნივთთა შორის იგი, კოლხური რკინის ცულთან ერთად, მძლე იარაღისა და თავის დროზე კეთილნაკეთი ნივთის შთაბეჭდილებას სტოვებს.

**5. რკინის დანა და მისი ტარი**. დანა კარგად არის დამუშავებული. აქვს მჭრელი პირი და ტარსაცავის შესაკრავი მანჭვლები. მსგავსი დანები საკმაო რაოდენობითაა ნაპოვნი კობანის კულტურის გავრცელების ზონაში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში (ასეთი დანები აღწერილია სამხრეთ ოსეთის 1981 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებში).

**ზარაკი ბრინჯაოსი**. ზარაკის ღერძი ზარის ტარშია გარდიგარდმო გაყრილი და ენა მასზეა ჩამოკიდებული, ზარაკს ზემოთ პატარა ყუნწი, საბმური აქვს. საერთოდ, ნივთის სიდიდე დაახლოებით 21 სმ-ია (ჩვეულებრივ ზარაკს კი ღერძი, რომელზედაც ენას კიდებენ, აქვს თავზე, ცენტრში).

ბრინჯაოს გულსაკიდი. იგი ფრინველის თავის მოყვანილობისაა, ძალზე წამახული ნისკარტით. უკანა ნაწილი ყელთან წამტვრეულია. ეტყობა, აქედან სხეულის სხვა ნაწილიც იყო გამოსახული. თვალების ადგილას გაკეთებულია საბმური ნახვრეტი. იგი უნდა იყოს ერთგვარი საკულტო ნიშანი ან ავგაროზი, რომელსაც მკერდზე ატარებდნენ ხოლმე კერპის პატივსაცემად. მისი დღემდე დარჩენილი ნაწილი 3 სმ-ია. მხატვრული გაფორმების კვალიც ემჩნევა, მაგრამ ხანგრძლივი ხმარების გამო ძლიერ გაცვეთილია. აქ ნაპოვნია აგრეთვე ორი მსგავსი საკულტო ნიშანი – შედარებით უფრო დიდი ზომისა და ოდნავ გაურკვეველი მოყვანილობის ავგაროზი. ეტყობა, ეს საკულტო ნიშნები ყელზე ეკიდა მის პატრონს ბრინჯაოს ან სხვა საბმურით, რომლის კვალი არაა დარ-

**ნაპოვნი ბრინჯაოს გულსაკიდი ბალდიდან. მარტვილის მუზეუმი**

ჩენილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამარხში აღმოჩენილი მძივის რამდენიმე მარცვალს. უცხო, ძვირფასი ქვის, უწვრილესი მძივის მარცვლები საფლავის ამოყრისას ბევრი ყოფილა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ და ბავშვებს დაუბნევიათ; შემორჩა მხოლოდ ერთი ცალი, რითაც საფუძვლიანი და სრულყოფილი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. თუმცა არის მრავალი შემთხვევა ბრინჯაოს კულტურის პერიოდის სამარხებში მსგავსი ქვის მძივების აღმოჩენისა.

**ბრინჯაოს ქინძისთავი**. იგი 3,5 სმ სიგრძისაა. არის ცალმხრივად თავჩახვეული. როგორც ეტყობა, წვერი წამტვრეული აქვს. მსგავსი ბრინჯაოს ქინძისთავი, ოღონდ ორმხრივად ჩახვეული თავით, ნაპოვნია გუდაუთაში და აღწერილია ლუკინისა და კუფტინის მიერ. მასთან ერთად ნაპოვნ სხვა ნივთებთან ერთად, ცნობილი მეცნიერები მას მიაწერენ კობანის პერიოდს.

ფიბულა. ორი ცალი. ერთი რკინისაა და ერთი ბრინჯაოსი. რკინის ფიბულას ქვემოთ შესაკრავი ენაც აქვს, ხოლო ბრინჯაოს ფიბულას ენა მომტვრეული აქვს. ფიბულა წარმოადგენს გრეხილ რკალს, რომლის თავი წაბრტყელებულია და ენის კაუჭადაა ქცეული, მეორე ბოლო კი ერთ რგოლადაა მოხვეული და შემდეგ დარჩენილია ენის 2 სმ-ის სიგრძის ნაწილი. ეტყობა, იგი კაუჭამდე გრძელდებოდა და სამაგრს წარმოადგენდა. ფიბულის დასამზადებლად გამოყენებული ბრინჯაოს მავთული 15 სმ სიგრძისაა.

ბრინჯაოს საფეთქლის რგოლი. მსგავს რგოლებს უხვად პოულობენ ბრინჯაოს კულტურის პერიოდის სამარხებში და უფრო გვიანაც.

სარტყლის შემკულობა. 6 ცალი. მასალა – ბრინჯაო. ეტყობა, ეს ნივთები დამაგრებული იყო ტყავზე, რადგან ყველა მათგანს აქვს უკან კაუჭა სამაგრები, ხოლო ქვედა არშიას მიჰყვება ხვრეტილები თასმების შესაკრავად. ყველა ეს ნივთი, დაწყებული სრულიად უმნიშვნელო, პატარა დეტალიდან, დამთავრებული მსხვილი ნივთებით, კარგი გემოვნებითა და ხელოვნებითაა ნაკეთები. ამ ნივთთა შორის ყურადღებას იპყრობს ორი ერთნაირი და ერთი ფორმით მათგან განსხვავებული ნივთი. პირველ ორს ხვეული ფორმა აქვს – შუა ნაწილი ამოწეული, ფრთები დაშვებული და ზედა წიბურები ორივე მხრივ ოდნავ წაწვეტებული. ნივთის

ქვედა არშია ამოღარულია 0,5 სმ-ის სიგანეზე თავიდან ბოლომდე და ამ ღარში 6 ნახვრეტია გაკეთებული ერთმანეთისაგან ზუსტად 1 სმ-ის დაშორებით. საერთოდ, სამკაული 9,5 სმ-ის სიგრძისაა. ღარის ზემოთ, სამკაულის მთელ სიგრძეზე წერტილების ხაზია გავლებული, რომლის ორივე მხარეზე, თავიდან ბოლომდე, დაშვებულია ირიბად გასმული ხაზები, სამკაულის ერთგვარ მხატვრულ გაფორმებას რომ წარმოადგენს. ყველა ეს წერტილი და ხაზი უშუალოდ ლითონზე არის ამოჭრილი. სამკაულის ორივე ბოლო ჩაკეტილია ორი პარალელური ხაზით, რომელიც პირველი და უკანასკნელი ხვრეტილის თავამდე ეშვება ღარში. მესამე სამკაული ასეთივე ზომისაა, მაგრამ ფორმით ოდნავ განსხვავდება მათგან. მისი ზედა მხარე ასევე შუაში ოდნავ ამოწეულია, ფრთები თანაბრად გაშლილია და წიბურები მოგლუვებული. ქვედა მხარე სწორია: გონიოებზე ღარი არ გასდევს. მისი ზედაპირი სწორი ხაზით ორ ნაწილადაა გაყოფილი: ხაზის ზემოთ, სამკაულის მთელ სიგრძეზე, ხვეული, ერთმანეთზე გადაბმული რგოლებია ვერტიკალურად დახაზული, ქვემოთ კი, უჯრედებში, პატარა სწორებია ამოხაზული. მას ხვრეტილები არა აქვს. უკანა ნაწილში სამაგრად კაუჭია გაკეთებული. მასზე და სხვა სამკაულზეც არის რკინის მანჭვლების კვალი. ამდენად, ეს ნივთები ნათელ შთაბეჭდილებას გვიქმნის ხელოსნური წარმოების განვითარების იმ დროს არსებულ საკმაოდ მაღალ დონეზე. ბრინჯაოს ნივთებზე რკინის სამაგრის კვალი ადასტურებს იმას, რომ ისინი ერთად უწარმოებიათ და ერთადაც უხმარიათ.

**ბრინჯაოს ფირფიტების ნატეხები**. 2 ცალი. ერთი ბრტყელი და საგრძლობლად დაზიანებულია. მეორეს ქვედა ნაწილი სქელი, ხოლო ზედა ნაწილი უფრო ბრტყელი და ჩაგლუვებული აქვს. ეს ფირფიტები უთუოდ ერთი მთლიანი ჭურჭლის ცალკეული ნაწილები უნდა ყოფილიყო. გადმოგვცემენ, რომ ასეთი ფირფიტები და მათი წვრილი ნამტვრევები ადგილზე მრავლად ყოფილა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფირფიტები მუზარადის ან კიდევ ბრინჯაოს ჭურჭლის ნამსხვრევებია. თუ იქვე ნაპოვნ ბრინჯაოს ზოდსაც გავითვალისწინებთ, ფირფიტები ერთგვარ შთაბეჭდილებას გვიქმნის ბრინჯაოს მუზარადის ისეთი ფორმის ნაწილზე, როგორიც ნაპოვნია ქ. სოხუმში და აღწერილია პროფესორ კუფტინის მიერ, წიგნში – „კოლხიდის არქეოლოგიის მასალები“. მსგავსი ბრინჯაოს მუზარადები ნაპოვნია საქართველოს სხვა ადგილებშიც და დათარიღებულია იმავე პერიოდით.

**ბრინჯაოს ზოდი** საკმაოდ სქელი, დანის ფორმის მსგავსი ნამტვრევია, რომლის სიგრძე უდრის 6,5 სმ-ს, სიგანე 1,5 სმ-ს, სისქე 0,5 სმ-ზე

მეტია. აქვს გლუვი გვერდები. საერთოდ, ამ ნატეხს რაიმე განსაკუთრებული ფორმის კვალი არ ემჩნევა.

**ბრინჯაოს ტარი ყუნწით**. იგი რაღაც გაცილებით უფრო მსხვილი სამკაულის თავია. ამ სამკაულიდან ამოზიდული ბრინჯაოს ღერძი დაბრტყელებულია და თავთან ჩახვეულია ის ბრტყელი ნაწილი, რომლის განივი სიღრუე გამოყენებული იყო, ალბათ, ზონარის ან ძეწკვის გასაყრელად და მკერდზე ან ყელზე დასაკიდებლად. ნივთზე პატინის სქელი ფენის გამო და, ამასთან ერთად, ხანგრძლივი ცვეთის შედეგადაც, რაიმე მხატვრული გაფორმების ან ნიშნის კვალი ან ჩანს.

აქვე, სამარხის ადგილზე, მიწაში კერამიკის უამრავი წვრილი ნამტვრევია. ეტყობა, სამარხში თიხის ჭურჭელიც იყო ჩატანებული, რაც სავსებით სარწმუნოა, მაგრამ ამ გათხრის დროს, გაუფრთხილებლობის გამო ან კიდევ მიწაში ხანგრძლივი დებისა და მიწისქვეშა ბიძგების მიზეზით, ჩაიმსხვრა. გათხრის დროს ნამსხვრევებს ყურადღება არ მიაქციეს და კიდევ უფრო დააქუცმაცეს უძველესი კერამიკა. ამიტომ სამარხისეული თიხის ჭურჭლის აღდგენა უკვე აღარ შეიძლება.

ნივთების ასეთი მრავალფეროვნება და სიუხვე საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ სამარხის ხნოვანება და კულტურის დონე.

ამ ზოგადი, ზერელე განხილვითაც კი ცხადი ხდება, რომ ცალკეული ნივთები ეკუთვნის ისეთ ეპოქას, როცა ბრინჯაო საკმაოდ გამოიყენებოდა ყოფა-ცხოვრებაში და მისგან ამ დროს მასობრივად აკეთებენ სამეურნეო და სამხედრო იარაღებსა თუ სამკაულებს. ეს სამკაულები და ნივთები არა ჰგავს მიუჩვეველი, გაუწაფავი ხელის ნამუშევარს. ისინი იმ დროისათვის საკმაოდ მკვიდრად და გემოვნებითაა ნაკეთები. ამასთან, ეს ის ეპოქაა, როცა რკინა ფართოდ იკაფავს გზას ხალხის ყოფა-ცხოვრებაში და ადამიანი თითქმის ყველა ნივთს, ბრინჯაოსთან ერთად, მისგანაც ამზადებს, ე. ი. გარდამავალი ეპოქაა ბრინჯაოდან რკინამდე.

გარდა ამ სამარხისა, ამავე ეზოში აღმოჩნდა მეორე სამარხი, შედარებით უფრო ღარიბი. ისიც შემთხვევით გაითხარა მიწის ხვნისას და ასევე ორმო-სამარხის ტიპისაა.

ამ ახალ სამარხში აღმოჩნდა ერთი, ტირიფის ფოთლის ფორმის **ბრინჯაოს ხანჯალი**. იგი 15 სმ სიგრძისაა, ორმხრივ მჭრელი პირით, ზურგის ხაზის გარეშე. რაიმე მხატვრული გაფორმების კვალი ან ორნამენტი ზედ არ ზის. ერთი ცალი სახვრეტი წვეტიანათი და ფართო ბარისებრი ტარით; ისეთი ფორმისაა, როგორც ეს აღწერილი აქვს კოლხიდის მასალებში კუფტინს. აქვე აღმოჩნდა ქინძისთავები, ერთი ფიბულა, მძივები – მკედგასაყრელი ხვრეტილიანი მინისა და ქვის მარცვლები. აქვე იყო

რკინის ერთი პატარა საკვეთის პირი, ბრინჯაოს თოხის ნამტვრევები და ბრინჯაოს შუბის წვერი. ეს სამარხი, როგორც ჩანს, გაძარცული იყო; ამასთან, ზოგიერთი მასალა კავითა და ბარით დეფორმირებულია, მაგრამ სამარხისა და მისი ინვენტარის პოვნა მაინც საინტერესოა იმდენად, რამდენადაც დგინდება, რომ კურზუში მხოლოდ ერთ შემთხვევით სამარხთან როდი გვაქვს საქმე, არამედ სამარხთა სისტემასთან, დამახასიათებელი სამარხისეული ინვენტარით.

მსგავსი მასალა – ცულები, დანები, ხანჯლები, ფიბულები და სხვ. – უხვადაა ნაპოვნი დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით აფხაზეთში. თუმცა განსხვავებული, მაგრამ ძირითადად მაინც მსგავსი მასალაა ნაპოვნი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებშიც, ე. ი. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის დვანის სამაროვანში, რომელიც აღწერილია პროფ. სერგი მაკალათიას მიერ. სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებში მრავალი მსგავსი ნივთია. თუმცა აქ ბრინჯაოსა და რკინის მასალებთან ერთად ვერცხლისა და ოქროს სამკაულებიც მოიპოვება, რაც კურზუს სამარხის ინვენტარში არ შედის. სამაგიეროდ, კურზუს მასალებში მრავლადაა ბრინჯაოსა და რკინის ის ნაკეთობანი, რომლებიც ამ მასალების მსგავსია და რომელთაც ჩვენი ცნობილი მეცნიერები ადრეულ რკინის ეპოქას მიაწერენ. რკინა ჩვენთან უკვე მტკიცედ იყო დამკვიდრებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VII საუკუნეებში. ცალკეული საგნების გულდასმით განხილვამ და ცნობილ მეცნიერთა მიერ შესწავლილმა მსგავსმა მასალებმა სავსებით შესაძლებელი გახადა ვარაუდი, რომ ეს სამარხი ჩვენს ერამდე VIII-VI საუკუნეებს მივაკუთვნოთ, რადგან ამაზე ადრე რკინას ბრინჯაოსთან, თითქმის თანაბარი უფლებებით არ შეიძლებოდა ესარგებლა. ამ ფაქტს კოლხური რკინის ცულის არსებობაც ამტკიცებს. ამასთან, ამაზე გვიანაც არ შეიძლება ვივარაუდოთ, რადგან VI საუკუნეზე გვიან სამარხებში რკინა უფრო გაბატონებულ მდგომარეობაში უნდა იყოს წარმოდგენილი, ხოლო ბრინჯაო – შედარებით ნაკლებად. თანაც ბრინჯაოს დანების, ანუ საომარი ცულებისა თუ ჩუგლუგების არსებობა VI საუკუნეზე უფრო გვიანი პერიოდისათვის არაფრით შეიძლება გამართლებული იყოს. არც მსგავსი საცვლელი ერთეულის არსებობაა სარწმუნო განვითარებული რკინის ეპოქაში, როცა უკვე ჩნდება გაცვლის გარკვეული საშუალება – ფული და ბატონდება კიდეც. ამაზე გვიან მათი არსებობა არც ნამარხი ნივთებითაა დადასტურებული. თვით ორმო-სამარხებიც კი რკინის მტკიცედ დამკვიდრების შემდეგ იცვლება ქვევრის, ქვაყუთებისა და სხვა სახის განსაკუთრებული საცავ-სამარხი მოწყობილობითა და ნაგებობით. თვით სამარხის ინვენტარიც უფრო

მრავალფეროვანი და მდიდრული ხდება, ამიტომ სავსებით სწორი იქნება, თუ ზემოთ გამოთქმულ აზრს უფრო სანდოდ მივიჩნევთ.

სამარხისა და მისი ინვენტარის ზოგადი გაცნობა-განხილვით შეიძლება წარმოვიდგინოთ მაშინდელი მეომარი მამაკაცის სამხედრო და სამეურნეო აღჭურვილობა. იგი შეიარაღებული იყო საომარი ჩუგლუგით, რკინის ხმლითა და ხანჯლით, შუბით; წელზე ერტყა ბრინჯაოს სამკაულებით შემოსილი სარტყელი, თავზე ბრინჯაოსავე ჩაფხუტი ეხურა. მეურნეობაში კი იყენებდა სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს თოხებს, რკინის დანებს, ბრინჯაოსა და რკინის კოლხურ ცულებს; მკერდით ატარებდა ბრინჯაოს მძივს, ფიბულებს, ქინძისთავებს, ხელზე – ბეჭდებს.

ეს იშვიათი მასალაც იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთ საქართველოში მაშინ მაღალ დონეზე მდგარა ხელოსნური წარმოება. აქვე ნაპოვნი მკერდით სატარებელი საკულტო ნიშანიც ერთგვარ გასაღებს გვაძლევს წარმართული რელიგიის ადგილობრივი კერპის ან ღვთაების შემდგომი გულდასმითი ძიებისათვის.

უაღრესად საყურადღებოა სეგმენტურ იარაღზე ან ე. წ. დანაზე აღნიშნული ნიშნები, რომლებიც ჩვენი ჰერალდიკური კულტურის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში შეიძლება იყოს. ამ ნიშანთა შემდგომმა, უფრო დეტალურმა შესწავლამ შეიძლება ახალი, ძვირფასი მასალა მოგვცეს ჩვენი ხალხის კულტურის ისტორიის კვლევისათვის, თანაც სასოფლო-სამეურნეო იარაღის სიუხვე და სხვადასხვაობა გვარწმუნებს სამეურნეო საქმიანობისა და კერძოდ, მიწათმოქმედების მაღალ დონესა და მრავალფეროვნებაშიც.

ბრინჯაოს ეპოქის ნასახლარების კვალი ნაპოვნია სალიპარტიანოს და საჭყონდიდლოს მრავალ სხვა ადგილზეც. 1960 წელს, სოფელ ნალეპსაოში, კოლმეურნე ო. ჯღარკავას ეზოში გაიხსნა სამარხი. როცა იგი თავის საკარმიდამო ნაკვეთზე ვენახისთვის ნიადაგს აბრუნებდა, სრულიად შემთხვევით წააწყდა მაღალ კერამიკულ ჭურჭელს, რომელსაც სახელურები მომტვრეული ჰქონდა. ჯღარკავამ გულმოდგინედ განაგრძო ადგილის მოსინჯვა. მან გათხარა თითქმის 2 მ სიგრძისა და სიგანის ორმო, გაწმინდა იგი და ამოყარა მიცვალებულის თითქმის მტვრადქცეული ძვლები.

ადგილის შემდგომი შესწავლით დადგინდა, რომ ეს გვიანი ბრინჯაოს ეპოქის ადამიანის ორმო-სამარხი იყო. სამარხში მარტო ერთი მიცვალებული მამაკაცი იყო. მისთვის ჩაუტანებიათ სამეურნეო, სამხედრო და სასამკაულო ინვენტარი.

საყოფაცხოვრებო ინვენტართა შორის საინტერესოა **ამფორა**; იგი ორსახელურიანია, ტლანქად დამუშავებული საორნამენტო ხაზებით. სახელურები მომსხვრეული აქვს, მხოლოდ გონიოებთან აქვს შემორჩენილი ყუნწები, დაახლოებით 4 სმ სიგანისა და 3 სმ სიგრძისა. სახელურის ქვედა ყუნწის საჯდომი მოშიშვლებულია ამფორის წელზე. სახელურს საჯდომის გასწვრივ გასდევს სამი უწესოდ ღვარჭნილი ხაზის გრეხილი, რომელიც ჰყოფს საორნამენტო ქვედა და ზედა რეგისტრს. გონიოდან ქვემოთ ჩამოსდევს სწორი ხაზულები. იგი ყელის საჯდომთან იჭრება მსგავსი ღვარჭნილი ხაზით, შემდეგ კვლავ სწორები ეშვება წელისაკენ. წელის გამყოფის ქვემოთ პარალელური ხაზულებია დასმული. ჭურჭელი 30 სმ სიმაღლისაა, წელზე 27 სმ-ზე მეტი სიგანის, პირის სიგანე 14 სმ-ზე მეტია. მეორეც ასეთივე ყოფილა. მისი მხოლოდ ნამსხვრევები ვიპოვეთ ადგილზე. მსგავსი ამფორები მრავლადაა აღწერილი ენეოლითური და ბრინჯაოს ეპოქის ნასახლარების ინვენტარში. მათ შორის აღსანიშნავია ანაკლიის მახლობლად, ადგილ „**დიხაგუძუბას**“ შუა ფენის არქეოლოგიურ მასალებში ნაპოვნი ორსახელურიანი ჭურჭელი[1].

ბრინჯაოს მასალათა შორის არის **კოლხური ცული**. მას ტარში ჩასაყრელი ყუნწის ერთი მხარე ჩამომტვრეული აქვს. ცული მცირე ზომისაა და ზედ საკმაოდ ნათლად მოცემული საორნამენტო ხაზები ატყვია. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ფიბულის ყუნწები და მისაბნევები, ქინძისთავების ნამსხვრევები და სხვ.

რკინის მასალათა შორის აღსანიშნავია შუბის წვერი, ტარში ჩასასმელი ყუნწით. შუბის წვერი ორპირა მახვილია, ოდნავ ამოწეული ზურგის ხაზებით. ყუნწიდან მისი სიგრძე 38 სმ-ზე მეტია. საკვეთი პირი ყელთან 5,5 სმ-ის სიგანისაა. ყუნწის სიგრძე 12 სმ-ია. მსგავსი შუბის პირები ნაპოვნია საქართველოს გვიანდელი ბრინჯაოს ეპოქის სამარხის ინვენტარში. საინტერესოა, აგრეთვე ხანჯლის ტარში ჩასაყრელი ნაწილი, რომელიც ჩასმულია ურთხელის ტარში და შეკრულია რკინის 3 მანჭვლით. ეტყობა, იმ უძველეს დროში სხვადასხვა სამეურნეო თუ სამხედრო ინვენტართა ტარებად, საცავებად და სამაგრებად იყენებდნენ ამ ძვირფასი ჯიშის ხის მასალას. უდავოა, ამ ჯიშის ხის ხშირი ტყეებით იყო დაფარული მაშინ ჩვენი მხარის მთები და მთის კალთები.

სასამკაულო მასალათა შორის აღსანიშნავია მძივი. მისი მხოლოდ რამდენიმე მარცვალი იქნა დაცული (სხვა ალბათ გაიბნა). ეს მცირე მასალა მაინც ცხადად წარმოგვიდგენს ეპოქის კულტურულ დონეს. მისი მარცვლები ფერადი მინის ბურთულებია, რომლის ზედაპირი ბუდურება-

[1] ბ. კუფტინი, კოლხიდის არქეოლოგიის მასალები, ტ. II, 1950, გვ. 252, ტაბ. 68.

დაა დაყოფილი. ბუდურებში ჩამჯდარია ფერადი თვლები. არის როგორც წვრილი, ასევე საკმაოდ მსხვილი ერთეულებიც. მსგავსი მძივი ნაპოვნია ბრილის ბრინჯაოს სამარხებში.

კიდევ უფრო საინტერესო და საყურადღებო მასალა აღმოჩნდა **გურძემში**, კ. ხარებავას ეზოში, 1959 წლის მარტში. სოფელ **გურძემში**, როგორც გადმოგვცემენ, მსგავსი მასალა რამდენიმე ადგილას წინათაც იყო ნაპოვნი, მაგრამ არავინ ინტერესდებოდა ამ მასალით, რის გამო იფანტებოდა ხოლმე. 1958 წლის შემოდგომაზე, საკარმიდამო ნაკვეთის ხვნისას, კ. ხარებავამ თავისი ეზოს იმ ნაწილში, რომელიც უძველესი „ნაოხვამუს“ ძუძუსებრი ბორცვის კალთას წარმოადგენს, იპოვა კარგად დამუშავებული (ზედდატანილი საორნამენტო ხაზებით), საკმაოდ დიდი ზომის კოლხური ცული, რამაც ის არ დააინტერესა და ეს ნივთი ბავშვების სათამაშოდ ეგდო ოჯახში. ამის შესახებ არავისთვის უცნობებიათ. თვითონაც არ ცდილან, რომ ეზო დაინტერესებული თვალით მოესინჯათ და აი, შემთხვევით, თვით კ. ხარებავას ფაცხის წინ, საძირკვლიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ბავშვმა ისეთივე ცული ამოაგდო. როდესაც ეს მშობლებმა შენიშნეს, მათ გათხარეს იქაურობა და ამოყარეს, რაც იყო შიგ. როგორც შემდეგ დადგინდა, აქ ამოყრილი მასალა ეწყო შავი კერამიკული მასისგან დამზადებულ ქოთანში, რომელიც შესანიშნავად მოხატული, თხელკედლებიანი და საკმაოდ მოზრდილი იყო. აქ აღმოჩნდა მეტად საინტერესო მასალა.

**1. ბრინჯაოს თოხები**. თოხები ჩვენ მიერ კურზუს მასალებში აღწერილი ფორმისაა, ხმარებისაგან ძლიერ გაცვეთილი და პირმოჭმული. ერთ-ერთ თოხს აქვს ზურგის სასამკაულო სამი ზოლი. ეტყობა შემკულობის კვალიც. მსგავსი თოხების ნამტვრევები ამ მასალათა შორის 15 ცალს აღემატება. აქ არის ყელი, ტარგასაყრელის ნამტვრევები და სხვა.

**2. კოლხური ცულები**. ოთხი ცალი, მათ შორის სამი დაზიანებული. ზოგს ტარგასაყრელის ნაწილი აქვს ჩამტვრეული, ერთი შუაზე გადატეხილია. ერთი კი, რომელიც ამ მასალისაგან ცალკე იპოვა კ. ხარებავამ, სრულიად საღია და საკმაოდ სუფთაც. ალბათ, ბავშვების მიერ ხელში ხანგრძლივი ტარებით პატინა გადაიწმინდა. ორ ცალს ზედ საორნამენტო ხაზებიც ეტყობა. სამივე ერთი ფორმისაა. ამასთან, ამ მასალებში აღმოჩნდა 15 ცალი კოლხური ცულის სხვადასხვა ნამსხვრევი, მათ შორის პირები, ყუნწი, ტარგასაყრელი ხვრეტილის ნამსხვრევი და სხვ.

**3. საომარი ცული ქართული ფორმისა**. საომარი ცული დამზადებულია მთლიანად სპილენძისაგან. მას მაღალსაფეხურიანი ყელი და კოლხური ცულის მსგავსი ოვალური საჭრელი აქვს. მსგავსი ფორმის ცული ჩვენი მხარის სამარხისეულ ინვენტარში ჯერჯერობით არსად არ

არის ნაპოვნი. იგი აღწერილია თბილისსა და სხვა სამარხისეულ ინვენტარში, მრავლადაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ეპოქის მასალებში. საფიქრებელია, რომ იგი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის გამო მოხვედრილა აქ. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის მუდამ იყო ეკონომიკური ურთიერთობა და კულტურული კავშირი. ამიტომ ცალკეული ერთეული ერთმანეთის მიბაძვით იქაც მზადდებოდა და აქაც. ოღონდ ეს არ ხდებოდა მასობრივად.

**4. ბრინჯაოს ზოდები** მცირე ზომის, ოვალური ფორმისაა. წარმოდგენილია მრავალი წვრილი ოვალური ფორმის ჩამონამსხვრევის სახით. აქვე იყო უამრავი წიდა და წვრილი ნამსხვრევებიც.

**5. ბრინჯაოს მავთულის რგოლები და მავთულები**. ჩანს, რომ ეს მასალა ქინძისთავის და სამკლავე რგოლების გაჭიმული და დამსხვრეული ნაწილებია.

**6. ბეჭდის მსგავსი, ორი ცალი მსხვილი მავთულის რგოლი**, ჩვენ მიერ პირობითად ბეჭდებად აღნიშნული. მათ მართლაც ეს დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

**7. ვერძის გამოსახულება**, ბრინჯაოსი. მას არც მკედგასაყრელი ხვრეტილი ჰქონდა და არც განსაკუთრებული საბმური ზონარისათვის, მაგრამ ეტყობა, რომ ეს იყო სარიტუალო ერთეული – ავგაროზი, რომელსაც მკერდით ატარებდნენ, ან კიდევ სახლში ინახავდნენ, როგორც ღვთაების საკერპო გამოსახულებას. საყურადღებოა, რომ მაშინ ცხვარი ღვთაებრივ ცხოველად ყოფილა მიჩნეული.

ამ მასალათა მთელი შემადგენლობა მხოლოდ ბრინჯაოსაგან დამზადებული ერთეულებია. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინვენტარი გვიანი ბრინჯაოს ეპოქას არ ეკუთვნის. როგორც ეტყობა, მასალები (ყველა დაზანებული) ჩაყრილია არა სამარხში დასაცავად ან განძად, არამედ ხელოსნის მიერ გადასაკეთებლად. აქ უნდა ყოფილიყო სადგომი ხელოსნის, მჭედლის ან მეყალიბისა, რომელსაც შესაკეთებლად ან ხელახლა გადასადნობად ჰქონდა ეს მასალა გადანახული. რადგან რკინის მასალა გადასადნობად უვარგისი იყო, ამიტომ არ შეინახა ამ მასალებთან ერთად, არ გაურია მათ. მაშასადამე, არაა გამორიცხული, რომ ეს კერაც და ეს მასალაც გვიანი ბრინჯაოს პერიოდს ეკუთვნოდეს. ასეა თუ ისე, მაინც უდავოა, რომ ბრინჯაოს ეპოქაში თუ არა, მის დასაწყისში, გვიან პერიოდში მაინც ამ ადგილზე ამზადებდნენ ბრინჯაოს იარაღებსა და სამკაულებს. მეყალიბის სახელოსნოები მრავალ ადგილას იყო, მაგრამ მეტალურგიული კერები, სადაც ადნობდნენ სპილენძს, კალას ან სხვა შენადნობებს, იყო მაღალ მთისპირა სოფლებში. აქ კი მათი ზოდე-

ბისაგან, გადნობითა და ყალიბებში ჩამოსხმით, აკეთებდნენ იარაღებს. ამ აზრს ადასტურებს სწორედ დოშაყეში, ადგილ ნოისურში, კურზუში, – ნესტორ გაბისონიას ეზოში და სხვაგან, თითქმის ტონობით მიწაში დაცული ბრინჯაოს ზოდები. ამ ზოდების მოტანა ასეული კილომეტრებით დაცილებული ადგილებიდან წარმოუდგენელია. ისინი აქვე, მთებში იყო დამზადებული და შემდეგ ბარში ჩამოზიდული დასამუშავებლად. ზოდები რომ უშუალოდ ქურიდან ამოღებული კრიცაა, დასტურდება გამოდნობის დროინდელი კრიცული ნაჩვრეტებით, რომლებიც უხვად აქვს შემორჩენილი... კრიცული პირები მეტყველებენ იმაზე, რომ დნობის პერიოდში წიდამოცილებულ ნადნობს სხვა არაფერი დარჩენია უსუფთაო და ლითონის ხარისხის დამცემი. ამიტომ ჭედვაც, ჭედური ხერხით მისი დაწურვა-დასუფთავება, საბოლოო წრთობაც არ იყო საჭირო, რადგან, თავისთავად ცხადია, სპილენძი ბუნებაში მინარევის გარეშე მოიპოვება; მას თუ რაიმე მცირე მინარევი ექნებოდა, იგი დნობისას გამოიწურებოდა და წიდის სახით გადაიღვრებოდა. ამდენად, რკინასთან შედარებით, ბრინჯაოს კრიცა ჭედურ ჩარევას არ საჭიროებდა. უფრო მეტიც, დნობა რომ აქვე წარმოებდა და არა შორეულ ქვეყნებში, ამას ადასტურებს **ლენჭეხას, აბჰესისა** და **ქვიბიის** მასალები. აქ კულტურული ფენა უხვად შეიცავს ბრინჯაოს წიდებს და მის წვრილმან ნამცეცებს. აქ არ მოიპოვება ბრინჯაოს ზოდები, არ არის აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღები, ე. ი. მისი დაყალიბების კვალი ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი. სამაგიეროდ, არის ბრინჯაოს წიდები და ნამდვილად შესამჩნევიცაა. ეს თავის მხრივ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ჩვენს მხარეში უძველესი დროიდან მისდევდნენ სპილენძისა და ბრინჯაოს მეტალურგიას, ე. ი. მეტალურგიული წარმოების გამოცდილება მტკიცედ იყო დანერგილი ენეოლითური კულტურის პერიოდიდან. ის ჯერ კიდევ ქვის იარაღის ბატონობის პერიოდში იყო ჩასახული. ეს რომ ასეა, ამას თვალნათლივ გვიდასტურებს მარტვილის ფერდობისა და ნახუნაოს მასალები. ის, გარემოება, რომ მარტვილის ფერდობზე მეტალურგიული წარმოების რელიკვიები ფართოდ აიკრიფება კაჟის იარაღებთან ერთად, უდავოდ, მიუთითებს იმაზე, რომ აქ ქვის იარაღის ბატონობის პერიოდში მეტალურგიული წარმოება საკმაოდ ცნობილი იყო. გეგეჭკორის რაიონის მაღალმთიანი ზონა, თვით სოფლები – ნახუნაო, ნალეპსაო, ქვაითამდე – ბრინჯაოს კულტურის ზონად წარმოგვიდგება; სპილენძისა და ბრინჯაოს კულტურა ჩვენი მხარის უძველესი დროიდან მომდინარე დამახასიათებელი ნიშანი იყო. ამაზე მიგვითითებს უძველესი მითი მედეასა და იაზონის შესახებ. მეფე აიეტის სასახლისა და გალავნის კარები სპილენძისა იყო. მის ჯადოსნურ ხარებს სპილენძის რქები და ჩლიქები ჰქონდათ, ხოლო

დევგმირი აიეტი თავის საღვთო ჭალაში სპილენძის გუთნით ხნავდა მიწას. ასეთივე დავალება მისცა მის წინაშე გულადობისა და ვაჟკაცობის დასამტკიცებლად მოსულ უცხოელებსა და თავისიანებს. ეს ცნობა ზღაპრული და არასარწმუნოა ერთი მხრივ, მაგრამ მასში სინამდვილის ელემენტებიც არის. ეს ელემენტებია კოლხეთის ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ ცნობები, ცნობები იმის შესახებ, რომ კოლხეთი მდიდარი იყო სპილენძითა და ოქროთი. ასე იცნობდნენ ამ ქვეყანას უძველეს საბერძნეთში, ამიტომ ასეთი გატაცებით მოისწრაფოდნენ აქეთკენ სახელისა და დიდების, ოქროსა და სიმდიდრის ყოველი ჯურის მაძიებელნი. თუ ეს ასეა, და თუ შორეულ წარსულში ჩვენი ქვეყანა იმდენად ცნობილი იყო სპილენძითა და ოქროთი, რომ ამის შესახებ შორეულ უცხოეთში მითებსაც ქმნიდნენ, არ არის საკვირველი, თუ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში სპილენძისა და ბრინჯაოს კარგად განვითარებული მეტალურგია ყოფილიყო. მასალა ამას მთელი სიცხადით ადასტურებს.

როგორც აღნიშნული იყო, ადამიანმა რკინას ხელი მოჰკიდა ბრინჯაოს ბატონობის პერიოდშივე და მისგანაც თანდათანობით დაამზადა იარაღი. ჯერ გაუბედავად, თითო-ოროლა, შემდეგ კი უფრო თამამად. ბოლოს სულ აიღო ხელი ბრინჯაოსაგან იარაღის დამზადებაზე და სავსებით რკინის მეტალურგიაზე გადავიდა. უძველესი რკინის მეტალურგიული წარმოების კერები მრავალ ადგილზე გვაქვს, მაგრამ ყველაზე უფრო მდიდარი მაინც სოფელი ნახუნაოა, სადაც ათზე მეტ ადგილას აღმოჩნდა მეტალურგიული წარმოების მდიდარი მასალები. ეს მასალები ნაპოვნია კაჟისა და რიყის ქვის ნეოლითურ და ენეოლითურ იარაღებთან ერთად.

## უძველესი კულტურის კერები ნახუნაოში

ნახუნაო მთაგორიანი სოფელია. იგი გაშლილია თამაკონის (კალამუნას) მთის აღმოსავლეთ კალთის ბორცვებზე. სოფელი რაიონის ცენტრიდან დასავლეთით სამ კმ-ზე მდებარეობს. თამაკონის მთა წარმოადგენს ორი მდინარის – ტეხურისა და აბაშის წყალგამყოფს. დასავლეთით მიედინება მდინარე ტეხური, ხოლო აღმოსავლეთ კალთებზე გაწოლილია მდინარე აბაშა. ეს ქედი სამეგრელოს მთაგრეხილის სამხრეთ კალთის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს. იგი თავისი ლამაზი ბუნებითა და მდებარეობით კარგ შთაბეჭდილებას ახდენს; დაბურულია წიფლის, რცხილისა და წაბლის ხეების ხშირი ტყით. მისი წიაღი მდიდარია სასარგებლო მადნეულით. აქ XIX საუკუნის დასასრულს მაგრანეცის

ამოღება უცხოელ მეწარმეებს დაუწყიათ. ცნობილ მკვლევარ-გეოლოგთა მიერ ამ მთის სხვადასხვა ადგილას დადასტურებულია სპილენძის, მარგანეცისა და ნახშირის მადნების არსებობა. მარგანეცის საკმაოდ უხვი ძარღვი დღესაც ჩანს ნიადაგის ზედაპირზე. მარგანეცის მადნის საძიებო სამუშაოები 1886 წ. უწარმოებია კოცოვსკის. 1885-1896 წლებში ნალეპსაოსა და ნახუნაოში დაზვერვითი მუშაობა ჩაუტარებიათ იტალიელებს. სხვადასხვა დროს აქ ყოფილან კონუშევსკი და მეფერტი, რომლებიც ადგენენ, რომ წკირღალის ხევის მარჯვენა სანაპიროზე, ასევე ნალეპსაოში, „ჭადონასთან“, არის მარგანეცის მადნის საკმაოდ მოშიშვლებული ძარღვები. კონუშევსკის მონაცემებით, „მარგანეცის მადნის გამოჩენას ადგილი აქვს ნახუნაოს მიდამოებში (ოცდაათ კმ-ზე სამხრეთ-აღმოსავლეთით ახალსენაკიდან), წკირღალის წყაროს მახლობლად. მადანი ფენის ზედა ნაწილში საერთოდ მტკიცეა. ზოგიერთი ნიმუში, ყველაფრით მტკიცდება, რომ მარგანეცის საკმაოდ მაღალშემცვლელია“[1].

სწორედ მადანთა ეს სიუხვე უნდა იყოს ამ სოფელში უძველესი მეტალურგიული წარმოების საფუძველი. ექსპედიციამ აქ 10 ადგილას იპოვა უძველესი მეტალურგიული წარმოების რელიკვიები. თვით ადგილების სახელწოდებაც კი ამ მხრივ მეტად საინტერესოა; მაგალითად, „**ჭკადურობუ**“. ეს ადგილი სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი პატარა წყაროს მიერ საკმაოდ ჩაჭრილი ხეობაა. ხეობის მარჯვნივ მთის კალთები იშლება, ხოლო მარცხნივ მაღალი და საკმაოდ გრძელი ბორცვი გასდევს. ამ ბორცვზე, „ჭკადურობუს“ გადასახედთან, არის მრგვალი გორაკი, სადაც, გადმოცემის თანახმად, მდგარა პატარა ეკლესია. მისი ფორმა და აქ მღვდელმსახურების არსებობა პირადად ამ სოფლის არც ერთ უხუცესს არ ახსოვს. იგი, ეტყობა, შუა საუკუნეების ნაგებობა იყო. „ჭკადურობუში“ წარმოების არსებობის მომსწრეც არავინ არის; გადმოცემის მიხედვით, შორეულ წარსულში აქ რკინას სჭედდნენ.

„ჭკადურობუს“ ხეობის ორივე შენაფენზე ნიადაგის ზედაპირი უხვადაა მოფენილი კავით ამოყრილი მეტალურგიული მასალით. არის წიდა, სხმულის ნამსხვრევები და სხვ. აქ და რაიონის სხვა ადგილებში ნაპოვნი ტიგელის ნაშთები მიუთითებს იმაზე, რომ ლითონის დნობას აწარმოებდნენ მიწაში ჩათხრილ თიხის ქოთნებსა ან ქვაბებში, რომლებსაც დატანებული ჰქონდა ჰაერის ხელოვნური საქშენები.

ეს ქვაბები სიმაღლით 1 მ-ს არ აღემატებოდა, ხოლო მათი დიამეტრი 30-40 სმ-ს უდრიდა. ტიგელის კედლის ამოსაყვანად გამოყენებული იყო ნაცრისფერი კერამიკული მასალა. ის დაახლოებით 4-5 სმ-ის სისქისაა.

[1] საქართველოს სსრ მინერალური რესურსები, გვ. 469.

ეტყობა, ჯერ ორმოა ამოთხრილი, შემდეგ ტიგელი წინასწარ შემზადებული მასალით არის ამოყვანილი; გამოწვა კი, ალბათ, ლითონის დნობის პროცესში ხდებოდა. ქვაბი მტკიცე რომ ყოფილიყო, მის დასამზადებლად კერამიკულ მასალაში ურევდნენ კაჟის წვრილ ნამსხვრევებსაც. წვისათვის ხელი რომ შეეწყოთ, ტიგელს დატანებული ჰქონდა ამავე კერამიკული მასალისაგან დამზადებული მილები. მილის კედლის სისქე დაახლოებით 3-4 სმ-ს უდრიდა, სიგრძე კი 30 სმ-ზე მეტი არ იყო. შეიძლება იგი უფრო გრძელი იყო, ან ერთმანეთზე იყო მიდგმული. დღეს არც გრძელი მილები და არც მათი წყობა არ არის აღმოჩენილი. მილის ხვრეტილის დიამეტრი უდრის 2-2,5 სმ-ს. მილიდან არც წიდის გადმოღვრისა და არც სხვა მეტალურგიული ნამზადის გადმოსვლის კვალი არ შეინიშნება. მილებს თავი წაწვეტებული აქვთ, ალბათ, ტიგელის კედელში გასაყრელად, ყელზე კი წიდისა და ფისის მსგავსი მასალის კვალი აქვთ შერჩენილი. ეტყობა, ფისით შეკრავდნენ ხოლმე ქურაში მილის გაყრის ადგილზე დარჩენილ სივრცეს. მაგრამ ისე მტკიცედ არ იყო ჭრილი დაცული, რომ იქიდან წიდა არ გადმოღვრილიყო, ამიტომაა დარჩენილი წიდის კვალი მილაკის ყელზე. ასეთი მილაკები მეტალურგიული წარმოების უძველეს ფორმებთანაა დაკავშირებული. „გვიან, მეტალურგიაში (იგულისხმება რკინის მატალურგიის დაწყების პერიოდი – გ. ე.) დაიწყეს ხის ნახშირის ფართოდ გამოყენება, ხოლო ბერვას აწარმოებდნენ ჯერ თიხის მილაკებით, ფილტვების მეშვეობით, ხოლო შემდეგ საბერველის გამოყენებით. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ორივე პროცესი გამოგონილი იყო და გამოყენება დაიწყეს ჩვენს ერამდე 3-4 ათასი წლის წინათ“[1]. ამ ადგილებში მილების ასეთი სიუხვე მიუთითებს იმაზე, რომ ერთდროულად ერთ ადგილზე მოწყობილი იყო რამდენიმე ქვაბი, რომლებშიც მადანი დნებოდა. მილებთან ერთად აქ მასობრივად აიკრიფა წიდა, სხმულის ნამსხვრევები, პირველადი მადნის ნატეხები და სხვა მეტალურგიული მასალა. წიდა ლითონის დნობის პროცესში გამოყოფილი მასაა. ასეთი მასალის კიდევ უფრო მეტ სიუხვესთან გვაქვს საქმე კაჯი ცანავას ეზოში. ეზო მთის მკვეთრად დაშვებული კალთისებური ბორცვია და მთლიანად დაფარულია წითელი მიწით. ქურის კედლებად აქ გამოუყენებიათ ქვები, ე. ი. ორმოები ამოყორილია კირქვის მოზრდილი ნამსხვრევებით და შემდეგ ამოლესილია იმავე კერამიკული მასით. აქ ასეთი ქვების ასეულობით ეგზემპლარი არის ჩამარხული მიწაში.

ამ პრიმიტიულ ქვაბებს, ნამზადის წყობის მიხედვით, დატანებული ჰქონდა საქშენები, რომელთა ბოლოები ამოდიოდა მიწის ზედაპირზე.

[1] დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 27, გვ. 255.

აქვე ნაპოვნია ბრინჯაოს უფორმო ზოდი, ანუ ზოდის ნამტვრევი და ბრინჯაოს წვრილმანი კენჭებიც. ხალხში დღემდე შემორჩენილ გადმოცემებში იმაზე მითითება, რომ აქ შორეულ წარსულში რკინას სჭედდნენ, გვიმოწმებს აზრს, რომ კრიცების საბოლოდ განმტკიცება-დამუშავება ხდებოდა მჭედლის გრდემლით. ამრიგად, აქ ლითონსაც ადნობდნენ და რადგან ფუჭი მინარევებისაგან ლითონის სავსებით გაწმენდა ვერ ხერხდებოდა მაშინდელი პრიმიტიული ტექნიკის გამო, აქვე არსებობდა სამჭედლოც, ე. ი. მჭედელი გამოკვერვით საბოლოოდ გაწმენდდა კრიცას და აღადგენდა რკინას. პროფესორი ს. გ. სტრუმილინი თავის ფუნდამენტურ შრომაში – „შავი მეტალურგიის ისტორია საბჭოთა კავშირში“ – წერს, რომ „ოჯახის დამხმარე წარმოების სტადიაზე, ეს ხელობა (მეტალურგია – გ. ე) ერთ პიროვნებაში აერთიანებდა მეტალურგის, მჭედლისა და მდნობელის ფუნქციებს. ერთი და იმავე კერასთან ყველა ამ პროფესიათა შრომის ხელსაწყოების პოვნით დგინდება, რომ შრომა ძლიერ სუსტად იყო განაწილებლი“[1].

ამრიგად, რკინის უძველესი მეტალურგია შედგებოდა რამდენიმე პროცესისაგან. ჯერ ხდებოდა მადნის დანაყვა, აწყვა და შერევა, შემდეგ მისი დაწურვა ცივსაბერ ქურაში, სადაც წიდის მოშორების შემდეგ კრიცას ან „ლუგვს“ იღებდნენ. „ლუგვს“ შემდეგ სჭირდებოდა გადადნობა და მჭედლის გრდემლით წრთობა, რაც, რასაკვირველია, აქვე ხდებოდა. აქედან მნიშვნელოვანი პროცესი იყო წურვა. წურვით თავისუფლდებოდა ლითონი მინარევებისაგან და მიიღებოდა „ლუგვი“, შემდგომი, უფრო ადვილი დამუშავებისათვის. **დაწურვას** მეგრულად „**ჭახუას**“ ეძახიან. მეგრელები იტყვიან, „ყურძენი დოვჭახათ“ – ყურძენი დავწუროთ. ლითონის კრიცის ან „ლუგვის“ მიღებას მადნისაგან ძველი ქართული მეტალურგიული წარმოება წურვას ეძახის[2]. ჩვენს მხარეში ამის შესაბამისად ამ პროცესს „ჭახუა“ ეწოდება.

ამ მხრივ საინტერესოა ადგილის სახელწოდება **ლეჭეხა** ან **ენჭეხა** (ადგილი ლებარდეს ქვემოთ, მთაში). აქ აღმოჩნდა უძველესი მეტალურგიული წარმოების შესანიშნავი მასალა: ტიგელის კედლები, მილაკები, წიდები, სხმულები და სხვ. ეტყობა, ლეჭახაში ლითონის წურვას მისდევდნენ და ადგილსაც ეს სახელი ამისგან შეერქვა ლე ან ე – სადაურობის მაჩვენებელი თავსართია მეგრულში. „**ჭახა**“, ანუ „**ჭეხა**“ ნიშნავს „**ჭახუას**“, ანუ წურვას. ამრიგად, გარდა „**წიდისა**“, „**ნაჭკადუერისა**“, „ნოჭკადენისა“, ჩვენ დღემდე შემოგვრჩა ადგილის სახელწოდებით უძვე-

[1] სტრუმილინი, შავი მეტალურგიის ისტორია საბჭოთა კავშირში, გვ. 101-104.

[2] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში.

ლესი მეტალურგიული პროცესის აღმნიშვნელი სიტყვა „**ჭახუა**“. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ისე შორეული ამბავია, რომ აქ წარმოების მომსწრე მის შესახებ რაიმე დაწვრილებითი ამბის მცოდნე არავინ დარჩენილა. გადმოგვცემენ, რომ აქ უხსოვარ დროს ჩვენს წინაპრებს რკინის წურვა უწარმოებიათ. აქედანაა წარმომდგარი სახელწოდება ლეჭეხაო, მაგრამ როგორ სრულდებოდა წარმოების პროცესები, ამაზე არავის შეუძლია ცნობის მიწოდება[1]. ამასთან, გამოყენების თვალსაზრისითაც მაშინ მთავარი პროცესი ჭედვა იყო, რადგან ჭედვით ხდებოდა საჭირო იარაღისა და ჭურჭლის დამზადება. ამიტომ ამ საქმიანობას უფრო მეტად, ზოგადად, ჭედვას უწოდებენ, ხოლო ადგილებს – „სამჭედლოს“. აქედან მომდინარეობს, უდავოდ, ასეთი კერების უძველესი სახელწოდებანი: **„ჭკადურობუ“, „ჭკადუაში“, „ჭკადუერი“, „ნოჭკადენი“, „ჭკადონა“, „ჭკადუაკარი“, „ჭკადუათი“** და სხვ. სახელწოდება „წიდა“ შეიძლება მათზე წინანდელიც იყოს. ალბათ, შთამომავლობას არც ახსოვდა ამ ადგილებში სამჭედლოს (უძველესი გაგებით) არსებობა. იგი მოსწრებია ამ ადგილებში წიდას, ამიტომ ადგილისათვის წიდა შეურქმევია და ადგილის აღმნიშვნელი ეს სახელწოდება ასე გადაუცია თაობიდან თაობაზე. ერთი კი ფაქტია, რომ ამ ადგილებში მეტალურგიული წარმოება ჩვენს წინაპრებს ძალზე ადრე დაუწყიათ და დიდხანსაც შეუნარჩუნებიათ.

ნახუნაოში, გარდა ზემოთ აღწერილი ორი ადგილისა, ექსპედიციის მიერ მიკვლეულია უძველესი მეტალურგიული ნაშთები კ. ცანავას ეზოში, „ნაცაცხვერასთან“, „გინაჩამალთან“, ბახოს უძველეს სამაროვანთან და კიდევ რამდენიმე სხვა ადგილას. აქ შეიძლება დარწმუნებით აღინიშნოს, რომ ერთ სოფელში, ერთმანეთის მახლობლად, მეტალურგიული წარმოების კერების ასე უხვად არსებობა იმაზე მიგვითითებს, რომ ეს კერები ცალკეული გვაროვნული ერთეულისა ან მსხვილი გვაროვნული ოჯახების კუთვნილებას წარმოადგენდა და ამ გვაროვნული ოჯახების ინტერესებისათვის გამოიყენებოდა.

ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებს შორის მასალათა მრავალფეროვნებით, მდებარეობითა და კოლექციის თავისებური შედგენილობით ყველაზე უფრო აღსანიშნავია ადგილი „**ნაცაცხვერა №1**-ის“ კერა. „ნაცაცხვერა“ ამ სოფელში ორია. ჩვენთვის მეტად საინტერესოა „1“ (ჩვენ მიერ პირობით დანომრილი), რომელიც ბახოს პირდაპირ, პატარა მდინარე ისკიას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. ის გრძელი ქედის ბოლო ნაწილია, მაღლა აზიდული გორაკით, რომლის სიმაღლე უნაგარიდან გორაკის თხემამდე 50-60 მ-ს უდრის. მის ჩავაკებაზე, სამხრეთით, პა-

[1] თ. თოდუას გადმოცემა, გმმ სამეცნიერო ფონდი.

ტარა უნაგირა და ბორცვის ორმხრივი ხევით ჩაჭრილი საკმაოდ წაგრძელებული ბოლოა, რომლის ზედა ნაწილი პატარა ველს ქმნის უნაგირას სამხრეთით, ხოლო ორივე მხრივ – აღმოსავლეთით და დასავლეთით – ფერდობებად ეშვება ხევისაკენ; ზედ ვაკეზე და ბორცვის დასავლეთ ფერდობზე უხვად მოიპოვება მეტალურგიული მასალა, ხოლო აღმოსავლეთ ფერდობზე, გორაკის ძირიდან ვიდრე ბორცვის ბოლომდე, ჩვენ მიერ მრავალ ადგილას შეგროვდა კაჟისა და რიყის ქვისაგან დამზადებული იარაღები. გუთნით გადახვნისას გაშიშვლდა ნაცრით, ნახშირით, კერამიკული მასალითა და ქვის იარაღებით მდიდარი ფენა, რომელშიც არეულია მეტალურგიული წარმოების ნაშთებიც (ეს ფენა და ქვის პირველი იარაღი იპოვა ექსპედიციის ერთ-ერთმა მონაწილემ, რეზო ინჯგიამ). აქ აღსანიშნავია ქვის იარაღის, ამ ხანის ადამიანთა ნამოსახლარისა და მეტალურგიული წარმოების კერის ერთად არსებობის ფაქტი. ასეთი შემთხვევა არცაა გამორიცხული, რადგან „რკინის ყველაზე პირველყოფილი მეტალურგიის ზოგიერთი კვალი ქვის ხანის ფარგლებში შეიძლება აღინიშნოს სსრ კავშირის ტერიტორიაზეც... „... ურალზე, „ჩუდსკის“ რაიონში, სპილენძისა და რკინის მადნის გამოდნობა, როგორც ეტყობა, ხდებოდა ჩვეულებრივ თიხის გამომწვარ ქოთნებში, რომლის ნამტვრევებს პოულობენ ქვისა და სპილენძის იარაღებთან ერთად. ლითონთა დნობის ასეთი მეთოდი, რომელიც წარმოშობილია ჯერ კიდევ ქვის ხანის ფარგლებში, უნდა ჩაითვალოს პრიმიტიულ და უძველეს მეთოდად“.[1]

აქედან ცხადია, თუ რაოდენ ცხოველ ინტერესს იწვევს ეს ფაქტი. ადვილად შესაძლებელია საზოგადოების განვითარების ეს ორი ეტაპი აქ ერთმანეთს დამთხვეოდა, ე. ი. ქვის ხანის ეპოქაში ამ ადგილზე მოსახლე ტომებს სცოდნოდათ რკინის წარმოების საიდუმლოებაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს საკვირველი არ არის, რადგან მხოლოდ „რკინამ გამოდენა საბოლოოდ ხმარებიდან ქვის იარაღები, რაც არ შეეძლო გაეკეთებია სპლენძსა და ბრინჯაოს“.[2]

აქ ნაპოვნი ქვის იარაღების და თვით ადგილის თავისებურება გვარწმუნებს, რომ ეს რელიკვიები ეკუთვნის პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრების იმ ხანას, როცა ადამიანი ნესტიანი და ბნელი გამოქვაბულებიდან გამოსულა და საცხოვრისი მოუწყვია გაშლილ ადგილებში. თავისთავად ცხადია, ამ დროს კლიმატი უფრო თბილი იყო, ტყეები – ხშირი და პირველყოფილი საკვებით საკმაოდ მდიდარი. ამასთან, ადამიანი არსებობისათვის საბრძოლველად უკეთ იყო შეიარაღებული, მდიდარი

[1] ს. სტრუმილინი, შავი მეტალურგიის ისტორია საბჭოთა კავშირში.

[2] დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 15, გვ. 646.

გამოცდილებისა და შრომითი ტრადიციების მქონე, ამიტომაც ასეთ პირობებში გაშლილ ადგილას ცხოვრება მისთვის საშიში არ იყო.

ამ დროს ადამიანს ცეცხლის საიდუმლოება დიდი ხნის მიკვლეული ჰქონდა. იარაღიცა და შრომითი საქმიანობაც მრავალფეროვანი იყო; თუმცა, შემდგომი პერიოდის თვალსაზრისით, ძლიერ სუსტად დიფერენცირებული.

ამ მასალებში ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ფერის კაჟისაგან დამზადებული იარაღები: ისრისპირი დაფნის ფოთლის ფორმისა, რომლის სიგრძე 6 სმ-ს უდრის, ხოლო მხრებთან სიგანე 3 სმ-ია; ასობით საფხეკები, ნუკლეუსები, ნამგლის პირები, ლამელები, ისრის პირები, შუალა საჭრისები და სხვა მრავალი. მათ შორის უმრავლესობა ნეოლითური წარმოების პროდუქტია. იგი ქვის იარაღის დაოსტატებული ხელოსნის ნამუშევარს წარმოადგენს. მშვილდ-ისარი უკვე მეტად გავრცელებული და გაბატონებული იარაღია. „მშვილდი, ლამბი და ისარი შეადგენდნენ უკვე მეტად რთულ იარაღს, რომლის გამოგონება ხანგრძლივად დაგროვილ ძალებს გულისხმობს. მაშასადამე, გულისხმობს იმასაც, რომ ადამიანები ამავე დროს სხვა მრავალ გამოგონებას იცნობენ“ (ენგელსი).

გარდა კაჟის იარაღებისა, აქვე არის ნაპოვნი რიყის ქვისაგან დამზადებული იარაღები. მაგალითად, დანა; იგი თხელი ფილთაქვის გვერდით ჩამონაპობს წარმოადგენს. მისთვის ხელჩასავლებად ნაპობი გვერდები ნახევარზე მეტად ჩამოუსწორებიათ, ხოლო თავში წვეტი და მჭრელი გვერდები დაუტოვებიათ. მისი სიგრძე 10 სმ-ს უდრის, სამარჯვის ან ტარის სიგრძე 6,5 სმ-ია, საჭრელი ნაწილის სიგრძე კი 3,5 სმ-ს უდრის. სამარჯვი ოდნავ წახრილია. მასზე ძალზე მკვეთრადაა აღბეჭდილი ხმარების კვალი. ასეთივე ნამუშევარია მეორე დანაც, მხოლოდ უფრო ტლანქად. ასეთი საჭრისი დანები ნაპოვნია ათზე მეტი ეგზემპლარი.

ამასთან ერთად, აქ აიკრიფა რიყის ქვისაგან დამზადებული ცულები, ორმხრივ სამტვრევბოლოიანი ჩუგლუგები, სახვრეტები და სხვ. რიყის ქვის იარაღები დამახასიათებელია ამ ეპოქისათვის. მსგავსი მასალები ნაპოვნია პრეისტორიული ხანის მრავალ ნამოსახლარზე.

აქვე არის ნაპოვნი სამკაულებიც: კაჟის მრგვალი ფირფიტა, შუაში ვიწრო ხვრეტილით, მკედის გასაყრელად. ეს სამკაული მკერდზე სატარებლადაა გამიზნული. მსგავს დანიშნულებას ასრულებდა ალბათ მეორე მასალაც, რომელმაც ჩვენამდე ნამსხვრევის სახით მოაღწია. მას შემორჩენილი აქვს მკედის გასაყრელი ხვრეტილი და ერთი სწორი გვერდი. ეტყობა, ეს სამკაული ოთხკუთხედის ფორმისა იყო. იგი შედარებით რბილი მასალისგანაა გაკეთებული. ნაპოვნია აგრეთვე კარგად დამუ-

შავებული ქვის საყურე – რგოლის ნატეხი მკედის გასაყრელი ხვრეტილით. ის დამზადებულია ფილთაქვისაგან და მკვეთრად გაპრიალებულ-ჩასწორებულია. აგრეთვე აღსანიშნავია კერამიკული ნაშთებიც. აქ როგორც მსხვილი კერამიკული ერთეულები (ქოთანი), ასევე მათი წვრილი ნაშთებიც ბლომად აიკრიფა; უმრავლესობა შავი კერამიკული მასალისგანაა დამზადებული. მათ პირი გასწორებული აქვთ მცენარეული ბოჭკოთი. ფიჭვის გამოყენების კვალი ბევრ მათგანზე არ შეინიშნება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქოთნის ყურები. ის ბრტყელ რკალს წარმოადგენს, ოდნავ ამობურცული ბოლოებით. ასეთ ყურებს უკეთებდნენ ამფორებსაც. ქოთნები გონიოებჩახვეული და კარგად გაპრიალებულია. სასამკაულო ხაზები არა აქვს. ერთ ჭურჭელს ერთ ხაზად გარს უვლის ოდნავ წვეტიანი ბუშტუკები. კერამიკულ მასალათა შორის ნაპოვნია კერის ნაწილიც. კერა ამავე კერამიკული მასალისაგან არის ნამზადი. მას ოდნავ ამოხრილი გონიოები აქვს.

აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს ნეოლითის ხანის ნასახლართან და ნეოლითურ იარაღებთან. ადამიანი ჯერ კიდევ ჭარბად იყენებს კარგად დამუშავებულ ქვის იარაღებს, ეწევა კერამიკულ წარმოებას, მისდევს მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. ამ კოლექციაში მეტალურგიული წარმოების მასალის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ აქ მოსახლე ტომი პირველყოფილ მეტალურგიულ წარმოებასაც ეწეოდა, რაც შემდგომშიც განაგრძო და შეინარჩუნა რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში.

ამრიგად, საქართველოში, სახელდობრ, კოლხეთში მეტალურგიული წარმოება ჩაისახა ჯერ კიდევ ქვის ხანის პერიოდში. აქ აღმოცენდა პრიმიტიული დნობითა და ჭედვით ლითონის საბოლოო დაწმენდის პრაქტიკა. ამ პირველყოფილი ტრადიციის საფუძველზე განვითარდა სამამულო მეტალურგიული საქმიანობა.

## მახათის ველის არქეოლოგიური ძეგლები*

მახათის ველი გაშლილია მდინარეების – ნოღელასა და აბაშას შორის. იგი მოიცავს სოფლებს: ვედიდკარს, მუხურჩას, ორქას და სეფიეთს. ამ მიდამოების ტოპონიმები – „ნაჭკადური“ (ნასამჭედლარი), „ნახარანუ“, „ნაჯიხუ“, „ჭოიკაში ჯიხა“, „ნაკარუ“ და სხვ. და მათი ამხსნელი ხალხური გადმოცემები იმ ფაქტზე უნდა მიგვითითებდეს, რომ თანამედროვე მახათის ტერიტორიაზე ერთ დროს საკმაოდ დაწინაურებული მელითონე, მესაქონლე, მიწათმოქმედი მოსახლეობა ყოფილა.

1958 წლიდან, როცა ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ადგილ **ნაჭკადურის** პლანტაჟთან დაკავშირებული სამუშაოები წამოიწყო, აქ გამოვლინდა მეტად საინტერესო ნეოლით-ენეოლითური ხანის მასალების შემცველი ფენა, რომელმაც მოგვცა კაჟისა და რიყის ქვის იარაღები, ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის ნატეხები, ლითონის ნივთები, წიდები, ქურათა ფრაგმენტები და სხვ. მოპოვებული მასალები ძირითადად ბუდეებად იყო თავმოყრილი და გაურკვეველ ნაგებობათა თიხატკეპნილ მოედნებს უკავშირდებოდა.

ასეთი ბუდეების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს მჭიდრო საგვარეულო თუ სატომო დასახლებასთან.

მომდევნო წლებში კვლავ საინტერესო აღმოჩენებით მიიქცია ყურადღება სოფ. მახათმა (აღმოჩნდა მეტალურგიული განძი, ლითონსადნობი ქურა და სხვ.) და ჭიოკას ჯიხამ. ამ უკანასკნელის გალავნის მორღვევისა და მახლობელი მიდამოების დამუშავებისას გამოვლინდა მრავალფენოვანი ძეგლი, რომელიც შეიცავს მასალებს ნეოლითიდან მოკიდებული ანტიკური ხანის ჩათვლით.

ჭოიკას ჯიხაზე ზედაპირულად აიკრიფა 10000-მდე ნივთი, რომელთა შორის გამოირჩევა კერამიკული ვერძის სკულპტურული გამოსახულება. ამჟამად ამ ტერიტორიაზე ხელუხლებლად დაცულია ციხის ცენტრალური ნაწილი, რომლის მეცნიერული შესწავლა გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია.

არქეოლოგიური თვალსაზრისით, არანაკლებ საინტერესოა მდ. ნოღელას დასავლეთი სანაპირო ზოლი, რომელიც მრავალი შემთხვევითი

---

* გ. ელიავა, მახათის ველის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მასალები, მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი.

აღმოჩენით არის ცნობილი. საკმარისია ითქვას, რომ კოტორსა და მახათაზე, ანტიკური ხანის მასალებთან ერთად, ნაპოვნია ნიშნიანი ქვები.

ზემოხსენებული აღმოჩენები და გეგეჭკორის მუზეუმში დაცული მდიდარი მასალა ძალზე საინტერესო ობიექტად სახავს მახათსა და მისი მეზობელი რაიონების მთისწინა ბორცვიან ზოლს, რომლის გეგმაზომიერი მეცნიერული შესწავლა უთუოდ ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის უძველესი წარსულის კვლევის საქმეს.

# პეტრეს ნაკარუ*

## შესავალი

კოლხეთი უძველესი დროიდან მსოფლიოში აღიარებულ ქვეყნად ითვლებოდა. იგი განთქმული ყოფილა სამშენებლო ხელოვნებით, მიწათმოქმედებით, მედიცინით, განათლებით, კულტურით, ოქროთი და მისი წარმოებით. როგორც ჩანს, მაშინ იდეოგრამული დამწერლობა მაღალ დონეზე იდგა. თქმულება არგონავტების შესახებ „ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ცხოვრებისა და ბუნების ანარეკლზეა აშენებული“.[1] როგორც კ. რიტტერი აღნიშნავს, კოლხები ბერძნებზე ადრე იცნობდნენ კარტოგრაფიულ ხელოვნებას.[2] ბერძნები აქ გაეცნენ ფოლადის გუთანს,[3] ხოლო კირკემ და მედეამ ჯადოსნური მალამოებითა და მკურნალობის სხვა საშუალებებით მოხიბლეს ბერძნები.

II ათასწლეულის დასასრულისათვის როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად კოლხეთი ძლიერ დაწინაურებულ ქვეყნად ჩანს[4], რასაც ადასტურებს კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული უამრავი მასალა. მათ შორის უაღრესად საინტერესო და ორიგინალურია „პეტრეს ნაკარუ“.

„პეტრეს ნაკარუ“ დიდხანს ტყიანი ადგილი იყო. ოციან წლებში იგი გაიჩეხა, ხოლო 30-40-იან წლებში გამოიყენებოდა ჩაის მასივად და საძოვრებად. აქ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ადგილობრივ მესაქონლე პეტრე ფოჩხუას კარავი ჰქონია მოწყობილი, ამიტომაც ამ ადგილს „პეტრეს ნაკარუ“ (პეტრეს ნაკარვალი) შერქმევია და ამ სახელით მოაღწია დღემდე. იგი ემიჯნება გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობას და ნოქალაქევის წყალსაცავს, სადაც თევზის სარეწია მოწყობილი. ეს მეურნეობები გაფართოვდა, მომიჯნავე ჭაობიანი მიწები დაიწრიტა ხელოვნური ღრმა არხებით, ხოლო არხთა შორის ადგილები გამოიყენეს სა-

---

* გ. ელიავა, პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, თბ., 1987; მარტვილის მუზეუმის შრომათა კრებული, I, 2017.

1 ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1948, გვ. 50.

2 ა. ჭყონია, ისტორიული ნარკვევი, ანუ ქრესტომათია საქართველოს ისტორიისათვის, უძველესი დროიდან ბაგრატიონთ გამეფებამდე, თბ.,1896, გვ. 124-125.

3 ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ., 1964, გვ. 214-222.

4 „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. თბ., 1970, ტ 1., გვ. 243.

ტბორო მეურნეობის გასაფართოებლად. „პეტრეს ნაკარუ“ მესამე არხმა გადაკვეთა, რომლის სიღრმე 3 მ-ზე მეტია, ხოლო განი 5 მ-ს აღემატება. მიწისმთხრელმა მანქანებმა „ზუგას“ შუა ნაწილი ამოღარა და დავიდა მიწატკეპნილამდე. მიწატკეპნილი აღმოჩნდა სამაროვნის საფუძველი, რომელზედაც დარჩა კულტურული ფენის რვა ოვალური ჭრილი, ე. ი. რვა სამარხისეული შრით. მის მარცხენა მხარეს, თითქმის გაშიშვლებამდე მისული. ოთხი სამარხი გამოჩნდა, ხოლო მარჯვნივ – ერთი. ეს სამარხები ძლიერ მოშიშვლებული იყო. ამიტომ 1974 წლის თებერვალში მისი გაწმენდა და პრეპარაცია მოვახდინეთ. მასალა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში ინახება. სამარხები ადრერკინის ხანას, დაახლოებით, ჩვენს ერამდე VIII-VII საუკუნეებს შეიძლება მიეკუთვნოს. ამ წინასწარი ღონისძიების შემდეგ მოეწყო ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, უფროსი მეცნიერ-მუშაკის – ე. გოგაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ეს ადგილი ფუნდამენტურად გათხარა და შეისწავლა. ექსპედიციის ხელმძღვანელი, დოც. ე. გოგაძე წერს: „გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ გივი ელიავას ხელმძღვანელობით, ჩაატარეს ყველა აუცილებელი სამუშაო და ღონისძიება სამაროვნის წინასწარი გამოკვლევისა და გამოვლენილი მასალების მუზეუმში თავმოყრის მიზნით“.

...მუხურჩის სამაროვანი განეკუთვნება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას. აქ გამოვლინდა ასაკობრივად განსხვავებული ორი სამარხისეული ჯგუფი – ძვ.წ. VIII-VII და VII-VI სს. კოლექტიური სამარხები. ეს ჯგუფები, რომლებიც ტერიტორიულად და, ერთ შემთხვევაში, სტრატიგრაფიულადაც, ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო, განსხვავდებოდა დაკრძალვის რიტუალითაც: ერთ შემთხვევაში დასტურდება ჩონჩხის ძვლების (ძვლების გროვის) მეორადი დაკრძალვა (ძვ.წ. VIII-VII სს.), მეორე შემთხვევაში კი კრემაცია, ე. ი. მიცვალებულის დამწვარი ნეშტის დაკრძალვა[1].

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამარხი კოლექტიური ხასიათისაა. ჩვენ მიერ ნაპოვნი მასალის დიდი ნაწილის სამარხის გარკვეული ჯგუფისათვის მიკუთვნება არ შეიძლება. იგი ზედაპირულად შეიკრიბა და ამდენად, მხოლოდ ასაკობრივი და ეტაპობრივი ადეკვატებით თუ შეიძლება მათზე საუბარი. ხოლო ის ხუთი სამარხი, რომელიც გაიწმინდა და პრეპარირებულ იქნა, სტრატიგრაფიულად მიეკუთვნება პირველ ჯგუფს. უაღრესად საინტერესოა დამარხვის თავისებურება – ძვლების გროვის მეო-

[1] გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის XXVI სამეცნიერო სესიის მასალები, 1981, გვ. 32-33.

რადი დაკრძალვა, რაც ოთხი სამარხიდან თვალსაჩინოდ ჩანს. თუმცა, ოთხივე სამარხის ინვენტარი ძლიერ მდიდარია. ყურადღებას იქცევს მაჯის ძვლებზე შემორჩენილი სამაჯურები, ბრინჯაოს საკულტო, საბრძოლო და სამეურნეო ინვენტარის მრავალფეროვნება. სამარხის ძვლებს, დაახლოებით მკერდის არეში და, ალბათ, სხეულის მთელ შეფენაზეც ეფარა ბრინჯაოს თხელი ფურცელი, რომელიც ძლიერ ეროზირებული იყო და ამოღებისას დაქუცმაცდა. არხის მარჯვენა ნაპირას, მეხუთე სამარხი, სტრატიგრაფიულად იმავე დონეზე იყო, თუმცა, განსხვავდებოდა მასალათა სიღარიბითა და ძვლების უფრო ხშირი და უწესრიგო თავმოყრით, რაც სამარხის სოციალურ განსხვავებაზე უნდა მიუთითებდეს.

აღმოჩენილ მასალათა შორის გამორჩეულია სამარხისეული და ზედაპირულად უწესრიგოდ ნაყარი მასალა, შემთხვევითი სამარხისეული ინვენტარი.

ჩვენს ფონდებში დაცული „პეტრეს ნაკარუს“ არქეოლოგიურ მასალათა კოლექცია მეტყველებს უაღრესად განვითარებულ მხატვრულ გემოვნებასა და კულტურაზე. ნივთები, ეტყობა, საკულტო-სარიტუალო მიზნით იყო დამზადებული, ხოლო ქანდაკებები, საკულტო დანიშნულების პარალელურად, სამკაულადაც იქნებოდა გამოყენებული. მეტალურგი ოსტატი მხატვარ-ხელოსანი უნდა ყოფილიყო. ხარისა და ვეფხვის მინიატურული ზომები და რთულად შესასრულებელი მხატვრული დამუშავება მხატვარ-ოსტატის დიდ გაქანებასა და დახელოვნებაზე მეტყველებს. ამ დროისათვის, ალბათ, საუკუნეების წიაღიდან მომდინარე მტკიცე ტრადიცია გრძელდებოდა. ბრინჯაოს ნივთების მხატვრული გაფორმების ეს ტრადიცია თვალსაჩინოდ გადადის რკინის ინვენტარზე, რასაც ადასტურებს სატევრების, ცულებისა და სხვა ნივთების მხატვრული გაფორმება. აქვე ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს ნივთები შექმნილია წმინდა კოლხურ, დასავლურქართულ ნიადაგზე.

გარდა ამისა, მასალათა მრავალფეროვნება და მეტალურგიული დაოსტატება უდავოდ მეტყველებს შრომის დანაწილებასა და მეურნეობის დარგთა მკვეთრ დიფერენციაციაზე. ამასთან, ნივთების ნაირსახეობა მიგვითითებს ინტენსიური მეტალურგიის, მიწათმოქმედების, საფეიქრო საქმის, მატყლის საწარმოო გამოყენების მაღალ კულტურასა და დონეზე.

მუზეუმის ფონდებში დაცული ეს საინტერესო მასალა ყოველგვარი მეცნიერული ანალიზის გარეშე, ერთგვარი პირველადი პასპორტირების სახით უნდა გამოქვეყნდეს, რასაც მოითხოვს მუზეუმის დებულება და კულტურის სამინისტროს ოფიციალური განკარგულება. ამიტომ მასალა წარმოდგენილია მათი ზოგადი აღწერითა და ფონდში ადგილის (საინვენ-

ტარო ნომრის) მითითებით, აღმოჩენის თანმიმდევრობით, რათა ყოველ მსურველს შეეძლოს ერთგვარი წარმოდგენა იქონიოს მასზე.

## სოფელ მუხურჩაში, „პეტრეს ნაკარუზე“ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის კატალოგი

(გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებიდან) 1974 წ., II

### 1. კოლხური ცული

გმმ. ა. (11390/1)/(გ-197) (ტაბ. 1)

კოლხური ცული. ბრინჯაო. მცირე ზომის – 11 სმ X 5 სმ X 2 სმ. ყუა ნაკლული. მესამე სახეობის. საკვეთი პირი ეროზირებული, ოვალი მოშლილი. ზედაპირი იმდენად ეროზირებულია, რომ ზედ ორნამენტი არ ჩანს. ტანი წახნაგოვანია, ზურგულა – ჩაბრტყელებული. პირი საკმაოდ ამოზიდული, წახნაგი ტანს მიუყვება ყუისკენ. სატარე ხვრეტილი ოვალური ფორმისა, წინა მხარეს ყუას გარს უვლის ამოღარული არშია, უკანა მხარე არშიის გარეშეა. სატარე ერთ მხარეს, მოსახრელში 2 სმ სიმაღლეზე, ხოლო მეორე მხარეს 1 სმ-ზე წამტვრეულია.

ნაპოვნია არხის ფსკერზე, კულტურულ ფენაში. პარალელური მასალა იხ. დ. ქორიძე, „კოლხური კულტურის ისტორიისათვის“, 1965, თბ., გვ. 67.

### 2. კოლხური ცული

გმმ. ა. (11391/1)/(გ-198) (ტაბ. 1)

კოლხური ცული. ბრინჯაო. მცირე ზომის – 11 სმ X 5 სმ X 2 სმ. მეორე სახეობის. ყუა გადამტვრეული. სატარე ხვრეტილი ოვალური, უარშიო, უბრალო და სწორია. ყუაზე ორივე მხარეს დაუყვება ოთხი სიგრძივი ღარი. ერთ მხარეზე სწორადაა ჩაკვეთილი პირი, რომლის გაფართოება იწყება წელსქვედა ნაწილიდან. მოხრილი და საკმაოდ აწეულია პირის წინა მხარე, რომელზედაც ტანისმიერი წახნაგები გრძელდება. ნივთი ნაკლებად ეროზირებული და უორნამენტოა. ნაპოვნია არხში, ნაყარ მასალათა შორის.

ლიტერატურა იგივე.

### 3. სატევრები

გმმ. ა. (11392/1-4)/(გ-199-201) (ტაბ. 1)

რკინის ოთხი ფრაგმენტი. ძალზე დაჟანგული. აქედან ერთი – 13 სმ X 2,5 სმ-ია. თავი და ბოლო მომტვრეულია. შემორჩენილია ტანის ნაწი-

ლი, რომელიც საკმაოდ ამოწეულია და ორივე მხარეს წყვილი სიგრძივი ღარი მიუყვება. მეორე – 16 სმ X 3,5 სმ-ია. სატარე მომტვრეულია. წინა მხარეს ატყვია შებექება და სიგრძივი ღარები, უკანას კი მხატვრული გაფორმება მკრთალად აქვს შემორჩენილი. მესამე ყუნწთანაა გადამტვრეული, წვერი წამტვრეული აქვს. ზედაპირზე მკრთალად ემჩნევა ქედი და მისი გამყოლი ღარები. მეოთხის მხოლოდ შუა ნაწილია შემორჩენილი (5 სმ X 2,5 სმ). იგი ბრტყელია, სრულიად სადა. აღებულია არხის ფსკერზე, ნაშალ კულტურულ ფენაში. დაახლოებით მსგავსი ნაკეთობანი კასპის სამაროვნის მასალებში აღწერილი აქვს მ. ბარამიძეს (მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, გვ. 52. ტაბულა IV-III) მსგავსი სატევრები გვხვდება ეწერის მასალებში (ბ. კუფტინი 11. ტაბულა XV. 2-3-4 სურათები).

**4. ცხვრის ქანდაკება**

გმმ. ა. (11393/1)/(გ-202) (ტაბ. 2)

ცხვრის მინიატურული ქანდაკება. ბრინჯაო. 6 სმ X 2 სმ X 4 სმ. რქები წამტვრეული აქვს. ნაკლული, დახრილი თავით, სარქენად გამზადებული. ქანდაკება საკმაოდ დინამიკურია. რქის ქვემოთ, შუბლზე, თვალის ორი ღრმა ფოსოა, მათ შორის ცხვირი საკმოდ წამოწეულია. ტანზე აშლილი მატყლის ჯავარია გამოხატული. წინა ფეხები საერთო სადგამზე დგას. როგორც ჩანს, უკანა კიდურებიც სადგამზე იდგა. სადგამის ბოლოებზე რგოლები ყოფილა მკედის ჩასაბმელად. ერთ მხარეს რგოლის მხოლოდ ზედა ნაწილია შემორჩენილი, მეორე მხარეს კი მთელი რგოლია დაცული, 1 სმ-ის დიამეტრით. ქანდაკება ღრუა, ფურცლოვანი ნამზადიდან დამზადებული. ნივთი ნაპოვნია არხის ფსკერზე, ნაყარში.

**5. ანთროპომორფული გამოსახულება**

გმმ. ა. (11394/1)/(გ-203) (ტაბ. 2)

კაცის მინიატურული ფიგურა. ბრინჯაო. 11 სმ X 21 სმ. სტილიზებული, ასიმეტრიული. ქანდაკება ეროზირებულია, თავწამტვრეული, გაშლილი მკლავებით. კიდურის წინა ნაწილი მომტვრეულია, ტანი წვრილი, ხოლო მენჯი განიერი; ქვედა კიდურების ტერფები მოტეხილია. ტანის ნაწილებს და მკერდს არავითარი ნიშანი არა აქვთ.

**6. მძივები**

გმმ. ა. (11395/1-5)/(გ-204-208) (ტაბ. 3)

არხის ღია ნაყარში მასობრივად აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივი – სულ 31 ცალი. აქედან გიშრის, დაწყებული მინიატურუ-

ლიდან (0,5 სმ-ის დიამეტრისა), საკმაოდ მოზრდილამდე (2 სმ-ის დიამეტრისა) – სულ 9 ცალი. ყველა ოვალური ფორმისაა, თავბოლოდაბრტყელებული, 3-4 მმ-ის სიგრძივი ნახვრეტით. 21 ცალი სარდიონის მძივი, ოვალური ფორმისა, მინიატურული (0,5 სმ – 2 სმ სიმაღლისა); 1 ცალი პასტის, რომბის ფორმისა, ორივე მხარეზე ბადისებრი ნაკაწრი ხაზებით შემკული. მძივის სიგრძეა 2 სმ, სიგანე წელში 1 სმ-ია, სისქე – 0,5 სმ. სამკედე ნახვრეტი გადის რომბის სიგრძეზე; მსგავსი მძივები აღწერილია კასპის მასალებში.

(იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1966, მ. ბარამიძე, „კასპის სამაროვანი“, გვ. 54, ტაბულა VI-2).

**7. სეგმენტური იარაღი**

გმმ. ა. (11396/1-2)/(გ-209-210) (ტაბ. 4)

ბრინჯაო. 2 ცალი. ორივე საკმაოდ ეროზირებულია. ერთი შედარებით მცირე ზომის – 7 სმ X 9 სმ, მეორე – 11 სმ X 12 სმ. აქვს მოკლე, ბრტყელი სწორკუთხა სატარე, სწორი მხრები, სიმეტრიულად მორკალული პირი, ცალმხრივად ლესილი. ზედაპირზე არ ეტყობა ორნამენტის კვალი. სატარის სიგანე 3 სმ-ია, სიმაღლე – 2,5-4 სმ. მსგავსი სეგმენტი მრავლადაა ცნობილი კოლხეთის არქეოლოგიურ მასალებში. ნაპოვნია არხის ნაყარში.

**8. ჯიხვის ქანდაკება**

გმმ. ა. (11397/1)/(გ-212) (ტაბ. 5)

ჯიხვის ქანდაკება. ბრინჯაო. 7 სმ X 4 სმ. ერთი უკანა კიდური (კვირისთავის ქვემოთ) და რქები წამტვრეული. ტანი – ფურცლოვანი ნამზადის მოხრის გზით მიღებული, მუცელი ბრტყელი, კუდი წაბრტყელებული. ფიგურა საკმაოდ დინამიკურია, ყელაღერილი, გრძელი, წაწვეტებული პირით. წინა და უკანა კიდურებზე, მუხლის ზემოთ, აქვს 0,5 სმ დიამეტრის ნახვრეტი. ფიგურა აღმოჩნდა არხში, ნაყარზე.

**9. ცხვრის ქანდაკება**

გმმ. ა. (11397/1)/(გ-211) (ტაბ. 5)

ცხვრის ქანდაკება. ბრინჯაო. დამზადებული ფურცლოვანი ნამზადის მოხრის გზით. ღრუ. ეროზირებული. წინა და უკანა თითო კიდური კვირისთავის ზემოთ, გადამტვრეულია, რქები – გადატეხილი. თვალისა და სახის ნაკვთები მოშლილი, ტანი ოვალური, მატყლის ბეწვის შტრიხებით, ზურგზე, კუდიდან რქებამდე, 2 მმ-ის სიგანის ღარით. ოთხივე კიდურზე, კვირისთავის ზემოთ 0,5 სმ დიამეტრის ნახვრეტით. საკმაოდ სქელი (0,7

მმ დიამეტრის) ფეხები, გამოსახული ჩლიქებით. კიდურთა შორის, მენჯთან ასეთივე ნახვრეტით. 7 სმ X4 სმ. მსგავსი ფიგურები ქართულ არქეოლოგიურ მასალებში საკმაოდაა აღწერილი. ფიგურა ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**10. სამკაული**

გმმ. ა. (11399/1-5)/(გ-213-217) (ტაბ. 6)

ქვის სალესი ქვა, 1 ცალი. 6,5 სმ სიგრძის, 3 სმ სიგანის, 0,8 მმ სისქის. თავთან, 0,7 მმ სიგანის ნახვრეტით. ცალ მხარეს სალესი გაცვეთილია. მეორე სალესი სილაქვისაა, ნაცრისფერი, ოვალურთავიანი, ბოლო სწორი. 7 სმ X 3 სმ ზომის სალესი (სისქე 1 სმ მეტია). ცალ მხარეზე ეტყობა ლესვის კვალი. რიყის ქვა ოვალური ფორმისაა, წვერწაზიდული, ზედა ნაწილში 1 სმ სიგანის ნახვრეტით, მეორე მხარეს 0,5 სმ სიგანის ღარით. აქვეა სარდიონის ნუკლეუსიც. მასალა ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**11. კერამიკული ჭურჭლის ხუფი**

გმმ. ა. (11400/1)/(გ-218)

მრგვალი ფორმის, ნაპირებაკეცილი. შუაში, გარეთა მხრიდან, რელიეფური ბურცობით. შიდა მხარე სწორია (დიამეტრი 8 სმ). 2 სმ დიამეტრის სახელური წელში ოდნავ შეწეულია და წელის ღარი გამოკვეთილი. ნივთი ნაცრისფერი, სილანარევი კვარცის მინარევებიანი მასისგანაა დამზადებული. ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**12. კერამიკული ჭურჭლის ძირის ნამტვრევები**

გმმ. ა. (11401/1-2)/(გ-219-220) (ტაბ. 6)

ორი ფრაგმენტი, რომელიც ერთმანეთზე შეწებებით იძლევა სურის ფსკერისა და კედლების ნაწილს. ფსკერი სწორი, 5 სმ-ის დიამეტრით. ერთ ფრაგმენტზე 4 სმ სიმაღლის კედლის ნაწილიცაა შემორჩენილი. სადაა. კეცი ნაცრისფერია, მინარევებიანი. ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**13. კერამიკული ჭურჭლის პირის ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11402/1-4)/(გ-221-224) (ტაბ. 7)

შავად გამომწვარი, დამზადებულია მინარევებიანი კეცისაგან, პირქოიანი, სადაზედაპირიანი. ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**14. სატევრები**

გმმ. ა. (11403/1-3)/(გ-225-227) (ტაბ. 7)

ბრინჯაო. ნაკლული. 3 ცალი, სამივე ყუნწიანი სატარით. წვერწამტ-ვრეული, საკმაოდ ეროზირებულია. ერთის სატარე მაღალია (2,5 სმ X 0,8 სმ). შემორჩენილი პირი – სიგრძე 6 სმ, განი 3 სმ; ბრტყელ ზედაპირზე არ შეიმჩნევა აბექება და სიგრძივი ღარები. სატარის მეორე ნამტვრევი 1 სმ სიგრძისაა. პირის (7 სმ X 3,5 სმ) ორივე მხარე ეროზირებულია და ჩამტვრეული. ზედაპირზე ქედი და სიგრძივი ღარები არ ჩანს. მესამე, სატარე ყუნწის მხოლოდ 0,5 სმ-ია შემორჩენილი. სატევრის ზომებია: 8სმ 4 სმ. პირის ორივე მხარე ეროზირებულია და ჩამტვრეული; ზემოთ აღწერილების ანალოგიურია.

ნივთები ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**15. სატევრის ტარი**

გმმ. ა. (11404/1)/(გ-228) (ტაბ. 7)

ბრინჯაო, რკინის გარსაცმლის კვალით. 6 სმ X 2 სმ, სისქე 0,5 სმ. წვერწამტვრეულია, თავი სამკუთხედისებური, ვადა ორივე მხარეს ოვა-ლურად ჩაკვეთილი. ნივთი ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**16. თოხები**

გმმ. ა. (11405/1-2)/(გ-229-230) (ტაბ. 7)

ბრინჯაო. 2 ცალი. ნივთის სიგრძე 7 სმ, სიგანე 7 სმ. სატარე ნახვრე-ტი 3 სმ დიამეტრის. წელში მოხრილი. საკვეთი პირი მორკალულია და ნაკლული. მსგავსია სოფ. ხეთაში ნაპოვნი თოხისა (იხ. დ. ქორიძე, გვ. 76, სურ 68). მეორე – სწორი ტანით. 6 სმ X 5 სმ. იმეორებს პირველი თოხის ფორმას. სატარე ნახვრეტი გარეთა მხარეს უფრო განიერია, ვიდრე შიდა პირზე.

**17. კოლხური ცულები**

გმმ. ა. (11406/1-3)/(გ-231-233) (ტაბ. 8)

კოლხური ცულები. ბრინჯაო. ყველა ყუანამტვრეული, აქედან ორი მესამე, ხოლო ერთი – მეორე სახეობისა. სამივე მინიატურულია, საკ-მაოდ ეროზირებული, აქედან ერთი 7 სმ სიგრძისაა, პირის სიგანე – 3 სმ, ტანის სიგანე – 1,5 სმ. სატარე ოვალურია, ერთ მხარეს არშია შე-მოუყვება. საკვეთი პირი მომრგვალებულია, ორნამენტი მოშლილი, ტანი წახნაგოვანი, წახნაგებზე ირიბი ხაზებით. მეორე ცულიც მესამე სახეო-ბისაა, 9 სმ საგრძისა, საკვეთი პირის სიგანე 4,5 სმ, მხარის სიგრძე 2 სმ, ოვალური სატარე ნახვრეტით, ცალ მხარეზე არშიით. ეროზიის გამო

წახნაგებზე მკრთალად ჩანს ორნამენტის კვალი. ყუას ორმხრივ მიუყვება ორი რელიეფური ზოლი. მესამე მეორე სახეობის ცულია. მინიატურული (8 სმ X 4 სმ). ტანი სეგმენტურია. საკვეთი პირის ცალი მხარე სწორია, მეორეს წიბო ზემოთაა აწეული. ყუაზე მიუყვება ორი ღარი, რომელთა შორის სამი რელიეფური ზოლია. ორნამენტის კვალი მკრთალად ჩანს.

**18. სატევრები**

გმმ. ა. (11407/1-3)/(გ-234-236) (ტაბ. 8)

სატევრები. ბრინჯაო. 3 ცალი. სამკუთხასატარიანი. აქედან ორი საკმაოდ დაცული, ერთი კი სატევრის შუაწელის ნამტვრევის სახითაა წარმოდგენილი. პირველი 9 სმ X 3 სმ ზომისაა. პირები ეროზირებულია. ზედაპირზე არ ჩანს ორნამენტის კვალი. მეორე – 14 სმ X 2,5 სმ. პირები და ტანი ეროზირებული, სადაზედაპირიანი. მესამე – 5 სმ X 3 სმ. მხოლოდ შუაწელის ნამტვრევია, ეროზირებული. ზედაპირზე ემჩნევა ორნამენტის კვალი.

**19. ძეწკვი**

გმმ. ა. (11408/1)/(გ-237) (ტაბ. 8)

ბრინჯაო. წარმოდგენილია ბრინჯაოს ოთხკუთხა მავთულის სხვადასხვა ზომის თავგახსნილი, ერთმანეთზე გადაბმული რგოლებით. ძეწკვის ფრაგმენტები და ცალკეული რგოლები ეყარა არხის ნაყარში. ცალობით მასობრივად აიკრიფება მიწის ნაყარშიც. რგოლები გვხვდება მინიატიურულიც, არის 1-2 სმ დიამეტრამდეც; მსგავსი ძეწკვი აღწერილია ფიჭვნარის მასალებში (იხ. ა. კილაძე: „მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის“, მასალები საქართველის და კავკასიის არქეოლოგიისათვის, 1977, თბ., გვ. 90. **ტაბულა 8**-3).

**20. სამაჯურები**

გმმ. ა. (11409/1)/(გ-238) (ტაბ. 8)

სამაჯურის რგოლის ფრაგმენტი. ბრინჯაო. ფირფიტოვანი გრავირებული ზედაპირით. 4 სმ X 1 სმ. ორი, სამკუთხედებად განლაგებული ტეხილი ხაზი ქმნის ლენტს, რომლის ნაპირებს ამოკაწრული წერტილების მწკრივი დაუყვება.

მასალა ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**21. სამკაულთა ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11410/1-8)/(გ-239-246) (ტაბ. 8)

სამაჯურისა და სხვა სამკაულის ფრაგმენტები. რვა ცალი. როგორც მინიატიურული, ისე საკმაოდ მოზრდილი. ზოგიერთზე შეიმჩნევა ღრმა განივი ღარები. მასალა ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**22. სამაჯურები**

გმმ. ა. (11411/1-3)/(გ-247-249) (ტაბ. 8)

სამაჯურის რგოლის ფრაგმენტები. მრგვალგანივკვეთიანი. სამი ცალი. ერთის დიამეტრი 6 სმ-ია, ლითონის სისქე – 5 მმ. ეტყობა გრავირების კვალი. ორი სხვა დანარჩენი მხოლოდ ფრაგმენტია, ასევე ორნამენტის კვალით. მასალა ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**23. ზოდი**

გმმ. ა. (11412/1)/(გ-250) (ტაბ. 9)

ბრინჯაო. სეგმენტის ფორმისა. საკმაოდ ეროზირებული. აღებულია არხის კულტურული ფენის ნაყარში.

**24. კოლხური ცულის ყუის ნატეხები**

გმმ. ა. (11413/1-2)/(გ-251-252) (ტაბ. 9)

ბრინჯაო. ორი ცალი. ერთი საკმაოდ დიდი, მესამე სახეობისა. ოვალური სატარე ნახვრეტის ზემოთ იშლება სეგმენტური ყუა. ნაპირზე გრეხილი არშია მიუყვება, სიბრტყე შემკულია დაღარული ორნამენტით. მეორე შედარებით მინიატიურულია, მესამე სახეობისა. ცულის ყუის ნამტვრევი ოთხი ღაროვანი ხაზითაა შემკული, რომელთა შორის არე რელიეფურ ზოლებს ქმნის. სატარე ნახვრეტი ოვალურია.

**25. ნიანგის თავის ქანდაკება**

გმმ. ა. (11414/1)/(გ-253) (ტაბ. 9)

ნიანგის თავის ქანდაკება. ბრინჯაო, ძვლის საფუძველზე. ძვალი გამოხრულია. 7,5 სმ X 2 სმ. გრძელი ცხვირი შედარებით ფართო თხემით ბოლოვდება. ცხვირის შუა ნაწილიდან მოყოლებული მაღალი შებექებაა, რომლის აქეთ-იქით 0,5 სმ სიმაღლისა და 2 მმ სისქის მაღალი, წვრილი რქებია დატანილი. ქანდაკება აღმოჩენილია არხის კულტურული ფენის ნაშალში.

**26. სარტყლის ბალთები**

გმმ. ა. (11415/1-4)/(გ-254-257) (ტაბ.10)

ბრინჯაო. ფრაგმენტები. 4 ცალი. სამზე საკმაოდ გრძელი სამაგრი ყუნწით. პირველი – 6 სმ X 2 სმ. ყუნწიდან ოვალურად ჩახრილი. ბალ-

თის პირი შემკულია ორნამენტებით. ბალთის ზედაპირზე ირგვლივ ორი ღარის არშია მიუყვება, შიგ კი სამკუთხედის ფორმის ორნამენტია ჩახაზული. ყუნწის სიგრძე 1 სმ-ზე მეტია; მეორე – 4 სმ X 2 სმ, საკმაოდ ეროზირებული, სადა. აქვს საკმაოდ გრძელი ყუნწი. მესამე – 4 სმ X 3 სმ. ბალთის შუა ნაწილი და ყუნწი მომსხვრეული. ემჩნევა ზედაპირის გრავირების კვალი. მეოთხე – 5 სმ X 2 სმ. ოვალური ბალთის ფრაგმენტი. ეროზიის გამო ზედა ღარით გამოყოფილი ნაპირი ნახევარზე ჩაჭმულია. ბალთას ზედაპირზე ეტყობა ორნამენტის კვალი. ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**27. სამაჯურისა და ფიბულათა რგოლები**

გმმ ა. (11416/1-6)/(გ-258-263) (ტაბ. 10)

ბრინჯაო. სხვადასხვა ზომისა. მრგვალგანივკვეთიანი მავთული. რვა ცალი. ეროზიის გამო ორნამენტის კვალი არ ჩანს. აღებულია არხის ნაყარში.

**28. კოლხური ცული**

გმმ. ა. (11417/1)/(გ-264) (ტაბ. 10)

რკინა. 18 სმ X 6 სმ. დაჟანგული. საკვეთი პირი გორდაა. წელი შევიწროებული, სატარე ოვალური, ყუა შევიწროებული და მკვეთრად გამოყოფილი. სატარეზე გარედან, სიგრძივ 3 რელიეფური ზოლი დაუყვება. მსგავსი ცული ნაპოვნია სოხუმის მთის მასალებში (VI ს. ჩ.ე.-მდე). (იხ. В. Артилаква, Железообрабатывающее ремесло древней Грузии, თბ., 1976, დაბ. 18, სურ. 10). ნაპოვნია არხიდან ამოყრილ მიწაში.

**29. სეგმენტები**

გმმ. ა. (11418/1-2)/(გ-265-266) (ტაბ. 11)

ბრინჯაო. ფრაგმენტები. ორი ცალი. 9 სმ X 8 სმ. ერთ მათგანს აქვს მაღალი, სწორკუთხა სატარე ყუნწი, სწორი, განიერი მხრები. პირი მორკალულია, ჩამოტეხილი. მხარის სიგანე 3 სმ, სატარის სიგრძე – 2,5 სმ, სისქე – 3 მმ. მეორის მხოლოდ სატარისა და მხარის ნაწილია შემორჩენილი. 4,5 სმ X 4 სმ. სატარის ნაწილის სიგრძე 1 სმ, მხარის ნაწილი – 1,5 სმ; ნაპოვნია არხის ნაყარში.

**30. სატევრის ტარი. ბრინჯაო**

გმმ. ა.(11419/1-6)/(გ-267-272) (ტაბ. 11)

**№ გ-267**. სატევრის ტარის ნაწილი, სწორკუთხა ფორმისა. ვადასთან წამტვრეული, წელზე ერთი მანჭვლით, ვადიდან ოვალად გამოყოფილი.

5,5 სმ X 2,5 სმ. ვადიდან, ყელის სიგრძე – 2,5 სმ, სისქე – 0,5 სმ. ნაპოვნია არხის ნაყარში.

**№ გ-268**. სატევრის ტარი, ვადაში გადამტვრეული. ბრინჯაო. ოდნავ პრიზმული ფორმის ერთ ბოლოზე აზის ორი, დაახლოებით 2 სმ სიგრძის მანჭვალი, რომლის ბოლოები მეორე მხარეზე გადის. მეორე ბოლოზე – ერთი. საგნის ზომებია 5,5 სმ X 2 სმ, სისქე – 8 მმ. უორნამენტო. როგორც ჩანს, სატარეზე, ძვლის ან ხის ფირფიტა უნდა დაკრულიყო.

**№ გ-269**. სატევვრის ტარი. ბრინჯაო. სწორკუთხედის ფორმის, ბოლოებზე ორ-ორი მანჭვლით. 4 სმ X 1,5 სმ. ზედაპირზე 1 მმ სისქის ფურცელი აკრავს, რომელიც ზურგზე აგლეჯილია. სისქე – 7 მმ. როგორც ჩანს, სატარის გულია ძვლის ან ხის ფირფიტის დასამაგრებლად.

**№ გ-270**. სატევრის ტარი. ბრინჯაო. ვადასთან გატეხილია; ვადის ოვალური ნაპირი ერთ მხარეზეა შემორჩენილი, მეორეზე – ავარდნილი. ტარი კონუსური ფორმისა ყოფილა, წვერი წამტვრეულია. 2,5 სმ X 3 სმ, სისქე – 5 მმ.

**№ გ-271**. სატევრის ტარი. ბრინჯაო. სწორკუთხა ფორმისა, ოდნავ გაშლილი თავით, ტარზე ერთი სამანჭვლე ნახვრეტით (დიამეტრი 0,5 სმ). მეორე მხარეს შემორჩენილია მანჭვალი 1 სმ სიმაღლისა და 0,5 სმ სისქისა. ნივთის ზომა – 4,5 სმ X 2 სმ, სისქე – 0,3 სმ.

**№ გ-272**. სატევრის ტარის ფრაგმენტი. ბრინჯაო. ორივე მხარეს შემორჩენილია ბრინჯაოს თხელი საფენი, რომელიც საკმაოდ ეროზირებულია. საგანი ორივე ბოლოზე და ნაპირებზე ჩამტვრეულია. ერთ ბოლოზე აქვს 0,5 მმ სისქის მანჭვალი. საგნის ზომაა 3 სმ X 2 სმ.

### 31. ძვლები და მიწატკეპნილის ფრაგმენტები

გმმ. ა. ( 11420/1)/(გ-273) (ტაბ. 11)

მიწატკეპნილი თიხაში შეზელილი ტუფისა და კირქვის ნამცეცებია. სამარხის ფსკერი და იატაკი ამ მასალითაა მტკიცედ დამუშავებული. მასში ჩართულია ძვლების ფრაგმენტები.

### 32. ობსიდიანის ანატკეცი

გმმ. ა. (11421/1)/(გ-299) (ტაბ. 12)

2,5 X სმ 1,5 სმ. ლამელა მინიატიურულია, ოდნავ ოვალური ფორმისა. ერთ ნაპირზე ემჩნევა შეღრმავება, რომელიც დამუშავებულია რეტუშით. შესაძლოა, ნივთი სახოკს ეკუთვნოდეს.

### 33. ბრინჯაოს ჭურჭლის ყურის ფრაგმენტები

გმმ. ა. (11422/1)/(გ-300) (ტაბ. 12)

შემორჩენილია ბრინჯაოს ჭურჭლის კედლისა და შუაზე გადამტვრეული ყურის მოხრილი ნაწილი. ყურის დიამეტრი 0,5 სმ-ზე მეტი ყოფილა, შემორჩენილია 2 სმ. ტანის კედლის ზომა უდრის 2,5 სმ X 2,5 სმ. მსგავსი ბრინჯაოს ჭურჭლის ყურები ბ. კუფტინს აქვს გამოქვეყნებული კოლხეთის მასალებში.

**34. ბრინჯაოს ზოდის წვრილი ნამტვრევები**

გმმ. ა (11423/2)/( გ-301) (ტაბ. 13)

უფორმო, სხვადასხვა ზომისა, 5-10 სმ სიგანისა.

**35. ბრინჯაოს სხვადასხვა სამაჯურისა და სასამკაულო რგოლების ფრაგმენტები**

გმმ. ა 11424/(გ-318)

გვხვდება როგორც ბრტყელი, ფირფიტოვანი, ისე მრავალგანივკვეთიანი ნატეხები. ზედაპირზე ემჩნევა ხვიებით შემკობის კვალი.

**36. რკინის სატევრები**

გმმ. ა. (11425/1)/(გ-324) (ტაბ. 13)

4 ცალი წვრილი, ორლესული. მკვეთრი საშაშრე ღარებით. ძლიერ ეროზირებული. პირველი – 12 სმ X 2 სმ, მეორე – 11 სმ X 1,5 სმ, მესამე – 14 სმ X 2 სმ, მეოთხე – 9 სმ X 2 სმ. ყველა დაზიანებულია, ბოლოწამტვრეული და ტარმომსხვრეული (მსგავსი მასალა იხ. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, **ტაბულა 11**, სურ. 7, 14).

**37. კერამიკური ჭურჭლის ძირი**

გმმ. ა. (11426/1)/(გ-346) (ტაბ. 14)

შავი ფერისა. მინარევებიანი მასისგან დამზადებული. აქვს ქუსლიანი, მკვეთრად გამოყვანილი ბრტყელი ძირი, გაშლილი კედლები. ძირის სიმაღლე – 1, 5 სმ, შედრეკილი ნაწილის დიამეტრი – 3 სმ, ჭურჭლის ძირის დიამეტრი – 4 სმ (პარალელური მასალა იხ. Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, 11, თბ., 1950, **ტაბულა 11**, სურ 2).

**38. კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11427)/(გ-347) (ტაბ. 14)

მონაცრისფრო-მოშავო მინარევებიანი მასისაგან დამზადებული ჭურჭლის უფორმო ფრაგმენტები. მათ შორის ერთი – ძირის ფრაგმენტია, ტანზე მკვეთრი გადასვლით, 5 სმ X 2 სმ და მეორე, პატარა ორი-

გინალური ვაზის ზედა წელის ფრაგმენტი, 4 სმ X 2 სმ. მსგავსი მასალა კუფტინს აღწერილი აქვს თავის ზემოდასახელებულ წიგნში.

**39. ვაზის ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11428/1-2)/(გ-352) (ტაბ. 15)

შემორჩენილია სახელურისა და ყელის ნაწილი, დამზადებული მონაცრისფრო მინარევებიანი მასისაგან. მისი შავად გაპრიალებული კედლები გახეხილია. ყელის ფრაგმენტი, 3 სმ X 2 სმ, ჩახვეული, შიგნით ჩაკეცილი ქობით ხასიათდება, რომელიც მასიურ უორნამენტო კედლის ფრაგმენტს გარშემო უვლის. ვაზა, როგორც ჩანს, პატარა, მაგრამ ორიგინალური ყოფილა. სახელური მრავალგანივკვეთიანი, შუაზე გადამტვრეულია. მიერთებული ყოფილა უშუალოდ მხართან. ყურის განივკვეთის დიამეტრი 0,8 სმ-ია, შემორჩენილი ნაწილის სიგრძე – 2,5 სმ. მსგავსი მასალა დამოწმებულია ბ. კუფტინის მიერ აღწერილ კოლხეთის არქეოლოგიურ მასალებში.

**40. კაჟის შუალა, მაღალი საფხეკი**

გმმ. ა. (11429/1)/(გ-354) (ტაბ. 15)

ხორცისფერი კაჟის შუალა ლამელა მაღალი ზურგით. ერთი ბოლოთი ოდნავ წაწვეტებულია, მეორეთი – ოვალური; შუბლის მხარეზე მაღალი ქედით, ორივე ფერდზე რეტუშის მკვეთრი ხაზით. ზომით 4,5 სმ X 2 სმ.

**41. მინიატურული ისრის წვერები**

გმმ. ა. (11420/1-3)/(გ-355-357) (ტაბ. 15) ბრინჯაო. საკმაოდ ეროზირებული. სამი ცალი. პირველი – 3 სმ X 0,8 სმ. მოგრძო, ტირიფის ფოთლის ფორმისა, დაბალი, მომსხვრეული ყუნწით. ეროზიის გამო მხრები მოგლუვებული, გვერდები და პირი დაკბილული აქვს, წვერი – მახვილი. მეორე – 2,5 X სმ 1 სმ, უფრო მოკლე, შედარებით გრძელი ყუნწითა და მკვეთრი, სწორი მხრებით, ფართო ტანით. ხასიათდება მახვილი წვერით. მესამეს (3 სმ X 8 მმ) საკმაოდ გრძელი, სამკუთხა პირი, მოკლე ყუნწი, დაშვებული მხრები და მახვილი წვერი აქვს.

**42. ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11431/4)/(გ-356-361) (ტაბ. 15)

ბრინჯაო. სატევრის პირები. ოთხი ცალი. აკრეფილია არხის ფსკერზე.

**№ 358**. საკმაოდ გრძელი და სრული. ტირიფის ფოთლის ფორმისა. შემორჩენილია ფართო ტრაპეციის ფორმის სატარის ნაწილი. 13 სმ

X 25 სმ. მხრები დაშვებულია, პირი – დათხელებული. წვერი ირიბად მომსხვრეულია. ორივე გვერდი ეროზიის გამო დაკბილულია.

**№ 359**. საკმაოდ გრძელი და სრული ერთეული. სატარე და მხრები ჩამოტეხილი, წვერი – მომსხვრეული. ერთ მხარეს პირი ეროზიით ძლიერ დაკბილულია. მეორე მხარეს ოვალური ფორმით ჩახრილია და ნაკლებად დაზიანებული. სიგრძივი ხაზები არ შეიმჩნევა. 12 სმ X 3 სმ.

**№ 360**. ფრაგმენტი. სატევრის შუა ნაწილი, სატარის მხარე და წვერი ირიბად მომსხვრეულია. საკვეთი პირი ეროზიითაა დაკბილული. ტანი შედარებით სუფთადაა შემორჩენილი. 6 სმ X 2,5 სმ.

**№ 361**. ფრაგმენტი. სატევრის შუა ნაწილი ორივე მხარეზე მომსხვრეულია. წვეროს ნაწილი ოვალურადაა გადამსხვრეული. ბრტყელგანივკვეთიანი. გვერდები ოდნავ ოვალურადაა ამოზრდილი, პირები – ეროზიით დაკბილული. 6 სმ X 2,5 სმ. მსგავსი სატევრები საკმაოდაა აღწერილი გვიანი ბრინჯაოს ყველა კოლექციაში.

**43. სარტყლის ბალთები**

გმმ. ა. (11432/1-4)/(გ-362-365) (ტაბ. 15)

ფრაგმენტები. ბრინჯაო. 4 ცალი. სწორკუთხა ფორმისა. აკრეფილია არხის ფსკერზე.

**№ 362**. ბალთის მარცხენა მხარი ზურგზე სამაგრი კაკვით. 5,5 სმ X 1,5 სმ. ნაპირი ოდნავ ჩამოტეხილია. ზედა წელი ჩახრილია, ქვედა – სწორი. შუა, ამოზიდულ კუთხეზე, ზურგის მხარეს, ზის წვერმომსხვრეული 1 სმ სიგრძისა და 0,5 სმ სიგანის კაუჭი. ნივთის შუბლი ორნამენტირებულია ირიბი, ერთმანეთზე სამკუთხედად მიწყობილი ხაზებით, ნაპირიდან ბოლოზე ფართო, ღრმა ღარით გამოყოფილი. ეროზიის გამო ორნამენტი სუსტად ჩანს.

**№ 363**. ბალთის შუა ნაწილი. 2 სმ X 4 სმ. შუა წელის ფრთები აწეული და ზურგზე ჩაკეცილი სამაგრი მანჭვლით. კაუჭის წვერი (0,5 სმ X 0,5 სმ) წამტვრეულია. ბალთის მარცხენა მხარი შედარებით მოკლეა, მარჯვენა – უფრო გრძელი. ქვედა ნაპირი ეროზიით ოვალურადაა ჩახლეჩილი. შუბლზე ორნამენტი არ ჩანს. ნაპირზე ემჩნევა ურთიერთგადამკვეთი ხაზები.

**№ 364**. ბალთის მარცხენა მხარი სრულადაა შემორჩენილი. 5 სმ X 2,5 სმ. ზედა მხარე ოვალურად ჩახრილია შუა წელისაკენ. ფრთა წამომართული. ზურგზე შემორჩენილია კაუჭის ნამსხვრევი. ქვედა ნაპირი 0,5 სმ სიგანის ღარით გამოყოფილია ტანიდან, რომელზედაც ღრმულებია დატანილი. მხარის ბოლო ორი პარალელური ღარითაა ჩახაზული, ხოლო

შუბლი მთლიანად სამკუთხოვანი ღარითაა შემკული, მასში ნაჩვრეტთა ვარდულებით დატანებული.

**№ 365**. ბალთის მარცხენა მხარის ფრაგმენტთა ზედა ნაწილი. 4 სმ X 1,5 სმ. სწორი. ბოლო ირიბად მომსხვრეულია. ქვედა ნაპირი ოვალურადაა ჩახრილი. შუბლი ოდნავ წამოწეულია ზურგულით. სადაა.

**44. რკინის სატევრის ფრაგმენტები**

გმმ. ა.(11432/1-7)/(გ-356-372) (ტაბ. 15)

5 ცალი. ძალზე დაჟანგული და დეფორმირებულია. მათ შორის ორი საკმაოდ მოზრდილი. აკრეფილია არხის ფსკერზე.

**№ 365**. ფრაგმენტი, ოდნავ გამოყოფილია შუა ქედით. 12 სმ X 3 სმ. საკვეთი პირი ეროზირებულია.

**№ 367**. სატევრის შუა ნაწილი, ძალზე ეროზირებული. 8 სმ X 3 სმ.

**№ 368**. სატევრის შუა ნაწილი, 8 სმ X 2,5 სმ. ოვალურგანივკვეთიანი, ზედაპირზე ღრმა პარალელური სიგრძივი ღარებით.

**№ 369**. სატევრის შუა ნაწილი. 7 სმ X 2,5 სმ. სრულიად ეროზირებული ფრაგმენტი. როგორც ჩანს, გვერდებზე მაღალი ქედი მიუყვებოდა, რომლის გასწვრივ, ორივე ფერდზე, პარალელური ღარებია დატანებული.

**№ 370**. სატევრის სატარე ტანის ზედა ნაწილით. 6 სმ X 3,5 სმ X 1,5 სმ. კონუსური სატარე გადადის ერთ მხარეს სწორ და მეორეზე ჩამოტეხილ მხარეზე. საკვეთი გვერდები შედარებით სრულადაა შემორჩენილი, ქვედა ნაწილი სწორადაა გადამსხვრეული. როგორც ჩანს, ორივე გვერდზე მაღალი, ოვალური ქედი ყოფილა, რომლის ორივე ფერდი ამოღარული იყო.

**№ 371**. საკმაოდ გრძელი და სრული სატევარია, სამი პარალელური ღარით. 13 სმ X 3 სმ. წვერი და ყელი მომსხვრეული აქვს.

**№ 372**. შედარებით ფართო და მოკლე ფრაგმენტი, მასზე შემორჩენილი პარალელური, სიგრძივი ღარებით. 11 სმ X 3 სმ.

**45. რკინის სატევრის ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11414/1-25)/(გ-373) (ტაბ. 16)

6 სმ X 4 სმ – 1 სმ X 2 სმ ზომის ფრაგმენტები. 25 ცალი. წვერის, წელისა და მხარის ნაწილები. სრულიად ეროზირებულია. ზოგიერთ ფრაგმენტზე მკვეთრად ჩანს ქედი და პარალელური ღარები. აიკრიფა არხის ფსკერსა და მიწის ნაყარზე.

**46. ბრინჯაოს სეგმენტები**

გმმ. ა.(11435/1-9)/(გ-398-406) (ტაბ. 16)

აიკრიფა არხის ფსკერსა და მიწაყრილზე. ეროზიით ყველა საკმაოდ დაზიანებულია. ყველაზე სრულადაა შემორჩენილი ტარი. მათ შორის:

**№ 398**. ერთი მხარი ჩამოტეხილი აქვს. სატარე მაღალია, მხრები – სწორი, პირი – მორკალული.10 სმ X 10 სმ.

**№ 399**. საკვეთი ოვალის ერთი მხარი აგლეჯილი და უსწოროდ დაკბილული. შემორჩენილია ერთი სწორი მხარი მთლიანად, მეორის ნაწილი და მაღალი ბრტყელი სატარე. 10 სმ X 9 სმ.

**№ 400**. ერთი მხარი და საკვეთი ბოლომოტეხილია. მეორე მხარი, საკვეთი ოვალი და სატარე შედარებით უკეთაა შემორჩენილი. შუბლზე ემჩნევა პარალელური ღარები, რომელიც ყელზედაც გადადის და ზემოთ მზის სხივის მსგავსად იშლება. შუბლი ოვალურადაა წამოწეული, ხოლო ზურგი სწორია და სადა. 10 სმ X 4 სმ.

**№ 401**. საკვეთი ოვალი საკმაოდ ეროზირებული, ნივთის ფართი ძლიერ შემცირებული და უპროპორციოა, სადა. 10 სმ X 9,5 სმ.

**№ 402**. საკვეთი ნაწილი ეროზირებულია და ძლიერ შემცირებული. სადა. სატარეზე შემორჩენილია ირიბი დაღარვის კვალი. 10 სმ X 9 სმ.

**№ 403**. ერთი მხარი და საკვეთი ბოლო სრულიად ეროზირებულია. ორნამენტი არ იკითხება. სატარე და ცალი მხარი სრულადაა შემორჩენილი. 9 სმ X 10 სმ.

**№ 404**. შედარებით დაცული ეგზემპლარია. მარჯვენა მხარი ოდნავ ეროზირებულია. აქვს მაღალი, ბრტყელი სატარე, სწორი მხრები, მორკალული პირი. ცალპირლესილია. 9,5 სმ X 11 სმ.

**№ 405**. შედარებით დაცული ეგზემპლარია. სატარე – მაღალი, მარცხენა მხარი – სწორი და სრული. მარცხენა მხარი და საკვეთი ბოლო ეროზიითაა დაკბილული. სადა. 9 სმ X 11 სმ. ანალოგიურია ზემოაღწერილი ნიმუშისა.

**№ 406**. შედარებით დაცული ეგზემპლარია. სატარე მაღალია, მარცხენა მხარი – სწორი და სრული. მარჯვენა მხარი და საკვეთი ბოლო ეროზიითაა დაკბილული. სადაა. 9 სმ 11 სმ.

მსგავსი მასალა აღწერილია გვიანბრინჯაოს ეპოქის ყველა განძის შემადგენლობაში.

**47. ფარის უმბონის ფრაგმენტი. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11436/1)/(გ-407) (ტაბ. 17)

მრგვალი ფორმისა. შემორჩენილია ნახევარი. ცენტრში ორი სამანჭვლე ნახვრეტით. ეროზირებულია. დიამეტრი – 14 სმ. ნაპოვნია არხის ფსკერზე

**48. სეგმენტი. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11437/1)/(გ-408) (ტაბ. 17)

შედარებით სრულადაა შემორჩენილი. მარჯვენა მხარის წვერი მომსხვრეულია. საკვეთი პირი ეროზიითაა დაკბილული. საორნამენტო ხაზები არ იკითხება. ზურგზე შემორჩენილია პატინა, ქსოვილის ფაქტურის კვალით. 11 სმ X 11 სმ. აქვს ფართო, მაღალი, ბრტყელი სატარე, სწორი მხარი და გორდა პირი.

**49. სეგმენტთა ფრაგმენტები. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11438/1-15)/(გ-409) (ტაბ. 17)

15 ცალი. ყველა ეროზირებულია. მათ შორის № ერთი (423) საკმაოდ სრულადაა შემორჩენილი. ძირითადად, წარმოდგენილია სატევრის ფრაგმენტები. ზომა – 11 სმ X 12 სმ-დან 7 სმ X 9 სმ-მდე.

ნაპოვნია არხის ფსკერსა და მიწის ნაყარში.

**50. სეგმენტთა სრულიად დაქუცმაცებული ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11439/1-25)/(გ-424-444) (ტაბ. 18)

21 ცალი. უფორმო. ზოგს სატარე აქვს შემორჩენილი, ზოგს – მხარი და პირი. ძლიერ ეროზირებულია, სადა. ზომა – 9 სმ X 10 სმ-დან 9 სმ X 4 სმ-მდე.

ნაპოვნია არხის ფსკერსა და მიწაყრილში.

**51. კაჟის ანატკეცი**

გმმ. ა. (11440/1)/(გ-445) (ტაბ. 18)

13 სმ X 11 სმ. ხორცისფერი კაჟი, ნაცრისფერი კვარცის ჩანართებით. შუბლი ორი ფართო და მოგრძო ატკეცვის კვალით. თავი და ბოლო მომსხვრეული.

ნაპოვნია მიწაყრილში.

**52. ბრინჯაოს ზოდის ნამსხვრევები**

გმმ. ა. (11441/1-28)/(გ-446-473) (ტაბ. 19)

უფორმო. 26 ცალი. ზოდების ნამსხვრევები, ზოგი გუნდის გვერდებჩამომსხვრეული ფრაგმენტია. 3 სმ X 2 სმ, 9 სმ დიამეტრის ოვალით. ნაპოვნია არხის ფსკერსა და მიწაზვინულში.

**53. რკინის გუნდების ნამსხვრევები**

გმმ. ა. (11444/1-3)/(გ-505-506) (ტაბ.19)

სამი ცალი. დიამეტრი 3 სმ X 4,5 სმ. სრულიად ეროზირებულია. ნაპოვნია არხის ფსკერზე.

**54. ბრინჯაოს ნივთთა ნამსხვრევები**

გმმ. ა. (11442/1-25)/(გ-474-508)

25 ცალი. კედლის, ყელისა ან სახელურის ფრაგმენტები. სრულიად უფორმო ერთეულებია.

**55. ლამელები კაჟისა და რიყის ქვისა**

გმმ. ა. (11443/1)/(გ-249)

5 ცალი. რიყის ქვის გვერდებახლეჩილი და თავბოლოწამტვრეული ნივთი ოვალური ფორმისა, ერთი ცალი. სილქვის წვეტანები, ორი ცალი. ერთი – სილქვის ნივთის ბოლო ნაწილი. შესაძლოა, 3,5 სმ სიგრძისა და 2 სმ სიგანის მინიატიურული ხელცულის საკვეთი ბოლო იყოს. ნაპირები გახეხვით ჩაგლუვებულია, საკვეთი ბოლო – ჩახეხილი. ერთი კაჟის შუალა საფხეკის ბოლო ნაწილია, მეორე – შუალა, მაღალი საფხეკი, მინიატიურული, ზურგზე ატკეცვის ხაზებით. 4 სმ X 1,5 სმ. ნაპოვნია არხის ფსკერსა და მიწაყრილში.

**56. კოლხური ცულის ყუის ფრაგმენტები. ბრინჯაო**

გმმ ა. (11409/1-3)/(გ-507-509) (ტაბ.20)

სამი ცალი. ნაპოვნია არხის ფსკერზე.

**№ 507**. მინიატიურული ცულის ბრტყელი თავისა და ყუის ზედა ნაწილია. ყუასა და თავზე გადადის 5 პარალელური ხაზი, რომელთა შორის სივრცე ფართო ღარებს წარმოქმნის. თავის ერთი მხარი ეროზირებულია. 3 სმ X 5 სმ.

**№ 508**. მინიატიურული ცულის ბრტყელი თავისა და ყუის ზედა ნაწილი. შუბლზე სამი ხაზით, რომელთა შორის ფართო ღარებია წარმოქმნილი. ეროზიის გამო ეს ხაზები ზურგზე არ გადადის. 2,3 სმ X 4,5 სმ.

**№ 509**. მინიატიურული კოლხური ცულის ყუის ფრაგმენტი. 3 სმ X 2,5 სმ. გადამტვრეულია. ყუის ნახვრეტი არ ჩანს. სრულიად ეროზირებულია.

**57. მიწატკეპნილთა უფორმო ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11558/1)/509

ეყარა მიწაყრილის ზვინულზე.

**58. ბრინჯაოს სამკაულების ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11450/1-7)/(გ-510-516) (ტაბ.20)

ძეწკვის რამდენიმე რგოლი, ფიბულის ნამსხვრევები, კაუჭები. სრულიად ეროზირებულია, სადა.

აკრეფილია არხის ფსკერზე.

**59. ქვიშაქვის ოთხკუთხედი ფორმის ნივთი**

გმმ. ა. (11450/1)/(გ-517) (ტაბ. 20)

ზურგზე ბრინჯაოს კვალით. შესაძლოა, ჩარჩოში იყო ჩასმული. 2 სმ X 1,5 სმ. შუბლზე ეტყობა თავჩაღუნული ქართული ს-ს მსგავსი ხაზი. შესაძლოა, სამკაულიც იყო.

**60. კერამიკული ჭურჭლის ნამსხვრევები**

გმმ. ა. (11452/1)/(გ-518-539) (ტაბ. 21)

22 ცალი. წითელი და ნაცრისფერი სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. გამოიყოფა ჭურჭლის ფსკერის, კედლის, პირის პროფილები. სადაზედაპირიანი. აკრეფილია ფსკერსა და მიწაყრილში.

**61. ძვლების ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11453/1)/(გ-540)

ყველა მათგანზე არის ბრინჯაოს პატინა ან მისი შეფერილობა. აკრეფილია არხის ფსკერზე.

**პირველი სამარხის ინვენტარი**

14/ III /1974

მიცვალებულს მკერდის არემდე ეფარა ბრინჯაოს 1 მმ სისქის, ძლიერ დეფორმირებული ფურცელი, რომელიც ამოღების დროს დაიმსხვრა. სამარხი არხის მარცხენა მხარეს მდებარეობდა, საკმაოდ მოშიშვლებული და ბულდოზერის ნიჩბით ნაწილობრივ დაზიანებული. სამარხში აღმოჩნდა:

**62. ბრინჯაოს ფირფიტის ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11454/1)/(გ-548) (ტაბ. 22)

1 მმ სისქის, რომელიც მიცვალებულს ეფინა სახესა და მკერდის ნახევრამდე. ეროზიით ძლიერ დაქუცმაცებული იყო. ამოღების დროს დაიმსხვრა. ხელთა გვაქვს ექვსი მცირე ფრაგმენტი. მსგავსი საფარი (სისქე 16 სმ-ია, სიგანე – 12 სმ) კოლხეთის არქეოლოგიურ მასალებში აღწერილი არ არის.

**63. თმის შესაკრავი რგოლი ან შუბლის სამკაული, თავგახსნილი.**

გმმ. ა. (11455/1)/(გ-549) (ტაბ. 22)

რგოლის ბოლოები დაბრტყელებული და წაწვეტებულია. როგორც ჩანს, რაღაც ნივთში გასაყრელი ან იქნებ დიადემის შესაკრავი რგოლი უნდა ყოფილიყო. ოვალურად მოხრილი ბრინჯაოს მავთულის განივკვეთის დიამეტრი 0,7 სმ-ს უდრის; ოვალის დიამეტრი 16 სმ-ია. რგოლის ტანი ირიბი ხაზებითაა დაღარული. მსგავსი რგოლები კოლხეთის არქეოლოგიური მასალების ცალკეულ კოლექციებში მრავლადაა აღწერილი.

**64. მძივი ქარვის, სარდიონის და ფერადი მინისა**

გმმ. ა.(11456/1-3)/(გ-550-552) (ტაბ. 22)

57 ერთეული, მრგვალი და ოვალური ფორმისა, 1,5 სმ X 0,6 სმ დიამეტრით. მათ შორის ერთი მომცრო ზომისაა, ფერადი მინის მუქი მწვანე ფერისა. დიამეტრი – 0,5 სმ.

**65. სასამკაულო ფირფიტები. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11457/1-2)/(გ-553-554) (ტაბ. 22)

**№ 553**. კვადრატული ფორმის ფირფიტა. 5 სმ X 5 სმ. 1 მმ სისქის. ნაპირებზე წერტილების ორი პაპალელური ხაზი დაუყვება: სწორკუთხედის კუთხეებიდან დაშვებული ნაჩვრეტებისაგან მიღებული დიაგონა-

ლური ღარები ცენტრში ერთმანეთს კვეთს. ამდენად, სწორკუთხედის შიგნით შექმნილია თანაბარი სიდიდის ოთხი სამკუთხედი. ნივთის ორი ნაპირი მორღვეულია და ერთი სამკუთხედის კუთხე მოგლეჯილია.

**№ 554**. იმავე ფორმისა და ზომის ფირფიტა, ისეთივე წვრილი ნაჩვრეტების პარალელური ხაზებით დამშვენებული. სამკუთხედები აქაც გამოყოფილია. ერთი მხარი მთლიანად მოგლეჯილია, თითქმის სამკუთხედის შუა წელამდე, მეორე მხარის კი – ნახევარი, სამკუთხედის ერთი კუთხით. ზომით იგივეა. ეტყობა, ნივთები სასამკაულო ნივთის საბურველი იყო, შემდეგ დაშლილა და ცალკე შემორჩენილა. მსგავსი ერთეული ლიტერატურაში დამოწმებული არაა.

**67. სარდიონის თვალი ბრინჯაოს ბუდით**

გმმ. ა. (11460/1)/(გ-555) (ტაბ. 23)

3 სმ X 2 სმ. ჩარჩოს სიგანეა 0,8 სმ. მკერდზე მისაბნევი სამკაული. შემორჩენილია სარდიონის მრგვალი თვალი და ბრინჯაოს რგოლის ნაწილი. ზედაპირი გაპრიალებულია. ზის ბრინჯაოს წახნაგოვან ჩარჩოში, რომლის მხოლოდ ერთი ოვალური რკალია შემორჩენილი. ჩარჩო ძლიერ ეროზირებულია, რის გამოც ორნამენტი არ ემჩნევა. გვერდები ჩაჭრილი აქვს.

**68. ფიბულა. ბრინჯაო**

გმმ. ა (11451/1)/(გ-556) (ტაბ. 23)

7 სმ X 3,5 სმ. 0,3 სმ. მავთული დაგრეხილია, ბუდე – გაბრტყელებული, მოხრილი. სამაგრი ღერძი მრგვალგანივკვეთიანია, თავწაწვეტებული. კაუჭის დიამეტრი 1 სმ უდრის. ფიბულის ტარს სამაგრის ჩასადები ბუდე მომსხვრეული აქვს. მავთულის მოხრილი წელი ჩაგრეხილია. მსგავსი ფიბულები ბრინჯაოს ეპოქის არქეოლოგიურ კოლექციებში მრავლადაა აღწერილი.

**69. სამაჯურები და მათი ფრაგმენტები. ბრინჯაო**

გმმ. ა.(11462 /1-2)/(გ-557-559) (ტაბ.23)

**№ 557**. საკმაოდ მსხვილი, ოთხკუთხა, განივკვეთიანი ბრინჯაოს სამაჯური, მოღუნული წრედ. თავგახსნილი, თავებგადასული. ცალი ბოლო ჩაკვეთილია, მეორე – წაწვეტებული, თავიდან ბოლომდე შუაში ღრმა ღარით. სხვა ორნამენტი არა აქვს, შედარებით სადაა. იგი მაჯაზე ეკეთა მიცვალებულს. ამოღებისას ძვალი ჩაიმსხვრა. დიამეტრი 5,5 სმ-ია, სისქე – 0,5 სმ – 0,8 სმ.

**№ 558**. წვრილი, შედარებით ფაქიზად ნაკეთილი რგოლი. ბრინჯაო. 0,4 სმ სისქის წახნაგოვანი მავთული. თავგახსნილი, წრედ ჩახვეული, ოთხწახნაგა, განივკვეთიანი. ეტყობა, ჰქონდა ორნამენტიანი ზედაპირიც, მაგრამ ეროზიით ძლიერ დაზიანებულია და არ იკითხება. დიამეტრი – 4,5 სმ

**№ 559**. სამაჯურის რგოლის ნამტვრევი. 7 სმ სიგრძისა და 0,3 სმ სისქის. ერთი ბოლო ჩაბრტყელებულია და გველის თავის მსგავსი. ასეთი სამაჯურები აღწერილია კოლხეთის არქეოლოგიურ მასალათა თითქმის ყველა კოლექციაში.

**70. ზარაკი.**

გმმ. ა. (11463/1)/(გ-560) (ტაბ. 23)

ბრინჯაო. საკმაოდ დიდი ზომისაა. თავზე ადგას სამაგრი წახნაგოვან-განივკვეთიანი, მრგვალნახვრეტიანი რგოლი. სამაგრის ნახვრეტი 1 სმ დიამეტრისაა, სიგანე 0,5 სმ. ნივთი სულ 7 სმ სიმაღლისაა, ზარის ფუძის დიამეტრი 4 სმ-ია. თავთან გარდიგარდმო გაყრილია ბრინჯაოს წვრილი ღერო, ენის სამაგრად. ენა ამოღებისას დაიმსხვრა. ზარის გარე კედლები იყოფა ორ ნაწილად. ფუძის ნაპირი გადმოკეცილია და რელიეფური ზოლითაა დამშვენებული. ზედაპირზე, შუა ნაწილში, დაუყვება მკვეთრი რელიეფური ზოლი, რომელიც თითქოს ორ ნაწილად ჰყოფს ზარაკს. ამ ნაწილებში 4 სამკუთხა ფორმის ფანჯარაა ამოკვეთილი. სამკუთხედის სიმაღლე 1,3 სმ-ია, ფუძის სიგანე – 1 სმ. ზედა ნაწილში ზარაკის თავი რელიეფური წიბოთი არის გამოყოფილი ტანიდან. ორნამენტი არსად ემჩნევა. ფუძის კიდე ერთ მხარეს ჩამსხვრეულია.

**71. სეგმენტი. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11464/1)/(გ-561) (ტაბ. 24)

გაუწმენდავია. შემორჩენილია მიწის ფენა და ზედაპირზე ბრინჯაოს ფურცლის ფენილის ნაწილი (მხოლოდ სამი მცირე ფრაგმენტი). სეგმენტი საკმაოდ სრულია. 9 სმ X 10 სმ. აქვს მოგრძო ბრტყელი სატარე, სწორი მხრები, გორდა პირი.

**72. სეგმენტი. ბრინჯაო**

გმმ.ა.(11465/1-4)/(გ-562-565) (ტაბ. 24)

4 ცალი. აიკრიფა მიცვალებულის წელის არეში. ეროზიით ძლიერ დაზიანებულია.

**№ 562**. ძლიერ ეროზირებულია. შემორჩენილია ერთი მხარი, მეორე მხარის ბოლო მომსხვრეულია, საკვეთი პირი დაფორმირებულია, ზურგი

ეროზიითაა დაჭმული. მხოლოდ სატარეზეა შემორჩენილი ირიბი ღარებით ამოკვეთილი ჭადრაკული უჯრედები. სხვაგან ორნამენტი არ ემჩნევა. 10 სმ X 12 სმ. ზემოაღწერილის მსგავსია.

**№ 563**. შედარებით დაცული ერთეულია. მხრები და სატარე საკმაოდ დაცულია, საკვეთი პირი და ზურგი – ეროზირებული. ზედაპირზე ემჩნევა ირიბი ღარების წყება, რომელიც ყელზე მახვილკუთხეებად იკეცება. 11 სმ X 11 სმ. ზემოგანხილულის მსგავსია.

**№ 564**. ეროზიით ძლიერ დეფორმირებულია. საკვეთი ბოლო ჩახლეჩილია. ერთი მხარი მოტეხილია. ორნამენტი არ ემჩნევა. 9 სმ X 10 სმ. ზემოგანხილულის მსგავსია.

**№ 565**. საკვეთი ბოლო და მხრები ეროზიითაა დაკბილული. სატარე კარგადაა დაცული. ზედაპირზე, სატარის არეში, ირიბი ღარები სამკუთხედის ფორმის ღია სეგმენტებს ქმნის. ტანზე ღარები არ ჩანს. 11 სმ X 12 სმ.

**73. კოლხური ცული. ბრინჯაო**

გმმ. ა (11566/1)/(გ-566) (ტაბ. 25)

მეოთხე, პირველი ქვესახეობისა, ორგზის მოხრილი ტანით. საჭრელი პირის ორივე მხარე ორნამენტითაა დამშვენებული, სატარეზე გარედან სამი რელიეფური ხაზით. საჭრელ პირსა და კაჩაზე ვრცელდება ორნამენტი: გადაბმული სპირალის, ტეხილხაზოვანი და წერტილოვანი ორნამენტის კომბინაცია. ზომები: 18 სმ X 7 სმ. საჭრელი პირის სიგანე – 7 სმ. ოვალური ფორმის ყუის ნახვრეტის დიამეტრი 2,5 სმ-ია, სიგრძე – 4,5 სმ, ტანი – 2 სმ.

**74. კოლხური ცული. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11467/1)/(გ-567) (ტაბ. 26)

ყუამოტეხილი, ძლიერ ეროზირებული, მესამე სახეობისა. ყუა ნახევარზე გადამტვრეულია. ორნამენტი არ ემჩნევა. 13 სმ X 5,5 სმ. ყუის ნახვრეტის დიამეტრი 2,5 სმ-ია. აქვს მაღალი, წახნაგოვანგანივკვეთიანი კაჩა, ოდნავ ასიმეტრიული მომრგვალებული პირი.

**75. ცული ბრტყელი, რკინისა**

გმმ. ა. (11468/1)/(გ-568) (ტაბ. 26)

წელში გამოყვანილია, ასიმეტრიულპირიანი, მხრებგაშლილი, სამკუთხა, მოგრძო სატარით.

**76. კოლხური ცული. რკინა**

გმმ. ა. (11469/1)/(გ-569) (ტაბ. 27)

ყუამოგლეჯილი, ძლიერ ეროზირებული, მესამე სახეობისა. შემორჩენილია ტარის ნაწილი და საკვეთი პირი. 10 სმ X 4,5 სმ. საკვეთი პირის სიგანე 4,5 სმ-ია.

**77. ფარის უმბონი. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11470/1)/(გ-570) (ტაბ. 27)

მრგვალი ფირფიტაა, შუაზე გადამტვრეული, ერთი ნაწილი მომსხვრეულია, დანარჩენი – ეროზიით ჩახლეჩილი. ზედაპირზე აქვს ფართო ნახვრეტი. დიამეტრი – 3 სმ; ფურცლის სისქე 4 მმ-მდე. 17 სმ X 12 სმ.

**78. ისრის პირი. ბრინჯაო. ყუნწიანი**

გმმ. ა. (11471/1-2)/(გ-571-572) (ტაბ. 27)

2 ცალი. აქვს სამკუთხედის ფორმის დაშვებული ფრთები, მოგრძო ყუნწი. 4 სმ X 0,5 სმ.

**79. მამაკაცის ანთროპრომორფული ქანდაკება. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11472/1)/(გ-573) (ტაბ. 27)

ქანდაკებას თავი ნაკლული აქვს. შემორჩენილია რომბისებური ფორმის ტანი, გავა და მკვეთრად გამოხატული ფალოსი. ბრტყელი, სწორი ფეხები ტერფებმომსხვრეულია, ძლიერ ეროზირებული. 7 სმ X 1,5 სმ.

**80. ქალის ტანის ტორსი**

გმმ. ა. (11473/1)/(გ-574) (ტაბ. 27)

ბრინჯაო. წელის ქვემო ნაწილი, გავით. წინა მხარეს ასოს ხვრელი ჩანს. ორი სწორი ფეხით. ცალზე ტერფი ნახევრამდე მომსხვრეულია, უკან საკმაოდ ვრცელი ღარით. 5,5 სმ X 1,5 სმ.

**81. ხარის ქანდაკება მაღალი რქებით**

გმმ. ა. (11474/1)/(გ-575) (ტაბ. 28)

მასიური. ბრინჯაო. საკმაოდ დინამიკურია, გრძელი კუდითა და მსხვილი ფეხებით. 7 სმ X 3,5 სმ.

**82. ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულება**

გმმ. ა. (11475/1)/(გ-576) (ტაბ. 29)

მაღალი ყელით, ნისკარტის მსგავსი პირით, თავზე თვალის ჭრილითა და წარბებით. ქედი წინ წამოწეული, ქეჩოთი. წელი დაჭიმული, დინა-

მიკური, წვრილი მაღალი ფეხებით, აწეული გრძელი კუდით. ტანი ფორეჯებითაა აჭრელებული. ყელის სიმაღლე 4,5 სმ-ია, პირის სიგრძე – 1 სმ, კუდის სიგრძე 2,5 სმ. სულ 7 სმ X 4 სმ.

**83. რიყის ქვის სალესი**

გმმ. ა.(11476/1-3)/(გ-577-579) (ტაბ. 30)

სილაქვა. საკმაოდ გახეხილ-გაპრიალებულია. ერთი მათგანი თავთან გახვრეტილია.

**№ 577**. შავი სილაქვის საკმაოდ გრძელი სალესი. თავთან გახვრეტილი, ბოლო ოვალურად ჩაგლუვებული. 2 სმ სიგანის, 1 სმ სისქის და 9 სმ სიგრძის ერთეული. გაპრიალებულ-გახეხილია. ნახვრეტი ხმარებისაგან გაცვეთილია.

**№ 578**. ოვალური ბოლოები, ნახვრეტის გარეშე. გახეხილ-გაპრიალებულია. ელიფსური ფორმისა. 5 სმ სიგრძის, 2,5 სმ სიგანისა და 0,5 სმ სისქის.

**№ 579**. სალესი ქვა, ნაცრისფერი, გლუვი ტანით. 6 სმ X 2,5 სმ X 0,5 სმ. ერთ ბოლოზე ნახვრეტით.

**84. ა/თოხი.**

გმმ. ა. (11478/1)/(გ-580) (ტაბ. 30)

ბრინჯაო. მინიატიურული. ნაკლული. აქვს ოდნავ მოხრილი ტანი,. მრგვალნახვრეტიანი სატარე დიამეტრით. 2 სმ, 5 სმ X 4,5 სმ.

**ბ/თოხი**. ბრინჯაო. სწორი ტანით.

გმმ. ა. (11478/1)/(გ-581) (ტაბ. 30)

საჭრელი პირი ნაკლულია, სადა ზედაპირით. სატარე ნახვრეტის დიამეტრი 3 სმ-ა, ტანის სიმაღლე – 7 სმ. საჭრელი პირის ტანი 10 სმ-ია. 11 სმ X 10 სმ. ეჩოსებური.

**გ/თოხი**. სწორი ტანით.

გმმ. ა. (11478/1)/(გ-582) (ტაბ. 30)

სატარე მრგვალნახვრეტიანია, საჭრელი პირი მოტეხილი. ყუის ნახვრეტის დიამეტრი 3 სმ X 6 სმ X 8 სმ.

მსგავსი მასალა დამოწმებულია კოლხეთის ყველა არქეოლოგიურ განძში.

**85. სატევარი.**

გმმ. ა. (11480/1)/(გ-583) (ტაბ. 30)

ბრინჯაო. საკმაოდ მოგრძო სამკუთხა ფორმისა, მკვეთრქედიანი, ქედის გასწვრივ წყვილი შაშაბით. ყუნწი მოგრძოა, სამანჭვლე ნახვრეტით. დიამეტრი 20 სმ-ია, სიგანე – 3 სმ.

**86. სასამკაულო ფირფიტა ვერცხლისა, სამკუთხედის ფორმის**

გმმ. ა. (11481/1-3)/(გ-584-586) (ტაბ. 30)

3 ცალი. ორივე მხარე ღარებითაა დამშვენებული. ეროზიის გამო ორნამენტი არ ემჩნევა. № 585 სამკუთხედის ერთი გვერდი მოგლეჯილია. 2,5 სმ X 3 სმ.

**87. სარტყლის ბალთა და ბალთის ყუნწი. ბრინჯაო. ბრტყელი**

გმმ. ა.(11482/1-2)/(გ-587-588) (ტაბ. 30)

**№ 587**. სამკუთხედის ფორმისა. ბალთის შუა ნაწილი, ბოლოები ორივე ფრთაზე მოგლეჯილია, მხრები – ჩახრილი. ცენტრი სამკუთხედის წვეროსავითაა ამოწეული. ქვედა ნაწილი ოვალური ფორმისაა. ეტყობა ნახვრეტებით შექმნილი ღარი. ბალთას დაუყვება მაღალი ქედი, რომლის გვერდები სწორადაა ჩათლილი. სადაა. ზურგის მხარეს აქვს 0,5 სმ სიგანისა და 1 სმ სიგრძის კაუჭი.

**№ 588**. ბალთის კაუჭი ან ყუნწი ნისკარტის ფორმისაა, ყუნწის სიგანე 0,5 სმ-ია, წვერზე კი – 0,1 სმ, სიგრძე – 2 სმ.

**88. ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11483/1-2)/(გ-589-590) (ტაბ. 30)

**№ 589**. ბრტყელი, გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტია, საკმაოდ ეროზირებული. 4,5 სმ X 25 სმ.

**№ 590**. ოთხკუთხა ფრაგმენტი, ტანი ეროზირებულია და ჩაჭმული, კუთხესთან ნახვრეტით.

**89. მილი. ბრინჯაო. საკმაოდ დიდი ზომისა**

გმმ. ა. (11484 /1)/(გ-591)

4 ფრაგმენტად დაშლილი, მათ შორის ერთი საკმაოდ დიდი ზომისაა, გვერდებჩახვეული. სხვა დანარჩენი ფრაგმენტები ჩაკეცილია და მილის ტანის ნაწილს წარმოადგენს. დიამეტრით იგი 2,5 სმ უნდა ყოფილიყო.

**90. ობსიდიანის წვეტიანი ლამელა**

გმმ. ა. (11485/1)/(გ-595) (ტაბ. 30)

ნაპირებრეტუშირებული. 3 სმ X 1,3 სმ.

**91. კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11486/1-3)/(596-598) (ტაბ. 31)

**№ 596**. ვაზის ძირი მრგვალი ფოლაქისებური ქუსლით. გამოყვანილი ქუსლი გადადის ტანზე. ძირის ზომები: 1 სმ X 2 სმ, კედლის სიმაღლე – 3 სმ, კედლის შემორჩენილი ნაწილის გარშემოწერილობა – 6 სმ. უორნამენტოა.

**№ 597**. ჭურჭლის პირ-გვერდი, პატარა ზომის, პირგადაშლილია, მინიატიურული, სადა. 3 სმ X 4,5 სმ.

**№ 598**. შავი ფერის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი. კედელზე ირიბი რელიეფური კანელურებითაა შემკული. 5 სმ X 4 სმ.

**92. ძეწკვი. ბრინჯაო.**

გმმ. ა. (11487/1)/(გ-599) (ტაბ. 32)

წვრილი მავთულის რგოლები ოვალურად ჩახრილია და ერთმანეთზე აკინძული. 27 ცალი. თითოეული თვალის სიგრძე 0,8 სმ-ია, განი – 0,5 სმ.

## მეორე სამარხის ინვენტარი

16/III/1974

მიცვალებულს მკერდზე ეფარა ბრინჯაოს 1 მმ სისქის ფურცელი, რომელიც ძლიერ დეფორმირებული და დაქუცმაცებული იყო. სამარხი ტრანშეის მარცხენა მხარეს, I სამარხის გვერდით მდებარეობდა. საფლავის ზედა ფენა გადახსნილი, თითქმის მოშიშვლებული იყო. მასში აღმოჩნდა:

**93. ბრინჯაოს ფურცლოვანი ფირფიტის ნატეხები და მძივი**

გმმ. ა. (11490/1)/(გ-600),

ა. (11400/1)/(გ-601) (ტაბ. 31)

**№ 600**. ფირფიტოვანი საფარის ფრაგმენტები ძალზე ეროზირებულია, ნატეხი 1 მმ სისქისაა და 10 სმ სიგანის.

**№ 601**. გიშრის, სარდიონის, ფერადი მინის, პასტისა და რიყის ქვის მძივები, სხვადასხვა სიდიდისა და ფორმისა, ორიგინალურად დამუშავებული: რომბისებრი, ბიკონუსური და მრგვალი ფორმისა. ზოგიერთი ნახაზი ორნამენტითაა შემკული. ერთ მხარეს 100, მეორეზე – 65 ერთეული აღმოჩნდა.

**94. სამაჯური**

გმმ. ა. (11491/1-3)/(გ-602-604) (ტაბ.33)

ბრინჯაო. სამი ცალი.

**№ 602**. მსხვილი ბრინჯაოსია, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა, თავგახსნილი, რომლის ზედაპირი ოდესღაც ორნამენტით ყოფილა შემკული. მავთულის დიამეტრი 0,5 სმ-ია, რგოლის დიამეტრი – 7,5 სმ.

**№ 603**. ბრინჯაოს სამაჯური, მრგვალგანივკვეთიანი, 0,5 სმ დიამეტრისა, თავგახსნილი. 6 სმ დიამეტრის. ეტყობა, ტანზე ღარული ორნამენტით ყოფილა შემკული.

**№ 604**. წვრილი, მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს მავთულის რგოლი. თავგახსნილი, სადაზედაპირიანი, ჩაღუნული. მავთულის დიამეტრი 3 მმ-ია, რგოლის დიამეტრი – 6 სმ.

**95. ბრინჯაოს სამაჯურის ფრამენტები**

გმმ. ა. (11492/1-2)/(გ-605-606) (ტაბ.33)

**№ 605**. ბრტყელფირფიტოვანი, ბოლოებწამსხვრეული. ზედაპირზე ორნამენტი კარგად იკითხება. ნაპირებზე შებრუნებული სამკუთხედები მიუყვება, რომლის ფუძე ნაპირებისკენაა შებრუნებული, ცენტრში კი კლაკნილი ხაზი რჩება. სამკუთხედები შევსებულია ნაჩვრეტი წერტილებით. სიგრძე 5 სმ-ია, სიგანე – 1 სმ, სისქე კი – 4 მმ.

**№ 606**. ბრტყელფირფიტოვანი ბრინჯაოს ფურცელი, ჩაკეცილი. სამაჯურის შუა ნაწილია. ნაპირები ღრმა რელიეფური ზოლით აქვს გამოყოფილი, ხოლო შიგნით ორ მწკრივად მიუყვება საკმაოდ მსხვილი წერტილების პარალელური ხაზები. ეტყობა, ქვედა ნაწილზე გრძელდებოდა მსგავსი ორნამენტიც, მაგრამ იგი მოგლეჯილია და მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი.

**96. ძეწკვი. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11493/1)/(გ-607) (ტაბ. 33)

ბრინჯაოს წვრილი მავთული, ჩახვეული ოვალურ რგოლებად, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ერთნაირი სიდიდის მარცვლებთან ერთად, გამოყენებულია საკმაოდ მსხვილი რგოლებიც. 0,7 სმ სიგრძის რგოლი 62 ცალია, რომელშიც ჩართულია საკმაოდ დიდი დიამეტრის ოთხი მარცვალი.

**97. ძეწკვი.**

გმმ. ა. (11494/1)/(გ-608-609) (ტაბ. 33)

სამარხის მარჯვენა მხარესაა აღმოჩენილი.

**№ 608**. ასეთივე დიამეტრის რგოლები 39 ცალი.

**№ 609**. მათ შორის იყო, ალბათ, საბნევები, საკინძე – 2 ცალი. ოდნავ პრიზმული ფორმისაა, ყელზე კოპით და მასზე დამაგრებული კაუჭით, რომელიც ქვემოთ ფართოვდება და ოვალური ბოლოთი სრულდება. ერთს გვერდი ჩახლეჩილი აქვს. 3,5 სმ X 1,5 სმ.

**98. ღილი**

გმმ. ა. (11495/1-2)/(გ-610-611) (ტაბ. 33)

2 ცალი. ერთი ბრინჯაოსია, მეორე – თიხის. კონუსური ფორმისაა.

**№ 610**. ღილი. ბრინჯაო. კონუსური ფორმისა, გული ღრუ, უფსკერო, წვერში წვრილი ნახვრეტით. ტანგახვრეტილია, უორნამენტო. დიამეტრი 1,5 სმ-ია, სიმაღლე – 1,5 სმ.

**№ 611**. ღილი თიხის, კონუსური ფორმის. ტანზე პარალელური სამი ღარით. ღარის რგოლი ქვემოთ საკმაოდ ფართოა, წვერისკენ კი ვიწროვდება. გული ღრუა, უფსკერო. ნივთი გარდიგარდმო გახვრეტილია. დიამეტრი 1,5 სმ X 1,5 სმ.

**99. სატევარი. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11496/1-2)/(გ-612-613) (ტაბ.34)

2 ცალი, ორივე საკმაოდ ეროზირებულია.

**№ 612**. სატევარი ყუნწიანი, მოგრძო სამკუთხა ფორმის, განივკვეთში ოვალური, ფხებდალესილი, გამოყოფილი მსუბუქად დაშვებული მხრებით, საკმაოდ მახვილი წვერით. ყუნწის სიგრძე 2,5 სმ. თავთან გახვრეტილი. მსგავსი სატევრები აღწერილი აქვს ბ. კუფტინს; ასევე, მსგავსი ნაკეთობანი მრავლადაა აღწერილი კოლხეთის ექსპედიციის მასალებში. 23 სმ X 3,5 სმ.

**№ 613**. სატევარი ყუნწიანი, მხრებდაშვებული, ოვალურგანივკვეთიანი პირით ფხებალესილი, მახვილი წვერით. ყუნწი გახვრეტილია, დიამეტრი 0,5 სმ. ყუნწის სიგრძე – 2 სმ. სატევრის ზომებია: 23 სმ X 3 სმ. ორნამენტის კვალი არ ჩანს.

**100. სარტყლის ბალთა. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11497/2)/(გ-614) (ტაბ. 34)

ბალთა შედარებით სრულადაა შენარჩუნებული, პეპლისებური ფორმისა, ბოლოებაწეული. ცენტრში ზურგზე საკინძი კაუჭი 0,5 სმ სიგანის და 1 სმ სიგრძის მანჭვლით ბოლოვდება. შუბლზე ქვედა ნაწილი ფართო ღარითაა ჩაკვეთილი (სიგანე – 0,6 სმ). ბალთის ზედაპირი ორნამენტით ყოფილა დაფარული, რომელიც ეროზიის გამო სუსტადაა შემორჩენილი.

შემორჩენილია ბრინჯაოს მანჭვალი, რომლის თავი სოკოს მსგავს ქუდადაა ჩაკეცილი. ქუდის ზედა ნაწილი ოვალურია. ღერო 0,2 სმ სისქის და 1,5 სმ სიგრძისაა. 9 სმ X 2,5 სმ.

**101. ბრინჯაოს ისრისპირი**

გმმ. ა. (11498/1)/(გ-615) (ტაბ. 32)

აქვს სამკუთხედის ფორმის, დაშვებული მხრები, საკმაოდ გრძელი სატარე ყუნწით. ყუნწი ისრისწვერის შუა ნაწილამდე მაღალი ქედით ვრცელდება. ისრისპირის ზომებია: 6,5 სმ X 2 სმ. ყუნწის სიგრძეა 4 სმ.

მსგავსი ისრისწვერები კოლხეთის არქეოლოგიურ კოლექციებში გვხვდება, განსაკუთრებით, ბ. კუფტინის მასალებში.

იხილეთ: Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, ტ. 11, გვ. 17, სურ. 5.

**102. სეგმენტები. ბრინჯაო**

გმმ. ა.(11499/1-9)/(გ-615-624) (ტაბ. 34)

9 ცალი. ყველა მეტ-ნაკლებად ეროზირებულია.

**№ 616**. საკმაოდ დიდი ეგზემპლარი. ცალი მხარი ეროზიის გამო ჩახლეჩილი, საკვეთი ბოლო დაკბილული, ტანიც ამოჭმული. 11 სმ X 12 სმ. აქვს მოგრძო ბრტყელი სატარე, სწორი მხრები, მორკალული პირი, ცალმხრივლესილი.

**№ 617**. საკვეთი პირი და მხრები ეროზიის გამო მომსხვრეულია. ტანიც საკმაოდ დეფორმირებულია. ორნამენტის კვალი არ ჩანს. 9 სმ X 10 სმ. ზემოაღწერილის ანალოგიურია.

**№ 618**. საკმაოდ დაცული ეგზემპლარია. საჭრელი პირი დეფორმირებული და ჩაკბილულია. ტანი ჟანგისაგან საკმაოდ შეჭმულია. მხატვრული გაფორმების კვალი არ ჩანს. 10 სმ X 10 სმ. ზემოაღწერილის მსგავსია.

**№ 619**. სეგმენტის ნაწილი. მხრები და საკვეთი პირი ჩამსხვრეულია. 5 სმ X 6,5 სმ. სატარეს ზურგზე აქვს ზეტის მსგავსი ხაზობრივი ნიშანი. ზემოაღწერილის მსგავსია.

**№ 620**. სეგმენტი. ცალი მხარი და საკვეთი პირი მომსხვრეულია. ტანი ეროზირებულია. 11 სმ X 9 სმ. ზემოაღწერილების მსგავსია.

**№ 621**. სეგმენტი. საკმაოდ დეფორმირებული, სქელი. მხრები შუამდე. ასევე საკვეთი პირი მის გასწვრივ მომსხვრეულია. ტანზე ორნამენტი არ ჩანს. 10 სმ X 7,5 სმ. ზემოაღწერილების მსგავსია.

**№ 622**. სეგმენტი. საკმაოდ დეფორმირებულია. მხრები დიდ ნაწილზე მომსხვრეულია, საკვეთი პირი – ჩახლეჩილი, სატარე დეფორმირებული,

ტანი კი ჩაჭმული. მხატვრული გაფორმების კვალი არ ჩანს. 11,5 სმ X 11 სმ. ზემოთაღწერილების მსგავსია.

**№ 623**. სეგმენტი სრულიად დეფორმირებულია. მარჯვენა მხარი და მარცხენას ნაწილი მომსხვრეულია. საკვეთი პირიც დაჭმულია, ჩახლეჩილი. ზედაპირზე, სატარეზე ჩანს ორნამენტი, ირიბი ღარებით; ცენტრში ერთი ღარია დატანილი. 10 სმ X 9 სმ. ზემოაღწერილების მსგავსია.

**№ 624**. სეგმენტი. საკმაოდ ეროზირებული. ორივე მხარი დიდ ნაწილზე მოგლეჯილია. საკვეთი პირი დეფორმირებულია, ზედაპირზე ირიბი ღარების ორნამენტით, რომლებიც ტანზე უფრო მკრთალადაა შემორჩენილი. 10 სმ X 9 სმ. ზემოაღწერილების მსგავსია.

**103. 1) კოლხური ცული. ბრინჯაო**

გმმ ა. (11500/1)/(გ-625) (ტაბ. 35-ა)

აქვს მაღალი შვეტილი ტანი. სიმეტრიულად მორკალულია. პირი, წახნაგოვანგანივკვეთიანი კაჩა, ოვალურნახვრეტიანი სატარე და ოდნავ აზიდული, წაწვეტებული ყუა. სატარეზე ოთხი რელიეფური ზოლი დაუყვება.

მთელი ცული დაფარულია გეომეტრიული ორნამენტით, რომელშიც ვხვდებით თევზისფხურ და ტეხილ ხაზებს, ღარებს, რომბებსა და ჭდეებს, წრეებს, ბადისებრ ორნამენტსა და ა. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მზის სტილიზებული გამოსახულებები, რომელიც ცულის სატარის გასწვრივ არის დატანებული და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი მოსახლეობის კოსმოგონიურ შეხედულებებზე. ცულის ზომებია: 17 სმ X 6 სმ-ზე.

**103. 2) კოლხური ცული. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11501/1)/(გ-626) (ტაბ. 36)

მეორე სახეობისა, ყუაზე აქვს ორნამენტი. თავშებრტყელებულია, მკვეთრად გამოყოფილი ყუიდან. მის ქვემოთ იწყება ორი რელიეფური ზოლი, რომელთა შორის იქმნება ღარები. სატარე ოვალურია, კაჩა – წახნაგოვანი, პირი მორკალული. საკვეთ პირს შემოვლებული აქვს ერთი ამოკაწრული ღარი. მის ზემოთ ორნამენტი არ იკითხება. ზომებია: 18 სმ X 7 სმ. სატარის დიამეტრი 4 სმ X 3 სმ-ზე.

**103. 3) კოლხური ცული. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11502/1)/(გ-627) (ტაბ. 36)

მეორე სახეობისა, მცირე ზომისა. საკმაოდ დაცულია. თავისკენ სოლისებურად დაბრტყელებული, ოვალურნახვრეტიანი სატარით (3 სმ X 2 სმ). სულ – 10 სმ X 3,5 სმ. სადა.

**103. 4) კოლხური ცული. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11503/1)/(გ-628) (ტაბ. 36)

მეორე სახეობისა, მინიატიურული ფორმის. სოლისებურყუიანი, მაღალი, ლამაზი ყელით. ყუის ერთი მხარე ეროზიითაა ჩაჭმული, რის გამოც ორნამენტი არ იკითხება. 8 სმ X 3 სმ.

**103. 5) კოლხური ცული. მინიატიურული. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11504/1)/(გ-629) (ტაბ. 37)

პირველი სახეობისა. ყუის ნაწილი მომსხვრეულია. ყუაზე ფართო რელიეფური ზოლით, რომელიც შემდეგ საკვეთ პირად იშლება. ორივე გვერდზე, ყუის ოვალის წვერიდან ეშვება მაღალი რელიეფური ხაზი, რომელიც საკვეთი პირის მხარეზე გადადის და ქრება. ყუას არშიად უვლის ჩახვეული რელიეფი. ეტყობა, ცული შემკული იყო ორნამენტით. დღეს ეროზიის გამო მოშლილია და ცუდად იკითხება. საკვეთი პირი ეროზიითაა დაკბილული. 7,5 სმ X 3 სმ. ყუის დიამეტრი 2 სმ-ია. პირის სიგანე – 3 სმ.

**103. 6) კოლხური ცული, მცირე ზომისა**

გმმ. ა. (11505/1)/(გ-630) (ტაბ. 37)

პირველი სახეობისა. გლუვი ტანით. ყუის წვერიდან ჩამოდის ქედი, რომელიც მხრების კიდემდე ვრცელდება. ყუის ოვალური ნახვრეტი შემკულია ფართო ორ-ორი ღარით. ტანი მოხატულია ირიბი ღარებით. ვარდულები ცუდად ჩანს, ამოკითხვა ძნელია. 8 სმ X 9,5 სმ. პირის ფართი – 3,5 სმ, ოვალური ფორმის ყუის დიამეტრი 2,5 სმ-ია.

**103. 7) კოლხური ცული. რკინა**

გმმ. ა. (11559/1)/(გ-631) (ტაბ. 38)

მეორე სახეობისა. ძლიერ დეფორმირებული. ყუა – გადამსხვრეული. ყუას სწორი კოპი ადგას. 14 სმ X 6 სმ. პირის ფართი 6 სმ. ყუის ნახვრეტის დიამეტრი 3 სმ.

**103. 8) კოლხური ცული. რკინა**

გმმ. ა. (11507/1)/(გ-632) (ტაბ. 38)

მეორე სახეობისა. ყუა და კოპი მოტეხილია. შემორჩენილია ყელის ნაწილი და საკვეთი პირი. მხატვრული გაფორმება ეროზიის გამო სრულიად მოშლილია. 8 სმ X 4 სმ. საჭრელი პირი 4 სმ-ია, ყელის ნაწილი – 3,5 სმ.

**104. სატევრები. რკინა**

გმმ. ა.(11508/1-3)/(გ-633-635) (ტაბ. 37)

3 ცალი. საკმაოდ დეფორმირებულია.

**№ 633**. საკმაოდ გრძელი ერთეული. ტანი მომსხვრეულია. წვერი დაზიანებულია. ტანზე ორივე მხარეზე სამი პარალელური ღარი შეიმჩნევა. 15 სმ X 3 სმ.

**№ 634**. საკმაოდ შემონახული ერთეულია. სამ ადგილას გადამტვრეულია. წვერი და სატარის ნაწილია შემორჩენილი. საკვეთი პირი ძლიერ ეროზირებულია. წელის ორივე მხარეს აღინიშნება სამი პარალელური ღარი. 14 სმ X 3 სმ.

**№ 635**. ტანი და წვერი მომსხვრეულია. საკვეთი პირები ჩაჭმულია. წელის ორივე მხარეს ეტყობა ოთხ პარალელურ ღარს შორის ხუთი რელიეფური ხაზი. 8 სმ X 2 სმ.

**105. ნივთი. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11509/1)/(გ-636) (ტაბ. 38)

მარყუჟისებურია, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული. დიამეტრი – 0,3 სმ. ზომები 2 სმ X 2,5 სმ.

**106. 1) ანთროპომორფული გამოსახულება. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11510/1)/(გ-637) (ტაბ. 37)

საკმაოდ დაცულია. ყელს ზემოთ თავი მოტეხილია. ყელზე შემოხვეულია თავსაბური, რომელიც გადადის ნაწნავის ხვეულზე. გაშლილი მკლავების ნაწილია შემორჩენილი, რომელზედაც თხელი სამოსის საფარი ჩანს. მკერდი და ძუძუს კერტები რელიეფურადაა გამოსახული და ფარავს თხელი საბურველი. კარგადაა დაცული გავა, გაშლილი ფეხები, თხელ ფირფიტაზე დაბჯენილი ტერფები. სიმაღლე 7 სმ-ია, მხრების სიგანე კი – 3 სმ.

**106. 2) ანთროპომორფული გამოსახულება. მქადაგებელი**

გმმ. ა. (11511/1)/(გ-638) (ტაბ. 39)

ბრინჯაოს მინიატიურული ქანდაკება. მამაკაცი დგას ტრიბუნაზე, ოვალურ მოაჯირს ისე მძიმედ მიყრდნობია, თითქოს ჩაუზნექია კიდეც. მოაჯირში ჩართულია ფალოსი. ფიგურას მკლავები წამოწეული, მაჯები ჩაკეცილი და მტევნები დამუშტული აქვს. ტუჩი ჩაპობილი, თვალები წამოქაჩული, ფეხები განზე, ერთი ფეხი ოდნავ წინ წადგმული. თავზე კონუსური ფორმის ქუდი ახურავს, რომელიც წარბებამდეა ჩამოფხატული. ყურები განიერი, ცხვირი საკმაოდ წინწამოწეული, ნესტოები დაბერილი. სახის და ტანის ყველა ნაკვთი მოძრაობაშია, რაც მიგვითითებს, რომ იგი მეტყველების პროცესშია. ამდენად, ქანდაკება მქადაგებლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ფიგურის სიმაღლე 7 სმ-ია, ტრიბუნის განი 5 სმ X 5 სმ, მოაჯირის ოვალის დიამეტრი კი – 5 სმ. ქანდაკება სტილიზირებულია. 7 სმ X 5 სმ.

**106. 3) ხარჯიხვის ქანდაკება ქორბუდა რქებით. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11512/1)/(გ-639) (ტაბ. 39)

დინამიკურია, თითქოს საბრძოლველად გამზადებული, მაღალი ყელით, გრძელი პირითა და ქორბუდა რქებით. კუდი წამოწეული და ჩაღუნულია. რქების სიმაღლე 2 სმ-ია, ყელის სიმაღლე – 2,5 სმ, პირის სიგრძე – 1,5 სმ. უკანა ერთი ფეხი მსხვილია, სხვა ფეხები – წვრილი და წაწვეტებული. სულ – 8 სმ X 4,5 სმ.

**106. 4) თევზის ქანდაკება. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11513/1)/(გ-640) (ტაბ. 40)

ბრინჯაოს სქელი ფირფიტა, ყალიბში ჩამოსხმული, ოვალური ზურგით, ტალღოვანი მუცლით, ფართო, უფორმო კუდით (კუდის ნაწილი მომსხვრეულია), სქელი, დრუნჩა ტუჩით. შუბლზე კოპებით გამოყოფილია ფარფლები. ორი კოპი ზედა ფარფლს გამოხატავს. მუცლის არეში ორი, ცენტრში ერთი და ყელის არეში ხუთი კოპი ზის. თვალის ჭრილის ირგვლივ შეიმჩნევა ფართო წამწამები ან თვალის ფარფლები. ყელის ქეჩოსთან ერთი, ცენტრში, მუცელზე – ოთხი, ჯვრის მსგავსად გაწყობილი ფარფლი ზის. ზურგზე გაფორმება არ აღინიშნება. ყელთან ნაოჭებიანი ნაჩვრეტებია – ჩამოსხმის ნაკლი. 9 სმ X 3,5 სმ. სისქე 0,5 სმ-ია.

**106. 5) ბეჰემოთის ან სხვა მსგავსი ცხოველის გამოსახულება. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11514/1)/(გ-641) (ტაბ. 40)

ფიგურა საკმაოდ დინამიკურია, მოძრაობა – ხაზგასმული. ფიგურა მთელი სხეულით წინ წამოწეული და ნახტომისათვის გამზადებულია. ქეჩოწამომართული, დაღრენილი პირითა და წინ წახრილი მკერდით. ფიგურა მოკლე, სქელ ოთხ ფეხზე დგას (1 სმ X 0,5 სმ). საკმაოდ უფორმოა, კვადრატული, დაღრენილი პირით, ენაგადმოგდებული. ცხვირის ნესტოები საკმაოდ გამოყოფილია. დინგს ზემოთ ორი თვალის ღრუ ირგვლივ ამობურცული არშიით არის გამოსახული. ერთი თვალი უფრო გამოკვეთილია, თვალთა შორის ცხვირის კეხი წამოწეული. დაახლოებით 0,4 სმ სიგანის თვალიდან, 1 სმ-ის უკან, ქეჩოა წამომართული, ორი საკმაოდ ძლიერი ფარფლით, რომელიც შუაში გაყოფილია ღარით. ზურგის ხაზი მიუყვება კუდამდე. ტანი ოვალურადაა მუცლისაკენ ჩახრილი. მუცელი ამოღარულია 1 სმ X 3 სმ ღარით. უკანა ფეხები მენჯით საკმაოდ ამოწეულია. ზურგის ხაზი ბოლოვდება მძლავრი კუდით. კუდი მომსხვრეულია. კუდის ქვემოთ, მასიური მენჯის არეში არის ფართო ჭრილი. მენჯის შუაში ზის ორი საკმაოდ ხაზგასმული საკვერცხე ჯირკვალი, საიდანაც მუცლისკენ შეხრილია 2 სმ სიგრძის და 0,5 სმ სისქის ასო. მუცელი ღრუა. სულ – 9 სმ X 3 სმ. მსგავსი ფიგურა ლიტერატურაში დადასტურებული არ არის.

**107. ობსიდიანის ლამელა**

გმმ. ა. (11515/1)/(გ-642)

მომსხვრეული საკვეთი პირით. 3 სმ X 1,5 სმ.

**108. ბრინჯაოს საბურველი**

გმმ. ა. (11516/1-14)/(გ-643-656)

14 მცირე ფრაგმენტი. საბურველი დაქუცმაცებულია, მრავალ ადგილას ჩაჭმულია ნაფლეთები. 1 მმ სისქის ფურცელი. 15 სმ X 11 სმ.

**109. ნაცრისფერი თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტები**

გმმ. ა. ( 11517/1)/(გ-657) (ტაბ. 41)

12 ცალი. ვაზის ფსკერი – ფართო, მომსხვრეული, როგორც ჩანს, შემოხაზული იყო ორი ღარით. მის ზემოთ ორ ფრიზად დაყოფილი კედელია. პირველი და მეორე ფრიზი გამოყოფილი იყო 0,3 სმ-ის სიგანის ღარით, ხოლო მესამე – ქვემოთ და ზემოთ ღარებით ამოხაზული ფართო ზოლით. თითოეულ ფრიზზე, ჭურჭლის ირგვლივ, სამკუთხედები იყო ამოღარული, რომლის შიგნით ჭადრაკული უჯრედებია ჩახაზული, ხოლო ყელთან ისევ ღარია. შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი ყუ-

რიც, დიამეტრით 1 სმ. მასზე ემჩნევა ურთიერთდახრილი ხაზები, შესაძლოა, მზის სხივების სტილიზაცია.

**მესამე სამარხის ივენტარი**
**18 /III/1974**

მიცვალებულს მკერდის არემდე ეფარა ბრინჯაოს 1 მმ სისქის ფურცელი, რომელიც ეროზიის გამო ძლიერ დაზიანებული იყო და ამოღების დროს დაიმსხვრა. სამარხი ძალზე დაზიანებულია. თიხის მთელი ზედა ფენა გადაცლილი და ნაწილი ბულდოზერის ნიჩბით იყო მოგლეჯილი.

**110. მძივი**

გმმ. ა. (11518/1-49)/(გ-669) (ტაბ. 41)

49 ცალი. აღმოჩნდა ყელის არეში. არის სარდიონის, ქარვის, პასტის, მინისა და გიშრის მძივები, სხვადასხვა ზომისა და ფორმისა, უპირატესად – მრგვალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სარდიონის 2,5 სმ დიამეტრის, მრგვალი, გარდი-გარდმო ღარების ფართო უჯრედებით შემკული მძივი, დაახლოებით ისეთი, როგორიც კოლხეთის ექსპედიციის მასალებში აქვს აღწერილი ბ. კუფტინს ერთ-ერთი კერამიკული ჭურჭლის კედელზე;[1] გიშრის 1 სმ-იანი დიამეტრის რამდენიმე მარცვალი; თეთრი ფერის პასტის 1 სმ სისქის მძივი, მწვანედ შეღებილი, მრგვალი და შედარებით ბრტყელი ერთეული, სიგრძივ გახვრეტილი. წელი ერთი ღარით შეწეულია და ყოველი მხარე წვრილი ღარებითაა დაქსელილი. მწვანე, ფერადი მინის, 0,5 სმ-ანი დიამეტრის 4 ერთეული; სარდიონის 1,5 სმ-იანი დიამეტრის 5,1 სმ დიამეტრის 16, 0,8 სმ დიამეტრის 22 მარცვალი.

**111. ფიბულის კაუჭი**

გმმ. ა. (11519/1)/ (გ-718) (ტაბ. 42)

ბრინჯაოს მრგვალი მავთული, 0,5 სმ სისქისა, თავში კაუჭად ჩახვეული. სწორი ღეროთი და მახვილი წვერით. ეტყობა, ქინძისთავის მოვალეობასაც ასრულებდა.

**112. ორი ცალი ოქროს მძივი**

გმმ. ა. (11520/1-11521/1)/(გ-719-720) (ტაბ. 42)

**№ 719**. 1 სმ დიამეტრის ერთეული; ცალი მხრით ჩაჩვრეტილი, კედლები კუწუბო წერტილებითაა შემოსილი, ირგვლივ – რელიეფური ვარ-

[1] Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, ტაბ. 62, სურ. 1.

დულებით. სამკედე ნახვრეტის თავი და ბოლო რელიეფური ზოლითაა გამოყოფილი, რომელსაც წვრილი ღარი შემოუყვება.

**№ 720**. წვრილი, 3 მმ სისქის ერთეული. ამოღების დროს დაიმსხვრა. ფრაგმენტის გარე კედლებზე ორნამენტი არ ჩანს.

ეს ორი ერთეული გვაფიქრებინებს, რომ საფლავის ინვენტარში ალბათ, ოქრო და ვერცხლი ბლომად იყო, მაგრამ გაძარცვულია ძალიან ადრეულ ხანაში.

Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, ტ. II, **ტაბულა 62**, სურ. 1.

**113. ბრინჯაოს ზარაკი**

გმმ. ა. (11522/1)/(გ-721) (ტაბ. 42)

კონუსური ფორმისა, ტანდაფანჯრული, მინიატიურული. ამოღების დროს დაიმსხვრა. სამაგრი კაუჭი მომსხვრეული აქვს; შემორჩენილია მხოლოდ ნაწილი, ასევე წელისა და ფუძის ერთი მხარეა დაცული. 3 სმ X 1,5 სმ, ფუძის დიამეტრი 1,5 სმ -ია. მსგავსი ნივთები ხშირად გვხვდება კოლხეთის ეთნოგრაფიულ მასალათა კოლექციაში.

**114. სხვადასხვა ზომის ვერცხლის ბეჭდები**

გმმ. ა. (11523/1-5)/(გ-722-726) (ტაბ.42)

ვერცხლის წვრილი, 3 მმ სისქის ოდნავ ბრტყელი მავთული. ჩახვეული. ეროზიის გამო ბეჭდების მხატვრული გაფორმება არ ჩანს. რგოლები ტექნიკურად ერთგვაროვანია, 1-2 სმ დიამეტრისა. სხვა დანარჩენი 2 სმ დიამეტრის; ერთის მხოლოდ ორი ოვალის ფრაგმენტია შემორჩენილი. მსგავსი ბეჭდები საკმაოდაა აღწერილი ლიტერატურაში.

**115. სამაჯურები, ბრინჯაოს რგოლები**

გმმ. ა.(11524/1-2)/(გ-727-728) (ტაბ. 42)

ორი ცალი.

**№ 727**. 4,5, 0,5 სმ დიამეტრის მავთული, თავგახსნილი, თავთან წაწვეტებული, ჭდეულზედაპირიანი.

**№ 728**. მავთული მრგვალგანივკვეთიანი, თავგახსნილი და წაწვეტებული, ჭდეულზედაპირიანი, 4,5 სმ-იანი დიამეტრით. მსგავსი სამაჯურები მრავლადაა აღწერილი კოლხეთის არქეოლოგიურ მასალაში.

**116. მავთული, ჩახვეული 4,5 სმ დმ. რგოლად**

გმმ. ა. (11525/1)/(გ-729) (ტაბ. 42)

მავთულის სისქე 2 მმია. ეროზიით დეფირმირებულია, მხატვრული გაფორმება არ იკითხება.

**117. სამაჯურთა ფრაგმენტები, ბრინჯაო**

გმმ. ა. (11526/1-4)/(გ-730) (ტაბ. 42)

4 ცალი. ეტყობა, ერთი ერთეულის ნამტვრევებია. 9 მმ სისქის ბრტყელი ფირფიტა, ჩახვეული, შუბლზე ნაპირები რელიეფური ხაზებითაა დამშვენებული. წელზე მაღალი ქედი მიუყვება, რომელთა შორის, სივრცეში, თითო წერტილების მწკრივია. ეტყობა, სამაჯური დაახლოებით 4,5 სმ დიამეტრისა იყო. ფირფიტის განი 1 სმ-ია.

**118. ფიბულა, ბრინჯაო**

გმმ. ა. (11523/1)/(გ-734) (ტაბ. 42)

0,3 სმ დიამეტრის ბრინჯაოს მავთული დახვეულია 3 სმ-ის დიამეტრის ოვალურ რკალად, შემდეგ მარყუჟით იხვევა მავთულის წვერი და იკვრება შესაკრავი კაუჭის ენად. კაუჭის სამაგრი ჩარჩო ფიბულას რკალის ბოლოს მოგლეჯილი აქვს. ენაც თავისი კაუჭით მოტეხილია. მსგავსი ფიბულები კოლხეთის არქეოლოგიურ მასალათა შორის მრავლადაა აღწერილი.

**119. სატევრის ტარი, ბრინჯაო**.

გმმ. ა. (11528/1)/(გ-735)

მხოლოდ ვადაა შემორჩენილი. ვადის ზემოთ სატარის ნაწილია, რომელზედაც ტარის სამაგრი ერთი ბრინჯაოს მანჭვალი ზის. ვადის ქვემოთ, სატევრის პირი რკინისაა. ვადა ბრტყელია, ოვალურგანივკვეთიანი, თხემლესილი, წვერისკენ შევიწროებული. ვადის ქვედა ნაპირი ბრინჯაოს ორი ლარტყულითაა შეკრული, რომელიც ვადის გვერდებიდან იშლება და 1 სმ სივრცეს ტოვებს. ლარტყულების ფართი 0,7 სმ-ია, სისქე – 0,7 სმ. ლარტყულის ზემოთ, ზურგზე, შემორჩენილია ტარის სამაგრი ბრინჯაოს ერთი მანჭვალი, რომლის ქუდის ოვალის სიგანე 0,5 სმ-ია, ვადის სიმაღლე – 3 სმ, სატარის ნაწილი კი 1,3 სმ. პირის ნაწილი 2 სმ-ია, ხანჯლის ტარის ფართი – 2 სმ. ეტყობა, სატევარს ორივე გვერდზე მაღალი ქედი მიუყვებოდა.

**120. სატევარის ტარი. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11527/1)/(გ-736) (ტაბ. 43)

ორიგინალური ფორმისა, გრძელი ტარით, რომელიც ბოლოვდება ორნამენტული ხუფით. 14 სმ X 4 სმ. ტარის თავი სწორი, ფოლაქისებრი, გამოყვანილი, ჩაღარული, ზედაპირდაღარული. სატარე კოტა ოთხწახნაგა-განივკვეთიანია. მხრები დაშვებული, მომრგვალებული, ვადა სწორი,

ღარებით შემკული. ვადაზე ემჩნევა ორი ფართო, ღრმა ფოსო. სატევარს პირი, როგორც ჩანს, რკინის ჰქონდა.

**121. ბრინჯაოს კოლხური ცული**

გმმ. ა. (11530/1)/(გ-737)

საკმაოდ დიდი ზომისაა, მესამე სახეობის. მაღალი, ბრტყელი თავით, ოვალური სატარე ყუით, რომლის დიამეტრი უდრის 4,5 სმ X 3 სმ, თავის სიმაღლე 2,5 სმ-ია. საერთოდ, ნივთის სიგრძე 13 სმ-ია, პირის სიგანე – 7 სმ. ყუის ნახვრეტის ნაპირები შემკულია ორი პარალელური, რელიეფური ხაზით. ეროზიის გამო მხატვრული გაფორმება არ ჩანს. მსგავსი ცულები აღწერილი აქვს დ. ქორიძეს.[1]

**122. ბრინჯაოს კოლხური ცული**

გმმ. ა. (11531/1)/(გ-738)

მესამე სახეობისა, ბრტყელი, სწორი თავით. ყუის ნახვრეტი – 3,5 სმ X 3 სმ. ოვალური ფორმის, ზედაპირზე სამი ფართო ღარით, რომელთა შორის საკმაოდ ამოწეული ქედები ზის. ყუის ნაპირები შემკულია ირიბად დაჭდეული ორი რელიეფური ხაზით. ყუაზე, ორივე მხარეს, ჩამოდის ორი პარალელური რელიეფი, რომელიც ყუის ბოლომდე ეშვება და იშლება პირზე. ესეც ღარებითაა დამშვენებული. საჭრელი პირი ეროზიით ამოჭმული და დაკბილულია. მისი სიგანე 7 სმ-ია, ნივთის სიგრძე – 18 სმ. ეტყობა, ტანი ორნამენტირებული ჰქონდა.

**123. რკინის ცულისთავი**.

გმმ. ა. (11532/1)/(გ-739)

ბრტყელი. 1 ცალი. ეტყობა, მესამე სახეობის ცულის ნაწილი იყო. შემორჩენილია თავისა და ყუის ნახვრეტის ნაწილი, 3,5 სმ სიგრძისა და 2,5 სმ სიგანისა. ყუის ხვრეტილის დიამეტრი 2,5 სმ-ია.

**124. სატევრები. ბრინჯაო**

გმმ. ა.(11533/1-3)/(გ-740-741) (ტაბ. 43)

ერთი – შედარებით სრული, ორი – ფრაგმენტი.

**№ 740**. სატევარი ბრინჯაოსი, საკმაოდ სრულად დაცული. 16 სმ X 2 სმ. ორივე მხარეზე მაღალი ქედით, საკმაოდ მახვილი წვერითა და მცირე სატარე ყუნწით. ორივე საჭრელი პირი დეფორმირებული. მხატვრული

[1] დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 61-67.

გაფორმების კვალი არ ემჩნევა. მსგავსი სატევარი ცნობილია კოლხეთის თითქმის ყველა არქეოლოგიურ კოლექციაში.

**№ 741**. ორიგინალური ფორმის სატევარი. პირნაკლული. წელზე გადამსხვრეული. აქვს მაღალი სატარე ყელის ნაწილი, ფართო ყუნწი, დაშვებული მხრები. სიგრძივ დაუყვება ბრტყელი, მაღალი ქედი, რომელიც ირიბი ჭდეების მწკრივითაა შემკული. შემდეგ ორივე მხარეზე პარალელური ღარია, რომელიც მცირე შებექებას ქმნის და ირიბი ჭდეებითაა დამშვენებული. სატარის სიმაღლე 1,5 სმ-ია. მხრები ეროზიით დეფორმირებულია. 10 სმ X 3,5 სმ.

**№ 742**. სატევარის პირი, წვერმოგლეჯილი. ტარის ნაწილი, გვერდებზე მსგავსი ხაზებით. 5 სმ X 3 სმ.

**125. კოლხური ცულისთავი ყუის ნაწილით**

გმმ. ა. (11534/1)/(გ-742)

მეოთხე სახეობისა, მინიატიურული, თავი მრგვალი, ოვალური, საკმაოდ მაღალი, 1,3 სმ სიმაღლის, 1,5 სმ სიგანისაა ქუდით. ყუის ოვალური ნახვრეტი 2 სმ-იანი დიამეტრით. კოპის ყელიდან, ორივე მხარეს, ყუის მხრებზე სამი რელიეფი იშლება. რელიეფებს შორის სივრცე ფართო, ღრმა ღარითაა დაფარული.

**126. რკინის სატევრები**

გმმ. ა.(11535/1-3)/(გ-743-745) (ტაბ. 43)

**№ 743**. სრულიდ ეროზირებული და დეფორმირებულია. 11,5 სმ X1 სმ.

**№ 744**. წვერითა და სატარე ყელის ნაწილით. ეროზიით სრულად დეფორმირებულია. 15,5 სმ X 1,5 სმ.

**№ 745**. დეფორმირებულია. ყელი და წვერი მომსხვრეული აქვს. 12 სმ X 1,5 სმ.

**127. თოხი**

გმმ. ა. (11536/1-2)/(გ-746-747) (ტაბ. 43)

ბრინჯაო. ორი ცალი. ერთის მხოლოდ ყუა და მხარის ნაწილია შემორჩენილი, მეორე საკმაოდ დაცულია.

**№ 746**. თოხის ყუა. ხასიათდება სწორი, ძალზე დაქანებული ტანით. შემორჩენილია ყუა და ერთი მხარის ნაწილი. საჭრელი პირი მოგლეჯილია. სატარე ნახვრეტის დიამეტრი 2,5 სმ-ია. 6 სმ X 8 სმ ტანი. გადამსხვრეულია და ნამსხვრევი დაკბილულია. სატარე გარეთა მხარეს უფრო ფართო.

**№ 747**. ბრინჯაოს თოხი, სწორი ტანით. საჭრელი პირი და მხრები მომსხვრეულია, ყუა – სწორი. ყუის ნახვრეტი მაღალი გონიოებითაა შემოსარტყული. 6,5 სმ X 7 სმ. გარეთა მხარეს სატარე უფრო ფართოა.

**128. სეგმენტები. ბრინჯაო**

გმმ ა. (11537/1-13)/(გ-748-760)

ერთი ტიპის, 13 ცალი.

**№ 748**. საკმაოდ დაცული. საკვეთი პირი ეროზიითაა ჩაჭმული. ირიბი ღარები სამკუთხედად ვრცელდება სატარიდან მხარზე. ზურგზე ხაზები არ ჩანს. 10,5 სმ X 10 სმ.

**№ 749**. საკვეთი პირი მოცვეთილია. ზედაპირზე ღარების ირიბი ზოლი სამკუთხედად, მზის სხივის მსგავსად იშლება მთელ ტანზე. ზურგზე ორნამენტი არ ჩანს. 8 სმ X 11,5 სმ.

**№ 750**. სეგმენტი, საკმაოდ ეროზირებული ტანით. ორნამენტი არ იკითხება. 11 სმ X 12 სმ.

**№ 751**. სეგმენტი. საკმაოდ დაცულია. საკვეთი ოვალი მოტეხილი და ეროზიით დაკბილულია, ორნამენტი არ იკითხება. 10 სმ X 11,5 სმ.

**№ 752**. საკმაოდ ეროზირებული სეგმენტია. საკვეთი პირი ახლეჩილია და დაკბილული. ტანზეც, ეროზიის გამო, ნაჩვრეტებია. ორნამენტი არ იკითხება. 10 სმ X 12 სმ.

**№ 753**. სრულიად ეროზირებულია. მხრები და საკვეთი პირი მოშლილია, ტანიც საკმაოდ ეროზირებულია. 7 სმ X 7,5 სმ.

**№ 754**. სრულიად ეროზირებული სეგმენტია. მხრები და საჭრელი პირი მოტეხილია. ტანი საკმაოდ ეროზირებულია. 8 სმ X 7,5 სმ.

**№ 755**. სრულიად ეროზირებული ეგზემპლარია. მხრები, საკვეთი პირი სრულიად მოგლეჯილია. სატარე დაზიანებულია. 7 სმ X 6 სმ.

**№ 756**. სრულიად ეროზირებული ეგზემპლარია. მხრები და საკვეთი პირი მოგლეჯილია. 9 სმ X 6 სმ.

**№ 757**. სრულიად ეროზირებული ეგზემპლარია. ტანი, სატარე, მხრები, საკვეთი პირი მოშლილია, შემორჩენილ მხარეზე და ყელზე ღრმა ღარების კვალით. ორნამენტი არ იკითხება. 9 სმ X 7 სმ.

**№ 758**. სრულიად ეროზირებული ეგზემპლარია. ცალი მხარი და საჭრელი პირი მოშლილია, ჩახლეჩილი, ეროზირებული. ორნამენტი არ იკითხება. 10 სმ X 10 სმ.

**№ 759**. ძლიერ ეროზირებული ეგზემპლარია. ერთი მხარი ჩაგლუვებულია, მეორე – შედარებით შენარჩუნებული, საკვეთი პირი ჩახლეჩილი, დაკბილული. ზედ ორნამენტის ხაზები არ იკითხება. 10 სმ X 11 სმ.

**№ 760**. ძლიერ ეროზირებული ეგზემპლარია. მხრების ბოლოები და საკვეთი ოვალი მოშლილია, ტანი – ეროზირებული. 10 სმ X 8 სმ.

**129. სარტყლის ბალთები. ბრინჯაო**.

გმმ. ა. (11538/1-4)/(გ-761-764)

4 ცალი. საკმაოდ დეფორმირებულია.

**№ 761**. ბალთის შუა ნაწილი ოდნავ წამოწეულია. ცენტრის ზურგზე ზის 0,5 სმ სიგანისა და 1 სმ სიგრძის სამაგრი ყუნწი. ბალთის ქვედა ნაწილი ყოფილა ღრმა, 0,7 სმ სიგანის ღარით დამშვენებული, რომლის ორივე მხარი მაღალი შებექებითაა წარმოდგენილი, რომელიც დღეს მხოლოდ ცენტრშია შემორჩენილი. ორნამენტი არ იკითხება. 5,5 სმ X 3,5 სმ.

**№ 762**. ბალთის მარჯვენა მხარი. ეტყობა, ცენტრი მაღლა იყო აზიდული. ბოლოც ზემოთ აზიდულია და განიერდება. ზედა ნაპირი ოვალურია, რომელიც ბრტყელდება და გლუვია. ასევეა მხარის ბოლოც. ქვედა ნაპირი ოვალურია, რომელიც 0,7 სმ სიგანის ღარით იკვრება. ღარში ხვრეტილთა თვლები უნდა ყოფილიყო. იგი ქვემოთ შეკრულია ბრტყელი ქედით, რომლის ზედაპირი ირიბი ჭდეებითაა დამშვენებული. ბალთა ლამაზად ორნამენტირებული ყოფილა, მაგრამ ეროზიის გამო არ იკითხება.

**№ 763**. ბალთის მარჯვენა მხარის ფრაგმენტია. ბალთის ცენტრი და მხრის ბოლო აზიდულია. ზედა ნაპირი ოვალურია, ქვემდა – ღარით ამოღარული და რელიეფით შემოსაზღვრული. ბალთა ორნამენტირებული ყოფილა, მაგრამ დღეს არ იკითხება. 4,5 სმ X 2 სმ.

**№ 764**. ბალთის მარჯვენა მხარე ზემოთ აზიდულია მხარის წვერით, ზედა ოვალური მხარით. ორნამენტის კვალი ჩანს, მაგრამ სრულად ვერ იკითხება. 4 სმ X 1,5 სმ.

**130. ქანდაკებები. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11539/1)/(გ 765),

ა. (11540/1)/(გ 766) (ტაბ. 44)

**№ 765**. ხარის ქანდაკება. მაღალი, წამომართული ყელით, რქებით, ტუჩის ქვემოთ გრძელი, ორტოტა წვერით, ლამაზი, გამოკვეთილი გავით, გრძელი, ჩაკეცილი კუდით, მაღალჯავარიანი ფეხებით. ფიგურა შექმნილია ბრინჯაოს 1 მმ სისქის ფურცლის ჩახვევით. ღრუ მუცელში მოძრაობს ორი ბურთულა, რომელიც გამოსცემს სასიამოვნო ხმას. ქანდაკება უაღრესად დინამიკურია. ყელის სიმაღლე უდრის 3 სმ, სისქე – 2,9 სმ. 8 სმ X 8 სმ.

**№ 766**. ბრინჯაოს ვეფხვის (ავაზის) ქანდაკება, მინიატიურული. წელდაჭიმული, თავაწეული, დაღრენილი პირით, ჩაკეცილი და ოდნავ წა-

მოწეული კუდით. ფიგურა დინამიკურია, თითქოს მზადაა ნახტომისათვის. პროპორციები საკმაოდაა დაცული და ხაზგასმული. 6,5 სმ X 2,5 სმ.

**131. კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11541/1)/(გ-767) (ტაბ. 45)

გვერდის ფრაგმენტი – 5 ცალი, ყურის – 1 ცალი, ძირისა – 1 ცალი. ძირი ბრტყელია, ფართო, მკვეთრად გამოყოფილი ქუსლით. შესაძლოა, ვაზის ძირი იყოს. ქუსლის დიამეტრი 5 სმ-ია, სიმაღლე 2 სმ. ყური, ეტყობა სხვა ჭურჭლისაა, ალბათ, მცირე ვაზისა. ნაცრისფერი კერამიკაა, შავად გაპრიალებული. კედლის მცირე ნაწილის ერთი ფრაგმენტია შემორჩენილი, რომელიც სხვა ჭურჭლისაა: იგი უფრო თხელია, ასევე ნაცრისფერი მასისაგან დამზადებული. დანარჩენი ოთხი კი ეტყობა ჯამის ან ლანგრის კედლის ფრაგმენტია. ძირი მოტეხილია და კედლის ფრაგმენტებს შემორჩენილი აქვს ძირის ნაშთი. ჯამის კედლის სიმაღლე 3,5 სმ უდრის, კედლის სისქე – 0,7 სმ. პირი შიგნით აქვს ჩაკეცილი; კედლის ირგვლივ შემოყოლებულია ერთი ღარი. სხვა ორნამენტი არ ჩანს.

**მეოთხე სამარხის ინვენტარი**
**20/XII/1974**

არხის მარჯვენა ნაპირზე ერთი სამარხი ძლიერ დაზიანებული იყო. გავხსენით და პრეპარაცია მოვახდინეთ. სამარხი, სხვებთან შედარებით, ძალიან ღარიბი აღმოჩნდა. შესაძლოა, იგი გარკვეული დისტანციით დაშორებული იყო მარცხენა მხარის სამაროვანს და სოციალურად დაბალი, ნაკლებად შეძლებული ფენის წარმომადგენელს ეკუთვნოდა. ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა ამ სამარხის გახსნისას.

**132. მძივი**

გმმ. ა. (11542/1)/(გ-768) (ტაბ. 45)

სარდიონის, გიშრის, პასტისა და მინის. სულ 55 ცალი. აქედან ერთი 1 სმ დიამეტრისა და მეორე – 2 სმ დიამეტრის გიშრის ნამსხვრევებია. ერთიც მინისაა, 0,8 სმ-იანი დიამეტრისა. პასტის – 8 ცალი, სხვადასხვა ფორმისა და ყველა ორნამენტირებული, 33 მმ-დან 1 სმ-მდე დიამეტრით. სხვა დანარჩენი სარდიონისაა, ცილინდრული და მრგვალი ფორმის, 0,5 სმ-დან 2 სმ-მდე დიამეტრით. ერთი ქვისაა, ცილინდრული ფორმის, 3 სმ სიგრძისა და 1,5 სმ-იანი დიამეტრის.

**133. ქვიშაქვის სალესები**

გმმ. ა. (11543/1)/(გ-769) (ტაბ. 45)

მოგრძო, სწორკუთხა ფორმის, თავგახვრეტილი, ბოლოწაკვეთილი და შებრტყელებულია. პირველი – 11 სმ X 3 სმ, ხმარებისაგან გაცვეთილი, მეორე, ნაცრისფერი – 9 სმ X 3 სმ, ხმარებისეული ცვეთის კვალით.

**134. სეგმენტები. ბრინჯაო**

გმმ. ა.(11544/1-3)/(გ-770-772) (ტაბ. 45)

სამი ცალი. თითქმის ყველა ძლიერ ეროზირებულია. ერთი სრულიად დეფორმირებულია. ყველა ერთი ტიპისაა.

**№ 770**. სეგმენტი. 10 სმ X 7 სმ. ერთი ნაწილი მხართან, მეორე – პირთან მოგლეჯილი. საკვეთი პირი მოშლილია, დაკბილული. შუბლზე ირიბი ჭდეები სამკუთხედად ეშვება სატარიდან და სეგმენტის ტარზე სხივებად იშლება.

**№ 771**. სეგმენტი. ძლიერ დეფორმირებულია. ტანი ეროზიითაა ჩაჭმული, ორივე მხარი კიდეზე წამტვრეულია, საკვეთი პირი დეფორმირებული. შუბლი ირიბი ხაზებითაა დაღარული. ტანზე ღარები ეროზიის გამო არ იკითხება.

**№ 772**. სეგმენტი, მთლიანად დეფორმირებულია, სატარე ჩაჭმული, ერთი მხარი მოგლეჯილი, საკვეთი ბოლოები დეფორმირებული. შუბლზე აქვს ღარული ორნამენტით.

**135. სატევრები. რკინა**

გმმ. ა.(11545/1-3)/(გ-773-775) (ტაბ. 46)

ეროზირებულია და მთლიანად დაქუცმაცებული.

**№ 773**. სატევარი 7 სმ X 3 სმ. სრულიად დეფორმირებულია. წვერი და სატარე ყუნწი მოტეხილია. მოგრძო სამკუთხედისებური ტანი ჰქონია, სატარე ყუნწით.

**№ 774**. სატევარი. საკვეთი პირის ნაწილია, სრულიად ეროზირებული. 9 სმ X 3 სმ.

**№ 775**. სატევარი. საკვეთი პირი მოგლეჯილია. სატარე ყუნწია, 1 სმ სიმაღლის ნაწილით, სრულიად ეროზირებული. 8 სმ X 3 სმ.

**136. სამაჯურის ფრაგმენტები და ბრინჯაოს მცირე რგოლი**

გმმ. ა. (11546/1-5)/(გ-776-780) (ტაბ.46)

**№ 776**. ბრინჯაოს სამაჯურის საკმაოდ დიდი ფრაგმენტია, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის. სისქე 4 მმ-ია, სიგრძე – 6,5 სმ. ორნამენტი არ იკითხება.

**№ 777**. ბრინჯაოს ფრაგმენტია, ანალოგიური, თავბოლოწამახვილებული. 0,5 სმ სიგრძის, 0,7 სმ დიამეტრის მავთული. ეროზირებული. ორნამენტი არ იკითხება.

**№ 778**. სამაჯურის ოვალი, თავბოლომოგლეჯილი. 0,4 სმ სისქისა და 4 სმ დიამეტრის მოხრილი მავთული. ორნამენტის კვალით, რომელიც ვერ იკითხება.

**№ 779**. სამაჯურის ნამტვრევები. 0,4 სმ სისქის, 2,5 სმ სიგრძის, ბრინჯაოს მავთულის ოდნავ ოვალირი რკალი. ორნამენტი არ იკითხება.

**№ 780**. ბრინჯაოს ბეჭედი, თავგახსნილი, 2 სმ დიამეტრის დახვეული მავთული. ორნამენტის კვალი არ ჩანს.

**მეხუთე სამარხის ინვენტარი**
**7/IV/ 74**

სამარხი მარცხენა მხარეს, მესამე სამარხის აღმოსავლეთით აღმოჩნდა. ეს ნაწილი მიწის სქელი ფენით იყო დაფარული და არ ვაპირებდით მის გახსნას. 1 აპრილს გვაცნობეს, რომ მას ადგილობრივი ახალგაზრდები თხრიან. მაშინ, უკვე მიწაგადაცლილი სამარხის კონტურები გავწმინდეთ და მასალის პრეპარაცია მოვახდინეთ.

**137. მძივი**

გმმ. ა. (11547/1-80)/(გ-781-860) (ტაბ.46)

გიშრის, სარდიონის, პასტის და მინისა, სულ ოთხმოცამდე, სხვადასხვა ფორმისა.

**№ 781**. გიშრის მრგვალი მძივები საკმაოდ დიდი ზომისა – 2 და 2,5 სმ-ის დიამეტრით, ორნამენტის გარეშე.

**№ 800**. გიშრის მძივები მცირე ზომისა.

**№ 823**. სარდიონის დიდი ზომის მძივები, სხვადასხვა ფორმისა, 1-დან 3-სმ-მდე დიამეტრით.

**№ 832**. სარდიონის პატარა 0,5 სმ დიამეტრის მძივები, ორნამენტის გარეშე.

**№ 859**. მინის მძივი. ერთი ცალი – 0,5 სმ, მეორე – 1 სმ დიამეტრით, გამჭვირვალე, თეთრი ფერისა. ერთი დაზიანებულია.

**№ 860**. სარდიონის მძივი, სამკუთხედის ფორმისა. ბრტყელი, გვერდები ოდნავ დაზიანებულია, 2 სმ სიმაღლის, 1,5 სმ ფუძით.

**138. სატევრის ფრაგმენტები. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11548/1-5)/(გ-861-865) (ტაბ.46)

5 ცალი. საკმაოდ დეფორმირებულია.

**№ 861**. წვერი და სატარე ყუნწი მომსხვრეულია. საკვეთი პირი ეროზიით დაკბილულია, ოვალურგანივკვეთიანი ტანით. ერთი საკვეთი პირი მსუბუქადაა მორკალული. 10,5 სმ X 2,5 სმ, სისქით – 3 მმ.

**№ 862**. სრულიად უფორმო, საკვეთი გვერდები და თავბოლომომსხვრეული. 6 სმ X 3 სმ, 0,5 სმ სისქის.

**№ 863**. წელის ნაწილი. პირები – მოცვეთილი. უზუსტო, გლუვი წელით. 3 სმ X 3 სმ.

**№ 864**. მცირე ფრაგმენტი საკვეთი გვერდისა. 1,5 სმ X 2,5 სმ.

**139. სეგმენტები. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11543/1-6)/(გ-866-871) (ტაბ.46)

6 ცალი. ყველა ერთი ტიპისა. ხასიათდება მაღალი, სწორი სატარით, გაშლილი სწორი მხრებით და მეტ-ნაკლებად მორკალული პირით.

**№ 866**. საკვეთი პირი დეფორმირებულია. ერთი მხარის ნაწილი მოგლეჯილი აქვს, საკვეთი პირი დაკბილული, სატარეზე მოკლე ხაზებით, რომელიც ეროზიის გამო არ იკითხება. 9 სმ X 10 სმ.

**№ 867**. სეგმენტი. საკმაოდ დაცულია. მხრები და საკვეთი პირი დეფორმირებულია, ეროზიით დაკბილული, სადა. 11,5 სმ X 10 სმ.

**№ 868**. სეგმენტის ერთი მხარი და საკვეთი პირი მომსხვრეულია, ბოლო – დაკბილული, ტანი საკმაოდ ეროზირებული, სადა. 10 სმ X 10,5 სმ.

**№ 869**. სეგმენტი. ერთი მხარი მომსხვრეულია. ეროზიის გამო ტანი საკმაოდ ჩაჭმულია. საკვეთი პირიც დაკბილულია, სადა. 12 სმ X 12 სმ.

**№ 870**. საკვეთი პირი გაცვეთილია და ეროზიით დაკბილული. ტანი საკმაოდ დეფორმირებულია, სადა. 9 სმ X 12 სმ.

**№ 871**. სეგმენტი. საჭრელი პირი ეროზირებულია, ზედ ორნამენტით.

**140. სამაჯურები. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11550/1-5)/(გ-872-876) (ტაბ.46)

5 ცალი. მათ შორის ერთი ოვალური ფრაგმენტია.

**№ 872**. ბრინჯაოს 0,3 მმ სისქის მავთული, 5 სმ დიამეტრის რგოლად ჩახვეული, სადა.

**№ 873**. ბრინჯაოს რელიეფური ფირფიტა 0,4 სმ სიგანისა, ჩახვეული 0,5 სმ დიამეტრის რგოლად, ზედაპირდაშტრიხული.

**№ 874**. ბრინჯაოს 0,4 სმ სიგანის ფირფიტა, ჩახვეული რგოლად, შუბლზე სწორი ხაზებით. ღარები გამოყოფილია ჯვარედინი ღარებისაგან შექმნილი ირიბი ჯვრებით.

**№ 875**. ბრინჯაოს ჩახვეული მავთული, 5 სმ-იანი დიამეტრის რგოლად მოღუნული. თავბოლოწაბრტყელებული, ზედაპირზე სპირალური ორნამენტით შემკული.

**№ 876**. ბრინჯაოს ფირფიტა, სამაჯურის რგოლის საკმაოდ დიდი ფრაგმენტი, 0,4 სმ სიგანის, 6,5 სმ სიგრძისა, შუბლზე ღარები გამოყოფილია ვარსკვლავებით.

**141. ბრინჯაოს ქანდაკება**

გმმ. ა. (11551/1)/(გ-877-878) (ტაბ. 47)

**№ 877**. მინიატიურული ხარ-ჯიხვი. საკმაოდ დაცულია. აქვს მაღალი ყელი, ქორბუდა რქების წამტვრეული ნაწილით. ორი უკანა და ერთი წინა ფეხი მომტვრეულია. შემორჩენილია ერთი ფეხი სრულად, ჩლიქების გარეშე. კუდი ოდნავ ოვალურად წამოწეული, თავი და პირი საკმაოდ გრძელი. ტანი სწორი, ოდნავ ჩახრილი. პოზა საკმაოდ დინამიკურია, ყელმოღერებული, მთელი სხეულით დაჭიმული. 6 სმ X 3 სმ ფეხის წვერებამდე. მუცლის დიამეტრი 1 სმ-ია.

**№ 878**. მამაკაცის ბრტყელი ქანდაკება (ტაბ. 48). მაღალი ყელით, ბრტყელი მკერდით, საკმაოდ ბრტყელი თავით, მკვეთრად გამოსახული სახის ყველა ელემენტით; ეტყობა საკმაოდ გრძელი, მოღუნული ცხვირი, რომლის მცირე კოპია შემორჩენილი. თავზე ეტყობა თმის კვალი. თავზე ახურავს ჩაჩქანის მსგავსი, მაღალი, წვეტიანი რომაული ქუდი. შემორჩენილია იდაყვთან წამტვრეული მოღუნული მკლავი, ხოლო მეორე მკლავის იდაყვის ზემო, მცირე ნაწილი. 5 სმ X 3 სმ. პირისახის სიგანე – 0,7 სმ. ქანდაკება სახით კარსნისხევის ტერაკოტული მამაკაცის თავის ქანდაკების მსგავსია, ოღონდ ეს უკანასკნელი უქუდოა (მცხეთა 11. 1978 წ. თბილისი, სურათი 107).

**142. ტყვიის 0,3 სმ-ის სისქის მავთული, ჩახვეული რგოლებად, თავგახსნილი.**

გმმ. ა. (11553/1)/(გ-879-884) (ტაბ. 48)

**№ 879**. რგოლი 2 სმ დიამეტრით. საკმაოდ ეროზირებულია.

**№ 880**. 0,5 სმ სისქის მავთული, ჩახვეული 1 სმ დიამეტრის რგოლად.

**№ 881**. 0,4 მმ მავთული, ჩახვეული 1 სმ დიამეტრის რგოლად.

**№ 882**. 0,4 მმ მავთული, ჩახვეული 0,8 სმ დიამეტრის რგოლად.

**№ 883**. 0,4 მმ მავთული, ჩახვეული 0,7 სმ დიამეტრის რგოლად.

**№ 884**. 0,4 მმ მავთული, ჩახვეული 0,6 სმ დიამეტრის რგოლად.

**143. ძეწკვი. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11554/1)/(გ-885) (ტაბ. 48)

საკმაოდ დიდი რგოლები, სულ – 7 ცალი. თვალი ოვალური ფორმისაა და სიგრძით 1,5 სმ-ს უდრის.

**144. სარტყლის ბალთის შუა ნაწილი, მაღლა აწეული ნაპირით, რომელიც სამკუთხედს ქმნის**

გმმ. ა. (11555/1)/(გ-886) (ტაბ. 48)

ზურგზე 0,5 სმ სიგანის, 1 სმ სიგრძის მანჭვალი აზის, რომელსაც წვერი მომსხვრეული აქვს. ბალთის ქვედა ნაპირი, ეტყობა, ღარით იყო გამოყოფილი. ბალთა ორნამენტით ყოფილა დამშვენებული, რაც აღარ იკითხება.

**145. კაჟის ჩასართავები (ნამგლის პირები) და ისრის წვერი**

გმმ. ა. (11556/1-2)/(გ-887-888)

გმმ. ა. (11557/1)/(გ-888) (ტაბ. 48)

**№ 887**. ჩასართავი, კაჟისა, შედარებით სწორი პირით. ოდნავ ოვალური ზურგის ხაზით. ხორცისფერი, საკმაოდ მოცვეთილი 10 კბილით. ლამაზად დამუშავებულია, მკვეთრად რეტუშირებული. ოდნავ ოვალური ტანით. 6 სმ X 2 სმ.

**№ 888**. ჩასართავი, კაჟისა, ოვალური ზურგით, წვერისკენ ჩახრილი, სწორი საჭრელი პირით, რომელზეც 7 კბილი ზის. ეტყობა, ჩასართავთა კრებულის ბოლო ნაწილია. შუბლი შედარებით სწორია, ოდნავ ჩახრილი ტანით. ზურგზე სალამელო ანატკეცები რეტუშითაა ჩასწორებული, ათლილი. 7 სმ X 2 სმ.

**№ 889**. ისრისპირი, კაჟისა, მინიატიურული, სამკუთხედის ფორმისა, ხორცისფერი კაჟი. აქვს სამკუთხა ფორმის, დაშვებული ფრთები და მოკლე ყუნწი. 2,5 X 2 სმ X 1. ორივე მხარე რეტუშირებულია.

**146. კერამიკული ჭურჭლის ყურ-გვერდის ნაწილი**

გმმ. ა. (11560/1)/(გ-892) (ტაბ. 49)

შავი ფერისაა. დამზადებულია მინარევებიანი მასისაგან, მრგვალგანივკვეთიანი (2 სმ-იანი დიამეტრით). ოვალურნახვრეტიანია. კედელიცა და ყურიც ორნამენტის გარეშეა. 6 სმ X 4 სმ.

**147. სეგმენტები. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11561/1-7)/(გ-893-899) (ტაბ.49)

7 ცალი. ეროზირებული ერთეულებია. ანალოგიურია ზემოთ განხილული ნიმუშებისა.

**№ 893**. საჭრელი პირი და მხრები ჩახლეჩილია, სატარე – დაზიანებული. შუბლის მხარეს შემორჩენილია სამკუთხედად ჩახრილი, ირიბი ღარები, ტანზე სხივებად რომ იშლება. ზურგზე, სატარის წვერთან, სწორი ღარია, რაც წელსა და ბოლოში მოკლე ღარულებით იშლება. 10 სმ X 11,5 სმ.

**№ 894**. სეგმენტი. ბრინჯაო. ერთი მხარი და საკვეთი პირი მომსხვრეულია. პირი ეროზიითაა დაკბილული. შუბლის მხარეს, ტანზე, ეტყობა სხივის მსგავსი ღარულები. ორნამენტი ცუდად იკითხება.

**№ 895**. ძლიერ დეფორმირებული ეგზემპლარია. ორივე მხარი და საკვეთი პირი დეფორმირებულია. წვრილი სატარე ეროზირებულია და დავიწროებული. ორნამენტული ხაზები არ იკითხება. 9 სმ X 9,5 სმ.

**№ 896**. ერთი მხარის ბოლო მთლიანად დაზიანებულია, საკვეთი პირი ჩამსხვრეულია და ეროზიით დაკბილული. სადა. 10 სმ X 9 სმ.

**№ 897**. ძლიერ დეფორმირებული ერთეულია. ორივე მხარის დიდი ნაწილი და საკვეთი პირი მომსხვრეულია. შუბლის მხარეზე ყელიდან ეშვება ირიბი ღარების სამკუთხედი, რომელიც ტანზე სხივებად იშლება. 9 სმ X 6,5 სმ.

**№ 898**. ძლიერ დეფორმირებული ეგზემპლარია. ორივე მხარის დიდი ნაწილი და საკვეთი პირი მოგლეჯილია. სადა. 8,5 X 7 სმ.

**№ 899**. ძლიერ დეფორმირებული ეგზემპლარია. მხარების დიდი ნაწილი და საკვეთი პირი მომსხვრეულია. ტანის დიდი ნაწილი ეროზიითაა ჩაჭმული, სადა. 9 სმ X 7 სმ.

**148. სეგმენტები. ბრინჯაო**

გმმ. ა.(11562/1-5)/(გ-900-904) (ტაბ.50)

5 ცალი, ფრაგმენტები. ანალოგიური.

**№ 900**. სატარისა და ერთი მხარის მცირე ნაწილი. ყელი თავწამტვრეულია, მხართან ერთი ხვრეტილით. ტანი სრულიად ეროზირებულია, სადა. 8,5 სმ X 6 სმ.

**№ 901**. სატარისა და მხარების ნაწილი. საკვეთი პირი და ტანი სრულიად მომსხვრეულია. ყელის ერთი მხარი ეროზიითაა დაკბილული. 7 სმ X 7 სმ.

**№ 902**. სატარისა და ერთი მხარის ფრაგმენტი. ყელი ეროზიის გამო დეფორმირებულია. ტანი სრულიად ეროზირებულია. 7 სმ X 6 სმ.

**№ 903**. მხოლოდ ტანის ნაწილია, ნაპირებდამსხვრეული, ეროზირებული. 7 სმ X 4 სმ.

**№ 904**. ტანის მცირე ნაწილი, ისიც ძლიერ ეროზირებული. 2 სმ X 3 სმ.

**149. სარდიონის ოთხი თვალი**

გმმ. ა. (11563/1-4)/(გ-905-908)

ერთი ბრტყელია (0,5 სმ X 3 სმ) და ერთიც – თავკაუჭიანი, გრძელი.

3 მმ X 1 სმ. სათანადოდ დამუშავებული. ქედი ოვალური. ეტყობა, ბუდეში იჯდა.

**150. სამკაულის და ყალიბის ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11564/1-3)/(გ-909-911) (ტაბ.50)

სამი ცალი.

**№ 909**. სამკაულის საფარველი, ბრინჯაოს 1 მმ-ის სისქის ფურცლით. ფოთლის ფორმისა, შუაში ამოზნექილი, ყუნწი მომსხვრეულია. ირგვლივ ნაპირები ხვრეტილი ხაზითაა შემოხვეული, რითაც ნივთი დამაგრებული იყო საბურველზე. 2 სმ X 1,5 სმ.

**№ 910**. ბრინჯაოს ყალიბი. სამკუთხედის ფორმის ერთეულია, ამოღარული ხაზებით. გვერდები არათანაბრად აქვს დაკბილული. 5 სმ X 3 სმ.

**№ 911**. ბრინჯაოს სამკაულის ფრაგმენტი. მინიატიურული ფორმისა, ფართო ოვალური ქუდით, მანჭვლის ფოსოებით. ეროზირებულია. 1,5 სმ დიამეტრით.

შემთხვევით ნაპოვნი მასალა

1974 წლის აპრილ-მაისში არხსა და მის მიდამოებში შემთხვევით, სხვადასხვა პირის მიერ იქნა აღმოჩენილი სხვადასხვა მასალა, რომელიც ასევე გადმოეცა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

**151. კოლხური ცული. ბრინჯაო**

გმმ. ა. (11565/1)/(გ-912) (ტაბ. 50)

ზედაპირულად ეპოვნა ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის № მე-7 აგროგანყოფილების № 21-ე ბრიგადის ბრიგადირს – ჟორა ძუკუს ძე ცანავას. ცული მესამე სახეობისაა. 18 სმ X 6 სმ. საკვეთი პირის სიგანე 6 სმ-ია. თავი ბრტყელი. ყუის ხვრეტილი – ოვალური (სიმაღლე 4,5 სმ, განი 2,5 სმ). თავზე გარდი-გარდმოდ გადადის 6 რელიეფური ზოლი, რომელიც ყუის ზურგზე მიჯრით, ხოლო კოპის შუბლსა და ზურგზე სხივად იშლება და მათ შორის ღარები იქმნება. რელიეფით შემორკალულია ყუის მარჯვენა მხარის პირი, რომლის გარშემო ორი შებექება

პარალელურ არშიას ქმნის. ყუის მეორე მხარის ხვრეტილის პირი არაა შემოხაზული, ამიტომ მარჯვენა მხარის შემოხაზული პირი შემაღლებულია. ზურგის ხაზი პირის ჭრილის წიბოდან ეშვება და საკვეთი პირის მხრებზე ვრცელდება, მხრის წვერამდე. ასევე, რელიეფი ეშვება ცულის კაჩაზე და თანდათან ქრება. ეს სივრცე წვრილი ხვრეტილი წერტილებითაა დაფარული. პირზე ორნამენტი არ იკითხება. ცული საკმაოდ დაცულია.

**152. ბრინჯაოს, ქვისა და სარდიონის სამკაულები. კაცის ფიგურა და სამკაულთა ფრაგმენტები**

გმმ. ა. (11654/1-106)/(გ-913-1018)

ggმ. ა. 11662/(გ-1036) (ტაბ. 50)

**№ 913**. სარდიონის წვრილი მძივი ერთ მხარეზე სწორი, ხოლო ზურგზე ოვალური ქუდით. ეტყობა სამკუთხედის თვალი ყოფილა. იჯდა 0,5 სმ დიამეტრის ბრინჯაოს ჩარჩოში.

**№ 914**. სარდიონის წვრილი მძივები. 50 ცალი. დიამეტრით 0,2 სმ-დან 0,5 სმ-მდე.

**№ 938**. სარდიონის მძივი. 14 ცალი. შედარებით წვრილი ზომის მარცვლები, 0,7 სმ – 1 სმ დიამეტრით.

**№ 963**. მძივი სარდიონისა, საშუალო ზომის მარცვლებით. სულ – 14 ცალი. 1 სმ – 1,5 სმ დიამეტრით.

**№ 972**. სარდიონის მძივი, 5 ცალი, 0,5 სმ დიამეტრით.

№ № 994. სარდიონის მძივი, საკმაოდ დიდი ზომისა, 7 ცალი. 1 სმ – 1,5 სმ დიამეტრით.

**№ 991**. სარდიონის მძივი, ოვალურად გლუვი, ბრტყელი მხრებით. 3 სმ X 2 სმ.

**№ 992**. მძივი, თავკომბალას მსგავსი. 1 ცალი. ბრტყელ თავზე სამკედე ხვრეტილით. 0,8 სმ X 0,5 სმ.

**№ 993**. სარდიონის მძივი. გულის ფორმისა. ერთი, დიდი – 2 სმ, მეორე, პატარა – 0,7 სმ სიგრძის.

**№ 1000**. სარდიონის მძივი. 5 ცალი. 0,5 სმ დიამეტრის მარცვლებით. ორიგინალური ფორმის.

**№ 1005**. მძივი გიშრისა, წვრილი, 6 ცალი, 0,5 სმ დიამეტრით.

**№ 1011**. მძივი პასტისა, 7 ცალი, სხვადასხვა ფორმისა და ზომის. მათ შორის სამი – წელში ამოწეული რელიეფური ხაზით, ორნამენტირებული. ერთი, დიდი უფორმო მარცვალი, ორი – ოვალური, 0,5 სმ-დან 1 სმ-მდე დიამეტრით.

**№ 1018**. როყის ქვის სალესი ქვა, თავგახვრეტილი, შავი ფერის. მხრები – ოვალური. ერთი ბოლო შედარებით წვრილია. 4,5 სმ X 1 სმ.

**№ 1019**. სატევარი, ბრინჯაოსი. წვერწამტვრეული, სატარე ყუნწის ბოლო მომსხვრეული აქვს, ყელზე შეინიშნება ერთი სამანჭვლე ხვრეტილი. ტანზე, ორივე მხარეს, მაღალი ქედით. საკვეთი პირები ეროზიითაა ჩახლეჩილი, დაკბილულია, მხრები – ოვალური. 18 სმ X 2,5 სმ.

**№ 1020**. ანთროპომორფული გამოსახულება.

გმმ. ა. (1165/1)/(გ-1020) (ტაბ. 51)

წელს ზემოთ გადამტვრეულია. ძლიერ მაღალია, უპროპორციო ყელითა და წვრილი თავით. ერთი მკლავი მოხრილია და მაჯასთან წამტვრეული, მეორე – იდაყვს ზემოთ. მკერდი საკმაოდ წამოწეულია, ძუძუები ამობურცული, მკერდის ღარით გამოყოფილი. თავი შედარებით ბრტყელია. სახეზე თვალის ღრმა ჭრილები აქვს. ტუჩები ჩასწორებული, მაღალი. ოდნავ ოვალური ცხვირით. ყური, ორივე მხარეს, მკვეთრად გამოკვეთილია. თავი დაფარულია თმით. 7 სმ X 3, 5 სმ. ყელი 3 სმ-ის სიმაღლისა.

**№ 1021**. ბრინჯაოს სამაჯური. წვრილი, 0,3 სმ სისქის მავთული ჩაღუნულია. ეტყობა, ორნამენტებით ყოფილა დამშვენებული, რომელიც ამჟამად აღარ იკითხება. რგოლის დიამეტრი 5 სმ-ია.

**№ 1022**. სამაჯური. 0,5 სმ სისქის ბრინჯაოს მავთული, მოღუნული რგოლად, 0,5 სმ-იანი დიამეტრით, სადა.

**№ 1023**. თმის შესაკრავი რგოლის ფრაგმენტი, სიგრძით 11 სმ-ია. ოვალი – 0,7 სმ. ბრინჯაოს მრგვალი ღერო ჩახრილია, ზედაპირდაჭდეული.

**№ 1024**. ბეჭედი. 0,5 სმ სისქის მავთული, ჩახვეული რგოლად. ძლიერაა დეფორმირებული რკალი, 2 სმ-იანი დიამეტრით.

**№ 1025**. სამკაულთა წვრილი ნამსხვრევები, 10 ცალი. გრძელი მავთულის ღერები, მსხვილი მავთულის ოვალური ფრაგმენტები, ძეწკვის მანჭვლები და სხვ.

**№ 1035**. კაჟის ისრისწვერი. ყუნწიანი. საკმაოდ დიდი ზომისა და სამკუთხედის ფორმის, ყუნწით და დაშვებული მხრებით. ერთი გვერდი შემაღლებულია, მეორე – ოდნავ ჩახრილი. ნაცრისფერი კაჟია. 8,5 სმ X 4 სმ.

**№ 1036**. ნამგლის პირი. ჩასართავი. ხორცისფერი კაჟია, 5 საკვეთი კბილით. 3 სმ X 1,5 სმ.

**№ 1038**. მძივი სარდიონისა, 0,3 სმ – 0,8 სმ დიამეტრით. სულ – 55 მარცვალი.

**№ 1093**. სარდიონის მძივი. ერთი მარცვალი, 2 სმ დიამეტრით.

**№ 1094**, 1095. პასტის წვრილი მძივი, ოვალური ტანით, ზედაპირდაღარული.

**№ 1096**. გიშრის მძივი. 15 ცალი. 0,3 სმ – 1,5 სმ დიამეტრით.

**№ 1102**. გიშრის მძივის მარცვლები, 0,5 სმ დიამეტრით.

**№ 1115**. სხვადასხვა ფორმისა და ზომის ფერადი მინის მძივის მარცვლები, 0,5 სმ – 1 სმ დიამეტრით. მათ შორის ორი ლურჯი ფერის მარცვალია.

**150. კერამიკული ჭურჭლის (ვაზის ან სასმისის) ფსკერი, ქუსლიანი**

გმმ. ა. (11760/1)/(გ-1117)

ფსკერის დიამეტრი 6,5 სმ-ია, ზურგის მხარის განი – 2,5 სმ, სიმაღლე – 2 სმ, ყელის ხვრეტილის დიამეტრი კი – 2 სმ.

**№ 1118**. კერამიკული ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი.

გმმ. ა. (11750/1)/(გ-1118)

ორნამენტებიანი ფრაგმენტი. იყოფა ორ ფრიზად. ზედა ფრიზზე 0, 3 სმ ღარებით ირიბად დაწყობილი 7 პარალელური ხაზია. მათ შორის წვრილი კანელური გადის. პირველი ფრიზის ქვემოთ 1 სმ სიგანის ღარია, შემდეგ რელიეფი და ისევ 1 სმ-ის ღარი.

**151. კერამიკული ჭურჭლის ყურები**

გმმ. ა. (11760/1)/(გ-1119-1121 )

**№ 1119**. შავი კერამიკული მასისაგან დამზადებული ჭურჭლის ზოომორფული ყური, მაღალი რქებით, ორნამენტის გარეშე. 8 სმ X 4,5 სმ. ხვრეტილის დიამეტრი – 2,5 სმ.

**№ 1119**. შავი კერამიკული მასისაგან დამზადებული ჭურჭლის ყური, საკმაოდ წამოწეული ზურგით. ზომები: 5,5 სმ X 3 სმ. ხვრეტილის დიამეტრი – 2 სმ.

**№ 1120**. ბრინჯაოს რგოლის ფრაგმენტი, 1,5 სმ დიამეტრით.

**№ 1121**. ბრინჯაოს მილის ფრაგმენტი. 3,5 სმ X 0,9 სმ. ეროზირებული ტანით.

ყველა ეს ნივთი იმეორებს კოლხეთის არქეოლოგიური მასალების მსგავს ერთეულთა მხატვრულ ფორმებს, ზომისა და დამზადების ტექნიკის თავისებურებებს.

როგორც აღვნიშნეთ, ეს კოლექცია ნაწილია იმ მასალისა, რაც ე. გოგაძის ხელმძღვანელობით მოიპოვა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.

ჩვენ არ გვიცდია, ეს მასალა საბოლოოდ გაგვეშიფრა. ზოგან მხოლოდ დაკვირვებანი და წინასწარი მოსაზრებაა გამოთქმული. შევეცადეთ, იგი წარმოგვედგინა თავდაპირველი სახითა და თავისებურებებით, მიგვეჩინა მისთვის კუთვნილი ადგილი კოლხეთის არქეოლოგიურ სიძველეთა შორის, ყველა დაინტერესებული პირისთვის კი შეგვექმნა მისი პოვნის, გაცნობისა და მნიშვნელობის წარმოდგენის საშუალება. კვლევა ამ მდიდარი და საინტერესო მასალის გარშემო, ალბათ, წინამდებარე კატალოგის გამოქვეყნების შემდეგ წარიმართება. კატალოგს ვურთავთ სათანადო ტაბულებს.

**ტაბულების სია და მათი შინაარსი**

**სურ. 1** – მეორე საფლავის გათხრამდე არსებული ზედაპირი; **სურ. 2** – თიხის, პასტის, გიშრის, სარდიონის, ბრინჯაოს მძივების კოლექცია.

**ტაბულა 1**.

197-კოლხური ცული. ბრინჯაო.

198-კოლხური ცული. ბრინჯაო.

199-201- სატევრები. რკინა.

**ტაბულა 2**.

202 – ცხვრის ქანდაკება. მინიატიურული. ბრინჯაო.

203 – ანთროპომორფული გამოსახულება. ბრინჯაო.

**ტაბულა 3**.

204 – გიშრის, სარდიონისა და პასტის მძივი.

**ტაბულა 4**.

209 – სეგმენტური იარაღი. ბრინჯაო.

210 – სეგმენტური იარაღი. ბრინჯაო.

**ტაბულა 5**.

211 – ჯიხვის ქანდაკება. მინიატურული. ბრინჯაო.

212 – ცხვრის ქანდაკება. მინიატურული. ბრინჯაო.

**ტაბულა 6**.

213-217 – სასამკაულო ნივთები. რიყის ქვა.

218 – კერამიკული ჭურჭლის ხუფი.

219-220 – კერამიკული ჭურჭლის ფსკერის ნამტვრევი.

**ტაბულა 7**.

221-224 – კერამიკული ჭურჭლის პირის ფრაგმენტები.

225-227 – სატევრები. ბრინჯაო.

228 – ხანჯლის ტარი. ბრინჯაო.

229-230 – თოხები. ბრინჯაო.

**ტაბულა 8**.

231-233 – კოლხური ცულები. ბრინჯაო.

234-236 – სატევრების ფრაგმენტები. ბრინჯაო.

237-246 – ძეწკვის, სამაჯურის ფრაგმენტები. ბრინჯაო.

247-248 – სამაჯურები და სამაჯურის რგოლის ფრაგმენტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 9**.

250 – ზოდი. მინიატურული. სეგმენტის ფორმისა. ბრინჯაო.

251-252 – კოლხური ცულის ყუის კოპები. ფრაგმენტები. მინიატურული. ბრინჯაო.

253 – ნიანგის თავის ქანდაკება. ბრინჯაო.

**ტაბულა 10**.

254-257 – სარტყლის ბალთები. ბრინჯაო.

258-263 – სამაჯურისა და ფიბულათა რგოლები. ბრინჯაო.

264 – კოლხური ცული. რკინა.

**ტაბულა 11**.

265-266 – სეგმენტები. ბრინჯაო.

267-272 – სატევრის ტარის ფრაგმენტები.

273 – ძვლები და მიწატკეპნილი ფრაგმენტები.

**ტაბულა 12**.

299- ლამელა ობსიდიანისა.

300 – ჭურჭლის ფრაგმენტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 13**.

301 – ზოდი წვრილმანი ნამტვრევები. ბრინჯაო.

324 – სატევრები. რკინა.

**ტაბულა 14**.

346 – ჭურჭლის ძირი კუნკულით. კერამიკა.

347 – ჭურჭლის ფრაგმენტები. კერამიკა.

**ტაბულა 15**.

352 – ვაზის ფრაგმენტები. კერამიკა.

354 – მაღალი, შუალა საფხეკი. კაჟი.

355 – ისრის წვერები. მინიატურული. ბრინჯაო.

358-361 – სატევრის ფრაგმენტები. ბრინჯაო.

362-365 – სარტყლის ბალთები. ბრინჯაო.

366-372 – სატევრის ფრაგმენტები. რკინა.

**ტაბულა 16**.

373 – სატევრის ფრაგმენტები. რკინა.

398-406 – სეგმენტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 17**.

407 – ფარის ფრამენტი. ბრინჯაო.

408 – სეგმენტი, ქსოვილის ხაზებით პატინაზე. ბრინჯაო.

409 – სეგმენტთა ფრაგმენტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 18**.

424-444 – სეგმენტთა სრულიად დაქუცმაცებული ფრაგმენტები. ბრინჯაო.

445 – კაჟის ნუკლეუსი.

**ტაბულა 19**.

446-473 – ზოდების ნამსხვრევები. ბრინჯაო.

445 – კაჟის ნუკლეუსები და ლამელები.

505-506 – რკინის გუნდათა ნამსხვრევები.

**ტაბულა 20**.

507-509 – კოლხური ცულის ყუის ფრაგმენტები. ბრინჯაო.

510-516 – სამკაულთა ნამსხვრევები. ბრინჯაო.

517 – ქვიშაქვის ოთხკუთხედი ოვალი.

**ტაბულა 21**.

530-539 – ჭურჭლის ნამსხვრევები (ნაწილი). კერამიკა.

**ტაბულა 22**.

548 – საბურველის ფრაგმენტები. ბრინჯაო.

549 – თმის შესაკრავი რგოლი. ბრინჯაო.

550 – ქარვის, სარდიონის, ფერადი მინის, პასტისა და გიშრის მძივი.

553-554 – სასამკაულო ფირფიტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 23**.

555 – სარდიონის თვალი, ბრინჯაოს გონიოთი.

556 – ფიბულა. ბრინჯაო.

557-559 – სამაჯურები და მათი ფრაგმენტები. ბრინჯაო.

560 – ზარაკი. ბრინჯაო.

561 – სეგმენტი. ბრინჯაო.

**ტაბულა 24**.

562 – სეგმენტი. ბრინჯაო

563-565 – სეგმენტი. ბრინჯაო

**ტაბულა 25**.

566 – კოლხური ცული. ბრინჯაო.

**ტაბულა 26**.

567 – კოლხური ცული. ბრინჯაო.

568 – ცული აღმოსავლური. ქართული ფორმის. რკინა.

569 – კოლხური ცული. ფრაგმენტი. რკინა.

**ტაბულა 27**.

570 – ფარის ფრაგმენტი. ბრინჯაო.

571-572 – ისრის წვერები. ბრინჯაო.

573 – ანთროპომორფული გამოსახულება ფალოსით. ბრინჯაო.

574 – ანთროპომორფული გამოსახულება. ტორსი. წელს ქვემოთ ნაწილი, ბრინჯაო.

**ტაბულა 28**.

575- ხარის ქანდაკება მაღალი რქებით. ბრინჯაო.

**ტაბულა 29**.

576 – ფანტასტიკური ცხოველის ქანდაკება. მინიატურული. ბრინჯაო.

**ტაბულა 30**.

577-579 – სასამკაულო ლარტყულები. რიყის ქვა.

580 – თოხი მინიატურული. ბრინჯაო.

581 – თოხი. ბრინჯაო.

582 – თოხი. ბრინჯაო.

583 – სატევარი. ბრინჯაო.

584-586 – სასამკაულო ფირფიტა. სამკუთხედის ფორმის. ვერცხლი.

587 – სარტყლის ბალთა. ბრინჯაო.

588 – ბალთის ყუნწი. ბრინჯაო.

589-590 – ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები.

595 – ობსიდიანის წვეტიანი ლამელა.

**ტაბულა 31**.

596-598 – ჭურჭლის ფრაგმენტები. კერამიკა.

600 – საბურვლის ფრაგმენტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 32**.

599 – ძეწკვი. ბრინჯაო.

601 – გიშრის, სარდიონის, ფერადი მინის, პასტისა და რიყის ქვის მძივი. ფიკული.

**ტაბულა 33**.

602-604 – სამაჯური. ბრინჯაო.

605-606 – სამაჯურის ფრაგმენტები. ბრინჯაო.

607 – ძეწკვი. ბრინჯაო.

608-609 – ძეწკვის საბნევი. ბრინჯაო.

610 – ღილი. ბრინჯაო.

611 – ღილი. თიხა.

**ტაბულა 34**.

612-613 – სატევრები. ბრინჯაო.

614 – სარტყლის ბალთა მანჭვლით. ბრინჯაო.

615-624 – სეგმენტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 35**.

625 – კოლხური ცული და მისი გრაფიკული მოხაზულობა

6252 – ცულის გვერდის გრაფიკული მოხაზულობა

**ტაბულა 36**.

626 – კოლხური ცული. ბრინჯაო.

627-628 – კოლხური ცული. ბრინჯაო.

**ტაბულა 37**.

629-630 – კოლხური ცულები. მინიატურული. ბრინჯაო.

631 – კოლხური ცული. რკინა.

632 – კოლხური ცული. რკინა.

633-635 – სატევრები რკინისა. ფრაგმენტი.

636 – ფიბულა ბრინჯაოსი.

637 – ანთროპომორფული გამოსახულება. ბრინჯაო.

**ტაბულა 38**.

638 – ანთროპომორფული მინიატურული გამოსახულება. ბრინ-ჯაო.

**ტაბულა 39**.

639 – ხარჯიხვის ქანდაკება.

640 – თევზის ქანდაკება. ბრინჯაო.

**ტაბულა 40**.

641 – ბეჰემოტის თუ სხვა მსგავსი ცხოველის მინიატურული ქან-დაკება. ბრინჯაო.

**ტაბულა 41**.

657 – კერამიკული ჭურჭლის კედლის და ძირის ფრაგმენტები

669 – სარდიონის, ქარვის, პასტის, მინისა და გიშრის მძივი.

**ტაბულა 42**.

718 – ფიბულის კაუჭი. ბრინჯაო.

719 – მძივის მარცვალი. ოქრო.

720 – მძივის წვრილი მარცვალი, შუაში გაპობილი. ოქროსი.

721 – ზარაკი. ბრინჯაო.

722-726 – ვერცხლის ბეჭდები და მათი ფრაგმენტები.

727-728 – სამაჯურები, ბრინჯაოს რგოლები.

729-734 – სამაჯურთა ფრაგმენტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 43**.

736 – სატევრის ტარი. ბრინჯაო.

740 – სატევარი. ბრინჯაო.

743-745 – სატევრები, ფრაგმენტები, რკინისა.

746-747 – თოხები. ბრინჯაო.

**ტაბულა 44**.

765 – ხარის ქანდაკება, მინიატურული. ბრინჯაო.

766 – ვეფხვის ქანდაკება, მინიატურული. ბრინჯაო.

**ტაბულა 45**.

767 – კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები.

768 – სარდიონის, გიშრის, პასტის, მინის მძივი.

769 – სასამკაულო სილქვის ლარტყულები.
770-772 – სეგმენტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 46**.

773-775 – სატევრების ფრაგმენტები. რკინა.
776-780 – სამაჯურის ფრაგმენტები და ბეჭედი. ბრინჯაო.
781 – მძივი. გიშერი, სერდოლიკი, პასტა, მინა.
861-865 – სატევრების ფრაგმენტები. ბრინჯაო.
866-871 – სეგმენტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 47**.

872-876 – სამაჯურები და მათი ფრაგმენტები. ბრინჯაო.
877 – ხარჯიხვის ქანდაკება. მინიატურული.

**ტაბულა 48**.

878 – ანთროპომორფული ბრტყელი გამოსახულება. მინიატურული. ბრინჯაო.
879-884 – ბეჭდები. ტყვია.
885 – ძეწკვი. ბრინჯაო.
886 – სარტყლის ბალთის ფრაგმენტები. ბრინჯაო.
887-888 – ჩასართავები. კაჟი.

**ტაბულა 49**.

892 – კერამიკული ჭურჭლის ყური.
893-899 – სეგმენტები. ბრინჯაო.

**ტაბულა 50**.

900-904 – სეგმენტები. ბრინჯაო.
905-908 – სარდიონის თვლები.
909-911 – ღილები, ყალიბი. ბრინჯაო.
912 – კოლხური ცული. ბრინჯაო.
913 – მძივი და მძივის მარცვლები. სარდიონი.
1018 – სასამკაულო რიყის ქვის ლარტყულა.
1019 – ხანჯალი. ბრინჯაო.
1021-1024 – სამაჯურები და მისი ფრაგმენტები.
1025 – სამაჯურისა და სამკაულთა ნამსხვრევები.
1035 – ისრის წვერი. კაჟი.

**ტაბულა 51**.

1020 – ანთროპომორფული გამოსახულება. ბრინჯაო.

**ტაბულა 52**.

1036 – ნამგლის პირი. ჩასართავი. კაჟი.
1038 – სარდიონის, გიშრის, პასტისა და ფერადი მინის მძივი.



სურ. 1

სურ. 2




ტაბ. 1




ტაბ. 2




ტაბ. 3




ტაბ. 4




ტაბ. 5




ტაბ. 6




ტაბ. 7




ტაბ. 8

ტაბ. 9




ტაბ. 10




ტაბ. 11

299 300

301

ტაბ. 12

324

ტაბ. 13

347

346

ტაბ. 14




ტაბ. 15




ტაბ. 16




ტაბ. 17

ტაბ. 18

ტაბ. 19

ტაბ. 20

530-539

ტაბ. 21



548 549

543 550 554

ტაბ. 22




ტაბ. 23




ტაბ. 24




ტაბ. 25




ტაბ. 26

ტაბ. 27

ტაბ. 28

ტაბ. 29




ტაბ. 30




ტაბ. 31




ტაბ. 32




ტაბ. 33




ტაბ. 34



ტაბ. 35

ტაბ. 35ა




ტაბ. 36




ტაბ. 37

638

638

638

638

ტაბ. 38

639

640

ტაბ. 39


641


641

641

ტაბ. 40

657

669

669

ტაბ. 41

718

719

720

722-726

721

727

728

729-734

ტაბ. 42

736

740

743-745

746

747

ტაბ. 43

765

765

766

ტაბ. 44



767

768

769

770-772

ტაბ. 45



773-775

776-780

861-865



866-871

ტაბ. 46




ტაბ. 47




ტაბ. 48




ტაბ. 49




ტაბ. 50

ტაბ. 51




ტაბ. 52

# ადამიანთა ცივილიზაციის განვითარების ეტაპები ქვის ხელცულის მაგალითზე*

(მარტვილის მუზეუმის მასალებიდან)

ადამიანთა წარმოშობა ორი მილიონი წლის იქითაა მეცნიერების მიერ მიახლოებით დათარიღებული. მისი გონებრივი განვითარების პროცესი დაიწყო მილიონი წლის წინათ. განგების, ღვთის ნებით ქმნილმა ადამიანმა, როცა იგი სამოთხიდან განიდევნა, განვითარების თავისებური რთული გზა გაიარა: დაწყებული პირველყოფილი პრიმიტიული ჯოგის პირობებიდან, დამთავრებული გონიერი ადამიანით (200 ათასი წლიდან 100 ათასი აქეთ), ზედა პალეოლითით, მეზოლითით, ნეოლითით და ენეოლითით. ეს არის ლითონის ეპოქამდელი ხანა, როცა ადამიანი იყენებს მხოლოდ ღვთის მიერ მოწოდებულ მასალას – ქვას და სარგებლობს ბუნებით მომადლებული სიუხვით. ამ იარაღით იგი იცავს თავს, ეწევა შეგროვებით მეურნეობას: აგროვებს ძირხვენებს, ხილს, კენკრას და იყენებს მას საკვებად[1]. ამ დროს კლიმატიც ისეთი თბილია (ჯერ კიდევ გამყინვარებამდელი პერიოდის ბუნება). ასეთ პირობებში მას არ სჭირდება არც ტანსაცმელი, არც განსაკუთრებული ბინა, არც შრომის სრულყოფილი და ტექნიკურად განვითარებული იარაღი. შემდეგში ძირხვენების მოპოვებამ მოითხოვა იარაღის გამოყენება, ქვის დამუშავება. თანაც აციებამ, პირველმა გამყინვარებამ მოაძებნინა თბილი სათავსი: გამოქვებულები, ხეობების ნაპრალები და ფუღუროები, რამაც ადამიანს უკარნახა პირობების შესაფერისი ტექნიკური აზრის შემუშავება, ქვისთვის საჭირო ფორმის მიცემა, უფრო გვიან – ცეცხლის მოპოვებაც, რასაც მოჰყვა საცხოვრებელი ნაგებობის – ფარდულების გაკეთება, კარვების ფორმების შექმნა. ეს საუკუნეების განმავლობაში მომდინარე პროცესი იყო. ასე გაიარა ეოლითი, ე. ი. ქვის განთიადი, პრიმიტიულად დამუშავებული და გამოსაყენებელი ქვის ეპოქა. ეს ეპოქა წინააშელის ეპოქადაა ცნობილი, ე. ი. მანამდელი ადამიანის ცხოვრებად, ვიდრე ადამიანი ჯერ კიდევ ისწავლიდა კომპრესორის გამოყენებას, ანატკეცების დამუშავებას, პრიმიტიული ფორმების შექმნას. და აი, იწყება ქვედა პალეოლითი (ძველი მეოთხეული), მყინვარული პერიოდი. ამ პერიოდის

---

* სტატია დაიბეჭდა კრებულში „ძიებანი 2“, ქუთ., 1995, გვ. 5-19.

[1] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 23-24.

ყოფა-ცხოვრებასა და მის გარემო პირობებზე დიდ გავლენას ახდენდა პოლარული მყინვარები, მათი პერიოდული მოძრაობანი და გამყინვარებით გამოწვეული ცვლილებანი ბუნებაში[1].

თუმცა ეს კავკასიის მთებამდე აღწევდა, მაგრამ ამიერკავკასიაში ან კავკასიის მთიანეთის სამხრეთით ეს გავლენა მკაცრად არ იგრძნობოდა. მყინვარული მოვლენების განვითარება შეიმჩნეოდა კავკასიონის მთიანეთშიც, მაგრამ აქაური გამყინვარება არ ყოფილა ძლიერი, რის გამოც მას არსებითი ხასიათის ცვლილება კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში არ შეუტანია[2].

ამიტომ შესაძლებელი გახდა ევრაზიის ხალხთა უძველესი ყოფითი განვითარების მიმდინარეობის თითქმის უნაკლო თვალმიდევნების შესაძლებლობა, რაც ორი მიზეზითაა განპირობებული: პირველი, მასალათა სიუხვით, და მეორე, მასალათა შეუმცდარი ანალიზით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მასალის სიუხვე თავისთავად არ მოვა. იგი უნდა იქნას მოპოვებული არქეოლოგიური ძიებით, ეთნოგრაფიული დაკვირვებითა და არსებული, ჯერ კიდევ შემორჩენილ მასალათა შეკრებითა და შესწავლით.

ქვეყანა, რომელსაც ეს შესაძლებლობა არა აქვს, ისტორიული ძიებისათვის მკვდარია. ეს შესაძლებლობანი კი მუზეუმის სათავსებშია თავმოყრილი. მუზეუმში შემოსული ყოველი ნივთი, სათანადოდ აღრიცხულ-დახარისხებული, მეთოდურ ანალიზს უფრო ექვემდებარება. ქვეყანა, რომელიც სამუზეუმო მასალათა შეკრებასა და გაანალიზებას არ ეწევა, რომელსაც ამის არც მისწრაფება აქვს და არც სურვილი, არც სადღეისოდ და არც სამომავლოდ, უცილობლად, ბევრს დაკარგავს თავისი ხალხის ისტორიული განვითარების მიმდინარეობის პროცესების მსოფლიო ისტორიულ ქარგაში ჩასართავად და მსოფლიო ხალხთა ცოდნის წყაროდ გადასაქცევად. ეს ფაქტი ამ ხალხებს უკარგავს, იყვნენ ცნობილნი, ჰქონდეთ კულტურული ურთიერთობა და ეს ურთიერთობა აკავშირებდეს ისტორიის ცოცხალ, საერთო ასპექტებთან, საერთაშორისო საკაცობრიო ისტორიის მთელი სპექტრით.

ასე იყო საქართველოს ცხოვრებაში, ვიდრე ვახტანგ VI-მდე. ჩვენ კარგად არც ვიცნობდით ჩვენს წერილობით წყაროებს და არც გვეძლეოდა საშუალება, იგი ტიპოგრაფიის წესით გაგვევრცელებინა, გვეთქვა ფართოდ ჩვენს ისტორიაზე. ამასთან, უკანა რიგში რჩებოდა არქეოლოგია, ყოფითი მონაცემების შესწავლა, ფოლკლორი, ტრადიციები. სწორედ ამ

[1] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 23.

[2] იქვე, გვ. 23.

ფაქტს მიექცა ყურადღება XIX ს-ის დასაწყისიდან, როცა სოლომონ დოდაშვილმა, მარი ბროსემ და სხვა ჩვენმა თუ უცხოელმა სწავლულებმა არ მოგვაბრუნეს აქეთ და ვიდრე არ წამოვიდა მკვლევართა ლაშქარი ისტორიკოსებისა, არქეოლოგებისა, ბოლოს ფოლკლორისტებისა და ეთნოგრაფებისა. დაიძრა ტაღღა და ასე საყოველთაოდ დაწყებულმა ძიებამ, რომელსაც სათავეში ედგა ორი გიგანტი – ექვთიმე თაყაიშვილი და ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარის აქტიური მხარდაჭერითა და პედაგოგობით, ყინული დაიძრა. დაისახა ამოცანა არქეოლოგიური ძიების ფართოდ წარსამართავად, მასალათა შესაკრებად, არა პეტროგრადში, პარიზსა და ლონდონში, არამედ თვით საქართველოში, და სამუზეუმო საქმეც, ასე თუ ისე, განვითარდა სასურველი მიმართულებით.

არქეოლოგებმა და მოყვარულმა მუზეუმელებმა არქეოლოგიური ძიებითა და დაზვერვით შექმნეს უმდიდრესი მასალა, რაც დღეს საქართველოს მასშტაბით მილიონობით ცალს შეადგენს. იგი საკაცობრიო ისტორიის ყოველ პროცესს თავისი მასალით, კუთხით, თავისი თვალსაჩინოებით უპასუხებს. თუმცა დიდი გულდასმითი შესწავლით და არა ფანტაზიორობით უნდა ითქვას სიახლე. ისტორიას ფანტაზიორობა არ უყვარს. მასალა და მის საფუძველზე გულდასმითი მეთოდოლოგიური ანალიზი უნდა გახდეს ჩვენი ცოდნის წყარო.

ამ მიმართულებით მოვკიდეთ ხელი ჩვენც ამ საქმეს. ჩვენს ფონდში ნახევარსაუკუნოვანი ძიების საფუძველზე დაგროვდა მეტად მრავალფეროვანი მასალა დაზვერვითი ძიების გზით. ეს მასალა ისე იშვიათიცაა და მრავალრიცხოვანიც, რომ ღირს მასზე ყურადღების გამახვილება. ამ თეორიული განსჯისაკენ ჩვენ მიგვიყვანა ამ უკანასკნელ დროს, 1994 წლის 17 იანვარს ვედიდკარში ნაპოვნი ხელცულის ორიგინალურმა ფორმამ. ეს მასალა აღებულ იქნა ჭიოკას ჯიხაზე, ენეოლითურ მასალათა შორის. იქნებ ბრძანოთ, ეს მასალა აქ შემთხვევით მოხვდა და სრულიად არ არის ადგილობრივიო. ამანაც დაგვაფიქრა, მაგრამ ჩვენ გასულ წლებში ამ ხელცულის თუ საწერას მსგავსმა, ქვის კულტურის განვითარების მაღალი ოსტატობით შექმნილმა ყუამ და ხვრეტილის ნაწილმა ჩაგვაფიქრა და აღგვძრა, დაგვეწყო თეორიული კვლევა ჩვენი მასალების თვალმიდევნებით. მართალია, ყველა ქვეყანაში ქვის იარაღები ერთნაირი არც იყო და ერთგვარად დამუშავებულიც არ იქნებოდა, მაგრამ განვითარების პროცესებით გამოწვეული საჭიროებაც და ტექნიკაც ერთგვარი იყო. მასალა (ქვა) თითქმის ერთნაირად იძებნებოდა. გამოიყენებოდა რიყის ქვა, კაჟი, ობსიდიანი, ძვირფასი ქვები. ეს მასალა ერთგვარად გამოიყენებოდა ყველა ქვეყანაში, პირველყოფილ პირობებში და ერთგვარად მუშავდებოდა კიდეც, ჯერ ხელით, შემდეგ უბრალო

კომპრესორით, რეტუშორის გარეშე. ხელით დამუშავებული, კომპრესორით შემქნილი პრიმიტიული იარაღი მეტად ტლანქი და გამოსაყენებლად რთულიც იყო, მაგრამ იგი ცხოვრებამ ასწავლა ადამიანს, როცა სამოთხის გარეშე აღმოჩნდა და, „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო“, ჩააგონა ღმერთმა. ადამიანი პრიმიტიული ყოფით შეუდგა ცხოვრებას. ასე იცხოვრა ეოლითის ან არქეოლითის პერიოდში. ეოლითი, დღევანდელი მეცნიერული მონაცემებით, 2 მილიონი წლის ფარგლებში ისაზღვრება. თუნდაც დმანელი ადამიანის ფიზიკური კონსტრუქცია უკვე იძლევა ამ ადამიანის ერთგვარი ყოფითი წინსვლის, ცხოვრების დაკვირვებისა და ტექნიკის განვითარებისკენ პირველ ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობას. ასე უნდა მომხდარიყო მის ხელში პირველი რიყის ქვა და კაჟი და მიეცა მისთვის შედარებით სასურველი ფორმა. ეოლითის ან არქეოლითის კულტურა მეტად დაბალია. თავწატეხილ რიყის ლარტყულას რომელსაც ერთ მხარეზე ბოლო წატეხილი და წაწვეტებული აქვს. ევრაზიის პირველი დმანელი ადამიანი, ნეანდერტალელსა და კრომანიონელს შორის, ლარტყულის მეშვეობით ცდილობდა მოეპოებინა, შეეგროვებინა ძირხვენები, ენადირა ძალიან ადვილად ცხოველებზე, ფრინველებზე, ეთევზავა და გამოეკვება საკუთარი თავი. იალბუზის იქით არსებული მყინვარული მორენები კავკასიის ქედს ვერ გადასცდა და თბილი გარემო ამიეკავკასიას ყოველი შესაძლებლობით მოსავდა.

მართალია, მარტვილის მუზეუმის ფონდი ამ მხრივ ღარიბია, მაგრამ ბედნიერება ისაა, რომ რეგიონის ტერიტორია მდიდარია ადამიანთა განვითარების ეტაპების ყოველი მომენტის მოწმე ძვირფასი მასალით, თუმცა მცირედით, მაგრამ მაინც საინტერესოთი. მისი მცირე, მაგრამ საინტერესო ნაწილი ამშვენებს ჩვენს ფონდს. ჩვენ არ გავუტაცნივართ მაძიებლობასა და ფანტაზიორობას, რაიმე ახალი განაცხადის სურვილით, არამედ რეალურმა მასალამ დაგვარწმუნა ამაში. მართალია, ეს მასალები ზოგიერთი პერიოდისთვის სრული არაა, ზოგ პერიოდს კიდეც აკლია, მაგრამ ეოლითიდან დაწყებული ენეოლითამდე, ე. ი. ქვის ეპოქის დასასრულამდე, მაინც გვაქვს მდიდარი მასალა, ერთეულების სახით, მაგრამ მაინც საყურადღებო.

ეოლითური მასალა, რომელი დაახლოებით მილიონ 600 ათას – მილიონ 200 ათას წლებს შორის ვრცელდება, გვაქვს მხოლოდ ერთეული, სულ რაღაც 30 ცალამდე. ეს ერთეულები საეჭვოც კია, მაგრამ არის ხელცულები ან გურზები, რომლებიც ლარტყულის წაკვეთილ ბოლოს წარმოადგენს და ერთი თავი წვეტიანად და საჭრისად არის წამოკვეთილი. იგი დამუშავებულია რიყის ქვის პრიმიტიული კომპრესორით, ან კიდევ სრულიად რიყის ქვის, ან კაჟის ტლანქი სამტვრევით ჩამომტვრე-

ვით. მისი ფორმა ერთ ბოლოზე მრგვალი და ოვალური, ხოლო მეორე მხარეს წვეტიანია, ან კიდევ საჭრელი. ეს, ჩვენი ვარაუდით, უნდა იყოს ეოლითური პრიმიტიული ხელცულის იშვიათი ფორმები, რაც დაგვიდასტურა საერთაშორისო მასშტაბის შედარებითმა ანალიზმა. რატომ ხელცული და არა სხვა იარაღი? პირველი იარაღი, რაც მაშინ ადამიანს სჭირდებოდა, ეს იყო ხელცული საჭრელად, საჩეხად, სათხრელად. ამისათვის კი მხოლოდ ხელცული იყო საჭირო და პირველად სწორედ მისი დამზადება დაიწყო ადამიანმა. აქ ჩვენ გვაქვს თ. სახოკიას მიერ საფრანგეთიდან, შელის მიდამოებიდან მოტანილი კაჟის ხელცული, რაც უდავოდ გვაბედინებს ანალიზის დაწყების შესაძლებლობას. ეოლითი იყო ქვედა პოლეოლითის წინა პერიოდი, რაც შელსა და აშელში ფუნდამენტური კაპიტალური ძიებით გამოყო გ. მორტიელიემ XIX ს-ის 60-იან წლებში, ქ. შელთან. შელის კულტურა ქვედა პალეოლითის პირველი ეტაპია, დაახლოებით მილიონ 600 ათასი წლიდან მილიონ 200 ათას წლამდე, ჩვენს წელთაღიცხვამდე. უკანასკნელი მონაცემები ამ მხრივ ცოტათი გასცდა მორტილიეს დათარიღებას. განსაკუთრებით იგი ამიერკავკასიაში სატანდარის ძვირფასმა აღმოჩენამ განამტკიცა. ასეთივე, უფრო ადრეულ მასალად ჩანს სოხუმის მახლობლად, გამოქვებულ იაშთხვაში ნაპოვნი მასალა. პროფ. ვ. ლუბინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პირველი მოსახლეობა სამხრეთიდან უნდა მოსულიყო შედარებით გვიან, აშელის ეპოქაში. ამით სატანდარის კულტურა უფრო წინ გადასწია შელისაკენ.

შელის კულტურა ვრცელდება აფრიკასა და წინა აზიაში. მას მთელი ევრაზია უჭირავს. აქ ხელცული უფრო ოვალურია, ცალმხრივ საჭრელი წვეტიანით, ან საკვეთით. ეს კაჟის თუ რიყის ქვის ანატკეცი კომპრესორითაა ატკეცილი ცალ მხარეზე, ე. ი. უსწორო მხარეზე რეტუშითაა ჩასწორებული, ახლეჩილი, ჩაგლუვებული. ცალკეული ანატკეცები ჩასწორებულია საკვეთის ირიბი ჩამოსმით. გონიო თითქმის დაკბილულია და საკვეთი ბოლო მკვეთრად გამოყოფილი, მაგრამ იარაღი მაინც ტექნიკის მხრივ უფრო პრიმიტიულია. მხოლოდ საკვეთი ბოლოა ოდნავ გამოსახული და კომპრესორი და რეტუში ამ დროს მხოლოდ ახლად შექმნილი და უფრო განუვითარებელია. ამიტომ სახის შექმნაც პრიმიტიული და ტექნიკურად დაუმთავრებელია. შელის კულტურა საკმაოდ ვრცელ ფართობზე ვრცელდება. მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე იგი თვალსაჩინოდ ჩანს.

იმავე მორტილიემ XIX ს 60-წლების დასასრულს სენტ-აშელში, ჩრდ. საფრანგეთში, ქ. ამიენის მახლობლად, მდ. მარნის ტერასაზე გახსნა ახალი, განსხვავებული კულტურა. იგი ქვედა პალეოლითის მეორე, შედარებით გვიანი პერიოდია და ცნობილია აშელის კულტურის სახელწოდებით.

იგი მოდის თითქმის 600-დან 200 ათას წლამდე, მუსტიეს ხანამდე. აშელის კულტურა ხასიათდება შელისთან შედარებით მეტი სრულყოფილებით, კვეთის სიმწყაზარით, ფორმების მრავალფეროვნებით. აქ, უკვე ხელცულთან ერთად, საკვეთის, საფხეკის მრავალი ფორმაა მინიშნული, მაგრამ ჩვენ მაინც ხელცულის განვითარების ხაზს ვადგავართ. აქაური ანატკეცი უფრო ელასტიკურია, სრულყოფილი. ანატკეცების დამუშავებული გლუვი მხარე მოთლილია კომპრესორის და რეტუშორის თანაბარი ჩამოსმით. აქ გვერდის ოვალი უფრო სწორია, შედარებით დაუკბილავი, ოღრო-ჩოღროს გარეშე, წვეტიანია და საკვეთი ბოლო უფრო სრულყოფილია. მასალაც შედარებით უფრო სრულია, დაახლოებით 15-20 სმ სიგრძისა. მისი დამუშავების ტექნიკასთან ერთად, სისრულე და გამოყენების ხალვათობაც უფრო რეალურადაა გააზრებული, ტექნიკა უფრო სრულყოფილია. ეს იარაღიც უფრო წინა აზიასა და აფრიკაშია ნაპოვნი. აქ საფხეკთან და საჩეხთან ერთად მასობროვადაა სატყორცნი ინვენტარიც. სატყორცნი ინვენტარი არ არის ისრის წვერებად განვითარებული, მაგრამ გამოყენების თავისებურება შესაძლებლობას იძლევა, ამით ენადირა ადამიანს, ჩაექოლა გამოქვაბულის დათვები, ბიზონები, დომბრები. ამ დროს იარაღების არსებობა ჩვენ სრულ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რაოდენ წინ წავიდა ადამიანის ცხოვრება, მონადირეობა და შეგროვებითი მიწათმოქმდება. ჩვენს განკარგულებაში არსებული ეს აშელური ცულები და სატყორცნები, ან ე. წ. შუბის პირები, რაც დაახლოებით 30 ცალს აღემატება, უდავოდ, მოწმეა იმ ეტაპის ადამიანის მეურნეობისა და ტექნიკური განვითარების დონისა. განსაკუთრებით ნახუნაოში, ნახარებაოში, სალხინოში ნაპოვნი მსგავსი მასალები გვარწმუნებს, რომ აქ მცხოვრები ნეანდერტალელიდან კრომანიონელი ადამიანის ერთგვარი მეურნეობის გარკვეულ, წინ გადაგდმულ ნაბიჯზე და ტექნიკური განვითარების დონეზე. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ეს ნივთები მხოლოდ ზედაპირულად ან დაზვერვითაა მოპოვებული და მის უფრო მდიდარ კოლექციას ჩვენ ვერ ვპოულობთ. იქნებ მომავალში ეს ნაკლიც გამოსწორდეს, თუ პროფ. ო. ჯაფარიძე და დოც. გ. გრიგოლია თავის პირობას შეგვისრულებენ და უფრო დეტალურ არქეოლოგიურ გათხრებს ჩაატარებენ ამ ადგილებში.

ქვედა პალეოლითის განვითარების და, შესაძლოა, დასრულების ეპოქაა წინა მუსტიეს ან აშელის დასასრულის პერიოდი.

მუსტიეს ხანის მასალა გ. მორტილიემ იპოვა XIX ს. 60-იან წლებში სამხრეთ საფრანგეთში, დორდონის დეპარტამენტში მდებარე გამოქვებულ ლე-მუსტიეში (ე მუსტიერ). ამ ეპოქის მასალები გავრცელებულია ევროპაში, აფრიკასა და შუა აზიაში. მსგავსი მასალები ნაპოვნია საქარ-

თველოში და ჩვენს რაიონშიც (დაახლოებით 100-45 ათასი წლები). ეს გამოქვებულის ეპოქაა. ადამიანები გონიერნი არიან: მათი ტექნიკა უფრო განვითარებულია. გამოქვაბულის ცენტრში, კერიაზე ცეცხლი უნთიათ, ხმარობენ ტყავს ტანისამოსად. ამ დროს ტექნიკაც უფრო განვითარებულია. გაჭედილის ჯორწყუს გამოქვებულის (მიმკვლევი ც. ბჟალავა, პროფ. გრ. დევდარიანის მეთაურობით) მასალა, თვალნათლივ წარმოგვიდგენს ადრე და გვიანი მუსტიეს ხანის ფორმების თავისებურებასა და ტექნიკას, მისი გამოყენების მრავალსახეობასაც. ნადირობა უკვე უფრო რთულია. ჩვენს მასალებში დაცულია დომბრის, ბიზონისა და გამოქვაბულის დათვის ძვლები. მათზე არის კომპრესორის და რეტუშას კვალიც. რაღაც მკვეთრი, ბასრი კაჟის იარაღით ჩამოთლილია გონიო. გამოქვებულის დათვის ეშვების წვეტიანები ჩასწორებულია. არის მცდელობა მისი ხვრეტისა. ეტყობა ამ დროის ჩვენ ფაუნაში ეს ცხოველები მრავლად იყვნენ გავრცელებული და მათზე ნადირობდა ადამიანი. იყენებდა მის ძვალსაც და ხორცსაც, ხოლო ტყავს ხმარობდა ტანსაცმლის დასამზადებლად. „როგორც ჩანს, – გვარწმუნებს პროფ. მობინი, – ქვედა პალეოლითის ხანის პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფური ინფილტრაცია ჩრდილო კავკასიაში სამხრეთიდან ხდება“[1]. პროფ. ო. ჯაფარიძე წერს, რომ „ყუბანისპირეთში ნაპოვნი ქვედაპალეოლითური ძეგლები ახლოს დგანან დასავლეთ საქართველოს მასალებთან. კავკასიის მასალების საფუძველზე მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ძეგლზე აქ ხელცულები ჭარბობს, ზოგან კი ანატკეცებისაგან ნაკეთები იარაღები“[2].

ქვედა პალეოლეთური მასალის ხელცული მუსტიეს მასალასთან შედარებით და განსხვავებით, რიყის ქვისგანაა დამზადებული. იგი ანატკეცი არაა. ბრტყელი რიყის ქვა ერთ მხარეზე ჩასწორებულია საკვეთი პირით, ხოლო მეორე ბოლოზე არის წვეტიანი. მის დამუშავებაზე მუშაობდა ალბათ კაჟის თუ უფრო მაგარი ქვის საჭრისით, რომ უფრო გაპრიალებული, გალესილი, მოსახერხებელი და ლამაზი გაეხადა. მას არა აქვს ანატკეცების გონიოები, არა აქვს არც ოღრო-ჩოღრო ანახლეჩები. იგი გამოსაყენებლად ხალვათია, უფრო დაახლოებულია გვიანდელ ხელცულთან. ახლა ხელცული ფორმას იღებს. იგი საკვეთიცაა და სახვრეტიც. მისი მოცულობა აღემატება 15 სმ-ს, სისქე 10 სმ-ს, მისი ხელით ტარება და გამოყენება მიზნობრივად უფრო მოსახერხებელია და ტექნიკურადაც უფრო დამუშავებული.

---

[1] В. И. Мобин, О некоторых вопросах, связанных с условяминахождения ниже полелита на кавказе, М., 1961, стр. 461.

[2] ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 15.

ეს ეპოქა უკვე წინაგვაროვნული ხანაა. აქ ჯოგური ცხოვრება თანდათან იცვლება დედის პრიმიტით. დედა უდგება გვარს სათავეში. გამოყენებულია ბინაც და კერიაც; ნადირობს მამაკაცი, მაგრამ მასთან თანაბრად ქალიცაა ჩართული. იგი ბავშვებს უვლის, ოჯახს იცავს და ამრავლებს, მუშაობს, აგროვებს, ცეცხლს ინახავს. ამ დროს ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული გვაროვნული ყოფა, მაგრამ ამ ეპოქის ადამიანი იყო „ნამდვილი ადამიანი, ასევე ეს კოლექტივი წარმოადგენდა ადამიანთა კოლექტივს, ადამიანთა ურთიერთობის ბუნებრივად აღმოცენებულ ადრინდელ ფორმას“[1]. ეს ეპოქა იყო ორინიაკ-სოლუტრეს ეპოქა. ამ დროს, ზედა პალეოლითის ხანაში, იწყება ადამიანთა ისტორია, „სწორედ ამ დროს ჩნდება გვარი ანუ გვაროვნული თემი – მუდმივი ერთობლივი კოლექტიური შრომითი და სისხლითნათესაობით მტკიცედ შეკრული ჯგუფი, რომელიც ამიერიდან პირველყოფილი წყობილების ძირითადი საზოგადოებრივი ფორმა გახდა“[2]. ამ ეპოქისთვის დამახასიათებელია უფრო განვითარებული ანატკეცები, საკმაოდ სრულყოფილი ლამელები, ერთფუძიანი ნუკლეუსები, გულგულები, საფხეკები, წვეტიანები, დანები და ა. შ. ამ დროს ძვლის დამუშავებაც კი ხდებოდა, მართალია სუსტად, მაგრამ მაინც.

ზედა პალეოლითი ამიერკავკასიაში ადგილობრივი კულტურის საფუძველზე წარმოიქმნა და აქვე მიმდინარეობდა თანამედროვე ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება. საქართველოში რამდენიმე ათეული ძეგლია ცნობილი. მათ შორის ამ ეპოქის ძეგლია ჩვენ მიერ აღწერილი და იქ ნაპოვნი მასალა. ეს ის დროა, როცა მყინვარმა უკან დაიხია. განსაკუთრებით საინტერესოა დევისხვრელის გვიანი მუსტიეს ხანის საცხოვრებელი მასალა. საინტერესოა საგვარჯილეს კლდის მასალებიც. ეს მასალები ჩვენს მასალებთან ძლიერ სიახლოვეს ავლენს. ზოგი მათგანი მეორდება კიდეც. აქვე ნაპოვნია ფაუნის მასალა, რაც თითქმის ერთი და იგივეა. მსგავსი მასალებია გუმისთის გამოქვაბულიდან.

„საქართველოში კარგადაა ცნობილი აგრეთვე მეზოლითური, ძველიდან ახალ ქვის ხანაზე გარდამავალი ეპოქის ნაშთებიც. მეზოლითი ჩვენში წინა აზიის მსგავსად ზედა პალეოლითური კულტურის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო“.[3]

ამ ეპოქისთვის დამახასიათებელია კაჟის ნუკლეუსები (გულგულები), დანები. არის ისრის პირებიც, მართალია, პრიმიტიული, მაგრამ უკვე საწყისი ფორმებია; საკმაოდ გათლილი, ხელჩასავლები ხელცულები,

---

[1] მ. კოსვენი, პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971.

[2] ო. ჯაფარიძე, გვ. 19; იქვე, გვ. 20.

[3] იქვე, გვ. 27.

რომელთაც უკვე საკმაოდ წამოკვეთილი პირი აქვთ, ჩახეხილ-ჩაპრიალებული. ეტყობა, ხეხვა უკვე საკმაოდ მტკიცედ შემოვიდა ტექნიკაში. ეს ეპოქა პოლეოლითიდან ნეოლითზე გარდამავალი ეპოქაა, 30 ათასიდან 15 ათას წლამდე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე. უკვე დაწყებულია სასამკაულო რგოლების გაკეთება, ქვების ხვრეტა მკედის ჩასაბმელად. არის კაჟის ლამელების გეომეტრიული გაფორმება, ოთხკუთხა და მრავალკუთხა, სამკუთხა ფორმების დამზადება. ახლა ტექნიკა უფრო განვითარებულია. თლა ან ათლა უფრო თვალსაჩინოა. ამ დროს ხელშუბები, წვეტიანები, ნივთების დამუშავება ხდება რეტუშით. რეტუშირება შედარებით ფაქიზი და განვითარებულია. სამკაულების, დანების, საფხეკების, ჩასართავების მრავალფეროვნება, მათი დამუშავების ტექნიკა და გამოყენების საჭიროება უკვე განვითარებულ მიწათმოქმედებაზე მიუთითებს.

ეს არის სამზადისი პერიოდი პალეოლითიდან ნეოლითზე გადასვლისა. ნეოლითი იწყება მე-15-14 ათასწლეულიდან. ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე ნაპოვნი ნახუნაოს, სერგიეთის, აბედათის, ხუნწის, სალხინოს, კურზუს საცხოვრისეული მასალა საკმაოდ წარმოგვიჩენს ხელცულების უფრო განვითარებულ კულტურას. ახლა ხელცული საკმაოდ სრულია მოცულობით. იგი სიგრძით 20-25 სმ-ს აღემატება, განით 8-19 სმ-ია. ორივე მხარეზე საკმაოდ ჩახეხილ-ჩაპრიალებულია და ამ ფონზე ერთი თავი სამტვრევია, ხოლო მეორე – საჭრელი. ხელცულების ეს ფორმები ვლინდება მინიატურული ფორმებითაც და საკმაოდ დიდი ერთეულების სახით. ხელცულთა ასეთ მრავალფეროვნებას აგვირგვინებს ხვრეტილიანი, ტარგასაყრელი ხელცულები. იგი სიგრძით დაახლოებით 15-20 სმ-ია, სიგანე 10 სმ. შუა ადგილას, მთელ სიგრძეზე, აქვს ხვრეტილი, რომლის სიგანე 4-5 სმ-ს აღემატება და საკმაოდ დიდ ტარზე მოსარგებადაა გათვალისწინებული. მუზეუმში დაცულია 10-ზე მეტი ასეთი ხელცული, ეპოქის დასასრულის თვალსაჩინო ნივთები, ჩახეხილ-ჩაპრიალებული, საკვეთი, მჭრელი, ბასრი ბოლოთი და სამტვრევი ყუით. ამასთან ერთად, ფართოდ აიკრიფება ჩასართავები, ისრის წვეტიანები, დანები, საფხეკები. მათ შორის განვითარებული ფორმებია ისრის წვერები, სათანადოდ დამუშავებული ტანით, რეტუშირებული გონიოებით. ასევე შუბის წვერები, ხვრეტილიანი სასამკაულო რგოლები. ამასთან, ჩნდება ხაზობრივი ნიშნიანი ქვებიც. ამდენად, ნეოლითის ეპოქა ჩვენს მასალებში საკმაოდ მდიდრად და მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. უკვე თვალსაჩინოდ ვლინდება მიწათმოქმედების კულტურა, ტექნიკის მაღალი დონე და მათ შორის საკმაოდ ფორმირებული ბარ-თოხები, რაც ამ ეპოქაში ერთ-ერთ სამეურნეო იარაღს წარმოადგენდა, სამკელ (ჩასართავ) და სასრეს ინვენტართან ერთად. ესაა ქვის ხანის განვითარების საკმაოდ მაღალი

საფეხური. ტექნიკაც მაღალია, მეურნეობაც მრავალფეროვანი და განვითარებული. ამასთან, გონებრივი კულტურაც უკვე საკმაოდ სრულყოფილია. მიწა უკვე ღვთაებრივ ფენომენად ჩანს, ყალიბდება ღვთაებათა სრულყოფილი პანთეონი, რაც უნდა წარმოშობილიყო შუამდინარული წიაღიდან. საკმაოდ გამორჩეულია მზის კულტიც. მზე უკვე პირველი ღვთაებაა, იგი მორიგემ პირველად გააჩინა და მიუჩინა მანათობელი ფუნქცია ბიბლიის თანახმადაც. იგი ანათებს დედამიწას, ანათებს ყველა ვარსკვლავს. ამიტომ მისი ნათება, ჩხორია, ჩხანა – ბზინვა რეალური და პირველადი ფენომენია. უკვე ყველა ვარსკვლავი მისით „იხვიჩინანს“, მისი ხვიჩა-ხვიჩა და-ძმები, „ჩხორიათუ განათებულირე“, მისით გაბრწყინებულია. ამიტომაცაა იქნებ, რომ ივანე ჯავახიშვილის დამოწმებით, მზეს ხალდურ წარწერებში „არდინ“ ეწოდება. იქნებ ქართულში „არდი“ ან „არდინ“ ყოფილიყო მისი სახელი. ამასთან, გასათვალისიწინებელია ვერსია, რომ „არდი“ ვარსკვლავთა საერთო, ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა გადმონაშთური ფორმები ამაზე არაფერს გვეუბნება, არც ჩვენთან, სამეგრელოში, არც ჭანეთსა და სვანეთში „არდი“ ასეთად არ ჩანს. თუმცა ივანე ჯავახიშვილი ამას შემდგომი ძიების საგნად თვლის და რაც შეეხება ჩვენს ლექსიკას, იგი ამად არაა გამოყენებული, გარდა საბას განმარტებისა, რომ „არდადი არის ლომში შესვლა“, ლომის თანავარსკვლავედში შესვლა. ესაა და ეს, სხვა არაფერი ამ მხრივ არ მეტყველებს. მეგრულ ლექსიკაში კი ამ მხრივ სულ არაფერია: ერთი კია, მაშინ ნეოლითის ხანაში, როცა იქმნება უნიკალური, ნიშნიანი ქვები, კვირბები, იქმნება კალენდარი – ფირფიტა, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ ამ ეპოქის საცხოვრისში. ამ კალენდრის გასაღებია ფირფიტის კუთხეში ირიბად ჩახაზული მზე, საიდანაც შვიდი სხივი – ჩხორია მიემართება ყოველმხრივ. აქ, ჩვენი აზრით, მზე და მისი მეთაურობით შვიდდღიური სისტემის ხატური სურათია გამოსახული, სადაც იქნებ „არდი“ თითოეულ სხივს ერქვა. მაგრამ, ეს მაინც უსაფუძვლო ვარაუდია; თუმცა მზის, მნათობის, ნათების სახელი ხომ დღესაც ყველა მნათობს ჰქვია. ამრიგად, ეს ვერსია ამ მხრივ გამართლებული ჩანს. ეს ეპოქა რომ ნიადაგის დამუშავების დარგში უაღრესად განვითარებული იყო, ადასტურებს მეტად ორიგინალური ხელცული. დგება დიდი გადატრიალების დრო, იწყება ენეოლითის ხანა, ქვის ხანის დასასრული და ლითონზე გადასვლის ხანა, როცა ადამიანი საკმაოდ გონიერია, აქვს დამწერლობითი ნიშნები, აქვს განვითარებული მიწათმოქმედება, ხელოსნობა, აქვს და სარგებლობს მაღალი ტექნიკით, მეხუთე ათასწლეულიდან ვიდრე მესამე ათასწლეულში. აი, ამ დროს არქეოლოგიურ მასალაში ჩვენ მიერ ნაპოვნია ძალიან საინტერესო ხელცული – ადამიანთა ტექნიკური აზრის უნიკალური

შედევრი. იგი ასრულებს ქვის იარაღის განვითარების ეპოქას. იქმნება საწერის ტიპის წერაქვ-ცული. ამ ხანას, „ქვის ხანიდან, ლითონის ხანაზე გარდამავალ პერიოდს ენეოლითი ეწოდება. ხშირად ამ პერიოდს ხალკოლითს, ე. ი. სპილენძ-ქვის ხანასაც უწოდებენ“[1].

ქვის დამუშავების ტექნიკა უკვე დასრულებულ ფორმას იღებს. ამასთან, იწყება ლითონის გამოდნობა და მისი დაყალიბებაც. ამიტომ ამ ეპოქაში ლითონის ნივთების გამოყენება იშვიათია და არაა ძალიან თვალსაჩინო. ეს ეპოქა გრძელდება მე-5 ათასწლეულის დასასრულიდან, ვიდრე მე-3 ათასწლეულამდე, როდესაც უკვე ქვა კარგავს ძალას და მის ადგილს მთლიანად იკავებს ლითონი, სპილენძი, ბრინჯაო, მოგვიანებით – რკინა. რკინის გამოყენება ლითონის იარაღის, მეტალურგიისა და ტექნიკის უმაღლესი საფეხურია.

საქართველოში ამ ეპოქის ძეგლები მრავლადაა წარმოდგენილი, მათ შორის მარტვილის მიდამოები და ალანიაშ გა, სალხინოს, ვედიდკარის, ლეხაინდრაოს „კოტორას“ საცხოვრისებთან ერთად. ვედიდკარის მახათის მასივი ერთ-ერთი ყველაზე უთვალსაჩინოესი მასალებითაა გამორჩეული. ამ დროს ადამიანის საცხოვრისი ალიზისაგან კეთდება. მას ეძლევა წრიული ფორმა. არის სხვა ფორმის ხელოვნური ნაგებობანი, რომელიც ქვისა და ალიზის მასალისგანაა ნაგები. ამ ნაგებობათა ცენტრში არის ყველგან კერია, რომელიც ამ დროისთვის უკვე ცეცხლისადმი თაყვანების მნიშვნელოვანი ფენომენია, მაგრამ არა უპირატესი, რადგან ფუძე ან ნერჩი, რაც მეგრულ ლექსიკას უძველესი დროიდან მოსდევს, უპირველესი ღვთაებაა, ფუძეა სახლისა. სადგომის ამ ფუძეზე, ამ ნერჩზე, ს. მაკალათიას დამოწმებით, ხდება ლოცვა – „დიხაში ხვამა“ ფუძეზე, ნერჩზე. ნერჩი ცხოვრების საფუძველია. ამიტომ მასზე ფუძნდება მისი რწმენის მეორე ფენომენი – კერია ცეცხლით, რომელზედაც, როგორც სვანები, ასევე ზანები სალოცავს, კერიის სალოცავს აღავლენენ.

ეს განვითარებული ყოფა და მიწათმოქმედება განვითარებულ იარაღს მოითხოვდა. აქ უაღრესად განვითარებულია მარცვლეულ კულტურათა მოყვანა და დამუშავება. ეტყობა, ჩასართავები ან ნამგლის პირები, კაჟისაგან დამზადებული, ნეოლითის ხანიდან მოდის და ენეოლითში განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს. მახათის მასივზევე, კოტორაში, ალანიაშ გზაზე ნაპოვნი უნიკალური კაჟის პირები დამუშავების ტექნიკით და დონითაც ძლიერ გამორჩეული ჩანს.

[1] საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 68.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვედიდკარის მასივზე, ჭიოკაშ ჯიხის მიდამოებში, ენეოლითური კულტურის ფენაში ვიპოვეთ ხელცული, ოღონდ არა სწორპირიანი, არამედ ირიბად შებრუნებული, ამაღლებული საკვეთი, საღარავი, საწერა პირით, რომელიც ტარის გაყოლებაზე ვითარდება, ე. წ. „ქარჩის“ ტიპის იარაღია. იგი ტარსაყრელის შუა ნაწილში გადამტვრეულია. ტარი, კავის დედოს დონისა და რვილეს ტარის პარალელურად წამოწეული საკვეთი, საწერი პირით, ტარის, დედოს გაწევით ჭრის, კვეთს მიწას. მისი სიმაღლე 30,5 სმ-ს უდრის. ორივე მხრივ ალესილ-გაპრიალებულია, პირი ჩაკვეთილ-ჩასწორებულია, შიდა მხარი ოდნავ ჩაგლუვებულია და საკვეთი პირის წვერი აწეულია დაახლოებით 1,52 სმ სიმაღლეზე. 14 სმ სიმაღლეზე გახვრეტილია 2,5 დმ ხვრეტილით, სადაც ტარი ან დედო უნდა ყოფილიყო გაყრილი. მას ზემოთ ადგას ცულის ან საწერის გახვრეტილი ყელის ნაწილი და მომრგვალებული კოპი, ორგან ამოღარული ხაზებით. წვერის სისქე 3,5 სმ-ია, ხოლო თავად ცულისა უდრის 2,5 სმ-ს. საწერა ან ხელცული საკვეთი ისე ჩასწორებულ-გაპრიალებულია, რომ მისი მოხმარებაც და ტარებაც თვალსაჩინოა. ამ ეპოქის იარაღთა შორის იგი განვითარებული მიწათმოქმედების იარაღია. გარდა სახვრეტი, საჭრელი ხელცულისა, ქვის იარაღის განვითარების უმაღლესი საფეხურის უნიკალური მოწმეცაა და, ზოგადად, ხელოსნური წარმოების განვითარების სრულყოფილი ფორმა. „წერაქვისნაირი იარაღის მიწათმოქმედებაში უძველესი დროიდან გამოყენებას უნდა მოწმობდეს საქართველოს მთიანეთის უკანასკნელ ხანამდე შემონახული მიწის სამუშაო იარაღი ქარჩი, რომელიც წერაქვის მსგავს ვიწროპირიან იარაღს წარმოადგენს. ქარჩით საყანე მიწის ქარჩვა ხდება“. ჩვენ მიერ აღწერილი ხელცული ან ცულსაწერა სწორედ ქარჩვისათვისაც იყო გათვალისწინებული, ასევე, სათლელად და საპობადაც. მრავალმხრივ კომბინირებული ეს იარაღი თვალსაჩინო მოწმედ წარმოგვიდგება. ასეთი იარაღის გვერდით მესეფის ნაყოფიერების ხატების პოვნაც განვითარებულ მიწათმოქმედებასა და მის კულტურაზე მეტყველებს უდავოდ. „როგორც ჩვენთვის ცნობილია, ისტორიის საწყის პერიოდში კაცობრიობას არავითარი რელიგია არ ჰქონია. რელიგია წარმოიშვა საწარმოო ძალებისა და საზოგადოების განვითარების იმ საფეხურზე, როცა გვაროვნული წყობილება აღმოცენდა. ვითარდება რელიგიის... ფორმა-ბუნების კულტი, მაგრამ ბუნებისადმი უპიროვნო და ზოგადი თაყვანისცემა არ არსებობს. ესაა თაყვანისცემა მისი ცალკეული ელემენტებისა და ძალებისადმი“.[1]

[1] საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 61.

ამრიგად, ენეოლითური კულტურის წიაღი მეტად საინტერესო მოვლენებითაა აღსავსე და იგი დაბეჯითებით გვიმტკიცებს ადამიანის გონებრივი, სულიერი და ტექნიკური დასრულების შესახებ ღრმა ცოდნას. თუნდაც ეს მნიშვნელოვანი მაგალითი – ხელცული, ეოლითური ფორმიდან ენეოლითურ ფორმამდე, უნიკალური მოწმეა ადამიანის გონების და ტექნიკის განვითარებისა, ათასწლობით მომდინარე, განგებისმიერი პროცესისა და მისი საოცარი შედეგებისა, ადამიანის ყოფა-ცხოვრების განვითარების საქმეში.

# მითოლოგიური საოცრებანი ქანდაკებებში მარტვილის ეროვნული მუზეუმის ფონდებიდან*

## წინათქმა

წლების განმავლობაში ვაწარმოებდი არქეოლოგიურ გასვლებს, ვაგროვებდი მასალებს, ვსწავლობდი მათ, ვეწეოდი შედარებით მუშაობას, მეცნიერულ ანალიზს და ყოველთვის საინტერესო შედეგებს ვიღებდი.

ხშირად ისეთი შედეგებით გვირგვინდებოდა ასეთი მუშაობა, რომ საქართველოს და, საერთოდ, კაცობრიობის ისტორიის საყურადღებო ფაქტებს ეხდებოდა ფარდა.

წლები გადიოდა, აზრი მწიფდებოდა ამ კუთხით. სწორედ ამან მოგვცა შესაძლებლობა იმისა, რომ გამოქვეყნებული გვაქვს თემატური ალბომები, სადაც ეს ნივთები და მასალები, მითოლოგიის მონაცემებით შექმნილი და სარიტუალო, საკულტო დანიშნულებით გავრცელებული, ჩანდა ხალხში. აღნიშნული მასალები ძალიან შორეულ წარსულს, ადრეული ეპოქის აბორიგენი მოსახლეობის აზროვნებას წვდებოდა და მითების საფუძველზე ქანდაკებებში ხორციელდებოდა.

ეს მასალები ნათელს ჰფენს მაშინდელ ყოფას, მეურნეობრივი განვითარებისა და რელიგიური აზროვნების განვითარების დონესა და მიღწევებს, კულტურული გაქანების სიღრმეს და თავისებურებებს. ამდენად, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ერთხელ კიდევ ალბომის სახით გამოვცეთ ეს კრებული, სადაც თვით მასალები ილაპარაკებენ თავიანთ შინაარსსა და ისტორიულ მნიშვნელობაზე, ჩვენი ხალხის წარსულის სიდიადესა და დიდ სიკეთეზე.

იმედი გვაქვს, მკითხველი საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდება ჩვენთან მორიგ შეხვედრას და თავის დადებით აზრს იტყვის წინამდებარე ნაშრომზე.

---

* გ. ელიავა, მითოლოგიური საოცრებანი ქანდაკებებში მარტვილის ეროვნული მუზეუმის ფონდებიდან, მარტვილი, 2000; გ. ელიავა, მარტვილის მუზეუმში დაცული ენეოლითური და ბრინჯაოს ეპოქის მზის ხატ-სალოცავები, ქადაგებები და ედეოგრამული მასალები, მარტვილი, 1997.

## შესავალი

„მითი წარმართობის დროის ხალხურ მოთხრობას წარმოადგენს, რომლის უმთავრეს გმირებს ღვთაებები და ღვთიური წარმოშობის არსებანი წარმოადგენენ. ასეთი ნაწარმოებები გვიამბობენ ქვეყნის წარმოქმნაზე, ზღვებისა და მდინარეების გაჩენაზე, ადამიანის შექმნაზე, ცისა და ქვეყნის პაექრობაზე, მცენარეებისა და ცხოველების გაჩენაზე და ა. შ. თითოეული პრობლემის გამო კაცობრიობამ წარმოდგენები მეტად შორეულ ხანაში შეიმუშავა. ამიტომ მითების წარმოშობა ძალიან ადრეულ პერიოდს ეკუთვნის, რომელიც უფრო ხშირად ისტორიული ხანის მიღმა დგას“.[1]

ქართული მითოლოგიური პანთეონის შექმნა, ქართული მითოლოგიური აზრი უხსოვარ დროშია ჩასახული. იგი წინაწარმართული პერიოდის კუთვნილებაა, რომელიც რელიგიას, მის სახეობათა წარმოშობას უსწრებდა წინ და ქართველი ადამიანის გონიერებისა და აზროვნების განვითარებას ედო საფუძვლად.

გონიერი ადამიანი გარემომცველ ბუნებასა და მის მახასიათებელ თვისებებზე ქმნის თავის აზრს, მოთხრობას, გადმოცემას. თანდათან, ადამიანის გონებრივი განვითარების ეტაპების მიხედვით, ავრცელებს მას თაობიდან თაობამდე. პირველსაწყისი, გონიერი, ცნობიერი აზრის გადმოცემით, ლეგენდის სახით იქმნება მითი.

მითი წარმოადგენს საწყის ეტაპს ჰომოსაპიენსის გონიერი ცნობიერების ასახვის საქმეში. ამიტომ მასში უძველესი ცნობიერების მოწმე მითოლოგიური რწმენა და წარმოდგენაა ასახული. „მითოსი ადამიანის გონებრივი აქტივობის უმთავრესი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა“[2]. მითოლოგია ყველა ქვეყნის ადამიანთა საზოგადოებას უხსოვარი დროიდან მოჰყვა. მითოლოგიური აზრი გონიერი თვალისა და კითხვის, ჰომოსაპიენსის გონისა და თვალსაწიერის საწყის ფორმას წარმოადგენს, დაუწერელს, ზეპირად გადმოცემულს, თაობიდან თაობაზე გადაცემულს და დღემდე ასე მოღწეულს. მითი, მითოლოგიური აზრი, მითოსი, ასე წამომდინარდა შუამდინარული (შუმერული), ებრაული, ქალდური, ხალდური კაპადოკიური და ანატოლიური კულტურის, ცივილიზაციის თავდაპირველ ფორმებში და აქ შემორჩენილი მითოსის პირველ მოწმეებში. მას თავისი რეგიონული საზღვრები აქვს. შუამდინარული კულტურა გავრცობილია შუამდინარულ არეში ადრე მოსახლე ებრაულ, ქალდურ, ხალდურ, რეგიონულ შემოსაზღვრულობაში, თარგუდაში (მეგრულ ლე-

[1] მ. ჩიქოვანი, „ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები“, თბ., 1971, გვ. 5.

[2] ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, 1976, გვ. 3.

ქსიკაში არის ტერმინი „ტარგუდა“, იგი დღესაც ცოცხალი ერთეულია), აბორიგენულ თავდაპირველ საცხოვრისში.

ქართული მითოლოგიური აზრი ამ თავდაპირველ, უხსოვარ საცხოვრისში ჩაისახა, აქ ამოვიდა აქვე არსებული უძველესი, პირველი მითოლოგიური აზრიდან და შემდგომ ეტაპებზე დაეფუძნა კიდეც მას. ამდენად, აქ მოსახლე თავდაპირველი, აბორიგენი მოსახლეობა იმუშავებს ერთიან მითოლოგიურ აზრს, მის პერსონაჟებს, იმუშავებს პირველყოფილ მითოლოგიურ აზრს გარემოსა და ასტრალურ ღვთაებებზე და იმ უხსოვარ დროს, იქნება მუსტიეს ხანაში იმუშავებს მითოლოგიური პერსონაჟების მთელს გალერეას ზეპირ გადმოცემებში, მისი მხატვრული შემოქმედების ნიმუშებში.

მაშასადამე, ჯერ ყალიბდება ზეპირი აზრი, გადმოცემა, მითოსი, შემდეგ მისი შესაბამისი სახეები, მხატვრული გარდასახვები, ქანდაკებები. ეს ალბათ ენეოლითის დასაწყის პერიოდში ყალიბდება, რადგან ადამიანის გონება წინ მიდის, ვითარდება, ზეპირის შემდეგ გადადის მის ქანდაკებებით და წერილობით ასახვაში. ასე ვიპოვეთ ჩვენი პრაქტიკული საქმიანობისას ქანდაკებები ქვაში, ძვალში თუ ბრინჯაოსა და, უფრო გვიან, რკინის სხმულებში. ჩვენმა პირველმა პრაქტიკულმა ღვაწლმა დაგვარწმუნა ამ აზრში, ადგილზე ნაპოვნმა ნივთებმა დაგვიდასტურა ამ აზრის ჭეშმარიტება. ასე ვიპოვეთ ქანდაკებები – თუნდაც ჟინანთარისა და მესეფისა, თუნდაც ზოომორფული სახეები: ცხვარი, ჯიხვი, ცხენი, ძაღლი, ლომი, ვეფხვი; ადამიანის სხვადასხვა გამოსახულებანი; მცენარეთა ტანის, ღეროთა და ნაყოფთა გარდამავალი ფორმები. ამასთან, ჩვენ პარალელურად ვპოულობდით კარტოგრამის და კირბების უადრეს და უპირველეს ნიმუშებს. კირბული ვარიანტები თან ახლავს ქანდაკებებს, როგორც მათი შინაარსის ამსახველი წერილობითი მოწმეები. იგი ხან ქანდაკების ზურგზე და გვერდებზეა ამოხაზული, ისე როგორც მას ვ. ალფენიძე და სხვა მეცნიერები თვლიან. ეს ჩვენი ხალხის კარტოგრამული დამწერლობის უძველეს და უპირველეს სასწაულებს წარმოადგენს. არქეოლოგი ასე პოულობს არქეოლოგიური გათხრების კერებზე ხაზოვანი ნიშნებით ჭადაქვებსა და ხვინჭკა ქვებს. ხშირად ისინი უყურადღებოდ რჩება. ჩვენ ასე ხაზობრივ, ნიშნიან ქვებს ყურადღება მივაქციეთ, აღვწერეთ და აღვრიცხეთ, თითქმის ავამეტყველეთ კიდეც. ასე თანმიმდევრობით ითქვა მართალი სიტყვა აბორიგენი მოსახლეობის მითოლოგიური აზრის განვითარებაზე.

ეს კვლევა-ძიება, შემთხვევით დაწყებული, შემდეგ ფუნდამენტური კვლევა-ძიებით, გეგმიური ორგანიზაციით გაგრძელდა. ამან მოითხოვა ისტორიული ეპოქების არქეოლოგიური მასალა, მაგრამ იგი ყოველთვის

იმ თავდაპირველად წარმოდგენილი მითოლოგიური აზრით იწყებოდა და შემდეგ მტკიცე ცოდნა იქმნებოდა ისტორიულ მეცნიერულ აზრში.

ამიტომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალების თანმიმდევრობა ნათელ სურათს გვიქმნის წინაისტორიული ეპოქების ყოფითი დონისა და წინსვლითი განვითარების თანმიმდევრობაზე, რაც უდავოდ საფუძველი ხდება ამ თანმიმდევრობის ისტორიულ-მეცნიერული შემეცნებისათვის, რისთვისაც ისევ ალბომის შექმნის ჩვენეულ პრაქტიკას ვიყენებთ.

## მითოლოგიური წარმოდგენები და ზეპირი თხრობის პერსონაჟები არქეოლოგიური მასალების ფონზე

ჩვენ კონკრეტულად კოლხეთის არქეოლოგიური მასალებიდან გამოვდივართ. ამიტომ გვინდა ეგროსისდროინდელი ქვეყნის – ეგრისის სინამდვილიდან აღებული მასალებით დავიწყოთ. თარგამოსმა თავის გმირ ვაჟიშვილთა შორის ერთ-ერთს – ეგროსს მისცა ზღვისპირეთი, რომელსაც იმ დროიდან ეგრისი ეწოდა. ამ მხარეს უფრო მოგვიანებით უცხოელებმა კოლხეთი უწოდეს. ასე გავრცელდა შემდგომ დასავლეთ საქართველოს ან საქართველოს ამ დასავლური ნაწილის საისტორიო წყაროებში ეს სახელწოდება; ანტიკურ წყაროებშიც მას ასე უწოდებენ[1].

ეგრისი პირველი, აბორიგენი მოსახლეობით დასახლებული ქვეყანაა. როგორი მითიურიც არ უნდა იყოს თარგამოსი – ნოეს მეოთხე თაობის შთამომავალი, მაინც ამ კუთხის თავდაპირველი, ადრინდელი მოსახლეობის დიდ პატერად, ეპონიმად ჩანს.

პატრიარქატისდროინდელი პატრიარქალური ოჯახის პატერი შეიძლება იყოს ეპონიმი. ასევე მისი შვილები, თუნდაც თარგამოსი, რაც არ უნდა შორეულ და თითქმის მითიურ პიროვნებად ჩანდეს, იგი უდავოდ ეპონიმია, პატერია და მისი პატრიარქალური, ოჯახური თემი, ეტყობა, გავრცელდა მთელ ზღვისპირეთში და ეგრისის აბორიგენი ხალხი გახდა.

ეგრისის ქართული, ხალდური, ქალდური შთამომავლობა, ასე ეწოდება ხალხს იმ დროიდან. ისე როგორც სხვა უძველეს ხალხს, მათაც ჰქონდათ თავიანთი მითოლოგიური სამყარო. იგი სავსე იყო მითოლოგიური პერსონაჟებით. ეს ქვეყანა შედიოდა თარგუდაში (მთავარ-თარ გუდა საცხოვრისში). ეს იყო ერთიანი, უძველესი საცხოვრისი, რომელიც თავის შემადგენლობაში მოიცავდა შუამდინარეთს ან მანამდე ვრცელდებოდა.

---

[1] გეორგიკა, ტ. II, სქოლიო, ლექსიკონი გვ. 301; ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, სქოლიო, ლექსიკონი, გვ. 107, III; სტრაბონის გეოგრაფია, სქოლიო 283; აკაკი ურუშაძე, ძველი კოლხეთი, თბ., 1954, ლექსიკონი, გვ. 917.

ამრიგად, შუამდინარეთის, შუმერული მითი, კონკრეტულად მხოლოდ შუამდინარული, შუმერული მითი როდი იყო, არამედ იგი მთელ ხალხს ეკუთვნოდა შუამდინარეთიდან შავი ზღვისპირეთამდე და მთელ წინააზიას იკავებს, და ეს ქვეყანა ერთიანი მითოლოგიური სამყარო იყო. ამ ვარაუდის მართებულობას ადასტურებს თუნდაც ჩვენ მიერ „ალანიაშ გა-ზე“ (ალანიას სერზე), მარტვილის აღმოსავლეთის მისახედ გორაკზე ნაპოვნი მითიური აზრის მოწმე ქანდაკება, რაც ენეოლითური დროის მხატვრის ნახელავია უდავოდ.

**კვერცხი (ალანიას გა). შუბლი და ზურგი**

ადგილობრივია თუ უცხოური ნივთი, შუმერულად ცნობილი მითი. იგი არა მხოლოდ შუმერულ, შუამდინარეულ, არამედ ამ თარგუდაში გაბატონებულ მითოლოგიურ აზრად ჩანს. იგი ადგილობრივისათვის უცხო არაა, ქვიშაქვის ოვალური ერთეულია, კვერცხის მოყვანილობისა, რომელსაც ერთი მხარე ჩაპობილი აქვს და აქედან ამოდის პროტოგონი (თავსიცოცხლე), სამყაროს დემიურგი. იგი ქანდაკებაში ჩანს ამომავალი ზურგით და შუბლით. ამომავალი ღვთაება მზადაა ჩაჰყვეს ინგირს (სიცოცხლის თავმდინარეს). კვერცხის მსგავსი ერთეული აღწერილი აქვს ზურაბ კიკნაძეს, თავის „შუამდინარულ მითოლოგიაში“[1].

ეს ქანდაკება, ეტყობა, პირველი არქეოლოგიური მოწმეა იმისა, რომ „კვერცხიდან გამოიჩეკა ინდური კოსმოგენოს მიხედვით კაცი „პრაჟა პატი“. მან შიგნიდან გამოტეხა ოქროს კვერცხი, რომელიც დასაბამიერ ზღვაში დაცურავდა. პრაჯა პატი გამოვიდა ნაჭუჭიდან და სიტყვის ძა-

[1] იხ. ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 66-68.

ლით შეჭამა ყველაფერი, პირველ რიგში, ხმელეთი და ცა. ძველინდური თქმულების მიხედვით, თავდაპირველად მთელი სამყარო ქაოსურ მდგომარეობაში იყო და ფორმით უზარმაზარ კვერცხს ჩამოჰგავდა. მასში ჩაბუდებულმა პანგუმ გააპო კვერცხი, რომლის მსუბუქი და სუფთა ნახევარი მაღლა აზიდა და ცად შექმნა, ხოლო მძიმე და ბინძური ქვედა ნაწილი დაიზიდა და მიწად გარდაიქმნა. პანგუმ დემიურტული ღვაწლი იმით გამოხატა, რომ თავისი უზარმაზარი სხეული მსხვერპლად შესწირა კოსმოსის მატერიას.

ორფიკული კოსმოგონიის ერთი ვერსიის მიხედვით დაუსაბამო ქრონოსი (დრო) ეთერისა და უზარმაზარი უფსკრულისაგან ქმნის ვერცხლის კვერცხს, საიდანაც გამოდის პროტოგონი, პირველქმნილი ღვთაება, რომელიც თავის თავში შეიცავს ყველა ღმერთისა და ნივთის ჩანასახს. კვერცხის ჰემოსფეროები ქმნიან ცასა და ქვესკნელს“[1]. ეს ქანდაკება (იგი სიდიდით 7X4X3 სმ-ია) იმ მითოლოგიური კვერცხის მსგავსი, გაცოცხლებული მითია.

აღნიშნული ქანდაკება ამ თარგუდაში საერთო მოვლენა, მითოლოგიური აზრის გაცნობიერება იყო. ასე იყო ალბათ, სხვაგანაც, თუნდაც ინდურ მითოსში, საიდანაც მოვიდა შუმერთა ტომი და თვით მითოსის თავწყარო. ამ ქანდაკების აქ აღმოჩენა, სხვა ქანდაკებებთან ერთად, თარგუდას საერთო მოვლენად მიგვაჩნია. მითი რომ საერთოდ ცნობილი და გავრცელებული იყო, ამას ამტკიცებს ჩვენი ფოლკლორული მოგზაურობა მხარეში. მთხრობელები ყველგან ამბობენ უძველის გადმოცემაზე, რომ სიცოცხლე კვერცხიდან წარმოიშვაო. ასე სწამდათ ჩვენს წინაპრებს. ამდენად, ეს მითოლოგია უცხო როდია. იგი ჩვენი წინაპრების საერთო მითოლოგიური აზრის კუთვნილებაა. თუმცა ეს კერა (ალანიაშ გა) არ იყო ერთეული ნივთის პოვნის ადგილი. აქ ეტყობა, როგორც ვთქვით, ენეოლითური ხანის ოსტატი-მხატვრის სახელოსნო უნდა იყოს, სადაც მას მითოლოგიურ მოთხრობათა პერსონაჟების, სხვა გმირების ქანდაკებანიც უკეთებია. დაკვირვებიდან ეტყობა, რომ იგი ამ დონის და შინაარსის სახელოსნოს უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს აქ ნაპოვნი სხვა ქანდაკებები, მათ შორის, მესეფის ქანდაკება.

მესეფი ადრეული, პირველყოფილი მითოსის გმირია. ეს ქანდაკება ადასტურებს აზრს, რომ აქ მოღვაწე მხატვარი მითოსის გმირებს ასახიერებს. მესეფიც მეგრული მითოსის პერსონაჟია. მესეფები დედამიწაზე ქარიშხლის შემდეგ ზღვაში ცხოვრობენ. აპ. წულაია და ჰანც ფაინრიხი წერენ: „მესეფები ზღვაში ცხოვრობენ, როგორც თევზები“. ისინი ოქ-

[1] იქვე, გვ. 68.

ტომბრის და ნოემბრის შუა რიცხვებში ამოდიან ზღვიდან და მათ ამოსვლას ნაყოფიერება ან გრიგალქარი ამოჰყვება ხოლმე, წვიმითა და ქარაშოტით. ისინი ზღვის მცხოვრებნი არიან, ხმელეთზე მესეფობის დროს ამოსულნი[1].

მოქანდაკემ ამ ქანდაკებით ორსახოვანი არსება გამოაქანდაკა; როცა ქანდაკება ვერტიკალურად დგას, იგი კაცღვთაებას განასახიერებს, დიდი თვალებით, განიერი, მოქცეული ცხვირით და წინ წაგრძლებული ნიკაპით, რომელსაც თითქმის ფალოსის ფორმა აქვს. თავი მაღალ ყელზე დგას. ქანდაკებას ჰორიზონტალურ მდგომარეობაში თევზის ფორმა და გამოსახულება აქვს, ფართო, დიდი თვალებით და თავის კოფოს ადგილას ფართო ლაშებით. თევზის მოყვანილობა სრულყოფილად გამოისახება.

**ვერტიკალური კაცღვთაება**

**ზურგზე იდეოგრამა**

**ჰორიზონტალურად თევზღვთაება**

**მესეფი (ქვა, ალანიას გა)**

ამდენად, ქანდაკება მიუთითებს, რომ იგი თავითა და წელის ფორმით ვერტიკალურად კაცღვთაებაა, ხოლო ჰორიზონტალურად თევზის თავის მოყვანილობა აქვს, ე. ი. ზღვის ცხოველია, ზღვაში მცხოვრები. ხოლო როცა წამოიმართება ვერტიკალურად, კაცღვთაების დაღრეჯილ, ბრაზიან, საზარელ სახეს განასახიერებს. ზურგზე ქანდაკებას იდეოგრამული ხაზები აქვს. ეტყობა ეს ხაზულები გვიამბობს მითის შინაარსს და წინასახისმიერ კრიპტოგრამად, კოდად იკითხება. ქანდაკების სიმაღლე 7 სმ-ს უდრის, ხოლო განი 4 სმ-ია, სისქით 30 სმ. ეს ქანდაკებაც სრულყოფილად ასახიერებს მითის შინაარსს. ამდენად, იგი ამ მითის პერსონაჟის სრულყოფილი სახეა.

[1] გ. ელიავა, მარტვილის მუზეუმში დაცული ენეოლითური და ბრინჯაოს ეპოქის მზის ხატ-სალოცავები, ქანდაკებები და იდეოგრამური მასალები (ალბომი), ქუთ., 1997.

აღნიშნული ქანდაკება ჩვენს ფონდში და, საერთოდ, არქეოლოგიურ მასალაში, კვერცხის მსგავსად, უნიკალურია. იგი ასეთი სახით არსად არაა ნაპოვნი და აღწერილი. საოცარი ეგზემპლარია ჩვენს მასალებში და მესეფის სურათხატს მიუთითებს უდავოდ. ეს ქანდაკება „ალანიაშ გაზეა“ ნაპოვნი. ეტყობა, ეს სახელოსნო არაა, ან პირობით, ერთდროულად ერთსახაა, მითოლოგიური მოთხრობების პერსონაჟებს ასახიერებს, ეს მისი თემატური სამუშაოა. აქვე ნაპოვნია მზის კალენდრის ქანდაკი. შუბლზე ნათელი მზეა, სხივებით, ჩხორიათი, ხოლო შემდეგ მისი ტანის ვრცელ სივრცეზე იშლება ჩხორიას (სხივთა) ტოტები, შვიდი ტოტი, რომელთა გაგრძელება გონიოებზე გადადის. ქანდაკება მოგვითხრობს მზეზე – ხატ-ღვთაებაზე, რომელიც თავისი სხივებით, ჩხორიათი აშუქებს, ანათებს სამყაროს. ქანდაკების ზურგზე არის სხივთა გაგძელების ხაზულები. ჩანს, რომ იგი იდეოგრამული დანიშნულებისაა. ეტყობა ხსნის მითს მზე-ღვთაების შესახებ, ჩხანა, ჩხორიათი, – სამყაროს გამანათებელი არსება, სრულყოფილად მიუთითებს სხივთა დროის განრიგებას. ქანდაკება სიდიდით 9X6X2 სმ-ია.

**მზის კალენდარი (ალანიას გა)**

ამ ქანდაკებას ერთვის მზის ოვალური ორბიტა, რომლითაც გარსშემოხვეულია მზის მანათობელი გარემო. ესეც მზის ღვთაების ქანდაკება, მზის მითის საფუძველზე შექმნილი თხრობაა (მზე თავისი მნათობი არსითა და გარემოთი). ქანდაკება ოვალია, 7 სმ-იანი რადიუსით და 3 სმ სისქით.

**მზის ქანდაკი ქვაში**

ესეც ამ მითის სურათ-ხატია, სახიერად ქანდაკებით გადმოცემული. ამ ორივე ქანდაკებაში იკითხება მითის შინაარსი. ესეც უდავოდ საინტერესო მოწმეა ამ სახელოსნოში მოქმედი შემოქმედებითი ღვაწლისა.

სახელოსნოში აკრეფილ სხვა მასალათა შორის საინტერესოა ღორის ტანი ქეჩოთი, ზურგი და ცხვირ-პირი.



**ღორის თავი**

ესეც მეტყველი ქანდაკება. ნაპოვნია ქვედა ტუჩ-პირი და ტანის ნაწილი. ზედ, ქეჩოს გასწვრივ, არის იდეოგრამული ხაზულები.

აქვე ნაპოვნია გველის თავი, ტუჩ-პირით და ულვაშებით. ზურგზე იდეოგრამული ხაზულებია.

**გველის თავი**

ეს ხაზულებიც ალბათ კოდის მეშვეობით იკითხება. კოდი კი ტუჩ-პირის გამოსახულებაა.

აქვე აკრეფილია ნიშან-ხაზულებით ჭადა ქვები და ხვინჭკები, რომლებიც კირბების მოვალეობას ასრულებდნენ ალბათ[1].



**კირბები (მახათი, ალანიას გა)**

ყველა მათგანზე ხაზობრივი ნიშნებია, რომელთაც ერთვის კოდები, კრიპტოგრამები, საიდუმლო გასაღებები.[2]

იდეოგრამული ნიშნიანი ქვები (კირბები)

**კირბები კოდებით**

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქვე არის საკმაოდ მსხვილი, ოდნავ მოხრილი ფალოსის გამოსახულება, რომლის კანის გონიო შუბლზეა დახვეული, ხოლო ტანი იშლება წვერისკენ. იგი სიგრძით 15 სმ, ფართით 5 სმ, განით კი 4 სმ-ია. ფალოსი გამოსახულია საკმაოდ ტალღოვანი კუნთით. ესეც, უდავოდ, მეტად მეტყველი გამოსახულებაა.

---

[1] იხ. გ. ელიავა, ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები, 1999, გვ. 8-10.

[2] იქვე.

**ფალოსი**

ერთ-ერთ ფირფიტაზე ასახულია ჯვარედინ ხაზულათა ქარგა, ჯვრისა და მისი გარემოს საკითხავად. ესეც მეტყველი კირბია, საოცრად ახაზული გეომეტრიული აღნაგით[1].

ხაზულაზე მოცემული ნივთი ოთხკუთხა ფორმისაა. ამიტომაც ნახაზიც თითქმის ოთხკუთხაა, სამი სწორი გვერდით და ერთი, ოდნავ ყურიანი, წამოწეული განით. ის უდრის 5 სმ-ს განით, ხოლო სისქით 3 სმ-ია. ჯვრის წელში ხაზულები თავს იყრის და ჯვრის ფორმად ვითარდება, თითქმის სვასტიკაა ჯვრის ქიმებით. ეს ნახაზი თითქოს ასო-ბგერის გამოსახულებას წარმოადგენს. ამდენად, ეს კირბი „ჯ“ ბგერას გამოხატავს უდავოდ. ამ კირბით იწყება ასო-ანბანის წარმოება. იქნებ მისი ირიბი გვერდები და ცალკე გამოყოფილი სამკუთხედები ზურაბ ქაფიანიძის მიერ ამოკითხული ანბანის ბოლო წერა იყოს. ალბათ ასეა ყველა კირბზე ასო-ბგერათა წერა ნაფიქრალი და დაწყებული. ამდენად, ამ ნახაზს ან კირბს უდავოდ დიდი მნიშვნელობა შეიძლება დაეთმოს ჩვენს არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის. იგი ქვის ქანდაკებაა, დამწერლობითი ასო ნიშნით. ეს უნიადაგო ვარაუდი არ უნდა იყოს. აქ და სხვაგან ნაპოვნ ყოველ არქეოლოგიურ მოწმეს დიდი მეცნიერული ღირებულება უნდა ჰქონდეს და იგი ჩვენი მეცნიერული ფანტაზიის წყაროდ არ შეიძლება ჩაითვალოს.

სოფელ სალხინოში (მარტვილის რაიონი) ადგილს ჰქვია ჟინოთა. იგი მდ. ტეხურას ორივე მხარეზე ვრცელდება: გაღმა და გამოღმა ჟინოთა. აქ ოდითგანვე ჟინიანთარის მაღალი ანთარის, ან ზედა ანთარის საღვთო სალოცავი სოფელი და ადგილია. ჟინი ანთარი (ზედა ანთარი) მითოლოგიური პერსონაჟია. იგი ნაყოფიერების მომცემი ღვთაებაა. სოფელს გამოღმა ადგილი სალხინოა.

[1] გ. ელიავა, ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები, 1999, გვ. 9.

სალხინოში არის ჟინიანთარის სალოცავი „ნაოხვამუ“ ადგილი. აქ წინათ ბაზილიკური ეკლესია იდგა და ჟინოთის ოხვამეს უწოდებდნენ, ხოლო ტეხურას პირას, ჭალაში იყო დახაზურგა, გუძუბა, რაც ჟინოთას სალოცავად იყო მიჩნეული. აქ, გუძუბის გათხრისას აღმოჩნდა ქვების გროვა, რომლის ზემოთ იდგა ჟინოთის ხატსალოცავი. იგი ქვის კოტა-თი იყო დამაგრებული ქვა-ღორღის გუძუბაზე, რაც ასწლეულების განმავლობაში ჩათხრილი და დაფარული იყო მიწის ფენით. გათხრით იგი განთავისუფლდა და ზურგში კოტაამოჭრილი ხატ-ქანდაკება ამოღებული იქნა მიწისა და ქვის ფენიდან.

ქანდაკება კირქვის ოთხკუთხა ფილაა, სიმაღლით 30 სმ, განით 15 სმ, სისქით 10 სმ. ქვაფილას აქვს მარჯვნივ ქვის ყურის უსწორო ნიჟარა, ხვრეტილის გარეშე. ზედ თავზე, მარცხნივ, კოპია ირიბად ჩაჭრილი. ეტყობა ესეც ქვის მხატვრული გაფორმების ნაწილი იყო. შუბლზე ამოკვეთილია ორი ფართო თვალი. მარჯვნივ თვალის ჭრილის ოვალის ნაწილია, ხოლო მარცხნივ უფრო ღია, ბრიალა თვალია. ცხვირის კონუსიც და ნესტოებიც ირიბად ამოთლილი ღიობია. ნიკაპის ღრუც ირიბადაა ოდნავ ჩაკვეთილი, რაც ღვთაების სახეს შედარებით ახალგაზრდის, მრისხანე და დამცინავ შთაბეჭდილებას ანიჭებს. ღვთაება, ეტყობა, ღვთიური მადლით და კმაყოფილების ღიმილით ამკობს გარემოს. ღმერთი მადლიანია, ოდნავ ბრაზიანია, ღიმილით მადლს აყრის მლოცველს. ხატ-ქანდაკება დანიშნულია მხოლოდ ლოცვისა და ხალისიანი დარიგებისათვის.

**ჟინიანთარი**

**შუბლი** **ზურგი (კოტა)**



**ზურგზე ფოსოა ამოჭრილი კოტას სამაგრად**

ჟინანთარის ჭალა მიუყვება ტეხურას თამაკონის ციხისკენ და მის გამოღმა ნაპირზე არის ოთხკუთხა ბაზილიკა, რომელსაც „ჟინანთარიში ოხვამეს“ (ჟინანათარის სალოცავს) უწოდებენ. აქ, მის კედელზე დაცული იყო XIII საუკუნეში შესრულებული საოცრად ნატიფი ჯვრის ბარელიეფი. ადგილს აქ ჟინოთას, ხოლო ტეხურას მარჯვენა ნაპირას გაღმა, ჟინოთას უწოდებენ.

ჭყონის სას. საბჭოსთან, მდინარის პარალელურად მოედინება მცირე ღელე, რომელიც ჭყონის სას. საბჭოს მარცხენა ნაპირას მიუყვება საკმაოდ შორ მანძილზე და ჭყონის სას. საბჭოს უკიდურეს კიდურზე უერთდება მდ. ტეხურას. მდინარეს ეძახიან „ღვანდარას“.

ხალხის გადმოცემით, ამ მდინარეში ხელი ამოიბანა ჟინანათარმა. ამიტომ აქ საკმაოდ გრძელი, ელასტიკური და ძალიან ლამაზი თევზი ბინადრობს, რომელსაც „ჟინოშ კითებს“ – ჟინოს თითებს უწოდებენ. ისინი მართლაც თითებივით სწორი, გაწვართული, ელასტიკური და მოძრავი არსებები არიან. „ჟინოშ კითს“ არ იჭერენ და არ ჭამენ. მას პატივს სცემენ ჟინოს მიხედვით, როგორც ღირსეულ საკულტო ერთეულს. ესეც ჟინოს და ჟინანთარის სარიატუალო ერთეულია და ჟინოს პატივისცემის დიდი ხნიდან შემორჩენილ რიტუალს წარმოადგენს. ეს ქანდაკება ამ ღვთაების პრიმიტიულ ხატს, ხატებას წარმოადგენს. ის რომ იპოვეს და ჩვენ გვაჩვენეს, თვითონ ჟინოს პატივისცემის ნიშნად ქედს იხრიდნენ და ილოცებოდნენ. ესეც ამ ღვთაების პატივისცემის რიტუალად მიგვაჩნია უდავოდ.

ნახუნაოში ადგილი „ნაცაცხვერა“ ასევე სარიტუალო „ნაოხვამუდ“ (ნასალოცვარად) აქვთ დღემდე მინიშნული. აქ 1958 წელს, ჩვენმა მუ-

შაკმა რეზო ინჯგიამ იპოვა მრგვალი ხის ლოდი, რომლის შუბლზე ამოკვეთილი იყო წარბები და ცხვირის ნესტოები, მის ქვემოთ კი ტუჩ-პირის ირიბი ხაზი, რაც სიდიდით 40 სმ-ს უდრიდა, ხოლო განით 15 სმ-ით მეტი იყო. იგი შემდგომ დაიკარგა, ალბათ ვიღაცამ ხევში გადაუშვა. ნაცაცხვერაზე მრავალი ნეოლითური იარაღი და სამკაული იქნა ნაპოვნი, რაც ჩვენს ფონდშია დაცული.

1959 წელს აქ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, აწგარდაცვლილმა შალვა ფაღავამ იპოვა ძროხის ქანდაკება. იგი მხატვრული გაფორმებით საკმაოდ სრულყოფილია – სწორი ქედით, თავ-კისრით და ჩახრილი კუდით, დგას სწორ ფეხებზე. უკანა ფეხების ოვალში ჩანს ძუძუების ცური. თავზე რქები დახრილი აქვს, ტუჩ-პირი საძოვრისკენ მიზიდულია, ქანდაკებას ჰქონდა მკედის ჩასაყრელი ხვრეტილი, ალბათ სალოცავის გულზე სატარებლად. ეტყობა იგი ხატ-სალოცავის მოვალეობას ასრულებდა, ძროხისა და ნაყოფიერების ღვთაების პატივსაცემად. ესეც ადგილის საინტერესო სარიტუალო ერთეულად ჩანს. აქ, მითის საფუძველზე, ძროხის ჯოგი იდგა. „ნაცაცხვერა“ დიდი სარიტუალო ცაცხვის გამო ეწოდა ადგილს. ცაცხვი დღეს აქ აღარ დგას, ეს ქანდაკება კი ერთ-ერთი სარიტუალო მოწმედ ჩანს. იგი სიგრძით 11 სმ, განით 5 სმ, ხოლო სიმაღლით 7 სმ-ია.

**ძროხის ქანდაკება**

აქ ჩვენმა ექსპედიციამ იპოვა კირქვისაგან გამოქანდაკებული ფრინველის ქანდაკება. იგი სიგრძით 5 სმ, ხოლო სიგანით 3 სმ-ია. ქანდაკება გაშლილი, საფრენად გამზადებული ფრთებითაა წარმოდგენილი. მარცხენა ფრთა უფრო გაშლილია, ხოლო მარჯვენა ფრთა ჩაკეცილია ფრენის სიჩქარისა და მიმართულების მისაცემად. კუდი გრძელია, ჩაკეცილი ბოლოთი, ხოლო თავი ბოლოვდება საკმაოდ სრული ნისკარტით. თავზე გამოსახულია მარჯვენა თვალი. ეს ქანდაკებაც სარიტუალო დანიშნულებითაა შექმნილი. ეტყობა, აქ მსგავსი ქანდაკებები მრავლად

უნდა ყოფილიყო დაცული, მაგრამ დროთა განმავლობაში ადგილის ხვნისა და თოხნის გამო გაიბნა და გადაადგილდა.

**ფრინველის ქანდაკი**

## ბრინჯაოს სარიტუალი ქანდაკებები – ხატ-სალოცავები

სოფელი კურზუ – სანაჭყეპიოს და ქეჯვარის მიდამოები – ცნობილია მზის სარიტუალი ერთეულებით. აპალონ ახალაიას ეზოში აღმოჩნდა სამაროვანი. მიცვალებულის გულ-მკერდზე ეწყო რამოდენიმე ცალი მზის ხატ-ფიბულა.

ჯვრის ქვემო წელი ან წვეტი ჩათლილია წვეტიანად, ხოლო ჯვრის ყელთან ეს სვეტი ჭრილად ჩათლილია მკედის გასაყურელად. ჯვრის სამი ზედა ტოტი ოთხკუთხედაა ჩაკვეთილი და ბოლო მომრგვალებულია.

მზის ეს გამოსახულება ხატ-სალოცავის შთაბეჭდილებას სტოვებს. მიცვალებული მზის ხატის მემგამე იყო. ამიტომ მას მკერდი მოურთავს მზის ხატ-ფიბულათი. საინტერესოა ქიაჩის სვეტი, სადაც მზის ღვთაების ხატ-სალოცავი ყოფილა აღმართული. ასეთი სალოცავები დაცულია გურძემში (ქიაჩი), კურზუში, აბედათში (ბჟერი). მზის ხატებით არის დასურათებული კოლხური ცული „პეტრეს ნაკარუდან“, სადაც ისრისპირი, წელი, გონიოები აჭრელებულია მზის ვარდულებით. პირზე არის გემა, რომელშიც ჩახატულია აღმართული მკლავი შეკრული მუშტით. მზის ეს ქარგული კოლხურ ცულზე უნიკალურია.

**მზის ხატოვანი ვარდულით დამშვენებული უნიკალური კოლხური ცული**

**ჯვარფიბულა ბრინჯაო (კურზუ)**

მზის მოთაყვანე მეომრის ქანდაკებით დასურათებულია ასევე სამაჯურის გემა, რომელიც ნაპოვნია აბაშაში (ნამარანუში). მეომარს ცალ ხელში უჭირავს ხმალი, ხოლო მეორე ხელში შუბი. იგი მეომარს უჭირავს მზისა და ვარსკვლევის სურათს შორის. ეტყობა მეომარი მათზე ლოცულობს. გემას სიდიდე 2 სმ-ია.

**ბრინჯაოს სამაჯური (აბაშა, ნამარანუ)**

მითოლოგიის კიდევ უფრო საოცარ ხატ-სურათს წარმოადგენს აბაშაში, ადგილ ნამარანუზე ნაპოვნი ბეჭედი, რომელზედაც გემაა მოცემული. გემაზე ასახულია სამყაროს მითოლოგიური ქაოსის სურათი, ბიბლიის მიხედვით. ესეც ძალიან მეტყველ ნივთს წარმოადგენს. ეტყობა, პირველი ათასწლეულის დასაწყისში ბიბლიის მითოლოგიურ მოთხრობას იცნობდა ეგრისის მოსახლეობა, სწავლობდა და ლოცულობდა კიდეც მასზე. ჰქონდა ხელზე გემიანი ბეჭედი, სადაც მოთხრობილია ღმერთის მიერ სამყაროს გაყოფა ცად და ხმელეთად. ეტყობა ბიბლიის ეს ამბავი, მისი შექმნის ადგილთან სიახლოვეს და ნათესაობას მიუთითებს. ესეც ძალიან საინტერესო მასალას წარმოადგენს მითოლოგიური ამბების პერსნაჟების გამოსაცნობად და პატივსაცემად. ეს ერთეული ბიბლიის საფუძველზე არის შექმნილი. მსგავსი სამყაროს მითიური სურათი აღწერილია შუმერების მითოლოგიურ მასალებსა და შუამდინარულ მითოლოგიაში.

**სამყაროს მითოლოგიური ქაოსის სურათი, ბრინჯაოს გემიანი ბეჭედი (აბაშა, ნამარანუ)**

ბრინჯაოს მასალაში წარმოდგენილი რამდენიმე ერთეული, შუაბრინჯაოს ხანას უნდა ეკუთნოდეს. ეს დრო ჰომოსაპიენსის აზროვნების განვითარების ხანაა. ეტყობა, ამ დროს, ებრაულ და შუამდინარულ სამყაროსთან მჭიდროდაა დაკავშირებული ეგრისი (კოლხეთი). ამ დროის ადამიანი იცნობს ბიბლიის საწყისებს, იქნებ, შესაქმესაც კი.

ბრინჯაოს საკულტო-სარიტუალო ნივთები ჩვენ საკმაოდ გვაქვს აღწერილი ჩვენს ნაშრომში „პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა“, რომელსაც დართული აქვს ტაბულათა დეტალური დასახელება. აქ ჩვენ განმეორებით შევჩერდებით მხოლოდ ბრინჯაოს ქანდაკებებზე, ისიც მხოლოდ უმთავრესზე და მკვეთრად მახასიათებელზე სამაროვნის ბრინჯაოს მასალათა თემატურ სტრუქტურაში.

ხარ-ჯიხვის გამოსახულება (№7665), მაღალი წამომართული ყელით და რქებით, ტუჩის ქვემოთ გრძელი, ორტოტა წვერით. ლამაზი, გამოკვეთილი გავით, გრძელი, ჩაკეცილი კუდით, მაღალი ჯავარიანი ფეხებით. მუცელი და მკერდის ნაწილი ღრუა და შიგ მოძრაობს ბრინჯაოს ორი ბურთულა, რომელიც მოძრაობისას გამოსცემს სასიამოვნო ხმას. ფიგურა მკედით სატარებელი სარიტუალო ერთეულია. ქანდაკება უაღრესად დინამიკურია. ყელის სიმაღლე უდრის 3 სმ-ს, სისქე 4 სმ-ს. საერთოდ, ქანდაკების სიმაღლე ფეხიდან ყურის წვერამდე 15 სმ-ია. ეს ლამაზი, ძლიერ დინამიკური მოყვანილობა, უაღრესად ეფექტურია და მოქმედი. იგი სალოცავად განაწყობს მლოცველს. დამთვალიერებელი მასში კითხულობს ოსტატის მიერ წინასწარ ჩათქმულ სარიტუალო აზრს, შინაარსს, იგი მესამეა ბრინჯაოს ქანდაკებათა შორის.

**ხარჯიხვის ქანდაკი (პეტრეს ნაკარუ)**

**არწივის თავის ქანდაკება**. თვალები გახვრეტილი აქვს მკედის ჩასაბმელად და მკერდზე დასაკიდებლად. ქანდაკება ოვალური ფორმისაა. ნისკარტი ოდნავ წაგრძლებული აქვს. ყელის ნაწილიც ოდნავ ჩაჭრილია, სიგრძით 5 სმ, განით 2 სმ.

ქანდაკება უდავოდ სარიტუალოა, მკერდზე მკედით საკიდი ელემენტია სალოცავად, სარიტუალო მოძრაობის მოთხოვნილების შესასრულებლად.

ამ არქეოლოგიურ მასალათა შორის არის **ხარისა** და **ცხვრის** რამდენიმე ქანდაკება. ყველა დინამიკური ერთეული მოძრაობაშია. ყველას ფეხის მუხლებზე, ან თავის ნაწილზე ხვრელი აქვს მკედით სატარებლად. ყველა მათგანი სარიტუალო ერთეულია. მსგავსი სარიტუალო ბრინჯაოს ფიგურებია სხვა არქეოლოგიურ მონაპოვარში აღწერილი, მათ შორის, უმეტესად ნოქალაქევის მასალებში. საინტერესოა ზარის მსხვილი ერთეული, რომელიც სარეკის ერთგვარ ფუნქციას ასრულებს. იგი უაღრესად მეტყველ ელემენტს წარმოადგენს სარიტუალო მასალათა შორის.

ამასთან ერთად, აქვე არის ნაპოვნი კოლხური ცულის უნიკალური, მესამე სახეობის ფორმა, 568 ცული. მისი ტარი ჩახრილია, გონიოზე ზის ორნამენტები, ხოლო ცულის პირზე ტალღებია სამ ზოლად. მასიურ პირზე ორნამენტოვანი ზღვის იმიტაციას ქმნის. მასზე არის აფრიანი ნავი, მცურავ მდგომარეობაში. იგი ნავიგაციის საკმაოდ განვითარებულ პრაქტიკაზე მიგვითითებს. ზომა 40 სმX4,5 სმ. პირის სიგანი – 4,5 სმ.

**კოლხური ცული**

სხვა მრავალთა შორის, სამარხის იმ ინვანტარის შესახებ, რომელთა აქ აღწერას არ ვაპირებთ, გაცნობებთ, რომ ისინი საკმაოდ აღწერილია დასახელებულ წიგნში[1].

მეტად საინტერესოა მეეტლის ქანდაკება. იგი აღვირის სამართავად გაშვერილი ხელებითაა. მიყრდნობილია მოაჯირს, რომელიც ოვალურადაა ჩასმული მოაჯირის ძგიდეზე. ფეხებგაჩაჩხულია. კაცის ან მეეტლის ეს ქანდაკება მთელი ფიგურით დგას ეტლის კოფოზე. მისი ოვალური ძგიდე გაფორმებულია გრეხილი წნელით. ფიგურა გამზადებულია აღვირის დასაქაჩად. ყურის ბიბილოები მცირე ზომისაა. ბაგეები ჩაკვეთილი აქვს, ტუჩი ჩაპობილია, თვალები წამოქაჩულია; თავზე კონუსური ქუდი ახურავს, რომელიც წარბებამდე ჩამოფხატულია. ყურები განიერია, ცხვირი, საკმაოდ წინწამოწეული, ნესტოები დაბერილი, სახის და ტანის ყველა ნაკვთი მოძრაობაშია და მიგვითითებს მის მეტყველებაზე, ანუ არამარტო გამწევი ძალის ასაჩქარებელ მოძრაობაზე, არამედ მისი ბრძნული, ცოცხალი გამომეტყველება უფრო ორატორის, მქადაგებლის უნარს აჩვენებს. იგი მხოლოდ ეტლს არა ერეკება, არამედ ხმამაღლა მეტყველებს. იქნებ ქადაგებს. ქანდაკება ასეთი დინამიკური სხეულით, მოძრაობის მანერით და მეტყველების ღრმა ორატორული დიქციით, უდავოდ რიტუალურ მოქმედებას ასრულებს. ფიგურის სიმაღლე 7 სმ. ტრიბუნის ამ მოაჯირის განი 5X8 სმ, მოაჯირის ოვალის დიამეტრი 5 სმ. ქანდაკება სტილიზირებულია, 7,5სმX5 სმ. ქანდაკების ჩამოსხმის ტექნიკის დონე საკმაოდ მაღალია. იგი ბრინჯაოშია ჩამოსხმული და მისი ტანის და თავის მოძრაობა, მეტყველება მეტად საყურადღებოა. ამდენად, ქანდაკება საკულტო-სარიტუალო ერთეულია.

[1] იხ. გ. ელიავა, პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, თბ., 1987.

**მეეტლე (მქადაგებელი) (პეტრეს ნაკარუ)**

პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიურ მასალათა კომპლექსში განსაკუთრებით ხაზგასმულია უცხო ცხოველი, წაგრძელებული, მაღლა აღმართული კისრით, სწორი ტანით, მოკლე კუდითა და წაგრძელებული თავის ნისკარტით. თავს ამშვენებს ფართო თვალი. ამ ფანსტასტიკური ცხოველის მსგავსი გამოსახულება ბაბილონში, იშტარის კარზეა მიკვლეული. სულ სიგრძით 7 სმ, განი – 4 სმ.

**თავნისკარტა, ყელწაგრძელებული უცხო ცხოველი, ჟირაფის ტიპისა**

ფიგურა საკმაოდ წინწამოწეულია. ესეც, უდავოდ, სარიტუალო ერთეული, თაყვანისცემის შორეული ობიექტია, ადგილობრივ ღვთაებრივ სამყაროში ჩართული. ამ უცხო ცხოველით თქმულია ახალი სიტყვა ღვთაებრივ რიტუალში და სარიტუალო ცნობიერებაში. ფიგურის ზომა: 9 სმX2სმ.

**ბეჰემოტის გამოსახულება**

აქვეა ვეფხვის ორიგინალური ქანდაკება, დახვეული კუდით, დაღრენილი პირით, მკვეთრად გამოსახული სასქესო ორგანოთი. ერთეულის ზომა უდრის 14 სმ X 2 სმ, ისიც სარიტუალო დანიშნულების ერთეულად ჩანს.

**ვეფხვის გამოსახულება. ბრინჯაო**

აღსანიშნავია ასევე ბეჰემოტის ქანდაკება, თევზის ორიგინალური გამოსახულება, რომლის ცხვირ-პირი წინწამოწეულია. ტანზე შესამჩნევია მრგვალი მეჭეჭები. წელი აწეული, ოვალური ფორმისაა. ამდენად, ამ სარიტუალო სამკაულთა კომპლექსში არის თევზებიც; იგი ორიგინალურ სარიტუალო ერთეულად ჩანს. სიგრძით 10 სმ, განით 2 სმ, სხეულის სისქე კი 4,5 სმ-ია.

**თევზის ქანდაკება**

ასევე არის ამ კომპლექსში ქალისა და მამაკაცის ფიგურები, სადაც ხაზგასმულია სასქესო ორგანოები და მკერდის მიდამო, ესეც რიტუალურ დანიშნულებას უნდა მიუთითებდეს.

**ქალის და ვაჟის ქანდაკება**

ამდენად, ყველა სარიტუალო ფიგურა მომდინარეობს მითოლოგიური წიაღიდან და სრულ შთაბეჭდილებას ქმნის მისი აღნაგობას, დანიშნულებასა და შინარსობრივ მხარეზე. ბრინჯაოს ერთეულები, ქვის მასალებთან ერთად, უაღრესად ორიგინალური და მრავალფეროვანია.

## იქნებ ლაზარეს საიდუმლოების გახსნის წინაშე ვდგავართ!

„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.“

„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაი“

ქართული მიწა უდიდეს საიდუმლოებას შეიცავს. ბევრი რამ იმალება მიწის ქვეშ, მის წიაღში დამარხულია უდიდესი და შორეული წარსულის დიდებული ნამოღვაწევის ეტაპობრივი მოწმეები – დიდი ბრძოლის, თავდასხმების, იერიშების და თარეშების გარემოში ცხოვრების და ბრძოლის დიდებული საიდუმლოებანი.

წინააღმდეგობათა პირისპირ აღმოჩენილი ბრძოლის გმირული მოწმეები, თავდადებულ ადამიანთა ლანდადქცეული სილუეტები გვიყვებიან საოცარ ამბებს. ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ზეპირსიტყვიერების, ტოპონიმიკის მასალები თვალსაჩინოდ მოგვითხრობს ქართული აბორიგენი მოსახლეობის დიდებულ ისტორიას. ეს ისტორია, თუნდაც მუსტიეს ხანის ზიგზაგებში, ენეოლითის უტყუარ მოწმეებში და შემდეგ

და შემდეგ, მიწიდან ამოღებულ მოწმეებში, ზეპირსიტყვიერ მასალებში შემორჩენილი მოთხრობები, მითოლოგიის მდიდარი ნიმუშები თვალსაჩინოდ მოგვითხრობს, ისტორიის გარიჟრაჟიდან მომდინარე ცივილიზაციის ეტაპობრივ გადასვლებს, მათ შორის წინააზიის ცენტრალურ ტერიტორიას, კოლხეთის ზუგებსა და ბარის ტერიტორიულ იშვიათობებს, რაც ეპიცენტრს წარმოადგენს ქართლისა და კოლხეთის წარსული ცხოვრების განუწყვეტელი, ისტორიულ-თანმიმდევრული ეტაპობრივი მოთხრობებისა.

ჩვენთან მოსულან ცნობილია პიროვნებები: მეცნიერები, მწერლები, სასულიერო პირები, უამბნიათ საოცარი ამბები, მოუწოდებიათ მათ მიერ მატიანეთა საფუძველზე შექმნილი რეალური სურათები. მათ აზრს იწონებდნენ და შესაძლებლად ცნობდნენ მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. ლევან გოთუას, აკაკი შანიძეს, შალვა ნუცუბიძეს, შალვა დადიანს სწამდათ ნიკო დადიანის ბიბლიოთეკაში დაცული და მოგვიანებით, უბედობის ჟამს დაკარგული ნებროთის წიგნისა; სწამდათ სხვა სწავლულებსაც: ილია ტაბაღუას, ალექსანდრე კუჭუხიძეს, ლევან გოთუას, რევაზ მიშველაძეს, რევაზ ფაჩულიას, ნოდარ ჭითანავას და ა.შ.

მათი რწმენით და წაქეზებით ვთხრიდით მიწას, ვეძებდით, შეუნელებლივ ვიკვლევდით, არქეოლოგიასთან ერთად ვეწეოდით ტოპონიმიკურ კვლევას, ვიკვლევდით ზეპისიტყვიერ მასალებს. მიწა და მიწის ზედაპირი, წერილობითი მასალები გვიხსნიდა გულს და საოცარი აღმოჩენის წინაშე ვდგებოდით. აღმოჩნდა ჟინანთარის, მესეფის, კვერცხის ზემოთ აღწერილი ქანდაკებები, უძვირფასესი არქეოლოგიური მონაპოვრები, რომელთა ნაწილი, მანამდე არც იყო აღმოჩენილი და აღწერილი. ამ აღმოჩენებს ჩვენს ფონდებში და გამოფენებზე ხვდებოდნენ ჩვენთან მოსული პოეტები: ზაურ ბოლქვაძე, გიორგი წერეთელი, ნომადი ბართაია, გული ცეკვავა და ა. შ., ჩვენ ბედნიერი ვიყავით იმით, რომ ღვთის მიერ მოვლენილი დიდსწავლულები და მოღვაწეები – ალექსანდრე კუჭუხიძე, რეზო ფაჩულია, ნოდარ ჭითანავა, ოტია იოსელიანი, რევაზ მიშველაძე, პოეტი ხუტა ბერულავა და ა.შ. – ჩვენ აღმოჩენებს რომ გვიფასებდნენ. მათ დაათვალიერეს ჩვენ მიერ ნაპოვნი „კირბები“. მათ შესახებ და აზრი გამოთქვა აკადემიკოსმა რამაზ პატარიძემ. ეს კოლექცია მან განიხილა ბიზნესის აკადემიის სხდომაზე და მრავალი დადებითი შენიშვნა გამოთქვა. ყოველ დილას ახალი აღმოჩენები შემოდიოდა ჩვენს ფონდში. მათი აღმოაჩენის ადგილი იყო ალანიას სერი, ლეხაინდრაო („კოტორა“), აბედათი („გუძუბა“), ვედიდკარის „ჭოიკას და ჭიოკას ჯიხვი“. ალანიას სერზე ნაპოვნი იქნა ოთხკუთხა კირბის ფირფიტა, რომელზედაც არის კირბებიდან მომდინარე განვითარების ეტაპი, კირბიდან მრგვლოვანში

გადასვლის მცდელობა. ამ კირბებზე არის „ჯ-ანი“ და „გ-ანი“. ეს პირველი ცდაა ანბანურ წერაზე გადასვლის დაწყებისა და ა. შ. ასე ვიპოვეთ ზოდები, გემიანი ბრინჯაოს ბეჭდები, სადაც მოთხრობილია სამყაროს ქაოსური სურათის შესახებ. ასე, თითქოს შეკვეთით, ცალ-ცალკე, მაგრამ გულწრფელი პატივით ივსებოდა ჩვენი ფონდები და ცოდნა თვალსაჩინო მოწმეებით. ამას სულ ახლახან მოჰყვა ალანიას სერზე ფირფიტების პოვნა, ასომთავრული ასოებით. მსგავსი ჯერ საქართველოში არაა ნაპოვნი. იგი გვიდასტურებს, თუ რაოდენ მტკიცედ დგას ქართულ ნიადაგზე ასომთავრული ანბანი.

**ფირფიტა**

**ფირფიტა 2**

**შუბლი, ფირფიტა 3**

**ფირფიტა 3, ზურგი**

ჩვენ მომავალში ველით კიდევ უფრო მეტ აღმოჩენას. ეს ფირფიტები ლაზარეს საიდუმლოებას ხსნის გზადაგზა, ნელ-ნელა. ასომთავრულის საიდუმლოება, რაც დამარხულად მიგვაჩნდა, თანდათან გაიხსნა და მოსალოდნელია კიდევ ახალი აღმოჩენები. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ალასანიას სერზე, მის სიღრმეში ახალი არქეოლოგიური აღმოჩენით გავხსნით და დავამტკიცებთ კირბებისა და ფირფიტების ბიბლიოთეკის არსებობას. ეს რეალურად ჩანს და არ არის ფანტაზია. ამას ადასტურებს თუნდაც ლაზარეს საიდუმლოება ნახუნაოში, ისკიას ხეობის მარჯვე-

ნა ფერდობზე, „კირტეფიში კირდეზე“ (კირტავების კლდეზე) ნაპოვნი უცხონიშნიანი კედელი.

ჩვენი სურვილია, ეს ადგილები ღრმა ზედაპირული შესწავლის შემდეგ გახდეს მცხოვრებთა და დამთვალიერებელთა ნახვის ობიექტი და არა ყოველგვარი პირველი სურვილის თანახმად, ზერელე მონახულების ადგილი. ვამბობ და მწამს, რომ აქ უდიდესი საკვირველებაა დამარხული. ნახუნაოში არის სალოცავიც. აქაა მესიაკონი, ყოველგვარი უცხო, შორეული და წარმოუდგენლად შორეული საიდუმლოს ამომკითხველი მენცარი (მეცნიერი), მისანი.

**ნახუნაო. „კირტეეფიში კირდე“. ხაზებით დამშვენებული კედელი, რომელსაც ხალხი „მისანის“ სადგომად თვლის.**

იგი ეტყობა მესიაკონის სამისნოა. იგი კლდეში ჩადგმულ, დახაზულ, საიდუმლო სამისნო თხრობად ჩანს. მის ჩრდილოეთ გვერდზე ჩაქცეული შესასვლელის ზოლი ჩადის, ხოლო კედელს ირგვლივ, ეტყობა, კირქვის კვადრების ზოლი ერტყა. ამ ზოლს ამშვენებდა სამისნო ხაზულები, რაც მრავალ წრეს წარმოადგენდა. წრის ირგვლივ ოვალური რკალი ერტყა. ასეთივე ოვალური რკალის შიგნით იჯდა მსხვილი, მრგვალი, ზურგულა წერტილი. ეტყობა, ასეთი ზოლის რკალი მთელ კედელს ამშვენებდა ირგვლივ, მაგრამ გზის პირის ტრაქტორით დამუშავებისას ჩაინგრა და ზოლის კვადრები კედლის წინ და ირგვლივ ყრია. ამ კედელს ჰქონდა ოვალური ეკვდერი. იგი წინა პირზე იყო გადმოყვანილი და ალბათ სახურავს ქმნიდა. ეკვდრის ეს სასახურავო კოზმიდიც ჩაცვენილი ჩანს და კედლის ნაწილიც შიგნით შეწეულია. თანაც წინაპირის ან აივნის ნაწილის

აშლით კედელი ქვემოთ ჩაწეული ჩანს, ხოლო კედლის შუა წელს ზემოთ, ორი ხვრელის კვალია, ალბათ სარკმელია.

წინა გვერდის მარჯვენა მხარეზე აყრილი და მოშლილი კედლის ფენილის ნამტვრევებია, ისინიც სულ მოხატულ-მოხაზული. ასეთი ფრაგმენტი ორი ჩანს. ეტყობა, შიგნით და გვერდებზე უფრო მეტია დაყრილი.

ნახატი კედელი მესიაკონის სამისნო სურათ-ხატი იყო, რაც პირველად ფოტოგრაფირების ობიექტად გაიხადა ფოტოგრაფმა და ხელოვანმა რევაზ ინჯგიამ. პირველი შეხედვით გრძნობთ, რომ მესიაკონი მხატვარი იქით ხანაში ოცნებობდა და ჩანაფიქრს სურათებით ასახიერებდა. ნახატი კედელი ენეოლითელი კაცის პირველი გონებრივი ნააზრევია. იგი სამისნოს ირგვლივ მცხოვრებ ადამიანთა სამისნო სალოცავი იყო ალბათ. ამდენად, იგი ღრმად მეოცნებე, შემოქმედი მესიაკონის, მისანის, მენცარის ნაოცნებარია. გარდა ამისა, ეს კედელი დიდი ფანატიკოსის უნიკალური ნაშრომია. აქ ერთბაშად რამდენიმე სახედი ხვდებოდა კაცს. ვიწრო, გვერდითი კარი კედლის უკან დამალულ სივრცეში ან გამოქვებულის ღრმულში შედიოდა. უკანა ოთახის არსებობაზე მიუთითებს ორი ვიწრო ხვრელი. იქნებ სარკმელი ამ ხეობისა, ისკიაში ხეობის სამისნო, სამალავის საკეტით – კიით (გასაღებით) იღებოდა – „ისკიაში კია“ აღებდა საიდუმლო ხვრელს და ამ ხვრელის იქით, როგორც სოსო ათათია, ამ კედლის პირველი აღმომჩენი, გვიამბობდა. ისმის საიდუმლო სიმღერა, შედარებით ჩახლეჩილი ხმით უჩინარი მომღერლებისა. ეს საოცარი კლდე და მისი მიდამოები ჩვენთან ერთად დაათვალიერეს ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორმა, ინჟინერმა ანატოლი ჭიჭაღუამ, მე და ჩემმა კოლეგამ, ჟურალისტმა მურმან წოწორიამ, აგრეთვე სოსო ათათიამ, ინჟინერმა ჯემალ ცანავამ და სოფლის მშრომელმა მოსახლეობამ. ჩვენმა მხატვარმა და ფოტოგრაფმა რეზო ინჯგიამ მათი კოლექტიური ფოტოგრაფირება მოახდინა, აზომა კლდისპირი და მიდამოები. ჩვენთან ერთად იყვნენ როლანდ ადამია, მძღოლი სოსო სულავა, დათო ელიავა, ამბროსი ფაილოძე, პედაგოგი რ. თოფურია და ა. შ.

საინტერესოა ფაქტი, რომ კედლის კირქვის ფენილი, ზედაპირულად დაფარულია თიხისა და ცვილის ნარჩენის (დგვინდგვის) ნარევი ფაფის გაციებით და შემტკიცებით. ამ ფენის სისქე 4 სმ-ია. კირქვის ფენილის ზედაპირი ამ მასითაა დაფენილი. იგი ისე მტკიცეა, რომ არ ცვივა, არ იფშვნება. ეს ფენილი მისი შემქმნელი ოსტატის ხელოსნური საქმიანობის დიდებული მოწმეა. ფენილზე ზედაპირულადაა შესრულებული ხაზები და რგოლები. ერთმანეთს მიწყობილი ეს ნახაზები მთლიანად ფარავს თიხის ფენილის მტკიცე ზედაპირს. ესეც საოცარი ტექნიკური აზრის დიდი სიმაღლის ნიმუშია. კედლის ფენილზე შესრულებული ხაზები

იკითხება საიდუმლო ნიშნებით, ხოლო მის შიგნით და ირგვლივ არის კარტოგრამული იზობარები, სადაც დახაზულია მდინარეების, ბარის მიდამოები, არის ორი-სამი დიდი მდინარის ღარი, არის გზები, ასასვლელ-ჩასავლელი, ზოგან წრით შემოხაზული (იქნებ წყლის საცავია?).

ამრიგად, ეს კედელი საიდუმლო თხრობის, კარტოგრაფიული იზობარებით გადმოცემის უნიკალური ნიმუშია. ჩვენ ასეთივე, მაგრამ უფრო მცირე ხაზულები გვაქვს კირბებზე. ამდენად, ეს კედელი ენეოლითზე უფრო ძველი შემოქმედის ნაშრომია, ჯერ კიდევ მთლიანად დაურღვეველი. იგი კირბის იდეოგრამებსაც იმეორებს, ოღონდ წვრილი ხაზებით და ოვალური, გონიოშემოვლებული საიდუმლო ნიშნულებით. ჩვენ გვახლდნენ ინჟინრები, ჟურნალისტები, პედაგოგები და მათ დაასკვნეს, რომ იგი საჭიროებს მტკიცე დაცვას და მეცნიერული შესწავლის შემდეგ მუზეუმში გადატანას. ერთხმად გამოსთქვა აზრი, რომ აუცილებელია კედლის იქით გვირაბის ღრმად შესწავლა. იქნებ ლაზარეს საიდუმლოების გახსნის წინაშე ვდგავართ – აქ ხომ არ არის ქართული ენის საიდუმლო დამარხული?

ჩემს შვილიშვილთან, დათოსთან ერთად, ალანიაში გაზე აღმოჩენილი ფირფიტები, ასომთავრული ანბანური ნიშნებით იქნებ სწორედ ამ დამარხული საიდუმლოს გასაღებს წარმოადგენს? იქნებ ცოცხლდება იგი და კოლხური კულტურის დიდი საოცრების წინაშე გვაყენებს? მწამს, რომ ეს მითოლოგიური მოწმეები აქამდე უნახავ და გაუხსნელ საოცრებას წარმოგვიდგენს.

მადლიერი ვარ უფლის, ამ საოცრების მოკვლევისა და ნახვის მადლის მონიჭებისთვის!

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
2. მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971.
3. ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1976.
4. თ. გამყრელიძე, ოქროს საწმისი, ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი, ჟურნალი „აია“, 2, 1999.
5. ა. ცანავა, ჯ. წულია, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ხალხური წყაროები, თბ., 1998.
6. ა. ცანავა, ჯ. წულაია, საუბრები ქართულ მითოლოგიაზე, თბ., 1998.
7. ა. წულაია, ქართული მითოლოგია, თბ., 1998.
8. ა. წულაია, მეგრული თქმულებები, გერმანულად თარგმნილი ჰაინც ფაინრიხის მიერ, თბ., 1998.
9. ზ. ქაფიანიძე, შუმერების ანბანი, თბ., 1999.
10. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1989.
11. ვ. ალფენიძე, ეგვიპტური ენისა და იეროგლიფების კოლხური საიდუმლობანი, გაზ. „ერი და საზოგადოება“, 6, 1997.
12. ჩედვიკი, მიკენური სამყარო, 1999.
13. შ. ბერიძე, მეგრული ენა, 1999.
14. გ. ელიავა, ეგრისის ისტორიის გარიჟრაჟიდან მომდინარე ცივილიზაცია, ჟურნ. „აია“.
15. გ. ელიავა, ძიებანი, I-II, 1996-1997.
16. გ. ელიავა, მარტყვილის მუზეუმში დაცული ენეოლითური და ბრინჯაოს ეპოქის მზის ხატ-სალოცავები, ქანდაკებები და იდეოგრამული მასალები (ალბომი), ქუთ., 1997.
17. გ. ელიავა, ადამიანის ცივილიზაციის განვითარების ეტაპები ქვის ხელცულის მაგალითზე (ალბომი), მარტვილის მუზეუმის მასალების შუქზე, ქუთ., 1996.
18. ბ. კუფტინი, ტ. II, 1980.
19. გ. ელიავა, პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, თბ., 1987.
20. გ. ელიავა, პატრიარქატიდან მომდინარე გვართა (გვარ-სახელთა)ამოსავალი ძირები, პატრონიმიის თანმიმდევრობით, სამეგრელოს მასალების შუქზე (ალბომი), ქუთაისი-მარტვილი, 1998.
21. გ. ელიავა, ქართული ანბანის წარმოშობის და განვითარების ეტაპები (ალბომი), ქუთაისი-მარტვილი, 1999.

## შესანიშნავი აღმოჩენა*

მადლითა და ბარაქით სავსე ქართული მიწა, გარდა თავისი ბუნებრივი დოვლათითა და მშვენიერებით, მდიდარია ჩვენი წინაპრების შესანიშნავი ნამოღვაწარით.

გეგეჭკორის რაიონის ერთ-ერთ შესანიშნავ სოფელს წარმოადგენს ვედიდკარი. ჩვენი დიდებული წინაპრების სასახელო საქმიანობასა და ცხოვრებაზე მოგვითხრობს ამ სოფელში შეკრებილი არაერთი გადმოცემა, ხალხური სიბრძნის არაერთი ნიმუში – ლექსი, ზღაპარი, ლეგენდა და სხვ.

უკანასკნელ ხანს მუზეუმის მუშაკებს ამ კუთხისადმი კიდევ უფრო აღეძრათ ინტერესი იმის გამო, რომ სოფლის რამდენიმე ადგილას მიაკვლიეს პირველყოფილი ადამიანის იარაღებს – ისრის წვერს, საჭრისებს, კერამიკულ მასალას და სხვ.

შეიქმნა აზრი, იმის შესახებ, რომ ამ სოფელში უძველეს დროს უცხოვრია პირველყოფილ ადამიანს გაშლილ ველზე მოწყობილ კარვებში. აქ უკეთებია იარაღები, უწარმოებია მეთუნეობა და სხვ.

ეს მოსაზრება ოსტატურად და მოულოდნელად დაადასტურა მიმდინარე წლის 5 აგვისტოს შესანიშნავმა აღმოჩენამ. ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მახათის ნაკვეთზე (სახელწოდებით „ნაჯიხუ“) ტრაქტორი აწარმოებდა ნიადაგის ღრმა პლანტაჟს. პლანტაჟის დროს მიწიდან ამოცვივდა კერამიკული წარმოების მრავალი მასალა, რამაც მიიპყრო ადგილობრივ მცხოვრებთა ყურადღება. მათ ეს მოულოდნელი შემთხვევა აცნობეს მუზეუმს. მუზეუმმა შეადგინა ექსპედიცია და გაგზავნა ვედიდკარში სამუშაოდ. დღის გულმოდგინე არქეოლოგიური დაზვერვითი მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ ამ ადგილის დიდი ნაწილი (თითქმის 10-15 ჰა) ნეოლითის ხანაში დასახლებული ყოფილა პირველყოფილი ადამიანებით. მათ უცხოვრიათ წკნელით შემოღობილ ფაცხა-კარვებში, რომლის იატაკი საგულდაგულოდ დატკეპნილი იყო. იატაკი მოფენილი იყო ნაცრის, ნახშირის, კერამიკული ნაწარმის, ძვლების, პირველყოფილი ქვის იარაღებით. ეს საცხოვრებელი ბინები, ან ფაცხა-კარვები ერთმანეთის გვერდით იყო მიჯრილი და თითო ჰა-ზე დაახლოებით 10-დან 20-მდე ასეთი კარავი და სახლი იდგა. სახლი, რო-

* გაზ. „სოციალისტური სოფელი“, №113, 18. IX.1960.

გორც აქ შეგროვებული მასალები ადასტურებს, სიდიდით დაახლოებით 5X5 მეტრს უდრიდა.

ამ ადგილის უფრო დეტალური შესწავლა ვერ მოხდებოდა იმის გამო, რომ ნიადაგი მთლიანად აყრილი იყო 1 მ-ის სიღრმეზე, ხოლო ქვემოთ უკვე იწყება კულტურული ფენისათვის შეუფერებელი დედოქანი (პირველადი ქანი). ექსპედიციამ დაადგინა, რომ სოფლებს შორის (ხოლო სოფელთა რიცხვი, ეტყობა ხუთზე მეტი იყო) გადიოდა მდინარე, რომელიც შემდეგ ჩაიკარგა, ამოშრა, ან ადგილი შეინაცვლა.

აქ ჩვენ მიერ შეგროვდა ნეოლითის ხანის ადამიანის შესანიშნავი მასალები: წერაქვები, ტარის მანჭვლების დასამაგრებელი ადგილებით, ცულები, საუკეთესოდ გაპრიალებული, პირჩასწორებული, ჩათლილი, სხვადასხვა ფორმის წვეტიანები და ცულები, კაჟის შესანიშნავი მასალები, განსაკუთრებული ფორმის შუბის წვერები, დანები, საფხეკები, შუალა საჭრისები, ათასგვარი ნუკლეუსები და ლამელები, ობსიდიანის შესანიშნავი მასალები.

აქ ნაპოვნი მასალებიდან ყველაზე შესანიშნავია გურზები – ტარში ჩასამაგრებელი ქვაჩაქუჩები. იგი რიყის ქვისაა, შუაზე გადამტვრეული, ცალ მხარეზე მრგვალი სამტვრევი ბოლოთი. ყელზე ორივე მხარეს აქვს ტარის ჩასამაგრებელი მანჭვლების ფოსოები. ფოსოები ხმარებით საკმაოდ ჩაცვეთილია, ნივთი საკმაოდ ჩასწორებულ-გახეხილია.

ხელცულები ან წერაქვები ამავე მასალისაგან არის დამზადებული. ისიც კარგად გახეხილია, ორივე მხარეს აქვს წვეტიანი ბოლო. შუა, სქელი და ფართო წელის ორივე მხარეს აქვს ტარის მანჭვლების სამაგრი, საკმაოდ ღრმა, ხელოვნურად ამოღრუებული ფოსოები, ეს ნივთები თითო 25-27 სმ-ის სიგრძისაა.

აქ ნაპოვნი კაჟის მასალებისგან აღსანიშნავია შუბის წვერი, რომელიც  კონუსის ფორმისაა, აბსოლუტურად ჩასწორებული საკვეთი წვეროთი. კონუსის გვერდზე ჩამოდის რეტუშისებური ღარები. ღარების ბოლოს, კონუსის ფსკერზე აქვს ჩაჭრილი კბილანები, შუბის ტარში ჩასაჯენად და ჩასამაგრებლად. ასეთი შუბის წვერები ძალიან იშვიათადაა აღწერილი ლიტერატურაში და, ამ მხრივაც, უაღრესად საინტერესოა ეს ერთეულები.

ამ ადგილს მიაგნო და თითქმის ყოველდღე, ადგილზე მუშაობისას ჩვენთან იყო სოფლის მეურნეობის რაიინსპექციის აგრონომი, ამხ. მამია ურიდია. ეს აღმოჩენა ჩვენი ხალხის ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი წყაროა. ამ ადგილისა და მასალების უფრო გულმოდგინე შესწავლა და აღწერა დიდ მეცნიერულ ინტერესს შეადგენს.

## ბრინჯაოს ეპოქის სამარხი ნალეპსაოში*

ნალეპსაო კალამუნას მთის აღმოსავლეთის შეფენაზე მდებარეობს. მთის კალთები და მდინარე აბაშის ხეობის დასავლეთ ნაპირას მდებარე პატარა ბორცვები, რომლებიც თათუღალის, ჭადონას ღელესა და ლებაჩიეს პატარა ღელეების ღრმა ხევებითაა ერთმანეთისაგან სერებად გამოყოფილი, მარგანეცის, სპილენძისა და კალის მადნით მდიდარია. აქ მარგანეცის მადნის ძიება უწარმოებიათ და მის არსებობას ადასტურებენ თავიანთ შრომებში კონუშევსკი და მეფერტი. მდინარე ჭადონას ნაპირზე აიკრიფება მარგანეცის ნაგორები კონკრეციები. მრავლად შეინიშება პორფირიტის შემცველი ქანები. ერთ ადგილას, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე მოშიშვლებულია მაიკოპის ფენა, მეტად საინტერესო მცენარეთა და ცხოველთა ანაბეჭდებით. თვით სახელი ჭადონა წარმომდგარია სიტყვა „ჭკადუასაგან“ (მჭედლობა). აქვე, ღელეს მარჯვენა სანაპიროზე არის ადგილი „წიდა“, სადაც მასიურად პოულობენ მეტალურგიული წარმოების ნაშთებს. ასევე მეტალურგიული წარმოების ნაშთები მასიურად აიკრიფება ადგილ „ნალეკუზე“, სადაც ამ ოცდაათი წლის წინათ კოლმეურნეებმა ნიადაგის პლანტაჟისას იპოვეს პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრების შესანიშნავი ნივთები. სახელწოდება ნალეპსაო კი წარმომდგარია სიტყვა „ნაესუდან“, რაც ნიშნავს „სუს“ ან სელის სათეს ადგილს. გადმოცემის თანახმად, აქ სელს თესდნენ და მისგან ქსოვდნენ ტილოს; სელისაგან ბაწარს და სათევზაო ბადეს დღესაც ამზადებენ აქ მოსახლე სულავები და სულაბერიძეები.

ეს ადგილი ჯერ კიდევ 1957 წლიდან იპყრობს ყურადღებას. აქ აღმოჩნდა ნეოლითის ხანის ადამიანის მდიდარი ნასახლარი. ერთ-ერთი შესანიშნავი სამარხი გაიხსნა 1961 წლის იანვრის თვეშიც.

კოლმეურნე ომარ ჯღარკავა, როცა თავის საეზოო ნაკვეთზე ვენახისათვის ნიადაგს აბრუნებდა. სრულიად შემთხვევით წააწყდა მაღალ კერამიკულ ჭურჭელს, რომელსაც სახელურები მომტვრეული ჰქონდა. ჯღარკავამ გულდასმით განაგრძო ადგილის დათვალიერება, მან გათხარა თითქმის 2 მ-ის სიგრძისა და სიგანის ორმო, გაწმინდა იგი და ამოყარა მიცვალებულის თითქმის მტვრადქცეული ძვლები.

ადგილის შემდგომ შესწავლით დგინდება, რომ იგი გვიანი ბრინჯაოს ეპოქის ადამიანის ორმო-სამარხი იყო. სამარხში მარტო ერთი მიცვალე-

---

* გაზეთი „სოციალისტური სოფელი“, №190, 30. VII.1961.

ბულის ძვლები აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მიცვალებული მამაკაცი იყო. მისთვის თან ჩაუტანებიათ სამეურნეო, სამხედრო და სამკაულო ინვენტარი.

საყოფაცხოვრებო ინვენტართა შორის საინტერესოა ამფორა. იგი ორსახელურიანია, ტლანქად დამუშავებული საორნამენტო ხაზებით. სახელურები მომსხვრეული აქვს. მხოლოდ გონიოებთან ყანწები აქვს შემორჩენილი, დაახლოებით 4 სმ სიგანისა და 3 სმ-ის სიგრძისა. სახელურის ქვედა ყუნწის საჯდომი მოშიშვლებულია ამფორის წელზე. სახელურის საჯდომის გასწვრივ გასდევს სამი უწესოდ ღვარჭნილი ხაზის გრეხილი, რომელიც ყოფს საორნამენტო ქვედა და ზედა რეგისტრს. გონიოდან ქვემოთ ჩამოსდევს სწორი ხაზულები. იგი ყელის საჯდომთან იჭრება მსგავსი ღვრაჭნილი ხაზით. შემდეგ კვლავ სწორი ხაზები ეშვება წელისაკენ. წელის გამოყოფის ქვემოთ პარალელური სწორი წყვეტილი ხაზულებია გავლებული, შემდეგ ირიბად ჩამოსმული ხაზულები გასდევს. ამის შემდეგ კვლავ პარალელური ხაზულებია დასმული. ჭურჭელი 30 სმ-ის სიმაღლისაა, წელზე 27 სმ-ზე მეტი სიგანისაა, პირის ფართი კი 14 სანტიმეტრზე მეტია. მეორეც ასეთივე ყოფილა. მისი მხოლოდ ნამსხვრევები ვიპოვეთ ადგილზე. მსგავსი ამფორები მრავლადაა აღწერილი ენეოლითურ და ბრინჯაოს ეპოქის ნამოსახლარების ინვენტარში. მათ შორის აღსანიშნავია ანაკლიის მახლობლად, ადგილ „დიხაგუძუბას“ შუა ფენის არქეოლოგიურ მასალებში ნაპოვნი ორსახელურიანი ჭურჭელი (იხ. კუფტინი, „კოლხიდის არქეოლოგიის მასალებისათვის“, ტ. II. 1950, გვ. 252, ტაბულა 68).

ბრინჯაოს მასალათა შორის არის კოლხური ცული. მას ტარში ჩასაყრელი ყუნწის ერთი მხარი ჩამტვრეული აქვს. ცული მცირე ზომისაა და ზედ საკმაოდ ნათლად მოცემული საორნამენტო ხაზები ატყვია. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ფიბულის ყუნწები და მისაბნევები, ქინძისთავების ნამსხვრევები და სხვ.

რკინის მასალათა შორის აღსანიშნავია შუბის წვერი ტარში ჩასაყრელი ყუნწით, შუბის წვერი ორპირა მახვილია, ოდნავ ამოწეული ზურგის ხაზებით, ყუნწებიდან მისი სიგრძე 38 სმ-ზე მეტია. საკვეთი პირი ყელთან 5,5 სმ-ის სიფართისაა. ყუნწის სიგრძე 12 სანტიმეტრია. მსგავსი შუბის პირები ნაპოვნია საქართველოს გვიანდელი ბრინჯაოს ეპოქის სამარხის ინვენტარში. საინტერესოა, აგრეთვე ხანჯლის ტარში ჩასაყრელი ნაწილი, რომელიც ჩასმულია ურთხელის ტარში და შეკრულია 3 რკინის მანჭვლით. ეტყობა იმ უძველეს დროში სხვადასხვა სამეურნეო თუ სამხედრო ინვენტართა ტარებად, საცავებად და სამაგრებად იყე-

ნებდნენ ამ ძვირფასი ჯიშის ხის მასალას. უდავოა, ამ ჯიშის ხის ხშირი ტყეებით იყო დაფარული მთები და მთის კალთები.

სასამკაულო მასალათა შორის აღსანიშნავია მძივი. თუმცა მძივის მხოლოდ რამდენიმე მარცვალი იქნა დაცული, სხვა ალბათ გაიბნა. ეს მცირე მასალა მაინც ცხადად წარმოგვიდგენს ეპოქის კულტურულ დონეს. მისი მარცვლები ფერადი მინის ბურთულებია, რომლის ზედაპირი ბუდურებადაა დაყოფილი. ბუდურებზე ჩამჯდარი ფერადი თვლები არის როგორც წვრილი, ასევე საკმაოდ მხვილი ერთეულებიც. მსგავსი მძივი ნაპოვნია ბრილის ბრინჯაოს სამარხებში.

მაშასადამე, წარმოდგენილი მასალა გვიანი ბრინჯაოს ეპოქის სამარხისეული ინვენტარია. დაახლოებით ჩვენ ერამდე VIII-VI სს.. ეს ის პერიოდია, როდესაც რკინა მტკიცედ მკვიდრდება ადამიანის ტექნიკაში. იგი სჭარბობს კიდეც ბრინჯაოს. მისგან ახლა თითქმის ყველა სამეურნეო სამხედრო და საყოფაცხოვრებო ინვენტარს ამზადებენ.

ამ ეპოქის ადამიანი ესახლა კალამუნას მთის აღმოსავლეთის კალთებზე. აქ იგი ეწეოდა ადგილობრვი ნედლულის ბაზაზე მეტალურგიულ წარმოებას, ამზადებდა იარაღებს და იყენებდა მას თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბრინჯაოს ეპოქის ნალეპსაოს სამარხი კურზუს ამავე ეპოქის ორივე სამარხის შესატყვისია. აქ აღმოჩენილი მასალა ავსებს რაიონის ტერიტორიაზე: ნახუნაოში, კურზუში, გურძემში, დოშაყეში, ბალდაში, აბჰესსა და სხვაგან აღმოჩენილ გვიანი ბრინჯაოს ეპოქის რელიკვიებს.

## მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკთა ექსპედიცია მუშაობას განაგრძობს*

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუშაკთა ექსპედიციამ ამასწინათ იმგზავრა ჩხოროწყუს რაიონში და ცხაკაის რაიონის სოფელ ლეძაძამის მიდამოებში.

ჩხოროწყუს რაიონი მთიანი სამეგრელოს ერთ-ერთი შესანიშნავი მხარეა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივი პირობებით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებული შესანიშნავი ეკონომიკური და კულტურული წარმატებებით, ამასთან, თავისი უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებითა და ადგილებით.

ექსპედიციამ გულდასმით შეისწავლა მატერიალური კულტურის ძეგლები: გარახას ჯიხები, გოგოლეთის ეკლესია, ოცინდალეს ძეგლი, პომპიას გზა, მისარონი და სხვ.

**გარახას ჯიხები** მთელი სისტემაა, ჩხოროწყუს გადასახედთან, გარახა ფლატეზე. იგი XVI-XVII საუკუნეების სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ნაგებობაა. როგორც ჩანს, სამივე ჯიხას შორის გალავნის უწყვეტი ჯაჭვი იყო. ამასთან, თითოული ჯიხაც შემოზღუდული ყოფილა დამოუკიდებელი, მაგარი გალავნით, რომლის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. გალავანთა შიგნით სივრცე 200 კვ. მეტრამდე ყოფილა. ეზოში არის შიდა ნაგებობათა კვალიც. დღემდე მკვიდრად მაინც ჩრდილოეთის ოთხკუთხედი კოშკის ორი სართულია შემოჩენილი. პირველი სართული, როგორც საერთოდ მიღებულია ასეთ ჯიხებში, დილეგი იყო. სამივე ჯიხა, რომელიც ერთმანეთისაგან დაახლოებით კილომეტრითაა დაშორებული, თანაბარი სიდიდის მსგავსი ნაგებობანი ყოფილა. საერთოდ, ამ ციხეთა მთელი ანსამბლი, ძლიერ გამაგრებული ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. გარახას სიმაგრეთა შესახებ არსებობს მრავალი გადმოცემა, რომელთა დამუშავება უკვე მიმდინარეობს მუზეუმში. გაცილებით გვიანი ნაგებობაა **გოგოლეთის** ძეგლი. იგი VII-VIII სს-ში უნდა იყოს ნაგები. მაგრამ აქვე უფრო ადრეული ნაგებობის კვალიცაა დაცული. არსებობს ამასთან დაკავშირებული მრავალი გადმოცემაც, რომელთა ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ აქ უხსოვარ დროში ყოფილა წარმართული საკულტო კერა, მუხის თაყვანისცემის ადგილი.

---

* გაზეთი „კოლხეთის ცისკარი“, №102, 25. X. 1962.

ყველაზე მნიშვნელოვანი აქ არსებულ ძეგლთა შორის **ოცინდალეს** ეკლესიაა. იგი ძლიერ დაზიანებულია, კედლის შიდა და გარე მხატრობა მოშლილია. ნაგებობა ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლია. მარტო ამ ძეგლის დასათვალიერებლად ღირს წასვლა ამ შორეულ სოფელში – **თაიაში.** აქვე, მახლობლად არსებულ ადგილს **პომპიას გზასაც** უწოდებენ. ხალხის გადმოცემით, ეს გზა რომაელი სარდლის – პომპეუსის სახელთან არის დაკავშირებული. გადმოცემები გვარწმუნებს, რომ აქ, ოცინდალეს მიდამოებში დაბანაკებულ პომპეუსს დაულაშქრავს მთის სოფლები. მარბიელი ლაშქარი გაუგზავნია წალენჯიხასა და ზუგდიდში, რაც, რასაკვირველია, სარწმუნო როდია, მაგრამ თვით ადგილი და ტოპონიმიკური მასალა, მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა.

შესანიშნავია აგრეთვე ადგილი „**მისარონიც**“. იგი მითრას კულტთანაა დაკავშირებული. მრავალი გადმოცემა მეტყველებს, რომ ამ კულტის შესანიშნავი სარიტუალო კერა უნდა ყოფილიყო იგი.

ბრინჯაოს და ანტიკური ეპოქის მრავალი საინტერესო რელიკვია, ნაპოვნი ჩხორონწყუს მიდამოებში, ადასტურებს რომ ამ უძველეს დროში ამ ადგილებში მოსახლეობა მჭიდროდ სახლებულა. ამასთან, ცხოვრების სამეურნეო და კულტურული დონეც მაღალი ყოფილა.

ექსპედიციას გულისხმიერი დახმარება გაუწიეს ჩხორონწყუს რაიონის განათლების განყოფილების გამგემ, ამხ. ვ. როდონაიამ და ცნობილმა მოღვაწემ და ქველმოქმედმა მამანტი კვირტიამ.

ასევე წარმატებით ჩატარდა ექსპედიცია ლეძაძამეში. ლეძაძამე ადრიდანვე იპყრობდა მეცნიერ-მკვლევართა ყურადღებას. აქ არსებული საკულტო ადგილები – **ჯეგე მარიონი**, მისარონი, თვით **ბეთლემი** და **მენჯირობუ** მოითხოვდა არქეოლოგიური დაზღვერვას.

სოფელი გაშლილია ტეხურის ჭალაზე, საკმაოდ ვაკე ადგილას. მისი ცენტრი სადადიო სამოსახლოა. მას ძველთაგან ბერთემს ეძახიან. ხალხის გადმოცემით, იგი ბერის სახელთანაა დაკავშირებული, დაყუდებულის, ასკეტის სახელთან, რომელსაც ჯეგემარიონში ჰქონია ბინა. ამიტომ სოფელს ბერთემს ეძახიანო – გვარწმუნებს გადმოცემა. ჩვენ ამ მხარეში რამდენიმე მსგავსი სახელი გვაქვს ჩაწერილი: **ბერწყუ, ბერკარი** და სხვ. ამათ შორის ეს სახელწოდებაც საკმაოდ საფუძვლიანად გვეჩვენება, მაგრამ იგი ძალიან დიდი ხნის წინანდელი არ უნდა იყოს.

**მენჯირობუში** ექსპედიციამ უძველესი მეტალურგიული წარმოების შესანიშნავ კერას მიაკვლია. აქვე აკრიფა ნეოლითის ხანის ადამიანის საყოფაცხოვრებო ნივთთა შესანიშნავი კოლექცია (კაჟისა და რიყის ქვის იარაღები), კერამიკა და სხვ.

ნეოლითის ხანის ნასახლარის ზედაპირული ინვენტარი აიკრიფა აგრეთვე **მარიანეთსა** და **ხამნოხორში**. ეტყობა, სოფ. ლესაძამეს მიდამოები დასახლებული იყო ნეოლითისა და ენეოლითის ხანის ადამიანით, სადაც ეწეოდა იგი თავის პრიმიტიულ მეტალურგიულ წარმოებას.

მატერიალური კულტურის ძეგლთა შორის აღსანიშნავია **ჯეგემარიონი**. მისი ნანგრევები უძველესი წარმართული სალოცავის ქრისტიანულ სტილზე გადაკეთებული ნაგებობის ნაშთია. ეკლესიის ძველი, ოთხთაღიანი ნაგებობა შესანიშნავ შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი მსგავსია ნაქალაქევის ეკლესიის ეზოში დაცული უძველესი სამლოცველო სარიტუალო ნაგებობისა. აგების სტილითა და თავისებურებებით ორივე ერთ პერიოდს უნდა მივაკუთნოთ. თვით სახელიც **ჯეგემარიონი** წარმომდგარია მითრა-მისრას კულტიდან. შემდეგ იგი ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის დასაბრძანებელ ადგილად გადაუკეთებიათ.

ძეგლის ეზოში მარხია საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი ბრძენკაცი, მწერალ შალვა დადიანის მამა – ნიკო დადიანი და მისი მეუღლე.

მითრას საკულტო ადგილები სხვაცაა სოფელში. აქვე არის ორი **მისარონი.** კვირკვალიც  უძველესი „ნაოხვამუ“ და მითრას კულტის სარიტუალო კერად ჩანს.

ამდენად, ჩვენს მხარეში ამ კულტის ცენტრი, ყველაზე აღიარებული კერა სწორედ ეს სოფელი უნდა ყოფილიყო. მითრას საკულტო-სარიტუალო ადგილთა ასეთი სიმრავლე გვარწმუნებს ამ აზრის სისწორეში. ამ კულტის ასე მრავალი კერა ერთ სოფელში და მის ირგვლივ ჩვენ მიერ არსად არაა ჩაწერილი.

არქეოლოგიურად საინტერესოა დავით ბატონიშვილის ჯიხა და განსაკუთრებით მისი ფერდობი, რომლის კულტურულ ფენაში ანტიკური ხანის კერამიკული მასალა აიკრიფება.

სოფელი ლეძაძამე, მისი ძეგლები და ადგილები უფრო დაბეჯითებითი კვლევის საგანი უნდა გახდეს. ექსპედიციამ აქ შეკრიბა 100 ცალი ძვირფასი ხელნაწერი მასალა, 15 ცალი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი, მრავალი ნივთი და მასალა, რამაც საგრძნობლად გაამდიდრა მუზეუმის ფონდები. ამასთან, მრავალი საკითხის მეცნიერულ გამოკვლევას და თეორიული დასკვნების გაკეთებასაც შეუწყო ხელი, რაც უფრო ვრცელი შრომის საგანი გახდება მომავალში.

ექსპედიციას სოფელში დაეხმარნენ და მრავალი მასალა უსასყიდლოდ შესძინეს ბაბუცა ანჯაფარიძემ და ბარდღუ ჩიქოვანმა. ექსპედიციასთან ერთ დღეს მოგზაურობდა ვარლამ კვატიძე. ყველა მათგანის ეს საქველმოქმედო საქმიანობა უდავოდ მისაბაძი და მადლობის ღირსია.

# ფიჩხერის სამარხების საიდუმლო*

## წერილი პირველი

## აღმოჩენა, რომელიც ნოქალაქევის ისტორიას ეხმაურება

უძველესი ნაქალაქარი, კოლხეთის მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი, არქიეპოლისი ანუ ციხე-გოჯი, ქუჯის ციხე, ეტყობა გარს შემოსარტყლული იყო მჭიდროდ დასახლებული სოფლებით, რაზედაც მეტყველად გვიამბობს ლეძაძამის, შხეფის, გეჯეთის, ფიჩხერის ტერიტორიაზე ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა და დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები. როგორც აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, აქვე გადიოდა მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ხაზი: **„სკანდა – ქუთაისი – ონოგურისი და არქეოპოლისი, ანუ ნოქალაქევი“.** ეს ხაზი მინიშნული აქვს აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილს. იგი წერს: „ჩვენ ისე გვეჩვენება, რომ ონოგურისი მისი ქვეყნით არქიეპოლისის მომიჯნავე და მისგან, სამეურნეო გაერთიანების თვალსაზრისით, დამოკიდებული ქვეყანა იყო, და არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, როგორც ვთქვით, რომელიმე მუხერისი ან ფოთი და სხვ. ეს რომ ონოგურისი არქიეპოლისის მომიჯნავე ქვეყანაშია. ასეთი ქვეყანა კი, მდინარე აბაშის ხეობაა. სახელი ონოღია მეტყველი მეჩვენება“... ეს საფორტიფიკაციო ხაზი მოწმდება ტოპონიმებითაც. არქიეპოლისისაკენ ან ნოქალაქევისაკენ დღესაც მიუთითებენ „ჯვეში შარას“, „ნოქაqაქენიში შარას“. იგი ნოქალაქევიდან პირდაპირი ხაზით გადის ფიჩხერზე, გაივლის პეტრეშ ნაკარუს, გადადის მდინარე აბაშაზე, გაივლის ზუგებს შორის, „პასიკოშ ტობას“, მუხურჩასა და ონოღიაში გავლით გადის ცხენისწყალზე. ეს ხაზი, ასეთი მაგისტრალი დღესაც მტკიცედაა დამოწმებული ხალხის მეხსიერებაში. ხალხის გადმოცემით, გზისპირები ხშირი მოსახლეობით ყოფილა დასახლებული, განსაკუთრებით აბაშის გაღმა, პეტრეშ ნაკარუს, ზუგასა და ნაჭვის მიდამოების ვრცელი ტერიტორია; გეჯეთის აღმოსავლეთით, აბაშის გაღმა კი – „პასიკოშ ტობასა“ და გაზუს შორის ვრცელი ველობი. ამ მაგისტრალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი – მახათი ხომ ჩვენ მიერ საკმაოდ შესწავლილი ენეოლითური და უფრო გვიანი ხანის ვრცელი საცხოვრისია. ასევეა ჩვენ მიერ არქეოლოგიურად შესწავლილი ონოღიის, ნაჯახაოს, ვედიდკარის, მუხურჩის მთელი მასივი და არაერთხელ

* თანაავტორი გივი ფარულავა, გაზ. „განახლებული აბაშა“, №57, 12. V. 1974.

გამოთქმულა მოსაზრება, რომ ამ ხაზის გასწვრივ მჭიდრო მოსახლეობა ყოფილა, ძალიან ადრეული დროიდან ანტიკურ ხანამდე, და უფრო გვიან. ეს ხომ ყველაფერი არქიეპოლისის ქვეყანაა, მისი დასახლებული უბანია. ეს მოსაზრება ერთხელ კიდევ მტკიცედ დაადასტურა „პეტრეს ნაკარუს“ შესანიშნავმა აღმოჩენამ. ბულდოზერმა ამოთხარა წყალსაწრეტი არხი და ჭაობის წყალი მიუშვა ამ ახალი არხით. მისი სიღრმე ორი მეტრია. არხის მიდამოებში მონადირე ხუტა ფოჩხუამ შემთხვევით შენიშნა, რომ წყალში მწვანე და ოქროსფერი ნივთები და მძივის მრავალი თვალი ბრწყინავდა. იგი არხში ჩავიდა და ზედაპირულად აკრიფა ეს უცნაური ნივთები. როცა ისინი გაწმინდა, ზოგი კოლხური ცული, ზოგი სეგმენტური იარაღი და ზოგი ადამიანის ქანდაკებანი აღმოჩნდა. მაშინ დაუყოვნებლივ შეატყობინა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და თვითონ დაიცვა ხელყოფისაგან ნათხარიც და მისი მიდამოებიც.

მუზეუმის ექსპედიციამ ზედაპირულად აკრიფა არხში გამდინარე წყალში ჯერ კიდევ დაცული ნივთები. წყალი მიწატკეპნილზე იჯდა. მიწატკეპნილს 8 სამაროვნის წრე აჩნდა კულტურული ფენის შეფერილობით და მიწატკეპნილში, რომელიც გამომწვარი და თიხის მტკიცე დულაბად იყო ქცეული, საკმაოდ იყო სამაროვნის ნამუსრევი შემორჩენილი. 2 მეტრის სიღრმეზე, ერთიან ჰორიზონტზეა აღმოჩენილი სამარხების უმრავლესობა, რომელიც ნიადაგის ეროზიის თუ სხვა მიზეზის გამო დამსხვრეული იყო, მაგრამ დაფენა კარგად ჩანდა.

ზედაპირულად მიდამოების გულდასმითი დათვალიერებით აღმოჩნდა ხუთი მინიატურული ქანდაკება: ერთი ცხვრისა – იგი ეტყობა მკერდზე სატარებელი ნივთი უნდა ყოფილიყო. ქანდაკება 6 სმ სიგრძის, 2 სმ სიფართის და 3 სმ სიმაღლისაა. კარგად ეტყობა კანზე მატყლის ჯავარი. ცხვარი საიერიშოდ თავშემართული დგას. ყელი აღერილი, ქეჩო აქოჩრილი, რქები სარქენად წახრილი, დაბღვერილი თვალებით, კარგად საგრძნობი დინამიკით. აქვეა ჯიხვის ორი ქანდაკებაც, მსხვილი ფეხებით, ჯავარიანი ტანით. ისე კარგადაა დამუშავებული ტანი, რომ ზედ ბეწვის ტალღოვანი შეფენაც კი კარგად შეიმჩნევა. ორივეს მუხლებში ხვრეტილი აქვს. ეს ნივთებიც, ეტყობა, მკერდით სატარებელი იყო. ქანდაკება საკმაოდ დინამიკურ პოზაშია. აქვე ნაპოვნია ადამიანის უთავო ქანდაკება. თავი, ხელები და ტერფები წამსხვრეული აქვს, წელი საკმაოდ აზიდულია. არის აგრეთვე ერთი, უცხო ცხოველის თავის ქალის გამოსახულებაც. ძვლის საჯდომზე, ეტყობა, ან სარტყლის საბნევის მხატვრული გაფორმება იყო, ან სხვა რაღაც. დინგი თავიდან 2 სმ აქვს წინ წამოშვერილი, განით 7-8 მმ. თავზე, ცხვირის ზურგულა ხაზის იქითაქეთ, დგას თითო რქა, 0,5 სმ სიმაღლისა. საჯდომი ძვალი გამოხრულია

და სრულად დაშლილი. ზედაპირულად აიკრიფა აგრეთვე გიშრის, ქარვის, სერდოლიკის და სხვა ქვათა მრავალი მძივი. მათ შორის არის ქვის ლარტყული და მრგვალი ფირფიტები, ხვრეტილით. ეტყობა, ესეც მკერდით სატარებელი სასამკაულო ერთეულები იყო. ნაპოვნი იქნა ოთხი კოლხური ცული – ერთი საშუალო ზომისა, ხოლო ორი – მინიატურული. ოთხივე თავწამტვრეული. სამი თავი ცალკე იქნა ნაპოვნი. ნაპოვნი იქნა სარტყლის ოთხი ცალი ორნამენტირებული ბალთა, სასამკაულო ჯაჭვისა და ფიბულათა ნამსხვრევები; ასევე, ორნამენტირებული სამაჯურის ფრაგმენტი. ნაპოვნი იქნა ბრინჯაოს სამი ხანჯალი, საკმაოდ აწეული ზურგულებით ორივე მხარეზე. ერთიც – ხანჯლის ტარი ბრინჯაოსი, სამკუთხედად წაკვეთილი მხრებით და წელში ჩახრილი გვერდებით, 0,5 სმ სისქისა და 1,5 სმ სიფართისა; 35 ცალი ბრინჯაოს სეგმენტური იარაღი. დიდი ნაწილი მათ შორის დაზიანებულია. შემორჩენილი აქვს ყელი და პირის მცირე ნაწილი. ერთი სეგმენტის სქელ პატინაზე არის ქსოვილის ძაფების ანაბეჭდი. ასეთი ანაბეჭდი სხვა ნივთებსაც ეტყობა. ნაპოვნი იქნა რკინის ცულები და 20 ცალი ხანჯლის ნამსხვრევი, ყელისა და ტანის დიდი ნაწილით, რომელზედაც ჟანგის ძლიერი სქელი ფენაა მოდებული. ეტყობა, ადგილის ნესტიანობის, ჭაობის მდებარეობის გამო პატინა ისე მყარი გახდა, რომ ბრინჯაოს ნივთებიც კი ძლიერ დაჭმული და დაშლილია. ხშირად ორი ერთეული პატინით ძლიერ ჩაჟანგულია ერთმანეთზე; ისე, რომ მათი აგლეჯა ნივთის სერიოზულ დეფორმაციას იწვევს. აქვე ნაპოვნი იქნა კერამიკულ ჭურჭელთა რამდენიმე ფრაგმენტი. მათ შორის ერთი, ფსკერის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი კედლის ფრაგმენტით; ერთიც ვაზის თავსახური, კერამიკისავე, გონიოებამოზნექილი და გონიოთა სიღრმეში მაღალი სახელურით.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ადგილზე საკმაოდ დაზიანებული ოთხი საფლავიც გავხსენით. ამ ადგილებში უკვე კულტურული ფენა ჩანდა და წყლისა და ადამიანთა მხრივ ხელყოფა იყო მოსალოდნელი. სამარხები, ეტყობა, უხსოვარი დროიდან ხელყოფილი იყო; ამასთან, ეროზიასთან ერთად, ხელმყოფთა მიერ საკმაოდ დაზიანებულიც. მაგრამ მაინც მოხერხდა ჭრილის ერთგვარი სტრატიგრაფიის, საფლავის თავისებურების გაცნობა და ინვენტარის აკრეფა. ორივე სამარხი ერთ ჰორიზონტზეა გაშლილი.

# ფიჩხერის სამარხების საიდუმლო

## წერილი მეორე

### სამარხი I

სამარხი, ეტყობა, მეომარი მამაკაცისა იყო. აქ სამეურნეოსთან ერთად ჭარბადაა საომარი ინვენტარი. ბრინჯაოს თხელი საძირკველი ეროზიის თუ ხელყოფის გამო ძალზე დაზიანებულია. ყელის არეში ქარვის, გიშერის, სარდიონის, თიხის მრავალი წვრილი და მსხვილი, ორიგინალურად  დამუშავებული და ხვრეტილიანი მძივები ეყარა. მათში სილქვის ორი, წვერში ხვრეტილიანი ლარტყული 7-9 სმ სიგრძის, 1-2 სმ სიფართის და 0,5 სმ სისქის სასამკაულო ფირფიტებია. მკერდის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს რგოლში ჩასმული სარდიონის თვალი. აქვე, ალბათ, მის ხუფებად იყო გამოყენებული ორი ოთხკუთხა ბრინჯაოს ფირფიტა, 4X5 სმ სიფართისა და 1 მმ სისქისა, დიაგონალებგადაკვეთილი, ჩვრეტილი წერტილებით. თავთან აღმოჩნდა საყურე და თმის სამაგრი რგოლი, 16 სმ დიამეტრის და 0,5 სმ სისქის მრგვალი, ორნამენტირებული სალტე. ყელის არეში, მძივთა შორის, აიკრიფა ოთხი, სამკუთხედის ფორმის, ორივე მხრივ ორნამენტირებული სამკაული ვერცხლისა, მკედით ასაკინძი ყელით, რომელსაც რგოლი მომსხვრეული აქვს. მკერდის არეში იდო ბრინჯაოს მსხვილი სამაჯური. წელის არეში ეწყო სარტყლის ბალთები, ბრინჯაოს ჭურჭლის ორიგინალური ყური, საკმაოდ დიდი ზომის ზარი (6X4 სმ) – 3,5 სმ დიამეტრით, 1,5 სმ სიმაღლის საკიდი რგოლით, რომლის მკედგასაყრელი ხვრეტილის განი 1 სმ უდრის. გარე კედლები ორ რეგისტრად იყოფა. ქვედა რეგისტრი 2 სმ სიმაღლისაა და ოთხი სამკუთხა ხვრეტილითაა დათაჯული. ზედა რეგისტრის სიმაღლე 2 სმ-ია და აქაც ქვედა ხვრეტილების ჭადრაკულად განლაგებული ოთხი სამკუთხა ხვრეტილია გაკეთებული. ხვრეტილთა დიამეტრი 1 სმ-ია. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს 6 ცალი სეგმენტური იარაღი (11X12 სმ), ბრინჯაოს ოვალური, 5 მმ სისქის და 16 სმ სიფართის ფირფიტა, რომელსაც ერთი მხარი მომსხვრეული აქვს. შემორჩენილ ნაწილშიც საკმაოდ დიდი ჩამსხვრევებია. აქვე იყო ბრინჯაოს მეტად ფაქიზად შესრულებული ხანჯალიც. იგი სიგრძით 20 სმ, განით კი 3 სმ-ია, ორივე მხარეზე საკმაოდ მაღალი ზურგის ხაზით, რომელიც სამი პარალელური ხაზის ამოღარულ არშიაშია ჩასმული. არშიები ყუნწის ყელს პარალელურად უერთდება,

წვერთან კი მახვილ კუთხეებად ერთვიან ერთმანეთს, რომლის შემდეგ ზურგულა წვერომდე გრძელდება. ხაზები ისე ზუსტად და მხატვრული სიფაქიზითაა შესრულებული, რომ ნათელ შთაბეჭდილებას ქმნის ინვენტარის მაღალ ხელოსნურ ტრადიციებზე. პირები ალაგ-ალაგ ჩაჭმულია. შემორჩენილი ნაწილი კი ძალიან ბასრია, ბრინჯაოს თითბრის შეფერილობისაა და დღესაც ფერუცვლელია. ნივთთა შორის აღმოჩნდა საკმაოდ მსხვილი, ოვალური, შუაში გატეხილი და თავ-ბოლო წამტვრეული ბრინჯაოს მილი, რომლის დიამეტრი 3 სმ-ს უდრის. დახვეული ფურცლის სისქე 0,5 სმ აღწევს. ეტყობა, იგი ტარი იყო რაღაც ინვენტარისა, იქნებ აქვე ნაპოვნი სატევრისა.

აქვე იყო ორი კოლხური ცული, ერთი სრულიად მთელი და ერთი – თავმომსხვრეული. პირველი, IV სახეობის პირველი ქვესახეობის კოლხური ცულია, ორივე მხარეზე შესანიშნავად მოხატული. ორნამენტი პირიდან იწყება და ყუნწის გონიომდე მიჰყვება. ამოხაზვები შესრულებულია მეტად ფაქიზად. შესრულებულია ჩახვეული ფორმები, რომელიც თანდათანობით უფრო რთულდება და ყელისკენ ერთიან რგოლში შეკრულ სხივებად იშლება. ნივთი 17 სმ სიგრძისაა. მეორეც კოლხური ცულების მესამე სახეობის შესანიშნავი ეგზემპლარია, რომლის ტანი საკმაოდ ორნამენტირებულია, ოღონდ ზომით პირველთან შედარებით – მომცრო. მისი სიმაღლე, ეტყობა, 15 სმ-ზე მეტი არ იყო.

აქვე აღმოჩნდა სამი ცალი თოხი; მათ შორის ერთი მინიატურული ზომისა, მისი სიგრძე 5 სმ, განი 3 სმ, სატარე ხვრეტილის დიამეტრი 1,5 სმ-ს არ აღემატება. საკვეთი პირი ოდნავ წამოხრილია, ორი დანარჩენი კი სწორტანიანია, მხრებჩამოყრილი, ოვალური პირით. თოხის ყურის ხვრეტილის განი 2,5 სმ, ყუის სიმაღლე კი – 4 სმ. თოხი ადეკვატია თერგვანის და ოჯოლის ეგზემპლარებისა. აქვე ნაპოვნი იქნა რკინის III სახეობის კოლხური ცული, რომელსაც ასევე, ყუის ზემოთ კოპი აქვს მომსხვრეული. იგიც ზომით შედარებით მცირეა: შეიძლება 13 სმ სიგრძისა იყო. ნივთთა შორის აღმოჩნდა რკინის ცული, ხვრეტილის გარეშე, მაღალი ყელით, ბრტყელი, სწორი ტანით და ოვალური საკვეთი ბოლოთი. მსგავსი ბრტყელი ცული, შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი, მრავლადაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს სამუზეუმო ფონდებში. მათ შორის თლის განძის ერთეული დაცულია სამხრეთ ოსეთის მუზეუმში.

პირველი სამარხის ინვენტართა შორის დიდი ადგილი უჭირავს ქანდაკებებს. აქ ერთი ჯიხვის ბრინჯაოს ქანდაკებაა, მინიატურული ფორმისა (7X4 სმ); რქები საკმაოდ მაღალი, ტანი მაღალი და სწორი; ყელმოღერებული ცხოველი თითქოს საიერიშოდაა გამზადებული, ისე

საგრძნობია მოძრაობა, რომ საკმაოდ განიცდი კაცი. მეორე, შედარებით დაბალი ცხოველია (6X3 სმ), საკმაოდ ჯმუხი ტანით, მაღლა აშოლტილი რქებით. ისიც საკმაოდ დინამიურ პოზაშია. საინტერესოა მკერდისა და ქეჩოს გამოკვეთა. იგი მსგავსია ხარის ქანდაკებისა, რომელიც კუფტინს აქვს აღწერილი აბგარხუკის მასალებში. აქვე აღმოჩნდა მამაკაცის თავწამტვრეული ქანდაკება, ფალოსის გამოსახულებით, და ქალის წელსზემოთ მომსხვრეული ტანი. ფაქიზად შესრულებული ტროსი მხატვრის მაღალ გემოვნებასა და დახელოვნებას ადასტურებს. აქვე ნაპოვნი იქნა ქალის ქანდაკება. მას ნიკაპსზემოთ თავი მომსხვრეული აქვს. საკმაოდ დამუშავებულია მკერდი და ნაწნავის ნაწილი. ყელს გარს უვლის ზედა საცვამის ფაქიზი ტალღები და მხატვრული ჭრილები. სამარხში აღმოჩნდა ობსიდიანის რეტუშირებული ლამელაც.

კერამიკულ მასალათა შორის აღსანიშნავია მცირე ზომის ამფორის ძირი, კუნკულით, ნაცრისფერი თიხისაგან. აქვეა აგრეთვე იმავე ნაცრისფერი თიხის მასისაგან დამზადებული მცირე ზომის ვაზის გონიო, კედლის ნაწილითა და შავი ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი. ამრიგად, პირველი სამარხის ინვენტარი, თავისი შედგენილობით და თავისებურებით, სავსებით კოლხურია, მდიდარი სამეურნეო და მხატვრული ტრადიციებით. იგი შეიძლება გვიანი ბრინჯაოს ეპოქის I ათასწლეულის დასაწყის ხანას მივაკუთვნოთ.

# ფიჩხერის სამარხების საიდუმლო*

## წერილი მესამე

### სამარხი II

უაღრესად მდიდარი და მეტად საინტერესოა მეორე სამარხის ინვენტარი. აქაც დამარხვის ისეთივე თავისებურებაა. მიცვალებულს ისევ აფარია ბრინჯაოს საბურველი. ისიც ძლიერ დაზიანებული და სავსებით გაძარცულია. აქ მიცვალებულის ყელთან აღმოჩნდა მრავალი მძივი, უმეტესობა გიშრისა, მინიატურულიდან 2 სმ დიამეტრის ერთეულამდე. ზოგიერთი მძივი შემკულია ერთმანეთს ფენებად ჩახვეული ქსოვილის მსგავსი ხაზულთა ორნამენტებით. საინტერესოა ცალკეულ ერთეულთა ფორმები. არის ბალიშის მსგავსი, ოთხკუთხა, მრგვალი, წელში წიბოებიანი, ჯვარისებრ გამოთლილი და საინტერესო ხაზულებით შემკობილი, ლარტყული და მილისებური, ლოკოკინას ნიჟარისებური, თიხისა და მინის, ქვისა და ქარვის შესანიშნავი ერთეულები; ზოგი – ხრახნილად ახაზული, ზოგი – ნიშნებით ჩახლართული.

აქვე აღმოჩნდა ნაცრისფერი თიხის მასისაგან შესანიშნავად შესრულებული და მიმზიდველად ორნამენტირებული ვაზის ფრაგმენტები. მისი ტანი, ეტყობა, ხუთ რეგისტრად იყოფოდა. ფსკერის გონიოები გამოხაზული იყო ორი ხაზით, რომელთა შორის მაღალი ზურგულა იჯდა. რეგისტრის სიფართე 2 სმ-ია, სადაც სამკუთხედებია ამოხაზული, რომლის წვერი ზედა რეგისტრის ხაზს ებჯინება, ხოლო ფუძით ქვედა რეგისტრის ღარზე დგას. სამკუთხედის შიგნით ჭადრაკული ღარვაა. თითო სამკუთხედში 16 უჯრედია ამოღარული. ყველა სამკუთხედში უჯრედთა რაოდენობა თანაბარია. მესამე რეგისტრის ზურგულა ფართოა, რომელიც ირიბი ღარებითაა ამოხაზული. გონიოსთან სამკუთხედები, ეტყობა, ბრუნდებოდნენ. წვერი ქვემო სარეგისტრო ხაზს ეყრდნობოდა, ფუძე კი გონიოს ებჯინებოდა. ვაზს, ეტყობა, ორივე მხარეზე ლამაზად ამოხაზული, ვერტიკალურად ამართული ყური ჰქონდა ამოძერწილი. მსგავსი ჭურჭელი და ყური დამოწმებული აქვს კუფტინს, დიხაგუძუბას მასალებში.

* გაზ. „განახლებული აბაშა“, №62, 23. V.1974.

აქვე აღმოჩნდა 7 ცალი კოლხური ცული – 5 ცალი ბრინჯაოსი და 2 ცალი რკინისა. აქედან, მესამე სახეობის ორიგინალური კოლხური ცულია, 16 სმ სიმაღლისა, ბრტყელი კოპით, რომელზედაც გადადის ყუის გარდიგარდმო ორი ღარი. ცული სულ ორნამენტირებულია. განსაკუთრებით საინტერესოა საჭრელ პირზე ამოხაზული გამოსახულება. აქ ჯამი და ხელის ქანდაკებაა. ჯამში ხელი ყრის თუ ასხამს რაღაცას. ირგვლივ სულ ჭრები მიჰყვება. ყუის ყელის ირგვლივ ზის მზის გამოსახულება. მზის გამოსახულება ზის კოპის ფუძის ირგვლივაც. მეორე გვერდზე საჭრელი პირის მხატვრული გაფორმება ამოჭმულია და კარგად ვერ იკითხება. საინტერესოა მზის გამოსახულება. იგი ჩვენ მიგვაჩნია მზის საკულტო-სარიტუალო ემბლემად, იქნებ გვარის ჰერალდიკადაც. მეორე, შედარებით დიდი ზომის ცულია, რკინისა. იგი I სახეობას ეკუთვნის. კოპი წამტვრეული აქვს. სიგრძით 14 სმ. დანარჩენები მინიატურული ცულებია, სიგრძით, დაწყებული 7 სმ და დამთავრებული 10 სმ-მდე. მათ შორის ერთი რკინის I სახეობისა და ბრინჯაოსი, I სახეობისა ორი და II სახეობისაა ერთი. უკანასკნელი მეტად ორიგინალურადაა მოხატული. ძალიან საინტერესოა მინიატურული ცულები. მათ, სამეურნეო და სამხედრო დანიშნულების გარდა, იქნებ სასამკაულო მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ სამარხში აღმოჩნდა სამი ცალი რკინის სატევარი. ერთის ტარი ბრინჯაოს რგოლებითაა შეკრული და ზედ ბრინჯაოსვე მანჭვლები აზის, ხოლო ორი სატევარი ბრინჯაოსია, ორივე ოვალური ტანით, ზურგის ხაზის გარეშე, ძალიან მკვეთრი პირით.

სამარხში აღმოჩნდა სარტყლის ორიგინალურად მოხატული ბალთები, ბრინჯაოსი, და სამაჯურის ფრაგმენტი, მასიური ზოდისა, რომელზედაც გონიოები სამკუთხედის ფორმის კბილების უწყვეტ რკალადაა ამოხაზული, ზემოთაც და ქვემოთაც. კბილანებში ნაჩვრეტი წერტილები ზის. აქვე ნაპოვნი იქნა საკმაოდ ორნამენტირებული სამი ცალი სამაჯური. ერთი 0,5 სმ დიამეტრის რგოლია, მოღუნული, ხოლო ორი უფრო თხელი და ნატიფად ნამზადი სამკაულია. აქვე აღმოჩნდა ჯაჭვისებური ძეწკვი ბრინჯაოსი. რგოლებზე ჩართული იყო სამი, ოვალური ხუფის მსგავსი სამკაული, ზედ ყუნწით და ბოლოებჩახვეული ფიბულის ცენტრალური ნაწილი; ასევე მეტად ნატიფი სამაჯურის ფრაგმენტი. გონიოებამოკეცილ ღარში ორ მწკრივად არის მსხვილი წერტილები ამოზნექილი. აქვე ნაპოვნია სასამკაულო ზარაკი. ზარაკი აქვე მეორეცაა, მაგრამ 1,5 სმ დიამეტრისა და 2 სმ სიდიდისა, გარდიგარდმო ღარტყით – ენისათვის, და თიხის მეტად საინტერესო ღილი. იგი კონუსურადაა ამოძერწილი და ირგვლივ, თანმიმდევრობით, წვერისაკენ ამოხაზული აქვს რგოლები, მისაბნევი ორი ხვრეტილით, მეორე რგოლის გაყოლებამდე.

სამარხში აღმოჩნდა 10 ცალი სეგმენტური იარაღი, სხვადასხვა ზომისა. მათი დიდი ნაწილი საკმაოდ ეროზირებული და დეფორმირებულია.

ამ სამარხის განძთა შორის აღმოჩნდა რამდენიმე ქანდაკებაც. მათ შორის ყველაზე საინტერესო და უნიკალური ნივთია მამაკაცის ქანდაკება, რომელიც მოაჯირს მიყრდნობია ისე ძლიერ, რომ ჩაუზნექია იგი. ხელები დამუშტული და შემართული აქვს. მოაჯირში ჩართულია წინ წამომართული ფალოსი. სახე და მთელი ტანი ძლიერ დინამიური და მეტყველია. იგი თითქოს ქადაგებს; ბაგეები მეტყველადაა ჩახსნილი, თითქოს ყვირის. თვალები მკვეთრად წინ წამოქაჩულია. ტანი წინ გადმოხრილი, ინერცია აღებულია სამოძრაოდ. ქანდაკება დგას ლამბაქზე, რომელსაც გრეხილი წნული უვლის გონიოებზე. წინა ნაწილი გონიოს მომსხვრეული აქვს. ლამბაქს თუ ტრიბუნას ქვემოთ მრგვალი ლარტყა აქვს ამოდებული. ეტყობა, იგი ამოხრილი და თავში მარყუჟად ამოსკვნილი ნივთი იყო, საკიდად, სატარებლად. კაცს ცხვირი სწორი და განიერი აქვს, ფართო ნესტოებით. ყური საგრძნობლად უპროპორციოდ დიდი; ეს იქნებ ხაზგასმაა სიბრძნისა და გონიერებისადმი, ან სმენის უნარისადმი. თავზე ახურავს ფესის მსგავსი ქუდი, თავწაკვეთილი კონუსის მოყვანილობისა. იგი ბრტყლად ახურავს თავზე. ზემო გონიო ოვალურად ჩამოჭრილია უკან. თვით ქუდი, პირსახე და ქანდაკების პოზა მეტად საგულისხმო ელემენტებია, რომელზედაც ყურადღების გამახვილება და დაფიქრება ღირს. იგი არ ჰგავს აქამდე არქეოლოგიურად ნაპოვნ არცერთ ქანდაკებას. მკვეთრად მოცემული აღმოსავლური ტიპია, აღმოსავლური ეთნოგრაფიული და ეთნიკური იერით. ამასთან, აქვე აღმოჩნდა ბეჰემოტის შესანიშნავი გამოსახულება. ამ სამარხებში აღმოჩენილი ყველა ქანდაკების საერთო დამახასიათებელი თავისებურებაა დინამიურობა, შემართებული, შემტევი პოზა ფიგურებისა, თანაც ცალკეულ ნაკვთთა მკვეთრი ხაზგასმა. ბეჰემოტი პირდაღებული, ბრაზიანი, ყვირილის პროცესშია გამოსახული. იგი გააფთრებული ყვირის, თავდასასხმელად და საიერიშოდ გამზადებული. ქეჩო წამომართული, გაჭიმული, ეტყობა კუდაპრეხილიც; ქანდაკებას ასოც საკმაოდ ხაზგასმული აქვს. საინტერესოა, რა უნდოდა ჩვენი ფაუნისათვის უცხო ამ ცხოველს ამ ინვენტართა შორის?

აქვეა ნაპოვნი ფანტასტიკური ცხოველის ქანდაკება, მაღალი ყელით და ნისკარტივით წინ წამოწეული პირით. ქანდაკება პირველი შეხედვისას ჟირაფის შთაბეჭდილებას გვიქმნის, მაგრამ უჩლიქო, წვეტიანი ფეხები, გრძელი კუდი და ნისკარტი, უდავოდ, ფანტასტიკურ არსებაზე მიუთითებს. ამ მხრივ იგი ბაბილონში, იშთარის ჭიშკრის მოხატულობის დეტალს – ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებებს გვაგონებს.

აქაც უაღრესად ხაზგასმულია მოძრაობა. კუდი აპრეხილი, ყელგაწვდილი, თითქოს საიერიშოდ გამზადებული. კანი ისეა დამუშავებული, რომ ბეწვზე ფორეჯების შთაბეჭდილება ნათლად იქმნება. აქვე ნაპოვნი იქნა თევზის გამოსახულება, მაღალი ზურგით, წინ წამოზიდული, გადმოხრილი დრუნჩით, უფორმო, ტალღოვანი მუცლით და კოპებით მინიშნული ფარფლისა და სხეულის ნაწილების ხაზგასმით. გადმოქაჩული თვალებით და თვალის ფარფლით გარკვეულ შთაბეჭდილებას სტოვებს კაცზე. სამარხის ინვენტართა ასეთი ფრაგმენტული თვალის გადავლებაც გვანცვიფრებს თავისი მასშტაბურობით და აბორიგენული კულტურის უნიკალური ხასიათით.

# ფიჩხერის სამარხების საიდუმლო*

## წერილი მეოთხე

### სამარხი III

სამარხი ძალიან მდიდარია მრავალფეროვანი სასამკაულო და სამეურნეო ინვენტარით, სამხედრო იარაღ-აღჭურვილობით. იგიც ძლიერ აყრილი და გაძარცული ჩანს. აქაც მეორდება ის უცნაური მრავალფეროვნება და ნატიფი ხელოვნება მატერიალური კულტურის ნივთებისა, რაც წინა ორ სამარხში იყო აღწერილი.

აქ მეტად საინტერესო კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა – ლამაზი ყურით, შავი კერამიკული მასის, დაბალი ჯამის კედლის ფრაგმენტებით, რომელიც სადადაა გაფორმებული, მაგრამ სუფთად და ლამაზადაა გამოძერწილი. აქვე ნაპოვნი იქნა სასმისის თუ ფსკერწვრილი ვაზის ფსკერი – სადგამი... ჯამის ეს სახეობა ჩვენ დამოწმებული გვაქვს მახათის გვიანი ბრინჯაოს [ხანის] ფენაშიც და ქვიტირის გორიკებზე. ჯამის მსგავსი ფორმები დამოწმებული აქვს კუფტინს, ქვემო გომის არქეოლოგიურ მასალებში. სასმისის ასეთივე ფორმებიც აქვეა დამოწმებული.

აქვე აღმოჩნდა ჩუგლუგთა სეგმენტური იარაღების დიდი რაოდენობა (13 ცალი). უმრავლესობა მათგანისა ძლიერ დაზიანებულია. საერთოდ ყველა სამარხში ასეთი ჩუგლუგები თუ სეგმენტური იარაღები მასობრივად და დიდი რაოდენობითაა ჩატანებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს მეომართან.

აქვე აღმოჩნდა რკინის ერთი კოლხური ცული, I სახეობისა, ყუაწამტვრეული. ყუა იქვე ეგდო ცალკე. აღმოჩნდა რკინის სამი სატევარიც და ერთი, რკინის სატევრის ბრინჯაოს ტარი. ტარი 14 სმ სიგრძისაა. თავზე მას წამოცმული აქვს ბრინჯაოს ორიგინალურად გაფორმებული ხუფი, ფართოფსკერიანი თავით და ქვემოთ ოვალურად ამობურცული მუცლით. ეტყობა, თვალში რაღაც სხვა სასამკაულო ერთეული იყო ჩაყოლებული და მით მოპირკეთებული. შემდეგ 1,5 სმ სისქის ტარი ყელთან ოვალური მხრებით სრულდება. მასიური ბრინჯაოს ყელი 4 სმ სიფართის და 3 სმ

---

* გაზ. „განახლებული აბაშა“, №70, 11. VI. 1974.

სიმაღლისაა. ყელს ორივე მხარეზე 1 სმ დიამეტრის ამოღრუებული ფოსოებია, მანჭვლების, ან თვლების საჯდომად. ყელს ირგვლივ გასდევს ორი პარალელური ღარი, რომელშიც ჩაკრულია რკინის სატევარი ყელსამაგრი. შემდეგ ნაწილი მომსხვრეულია. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი კოლხური ცული, ორივე III სახეობისა. ერთი სრულიად მთელი, სწორი ყუით და ტარგასაყრელი ხვრეტილის ორივე მხარის მოგლუებულ გონიოებზე თითო, ფართო ღარით, ტანზე და საჭრელ პირზე საორნამენტო ხაზულებით, რომელიც ხანგრძლივი ხმარების გამო ძლიერ ჩაჭმული, დაზიანებულია და არ იკითხება. მეორეს კოპი შუაზე აქვს მომსხვრეული. გონიოები და მთელი ტანი ლამაზ არშიებშია ჩასმული. კოპის ნამტვრევიც აქვე აღმოჩნდა. სიგრძით იგი 17 სმ-ია.

ნივთთა შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი სატევარი. ერთი, მკვეთრად მოცემული ზურგულა ხაზებით, ორივე მხარეზე. საერთოდ ნივთი ძალიან ვიწროა (2 სმ სიფართის და 14 სმ სიგრძისა). მეორე უფრო ფართოა (3,5 სმ). ამასთან, ორივე მხარეზე ზურგი განივადაა ამოწეული და ჩაბრტყელებული. ზედ ირიბი ხაზულებია ამოღარული. ღარებს აქეთ-იქით პარალელური გონიოები აქვს მთლიანად ამოხაზული და ირიბი ხაზულებია ამოღარული. სატევარს ყუნწი შემორჩენილი აქვს. შუაში გადამტვრეულია და ბოლოც წამტვრეული აქვს. ბოლო ნაწილი მასალათა შორის არ აღმოჩნდა.

აქვე ვიპოვეთ სარტყლის ორნამენტირებული ბალთები, რომლებიც ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ საორნამენტო სურათ-ხაზები კარგად ჩანს. ასევე, კარგად ჩანს ღარიც და გონიოს გლუვი არშიაც. ერთი მათ შორის ოვალურია, სხვა დანარჩენი სწორი, ბოლოებში საკმაოდ წამოზიდული.

ნივთთა შორის იყო 2 თოხიც, ერთი – წელში ჩახრილი და ერთიც – სწორი ტანით. მსგავსი თოხები დამოწმებული აქვს დ. ქორიძეს. თოხების ხვრეტილის დიამეტრი 3 სმ-ია. აქვე ვიპოვეთ ბრინჯაოს ორნამენტირებული რგოლები, 2 ცალი; ბრინჯაოს ჯაჭვისებური ძეწკვი, ვერცხლის 3 ცალი ბეჭედი, – წვრილი მავთულხვეული. ვიპოვეთ ბრინჯაოს მავთული, ეტყობა სამკაულად გამოყენებული; თავკაუჭიანი საბნევი და ერთიც ირგვლივ არშიაშემოვლებული ფიბულა. აქვე მიცვალებულს მაჯაზე ეკეთა ორიგინალური სამაჯურიც, რომელიც ამოღებისას დაიმსხვრა. ბრინჯაოს ზოდი ორი ღარითაა დაღარული, შუაში ზურგულა ხაზით. ზოდის, ან ლარტყის სიფართე 1 სმ, სისქე 3 მმ. სამაჯურის ამ ფორმის ფრაგმენტები სხვა სამარხებშიაც გვაქვს ნაპოვნი. აქვე ვიპოვეთ ყელი რაღაც ბრინჯაოს ჭურჭლისა. იგი ხრახნილადაა დახაზული და გონიო მკვეთრად ჩახვეული. ყელის სიმაღლე 1,5 სმ-ზე მეტია. მასალათა შორის აღმოჩნდა

ოქროს მრგვალი მძივი თუ თვალი. მისი დიამეტრი 1 სმ-ს აღწევს. იგი ერთ მხარეზე ჩახვრეტილია. მისი დაუზიანებელი მხარე სეგმენტებადაა დაყოფილი, რომლის ცენტრი წრეში ზის და ბურთივითაა ამობერილი, თითქოს თვალი იჯდეს. ასეთი თვალი ერთ მხარეზე 10-ზე მეტია. მძივი შუაში გახვრეტილია მკედის გასაყრელად. ხვრეტილის გონიო ლამაზი, გლუვი წრის ჩარჩოშია მოთავსებული. მძივი კარგი გემოვნებითაა შესრულებული. მიცვალებულის ყელისა და მკერდის არეში ეყარა უამრავი მძივი ქარვისა, გიშრისა, ფერადი მინისა და სხვა ქვებისა. მათ შორის არის საკმაოდ დიდი (2 სმ დიამეტრის) ერთეულები, რომელზედაც ქსოვილის მსგავსი, ირიბი, ლარტყული ნახაზია შესრულებული, რაც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სამარხის ნივთთა შორის იყო ორი ქანდაკება – ერთი ფანტასტიკური აღნაგობის ხარისა, თუ ხარჯიხვისა. ნივთი სიგრძით 8 სმ, სიმაღლით 9,5 სმ, სიგანით 3 სმ-ია. ტანი შედარებით მოკლე და სქელი აქვს. სამაგიეროდ მკერდის ზემოთ ყელი მაღალი, სქელი, უცნაურად წამომართულია. დგას მაღალ, სწორ ფეხებზე. უკანა ნაწილი – გავა ფართო და კოხტად ჩამრგვალებულია, საიდანაც მოკლე, სწორი კუდი ეშვება. ზურგზე ოდნავ მიყვება ზურგის ხაზი, ხოლო წინა კიდურების ზემოთ, ქეჩოს დასაწყისი მხრებშიც ინაკვთება, იჭიმება. ასე ვრცელდება ქეჩო რქების ძირამდე. ორი, მრგვალი, მოკლე რქა ადგას. რქების ძირას, ყვრიმალის აქეთ-იქით მხარეს თვალის ფოსოებია. დრუნჩიც მრგვალი და სწორია, რომელშიაც ტუჩია ჩამოკვეთილი. ქვემოთ ორკაპად გამოყოფილი წვერი აქვს; ყელის ბოლო, ორივე მხარეზე, ყურების მაღლა ამართული ნიჟარებია. ისიც აცქვეტილ მდგომარეობაშია გამოსახული. ცხოველის მთელი ტანი, პოზა დინამიურია, მოძრაობაშია; თითქოს გამარჯვების ზეიმის ყვირილისათვის ემზადებაო. თავაწეული და ლაღი, მთელი სხეული, ოდნავ ხაზგასმული ნაკვთიც კი, სიცოცხლის, მოძრაობის გზნებითაა წარმოსახული. ქანდაკებას მუცლის ორივე მხარეზე ნახევარ მთვარისებრი ჭრილი აქვს, ეტყობა, მკერდზე საბმურად. შიგ, ღრუ სივრცეში, ბრინჯაოს ორი ბურთი მოძრაობს და რეკვის ხმას გამოსცემს. ეტყობა, იგი სასამკაულო ერთეულიც იყო, სარიტუალო-საკულტოსთან ერთად. ვფიქრობთ, ბურთებით ეს ჟღერადობაც ამ საკულტო გამოსახულების ძალას უსვამს ხაზს და, სამკაულის ელფერის გაძლიერებასთან ერთად, მიზნად აქვს დასახული საკულტო ნივთის ძლევამოსილების გაძლიერებაც. აქვეა მეორე, უაღრესად ფაქიზად შესრულებული მინიატურული ქანდაკება ვეფხისა. ქანდაკება სიგრძით 5 სმ, სიმაღლით 2,5 სმ, ხოლო სიფართით 1,5 სმ-ია. ვეფხი ნახტომისათვის გამზადებულ მდგომარეობაში დგას; ისარივით დაჭიმული ტანით, ოდნავ წამომართული, ჩახვეული კუდით, საიერიშოდ

თავწამომართულია. დაღრენილი პირით; მრისხანე თვალებში, დაკრეჭილ კბილებში მძვინვარება და მზადყოფნაა გამოსახული. კანზე ისეა ლაქები ამოტვიფრული, რომ კანის ფორეჯიანობას მკვეთრად უსვამს ხაზს. მთელი სხეულის ნაკვთიანობა და პოზა სიცოცხლის მჩქეფარებას, მრისხანებას და ძალას გამოხატავს და ავტორის დიდ გემოვნებასა და დახელოვნებაზე მეტყველებს. უდავოდ, აქ აკრეფილ კოლექციაში ეს სამარხისეული მასალა ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ აზრს.

# ფიჩხერის სამარხების საიდუმლო*

## წერილი მეხუთე

### სამარხი IV

სამარხი სამხრეთ მხარეს იქნა გახსნილი. იგი ასევე ეროზირებული, ხელყოფილი და გაძარცულია. თუმცა სხვა სამარხეული ინვენტარით მაინც საგრძნობლად ღარიბია. აქ აღმოჩნდა მძივების შესანიშნავი კოლექცია, რომელშიაც არის გიშრის, მინის, ქარვის და სხვა ძვირფას ქვათა მძივები, მინიატურულიდან დაწყებული, საკმაოდ დიდ ერთეულებამდე. ამასთან, საკმაოდ მრავალფეროვანია ფორმებითაც. მათ შორის აღმოჩნდა სილქვის ლარტყული სასამკაულო ერთეულიც, ნახმარობისმიერი ცვეთის საგნრძნობი კვალით. აქვე აღმოჩნდა ასეთივე ლარტყულ ქვათა რამდენიმე ერთეული, ხვრეტილის გარეშე. აღმოჩნდა ოთხი ცალი სეგმენტური იარაღი. ერთის სქელ პატინაზე მკვეთრადაა მოცემული ქსოვილისებური ხაზები. ორი სეგმენტური ნივთი ერთმანეთზე პატინით მჭიდროდაა დაკრული, ისე, რომ მათი ახსნა, უცოლოდ, ორივე ნივთის დეფორმაციას გამოიწვევს. ამიტომ ჩვენ არ ვცდილვართ მათს ერთმანეთისაგან მოხსნას.

აქვე ნაპოვნი იქნა სამი ცალი რკინის სატევარი, დაჟანგული და თავბოლო წამტვრეული. აღმოჩნდა სამაჯურის, საყურისა და ბეჭდის ძლიერ დეფორმირებული რამდენიმე ფრაგმენტი.

ამდენად, სამარხი ძლიერ ღარიბია. იგი სრულიად განსხვავდება მარცხენა ნაპირის, ან ჩრდილოეთ მხარის სამარხთა ინვენტარისაგან. აქ არც ბრინჯაოს დაფენა ჩანს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს სოციალურად განსხვავებული, დაბალი ფენის პირთა სამარხ ნაწილთან.

ამრიგად, ჩვენ მიერ ასე სახელდახელოდ და ზედაპირულად ნაპოვნი მასალების ასეთი მრავალფეროვანება და სიუხვე, ამასთან, მათი შექმნის მხატვრული და ტექნიკური დონე და ასაკი, ლითონთა თანაფარდობა, კულტურული ჭრილის სტრატიგრაფია, სამაროვანთა თავისებურება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აქ სათემო, სასოფლო სამარხთან გვაქვს საქმე, სამარხთან, რომელიც ასაკით ჩვენს წელთაღრიცხვამდე

---

* გაზ. „განახლებული აბაშა“, №71, 14. VI. 1974.

I ათასწლეულის დასაწყის პერიოდს არ სცილდება. იგი ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ამ საფორტიფიკაციო ხაზის გასწვრივ მჭიდრო მოსახლეობასა და მათ ეკონომიკურ და კულტურულ ძლიერებაზე. გვიდასტურებს ადგილობრივი, კოლხური კულტურის სიღრმესა და ხასიათს, მათ ურთიერთობას აღმოსავლურ, შუამდინარულ, წინააზიურ კულტურულ ტრადიციებთან.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი მეტყველებს „ნოქალაქევის ქვეყნის“ შორეული წარსულიდან მომდინარე მაღალი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების დონეზე, ურთიერთობასა და კავშირებზე მეზობელ ქვეყნებთან. ვფიქრობთ, ეს მასალები ნოქალაქევის ისტორიის უძველესი დროის მეცნიერული რეკონსტრუქციის ერთგვარ შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ ამ ადგილების უფრო ფუნდამენტური, არქეოლოგიური შესწავლა აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა.

## რიონისპირეთის პირველი შესანიშნავი განძი*

მდინარე რიონი უძველესი დროიდან ძველ ბერძნულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში ცნობილია მდ. ფაზისად, რომელიც ძველი მსოფლიოს აღიარებული ქართული სახელმწიფოს – კოლხეთის მდინარეა. ეს მდინარე ითვლებოდა კოლხეთის ყველაზე ცნობილ სამდინარო გზად – **ფაზის-კოტაის გზად.** ფოთიდან ქუთაისამდე ამ სამდინარო გზით მოდიოდა დიდი გემები **შავი ზღვიდან შუაქალაქამდე**.

ამ სამდინარო გზის ორივე მხარე, ორივე ნაპირი მჭიდროდ იყო დასახლებული. აქ მრავალი დაბა-ქალაქი და საფორტიფიკაციო დანიშნულების ცენტრი ყოფილა, რომლებიც შედიოდნენ უძველესი **მუხერისის** ან **სამოქალაქოს** შემადგენლობაში.

ამ რაიონის სხვა, ცნობილ საფორტიფიკაციო კერათა შორის ძველ ბერძნულ წყაროებში ხშირად ვხვდებით **ისულას.** ეს კერა მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც ერთ მდინარედ შეერთებული **ტეხური** და **აბაშა** ერთვის რიონს. მაშინ აყვავებული, უაღრესად დიდი მნიშვნელობის კერა იყო დღეს მცირე სოფელი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ნასოფლარი **ისულეთი**, რომელიც ცხაკაიას რაიონში შედის. „იგი წარმოადგენდა ამ მდინარეების შესართავთან გადაღობილ და გამაგრებულ სამკუთხედს, რომელიც ერთგვარად კუნძულს ემსგავსებოდა; ამ ადგილს რომაელებმა უწოდეს „ისულა“, რაც წარმოადგენს ლათინურ ინსულას (ინსულა) დამახინჯებულ სახეს და ნიშნავს კუნძულს“, – წერს აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი.

ახლა ჩვენ ხელთაა ამ აზრის პირველი ბრწყინვალე მოწმეები. ეს არქეოლოგიური განძი ნაპოვნია ცხაკაიას სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე, ისულას მახლობლად, ადგილ **ოფაჩაფუში**, **ნაოჩუს** ცენტრში. ნაოჩუს ეს ადგილი მჭიდრო დასახლების უბანი რომ იყო, ამ ფაქტს ადასტურებს ამ ადგილზე ნაპოვნი უამრავი არქეოლოგიური მასალა, რომელზედაც მიგვითითა და დაგვეხმარა მასალათა შემდგომ ძიებაში სანერგე მეურნეობის დირეტორი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი ლევთერ ქიშვარდის ძე ლომია. მან პირველმა იპოვა მეტად საინტერესო ზედაპირული მასალა. ამ მასალათა პოვნის შემდეგ ადგილზე ფიზიკური მუშაობა შეაჩერა და აცნობა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მოეწყო ერთგვარი არქეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიცია. მუზეუმმა, გაზეთ „კოლხეთის ცისკრის“ რედაქციის თა-

* გაზ. „კოლხეთი ცისკარი“, №22, 7. III. 1965.

ნამშრომლებთან ერთად, მოაწყო არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც იმუშავა ამ ადგილზე და მეტად მნიშვნელოვანი მასალა აღმოაჩინა. აქ, გარდა უამრავი ზედაპირული კერამიკული მასალისა, ნაპოვნი იქნა სამი ქვევრსამარხი. პირველი ქვევრსამარხი, რომელიც პირადად ლომიამ გასინჯა, სრულიად იყო ჩამტვრეული. მასში ბრინჯაოსა და სხვა მრავალი სამკაული და ნივთი ყოფილიყო, მაგრამ იგი მთხრელებს გაებნიათ. ამ ადგილის ხელმეორედ გასინჯვის შედეგად აღმოჩნდა ქვევრსამარხის ქვევრის საინტერესო ფრაგმენტები, შესანიშნავი საორნამენტო ჭდეებით დახაზული, კერამიკულ ვაზათა ორი ფრაგმენტი და ბრინჯაოს სამაჯურის ორი ნამტვრევი, რომელზედაც არის ჩუქურთმიანი ჭდეები და საკმაოდ მოცვეთილი საორნამენტო ხაზულები.

ექსპედიციამ ზედაპირულად მოსინჯა ტრანშეის ნაპირები და ორ ადგილას იპოვა ახალი ქვევრსამარხები. ნიადაგის ხანგრძლივი და მძიმე დამუშავებისა და რყევის გამო ქვევრსამარხები ძლიერ დაზიანებული და ჩამსხვრეული იყო. ქვევრსამარხთა შემოგარენი ფრთხილად გაიწმინდა და ამოღებულ იქნა ქვევრსამარხი. პირველი სამარხის ირგვლივ ექსპედიციამ სხვა რამ საინტერესო მასალა ვერ იპოვა, ხოლო მეორე ქვევრსამარხის ორივე მხარეზე აღმოჩნდა ადამიანთა ძვლები, ორმოსამარხში – შუბისა და ხანჯლის წვერები, ორივე რკინის მასალისგან დამზადებული, რომელიც, ეტყობა, ქვევრსამარხში დამარხულ დიდებულს თან ჩაატანეს, ე. ი. მის ირგვლივ ჩამარხეს მეომარი მონებიც, რაც არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად აღარაა დამოწმებული. პირველ ქვევრსამარხში აღმოჩნდა კოლხური თეთრების მეტად ჭრელი კოლექცია. აქ არის კოლხური დრაქმები და ნახევარდრაქმები, საკმაოდ მოცვეთილი შუბლითა და ზურგით. თუმცა ჯერ კიდევ ჩანს გამოსახულებანი. მიცვალებულის ძალზე დაფშვნილ მაჯას ეკრა რამდენიმე მეტად საინტერესო ბრინჯაოს სამაჯური და მტევნებთან იყო ბრინჯაოს ბეჭდები, ყელთან კი მეტად საინტერესო მინის, ბრინჯაოსა და თიხის შესანიშნავი მძივის მარცვლები. მეორე ქვევრსამარხში ნაპოვნი იქნა მძივის მეტად საინტერესო კოლექცია, სამაჯურების უნიკალური ნიმუშები და კოლხური ნახევარდრაქმები. საინტერესოა აქ ნაპოვნი ბრინჯაოს რამდენიმე სამაჯური. ასეთი 20-ზე მეტი ერთეული აღმოჩნდა. მეორე სამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს სამაჯური ორიგინალური ფორმისაა. სამაჯურს აქვს ზედა მხარეზე ფართო 1,5-1,5 სმ-ის ფირფიტა, რომელზედაც არის გამოსახული მეომარი, მარჯვენა ხელში მშვილდ-ისრით. მის ქვემოთ არის ექვსქიმიანი ვარსკვლავის ორიგინალური გამოსახულება: ფირფიტის ორივე მხარეზე არის ირგვლივი ზურგულა ჭდეები, თითო მხარეზე ხუთ-ხუთი, შემდეგ კი წვრილი ხაზულები მიუყვება; სამაჯურის ორივე

ბოლო მომრგვალებულია და ჭდის გასწვრივ აქვს სამ-სამი ვიწრო ხაზულა. მსგავსი სამაჯური ლიტერატურაში ნაკლებადაა აღწერილი. აქვე ნაპოვნი მეორე სამაჯური სქელი, ბრინჯაოს მრგვალი რგოლია, რომელზედაც ხუთ ადგილას არის სამ-სამი ირგვლივ ოთხკუთხა ჭდეები; ჭდეების ოთხივე მხარეს არის ჭედური თვლები. სამაჯურის განი 6 სმ-ია, სიმაღლე – 5 სმ, სისქე – 3 მმ-ზე მეტი. დანარჩენი, მეტად ორიგინალურ სამაჯურების ბოლოებში ამოტვიფრულია გველის თავები, ხოლო ტანს განივი ჭდეები მიუყვება, ცენტრში ზურგულა, გამყოფი ხაზით. მეტად საინტერესოა ბრინჯაოს ერთი სამაჯური, რომელიც პირველი სამარხიდან ამოვიღეთ. აქ თავები უფრო წვეტიანი და სრულყოფილია. თავზე ამოკვეთილია ჯვარედინი ხაზები, რომელიც შუბლიან მიჯნას ქმნიან მათ ქვემოთ, რაც შუბლისა და თვალთა საჯდომები უნდა იყოს. სამაჯურის მთელ სიგრძეზე არის განივი ჭდეების სეგმენტები. თვლიანი საორნამენტო ხაზებივით ბეჭედზე ოდესღაც გემა მჯდარა. დღეს მხოლოდ ცარიელი საჯდომი ღრმულია შემორჩენილი. სხვა ბეჭდები სუფთა რგოლებს წარმოადგენს. მეტად საინტერესო უნდა ყოფილიყო საყურეებიც, მაგრამ ჩაიმსხვრა და მხოლოდ რგოლთა ფრამენტები გვაქვს შემორჩენილი.

საინტერესოა ქვევრთა მოხატულობაც. აქ ნაპოვნ კოლხურ ნახევარდრაქმათა შესწავლამ, მათმა შედარებითმა ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ სამარხი ჩვენს ერამდე IV საუკუნეზე გვიანი არ უნდა იყოს. ამდენად, ადგილი ჩვენს ერამდე IV საუკუნეში კულტურის მაღალი დონის მქონე მოსახლეობით მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. აქ ნაპოვნი არქეოლოგიური განძი მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული მეცნიერებისათვის.

# არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მუშაობა დაამთავრა*

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ყოველწლიურად აწყობს ორ-სამ სამეცნიერო კომპლექსურ ექსპედიციას მხარის სოფლებში. მიმდინარე წელს ერთი ასეთი სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო ქობალიას კარავსა, ლეჭეხასა და ადგილ ჩხოროწყუში. ექსპედიციამ, ამ სტრიქონების ავტორის, გ. ფარულავას, ა. ციცხვაიას, მ. გარჩაგუდაშვილისა და ჩხ. ნაჭყებიას შემადგენლობით, იმუშავა 20 დღეს. ეს იყო არქეოლოგიურ-დაზვერვითი ხასიათის ექსპედიცია. ექსპედიციის წევრებმა ადგილებზე გაავლეს დაზვერვითი ხასიათის ტრანშეები და ამოთხარეს არქეოლოგიური დაზვერვითი ხასიათის ჭები. შეისწავლეს ჭრილის სტრატიგრაფია, დაადგინეს კულტურულ ფენათა მორიგეობა, ხასიათი, ასაკი, თანმიმდევრობა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ქობალიას კარავში მუშაობა. აქ მათ გაწმინდეს **დიხაგუძუბას** ზედაპირი და აღმოაჩინეს სარიტუალო ნაგებობის თლილი ქვის იატაკი, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდურზე იყო ორი მრგვალი ლოდისაგან აღმართული სვეტი-ემბაზი, რომელიც ერთმანეთზე დამაგრებული იყო კოტაში ამოჭრილი ქვის სოლით. გუძუბა 10X15 კვადრატული მეტრი ფართობისაა. ნაგებობა ეტყობა მცირე ბაზილიკა იყო. იგი ნათალი ქვისაგან უნდა ყოფილიყო აგებული. გორაკის ფერდობებზე არის ბრტყელი ქვის შეფენა, ხოლო ჭრილში სამი კულტურული ფენის კვალი ჩანს. ზედაპირული ქანი 40 სანტიმეტრი სისქისაა და ბრტყელი ქვის შეფენის ქვეშ ქვის წვრილმანი ნამტვრევების ნარევია. შემდეგ 1 მეტრი სისქის სტერილური ფენაა, მიწაყრილია. ხოლო მის ქვემოთ არის კულტურული ფენილი, სადაც უამრავი ხელოვნურად ჩასწორებული ქვამრგვალი და კაჟის ნუკლეუსებია. იგი ნეოლითის დასასრული ხანის კულტურული ნაშალი უნდა იყოს. თვით ნაგებობა და სარიტუალო ემბაზი ძალიან საინტერესოა მეცნიერული თვალსაზრისით. იგი წარმართული სამსხვერპლო ემბაზის შთაბეჭდილებას ქმნის. თვით ნაგებობა წარმართული სარიტუალო სალოცავი უნდა იყოს. ამ მხრივ აქ მუშაობის გაგრძელება, ვფიქრობთ, უდავოდ, საინტერესო და შედეგიანი იქნება.

აქვე, ქობალიას კარავზე არის მეორე გუძუბა, რომელსაც **ეკურკუცას** ეძახიან. მისი განი 60 მეტრია, სიგრძე – 190 მეტრი. გაშლილი ვე-

* გაზ. „შრომის დროშა“, №135, 12. XI. 1981.

ლიდან სიმაღლე 30 მეტრს აღემატება. გუძუბას ცენტრში, ჩვენ არქეოლოგიურ ჭრილში ვიპოვეთ ზედაპირული, გვიანი ბრინჯაოს პერიოდის მეტალურგიული წარმოების მასალა, ხოლო ქვემოთ არის ენეოლითური კულტურის შესანიშნავი ფენა, დაახლოებით 50 სანტიმეტრი სისქისა. აღმოჩნდა კერამიკულ ჭურჭელთა ნამტვრევები, კაჟის ჩასართავი, ნუკლეუსები და სხვ. ეს გუძუბა საცხოვრის გუძუბად შეიძლება ვივარაუდოთ. იმ ხანაში (ენეოლითი) ქობალიას კარავზე მოსახლეს ალბათ აქ საცხოვრისი ჰქონდა, ხოლო დიხაგუძუბაზე, ან პირველ კურკუცაზე კი – სარიტუალო კერა, წარმართული სალოცავი. ჩვენ მრავალი ლეგენდა ჩავიწერეთ აქ წარმართული კულტისა და კულტმსახურების შესახებ. ჩავიწერეთ უძველესი მოსახლეების – **კოპალიანების** ყოფა-ცხოვრების შესახებ საინტერესო გადმოცემა. შევადგინეთ უძველესი ტოპონიმების სქემატური რუკა, რითაც მივინიშნეთ კოპალიანების (გვიან ქობალიანების, ან ქობალიების) სასაცხოვრო ტერიტორია.

ძალიან საინტერესო შედეგებით დამთავრდა ჩვენი მუშაობა **ლეჭეხაში**. აქ ვიმუშავეთ **ნაჭკადუ კურკუცაზე**, რაც დაბალ ადგილასაა, ლებარდესაკენ მიმავალ გზასა და მდინარე ლეჭეხას შორის. იგი ახლა დასავლეთით 3 მეტრით, ხოლო აღმოსავლეთით 10 მეტრითაა ამოწეული ველობიდან. არის გუძუბა, რომელიც კვადრატული ფორმისაა და 10X9 მეტრს უდრის. აქ წინათ ჩვენ მრავალი საინტერესო მასალა გვაქვს ნაპოვნი: მეტალურგიული გუნდები, ქურის ფრაგმენტები, სხმულები და სხვ. ახლა აქ, ბექობის თხემის ჩრდილოეთ მხარეზე, გავავლეთ ტრანშეი, სადაც ძალიან საინტერესო მასალა ვიპოვეთ. 1961 წელს მწყემსი თედო ნაჭყებია გვიამბობდა, რომ ჭკადუ-კურკუცაზე ჭკადუები რკინას ჭედდნენ, წურავდნენ (ჭახუნდეს), ხოლო გაღმა ლეჭეხაში თვითონ ცხოვრობდნენ. აქ ჰქონდათ სალოცავი წმინდა სოლომონის სახელზე. მის ხატოვან ნიშნად მათ ჯვარი მიაჩნდათ.

აქ 2 მეტრის სიღრმეზე და 20 სანტიმეტრის სისქის სტერილური ფენით გამოყოფილი სამი კულტურული ფენაა. პირველი, ზედა ქოთანქურები, გვიანმეტალურგიული წარმოებაა, რკინის ეპოქის მოწმეა. მეორე, ქოთანქურებითა და ქვის გრდემლით, გვიანი ბრინჯაოს ხანაა; ხოლო მესამე, ანუ ქვედა ფენა, ენეოლითური ხანის ნასამჭედლარი და მეტალურგიული ცენტრია. აქ, მეორე ფენაში, ჩვენ ვიპოვეთ **ქუამური** – ქვის გრდემლი, რასაც ამდენ ხანს მხოლოდ ვვარაუდობდით. იგი 30X20 სანტიმეტრი სიდიდის გრდემლია, რომლის სვეტი საკმაოდ ჩათლილ-ჩასწორებულია და ხის ბუკზე დასამაგრებლად საკმაოდ მოხერხებული. ვფიქრობთ, ეს აღმოჩენა დიდმნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს და უძველესი მეტალურგიის საინტერესო ინვენტარს უნდა

წარმოადგენდეს. ეს აღმოჩენა უნიკალურია. ქვის გრდემლი უნიკუმია. ჩვენ ახლა აღვადგინეთ ქოთან-ქურა, მილაკებით, და ქუამურთან ერთად ჩავრთეთ გამოფენაზე. იგი უდავოდ დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს დამთვალიერებელზე. **მელენ-ლეჭეხაში** (გაღმა ლეჭეხაში) ვიპოვეთ სალოცავი ნაგებობა. ისიც გუძუბაზეა, ორი ბაქანი აქვს, ერთი – თხემზე, ნაგებობის ირგვლივ, ხოლო მეორე – გორაკის შუა წელზე. ორივე სტრატეგიული დანიშნულების ბაქანია. სალოცავი ნაგებობა ერთი ორნავიანი ბაზილიკური ნაგებობაა. შემდგომი ძიება, ალბათ, უფრო ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ამ ძეგლსა და ადგილზე.

ადგილ **ჩხოროწყუში** ვიპოვეთ გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალა. ასეთივე მასალა ვიპოვეთ **ქეჯვარზე**. ექსპედიცია დიდად დავალებულად თვლის თავს მეგზურების – მიხეილ გარჩაგუდაშვილის და ჩხაკა ნაჭყებიას წინაშე, რომლებმაც მამულიშვილური რუდუნებით და სიყვარულით გაგვიწიეს მეგზურობა და მრავალი საინტერესო აღმოჩენა მოგვახდენინეს.

ამასთან, ექსპედიცია დიდი ყურადღებით გაეცნო ბუნების დაცვის საკითხებს: ზოგან ეზოს გაყვანის სამუშაოებმა ეროზიას დაუდო სათავე. პიტაჭალე სულ წალეკილია; საშიშროება ემუქრება შქვითწელამსა და წიფურონს. ჩვენ დავადგინეთ ისიც, რომ ლეჭეხასა და რუხღალუზე გაწყდა თევზი, იკლო წყლის დებეტმა. თევზის გაწყდომის მიზეზი ხშირად აფეთქებები და საწამლავი ნივთიერებებია.

ჩვენ სწორად მიგვაჩნია მიხეილ გარჩაგუდაშვილის მამულიშვილური ცდა, რომ ქობალიას კარავი აღდგეს, როგორც წალკოტი, როგორც ბუნების იშვიათობა, გაკულტურდეს მცენარეები, მოხდეს ტყის რეკონსტრუქცია. იგი ამ საქმეს უსასყიდლოდ ეწევა. საჭიროა მისთვის ყოველმხრივი დახმარება, რადგან, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: „იქნებ ახლო მომავალში ეს საინტერესო ადგილი დასასვენებელი სახლების, ახალი აგარაკის ადგილი გახდეს. ჩემი წალკოტი დაამშვენებს ამ აგარაკს“. აქვე ჩვენ მჟავე წყლის კვალიც დავადგინეთ. ვფიქრობთ, ეს საყურადღებო ნაბიჯია მამულიშვილისა.

ექსპედიციამ ნაყოფიერად იმუშავა და ბევრი საინტერესოც აღმოაჩინა. უდავოდ საყურადღებო დასკვნები გაკეთდა. მოინიშნა არქეოლოგიურად საინტერესო კერები, სადაც მუზეუმი შემდგომ ინტენსიურ-არქეოლოგიურ მუშაობას ადვილად დაასრულებს. აქ, ამ მცირე სტატიაში, ექსპედიციის მთელი შედეგების ანალიზი შეუძლებელია. მას საკმაოდ სქელტანიანი კრებული დასჭირდება. იგი მომავალი მუშაობის ამოცანადაა დასახული.

## ისევ ალაპარაკდნენ „დიხაგუძუბეები“*

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სისტემატურ, შეუნელებელ ყურადღებას მიაპყრობს მის მიერ ჯერ კიდევ 1957 წლიდან შესწავლილ ძეგლებს, დაწყებული პალეოლითური საცხოვრისებით და დამთავრებული ჩვენი სოციალისტური ცხოვრების დიდებული პირმშოებით.

ახლახან მუზეუმის ექსპედიციამ ისევ შემოიარა რაიონი; იყო აბჰესში, შეხვდა მის მშენებლობაში მონაწილე ადამიანებს. აღმოაჩინა და შეაგროვა ისეთი მასალები, რომლებიც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის აბჰესის მშენებლობის დღეების ჰეროიკას.

ასევე, ბევრი მასალა შევკრიბეთ საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი დღეების, კოლმეურნეთა პირველი გმირული საქმიანობის, ჩაის კულტურის გაშენებისათვის თავდადებული ბრძოლის შესახებ და სხვ. ეს მასალა ახლა შესწავლის ობიექტია. იგი სულ მალე გაამდიდრებს ჩვენს გამოფენებს.

ამასწინათ ღრმა პლანტაჟი მოხდა მახათის მასივზე. აქ ჩვენ ენეოლითური საცხოვრისი აღმოვაჩინეთ და ძიება ერთხანს მიჩუმდა. მაგრამ ახლახან პლანტაჟისას ახალი კულტურული ფენა გაშიშვლდა. ჩვენი მუდმივი კორესპონდენტი სერგო ურიდია თვალს არ აშორებდა ამ სურათს. მან მოსინჯა ფენა, გაწმინდა ადგილი და ზედაპირულად შეაგროვა მეტად საინტერესო მასალა. კერიის ნაწილში აღმოჩნდა ენეოლითური კერამიკის საინტერესო ფრაგმენტები, კაჟის ისრის პირები, ჩასართავები, ჩუგლუგები, ხელცულები. ამ შესანიშნავმა ქველმოქმედმა აღრიცხა ეს მასალა, ფრთხილად გაწმინდა ადგილი და კერიის ნაშალი საძიებელ ობიექტად აქცია. ჩვენი მუშაობა ამ ადგილზე დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. 250 საინტერესო მასალა ავკრიფეთ. ამ ადგილს ძველთაგანვე „ნაჭკადური“ ეწოდება. აქ 1961 წელს ჩვენ ვიპოვეთ ბრინჯაოს შესანიშნავი განძი. ახლა ისევ აღმოჩნდა წიდები, მცირე სხმულები, მეტალურგიული წარმოების ნაშთები. აღმოჩნდა მეთუნეობის კერიის ნაშთებიც. ჩვენ ისევ ხელახლა მოგვიხდა სტრატიგრაფიული შესწავლა ადგილისა. შევადგინეთ ჭრილის სტრატიგრაფიის სქემა, რუკაზე გადავიტანეთ ეს ძეგლი. ადგილის და მასალების ფოტოგრაფირებით აღვნუსხეთ ეს საინტერესო აღმოჩენა.

---

* გაზ. „შრომის დროშა“, №69, 9. VI. 1984.

სხვათა შორის, ამჯერად, ნაპოვნი მასალებით დავადგინეთ, რომ ის წვრილი, ბრტყელი, გაპრიალებულ-გახეხილი მრგვალი ქვები, რომლისთვისაც აქამდე არ ვიცოდით, რა ადგილი მიგვეჩინა, ან კვირბებია, ან კიდევ მისი მასალა. ორ ასეთ ჭადაქვაზე მეტად საინტერესო ხაზობრივი ნიშნები, იდეოგრამა აღმოჩნდა.

აღმოჩნდა მეტად საინტერესო ხვინჭკები, რომელსაც მითოლოგიური სახეების ფორმა აქვს და, უდავოდ, სარიტუალო ნივთები უნდა იყოს.

* * *

ასევე ალაპარაკდა ნახუნაოში „ნაფაცხუს“ მიდამოები. აქ ოთარ ბებია სახლის გასაფართოებლად საძირკველს ჭრიდა და შემთხვევით გააშიშვლა ანტიკური ხანის მეტად საინტერესო სამაროვანი. მიცვალებული აქ ღია ორმოში ესვენა. მას თან ჩაყოლებული ჰქონდა საინტერესო ინვენტარი. ო. ბებიამ დიდი პატრიოტული სულისკვეთებით შეწყვიტა მუშაობა და ადგილზე გვიხმო. ჩვენ ადგილი შევისწავლეთ და დავადგინეთ სამაროვნის ასაკი. გავწმინდეთ იგი, მოვახდინეთ მისი პრეპარაცია. მიცვალებული, ეტყობა, ძალიან მდიდარ სოციალურ ფენას არ ეკუთვნოდა. აქ აღმოჩენილი ეს მცირე, მაგრამ საინტერესო მასალა, უდავოდ, ისტორიის დიდ შენაძენად უნდა ჩაითვალოს. აქ აღმოჩნდა კოლხური ორდრაქმიანი ვერცხლის მონეტა. იგი უნიკალური უნდა იყოს. მართალია, ძლიერ ეროზირებულია და ერთი მხარი უსწორმასწოროდ მოგლეჯილი აქვს გაცვეთის გამო. პოვნისას იგი პატინით იყო დაფარული, მაგრამ გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა მეტად საინტერესო, მეტად მეტყველი გამოსახულებანი. მონეტა წონით 3 გრამამდეა, 1,5 სმ-ანი დიამეტრით. იგი მსგავსია დ. კაპანაძის მიერ „ქართულ ნუმიზმატიკაში“ აღწერილი ნომინალისა. ამდენად, მონეტა უნდა ეკუთვნოდეს მე-6 საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ფიბულა და ბრინჯაოს სამაჯურთა საკმაოდ სრული ფრაგმენტები, მძივის რამდენიმე მარცვალი. პასტის ფერადი და ლურჯი ფერის ფონზე ტალღოვანი თეთრი ლაქებია გადაშლილი, რომელიც კვანძებიდან იშლება და ირიბად ვრცელდება ერთმანეთის პარალელურად.

მასალათა შორის იყო შავი კერამიკული მასისაგან ნამზადი მცირე ჯამი, რომელსაც ეტყობა ლამაზი ორიგინალური სახელური ჰქონდა. გონიოზე მცირე სატუჩარი აქვს დატანებული. ჯამის დიამეტრი 11 სმ-ია, სიღრმე – 6 სმ. აქვე აღმოჩნდა წითელი კერამიკული მასისაგან დამზადებული საკმაოდ დიდი ჯამი, დიამეტრით 21 სმ. მისი სიღრმე 10 სმ-ია. ჯამი სრულადაა შემორჩენილი. მას არც სატუჩარი აქვს და არც სახელური. იყო კერამიკული დოქიც. იგი ამოღებისას ძლიერ დაზიან-

და. დოქის სიმაღლე დაახლოებით 30 სმ-ზე მეტია. სახელური ოვალური ფორმის უნდა ჰქონოდა. ყელი საკმაოდ მაღალი და მრგვალია. მასალათა შორის იყო რკინის ინვენტარიც: 1 დანის წვერი, შუბი (მას წვერი მოგლეჯილი აქვს), გონიოები ეროზიის მიერ ჩახლეჩილია. ორივე მხარეზე აზის მაღალი ზურგულა. ყელი საკმაოდ მაღალზეა შემორჩენილი. არის რკინის ნივთთა უმნიშვნელო ფრაგმენტებიც, რაც ეროზიით უნდა იყოს დაქუცმაცებული.

მასალათა ასეთი შედგენილობა და მათ შორის მეტყველი ნივთის – ორდრაქმიანი ვერცხლის მონეტის პოვნა ამ სამაროვანს მეტად საინტერესოდ წარმოგვიდგენს.

ძეგლის ირგვლივ და ზემოთ, გორაკის თხემისაკენ, კულტურული ფენა უნდა გრძელდებოდეს. გორაკი დიხაგუძუბაა. დიხაგუძუბის თავზე მეტად საინტერესო ჭრილია გახსნილი. აქვე ვიპოვეთ მეტალურგიული კერის მდიდარი ადგილსამყოფელი. ახლა განზრახული გვაქვს ეს ადგილი მუდმივი არქეოლოგიური მუშაობის კერად ვაქციოთ.

ამრიგად, ისევ ალაპარაკდნენ ხანგრძლივ მიჩუმებული ძეგლები. ჩვენი ვალია, მივყვეთ ამ ხმას და ახალი ფურცლები შევქმნათ ჩვენი ხალხის შორეული წარსულის ისტორიულ მემკვიდრეობაზე.

# აბედათში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო*

თითქმის ერთი თვეა აბედათის ციხე-სიმაგრის მიდამოებში მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები. იგი მეტად საყურადღებო საფორტიფიკაციო და სტრატეგიული კერა უნდა იყოს „ნოქალაქევის ქვეყანაში“. ამიტომ ჩათვალეს საჭიროდ ამ ძეგლის ფუნდამეტური შესწავლა არქეოლოგიური გათხრების გზით. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა ექსპედიციას შეუქმნეს მუშაობის სათანადო პირობები. აბედათის კოლმეურნეობის გამგეობა და აბედათის სასოფლო საბჭოს აღმასკომი მხარში უდგანან ექსპედიციის წევრებს მუშაობის ნორმალურად წარმართვის საქმეში. გათხრებმა სოფლის ყველა მშრომელს აღუძრა მაღალი პატრიოტული სულისკვეთება.

და დაიწყო დიდი ხნით ნაოცნებარი ძეგლის ღრმა მეცნიერული შესწავლა მაღალკვალიფიციური ექსპედიციის მიერ, რომელსაც სათავეში უდგანან რესპუბლიკაში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საკმაოდ ცნობილი მეცნიერები, პროფ. **პ. ფ. ზაქარაია** (ხელმძღვანელი), პროფესორები: **ნ. ლომოური** და **ვ. ლექვინაძე** (ხელმძღვანელის მოადგილეები). გათხრაზე მომუშავე ჯგუფს სისტემატურად თავზე ადგას ვ. ლექვინაძე. ძეგლი ითხრება ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციისა და გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივით ძალებით.

გათხრა ერთბაშად რამდენიმე მიმართულებით დაიწყო. იწმინდება გალავანში, სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე ჩართული კოშკის მიდამოები. ჩნდება უდავოდ საინტერესო, იშვიათი ძეგლის მიწაში ჩაფლული კონტურები და თანდათანობით იკითხება მისი არქიტექტურული აღნაგიც და გამოყენებითი მნიშვნელობაც. აქ და, საერთოდ, ძეგლის ბორცვის შეფენაზე აკრეფილ იქნა ელინისტური ხანის ჭურჭელთა საინტერესო ფრაგმენტები. ესეც დიდად საყურადღებო დამოწმებაა აზრისა, რომ ძეგლის ქვედა ფენები უფრო ადრეულია, გაცილებით ძველი. იგი ჯერჯერობით ელინისტური ხანით შემოიფარგლება (ძვ. წ. III-II სს.).

ითხრება ციტადელის შიდა სივრცე. გათხრები დაწყებულ იქნა ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ. ჭრილი საკმაოდ ღრმად ჩავიდა და გამოჩნდა უფრო ძველი ნაგებობის ნაშთები, კედლებით და კართა ღიობებით. ეტყობა, ახალი ნაგებობა დაშენებულია ამ კედლების ნაშთზე. გათხრისას აქ აღმოჩნდა საინტერესო მასალა: IV-XIII სს. კერამიკის ფრაგ-

* გაზ. „შრომის დროშა“, №95, 1985.

მენტები, სტრატიგრაფიულ სიღრმეთა თანმიმდევრობით; კირმანეული მონეტა ვერცხლისა (XIII-XIV სს.), თურქული ვერცხლის ახჩები (XVI-XVII სს.). აღმოჩნდა უფრო გვიანი ეპოქის მონეტებიც. აღსანიშნავია მეფისა თუ რომელიღაც დიდებულის საპარადო მოსასხამის ოქროს ორნამენტოვანი მორთულობა. გათხრა დედოქანამდე არ ჩასულა. საინტერესოა, თუ რა სიურპრიზს გვიქადის ძეგლის შემდგომი გათხრა. ახლა თავისუფლდება ციხის შიდა სივრცე უკანასკნელი პერიოდის საფლავებისგან.

საინტერესო აღმოჩნდა გალავნის კონცხთან, აღმოსავლეთ მხარეზე გათხრილი საყარაულო კოშკის თუ სხვა დანიშნულების მაღალარქიტექტურული ნაგებობის ნაშთები. აქაც გათხრები გრძელდება.

მოსასინჯი არქეოლოგიური ჭრილები გაკეთდა მრავალ ადგილას და ყველგან ძველი ძეგლის უნიკალური ნაშთების სავარაუდო კონტურები ჩნდება. დგება რუკა ამ წერტილების აღნიშვნით.

ასეთმა სასინჯმა ჭრილმა ძეგლის ჩრდილოეთ მხარეზე, გაშლილი მცირე ველობის თითქმის განაპირას, დედო ძეგლის გალავნიდან 80-90 მეტრის სიშორეზე, გამოაჩინა ნაგებობის ნაშთი. მისი არქიტექტურულ კონტურთა აღნაგის გამო აქაც დაიწყო ფუნდამენტური გათხრა, რამაც დაადასტურა მეტად საინტერესო, უნიკალური არქიტექტურული ნაგებობის არსებობა. წინასწარი ვარაუდით, იგი რთული სამეურნეო-კომუნალური, ან ცალკე სარიტუალო ნაგებობის უნიკალურ სახეობად უნდა მივიჩნიოთ.

ჯერ ეს მხოლოდ წინასწარი, მცირე ნაწილია იმ უდავოდ საინტერესო ხვალინდელი სავარაუდო აღმოჩენისა, რომელმაც შეიძლება თავისი საკმაოდ ავტორიტეტული სიტყვა თქვას კოლხეთის ისტორიული წარსულის უფრო ღრმა მეცნიერული შესწავლის გზაზე. ჩვენ გულით განვიცდით აქ ყოველ აღმოჩენას. მიგვაჩნია იგი წინასწარ გამოთქმული მოსაზრების გაღრმავებულ, უეჭვო დასტურად.

## ხანგრძლივი დუმილის შემდეგ...*

„ხოლო ამ ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს მცირე მთა კავკასამდე... მზღვრიდნენ ოდესმე იმერეთისა და ოდიშის საზღვრად და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო. არიან ამ ადგილთა შინა მთავარნი და აზნაურნი და არს ქვეყანა მსგავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი“.

ვახუშტი ბაგრატიონი

„ნოქალაქევის ქვეყანა“, როგორც აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, ისე პროფესორები პარმენ ზაქარაია და ნოდარ ლომოური აღნიშნავენ, ირგვლივ მოჯარული იყო მრავალი ციხე-სიმაგრით, რომელთაც, გარდა საცხოვრებლისა, საფორტიფიკაციო-სტრატეგიული დანიშნულებაც ჰქონდა. „ნოქალაქევის ქვეყანაში“ გადიოდა მრავალი ძველი გზა. ალბათ, აქ კავკასიიდან კელასურამდე გზა უნაგირას მთას მიუყვებოდა, რომლითაც, როგორც სწავლულები ვარაუდობენ, უნდა ევლოთ ნოქალაქევ-კელასურისაკენ. მეორე, არგუეთ-კლისორის გზა, რომელიც ბუმბუას ხიდით, მთების შეფენაზე გავლით, ქვაითის და ჭყონდიდის გზით მიემართებოდა ნოქალაქევ-კლისორისაკენ. ასევე, არგუეთ-კოტორის გზით, ონოღიის და ბანძის გავლით, ისევ ნოქალაქევის გავლით მიდიოდა კლისორისაკენ. ასეთი გზები ხალხის მეხსიერებაში დღესაც მტკიცედაა დაცული და აღრიცხულია ჩვენს ტოპონიმიკურ ატლასებში. ეს გზისპირები გამაგრებული იყო XVI-XVII საუკუნეებში ჯერ კიდევ ცოცხალი და ასე მრავალი, განადგურებულ ციხე-სიმაგრეთა ჯაჭვით. კავკასიიდან კლისორამდე – გზისპირი, ალბათ, კემლაკეისრის ციხის გავლით, დგომის კლდეკარით, თამაკონის ციხეებით, ნახუნაოს ციხით, აბედათის დიდ საფორტიფიკაციო კერაზე ჩამოვიდოდა. აქედან კი ნოქალაქევში ჩავიდოდა, საიდანაც შხეფისა და სხვა ციხეთა და ციხე-ქალაქთა გავლით მიდიოდა კელასურისაკენ. ასეთივე საფორტიფიკაციო სიმაგრეებით იყო მოფენილი არგუეთ-კლისორის გზა, რომელიც ქაჯის ნამარნევის დიდი ციხე-სიმაგრისა და აბედათის გავლით, ნოქალაქევისაკენ იჭრებოდა. უფრო პირდაპირი გზა იყო არგუეთ-კოტორის გზა, რომელიც ცხენისწყლისპირა ლელიანებს, აბაშის ჭალებს გაივლიდა და ნოქალაქევში ჩადიოდა. აქაც კოტორი ან კოტიორა და ონოღია, ბანძის კეთილნაშენი ციხე-სი-

* გაზ. „შრომის დროშა“, №108, 1985.

მაგრე, საფორტიფიკაციო-სტრატეგიული ციხე-სიმაგრენი იყვნენ. ამათ შორის ბევრი ცნობილია კასტელის, შარდენისა და ვახუშტის შრომებით, რადგან მაშინ მოქმედნი იყვნენ. ბევრი კი დანგრეული იყო, ან კიდევ თავადთა და აზნაურთა უმნიშვნელო სიმაგრეებს წარმოადგენდნს. თუნდაც **ტარჩუს ციხე**, რომლის ხსენება ხალხში თუ იყო, წყაროებში კი არ ჩანს. ასეთ ვითარებაში რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგების მიერ ხაზგასმით მითითებული, ჩვენს ბროშურაში ყურადღებაგამახვილებული ძეგლი „**აბედათის ჯიხა**“ მეტად საინტერესო, ჯერ კიდევ საკმაოდ აუმეტყველებელ ძეგლს წარმოადგენდა. და თუ კი ეს ამეტყველდებოდა, ბევრ რამე საინტერესოს იტყოდა, რადგან იგი გზაჯვარედინის სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა. მერე ამ ველზე და მთელს შეფენაზე, უნაგირას მთაზე, ყველაზე მდიდარ ეკონომიკურ ცენტრსაც შეადგენდა. მისი მიდამოები ხილით და ვაზით, სიმინდით და პურით, ღომით და ჭადაჭადათი იყო მდიდარი, ხოლო ბჟერის მთაზე უძველესი სარიტუალო კერა იყო მზის კულტისა. ასეთ ვითარებაში ნოქალაქევის ექსპედიციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა პ. ზაქარაიამ დაასკვნა, რომ ძეგლს უდავოდ დიდი ისტორია ჰქონდა და გადაწყვიტა მისი არქეოლოგიური გათხრების გზით ამეტყველება. ივლისის თვეში დაიწყო მასობრივი გათხრები. გათხრებს პატრიოტული სულისკვეთებით გამოეხმაურა სოფელი აბედათი. მშრომელები დაირაზმნენ სამუშაოდ და სულ მალე გამოჩნდა საოცრად დიდებული ძეგლები. ამ სამუშაოების კარგი შედეგები განაპირობა რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მზრუნველობამ. პროფ. პ. ზაქარაიამ ამ მუშაობაში გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექტივი ჩააბა.

ამ დღეებში ძეგლი დაათვალიერეს რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, პარტიის რაიკომის პირველი მდივნის, ამხ. ი. ა. მოწერელიას მეთაურობით. მათ მეგზურობას უწევდნენ პ. ზაქარაია, ნ. ლომოური და ვ. ლექვინაძე. მათ ნახეს ციტადელის შიდა სამუშაოები, გალავნის განთავისუფლებული კედლები, კოშკები და იქნებ სასტუმრო სახლი, ჩრდილოეთის მხარეზე, გაშლილ ველზე, ციტადელის გვერდით. ნახეს აღმოჩენილი მასალები. ამხ. ი. ა. მოწერელიამ კმაყოფილება გამოთქვა ექსპედიციის ასეთი სერიოზული მუშაობის შედეგების გამო, სათანადო შეფასება მისცა აღმოჩენილ ძეგლებს, მოსაზრება გამოთქვა – ჯიხის მთელ მიდამოებში და ბჟერის ტერიტორიაზე იქნებ უფრო სერიოზული, ახალი აღმოჩენა მოხდეს. აღნიშნა, რომ იქნებ სწორი იყოს მოსაზრება ამ მცირე სიმაგრის ონოგურისად აღნიშვნის შესახებ, რის შესახებ მეცნიერული დასკვნის უფლებას მოგვცემს ახალი აღმოჩენები. პროფ. პ. ზაქარაიამ მათ უამბო ძეგლის ისტორია და გამოთქვა მოსაზრება ასეთი ვარაუდის რეალობის შესახებ. პროფ. ნ. ლომოურმა ისაუბრა ნოქა-

ლაქევის ირგვლივ, მცირე ძეგლების შესახებ, ლიტერატურაში არსებულ ცნობებზე. ილაპარაკა ტერმინ „ჯიხას“ შესახებაც. პროფ. ვ. ლექვინაძემ აღნიშნა, რომ ეს სავარაუდო გზა კავკასიიდან ვიდრე კლისორამდე იქნებ გადიოდა ამ ჯიხის გავლით და ჩადიოდა ნოქალაქევში. ამ გზაზე ძეგლს სერიოზული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მაშინ. აღმოჩენილი მასალა ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას არ უარყოფს.

ექსპედიციის ხელმძღვანელებმა მადლობით აღნიშნეს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების დიდი მზრუნველობა არქეოლოგიური ექსპედიციის მიმართ. მადლობით აღნიშნეს სოფლის მშრომელთა პატრიოტული ღვაწლიც.

...და აი, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ამეტყველდა მანამ მდუმარე ძეგლი და სულ მალე პერსპექტივაში იგი უფრო საინტერესო სიტყვას იტყვის.

# ეთნოგრაფია

# ზოგიერთი ცნობა პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების ყოფა-ცხოვრების შესახებ ხალხურ ზეპირსიტყვიერ მასალებში*

საზოგადოების განვითარების შესახებ მრავალმხრივ საყურადღებო ცნობებს იძლევა დედაენა, რომელშიც აღბეჭდილია საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპისათვის დამახასიათებელი ნიშნები. თუმცა იგი თავისთავად, სათანადო ძიების გარეშე როდი გვიხსნის მის წიაღში დაცულ საიდუმლოებას. მის გასახსნელად საჭიროა საიმედო მეგზური, რომელიც მიგვითითებს, გვიწინამძღვრებს ამ ლაბირინთში. ასეთი საიმედო მეგზური ხალხური სიბრძნე, ფოლკლორია, რომელიც მრავალი საუკუნის წინ შექმნილი, თაობიდან თაობას გადაცემული, დღემდე მოსულა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, ბევრი ფოლკლორული მასალა მთლიანად სარწმუნო როდია. უხსოვარ დროს შექმნილი, მთქმელიდან მთქმელზე გადმოსულა და ასე მოღწეულა ჩვენამდე. თავისთავად ცხადია, გზადაგზა მან სახე იცვალა, მრავალი მოგონილისა და ზღაპრულის გარესამოსლით შეივსო. ამიტომ ასეთი მასალა მხოლოდ კარგად გაშიფვრის, გასინჯვისა და ზედმეტისაგან, მოგონილისაგან გათავისუფლების შემდეგ შეიძლება გამოგვადგეს საიმედო მეგზურად.

ჩვენ აქ მოვიშველიებთ რამდენიმე ასეთ მასალას (გადმოცემებს, ლეგენდებს), რომელიც ჩვენ მიერ ჩაწერილი და შემდეგ ხანგრძლივად აწონ-დაწონილი და განსჯილია.

ჩვენმა ექსპედიციამ სოფელ კურზუში მიაკვლია გადმოცემას, რომელიც მოგვითხრობს ორი გვარის ცხოვრებასა და ურთიერთობაზე. აი, ეს გადმოცემა: „ორ მოპირდაპირე სუკზე (სერი) ორი სხვადასხვა გვარი ესახლა. ერთზე გაბიების თი (სახლი) იყო, მეორეზე – ჭილებისა. დიდი ოჯახები იყვნენ. ერთში გაბიების მთელი გვარი („თური“) ცხოვრობდა, მეორეში – ჭილებისა. ცალ-ცალკე თი (სახლი) 18 მელოგინესაგან, ე. ი. 18 ცოლ-ქმრისაგან შედგებოდა (ზოგი 16-ს ასახელებს – გ. ე.), თავიანთი შვილებით. ჭილების გვარს შეურაცხყოფა მიუყენებია გაბიების გვარის (თურის) ქალიშვილისათვის, რომელიც გზად ჭილების სუკზე გადიოდა. ქალიშვილს ეს სახლში უთქვამს. გაბიების თურს ამოუწყვეტია ჭილები. ამ ომში დახოცილები დაუმარხავთ კუბოს გარეშე. მათთვის ჩაუტანებიათ იარაღი და სამკაულები, რადგან მათი სხვის მიერ მოხმარება „ვა-

* გ. ელიავა, კრ. „მარტვილი-ჭყონდიდი“, გამომცემლობა „ცოდნა“, თბ., 1962.

შინერდუ“ (წესი არ იყო, არ შეიძლებოდა). ასე ამოწყდნენ ჭილები და ამ ადგილს ამიტომ ეძახიან ნაჭილუს“[1].

ცხადია, აქ საქმე გვაქვს ორი პატრიარქის – გაბისა და ჭილას – დიდ გვაროვნულ სახლებთან (თი). ჭილა და გაბი ოჯახების (სახლების) მეთაურები, გვარის მამამთავრები, პატრიარქები უნდა იყვნენ და თურის, ე. ი. გვარის ფუძემდებლები. ამასთან, გადმოცემა მიუთითებს, რომ თი-თოეული „თი“, ოჯახი მრავალი მელოგინის, ანუ გამმრავლებელი წყვილისაგან შედგებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინ ჯერ კიდევ წყვილადი ოჯახი იყო გაბატონებული და არა მონოგამია. „თური“ (გვარი) ერთად ცხოვრობდა ერთ სახლში, ერთ გვაროვნულ ოჯახში.

ამ გადმოცემას იმ მხრივაც აქვს მნიშვნელობა, რომ „თი“ და „თური“ ჩვენს ენობრივ საგანძურში იმ უძველესი დროიდან მომდინარეობს და დიდ გვაროვნულ ოჯახს (სახლს) და გვარს აღნიშნავს. ამასთან, ადგილის სახელწოდებაც, რომელიც „თი“-თ ბოლოვდება, ასეთი გვაროვნული სახლის „ნოხორზე“ (ნასახლარზე) უნდა მიუთითებდეს. ის შემდგარი უნდა იყოს პატრიარქის სახელისა და „თი“-საგან, ე. ი. ამ პატრიარქის თი, ამ პირის ოხორი, მისი „თურის ოხორი“ – მისი გვარის სახლობა. მაშინ დიდი პატრიარქალური ოჯახი, ანუ თი ითვალისწინებდა არა მხოლოდ ცოლქმრულ ურთიერთობას მათი ნამრავლით, როგორც ჩვეულებრივ ოჯახის ქვეშ გვესმის, არამედ ამ „თურის“ (გვარის) მიერ დაკავებულ ტერიტორიულ მდგომარეობასაც, ე. ი. დასახლებას („დოხორინს“), სადაც საერთო საცხოვრებელი სათავსი და მეურნეობა იყო ამ „თურის თისა“.

ამ მოსაზრების ნათელსაყოფად კვლავ მივმართოთ გადმოცემას, რომელიც სოფელ ბობოთში ჩაიწერა (ჩაწერილია ნახუნაოს კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის, ლ. კობახიძის მიერ): „ბობოთი წარმომდგარია ორი სიტყვისაგან: „ბობო“ და „თი“. ბობო ყოფილა დიდი კაცი, რომელსაც დიდი ოჯახი ჰქონია და სახლებულა ამ ადგილას. ამიტომ ამ სოფელს უხსოვარი დროიდან „ბობოს თი“, ანუ **ბობოთი** ეწოდება“.

ამ გადმოცემის თანახმად, უნდა ვიფიქროთ, რომ ბობოთი ბობოს „ოხორია“, ბობოს პატრიარქალური ოჯახი, სახლი ან მეგრული „თი“.

ამასვე გვიმოწმებს თავის შესანიშნავ გადმოცემათა კრებულში ჩვენი მუზეუმის ერთ-ერთი მოამაგე გედეონ ხუხუნი. იგი წერს: „სოფელ **კვაუთის** სახელწოდება ორი სიტყვისაგან შედგება: კვაუ (კაცის სახელია) და თი, ე. ი. **კვაუს ოჯახი**. ხალხური გადმოცემით, იმ ადგილას, სადაც

[1] ნ. გაბისონიას, ნ. ნაჭყეპიას, თ. ნაჭყეპიას, მ. ბერულავას მოგონებები, გმმ სამეცნიერო ფონდი.

დღეს სოფელი კვაუთი მდებარეობს, ოდესღაც სახლებულა ცნობილი კაცი კვაუ“.[1]

ასეთი გადმოცემების მოტანა ჩვენ მრავლად შეგვიძლია, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ აქ საქმე გვაქვს, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, გვაროვნულ წყობილებასთან, კერძოდ, გვაროვნულ სახლთან, პატრიარქალურ ოჯახთან და მათი დასახლების ადგილებთან, რომელიც შემდეგში სოფლის ან დიდი დასახლებული ტერიტორიის საერთო სახელწოდებად განზოგადდა და ასე მოაღწია დღემდე.

ეს რომ ასეა და „თი“ ოჯახის, სახლის აღმნიშვნელი ტერმინია მეგრულში, სადავო არაა. დღესაც მასობრივად იხმარება საუბარში: „**სორე თიში-თი**“ (სადაა მისი სახლი – ოჯახი). „**მეუ სქანი თიშა**“ (წადი შენს სახლში). „**თი**“ მეგრულში უბრალო დაბოლოება არაა, იგი სრული სიტყვაა, არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს ოჯახს, სახლს, სახლობას, მეურნეობას და არამარტო ერთი ცოლქმრული კავშირით შექმნილ უჯრედს.

შეიძლება ვცდებით, შეიძლება ამ სიტყვაში „ი“ მხოლოდ ბრუნვის ნიშანია და არა დამოუკიდებელი სიტყვა „თი“-ს შემადგენელი ნაწილი. მართლაც, დღევანდელი სალიტერატურო ქართულის გრამატიკული ნორმებით იგი ბრუნვის ნიშნად წარმოგვიდგება. მაგ., **ბობოთს**. მაგრამ დედაენისაგან წარმომდგარ და შემდეგ ცალკე შტოდ გაჭრილ დედოენას თავისი განმასხვავებული გრამატიკული ნორმებიც აქვს. მაშინ როგორ უნდა განვიხილოთ ამ ენის ლექსიკური ერთეული ენისეული გრამატიკული მოთხოვნებით? უდავოა, რომ იგი საკუთარი გრამატიკული ნორმებით უნდა გავშიფროთ. ასე თუა, მაშინ „ბობოთი“ მეგრულ მიცემითში წარმოგვიდგება ფუძისეულად. „ი“ არ იკვეცება ბრუნვისმიერი მოთხოვნებით. მიცემითში იტყვიან **ბობოთის** და არა **ბობოთს**. კითხვაზე: „მის“ (ვის) „გიაშქვეს“ (დაარტყეს), პასუხობენ: „**ბობოთის ქიგიაშქვეს**“. ამდენად, სიტყვის კომპოზიტური სახე არ იცვლება, ფუძისეული სახე უცვლელი რჩება, ხოლო ბრუნვისას ბრუნვის ნიშნები ემატება. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მეგრულში ბრუნვისას „ი“-ს შენარჩუნება ყველა შემთხვევისათვის დამახასიათებელი არაა. მაგალითად, „ჯოღორი“ (ძაღლი), რომლის ფუძეა „ჯოღორ“, ხოლო „ი“ სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ბრუნვისას ინარჩუნებს „ი“-ს მხოლოდ სახელობითში, დანარჩენ ბრუნვაში ირთავს ბრუნვის ნიშნებს და ყველა ბრუნვაში წარმოგვიდგება ფუძის სახით „ჯოღორ“ და არა „ჯოღორი“. მაგ., სახელობითში „ჯოღორ-ი მიკოკირუ“

[1] კრებული I, გვ. 6.

(ძაღლი აბია), მაგრამ მიცემითსა და მოთხრობითში ბრუნვისეული ნიშნები გვაქვს „ი“-ს გარეშე. მაგ., „**მუს მათხოზეს**? **ჯოღორ**-ს მათხოზეს“ (რას გამოეკიდნენ? ძაღლს გამოეკიდნენ), „**მუქმეულალუ**? **ჯოღორ ქმეულალუ**“ (რამ დაუყეფა? ძაღლმა დაუყეფა), მაგრამ „ბობოთი“ სახელთა ბრუნების ამ წესს არ ემორჩილება.

ამდენად, ამ შემთხვევაში „ეთ“ ან „ით“ სიტყვის მწარმოებლად არ წარმოგვიდგება. ასე განმარტავს ამ სახელწოდებებს ცნობილი ქართველი მეცნიერი პავლე ინგოროყვა: „პირველად სახელწოდება პუნქტისა არის ფასის ქალაქი ან ფასთი (ფას-თი), რომლის პარალელური სახეობაა ფოსთა, საიდანაც შემდეგ წარმოიშვა ფო-თი – ფოთი“[1]. ასე აქვს ცნობილ მეცნიერს განხილული ქუთა-თი-სი. ცნობილი ქართველი მეცნიერი და ქართული ენის გრამატიკის დიდი მკვლევარი აკაკი შანიძე წერს, რომ „გეოგრაფიული სახელები ქართულში სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა წარმოშობისაა. ყველა მათი გათვალისწინება შეუძლებელია“.[2]

ბევრი გეოგრაფიული სახელი შეიძლება ამ გზით ავხსნათ. ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას ზემოთ მოყვანილი ავტორიტეტული აზრი არ უარყოფს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „თი“ დედაენაში წინათ დამოუკიდებული სიტყვის უფლებით იყო აღჭურვილი და მიუთითებდა ოჯახის, გვარის დასახლებას (ხორუას), ხოლო ეს „ხორუა“ – დასახლება სახელდებული იყო თურის (გვარის) ფუძემდებლის, მამამთავრის სახელით. მაგალითად, **გეჯეთი** ნიშნავს გეჯეს სახლს; გვარიც **გეჯეს** ეკუთვნის, გვარის წევრებიც გეჯეს გვარისანი, ანუ გეჯეს თურები არიან. შეკითხვაზე: „**მიშ თური რექ**?“, პასუხობენ: **გეჯეში თური** (ვისი გვარისა ხარ? – გეჯეს გვარისა). ენაში დღემდე შემორჩა კითხვა-პასუხის ეს ფორმა, მაგრამ დღეს **გეჯეს თურს** კი არ ამბობენ, არამედ **გეჯეშვილების თურს**. ეს გასაგებიცაა, შემდგომში გეჯეს თური მრავალ ახალ შტოდ მომრავლდა, ამ დედოთურიდან ახალი ოჯახები წარმოიშვნენ. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა, იქვე, მეზობლად, მაგრამ მაინც ცალკე სადგომში დაიწყეს ცხოვრება მონოგამურ ოჯახში დაწყვილებულებმა. რადგან ისინი სისხლით ნათესავები არიან და ჰყავთ ერთი წინაპარი, რომელმაც თურს ჩაუყარა საფუძველი, ე. ი. მისი შვილები არიან, გეჯეშვილები შეერქვათ ან შეირქვეს და ასე მოაღწიეს დღემდე. ამიტომ როცა ამ გვარის კაცს ეკითხებიან, თუ ვისი თურისა არის ან ვისი გვარისაა, პასუხობს, რომ იგი გეჯეშვილების თურს ეკუთვნის, ე. ი. გეჯეშვილების გვარისაა (მკითხველი ამ გვარს კონკრეტულ მაგა-

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 156.

[2] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1955, გვ. 79-80.

ლითად ნუ მიიღებს, ჩვენ იგი ზოგადი ფორმის უფლებით მოგვყავს). ეს გასაგებიცაა და ამიტომ ჩვენ აქ ამ საკითხზე საუბარს არ განვაგრძობთ, თუმცა შეიძლება შეგვეკამათონ, რომ მეგრულში **გეჯეთურსაც** იტყვიან. რასაკვირველია, ასეც ამბობენ, მაგრამ აქ უკვე არა გვარზეა ლაპარაკი, არამედ ადგილზე (როგორც მესხეთელი). გეჯეთური სადაურობაზე მიუთითებს, ე. ი. **გეჯეთელი** და არა გეჯეს გვარისა.

მაშასადამე, ასეთი „თიები“ საკუთარ ადგილზე, საკუთარ სუკზე იყო მოწყობილი და თურის მამამთავრის, ფუძემდებლის სახელს ატარებდა. მაგალითად, **ქუქითი** – ქუქის თი, ესე იგი, ქუქის სახლი, ქუქის ოხორი, ქუქის სახლობა. ასეთივე სახელწოდებანია კოკათი, უშაფათი, ცანათი და სხვ.

აქ იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ მოხსენებული გვარის მამამთავართა სახელები: **ბობო, ქუქი, კოკა, ქუთა, ქორა, გეჯა, ძეძა, კვაუ** და სხვ., წმინდა ქართული (მეგრული) სახელებია, რომელთაც დღესაც ხშირად შევხვდებით ხოლმე.

ცნობილია, რომ მეგრელები დასახლებული ყოფილან სამეგრელოს ახლანდელ ფარგლებს გარეთ, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. იმერეთსა და გურიაში დღესაცაა დარჩენილი სახელწოდებანი, რომელიც მეგრული წარმოშობისაა. საამისოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ **გელათი, გეგუთი, ძეძიათი, ქორეთი, თეკლათი** და სხვა მსგავსი წარმოშობის სახელწოდება იყოს და დიდი გვაროვნული სახლის ფუძემდებლის, პატრიარქის სახელსა და მისი თურის სახლს აღნიშნავდეს. მაგ., **ქორეთი** სხვა არაფერია, თუ არა **ქორეს (ქორ-ას) თი**, **გელათი**, – **გელას თი, გეგუთი** – **გეგუს თი** და სხვ.

ჩვენ აქვე დავძენთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში შემორჩენილ ადგილთა მსგავსი სახელწოდებანი მეგრული წარმოშობის როდია. ვფიქრობთ, რომ დედოენაში, რომლისგანაც აღმოცენდა შემდეგ ყველა დიალექტი ან ქართული ენის კუთხური ტოტები, კუთხური ენები, მტკიცედ მჯდარა „თი“, როგორც სრული ლექსიკური ერთეული, რაც სახლს, პატრიარქალურ ოჯახს ნიშნავდა. სწორედ ამ დროს ეწოდა ადგილებს ეს სახელწოდებანი, შემდეგ კი „თი“ ენის ზოგიერთი ტოტის ლექსიკური ფონდის გამდინარე ზღვაში ჩაიკარგა. იგი დარჩა მხოლოდ, როგორც უბრალო გრამატიკული ერთეული. ქართული ენის მეგრულ ტოტში იგი შემორჩა უცვლელად. ამიტომ ამ უძველესი ქართული ტერმინის ამოხსნა მეგრულის მეშვეობით შეგვიძლია დღეს.

ამან მოგვცა საფუძველი გვეფიქრა, რომ არ არის საჭირო დიდი წარსულის მქონე ქალაქს, ჩვენს ქუთაისს უცხო ნიადაგზე დაყრდნობით მოვუძებნოთ სახელის ფუძე. მისი ნამდვილი სახელი ქართულ ნიადაგზე

შეიძლება აღმოვაჩინოთ. ნუთუ ქუთაისი იგივე **ქუთათი** არ არის, როგორც ამას ძველ ბერძნულ წყაროებში ვხვდებით ხოლმე? ჩვენს ძველ წერილობით ძეგლებში განა ქუთაისელს **ქუთათელს** ან **ქუთათურს** არ უწოდებენ? განა ყოველდღიურ საუბარში იმერელი გლეხი ქუთათისს ან **ქუთათურს** არ იტყოდა და არ იტყვის? განა ღვთისმსახურთა ზედწოდება ქუთათელი არ არის? მაშ, რატომ მივაკეროთ მშობლიურს უცხოური იარალიყი? ჩვენი აზრით, ქუთაისი წარმომდგარია **ქუთათისაგან**, რომელიც ორი სიტყვისაგან შედგება – „**ქუთასა**“ და „**თი**“-საგან, ე. ი. **ქუთას ოხორი**; **ქუთა** ხომ წმინდა ქართული სახელია, რომელიც ოდითგან დღემდე მტკიცედაა შემორჩენილი ჩვენს სოფლებში. „**თი**“-ც ხომ ქართული სიტყვაა. მაშასადამე, ეს სახელი ხომ პირდაპირ გვეუბნება თავის წარმოშობასაც და შინაარსაც? ამდენად, ეს სახელწოდება ისეთივე ქართული სახელწოდებაა, როგორც ზემოთ განხილული სახელწოდებანი და მომდინარეობს უძველესი, გვაროვნული წყობილების დროიდან.

ამრიგად, ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მტკიცედ გვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენს ხალხს გვაროვნული წყობილება ადგილზე გაუვლია. აქვე უცხოვრია, განუვითარებია თავისი ცხოვრება, შეუქმნია სოფლები, ქალაქები, თავისი დიდი კულტურა და ასე მოსულა დღემდე. ეს კოლხი და იბერიელი ხალხის, ზოგადად, მთელი ქართველი ხალხის განვითარების უწყვეტი ხაზია, იმ გვაროვნული „თი“-ებიდან თანამედროვე თბილისამდე და ინდუსტრიულ ქუთაისამდე.

ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ხალხური გადმოცემებისა და პატარა ადგილების უძველეს სახელწოდებათა ანალიზს, დედაენის უძველეს ლექსიკურ ერთეულებთან შედარებულს, ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენი ერისათვის, მისი ისტორიისათვის. იგი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ჩვენი ერის განვითარების უხსოვარ პერიოდზე და თვალნათლივ მოგვითხრობს ამ პერიოდში მისი ყოფა-ცხოვრების ძირითად ნიშნებზე.

## სარიტუალო-საკულტო ადგილები გორდსა და კინჩხაში

ისტორიული ოდიშის განუყოფელი ნაწილი – გორდი და კინჩხა – და ზოგადად, მთელი საქართველოს ტერიტორია, მოფენილია ჩვენი ხალხის წარმართული, ქრისტეს წინარე სარწმუნოების შესანიშნავი ადგილებითა და რელიკვიებით.

საზოგადოება თავის სიყმაწვილის პერიოდში ყოველ ბუნებრივ მოვლენაში ღვთიურ ძალას, სულს ხედავდა. იგი ამ მოვლენებსა და ძალებს აღუმართავდა განსაკუთრებულ კერპებს. ამ კერპებში განა-

სახიერებდა ბუნების მოვლენის ღვთაებრივ სახეს და ცდილობდა მისადმი ლოცვა-ვედრებით კერპის გულის მოგებას, თავის სასარგებლოდ მოქცევას; მზე, მთვარე და ვარსკვლავები განსაკუთრებულ ღვთიურ ძალად ითვლებოდა. ღმერთებად იყო მიჩნეული ცა, დედამიწა, ცეცხლი, ხე და მდინარეც კი. კვირის ცალკეული დღეებიც ამ ღვთაებებისადმი სამსახურის დღეებად ინიშნებოდა. ძველ ხეთებში ელჭექის ღვთაებას **ტარო** ერქვა. ქართულში ეს სახელწოდება ამინდის ღვთაების სახელწოდებად გადაიქცა, ტერმინ **ტაროსის** შექმნას დაედო საფუძვლად. აქედანაა ნაწარმოები თვით სამშაბათის მეგრულ-ჭანურ-სვანური სახელწოდებაც: **თახაშხა** – **ტიკინჩხა** – **თახაში**. ეს დღე **ტარხონის** – ძველი ქართული ღვთაების, ჭექა-ქუხილის, ამინდის ღვთაების სახელიდანაა ნაწარმოები. ტარხონი, ანუ ტაროსი ან შემდგომ გადაკეთებული სახით ჩვენამდე მოღწეული **ტარეში**, ადგილის, ძლიერი ხატისა და ეკლესიის სახელწოდებაა კინჩხაში. ეს ადგილი კინჩხის ყველაზე მაღალი და ბუნებრივად დაცული სიმაგრის – **კიბულის** კალთისეულ ველზეა. იგი მედიდურად გადმოჰყურებს ღალდიდისა და ოკაცეს ხეობას. მისი სამი მხარე ძლიერ მიუვალი ადგილია.

ამ ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ გადასახედთან აღმართულია უძველესი ნაგებობის ნანგრევები. ნანგრევებს ქვემოთ დაცულია ქვითკირის სამარხის სათავსი – ეგვტერი. ეგვტერი ტაძრის ან უძველესი სამლოცველოს საფუძველში ჩატანებული მილის მსგავსი ნაგებობაა, სართულთშორის გადახურვა თაღოვანია. მისი საერთო ფართობი  დაახლოებით 12 მ-ს უდრის. მიცვალებულები ქვის სარკოფაგებში უმარხიათ. ღია ეგვტერში ოთხი მიცვალებულის სარკოფაგია. ისინი დღეს დახსნილ-გაძარცულია. ეტყობა, ეს ნაგებობა იმ დროისაა, როცა ჩვენში მიცვალებულს ჯერ კიდევ ქვა-კუბოებით მარხავდნენ. ამ ნაგებობის ჩრდილოეთით, 20-25 მ-ს სიშორეზე, დგას ათასწლოვანი ურთხელის ხე, რომელსაც ხალხი დღესაც დიდი პატივისცემით ეპყრობა. მის მახლობლად, ამავე ეზოში, დაცულია ქვებით ამოყორილი მრგვალი ნაგებობა. ადგილზე შეკრებილი გადმოცემით და ამ მატერიალური კულტურის ძეგლების განხილვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს საკულტო ადგილი ტარხონის, ანუ ტარეშის საკულტო-სარიტუალო ადგილი იყო. აქ იდგა მისი კერპი და სამლოცველი. კერპს მსხვერპლს სწირავდნენ. **ეკლესუანს**, ანუ **ნაოხვამუს** დღესაც დიდი რიდითა და პატივით ეპყრობიან. იგი ტარეშის დიდი და ძლიერი ხატის სახელითაა ცნობილი.

ეტყობა ქრისტიანობამ, ისე როგორც წარმართობის სხვა კერპ-ხატები და სარიტუალო წესები, ეს ხატი და წესიც შეინარჩუნა, ოღონდ ტაროსის, ყველაზე ძლიერი ღმერთის ნაცვლად ამ ადგილზე საქართ-

ველოში ქრისტიანული რელიგიის ყველაზე აღიარებული წმინდანის, დიდმოწამე გიორგის ხატი დაასვენა ტარეშის ნაცვლად და ძლიერებითა და დიდებით შემოსა. ეს იყო, ალბათ, დიდხანს, ვიდრე, მოძალადეებმა მრავალჯერ არ ააოხრეს ტარეშის ეკლესია, არ დაიტაცეს განძეულობა, არ შერყვნეს მისი წალკოტი და არ დაანგრიეს ქართული მატერიალური კულტურის ეს შესანიშნავი ძეგლი.

საკულტო-სარიტუალო ადგილებიდან ცნობილია აგრეთვე **წმინდა ლიანის** გამოქვაბული. ხალხის გადმოცემით, იგი წმინდანის – ლიას ან ლიანას სამყოფი, მწირული საყუდელი იყო. რამდენად სწორია ეს გადმოცემა, ამის დადგენა შეუძლებელია. ისე კი გადმოცემა საყოველთაოდ ცნობილია და ქვაბულიც თურმე წინათ საყოველთაო პატივისცემის საგანი იყო. შეიძლება, იგი პირველი ქრისტიანი მქადაგებლის სამყოფი ან კიდევ ასკეტის საყუდელი იყო. თუმცა, თანამედროვე სახით მისი საცხოვრებლად გამოყენება ნაკლებად სარწმუნოა. შეიძლება მას უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონოდა.

მესამე და აგრეთვე არანაკლებ საინტერესო ადგილია **ეკლესუანის გორა ლენძუხას** მახლობლად, ე. წ. ადგილ ხოჩოლზე. ეკლესუანის გორა გორაკის უნაგირიდან 10 მ-ის სიმაღლეზე აზიდული **დიხაგუძუბა**, ანუ ყორღანის ტიპის მიწაზვინულია. ეტყობა ქვაფენილებიც. ამ გორაკის შესახებ არსებობს მრავალი გადმოცემა, სადაც მითითებულია, რომ გორაკი სამარხი და უხსოვარი დროის სამლოცველო ყოფილა. ფერდობის კალთებსა და უნაგირას ორივე მხარეზე ექსპედიციამ ნეოლითისა და ბრინჯაოს ეპოქის მრავალი მოწმე იპოვა. აქ ზედაპირულად აიკრიფა კაჟის კარგად დამუშავებული ლამელები, საჭრისები, საფხეკები, ნუკლეუსები და უძველესი კერამიკის შესანიშნავი ფრაგმენტები. კერამიკა ჯერ კიდევ მტკიცედ გამოუწვავი და დაუმუშავებულია. ადგილობრივი მცხოვრებლები გადმოგვცემენ, რომ ამ ფერდობის ხვნისას ხშირად პოულობდნენ ბრინჯაოს მძივებს, ცულებს, თოხებს, სხვადასხვა ფორმის სამკაულებს და კერამიკული ჭურჭლის შესანიშნავ ფრაგმენტებს. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს ადგილი ნეოლითის თუ არა, ადრე ბრინჯაოს ეპოქის ნასახლარი მაინცაა, ხოლო მიწაზვინული მაშინდელი სამარხია. აქვე მახლობლად იყო, ალბათ, უძველესი სამლოცველოც, რის გამო ადგილს **ეკლესუანი**, ანუ **ნაოხვამუ** შეერქვა. მსგავსი ყორღანი დაცულია კიბულაზეც.

ეს ადგილები რომ ბრინჯაოს ეპოქის ნასახლარია, შეიძლება სხვა ფაქტებითაც დადასტურდეს: ადგილი კადარი და წმინდა ლიანის სანახები უძველესი მეტალურგიული წარმოების შესანიშნავი რელიკვიებითაა მოფენილი.

# აღმოსავლეთ სამეგრელოს მოსახლეობის ოქტომბრის რევოლუციამდელი სამეურნეო ყოფა*

## შესავალი

კოლხეთი კარგად ცნობილი და აღწერილია უცხოურ წყაროებში, ბერძენ, რომაელ, სპარსელ და ძველი მსოფლიოს სხვა ქვეყნების მოგზაურთა, ისტორიკოსთა, გეოგრაფთა, ფილოსოფოსთა და სამხედრო პირთა შრომებსა და ლიტერატურულ ძეგლებში. იგი ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცივილიზებული ქვეყანა იყო, რომელთანაც ყველა მეზობელ თუ შორეულ ქვეყანას სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა. კოლხეთში არსებობდა სწავლა-განათლების უძველესი ცენტრი – ფაზისის აკადემია, აქ იყო უძველესი მეტალურგიული წარმოებისა და ხელოსნობის სხვა კერები, საიდანაც უცხოეთში ფოლადი, რკინა, რკინისა და ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის ნაწარმი, ოქრო და ვერცხლი, სელის ტილო და ღვინო გაჰქონდათ. „კოლხეთი იბერიასთან ერთად, შეადგენს იმ ნიადაგს, რომელზედაც საშუალო საუკუნეებში შენდება ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობა, – ...V ს-ში, ძვ. წ. კოლხეთი ვრცელი ქვეყანაა, რომლის უკიდურეს სანაპირო სექტორებში მდებარეობენ ქალაქები – პიტიუნტი და კერასუნტი, რომელიც მრავალტომიანს და მრავალთემიან მოსახლეობას შეიცავს“[1] – წერდა აკადემიკოსი ს. ჯანაშია.

უცხოური წყაროებით, წერილობითი მასალებით დამოწმებული ცნობები დასტურდება ქართველი მეცნიერების – არქეოლოგების, ეთნოგრაფების, ლინგვისტთა, ანთროპოლოგთა, ეთნობოტანიკოსთა და გეოგრაფთა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებით[2]. მრავალი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ კოლხური კულტურა ძალზე ადრეულია. „კოლხური კულტურის გავრცელების არედან მომდინარე კომპლექსები, რომელნიც კოლხურ ცულს შეიცავენ,

---

* გ. ელიავა, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ეთნოგრაფიის დარგში. ხელმძღვანელი – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ.-კორ., პროფ. გ. ს. ჩიტაია, 1968.

[1] ს. ჯანაშია, შრომები, თბ., 1952, ტ. 2, გვ. 19.

[2] გ. ჩიტაია, მოხსენება ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა VII საერთაშორისო კონგრესზე: «О некоторых чертах древнеколхидской культуры». стр. 1.

თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ბრინჯაოს ინვენტარისაგან შესდგება და მასში სრულიად არ ვხვდებით რკინას, რასაც ლოგიკურად მივყავართ დასკვნამდე, რომ კოლხური კულტურის არსებობა ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის უწინარეს პერიოდშიცაა მოსათავსებელი“ – წერს აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი[1]. უხსოვარი დროიდან მომდინარე კოლხური კულტურა იმთავითვე იყო იბერიის კულტურასთან განუყრელ კავშირში, ხოლო ადრე შუა საუკუნეებში ამ ორივე ქართული გაერთიანების ერთიან ქართულ სახელმწიფოში შერწყმის შედეგად საუკუნეთა განმავლობაში მომდინარეობდა ერთიანი ეროვნული განვითარების უწყვეტი გზით.

კოლხეთის ყველაზე აყვავებული, ცენტრალური ნაწილი მდებარეობდა რიონისპირეთში, მის ორივე მხარეზე გაშლილ ჭალებში და განსაკუთრებით მის მარჯვენა სანაპიროზე, თანამედროვე ქუთაისის, სამტრედიის, მარტვილისა და სენაკის რაიონების ტერიტორიაზე, ე. წ. მუხერისის ან სამოქალაქოს ოლქში. პროკოპი კესარიელი ამ ოლქს უწოდებს „კოლხიდის საუკეთესო ნაწილს“. იგი შეიცავს, – წერს პროკოპი კესარიელი, – მრავალ, მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლიზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას“[2].

მუხერისის ან სამოქალაქოს ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული უბანი იყო ტეხურისა და აბაშის ხეობები, შესართავიდან ვიდრე მარტვილი-ბანძა-ნოქალაქევამდე. ეს უბანი, ანუ ტეხურ-აბაშის აუზი თავისი რელიეფითა და ბუნებრივი პირობებით მეტად თავისებურია; ზღვის დონიდან 60-100 მ-ის სიმაღლიდან იწყება, რიონისპირეთში, და 2 800 მ-ის სიმაღლემდე ვრცელდება ეგრისის მთაგრეხილამდე. რელიეფის ლანდშაფტური ცვლილებანი მკვეთრი, კონტრასტული გადასვლებით კი არა, თანდათანობით ვრცელდება კავკასიონის ქედისაკენ. რიონისპირეთის გაშლილი ჭალები, მარტვილი-აბედათის ბორცვიანი ზეგნებით მაღლდება თანდათანობით, შემდეგ ბალდა-სალხინო-კურზუს მთისპირა ფერდობებით და მთიანი მასივებით იცვლება, ხოლო ზემოთ ლებარდე-დვირა-ასხის მაღალმთიანი გრეხილით მთავრდება.

რიონისპირეთი ხასიათდება ნაყოფიერი ნიადაგით, სადაც საუკუნეების განმავლობაში თესდნენ მარცვლეულ კულტურებს, ეწეოდნენ ინტენსიურ მიწათმოქმედებას. მოყავდათ ღომი, ფეტვი, ბრინჯი, სელი და

[1] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 75.

[2] გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 194-195.

კანაფი. განვითარებული იყო საქალაქო ცხოვრება. აქ გადიოდა ძველი სახმელეთო გზები ფაზის-კოტაისა და პეტრა-ჭყონდიდისა. ეს გზაჯვარედინი ერთმანეთს კვეთდა შუაქალაქში, რომელიც ამ გზათა თავშესაყარს და მის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ამ გზის გასწვრივ მდებარეობდა ძველი სამდინარო გზა ფაზისზე (რიონზე), ე. წ. ინდოეთის სავაჭრო გზა[1], რომელიც რიონ-მტკვრის ხეობით აღწევდა კასპიის ზღვამდე და იქიდან ინდოეთისაკენ მიემართებოდა.

რიონ-აბაშის ეს დავაკება წარმოადგენდა კოლხეთის დაბლობს, რომელსაც ბერძნები არეას ჭალას უწოდებდნენ. აქვე ყოფილა გაკრული ხეზე ლეგენდარული ოქროს საწმისი (ცხვრის ტყავი)[2]. ეს დაბლობი, კოლხეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, რომაელთა ბატონობაში მოექცა. რომაელებმა კოლხი მეთაური ტომი გადააყენეს და მეთაურობა (მეფეების არჩევის უფლება) დაუკისრეს მათივე მონათესავე ტომს – ლაზებს. III საუკუნიდან ამ მხარეს ეწოდება ლაზიკა. ლაზთა ან ეგრისის სამეფო არსებობდა არაბთა შემოსევამდე (VII საუკუნე). საქართველოს გაერთიანების ხანაში მას აფხაზთა სამეფო დაერქვა. X-XV საუკუნეებში იგი შედიოდა გაერთიანებული საქართველოს სამეფოში, ხოლო XV საუკუნეში წარმოიქმნა ოდიშის სამთავრო, რომელიც რუსეთთან შეერთებამდე – 1867 წლამდე არსებობდა.

სამეგრელო (დღევანდელ ტერიტორიულ საზღვრებში) ისტორიული კოლხეთის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. იგი უხსოვარი დროიდან დასახლებულია ქართველი ხალხის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ტომით – მეგრელებით. მეგრელებს კულტურა და ზნე-ჩვეულებანი ქართული აქვთ, ენაც ქართველური, მაგრამ როგორც დედა ხალხში ყველა შტოს, ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებში გარკვეული თავისებურებანი ახასიათებთ, რაც მეზობლებთან ურთიერთობაშიცაა ასახული. ასე, მაგალითად, სამეგრელოს დასავლეთი ნაწილი ესაზღვრება აფხაზეთს, რომელთანაც მას მჭიდრო ყოფაცხოვრებითი ურთიერთობა აქვს. მათ შორის ოდითგანვე ხდებოდა დანათესავება, ჩასიძებ-ჩამოსიძება, ქალის მითხოვება-ჩამოთხოვება, გაძიძავება, სესხება და ჩამოსესხება და ა. შ. ერთი სიტყვით, აფხაზეთი სამეგრელოს ამ ნაწილის ძლიერ გავლენას განიცდიდა და პირუკუ. ამიტომ ამ მხარის მეგ-

[1] ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 75.

[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 79-80; აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964; პინდარეს სქოლიონები, ჰელანიკე მიტილენელი, თესალიკა, ნიკანდრო კოლოფონელის სქოლიონი. გვ. 218, 275, 335. აპ. როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1948, გვ. 82.

რელების ყოფა-ცხოვრებასა და ლექსიკაში. აფხაზური ელემენტები ჩანს, და პირიქით – ანალოგიური მეგრული ელემენტები ჩანს აფხაზურში.

სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილი, კერძოდ, აბაშისა და ტეხურის ხეობები, ესაზღვრება იმერეთს. მოსახლეობის მოძრაობის შედეგად, იმერლების აქ ჩამოსახლების შემდეგ, სამეგრელოს ამ ნაწილს მათთან უფრო ახლო ურთიერთობა აქვს. ჩამოსიძება-ჩასიძება, მითხოვება და ჩამოთხოვება, გაჩუქება, გაძიძავება, გასესხება მხოლოდ იმერეთთან აქვს. ამიტომ იგი უფრო მეტად იმერულ გავლენას განიცდის, იმერეთის ამ ნაწილში კი თავის მხრივ მეგრული გავლენა იგრძნობა. ეს ურთიერთობა ენობრივ მოვლენებშიც ასახულა, როგორც ამაზე ა. ცაგარელი მიუთითებდა: „რაიონის საზღვრები, რომელიც დაკავებული აქვს მეგრულ ენას, სრულად არ ემთხვევა ყოფილ სამეგრელოს სამფლობელოს გეოგრაფიულ-ისტორიულ საზღვრებს. მრავალი მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მეგრული ენის გავრცელების ოლქი წინათ უნდა ყოფილიყო გაცილებით უფრო ფართო, რაზედაც მიუთითებს, სხვათაშორის, სუფთა მეგრული წარმოშობის მრავალრიცხოვანი გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელიც ახლა რჩება მეგრული ენის საზღვრებს იქით. ახლა ბრძოლა წარმოებს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში ქართული ენის იმერულ კილოსა და მეგრულ ენას შორის, ჩრდილო-აღმოსავლეთში კი, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც სვანურ ენასთან“[1].

ამიტომ სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში ხშირად შევხვდებით იმერეთისათვის დამახასიათებელ ეთნოგრაფიულ მოვლენებს, ხოლო დასავლეთში – აფხაზურს. აფხაზეთში მეგრულ ნიშნებს ვხვდებით ყოველ ნაბიჯზე. იმერეთშიც სამეგრელოსთვის დამახასიათებელი ყოფაცხოვრებითი მოვლენები როდია იშვიათი. ეს თავისებურებანი ყველაზე მკაფიოდ ასახულია ხალხის ყოფასა და მატერიალურ კულტურაში. ამიტომ ასეთი მოვლენების გაუთვალისწინებლად არ შეიძლება შესწავლილ იქნას ამ მხარის ყოფისა და კულტურის საკითხები. სწორედ ამას ვითვალისწინებდით, როცა ჩვენი წინამდებარე შრომის მიზნად არა მთლიანად სამეგრელოს, არამედ მისი ერთი ნაწილის, აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობის რევოლუციამდელი მეურნეობის საკითხების შესწავლა დავისახეთ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა ძირეული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები. სავსებით წაიშალა ძველი ყოფაცხოვრებითი ნორმები და ახალი სოციალისტური ყოფა და ცხოვრება დამკვიდრდა. წინამდებარე შრომის მიზანი მხოლოდ რევოლუციამდელი მეურნეობის საკითხების შესწავლაა. რევოლუციამდელი ყოფა-ცხოვრე-

[1] А. Цагарели, Из поездки в Закавказский край летом 1877 года, Петербург, 1878, стр. 210.

ბის ამსახველი მონაცემების უმეტესი ნაწილი დღეს სრულიად წაშლილია, ზოგი რამ ხალხის მეხსიერებაში თუა შემორჩენილი, ან მატერიალური კულტურის ძეგლებში გადმონაშთების სახით თუა დაცული სოფლებში. ჩვენი შრომა ძირითადად ამ ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზეა დაწერილი. შეძლებისამებრ გამოყენებულია წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური და ლინგვისტიკური მონაცემები, ამასთან, რესპუბლიკის მუზეუმთა (საქართველოს სსრ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო, ზუგდიდისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გეგეჭკორის და წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების) ფონდებში დაცული მასალები.

შრომა შედგება შესავლის, ხუთი თავის, დასკვნებისა და დანართებისაგან (საილუსტრაციო ალბომი; შრომის იარაღთა გავრცელების კარტოგრამები, კარ-მიდამოთა და საცხოვრებელ ნაგებობათა გეგმარები; ტოპონიმთა სია ხალხური განმარტებით, მათი გავრცელების ზონათა რუკები; გამოყენებული ლიტერატურის სია).

„ამა თუ იმ ხალხის წარსულის შესწავლისას ეთნოგრაფი, – წერს ცნობილი მეცნიერი ს. ა. ტოკარევი, – იჭრება წმინდა ისტორიულ სფეროში, ხდება მეურნეობის, კულტურის და სხვათა ისტორიკოსად. სწავლობს რა ხალხის თანამედროვე ყოფას, ეთნოგრაფია ეხება საკითხებს, რომელიც აინტერესებს აგრეთვე ეკონომისტს, აგრონომს, არქიტექტორს, ექიმს, კულტურული ფრონტის ყველა მუშაკს“[1]. ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალა ძვირფას ცნობებს შეიცავს ხალხის ყოფაზე, მეურნეობასა და კულტურაზე, ხალხის ისტორიის წარსულზე. ეს საკითხები „შეიძლება შესწავლილი იქნეს ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენობრივი და გეოგრაფიული თვალსაზრისით. ენობრივი შესწავლა, კერძოდ, გულისხმობს ტოპონიმიკის შესწავლას“ – წერს პროფ. გ. ჩიტაია[2]. ამიტომ ეთნოგრაფი ისტორიული მეცნიერების სხვა წყაროებთან ერთად ამ წყაროს იყენებს.

ეთნოგრაფიული მასალის შეგროვების მიზნით წლების განმავლობაში ვაწარმოებდით საველე მუშაობას (ექსპედიციებისა თუ ინდივიდუალური მოვლინებების გზით) საკვლევ რაიონებში, ვაკვირდებოდით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თავისებურებებს, ვაგროვებდით ამ თავისებურებათა შესახებ ხალხურ მონაცემებს, ეთნოგრაფიულ და ტოპონიმიკურ მასალებს, ვიწერდთი ხალხის მეხსიერებაში შემონახულ ცნობებს, გადმოცემებსა და ლეგენდებს. სისტემატური მუშაობის პროცესში არ ვტო-

[1] Этнография народов СССР, М., 1958, стр. 4.

[2] გ. ჩიტაია,დასახლების ტიპი მთიულეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1963, გვ. 201.

ვებდით არც ერთ სოფელსა და უბანს შესწავლის გარეშე. ვადგენდით კარტოგრამებს. რუკაზე გადაგვქონდა შეგროვებული ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალის მოპოვების ადგილები. დამზადდა ტაბულები: რაიონში გავრცელებული თოხები და სახვნელი იარაღები, შეგროვდა ეთნოგრაფიული კოლექციები.

ისევე, როგორც მთელი საქართველო, სამეგრელო დიდი ხნიდან იპყრობდა უცხო მოგზაურთა ყურადღებას, რომლებიც თავიანთი სავაჭრო, სამისიონერო, რელიგიური, პოლიტიკური თუ სამხედრო-დიპლომატიური საქმიანობისას სწავლობდნენ მხარეს, აკვირდებოდნენ მის ბუნებას, ხალხს, ყოფა-ცხოვრებას და თავიანთ დღიურებში, წერილებსა და შრომებში ცდილობდნენ აესახათ იგი, ეჩვენებინათ მკითხველთათვის მისი ავი და კარგი, შეეფასებინათ და საკუთარი სიტყვა ეთქვათ. თუმცა ეს სიტყვა ყოველთვის როდი იყო ფაქტებისა და მასალების სრული ცოდნით ნათქვამი, ზოგჯერ ის ტენდენციური, ან გაუგებრობის ნიადაგზე იყო აღმოცენებული და ამიტომ ზერელე და უსაფუძვლო იყო. მაგრამ მათ შორის არის ისეთი აღწერილობანიც, რომლებიც სინამდვილის ცოდნაზეა დამყარებული და მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ხალხის ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესასწავლად. ზოგიერთი ავტორი ხანგრძლივად ცხოვრობდა, ადგილობრივ, ეთნოგრაფიულ მოვლენებსა და ფაქტებს აღრიცხვდა, აღწერდა საკუთარი თვალით ნახულ სინამდვილეს, რაც სარწმუნო წყაროა მეცნიერული კვლევისათვის. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია იტალიელ მისიონერთა და მეფის რუსეთის ელჩების აღწერილობანი. ასე, მაგალითად, აბაშისა და ტეხურის ხეობების მოსახლეობის მეურნეობის, ყოფისა და კულტურის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს XVII ს. მისიონერების – **არქანჯელო ლამბერტისა** და **ჯუდიჩეს** შრომები და მხატვარ **ქრისტეფორე კასტელის** ჩანახატების ალბომი[1]. მათ შორის პირველი ორი აღწერილობით ცნობებს შეიცავს, ხოლო კასტელის ალბომი – სამეგრელოს მატერიალური კულტურისა და ყოფის დამახასიათებელ მხატვრულ ილუსტრაციებს. ამ მასალებს განსაკუთრებით ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მხარის ეთნოგრაფიისათვის. ასე, მაგ., პროფ. გ. ჩიტაიამ კომპლექსური გუთნის სამეგრელოში არსებობის ფაქტი კასტელის მიხედვით დაამოწმა. მკვლევარი წერს: „კომპლექსური გუთანი სავარაუდებელია სამეგრელოშიც (XVII საუკუნე), რამდენადაც შესაძლებელია ამის შესახებ ვიქონიოთ

[1] იხ. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე. თბ., 1964; ქრისტეფორე კასტელის ალბომის ფოტოასლი, გადაღებული მიხეილ თამარაშვილის მიერ. დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდში.

წარმოდგენა ქრისტეფორე კასტელის ალბომში დაცული სახვნელი იარაღის სურათის მიხედვით“.[1]

დიდი მეცნიერული ღირებულების შემცველია არქანჯელო ლამბერტის შრომა „სამეგრელოს აღწერა“. მკითხველთა მიმართ წინათქმაში არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ „დავყავი რა თითქმის თვრამეტი წელიწადი მხოლოდ კოლხიდაში და რამდენჯერმე შემოვიარე რა მთელი ეს ქვეყანა, შეცდომები შევნიშნე ძველ მწერლებსა, რომელთაც ამ ქვეყნის შესახებ რაიმე უწერიათ. ცხადია, რომ მათ ეს შეცდომები მოსვლიათ იმის გამო, რომ ან ცოტა ხანი უცხოვრიათ იქ და ან ენა არ სცოდნიათ... ბოლოს ისიც უნდა მოვიხსენიო, რომ კოლხიდის ზნე-ჩვეულებისა და ზოგი სხვა საუცხოო რამეებისა, ჩვენში სრულებით არაფერი არ იციან.

ამიტომაც მე გადავწყვიტე ამ ჩემი მცირე შრომის გამოქვეყნება. ...ჩემს მოთხრობაში მკითხველი იპოვნის მხოლოდ ფაქტებს, გულწრფელად და ჭეშმარიტად აღნუსხულს“[2]. ავტორს მართლაც დიდი მუშაობა გაუწევია მხარის გულდასმით შესწავლისათვის და ნახულის დეტალური გადმოცემისათვის. იგი გულწრფელად და პატიოსნად აღნუსხავს ფაქტებს, აღწერს მას დაწვრილებით, ხშირად მიუდგომლადაც კი. მაგრამ ზოგან, ან რელიგიური შეზღუდულობის, ან კიდევ ზოგან ნაციონალური სულისკვეთების გამო, აღწერას ახასიათებს პირადული ტენდენციაც, ზოგჯერ კიდევ, მისთვის ამბავის მთხრობელის ტენდენციური და არასაკმარისი ცოდნის გამო, ზერელობაც კი. ეს ბუნებრივია, რადგან უცხო ხალხის შვილი, რომელიც მოვლინებულია მხარეში თავისი ეკლესიის დოგმების საქადაგებლად, მართლმადიდებლური საეკლესიო წესების წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც არ უნდა გულწრფელი იყოს, სადღაც მაინც პირადული, ტენდენციური კუთხით უყურებს შესასწავლ ობიექტს. ამიტომაც ვერ გამოუდის ბოლომდე სრულყოფილი. მაგრამ ეს მაინც ვერ შეამცირებს არქანჯელო ლამბერტის შრომის დიდ მნიშვნელობას და ამ შრომისადმი მხარის ისტორიის მკვლევართა დიდ ინტერესს.

თითქმის არც ერთი შრომა არ მოგვეპოვება, იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანი რომ იყოს XVII საუკუნის სამეგრელოს აღსაწერად. ავტორი შრომის პირველ თავში მიმოიხილავს მაშინდელი კოლხიდის, ან, უფრო სწორად, სამეგრელოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს, მის მდებარეობას, საზღვრებს, მდინარეებს, მის რელიეფურ თავისებურებებს და ბუნებრივ სიმდიდრეთა ზოგად სურათს.

---

[1] გ. ჩიტაია, მთიულური ქიბორჯი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX. თბ., 1957, გვ. 37.

[2] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 4.

შემდეგ იგი თანმიმდევრობით მოგვითხრობს მეგრელების ჩამომავლობასა და მაშინდელ სოციალურ მდგომარეობაზე. აღგვიწერს სამთავრო კარს, მთავარს, მის ოჯახს, სამეგრელოს წოდებრივ მდგომარეობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთა განხილვისას იგი ყოველთვის როდი აკეთებს სწორ დასკვნებს. როცა იგი განიხილავს მეგრელთა ჩამომავლობის საკითხს, ემყარება ლეგენდებს და ამ, ერთ-ერთ ქართველურ შტოს თვლის ეგვიპტური ჩამომავლობის ხალხად. ნათესაობას ხედავს საწარმოო-ხელოსნური საქმიანობისა და რწმენების მსგავსებაში. მას მოჰყავს ძველ მწერალთა მიერ დამოწმებული ფაქტები, რომ „მეგრელები, კანაფისაგან ქსოვენ, როგორც ეგვიპტელები, ტილოს და ავრცელებენ სხვადასხვა ქვეყნებში“[1]. რომ მათ ეგვიპტელების მსგავსად ჩვეულებად აქვთ წინდაცვეთა“. „ამას ჩვენ შეგვიძლიან დავსძინოთ რამდენიმე სხვა ჩვეულება, რომელიც დღემდის დაცულია სამეგრელოში და რომელიც სრულებით ემსგავსება ძველი ეგვიპტელების ჩვეულებებს და ცხადად ამტკიცებს მეგრელების ეგვიპტელებისაგან ჩამომავლობას“.[2] მაგრამ შემდეგ, როცა იგი სხვა, ძველ წერილობით წყაროებს განიხილავს, ამ აზრს საეჭვოდ თვლის და მეგრელთა ტომის დიდ და პირველად ნაწილს იაფეტური ჩამომავლობის ხალხად აცხადებს, ეყრდნობა რა დაბადებისეულ ნოეს კიდობნის ამბავს. ამ ორჭოფ მსჯელობაში საინტერესო მაინც ისაა, რომ იგი ვერ უარყოფს ამ მხარის უძველესი დროიდან მომდინარე ტრადიციულ თავისებურებას: „მართლაც, მიწის მუშაობას, როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში იმდენად ეტანებიან, რომ ყველას კეთილშობილურ საქმედ მიაჩნია თავის ყანის მუშაობა, სხვა რომ არაფერი იყოს, ნოესაგან მათი ჩამომავლობის ეს მათი ჩვეულება ამტკიცებს: ყველგან ვენახებს აშენებენ და ცდილობენ ბევრი ღვინო მოიყვანონ, რომელიც ძლიერ უყვართ“;[3] ეს მაშინ, როცა მისი თანამემამულე და თანამოღვაწე **ჯუდიჩე მილანელი** წერს: „სამეგრელო მშვენიერი ქვეყანაა. მაგრამ რადგან მაცხოვრებელი ხალხი მცირერიცხოვანია, თითქმის მთლად ტყედაა გადაქცეული. ქალაქი არა აქვს და სახლები ტყეშია გაფანტული. მეტად ღარიბად ცხოვრობენ. პური არა აქვთ, არც ხორბალი, თუ აქვთ, ძალიან ცოტა“[4]. ეს ავტორი სამეგრელოში არ ხედავს განვითარებულ მიწათმოქმედებას, არც მევენახეობას. იგი მეგრელებს საერთოდ დაბალი კულტურის ხალხად თვლის, როცა არქანჯელო ლამბერტი

[1] სამეგრელოს აღწერა. თბ., 1931, გვ. 7.
[2] იქვე, გვ. 7.
[3] იქვე, გვ. 9.
[4] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მალანელი, წერილები საქართველოზე, თბ., 1964, გვ. 38.

მეგრელებს, ქართველთა ამ ერთ-ერთ შტოს, სოფლის მხვნელ-მთესველ, მევენახე და მაღალი კულტურის მეურნე ხალხად ცნობს.

საინტერესოა XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის – შარდენის[1] ცნობებიც. არქანჯელო ლამბერტის მსგავსად, იგიც მხოლოდ ზედაპირულად აღწერს ფაქტებს და მასალებს. მაგრამ ამ აღწერილობაშიც არის სასარგებლო ელემენტები, რაც მაშინდელი სამეგრელოს სამეურნეო ყოფისა და კულტურის ცოცხალ მოწმეებად გამოგვადგება.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში იყო, ნაწილობრივ იმოგზაურა და აღწერა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით გიულდენშტედტმა. თავის წერილებში აკადემიის მიმართ და შრომაში იგი გარკვეულ ადგილს უთმობს დასავლეთ საქართველოს და მათ შორის სამეგრელოსაც. სამეგრელოს მასალები მას მიაწოდეს ადამიანებმა, რომლებიც სამეგრელოს შესახებ სრულყოფილ ცნობებს ვერ ფლობდნენ. იგი წერს: „ჩემმა ცნობების მომწოდებლებმა ამ მხარეთა სოფლები ზუსტად არ იცოდნენ“[2]. ამიტომაა, რომ მისი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები ნაკლული და არეულ-დარეულია. მაგ., როცა იგი წერს „სამეგრელოს აქვს ორი მხარე აბაშა და ბანძა (ბანკა)“[3]. ეს არაა სწორი, აბაშა და ბანძა ერთი უბანია, კერძოდ, აბაშის ხეობის ერთი ზონაა, მისი ბარის ზონაა. ხოლო მთისპირა და მთის ზონა კი აქ უგულვებელყოფილია. ასევე, მის მიერ აღრიცხული მრავალი ცნობა არაზუსტია. მაგრამ ბევრ რამეს აქაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს მხარის მეცნიერული შესწავლისათვის.

ეროვნულ წყაროთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა **ვახუშტი ბატონიშვილის** გამოკვლევა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც აგებულია ავტორის საკუთარ მასალებსა და დაკვირვებებზე და ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ აღწერილობას შეიცავს. „ღირსშესანიშნავი არის ის გარემოება, – წერს პროფ. გ. ჩიტაია, – რომ ვახუშტი ბატონიშვილს აქვს მოცემული ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფაქტები, არა მარტო მისი დროისათვის დამახასიათებელი და მის დროს არსებული, არამედ ვახუშტი ბატონიშვილი იძლევა, აგრეთვე, ძველი ზნე-ჩვეულებების დამახასიათებელ ფაქტებსაც. იგი განსაზღვრავს ადრე არსებულ ზნე-ჩვეულებებს და დღეს მოცემულ ფაქტებს, და მათ შედარებას აწარმოებს. კიდევ მეტი, იგივე ავტორი ადარებს ერთმა-

[1] ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ.,1953.
[2] გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I. თბ., 1962, გვ. 323.
[3] იქვე, გვ. 323.

ნეთს მთისა და ბარის მოსახლეობაში არსებულ ზნე-ჩვეულებებს... ესეც უმნიშვნელოვანესი გარემოებაა“[1].

ვახუშტი ბატონიშვილის ამ შესანიშნავ თხზულებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამეგრელოს აღწერას. მაგრამ ეტყობა, როცა იგი ამ სამუშაოს ასრულებდა, ეყრდნობოდა, თავის თვალით ნახულთან ერთად, სხვათა მიერ მიწოდებულ ცნობებს, რადგან მთლიანად სამეგრელო არ შემოუვლია. ამიტომ ზოგან ეს ცნობები და აღწერილობითი ხასიათის მასალები არაზუსტია. ასე, მაგალითად, სალიპარტიანოს აღწერილობისას მკვლევარს აღნიშნული აქვს: „ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წამოსდევს მცირე მთა კავკასამდე“,[2] რაც არაა ზუსტი. ასევე არაა ზუსტი ვახუშტის ცნობა იმის შესახებ, რომ „წალკოტნი არა არიან აქა, ...სავარდე არა უწყიან“[3]. მარტო ორ სოფელში – ბანძასა და აბედათში ცნობილია 10-მდე წალკოტი. მას ადგილობრივები „წაკორტებს“ უწოდებენ. ბანძის უბანში ამავე მნიშვნელობით ცნობილია აგრეთვე „სამოთხე“[4].

დიდი ღირებულების მქონეა ჩვენი ქვეყნის და ხალხის სამეურნეო ყოფისა და კულტურის საკითხების შესასწავლად **იოანე ბატონიშვილის** „კალმასობა“. ამ შრომაშიც ჩვენ ვხვდებით ფაქტობრივ მასალას ჩვენი მხარის ყოფისა და კულტურის საკითხებზე, მაგრამ რადგან იოანე ბატონიშვილი მხოლოდ მცირე დროს დარჩენილა ამ მხარეში, ამიტომ მისი ცნობები ძალზე მცირეა. თუმცა, რაც არის ისიც ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს საკითხის დასაზუსტებლად.

საყურადღებო წყაროა სამეგრელოს მთავრის კარზე 1854-1858 წწ., ხოლო შემდეგ სენაკის ოლქის უფროსად 1861 წლამდე მომსახურე რუსი ჩინოვნიკის, **კ. ბოროზდინის** შრომა – „სამეგრელო და სვანეთი“. ამ შრომაში ბოროზდინი დეტალურად აგვიწერს ყველა ფაქტს და მოვლენას, რაც მის თვალწინ, მისი სამეგრელოში სამსახურის პერიოდში მოხდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოში იმოგზაურა, გაეცნო ხალხის ყოფა-ცხოვრებას და აღწერა ცნობილმა ფრანგმა მოღვაწემ **ჟან მურიემ**. მისი წიგნის გამოსვლას ქართველი მოწინავე საზოგადოება მაშინ აღტაცებით შეხვდა. გაზეთი „დროება“ წერდა: „ამ დღეებში ვნახეთ ჩვენ ბ-ნი მურიეს წიგნი „ა ინგრელიე“ – „სამეგრელო“. წიგნი შეიცავს ბ-ნი მურიეს შრომის პირველ ორ თავს და მოგვითხრობს სამეგრელოს

---

[1] გ. ჩიტაია, ლექციების კურსი ზოგად ეთნოგრაფიაში, ხელნაწერი, გვ. 82.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 167.

[3] იქვე, გვ. 145.

[4] გ. ელიავა, წალკოტებისა და სამოთხეების საკითხისათვის სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილის ტოპონიმიკური მასალების შუქზე. თეზისები გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის IV სამეცნიერო სესიის მასალებში, ქუთ., 1963, გვ. 27-31.

ისტორიას, მეგრელთა მთავარს ეგროსიდამ ვიდრე 1867 წლამდე, ოდეს სამეგრელო რუსეთს შეუერთდა“[1].

მურიეს შრომა უაღრესად საყურადღებო წიგნია სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად. აქ წარმოდგენილი მატერიალური კულტურის ერთეულები და მათი აღწერილობა შესანიშნავ წარმოდგენას გვიქმნის მეგრელთა ყოფისა და კულტურის მრავალ საკითხზე.

მართალია, ბევრი რამ მის მიერ მოწოდებული ცნობა, ან ენის არასაკმაო ცოდნას, ან გადმოცემის არასწორ განმარტებას უნდა მიეწეროს, თუმცა ეს ხარვეზი ვერ ჩრდილავს შრომის უდავო მნიშვნელობას. მაგ., როცა იგი ყმა გლეხთა სოციალურ შედგენილობას აღწერს, ყმა გლეხთა სოციალური ფენის გვერდით ასახელებს „დოლმახორეს“, და მას თვლის ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ფენად ყმა გლეხთა სოციალური დიფერენციაციის დროს,[2] რაც არასწორია. „დოლმახორე“ მხოლოდ მეზობლის საერთო სახელწოდებაა და არა სოციალური ფენა.

დიდი და ფასდაუდებელია აკად. ნ. მარის, პროფესორების – ა. **ცაგარელის** და **ი. ყიფშიძის** დამსახურება მეგრული ენისა და სამეგრელოს ყოფისა და კულტურის შესწავლის საქმეში. პროფ. ალ. ცაგარელი დიდ ყურადღებას უთმობდა მეგრული ენის, ქართველური ენის ამ ერთ-ერთი შტოს შესწავლის საქმეს. აწყობდა მოგზაურობას საქართველოში და კერძოდ, სამეგრელოში, კრებდა ფაქტობრივ მასალებს და ეწეოდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას ენის, ისტორიისა და კულტურის დარგში. თავის შრომებში იგი არ კმაყოფილდება მხოლოდ ლინგვისტიკური, წმინდა ენათმეცნიერული ინტერესით. იგი იწერდა და აგროვებდა ფოლკლორულ მასალას, ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებს. მას ყურადღების გარეშე არ დარჩენია ისეთი, მისთვის შედარებით მეორეხარისხოვანი მასალა, როგორიცაა „ღობური ხიდები“[3].

მაგრამ ყველაზე ინტენსიური და დიდი მუშაობა ჩაატარა მხარის შესწავლის საქმეში, აკადემიკოს ნ. მარის დავალებითა და მითითებით, პროფ. ი. **ყიფშიძემ**. მართალია, იგი უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული იყო მხოლოდ ენათმეცნიერული საკითხებით, მაგრამ მისი საენათმეცნიერო შრომების უდიდესი და ფასდაუდებელი ღირებულება ისაა, რომ იგი შეიცავს მრავალ საინტერესო საკითხს მხარის ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესახებ. მან არაერთხელ იმოგზაურა სამეგრელოში, იყო თითქმის ყველა სოფელში. თვითონ შეისწავლა მხარე და აკრიფა ცნობები და მასალები, რომელთა საფუძველზეც შეადგინა მე-

[1] გაზ. „დროება“, 1883, 13 აპრილი, №76. გვ. 1-2.

[2] კრებული „ბატონყმობა სამეგრელოში“, თბ., 1927, თედო სახოკიას თარგმანი. გვ. 87.

[3] იხ. მისი Из поездки в Закавказской край летом 1877 года, პეტერბურგი 1878, გვ. 213.

ტად საინტერესო შრომა „Грамматика Мингрельского (Иверского) языка с хрестоматиею и словарем», Петербург, 1914 г.

პროფ. ი. ყიფშიძე და სხვა მოღვაწენი ეყრდნობოდნენ ადგილობრივ ინტელიგენციას, რომლებიც იცნობდნენ თავიანთ მხარეს, გულისყურით აღრიცხავდნენ ყოველ მასალას და ცდილობდნენ მის პოპულარიზაციას. ასეთ მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია **ი. ქობალია**, რომელიც XIX საუკუნის პერიოდულ ლიტერატურაში აქვეყნებდა წერილებს მხარის ყოფისა და კულტურის საკითხებზე. კრეფდა ფოლკლორულ მასალებს და მათ თემატური კრებულების სახით აქვეყნებდა პრესაში. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შრომა: „Из мифической Колхиды“, რომელიც გამოქვეყნდა 1903 წელს, კრებულში „СМОМПК, выпуск XXXII“-ში. ი. ქობალია ამ შრომაში გადმოგვცემს მასალებს სამეგრელოში გავრცელებულ წარმართულ კულტთა და მათთან დაკავშირებული რიტუალის საკითხებზე. მას პირადად შეუსწავლია, ჩაუწერია ეს მასალები. იგი მასალებთან ერთად განიხილავს კულტთა წარმოშობის, მომდინარეობის საკითხებს, მათი მსახურების თავისებურებებს. ეს მასალები მხარის ყოფისა და კულტურის შემსწავლელთათვის ფასდაუდებელი წყაროა.

მხარის ისტორიის და ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში დიდი მუშაობა გასწიეს ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა – **რაფიელ ერისთავმა, იონა მეუნარგიამ** და **თედო სახოკიამ**. იონა მეუნარგიამ თავის წერილებში და, განსაკუთრებით შრომაში – „სამეგრელო დავით დადიანის დროს“ – დაბეჯითებით და დაკვირვებული სწავლულის თავალთახედვით აღწერა ოქტომბრის რევოლუციამდე სამეგრელოს მეურნეობის, ყოფისა და მატერიალური კულტურის მასალები. შრომაში ჩვენ ბევრ ისეთ ცნობას ვპოულობთ, რაც იმ პერიოდში მხარისათვის დამახასიათებელი იყო და რასაც იშვიათად თუ შევხვდებით სხვა წყაროებში: კიდევ უფრო საინტერესო და მრავალმხრივი იყო თედო სახოკიას მუშაობა ეთნოგრაფიის დარგში. მისი „ეთნოგრაფიული წერილები“ და სხვა, მეტად მდიდარ და მრავალმხრივ საყურადღებო მასალებს შეიცავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების აღმავლობა საბჭოთა საქართველოში და ქართული ეთნოგრაფიული პუბლიკაციები, რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთოდ კოლხეთის და, კერძოდ, სამეგრელოს ეთნოგრაფიის შესწავლას. ჩვენი შრომა ამ დიდი მუშაობის მხოლოდ მცირე ნაწილია. ჩვენ მიზნად დავისახეთ აღმოსავლეთ სამეგრელოს ოქტომბრის რევოლუციამდელი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესწავლა ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალების საფუძველზე.

აღმოსავლეთ სამეგრელო ძირითადად ორი მდინარის – ტეხურისა და აბაშის აუზშია გაშლილი. აქაური ბუნების რელიეფის თავისებურება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხალხის საქმიანობის და ცხოვრების მრავალმხრივ განვითარებისათვის. სამეგრელოს თვალწარმტაცი ბუნებით მოჯადოვებული ა. ლამბერტი წერდა: „ბუნებას უხვად დაუბერტყია სამეგრელოსათვის თავისი კალთა და მიუცია მოხერხებული და მშვენიერი მდებარეობა. სამეგრელო მდიდარია ამწვანებული გორაკებით, ვრცელის ველებით, კეკლუცის ჭალაკებით, მდინარეებით, ღელეებით და წყაროებით, რომელიც ყოველმხრივ ჩამოუდის“.

მდინარე ტეხური მოედინება ეგრისის მთაგრეხილის სამხრეთი კალთებიდან, ჭრის მის მაღალმთიან გულს და იკაფავს ბარისაკენ გზას, ტალერთან ფართოდ ივაკებს, სალხინოს ველზე ვრცელ ჭალებს კაფავს, თამაკონთან უნაგირას მთას ამოწოლილი, მიედინება ლეძაძამისაკენ, სადაც მცირე ხანს ისევ ივაკებს, შემდეგ უნაგირას გულს გლეჯს ნოქალაქევთან და, აბაშასთან ერთად, ერთხანს ნარიონალ ჭალას კვეთს, შემდეგ მასთან შეერთებული, ისულასაკენ ჭრის ვრცელ ვაკეს და ისულასთან, ამ უძველეს, ელინისტურ კოლხურ ქალაქთან, უერთდება რიონს. თამაკონთან, მის მარჯვენა მხარეზე, ისევ ზეგნებია აღმართული, რომელზედაც გურძემი, კიწია, დოშაყე და ჟინოთა მდებარეობს.

მდინარე აბაშა რაჩხის მთის შიშველი მკერდიდან გადმოედინება, შემდეგ ბალდის მთიან იწროებში იკაფავს გზას ინჩხურამდე. გაჭედილთან ტინის იწროებში მომწყვდეული მრავალ ჩანჩქერად ვარდება ოფუცხოოს ღრმულში. აქ იქმნება შესანიშნავი წყალვარდნილი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში ერთ-ერთი პირველი ელექტროსადგურის ბაზად გადააქცია. ინჩხურთან შედარებით უფრო თავისუფლად იკაფავს გზას, ხოლო სოფელ სერგიეთის შემდეგ ლაღად მიედინება ვრცელ ჭალებში. მდ. აბაშას ბოგაშთან შეერთვის მდინარე ინჩხია, რომელიც ინჩხურში, ტაბაკოლას მთიდან იღებს სათავეს. იგი თევზის სიუხვით ხასიათდება. აბაშის მთელი მარცხენა მხარე გაწოლილია ცხენისწყლისპირეთამდე. ცხენისწყალს ამ მხარეზე ჩასდევს მდინარე ნოღელა. მას მეტად უხვი შლამი მოაქვს, რომლითაც განოყიერებული ნიადაგი 20-30 წლის განმავლობაში უხვ მოსავალს იძლევა ხოლმე. „ესაა რაიონი ყომრალი, ნეშომპალა-კარბონატული, ყვითელმიწა და წითელმიწა ნიადაგებისა“, – წერს აკადემიკოსი ნ. კეცხოველი. ამ მეტად საინტერესო რელიეფურ მასივზე, მდინარე ტეხურისა და აბაშის ხეობებში, უხვად არის შემონახული ჩვენი ხალხის მრავალათასწლოვანი ისტორიის შესანიშნავი მოწმეები, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის სფეროში. წინამდებარე შრომაში, ეთნოგრაფიულ მასალე-

ბზე დაყრდნობითა და ტოპონიმიის მოშველიებით, ვიხილავთ აღმოსავლეთ სამეგრელოს მოსახლეობის სამეურნეო ყოფას და მასთან დაკავშირებულ ყოფა-ცხოვრებით მოვლენებს საერთოდ.

## თავი პირველი. ხალხური ნიადაგმცოდნეობა

სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელშიც მიწათმოქმედებას მთავარი ადგილი უკავია. ისტორიულად ქართველი ხალხისათვის მიწათმოქმედება სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი[1] და წამყვანი დარგი იყო.

საქართველოში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალები თვალნათლივ ადასტურებს ამ აზრის სისწორეს. ხორბლის მარცვლები ნაპოვნია III ათასწლეულის საცხოვრებშიც კი[2]. თოხები, ნამგლის პირები, კევრი და სხვა სასოფლო-სამეურნეო, სამიწათმოქმედო იარაღი ჩვენი ერის უძველესი საყოფაცხოვრებო ინვენტარია. ასურული, ბაბილონური, ურარტული და ბერძნული წყაროები მიუთითებენ ძველ საქართველოში დაწინაურებულ მიწათმოქმედებაზე. პურის და ღვინის, თაფლისა და საქონლის სიუხვეზე. უძველესი დროიდან „კოლხიდაში მნიშვნელოვან აღმავლობას აღწევს სოფლის მეურნეობა: მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა“, – ვკითხულობთ კრებულში „Народы Кавказа“.[3] კლასიკური ხანის ბერძნული წყაროების მითითებით კოლხეთში სოფლის მეურნეობის დონე მეტად მაღალი ყოფილა. აქ დაწინაურებული იყო მემინდვრეობა, მევენახეობა, მებაღეობა.[4]

კარგადაა ცნობილი მიწათმოქმედების კულტურაში სახნავ-სათესი ნიადაგების მნიშვნელობა, რომელიც, პირველყოვლისა, მიწათმოქმედს უნდა სცოდნოდა. ეს ცოდნა შემუშავებული იყო ხალხში საუკუნეთა განმავლობაში და თაობიდან თაობაზე გადადიოდა. გლეხკაცმა კარგად იცოდა ნიადაგის თვისებები და თავისებურებანი და ამის მიხედვით მას იგი სხვადასხვა ჯგუფად ყოფდა. ამასთან, თითოეული ჯგუფის დამახასიათებელ ნიშნებს უშუალო მწარმოებელი გამოცდილების მიხედვით თავის სამეურნეო საქმიანობაში წარმატებით იყენებდა. საუკუნეების განმავლობაში დაკვირვებას, მის გულდაგულ შესწავლას აწარმოებდა. „იმისდა მიხედვითაც, თუ მეურნეობის რომელი დარგისთვის იყო მიწა ბუნებითა თუ მდებარეობით, ანდა ნიადაგის თვისებით შესაფერი-

[1] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 32.
[2] ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 87.
[3] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 55, 60-62.
[4] იქვე, გვ. 84.

სი და განკუთვნილი, თვითეულს თავისი აღმნიშვნელი ტერმინი ჰქონდა“ – წერს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი. ტრადიციულად ნიადაგების ხალხურ კლასიფიკაციაში მთავარი ყურადღება ექცეოდა მათ სახეობრივ დაჯგუფებას. ეს ტრადიცია დაფუძნებული იყო ნიადაგის ორგანულ თავისებურებათა ცოდნაზე. მეგრელი გლეხკაცი იცნობდა შემდეგი სახის ნიადაგებს:

**1. უჩადიხა, დიხა უჩა** (შავმიწა). უჩადიხა უფრო მეტად ველიანი და ტყიანი საყანე მიწებია. „აქ ყოველი მცენარე ძლიერ ხარობს და უხვ მოსავალსაც იძლევა. მიწა საფანტივით შავია, რბილი. დასამუშავებლად სასიამოვნო, არ იწებება, ლაგოზი არ არის. ოგაფას (კავი) და ბერგს (თოხი) კარგად ყვება, მაგრამ თუ ხშირად არ გათოხნე, სწრაფად ერევა სარეველა ბალახი, როგორც სასარგებლო, ისე უსარგებლო მცენარეები ადვილად იკიდებენ ფეხს, კარგად ხარობენ და ხშირად თუ არ ჩაერიე, სასარგებლოს უსარგებლო დასჯაბნის ხოლმე“ – გვიამბობდა 80 წლის მოხუცი აკაკი გაბისონია.

უჩადიხა ან შავმიწა უფრო მეტად გამოყენებული იყო სიმინდისა და ხორბლის ქვეშ, ან კიდევ წაკორტის (წალკოტის) და ორტვიის (ბოსტანი) მოსაწყობად. ბანძაში მასზე სამოთხე ყოფილა. დღესაც ამ უბანს სამოთხეს ეძახიან, ეკლესიას – **სამოთხე კარის ეკლესიას**, ხოლო ტყეს – **სამოთხეში ტყას** (სამოთხის ტყეს).

„შავმიწები თავისი ქიმიური შემადგენლობითა და ფიზიკური თვისებების მიხედვით მაღალ ნაყოფიერ ნიადაგებს წარმოადგენენ. ამის გამო ამ ნიადაგების ზონა, მიწათსარგებლობის მეტად მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება... შავმიწას ახასიათებს ჰუმუსისა და ნაცრის ელემენტების დიდი რაოდენობა“[1].

შავმიწა ნიადაგი ოდითგანვე იხმარება მარცვლეული კულტურის, ბაღჩეულისა და ბოსტნეულის სათესად.

„დიხაშხოს“ და „უჩა-დიხას“, ან შავმიწას გურიასა და სამეგრელოში ხალხი ისეთ თიხნარ, ან ქვიშნარ ნიადაგს უწოდებს, რომელიც საკმაო სიღრმეზე შავი მიწის, ან ნეშომპალის (перечная) შემცველია. შავმიწა მეტად მოსავლიანია და როგორც პურეულის მოსაყვანად არის გამოსადეგი, ისევე ვაზის გასაშენებლად“[2].

შავმიწა აბაშისა და ტეხურის ხეობების მრავალ ადგილას გვხვდება: მარსილის ველი აბაშის ორივე სანაპიროზე, თეკლათის მიდამოები ოფაჩაფუს ტერიტორიაზე, ეწერის მასივის ნაწილი აბაშის რაიონში,

[1] Народы Кавказа (Серия народов Мира), т. II. М., 1962 г., стр. 214.

[2] იქვე, გვ. 214.

ონოღიის და ნაჯახაოს მასივი მდ. ნოღელის სანაპიროზე, ხუნწის ცხენისწყლისპირა ველები, სალხინოს მიდამოები ტეხურის სანაპიროზე, კურზუსა და ბალდის მთისპირა მასივები ნიადაგთა სახეობების თავისებურ კონგლომერატს წარმოადგენს. მათ შორის გარკვეული ნაწილი შავმიწა ნაკვეთებს უჭირავს, რომელიც ჰუმუსისა და ნაცრის საკმაოდ დიდი შემცველობით ხასიათდება. ამ მასივებზე ეს ნაკვეთები ადრიდანვე მაღალმოსავლიან მარცვლეულ კულტურათა ნაკვეთებადაა ცნობილი, ხოლო ჭყონის მიდამოებში შავმიწიანი ნაკვეთები დაჭაობებულია და ტყიან, ჩირგვნარ ლაქაშებში ჭაობიანი საფარველითაა დაფარული.

**2. ჭითადიხა** – წითელმიწა, წებოვანი და ლაგოზი, დასამუშავებლად ძნელი, ალუვიური ხასიათისა, გვიმრიანი და ჯაგნარი, ხშირად სტერიზირებულ ქანამდე დასული და უმოსავლო. უკანასკნელს ოტურე და ონგერე ადგილებს ეძახიან. ისინი დაბალი ბუჩქნარებითა და ჭილითაა დაფარული, ხშირად „ონწარესაც“ ეტყვიან, დაჭაობებული, წყლიანი და გაუვალი. ამ ადგილების მიწა უფრო კერამიკულ წარმოებაში გამოიყენება. სოფ. თამაკონსა და ნამიკოლოუში არის **ოკოტუე** და **ოლაგვანე** მიწები. მსგავსი მასივებია მდ. ტეხურის სანაპიროზე, მთელ ნამიკოლაოში, გურძემსა და კიწიის ნაწილში.

ჭითადიხას დიდი ნაწილი მთის შეფენაზეა, ან მის ბორცვიან კალთებსა და ფერდობებს მიუყვება. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ერმ. ნაკაშიძის ცნობით, „ჭითა დიხა“ თითქოს თიხიან, მძიმე, ღია ფერად შეღებილ და ნეშომპალის ნაკლები ოდენობის შემცველი თიხიანი ქვენიადაგის მქონებელი ადგილის აღმნიშვნელი უნდა იყოს. მაგრამ თვით სახელი მეგრულად წითელმიწას ნიშნავს და უეჭველია ასეთი ფერის ნიადაგის აღმნიშვნელი უნდა იყოს კიდევაც“[1].

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, წითელმიწა ნიადაგის დიდი ნაწილი გამოწოვილ (გითოწირიი), სიმსუქნედაკარგულ ნიადაგებად ითვლება და მისი განსაკუთრებული განოყივრებისა და გაწმენდის შემდეგ ითესება ხოლმე, ნაწილი კი, მაგალითად, სალხინოს წაჩხურისპირა მასივი, ნახუნაოს წითელმიწა ნიადაგები, აბაშისპირა მასივები მევენახეობის უბნად ითვლება. აბედათის წითელმიწა ნიადაგოვანი ფერდობები ოდითგან ხილეულისა და ვაზეულის ადგილად და ამ მხარეში ხილის ბაღადაა მიჩნეული.

„მეჩაიეობისა და მეხილეობა-მევენახეობის ქვესარტყელს მთისწინა კალთები და შემაღლებული ვაკე უჭირავს, კოლხიდის ჩრდილოეთ ფარგლებში ქუთაისის რაიონის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, წყალტუბოს,

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 1, თბ., 1930, გვ. 317.

წულუკიძის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გალის, ოჩამჩირის, გუდაუთის და გაგრის რაიონების ზღვისაკენ მიქცეული დასავლეთი მხარე. ესაა რაიონი ყომრალი, ნეშომპალა-კარბონატული, ყვითელმიწა და წითელმიწა ნიადაგებისა...

...სამეგრელო-აფხაზეთის წითელმიწა ნიადაგები, – წერს აკად. ნ. კეცხოველი, – აჭარა-გურიის წითელმიწებზე უფრო ღია ფერისაა, რადგან მასში რკინის ჟანგი უფრო მცირე რაოდენობით არის და ამიტომ ისინი ხშირად ყვითელმიწა ან ყომრალ ნიადაგებს უახლოვდებიან"[1].

**3. ჭუბურდიხა** – წაბლამიწა. იგი მურა წაბლისფერია, ნაყოფიერი, ტყიანი და უხვმოსავლიანი. „ამ მიწას ურევენ წითელმიწას და იყენებენ ქვევრების (ჲაგვანების) დასამზადებლად. იგი საუკეთესო საჲაგვანო მიწაა" – გვარწმუნებს 80 წლის მოხუცი მ. კვაშილავა.

„სამეგრელოში, – წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, – ნიადაგის ერთ-ერთ სახელად დიხა-ჭუბერიც არსებობს. ეს სიტყვა, პროფ. იოს. ყიფშიძის ცნობით, ეწოდება „თეთრ მიწას, რომელსაც საპნის მაგიერ თავის დასაბანად ხმარობენო" (მეგრ. გრ. ლექსიკ., 227), თავისთავად, „**დიხა-ჭუბერი**" თეთრ მიწას არ ნიშნავს, ამ ტერმინის მეორე ნაწილი **ჭუბერი** – ალბათ ჭუბურის ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს, ჭუბური კი წაბლის ფონეტიკური შესატყვისობას წარმოადგენს. ჭანურად წაბლს სწორედ **ჭუბერი** ეწოდება, მაგრამ **ჭუბრიც** იხმარება. ამნაირად საფიქრებელია, რომ **დიხაჭუბერი** თავდაპირველად მიწა-წაბლის, ე. ი. წაბლისფერი მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. თუ ჩვენი მოსაზრება მცდარი არ არის, ამიტომ თავისსაბანი მიწა თეთრი კი არა, მკრთალი წაბლისფერი მაინც უნდა იყოს"[2].

ივ. ჯავახიშვილის დაეჭვება და დასკვნა სავსებით სწორია. ჭუბერი დიხა ან დიხაჭუბერი წაბლისფერი მიწაა, ხოლო თავსაბან მიწას, ან გუმბრინს თეთრმიწას ეძახიან. მაგალითად, სოფ. ლებაჩეში, სადაც ამ მიწის კარიერია, ან კიწიაში, ასეთ მიწას თეთრ მიწას ეძახიან და მასზე არც არაფერს სთესენ, არც არაფერი მოჰყავთ. იგი უფრო მთის ციცაბო ფერდობის სრულიად უმოსავლო, ტკილიანი მიწაა, რომლის ნესტიან გულს ფენა-ფენად იღებენ, ზელენ და ყიდიან თავსაბანად. არავითარი წაბლისფერი არაა და პატივცემულ პროფ. ი. ყიფშიძის ცნობა აქ ცნობის მიმწოდებლის არასწორ ინფორმაციაზეა დამყარებული. **ჭუბურდიხა** კი საკმაოდ ნოყიერი, მოსავლიანი, დასამუშავებლად კარგად მისადგომი ადგილების ნიადაგია. მასზე, გარდა ხეხილისა, თესენ პურეულსაც

[1] დ. გედევანიშვილი, გრ. ტალახაძე, ნიადაგმცოდნეობის კურსი, თბ., 1961, გვ. 277-278.
[2] ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, თბ., 1934, გვ. 119.

და ბოსტნეულსაც. იგი ასეთად ჰქონდა და აქვს მიჩნეული ოდითგანვე გლეხკაცს.

**4. ენწერი** – წითელმიწა, ხშირად სრულიად გამოფიტული და უმოსავლო, დასამუშავებლად მაგარი, წებოიანი. პროფ. მ. საბაშვილი წერს: „ეს ნიადაგები უმეტესი ფართობით ახასიათებენ მდინარე კოდორის ტერასებს, მდ. ენგურის ტერასებს, აბაშის რაიონს, სამტრედიის რაიონს, მდინარე რიონის, ცხენისწყლის, ყვირილის ზედა ტერასებს და სხვა რაიონებსაც. განვითარებულია ალუვიურ ნაფენებზე, ამ ნიადაგებს ახასიათებს ძლიერი გამორეცხვა (გამოფიტვა) და მკაფიოდ გამოსახული ეწერის ხასიათი“[1].

ასეთ ნიადაგებს ლაგოზსაც ეძახიან. ლაგოზი წებოიან ნიადაგს ეწოდება. ეკვრის, ეწებება სახვნელს, ადამიანის ფეხს, ამიტომ ძნელად დასამუშავებელია, წვიმიან ამინდში გაუვალიც კი. **ლაგოზი** მიწის თვისების აღმნიშვნელ და დამახასიათებელ სიტყვად გურიაში ეხლაც ცოცხალია. იქ ლაგაზია ისეთ ეწეროვან ნიადაგს ეწოდება, რომელიც ჯერ კიდევ გამოუფიტავი თიხოვანი და თიხა-კიროვანი ფიქალის თხელ ქვენიადაგზეა დაფუძნებული. იგი მწირსა და იმდენად მცირე-მოსავლიან მიწას წარმოადგენს, რომ იქ გვიმრაც კი ხეირიანად ვერ ხარობს, თუმცა იგი საკმაოდ კარგად იზრდება“ – წერს ივ. ჯავახიშვილი[2].

დღეს ასეთ ნიადაგზეა მასიურად ჩაის პლანტაციები გაშლილი.

**5. მეიჭვიი** – ალუვიური ნიადაგების განსაკუთრებული სახეობაა, წითელმიწა ნიადაგი კაჟისა და ნაცრის წვრილმანი მარცვლების შემცველი. იგი უფრო გაეწერებული წითელმიწაა. „ამ ნიადაგებს ახასიათებს მცირე სისქე, ძლიერი ხირხატიანობა და მუქად შეფერილი ჰუმუსიანი ფენა. ისინი გავრცელებულია, – წერს აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, – კავკასიონის კირქვიან კალთებზე (აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი). ეს ნიადაგები სუბტროპიკულ მრავალ კულტურისათვის გამოუსადეგარია (ჩაი, ტუნგო). მათზე უმთავრესად აშენებენ ვაზს, ციტრუსებს, დაფნას და სხვა“[3].

**6. ფაქარი** – მსუბუქი, რბილი, ნაცარივით ფხვიერი, ღია ნაცრისფერი ნიადაგი, ხშირად კირქვიანი ფერდობების ველიანი, ადვილად დასამუშავებელი, მაგრამ ნაკლებად ნაყოფიერი. გვხვდება ბორცვის კალთებზე, ეწერ მასივთა შორისაც. ასეთ ნიადაგებსაც ფურცუ – უმოსავლო, გამოწოვილ-გამოწურული ნიადაგებს უწოდებენ.

---

[1] საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II. თბ., 1934, გვ. 121.

[2] კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957,. გვ. 87.

[3] დასახელებული ნაშრომი, ტ. II. გვ. 121.

**7. ნატებერა** – ოდესღაც ტყიანი, შემდეგ მოშიშვლებული ველიანი, მურა წაბლისფერი ნიადაგებით. საშუალო მოსავლიანი, დასამუშავებლად მაგარი.

**8. კადარი** – ქვიანი ფერდობებია, ხშირად ჯაგიანი, ძნელად დასამუშავებელი, უმოსავლო. ზედ მხოლოდ მაღალი ხურმის ხეები ხარობდა და შონური ან ოჯალეშის მაღლარი იყო მიშვებული. ასეთი მიწები, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება ბარშიც. მათ გაჯარი, კაჭარი, კეჭეხი ეწოდება. კადარი მთელი სოფელია აბაშაში, ხოლო სოფ. ვედიდკარს გაჯარს ეძახიან. აკად. ივ. ჯავახიშვილი სამეგრელოში ქვიან ადგილს ქუალონს ეძახის, დასამოწმებლად ტერმინი ქუალონი მოაქვს[1]. ეს სწორია, რადგან ზოგან კადარ ნიადაგებს ქუალონსაც ეძახიან. მაგალითად, სოფ. კიწიაში ასეთ ადგილს „ქუალონი“ ქვია.

**9. ჭაე||ჭალე** – ნამდინარევი. მდინარის მიერ მოშლამული, მოქვიშული ადგილები. ხშირად ქვა-ღორღით დაფარული, შავი, ქვიშიანი, ძლიერ ნაყოფიერი ნიადაგი. ეს სახელწოდება დამოწმებული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს. თუმცა იგი აქვე იყენებს ასეთი ნიადაგის მეორე უფრო ძველ სახელწოდებას – მერე, რაც ჩვენ ადგილზე აღარა გვაქვს აღნიშნული.

გარდა ამ თვისობრივი, სახეობრივი დაყოფისა, გლეხკაცი ოდითგანვე ნიადაგებს დამუშავების სირთულის მიხედვითაც განასხვავებდა ერთმანეთისაგან და შესაფერის სახელებსაც არქმევდა მათ.

**1. ფაქარი** – გარდა იმისა, რომ ფაქარი განსაკუთრებული სახეა ნიადაგისა, იგი ნიადაგის გარკვეული ჯგუფის ზოგადი სახელიცაა. ფაქარი ადვილად დასამუშავებელ, რბილ ნიადაგს ჰქვია. აქ გლეხი უფრო მსუბუქ იარაღს იყენებს. ნიადაგს საშუალო სიღრმეზე ხნავს, რადგან ასეთი რბილი ნიადაგი დასტრუქტურების დიდ სიძნელეს არ უქმნის ადამიანს, ნაკლებად მძიმე გამაფხვიერებელ იარაღებს (ჩარტი – ფარცხი) იყენებს. ღარებსაც, წყალსაწრეტ არხებსაც, ნაკლებად ღრმას და განიერს აკეთებს.

**2. გაჯარი** – გარდა იმისა, რომ გაჯარი ნიადაგი ქვიანი ნიადაგის კერძო სახელია, ასევე, ქვიანი, ჯაგიანი, ძნელად მოსაძირკვი და დასამუშავებელი ადგილების ზოგადი სახელწოდებაცაა. შეიძლება ხშირქვიანი არაა ადგილი, მაგრამ ჯაგიანი, ჩირგვიანი და მძიმედ დასამუშავებელია. მასზე იტყვიან – გაჯარი ადგილიაო, და უფრო ბასრ და მრავალფეროვან იარაღსაც იყენებენ ხოლმე.

---

[1] მ. საბაშვილი, საქართველოს სსრ ნიადაგურ-გეოგრაფიული დარაიონების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, თბ., 1949, გვ. 363.

**3. ქუალონი** – ქვიანი, მძიმედ დასამუშავებელი ადგილია, გაჯარი, კეჭეხი, კაწარი ადგილი. მის დასამუშავებლად განსაკუთრებული იარაღიც აქვს მეგრელ გლეხს.

**4. ჟაგოზი||ლაგოზი** – მძიმე, წებოვანი, ეწერი და გაეწრებული ნიადაგები, რომელთა დამუშავება უნდა მოხდეს ტენიან, მაგრამ არა ძლიერ ტენიან პირობებში. ასეთი ნიადაგი გამომხმარ, გვალვიან პირობებში ქვასავით მაგარია, ხოლო წვიმიან ამინდში წებოვანი. მისთვის განსაკუთრებული ამინდი და განსაკუთრებული იარაღია საჭირო. „ჟაგოზ მიწას ძალიან ვერიდებოდით, მაგრამ თუ იძულებული გავხდებოდით დაგვემუშავებინა, მაშინ განსაკუთრებულ დროს და საკმაოდ მჭრელ იარაღს ვარჩევდით, თანაც ნაკელით და ტკილით ვანოყივრებდითო“ – გვიამბობდა მოხუცი კოლმეურნე ა. წულაია.

**5. დიხა მანგარი** – ფაქარი მიწის საპირისპირო ნაკვეთების ზოგადი სახელწოდებაა. მაგარი, მძიმედ დასამუშავებელი, ზოგჯერ ჟაგოზიც, ეწერი, თიხიანი, წითელმიწა. ასეთ ნიადაგს უფრო ღრმა ხვნა, უფრო გულდასმითი მოფარცხვა და ორ-სამჯერ დამუშავება სჭირდებოდა. „ასეთი მიწა ახალ ნახნავზე თუ წვიმით ჩაიტკეპნებოდა, ან გვალვით გამოშრებოდა, ხელახალი აჩეჩვა, აღარვა იყო საჭირო. ისე მეორე, სათეს ხვნას ვერ ვაწარმოებდითო“, – გვარწმუნებდა კოლმეურნე თომა ბართია.

ნიადაგი ხარისხის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყო დაყოფილი:

**1. გითოწირიი** – სრულიად უმოსავლო, გამოწოვილი, ხანგრძლივი ხმარების გამო სიმსუქნე დაკარგული ნიადაგი, რომელსაც ხანგრძლივი შესვენება და გამდიდრება სჭირდებოდა.

**2. გინოშულადირი** – გადაღლილი, რომლის ორი-სამი წლით დასვენება კვლავ აღადგენდა და სრულფასოვან სავარგულად გახდიდა ისევ.

**3. კაბეტი** – ყამირი. დიდი ხნით დასვენებულ, ან სრულიად აუთვისებელ სავარგულს, მეგრელი გლეხკაცი მხოლოდ გარკვეულ პერიოდში იყენებდა. კაბეტი ტყეც იყო და შიშველი მინდორიც, მთის ფერდობიც და ველიანიც (კაბეტის ან ყამირის გატეხვას „კაბეტიში გოტახუას“, ყამირის გატეხვას უწოდებენ; განატახას – ყამირი გატეხილს ნიშნავს). კაბეტის ან ყამირის გატეხვა მრავალსაუკუნოვან ტრადიციად ჩანს აქ კაბეტის გატეხვა ხდებოდა საკარმიდამო შემოგარენშიც და მის გარეთაც.

**4. დიხა მოკა** – მძიმე მიწა. მას **ეფშადიხას** ან **ოჩხონაფუს** ეძახიან (ეფშადიხა – სავსე მიწა და ოჩხონაფუ – საცხონებელი). მიწა, რომელიც ძლიერ ნაყოფიერი და ყოველმხრივ გამოსაყენებელი და გამოსადეგია.

ამრიგად, სოფლის მეურნეს ნიადაგი ორ უმთავრეს ჯგუფად ჰქონდა დაყოფილი: გითოწირიი, ღარიბი და დიხა მოკა. გითოწირიი უნდა

გამდიდრებულიყო, აღდგენილიყო, ხოლო დიხამოკა უშუალოდ უნდა გამოყენებულიყო.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გლეხს მარტო სახნავ-სათესად როდი ჰქონდა გამოყენებული. მიწის ნაკვეთების სამეურნეო სპეციალიზაცია მრავალფეროვანი სახით იყო წარმოდგენილი:

**1.** კარ-მიდამოს ან სახლის კეთილმოსაწყობად საჭირო ხე-ტყის გასაჩეხად გლეხს კარ-მიდამოში, ან მის მახლობლად, ჰქონდა **საჩეხი**, ანუ მცირე ტყე, საგულდაგულოდ მოვლილი კორომებით. ერთ წელიწადს ამ კორომებს მოჭრიდნენ, ნიადაგს ზედაპირულად მოასუფთავებდნენ და ნაკვეთზე დათესდნენ სიმინდს. ორი-სამი წლის შემდეგ, როცა ტყე მოიზრდებოდა, თესვას თავს მიანებებდნენ. ასეთ ნაკვეთს **საჩეხს** ეძახდნენ.

**2. ოთიფური** – სათიბები. თუ შინაური საქონელი ზაფხულობით მთისა და ბარის გაშლილ იალაღებზე ძოვდა, ზამთარში ბაგურ კვებაზე იმყოფებოდა. საზამთროდ საქონლის საკვებად საყოფი რაოდენობით ამზადებდნენ, ჩალის გარდა, თივასაც. სახელწოდება „ოთიფური“ ხშირად გვხვდება ადგილობრივ ტოპონიმიკაში.

**3. საბალახო||საონდიარო** – ტყისპირა და მთის ველიანი, ხშირად ჩირგვნარი და ტყიანი ადგილები; ასეთი საბალახოები ზოგჯერ ეზოს განაპირა ნაწილში ჰქონდათ დატოვებული. ასეთი ნაკვეთების მორიგეობით გამოყენება და დასვენება ფართოდ იყო გავრცელებული. ამიტომ ხშირად ერთი ნაკვეთი მეორე ნაკვეთისაგან გამოყოფილი იყო და მონაცვლეობით გამოიყენებოდა ხოლმე.

**4. საცვანო** – საყანე ადგილები, ნაყოფიერი, მზისგული, ტენიანი ნიადაგებია. ასეთ ნაკვეთებზე გამოყენებული იყო თესლბრუნვა. მორიგეობით თესდნენ ჭვავს, პურს, სიმინდს. თესვის პერიოდთა შორის ხშირად ასვენებდნენ ხოლმე კიდეც.

საყანე ნაკვეთების შემცირება არ ხდებოდა. მას ყოველწლიურად ახალი ფართობებით ზრდიდნენ (ახოს აღებით, მდინარის გადაგდებით და სხვ.). პროფ. გ. ჩიტაია წერს: „პირველად ამგვარ ნაკვეთზე (ლაპარაკია ახოზე – გ. ე.) თესავდნენ ფეტვს, შემდეგ ქერს, მას შემდეგ სიმინდს და მეოთხე წელს კი ხორბალს. ამის შემდეგ თუ მიწა კვლავ ნაყოფიერი რჩებოდა, კიდევ ერთხელ თესავდნენ ჯერ სიმინდს და მერე ხორბალს. ქერის ან საშემოდგომო ხორბლის შემდეგ ამ ნაკვეთზე თესავდნენ სიმინდს, რომელიც ყოველთვის ბოლომდე მწიფდებოდა“[1].

[1] გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IV, ნაკ. II., თბ., 1959, გვ. 152.

ყანებს გლეხი გამუდმებით უვლიდა, წმენდდა, ანოყიერებდა, წრეტდა, ან წყალს მიუშვებდა ხოლმე, შემორაგვავდა. ნიადაგს ყოველთვის ხელს უწყობდა ეფექტიური სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის.

**5. ტყა** – ტყე. ტყიანი მასივები მთებსა და გორაკებზე იყო, მაგრამ ზოგან სოფელშიც, საკარ-მიდამო ნაკვეთზე ჰქონდა გლეხს შიარონა – ტყიან-ჩირგვნარი ნაკვეთი, ასევე, საჩეხიც. ეს ნაკვეთები ჭარბი ნესტისაგან იცავდნენ ეზოს, ჰაერს წმენდნენ და ჩრდილს ქმნიდნენ, ხე-ტყე მასალასაც აძლევდნენ პატრონს. ერთი სიტყვით ამ შიარონას გარეშე აქაურ გლეხს წარმოუდგენლად მიაჩნდა კარ-მიდამოს მოწყობა (ასე იყო გურიასა და იმერეთშიც; კასტელის ალბომში დაცული კარ-მიდამოთა ჩანახატები ამაზე კარგად მიუთითებენ). ამასვე აღნიშნავს არქანჯელო ლამბერტიც თავის აღწერაში.

**6. ნაშენი** – ნაკვეთი, რომელზეც გაშენებულია ვენახი და ბაღი. ხურმის, ვაშლისა და მსხლის ხეებზე მიშვებულია მაღლარი ვაზი – ოჯალეში. ოქტომბრის რევოლუციამდე ნაშენი მემამულის მიწაზე ეწყობოდა, სოფლის განაპირას. მიწას გლეხი იჯარით იღებდა და განაშენების შემდეგ წილს იდებდა ამ ნაკვეთის შემოსავალში.

**7. მამული** – ფართო დობილოიანი, დობერა, ტყიანი ნაკვეთები, სადაც მაღალ ხეებზე მიშვებულია ვენახი. ასეთი მამული მხოლოდ მეთვალყურეობას და არა ხშირად გასხვლით ჩარევას და გამოწმენდას მოითხოვდა მხოლოდ. ეს მამული თავის მხრივ ოთხ სახედ იყოფოდა:

**ა. დობერა** – დობილოიანი, მაღლარ ვაზიანი, ნათელი ტყე[1].

---

[1] ასეთი ნაკვეთები აბაშის რაიონში, კადარისა და საჩიქვანოს მიდამოებში, სეფიეთსა და ინტოფოს გაშლილ ველიანებში გვაქვს, ტოპონიმების სახით ჩაწერილი. გეგეჭკორის, ცხაკაიას და ჩხოროწყუს რაიონებში დობერა ადგილები მთისა და გორაკის მზისგული, სამხრეთი ფერდობებია. ივ. ჯავახიშვილი წერს: „დოც. ვ. თოფურიასაგან შეკრებილი ცნობების მიხედვითაც, რომელთა მოწოდებისათვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, დობირა არის სამოსახლო და მასთან ახლო მდებარე ადგილები. ის განცალკევებულია ჭალისაგან, რომელიც საყანე ადგილებად ითვლება. მოხუცებულთ თქმით, დობირაში ძველად ყანა არ ითესებოდა, უმთავრესად ხეებზე იყო მირგული ვენახი (ე.ი. ვაზები), ხეებს იშვიათად სჭრიდნენო“ (საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II. გვ. 131). აქ ერთი შენიშვნა გვინდა გავაკეთოთ. აქ აღწერილი დობერა ან დობირა აბაშის რაიონის სინამდვილეში მინიშნულ ნაკვეთთა სახელწოდებაა. იგი გვიან მართლაც შედის საკარმიდამო ნაკვეთთა შემადგენლობაში. მაგრამ, ადრე, როცა ვენახიანი მასივები იყო, მაშინ დობირა ცალკე არსებობდა საკარმიდამო ნაკვეთის გარეთ. ასე ჩაგვაწერინა ეს 80 წლის მოხუცმა ს. მელიამ აბაშაში. რომ იგი ცალკე, ეზოსგარეშე ნაკვეთებია, ადასტურებს მთიანი სოფლების დობიროები. აქ ისინი სრულიად განცალკევებით, მაგრამ ხშირად საკარმიდამო ნაკვეთების ახლოს, გადასახედთან არის, რომ მისი დაცვა შესაძლებელი ყოფილიყო. დობერა აკ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, სავენახეს ზოგადი სახელწოდება უნდა ყოფილიყო სამეგრელოში. „დობინეხი, – წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, – სავენახოს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და ასეთი ტერმინის სამეგრელოში ოდესღაც არსებობის დამადასტურებელია

**ბ. ხიამი** – ხეხილნარი, რომელიც უფრო მეტად საკარმიდამო ნაკვეთის შემადგენლობაში შედის.

**გ. წაკორტი||წაკოლტი** – ბაღნარი, სალხენი და სანავარდო ადგილები. ასეთ ადგილებს გეგეჭკორის რაიონში, გარდა წაკორტებისა, სანავარდოსაც (მარტვილის მონასტრის მიდამოებში, აბედათში, ბანძაში) და სალხინოსაც ეძახიან.

**დ. სამოთხე** – „ბაღნარი". „სამოთხე" დამოწმებული გვაქვს სოფელ ბანძაში. იგი ეტყობა სამეფო-სარეზიდენციო, დიდი ბაღნარი იყო ოდესღაც, წყაროსწყლებით, ვაზისა და ხეხილის ვეებერთელა მასივი, ვარდ-ყვავილნარით მორთული და დამშვენებული.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარდა მიწის ნაკვეთებზე საკულტო და სხვა დანიშნულების ობიექტებიც იყო მოწყობილი. ეს ადგილებიც ხალხში გარკვეული სახელწოდებით იყო ცნობილი:

**1. საწისქვილო** – სოფლის განაპირას, ადგილი, სადაც პატარა ხევზე ან მდინარიდან გამოყვანილ წყალზე წისქვილი იდგა. თავადს და მდიდარ აზნაურს საწისქვილო ჰქონდა მოწყობილი თავის კარ-მიდამოშიც.

**2. ოჯარე, საჭარკუმო, ობურთე** – სოფლის ცენტრში მოთავსებული დიდი მოედანი, მუხისა და ცაცხვის ხეებით დამშვენებული. აქ საღამოობით სოფლის მცხოვრებლები იკრიბებოდნენ. იმართებოდა ჯარობა, ბურთაობა, გართობა, ცეკვა და თამაში, ხშირად დოღიცა და მარულაც. ეს ადგილები საყოველთაო მზრუნველობით სარგებლობდა სოფელში. ასეთი მოედნები სოფლის ღირსება და სიამაყე იყო.

**3. ოხვამე** და **ოხვამური ადგილები**. პირველზე ეკლესია **ოხვამე** იდგა, მას საკმაოდ ვრცელი ფართობი ეკავა. ხშირად ამ ფართობზე სათემო სასაფლაოც იყო მოწყობილი. ოხვამური კი სათემო ძირის ხატის, გვარის, ან ოჯახის ძირის ხატის სალოცავი ადგილია. ასეთი ადგილები შეიძლება სოფლის გარეთაც იყოს და ეზოს ნაპირზედაც. აქ მუხის ან ცაცხვის ხის ძირში ჩაყრილია საოხვამურო ქვევრები.

ეკლესიის მიდამოებში და მის გარეთ იყო ნახატური, ხატისათვის მიკუთვნებული მიწები, ან **ხატიში დიხეფი**, ხატის მიწები. ასეთ მიწებზე თემი საერთოდ მუშაობდა და მოსავალს ხატს სწირავდა, ეკლესიის მსახურთ უგზავნიდა. ამ ტრადიციაზე მიგვითითებდნენ მთხრობელები ინჩხურში – ა. უჩავა, კურზუში – ს. ნაჭყეპია, ნალეპსაოში – ნ. სილაგაძე, ძველ აბაშაში – ს. კორძახია და ა. შ.

---

ახლანდელი ობინეხე. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად დობირა სავენახე მიწას ნიშნავდა" (იქვე გვ. 134.).

საკვლევ რაიონში დამოწმებულია დედამიწის კულტის მიმნიშნებელი გადმონაშთებიც. ერთ-ერთი ასეთი დავამოწმეთ 1966 წელს, სოფ. კურზუში. 72 წლის მოხუცმა კოლმეურნე სოფრო სისოს-ძე ნაჭყეპიამ ხვნათესვის სამზადისთან დაკავშირებულ ძველ წეს-ჩვეულებებზე შემდეგი გვიამბო: „თესვის წინ ჩემი ბაბუა ხვამას აწყობდა. იგი გავიდოდა მინდორში. კავს მიწაში ჩასვამდა, ქუდს მოიხდიდა, დაიჩოქებდა, გობით პურის კვერებს, ღვინოს და წმინდა სანთელს დაიდებდა წინ. გობს მარჯვნივ შემოატრიალებდა სამჯერ, მიწაზე ღვინოს ზედაშეს მოასხამდა, მიწას აკოცებდა და ღმერთს შესთხოვდა: „ნერჩი პატონი, ღორონთი, ახაი მოსავაიში პირვეი დღას სქანი მარდიანი თოით გინმორჩქიი, ჯგირი მოსავაი ქომუჩი, ჩქიმ ჩიი დო სქუას ჯგირო მაახვარი“ (ნერჩი პატრონო, ღმერთო, ახალი მოსავლის პირველ დღეს შენი მადლიანი თვალით გადმომხედე, კარგი მოსავალი მომეცი, ჩემს ცოლ-შვილს კარგად მოახმარე). ღვინოს დალევდა, კვერს გატეხდა და შეჭამდა, შემდეგ ადგებოდა, მარჯვნივ მობრუნდებოდა, პირჯვარს დაიწერდა, ღვინოს ნარჩენს მიწაზე მოასხურებდა, ქუდს დაიხურავდა და „ოხოხოიას“ სიმღერით ხვნას შეუდგებოდაო“[1]. უდავოა, რაც არ უნდა ნაკლოვანი იყოს ეს აღწერილობა (რადგან დღეს ამ წესს არავინ ატარებს, სოფროც პატარაობისას შესწრებია მას და სრულყოფილად, უდავოა, ვერ აღწერდა), მაინც საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, რომ „ნერჩი პატონი“, ფუძის, ან მიწის ბატონი, მიწის ღვთაებაა, ბომონია. ხვნა მისთვის სათანადო რიტუალის გამართვის შემდეგ იწყება. ამ ღვთაების თვალის, გულის, მადლის მოსაგებად განსაკუთრებული რიტუალი ყოფილა საჭირო. შემდეგ ეს რიტუალი გაზაფხულზე, ხვნის დაწყების წინ სრულდება და მიწა ტყდება მხოლოდ ასეთი რიტუალის შესრულებით. ფუძის სალოცავი გასული წლის კარგი მოსავლის მადლიც იყო და ახალი წლის კარგი მოსავლის სათხოვარიც. დავით დიმიტრის-ძე ჯანჯღავა ასე აღწერს ამ რიტუალს: „ეს ხვამა სრულდებოდა დიდი მარხვის პირველ ნახევარში, ჯუმაშხა-ოთხშაბათ დღეს. ოჯახის უფროსი იხდიდა ამ სალოცავს. ჩვენს ოჯახში მას ბებია იხდიდა. იგი აცხობდა ლობიოიანი პურის კვერებს, მარხულობდა მთელი დღე, საღამოს კი ლოცულობდა. ნერჩი პატონს, ოჯუმაშხური პატონს სთხოვდა მისი შვილებისა და შვილისშვილების ბედნიერებას, მადლს უხდიდა გასული წლის შემოსავლისა და ოჯახის წევრთა ტანის სიმრთელის გამო და სთხოვდა ახალი წლის კარგ მოსავალს, ოჯახის ბედნიერებას და ჯანმრთელობას“[2]. დონა დიმიტრის ასული გე-

[1] 1966 წლის ექსპედიციის ჩანაწერები, გმმ ხელნაწერ მასალათა ფონდი, „ე“ ჯგუფი.

[2] იხ. მისი კრებული, 1963, გმმ სამეცნიერო ფონდი, ა. ჯგ., №12, გვ. 8.

გია-ელიავასი კი მიუთითებდა, რომ „ნერჩი პატონი, ოჯუმაშხური პატონი, ამ დღეს კარგი ოხვამურით კმაყოფილი, მადლიანი თვალით გადმოხედავდა და მთელი წელიწადი ოჯახისათვის ბედნიერი წელიწადი იქნებოდაო“.

ამ ჩვეულების სახით მიწის ღვთაებისადმი პატივისცემის რიტუალთან გვაქვს საქმე. მხარეში გავრცელებული მიწის გულის კოცნაც, ღვთაებისადმი ამბორის სიმბოლო უნდა იყოს. „ისე, როგორც ხატზე კოცნა სავალდებულოა, ისე იყო ძველი კაცისათვის სავალდებულო მიწის გულის კოცნა ხვნის დაწყების წინ“ (ს. გეგეჭკორი, ურუან ადამია). „აბა, მიწაზე უფრო საკოცნელი რაა, შვილო“ – ხშირად იტყოდა საუბარში მთხრობელი ალექსანდრე წულაია.

მეგრულად ნიადაგს **ოჩხონაფალიც** და **მასქიიდაფარიც** ეწოდება. სოფელ კურზუში განსაკუთრებული ადგილიც კია – „ოჩხონაფუ“, სადაც ამ სოფლის ყველა მკვიდრს სულ ციცქნა ნაკვეთი მაინც აქვს თავის წილ. ეს მიწა მზისგულზეა და მეტად ნაყოფიერი ველი ტეხურის ნაპირზე. მშრალი, ოდნავ ქვიშანაჭარბი შავმიწა, ადვილად დასამუშავებელი. ოჯახი თავის წილ მიწას ადრე გადაწმენდდა, ზედ „ნერჩი პატენის“ სალოცავს აღავლენდა და პირველად აქ გატეხდა მიწას. „ჩხონაფიი არდგიი რე, სქუა, მუდგა გოლოფა ორდასუნი, ექ ირო ჯგირი მოსავაი მუთმურს. ღორონთი დიხა რე ესქუა, ღორონთიცალი დიხა. ათიშენი ირიკოს საოხვამუროთ უღუდუ ჭიჭე ნოკვეთი“ – ცხონებული ადგილია, შვილო, რაც არ უნდა გვალვა იყოს იქ, ყოველთვის კარგი მოსავალი მოდის, ღმერთიანი მიწაა, შვილო, ღმერთივით მიწა, ამიტომ ყველას საოხვამუროდ ჰქონდა პატარა ნაკვეთი“ – გვიამბობდა 70 წლის გლეხი პროფი მიხას-ძე ნაჭყეპია.

## თავი მეორე. მიწათმოქმედება

### 1. მემინდვრეობა

კოლხეთში, ისევე როგორც მთელ კავკასიაში, მიწათმოქმედების კულტურას ადრევე ჩაეყარა საფუძველი. „არსებული მასალები გვიჩვენებენ, რომ პირველბინადარ მიწათმოქმედთა სოფლები წარმოიქმნენ აქ უკიდურეს შემთხვევაში მე-5 ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე... აქ ჩვენ ვხედავთ ენეოლითის ხანის უკვე ჩამოყალიბებული სამიწათმოქმედო კულტურის ყველა ნიშანს“,[1] – აღნიშნავს პროფ. ე. ი. მახსონი. მიწათმოქმედების უძველესი სისტემა ძველ კოლხეთში ახოს აღებაზე იყო დამყარებული. ეს წესი საკვლევ მხარეში „მოჭვარუას“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

მოჭვარუა ან ახოს აღება კოლხეთისათვის რომ უძველესი სამეურნეო ტრადიცია იყო, ამაზე პროფ. გ. ჩიტაია მიუთითებს. „უნდა ითქვას, რომ კოლხეთში მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა და მეფუტკრეობაც ტყის გარემოცვაში და მისი გავრცელების სამსავე ზონაში (დაბლობი, მთისპირა და მთიანი ზოლი) ტყის პირობებში ვითარდებოდა. აქედან გამომდინარეობს ამ მეურნეობათა სპეციფიკური ნიშნები და ტყის გაკაფვის სისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობა“[2]... ამ უძველესი წესის გადმონაშთური ფორმა დიდხანს იყო შემორჩენილი მხარეში.

ახოს აღების სისტემა ძველად მთელ სამეგრელოში იყო გავრცელებული, რასაც მხარის ბუნების რელიეფიც უწყობდა ხელს. მხარის მთისპირა და მთის ნიადაგები ხშირჩირგვიანი და ტყიანია. მეურნე ნიადაგის ახალი მასივების ათვისებას ტყის გაჩეხვით, ახოს აღებით ახდენდა, რასაც **მოჭვარუას** ეძახიან, ხოლო თვითონ ახოს – **მონაჭვარას**. მოჭვარუა ხდებოდა ან ერთდროულად, ან სამ წელიწადში ერთხელ. ერთდროული ახოს აღება ხდებოდა დასასახლებლად, გზის გასაყვანად ან სხვ. გარდა ამისა, გლეხი ხშირად იცვლიდა და ასვენებდა საყანე ნიადაგს. ასეთ შემთხვევაში ახოს სამ-ოთხ წელიწადს იყენებდა და შემდეგ კვლავ მიუშვებდა ტყედ, რომ სიმსუქნე კვლავ დაებრუნებინა, ჰუმუსის ახალი ფენა მიეღო. 10-15 წლის შემდეგ ეს ნაკვეთი ისევ ხდებოდა აღების ობიექტი. აქ დამუშავებაც თავისებური იყო. 80 წლის მოხუცი ნესტორ ჯიქია გვიამბობს, რომ „სამუდამოდ მოჭვარვისას ჩვენ კეკით, ჩენგით და წერაქვით პირწმინდად ვასუფთავებდით მიწას, ვიღებდით ძირიან-ფესვიანად ხე-

[1] «Возникновение и развитие земледелия», М., 1967 г., стр. 5

[2] გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IV, ნაკ. II, თბ., 1959, გვ. 150.

ებს, შემდეგ ვხნავდით, მსუბუქად მოვასწორებდით, რადგან ისედაც საკმაოდ გაფხვიერებული მსუბუქი ნიადაგი სულ მტვრად არ გვექცია და საშუალო ბელტიანობა შეგვენარჩუნებინა. ხშირად მეორე ხვნასაც არ მივმართავდით, თუ ნიადაგი არ გამოხმებოდა, ან ꝺაგოზი არ მოგვხვდებოდა, ხოლო თუ დროებით ვჭვარავდით, მაშინ ჯერ დიდ ხეებს მოვჭრიდით, ბუჩქნარს გადავწვავდით, შემდეგ მსუბუქად ამოვძირკვავდით და ზედ ამ ნაცრიან, გადანაწვავ და ზედაპირულად ძირკვებისაგან განთავისუფლებულ ადგილზე პირველი ხვნით ვთესდით. ორ-სამ წელიწადში ახალი ტყე ამოიყრიდა ტანს, მეოთხე წელს ნაკვეთი ხის ახალი ანაყარით იფარებოდა და თესვა არ შეიძლებოდა. თანაც უკვე სიმსუქნეც გამოელეოდა და თესვას თავს ვანებებდით“.

ამ დროებითი ახოს შესახებ საინტერესო ცნობა მოგვაწოდა გაჭედილის კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ პავლე ჯანჯღავამ. „ერთხელ, ომის წლებში, დობერას მასივზე მიწას ვამუშავებდით. ფერდობი მიწა იყო. იგი ამ 8 წლის წინათ მოვჭვარეთ – ხე-ჩირგვისაგან გავათავისუფლეთ და სიმინდის თესვა დავიწყეთ. ამ დღეს მცირე საუზმის შემდეგ რომ ვისვენებდით, ნესტორ ჯანჯღავა ფეხით ჩიჩქნის მიწას და მეუბნება: წასულია ამ ადგილის საქმე. აწი აქ ჩვენ ვერაფერს მივიღებთო. როცა დავინტერესდი, თუ რატომ ვერ მივიღებდით აქედან ვერაფერს, მან მიწა მოჩიჩქნა და მაჩვენა: გამოწოვილია მიწა, მიწა მისულია ტკილამდე. მართლაც ტკილის ზემოთ მხოლოდ ორი-სამი თითის სიღრმე მიწის ფენა იდო. ამან ჩაგვაფიქრა და გადავწყვიტეთ, დაგვესვენებინა ნაკვეთი. შემდეგ წელს არ დავთესეთ. ტყემ ტანი აიყარა და ორ წელიწადში ხშირმა ტყემ დაფარა ადგილი. ამის შემდეგ 13 წელი გავიდა. ნესტორმა და მე შემთხვევით გავიარეთ ეს ადგილი და დავაკვირდით მიწას. ახლა მისი ფენა დაახლოებით 38 სანტიმეტრზე იდო და მიწა საკმაოდ გასუქებული, საფანტივით შავი და სურნელოვანი იყო. მეორე წელს ჩვენ საკმაოდ ჩავთვალეთ ამ ნაკვეთის დასვენება და გადავკაფეთ, გადავწვით, მოვასუფთავეთ და სიმინდი დავთესეთ. საკვირველი მოსავალი მივიღეთ: ასე ვისარგებლეთ იგი 5 წელიწადს, შემდეგ ისევ მივუშვით. ამის შემდეგ წესად შემოვიღეთ და ყოველწლიურად მორიგეობით მივმართავდით ნაკვეთების დასვენების ამ წესს-ო“.

მიწის ნაკვეთის გაფართოებასთან დაკავშირებით მეურნე მათი დამუშავების პროცესში მრავალ წინააღმდეგობას ხვდება. მათ შორის ერთ-ერთი ამინდის ცვალებადობაა. გვალვის დროს ნიადაგი ხმებოდა და სკდებოდა, წვიმების დროს კი იტბორებოდა. ამის მიხედვით არჩევდნენ გოლოფირს – „გაგვალულს“ და **ჭოროფილს** – დატბორილ, წყლიან ნიადაგებს. ნიადაგი შეიძლება **ეფშა** – სავსე ყოფილიყო, მაგრამ იგი

ან გაგვალული, ან ჭოროფილი თუ იყო, მაინც დამატებით ღონისძიებას მოითხოვდა ამ არანორმალური მდგომარეობიდან გამოსაყვანად. „თუ გაგვალული იყო, ვცდილობდით წყალი მიგვეშვა და მოგვერწყა, თუ ჭოროფილი იყო, მაშინ ღარებს ვავსებდით და ხელოვნურად ვაშრობდით და ვწრეტდით“ – გვიამბობდა კოლმეურნე ალექსანდრე წულაია.

გაგვალულ ნაკვეთში თუ ნახნავია, ბელტები ქვასავით მაგრდება, სინესტის გამოშრობის გამო ნიადაგი სკდება. მისი არც მოხვნა და არც გადაფარცხვა არ შეიძლება. თუ უხნავია, მიწა სახნისით არ „იკბიჩება“, მაგრდება და სკდება. თუ დანოტივებულია, მაშინ ნიადაგი წებოიანი ხდება და იარაღს არ ჰყვება, ზედ ეწებება. გაგვალულ ნიადაგში თესლი გვიანამდე ვერ ღვივდება. როცა გაღვივდება, სინესტის ნაკლებობის და მიწის სიმხურვალის გამო ყვითლდება და ჭკნება.

დატბორილ ნიადაგში თესლი გაღვივებამდე შმორდება და ლპება, თუ აღმოცენდა, ზედმეტი სინესტის გამო სუსტდება, ყვითლდება და იღუპება. ასე ახასიათებენ ამ ნიადაგებს სოფრო და პროფი ნაჭყეპიები, ნ. სილაგაძე, ა. უჩავა და სხვა მოხუცი მეურნეები.

ნიადაგი დასამუშავებლად ყოველთვის როდია მზად. ახალი ნახნავი წვრილ ბელტებს რომ დაიყენებს, ნესტსაც საკმაოდ შეიწოვს, მაგრამ არა ჭარბად და ჩათბება-ჩახურდება კიდეც. ასეთ მოსულ ნიადაგს **მუირს** უწოდებენ და ამუშავებენ: ხნავენ, თესავენ, თოხნიან და სხვ. მაგრამ ნიადაგი სწრაფად როდი ხდება მუირი. **დიხა უმუჲუში** თესლს არ ჩაყრიან, მას მოიყვანენ, ხელს შეუწყობენ წყლის მიშვებით, განოყივრებით, გადახვნით და გადაფარცხვით. როცა მოიყვანენ, ამის შემდეგ იყენებენ სათესად. მოხუცი ალექსანდრე წულაია იტყოდა: „დიხაუმუჲუ“ თესლს კარგავს. შემდგომ დამუშავებისას მუშას ძალიან უძნელდება მისი დამუშავება. აღმონაცენიც სუსტია და ღარიბი“.

მხარის ტოპონიმიის შესწავლიდან ჩანს, რომ ძველად აქ ცალ-ცალკე სახელწოდებებით აღნიშნავდნენ სახვნელი იარაღითა და ხელით დასამუშავებელ ნიადაგებს. პირველს „**ოხონაი**“ (სახნავი) ეწოდება, მეორეს „**ობურგული**“ – სათოხნი. სათოხნი ადგილები, მთის კალთებსა და ფერდობებზე იყო მოთავსებული. დღესაც მთიან სოფლებში კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არის ასეთი ადგილები. მათ თოხით ამუშავებენ, რადგან ადგილი „ფაქარი“ იყო, ღრმა დამუშავებას არც მოითხოვდა და არც შეიძლებოდა; იმიტომ, რომ ნიადაგის მხოლოდ მცირე ფენა ეყარა დედოქანს და თუ ღრმად დამუშავდებოდა, ეროზიას ვერ გაუძლებდა და ჩამოირეცხებოდა. «Мотигами расчищаются и взламиваются подсечние участки, пропаливаются хлебные злаки, взламиваются почвы под посев на высоких горах, по их склонам и терасам, заменяя похотное орудие там, где

последнее не может работать, обработивабтся огороды»[1] – წერს პროფ. გ. ჩიტაია.

სწორედ ასეთი ადგილი უნდა ჰქონდეს მხედველობაში არქანჯელო ლამბერტს, როცა წერს, რომ „ისე შემუშავებულ მიწაში ჩაჰყრიან ხოლმე პურის თესლს“[2]. იგი ამას ხსნის ნიადაგის მხოლოდ სირბილით და სიფხვიერით, რაც არასწორია. ეს უცხოელი მოგზაური რომ დაკვირვებოდა, შეამჩნევდა, არა მხოლოდ გაგიდაში, არამედ მთიანი სამეგრელოს მრავალ სხვა ადგილას მარცვლეულ მცენარეებს სთესენ უხნავ მიწაში, თოხვნით, გუთნის გამოუყენებლად, რაც აიხსნება ადგილთა დამრეცი მდებარეობით. ნიადაგის სასარგებლო ფენის მცირე ზედაპირული სისქით და სიფხვიერით, რის გამოც, ერთი, რომ გუთანი ვერც მიუდგება და მეორე, ამით ნიადაგის აყრა ეროზიასაც გამოიწვევს.

„ობერგუი“ ადგილთა მასიურად გავრცელება მთიან სოფლებში იმაზე მიუთითებს, რომ „ბერგი“ – თოხი უძველესი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი იყო აქ. თავის მხრივ აქაური „ბერგი“ რამდენიმე სახისაა. არის პატარა ზომის, საკმაოდ წამომახული და წვრილი თოხი. მისი ზომა 15ჩ10 სმ არ აღემატებოდა. იგი მოხერხებული სახმარია ასეთ ადგილებში, „ნიადაგს მარდად კბეჩს, ხშირ მცენარეთა შორის ადვილად ტრიალებს, ისე, რომ მცენარეთა ღეროებს არ აზიანებს, ნიადაგში ღრმად არ იჭრება, ფერდობზე მომუშავე კაცს არ ღლის. მას ღომის და ჭადაჭადას სათოხნად ვიყენებდითო“ – იგონებდა მოხუცი თომა ბართია. ასეთი თოხის ტარიც ძალიან გრძელი არ უნდა ყოფილიყო. „იგი ორ ადლს არ აღემატებოდა, ხშირად ცოტათი ნაკლებიც იყო“ – იგონებს 90 წლის მოხუცი დრიმი ბართია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ფერდობზე თოხვნისას, ნიადაგის დამრეცი ქანობის გამო, ძლიერ წამოხრა არაა საჭირო. ასეთი თოხი ძლიერ დიდხანს შემორჩა. მთაში მას დღესაც შევხვდებით ხოლმე, ხოლო მისი განვითარების საწყისი შორეული წარსულის მიღმა იმალება. კურზუს, გურძემის, დოშაყეს, ბალდის, ჩხოროწყუს და სხვა ადგილებში გახსნილ ბრინჯაოს ეპოქის სამარხებში ნაპოვნი მსგავსი თოხები გვარწმუნებს, რომ ისინი ბრინჯაოს ეპოქაში კოლხებს მასიურად უკეთებიათ და გამოუყენებიათ თავის სამიწათმოქმედო საქმიანობაში[3].

---

[1] Г. Читая, Горное земледелие на Кавказе, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1959, გვ. 55.

[2] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 55.

[3] დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 40, 76, ტაბულა XXVI; მისივე, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. კურზუში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII, 1961.

თავდაპირველად ბერგს ან თოხს რომ ბარის ფორმა ჰქონდა, გვაფიქრებინებს ჩვენ მიერ, ნახარებაოში, „კვირაიების ნასახლარზე“ ნაპოვნი ქვის ორიგინალური ინვენტარი, რომლის ანალოგი დადასტურებულია ესპანეთში ბასკების მხარეში, და თურქეთის ტერიტორიაზე. ეს ინვენტარი დაახლოებით ბრინჯაოს მოდიდო თოხზე ცოტათი მეტია (15ჩ11 სმ) მაღალი, 7 სმ სიმაღლის ყელით და 11 სმ სიგანის პირთხელით, საჭრელი პირით, რომელიც ოდნავ წამოხრილია. ყელზე ან სატარე ნაწილზე ჩამოაცვამდნენ, ან კიდევ დააკრავდნენ ტარს და ასე თხრიდნენ, აფხვიერებდნენ მიწას, ალბათ[1].

მსგავსი ინვენტარის შესახებ წერს პროფ. ვ. მ. მასსონი: „თოხი, რომელიც გამოყენებული იყო, როგორც მიწისმთხრელი იარაღი, ცნობილი იყო ჯერ კიდევ ზედა პალეოლითში... პირველყოფილი მიწათმოქმედის ძირითადი იარაღი იყო თოხი, რომელმაც მრავალი საუკუნისა და ათასწლეულის განმავლობაში თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნა“[2].

პროფ. გ. ჩიტაიას აზრით, «Нужно иметь в выду, что представления у Сумер Матига была одновременно «мотигой» и «заступом». Сумерское слово мач, точно также как и акадское таччи, обозначало одновременно и мотину и заступ».[3]

ჩვენ მიერ ადგილზე შეგროვებულ მასალებში არის მითითება საკვლევ რაიონში ძველად ხის თოხის არსებობის შესახებ[4]. ხის თოხი პირფართო მარგილის სახით, ან „ხა“-ს სახით აქვთ წარმოდგენილი მთხრობელებს. მათი სიტყვებით – „ხათ ჩქონუნდესია“[5] (ხათი ჩიჩქნიდნენ, ღარავდნენ ნიადაგს). **ხა** ბორჯღალა, ტოტიანი მარგილია, რომლითაც თივას შლიან, ჩალას აწვდიან. „ხას ქეგენთხაფედა“ (ხაზე დაცემულიყავიო) წყევლაა. იგი წამოთლილ მარგილს ნიშნავს, რომელსაც კაკვი ან ნეკი აქვს ტარად და საკიდად. როგორც მთხრობელები გვარწმუნებენ, ხაჩქუა – თოხვნა (ე. ი. შრომის პროცესის თავდაპირველი სახე) ხათი ხდებოდა. ხათი ჩიჩქნიდნენ, ღარავდნენ (ჩქონავდენ) მიწას. შემდეგ უფრო პირთხელი გამოიგონეს და ამით დაიწყეს მიწის თოხვნა. ამრიგად, ეტყობა, **ხათი ჩქონუა** „ხათი ჩიჩქვნა“ ტერმინ **ხაჩქუას** (თოხვნის) წარმოქმნას დასდებია საფუძვლად.

---

[1] თანდართული ტაბულები, თოხები, ტაბულა 01, ნახაზი 1.

[2] В. М. Массон, Возникновение и развитие земледелия, Москва 1967, стр. 24.

[3] Г. Читая, К вопросу о происхождений абхазских похотных орудии. Сб. А.К. наук Груз. ССР т. II. часть III. Тб., 1941, стр. 373.

[4] გმმ ხელნაწერ მასალათა ფონდის „ვ“ ჯგუფი, სოფრო ნაჭყეპიას, ალექსანდრე უჩავას, იასონ ბერულავას, პართენ ნაჭყეპიას და სხვათა მოგონებები.

[5] იქვე.

ხის თოხი იმერეთში დღესაც მოიპოვება. აქ იგი იხმარება ქვევრის თავის მოსახდელად, ასევე, სავენახე აყალო მიწის ფართობის მეორედ დასამუშავებლად. ჩვენ ხელთა გვაქვს ამ ინვენტარის მეტად საინტერესო ეგზემპლარი და ვ. ჭიოკაძისა და სხვათა საინტერესო მოგონებებიც (ჭიათურის რაიონი).

ამ საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „უეჭველია „ხაჩქუა“-ც ნასახელარი ზმნაა და „ხაჩქ“-ისაგან უნდა იყოს წამომდგარი. თვით „ხაჩქი“-ც კი იმ იარაღის სახელად უნდა ვიგულისხმოთ, რომლითაც თოხვნა წარმოებდა. მეგრულად, არსებული წყაროების მიხედვით, ასეთი ტერმინი თითქოს დაცული არ უნდა იყოს (აქ მასალაზე ხელმიუწვდომლობის გამო ცნობილ მეცნიერს არა აქვს გათვალისწინებული სამეგრელოში გამოყენებული სამიწათმოქმედო იარაღი „ხა“, ანუ „იღები“ – გ. ვ.), მაგრამ სამაგიეროდ ჭანურში გვაქვს „ხოჩკა“ (ვიწეში), რომელიც სარს, მარგილსა და ბარჯგს ნიშნავს. „ხოჩკა“-ს გარდა სხვა ფორმებიც არსებობს ჭანურში: „ხოშკა“ (ათინა), „ხორშა“, „ხაშარი“ (ხოფურად) და „ხაჩ-კეტი“ (ვიწურად)“.[1] როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მეგრული წყაროებით ეს მოსაზრება სავსებით დასტურდება. ხა დღესაც შემონახულია კაკვიანი მარგილის სახით, რომელსაც ჩალის მისაწოდებლადაც იყენებენ. **ხაბარჯგს** – ტოტიან ბარჯგს კი ბოსტნეულის სარგავი ხვრეტილების გასაკეთებლად და საღარავად დღესაც ხმარობენ ხოლმე.

აბაშისა და ტეხურის ხეობების ტერიტორიაზე თოხების მეტად საინტერესო ნაირსახეობანი დავამოწმეთ. მათი ილუსტრაციები წარმოდგენილია ჩვენს ალბომში, რომელიც პროფ. გ. ჩიტაიას კონსულტაციით შედგა.

მხარის მთიან ზონაში გავრცელებულია **ჭკიდიში დო ღუმუში ბერგი** (მჭადისა და ღომის თოხი). იგი დამოწმებული გვაქვს სეფიეთში, ნახუნაოსა და კურზუშიც. თოხი დაახლოებით 28 სმ-ის სიმაღლისაა. საკვეთი პირი ზემოთ თანდათან ჩაჭრილი და ვიწრო ყელად აღმავალი სატარე ყუით ბოლოვდება. ყელის სიმაღლე 6 სმ-ია, საკვეთი ნაწილის სიგანე – 12 სმ. გვხვდება ოდნავ წამოხრილიც და სწორიც. წამოხრილი უფრო მთაში იხმარება, ხოლო სწორი – ბარში. ღომის სათოხნი მსგავსი თოხი ჩვენ ცაგერის რაიონში, ისუნდერშიც კი ჩავინიშნეთ. ასეთი თოხი მრავლად აღვრიცხეთ კინჩხასა და გორდშიც. ეს თოხი შედარებით ადრეული ფორმაა. ჯ. რუხაძე თავის შრომაში – „ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში“, აღნიშნავს, რომ მას სამეგრელოში „ჩენგის“ ეძახიან. გაწმენდის შემდეგ ღომს მარგლავდნენ პატარა თოხით, ჩენგით

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I., თბ., 1930, გვ. 214.

(სამეგრ). გურიაში სამარგლავ თოხს „პანუანი თოხი“, ან ღომის თოხი ერქვა. „პანუანი თოხი“ პატარაა, მისი პირის სიგანე 10 სმ, სიგრძე 8 სმ-ს უდრის, ყურის სიგანე – 3 სმ, ყურის სიგრძე 4 სმ, თოხის ტარის სიგრძე 1,70 სმ“[1]. აქ ან მთხრობელის, ან მოწოდებულ მასალაში უნებლიე შეცდომა უნდა იყოს. ერთი, თოხის ზომა ძალზე მცირეა და ასეთ თოხზე ასეთი გრძელი ტარი შეუსაბამოა, მეორეც – ჩენგი ოჩენგაირე – საჩორგნია და ღომის ყანას ჩორგნა არ სჭირდება. საჩორგნი თოხი, ან ჩენგი ცალკე არსებობს. უდაოდ, აქ მთხრობელის შეცდომა უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ მასალის აღრიცხვისა და გამოქვეყნების თვალსაზრისით საყურადღებოა, რადგან ღომის სათოხნი, სამარგლავი თოხი არსებობდა არაერთ ადგილას და არაერთი სახისა. ასეთი მცირე ფორმის ახოს თოხები დამოწმებული აქვს ნ. რეხვიაშვილს, სოფელ არეთიდან და სოფელ წესიდან (რაჭა)[2].

ასეთივე ადრეული ფორმაა „ორტვიიში“, ან ბოსტნის თოხი, რომელიც საკვეთი პირისა და პირის სწორმხრებიანი ცენტრიდან აღმართული ყუისგან შედგება. მისი პირი სულ 12 სმ-ის სიმაღლის და 10 სმ-ის განისაა, ზედაპირული და ხშირ მცენარეთა შორის სამუშაო მსუბუქი თოხია. ასეთი თოხი ჩვენ რაჭაში, კვარცხეთშიც აღვწერეთ. იგი ფართოდაა გავრცელებული ჩხოროწყუს რაიონშიც. მეტად საინტერესოა ჩენგი. იგი ორიგინალური ფორმის თოხია. ჩენგი დავამოწმეთ სალხინო-თამაკონიდან ლებარდემდე. იგი ბუჩქნარი და მძიმე, ქვიანი ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი ყოფილა. ახლა მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში დაცული ერთი ასეთი თოხი ეკუთვნოდა სოფ. საელიავოს მცხოვრებ დ. ხაჟომიას. იგი 17ჩ12 სანტიმეტრი ფართის მქონე, სწორმხრიანი საკვეთია. მას პირის ყუის ზემოთ, კოპის ადგილას, მაღალი ბიბილო (თიკი) აზის 6,5 სმ-ის სიმაღლისა. პირის სიგანე 5-7 სმ-ზე მეტია. იგი შებრუნებულად ადგას ყუას, პირის და ყუის ჭრილის გარდიგარდმო, ტარის პარალელურად. თიკი ბუჩქნარის ფესვების და სხვა ნარჩენების საჭრელად ყოფილა მოწყობილი (სქემა II, ნახაზი 3). სახელი **ჩენგი** გავრცელებულია მთელ სამეგრელოსა და იმერეთში, ოღონდ მათი მოყვანილობა განსხვავდება. იმერული ჩენგი მაღალი ყუისა და სწორმხრებიანი საკვეთი პირისაგან შედგება. ხობსა და გალში დამოწმებული ჩენგიც დაახლოებით ისეთივეა.

თოხის ძველ ფორმათა შორის მეტად საინტერესოა **ორჩქონალი ბერგიც** (საჩორგნი, საღარავი თოხი). იგი შედარებით მცირე ზომისაა,

[1] ჯ. რუხაძე, ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960, გვ. 84.

[2] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 123-124.

სიმაღლე რქიანად 18-20 სმ-ს აღემატება. ყუის ქვემოთ წვერწაწვეტებული, ხოლო წელში ფართო (5 სმ სიგანის), რომბის ფორმის საჭრელი პირი აქვს; ბრტყელია და წვეტიანი. ყუის ზემოთ ადგას მაღალ კოპზე აღმართული, ორი, 6 სმ სიმაღლის და 1 სმ სისქის რქები. რქებს შორის მანძილი 7 სმ-ზე მეტია. ეს თოხი მთის, ფერდობის ნიადაგის, ქვიანი და ბუჩქიანი ყამირის გასატეხად ყოფილა გამოყენებული. მისი ტარის სიგრძე 70-80 სმ-ს არ აღემატება. წინიდან მას ხარის შუბლის და პირის მოყვანილობა აქვს. დღეს იგი არსად არ გამოიყენება. იგი ჩვენ მაღალმთიან ზონასა და ზეგნებზე აღვწერეთ. ერთი ასეთი ეგზემპლარი სოფ. კურზუდან ჩამოვიტანეთ. მას **კეკსაც** ეძახიან, და უმატებენ, რომ კეკი ურქოც იხმარებოდა, უფრო ფართო პირითო. ეს სახელწოდება იმერეთშიც გვხვდება და იგი პატარა ზომის საბოსტნე თოხს ეწოდება. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „აღსანიშნავია, რომ პატარა თოხს იმერეთში „კეკო“ ეწოდება. ეს ტერმინი უნდა „ქექა“ ზმნასთან, სახელდობრ მის მეგრულ სახეობა „კეკუა“-სთან იყოს დაკავშირებული“[1]. მართლაც, იგი საკეკი, საქექი, სახილავი, ნიადაგის მსხვილმარცვლოვანი სტრუქტურის შესაქმნელი ნივთი უნდა იყოს, სარეველათა გამოსაქექი, ნიადაგის გასაფხვიერებელი და სტრუქტურული ფორმირების იარაღი.

ორივე ეს სახე თოხების იმ სახეობათა რიცხვში შედის, რომელზედაც მიუთითებდა პროფ. გ. ჩიტაია: „კომბინირებული თოხები, რომლებიც შეიცავენ წერაქვ-თოხებს და თოხებს სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით. მათ მიეკუთვნება „**ცულქარჩა**“, „**თოხწალკიტი**“, „**ბართოხი**“ და სხვა“[2].

ამ ერთეულის მსგავსი ინვენტარი აღწერილი აქვს ნ. ბრეგაძესაც, თავის „რაჭა-ლეჩხუმის მივლინების ანგარიშში“. მის მიერ აღწერილი „ცქვიტიანი თოხი“[3], სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი თოხის ერთ-ერთი სახეობა უნდა იყოს.

ჩამოთვლილი სახეობანი თოხის უძველესი და ახლა მხოლოდ იშვიათად შემორჩენილი სახეობანია. ახლა კი ხშირად სიმინდის სათოხნი თოხები გამოიყენება. ჩვენს ალბომში წარმოდგენილია მათი ფორმები, და გავრცელების ზონები. ყველაზე გავრცელებული, ადგილობრივი მჭედლის მიერ გაკეთებული თოხია, რომელსაც „**ჩქინებურას**“ (ჩვენებურს) ეძახიან. მას „**ყაზახიში ბერგისაც**“ ეტყვიან (ვაჟკაცის თოხი). იგი ხასიათდება ოვალური მხრებით, სწორი პირით, მაღალი ყუით და კოპით.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბ., 1930, გვ. 15.

[2] გ. ჩიტაია, Горное земледелие на Кавказе, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI. თბ., 1960, გვ. 58.

[3] ნ. ბრეგაძე, რაჭა-ლეჩხუმში მივლინების ანგარიში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X. თბ., 1959, გვ. 89.

მის ოვალურ მხრებზე ამბობენ – „ნაბადივით მოხურულიაო“. იგი მეტად მოხერხებულ იარაღად ითვლება (ტაბულა 9. ნახ. 1). ასეთი ოვალურ-მხრიანი თოხი მთაში გამოიყენებოდა. მსგავსი თოხი დამოწმებული აქვს სოფ. ჯგალში ნ. რეხვიაშვილს, თავის ნაშრომში – „მჭედლობა რაჭაში“[1]. ბარში კი ყუის ორივე მხარეს ოდნავ ჩაკეცილი და შემდეგ ოვალურად მხრებჩაჭრილი თოხია უპირატესად გავრცელებული. მას ყუის კოპი საკმაოდ გრძელი – 2-2,5 სმ სიმაღლისა ჰქონია. თოხიც უფრო გაშლილია, პირი ოდნავ ოვალური ფორმის აქვს. სიფართით 25 სმ-ია. მას **„ოციან, საცაბაზო ბერგს“** ეძახიან (ოციანი, სავაჟკაცო თოხი). მისი ტარის სიგრძე მუშას ცხვირამდე უნდა მიწვდენოდა[2]. მაგრამ 160 სმ-ს მაინც არ უნდა აღმატებოდა. მთაში, ჩაფერდებული ნიადაგის გამო, უფრო მოკლე ტარს იყენებდნენ (120 სმ). მთხრობელთა სიტყვით, თოხმა, სიმინდის თოხნისას ნიადაგი კი არ უნდა მოთალოს, არამედ ღრმად უნდა ჩაჭრას და ააბრუნოს იგი. ამიტომ თოხი ახლა „ოყიანზე“, ორგირვანქაზე მეტი უნდა ყოფილიყო. „გაიდევი მხარზე ოციანი თოხი და წადი სათოხნადო“ – ასე იტყვიან ხოლმე აქ. „ოციანზე ნაკლები წონის თოხი ბავშურია. მას უღონო, სუსტ კაცს, ქალებს და ბავშვებს მისცემენ სამუშაოდ. ასეთი თოხით თოხვნას ხვავი არ აქვსო“ – ამბობენ ხალხში[3]. ასეთი თოხი ფართო, არანაკლებ 25X20 სმ ზომისა უნდა ყოფილიყო.

თოხების ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ძველი ნაირსახეობა უდავოდ დაფუძნებულია მხარეში დამზადებისა და გამოყენების უხსოვარი დროიდან მომდინარე მდიდარ ტრადიციაზე.

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცულია ბრინჯაოს თოხები კურზუდან, გურძემიდან, მახათიდან და სხვ[4]. მსგავსი თოხები ნაპოვნი გვაქვს ჩხოროწყუს, აბაშის და ცხაკაიას რაიონების, როგორც მთის, ისე ბარის ადგილებში. ბრინჯაოს თოხი საკვეთი პირით წამოხრილია. სატარე ყუნწი 2-2,5 სმ სიგანისაა. კოლექციაში ყველაზე მსხვილი ეგზემპლარის (კურზუდან, თაიიდან) სიდიდე 14X10 სმ-ს არ აღემატება. ისინი კარგად დამუშავებული და ლამაზად გაფორმებულია. ყუნწიდან შიდა მხარეზე, საკვეთ პირამდე ჩამოსდევს სამი ზურუგლა ზოლი. ასეთი თოხები ნაპოვნია ბრინჯაოს ეპოქის ყველა ნასახლარზე. მათ შორის კურზუს მასალები აღწერილი აქვს დ. ქორიძეს[5]. აღნიშნუ-

---

[1] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 12.

[2] გმმ სამეცნიერო ფონდი, ე. ჯ.გ., №215, მოგონებები და გადმოცემები.

[3] იქვე.

[4] გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი, თბ., 1962, გვ. 82-83.

[5] დ. ქორიძე, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. კურზუში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXII, 13, 1961.

ლი ფაქტი მიუთითებს იმხანად თოხის მიწათმოქმედების მნიშვნელობაზე ძველი კოლხეთის ამ რაიონში: „ბრინჯაოს თოხის არსებობა მოწმობს იმას, რომ საკმაოდ ინტენსიურად ყოფილა განვითარებული მიწათმოქმედება, განსაკუთრებით მებაღეობის ტიპისა, კობანის პერიოდისათვის (გარდამავალი პერიოდი ბრინჯაოდან რკინაზე – გ. ე.) დასავლეთ საქართველოში“ – წერს პროფ. ბ. კუფტინი[1].

თოხთან დაკავშირებით საკვლევ რაიონში საყურადღებო რიტუალი „**გოხარჭალაფაა**“ დამოწმებული. ეს რიტუალი ჩაწერილი და გამოქვეყნებული აქვს ი. ქობალიას. რიტუალის შემსრულებელი თოხს კერიის ზემოთ ჭერში აიტანს და თოხნის ჭერს, თანაც წყევლის და დევნის რწყილს. მაშინდელ მცირე საცხოვრებელში, რომელიც საქონლის ბაგის გვერდით იყო, რწყილი ძლიერ აწუხებდა ადამიანს. ჭერის თოხნით და წყევლით ცდილობდა რიტუალის მთავარი აღმსრულებელი რწყილის მოსპობას. ასეთი რიტუალის ჩატარების შემდეგ მათ სწამდათ, რომ რწყილი მოშორდებოდა სახლს და არ შეაწუხებდა. აქ რიტუალში თოხი ასრულებდა მთავარ როლს[2].

თოხის გაჭედვა ყველას როდი შეეძლო. თოხს მაღალი ხარისხის ფოლადისაგან ამზადებდნენ დახელოვნებული ოსტატები. ჩვენს მხარეში ცნობილი იყვნენ თოხის მჭედლები – ლაგვილავები. მათ მიერ გამოჭედილი რკინა, მაგარი, კარგად ასაწყობი და ალესვას დამყოლი იყო. „კარგი რკინის პირის აწყობას ბევრი ჯაფა არ ჭირდებოდა, მას მიწაც კი კარგად უმუშავებდა და ულესავდა პირს“ – იგონებს 80 წლის მოხუცი ალექსანდრე წულაია.

მხარის ბარის სოფლებში, განსაკუთრებით სეფიეთიდან ნაგვაზავომდე, გვხვდება **გურუჲი** თოხი. იგი ზოგან ოვალური მხრებით, უფრო ხშირად კი აწურული, სწორი მხრებით ხასიათდება (ტაბ. IV. სურათი 3). მას **ეწკურუჲ ხუჯიანი** – აწურულმხარიანი ეწოდება. ამ თოხს ყუის ზემოთ მოზრდილი კოპი აქვს. იგი ბარში „ჲაგოზი“, თოხნარი, მძიმე ნიადაგის სამუშაოდ ყოფილა გამიზნული. შემოჰქონდათ გურიიდან. მოხუცთა სიტყვით, სეფიეთსა და აბაშაში, გურულ თოხს, რომელიც კარგი რკინისაგან მზადდებოდა დიდი გასავალი ჰქონდაო.

**ჩუნეშურიც** მხარეში შემოტანილი თოხია, რომელიც ჩუნეშიდან, იმერეთიდან მოჰქონდათ. უფრო მეტად მთაგორიან ადგილებში გამოიყენებოდა სამუშაოდ. იგი ყუასთან ჩახრილი, მკვეთრი, ოვალური მხრებით

[1] Куфтин Б. А., Материали к археологии Колхиды. т. I. Тб., 1949, стр. 213.

[2] СМОМПК. XXXII. часть II. стр. 105-106.

ხასიათდება. ყუაზე მცირე კოპი აზის, პირი სწორი, ოვალური მხრების ზღუდარით ჩაკვეთილი აქვს (ტაბულა I, ნახაზი 4).

როცა პირის ფოლადი გაცვდებოდა (დიიშირუუდუნი), გაილეოდა, მჭედელი 8 სმ სიგანეზე ჩამოსდებდა ფოლადის ზოდს, ჩამოაჭედებდა. ასეთ თოხს **გიადვაირს**, „ჩამოჭედილს“ ეძახიან. თოხი ამ განახლების შემდეგ კიდევ დიდხანს გამოიყენებოდა თურმე.

თოხების ასეთი სიუხვე და მრავალფეროვნება უდავოდ მიუთითებს მხარეში უძველესი დროიდან მრავალდარგოვანი, ინტენსიური მიწათმოქმედების არსებობაზე. პროფ. გ. ჩიტაია წერს, რომ „თოხების მრავალსახეობა და მრავალსახის იარაღი, რომელიც ფიქსირებულია კავკასიის მთიან ნაწილში, თავის ახსნას პოულობს სამიწათმოქმედო მეურნეობის პროცესების მრავალსახეობაში“[1]. ამასთან, ეს მიუთითებს მათი წარმოშობის და განვითარების ადგილობრივ ხასიათს.

მიწათმოქმედების უძველესი ეტაპი თოხიდან დაიწყო, თოხის მეურნეობა იყო; სახვნელის გამოყენება მიწათმოქმედების განვითარების შემდგომ ეტაპზე დაიწყო, გუთნური მიწათმოქმედების საფეხურზე, მაგრამ სახვნელმა მთლიანად კი ვერ გამოდევნა იგი. ამიტომ წერს პროფ. მასსონი: „ძველ აღმოსავლეთში საკმაოდ ადრე წარმოშობილი პრიმიტიული კავი, ეტყობა, განვითარდა სწორედ ამ თოხიდან, რამაც მარტივი და მოხერხებული იარაღის გამოყენების სფერო უმნიშვნელოდ შეავიწროვა“[2].

ცხადია, საკვლევ რაიონში თოხის ასეთი ფართო გავრცელება „თოხის მეურნეობის“ გადმონაშთურ ფორმას არ ნიშნავს. თოხის ასეთი ხანგრძლივი შემონახვა აქ აიხსნება სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ვერტიკალური ზონალობით. იმ ადგილებზე, სადაც ვერც ძველი სახვნელი და ვერც თანამედროვე ტექნიკა ვერ მიუდგება, მიწის დამუშავება მამაპაპური თოხით წარმოებს და ეს ტრადიციული იარაღი ჩვენს თანამედროვეობასაც ისევე წარმატებით ემსახურება, როგორც ჩვენს წინაპრებს. ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მხარის მიწათმოქმედი, მხვნელ-მთესველი როგორც სახვნელებს, ისე თოხებს, ნიადაგის რელიეფურ თავისებურებათა გათვალისწინებით ამზადებდა, რასაც გეგეჭკორის რაიონში დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალაც კარგად მიუთითებს[3]. გეგეჭკორის რაიონი თავისებური რელიეფით ხასიათდება. აღმოსავლეთ სამეგრელოში იგი აბაშისა და ტეხურის ხეობების მთელ ჩრდილოეთ

---

[1] Г. Читая, Горное земледелие на Кавказе, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI. თბ., 1960, გვ. 53.

[2] Возникновение и развитие земледелия, М., 1967, გვ. 24.

[3] თანდართული ტაბულები – „სახვნელი იარაღები“.

მხარეზე ვრცელდება, მდინარეთა სათავემდე, ეგრისის მთაგრეხილამდე. მისი სამხრეთი – ბანძის ზონა, აბაშისა და ცხენიწყლისპირა, გაშლილ ველიანზე მდებარეობს. შუა – გეგეჭკორის ზონა ზეგნებიან, მცირე გორაკიან აბაშის იწროებში მიემართება, ხოლო ჩრდილოეთი – ჭყონის ზონა, ტეხურის ხეობის მთებსა და მთების კალთებზეა გაშლილი. რელიეფური გადასვლები კონტრასტულად კი არ ვითარდება, არამედ თანდათანობით, გარდამავალ ტერასებად.

ასეთი რელიეფური პირობები უძველესი დროიდან აპირობებს მრავალი სახის სამიწათმოქმედო იარაღთა არსებობას.

ლებარდედან კურზუ-სალხინო-გაჭედილი-სუხჩეს ხაზით, მთაში, ზღვის დონიდან 800-დან 1500 მ-ის სიმაღლეზე, გლეხი იყენებს განსაკუთრებულ კავს – **ოგაფას**. მას **გოჲაში ოგაფას** (მთის კავს) ეძახიან. მისი ტარი, მხარი, რვილე, წელში ჩახრილია. ტარის ან რვილეს, მხარის სიგრძე 2 მ-ია. ჩახრილ ადგილას, ტარიდან ან მხარიდან, ქუსლის ცხვირის დონემდე სიმაღლე 50 სმ-ს უდრის, ხოლო წვეროში კბილანასთან 1 მ და 10 სმ-ია. იგი ზიგზაგიან და ბორცვიან, ტალღოვან გადასასვლელებს კარგად ყვება და მხვნელს არ სჭირდება კავის მთლიანი წამოწევა და გადაადგილება. ქუსლიც შედარებით ვიწრო და მოკლეა. მისი სიგრძე 50 სმ-ს უდრის, განი – 20 სმ-ს. ასეთ კავს უღელი შედარებით მოკლე და დათაჯული აქვს. მსგავსი კავი ჩვენ ნანახი გვაქვს ჯვარში, თაიაში, ასევე, კინჩხაშიც, ე. ი. სამეგრელოს მთიან მხარეში. სოფ. ბალდაში 95 წლის მოხუცმა ნესტორ ჯანჯღავამ განგვიმარტა, რომ „გოჲაში-ოგაფა თეცაირე, ეკოხონ-დოკოხონს მუშით დოᲪუნს, ეკინა-დოკინა ვააკო“ (მთის კავი ასეთია, აღმართ-დაღმართს თავისით ყვება, აწევ-დაწევა არ სჭირდება).

ფერდობზე, მთის ბორცვიან კალთებზე იყენებენ **ფერდიში ოგაფას** ფერდობის კავს, რომელსაც, მართალია, ჩახრილი მხარი, ტარი არა აქვს, მაგრამ ტარის წვერი საკმაოდ აწეულია, თითქმის 1 მ სიმაღლეზე, რაც მხვნელს საშუალებას აძლევს მსუბუქად გაატაროს კავი რელიეფურ გადასასვლელებზე, ტალღოვანი ნიადაგის ზედაპირს ადვილად დაყვეს. ასეთ კავს იყენებენ კურზუ-ინჩხური-გურძემი-სერგიეთი-ხუნწამდე. კავის მსგავსი მდგომარეობა ჩვენ მივინიშნეთ გორდში, კინჩხაში, ჯვარსა და სხვაგან (იხ. სქემა I, სურ. 3.).

ბარში კი **რზენიში ოგაფას**, ბარის კავს იყენებენ. მისი მხარი სწორია. განსაკუთრებული შემართების არაა, რადგან ბარში ნიადაგი ტალღისებური რელიეფური თავისებურებით არ ხასიათდება. ამიტომ იგი თანაბრად მიდის ნიადაგის ზედაპირზე. ტალღოვან გადასვლას აქ ადგილი არა აქვს. ასეთი კავი ვრცელდება აბედათ-ხუნწიდან ვედიდკარ-მუხურ-

ჩამდე, თვით რიონისპირეთამდეც კი. ასეთი კავის ქუსლიც შედარებით უფრო დიდია. მისი განი 30 სმ-ზე მეტია, ხოლო სიგრძე 60 სმ-ს უდრის. ერქვნის სიმაღლე 90 სმ-ია. მხარის სიგრძე 2 მ-ს და 40 სმ-ს უდრის. უღელიც 170 სმ სიგრძისაა.

საკვლევ რაიონში დამოწმებული სახვნელი იარაღები ქართული სახვნელი იარაღების ადგილობრივი ვარიანტებია, ზოგჯერ მეტად ორიგინალური სახით შემონახული. ამაზე, სახვნელთა კონსტრუქციისა და ფუნქციის გარდა, მათი სახელწოდებებიც მკაფიოდ მიუთითებს.

საკვლევ რაიონში მიწათმოქმედს ფრთიანი ერქვანიც გამოუყენებია. აბედათსა და თამაკონში ჩვენ ჩავიწერეთ გადმოცემები, რომლებიც მიუთითებენ აქ ფრთიანი ქუსლის არსებობაზე. ნიადაგის უფრო სრულყოფილი დამუშავებისათვის, აჭრილი მიწის გადასაბრუნებლად, ქუსლებს ფართო გონიოებს ვუტოვებდით ან განსაკუთრებულ ფრთებს ვაჭედებდითო – აღნიშნავენ მოხუცები.

გარდა ამისა, აქ ცნობილი იყო უფრო დაწინაურებული სახვნელებიც, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ეს თავის მხრივ განპირობებული იყო ბატონყმობის გაუქმებით და სოფლად კაპიტალიზმის შეჭრით. იზრდება მოთხოვნილება მიწათმოქმედების პროდუქტებზე. სოფლის მეურნეობაში ინერგება სამეურნეო საქმიანობის ახალი დარგები. გლეხი ამ მოთხოვნილებას ძველებური იარაღით ვერ აუდის. ამიტომ ცდილობს მამაპაპური იარაღი განავითაროს, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს, ნიადაგი უკეთ დაამუშავოს. ეს განსაკუთრებით ბარში და მთების ფერდობზე შეფენილ სახნავ-სათეს ადგილებში შეინიშნება.

მძიმე ნიადაგის უფრო ეფექტური დამუშავებისათვის, ნახნავის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, ბარის სოფლებში (გაჭედილ-აბედათი-ხუნწიდან ვიდრე მუხურჩამდე) შემოუღიათ **სუმქურა** (სამქუსლა) ოგაფა. ასეთი კავის ორი ქუსლი დედოს კიდურებზეა გაყრილი, განსაკუთრებულ კოტებში. დედოს სიგრძე 55 სმ-ია, ხოლო მესამე ქუსლი ტარში, მხარში გაჭრილ კოტაშია გაყრილი: ქუსლის სიგრძე 30 სმ-ია, განი 12 სმ. იგი უსახნისოდ იხმარება. სამქუსლა კავს პირველი ნახნავის შემდეგ ნიადაგის მოსასწორებლად და მეორე ხვნისას იყენებენ, ნიადაგის ყოველმხრივ ასაჩეჩად და გასაფხვიერებლად. ასე დამუშავებულ ნიადაგში უფრო ადვილია თესვა. ეს სახვნელი იარაღის ხალხური განვითარების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს (იხ. სქემა I, ნახაზი 4). ეს ანალოგიური სახვნელი ჩვენ დავამოწმეთ რიონისპირეთში, აბაშისა და ცხაკაიას რაიონებში.

აქვე გამოყენებული იყო **ოღარაი ოგაფა** (საღარავი კავი), მცირე ფორმის ბრტყელი კავი, მხარით და ერქვნით, რომელსაც წამოცმუ-

ლი ჰქონდა ქუსლი. ქუსლის განი 13 სმ-ია, სიგრძე 30 სმ. იგი იხმარება უსახნისოდ, ნახნავის შემდეგ ნიადაგში წყალსაწრეტი არხების (თხორიი, ღარი) ამოსაღებად. მას აბედათში ფრთასაც კი უკეთებენ განიერი თხრილების ამოსაღებად.

ნახნავი ნიადაგის მოსასწორებლად და გასაფხვიერებლად მძიმე ნიადაგებზე **კაბტოს** იყენებდნენ. იგი დედოზე (რომლის სიგრძე 3 სმ-ია, განი 2 სმ) ამოჭრილი და კოტებზე ჩაყრილი, სავარცხლის ფორმის მსხვილი კბილანაა. კბილანის სიმაღლე 40 სმ-ია. თითო კბილანის განი 6 სმ-ს უდრის. დედოს მორგებული აქვს 2 მ და 25 სმ სიგრძის ტარი, მხარი. კაბტო იხმარება პირველი და მეორე ნახნავის შემდეგ, მძიმე ნიადაგის აცვენილი ბელტების გასაფხვიერებლად, ოღრო-ჩოღროების მოსასწორებლად. არის ქართული ანდაზა: „კაბდომ იცის სამართალი, მაღალ-დაბალს გაასწორებსო“[1].

ნახნავის წვრილმარცვლიანი სტრუქტურის მისაცემად იხმარებოდა ხის ფარცხი – **ჩარტი**. ჩარტი წკნელით შემოღობილი მცირე ღობურია. დედოებად დატანებულია ხის კაკვიანი ტოტები. კაკვების ან ნეკების სიგრძე 20 სმ-ს უდრის. შემოღობილი ფარდი კაკვების ან ნეკების მიერ აყრილ ბელტებს სრესს და აფხვიერებს, ნახნავ ღარებს ასწორებს.

საინტერესოა კინჩხაში გამოყენებული სახვნელის – **კინჩხური კავის** ქუსლი. აქ ქუსლის ზედაპირი ბრტყელია, ცხვირისაკენ გლუვად წაწვეტებული და წაფერდებული. გონიოები გლუვია, ხოლო ქუსლის უკანა მხარი – სწორად ჩაკვეთილი. ქუსლის ქვემო ნაწილი ამოღარულია. გული, რომელშიც გაყრილია მხარის მუხლი და ერქვანი, ნახნავში ცურავს, ხოლო ამოღარულ არხს ქუსლის გონიოები ფრთებივით ფარავს, იგი მიცურავს ნახნავზე. ასეთი ქუსლი მსუბუქიცაა. თანაც იგი ფაქარ, მსუბუქ ნიადაგს ღრმად არ კბეჩს, ღრმად არ ჭრის, ასე გვიამბეს იასონ და დავით კაჭარავებმა, ილია გედენიძემ და სხვებმა.

მხარის მშრომელი, მხვნელ-მთესველი კაცი მიწის სახვნელით დამუშავებისას ქუსლის რეგულირებას ახდენდა. თუ მიწა მაგარი, მძიმე დასამუშავებელი იყო, ქუსლის სოლებს ამოყრიდა და ქუსლს ცერად – მარჩხად დააყენებდა, რაც ღრმად კბეჩდა მიწას და ღრმად ჩასობილი ქუსლის წვერი ტეხდა მძიმე ნიადაგის ღრმა კვალს. მას **წკვიპის**, ან **მარჩხას** უწოდებენ. ხოლო თუ ნიადაგი მსუბუქია, ფაქარია და ღრმად დამუშავება არაა საჭირო, ქუსლს ასწორებდნენ სოლების მეშვეობით. მას რვილეს ან მხარის პარალელურად აყენებდნენ, რაც ზედაპირულ ფე-

[1] თ. სახოკია, ქართული ანდაზები, თბ., 1957, გვ. 99.

ნას აბრუნებდა მხოლოდ. ქუსლის ასეთ მდგომარეობას **ჩოჩის** ეძახიან (მცოცავს, მჩოჩავს, ზედაპირულად მოსრიალეს).

ნიადაგის თავისებურებათა გათვალისწინებით თავისებური იყო ხვნის წესები. მთაში ნიადაგი მსუბუქია – ფაქარია, ამიტომ ბელტიანობა არ ახასიათებს. ნიადაგს ორჯერ ხვნაც არ სჭირდება, რადგან ერთი ხვნა ნიადაგის სასარგებლო ზედაპირს საკმაოდ აბრუნებს და აფხვიერებს. მეორე ხვნა კი ნიადაგს სტრუქტურას უკარგავს, ხშირად ეროზიის წყაროც ხდება. რადგანაც მთაში ხვნა სწორად არ შეიძლება, ხნავენ „განგ შე“, მთის ძირიდან ზემოთ, მიჰყვებიან მთისძირს განდაგან და ასე ადიან სახნავ სიმაღლემდე. ასეთ ხვნას აწარმოებენ ზღვის დონიდან დაახლოებით 1500 მ სიმაღლემდე და ზემოთაც კი.

ფერდობებზე, მთებისა და ბორცვების შედარებით ნაკლებად დახრილ კალთებზე ნიადაგიც უფრო მაგარია. ამიტომ ხნავენ „იანჯირაფიო“ – მიწოლილად. პირველ ხვნაზე მიჰყვებიან განივად, ძირიდან ზემოთ, მეორე ხვნაზე აკეთებენ ოდნავ დახრილ ბრუნს ქვემოდან, ძირიდან, მესამე, მეოთხე ღარიდან ჩახრილად მიდიან პირველ ღარამდე და ასე კვეთენ თანდათან, პირველი ხვნის ღარებს.

ბარში კი მეორე ხვნა აუცილებელია. აქ ნიადაგი მძიმეა და მისი სტრუქტურული სრულყოფისათვის ნიადაგს მეორედ ხვნა სჭირდება. ამიტომ აქ გარდიგარდმო, ჯვარულად – **ჯვარუჲო** ხნავენ. ჯერ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მეორე ხვნისას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მომავალ წელს კი – პირუკუ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხარის ტერიტორია მთაგორიანია. ამიტომ ნიადაგიც სხვადასხვაგვარია. ამის მიხედვით გლეხს დამუშავების თავისებური მეთოდები ჰქონდა შემუშავებული ყველა ნიადაგის მიმართ.

საქართველოს ამ პატარა კუთხეში მიწათმოქმედების ისეთი ძველი კულტურა ადასტურებს, რომ საქართველო მიწათმოქმედების ერთ-ერთი უძველესი კერაა. ეს ძველი ბერძნების მითოლოგიაშიც ასახულია. ამ მითოლოგიაში მოიპოვება არაერთი მითითება ძველი კოლხეთის მრავალდარგოვან მეურნეობასა და მაღალგანვითარებულ მიწათმოქმედებაზე. მითის მიხედვით არგონავტებს საკუთარი თვალით უნახავთ კოლხური ხვნა-თესვის საოცრებანი, ხოლო იასონს აიეტის საღვთო ჭალაში რკინის სახვნელი იარაღით, რომელშიც სპილენძისჩლიქებიანი და რქებიანი ხარები იყო შებმული, მიწა მოუხნავს და ურჩხულის ეშვები ჩაუთესია. ეს სახვნელი იარაღი კოლხების და მათი მეფის – აიეტისა ყოფილა. ამასთან დაკავშირებით პროფ. გ. ჩიტაია წერს: „ბერძნული ლეგენდა

კოლხებს უკავშირებს ანდამატის საუკეთესო სახვნელ იარაღს. ჰეფესტომ იგი აიეტს გაუკეთა“[1].

ხვნა – ხონუა მხარის მიწათმოქმედთა უძველესი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა. ხონუა, ხვნა სახვნელით, ან ოხონალით ხდება. ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალით სულ ძველად მხარეში გავრცელებული ყოფილა ჯაში ოხონალი, „ხის სახვნელი“,[2] ერქვანი. იგი ხის ორკაპა ტოტის სახვნელად დამუშავებული ნაწილია. ორკაპა ტოტის გრძელი ნაწილი ტარადაა გამოყენებული. მეორე ტოტი კი მოკლედ, 60 სმ-ზე წაჭრილი და წათლილ-წაწვეტებულია საღარავად, სახვნელად. ტოტის დედო ნაწილი (ძირი) სახელურადაა ჩაკოპიტებული. ეს ორკაპა ტოტი იგივე კავიანი ტოტია. აქედან, ამ კავიანი, ან კაკვიანი ტოტიდან წარმოშობილი უნდა იყოს ქართული სახელწოდება კავი. „პირველდასაწყისში ეს იარაღი წარმოადგენდა ხის მთლიან კაკვს – ხის ნაწილი ძირიანად ან ტოტიანად, რაზედაც მიგვითითებს მისი სახელწოდება კავი, სიტყვა-სიტყვით „კაკვი“, ხოლო მისი სხვა სახელწოდება „საწერა“ გამოხატავს მის ფუნქციას – „ხაზოს“, „წეროს“,[3] – ვკითხულობთ კრებულში – „Народы Кавказа“.

ეს ერქვანი – კავი, საწერა მარტო სახვნელი იარაღის განვითარების გარკვეულ საფეხურს წარმოადგენს ხათჩქონუას (ხათი ღარვის) შემდეგ. 1966 წელს სოფ. კურზუში სოფრო ნაჭყეპიამ, ნესტორ გაბისონიამ, თამაკონში ი. კვაშილავამ და სხვა მოხუცმა გლეხებმა გვიამბეს, რომ მათი წინაპრები ყოველი სახის სახვნელს საერთოდ **ერქვანს** უწოდებდნენ. ისინი დღესაც, გარდა ოგაფასი, ერქვანსაც ამბობენ და, იგი, გარდა ხელნისა, ოგაფის საერთო სახელწოდებად მიაჩნიათ.

ჯაში ოხონალის და ერქვანის დღემდე შემორჩენილ სახეს, თუმცა ძლიერ ფორმაცვლილს და განვითარებულს, წარმოადგენს რაჭული საწერა. აქ თვით ტერმინი წარმომდგარია ნიადაგის წვეტიანათი ღარვისა და წერისაგან. ესეც საყურადღებო ფაქტია.

ერქვანის ქუსლზე მორგების და ერქვანის შემდგომი განვითარების და სრულყოფის საინტერესო ფაქტს წარმოადგენს მხარეში გავრცელებული სახვნელი ოგაფა. ჩვენ მიერ ადგილზე ჩაწერილი გადმოცემებით სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს დაგებისაგან, მორგებისაგან. **გეგაფა, დოგაფა, ოგაფა, აკოგაფა, აკაგაფაი, დააგაფაი, იოგაფაი** ნიშნა-

---

[1] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე. №1, თბ., 1937, გვ. 288; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბ., 1930, გვ. 263.

[2] გმმ სამეცნიერო ფონდი, „ვ“ ჯგუფი, 1966 წლის ისტორიულ-საყოფაცხოვრებო ხასიათის ექსპედიციის ჩანაწერები.

[3] Народы Кавказа (Серия: народы Мира), том II. М., 1962, стр. 214.

ვს დაგებას, მორგებას. მართლაც, აქ ეს სახელწოდება სავსებით უდგება ერქვანის განვითარების ამ პროცესს. პროფ. არნ. ჩიქობავა წერს: „ძირეული კომპლექსი უნდა იყოს (რექუ, – რაიც ცუ-ს სემასოლოგიური და ფონეტიკური ტოლია („აცვია“). ე- ან ს-ელ-ის როლში გამოდის: „ერ-ქუ-ან, სა-რ-ქუ-ელ „საცმელი“. ასეთი მნიშვნელობა შეუფერებელი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერქუან-ი სამეგრელოში (და იმერეთშიც ი. ყიფშიძის ცნობით, მეგრ. ღრ., 232) აჩაჩის იმ ნაწილს ეწოდება, რომელიც ჩარჭობილია ქუსლში, მას „დაცმული“ აქვს“.

სოფ. თამაკონში 70 წლის მოხუცმა ბიქტორ ნადარაიამ ჩვენთან საუბარში თქვა: „ოგაფა, სქუა, დააგაფაი, გიოგაფაი, აკაგაფაი რე. ტარი გეგაფირიე ქურიშა. ერქვანი მუში ტარით ქუმააგეს ქურს“ (ოგაფა, შვილო, დასაგებია, ასაგებია, ტარი დაგებულია ქუსლზე. ერქვანი თავისი ტარით მოარგეს ქუსლზე). პროფ. ი. ყიფშიძე „ოგაფას“ შემდეგნაირად აღწერს: „**აგაფა. ოგაფა** კავის ხის გრძელი ნაწილი, მოხრილი უკანა ნაწილით, რომელზეც ჩამოცმულია ქვედა ხის ნაწილი (ქური, ჩაფულა), რკინის სახნისით (კინახონა). აგაფა ეწოდება ყველა იარაღს – კავს, გუთანს; ართი მახაჩქალს ქუუსქუაფუ აგაფაშა ოლი უღუ კამეჩი და ხონუნს.[1] აქედან დასტურდება, რომ ოგაფა აკოგაფილი, აგებული, შედგენილი, მორგებული ინვენტარია, რომელსაც გვიან რკინის სახნისი მოარგეს.

ამ აზრს თვალნათლივ ადასტურებს ჩვენ მიერ სოფ. ქვაითში ჩაწერილი ხალხური სიმღერა, სადაც ნათქვამია:

„ჩქიმი ჯვეში ცათ ხონუნდუ
მიშაჲონტყირიში ტყას,
პაპუქ რკინა დოჭკადუ დო,
ბაბუქ ხონუ ოგაფათგ “.

„ჩემი ძველი ხის ტოტით ხნავდა
ჩამობურულ ტყეს,
პაპამ რკინა გამოჭედა,
ბაბუმ კი ხნა ოგაფათი“.

ამ ზეპირსიტყვიერმა მოწმემ შემოგვინახა ცნობა **ცა** ან **ხა** სახვნელი იარაღის შესახებ. თანაც მიუთითა, რომ იგი სახვნელ იარაღთა შორის პირველი იყო. შემდეგ პაპამ, ან უფრო დიდპაპამ, რკინის ჭედვა დაიწყო და სახნისის შექმნის პირობები მოამზადა, ბაბუამ კი ქუსლზე მოარგო ცა ან ხა, რკინის სახნისი გაუკეთა და ოგაფათი დაიწყო ხვნა. ე. ი. ჯერ ცა

[1] И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского (Иверского) языка. С.-П., 1914, стр. 192.

და ხა იყო სახვნელი იარაღი, ხოლო რკინის მეტალურგიის განვითარების შემდეგ გაუმჯობესდა სახვნელი იარაღი, მხარი ქუსლში იქნა მორგებული და რკინის სახნისიანი ქუსლის წვერით დაიწყო ხვნა. ზემოთქმულის შედეგად შეიძლება თვალი გავადევნოთ ამ სამიწათმოქმედო იარაღთა განვითარების ხაზს, იგი დაახლოებით ასეთი სახით წარმოგვიდგება (იხ. ტაბულა I).

**ბარჯგი-ბარგი, ბარითჩქონუა, ბარგუა-მარგვლა**

**ხაბარჯგვა, (ხათჩქონუა), ხაჩქუა**

**ხეში ოხონალი**

**ოხონალი**

**ერქვანი, მხრიანი პრიმიტიული ქუსლით**

**კინახონაში ერქვანი**

**ოგაფა**

**ტაბულა I. სახვნელი იარაღის განვითარება ხალხური გადმოცემით**

წყაროებში ოგაფის, ან აგაფის რამდენიმე სახეა სამეგრელოში აღნიშნული. XVII საუკუნის მისიონერს, მოგზაურსა და მხატვარს – ქრისტეფორე კასტელს თავის ალბომში ჩაუნიშნავს კომპლექსური გუთანი. ეს ძალიან საინტერესო გუთანია[1], რომლის არსებობა ოგაფის, აგაფის განვითარების ახალ საფეხურზე მიუთითებს. სახვნელის მეტად საინტერესო სახე აქვს ჩახატული ერმაკოვსაც. „სურათზე, – წერს პროფ. გ. ჩიტაია, – მოცემულია მარტივი სახვნელი იარაღის მხარის თავი, წინმავალ ფრჩხილზე დაყრდნობილი. ფრჩხილის ბოლო მიწაზე მიცოცავს, ხოლო მისი თავი ხარების უღელზეა დამაგრებული“[2]. მსგავსი გუთანი ჩაუხატავს XIX საუკუნის 80-იან წლებში სეროვსაც. ეს სახვნელები ორხელაა. მათ მოკლე მხარი აქვს, რომელიც ფრჩხილზეა დაყრდნობილი. ამდენად, იგი სრულიად განსხვავდება ერქვანი-ოგაფის დღემდე შემორჩენილი ერთხელა – ერქვანიანი სახვნელის ტიპისაგან და ეს მოწმეები მიუთითებენ იმაზე, რომ სამეგრელოში, ძველ დროში, ყოფილა არაერთი სახის, არამედ რამდენიმე სახის სახვნელი, თუმცა საფიქრებელია, რომ ისინი იმ პირველი ერქვანის, კავის, ოგაფის, განვითარების სრულყოფის გვიან ფორმებს წარმოადგენენ ალბათ. ამ აზრს ადასტურებს მეგრუ-

[1] გ. ჩიტაია, მთიულური ქიბორჯი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. IX. თბ., 1957, გვ. 37.

[2] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმიკის მოამბე, №1. თბ., 1937, გვ. 272-273.

ლი სახვნელი, რომელიც ჟიულ მურიეს აქვს ფოტოგრაფირებული[1]. იგი ეტრუსკული სახვნელის ადეკვატია. ეტრუსკული სახვნელი თითქმის ყველა დეტალში ემთხვევა მეგრულ სახვნელს – ოგაფას. პროფ. გ. ჩიტაია აღნიშნავს, რომ „საკვირველ მსგავსებას ამჟღავნებს ეტრუსკული და მეგრულ-იმერული სახვნელები. აქ მოტანილი ეტრუსკული სახვნელი (სურ. 29) სრულ ანალოგს პოულობს მეგრულ სახვნელში (იხ. სურ 30). მსგავსება იმდენად ყოველმხრივია, რომ იგი აშკარავდება სახვნელების ყველა ძირითად ნაწილსა და დეტალებში, კერძოდ მხარი, ქუსლი და ხელნა“[2]. ეს კი თავისთავად მეტყველებს ამ სახვნელთა უძველესი დროიდან მომდინარეობასა და ეტრუსკულთან ნათესაურ კავშირზე.

მიწის ნაყოფიერების აღსადგენად ხალხში სხვადასხვა ტრადიციული წესი იყო გამომუშავებული, რაც ტოპონიმიკურ მასალაშიც კარგად ასახულა. ასე, მაგალითად, „კაბეტი“ ხანგრძლივად დასვენებულ ადგილს ეწოდება. ეს ისეთი ადგილებია, რომლებიც ხანგრძლივად გამოყენების გამო გამოიფიტა და დასვენება ჭირდება. გლეხი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ასეთ გადაღლილ მიწას (გინოშულადირი, გითოწირიი) დასვენება სამი, ხუთი, ან უფრო მეტი წლით კვლავ აღუდგენდა ნოყიერებას, კვლავ მოზრდიდა მიწას (მორდუნდუ დიხას), ე. ი. სისქეს შემატებდა. დედოქანის ზემოთ სასარგებლო ნიადაგის ფენას მოიზრდიდა და კვლავ უხვნაყოფიანს გახდიდა, **დაგვანუანდუ** (გაასუქებდა). **დოსვანჯაფა** ან საკაბეტოდ მიჩენა ტყის მეშვეობითაც ხდებოდა. აქ ტყეს ხანგრძლივ ახარებდნენ, არ გაჩეხდნენ. ასე გამდიდრებული ნიადაგი კვლავ უხვ ნაყოფს იძლეოდა. ნიადაგის დასასვენებლად და ნოყიერების აღსადგენად თესლ-ბრუნვასაც კი მისდევდნენ. უფრო ხშირად დასასვენებლად მიჩენილ მიწაზე ჭვავს თესდნენ ხოლმე. სამი-ოთხი წლის შემდეგ კვლავ სიმინდს მიუშვებდნენ „ნაჭვზე“, ან ჭვავის ნათეს ადგილზე. სიმინდი უხვ მოსავალს იძლეოდა რამდენიმე წელიწადს. „ნაჭვი“, შვილო, ჭვავის ნათესი ადგილებია. აქ ჭვავს მიწის დასასვენებლად ვთესდით. როცა ძლიერ გაღარიბდებოდა მიწა, ორი-სამი წლის შემდეგ დედომიწას კვლავ შევუბრუნებდით სიმინდს. იგი ამ შეცვლის შემდეგ ძლიერ მოსავალს გვაძლევდა“ – მოგვითხრობდა 100 წლის მოხუცი მ. შონია. „ნაჭვი“ ადგილები ჩვენ მრავლად გვაქვს ჩაწერილი ჩრდილო-აღმოსავლეთ სამეგრელოს მრავალ ადგილას.

თუ ნიადაგი საყანე ადგილებში გამოიფიტებოდა, გლეხი მას ნოყიერებას კვლავ აღუდგენდა, ე. ი. ეხმარებოდა ხოლმე გამდიდრებით, და-

[1] ჟ. მურიე, სამეგრელო, გვ. 314-315.

[2] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე, №1, თბ., 1937, გვ. 284.

მატებითი ნოყიერების შეტანით. გარდა ნაკელისა, მას ნიადაგში შეჰქონდა **ტკილი** (მერგელი – „ნტკიი“) და სილა, ან ქვიშა. ტოპონიმიკურ მასალებში ხშირად გვხვდება ადგილთა სახელწოდებანი – **ნანტკილა, ნასილა, ნასიადუ, ნაქვიშა** და ა. შ. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი მხარის მიწათმოქმედი დაკვირვებია, რომ ტკილი და მდინარის შლამი ნიადაგს ამდიდრებს და უხვნაყოფიანს ხდის ხანგრძლივად, 15-20 წლის განმავლობაში. ტკილი ყანებში მოჰქონდათ მდინარისპირიდან და ყრიდნენ; შემდეგ შლიდნენ, ისე, რომ ტკილს, ან შლამს ნიადაგი ორი, ან სამი გოჯის სიმაღლეზე დაეფარა. შლამი, ან ქვიშა მდინარიდან ურმებით ამოჰქონდათ, ან მდინარეს მიუშვებდნენ ხოლმე, დაალექინებდნენ, მოასილვინებდნენ, მოაქვიშიანებდნენ; შემდეგ კვლავ თავის კალაპოტში აბრუნებდნენ მდინარეს, ხოლო ნიადაგს კი ამუშავებდნენ. ამასთან დაკავშირებით პროფ. გ. ჩიტაია წერს: „ცნობილია, რომ რიონის წყალი (ძველი ფაზისი) სამჯერ მეტ ნალექს შეიცავს, ვიდრე მდინარე ნილოსის წყალი. დასავლეთ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა მიწის (მინდვრის) გასანოყიერებლად უძველესი დროიდანვე იყენებდა რაიონისა და კოლხეთის სხვა მდინარეთა ნალექს. აქვე დიდი წარმატებით სარგებლობს ტკილიანი ნიადაგის მიწის სასუქად გამოყენება, რომელიც 15-18 წელს უზრუნველყოფს მაღალ მოსავალს და წელიწადში ორ მოსავლიანობას“[1].

განსაკუთრებით სასარგებლო ქვიშა სცოდნია ნოღელებსა და ნაღუებს. **ნოღა** მოზრდილი ღელეა, მცირე მდინარისოდენა. იგი რამდენიმე სოფელს შორის მოედინება და ანოყივრებს და რწყავს მათ. სილა მთების ნაკადულთა ნაერთია, რომელიც რეცხს გზადაგზა მთის მრავალფენოვან ქანებს, ჩამოაქვს ბარად ათასგვარი ნაშალი, მსხვილმარცვლოვანი, ხოშხოშა ფენა, ოდნავ მოშავო-მიხაკისფერი, რომელსაც გაშლილ ჭალებში სტოვებს. შემდეგ, ეს ქვიშიანი ნამდინარევი ბალახით იფარება. „ჩვენ ბატონებისგან, ან მიწების მეპატრონეებისგან ვიძენდით ნოღის ჭალებში პატარა ადგილებს, აქ ვთხრიდით ორმოებს და ჭებს, ამოგვქონდა ქვიშა, ურმებს ვტვირთავდით და გაგვქონდა ყანებში“,[2] – მოგვითხრობს 70 წლის მოხუცი კოლმეურნე სარდიონ ბართაია. ნოყიერი ქვიშა ჩამოჰქონდა აგრეთვე ნაღუებსაც. **ნაღუ** პატარა ღელეა, ხშირად მშრალი, მხოლოდ წვიმიან ამინდებშია წყლით სავსე. ძალიან ნაყოფიერი ქვიშა სცოდნია ცხენისწყალსაც. ნიადაგის გასანოყიერებლად რიონის ქვიშასაც იყენებდნენ ხოლმე.

---

[1] გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 148.

[2] გმმ III სამეცნიერო სესიის მასალები. გვ. 4.

საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედება უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი. ეთნოგრაფიული მონაცემები მოწმობს, რომ ხალხი ნიადაგის ხელოვნურ განოყიერებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ძველთაგანვე. პროფ. მ. გეგეშიძის მიხედვით, „ეთნოგრაფიული მონაცემებით გამანოყიერებელი მორწყვის ორი ხალხური ხერხი დასტურდება: 1. უშუალო მდინარის წყლის მიშვება ნაკვეთებზე და მისი დალექვა; 2. მდინარის (ღელის) ნაპირებიდან შლამის მოზიდვა და ნაკვეთზე დაყრა“[1].

საქართველოს მემინდვრეობაში, მათ შორის სამეგრელოშიც, ძველად მთავარი ადგილი მარცვლეულ კულტურას ეკავა. საკვლევ რაიონში ხორბალი ბევრი მოჰყავდათ. „ქობალს“ ან ხორბალს სთესდნენ უფრო გაშლილ ველიანზე, შედარებით ვაკეზე, უპირატესად მზისგულზე. „საქართველოს ორიოდე გეოგრაფიული სახელი უფლებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ძველად „ქვაბალი“, ან „ქობალი“ მარტო დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და ჭანეთში კი არ ყოფილა, არამედ ეს ტერმინი აღმოსავლეთ საქართველოშიც უხმარიათ... ხურბალი და მისი ფონეტიკური სახენაცვლები მთელი ქართველი ერისათვის ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო ძველ დროსავე პურეულის აღსანიშნავად“[2]. ადგილზე მოპოვებული მასალა სავსებით ადასტურებს დიდი მეცნიერის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას.

სპეციალისტების მიერ დადგენილია, რომ საქართველო მიწათმოქმედების კულტურისა და პურეულ მცენარეთა ერთ-ერთი უძველესი კერაა, რასაც ადასტურებს ენდემური პურეული კულტურების და მათი უძველეს სახეობათა არსებობის ფაქტი“. „კოლხეთში დადასტურებული მარცვლეული მახა, განეკუთვნება პურეული კულტურების უძველეს სახეობას, რომელსაც შემოუნახავს გარეული პურეულის ზოგიერთი თვისება (მტვრევადობა, ცვენადობა) – წერს პროფ. გ. ჩიტაია... – ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მახას მოსამკელად გამოყენებული იყო სპეციალური იარაღი შნაკვი, რომლის ანალოგია მხოლოდ ასტურიაში, ესპანეთში მოიპოვება“[3]. თედო სახოკიამ შნაკვი სამეგრელოშიც მოიხილა და ეს უნიკალური ექსპონატი სხვა ქართულ ეთნოგრაფიულ კოლექციებთან ერთად დღეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება. შეიძლება ამ „მახა“-სთან იყოს დაკავშირებული ადგილის სახელწოდება **მახაში** ცხაკაიას რაიონში, სოფ. ფოცხოსა და ლეძაძამეს შორის. სახელწოდება მახაში აღმოსავლეთ სამეგრელოში

[1] მ. გეგეშიძე, რწყვის ძველი და ახალი სისტემა ტირიფონის ველზე, „მიმომხილველი“, ტ. I, თბ., 1949, გვ. 57.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I. თბ., 1930, გვ. 320-321.

[3] გმმ VIII სამეცნიერო სესიის მასალები, ქუთ., 1966, გვ. 19.

მრავალ ადგილას გვხდება, რაც ოდესღაც ამ კულტურის ფართო მასშტაბით არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

აბაშის რაიონი შედარებით დაბალ ადგილზე, რიონისპირეთის გაშლილ ჭალებზე მდებარეობს. მისი ნიადაგი ნოტიო და ხშირჭაობიანია. ამიტომ აქ ყველაზე მეტად ხელსაყრელი პირობები იყო ბრინჯის კულტურის გავრცელებისათვის. აქ ხშირად გვხვდება ადგილის სახელწოდებანი: „ნაბრინჯუ“, „ობრინჯე“. როგორც გადმოგვცემენ, ბრინჯისათვის განსაკუთრებული არხებით შეჰყავდათ წყალი ნათესებში. ძველად აქ ბრინჯის უხვი მოსავალი სცოდნია. დავით დადიანი ბებუთოვისადმი გაგზავნილ „უსტარში“ წერდა: „ბრინჯის თესვას განირთვიან სამეგრელოს სამთავროსა შინა ძველთაგან ძველ უხსოვარის დროიდან... ბრინჯსა ამას არ რწყავენ, არამედ უძებნიან ნოტიო ალაგს და არის ფერით მოწითალო, ნოვაგათ გემრიელ წვრილი მარცვლები, სთესენ დამლევ მარტს, მოიწევის ოქტომბერში“.[1] გვხვდება აგრეთვე ადგილთა სახელწოდება „ნაქეროუ“. მოხუცები იგონებენ, რომ აქ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარშიც თესდნენ ქერს, თუმცა ქერის ადგილები ჩვენთან ძალიან ხშირად არ გვხვდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქერს ჩვენი კუთხის მარცვლეულ კულტურებში შედარებით მცირე ადგილი ეკავა.

„ოსიმინდე“ ადგილები უფრო მასიურად გვხვდება. მას უჭირავს შედარებით ნოტიო და მშრალი ადგილებიც, ჭალები, გორაკის ფერდობები და მთების დამრეცი კალთებიც. ამდენად, იგი უკვე ხანდაზმული, გაბატონებული კულტურაა. სიმინდი უხვმოსავლიანი და ამტანი მცენარეა, მაგრამ მაინც ნიადაგის განოყიერებას მოითხოვს. ამიტომ გლეხი ცდილობს, გაანოყიეროს და კარგად დაამუშავოს ნიადაგი. იგი ამისათვის საუკუნეების განმავლობაში დაცდილ საშუალებას მიმართავს.

„ოღუმოლი“, „ნაღუმუ“ და „ნაჭკიდუ“ ადგილები სამეგრელოს თითქმის ყველა მხარეში გვხვდება. ღომი და მჭადი ან ჭადაჭადა მაღალი ზონის, შედარებით გორაკების, მთების კალთების, მშრალი ადგილების მცენარეებია. არქანჯელო ლამბერტი წერდა: „მეგრელები ჩვეულებრივად პურით კი არა, ღომით იკვებებიანო“[2]. ხოლო დავით დადიანი აღნიშნავდა: „ღომი: ძველთა ჟამთა შინა, უხსოვარი დროიდგან სამეგრელოს სამთავროსა შინა მიღებულ არს თესვა ღომისა: ამას სთესენ სიხშირით და ხმარობენ პურის წილ, ხოლო გარემოებასაცა შინა სყიდიან მებრ-საჭიროებისათვის, აფხაზეთს, გურიასა და იმერეთს“[3]. გადმოცემის თანახმად, ამ მცენარეებს მზისგული და ეწერი ადგილები ჰყვარებია, უფრო

[1] ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 100.
[2] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 60.
[3] ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 101.

მთის დამრეცი კალთები. ნოტიო ძალზე ცუდად მოქმედებდა ამ მცენარეებზე. ხშირად ძალზე მსხვილ-თავთავიანი და მაღალიც იზრდებოდა იგი. ხალხში შემონახულია ღომის მოყვანის, მოვლისა და გამოყენების მრავალი წესი. ღომის დასამუშავებლად განსაკუთრებულ ხელსაწყოებს იყენებდნენ: საცეხვად ჩამურს და კაკუტს, ხოლო საშრობად – ოლეს[1]. ოლე დამოწმებული აქვს ი. ყიფშიძესაც. მასვე მოეპოვება ჩამურის და კაკუტის მოკლე აღწერილობაც. „ო-ჩამური ღომის (ღუმუ) საცეხვი ხის ჭურჭელია, საცეხვი ვარცლია“[2].

ჯ. რუხაძე აღნიშნავს, რომ ღომის საცეხვი ჩამურები დას. საქართველოს (გურია, აჭარა, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, აფხაზეთი) თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება და შემდგი სახელწოდებითაა ცნობილი: ოჩამურე, ჩამური (სამეგრელო), ჩამური (გურია, იმერეთი), ჩორგო (ლეჩხუმი), საბურველი (აჭარა), ალაკვარა (აფხაზეთი)“[3]. ოლე დამოწმებული აქვს ი. ქობალიას, თავის შრომაში „Из Мифическоей Колхиды“, როდესაც იგი ელიობის დღესასწაულის რიტუალს აღწერს“: „ამ დღეს დიასახლისი „ელიასათვის“ (წმ. ელია) მსხვერპლის შეწირვის ჩვეულებას ასრულებს, თხოვნით: „დაიცვას „ოლე“ (ღომის საშრობი) ცეცხლის წაკიდებისაგან და ანათემას გადასცეს ყველა ბოროტი სული“.

**ღუმუს** ფართო გამოყენება ჰქონდა მოსახლეობაში. მისგან ამზადებდნენ ღომს, შემტკიცულ ფაფას, რომელსაც ხშირ შემთხვევაში რძეში ხარშავდნენ ხოლმე მესაქონლეები, „ელარჯსაც“ ამზადებდნენ (ყველისა და ღერღილის ფაფას). ღომისა და ოჯალეშის ნადუღისაგან აკეთებდნენ ტიბუს – მოსქო, ცხელ ხსნარს, რომელსაც ხოლმე ავადმყოფს ასმევდნენ. ტიბუ ოფლს დაადენდა შეცივნულს და ჯანს აღუდგენდა. მოჰყავდათ აგრეთვე ჭადაჭადაც, რომლის მარცვალს ფქვავდნენ, ცომად მოზელდნენ და გამოაცხობდნენ. მისი ჭადი მეტად სურნელოვანი და ნოყიერი ყოფილა. ტოპონიმიკურ მასალაში არაერთხელ გვხვდება ადგილთა სახელწოდება **ნაჭკიდუ**.

ლობიო და ცერცვიც ძველისძველი საკვები კულტურები იყო. ლობიოს შეჭამადი ძველთაგანვე გავრცელებული იყო. იგი მარტო სამარხვო საჭმელი როდი იყო, მაცვლად მოხარშულ ლობიოს ნახარშში ჩააფშვნიდნენ ღომს ან ჭადა-ჭადის ნაცხობს და ისე შეექცეოდნენ. ხოლო ნიგვზით, ნიორით და ტყემლით შეკაზმული ცერცვის მოხარშული მარცვალი ერთ-ერთ გემრიელ კერძად ითვლებოდა. იცოდნენ აგრეთვე ცერცვის

[1] ჯ. რუხაძე, ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მას. საქ. ეთნოგ., XI, თბ., 1960, გვ. 96.

[2] Грамматика..., стр. 363.

[3] იქვე, გვ. 87.

დაფქვა და მისი (ხაჯი ცერცვია მეგრულად) ფქვილისაგან ნამცხვრისა და ფაფის დამზადება. საკვლევ რაიონში შეგროვებულ მასალებში ხშირად გვხვდება ადგილთა სახელები – **ოლობიე**, **ოხაჯე**. ეთნოგრაფიული მონაცემები მიუთითებენ, რომ ამ ადგილებში ძველთაგანვე მოჰყავდათ ლობიო და ხაჯი (ცერცვი), რომ ამ ადგილებს ოდითგანვე იყო შეგუებული ეს მცენარეები და უხვი მოსავალიც სცოდნია. ლობიოს მზისგული, მშრალი ადგილები უყვარს, ოდნავ ქვიშიან-ქვიანიც, ძალიან მორეული ქვიან-ქვიშიანი არ უნდა იყოს. უყვარს მორწყვაც. ხოლო ხაჯი ჩრდილიანსაც კი ეგუება, ოღონდ ნიადაგი მშრალი უნდა იყოსო“ – გვარწმუნებდა მთხრობელი, რომელსაც ამ კულტურათა მოყვანის ხანგრძლივი და კარგი გამოცდილება ჰქონდა.

ჩვენი მხარის მშრომელთა მემინდვრეობის ერთ-ერთი წამყვანი კულტურები უძველესი დროიდანვე იყო ტექნიკური მცენარეები: სელი (სუ) და **კანაფი** (კიფი). ძველი კოლხეთი ფართოდ იყო ცნობილი სელისა და კანაფის ბოჭკოსაგან დამზადებული ტილოებით. მას კოლხეთში იყენებდნენ, როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე, ქვეყნის გარეთ გასატანად და გასაყიდად. კოლხური ტილო განთქმულიც ყოფილა აღმოსავლეთის ქვეყნებში. სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ წერდა, რომ კოლხეთში „ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს, ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის: (ქვეყნის) გარეთაც კი გააქვთ“[1].

ჩვენმა ხალხმა ტილოს ქსოვის ეს უძველესი ტრადიცია XX საუკუნემდეც კი შეინარჩუნა. სელისა და კანაფისაგან დღესაც ამზადებენ ნართს, ქსოვენ ბადეს და გრეხენ ბაწარს. ხოლო სელის თესლს საჭმელადაც კი იყენებენ, მას **ქუმუს** ეძახიან. სიმღერაშიც კი უმღერიან მას: „ქუმუ რექ დო ქუმუწყარი“... ქუმუწყარს სამკურნალო თვისებებსაც კი მიაწერენ ხოლმე.

სელისა და კანაფის ბოჭკოსაგან მიღებული ნართი ჯერ კიდევ ამ 60-70 წლის წინათ უხეში ქსოვილის – „ჯვალოს“ მასალა იყო. ჯვალო ან უხეში ქსოვილი შალთან, ხამიანთან და დარაიასთან ერთად ტანსაცმლის მასალადაც კი გამოიყენებოდა. ჯვალო ძლიერ მაგარი, უხეში და ტლანქი ქსოვილი ყოფილა. ჯვალოს ისე, როგორც ხამს, დარაიასა და შალს, ქსოვდნენ საქსოვ დაზგაზე, რომელსაც მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებამდეც კი იყენებდნენ ჩვენს მხარეში. წმინდა სელისაგან დამზადებული ქსოვილი ნაზ პირს იყენებდა ხოლმე და აბრეშუმისა და შალის ქსოვილზე არანაკლებ კეთილსახმარი იყო. გ. ჩაჩაშვილი წერს: „ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, განსაკუთრებით ღრმა კვალი შემოუნახავს სამეგრე-

[1] СМОМПК XXXII, часть III, стр. 108.

ლოში, ხალხის მეხსიერებაში, სელის ტილოსაგან დამზადებულ პერანგს, რომელსაც „სუშ ოსარეს“ უწოდებენ. ამ პერანგს მამაკაცები ყანაში მუშაობის დროს ატარებდნენ – სელის პერანგი გრილი და ყანაში სამუშაოდ ძალიან გამოსადეგი იყოო – აღნიშნავენ მოხუცი მთხრობელები“[1]. სელის პერანგი და მისი ამხანაგი XX საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლომდეც კი იყო გამოყენებაში. სელის ქვედა საცვალის შესახებ სიმღერაც კია შემორჩენილი: „სუში კურთა, თინა ხოლო კუნტა“ (სელის ქვედა საცვალი და ისიც მოკლეო). ჩვენი მხარის ყოველ კუთხეში გვხვდება ადგილთა სახელწოდებანი, რომელნიც ამ კულტურასთანაა დაკავშირებული. **ესუე, ნაესუ, ოსუე** და სხვ., სელის მოყვანის ტრადიციული ადგილებია. „სელს მრავალს ადგილას სთესენ და ხმარობენ ძაფათ და ტილოთ“ – წერდა სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი 1852 წელს[2]. „სელისა და კანაფისაგან ქსოვილების დასამზადებლად ამ მცენარეებს ახლო წარსულამდე აშენებდნენ აჭარაში, აფხაზეთში, გურიასა და სამეგრელოში“[3] – წერს გ. ჩაჩაშვილი. ესულე – გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბობოთის ერთ-ერთი უბანია. იგი სიტყვასიტყვით სასელო, ე.ი. სელის მოსაყვან ადგილს ნიშნავს. ესუეში, სულავები ან სუები ცხოვრობენ (მოხუცი მეგრელი დღესაც სუ̈ა-ს იტყვის და არა სულავას), რომლებიც ოდითგანვე სელის ან სუს მოყვანას მისდევდნენ ხოლმე. დღესაც ბადისა და ბაწრის საუკეთესო ოსტატები არიან. მათი გვარის მოხუცები გვიამბობენ, რომ უხსოვარი დროიდან მათი გვარის ძირითადი მოსაქმეობა სელის მოყვანა და მისგან ტილოს, ბაწრის და ბადეების დამზადება ყოფილა[4]. ასეთივე წარმოშობის უნდა იყოს სახელწოდება ნაესუ. **ნაესუ** სოფელია გეგეჭკორის რაიონში. აქ მოსახლეობენ სუები, სულაბერიები, რომლებიც ოდითგანვე ცნობილნი არიან სელისა და კანაფის მოყვანითა და მათგან ბაწრის, ბადისა და ტილოს დამზადებით. სულაბერიაც ან სუ̈აბერიაც სუბრეიდან უნდა იყოს წარმომდგარი – **სუბრეი** სიტყვასიტყვით სელ-ბევრს ნიშნავს. ეტყობა ბევრი სელის მწარმოებელს სელ-ბევრი ან სუ-ბრეი, **სუბრეიას** ეძახდნენ. ასეთ ვარაუდს ადასტურებს ადგილისა და ამ გვარის შესახებ ხალხში დღემდე დაცული მრავალი გადმოცემა. ოსუ̈ეც მრავალ ადგილასაა გავრცელებული ჩხოროწყუში, გეგეჭკორის, ცხაკაიას და აბაშის რაიონებში, როგორც სელის მოყვანასთან დაკავშირებული ტოპონიმი.

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 124.

[2] გ. ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი მოამბე XIX. 13. თბ., 1956, გვ. 178.

[3] ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 94.

[4] იქვე, გვ. 175.

ასეთივე წარმოშობის უნდა იყოს ადგილის სახელწოდება **ნაკიფუ** (ჩხოროწყუს რაიონში სოფლის სახელწოდებაა). „სვანეთში კანაფის ნართს ეწოდება „სგვირი“. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში კანაფის სამეურნეო მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს სოფლის სახელი „ნაკიფუ“ (ნაკანაფარი) ადგილი, რომელიც ერთ დროს კანაფის უხვი მოსავლით იყო ცნობილი“[1]. **კიფ-კვათარიც** კანაფის ძირისგანაა წარმომდგარი. ეს სახელწოდებანი ხშირად გვხვდება გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, აბაშისა და ცხაკაიას რაიონებში. ამ ადგილებში ძველად ბევრი კანაფი ან კიფი მოჰყავდათ. ზოგან იგი დღესაც მოჰყავთ. სულავეები და სულაბერიები ბადის ძაფებში სელთან ერთად შესაგრეხად კანაფსაც იყენებენ. კანაფს იყენებენ აგრეთვე ბაწრის დასამზადებლადაც. „სელის კულტურასთან დაკავშირებით ძველი ტრადიციის გამჟღავნება უნდა იყოს, აგრეთვე ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლის მიხედვითაც წალენჯიხისა და ხობის რაიონებში სელის ნართისაგან თევზის საჭერ ბადეებს ამზადებენ. ეს ფაქტი გარკვეულად ეხმაურება ქსენოფონტეს შენიშვნას თევზსაჭერი ბადის შესახებ, რომელშიც ის რჩევას იძლევა, ასეთი ბადისათვის გამოყენებულ იქნეს კოლხური სელის ნართი“[2] – წერს გ. ჩაჩაშვილი.

მხარის ტოპონიმიაში არაიშვიათად გვხვდება ადგილის სახელწოდება **ოისირე**, ანუ საისლე. ჩვენ მხარეში ძველად გლეხის საცხოვრებელი ისლით იყო გადახურული. ასეთი სახლები და ფაცხები ზამთრობით თბილი და ზაფხულობით გრილი იყო. წვიმაც ადვილად ვერ ატანდა და გამძლეც იყო. ისლით გადახურული იყო სამეურნეო ნაგებობანი და ხშირად ოდა სახლებიც კი. კარ-მიდამოში და მის გარეთაც გლეხს ცალკე ჰქონდა გამოყოფილი საისლე ადგილი. ასეთი ნაკვეთების პატრონი შეძლებულ კაცად ითვლებოდა სოფელში.

ნიადაგის დამუშავების მრავალფეროვანი ხერხები (განგშე, ჯვარუჲო, იანჯირაფიო), ნიადაგების ცოდნა (გოჲოფირი, ჭოროფიი, მუირი, უმუჲუ), ხალხური აგროტექნიკის ტრადიციული წესები, კულტივაცია, გადაფარცხვა, მიწათმოქმედების სამუშაოების ზუსტი კალენდარი, მორწყვა და სარწყავი სისტემა (ღარი, თხორიი, ზვინუა, წყლის მიშვება და სხვ.). მიწის ნაყოფიერების გადიდების საშუალებანი (მოტკილუა, მოქვიშუა, ნაკელის გატანა), მიწის ახალი ნაკვეთების ათვისების წესები (მოჭვარუა, კაბეტის გატეხვა, ნაჭვი, დოსვანჯაფა), მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი შრომის იარაღები (ხა, ჯაში ოხონაი, ოგაფა, სუმქურა, კაბტო), სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მრა-

[1] გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი, თბ., 1962, გვ. 12.
[2] დასახელებული ნაშრომი, გვ. 178.

ვალფეროვნება და სხვ., მოწმობს, რომ საკვლევი რაიონის მოსახლეობის მიწათმოქმედების კულტურა უშუალოდაა დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ძველი კოლხეთის ინტენსიურ მიწათმოქმედებასთან, რომლის ზოგიერთი ტრადიციული ფორმა (სელისა და სხვა კულტურების დამუშავების სახით) ახლო წარსულამდე იყო დაცული აღმ. სამეგრელოს სამეურნეო ყოფაში.

## 2. მევენახეობა

საქართველოსთვის უძველესი ხანიდანვე დამახასიათებელი ვაზის კულტურა საკვლევ რაიონშიც ფართოდ იყო განვითარებული. საფიქრებელია, რომ მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები ჩვენს მხარეში დასავლეთქართულ სამიწათმოქმედო კულტურას უკავშირდება.

ძვ. წ. IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის – ქსენოფონტეს ცნობით, კოლხეთში მეღვინეობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული. მისი სიტყვით აქაური ღვინო უწყლოდ არ ვარგებულა და სურნელოვანი ყოფილა. აქედან სავარაუდოა, რომ კოლხური ღვინო მაგარი სასმელი ყოფილა და გაუზავებლად მისი დალევა ბერძნებს გასჭირვებიათ.

აპოლონ როდოსელი „არგონავტიკაში“, კოლხეთის მეფის – აიეტის სასახლის აღწერისას დასძენს: „მაღლა ამართული, მწვანე ფოთლებით შემოსილი ვაზები გაშლილიყვნენ. ვაზების ქვეშ კი ოთხი დაუშრეტელი შადრევანი მოჩუხჩუხებდა... ერთი რქის შადრევანი იყო, მეორე – ღვინისა, მესამეში სურნელოვანი ზეთი მორაკრაკებდა“.[1]

ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე „პარალელურ ბიოგრაფიებში“ მიუთითებს: „ამ მდინარეში (ლაპარაკია ფაზისზე) იზრდება ვაზი, რომელსაც თეთრფოთლებას ეძახიან. ამ ვაზს პეანის ზეშთამაგონებელი სიმღერით ჰეკატეს მისტერიების დროს ეძებენ ხოლმე, ძებნა ხდება გაზაფხულის დასაწყისში...“[2] საყურადღებო ცნობები მოეპოვება ამასთან დაკავშირებით პროკოფი კესარიელს საისტორიო ნაშრომში. საკვლევ რაიონში მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან არქანჯელო ლამბერტი, ბოროზდინი, სტაროსელსკი და სხვა ავტორები. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, კოლხიდა მდიდარი ყოფილა ღვინით: „ყოველგან ვენახებს აშენებენ და ცდილობენ ბევრი ღვინო მოიყვანონ, რომელიც ძლიერ უყვართ“[3]. ლამბერტის ცნობით, ღვინოს მაგარს აყე-

[1] იქვე, გვ. 182.
[2] პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, თბ., 1957, გვ. 288.
[3] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 31.

ნებენო. იმდენად მაგარი ყოფილა, რომ, თუ წყალს არ გაურევდით, ისე ვერ დალევდიო.

შარდენის ცნობით: „ვაზი ხეების გარშემო იზრდება და ისე მაღლა ეხვევა, რომ ხანდისხან შეუძლებელია მისწვდეს კაცი ყურძენს დასაკრეფადო...“[1] როდესაც შარდენს სამეგრელოში გაუვლია, რთველი ყოფილა. იგი წერს, ვაზის სიმრავლის გამო, ადგილობრივი მკვიდრნი ყურძნის კრეფას ვერ ასწრებდნენ და ხშირად თვით ხეზევე რჩებოდაო.

ბოროზდინი წერს: „თუთის ხე და ვაზი ყოველ ეზოშია“... იქვე დასძენს, რომ მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე მოდის მთელი რიგი ვაზებით დაფარული ქედებისა...[2] აქ იგი მხოლოდ მაღლარს აღნიშნავს. „ვაზები ხეებზეა შემოხვეული, ზოგან ვაზი ერთი ხიდან მეორეზე გადადიოდა ორი-სამის მხრის მანძილზე და მოგზაურნი იძულებული იყვნენ, ან ზევით აეწიათ ვაზი და ისე გაევლოთ, ან თავი დაეხარათ“[3]. ბოროზდინს არ გამოპარვია მხედველობიდან ვაზისაგან გაკეთებული ბონდები, რომელიც მასიურად ყოფილა მდინარეებზე – ტეხურზე, აბაშასა და ცხენისწყალზე[4]. ვაზი ასე დიდ როლს რომ ასრულებდა მეურნეობასა და ყოფაში, ამიტომ მღეროდა კიდეც ქართველი კაცი: „ქართველი კაცის აკვანი ვაზის ძირშია დარწეულიო“.

საქართველოში ცნობილია ვაზის 500-ზე მეტი ჯიში, რომელთა სიმრავლე ადამიანის შრომამ და ხელსაყრელმა გარემომ განაპირობეს. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ვაზის ერთ-ერთი პირველადი კერა საქართველოა, საიდანაც ის სხვა ქვეყნებშიც გავრცელებულა[5]. აკად. ნ. კეცხოველის გამოკვლევით, „ერთ-ერთი გზა ევროპაში ციტრუსოვანთა შეტანისა საქართველო იყო. აქედან გადავიდა, ჯერ საბერძნეთში და რომში და შემდეგ სხვაგან: ისევე, როგორც მყნობა და საღვინე ვაზი აქედან წავიდა“[6].

საკვლევ რაიონში, შინაურ ვაზთან ერთად, გარეული ვაზიც ხარობს[7]: **შხურიჭი** და **ბურეხი**. ბურეხს ახასიათებს ვაზის მსგავსად დახრტილება მთელ სიგრძეზე. იგი ხვიარაა და მაღალ ხეებზე იზრდება. ეს მცენარე მასიურად გვხვდება სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, გან-

---

[1] შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935, გვ. 54.

[2] ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, თბ., 1934, გვ. 99.

[3] იქვე, გვ. 106.

[4] იქვე, გვ. 339.

[5] ვ. სიჭინავა, მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1960, გვ. 62-63.

[6] ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 217.

[7] ვ. სიჭინავა, მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1960, გვ. 62-63.

საკუთრებით მთის კალთებზე. ამასთან, მოსახლეობაში დღემდე დაცულია ერთი მეტად საინტერესო გამოთქმა: „ბინეხის მიკმუუ̈ანდესია დო ბურეხის მითიახვამანდესია“ („ვენახს უვლიდნენ და ბურეხს ლოცავდნენო“). ამით, შეიძლება ითქვას, რომ მევენახე მის წინაპარსაც პატივს სცემდა და იხსენიებდა, ე. ი. ბურეხი მიაჩნდა შინაური ვაზის წინაპრად[1].

გარდა ამისა, საინტერესოა სამეგრელოს ამ ნაწილში დღემდე შემორჩენილი გარეული ვაზი, რომელსაც მეგრულად „ჯოღორიშ ცურძენს“ (ძაღლის ყურძენს) უწოდებენ. ეს მცენარე იძლევა მცირე მოცულობის მარცვლებს. მტევანი ჯუმუტია აქვს, მაგრამ ძალზე მწარეა და ვერც ასწრებს მწიფობას. ადგილობრივი მოსახლეობა დღეისთვის მას იყენებს ფხალეულის დასამჟავებლად.

როგორც აღნიშნავენ, აღმოსავლეთ სამეგრელოს მეტი წილი მთის კალთებზეა მოქცეული, ხოლო ნაწილი კოლხეთის დაბლობზეა გადაჭიმული. როგორც ბარი, ასევე მთიანი ზონა, კულტურული მცენარეებისათვის გამოსადეგია. ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი შედის მეჩაიეობისა და მეხილეობა-მევენახეობის ქვესარტყელში. აქ, მთის კალთებისა და მის წინა მასივზე უფრო მეტად წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებია ალუვიური ხასიათისა, რომლებიც შეიცავენ კირქვის კონგლომერატებს. ასეთი ნიადაგები ვაზის კულტურისათვისაა ძირითადად გამოსაყენებელი. ამასთან, კლიმატური პირობებიც სავსებით აკმყოფილებს ვენახის მოთხოვნილებას (მხარე ზღვის დონიდან 100 მ-დან დაწყებული 2200 მეტრამდე მაღლდება). ჰავა ზომიერია, წლიური საშუალო ტემპერატურა 13-140-ს უდრის, ნალექი 1500 მმ-მდე ადის. ამიტომ, ვაზის კულტურას, ბარიდან მოყოლებული, თვით დვირამდეც კი ვხვდებით. დვირა ზღვის დონიდან 1550 მ-ზე მდებარეობს. ამ ადგილზე ხარობდა ოჯალეშის მაღლარი ვაზი, რომელიც, მთხრობელთა სიტყვით, გვიან გაზაფხულზე იწყებდა გაფურჩქვნას. მწიფე ყურძენი დეკემბრის ბოლომდეც იყო ვაზზე შემონახული. ამავე ზონაში არის ადგილი „ჩეჩონა“, რომელზეც, ჩანს, „ჩეშონური“ (თეთრი ოჯალეში) მოჰყავდათ. ვხვდებით სხვა ადგილების სახელწოდებებსაც: „უჩაშონა“, „ნაოჯალუ“, „ცქიშონა“, „ღუდუშონა“, „აკიდონა“ და სხვ., რაც მევენახეობის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს ამ რაიონში. ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფიაში“ ეგრისის აღწერილობისას აღნიშნავს: „არამედ ტყენი ადგილი-ადგილ, ხილიან-ვენახიანი, ჰავითა კეთილმშვენი“[2]. ვახუშტის ცნობით, მდინარე ცხენისწყალი ადიდების დროს ხისა და ქვის ხიდებს ანგრევდა. მათ ადგილზე

[1] ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 217.
[2] ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941, გვ. 145.

ხშირად აკეთებდნენ ბონდებს ვაზის ლერწისაგან. „არამედ წყალი ესე, ვინადგან არა უტევებს ხიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთჳს შესწვნენ ვაზისაგან და გააბმენ ამიერ კიდით იმიერამდე, და გაუბმენ ვაზისაგანვე სახელურებსა აქეთ და იქით“[1]. სამეგრელოში მთელი რიგი ეკლესიების კარი მსხვილტანიანი ვაზის მასალისგანაა დამზადებული. ვაზის კარი ჰქონდა შებმული მარტვილის, ტყვირის, ოცინდალეს და სხვა ეკლესიებს. მარტვილის ტაძრის ვაზის კარი ახლაც დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ სამეგრელოში ვაზის კულტურა ფართოდ ყოფილა გავრცელებული და მხარის მოსახლეობის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებდა.

მთხრობელთა გადმოცემით, საკვლევ რაიონში გავრცელებული ყოფილა ვაზის ასამდე ჯიში. მათ შორის ოჯალეში, პუმპულა, ჩეშონა, შონური, ჩერგვალი, მაჭყვადური, ადესა, იზაბელა, კოლოში, ჭვიტილური, ჩეჭიფეში, პანეში, ჭვატერი, ჭითაში, ჭოჭოური, სალური, ძაბური, ლეჟური, კეკელური, უჩარგვალი, ხარანი, ხარდანი, ნაშენი, ცქიშონა, ოკედური, აკიდონა, კამური, ჩეში, უჩაშონა, პერკი, ჭოდინა (ჭოდი), სამაჭრო, ხვანჭკირი, მამულური, ჭიჭილური, კიჭოური, ხოლანდაური, მახვატელი, ჭაბოური, აღუნური, კუპური, ჭვითური, ანგესკური, გვიტილური, კაკოური, ბეჭოური, კაკუცხური, გრიგოლური, დღუნდღუში, ეგუძგური და სხვ. ყველა ეს ჯიში მხოლოდ მაღლარი ყოფილა. საერთოდ ყველა მაღლარი ჯიშის ვაზი სამეგრელოში უფრო მეტად, ხურმის ხეებზე ყოფილა მიშვებული. ამ ხეს შორიშორ ტოტიანობა და ნათელი ფოთლოვნობა ახასიათებს. ამიტომ ვაზი უფრო თავისუფლად შლის მხრებს, უფრო ნაკლებად იჩრდილება და უფრო თავისუფლადაც ჰკიდია მტევნები. მტევნების ზომიერი დაჩრდილვა და თავისუფლად, შეუწუხებლად გაწყობა დამწიფების მთავარი პირობაა. ამიტომ ხურმის ხეზე მიშვებული ვაზის მტევანთა მარცვლები გიშრისფრად მწიფდება, არც ერთი მარცვალი უთანაბროდ განვითარებული ან დაუმწიფებელი არ რჩება. ხალხური დაკვირვებით, თითქოს ხურმა და ვაზი ერთმანეთს კვებავენ კიდეც. ოჯალეშისთვის განსაკუთრებული ადგილებიც კი იყო განკუთვნილი თურმე. ამ ადგილთა ღვინო უპირველესად ითვლებოდა წინათ. დავით დადიანი წერდა: „უპირველესი ღვინო არის ოჯალეშისა, რომელიც მოდის სალხინოს მაღალს ხურმის ხეებზედ შეშვებულს ვენახის ნაყოფითგან“[2]. ასევე, კარგ ყურძენს იძლეოდა ვაშლზე, მსხალზე, ტყემალზე მიშვებული ვაზი. სო-

[1] იქვე, გვ. 148.

[2] ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 101.

ფელ სუხჩის მცხოვრები, 125 წლის მოხუცი გლახუა ნიკოს ძე ჭოლოკავა გვიამბობდა, რომ ადგილ **ოდონიერში** ხარობდა ხურმის, კაკლის, ვაშლის ხეები, რომელზედაც მიშვებული იყო შონურის, ჭოდის, ჭიჭილოურის ვაზის ჯიშიო. მსგავს ცნობებს მხარის ბევრ ადგილზე აღნიშნავენ. დაბლარზე ვაზის გაშენება მოგვიანებით დაიწყეს ალბათ. ამჟამად მხარეში დაბლარზე გავრცელებულია ცოლიკოურის ჯიში. იგი ყველგან გვხვდება მასიურად ოჯახებსა და საკოლმეურნეო ფართობებზე. დაბლარზე გაშენებული ვაზის მოვლა-პატრონობა უფრო ხელსაყრელია და მისაწვდომი.

წინათ კი დაბლარზე ვაზის გაშენების პრაქტიკას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ბარის სოფლებში, ბანძის ქვემოთ, რაზედაც დ. დადიანი გვაწვდის ცნობას. ისიც ხარდანის ტიპის დაბლარი უნდა ყოფილიყო. ვაზის გასხვლას ძირითადად გაზაფხულზე ახდენდნენ, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, შემოდგომაზე. მაღლარ ვაზს სხლავდნენ ყოველ 3-5 წელიწადში. მის სასხლავად ხმარობდნენ „სარსხეის“, მოკლეტარიან სასხლავ წალდს. გასხვლის დროს ვაზს აცლიდნენ ხმელ ტოტებს და ზედმეტ ნაზარდებს. ეს ხელს უწყობდა ყურძნის მსხმოიარობის საგრძნობლად გადიდებას.

ამასთან, ვაზის გაახალგაზრდავებისათვისაც ატარებდნენ ღონისძიებებს. თუ ვაზი დიდი ხნისა იყო, ჩამოიღებენ ხიდან და დაახლოებით 2-3 მ-ის სიგრძეზე ჩაფლავენ მიწაში. მიწაში ჩაფლული ვაზი ზაფხულში ნაყარს იკეთებს, ფესვიანდება და განახლდება. ასეთ საქმიანობას დღესაც ეწევიან, როგორც მაღლარი ვაზის, ასევე დაბლარი ვაზის მიმართ.

ჩვენს მხარეში გავრცელებულ ვაზის ჯიშთა შორის ყველაზე მეტი მთხრობელები ოჯალეშს და შონურს ერთსადაიმავე ჯიშად მიიჩნევენ. შონური იგივე ოჯალეში იყოო – გვარწმუნებენ ისინი. ამდენად, ამ ჯიშის გავრცელების ზონა ზღვის დონიდან 1500-1600 მ სიმაღლემდე ტერიტორიაზეც მოდიოდა. მაგალითად, დვირას ქვემოთ არსებულ ჩხოროწყუს მიდამოებში ამ ცოტახნის წინათაც კი იყო შემორჩენილი ოჯალეშის ჯიშის ვაზი. ჩხოროწყუს მასივი კი ზღვის დონიდან 1550-1600 მ-მდე ვრცელდება. „შონური“ სახეო, ხეზე მისაშვები „ოჯალეში“, მაღლარი ყოფილა. განსაკუთრებული ხეებიც ყოფილა შერჩეული შონურის მისაშვებად. ყველაზე მეტად ხურმის ხეზე იყო შეშვებული ამ ჯიშის ვაზი.

ოჯალეშის ღვინო ყველაზე უკეთესი ყოფილა თავისი თავისებურებით. პრინც მიურატს სალხინოში დაყენებული ოჯალეშის ღვინის ნიმუში პარიზის გამოფენაზეც გაუტანია, სადაც მას ოქროს მედალი მიუღია. საოჯალო ანუ ნაოჯალუ ადგილია „ობჟალეც“, ე. ი. სახეო. ოჯალეშს ხშირად „ობჟალესაც“ ეძახიან. ასე აქვს ეს ვაზი დამოწმებული პროფ.

ი. ყიფშიძეს – „ობჟალეში“[1]. სხვაგან, სადაც იგი ყურძენს განმარტავს, წერს: „ყურზენი, ცურძენი, ყურძენი... სახელწოდება სხვადასხვა ჯიშის ყურძნისა, ადესა, ო-ჯალეში. ზოგიერთი გამოსთქვამს ო-ბჟალეში (იხ. ბჟა. ჟა-ჯა), ან შონური (ნახ. შონური) (ნახ. შონი)“[2]... ოჯალეშის ვაზი მსხვილ და სწორ, ხორციან ღეროს იკეთებს, ახასიათებს ნათელი ტოტიანობა. ტოტები ხშირ ნეკებზე 5-10 მტევანს ისხამს. მტევანი შედარებით მცირე და ოვალური ფორმისა იცის, ხოლო მტევანში მარცვლები ძალიან მჭიდროდ ასხია. დამწიფება იცის გიშრისფრად. ხეზეა ხშირად დეკემბრის თვეშიც კი. „ხშირად ქვევრები და ჭურჭელი რომ არ გვყოფნიდა, – გვიამბობდა 80 წლის მოხუცი ი. ჯიშქარიანი, – ხეზე მოუკრეფავსაც კი ვტოვებდით მტევნებს. ყოფილა შემთხვევა, ქისე დღეს (შობა) ახალი ყურძენი ჩამომიკრეფია საქისო (საშობაო) სუფრისათვისო“. ღვინოც ძალზე გამძლე სცოდნია, „ადვილად როდი დაძმარდებოდა და გაფუჭდებოდაო“ – გვარწმუნებენ მოხუცები.

ასევე ცნობილი და გავრცელებული ჯიშია „ჩეში“. „ოჩე“, „ჩეში“, „ჩეშონა“ ამ ჯიშის ვაზის გავრცელების ადგილებია. ეს ვაზი მაღლარი ყოფილა. იგი, შონურის, ან ოჯალეშის მსგავსად, მცირე მტევნებით, მაგრამ ხშირი მარცვლიანობით და მსხმოიარობით ხასიათდებოდა თურმე, მწიფდებოდა ქარვისფრად. მისგან საუკეთესო ღვინოს იყენებდნენ. „ოჩე“ მთელი სოფელია გეგეჭკორის რაიონში. ეს სახელწოდება სათეთრო ადგილს ნიშნავს, ე. ი. ადგილი, სადაც თეთრი, ან ჩეში იყო გაშენებული. სოფელი „ოჩე“ კი ყველაზე საუკეთესო ადგილად ითვლებოდა თურმე ჩეშის ჯიშის ვენახისათვის. ჩეშის სახესხვაობებია: „ჯვეში ჩეში“ (ძველი ჩეში), „ჩეშური“, ჩერგვალი. ამ ვაზთა სახელწოდებანიც მასობრივად გვხვდება ჩვენი მხარის სხვადასხვა ადგილას.

გავრცელებული იყო აგრეთვე „ხარდანის“ ვაზიც. ეს ვაზი ხარდანზე – ხეებზე ჯვარედინად გადადებულ ჭიგოებზე გაჰყავდათ და მთლიან ხეივანს აკეთებდნენ დიდ მასივებზე. მაგალითად, „ნახარდანუ“ რამდენიმე ჰა მასივს მოიცავს. აქ დაბალზე გადაჭრილ თხმელის ხეებზე მირგული იყო ხარდანის ჯიშის ვაზი, რომელიც ამ ხეებზე ჯვარედინად გადებულ ჭიგოებს მიუყვებოდა თურმე და თითქმის მთელი ნაკვეთი ერთგვარ მასიურ ხეივნად იყო ქცეული. გლეხი მზის სხივებს ამ დაჩრდილული ვაზის მტევნებისაკენ ხელოვნურად უკაფავდა გზას ტოტებისა და ფოთლების გამოხშირვით. ხარდანის ვაზიც თეთრიც ყოფილა და შავიც. მტევნები მსხვილი და წოწოლა იცოდა თურმე. ადრე მწიფდებოდა, ღვი-

[1] И. Кипшидзе, Грамматика Мингрельтского (Иверского) языка, გვ. 253.

[2] იქვე, გვ. 355.

ნო კი შედარებით ცუდი ხარისხისა დგებოდა. „ხარდანი“ და „ნახარდანუ“ სახელწოდებანი ხშირად გვხვდება ჩვენი კუთხის მრავალ ადგილას.

სოფელ სერგიეთში, ხუნწში, ნახუნაოსა და სხვაგან ხშირად გვხვდება ადგილის სახელწოდება „კოლოში“, „კოლოშონა“, „ლუკაში კოლოში“, „მათეში კოლოში“ და სხვ. ამ ჯიშის ვაზი, როგორც ჩანს, შონურის ან ოჯალეშის სახესხვაობა ყოფილა. იგი დღეს თითქმის არსად არ არის შემორჩენილი; მხოლოდ ადგილებს შემორჩა სახელწოდება. „კოლოში“ მწარეს ნიშნავს. მისი ყურძნიდან დაწურული მაჭარი მწარე დგებოდა თურმე. დაწურვის შემდეგ მაჭარს ქვევრებში ასხამდნენ და ნაშობევამდე არ მოხსნიდნენ. „იგი ქვევრში დაღვინდებოდა და ამ მწარე წვენისაგან კარგი ღვინო დგებოდაო“ – გვიამბობდნენ მოხუცები. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში დარგულმა ამ ჯიშის ერთადერთმა ვაზმა, 1967 და 1968 წელს მოსავალი მოგვცა. მასზე დაკვირვებამ ძველ მევენახეთა ცნობები სავსებით დაადასტურა. ამ მაღლარი ვაზის მარცვალიც და მაჭარიც მართლა მწარეა, მაგრამ კარგად ღვინდება და სასიამოვნო სასმელი დგება. ამ ყურძნის წვენი სისქითა და ფერით საფერავს ჰგავს, ხოლო შაქრიანობით ოჯალეშს უტოლდება. მწიფდება შუა სექტემბერში, მარცვალი წვრილი აქვს და მკვრივად ასხმული მოგრძო მტევნებზე. ახასიათებს ძლიერ ხშირი მსხმოიარობა. ეს ჯიში ლიტერატურაში ჯერ აღუწერელია.

რიონისპირეთში, სოფ. **შუაქალაქსა** და **კოდორში** ძველად გაშენებული ყოფილა **პუმპულა**. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ ჯიშს ასე აღწერს: „პუმპულას ვაზი თუმცა ღონიერია, მაგრამ ნაკლებადაა მოსავლიანი, ფოთოლი საშუალო სიდიდისა, მრგვალი, ხუთ-ყურიანი და საკმაოდ დაკბილული აქვს. მტევანი ცილინდრული, კუმსი იცის. მარცვალი შავი, წვრილი და მრგვალი ასხია. კანი სქელი და მაგარი, თანაც მოელვარე აქვს. მისი ხორცი, თუმცა მაგარია, მაგრამ ტკბილი და გემრიელია. პუმპულასაგან ღვინო მქრალი ვარდისფერი, საკმაოდ მაგარი და სურნელოვანი იყო, სასიამოვნო სასმელიც ყოფილა. წინათ ეს ჯიში სამეგრელოს ვაკეზე ყველგან იყო გავრცელებული მდ. ცხენისწყალსა და ცივს შუა მდებარე ნაწილში. ბანძადან მოყოლებული მთელ საჭყონდიდლოსა და საჭილაოში, ისევე, როგორც მათ მომიჯნავე სოფლებში“,[1] მარტვილიდან რიონისპირეთამდე, აგრეთვე საჭილაოში. ამ ვენახების მომვლელ მეღვინე გლეხებს (ინჩხურიდან და სხვა სოფლებიდან) სხვა ვალდებულებისაგან ანთავისუფლებდნენ. 1862 წელს შედგენილ საბუთში ვკითხულობთ:

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, თბ., 1935, გვ. 450.

„გარეშე მისსა არავითარი დებული ბეგარა გვემართა“.[1] პუმპულა დღეს ამ ადგილებში აქა-იქ თუა შემორჩენილი, ისიც დეკორატიული მიზნით.

ლიტერატურაში ასევე ჯერ კიდევ აღუწერელი ძველი კოლხური ჯიშებია **ეგუძგური** და **დღუნდღუში**. ეგუძგური თეთრი მაღლარია. მისი მტევანი ოჯალეშივით მოკლე და ძლიერ ხშირმარცვლიანია. მწიფდება ქარვისფრად, იკრიფება შუა ოქტომბერში. ოჯალეშივით მაღალი შაქრიანობით და კარგი მსხმოიარობით ხასიათდება.

დღუნდუში სუფრის ყურძენია, მოგრძო, ძლიერ დატოტვილი, მეჩხერი მტევნით. რომელზედაც ხორცისფერი, მსხვილი, ოდნავ ელიფსური მარცვლებია დახუნძლული. კარგი გემო აქვს. ოდნავ სქელი, საკბეჩი ხორცით. ხორცი ღია ვარდისფერია. ხასიათდება საშუალო შაქრიანობით. ხშირმსხმოიარეა, მწიფდება შუა სექტემბერში. ნიადაგის მიმართ არ არის მიზეზიანი. კარგად იტანს კირნაჭარბ ნიადაგს.

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში აღსანიშნავია ადგილის სახელწოდებანი – **ნამარანუ** და **მარანი**. მარანი ღვინის შესანახი ადგილია. მარანი სოფელსაც ეწოდება აბაშის რაიონში. სახელწოდება „მარანი“ და „ნამარანუ“ მასობრივად გვხვდება თითქმის ყველა სოფელში, მთაშიც კი. ადგილთა ამ სახელწოდების ასეთი გავრცელება ჩვენს მხარეში მევენახეობის ფართო მასშტაბით განვითარებაზე მიუთითებს.

გლეხი მევენახე მარანში ინახავდა ღვინოს. სამეგრელოში მარანი უფრო მეტად ღია ცისქვეშ იყო მოწყობილი[2]. „დასავლეთ საქართველოში უმრავლეს კუთხეებში, მარანი ეწოდება ღია ცისქვეშ მდებარე ადგილს, სადაც ჭურებია მიწაში დაფლული“ – აღნიშნავს პროფ. მ. გეგეშიძე[3].

მევენახეობის ფართო მასშტაბით განვითარებაზე საკვლევ რაიონში, მიუთითებს დღემდე მტკიცედ შემორჩენილი ადგილთა სახელწოდებანი: **დობერა**, **მამულონი** და **ნაშენი**. ეს სამი ტერმინი თითქმის ერთ შინაარსს ატარებს, ოდნავი განსხვავებით. სამივე მამულიანი, ვაზიანი, ვენახიანი ადგილია. დობერა დიდ მასივებს ეწოდება. ეს მასივები ბუნებრივად დაცული დობილოიანი, ვაზიანი ადგილია. მამულონი ადამიანის ჩარევით გამრავლებული და დაცული სამემკვიდრო, ან საკუთარი ტერიტორიაა, ხოლო ნაშენი ხელოვნურად გაშენებული ვაზნარია, ადამიანის მიერ განსაკუთრებით ჩაყრილი და განაშენებული.

---

[1] საქ. სსრ, ცსია, ფ. 42, საქ. 78, ფურც. 3.

[2] ნ. თოფურია, ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემები ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, თბ., 1957, გვ. 57.

[3] მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ხის იარაღი-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, თბ., 1957, გვ. 58.

დობერა ადგილები უფრო მეტად გორაკების ფერდობებზე, სერთა ხეობებს შეფენილ კალთებზე, ბორცვთა და მაღლობთა დამრეც კალთებზეა დამოწმებული. დობერა, სიტყვასიტყვით, დობილოიანი მასივია, ვენახიანი, ვაზიანი. „მაღლარის მეორე, პარალელური სახელი დობილო ახლაც არსებობს, – წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, – მეზობელ ხეზე მხვიარა ხედ გაშვებულ ვაზს XIX საუკუნის დამლევსაც იმერეთში მაღლარი, ანუ დობილო ეწოდებოდა. ის თითქმის იმ სიმაღლეზე ადიოდა, რამდენადაც მას ტანის აყრა შეეძლო. ქიზიყში – კი, ასპირანტ ს. მენთეშაშვილის ცნობით, მაღლარს „შაშობილი“, ე. ი. შეშვებული ეწოდება“[1]. დობერა ადგილების საერთო სახელწოდებაც იყო ვაზნარისა, სადაც გაშენებული იყო ოჯალეშის, ჩერგვალის, ჩეშისა და ადესის მაღლარი. მაგალითად, გურძემის დობერა თავის შიგნით იყოფა ზანური, სანური, მაჭყვადური და კოლოშონას ადგილებად. საერთოდ დობერა აქ ვაზიანი ყოფილა, ხოლო ვაზთა დასახელებული ჯიშებიც ხურმის მაღალ ხეებზე ყოფილა მიშვებული. დობერა დაბურული ტყიანია. პროფ. ი. ყიფშიძე ასე განმარტავს მას: „მამული. საგვარეულო მამული, უფრო მეტად სავენახე“[2].

მამულონიც ვაზნარია, მაღლარი. აქაც სხვადასხვა ჯიშის ვაზია მიშვებული. მაგრამ, დობერასაგან განსხვავებით, იგი ველიანში, გაშლილ ზეგნებზე გვხვდება. მამულონი ტყიანი კი არაა, არამედ კარგად მოვლილი, დაცული, გაშენებულ-გაუმჯობესებული ვაზნარია. მას ხშირად ობინეხესაც ეტყვიან. მამულონში უფრო ხშირად ოჯალეშის, ჩეშის და ჩერგვალის ჯიში იყო გაშენებული. ადგილი უფრო გაშლილი, ხეები უფრო შორიშორს დარგული, ნათელტოტიანია. ეს მამულები პირად საკუთრებაში იმყოფებოდა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ადგილობრივი მებატონე თავის მიწას ან ყიდის, ან აგროვებს, ან კიდევ მიწის მუშას აძლევს დასამუშავებლად სანახევროდ, სანაშენოდ, ან სხვა პირობით. სანაშენოდ გაცემული მიწა ვაზის, მამულის გასაშენებლად იყო მიჩნეული. მიწის მუშა ვალდებული იყო სანაშენოდ მიჩენილ მიწაზე გაეშენებინა მაღლარი ვაზი, მოევლო მისთვის და მისი ნაყოფის ნაწილი, ნახევარი, ზოგჯერ მეტი, ან ზოგჯერ ნაკლები, მიეცა მიწის მეპატრონისათვის. განაშენებას, სანაშენოდ მიჩენას თვით მიწის პატრონიც ეწეოდა მოჯამაგირეების, დაქირავებული დღიური მუშების მეშვეობით, ან საკუთარი ძალით.

საინტერესოა **ნახარდანუც**. ნახარდანუ ხარდანის ვენახის მისაშვები ადგილია. „დაბალ ბუჩქად, ან მაღალ მხვიარა ხედ გაშვების გარდა, დასავლეთ საქართველოში ოლიხნარი ანუ ხარდანის ვენახიც არსებობდა. ასე-

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, გვ. 309.
[2] Грамматика..., стр. 279.

თი სახელი ეწოდებოდა ვაზს, რომელსაც ალაბნახევრითგან 3 ალაბამდე სიმაღლეზე უშვებდნენ“[1] – წერს ივ. ჯავახიშვილი. ხარდანის ჯიშის ვაზი გადაყვანილი იყო თხმელის გადაჭრილ და გადმოღუნულ ჭიგოებზე, ხარდანებზე, რომელიც მთლიან ბალდახინს ქმნიდა ვეებერთელა მასივზე. ხარდანის ჯიშის ყურძნის ღვინო დაბალი ხარისხის ღვინო იყო.

აღმოსავლეთ სამეგრელოს შუა ნაწილში, გაშლილ ველიანში გვხვდება სახელწოდება „ნაბინეხუ“. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, აქ ვაზს დაბლარზეც აშენებდნენ. მაღალ ადგილებში, მთიანეთში, მთის კალთებზე ვაზი მაღლარზე იყო მიშვებული. იქ დაბლარი ვაზი არ იცოდნენ. ხოლო ბარში უფრო დაბლარი ვენახი იყო. „ვენახი“ ეწოდება მას, სადაც ქვემდებარება ადგილი უმცირესსა სინესტეს და არს აირი მშრალი, – წერდა დავით დადიანი, – მუნ დაბალ ვენახს აშენებენ ვითარ იგი ზემოთ მეგრელიაშიდ ლეჩხუმს უმეტეს ნაწილში ადგილებთა ბანძისათა ქვემო მეგრელიაშიდ და მას წელს, რომელსაც გვალვა იქნების, საკმაო მოსავალი მოიწევის“[2]. აკად. ივ. ჯავახიშვილი ვახუშტის დამოწმებით ასკვნის, რომ **საჭილაოსა** და **სამიქელაოში** დაბლარი ვენახი ყოფილა გავრცელებული[3].

ყურადღების ღირსია, ცალკე აღვნიშნოთ ტოპონიმიკურ მასალებში დღემდე შემორჩენილი ტერმინები – „**სამოთხე**“ და „**წალკოტი**“. ვახუშტი ბატონიშვილი წერს, „წალკოტნი არა არიან აქა, არამედ ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალი ამისთჳს, რამეთუ ტყეთა შინა მრავლობს ყოველნი“[4]. აქ ისტორიკოსის ცნობა დასაზუსტებელია. ბანძაში ჩვენ დავამოწმეთ ადგილთა სახელწოდება **სამოთხე** და **სამოთხის** კარი. ეს ადგილები ძველთაგანვე ცნობილია შავმიწა, უხვმოსავლიანი ნიადაგებით, წყაროს წყლებით. ადგილი გაშლილია მდინარე აბაშის ვრცელ ჭალაზე, სადაც მრავალ ადგილას არის უძველესი „ნარონები“ – ნასახლარები. სამოთხეში სამოთხე კარის ეკლესიაც არის შემორჩენილი. „აქ ისეთი ნაყოფიერი და უხვმოსავლიანი ნიადაგები იყო, რომ მთელი ფაღავების და ბატონიშვილების მიწა-მამულები და დოხორეები სულ აქ ყოფილა. აქ ესახლნენ მაშინდელ სამეგრელოში ყველაზე სახელგანთქმული თავადები. ხოლო ნაჭვის მიდამოებში დიდი ქალაქები და სასახლეები ყოფილა გაშენებული“ – მოგვითხრობენ მოხუცები. 80 წლის მოხუცის – ნ. კეკელიას სიტყვით, „სამოთხე“ სამოთხესავით მდიდარ, ნაყოფიერ, ბაღიან და აყვავებულ ადგილს ჰქვია“.

---

[1] საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, თბ., 1935, გვ. 309.

[2] ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 101.

[3] ი. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1935, გვ. 12.

[4] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 145.

ტერმინი „სამოთხე“ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში გვხვდება. იგი „დაბადებაშია“ დამოწმებული. შავთელი ამბობს: „თუ უქო სრანი მე მასა რანი? გალავანისა შემკულობანი, მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთ ხენი, ზედ ავაზანთა შექმნულობანი“. სამოთხე კეთილად მოწყობილი, სასახლისეული, დიდებული ბაღია. მაგრამ არა მხოლოდ ხილეულით და ვაზით სავსე, არამედ სასეირნო და სალხენი ადგილი. „ქართული წყაროს ცნობებთაგან ირკვევა, რომ მაშინდელ სამოთხეში ქართველ მეურნეს თავმოყრილი ჰქონია სხვადასხვა ხეები და ყვავილ-მცენარეები, ზოგი მათგანი, ნიკოლოზ გულაბერიძის გამონათქმებით რომ დავახასიათოთ, „საგემებლად“ და დამატკბობელად სასათა, ხოლო რომელნიმე სასურვნებლად და სურნელმყოფელად საყნოსელთა“ ყოფილა განკუთვნილი“[1] – წერს ივ. ჯავახიშვილი.

მსგავსი ტერმინია **წაკორტიც**, რაც არაერთგან დავადასტურეთ (აბედათი, ვედიდკარი, ბანძა და ა. შ.). წაკორტი ისეთი ადგილია, სადაც ხეხილი ხარობს. წაკორტებიც გაშლილ ველიანებზე და მთის დამრეც კალთებზეა დამოწმებული. „წაკორტი ხილეულით, ვაზეულით სავსე ბაღია, აყვავებული, ყოველმხრივ დამშვენებული, ძვირფასი გალავნებით დაცული“ – გვიამბო აბედათში მცხოვრებმა ვ. ჩიქოვანმა. „ამ ადგილებში სულ წაკორტები ყოფილა. ისინი ბატონიშვილებს ეკუთვნოდათ თურმე“ – დაასკვნა მან. სულხან-საბა **წალკოტს** განმარტავს, როგორც ხილის ალაგს, ბაღს. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „წალკოტს ბაღადაც და ვენახადაც ჰგულისხმობდა ქართული ვისრამიანის ავტორი“[2].

ამ ადგილების ასეთი სიუხვე მიუთითებს, რომ სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილის ბუნებრივი პირობები ადგილობრივ მოსახლეობას რაციონალურად ჰქონდა გამოყენებული და აქ ბაღ-ვენახები ჰქონდა გაშენებული. ვენახი აქ წმინდა ადგილად ითვლებოდა. „ჯინჯიში ხატის“ ფუძის ხატის საოხვამურო ქვევრებს ხშირად აქ ყრიდნენ თურმე, ხოლო მათ დასაცავად ამ ადგილს „საჯვარეს“ უწოდებენ. ასეთი საჯვარეები დღესაც არის აქა-იქ შემორჩენილი, განსაკუთრებით სალხინოში. მაგალითად, ბ. გეგელიას ვენახში დღესაც დგას 3 $მ^2$ ფართობის მცირე ღობური. იგი ყავრითაა დახურული. შიგ სამი საოხვამურო ქვევრია ჩაყრილი. ეს ადგილი წმინდათა-წმინდად და ხელუხლებლად ითვლება. ეს საჯვარე დამოწმებული აქვს დოც. ნ. თოფურიას[3].

---

[1] ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, თბ., 1935, გვ. 115.

[2] იქვე, გვ. III.

[3] ნ. თოფურია, ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემები ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის IX, თბ., 1957.

ადგილზე შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ყურძენს აქ საწნახელში, ოჭინახუში წურავდნენ. „გურიასა და სამეგრელოში ნავის მსგავს ხის საჭყლეტსა ხმარობდნენ, – წერს ივ. ჯავახიშვილი, – რომელსაც გურიაში საწნახელი, ოდიშში კი ოჭინახუ ერქვა“.[1] **ოჭინახი** ან **ოჭინახუ** ხის ნავის მოყვანილობისაა, სხვადასხვა ზომისა. საწნახელს შემდეგნაირად ამზადებდნენ: დიდ ცაცხვს მოჭრიდნენ (3 ან 4 მ-ის სიგრძისას), გააკოპიტებდნენ, პირს ამოუთლიდნენ ხელეჩოთი, შემდეგ ცეცხლს ჩაანთებდნენ, ამოწვავდნენ და კიდევ ხელეჩოთი მთლიანად ამოკვეთდნენ. შემდეგ ამოთლილ გულს ხვეწით ამოუწმენდნენ. თავებს უტოვებდნენ შეკრულს და ცაცხვისავე სოლებით ამოავსებდნენ, რისთვისაც სოლების სამაგრად ღარს აკეთებდნენ ძემლარით. ძემლარი ცხვირმოკაკული, რკინის პირთხელი იარაღია, ოთხკუთხედად ჩაჭრილი. ხის საწნახელი მთელს საქართველოშია გავრცელებული. მაგრამ ზოგან ქვითკირისა და ქვის საწნახელიც იყო ცნობილი. ა. ლეკიაშვილი წერს: „კახეთში ყურძენს წურავენ, როგორც ხის ნავში, ისე ქვითკირის საწნახელში“[2]. ა. ლეკიაშვილს შედგენილი აქვს საქართველოში დამოწმებული მევენახეობის იარაღ-ჭურჭლის სახელწოდებათა შედარებითი ტაბულა, რომელშიც შეტანილია სხვადასხვა რაიონში დამოწმებული საწნახლის სახელები. საწნახლის უძველესი ფორმები აღწერილი აქვს პროფ. მ. გეგეშიძეს გურიაში: „გურიისათვის დამახასიათებელია შუაში გამოთლილი მორი, რომელსაც თავები გამოყენებული აქვს. ასეთი საწნახელების ერთი თავისებურებაც ის არის, რომ მათ ტკბილის გამოსადენი ჭრილი არა აქვთ და, ამრიგად, საწნახელი წარმოადგენს მთლიან ჭურჭელს, საიდანაც ღვინო მომცრო ჭურჭლით ამოაქვთ და ქვევრებში ასხამენ. ღვინოს რომ ჭაჭა არ ამოჰყვეს, გვიმრას ხმარობენ“[3]. ასეთი სახის ოჭინახუ ფართოდ იყო და არის დღესაც გავრცელებული მთიან სამეგრელოში. ხშირად ასეთ ოჭინახუს **როფესაც** უწოდებენ, რომელსაც ძველად ღვინის გამოსავალი ღარი არც ჰქონია, რადგან მაღლარი ვაზის ყურძენს ჭაჭაზე ადუღებდნენ და პირდაპირ საწნახლიდან ამოჰქონდათ დადუღებული ღვინო. დადუღების ასეთი წესი მ. გეგეშიძეს დამოწმებული აქვს გურიაში.

მაჭრის ამოღების შემდეგ ჭაჭაში კვლავ რჩებოდა საკმაო რაოდენობით ღვინო, ამიტომ საჭირო იყო ჭაჭის დაწურვა, წვენის გამოწურვა. ამ მიზნით იყენებდნენ წბერს – ხარხინს. საინტერესოა, რომ ზოგიერთ ად-

---

[1] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 33.

[2] ა. ლეკიშვილი, მეღვინეობა კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960, გვ. 66.

[3] მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ხის იარაღი-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, 1957, გვ. 136.

გილას დღესაც არის შემორჩენილი წბერთან დაკავშირებული სახელწოდება **ოხარხინე**. მაგ., მინდორში გამართული ჰქონია ოდესღაც ვინმე წულაიას, სკურდში ყურძნის საწური – ხარხინი.

პროფ. ი. ყიფშიძე ასე განმარტავს „**ხარხინუა** – выжимать“[1]. მას აქვე ხარხინიც აქვს დამოწმებული. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „საწნეხი ხის მანქანა გურიასა და სამეგრელოშიაც ყოფილა წინათ გავრცელებული. გურიაში ამ იარაღს ჭახრაკი ეწოდებოდა, ოდიშში კი – ხარხენი. რომელიც, რა თქმა უნდა, ხრახნილისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. აგებულებით ჭახრაკი, ანუ ხარხენი იმერეთში გავრცელებული საწნეხისაგან არაფრით განსხვავდებოდა“[2].

მსგავსი იარაღი დამოწმებული აქვს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ა. ლეკიაშვილს[3]. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში, ღია ცისქვეშ გამოფენილია ძველებური ხარხინი დ. ცანავას ოჯახიდან. ამ წბერის ძირითადი ნაწილები მისი პაპის პაპის მიერ ყოფილა დამზადებული. ხარხინი შედგება ხარხინის, სკიბუსა და როფესაგან. ხარხინი ხრახნილი მორია, რომლის დიამეტრი 10 სმ-ს არ აღემატება. ეს მორი ჩასმულია ცალი ბოლოთი დედოში, რომელიც მაღალ და მსხვილ ძელშია გაყრილი. მეორე ბოლოზე სიმძიმისათვის დამაგრებულია სკიბუ – შუაში გახვრეტილი წისქვილის ქვა. დედოს შეყენებული აქვს პალო, რომელიც ებჯინება წბერში მოთავსებულ ჭაჭაზე დაფენილ ფიცრებზე. სკიბუს დატრიალებით ხარხინი ზევით იწევს და დედოს ქვემოთ ექაჩება, დედო აწვება პალოს და მთელი სიძლიერით წნეხავს ჭაჭას. ამის შედეგად ჭაჭა იწურება, წბერის ნახვრეტიდან ვარცლში ჩადის, შემდეგ კი კოკებით არწყავენ და ქვევრში ასხამენ.

მევენახეობასთანაა დაკავშირებული ქვევრების დამზადება. ივ. ჯავახიშვილი წერს: „გურიასა და სამეგრელოში ჭურ-ქვევრებს ადგილობრივ აკეთებდნენ. გურიაში ამ ხელობას ს. აკეთი და აცანა მისდევდა. სამეგრელოში კი ძველი სენაკი, მუხური, ჯვარი, ფახულანი, ჭალე, ჭკადუაში, კორცხელი და სხვა. მაგრამ ყველაზე უფრო განთქმული ნამკოლი იყო“[4]. ნამკოლი ან ნამიკოლავო ჩვენი მხარის კერამიკული წარმოების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კერა იყო. აქ განსაკუთრებით ქვევრებს ამზადებდნენ (მას სამეგრელოში ꝺაგვანი ეწოდებოდა).

---

[1] Грамматика..., стр. 398.

[2] ი. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 40.

[3] დასახელებული ნაშრომი, გვ. 40.

[4] დასახელებული ნაშრომი, გვ. 40.

მართალია, საქართველოში ცნობილია ქვევრის სხვადასხვანაირი გამოყენება, მაგრამ მისი დანიშნულება უფრო მეტად მაინც ღვინის შენახვაა. ქართველ მეღვინეს საუკუნეთა განმავლობაში აქვს დაცდილი, რომ მიწაში ჩაყრილი ქვევრი ღვინოს კარგად ინახავს. საკვლევ რაიონში იშვიათი როდია ადგილთა სახელწოდება **ოჲაგვანე**, **ოჲაგვანე** დიხა. ეს ისეთი ადგილებია, რომელიც უფრო მეტად ქვევრების ჩასაყრელადაა გამოყენებული. „ყველა მიწა ქვევრის სამანად როდი გამოდგებოდა“ – გვიამბობს 90 წლის მოხუცი ალექსანდრე წულაია, – ოჲაგვანე მიწას განსაკუთრებით ვეძებდით, მას წყალი არ უნდა შედგომოდა, ან თავი მუდმივ სველი არ უნდა ჰქონოდა ქვევრს. ამიტომ შედარებით მშრალ ადგილას ოჲაგვანე ადგილს ვეძახდით. ეს იგივე მარანია, ოღონდ განსაკუთრებით შერჩეული ქვევრებისათვის, განსაკუთრებული მიწა-ქვევრების ჩასაყრელად. ასევე, კერამიკული წარმოების ოსტატები ჩვენში მიწას ორ ნაწილად ყოფდნენ: **ოკოტუე**, ე. ი. საქოთნე, ქოთნის დასამზადებელი, და **ოჲაგვანე** – ქვევრის დასამზადებელი მიწა. ამიტომ კერამიკული მასალის ასაღებ ადგილებსაც დღეს **ოკოტუე** და **ოჲაგვანე** ადგილებს უწოდებენ. ასე იცნობენ მას კიწიაში, ნამიკოლოუში და სხვ. 90 წლის ათანასე გვილავა მოგვითხრობს, რომ „საკოტუე“ (საქოთნე) მიწას არ ვარჩევდით, ქოთნის მიწა ყველგან გვხვდება, ყველაზე შესარჩევი „საჲაგვანო“ (საქვევრო) მიწაა. მას ვიღებდით ჭუბურდიხაზე, ოჲაგვანაზე და ჭითა მიკააჲის მასივზე“. ეს მიწა უფრო ადვილად იზილება, წმინდა პირს იყენებს, გამოწვას კარგად ყვება. ქვევრისათვის ასე ნარჩევი მიწა, შვილო, სამიდღემიჩოა. იგი დღეისა და ხვალისათვის როდია გაკეთებული, მან შვილებს და შვილიშვილებს უნდა გაუძლოს, სულ მიწაშია, ნესტსა და ჭენჭყში. ამიტომ თუ საგულდაგულოდ გაკეთებული არ იქნა, ჩაცვივა, ღვინოსაც წაახდენს და კაცსაც ვერ მოემსახურება. ჩვენ ჲაგვანს საუკუნო გამოსაყენებლად ვამზადებდით. საღალატო არასოდეს არ გამოგვსვლია. ღვინოს, ქვევრის და სახლის წახდენის წყევლა ყველაზე საშიში, ყველაზე ამხდომი წყევლაა, შვილო“.

ოლაგვანე ადგილები მარტო მთასა და მთის გაშლილ კალთებზე როდია შემორჩენილი. ბანძასა და აბედათში, ე. ი. აბაშის გაშლილ ჭალებშიც გვხვდება სახელწოდება „**არგვანი**“, იგივე **ჲაგვანი**. ამ სახელწოდებებშიც უძველესი დროიდან იგივე შინაარსია ჩადებული.

მეღვინეობის დანარჩენ ინვენტარს შორის აღსანიშნავია **ხირკე** (სარწყული). პროფ. ი. ყიფშიძის განმარტებით, „ხირკე, ხერკე, Черепалка из тиквы“.[1] იგი მზადდებოდა მწარე კვახისაგან. მ. გეგეშიძეს რაჭაში აქვს

[1] «Грамматика»..., стр. 399.

დამოწმებული ხირკას დამზადების წესი: სანამ მცენარეთ არის, სარწყული კვახი ქვია. როცა გავახმობთ და გავაკეთებთ – ხირკა. მოდის ჩვენს ბაღებში. ახალ მოწყვეტილს გაუხვრეტენ ყელს თავში, რომ ჰაერი ამოვიდეს და თესლი შიგ გახმეს, მეორე წელიწადს თავს წააჭრიან და ორკაპა ჯოხით ამოიღებენ“[1]. ასევე მზადდება ეს ჩვენს მხარეშიც. გარდა ამისა მევენახეობაში იყენებენ **როფეს** – ხის ნავისებურ ამოღარულ გობს, **სარღას** – ნისორს – გობს, **ლოფოჩეს**, **მარწკვენიას** ან **სარიკუდას**, **ორჩხეშს** – ბლის ტყავის განსაკუთრებულ სარეცხს, **საქოსს** – ტილოს, ამოსაწმენდად, ამოსამშრალებლად და სხვ.

ღვინოს გლეხის კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მას გლეხი სამკურნალო თვისებებსაც ანიჭებდა. საუკეთესო „ტიბუ“ (ოფლის დასადენი სითხე) მზადდებოდა ღომის ნაღებისა ან ღომისღომის, ღვინისა და პილპილის შეზავებით. „ოჯალეშის ღვინო საუკეთესო წამალსაც კი ჯობდაო“ – ამბობენ მოხუცები. ყურძნის სრულ მწიფობამდე, ანუ ტრადიციული წარმოდგენით – „მარაშონა“ დღემდე, ყურძნის ჭამა სასტიკად აკრძალული იყო. „მარაშონა“ დღეს (აგვისტოს თვეში) კი მღვდელი ეკლესიაში აკურთხებდა ვაზს და ახსნიდა ტაბუს – „ვაშინერს“. ამის შემდეგ ყველას ჰქონდა ყურძნის ჭამის უფლება. გლეხები ირწმუნებიან, რომ „მარაშონამდე ყურძენი მკუხეა. რაც არ უნდა შემოსული იყოს, გული მაინც მწიფე არა აქვს. უმწიფარი ყურძენი კი მაწყინარიაო“.

ეს რიტუალი აღწერილი და დამოწმებული აქვს დოც. ნ. თოფურიას: „სამეგრელოში, ზოგან კვირიკობისთვეში, – წერს ნ. თოფურია, – ზოგან კიდევ აგვისტოში, უფროსი კაცი მაღლარ ვაზთან წავიდოდა, თან წაიღებდა სანთელს, ღვინოს, ხაჭაპურს. სანთელს აანთებდა, ბავშვს ხელში აიყვანდა და იტყოდა: ამ სიმძიმე, ამ სისხო ხვავრიელი და კარგი მოსავალი მოვიდესო. შემდეგ დაიჩოქებდა და ღმერთს ევედრებოდა მოსავლის სიუხვეს“[2].

მევენახეობასთან დაკავშირებით იყო სხვა რიტუალიც. მას **ჯუჯელია** ეწოდებოდა. იგი ლიტერატურაში პირველად ი. ქობალიას აქვს დამოწმებული და აღწერილი. ეს რიტუალი პროფ. ი. ყიფშიძესაც აქვს ფიქსირებული. ი. ქობალია შემდეგნაირად აღწერს ამ რიტუალს. რიტუალი სრულდება პირველ იანვარს, ახალი წლის დღეს, სადილის შემდეგ. ოჯახის ყველა წევრი სადილის შემდეგ აწყობს გასეირნებას. ისინი იტვირთებიან სიმინდის მარცვლით სავსე ტომრებით, ბავშვებით, კვერებით, ჯოხებით და შედიან მარანში. „დგებიან მწკრივში, საწნახელის

[1] მ. გეგეშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 125-126.

[2] ნ. თოფურია, მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1963, გვ. 136.

(ოჭინახუ) გასწვრივ და ურტყამენ რა მას ჯოხებს, ხმამაღლა მღერიან შემდეგ სიტყვებს: ჯუჯელია, ჯუჯელია! ჩქიმი მამული ხარგელია, შხვაში მამუის ფურცეია“[1].

პროფ. ი. ყიფშიძე აღნიშნავს: „ჯუჯელია-ჯუჯელია – გაუგებარი რითმული წარმონაქმნი – ჯუჯელია ჯუჯელია! ჩქიმი მამული ხარგელია, შხვაში მამული ფურცელია“[2]. ჩვენ მიერ ს. კურზუში ჩაწერილი მასალით, მას „ბინეხიში ხვამა“, ვენახის, ვაზის ლოცვა ეწოდება (მთხრობელი – სოფრო ნაჭყეპია). „ვიცოდით ვაზის ლოცვა. ვაზის პატრონი გამოვიდოდა, ვაზს ხელს შეავლებდა ქუდმოხდილი და შესძახებდა:

ჩანა, ჩანა, ჩანავა,
ჩქიმი მამულს ღურძენი დო
შხვაში მამულს ფურცეია.

შემდეგ განრისხებული ვაზს შეარყევდა და შეჰყვირებდა:

– მოვკვათე ოკო! (უნდა მოვჭრა).
მეორე ეტყოდა:
– ვაკვათა, ვაკვათა (არ მოჭრა, არ მოჭრა).
ისევ პირველი იტყოდა:
– მოვკვათე ოკო! (უნდა მოვჭრა!).

მეორე არწმუნებდა:

„ვაკვათა დო წი ბრერს მიკიღანსია (არ მოჭრა და წელს ბევრს მოისხამსო). ასე იტყოდა სამჯერ. შემდეგ პატრონი ვაზის ძირში ღვინოს მოასხამდა, ვაზს დალოცავდა, პურს გატეხდა, ქუდს დაიხურავდა და სახლში წამოვიდოდა“[3].

ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილი ვარიანტით, ვაზის პატრონი ამბობდა: „ჩანა, ჩანა... ჩქიმ მამულს ღურძენი დო შხვაში მამულს ფურცელი“[4]. ამასთან მლოცველი დასძენდა – „დიდება ღორონთს! ღორონთი, ჯგირი წანა მომიჭიშეთ! მამულიშა ჩანას უძინი“[5].

მსგავსი რიტუალი, ეტყობა, მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული. დოც. ნ. თოფურია აღწერს ქართლში ახალ წელიწადს ვაზის დალოცვის რიტუალს. „ქართლში ახალწელიწად დილით ოჯახის უფროსი კაცი ან ვაჟიშვილი ვენახში შევიდოდა, თან წაიღებდა ღვინოს, წყალს, სანთელს, ერთ გოდორ პატივს და ქათამს წაიყვანდა, ვაზის ძირში ქა-

[1] СМОМПК XXXII, часть III, стр. 86.
[2] Грамматика..., стр. 416.
[3] გმმ სამეცნიერო ფონდი, ე. ჯგ. მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციის ჩანაწერები, 1966.
[4] Грамматика..., стр. 186.
[5] იქვე, გვ. 188.

თამს დაკლავდა, სისხლს ვაზს მოასხურებდა. ქათამი მსუქანი უნდა ყოფილიყო, რომ ვაზს ქათმის ოდენა მტევანი მოესხა. პატივს ვაზის ძირას მოაყრიდა, სანთელს აანთებდა და დაილოცებოდა – ღმერთო, ბარაქა მიეცი ჩემს ვენახსა და მოსავალსაო"[1]. სხვა ნაშრომში იგივე ავტორი სამეგრელოში ახალი წლის რიტუალთან დაკავშირებით წერს: „სამეგრელოში ახალ წელს ოჯახის უფროსი მარანს მიულოცავდა და თან იძახდა: „ბაღი (ბეღელია) სავსე, მარანი სავსე, ჩემი მამული დატვირთული, სხვის მამულში კი ფურცელიო"[2]. ახალი ღვინოც მხოლოდ განსაკუთრებული რიტუალის შესრულების შემდეგ შეიძლებოდა დაელია კაცს. „დაწურვისთანავე გლეხი მაჭრისაგან ფელამუშს გააკეთებდა, ნელთბილ ფელამუშს სათანადო ლოცვით მიიტანდა ვაზთან, უსხამდა ძირში და სთხოვდა მომავალი წლისათვის მეტის მოსხმას. ამის შემდეგ ღვინის სმა ყველასათვის დასაშვები იყო", – გვიამბო 70 წლის მოხუცმა დონა დიმიტრის ასულმა გეგია-ელიავასიმ.

მხარის მშრომელთა სამეურნეო საქმიანობაში მევენახეობის დაწინაურებულმა მდგომარეობამ განაპირობა ოქტომბრის რევოლუციამდე, მიუხედავად მხარის სამეურნეო საქმიანობის ჯერ კიდევ საერთოდ დაბალი დონისა და ნატურალური ხასიათისა, რაც მხარის კოლონიალური მდგომარეობით იყო გამოწვეული, მისი წამყვანი როლი მხარის მშრომელთა სამიწათმოქმედო საქმიანობაში, რაზედაც თვალნათლივ მეტყველებს, არა მხოლოდ დამოწმებული ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალები, არამედ სტატისტიკური მონაცემებიც. 1917 წელს სენაკის მაზრაში ორივე სახის ვენახის სივრცე 5865 დესეტინა იყო. აქედან დაბლარი 289 დესეტინაზე იყო გაშენებული. ყურძნის საერთო მოსავალი ამ წლისათვის 1319625 ფუთს შეადგენდა. ერთ დესეტინაზე იწევდნენ საშუალოდ 225 ფუთ ყურძენს. ღვინის საერთო მოსავალი 1, 102620 ვედრო იყო[3]. სოფ... ნახუნაოში მცხოვრები თავადის, პეტრე ლევანის-ძე ფაღავას 5 ყმას 1868 წელს სულ 14,5 ქცევა მიწა ჰქონდა. აქედან მხოლოდ მაღლარი ვენახი იყო 9,5 ქცევა[4]. 1905 წლისათვის მარტო მარტვილის საბოქაულოში, მაშინ, როცა ჯერ კიდევ სრულიად არ იყო მთელი არსებული ვენახის ფართობი გამოყენებული, ამასთან, არასაკმარისი იყო ცნობები სავენახეთა შესახებ, 16226 ვედრო ღვინო გაყიდეს[5].

---

[1] დასახელებული შრომა, გვ. 132.

[2] ნ. თოფურია, ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემები ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის IX, თბ., 1957, გვ. 57.

[3] სტატისტიკური კრებული 1909-1921 წწ., თბ.

[4] საქ. სსრ, ცსია, ფ. 32 საქ. 397, ფურც. 3.

[5] საქ. სსრ, ცსია, 19. საქ. 114 ა, ფურც. 34.

ამრიგად, მხარეში შემორჩენილი ვაზის უძველესი გარეული და კულტურული ჯიშები, მაღლარი ვაზის მრავალსახეობა, ხალხური სელექცია, მევენახეობისა და მეღვინეობის ტრადიციული წესები, შრომის ორგანიზაციის ფორმები, შრომის იარაღი და სხვ., მიუთითებენ მევენახეობის დიდ სამეურნეო როლზე მხარის მოსახლეობის ეკონომიკაში. მეორე მხრით, მევენახეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა კულტი და რიტუალი ადასტურებს, რომ ეს დარგი ჩვენი ხალხის შორეული წარსულიდან მომდინარე სამიწათმოქმედო, სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი უბანია. ამიტომ, ბუნებრივია, ამ დარგს ოქტომბრის რევოლუციამდე მხარის მშრომელთა სამეურნეო ცხოვრებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა.

## თავი მესამე. მეცხოველეობა

### I. მესაქონლეობა

მხარის მშრომელთა სამეურნეო საქმიანობაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობას. მესაქონლეობას სამეგრელოში ძველთაგანვე მისდევდნენ და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მეგრელების ეკონომიკურ ცხოვრებაში. „მესაქონლეობას აქ ეწეოდნენ უმთავრესად მთიან რაიონებში, ტეხურისა და ხობისწყლის სათავეებში მოსახლე სოფლები: კურზუ, ჯგალი, მუხური, ჯვარი და ბალდა“[1] – წერს პროფ. ს. მაკალათია. ამ რაიონში განთქმული მესაქონლეები იყვნენ კვარაცხელიები, სხულუხიები, წულაიები, ნაჭყეპიები, თოდუები, ცაავები. აქ გამოჰყავდათ კვარაცხელიებს შესანიშნავი წითელი ჯიშის საქონელი. აქ იყო წვრილფეხა საქონლის საუკეთესო იალაღები.

განვითარებულმა მესაქონლეობამ თავისი ასახვა ჰპოვა მხარის ტოპონიმიაში. თითქმის ყველა სოფელში მესაქონლეობასთან დაკავშირებული ორი-სამი სახელწოდება მაინცაა შემორჩენილი.

მესაქონლეობასთან დაკავშირებული ადგილთა სახელწოდებანი სამ ჯგუფად იყოფა: 1. საძოვართა სახელწოდებანი, 2. საქონლის სახეობასთან დაკავშირებული სახელწოდებანი და 3. საქონლის სადგომები. პირველი ჯგუფის საძოვრები (ასხი, წელამონი, ბოგვერონი, საწერექო, ზენიაგვართა, საოდიში დვირა და სხვ.) მაღალმთიანი რაიონის ალპური და ტყისპირა ადგილებია, რომელნიც ოდითგანვე საქონლის საძოვრებად იყო გამოყენებული. ასხი ზღვის დონიდან 2200 მ-ზე მდებარე ალპური ზეგანია, რომელიც გადაჭიმულია სამეგრელოს მთაგრეხილის სამხრეთის კალთის რამდენიმე ასეულ ჰა-ზე. ნოყიერი მთის ბალახი და ჰაერი ხელს უწყობს საქონლის საზაფხულო ძოვებას და სუქებას. ანალოგიური საძოვარია დიდკარე. იგი ასხის ერთი ნაწილია, რომელიც რკალად მიჰყვება ასხის ქედს და ცნობილია თავისი საუკეთესო სადგომი, საბანაკო ადგილებით. აქ ჰქონდათ დედო კარავი, დიდი კარავი, მეჯოგეებს (მესაქონლეებს), ამიტომ შეერქვაო ამ ადგილს დიდკარე – გვიამბობენ მოხუცები. ზოგან საძოვრებს თვით ბალახეულის სახელებს ეძახიან: **წელამონი** (შალაფის ადგილი), **საწერექო** (წერექოს ადგილი). წერექო მაღალთავთავიანი ბალახია, რომელსაც საქონელი მადიანად შეექცევა. ზოგჯერ კი მაღალი, ხშირი ბალახითაა ადგილი დაფარული და ამ ადგილებს **ბოგვერონს** ეძახიან. ბოგვერივით ბალახიაო, ხშირად გაიგონებთ ხოლმე მესაქონლეებისაგან. წელამონი, ბოგვერონი, საწერექო და სხვ., ვეებერთელა მასივების სახელწოდებაა. ადგილთა ეს სახელწოდე-

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 190-191.

ბანი გვიჩვენებს, რომ მხარის მიწების დიდი ნაწილი საძოვრებად იყო გამოყენებული. საძოვრები სეზონური იყო, წელიწადის დროთა მიხედვით. საქონლის მარშრუტიც იცვლებოდა. ზამთარში ლაკადა ადგილებში იდგა საქონელი, გაზაფხულსა და შემოდგომაზე სააფუნოში ან ჯაჲონაში, ხოლო ზაფხულში შიშველში ან ალპიურ ზონაში აჰყავდათ საქონელი. შიშველი ან ალპურველიანი მხოლოდ ივნისის შუა რიცხვიდან აგვისტოს შუა რიცხვამდე, მაქსიმუმ 20-25 აგვისტომდე თუ იყო გამოყენებული. შემდეგ აცივდება, ჭირხლი და ჩამოთოვა იწყება, საქონელს საშიშროება ემუქრება. ამიტომ 15 აგვისტოდან საქონელს აყრიან შიშველიდან და ტყიანში ჩამოჰყავთ. აქ, ტყეთა შორის, მცირე ლელიანებში უკვე მოწეულია სიმინდი. ჭირნახული დაბინავებულია, ნაჭირნახულევ მინდვრებზე უხვადაა ჭირნახულის ნაცვენი, ნასვენი, ნოყიერი ბალახი. 20 სექტემბრიდან კი საქონელი თანდათან ლაკადისკენ მოედინება. ლაკადა ადგილებში საქონელი ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან მარტამდე ძოვს. მარტში ისევ სააფუნო ადგილებისკენ გადარეკავენ. საქონლის მოძრაობის ეს მარშრუტი ვადის მიხედვით მოძრავია, გადაიწევს ან გადმოიწევს ამინდის ცვალებადობის მიხედვით. თუ კარგი ზამთარი იდგა, გაზაფხულიც ადრე იწყება, მთაში დათბება, თოვლი დნება, სააფუნოში ადრე აჰყავთ საქონელი. თუ მკაცრი ზამთარი იდგა, მაშინ საქონელი იგვიანებს საძოვარზე. ასევეა ზამთრის დადგომის პერიოდშიც. „მთაში საქონელი რჩება 15 ოქტომბრამდე, – წერს პროფ. ს. მაკალათია, – შემდეგ კი ჯოგებს ბარისაკენ მიერეკებიან და ზამთრობით საქონელი უყენიათ ჭალადიდში, სირიაჩქონაში, აჯამეთში, ხორგა-ხეთაში, სადაც საზამთრო ქოხებია გამართული“[1]. გვხვდება საქონლის სახეობასთან დაკავშირებული საძოვრების სახელწოდებებიც: **ოშხურეში, ოთხაეში, ოღეჯე, ოცხენეში, ოხოჯე** და სხვ. (საცხვრო, სათხაო, საძროხო, საცხენო, სახარო). ყველა საძოვარი დაყოფილიყო საქონლის სახეობის მიხედვით. მაგალითად, ცხვარი უფრო მთის გაშლილ საძოვრებს ეტანება. იგი ძალზე მომთხოვნი არაა საძოვრის მიმართ, თუმცაღა უფრო გაშლილი იალაღები უყვარს, სადაც ცხვრის ფარა ადვილად იშლება. საჭიროების მიხედვით მათი ადვილად თავმოყრაც შეიძლება. ასეთ პირობებში ადგილმონაცვლეობაც ადვილია. თხა კი გაცილებით უფრო ნაკლებად მომთხოვნია, მისთვის კადარი ადგილები, ქვიანი ფლატეები საშიში არაა. იგი მთის ხრიოკ კალთებზე ქაცვიან, ჯაგიან ადგილებს ეტანება. ამ ადგილებში სხვა საქონელი ვერ ძოვს. ძროხა კი ბალახის მიმართაც უფრო მომთხოვნია, ადგილებიც უფრო გაშლილი და უხვწყლიანი

[1] ს. მაკალათია, დასახელებული შრომა, გვ. 192.

უყვარს. ამიტომ „**ოჩხოუეში**“ – საძროხე, უფრო ნარჩევი ადგილებია მთის ბოცვიან-ველიანზე, ხშირწყლიანი და ნაირფერ ბალახიანი. ცხენის საძოვრები (ოცხენეში, ოცხენე) უფრო მაღალი, ხშირწყლიანი, ნაკლებად ხშირბალახიანი, მაგრამ გაშლილი, ლაღი ადგილებია, ან კიდევ მდინარისპირას ვრცელი ჭალებია, სადაც თავისუფლად შეუძლია რბენა, ლაღობა, ბეკვა (აქედანაა წარმომდგარი სახელწოდება **საბეკი**), ხტუნვა გალაღებულ ცხენებს. **ოღეჯე**-საღორე ადგილები, უფრო ფოთლოვანი ტყის, წაბლოვანი და მუხნარი ადგილებია, სადაც ღორი ტყის გუბურებსაც პოულობს საგორაოდ და ბევრ რკოსა და წაბლს, პანტა-ვაშლს და ჭუტა-მსხალს საკვებად. ამიტომ, მწყემსი საქონლის სახეობის მიხედვით არჩევდა საძოვარ ადგილებს და რაციონალურად იყენებდა მას. ცალკე იყო პროდუქტიული და მუშა საქონლის საძოვრები. ტოპონიმიაში **ოცხენე** (საცხენო) და **ოხოჯე** (სახარე) ადგილები ხშირად ცალკე გვხვდება.

გარდა ამისა, ადგილები გამოირჩეოდა საქონლის დახბოიანების მიხედვითაც. ადგილი **საოხაფუ**-მეწველი, ხბოიანი ძროხების საძოვარი და სადგომია. დახბოიანებული ძროხები მესაქონლეს ჯოგისგან ცალკე ჰყავდა გამოყოფილი, მათ განსაკუთრებული ძოვება, მოვლა და წველა ჭირდებოდა. ამიტომ მათთვის უფრო შერჩეულ ადგილს გამოყოფდნენ ხოლმე. ამ ადგილებს დღესაც **საოხაფუს** ეძახიან. აქ მათი დადოლიანებაც ხდებოდა და სახელწოდებაც შეიძლება აქედანაც იყოს წარმომდგარი. **ხაფა** მეგრულად მოგებას, შობას ნიშნავს, საოხაფუ – მოსაგები, საშობი ადგილი. ცალკე იყო გამოყოფილი ადგილები, სადაც ბერწ, ახალგაზრდა საქონელს და ხარებს აძოვებდნენ. ამ ადგილებს **ოხაფუს** უწოდებენ, ე. ი. ბერწი საქონლის საძოვარი. უხაფუ ნაკლებად სახიფათო, მაგრამ შედარებით ნაკლებბალახიანი ადგილები იყო. ცალკე ჰქონდათ ხბოების საძოვარი და სადგომი ადგილები. მათ ოგინეს (სახბორეს) უწოდებენ დღესაც. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენს კუთხეში დღეს თივის საზამთროდ მასობრივად დამზადებას არ ეწევიან. თივა ჩვენთან სიმინდის ჩალამ შეცვალა. ადრე კი საქონლის საზამთრო საკვებად, ღომის, მჭადის, ბრინჯის და სხვათა ბზესთან ერთად, თივასაც ინახავდნენ ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ მათ საზამთრო საძოვრებიც ჰქონიათ საქონლისათვის. ეს რომ ასე იყო, ამას ადასტურებს ადგილთა სახელწოდებანი: **თიფურონი, ნათიფურუ, ოთიფური** (სათიბი). ეს ადგილები უფრო მეტად მესაქონლეთა ბანაკების, სადგომების ირგვლივაა.

საქონლის სადგომ ადგილებს მეტწილად ნაკარავები ეწოდება. მაგალითად, **ქუთუში ნაკარუ** (ქუთუს ნაკარავი), **ხიტუში ნაკარუ, გვაჯაში ნაკარუ, გიოში ნაკარუ** და ა. შ. ეს სახელწოდებანი მიუთითებს, რომ ამ ადგილებში საზაფხულო საძოვრები ჰქონიათ ქუთუს, ხიტუს, გვაჯის,

გიოს და სხვა. აქაური გლეხები ბატონისგან იჯარით იღებდნენ საძოვრებს, უხდიდნენ ბატონს საბალახოს ქირას და აძოვებდნენ საკუთარ თუ მობარებულ ჯოგს. ხანდახან ეს ადგილები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეჭირა ერთ მესაქონლეს, რის გამოც ისინი მემკვიდრეობით სარგებლობაში ექცეოდა. თუმცა მამული ბატონისა იყო, მაგრამ საბალახოდ მას ერთი გვარის მესაქონლეები იყენებდნენ. მასზე უნდა მიუთითებდეს არაერთი სახელწოდება, რომელიც მწყემსის სახელთანაა დაკავშირებული. მესაქონლეები აქ აწყობდნენ სადგომებს – კარავებს (კარვები) და აგვარებს. პროფ. ი. ყიფშიძეს განმარტებული აქვს ეს ტერმინები: „კარე – палатка, шалаш“, აგვარა – скотный двор, хлеб. ер. ქართა“.[1] **აგვარა** ფართოდ გავრცელებული ტერმინია საკვლევ რაიონში და ეწოდება საქონლის საჩიხეს, ქართას. ისინი სადგომებს მოხერხებულ საკარავო და საჩიხე ადგილებში აკეთებდნენ, სადაც ქარი ძლიერ არ უბერავდა, სადაც მთის ნიაღვრის საშიშროება არ იყო. საინტერესოა ისიც, რომ ჩვენს მხარეში მთელი სოფელია აჩიგვარა. აჩიგვარა წარმომდგარია ორი სიტყვის შეერთებით – „აჩუ“ ცხენს ნიშნავს, ხოლო აგვარა მის სადგომს. „აჩუგვარა, ან აჩიგვარა ცხენების სადგომი ადგილია, მეცხენეების მუდმივი ბანაკია. მეცხენეებს აქ გაშლილი კარვები ჰქონიათ. ამ კარვებთან მოწყობილი ჰქონიათ საკმაოდ მოზრდილი, ქვა-ღორღით ან მაღალი ღობით შემორაგული აგვარები, ცხენების ჩიხები. აქ ცხენების ბაზრობაც კი ეწყობოდა, ხოლო ცხენების ჩიხებთან, ამ სოფლის ცენტრში მეუნაგირეთა მთელი უბანი იყო. თანდათანობით ცხენების ეს მუდმივი ბანაკი, მეცხენეობის, ცხენის მოსართავებისა და უნაგირების წარმოების ერთ-ერთი კერა გახდა. აქაური უნაგირი, მათრახი და ნაბადი ყაბარდოშიც კი გაჰქონდათ. მთელს კავკასიაში აჩიგვარულ ნაწარმს დიდი მოწონება და გასავალი ჰქონდა. აჩიგვარული უნაგირი და მათრახი კარგად გამოყვანილი ტყავისგან მზადდებოდა. ოსტატები მათ ძვლებით, რქით და ძვირფასი ლითონებით რთავდნენ, ჩუქურთმებით ამკობდნენ, ძვირფასი თვლებით აწყობდნენ. ბალიშს ირმის ფაფუკი ბეწვისგან ამზადებდნენ. ისე სათუთად და ოსტატობით აკეთებდნენ, რომ თითოეული ერთეული ნაკეთობის მხატვრული ნიმუში იყო, საერთო, ტრადიციულ მოტივებზე დამყარებული. უნაგირი ან მათრახი არასოდეს იყო ორი ფერის გარდა ზედმეტად აჭრელებული, ან წითელი და შავი, ან თეთრი და წითელი. თეთრიც და შავიც ბუნებრივად იყო ერთმანეთთან შეხამებული. უნაგირი და მათრახი ხშირად ცხენზე უფრო მეტად ფასობდა. ონისიმე გეგია გვიამბობდა, „რომ ცხენის ფერს უხამებდნენ ხშირად უნაგირის და

[1] И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского (Иверского) Языка, С.-П., 1914, стр. 192-152.

მათრახის ფერს. ამ ფერებში ერთი უცხო ფერი საოცრად უხდებოდა ცხენოსნის მთელს ჩაცმულობა-აკაზმულობასო". ადგილთა სახელწოდებანი – აგვარები უფრო მთაში და მთისპირა სოფლებში გვხვდება. ბარში კი **ქართაა** გავრცელებული. „ქართა" საქონლის შესალალი და ღამით დასაბანაკებელი ადგილია. პროფ. ი. ყიფშიძე ასე განმარტავს მას: „ქართა – летный хлеб (простое загороженное место, открытое сверху)" – ქართე – место для хлеба. ер. აგვარა ქართა. ქართახი".[1] იგი ყოველთვის სამზადი სახლის ახლოს, მის უკან ეწყობოდა, ამასთან, ისეთ ადგილას, საიდანაც ვიწრო შუკით, ან ორღობის გავლით, ადვილად შეიძლებოდა საძოვრად, ან სოფლის შემოკავებული ადგილებისკენ საქონლის გაშვება. ქართის ირგვლივ მოწყობილია **საღორე, საბატე, ოცე** – თხის ბაგა, **ოგინე** და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დიდკარე" ძროხის მთავარი სადგომი ბანაკია, დიდი კარავი, დიდი კარე, ხოლო ქობალიას და კალანდიას კარვებში სამუდამოდ ესახლნენ ქობალიები და კალანდიები. მათ აქ ჰყავდათ ძროხების, ხარების, ცხენების და თხების მრავალრიცხოვანი ჯოგები. ეს მათი მემკვიდრეობითი სადგომი იყო. ასეთივე წარმოშობისაა სხვა ნაკარუებიც. შიშველის ან ალპური საძოვრების კარვებთან მოწყობილი იყო ქვით შემორაგული ჩიხები, ან აგვარები, რომელთაც ერთ მხარეზე მოწყობილი ჰქონდა „ოგინე" – სახბორე, მის მახლობლად კი, გაშლილ ველიანში, „აზმახები" იყო. „აზმახი" წყლის ხელოვნური საცავია. საფუნო ადგილებში კარვები უფრო მკვიდრად იყო ნაგები. აქ ან პიტაფიცარა, უფრო ხშირად ჯარგვალა სახლები იდგა. სახლებთან მოწყობილი იყო ღობით შემოვლებული ჩიხებიანი აგვარები, რადგან აქ ხანგრძლივ უხდებოდა მწყემსს ცხოვრება. ამ ადგილებში მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. კარავი ერთგვარ კარ-მიდამოს – მახორობას წარმოადგენდა, იმ განსხვავებით, რომ აქ მეურნეობისთვის შემოღობილი ნაკვეთი გაცილებით მეტი იყო, ბარის სოფლებში არსებულ მახორობასთან შედარებით. აქ დიდი აგვარებიც იყო, ცალ-ცალკე, ყველა სახეობის საქონლისთვის. მაგალითად, ნესტორ ნაჭყეპიას კარავი – კარ-მიდამო დგომში ორ ჰა-ზე მეტი იყო. მას ცალკე ჰქონდა „ოცხენე", რომელიც ნახევარ ჰა-ზე მეტ ფართობზე იყო მოწყობილი. ცალკე იყო „ოთხალე", ან „ოცე", ასევე, „ოჩხოულე" და „ოღეჯე". კარ-მიდამოშივე ჰქონდა „**ოსკალე**" – საფუტკრე, წისქვილი. აქვე დიდ მასივზე ეთესა სიმინდი. სიმინდისთვის კარავთან რამდენიმე სასიმინდე ან მაღაზა ჰქონდა მოწყობილი. ცალკე ჰქონდა „ორტვინი", ან ბოსტანი, და ბაღიც. ბაღში ხეხილი და ვენახი ეშენა. ზღვის დონიდან დაახლოებით 1300 მ-ის სიმაღლეზე ხარობდა ცო-

[1] დასახელებული ნაშრომი, გვ. 252.

ლიკოურის ვაზი. უხვი მოსავალი მოდიოდა ოჯალეშისა. კარგად ისხამდა და მწიფდებოდა ვაშლი, მსხალი. ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ აქ ასეთი მეურნეობა და მახორობა უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. დროთა ვითარებაში თანდათანობით შემცირდა ასეთი მეურნეობანი და მათ ბარში გადაინაცვლეს. კარ-მიდამოები – მახორობები მიატოვეს, კერა ჩააქრეს, ნაგებობანი მოშალეს. ამას შესანიშნავად ადასტურებს 100 წლის მოხუცის – თედო ნაჭყეპიას ნაამბობი. მისი სიტყვით, „ჩხოროწყუშიც კი (ადგილია დვირასთან, ლებარდეს მახლობლად, 1500-1600 მ-ის სიმაღლეზე) ჩვენს ვაჟკაცობაშიც მდიდარი და ყოველმხრივ სავსე მახორობა გვქონდა. შემდეგ ავიყარენით, ბარში ჩამოვსახლდით, ადგილს ხელი დავაკელით და მოუვლელობით გავერანდაო“.

აქაურ მესაქონლეებს საქონლის ახალი ჯიშების გამოყვანასა და გაუმჯობესებაზე საკმაოდ უზრუნვიათ. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, აქ კვარაცხელიებს გამოუყვანიათ მეგრული ძროხის ახალი სახეობა – წითელი ჯიშის საქონელი – „კვარაცხეიაში ჭითა“ (კვარაცხელიას წითელი). ეს ჯიში, მართალია, ძალიან ტანადი არ იყო, მაგრამ საკმაოდ სრული და ხორციანი იყო, ხასიათდებოდა მაღალი პროდუქტიულობით. ემელიანე კვარაცხელია, სალხინოს მკვიდრი, პედაგოგი, იგონებს, რომ „ამ ჯიშის ძროხა ხშირად 12-14 ჩარექამდე იწველებოდა. რძე სქელი და ნოყიერი ჰქონდა. მისგან დამზადებული სულუგუნი მაღალი ცხიმიანობით ხასიათდებოდა. ახალამოყვანილ ყველს შრატი მცირე რაოდენობით რჩებოდა“. საქონელი ღია ღვინისფერი იყო. ხასიათდებოდა ბრწყინვალე და ელასტიკური ბეწვით, ხორციც რბილი და გემრიელი ჰქონდა. არც საბალახო ადგილების მიმართ იყო ჭირვეული, კლიმატის ცვალებადობასაც საკმაოდ უძლებდა.

ცაავებს განსაკუთრებული ჯიშის თხა – „**ეცეეში თხა**“ (ეცავეში თხა) ჰყავდათ, რომელიც ხასიათდებოდა მაღალი რქებით, დიდი მსხვილი ჯიქნებით, მაღალი, ჯანიანი ფეხებით. მაღალიც იყო და ტანადიც. თითო თხა დღეში 5-6 ბოთლს და ხშირად მეტსაც იწველიდა. ამ თხის რძე მაღალი ცხიმიანობით ხასიათდებოდა. მესაქონლეობის სამეურნეო მნიშვნელობა მხარის ეკონომიკაში რელიგიურ წეს-ჩვეულებებშიც ასახულა. ადგილობრივი მოსახლეობა ახალ წელს აღნიშნავდა ოჯახის წევრისა და შინაური საქონლის დალოცვით და ყველა ხატს და ღვთაებას ავედრებდა მათ. ი. ქობალია აღწერს ამ დღის სარიტუალო წესებს. იმ წესთა შორის იგი აღნიშნავს ქათმის გამრავლების ლოცვას. სადილის შემდეგ დიასახლისი ამზადებს „კირუ-კარუს“ (პურის კვერებს). მათ შორის ერთ-ერთი დედლის გამოსახულებაა. როცა მას ამზადებს დიასახლისი, კვერს

ჩხვლეტს ქათმის ფრთით და ლოცულობს: „ჩე-ქოთომი, ჩელაია! ჩე მუ-ნომიხარხალე, ოში ანთასი ჩქიმი თის, აკა მეზობეიში თის“[1].

საქონლის გამრავლებისათვის ღვთაების წინაშე სარიტუალო წესების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს სვანური საახალწლო დღეობების – ლიფანალის და შემბღუს ტრადიცია და რიტუალი, რაც შესწავლილი და აღწერილი აქვს პროფ. ვ. ბარდაველიძეს. სარიტუალო ჭრელების დიდი ნაწილი, რომელიც სვანეთში კეთდება მიცვალებულთა კულტთან დაკავ-შირებით, მეორე მიზანსაც ემსახურებოდა, საქონლის გამრავლების მი-ზანს: „ლიფანალი ახალი წლის ციკლის დღესასწაული იყო. იგი სრულდე-ბოდა ბუნების ძალების აღორძინების წინ, მის დასაწყის სეზონში და ამ ძალების აღორძინების იდეას უკავშირდებოდა. ამავე იდეას უკავშირდე-ბოდა მესაქონლეობის კულტის შემცველი და საქონლის გამრავლებისა-თვის განკუთვნილი ადრე გაზაფხულის დღეობა შემბღუც. ლიფანალსა და შემბღუს სვანები ცდილობენ ისევე, როგორც დანარჩენი ქართველუ-რი ტომები თავიანთი ახალი წლისა და ადრე გაზაფხულის დღეობებზე, მთელი წლის მოსავალი წინასწარ დაებევებინათ და უზრუნველეყოთ. ამისათვის ამ დღეებში სრულდებოდა ერთი მხრით, უზენაეს არსებათა სახელზე შესაწირავების მირთმევა, ლოცვა-ვედრება და სხვა რელიგიუ-რი წესები, და მეორე მხრივ, მაგიური ხასიათის მოქმედებანი...

...მოხუცების თქმით, „ლიფანალში ჭრელების გაკეთება იმ ცხოვე-ლებისა და სხვა საგნების გასამრავლებლად ხდება, რომელთა გამო-სახულებებსაც ეს ჭრელები იძლეოდნენ“[2]. მსგავს რიტუალს ასრულებ-და „კირუ-კარუს“ სახით მეგრელი. ასევე, იგი განსაკუთრებულ ლოცვას აღავლენს საქონლის მფარველ ღვთაებათა – ჟინანთარისა და გაენიში ორთას მიმართ.

მესაქონლეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მფარველი ღვთაება იყო **ჟინანთარი**. მას შემდეგი სიტყვებით მიმართავდნენ: „ჟინი ანთარი, პა-ტონი, გომორძგვილი, ჩქიმი ორინჯი სი ამიშინი, ოშ-ოშო გაშაპჩოფუნდე დო მუთას მაკორდუდასუნი, უხაფუ დო ხაფირს ვაშეფჩინენდე თეში“[3]. მეგრელი გლეხკაცი ასეთივე თხოვნით და ვედრებით მიმართავდა **გა-ლენიში ორთას**, რომელიც საქონლის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. „გალენიში ორთა“ „დიდებუანი, სახელუანი! ჩქიმი ორინჯის სი გაატიბი, ამიშენი. უჭუ-უხაშუში მაჭკომალს კიბირი გაკუტკაჩი და ოკუკილე“.[4]

---

[1] СМОМПК, XXXII. часть III. стр. 95.

[2] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 61-64.

[3] იქვე, გვ. 100

[4] იქვე, გვ. 113.

ასეთივე საქონლის მფარველ და დამცველ ღვთაებად ითვლებოდა ჟინი ორთა.

„თუ წლის განმავლობაში მხეცი მოიტაცებს საქონელს, ან ჭექა-ქუხილი მოკლავს, ამას ამ ღვთაებათა რისხვას მიაწერენ“,[1] – წერს ი. ქობალია. ამ ღვთაებათა ლოცვა-ვედრების რიტუალს ადასტურებს პროფ. ი. ყიფშიძე,[2] მაგ., ორთა-ორი ღვთაების სახელწოდება: (მხეცების მბრძანებელს, გალენიში ორთა ბ. უზენაეს ბრძანებელს (ცის) ჟინიში ორთა. პირველ ღვთაებას ოჯახის უფროსი უსრულებს წესს. საქონლის ეზოში (ქართა) თავის ლოცვაში ის თხოვს, დაიცვას მისი საქონელი ხელუხლებლად მხეცებისაგან. მეორე ღვთაებისათვის წესი სრულდება ტყეში, ზაფხულში, თანაც მსხვერპლად მამალს წირავენ და ღვთაებას ლოცვაში თხოვენ, დაიცვას საქონელი ჭექა-ქუხილისაგან“[3].

მესაქონლეობა ოქტომბრის რევოლუციამდე მხარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო, რასაც სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს.

1912 წელს მარტვილის საბოქაულოში 1079 ცხენი იყო, 9898 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 198 კამეჩი, 3075 ცხვარი, 11480 თხა და 8762 ღორი[4], რაც მნიშვნელოვან პროდუქციას აძლევდა მოსახლეობას. ასეთივე მდგომარეობა იყო მესაქონლეობის განვითარების მხრივ აბაშის, სენაკის და ნოქალაქევის საბოქაულოებშიც.

1917 წელს, საშუალოდ, სენაკის მაზრის ერთ მოსახლეზე მოდიოდა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი: 2,9 ძროხა და კამეჩი, 1,0 ცხვარი და თხა 0,7, სულ ყველა სახის საქონელი 5,3. რასაკვირველია, ამ დოვლათის დიდი ნაწილი მხოლოდ სოფლის კულაკებსა და მემამულეებს ეკუთვნოდა.

## 2. მეფუტკრეობა

მხარის მშრომელთა სამეურნეო ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეფუტკრეობას. 1911 წლისათვის მხოლოდ ბანძისა და მარტვილის საპოლიციო უბანში იყო 1392 სკა. აქედან მიიღეს 501 ფუთი თაფლი და 178 ფუთი ცვილი[5].

თაფლის საკვებად და სამკურნალოდ გამოყენება საკვლევ რაიონში ძველთაგანვეა ცნობილი. ხალხური დაკვირვებით, თაფლს დიდი სამკურ-

---

[1] იქვე, გვ. 114.

[2] Грамматика..., стр. 114.

[3] ი. ქობალია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 115.

[4] იხ. საქ. სსრ, ცსია, ფ. 19, საქ. 194, ა. ფურც. 515.

[5] იხ. საქ. სსრ, ცსია, ფ. 19, საქ. 236, ა. ფურც. 16, 19.

ნალო თვისებები აქვს. მთხრობელი ნესტორ გაბისონია გვარწმუნებდა, რომ „თაფლი წმენდს სისხლს, ძვალსა და გულს ამაგრებს, მეხსიერებას აუმჯობესებს. თაფლი ახალისებს ადამიანს. იგი, შვილო, განსაკუთრებით კარგია პატარა ბავშვებისათვის. რამდენიც არ უნდა ჭამოს იგი, არ აწყენს კაცს, პირიქით, არგებს. ოღონდ შქერის თაფლი ათრობს და ასუსტებს ადამიანს, ამიტომ მას უნდა მოერიდოს კაცი. მისი არაყი კი ძალიან სასიამოვნო და სასარგებლო სასმელია“. ამასვე გვიამბობდა თედო თოდუა, მიხეილ ბერულავა და სხვანი.

ბერძენი მწერლები არაერთხელ აღნიშნავენ თაფლით მდიდარ კოლხეთზე. თაფლსა და ცვილს, მათი ცნობით, საექსპორტო მნიშვნელობა ჰქონია აქ.

არქანჯელო ლამბერტი, განიხილავს რა კოლხეთის თაფლს, უარყოფს ზოგიერთი ბერძენი ავტორის ცნობას იმაზე, რომ კოლხეთის თაფლი მწარე და მავნე იყოს. აღნიშნავს: „მე, ჩემის მხრით, გამოცდილებით, შემიძლია გაბედულად ვსთქვა, რომ მთელ ქვეყნიერებაზე საუკეთესო თაფლი კოლხიდისა არის... გარდა ჩვეულებრივი თაფლისა, არის კიდევ ერთნაირი თაფლი, რომლის მსგავსი არსად სხვაგან, გარდა კოლხიდისა და მისი მეზობელი ქვეყნებისა, არ მოიძებნება: იგი ფრიად თეთრია და მაგარი, როგორც შაქარი, ისე, რომ თუ ხელით მოტეხავთ რომელსამე მარცვალს, თაფლი ხელს როდი ეკვრის და გატეხილ ადგილზე გამოჩნდება თეთრი და მეტად რბილი ცვილი... როცა ოდიშში მოდიან თურქთა გემები, სხვა საქონელთა შორის ჩვეულებრივ თაფლს, როგორც საუკეთესო საქონელს, ბლომად ყიდულობენ, მიაქვთ კონსტანტინეპოლში და დიდის მოგებით ჰყიდიან იქ“.[1]

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „არამედ ფუტკარნი სარგებლობს თაფლითა და ცვილთა სიმრავლითა: და თაფლი კეთილი, რამეთუ ვიეთთა ადგილთა სპეტაკი და შეყინული, სისქით ვითარცა შაქარი, რომელსა უწოდებენ კიპრუჭსა“[2].

ფუტკარი თვით ლებარდემდეც კი ჰყოლიათ მოშენებული. სკების ადგილი მრავლადაა მინიშნული მთისკალთებზე და თვით მთებშიც, თითქმის ალპურ ზონამდეც კი. მაგალითად, დვირას ქვემოთ, ადგილ „ჩხორონწყუში“, ამ 40 წლის წინათაც იმდენი სკა ჰყოლიათ ნაჭყეპიებს, რომ „მათგან 200 ფუთ თაფლსაც ვიღებდით ერთად. თაფლისგან ვაკეთებდით სანთელს, დგვინდვის და არაყსაც კი, რომელიც საუკეთესო არაყად ითვლებოდა“ – გვიამბობს ნესტორ ნაჭყეპია. დავით დადიანი

[1] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 194-195.

[2] ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 105.

წერდა, რომ სამეგრელოში მოსახლეობას „მრავალთა ჰყავს ფუტკარი და გამოიღებენ ტყით შინაცა ველურთა თაფლსა და სანთელსა და სყიდიან თაფლს, გურიას და იმერეთს. ხოლო თაფლისაგან იქმონან თაფლუჭსა და რამდენიმე, გამოდის კიპრუჭი“[1]. დღესაც მხარეში მრავლადაა შემორჩენილი სახელწოდებანი: „**ოსკალე**“, „**მეენი ოსკალე**“, „**მოლენი ოსკალე**“, „**ნაოსკალუ**“ და სხვ. („სასკო“, „მიღმა სასკო“, „ნასკაო“ ადგილები). ზოგ მათგანში დღესაც არის სკა, ზოგი კოლმეურნეობისა და ზოგი კიდევ – გლეხებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ადგილზე მოსახლეობენ, აქვთ კარვები. „სკა“ მეგრულად ფუტკარს ეწოდება, ხოლო სკის ბინას „ბუკს“ უწოდებენ. პროფ. ი. ყიფშიძე წერს: „ბუკი – улей. см. სკა... სკა (Г. სკა. улей), ფ-სკა – пчёла – სქა – ფუტკარი. Broset-სთან ო-სქალე пасека, ფსკაში ქოფე – улей. (см. ბუკი)“[2]. ბუკს კახეთში გეჯას უწოდებენ[3]. ბუკი გადანახერხი ხის ღეროსაც ჰქვია. ბუკს ან ასეთ ორმხრივ მოხერხილ 1,5 ან 2 მ-ის სიგრძის კუნძს შუაზე გააპობენ, შემდეგ ორივე განაპობს გულს ამოუთლიან, დაახლოებით 15 სმ-ის სიღრმეზე. სიღრმე დამოკიდებულია ბუკის დიამეტრზე, თუმცა 50 სმ-ზე მეტი დიამეტრის ბუკს არც აკეთებდნენ ხოლმე. „ამაზე დიდი ბუკი გადასაზიდად, სამაგრად, ფუტკრის საჯდომადაც უხერხულია. თანაც ამაზე უფრო დიდი ბუკები უკვე ღრუებია, მათი სასურველი ფორმით ამოთლა გვიძნელდებოდა ხოლმე“ – გვიამბობდა სოფელ ინჩხურში მცხოვრები მეფუტკრე მიხა ლაგვილავა. სწორედ ამ ინვენტარის აღსანიშნავად ხშირად საფუტკრე ადგილებს „**ობუკესაც**“ ეძახიან, ხოლო სკის ცნობილ ოსტატებს ჩვენს მხარეში „**მებუკეებს**“ უწოდებენ. შეიძლება ეს ტერმინი და საქმიანობის ეს დარგი ედო საფუძვლად ცნობილი ქართული გვარის – **მებუკეს** წარმოშობას.

„ბუკი“ ორი ერთმანეთზე დამხობილი, ამოღრუებული, ამოთლილი ხეა. თითოეულ ამ ნაწილს „როფე“ ეწოდება. „როფე“ თავბოლოამოხურული ხის ღარია. როფეები, როგორც კახეთში გეჯას ნაწილები, არის ძირი და სახურავი. ორივე ნაწილი თითქმის თანაბრადაა ამოღრუებული და ერთმანეთზე დამხობილ-მორგებულია, როგორც ა. რობაქიძის მიერ აღწერილი კახური საფუტკრე გეჯა[4]. ბუკის როფე განსაკუთრებული სუფთა ჭერჭელია, რომელსაც სხვა რამისთვის აღარ იყენებენ. თუ საბუკედ გამზადებული ხის ღერო ღრუ აღმოჩნდებოდა, მას ამოწვავდნენ, რომ ჭიები მომსპარიყო, შემდეგ ამოთლიდნენ და ამოასუფთავებდნენ.

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1942, გვ. 146.

[2] ი. ყიფშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 208, 318.

[3] ა. რობაქიძე, მეფუტკრეობა კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. VI, თბ., 1963, გვ. 104.

[4] ა. რობაქიძე, მეფუტკრეობა კახეთში, გვ. 110.

თუ თავ-ბოლო ღრუ იყო, ამოავსებდნენ ფიცრებით, „დოყონუნდეს“. შემდეგ წმინდა სანთლით ამოლესავდნენ ხოლმე. როფეებს უფრო ხშირად თხმელის ხისგან აკეთებდნენ. საერთოდ, ყოველგვარი სახის ჯამ-ჭურჭელს აქ უფრო მეტად თხმელის ხისგან ამზადებენ. მისგან თლიან ნისორებს (გობები), ატარებს, კოპიტეებს და სხვ.

მეფუტკრეობასთან უძველესი დროიდან დაკავშირებულია საკულტო რიტუალი, რომელსაც ფუტკრის ლოცვას უწოდებენ. ეს რიტუალი აღწერილი აქვთ ი. ქობალიას, ი. ყიფშიძეს და სხვ. ი. ქობალია წერს: „გლეხები, რომელთაც საფუტკრე აქვთ, ქრისტეს ამაღლების დღეს ასრულებენ შეწირვის წესს. შესაწირავია ჩვეულებრივ შესაძლო რაოდენობით მრავალრიცხოვანი ელიფსური ფორმის მჭადის კვერი – „ჭვიშტარი“, რაც სკის მრავალრიცხოვნობის სიმბოლოა. შეწირვის წესი სრულდება „საკმეველის ჩამოდებით“ („ოკუმაფუში გილადვალა“). პური უნდა შეჭმულ იქნას წესის შესრულების ადგილას, სკის ახლოს, იმის ნიშნად, რომ სკის ყრის დროს ახალი ნაყარი შორს არ გაფრინდეს, არამედ „მიემაგროს“ იმავე ხეს, ან ღობეს. ღვთაებას, რომელსაც ეძღვნება ეს დღე, ეწოდება „**ჯგერეგუნა**“ ან „**ჯგერაგუნა**“ (გაუგებარია)“[1]. ეს რიტუალი სრულდებოდა ამ ღვთაების პატივსაცემად. ეს ღვთაება დამოწმებულია სვანეთშიც. ღვთაება და მისადმი სარიტუალო ხვამა, ანუ ლოცვა ჩვენ დავამოწმეთ კურზუსა და თაიაში. ჯგერაგუნა აქ მეტად კეთილ ღვთაებად მიაჩნიათ.

ზემოთ განხილული მასალა ადასტურებს, რომ მეფუტკრეობა ჩვენი ხალხის სამეურნეო საქმიანობის უხსოვარი დროიდან მომდინარე ერთი დარგია. კოლხური ფუტკარი თავისი მაღალი პროდუქტიულობით და საწარმოო მნიშვნელობით მსოფლიოში დღესაც საყოველთაოდ სახელგანთქმულია. მეფუტკრეობა დღესაც მხარეში მეტად ნაყოფიერად ვითარდება და მხარის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია.

[1] СМОМПК, XXXII, часть III, стр. 107.

## თავი მეოთხე. საოჯახო მრეწველობა და ხელოსნობა

ძველი კოლხეთის მეურნეობა მხოლოდ მიწათმოქმედებით და მეცხოველეობით როდი შემოიფარგლებოდა. აქ ფართოდ იყო განვითარებული მეურნეობის ამ დარგებთან დაკავშირებული ხელოსნური წარმოება, რომელთა ცალკეულმა დარგებმა ახლო წარსულამდე მოაღწია საკვლევ რაიონში.

### 1. მჭედლობა

ძველ ბერძნული წყაროები მიუთითებდნენ, რომ კოლხეთის მთები მდიდარი იყო ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და რკინის მადნეულით. კოლხები ბლომად ამუშავებდნენ ამ მადნეულს და შესანიშნავ ნაწარმსაც ამზადებდნენ. მითებში დაცულია მრავალი ცნობა კოლხეთში ლითონის წარმოებისა და ლითონის ნაწარმის სიუხვის შესახებ[1]. ლეგენდარულ აიეტს თავისი სასახლის კარები შეჭედილი ჰქონია სპილენძით. მის საღვთო ჭალაში ჯადოსნურ ხვნას სპილენძისჩლიქებიან და რქებიან ხარებზე შებმული ანდამატის გუთნით ეწეოდნენ[2]. ხოლო საღვთო ჭალის ასწლოვანი მუხის ხეზე ეკიდა საიმედოდ დაცული ოქროს საწმისი, რომელსაც სპილენძისფრთებიანი და ქერეჭებიანი ურჩხული დარაჯობდა. მეტალურგიული წარმოების დაწინაურებაზე ძველ კოლხეთში ამონათხარი ძეგლებიც მიუთითებენ. კოლხური ცულები და ბრინჯაოს სხვა იარაღები უძველესი მელითონეობის შესანიშნავ ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის. ნ. რეხვიაშვილი წერს, რომ „სწორედ კოლხიდის მიწა-წყალზე ამოდის, როგორც ნაჯახის, ისე წალდის დიდად საყურადღებო ძველი ტიპები“[3]. დღეს კოლხეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი არქეოლოგიური და თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალები ამ იარაღთა ადგილობრივი წარმოების და შემდგომი განვითარების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს. მრავლადაა შემონახული დღესაც მთაში სამჭედლოები – „ოჭკადურეშები“. ხშირად ხის ნახშირის გამოყენებასაც შევხვდებით ხოლმე. ასეთი სამჭედლოს ძირითადი ინვენტარია **„ქუჲამური“** – დიდ მორზე დასმული რკინის გრდემლი, **ქურა, ურო, ობარეში** (საბერველი), **მაშა** და **მარწუხი**. დღესაც ზოგან ეს ინვენტარი მამაპაპეული და ხელოსნურია.

---

[1] ესქილე, მიჯაჭვული პრომეთე, სქოლიონები, 298 (34, 301), 317; ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 227; სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, XI, §21, 57.

[2] ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 184, 214, 222 და ა. შ.

[3] ნ. რეხვიაშვილი, ქართული სახელოსნო იარაღი – ნაჯახი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1963, გვ. 148.

მაგალითად, გიგო კოკაია ამ ათი წლის წინათ იყენებდა ურoს, მარწუხებს, მაშებს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჰქონიათ მის წინაპრებს და გამოუყენებიათ მჭედლობაში[1].

სოფ. ინჩხურში მიხა ლაგვილავას სამჭედლოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი მოწყობილობანი. აქ მთავარი ადგილი ქურას უჭირავს. ქურა თიხით ამოყვანილი, 70 სმ სიმაღლის ოთხკუთხა ზვინულია, რომლის ზედაპირი წითელმიწითაა გადალესილი და შუაგულში ჩაღრმავებული, რომელსაც ღარით მილი – „**შურიში ოი**“ (სასულე) აქვს დატანებული, სადაც საბერველის (ობარეშის) ტუჩია შეყრილი. საბერველი ქურის უკან **დიდია-ჲონდირეზე** (დედო ხეზე) და ორი პარალელური სახელურით ამუშავებენ. ქურაზე ნახშირი ყრია და საჭირო შემთხვევაში საბერველით ჩაღდება ალი. ქურის წინ ქუჲამური დგას. ოთხკუთხა რკინა წინ ტუჩით წაგრძელებულია, ხოლო ქვემოთ „**ბირგულით**“ – მუხლით ჩასობილია ხის მორში, ხის მრგვალ ნაჭერში, რომელიც მაგრადაა ჩამაგრებული მიწაში. მას ირგვლივ ნაჭედი რკინის სალტე აქვს შემოკრული, რომ მორმა სიმაგრე შეუნარჩუნოს. ასევე, ქურასაც ირგვლივ ლარტყები აქვს შემოკრული და ორი პარალელური სალტეთია შეკრული სიმაგრისთვის. სალტეები ოთხკუთხედადაა ჩაკეცილი და შემოჭერილი. თაროზე აწყვია და ჰკიდია სამჭედლო მოწყობილობანი: ურoები, მარწუხები, მაშები, სატეხები და სხვ. სამჭედლო ფარდული ხის შენობაა, რომელსაც წინ ასახსნელი ერთი ფართო დარაბა და ერთფარდიანი კარი აქვს. მსგავსი სამჭედლო ქოხის შესახებ წერდა ნ. რეხვიაშვილი: „ეს სამჭედლო საქართველოს სხვა კუთხეებთან თანაზიარი სახითაა წარმოდგენილი და ტიპიური ხასიათის თავისებურებით არ ხასიათდება“.[2]

თავდაპირველად ლითონის დამუშავებას ჭედვით აწარმოებდნენ. ლითონის ჭედვა ფართოდ იყო გავრცელებული საკვლევ რაიონში. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში გვხვდება იმ ადგილების სახელწოდებანი. ასეთებია „ნოჭადენი“, „ჭკადუაში“, „ჭკადუერფერდი“, „ჭკადურობუ“, „ჭკადუკარე“, „ჭკადუათი“, „წიდა“, „ლეჭეხა“ და სხვ.

ამ ადგილებში მასობრივად ვპოულობთ მეტალურგიული წარმოების ნაშთებს. როგორც ჩანს, აქ ხდებოდა ლითონის დნობაც და ჭედვაც. როგორც ამ ნაშთებიდან ჩანს, დნობა უწარმოებიათ განსაკუთრებულ ქოთნებში, თუ ტიგელებში, რომლებიც დამზადებულია ნაცრისფერი კერამიკული მასით, ეტყობა სადუღი მიწის და სილის ნაზავით, რომელშიც სიმტკიცისთვის გარეულია კვარცის წვრილმანი ნაფხვენი. ქოთანი

[1] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 88.

[2] იქვე.

დაახლოებით 30-40 სმ დიამეტრისა თუ იყო. კედლის სისქე 1 სმ-ს აღემატება. სიმაღლე, როგორც აღმოჩენილ ფრაგმენტებს ეტყობა, 60-70 სმ არ აღემატებოდა. კედელში დატანებული აქვს ორი-სამი ხვრელი. ასეთი ქურები, ერთმანეთის გვერდით, 5-10 ცალი იყო ჩაყრილი და მათი მეშვეობით დნობა ერთდროულად ხდებოდა (ამას ადასტურებს ნახუნაოში ჭკადურობუს, კაჯი ცანავას ეზოს, ლეჭეხასა და სხვა კერებზე აღმოჩენილი ქოთან-ქურების გაწყობის ზედაპირული მიახლოებითი გეგმა). ხვრეტილებში უყრიდნენ მილაკებს. მილაკებიც იმავე მასისაგან ნამზადი კერამიკული ნაკეთობაა. სასუნთქი ხვრეტილის დიამეტრი 2-3 სმ-ს არ აღემატება, კედლის სისქე 3-4 სმ-ზე მეტია. წვერი წაწვეტებული აქვს ტიგელის ხვრეტილში გასაყრელად. მილაკით ხდებოდა ბერვა ტიგელში და დნობის პროცესის დაჩქარება.

კაჯი ცანავას ეზოშივე აღმოჩნდა ქვა-ღორღისაგან ნაგები მცირე ქურებიც. ასეთი ქურების მოსაწყობად ამოთხრიდნენ 80X20 სმ, ხშირად ცოტა მეტად ღრმა ორმოს, შემდეგ მათ ამოყორავდნენ ხოლმე რიყის ქვებით და ამოლესავდნენ სადუღი მიწის და სილის ნაზავი მასით, რომელთაც ხვრელებს უტოვებდნენ მილაკებისთვის. მილაკებსაც ქურის დამზადებისთანავე უყრიდნენ და ამოჰყავდათ მიწის ზემოთ. ასეთი ქურები, როგორც ეტყობა, მიწის ზემოდანაც ეწყობოდა და მათში, მილაკების გარდა, სხვა საბერველსაც იყენებდნენ ალბათ, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი რამ ნაპოვნი არაა.

ყველა იმ ადგილს, სადაც მეტალურგიული წარმოების რელიკვიებია ნაპოვნი, უმთავრესად „ნოჭადენს“, „ჭკადუერს“ ან მსგავს სხვა სახელს უწოდებენ, ე. ი. მჭედლობასთანაა დაკავშირებული. საინტერესოა, რატომ? ამ ადგილებში აღმოჩენილი კრიცები და სხმულები ადასტურებენ, რომ ნადნობი მასა ჯერ კიდევ საკმაოდ სუფთა არაა, პიროვანია და „ჭუჭყიანი“. ამიტომ საჭირო იყო მათი საბოლოო დაწმენდა, დასუფთავება, ე. ი. მჭედლის ურითი დაწურვა. ეს იქვე, იმავე კერაზე, კრიცის ამოღებისთანავე ხდებოდა. ამიტომ გასაგებია, რომ ამ ადგილებში სამჭედლოც იყო მოწყობილი. მდნობელი გამოადნობდა თუ არა გავარვარებულ, ქურიდან ამოღებულ კრიცას, სდებდა სამჭედლო გრდემლზე – „ქულამურზე“ და უროს დარტყმით საბოლოოდ წმენდდა ჯერ კიდევ შემორჩენილი წიდისაგან, ახალისებდა და აწრთობდა მას. თვით მჭედელი ერთდროულად მდნობელიც იყო და მჭედელიც. უფრო მეტად კი მჭედელი, რადგან მისი გრდემლი და ურო მეტალურგიაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა. თედო ნაჭყეპია გვიამბობდა, რომ ქობალიას კარავთან, ასეთ კერაზე, რომელსაც ნოჭადენს უწოდებენ, უპოვნია მჭედლის მოწყობილობა: ურო, პალოები, მარწუხები და სხვ., რომლებიც შემდეგ

დაუბნევია. აღსანიშნავია ისიც, რომ მჭედლის გრდემლს ჩვენს მხარეში „ქუ॥ამურს“ ეძახიან. ეტყობა, თავდაპირველად გრდემლად უძველეს მეტალურგს და მჭედელს უბრალო ქვის ლოდი გამოუყენებია. მასზე იმავე ქვის და შემდეგ რკინის ूროთი უჭედია და უწრთია კრიცა. ამაზე შეიძლება სიტყვა „ქუ॥ამური“ მიუთითებდეს. „ქუ॥ამური“ იგივე „ქუამური“ უნდა იყოს. **ქუა** კი მეგრულად ქვას ნიშნავს, **მურუა//მური** – მორს (მორი – ქვის ერთი ნაჭერი). თვით ნახუნაოს კერა ნაცაცხვერაზე, კაჯი ცანავას ეზოში, წიდაზე, დოშაყეში, ბახვაში ნოხორში და სხვაგან, ვხვდებით ხმარებისგან საკმაოდ მოცვეთილ დიდ ლოდებს[1], რომელსაც, ქვასანაყის მსგავსად, გული დარტყმისგან საკმაოდ მოცვეთილი, ჩაღრმავებული აქვს. მამფორიები, ლაგვილავები და სხვა გვარები დღესაც ჩვენს მხარეში ცნობილი მჭედლები არიან. ამ და სხვა მჭედელ-ხელოსან გვართა ოჯახებს მჭედლობასთან დაკავშირებული უძველესი წარმართული რიტუალიც აქვთ შემორჩენილი – „**ხეხუნჯობა**“. ეს ხელის და მხარის დღესასწაულია. მჭედლისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მძლავრ ხელს და მხარს, რომლითაც გრდემლზე მძიმე ूროს დარტყმისა და ლითონის ჭედვის პროცესში კვერავდა, აწრთობდა რკინას.

ხეხუნჯობას დღესასწაულობენ 31 დეკემბერს, ახალი წლის წინა დღით. ქრისტიანობამ მჭედელთა პრიორიტეტს ჩრდილი მიაყენა, ქრისტეს მიერ მჭედლის დაწყევლის ლეგენდამ მორწმუნეს აძებნინა გზები, რათა მჭედლის ამ წყევლიდან ერთგვარი გამოსავალი ჰქონოდა. ი. ქობალიას ეს რიტუალი ასე აქვს აღწერილი: „ხეხუნჯობას იცავენ მხოლოდ მჭედლები და ზეინკლები, რომლებიც სამჭედლოში ან საზეინკლოში ვალდებულნი არიან, იქონიონ ქვევრები (॥აგვანი). ყოველწლიურად ავსებენ მას ღვინით. წმინდა სოლომონს ამ დღეს აუცილებლად ღორს სწირავენ მსხვერპლად, რასაც ეძახიან „ოხეხუნჯეს“.

დღესასწაულის წინადღით მჭედლის ან ზეინკლის ბავშვები დადიან სოფელ-სოფელ აბგით და ამ სოფლის მოსახლეობისგან აგროვებენ ფეტვის მარცვლებს, კვერცხებს, მარილს და სხვა სანოვაგეს. გლეხები შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, თუ „მეხეხუნჯე“ მათთან არ მივა.

ახლო წარსულში და თითქმის ჩვენს დრომდე ზეინკლები დიდ პატივისცემაში ჰყავდათ. მათ როგორც წმ. სოლომონის მიმდევრებს, წმინდანებად თვლიდნენ. სამეგრელოში ზეინკლის წყევლა ყველაზე აღმატებულად ითვლებოდა.

[1] გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი, თბ., 1962, გვ. 69-78.

ზეინკალი მამა მხოლოდ თავის შვილების წრეში წარმოთქვამდა ლოცვას. ამ დროს ყველა მუხლებზე იყო დაჩოქილი საზეინკლოში თავ-მოხსნილ ღვინით სავსე ქვევრთან.

„წმინდა სოლომო, სოლომო, სუმოში სუმონეჩი დო სუმი ხელუა-ში გორჩქინუუ! მა დო ჩქიმი სქუალეფს დღარი ხვამა სი გუუტიბინე, ხეხუჯი მოუმართი, წანაში ხვამაშა სი ქიმიცუნი, დო თაში მორძგვიშე სი დაართინე, სქანი სახელი ხვამილი!“

მლოცველი მარჯვნივ აბრუნებს სხვადასხვა საჭმელებით სავსე გობს. განაგრძობენ რა მუხლებზე დგომას, ბავშვები საჩვენებელი და ცერი თითებით კრავენ წრეს, რომელშიც მამა ასხამს თითოეულისათვის ცალ-ცალკე ღვინოს და ამბობს:

თაში სი გაიშეცუნ, ჩქიმი ოჯახი,
ირი ჭუა – გაჭირებაშე!...[1]

როგორც ამ ლოცვიდან ჩანს, სოლომო სხვა ხელობის მფარველ ღვ-თაებადაც ითვლება. ამდენად, ხეხუნჯობა საერთოდ ხელობა-ხელოსნო-ბის დღესასწაული უნდა ყოფილიყო თავდაპირველად. აქ სამათხოვროდ სიარულიც ერთგვარი სინანულის გამოხატვაც და პატიების თხოვნაც უნდა იყოს. თუ ანათემადადებულ, სოფლისა და ხალხისათვის საჭირო ხელობის კაცს შეეწეოდა, კეთილი გულით უწილადებდა, რაც შეეძლო, ამით მორწმუნე ცოდვასაც შეუხსენებდა და მიუტევებდა კიდეც. ეს მისი წმინდა რელიგიური ვალიც იყო, ალბათ. ამიტომ ღებულობდა იგი შეუ-რაცხყოფად „მეხეხუნჯეთა“ მათს ოჯახში მიუსვლელობას.

საინტერესოა, რომ მორწმუნეებისათვის სამჭედლო და საზეინკლო ყველა მოწყობილობით პატივისცემის ობიექტი იყო. ამავე დროს ისინი პატივს სცემდნენ სამჭედლოში ჩამარხულ სალოცავ ქვევრსაც[2].

საყურადღებოა გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც წმინდა სოლო-მო თავდაპირველად მუხლზე იჭედავდა რკინას. ხელით ჭედდა მას და მუხლისთავზე ხელის დარტყმით აძლევდა მისთვის სასურველ ფორმასო. ღმერთს შეეცოდა იგი და ასწავლა ქულამურის, მაშას და ჩაქუჩის გაკე-თება და ხმარება, ხოლო სოლომონმა იგი ხალხს ასწავლაო[3]. ანალოგიუ-რი გადმოცემა დამოწმებული გვაქვს ინჩხურში, მიხა ლაგვილავას ოჯახ-ში, და კიწიაში, წიფურიების უბანში[4].

---

[1] СМОМПК, XXXII, часть III, стр. 111-112.

[2] იქვე, გვ. 93.

[3] СМОМПК, XXXII, часть III, стр. 94.

[4] გმმ სამეცნიერო ექსპედიციის 1965 წ-ის ჩანაწერები.

მაგრამ ეს ღვთაება, ან ეს წმინდანი ყველა ხელობის, 163 ხელობის ღვთაებად ითვლებოდა. ამიტომ გარდა 31 დეკემბრისა, მას ახალი წლის საოხვამურ-სალოცავ რიტუალშიც გარკვეული ადგილი ეკავა[1].

**2. ხის დამუშავება**

ჩვენი მხარის მშრომელები ჯამ-ჭურჭელს, გარდა თიხისა, ხისგანაც აკეთებდნენ. „ხის ჭურჭლების გაკეთება დღეს გავრცელებულია უმთავრესად მთიან სამეგრელოში, აბაშისა და ხობის წყლის სათავეებში, სადაც მდიდარი ტყეებია და საჭურჭლე მასალაც ბლომად მოიპოვება. ამ მხრივ მარტვილის რაიონში ცნობილია მეჭურჭლეობით ორი სოფელი: ვახა (სალხინოსთან) და ბარდა (გაჭედილთან)“[2].

ხის ჯამ-ჭურჭლის დასამზადებლად ცაცხვის, თელის, მუხის და თხმელის ხის სუფთა, უკვანძო, ჯანმრთელ ხეებს არჩევდნენ განსაკუთრებული დაზგის – „ქაბარკის“ მეშვეობით. ძემლარის, წკეპლარის, ხვეწის გამოყენებით აკეთებდნენ ატარებს, კოპიტებს, ნისორებს (გობებს) და სხვ. „ქაბარკა“ ორკაპა, დიდი ხის მორია, დაახლოებით 1,5 მ სიგრძისა. კაპთა შორის სივრცე 80 სმ-ს აღემატება. მათ შეყენებული აქვთ კუჩხი – ფეხები, რომელთა სიმაღლე 30 სმ-ს აღემატება. კაპებში კოტებია ჩაჭრილი. ერთ მათგანზე ჩამაგრებულია ხის ტარში ჩასმული სამაგრი, წვეტიანი რკინა „ძუძუ“. იგი კოტაში სოლით მკვიდრადაა დამაგრებული, რომ მასზე წამოცმული ხის ფირფიტა არ მოძვრეს ან არ შექანდეს. მეორე კოტაზე კი, ასევე ხის ტარში ჩასმული პირთხელი „ქუბია“ გაყრილი. მის ხის ტარში ხვრეტილია, სადაც ღვედებია მოთავსებული. ღვედის ბოლოები სახელურებით ხელში უჭირავს მიწაზე ჩამჯდარ კაცს და ღვედების მეშვეობით ატრიალებს პირთხელს, რომელიც ფიცრის გულში გუძუბად შემორჩენილ ნაწილშია მჭიდროდ ჩამჯდარი. პირთხელი ატრიალებს ფიცარს. მეორე მხარეზე „ძემლარი“ (ხის ტარზე ჩამოცმული გრძელი, მოკაუჭებული, მჭრელი მაშაა) მომარჯვებული აქვს ხელოსანს და შეტრიალებულ ფიცარს თლის, გულს უღებს და სასურველ ფორმას აძლევს. ასეთი წარმოება უფრო მეტად ტყეში ეწყობა. ამიტომ ხშირად გვხვდება ადგილთა სახელწოდებანი „ოქაბარკე“, ე. ი. ქაბარკის დასაყენებელი ადგილი. იმის გამო, რომ ყველგან არ იყო საჭირო მასალა ჭურჭლის დასამზადებლად, ამიტომ საგანგებოდ შერჩეულ ადგილებს აღნიშნავდნენ ხოლმე განსაკუთრებული სახელწოდებით. ასეთია, მაგალითად, „ონისორე“ რაც მრავალ ადგილას გვხვდება. ამ ადგილებში დღესაც არის შესანიშნავად ტანაყრილი ცაცხვისა და თხმელის

[1] СМОМПК. XXXII, часть III, стр. 92.

[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 224.

ნორჩი და მრავალწლიანი კორომები. დღესაც მიმართავენ აქ ნისორების ან გობების დამზადებას. გობები სხვადასხვა ზომისა მზადდება. არის დიამეტრით 30 სმ და მეტიც, რომელსაც გარეთ ლამაზი არშიები აქვს ამოღარული, რაც ჩვენი მხარის მშრომელთა საქმიანობის ერთ-ერთი ძველთაძველი და უაღრესად განვითარებული დარგია. მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში იყენებდნენ **ატარებს** – 8-10 სმ დიამეტრისა და 3 სმ სიღრმის ხის მათლაფებს, რომელსაც გონიოები რამდენიმე ხაზით ამოხაზული აქვს სილამაზისათვის. კოპიტები ატარზე უფრო ღრმაა, დაახლოებით 6 სმ სიღრმისა. ეს ჭურჭელი უფრო რთულადაა გარეთ გაფორმებული. ხშირად გადამკვეთი ხაზები აქვს ამოღარული ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად, რომელთა შორის ფოსოებია ამოკვეთილი. **ხონჩა** სწორკუთხედის ფორმის, სახელურიანი გობია. იგი დაახლოებით 60-70 სმ სიგრძისა, 30-40 სმ სიგანის და 5 სმ სიღრმისაა. გონიოები და ტარი შემკულია მარტივი ორნამენტით, ხშირად ვაზის ფოთლების და ცხოველთა თათების გამოსახულებებით. ხონჩები გამოიყენება დამზადებული საჭმლის სუფრაზე მოსატანად. **მურზგა** და **ჩაყვა** სითხეთა ამოსაღები ინვენტარია. მათ სულ სხვადასხვა ზომისას აკეთებენ, დაწყებული 6 სმ-დან და დამთავრებული 10-15 სმ სიღრმისას. სახელურები ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებების სახით, ზოგჯერ ვაზისა და ხის ტოტების სახითაა ამოკვეთილი და გამოკოპიტებული. იყენებდნენ აგრეთვე ხის **თუნგულებს**, რომელიც ოთხი ფიცრისაგან სურის მსგავსად წაკვეთილი პრიზმის ფორმაზეა ამოყვანილი. ფიცრები ჩასმულია საბოყვე ღარში. ასევე საბოყვე ღარში ზის ფსკერის ფიცარი. ხელიც ორიგინალური ფორმის ტოტისგანაა გამოთლილი. ამზადებდნენ მრავალი სახის **ბუცუნებს** (ხის მასიურ კასრებს), რომელთაც ბოლოები ამოვსებული აქვს ერთიანი ფიცრით. მასში ინახავენ მარცვალს, ფქვილს, ხშირად ყველს და მწნილსაც კი; **ნიგებს** (საწველ, მცირე ზომის ვედროს მსგავს ინვენტარს); ათასნაირ ფილებს (ღვინის სასმისებს) და ა. შ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ სათლელად, გარდა ქაბარკასი, იყენებენ ცულებს (კვაღა), **ხვეწს**, მოკაუჭებულ პირთხელს (სიგანე 3-4 სმ, სათლელი პირის სიგრძე 6-7 სმ). არის მეორე სახის ხვეწი: 10, 15 სმ სიგრძის დაშნას ორივე ბოლო წაწვეტებული და მოხრილი აქვს ტარებში ჩასაყრელად. საკვეთი პირის სიგანე 3-5 სმ აღემატება. ასეთი ხვეწი იხმარება ჭურჭელის გარე კედლების გასასწორებლად, ცულებისა და სხვა ინვენტარის ტარების გასახეხად და დასამუშავებლად. იგი გ. გასიტაშვილს დამოწმებული აქვს ბორჯომის ხეობაში „საორხელო დანის“ სახელწოდე-

ბით[1]. **ძემლარი** გრძელი ხვეწია, ხშირად 10 სმ ტარით და 8-10 სმ სიგრძის კაუჭიანი, სათლელი პირით. კეპარი კი უფრო ხელეჩოს ფორმისაა, მას 7 სმ სიგრძისა და 2-3 სმ დიამეტრის სატარე აქვს. მის ქვემოთ, 8 სმ სიგრძეზე გონიოებმოხრილი საკვეთი პირთხელია, დაახლოებით 6-8 სმ სიგანისა[2]. მსგავსი ინვენტარი, საერთოდ, **ხვეწის** სახელწოდებით აღწერილი აქვს გ. გასიტაშვილს ბორჯომის ხეობაში[3]. ხის სახერხად ოსტატები იყენებენ „ხეში ხორხის" – ხელის ხერხს, „ბირდაბირს" და „ცერიში ხორხს" – ვერტიკალურ ხერხს, რომლის სიგრძე ხშირად 180 სმ-ს აღემატება. მას ორივე ბოლოზე აქვს გრძელი, სატარე მანჭვლები, რომელშიც ჩაყრილია სახელური ტარები. ოთხ ბოძზე ოთხკუთხედად შეკრულ ლონდირებზე დადებენ დიდ ხეს და ფიცრებს, ხერხის ზემოთ და ქვემოთ მოძრაობით ხერხავენ. ერთი მხერხავი ხეზე დგას ზემოთ, მეორე კი ქვემოთ უდგას, ორივეს ცალ-ცალ ბოლოზე უჭირავს სახელურები და თავის მხარეზე ეწევიან ხერხს. ხის კორომებს ტყეში არჩევენ, ჯერ სინჯავენ მის ვარგისიანობას, არჩევენ ჯანსაღ, სწორ კორომებს. არჩევის შემდეგ ხეებს ბირდაბირის ხერხით ან ნაჯახით ჭრიან ძირზე, შემდეგ **მურუებად** – მორებად, გარკვეული ზომის ნაკვეთებად გადაზომავენ და გადახერხავენ. ამის შემდეგ აირჩევენ უკვანძო, სუფთა ნაწილს, სხვას შეშად დააპობენ. მაგრამ მოჭრა მხოლოდ ძველი მთვარის დროს ხდება. ახალ მთვარეზე ხეს არ მოჭრიან, დარწმუნებულნი არიან, რომ ახალ მთვარეზე მოჭრილ ხეს ჭია ჭამს. ეტყობა, ეს წესი საქართველოში საერთოდ აღიარებული იყო, რადგან გ. გასიტაშვილი მსგავს წესს იმოწმებს ბორჯომის ხეობაში[4].

### 3. მეთუნეობა

ხის ჯამ-ჭურჭელთან ერთად საკვლევ რაიონში ძველთაგანვე იყო გავრცელებული კერამიკული ნაწარმი. უძველესი კერამიკული წარმოების ნიმუშები აღმოჩენილია ნახუნაოში, „ნაცაცხვერაზე", მარტვილის ფერდობზე და სხვ. ნაპოვნია ნეოლითის ხანის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, „გოგიაშ ნაოხვამუზე" კი ანტიკური ხანის შესანიშნავი ნიმუშები, ამფორები და სხვ. ნახუნაოში, ადგილ „ბახოზე" გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიციამ იპოვა უძველესი კერამიკული ქურის კვალი. ასეთივე ქურა აღმოჩნდა ნახარებაოს ფერდობზე, რომელიც შემდეგ უგუნურ და ბოროტ ადამიანთა მიერ დანგრეული და

[1] გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962, გვ. 48.
[2] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 56-57.
[3] დასახელებული ნაშრომი, გვ. 54.
[4] დასახელებული ნაშრომი, გვ. 33.

განადგურებული იქნა, რომ იქვე მახლობლად არსებული სამშენებლო ქვა პირად მეურნეობაში გამოეყენებინათ. ყოველივე ეს მიუთითებს კერამიკული წარმოების ხანდაზმულობაზე[1].

ტოპონიმიკურ მასალებში არის დაცული სახელწოდებანი, რომელიც დაკავშირებულია კერამიკულ წარმოებასთან. მაგალითად „ნამიკოლუ“ სოფლის სახელწოდებაა გეგეჭკორის რაიონში, სადაც დღემდე ფართოდ მიმართავენ კერამიკულ წარმოებას, ეწევიან მეთუნეობას. აქ თითქმის ყველა ოჯახს აქვს საკუთარი ქურა და აწარმოებს ჯამ-ჭურჭლის დამზადებას და გამოწვას თიხისაგან.

სოფ. ნამიკოლუ, როგორც კერამიკული წარმოების ერთ-ერთი შესანიშნავი კერა, დამოწმებული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს[2], ე. ნაკაშიძეს.

საკვლევ რაიონში ბლომადაა შემორჩენილი ადგილთა სახელწოდებანი: **„ოკოტუე“**, **„ოკოტუეში“**, **„ოლგვანე“**. „კოტო“ ქოთანია – ამ სახის ჭურჭელთა საერთო სახელწოდება. „კოტო“ სხვადასხვა სახისა მზადდებოდა. იყო „ქოცო“, პატარა კოტო. მზადდებოდა დერგი და აკეთებდნენ „ოცუჯელს“ – დიდ ქოთანსაც. ქოცო პატარა ვაზაა. დერგი ამფორას მსგავსი ჭურჭელია. „ოცუჯელიც“ ასეთივე სამეურნეო ერთეულია. ამ ჭურჭლის ერთეული ეგზემპლარები დაცულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობისა და ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. ხოლო დორა – კოკა და ქვევრის მსგავსი სახეობანი დამოწმებული აქვს ფ. გარდაფხაძეს ლეჩხუმშიც[3].

მეთუნეობასთან დაკავშირებული შრომის იარაღები არაა მრავალფეროვანი, იგი კერამიკული ბორბლისა და ქურისგან შედგება. კერამიკული ბორბალი სატრიალებელი მაგიდით და ფეხით თითქმის მსოფლიოს ყველა ხალხში გვხვდება. მაგრამ სხვადასხვა ხალხში ჩარხი ან ბორბალი თავისებურია. ასევე თავისებურია ქართული კერამიკული ჩარხი, რომელსაც მეგრულად **ბორბაი** ეწოდება. იგი სამი ნაწილისაგან შესდგება – **„ბორბაი“**, **„გუგუე“** და **„ჩაფულასაგან“**. „ჩაფულა“ ქვედა ფიცარია, რომლის ერთ მხარეზე ამოზიდულია 10 სმ სიმაღლის გუძუბა ისარი, რომელსაც „გუგუე“ ეწოდება. „გუგუეზე“ წამოცმულია ბორბაის ქვედა მხარის ზურგის კოტა. კოტა სრულია და გუგუეზე ტრიალებს. ბორბლის ზედა ნაწილი სწორია. ჩაფულაზე ფეხდაბჯენილი მეთუნე ცალი ხელით ატრიალებს ბორბალს, ხოლო მეორე ხელით ფორმაში ამოჰყავს ბორბალზე დადებული თიხა. ჭურჭელს ბორბლის ტრიალით, ფიჭვის ფირფი-

---

[1] გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი, 1962, თბ., გვ. 51-74.

[2] ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, გვ. 48.

[3] ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV, 13, თბ., 1947, გვ. 395.

ტით ასწორებენ, ალამაზებენ. ფირფიტა, ნასვრეტებს და ოღრო-ჩოღრო ადგილებს ასწორებს, თანაც ხაზოვან კვალს ტოვებს ჭურჭელზე. ამის შემდეგ სველი ჩვრით ასწორებენ. მზა ჭურჭელს დანით ძირს უჭრიან და ბორბლიდან იღებენ, გააშრობენ და აწყობენ ქურაში.

ქურა ნამიკოლუში დღესაცაა შემორჩენილი. მას იყენებენ ჯამ-ჭურჭლების გამოსაწვავად. ჭურჭლის გადასატანად იყენებდნენ ფარდიან ურემს. ფარდი წკნელით მოღობილი ლასტია, რომელსაც ირგვლივ მოაჯირად უკეთებენ ურემს. ურემში აფენენ თივას, ან ჩალას და მორიგეობით, ჯვარედინად აწყობენ ჭურჭელს; თან ჩალას უფენენ, გადატანისას რომ არ დაიმტვრეს. ეს პროცესი აღწერილი აქვს პროფ. ს. მაკალათიას[1].

ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ, რომ **ოკოტუე** მიწას გლეხები ბატონისგან ყიდულობდნენ. ქურის პატრონი ორ-სამ საჟენ მიწას ყიდულობდა ან იჯარით იღებდა. ერთი „ადგილი“ 2 მანეთი ღირდა. „ადგილი“ საჟენობით იზომებოდა და კვადრატული საჟენი ითვლებოდა ერთ ადგილად. იჯარის საფასურად კი ყოველწლიურად ბატონისთვის ერთ „ადგილზე“ ერთი მანეთი და ორი კოკა ღვინო, ან საშუალო სიმსუქნის ერთი ღორი უნდა მიეტანა. ფასი ზუსტად განსაზღვრული არ ყოფილა და თუ ბატონი მოისურვებდა, უფრო მეტსაც აიღებდა. რადგან ეს ადგილები ჭაობიანი და ტყიანი იყო, ზოგჯერ მიწას ვიპარავდით, ან ტყეში ვხსნიდით თვალს და ჯამით მოგვქონდაო შინ (მთხრობელი იაკობ ხვიჩია, 70 წლისა).[2] მეთუნეები განასხვავებდნენ **ოკოტუე** და **ოლაგვანე** დიხას. (საქოთნე და საქვევრო). ეს ადგილები დღესაცაა გამოყენებული. ერქვანიები, ჯანაშიები და სხვანი. ამ თიხიდან ამზადებენ ჭურჭელს. „ეს მიწები მწირი, გამოწოვილია, ზედ სიმინდი არ დაითესებაო“ – გვიამბობენ მოხუცები. ამიტომ ოდითგანვე მხოლოდ მეთუნეობაში იყენებდნენ ამ მიწებს, დღეს კი მეტი წილი ჩაის პლანტაციებს უკავია.

სოფ. ნამიკოლუ მეზობელ რაიონებსაც აწვდიდა ნაწარმს და ის მთელ მხარეში იყო განთქმული მეთუნეობით, რაც მრავალსაუკნუოვან ტრადიციაზე იყო დამყარებული. კერამიკული ნაწარმი აქედან გაჰქონდათ სენაკის, ლეძაძამეს, ბანძის, ნაოღალევის, აბაშის „იარმუკებზე“, საბაზრო დღეებში, რომელიც კვირაში ერთხელ იმართებოდა, სალხინოში, ბანძაში, სენაკსა და აბაშაში კვირაობით, ლეძაძამეში – ოთხშაბათობით, ნაოღალევში – პარასკეობით. მთხრობელი ა. წულაია გვიამბობდა, რომ კერამიკული ნაწარმი მათ ცაგერშიც უზიდიათ ცხენებით, ხოლო ჩარდახიანი ურმებით ხოფამდეც კი უვლიათ. რაიონის ხელოსნური ნაწარმი ავსებდა

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 219.

[2] გმმ სამეცნიერო ფონდი, ე ჯგუფი, 1965 წლის სამეცნიერო ექსპედიციის დღიური.

ზემოთ დასახელებულ ბაზრებს. ბაზრობაზე უამრავი ხალხი იკრიბებოდა. დ. ბარნაბიშვილი, გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი წერდა: „მარტვილის გორას ჩამოვცილდით თუ არა, შევედით ნაოღალევში, სადაც მრავალი ხალხი იყო შეკრებილი, „პარასკეობის“ მიზეზით... მივიხედ-მოვიხედე თუ არა, ვნახე, რომ იქ უსაქმოდ არავინ იდგა: ზოგი ვაჭრობდა სხვისგან, ზოგი ყიდდა და ზოგი ერთმანეთში საგნებსა სცვლიდნენ. აქ ბევრი იყო ყმაწვილი, ვაჟკაცი, პატარა ქალები, დედაკაცები და ბებრები: თითოეულ ამათგანს რამდენიმე საგნები ეჭირათ გასასყიდად. ცარიელი მათში იშვიათად იპოებოდა...

...ყველა ახლო-მახლო სოფლებიდან რომელსამე ალაგას შემოაქვთ გლეხებს თავიანთი ნაწარმოები და აქ პირდაპირ... მომხმარებელნი ყიდულობენ იმათგან“.[1]

ასეთი ბაზრები ოქტომბრის რევოლუციამდეც კი მხარის მშრომელი მოსახლეობის ხელოსნური და, მათ შორის, კერამიკული ნაწარმის გასასაღებელი პუნქტები იყო. ეს კი თავისთავად მეტყველებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საოჯახო ხელოსნურ წარმოებას მოსახლეობის ეკონომიკაში.

### 4. სამშენებლო მასალათა წარმოება

უძველესი დროიდან ჩვენს ხალხს დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა გაუწევია. ქართული არქიტექტურის ნიმუშებს ახლაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. საერო თუ საეკლესიო მშენებლობაში სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალა ყოფილა გამოყენებული, მათ შორის ერთ-ერთი უძველესია ქვა. ქვის მჭრელები დღესაც მრავლად არიან ჩვენს მხარეში. მათ მამა-პაპათა ხელობა არ დაუვიწყნიათ და კვლავ ისე ოსტატურად თლიან და ჭრიან ქვებს, ამოჰყავთ მათზე შესანიშნავი ორნამენტები, ქართული მხატვრული ჩუქურთმის იშვიათი ნიმუშები. ძველთაგანვე ცნობილ ქვის კარიერებს დღესაც „**ოტახაი**“ ეწოდება (აბჰესთან, ხუნწში და სხვ.). აქ კირქვის გამოსასვლელები მოშიშვლებულია და ადვილად მისადგომი. ამიტომ ტეხავდნენ ოდითგანვე აქ ქვას სამშენებლო თუ სხვა მიზნით გამოსაყენებლად.

ადგილობრივი მოსახლეობა მშენებლობაში ადრევე იყენებდა კირს. „კირითხუროებს“ კირის დაყენებისა და გამოყენების თავისებური წესები ჰქონიათ შემუშავებული. ისინი გამომწვარ კირს ორმოებში ხსნიდნენ, ზელდნენ კირის სუფთა, სქელ ფაფას. ზედ ქვიშასა და მიწას მოაყრიდნენ, სამი-ოთხი წლის შემდეგ იყენებდნენ მშენებლობაზე. ასე უფრო მოდიოდა, მწიფდებოდა კირი, მოსული კირი გამძლეა და ცემენტივით

[1] გაზეთი „დროება“, 1871, №30, გვ. 1-3.

მაგარი. „ასეთი კირით ნაგები შენობა ძლიერ მაგარი იყოო“, – გვიამბობდა მოხუცი, კირის ოსტატი ბაჩილავა. ჩვენს მხარეში მრავალ ადგილას არის დარჩენილი სახელწოდება „**საკირე**“[1]. ზოგან (აბედათი, ნახუნავო) დღემდე შემორჩენილია საკირე ქურის და კირის ორმოები. ინჩხურში უძველესი ორმოც კი გათხარეს, რომელიც მიწაში 2 მ სიღრმეზე იყო დამარხული. კირი ისე კარგად იყო დაცული, რომ სავსებით შესაძლებელი იყო მისი მშენებლობაში გამოყენება.

მშენებლობაში სახურავ მასალად, გარდა ისლისა, იყენებდნენ კრამიტს და ყავარს. ყავრის გამოყენება ჩვენს მხარეში თუმცა ძლიერ ძნელია, მაინც მას ფართო ხასიათი გასულ საუკუნეებში მიუღია, როცა ოსმალო ვაჭრები იძენდნენ ფიჭვის მასივებს, აქაური ხის ხუროებს ყავარს ამზადებინებდნენ, ახდევინებდნენ და საზღვარგარეთ გაჰქონდათ გასაყიდად. ყავრის სახდელად საგულდაგულოდ შერჩეული ფიჭვის და ნაძვის მორებს (ლარჩვებს) იყენებდნენ, ამიტომ ამ ადგილებს, სადაც ყავრის სახდელ მორებს ამზადებდნენ, „**ნაარჩვუ**“ ეწოდება. ორასი ცალი დახსნილი ყავარი ერთი „ბაღუ“ იყო[2]. ბაღუ საკმარსაც ნიშნავს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთი ბეღლის სახურავად საკმარისი ყავარი ე. ი. ერთი ბეღლის სახურავად რომ კმარა (იბაღუ) იმდენი. ეს ყავრის გასაყიდი საწყაო იყო. გ. გასიტაშვილის მიერ ბორჯომის ხეობაში აღწერილია ყავრის დახსნის და კონებად დაწყობის წესი. იქ ასეთ კონებში 100 ფურცელი, ასი ღერია, ე. ი. იქაური ბაღუ, ან ერთი კონა, მეგრული ერთი კონის ნახევარია[3].

ტყეში ძველად ფიცრებსაც თლიდნენ ხოლმე, საამისოდ მოწყობილ კარავში. ფიცარს „კვაღათი“, ან პატარა ცულით აკოპიტებდნენ. პროფ. ი. ყიფშიძე კვაღას ასე განმარტავს: „კვაღა – маленький топор. ср. არგუნი“[4]. კოპიტს უკვე ეჩოთი თლიდნენ. ეჩო ხის სათლელი ცულია, სწორი მხრებითა და განიერი, საკვეთი პირით. ყუნწი ფართო აქვს და შიგ მოხერხებული ტარია დაგებული. იყენებდნენ დიდ ნაჯახსაც – არგუნს. ორივე იარაღი დამოწმებული აქვს ი. ყიფშიძეს. „კვაღა“, არგუნი და ბურჭუი (წალდი) დღესაც არის სამეურნეო ყოფაში შემორჩენილი. იგი აღწერილი აქვს ნ. რეხვიაშვილს[5]. ეჩო კი შეცვალა შალაშინმა და სხვა, უფრო სრულყოფილმა სათლელმა და საშალაშინებელმა იარაღმა. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდში და-

---

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 227.

[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 227.

[3] გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962, გვ. 77.

[4] Грамматика..., стр. 255.

[5] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 103 და 109.

ცულია ეჩოს სამი სხვადასხვა სახეობა. აქედან ერთი საკმაოდ დიდია, მისი ტარი დამაგრებულია სათლელი პირის ზემოთ დატოვებულ ისარზე ისარი აკრულია ტარის ქვედა, სქელ და ფართო მხარზე, სალტით. იგი უფრო ასათლელად და ფიცრის პირის გასასწორებლად იხმარებოდაო – გვარწმუნებენ გლეხები, რაც ფეხეჩოს ადეკვატია, რომელიც გ. გასიტაშვილს აღწერილი აქვს ბორჯომის ხეობაში, ხოლო ნ. რეხვიაშვილს – რაჭაში[1]. საინტერესო იარაღია **ხვეწიც**, რომლის საყურადღებო ეგზემპლარები დაცულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. აქედან ერთი საკმაოდ დიდია – 15X8 სმ. მეორე უფრო პატარაა – 10X4 სმ. დიდი გამოყენებული იყო ფიცრების დასასწორებლად. ადგილებს, სადაც ფიცრებს ამზადებდნენ, ხალხი დღესაც „**ოფიცარეს**“, „**გგნაკაკას**“ და სხვას ეძახის.

ბერძენმა და ოსმალო ვაჭრებმა აქ „მაშინები“ – სახერხი მანქანები დადგეს და ასე დაიწყეს ფიცრების დამუშავება. ასეთ ადგილებსაც დღეს ხალხი „**ნამაშინუს**“ ეძახის. უცხოელი ვაჭარ-საქმოსნები ხის მორებს ტყეში ამზადებინებდნენ ადგილობრივ ხის მჭრელებს. ისინი სახერხ ადგილამდე წყალზე დაცურებით ჩამოიტანდნენ ამ მორებს. აქ დაქირავებული ადგილობრივი ხელოსანი ხუროები ზომაზე ხერხავდნენ ფიცრებს და აბარებდნენ მათ დამქირავებლებს, რომელთაც შემდეგ ურმებით გაჰქონდათ ფოთსა და ანაკლიაში დამზადებული მასალა. ამ უცხოელმა საქმოსნებმა ისეთი ფართო მასშტაბით დაიწყეს ძვირფასი ხეების – კაკლის, ურთხლის, მუხის, თელის მასალის დამუშავება და გატანა, რომ ამ ძვირფასი ჯიშის ხეთა კორომები ძლიერ შემცირდა ჩვენი მხარის ტყეებსა და სოფლებში.

### 5. ფეიქრობა

საკვლევი რაიონის მოსახლეობის საოჯახო მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო ფეიქრობა. „წინათ სამეგრელოში ქსოვილებს ოჯახები ამზადებდნენ. ქალები გავარჯიშებული იყვნენ ბამბისა, აბრეშუმისა და შალეულის ქსოვაში და თითქმის ყველა ოჯახში ჰქონდათ საპენტი იარაღები, ჩიხრიხი, საქსოვი დაზგა თავის მოწყობილობით და სხვა“[2] – წერს პროფ. ს. მაკალათია.

საკვლევ რაიონში შემორჩენილია ძველი საქსოვი მოწყობილობანი. აბრეშუმის ძაფი ამოჰყავდათ მოხარშვით. აბრეშუმის პარკი მოხარშვის შემდეგ ადვილად იხსნიდა თავს და ძაფის თავის ამოღების საშუალე-

[1] გ. გასიტაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48; ნ. რეხვიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.

[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 210.

ბას იძლეოდა. „თავის ამოყვანის“ შემდეგ ერთი ქალი ურევდა ქვაბს და მეორე „ოლართაშეზე“ – დასართავ ორკაპა ხაზე – ორკაპა ხის ტოტზე ართავდა ძაფს. მანამ ართავდნენ, სანამ პარკს ჭუპრამდე არ დაიყვანდნენ. შემდეგ ოლართაშეს მოაძრობდნენ ნართს და დაკიდებდნენ გასაშრობად. გაშრობის შემდეგ ფირფიტაზე (განიერ ყავრის ნაჭერზე) დაახვევდნენ და თითისტარით ართავდნენ. თითისტარიდან ისევ ოლართაშეზე ახვევდნენ. ახალ ამოღებული აბრეშუმის ძაფი ძლიერ ფიცხია (ურცხელი). ამიტომ გიბუა (მოყვანა) სჭირდებოდა. ძაფს ჩაყრიდნენ ნაცარ-წყალში, ან საპონ წყალში, გარეცხავდნენ და ისევ აშრობდნენ, გაშრობილს ისევ ფირფიტაზე დაართავდნენ, იმის მიხედვით, თუ რამდენი არშინი დარაია (აბრეშუმის წმინდა ქსოვილი) სჭირდებოდათ. „3 კვერცხი ძაფი ხუთ არშინ დარაიას მოქსოვდაო“, – ამბობს მთხრობელი მ. გეგეჭკორი. ამის შემდეგ დაახვევდნენ და აკრავდნენ შულოებად. ასე გამზადებული ძაფი ზეგსა და სავარცხელში გაეყრებოდა. ზეგი შუაში გადაფსკვნილი ორმაგი მკედია, რომლის ორივე მხარი გაყრილია გრძელ ჯოხებში, რომლითაც ზეგი ჩამოკიდებულია დგიმის ტოტზე. ორცხონჯი თავბოლოშეკრული, წვრილი, კბილანა სავარცხელია, 70-80 სმ სიგრძისა. დგიმსა და სავარცხელს განსაკუთრებული თოკებით ზემოთ ლარტყებზე ჩამოკიდებდნენ, რულეს პარალელურად, ხოლო ქვემოთ ბაწრების ზონარებს ჩააბამდნენ, რომელსაც დგიმის ქვედა ლარტყაზე მიაკრავდნენ. დარაიას ორი წესით ქსოვდნენ. თუ სქელი ნაქსოვი უნდოდათ, ორმაგად. ე. ი. ორ დგამს და ორ სავარცხელს აყენებდნენ და ირიბად ახვევდნენ ძაფებს ერთმანეთში, მარქვას მეშვეობით. დარაიას განი საერთოდ 200 სათალისაგან (სათალი ერთი ღერი ძაფის გასაყრელია) შედგება.

საქსოვ მოწყობილობას **საოშუალოს**, ან **დგიმის** ეძახიან. ორი უკანა, მაღალი და ორი წინა, დაბალი ბიგები, ან ბოძები შეკრულია პარალელური ლარტყებით, წინ 60 სმ სიმაღლეზე, ხოლო უკან 2 მ სიმაღლეზე. უკანა დგამიდან ორი პარალელური ლარტყაა გადმოსული, რომელზეც მაგრდება ზეგის და სავარცხლის საკიდი თოკები. უკან დათაჯული (ხინტკირი) ლარტყაა. მასზე გადაკრულია შულო, რომლის წინა, დახრილი ნაწილი გაყრილია ზეგსა და სავარცხელში. მის წინ მარქვა (მასრა) გადის ჯვარედინად ჩახლართულ ძაფებში, რომელთა ბოლოები გადახვეულია რულეზე (ღერძზე), რომელზედაც იხვევა თანდათანობით ნაქსოვი. მქსოველი ფეხებით არეგულირებს ზეგს და სავარცხელს ქვედა თოკებით, საჭირო შემთხვევაში მორიგეობით წევს მათ ზევით და ქვევით. ამით იქმნება ძაფის ჯვარედინი მდგომარეობა, რომელსაც გარდი-

გარდმო, მასრათი ეყრება ჩხირზე დახვეული ძაფი და ხლართავს, ქსელავს ნართს[1].

ამავე დგამზე და დაზგაზე ქსოვდნენ შალსაც, რაც ფართოდ იყო გამოყენებული საჩოხედ (საღართედ). ჩოხა ან შალი აუცილებელი მასალა იყო ქართული ეროვნული ტანსაცმლის დასამზადებლად. შინ ნაქსოვ ჩოხას ან შალს მეტი მოწონება და გამოყენება ჰქონდა ხოლმე. „უფრო გვიან ფაბრიკული შალი შემოვიდა და ამ ადგილობრივ ნაწარმზე უფრო, მათი შეძენა და გამოყენება დავიწყეთო“ – გვიამბობენ მთხრობელები.

შალისთვის მატყლს ადგილზე ამზადებდნენ, რისთვისაც მთასა და მთისპირა სოფლებში, ასევე, ბანძასა და მაიდანში ჰყავდათ ცხვარი გაშენებული. მას კრეჭდნენ და იღებდნენ მატყლს. დანაკლისს ამ მხრივ ავსებდნენ ბაზარზე ნაყიდით. მატყლისგან ამზადებდნენ ნაბდის ქუდებსა და ნაბდებს. „მთიან სამეგრელოში, სოფ. ჯვარში და ხუდონში ქალები აკეთებდნენ ნაბდებსა და ნაბდის ქუდებს. სანაბდედ არჩევენ შავ მატყლს. თუ მატყლი ფერადია, მას შავად ღებავენ. გარჩეულ მატყლს ჯერ კარგად გარეცხავენ, შემდეგ შავად ღებავენ და ლასტზე, ან ფიცარზე ხელით მოთელავენ“,[2] – წერს პროფ. ს. მაკალათია.

მატყლს გარეცხდნენ, დავარცხნიდნენ, გამშრალ-გასუფთავებულს საჩეჩელით (ოფეთაშეთი) დაფეთავდნენ, დაჩეჩდნენ. გრძელბეწვიანი ნაჩეჩი დასაქსოვი, **ორშვალი** იყო, ხოლო მოკლებეწვიანი **მიორშუაი** – მისაქსოვი. შემდეგ თითისტარს დაართავდნენ ძაფით, შეკრავდნენ შულოებად და დააწყობდნენ დაზგაზე. იწყებდნენ ქსოვას. წმინდა ნართისგან წმინდა ნაქსოვს იღებდნენ, უხეში ნართი ჯვალოს უხეშ ქსოვილს იძლეოდა. შალის მოსაქსოვად საჭიროა სათალი, ე. ი. სამოცი ძაფი“ – ამბობს მთხრობელი ე. ხუნწელია. საოშუალოზე, ან დგიმზე ქსოვდნენ ბამბის ტილოს – **ხამნელს**, რომელიც მასობრივად გამოიყენებოდა, რადგან ბამბას უფრო ხშირად თესავდნენ ხოლმე. ბამბა რომ დამწიფდებოდა, დაკრეფდნენ, პარკებიდან ამოყრიდნენ და გააშრობდნენ, შემდეგ გამშრალ ბამბას **ჩიხრიხში** (ჩიჩიხშა)[3] გაატარებდნენ და კურკას გააცლიდნენ. ამის შემდეგ კვლავ გაშლიდნენ და მზეზე კვლავ გააშრობდნენ. გამშრალ ბამბას საპენტით (**შქვილი**) დაპენტავდნენ და დაპენტილ ბამბას ართავდნენ ძაფად, თითისტარზე (**ჩერია**). დართული ძაფი ისევ შულოებად დაეხვეოდა და დგიმსა და ორცხონჯზე დაეწყობოდა. ხამნელი სქელი და უხეში ტილოა. მას სხვადასხვა ფერზე ღებავდნენ. საღე-

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 214.

[2] დასახელებული ნაშრომი, გვ. 214

[3] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 211.

ბავად იყენებდნენ **ლეკს** (მინერალური საღებავია, ადგილობრივ მთებში მრავალ ადგილასაა მისი გამოსავლები) და მცენარეულ საღებავს.

ამავე დაზგაზე ქსოვდნენ სელის ტილოსაც. იგი ძლიერ ნაზ პირს იყენებდა და, ხშირად, დარაიასთან ერთად, სასიამოვნო სახმარი იყო. მისგან ამზადებდნენ ხელსახოცებს, მაგიდის საფენებს (სუფრებს), მამაკაცირს საცვლებს, ლეიბის პირს და ა. შ. მისგან დამზადებული საცვალი გრილი და სასიამოვნო სახმარი იყო.[1]

სელის ღეროებს დაჭრიდნენ, გაწმენდნენ, გააშრობდნენ, შემდეგ გაატყავებდნენ და ტყავს დაწეწავდნენ. ამის შემდეგ თითისტარით ძაფად ართავდნენ, ოღონდ უკუღმა, დართვა იწყებოდა ძირის მხრიდან. ნართს შემდეგ ნაცარწყალში ან საპნის წყალში გარეცხავდნენ (გიმავდნენ). შემდეგ ისევ გააშრობდნენ, გაშრობილ ნართს შულოებად შეკრავდნენ, დაზგაზე ააწყობდნენ და ქსოვდნენ.

სელის, აბრეშუმისა და ბამბის ძაფისგან ამზადებდნენ სარტყელსა და ხვანჯრებს. ოღონდ ძაფს შედარებით მსხვილს რთავდნენ. შემდეგ **ყადას** (განსაკუთრებული დგამია) მეშვეობით ქსელავდნენ, ქსოვდნენ. ყადა ორიგინალური დაზგაა. ორი პარალელური, 60 სმ სიმაღლისა და 5 სმ სიგანის ლარტყა ამართულია დედოდან (საფუძვლიდან), რომელიც ქვემოთაც და ზემოთაც შეკრულია გარდიგარდმო ლარტყებით. სიმაღლის ლარტყები დახვრეტილია ჩხირების გასაყრელად, რათა ნართი ზომაზე დააყენონ და ფირფიტების (ენების) მეშვეობით ახვევენ, ხლართავენ ნართს. ფირფიტები 10-15 სმ სიგრძის, ფართო, ბრტყელი ჩხირებია. შინ ნაქსოვი ტილო, შალი, სარტყელი და ნართიც კი, ხელოსანს ბაზარში გაჰქონდა და ყიდდა. იგი მოსახლეობის ეკონომიკაში გარკველ როლს ასრულებდა.

[1] გ. ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX, №13, 1956, გვ. 175.

## თავი მეხუთე. კარ-მიდამო (მახორობა)

გლეხის სამოსახლოს ანუ კარ-მიდამოს სამეგრელოში **მახორობა**, **თი** ეწოდება. მახორობა საკვლევ რაიონში თუმცა საერთო ნიშნებით ხასიათდებოდა, სამეურნეო პროფილის შესაბამისად მაინც ჩანს განსხვავებული. მაგალითად, მეცხოველეთა თიებში, ან მახორობებში მესაქონლეობასთან დაკავშირებული ობიექტებია პირველ რიგში წარმოდგენილი. ხელოსნის კარ-მიდამოში მეტწილად მის ხელობასთან დაკავშირებული ელემენტებია ჩართული, ხოლო მიწის მუშაკის კარ-მიდამოში კი – მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მონაცემები.

ჩვენი მხარის ეთნოგრაფიულ და ტოპონიმიკურ მასალებში სახლობა, კარ-მიდამო წარმოდგენილია რამდენიმე სახელწოდებით, მათ შორის: **ნარონი**, **კარე**, **მახორობა** და **თი**.

ნარინი და ნარონი სიტყვასიტყვით „ნადგომს“ ნიშნავს. ამ ადგილებში აღმოჩენილი ნეოლითური და ენეოლითური ხანის საცხოვრისები ადასტურებს, რომ აქ მკვიდრი ბინადარი საცხოვრისი ყოფილა შორეულ წარსულში. გვიანი ნარონები დროებით ნაბანაკარია ჯარის, ან ლტოლვილთა ნამოსახლარი. მეგრელი დღესაც ასეთი ადგილის შესახებ ამბობს: „თაქ ხალხი ნარინუე“ (აქ ხალხი მდგარაო). ნორინი უფრო ხშირად გვხვდება ბარში, ტყისპირა ბორცვებსა და ველებზე, მდინარისპირებში, თუმცა მსგავსი ადგილთა სახელწოდებანი დამოწმებულია მთაშიც.

**კარე** სიტყვასიტყვით კარავს ნიშნავს. კარე დღეს მეცხოველეთა, ტყის მცველთა და ტყის მჭრელთა დროებითი სადგომია. მეცხოველეთა ასეთი კარვები – დროებითი საზაფხულო ქოხები აღწერილი აქვს ს. მაკალათიას[1]. იგი ფარღალალა, ქვის, ან წკნელით მოღობილი, ან ყავრით შეკრული ქოხია, რომლის ირგვლივ 100-200 მ2-ზე შემოსაზღვრულია ყორეთი, ან წკნელის ღობით კარვის ეზო, სადაც მოწყობილია საყოფაცხოვრებო ერთეულები. ასეთი კარვები ზოგან უფრო მკვიდრი და ხანგრძლივი საცხოვრისია, მაგალითად, ქობალიას კარავში მდგარი ნაჭყეპიების კარე. აქ ზამთარ-ზაფხულ ცხოვრობენ. ამიტომ ეს კარავი უფრო სრულყოფილია. ეზოში აქვთ ოდა სახლი, სამზადი, ხულა, აგვარა და ყველა სხვა საკარმიდამო ელემენტი. ამის მაგალითად ჩვენ შეგვიძლია დოც. ნ. თოფურიას მიერ ლიტერატურაში დამოწმებული მაგალითი მოვიყვანოთ. ლებარდესთან, სოფ. დგომში, მუდმივი სადგომი, მუდმივი კარე აქვთ ნესტორ და თომა ნაჭყეპიებს. მათი კარე კარ-მიდამოს ყველა ელემენტს შეიცავს. ამას მიმატებული აქვს მესაქონლეობის განსაკუთრებული ელემენტები: მსხვილი აგვარა, ოცხენე, ოგინე, ოცე –

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 191.

(მარაკა); აქვე აქვს წისქვილი და მოზრდილი საფუტკრე[1]. ზოგან ნაკარავები ეწოდება ისეთ ადგილებს, სადაც ოდესღაც კარვები იდგა.

**ტაბულა II. კიმოთე ინჯგიას კარ-მიდამო (მოხორობა). 1914**

კარ-მიდამოს საერთო სახელწოდება მეგრულში **მახორობაა**. არის ასეთი გამოთქმა: „მიში მახორობა რე?“ „მახორობა ეუფშაფუ რე“, „თენა კიკოში მახორობა რე“ (ვისი სახლ-კარია? სახლ-კარი ამოუვსებია, ეს კიკოს სახლ-კარია და სხვ.). მახორობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელ მეურნეობას, ოჯახის სახლისეულ მეურნეობას, ან, როგორც პროფ. გ. ჩიტაია აღნიშნავს, ადამიანთა საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობას აღნიშნავს. მახორობა წარმომდგარია **ხორინიდან**. პროფ. ი. ყიფშიძე განმარტავს: „მა-ხორო“ поселянии, имеющии дом, хозяйства, ოხორუ – усадбенное место, усадба. ხორუა, მახორობა (მოსახლეობა) (дом, поселение, хозяйство, семья)“[2].

აქ პატივცემულ მეცნიერს სხვადასხვა ცნობები აქვს ჩამოთვლილი, რომელიც ვერ ასახავს მახორობის სრულ აზრს. თავში იგი სწორად გან-

[1] გმმ სამეცნიერო ფონდი, ე. ჯგუფი, №19.

[2] Грамматика..., стр. 242.

მარტავს მახორობას, მაგრამ მოსახლეობასთან გაიგივება ტერმინისა ზუსტი არაა. მახორობა ერთი კომლის სამოსახლოა და არა ზოგადად მოსახლეობა. ამ ტერმინში მხოლოდ ერთი კარ-მიდამო იგულისხმება.

**დოხორინი** დასახლებას ნიშნავს, არა მხოლოდ საცხოვრებელი ნაგებობის დადგმას, არამედ დასახლკარებას, კარ-მიდამოს შექმნას, სახლისეული მეურნეობის მოწყობას. ამდენად, კარ-მიდამო ან მახორობა საერთო ცნებაა, კომლის სამოსახლოს და მასში შემავალი ყველა კომპონენტის საერთო სახელწოდებაა. მეგრულში კარ-მიდამოს შესატყვისი მეორე ტერმინიცაა შემორჩენილი – თი. მიშ თიშა მეურქ? თინა მიშ თირე? – ამბობს გლეხკაცი. აქ თი წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, რომელიც სახლკარობას, მახორობას აღნიშნავს. პროფ. ი. ყიფშიძეს ეს ფაქტი დამოწმებული აქვს. იგი წერს: „თი – семья, дом, двор, род. глава. მიდართ მუში თიშა – он ушёл к себе домой. ჩქიმი-თი моя семья; ჩქიმი-თური (ჩემიანი) Из моей семьи/кто либо, თური-კათა соседи, однофамильцы“[1]. ასე ესმის ეს ტერმინი ი. ქობალიასაც. იგი „კირუ-კარუს“ ლოცვას ასე იწერს: „ოში ანთასი ჩქიმი თის, აკა – მეზობეიში თის“ (ასი ათასი ჩემს სახლში, ერთი მეზობლისას)[2]. უფრო ხშირად ტოპონიმიაში იგი წარმოდგენილია კომპოზიტის სახით: „ბობოთი“, „გეჯეთი“, „ხორათი“, „ქუქითი“, „ქუთათი“ და ა. შ.

მახორობა, კარ-მიდამო რთული შედგენილობით ხასიათდება და თავის შიგნით ხალხის სამეურნეო ცხოვრების მრავალ თავისებურ ობიექტს აერთიანებს. ამავე დროს, მახორობას ბევრი რამ აქვს საერთო იმერეთის, გურიისა და აფხაზეთის ბარისა და მთისპირა კარ-მიდამოს ტიპებთან. კ. კახიანი სამართლიანად მიუთითებს, რომ „იმერეთში გავრცელებული კარ-მიდამოს ტიპი დამახასიათებელი იყო და არის დასავლეთ საქართველოს უმეტესი ნაწილისათვის, თუმცა ამ ნაწილის ფარგლებშიც შეიმჩნევა განსხვავება საკარ-მიდამო დასახლებაში, კუთხეების მიხედვით“[3]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს განსხვავება, პირველ რიგში, თვით კარ-მიდამოს სტრუქტურაშია წარმოდგენილი. უფრო კარგად რომ გავერკვეთ მახორობის თავისებურებაში, განვიხილოთ ორივე ტიპის, კომბინირებული, შერწყმული და ჩვეულებრივი მახორობის რამდენიმე მაგალითი. კომბინირებული, შერწყმული ტიპის მახორობის საუკეთესო მაგალითია კიმოთე ინჯგიას კარ-მიდამო. ეს კარ-მიდამო ოქტომბრის რევოლუციამდე მთლიანად დაცული იყო და საშუალო გლეხის მეურნეობას წარმოადგენდა, რომელმაც ჩვენს დროში მნიშვნელოვანი ცვლილე-

[1] Грамматика..., стр. 242.

[2] СМОМПК, XXXII, часть III, стр. 96.

[3] კ. კახიანი, გლეხის კარ-მიდამო იმერეთში, თბ., 1964, გვ. 121.

ბები განიცადა. ამ მახორობის რეკონსტრუქცია და აგეგმვა-რესტავრაცია შევძელით კიმოთეს შვილის – თომა ინჯგიას, მისი შვილიშვილის – რეზო ინჯგიასა და მეზობლების: ლევან მასხულიას (80 წლის მოხუცი) და მელიტონ კალანდარიშვილის (90 წლის) დახმარებით (ანაზომები და გეგმა ინახება გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო ფონდში).

კარ-მიდამო გზის მარჯვენა მხარეზეა გაშლილი. წინა ეზოთი გზას ეკვრის, ხოლო უკანა ეზო მდინარე ისქიას გადაჰყურებს. ეზოს აღმოსავლეთით სასოფლო გზა უვლის, რომელიც ნახუნაოსაკენ მიემართება, ხოლო დასავლეთით მეზობელ მოსახლეთა მახორობები ესაზღვრება. ეზოს მოცულობა 15000 მ2-ია. დასავლეთით, 10 გრძივი მ-ის შემდეგ, ეზოს ეს ნაწილი ფართოვდება განით 20 მეტრზე, დასავლეთით. და ასე გაშლილი ჩრდილო-დასავლეთით ვრცელდება მდინარე ისქიას გადასახედამდე. წინა ეზო სწორკუთხა კვადრატიული ფორმისაა, ხოლო ეზოს უკანა ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეს მდინარე ისქია ოვალურ ფორმას აძლევს, სადაც არხია შეჭრილი ეზოში. არხზე, უკანა ეზოს სიღრმეში, წისქვილია მოწყობილი. მახორობის წინა პირი გაშლილია დაახლოვებით 100 მ-ზე. მას შოსე გზისგან ყოფს **თხორიი** (წყალსაწრეტი არხი), რომელზედაც **ბოგირია** (მცირე ხიდი) გადებული. ეზოს მკერდი მესერითაა შემოკავებული და ჭიშკარი აქვს. ჭიშკარი სამნაწილიანია, ორი დიდი კარი და ერთი პატარა, ანუ **კუტკარი**, რაც იკეტება თაჯიანი ურდულით. ურდული **კორტეთი** ან სამარჯვი რიკით იწევა სასურველი მიმართულებით (ზევით და ქვევით) და იკეტება, ან იღება. დიდი კარების სამაგრად და საკიდად აკაციის ბოკონები, ან სვეტებია აღმართული. კუტკარის ან მცირე კარის საკეტი თაჯი დიდი კარის შიდა ბიკონზეა მიჭედილი. მცირე კარი, გვერდით, ბოკონზე კიდია. ბოკონები შეკრულია ერთი დედოხით – **ომპით**, რომელზედაც გარდიგარდმო დაჭედილია **ხომარდულები** ლონდირებით, ხოლო ომპაზე აღმართულია ქუდით შეკრული ორი **ციცი** (სამაგრი სვეტები). აქედან ხომარდულებზე ეშვება ორფრთიანი სახურავი, რომელიც კრამიტითაა გადახურული. ასეთი ჭიშკარი მეტად ლამაზია და კარ-მიდამოს მშვენებად ითვლებოდა თურმე წინათ... ეზოში ამ კარით შემსვლელი კოინდარიან მინდორს გაივლის, რომლის ფართობი 400 მ$^2$-ია და ოდა სახლისკენ მიემართება. მინდვრის ცენტრში დგას ასწლოვანი ცაცხვის ხე, რომლის ქვემოთ არის სკამ-ლოგინი მოწყობილი. წინა ეზოს მესრის გაყოლებით, მწკრივად, ხურმის, ვაშლის და სხვა, ხილკენკროვანი მცენარეებია. მინდვრის ან წინა ეზოს დასავლეთ მხარეზე მოწყობილია ხეხილნარი 100 მ$^2$ ფართობზე. აქ დარგულია მსხალი, ვაშლი, ხურმა, რომელზედაც ადესის,

კაჭიჭის და შონურის მაღლარია მიშვებული. წინა ეზოს დასავლეთი მხარი გადაღობილია ღობურით და 100 მ სიგრძეზე 300 $მ^2$ ფართობზე ისევ მაღლარი ვაზის და ხეხილის ბაღია მოწყობილი. ოდა სახლის წინ, მისგან 30 მ-ის დაშორებით არის ამოყვანილი ჭა და დგას **ოწინარი**. ჭას ახურავს კერამიკული **გვიმი** (ხუფი). ოწინარი ან წოწინარი მოძრავი ღერძია, დედოზე დამაგრებული, რომლის ერთ ბოლოზე ბრტყელი, შუაში გახვრეტილი ქვაა კორტეთი დამაგრებული. მეორე, გრძელ ბოლოზე თოკია ჩაბმული და ფართოპირიანი თუნგი კიდია წყლის ამოსაღებად. თუნგი ჩამოცმულია ხაზე, ხაბარჯგა ჯოხზე, ტოტიან ბარჯგზე. იქვე **ბუკი** დგას (გადახერხილი მორი) კოკის და სხვა ინვენტარის დასადგმელად, ხოლო მის გვერდით **როფეა** (ხის ამოღარული, ამოთლილი ვარცლი) ზედმეტი წყლის მოსაკავებლად, საქონლის და ფრინველის დასაწყურებლად. წინა ეზოს ბოლოს დგას ოდა და სამზადი სახლი. საცხოვრებელი ნაგებობის უკან ღობურით გადამიჯნულია წინა ეზო. ღობურთან, ოდასა და სამზად სახლს შორის, დგას მცირე, დაბალი, ყურებჩაფსკვნილი, 1,5 $მ^2$ ფართობის ნაგებობა, სადაც ძაღლია ჯაჭვით დაბმული. საძაღლე (**ოჯოღორე**) გადახურულია ყავრით.



**ტაბულა III. კიმოთე ინჯგიას ოდა**

ოდა სახლი ოთხკუთხა ფორმის, ლამაზი ნაგებობაა. სახლი შემდეგ გაიყიდა და აქვე, მეზობლად მცხოვრებ სიგუას უდგას. ახალ პატრონს არ შეუცვლია სახლის კონსტრუქცია. ოდა სახლის წინა პირი 9 მ-ია, ხოლო სიგრძე 10 მ. აქვს 2 მ სიგანის აივანი. სახლი აგებულია 7 სმ სისქის წაბლის ფიცრებისაგან. კედლის სიმაღლე 3 მ და 10 ს-ია. ოთხივე კუთხეში ფიცრებს ყურები აქვს გადაფსკვნილი. შენობა დგას ქვის 5 ბოკონზე ან სვეტებზე. გვერდებზე და უკანაც ხუთ-ხუთი ბოკონი უდგას, ასევე, შუაშიც. გარდიგარდმო კოჭების სამაგრი 12 მუშტი, ან სვეტი აქვს შეყენებული. აივნიდან სახურავს 6 სვეტი უდგას. სვეტებს შორის სივრცე თაღედური, ლამაზი, ჩუქურთმიანი არშიითაა შეკრული. ქვემოთ 70 მ სიმაღლის დაჩარხული რიკულები აქვს. დასავლეთი აივანი ყრუ კედლითაა ამოხურული და მის ქვემოთ სკამ-ლოგინია მოწყობილი. აღმოსავლეთით კი ხის ლონდირებზე ჩაკრული 4-საფეხურიანი კიბეა მოწყობილი. კიბის თავზე აივანი მასიური ფიცრისგან დამზადებული კარითაა ჩაკეტილი, ხოლო კარის ორივე მხარეს რიკულებიანი მოაჯირის მოკლე კვანძებია. კარი შიგნით **კორტეთი** იკეტება. აივნის ჭერი გაუჭრელი და გვერდებამოღარული ლამპითაა აჭედილი, ხოლო იატაკი მუხის ფართო და სუფთა ფიცრებისგანაა დაგებული. სახლს წინა პირზე სამი ფანჯარა და ორი კარი აქვს. ფანჯრის სიგანე 85 სმ-ია, სიმაღლე 1 მ და 40 სმ. ქალა ოვალური ფორმისაა და გრეხილად ამოკვეთილი ლარტყებითაა შეკრული, რაც ორიგინალურ სახეს აძლევს მას. კარის თაღი სწორია, კარის სიგანე 1 მ და 10 სმ-ია, სიმაღლე 2 მ და 20 სმ. ორფრთიანი კარი წაბლის სუფთა ფიცრებისგანაა გაკეთებული. თითო ფრთა სამგულიანია, ხაზობრივი არშიითაა დამშვენებული. ორი ფანჯარა და ერთი კარი შედის შედარებით ფართო ოთახში – „ზალაში“, ხოლო ერთი კარით სასტუმრო ოთახში შევდივართ, რომელსაც კარის აღმოსავლეთ მხარეზე ჩაჭრილი ფანჯარა ანათებს. ოთახის უკან არის ერთი მცირე ოთახი, რასაც „საშინაოს“ უწოდებენ. აქ დაწყობილია ოჯახის ინვენტარი, თეთრეული, დგას ერთი ტახტიც და შინაურის მოსასვენებლადაა გამიზნული. ზალა 1 მ სიგრძისაა, განი მას 5 მ აქვს. ოთახის სიგრძე 1 მ-ია. უკანა ოთახის, ან საშინაოს სიგრძეც ამ ზომისაა. განით მთელ წინა ოთახის სიგრძეზე ვრცელდება. შემდეგ 4 მ სიგრძეზე ღია აივანია. აქ საშინაო ოთახის წინა კუთხე ბოყვშია ჩაბმული. ოთახს აივანზე გასასვლელი აქვს ერთი, მასიური ფიცრისგან გაკეთებული კარი. უკან ერთი ფანჯარაა. ზალას და ოთახს შორის კარია. ოთახის და ზალის შემაერთებელ კედლის კუთხესთან არის ამოყვანილი ორთვალიანი ბუხარი, რომლის ერთი თვალი ზალას ათბობს, მეორე თვალი – ოთახს. ოთახს უკან აქვს გასასვლელი ერთი კარი, რომელიც უკანა ოთახს უკავშირდება. უკანა აივანს აღმო-

სავლეთით მიდგმული აქვს კიბე. ხის ბოძებზე, ოთხი საფეხურით, საიდანაც ვიწრო, საცალფეხო გზა სამზადი სახლისკენ მიდის. სახლის სახურავი ოთხფრთიანია. იგი კრამიტითაა დახურული.

ოდა სახლს დასავლეთით მიდგმული ჰქონდა სადურგლო სახელოსნო, რომელიც დღესაც არის შემონახული და ცალფრთიანი სახურავითაა გადახურული. აქ დგას ჩარხიანი დაზგა. დაზგაზე აწყვია სადურგლო ხელსაწყოები: პირთხელები, შალაშინები, ნაჯახი, დანები, საღარავები და სხვ. კედელთან გასაშრობად მოწყობილია მოკლედ დაჭრილი ფიცრები. დაზგასთან ორი დაბალი სკამი დგას. აქვე ბუკია (მორია) ჩასობილი მიწაში. მასზე აწყობენ იარაღებს. იგი ერთი კარით იხურება.

ოდა სახლის ორივე კიბიდან სამზადი სახლისკენ მიემართება საცალფეხო ბილიკი, რომელიც მდინარის წვრილი ხრეშითაა დაფენილი, ბილიკის განი 80 სმ-ია.

სამზადი პიტაფიცარა სახლია, რომლის წინა პირი 4 მ-ია, ხოლო სიგრძე 5,5 მ. მას ერთი კარი აქვს. დახურულია ისლით. ისლს დატანებული აქვს ფრთების კუთხეების შესაყართან, წინა და უკანა მხარეს, საკვამლეები. „აბარწიდან“, ან „მაქინდორიდან“ (სახლის მიწატკეპნილი წინკარი) ჭერამდე, წინ 4 სვეტი უდგას. 1,5 მმ სიგანის წინკარი მიწატკეპნილია. კედლის წაბლის და მუხის ხის 60-70 სმ სიგანის და 120 სმ სიგრძის, ხელით დათლილი პიტაფიცარები ჩასმულია ბოყვში. წინ ოთხი ბოყვი აქვს. გვერდით, კედლის სიმაღლე 2 მ და 50 სმ-ია, წინკარს ჭერი (სხვენი) აქვს, შიგნით კი ნაგებობა უჭეროა. მაგრამ სიმაგრისათვის მუხის ხის ორი დედოა ჯვარედინად გადებული, ერთი უკანა და წინა კარების გასწვრივ, ხოლო მეორე მისი გადამკვეთი. პირველი დედოდან (ომპიდან) აღმართულია ორი სვეტი (**ციცი**), რაც ძელითაა (ქუდით) შეკრული. შემკრავ ძელზე კოჭებია (**კაკუტები**) დამაგრებული. კოჭებზე ლარტყეებია, იელის წკნელით გადაღობილი და შემდეგ ზედ თხილის წკნელით – **წკუეტით**, ანუ ღვლეჭით არის დაკრული ისლი. გარედან ისლის სამაგრად ერთმანეთის პარალელურად, ქვემოდან ზევით, დაკრულია ლარტყეები – ბასკები. გადახურვის შემდეგ, სახურავის წვეროს ფერდობსა და ფრთების კუთხის გონიოებზე, აკრავენ დღვარკალებს (ხის მსხვილი ტოტები), რომ ქარმა არ აგლიჯოს სახურავი. სამზად სახლს უკანაც აქვს ერთი კარი, რომელიც გადის მიდგმულ ოთახში (მოდგუმირი), რომელიც განით 2 მ-ია. სიგრძით იგი სამზადის მთელ განზეა მიდგმული. მას უკან ერთი კარი აქვს. შიგნით იგი კორტეთი იკეტება. დასავლეთით საპირეა მოწყობილი, გაჩორგნილ ხის ღეროთა მასიური იატაკის თავთან. საპირე ამოღობილია 60 სმ სიმაღლეზე. იგი საქონლის საკვების ჩასაყრელადაა მოწყობილი. ბოგა კი საქონლის საწოლი იატაკია. ზაფხულობით საპირე

**ტაბულა IV. მესაქონლე ნაჭყეპიას შერწყმული ტიპის კარ-მიდამო (მოხორობა). 1962**

და ბოგა იშლება. გარეთ გააქვთ, აშრობენ, ასუფთავებენ, ზამთრობით ისევ აგებენ.

სამზადი სახლის ცენტრში, ომპაზე მიმაგრებულია **კიბირი** (**ოგინ-ჯალე**), საიდანაც რკინის ნაჭე ეშვება შუაცეცხლისკენ. შუაცეცხლი ანთია კერაზე (**კებური**), რომელსაც სწორი სილქვა უდგას ბალიშად. ბალიშის სიმაღლე ხშირად 35 სმ-ია. მას ორივე მხარეზე ყურები ამოთლილი აქვს. შამფურის (**წკირის**) ჩამოსადებად. აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლის გაყოლებაზე დადგმულია გრძელი ტახტი. დასავლეთ მხარეზე მოწყობილია ხის დიდი კიდობანი, რომელშიც ჩალაგებულია საოჯახო ჭურჭელი. აქვე დგას ბუყუნი, ხის მასიური ჭურჭელი 1,5 მ. სიმაღლისა, ფქვილის შესანახად. მაქინდორში, სამზადის კედელზე, კიდია **ტაბაკი**. შიგნით, წინა კედლის მარჯვენა მხარეს, არის ხის თარო, რომელზეც კოჭობი მდგარა წინათ. სამზადის გვერდით, 300 $მ^2$ ფართობზე, არის ორ ნაწილად გაყოფილი **კუთხუში ეზო**, ანუ კუთხის ეზო, რომელიც ღობურით ორ ნაწილად იყოფა. მარჯვენა ნაწილში მოწყობილია **ორტვიი** (ბოსტანი): ფხალეულით, ბაღჩეულით, ბოსტნეულით. მარცხნივ **ოსკაეა** (სასკო, საფუტკრე), სადაც სამ მწკრივად დგას 9 ბუკი (სკა). საფუტკრესა და ბოსტანს შორის დგას მაღალი ცაცხვის ხე და მის ძირას, მშრალ

ადგილას, ჩაყრილია ქვევრები; მოწყობილია ღია ცისქვეშ მარანი 8 ქვევრით, სულ 150 კოკის მოცულობით. საფუტკრის ზემოთ არის მცირე საბალახო (**საონდიარო**), სადაც წვრილ საქონელს, ხბოებს და ახალ მეწველ ძროხას უშვებენ ხოლმე. ეზოში შემოყვანილ ღარზე (არხზე) დგას პატარა, ერთთვლიანი წყლის წისქვილი. წისქვილის ღარიდან წყალი ისევ უკანა ეზოს კვეთს, რომელიც შუაზე ყოფს საონდიაროს (საბალახოს) და მდინარეს უერთდება: მდინარესა და ეზოს შუა 750 კვ. მ ფართობზე თხმელის საჩეხი ტყეა. ტყისა და ქართის კუთხეში ყოფილა მოწყობილი 250 კვ. მ ფართობის საისლე. დღეს აქ მხოლოდ ჩირგვნარია. დაახლოებით 300 კვ. მ ფართობი ეკავა საყანე მასივს, რომელიც ჩრდილო-დასავლეთით სწორი კუთხით ებჯინება საჩეხს; ასეთივე, სწორი კუთხით ვრცელდება სამხრეთ-დასავლეთით, შემდეგ 50 მ-ის დაშორებით ქმნის კუთხეს, საიდანაც ირიბი ხაზის ზღუდარს კრავს. საყანე ირგვლივ ღობურითაა შემოკავებული. ეზოს ირგვლივ უვლის **ანგარო** (მცენარეულის ზღუდე), ზღუდარის მიდამო (**ფაჲაგეები**) სულ მწვანეში ზის. ეს ზღუდე ზედ ხურგზე, ან მიჯნაზეა. წინა ეზოსა და საყანეს შორის არის მცირე, შქა ეზო „შუა ეზო“, რომელიც ღობურითაა შემოკავებული. აქ არის ჯარგვალა სასიმინდე, რომელსაც ასასვლელად **ტკვა** (თაჯიანი კიბე) უდგას. აქ მდგარა **ფარონი** – ღომის საშრობი ფარდული. ეზოს ამ ნაწილში დგას საქათმე, ჯარგვალა ბეღელი. ოდა სახლის უკან, ჩამოხურულის პირდაპირ, მოწყობილია ცერიში ხორხი (ვერტიკალური ხერხი). საყანეში ნაქუჩალის შესანახი ღობური და ზვინი დგას. არხსა და საისლეს შორის ამოღობილია 100 მ$^2$ ფართობის **ქართა** (საქონლის საზაფხულო შესარეკი). ქართის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მოწყობილია **ჩხანჭი** – უკედლო, ისლით გადახურული ფარდული, წვიმის დროს საქონლის სადგომად. სამზადი სახლის გასწვრივ არის დაბალი **ობატე** (საბატე) და ღობური ნაკელისათვის (**ონაკელე**). ქართასა და საონდიაროს შორის გადის შუკა, რომელიც ორივე მხრივ **ჩერტიკარით** იკეტება. აქედან შემოჰყავთ და დენიან საქონელს დილა-საღამოს. მდინარეც ეზოს უკან შეკრულია **წყარ-კარით**, ანუ წყლის კარით (წყლის თავისუფალი კალაპოტის გადამღობი ჩელტის კარით), რომელიც წკნელისგანაა შეკრული და გრძელ, 2,5 მ ფარადს წარმოადგენს. საფუტკრის თავში არის ცივი წყაროს წყალი (**წყურგიი**), რომელსაც ახლა ნაკლებად იყენებენ, წინათ ოჯახის ნიადაგ სახმარი იყო. ეს საშუალო გლეხის დურგალ-მიწათმოქმედის კარ-მიდამოა. იგი შერწყმული ტიპის კარ-მიდამოდ შეიძლება ჩავთვალოთ. აქ არის ბარში გავრცელებულო, ჩვეულებრივი ტიპის კარ-მიდამოს ყველა ელემენტი და დურგლის ხელობასთან დაკავშირებული ატრიბუტებიც, სადურგლო სახელოსნო და ცერიში ხორხი.

ახლა განვიხილოთ მთაში ნიადაგ სამყოფი, შერწყმული მახორობის მაგალითი. 1964 წელს ჩვენ შევისწავლეთ დგომში მუდმივად მცხოვრები მესაქონლის – ნესტორ ნაჭყეპიას კარ-მიდამო (ანაზომები, ფოტომასალა, გეგმარი ინახება გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო ფონდში). ნესტორ ნაჭყეპია მესაქონლეა, 70 წლისა. ბაბუა და მამამისიც მესაქონლეები ყოფილან. იგი 12 წლის ასაკიდან ეწევა მწყემსობას. ჯერ საკუთარ ჯოგს დაყვებოდა, ახლა საკოლმეურნეო ფერმის ჯოგს უვლის; ამასთან, ჰყავს კოლმეურნეობის წესდებით ნებადართული საკუთარი საქონელი: თხა, ცხვარი, ძროხა, ცხენი და ღორი. მისი მეურნეობა შეიცავს მესაქონლის მახორობის ყველა ერთეულს და ისეთ ატრიბუტებსაც, რომლებიც მესაქონლეობასთანაა მხოლოდ დაკავშირებული.

მახორობას უჭირავს 2 ჰა ფართობი. იგი ირგვლივ შემოსაზღვრულია სორგი ღობით, რომელსაც ანგარო აქვს ჩაყოლებული. უკან ტყე ემიჯნება და მისგან ქვის ყორე ყოფს. კარ-მიდამო მთის ფერდობზეა გაშლილი სწორკუთხედად. ასეთ ეზოს ნესტორი „**იაგინძიას**“ (წაგრძელებულს) ეძახის. წინაპირი 200 მ-ზეა გაჭიმული და სულ სორგითაა შემოზღუდული. ამ მხრიდან ორგან აქვს **სიბა კარი**, ერთი, ცენტრში და მეორე – მდინარე ტეხურის ნაპირიდან, საიდანაც ბილიკი შედის საყანე ნაკვეთში და გადის უკან, ტყეში. აქაც სიბაკარია ტყეში გასასვლელად. ჩრდილო-აღმოსავლეთით ეზოს ლებარდეს გზა უვლის. წინა ეზოს გარეთ, 100 მ-ზე, მინდორში არის **ოსკუ** (საღორე), რომელსაც თავისი ქართა აქვს შემოღობილი. უკანა ეზოს მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი 1 ჰა ფართობი საყანეა. საყანე გაყოფილია მესრულით. კარ-მიდამოს ცენტრში საცხოვრებელი ნაგებობა დგას: **ოდა სახლი** – ოთხთვალიანი წაბლის ხის ნაგებობა, ოთხფრთიანი სახურავით, ყავრით დახურული, წაბლის ხის 30 მაგარ ბოჯინებზე (სვეტებზე) დგას. სახლში ხის კოჭებზე დაყრდნობილი ხუთსაფეხურიანი კიბე ადის. აივანი წაბლის ხის მოაჯირითაა აკრული, სადაც სკამ-ლოგინია გამართული. ოდაში სამი ოთახია.

სამზარეულო ორთვლიანია, პიტაფიცარათი ნაგები. ისლით გადახურული, უსარკმლო. წინა ეზოს შესასვლელთან, კუთხეში, ხარო, დაბალი ორსართულიანი **მაღაზაა** (სასიმიდე). ხოლო სამზადის ახლოს, უკან, საქათმე და საბატეა. აქვეა ხულა (ბეღელი). სამზადი სახლიდან 50 მ-ზე, ყორესთან, წყაროსწყალია გამოყვანილი. იგი ნამსხვრევი ქვის ყორითაა ამოყორილი. ყორის იქით 50 სკა დგას ხეხილნარში. მთელ 200 $მ^2$ ფართობზე ბოსტანია მოწყობილი, ხოლო მას აქეთ ხეხილნარია, რომელზედაც მიშვებულია ადესისა და შონურის ჯიშის ვაზი. ხეხილნარი შემოღობილია წაბლის მესრით. ეზოს ბოლომდე დიდი ქართაა, სადაც დგას

**ოცხენე** (თავლა). იგი ერთთვლიანი, გრძელი ფარდულია, წაბლის ხის ფიცრებით ნაგები (ნაგებობის სიგრძე 6 მ-ია, სიგანემ 4 მ) მის სამხრეთით დგას ოჩხოულე (საძროხე), ესეც მსგავსი ფარდულია. აქვეა მცირე ნაგებობა **ოგინე** (სახბორე). შემდეგ ცალკეა შემოსაზღვრული მცირე ქართა, საიდანაც სიბაკარით საქონლის მასიურ საბალახოში გასადენია მოწყობილი, რომელიც კარ-მიდამოს უკან იშლება, დიდ მასივზე, მას დღესაც ნესტორ ნაჭყეპიას საონდიაროს ეძახიან. ქართას ზემოთ, წინა მხარეს, არის **მარაკა**, იგივე **ოთხალე**, თხის ბაგა, თავისი მცირე ქართათი. კარ-მიდამოს, ანგაროდან სამხრეთ მხარეზე, მთიდან ნაკადული ჩამოუდის, რომელზეც დგას ერთთვლიანი, პატარა წყლის წისქვილი. სამზადი სახლის სამხრეთ ოთახში არის მარანი, 5 ქვევრით. აქვე თაროზე არის ჩამოწყობილი არყის სახდელი ქვაბი, მისი თავი და მილი. თაროზე აწყვია ქვევრის სარეცხი ინვენტარი: **ორჩხეში**, **მარწკვენია** (სარიკუდა), **საქოსი**. აქვეა ღვინის ამოსაღები და სასმელი ჭურჭელი: **ხირკე**, **ჩაყვა**, **კალამი**, **ხოფი** და სხვ. ცალკე თაროზე დგას **ნიგა** (ჩასაწველი ხის კასრი), **ბუცუნი, საკვეთი, ჩაყვა, მურზგა, ატარები, ხარაზაკა** (სხვადასხვა ზომის სარწყულები). ყველა ეს საწველი, საკვეთი და სითხის ამოსაღები და დასალევი, ყველის ჩასაწყობი, რძის მოსაკავებელი და სხვა ინვენტარია. აქვეა **ნისორი** (გობი), **ხონჩა, კაჩები, გუდები, ოსადილე კალათები, კოკები, დოქები** და სხვა ჭურჭელი.

სამეურნეო ნაგებობათა და სხვა ობიექტს შორის დიდი რაოდენობითაა მესაქონლეობასთან დაკავშირებული ერთეულები. თუმცა აქ მახორობის ყველა ძირითადი ელემენტია წარმოდგენილი. მახორობის განხილული ტიპიდან ჩვეულებრივი მახორობა იმით განსხვავდება, რომ ის ერთპროფილიანია, მისი პატრონი ერთ საქმიანობას ეწევა. იგი ბარის სოფლის მიწის მუშაკია, რომელიც ხვნა-თესვას და საოჯახო საქმიანობას ეწევა. ამიტომ მისი მეურნეობა ჩვეულებრივი ტიპისაა, რომელშიც მახორობისთვის დამახასიათებელი ყველა შემადგენელი ერთეულია წარმოდგენილი, ისეთი ერთეულები, ურომლისოდაც ვერცერთი საოჯახო მეურნეობა თავის საქმეს ვერ გაუძღვება. მაგალითისთვის ჩვენ განვიხილავთ სოფ. ლეციცხვაიეს მოსახლის – სარდიონ ყუფარაიას მახორობას, რომელიც ჯერ კიდევ 1957 წელს შევისწავლეთ.

აღნიშნული მახორობა, კარ-მიდამო, ან როგორც ხშირად პატრონი იტყოდა – ეზო-კარი, გაშლილია სწორ ადგილას. მას ოთხკუთხედის მოყვანილობა აქვს. 1930 წლამდე კარ-მიდამო გადაშლილი იყო 3 ჰა ფართობზე. დღეს კი ერთ ჰა ფართობზე ვრცელდება იგი. აღმოსავლეთ მხარეზე ეზოს წინაპირი აქვს, რომელსაც ნაგვაზაოში მიმავალი გზა უვლის წინ. ეს მხარე შემოღობილი იყო მესრული ღობით. ღობეს გზის მხარეზე




**ტაბულა V. ნესტო ნაჭყეპიას ოდა**

**თხორიი** – წყალსაწრეტი ღარი (თხრილი) მიუყვება. შუა ადგილას ბოგირია (მცირე ხიდი) გადგმული, რომლითაც ჭიშკარში შევდივართ. ჭიშკარი გამოჩარხული ლარტყებისაგან შეკრული, კრამიტის სახურავით იყო დამშვენებული.

წინა ეზოს ერთ მხარეს ხეხილნარია, ბაღია იზაბელას მაღლარით, ხოლო მეორე მხარეზე ბოსტანია მოწყობილი. მათ შორის სივრცე კოინდარიანი მოლი, მინდორია, სადაც ქვიშით მოფენილი ბილიკი მიემართება ოდა სახლისკენ. ოდა სახლის წინ ჭაა, რომლის გვერდით წოწინარი დგას. წოწინარზე თოკით მიმაგრებული ვედრო კაკვიან ხის ტოტზე, **ხაბარჯგაზეა** (ორკაპა ბარჯგზე) ჩამოკიდებული. მის ქვემოთ არის ბუკი (მორი) და როფე. ოდა სახლის წინ ყვავილნარია.

ოდა სახლი წაბლის ხის, ყურებგადაფსკვნილი ფიცრებისგანაა აგებული. გარე კედლები ლამფითაა შეკრული. ოდას ფართო იავანი აქვს. სახლი საცხოვრებელი ოთხი ოთახისაგან შედგება. აქედან ერთი სასტუმრო ოთახია, ორი მოსასვენებელია, ხოლო ერთიც საშინაო სათავსია („საკუჭნაოა“). ოდა სახლის გვერდით დგას ერთთვალიანი სამზადი სახლი, რომელსაც უკან მიდგმული აქვს საქონლის ბაგა. ზაფხულობით

იგი იწმინდება, სუფთავდება, ზამთრობით კი სათანადოდ ეწყობა და შიგ საქონელს ინახავენ.

ოდის წინ დგას ბეღელი (ხულა) – ერთთვლიანი ნაგებობა, რომელსაც ერთი ვიწრო კარი აქვს შესასვლელად. ბეღელს ორფრთიანი ყავრის სახურავი აქვს.

სამზადი სახლის გვერდით, ცოტა უკან, დგას სასიმინდე, წაბლის ჯარგვალისაგან. ჯარგვალები – ხის მრგვალად დასუფთავებული მორები ერთმანეთზე ყურებითაა გადაფსკვნილი და ორფრთიანი სახურავი ადგას, რომელიც ისლითაა დახურული. მაღაზა ან სასიმინდე ოთხ, ორმეტრიან ბოძზე დგას. მის ქვემოთ ხელსაფქვავი, **სკიბუა** გამართული. აქვეა ღომის საცეხვი – **ჩამური**, სასიმინდის ჭერზე, კოჭებზე კიდია **კაკუტები** (ღომის საცეხვი ურიები). აქვეა ოლეც (ღომის საშრობი ღობური). აქ უკანა ეზო გადაღობილია ღობურით. ეზოს სამხრეთ მხარეზე 80 $მ^2$ სიგანის ქართაა მოწყობილი, საიდანაც წინაპირისკენ ვიწრო შუკა მიუყვება, რომელიც ტბის პირას სიბა კარითაა ჩაკეტილი. სამზადის მხარეზე ქართას უდგას საღორე, რომლის გვერდით, ოთხ, მაღალ ბოკონზე არის აღმართული მცირე ღობური საქათმე. ქართის ბოლოზე არის ღია ფარდული – **ჩხანჭი**, რომელიც ოთხ სვსეტზე დგას და ორფრთიანი სახურავითაა გადახურული. წინა ეზოს მარჯვენა მხარეს, ხეხილნარში, ღია ცისქვეშ, მარანია მოწყობილი.

უკანა ეზოს აღმოსავლეთი ნაწილი საყანეა. მის უკან 1000 $მ^2$ ფართობი ორადაა გაყოფილი თხრილით. მარჯვენა მხარე საისლე ნაკვეთია, ხოლო მარცხენა, უფრო დიდი ნაწილი საჩეხი ტყეა. კარ-მიდამოს ირგვლივ მწვანე ნარგავთა ზღუდარი უვლის, რომელზეც მიჯნაა ჩაყრილი. ანგაროს მიუყვება ღრმა თხრილი. სამამულო ომის შემდეგ ეზოს სტრუქტურა ცოტათი შეიცვალა. ახლა საისლე ნაკვეთი მიტოვებულია და ზედ საბალახოა მოწყობილი, მოუვლელია ტყეც. სახურავიანი ჭიშკარი შეცვლილია რკინის ჭიშკრით, მაგრამ ადრინდელი ერთეულების აღწერილობა შესრულებულია ადგილზე, პატრონის დამოწმებით.

როგორც ამ ზოგადი აღწერილობიდან შეიძლება დავასკვნათ, ეს კარ-მიდამო ჩვეულებრივი ტიპისაა. იგი ყველა კარ-მიდამოსთვის სავალდებულო ერთეულებს შეიცავს, რაც ერთი გლეხის ოჯახის მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს.

განხილულ კარ-მიდამოთა სამეურნეო ერთეულებიდან შეიძლება გამოვყოთ მისი მთავარი ელემენტები და ცალკე განვიხილოთ.

ტოპონიმიკური მასალა მდიდარ ცნობებს გვაწვდის მახორობის შემადგენელ ელემენტებზე, მის სტრუქტურაზე.



**ტაბულა VI. სარდიონ ყუფარაიას სახლი**

როგორც აღინიშნა, კარ-მიდამოს ირგვლივ უვლის **ანგარო**. ანგარო კარ-მიდამოს ზღვარი, მისი გალავანია. ანგაროდ მრავალწლიანი ნარგავები იყო გამოყენებული. იგი ხშირი, მაღალი ხეებით იყო ცოცხალ ღობედ აღმართული. ხურგის, ან სამიჯნო ქვის, მიწაყრილის და ნახშირის ყრა და გადაადგილება შეიძლებოდა, ხოლო მრავალწლიანი ნარგავებით გამიჯნული ანგაროს მოშლა ყოვლად შეუძლებელი იყო.

ასეთ ცოცხალ მიჯნაზე არქანჯელო ლამბერტი წერდა: „ხეებს ირგვლივ წრესავით რგავენ... ამ ხეების ჩრდილის წყალობით მეგრელები მთელს ზაფხულს გაურბიან აკვამლებულ სახლებს და მუდამ-დღე, თუ სახლში ჯდომას წვიმა არ აიძულებდა, დროს გარეთ ატარებენ და დაღამებამდე სულ ეზოში არიან“[1]. ანგარო კარგად ჩანს მურიეს მიერ გადაღებულ მეგრული კარ-მიდამოს ფოტოსურათზეც[2]. ახლაც იტყვიან – მეუ, ანგაროს ქიმკაკირი თხა; ანგაროს მოხიკონი დიშკა; ანგაროს ქიდაარგე და სხვ., რაც ნიშნავს – წადი, ანგაროზე დააბი თხა, ანგაროზე

[1] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 35.

[2] ჟ. მურიე, სამეგრელო, გვ. 156-157.

მოხიკე შეშა, ანგაროზე დარგე და სხვ). მაშასადამე, ანგარო კარ-მიდამოს ზღუდეა. იგი მას მიჯნავს სხვა კარ-მიდამოსაგან, სხვა მიწებისაგან.

ანგაროს აქვს კარი. მას უფრო ხშირად **სიბა კარს** ეძახიან. სიბა კარი ლარტყებისგან შეკრული კარია, რომელიც ცალ მხარეზე ორივე თავწაწვეტებული ღერძით მოძრაობს. ღერძის ქვედა, წვეტიანი თავი ტრიალებს მიწაში ჩასმულ კოტაზე, ხოლო ზედა თავი გაყრილია განსაკუთრებულ, კოტაამოჭრილ სოლში. კოტები ღერძს თავისუფლად მოძრაობის საშუალებას აძლევენ. ზედა თავის სამაგრი სოლი დამაგრებულია მტკიცედ დედო ბოძზე, რომელსაც შემდეგ ღობე, ყორე, ან სხვა რამ ეკვრის. მეორე მხარეზე კარს გადაგდებული აქვს „შხურიშ ჭისგან“ მოგრეხილი რგოლი. როცა გაღება სურთ, ამ რგოლს მოხსნიან და კარს აღებენ; როცა დაკეტვა სურთ, რგოლს ჩამოაცმევენ კარის ბოლო სამაგრ ლარტყს და ღობის, თუ ყორის მეორე მხარეზე მკვიდრად ჩასმულ ბოძისთავს, ამით დაამაგრებენ, დააკავებენ, ე. ი. დაკეტავენ. ხშირად კარის საკეტად, სამაგრად **კოჭასაც** იყენებენ. კოჭა მეგრულად კარის დასაკეტად გამოყენებულ ხის სოლს ნიშნავს, რომელიც ბოყვზე, ან ბოძზე დამაგრებულია რიკით, ან ლურსმნით და მასზე ტრიალებს. სიბა კარი გამოყენებულია ორღობეების ჩასაკეტად და სხვ. სიბა კარს იმერეთში ლარტყის კარს უწოდებენ. კინჩხაში მას ამ სახელით იცნობენ. ასევე უწოდებენ ცაგერშიც. ანგაროს უკან, საიდანაც თხებსა და საქონელს უშვებენ საონდიაროზე, საბალახოზე, ან ჭალაში, **ჩერტი კარს** კიდებენ. ჩერტი კარი წკნელით მოღობილი ჩელტის კარია. ასეთი კარი ნაკლებად საიმედოა. დიდხანს ვერ ძლებს, ამიტომ მას მხოლოდ ნაკლებად საშიშ ადგილას კიდებენ ხოლმე. ჩელტი კარით ხშირად „შუკებსაც“ (შუკა პატარა ორღობეა ქართადან საქონლის გამოსადენად, ან მეზობლებს შორის, ფაᲫაგეზე დატოვებულ სივრცეზე გამავალი პატარა ბილიკია) კეტავენ ხოლმე. მახორობის წინა ეზო კოინდარიანი მინდორი იყო. იგი არ იხვნებოდა, არც ითესებოდა, ყოველთვის სუფთად იყო დაცული და დასასვენებლად იყო განკუთვნილი. აქ იდგა დიდი საჩრდილობელი კაკლის, მუხის, კოპიტისა თუ ცაცხვის ხე, ხოლო მინდვრის ანგაროზე ან კიდეებზე ჩარგული იყო ხეხილი. ხურმისა და ვაშლის ხეებზე მიშვებული იყო ოჯალეში, ჩეში ან სხვა ჯიშის ვაზი. ეზოს სიდიდე შეძლებაზე იყო დამოკიდებული, მემამულეთა მინდორი „ორ ორთვალზე“ – ორ ქცევაზე მეტი იყო, ისე, რომ, ვიდრე **ბჭისკარიდან** ან ჭიშკრიდან შემოსული სტუმარი სახლამდე მოაღწევდა, დიასახლისი სახლის დალაგებასა და სტუმრის შესახვედრად მორთვასაც თავისუფლად ასწრებდა თურმე. მეგრელი კაცის კარ-მიდამოს ძლიერ მოუხიბლია არქანჯელო ლამბერტი. იგი აღწერს მას „აღვწეროთ ახლა მეგრელების კარ-მიდამო. აღვნიშნოთ

ჯერ, რომ ყოველ მეგრელს ისე დიდი ეზო აქვს, რომ უფრო მინდორს წარმოადგენს...

საჩრდილობლად ეზოში რგავენ სხვადასხვა ხეს, უფრო ხშირად კი რცხილას... ასეთს ხეებს სხვადასხვა რიგად რგავენ. ზოგიერთებს მწკრივად, სიგრძეზე გააყოლებენ, რათა დღის განმავლობაში კაცს შეეძლოს ჩრდილის ქვეშ მოთავსდეს და პური ჭამოს ან მოისვენოს, თუ მოისურვებს. აი, ამ ხეების ჩრდილის წყალობით მეგრელები მთელ ზაფხულს გაურბიან აკვამლებულ სახლს და მუდამდღე, თუ სახლში ჯდომას წვიმა არ აიძულებს, დროს გარეთ ატარებენ და დაღამებამდინ სულ ეზოში არიან; დასეირნობენ, საქმეებს არიგებენ, სჭამენ და სძინავთ კიდეც“[1].

მინდვრის ბოლოს, კარ-მიდამოს ცენტრში იდგა ღუდე – სახლი, ერთი სამზადი სახლი და ერთი ოდა სახლი, სახლის უკან მთელი კარ-მიდამო გადაღობილი იყო. მინდორი და სახლი. ცალკე იყო გამოყოფილი. ამ ნაწილს **ეზოს** ეძახიან,[2] თუმცა ახლა უფრო მეტად ეზოს სახელწოდება მთელს ანგაროს მოიცავს ერთიანად. საბას მიხედვით, „ეზო, არს არა გარე ზღუდედ მოვლებული, – არამედ წინათ კერძო, ან გვერდით მოხრილი კედელი, რათა შუა ადგილი აქუნდეს“. იმერული, გურული, აფხაზური და მეგრული კარ-მიდამოს თვალსაჩინო ნაწილია ეზოსა და კარ-მიდამოს წინა ნაწილი. ახლა მას წინა ეზოს, ან მინდორს ეძახიან. ამასთან, დღეს საერთოდ მთელი კარ-მიდამოს შიდა ნაწილს ეზო ჰქვია, იგი იყოფა სამ ნაწილად: **წინა ეზო**, ან მინდორი, **შქა ეზო** (შუა ეზო), საცხოვრებელი და მასთან დაკავშირებულ სამეურნეო ნაგებობათა ადგილი, მათი მცირე შემოგარენით, და **უკახაენი ეზო** (უკანა ეზო), ან სამეურნეო ეზო, სადაც, როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, არის სამეურნეო ნაკვეთები (საყანე, საისლე, საჩეხი, საფუტკრე, ხშირად ბოსტანიც, ვენახიც), ქართა (ჩხანჭით, ოჩხოულეთი და სხვ.) და წისქვილი. ეზო, მოყვანილობის მიხედვით, რამდენიმე სახელწოდებითაა ცნობილი: **კუთხუში** ეზო (კუთხის ეზო), **იაგინძია ეზო** (წაგრძელებული ეზო), **დინონთხაფიი ეზო** (ჩავარდნილი ეზო), **კუნტა ეზო** (მოკლე ეზო), **გინძე ეზო** (გრძელი ეზო). ამასთან, ეზოები ცნობილია ნიადაგის ტენიანობის თავისებურების მიხედვითაც: **ჭენჭყი ეზო** (დაჭაობებული ეზო), **სქირუ ეზო** (მშრალი ეზო) და ა. შ. ანალოგიური მონაცემები აქვს დამოწმებული იმერეთში კ. კახიანს[3]. ეზო წინ, ანგაროსგან დამოუკიდებლად, ხშირ შემთხვევაში, გამოყოფილი იყო ღობით. ღობე წკნელისაა, ხშირად იელისა, რადგან იელი უფრო ხანგრძლივად ძლებს. ხშირად თხმელის, ბროწეულის, თუთის და

[1] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 35.

[2] კ. კახიანი, გლეხის კარ-მიდამო იმერეთში, თბ., 1964, გვ. 104.

[3] იქვე.

თხილის წკნელსაც მიმართავდნენ ხოლმე. იცოდნენ აგრეთვე, მესერიც, რომელსაც ურთხლის, წაბლის, აკაციის, მუხის თუ სხვა მაგარი ჯიშის ხის სარებისაგან აკეთებდნენ. სარების სიხშირე 8-10 სმ-ზე მეტი არაა. იგი კაცის მკერდის სიმაღლეზეა ამოყვანილი, გადაღობილია იელის წკნელით – **გირგატით**. ჯ. რუხაძეს კახეთში დამოწმებული აქვს წკნელის ღობე, მარგილის ღობე, ჯაგის, ძეძვის ღობე, ფიჩხის ღობე და სხვ.[1] სამეგრელოში ცნობილია წკნელის, მარგილისა და ძეძვის ღობე. ხოლო კარიდან მკვლევარს დასახელებული აქვს ლარტყის, ხარიხის და ლასტის კარი. მათ შორის ლარტყის კარს სამეგრელოში **სიბაკარს** ეძახიან, ხოლო **ლასტისგან მოწნული კარი** იგივე **ჩერტი კარია**. კ. კახიანი იმერული გლეხის კარ-მიდამოს განხილვისას მიუთითებს, რომ „ღობე შეიძლება იყოს წკნელისა, ხიბისა, ჯარჯისა, ლამფისა და ცოცხალი“[2]. ეს კი, თავის მხრივ, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სამეგრელოში მოღწეული ეთნოგრაფიული ნიმუშები საერთო ქართული ძირიდან მომდინარეობს.

ღობის ცენტრალურ ადგილას, ეზოში შესასვლელი ჭიშკარი, ან ბჭისკარია (ჭიშკარი იმერეთში ცნობილი ტერმინია).[3] იგი ეზოს ბჭეა; აქ ჩამოკიდებული კარი მართლაც ბჭის კარია. ბჭის კარი ან ჭიშკარი უფრო მკვიდრი და კეთილნაკეთია. ხშირად, ოჯახის შეძლებულობის მიხედვით, იცოდნენ გადახურული კარების გაკეთება. როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღწერილი, საკარე ადგილას ასობენ ორბოძს, რომელზედაც გადაყავთ ხომარდულები, ე. ი. სახურავის გადასაყვანად ლამაზად ჩათლილი ლონდირები. ზედ ორფრთიან სახურავს ამართავდნენ, ციცზე დაყრდნობით. სახურავს ღია გვერდებს ლამფებით ამოუქოლავდნენ ხოლმე. ლონდირებზე პირამოღარული ლამფების ჭერს ააკრავდნენ, ირგვლივ ჩუქურთმიან საცავებს შემოავლებდნენ. ამ გადახურულის ქვეშ დაკიდებდნენ 170X180 სმ სიმაღლის სამგანყოფილებიან კარს, ორს – დიდს, ტრანსპორტის შესასვლელად, და ერთს – პატარას, გევრდითს, ქვეითისათვის, კუტიკარს. სიბა კარისგან განსხვავებით, ეს კარი ან მთლიანად ჩუქურთმიანი ფიცრებისგან იკვრებოდა ხოლმე, ან ხარატული რიკულები იყო ბოყვებში ჩასმული და შეკრული, ან კიდევ ლამაზად დათლილი ლარტყები იყო ბოყვებით გამაგრებული. ასეთი კარის საერთო სიგანე 4 მ-ს არ აღემატებოდა. ბჭის კარი მთავარი შესასვლელი იყო კარ-მიდამოში. დღეს ჭიშკრის ნაცვლად თითქმის ყველგან რკინის კარს აკეთებდნენ.

---

[1] ჯ. რუხაძე, საცხოვრებელი ნაგებობანი კახეთში, მმასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, თბ., 1959, გვ. 53-55.

[2] კ. კახიანი, გლეხის კარ-მიდამო იმერეთში, თბ., 1964, გვ. 104.

[3] იქვე, გვ. 104.

ბჭისკარს ან ჭიშკარს ხის გრძელი ლარტყით, ან **ურდუმით** კეტავდნენ ხოლმე. მას გარდიგარდმო გაუყრიდნენ კარს მთელს სიგრძეზე, განსაკუთრებულ ხვრელებში.

მინდვრის კუთხეში, სამზადი სახლის წინ, კოინდრიან მოლზე, ხშირ შემთხვევაში, ჭა იყო ამოყვანილი. მას ამოყორავდნენ, თავზე ლამაზად გამოყვანილ კერამიკულ საცავს, ან გვიმს ადგამდნენ, ხოლო წყლის ამოღების გასაადვილებლად წოწინარს აღმართავდნენ. წოწინარი შედგება დედობოძისგან, რვილესგან, ჯაჭვისა და თუნგისგან (ან ვედრო დღეს). ორკაპა, უზარმაზარ ხეს ჭრიდნენ და მიწაში ასობდნენ, ჭის მახლობლად. მასზე ჩამოდებდნენ და შუა ადგილზე კორტეთი დაამაგრებდნენ რვილეს. კორტეგაყრილი **რვილე** (სოლგაყრილი ძელი) იმართებოდა და იხრებოდა, მაგრამ არ ცურდებოდა, არ ვარდებოდა ორკაპიდან. მას ერთ წვერზე სიმძიმისთვის კუნძს, ან სხვა რამ სიმძიმეს ჩამოკიდებდნენ. მეორე წვერზე ჯაჭვს ჩააბამდნენ და თუნგს (ინჯის დოქს) დაჰკიდებდნენ.

ჭა იშვიათი იყო. უფრო გავრცელებული იყო **წყუ** ან **წყურგილი**, წყაროსწყალი, რომელიც ეზოშია ამოყვანილი. წყაროს მისადგომი მოკირწყლულია ჭადა ქვებით. აქვს მისასვლელი ბილიკი, ხოლო წყლის ამოსაღები **ხირკე** (ორშიმო) და სხვა ჭურჭელი აქვე მოწყობილ თაროზე აწყვია. წყურგილი სიტყვასიტყვით გრილ წყაროს ნიშნავს. ეს ასე აქვს განმარტებული პროფ. ი. ყიფშიძეს – „წყუ“ – колодец; წყურგილი – родник (бук. холодный колодец). მხარის მოსახლეობა წყაროს უფრო ეტანებოდა, ვიდრე ჭის წყალს.

ეზოს შიგნითა ღობეს დატანებული აქვს დაბალი ღობე, ხშირ შემთხვევაში, 70 სმ სიმაღლისა. მას **ოლაგეს** ეძახიან. იგი ან უკანა ეზოში, ან მეზობლისას გადასასვლელი იყო. ოლაგე მოხერხებულ ადგილასაა გაკეთებული. ხშირად მასზე ჩერტის კარიც ჰკიდია, ზემოთ ფრინველთაგან და სხვა წვრილფეხა საქონლისგან ეზოს დასაცავად. ოლაგეს იქითაქეთ ორ-სამსაფეხურიანი ლარტყის კიბე აქვს გაკეთებული.

სახლის იავანს, ან წინკარს **მაქინდორს** ეძახიან. იგი ან პირდაპირ მიწატკეპნილია სახურავქვეშ, ან კიდევ საძირკველშემოვლებული მიწატკეპნილია. მას ხშირად **აბარწასაც** უწოდებენ. აბარწა (абх. крылцо)[1]– ეს ტერმინი აფხაზურშიც ცნობილია და იგივე მნიშვნელობა აქვს. ოდა სახლს რიკულებშემოვლებული აივანი – **მაქინდორი** აქვს. სახლს კი ღუდეკარი აქვს, ე. ი. სახლის კარი. ამით სახლი იკეტება. ამრიგად, კარი დანიშნულების მიხედვით სხვადასხვანაირია; არის **სიბაკარი**, **ჩერტიკარი**, **ბჭისკარი** (ჭიშკარი) და ბოლოს, **ღუდეკარი**. კასტელის ალ-

[1] კ. კახიანი, გლეხის კარ-მიდამო იმერეთში, თბ., 1964, გვ. 191.

ბომში არის ორი ჩანახატი – ერთი მეგრული და მეორე გურული სახლ-კარისა. გურული კარ-მიდამო შედარებით მცირეა თავისი მოცულობით. ამასთან, ეზოს წინა ნაწილი მცირეა, ხოლო უკანა, სამეურნეო ეზო სულ არაა ნაჩვენები. მეგრული კარ-მიდამო წინა, ვრცელი ეზოსა და ეზოს სამეურნეო ნაწილისგან შედგება, როგორც ეს, უფრო გვიანი, მეგრული კარ-მიდამოს სრულყოფილ სურათში აქვს აღებული ჟან მურიეს, რომელიც გამოქვეყნებულია წიგნში – „სამეგრელო“[1]. როცა პროფ. გ. ჩიტაია განიხილავს მ. ჩოჩიას შრომას, წერს: „1. დასავლეთ საქართველოს უმრავლეს პროვინციაში, განსაკუთრებით კი მის დასავლეთ ნაწილში (გურია, სამეგრელო, სამურზაყანო, აფხაზეთი, იმერეთი), აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც დასავლეთ საქართველოს ესაზღვრება, ცალკე კარ-მიდამოებია მოცემული. ჩვეულებრივ, სოფელი გადაჭიმულია რამდენიმე კმ-ის მანძილზე, მთავარი და დამხმარე ქუჩების გასწვრივ...

...ავტორის აზრით, დასახლების ასეთი სახეობა მომდინარეობს დიდი ოჯახის დროიდან“[2]. აღმოსავლეთ საქართველოში კი დასახლებისა და კარ-მიდამოს სულ სხვა ტიპია. აქ უფრო შეჯგუფული დასახლებაა, რის გამო კარ-მიდამოს მშვენება – ეზო ან სულ არა აქვს, თუ აქვს და ძლიერ შეზღუდულად. ხოლო სამეურნეო ნაგებობანი და ერთეულები ერთადაა თავმოყრილი, ან ტერასულადაა მოწყობილი, ან კიდევ ჰორიზონტალურად გაფენილი, მაგრამ ერთმანეთთან მიჯგუფული, როგორც ეს დამოწმებული აქვს სოფ. შილდაში (კახეთი) გ. ჯავახიშვილს თავის ნაშრომში – „დასახლების ტიპი სოფ. შილდაში“. „თანამედროვე საკარ-მიდამო ეზოს სამეურნეო ნაგებობიდან მხოლოდ საქათმე, საღორე და, იშვიათ შემთხვევაში, გომური შემორჩა. ძველად შილდისთვის ეზოში კალოს არსებობაც ყოფილა დამახასიათებელი“[3]. ქართლში დასახლების თავისებურებაზე ნ. თოფურია წერს, რომ გორის რაიონში წინათ „საკარმიდამო ნაკვეთი არ გააჩნდათ და სახლთან ჩრდილიც კი არ ჰქონდათ, რომ მოეჩრდილათ“[4]. სამეგრელოში კი, პირიქით, „სახლის წინ მდებარეობს მამულის ნაწილი, 3,4 ჰა და მეტიც, იგი ჩვეულებრივ, გამოყენებული, დაუმუშავებელი რჩებოდა, რადგან გლეხისათვის სიამაყე იყო ეზოს ხელშეუხებლობა, – წერს პროფ. გ. ჩიტაია, – თუმცა, გაჭირ-

[1] ჟან მურიე, სამეგრელო (ფრანგ.), გვ. 156-157.

[2] გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1963, გვ. 204.

[3] გ. ჯავახიშვილი, დასახლების ტიპი სოფ. შილდაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიაში, X, თბ., 1959, გვ. 101.

[4] ნ. თოფურია, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი გორის რაიონში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბ., 1959, გვ. 68.

ვების შემთხვევაში, ამ ადგილს მაინც იყენებდა სიმინდისა და ბაღჩისათვის. ჩვეულებრივ, აქ დიდი ხეები დგას, უფრო მეტად სილამაზისათვის, ნაწილობრივ კი ეს ხეები ვაზისთვის არის გამოყენებული. სახლის უკან სამეურნეო ნაგებობაა განლაგებული. მამულის უახლოესი ნაწილი თუ ბაღჩას ეთმობა, მოშორებით ყანაა მოთავსებული. ეზოს გარდა მეურნეს აქვს საყანე სოფლის გარეთ“[1]. ასეთ ვრცელ საკარმიდამო ნაკვეთზე ნაგებობანი ერთად კი არაა შეჯგუფული, ან ერთ სახურავქვეშ, ერთი ნაგებობის შიგნით კი არაა წარმოდგენილი, არამედ ცალ-ცალკე, სამეურნეო ეზოში. იგი სავსებით განსხვავდება ხევსურული და რაჭული სახლისაგან და ქართული **დარბაზისაგან**, რომელიც დამოწმებული და შესწავლილი აქვთ პროფ. გ. ჩიტაიას, დოც. თ. ოჩიაურსა და სხვ. სახლი, ოხორი, ან მახორობა, სახლ-კარი კომპლექსური მცნებაა. იგი შეიცავს (ოჯახის შეძლებულობის მიხედვით) რამდენიმე ნაგებობას; მათ შორის მთავარია თვითონ საცხოვრებელი სახლი ან ცუდე. ასეთი საცხოვრებელი წინათ უფრო ფაცხა, ჯარგვალა სახლი, ან კიდევ პიტაფიცარა სახლი იყო. უკანასკნელ დროს ფართოდ გავრცელებულია ოდა სახლი. ოდა სახლის დამახასიათებელი ტიპის ფოტოსურათი მოტანილი აქვს პროფ. გ. ჩიტაიას წერილში – „კოლხური არქიტექტურის და ყოფის მუზეუმი“.[2] მართალია, ზემოთ ჩვენ უკვე აღვწერეთ ოდა სახლი, როცა კიმოთე ინჯგიას კარ-მიდამოს შევეხეთ, მაგრამ ინტერესმოკლებული არ არის ოდის სხვა ნიმუშიც განვიხილოთ. ასეთ ნიმუშად შეიძლება ავიღოთ ყუფარაიას ოდა. იგი ხის ოთხთვალიანი ნაგებობაა, მისი განი 9 მ-ია, ხოლო სიგრძე 10 მ. სახლი აგებულია წაბლის ხის ფიცრებისგან. დგას აგურის 80 სმ სიმაღლის 20 სვეტზე. სახლს აივანზე ასასვლელად აქვს ოთხ საფეხურიანი ქვითკირის კიბე, ქვის საფეხურებით. აივანი მასიური ფიცრების მოაჯირითაა აკრული. მოაჯირის სიმაღლე 70 სმ-ია, წინ ხუთი სვეტი უდგას ჭერს, რომელთა შორის სივრცეები ჭრილი თაღედებით არის დამშვენებული. აივნის ჩრდილოეთ მხარეზე აღმართულია კედელი. იქვე, მოაჯირის გასწვრივ, დგას სკამ-ლოგინი. კედლის სიმაღლე 3 მ-ია. აივნის სიგანე 2 მ. სახლს წინა მხარეს ორი კარი და სამი ფანჯარა აქვს. მარჯვნივ მცირე მოსასვენებელი ოთახია, მის უკანაც ამავე დანიშნულების ოთახია, ხოლო მარცხნივ სასტუმროა. მის უკან არის მცირე სასაწყობო ოთახი (საკუჭნაო), 5 $მ^2$ ფართობისა, საიდანაც კარი უკანა აივანზე გადის. აივანი ღია სივრცეა ამ „საკუჭნაო“ ოთახსა და უკანა ოთახს შორის, 5 $მ^2$ ფართით. უკანა, გვერდით ოთახს აქვს მარჯვნივ ერთი ფანჯარა და

[1] გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1963, გვ. 204.

[2] ჟურნალი, „ძეგლის მეგობარი“, №1, გვ. 20.

მარცხნივ – აივანზე გასასვლელი კარი. ოთახები ერთმანეთს კარებით უკავშირდება.

ეს ნაგებობა კონსტრუქციითაც და საცხოვრებელი ფართის დანაწილებითაც გაცილებით უფრო დაწინაურებულია ძველთან შედარებით[1].

ოდის გვერდით, გარკვეულ მანძილზე, ხშირ შემთხვევაში 10 მ მოშორებით დგას სამზადი. იგი ან ფაცხაა, ან ჯარგვალი სახლია, ან კიდევ პიტაფიცარაა უსარკმლოდ, ისლით დახურული, მოდგუმირით, სადაც საქონლის ბოგა და საპირეა გამართული.

---

[1] ე. ი. ფაცხა, პიტაფიცარასა და ჯარგვალა სახლთან შედარებით.
ფაცხა ღობურია, იგი ზოგჯერ მრგვალია, ზოგჯერ ოთხკუთხედიც. მრგვალ ფაცხას ისლის კუნჭულა სახურავი ჰქონდა, ხოლო ოთხკუთხა ფაცხას – ოთხფრთიანი, მაღალი, ციცებზე შეყენებული ისლის სახურავი. ღობური შემოლესილი იყო თიხით. იატაკი მიწატკეპნილი იყო. ფაცხის შუა ადგილას შუაცეცხლი – კერია იყო მოწყობილი. კერიაზე ჩამოშვებული იყო ხის ნაჭე-კაჩა, ან რკინის ჯაჭვი – ნაჭე, რომელზეც თუჯის, ან ლინჯის ჩუანი, ან კარდალა ეკიდა ხოლმე. კერიას, ან ყებურს თავთ ბუკი ედგა, რომელსაც მინთებული ჰქონდა ცეცხლი. სახურავს დატანებული ჰქონდა მუხურთან, ფრთის კუთხესთან, კვამლსავალები – ოკუმოლები, საიდანაც ფაცხაში სინათლე იჭრებოდა. ფაცხას სარკმელი არ ჰქონდა. ეკიდა ხის მასიური კარი, რომელიც ბურცხიში კილათი იკეტებოდა. კარი, ხშირ შემთხვევაში, მარტო ერთი ჰქონდა. უკან ამ ნაგებობას ჰქონდა „მოდგუმირი“ ან მიდგმული.
საინტერესოა „ჯარგვალიც“, რაც სიტყვასიტყვით მრგვალ ხეს ნიშნავს. ახალგაზრდა ხეს გასხეპდნენ, კუნძებს მოაცილებდნენ, კანს მოაშორებდნენ და თავბოლოში „ხურხუს“, „ქილუქებს“, ან ყურებს ამოუჭრიდნენ და კორტეებით ერთმანეთზე ამაგრებდნენ. თუ სურდათ, უფრო განიერი ყოფილიყო ნაგებობა, ერთ ბოლოზე ყურს არ უკეთებდნენ ხეს, მას აბრტყელებდნენ და ასე წათლილს ბოყვში სვამდნენ ხოლმე, რაც კრავდა ორ ხეს ერთმანეთთან და აგანიერებდა კედელს. ბოყვი დამოწმებული აქვს ჯ. რუხაძეს. იგი წერს: „იმერლების განმარტებით, ბოყვი სქელი ფიცარია, რომელიც ნაპირებში ღრმად იყო ამოთლილი. ასევე ესმით ეს ტერმინი სამეგრელოში – „ორ მხარეს ამოღარული, ხე ფანჯრების ჩასაჯენად“ („საცხოვრებელი ნაგებობანი კახეთში“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, X, თბ., 1959, გვ. 53-54). ზემორაჭული და ლეჩხუმური გაგებით კი, ბოყვი მხოლოდ ერთი მხრივ ამოღარული სქელი ფიცარია, რომელშიც ფიცრის თავებია ჩამჯდარი. გ. ჩიტაია ტერმინ დათვა-ბოყვას მეორე ნაწილის – ბოყვის შესახებ მიუთითებს, რომ იგი „ბოძს, სვეტს, კარის ამყოლს აღნიშნავს, რომელზედაც სვეტია მიმაგრებული. ბოყვი ოთხი სახისაა: კუთხის ბოყვი, შუა ბოყვი, გამყოფი ბოყვი, კარ-ფანჯრების ბოყვი (იქვე, გვ. 53-54). ჯარგვალა ხშირად 3,5 მ-ზე მაღალიც იყო, მისი ფართი 75 მ აღემატებოდა. მასაც წინ და უკან მასიურ კარს უკეთებდნენ. გადახურვა ოთხფრთიანი ჰქონდა. იყო შემთხვევა ჯარგვლის იატაკის შეფიცვრისა. ხშირად მიწატკეპნილით და შუაცეცხლით კმაყოფილდებიან, წინ, ან გვერდზე, ერთ ვიწრო სარკმელს უკეთებენ. „ჯარგვალს“ იყენებდნენ მარნის, სამზადის, ბეღლის, მაღაზას ასაგებად; ხშირად სასტუმრო, საცხოვრის სახლადაც. „ჯარგვალას“ აკეთებდნენ ხოლმე უფრო მთის სოფლებში. ასეთი სახლები დღესაც ხშირადაა დაცული ჯვარში, თაიაში, მუხურში, კურზუში, ბალდასა და სხვაგან. ნაგებობათა ეს ტიპები დამოწმებული და აღწერილი აქვთ ჟან მურიეს, პროფ. ს. მაკალათიას (ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1921, გვ. 242-251). მაღალ სამშენებლო ხელოვნებაზე მიუთითებს ჩვენს მხარეში შემორჩენილი ძველი სახელწოდება „ნოდარბაზენი“. ხალხური გადმოცემით, აქ დარბაზები, სასახლეები და ქალაქები ყოფილა გაშენებული.

ეზოს ხეებით დაბურულ ნაწილში, შედარებით მშრალ ადგილას, მოწყობილია მარანი. არის შემთხვევა, როცა მარანი განსაკუთრებული ნაგებობაა სამზადი სახლის მახლობლად, უკანა, სამეურნეო ეზოში, ხულასთან – ბეღელთან ერთად. ასეთ მარანში, დაცულ სათავსში არის დამარხული ქვევრები. უფრო ხშირად ახლაც შემორჩენილია მარანი ღია ცისქვეშ.

სახლის მიდამოებს **ლაფარას** ეძახიან. ლაფარო, ანუ ლაფარა მუდმივ სუფთად აქვს დაცული დიასახლისს. იგი სახლის გამოგვასთან ერთად ლაფარასაც გვის ხოლმე, ხშირად ასუფთავებს სარეველა ბალახებისგან, ამოჰყავს მცირე არხი ნაწვიმარი წყლის დასაწრეტად.

უკანა, ან სამეურნეო ეზოში, სამზადის უკან ქართა, ან აგვარაა[1]. ქართა შემოფარგლული მოედანია, დაახლოებით 50-100 $მ^2$ ფართობისა. მის ერთ მხარეზე, ოთხ ბოძზე, ისლით, ან ყავრით გადახურული ჩხანჭია მოწყობილი. ქართა საქონლის საჩიხეა. გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე საქონელი აქ შუკით შემოდის ხოლმე. იგი ღამით ჩერტი კარით იკეტება, დღისით კი ამ გზით – „საონდიაროასკენ“ მიედინება. ჩხანჭი გადასაწვიმებელი ფარდულია. ზაფხულის წვიმების დროს საქონელი ჩხანჭს აფარებს თავს.

ქართას შუკის მხარეზე აქვს მოწყობილი **ოსქუ** და **ოკარიე**.[2] ოსქუ ან ოღეჯე საღორეა, ღორის ბაგაა. იგი 120 სმ სიმაღლის ფაცხა, ან პიტაფიცარა ნაგებობაა. იგი შემდგარია 15 სმ ბოკონებზე. იატაკს და ჭერს დატანებული აქვს ვიწრო საჰაერო ხვრეტილები. გადახურულია ორფრთიანი სახურავით.

ოსქუს გვერდით მოწყობილია **ოკარიე** – საქათმე. **კარიე** მეგრულად ქათამს ნიშნავს, ოკარიე კი საქათმეა. იგი ოთხ ბოძზე შეყენებული ღობურია, რომელსაც დატანებული აქვს ვიწრო შესასვლელი, რომელიც ღამით იკეტება ხოლმე. ქათმები ზიან ჩხირებზე, რომელიც საქათმის გარდიგარდმოა გაყრილი, ერთიმეორის ზემოთ. ხშირად ოკარიედ მაღალ, ხშირფოთლოვან ხეებს იყენებენ, რომელსაც ფრინველის ასასვლელად განსაკუთრებულ თაჯიან კიბეს უდგამენ ხოლმე. ოკარიე ნაგებობას „**ქუფესაც**“ ეძახიან. „ქუფე დულობი“ – იტყვიან მეგრელები (ქუფე მოულობეო). ქუფე წვრილფეხობის ბოძებზე შეყენებული ღამის სათევია. „ქუფე“ საერთოდ ღობურს (ნაღობს) ნიშნავს. მის ქვეშ არ იგულისხმებოდა არც ფიცარა, არც ჯარგვალა სათავსები. „ქუფე, შვილო, ყოველმხრივ შემოღობილია თხმელის თუ იელის წკნელით. ერთ მხარეზე კარს გამო-

[1] И. Кипшидзе, Грамматика..., стр. 192-342.

[2] ი. ყიფშიძე, დასახელებული შრომა, გვ. 290-295.

ვუჭრიდით და ჩერტის პატარა კარს ჩამოვკიდებდით. შიგ ჩხირებს გავუყრიდით და მაღალ ბოძებზე დავდგამდით“ – გვიამბობდა 80 წლის მოხუცი ა. წულაია. ეს სახელწოდება მასიური არაა. მასიურად ოკარიეს ქუფეს არც უწოდებენ. ქუფე უფრო სამმხრივ აღობილი მოძრავი ინვენტარია, რომელიც ბატების, თიკნების, ხბოების დროებით დასამწყვდევად იხმარება ხოლმე, როცა სურთ მისი გამოცალკევება, ან გადაყვანა სხვა ადგილას. იგი ურემზედაც იდგმევა, წვრილფეხობის გადასაყვანად ბაზარში, ან სხვა ადგილას და ა. შ. მათ გვერდით ეწყობა **ობატეც**. იგი დაბალი, იატაკიანი ნაგებობაა, ხშირად ოცეს, მარაკას, ან სათხაოს ქვემოთ. ასეთი ნაგებობის ზემოთ არის მეორე, ღობით შემოღობილი და ისლით გადახურული ფართო სათავსი, რომელსაც მიდგმული აქვს გვერდით თაღიანი კიბე, რომლის მეშვეობით თხები ადიან მარაკაში, ან ოცეში.

შეძლებულ ოჯახს, რომელსაც რამდენიმე ცხენიც ჰყავდა, ქართაში ცალკე ჰქონდა გამოყოფილი **ოცხენეც** (თავლა). ქართადან ჩერტი კარით სამზადისაკენ მიყვება ბილიკი ოგინესკენ. **ოგინე** სახბორე პატარა სათავსოა, რომელიც სამზადის უკანა ლაფაროში არის მიშენებული. მომთაბარულ პირობებში ოგინე, იქვე, აგვარაში, ვიწროდ გამოღობილი საგინე ქართაა, ან მათებურად აგვარაა. ხოლო წვიმის შემთხვევაში აქვე გადახურულიც არის მოწყობილი. სამზადის მახლობლად, მოფარებულ ადგილას არის **კურძუკარეც** – საძაღლე, ან ძაღლის კარავი.

სამეურნეო ეზოში, მეორე მხარეზე, მარნის გვერდით, არის **ბაღუ** (ბეღელი), ან ხულა. ორივე ძველი ქართული სახელწოდებაა. აქედან ბეღელი, ან ბაღუ დღეს ქართულში ხშირსახმარი ტერმინია. საბა ორბელიანი მას ასე განმარტავს: „ბეღელი ფქვილისა და ხვარბლის დასამარხავი, უმცროს ეწოდება ხალამბარი და მის უმცროს ჯიროლა“[1]. ხულა სამეგრელოში იხმარება[2]. იგი ერთთვლიანი, ხის ლამაზი ნაგებობაა. მას მაღალ ციცზე (სვეტზე) შეყენებული ორფრთიანი სახურავი აქვს. სახურავის ღია მხარეები მიქცეული აქვს წინ და უკან. სახურავის ფრთები დაყრდნობილია ბოძებზე, რითაც ვიწრო, ერთი მ-ის სიგანის იატაკიანი აივანი იქმნება. ნაგებობა დგას 50 სმ სიმაღლის ბოძებზე, თუ ბოკონებზე. ნაგებობის ტანი მოკლე ფიცრების ყურებჩაფსკვნილ („ქილუქსკვირი“) ნაგებობაა. წინ პატარა, დაახლოებით 20X80 სმ-ის სიგანის კარი აქვს დატანებული ერთი მ სიმალეზე. საერთოდ, ნაგებობის სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 2,5 მ-ს უდრის, სიგანე 12 $მ^2$-ს არ აღემატება. აქვს

[1] ს. ორბელიანი, სიტყვათა კონა, თბ., 1949, გვ. 55.

[2] И. Кипшидзе, Грамматика..., стр. 107.

მჭიდროდ შეკრული ჭერი და იატაკი, უსარკმლოა. შიგ აქვს თაროები, მოწყობილი განჯინები და სხვა საცავები. **ფიცარა ბაღუ**, ან ხულა უფრო გვიანი ნაგებობაა. ადრე ჯარგვალა ხულებს აგებდნენ, ჯარგვალა ხულა უაივნოა, ჭერითა და იატაკით. დღესაც შეგვხვდება ხოლმე ასეთი ნაგებობა ჩვენი მხარის მთიან ადგილებში. ხულა ან ბაღუ იყო ზამთრისთვის გადანახული ჭირნახულის საცავი, ოჯახის მიერ სუფთად შესანახი პროდუქტის საცავი. აქ ინახებოდა ღომის მარცვალი, ფქვილი, ყველის დერგები, ხილი, კაკალი, კვერცხი და ა. შ. „ვისაც ბეღელი სავსე ჰქონდა, მას არაფრის შიში არ ჰქონდაო“ – არის ნათქვამი ხალხურ ანდაზაში[1]. ბეღელი ოჯახისათვის ყველაზე საჭირო პროდუქტთა ერთგვარი მცირე საწყობი იყო. „ვისი ბეღელი (ხულა) უსუფთაოა, ნივთები მიყრილ-მოყრილია, მისას საჭმელი არ იჭმევაო“[2] – გვარწმუნებენ გადმოცემები. მას თვალისჩინივით უვლიდნენ, ასუფთავებდნენ. ყველაფერი რიგზე იყო დაწყობილი, ყველაფერს თავისი კუთხე და ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ბეღელი ძირითადად დიასახლისის განკარგულებაში იყო. მას ებარა მისი გასაღები, მან იცოდა შიგ არსებულ პროდუქტისა და ნივთთა რაოდენობა, ყოველდღიური ხარჯის ოდენობა. „კარგ დიასახლისს კარგი ბეღელი აქვსო“,[3] – ამბობს ხალხური ანდაზა.

სამეურნეო ეზოს ერთ-ერთი განაპირა ნაგებობა იყო „მაღაზა“, ან „ოსიმინდე“, ე. ი. სასიმინდე. „მაღაზა“ უცხო წარმოშობის უნდა იყოს, მაღაზიის მსგავსად. მაღაზა ან სასიმინდე ოთხ ბოძზე შედგმული ნაგებობაა. მას ჯარგვალა მორებით, ღობურით, ან კიდევ ხელით დათლილი, გრძელი ფიცრებით აგებდნენ. ღობური შედარებით პატარა იყო და უფრო მეტად მრგვალად იყო მოღობილი. ჯარგვალა და ფიცრებით ნაგები სასიმინდე უფრო დიდი იყო. მათ ასაგებად გამოყენებულ ჯარგვალს თუ ფიცარს ყურები ჰქონდა ჩაფსკვნილი. ბოძების სიმაღლე 2,5 მ-ს აღემატებოდა, ტენი რომ არ მიჰკარებოდა სიმინდს. ნაგებობის კედლის სიმაღლე 120 სმ-ზე მეტი არ იყო. კედლებში დატანებული იყო ხვრელები, ჰაერის სამოძრაოდ. გადახურული იყო ორფრთიანი სახურავით, ხშირად ისლით ან ყავრით. ნაგებობა უჭერო იყო. თავისუფალი უსასახურავო გვერდები აკრული იყო მთლიანი ფიცრებით და წინა კედელში დატანებული იყო 80X80 სმ სიგანის კარი. იატაკად გამოყენებული იყო ან ხელით დათლილი ხის ლარტყები („ჭერები“), ან კიდევ, ხშირად, ღობური. ასეთ ნაგებობაში ჰაერი მოძრაობდა და სიმინდი ადვილად და სწრაფად შრებოდა, ზემოდან არ აწვიმდა, ქვემოდან ტენი არ აღწევდა და ასე და-

[1] გმმ-ს ფოლკლორულ მასალათა კრებული, 1964.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ცული, კარგადაც ინახებოდა ხოლმე. ადგილთა სახელწოდებად დაცულია „ნამაღაზუ“ ე. ი. ის ადგილები, სადაც ოდესღაც მაღაზები იდგა. უფრო მეტად მსგავს სახელწოდებებს ვხვდებით მთაში. მაღაზის გვერდით იდგა მეორე, მსგავსი დანიშნულების ნაგებობა **ფარონი**. იგი ღომის თავთავების შესანახი და გასახმობი ნაგებობაა. მას ჩელტებისგან აკეთებენ, ოთხ ბოძზეა შეყენებული, ორფრთიანი სახურავით, სამმხრივ ჩელტით ამოღობილი. იატაკადაც ჩელტი აქვს. ბოძები 2 მ-ზეა შეყენებული. ასეთი ნაგებობა დღეს უკვე არაა ხმარებაში. რადგან „ღომი“, ან „ჩხვერი“ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ასორტიმენტიდან თითქმის სავსებით ამოირიცხა.

სახლობის, მახორობის ანალოგიურ ნაგებობათა აღწერილობა აქვს ა. ლამბერტს: „პირველად წარმოგიდგებათ ყველაზე დიდი შენობა, რომელსაც მეგრულა ოხორი (ცჰორი) ქვიან და რომელიც სტუმრების მისაღებად არის დანიშნული...

ოხორის იქით სხვა შენობები დგას: ერთ სახლში ცხოვრობენ და იძინებენ. ეს სახლი, ერთი ოთახისაგან შესდგება და ცალ-ცალკე განყოფილება მას არა აქვს. მეორე შენობა მარანია, მესამე ტანისამოსის შესანახი შენობაადა მეოთხე სურსათის საწყობი, ტანისამოსის შესანახი შენობა უფრო მაგრად აშენებულია, მაღალია და წარმოადგენს ხის კოშკს. ასე მაღალს აშენებენ ამ შენობას იმისათვის, რომ ტანისამოსი დაიფარონ სინოტივისა და ქურდებისაგან“[1].

სამეურნეო ეზოს ერთ თავისუფალ კუთხეში იყო „**ოჩხვარეში**“ ადგილი. აქ გადახურული ფარდულის ქვეშ იდგა „**ჩამური**“ – ამოღრუებული კუნძი, ან ქვიჯასებრ ამოთლილი ქვის ლოდი. აქვე გადახურულის სახურავში იყო გაყრილი „**კაკუტები**“ – მოხრილთავიანი კეტები, რომლითაც ცეხვავდნენ ღომის თავთავს.

მარანთან და სამზადის მახლობლად, სუფთა, მოლიან ადგილას იყო „**ოხარხინე**“ ადგილი. ხშირად თუ ოჯახს დაბლარი ვაზი, ან „სავენახე“, „ობინეხე“ ჰქონდა მოწყობილი, სწორედ მის განაპირას, თავისუფალ ადგილას იყო „ოხარხინე“ – ადგილი, სადაც მოწყობილია „ხარხინი“ – ხრახნილიანი ჭაჭის საწური.

„ობინეხეში“ და ხილიან ბაღნართან მოწყობილი იყო საფუტკრე ადგილი „ოსკალე“. იგი თითქმის ყველა ოჯახს (შესაძლებლობის მიხედვით) მეტ-ნაკლები რაოდენობით ჰქონდა. შეძლებულ ოჯახს თავისი კარ-მიდამოს განაპირას, პატარა ღელეზე, წყლის წისქვილიც ჰქონდა მოწყობილი. ასეთი ინდივიდუალური, საოჯახო მნიშვნელობის წისქვილები მხარეში

[1] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 36.

მრავალ ადგილას არის მოწყობილი. არის დარჩენილი ადგილთა უამრავი სახელწოდებანი: „საწისქვილო“, „ოწისქვილე“ და სხვ.

სამეურნეო ეზოს იქით იყო დიდი ნაკვეთი, რომელსაც „**საცვანეს**“ ეძახიან, ე. ი. „საყანო“ ადგილი. ამ, შედარებით გოთე, ღია ადგილას თესდნენ ღომს, ჭადს, ხორბალს, უფრო მეტად სიმინდს. კარ-მიდამოს ეს ნაწილი ორ-სამ ორთვალზე, ან ქცევაზე მეტი იყო. ნაკვეთები ცალკეული სახის კულტურისთვის მიჩენილი იყო, ამ კულტურათა თავისებურების მიხედვით. ღომს ან ჩხვერს მშრალი, მზისგული, ფურცუ ადგილები უყვარს. მჭადს შედარებით რიყე ადგილებზე თესდნენ. სიმინდი ნიადაგის მიმართ ძალიან ჭირვეული არაა, თუ ნიადაგი მსუქანი, ნოყიერი იქნებოდა. ხორბალსაც თავისებური ნიადაგი უნდოდა. გლეხი საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული გამოცდილებითა და მოსაზრებით, საქმის ცოდნით ყოფდა თავის ნაკვეთებს, ამ მოთხოვნილების მიხედვით.

ტოპონიმიკურ მასალებში ხშირად გვხვდება სახელწოდება **ორტვინი**, **ორტვილი** ან **ორტვიი**. იგი კარ-მიდამოს, მახორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკვეთია, სადაც თესენ სუნელს, კაკირს, სანელებლებს, პირდაპირი მნიშვნელობით სურნელს, ფხალეულს, მტილეულს.[1] ასეთი მცენარეულობა ჩვენი მხარის მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული. ფხალეულს მოსახლეობის კვების რეჟიმში დიდი ადგილი ეკავა. მას კაზმავენ სხვადასხვაგვარი სურნელოვანი სანელებლებით, ნიგვზით და ტყემლით. ფხალეულის მოსაყვანი ადგილიც გლეხის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო ერთეული იყო. სამზადი სახლის მახლობლად, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, იყო შემოღობილი „**ორტვინი**“ – ბოსტანი. „საორტვინე“ ადგილი მზიანი, მშრალი და ნოყიერი უნდა ყოფილიყო. ამასთან, იგი სახლის მახლობლად იყო, რადგან ყოველი შემთხვევისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო მწვანილი დიასახლისისთვის, როგორც სუფრაზე მისატანად, ისე კერძების დასამზადებლად. ზოგან, განსაკუთრებით მთაში, საბოსტნეებია გაშენებული, სადაც ან დროებით ცხოვრობდა მესაქონლე, ან კიდევ საზაფხულო ბინა ჰქონდა ბარში მოსახლე გლეხს. აქ მოჰყავდათ თეთრი ფხალი, ჭარხალი, კიტრი, საზამთრო, ნესვი და სხვა ბაღჩეული თუ ბოსტნეული. ასეთი ბოსტანი საგვიანოა, საადრეო კი მას ბარში, სოფლებში ჰქონდა, რომელიც ადრე გაზაფხულიდან უზრუნველყოფდა ოჯახს აუცილებელი სანელებლით. საგვიანო ორტვინი უფრო საზამთრო მარაგს აძლევდა გლეხს. აქ მოწეუ-

[1] მტილი – ბოსტანი (სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით), შესაბამისად, მტილეული – მწვანილი, ბოსტნეულია.

ლი ფხალეული, მწნილად შენახული, შემოდგომასა და ზამთარში ყოფნიდა მის ოჯახს.

ორტვილი, ორტვინი, ან ორტვიი წმინდა ქართული ტერმინია, სადაც **ო**-თავსართი მიუთითებს ადგილის დანიშნულებისამებრ გამოყენებით მნიშვნელობას, ე. ი. **ო-ნტულე**, ან **ო-მტილე** ადგილი, ე. ი. ადგილი, სადაც ბოსტანი ეწყობა, ბოსტნეული, მწვანეული ითესება და ირგვება. ამ მოსაზრებას სავსებით ამტკიცებს ამ შინაარსის შემცველი ტერმინების არსებობა ჭანურში (ონტულე) და სვანურში (ლერტამ). ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „ბოსტან-ბაღის აღმნიშვნელი სახელი ქართველ ტომებს საერთო ჰქონიათ“[1].

ეზოს ერთ მხარეს, მზიან ადგილას, იყო „**ობინეხე**“ – დაბლარზე დაყვანილი ვაზის ნარგავები. „ობინეხეში“ ეწყობოდა ხშირად „საჯვარე“ – საოხვამურო ნაგებობა. „ობინეხე“ და „საჯვარე“ დღეს ხშირად გვხვდება ჩვენი მხარის ყველა ადგილას. თუ ოჯახს „ობინეხე“, ან დაბლარი ვაზის ნაკვეთი აღარ ჰქონდა, მას მაღლარზე მაინც ჰქონდა მიშვებული ვაზი. „ისეთი ოჯახი რა იყო, რომელიც 100 კოკა იზაბელას თუ შონურის ღვინოს არ დააყენებდაო“, – გვარწმუნებენ ა. წულაია, ნ. ნაჭყეპია და სხვა მოხუცები.

კარ-მიდამოს ან მახორობის ერთ-ერთი განუყოფელი და ყველაზე თვალსაჩინო ელემენტი იყო ხეხილნარი, ხილნარი, ან როგორც ამ ადგილებს უწოდებენ აქ – „**ხიამი**“[2] (ჩვენ აქ უნდა შევნიშნოთ: მახორობაში გაერთიანებული ეს ელემენტები „საცვანე“, „ობინეხე“, „ორტვინი“, „ხიამი“ და სხვ., მხოლოდ პირველი და ყოველდღიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყო განკუთვნილი. კარ-მიდამოში მხოლოდ წვრილი ნაკვეთებია, ხოლო უფრო დიდი და სრულყოფილი ნაკვეთები მას ეზოს და კარ-მიდამოს გარეთ ჰქონდა მოწყობილი). ასე იხსენიებენ ამ ადგილთა სახელწოდებებს პირობის ეპისტოლეებსა და სიგელებშიც კი. მაგალითად, 1885 წელს შედგენილ პირობის წიგნში ინჩხურში მცხოვრებლები (სოფელია გეგეჭკორის რაიონში) – დათა, იესე, გახუ, მიქე და ბეხუ ბოშიკას ძე წოწორიები, მათი ბიძაშვილი გიო მარტიელას ძე და ქაქუჩია იოსეს ძე წოწორიები იყოფენ ქაცარავას მიერ გაშენებულ „ხიამს“, ე. ი. ხეხილნარს. ასეთი სახელწოდებანი მრავალ ადგილას გვხვდება ჩვენს მხარეში. ეს ნაკვეთი ეზოს ნაწილი იყო. მინდვრის ერთი მხარე განსაკუთრებული რიგით დარგულ ხეხილს ეჭირა, ან კიდევ საცვანეს უკან **გოთეია** – გაშლილ ადგილას ჰქონდათ „ხიამი“. ანგაროსთან გარკვეულ

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II.

[2] გმმ-ის ხელნაწერ მასალათა ფონდი, ა. ჯგუფი №115.

ფართობზე ჰქონდათ **შიარი** და **ჭველობა** (მცირე ტყე). ზოგჯერ ასეთი ნაკვეთი კარ-მიდამოს გარეთ იყო. შიარი ან ჭველობა ადგილობრივი მნიშვნელობის ბუჩქნარი იყო. აქ იზრდებოდა თხმელის წკნელი და „ჭველები“ – ჭვეხები, ან ახალგაზრდა, სამი-ოთხწლიანი, სწორი კორომები, რომელსაც ოჯახი იყენებდა სახელდახელო საჭიროებისთვის. ჭველობის გვერდით, კარ-მიდამოში, ან კიდევ მის გარეთ, უკან, ჰქონდათ „**ოისირე**“ – საისლე ადგილიც. იყო „**ოკიფე**“ – საკანაფო და სასელო – „**ოსუე**“ ადგილებიც. კარ-მიდამოს კარ-მიდამოსაგან გამყოფ ზღვარს, რომელიც ზოგჯერ უბრალო მიწაყრილით ინიშნებოდა, ზოგჯერ კი ღობით იკვრებოდა, **ფაჲაგე** ეწოდებოდა, ხოლო მიწის გარკვეულ მიჯნაზე მიწაში ნახშირი იმარხებოდა და მაღალი ქვა ესობოდა. ამას **ხურგს** ეძახდნენ, ე. ი. მიჯნას.

მახორობის აქ წარმოდგენილი კომპლექსი შეძლებისამებრ ყველა ოჯახს მეტ-ნაკლები სახით ჰქონდა. როგორც ზემოთ აღვიშნეთ, ჩვეულებრივი ტიპის მახორობასთან ერთად გვხვდებოდა ისეთი კარ-მიდამოები, სადაც სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ელემენტებიც იყო წარმოდგენილი. სხვადასხვა ოჯახებში მისდევდნენ მჭედლობას, მეთუნეობას, მეკირეობას, ქვის მთლელობას, ვაჭრობას, მეპურეობას, მეაგურეობას, მესაქონლეობას, ხვნა-თესვას და ა. შ. თითოეულ მათგანს თავის კარ-მიდამოში ჰქონდა საქმიანობის მათი დარგისათვის დამახასიათებელი და საჭირო ელემენტებიც.

მჭედელს თავისი კარ-მიდამოს წინა ნაწილში, გზისპირას, მოწყობილი ჰქონდა **ოჭკადურეში** – სამჭედლო. **მეკოტუეს**, ანუ მექოთნეს, ან მეჭურჭლეს თავის კარ-მიდამოს მოხერხებულ ადგილზე ჰქონდა **ქურა** და **სახელოსნო**. პატარა ფარდულში ჰქონდა სახელოსნო დაზგით – „ბორბლით“ და თაროებით, ჭურჭლის დასაწყობ-გასაშრობად. იქვე, მახლობლად, ჰქონდა გამოსაწვავი ქურაც, რომელიც გადახურულია ოთხ ბოძზე შეყენებული, ორფრთიანი სახურავით. ხუროს, დურგალს თავის სახლში, ეზოს გარკვეულ ადგილას, ჰქონდა მაღალ ბოძებზე დაყენებული **ცერიშხორხი** – ცერის ხერხი. აქვე, ამ დაზგის გვერდით, არის ფარდული, სადაც დახურულ კარადაში ინახება ოსტატის იარაღი, ხოლო გრძელ დაზგაზე დაწყობილია ფიცრები დასამუშავებლად. ჩვენ მსგავსი ერთეულები აღვნიშნეთ კ. ინჯგიას კარ-მიდამოში. კიმო თვითონ ხურო, ან დურგალი იყო. ამიტომ მის კარ-მიდამოში, მისი პროფესიის შესაბამისი ერთეულებიც იყო ჩართული. ასეთივე სახელოსნო აქვს, ოღონდ გზისპირას, ავეჯის ოსტატსაც. მას აქვს დაზგა, ჭურჭლის ფეხებისა და სხვა ნაწილთა დასახარატებლად; აქვს მრავალნაირი დაზგა და თარო ავეჯის შესაკრავად, დასამუშავებლად, გასაშრობად და ა. შ. მეწაღეს

გზისპირას პატარა ფარდული – **კარავი** აქვს, სადაც მოწყობილი აქვს თავისი პრიმიტიული საწაღე. **მელინჯეს** – მესპილენძეს ასეთივე ადგილას აქვს მსგავსი კარავი, ქურით და სხვა ინვენტარით.

**მეკირეს** კარ-მიდამოს უკიდურეს, უკანა, მოხერხებულ ნაწილას აქვს **საკირე ქურა**. ასეთი ოსტატების კარ-მიდამო-სადგომებს დღესაც ხშირად **სააგუროს** და **საკირეს** ეძახიან.

მესაქონლეს თავის კარ-მიდამოში მესაქონლეობისთვის დამახასიათებელი ელემენტები აქვს უფრო წინ წამოწეული, მხვნელ-მთესველს კი სამიწათმოქმედო ელემენტები და მასთან დაკავშირებული ადგილები აქვს.

ფულადი-სასაქონლო მეურნეობის განვითარებამ ხელი შეუწყო გლეხი მოსახლეობის შემდგომ დიფერენციაციას (წარმოიშვა შეძლებულ გლეხთა, სოფლის ჩარჩ-ვაჭართა ფენა), მათი სააღებმიცემო საქმიანობისა და მისთვის დამახასიათებელი ელემენტების შექმნა-განვითარებას. ვაჭრები, ხშირ შემთხვევაში, საჭირო უბნებსაც კი ქმნიდნენ დიდი სოფლის ცენტრებში, გზაჯვარედინებზე, და აქ აწყობდნენ თავიანთ სავაჭრო დუქნებსა და საწყობებს. მას ბაზრებს უწოდებდნენ. შემდეგში ასეთ ადგილებში „იარმაკობაც“ იმართებოდა ხოლმე. მაგრამ ამ ფენის ყველა წარმომადგენელი როდი მიდიოდა სოფლიდან, როდი უერთდებოდა სავაჭრო უბანს, არამედ რჩებოდა თავის სოფელში, თავის კარ-მიდამოში და მის წინა ნაწილზე, გზისპირას აკეთებდა პატარა, ერთ, ან ორთვალა ნაგებობას, დარაბებით, დახლით, თაროებით, და ხსნიდა დუქანს, ეწეოდა ვაჭრობას შემოტანილი და შინ წარმოებული საქონლით. ასეთ ადგილებს **სტეფაში ნადუქანუს, გიოში ნადუქანუს**, ან მხოლოდ **ნადუქანუს** ეძახიან დღესაც, თუმცა აქ ვაჭრის მახორობაც და მისი დუქანიც დიდი ხანია, რაც არ არსებობს. ზოგან ვაჭრებს თავიანთ დუქანთან ფურნეებიც ჰქონდათ მოწყობილი, ზოგან კი – თონეები.

თუმცა ჩვენს მხარეში ხშირად ვხვდებით სამზად სახლთან, გადახურულში **თონესაც**, მაგრამ იგი გავრცელებულ ერთეულს არ წარმოადგენს კარ-მიდამოში. ალბათ სიმინდმა განდევნა ჩვენი მხარის ყოფა-ცხოვრებიდან პური და თონე. ასეთი ნადუქანუების წინ, გაშლილ მოედანზე, სოფლის ცენტრში, ხშირად იმართებოდა „ჯარობანა“[1]. ეს სამხიარულო თავყრილობა ტრადიციული, ხალხური გართობა იყო სოფლად. ასეთ „ჯარობებზე“ იმართებოდა სანახაობანი: „ჩაგუ“, „თაქ მუირე“, „ძარვალე“ და სხვ. აქ გამოდიოდნენ ახალი სიმღერებითა და ლექსებით მთქმელები, მელექსეები, სოფლის მომღერლები. ჯარობანა უძველესი ტრადიციაა;

[1] И. Кипшидзе, Грамматика..., стр. 411.

ჩვენს მხარეში მისთვის განსაკუთრებით ამზადებდნენ ცხენებს, იკერავდნენ კარგ ტანსაცმელს, აწყობდნენ ლარჭემებს, აკეთებდნენ დაირებს, მართავდნენ სახიობებს. ჯარობა დღეს და საღამოს მთელი სოფელი უბნებად გამოდიოდა. იმართებოდა ბურთაობა, დოღი, ჭიდაობა. ასეთი ჯარობის ადგილებს დღესაც „**ოჯარეშს**“, „**ოჭარკუმეშს**“ ეძახიან. განსაკუთრებით ტრადიციული ჯარობანა, ღამისთევა ცოდნიათ მარაშონობას, ფერისცვალებას და ელიობის დღესასწაულის წინა ღამეს. ამ ღამეს, ხალხის რწმენით, სოფლებს ჭინკები შეეფინებიან და თუ ადამიანს მძინარს მიუსწრებენ, თმებს შეაჭრიან, გულ-ღვიძლს ამოუღებენ. ეშმაკი, მზაკვარი ქალები, თავიანთ დიდ ბატონთან, ეშმაკების მაფასთან წაიღებენ ტაბაკონაზე[1]. ეს ეშმაკეული ქალები, ზურგზე საწნახელმოკიდებულნი, მგელზე შემჯდარნი, მიდიან იქ. ამიტომ ამ ღამეს არავის ეძინა. დიდი და პატარა მოედანზე იყო გამოფენილი და ცეკვა-თამაშითა და მხიარულებით ატარებდა მთელ ღამეს. ელიობის დღესასწაული და მასთან დაკავშირებული რიტუალი აღწერილი აქვს ი. ქობალიას: „ელიობა“ (წმინდა ილიას დღე), 21 ივლისი. ეს დღეობა ითვლება უწმინდურ სულთა დღედ და ატარებენ მას დიდი სიფრთხილით, რომ არ მოხდეს რაიმე უბედურება. მზის ჩასვლისას ყველა სახლში უკრავენ საყვირს, რომელიც დამზადებულია ხის ფესვებისაგან საგანგებოდ ამ დღისთვის, ისვრიან თოფებს და მთელ ღამეს არ იძინებენ. ახალგაზრდები იკრიბებიან მინდვრებში და დროს ატარებენ სიმღერითა და ცეკვით. ჯარობანაში ყოველი მხრიდან ისმის თოფის სროლის ხმა და სიმღერა გათენებამდე. მეგრელების რწმენით, უწმინდური, ბოროტი სულები: ჯადოქრები, გრძნეული კაცები და ქალები, კუდიანები ამ ღამეს ყველგან დაძრწიან სოფლებში, მგლის, კატის, ბუს და სხვა ცხოველებისა და ფრინველების სახით. ისინი ჩუმად იპარავენ მძინარე ადამიანთა გულებს, ფილტვებს, ღვიძლს და მიაქვთ ჯადოქარ „როკაპთან“, რომელიც, როგორც ყველაზე უფროსი, ბინადრობს „ტაბაკონას“ მთის მწვერვალზე (ეს მთა სენაკის მაზრის ჩრდილოეთითაა, ქუთაისის გუბერნიაში) და სჭამს მათ. ამ დღეს ოჯახის დიასახლისი ასრულებს „ელიასადმი“ (წმ. ილიასადმი) მსხვერპლის შეწირვის წესს, თხოვნით დაიხსნას „**ოლე**“ (ღომის საშრობი) უწმინდურისაგან, ხოლო ოჯახის თავკაცი სახლის წინ და ყანებში, თვალსაჩინო ადგილას, აყენებს ხის ჯვარს (ხსნის სიმბოლოს), ყველა ბოროტი სულის ანათემაზე გადაცემით“[2]. მეორე დღეს კი უკვე დღესასწაული და დიდი ლხინი იმართებოდა.

---

[1] И. Кипшидзе, Грамматика..., стр. 107-108.

[2] СМОМПК, XXXII, часть III, стр. 107-108.

მახორობებთან დაკავშირებული იყო განსაკუთრებული **ძირის ოხვამურები**, რაც აკავშირებდა, აერთიანებდა ნათესავთა რამდენიმე ოჯახს, ან დინოს, უკეთ რომ ვთქვათ, ერთი წინაპრისგან მომდინარე, სისხლით ნათესავთა რამდენიმე ოჯახს. „საოხვამურო“ დღეები და ადგილები ერთად ჰქონდათ. ასეთი ადგილები უფრო „საცვანეს“ ყველაზე გაშლილ ადგილას ჰქონდათ მოწყობილი. ეს ფუძის სალოცავი იყო. გვიან, ასეთ საოხვამუროსთან რამდენიმე ოჯახი იკრიბებოდა. ეს იმიტომ, რომ თავდაპირველად საოხვამურო ერთ დედოოჯახს ეკუთვნოდა. დრო გავიდა, დიდი ოჯახი დაიშალა, წარმოიქმნა **თური** და **დინო**, ე. ი. ერთი პაპისაგან, ერთი დიდი პაპისაგან, ერთი დედოოჯახისაგან მომდინარე რამდენიმე ოჯახი, რომელმაც ერთი დინო შეადგინა. „დინო – Нутро, район разселения однофамилцев или вообще близких соседей и знакомих“ – წერს პროფ. ი. ყიფშიძე – დინოხონი, დინო наш район“[1]. ამ განმარტებაში საცილობელია ის ნაწილი, რომელიც დინოს ნაცნობთა, ზოგად, ახლო მეზობელთა დასახლებად მიიჩნევს. დინო ასეთი ერთეული არაა, იგი ერთი დიდი ოჯახის განაყოფი, გვარის, ან თურის ცალკე შტოა. ასეთი გაყოფის დროს ფუძის საოხვამურო ერთ ადგილას, იმ დედოოჯახში დარჩა. ახლა მთელი დინოს კუთვნილებად ითვლება ეს საოხვამურო. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თური და დინო ერთმანეთს არ გამორიცხავს, მაგრამ ერთი და იგივეც არ არის. თურში შეიძლება რამდენიმე დინო იყოს და ერთ თურს შეიძლება ორი, ან სამი სალოცავი, საოხვამურო ჰქონდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ დედო გვარი შემდეგ რამდენიმე განშტოებად გაიშალა, რამდენიმე ახალი ოჯახი წარმოიშვა. ამ დიდმა, ან ფუძე ოჯახებმა ცალ-ცალკე შთამომავლობას ჩაუყარეს საფუძველი, თუმცა ერთი გვარისას, მაგრამ სხვადასხვა დინოსი, სხვადასხვა დიდპაპის წარმომავლობისა. ცალკე დინოს, ან გიოიტას, ქაქუჩელას და მახუტიას შთამომავლობა ყველა კორძახიებია, ერთი თურისანი არიან, მაგრამ სხვადასხვა დინოს შეადგენენ. სხვადასხვა დიდპაპისგან მომდინარეობენ. ერთ დინოს ერთგან აქვს საოხვამური, ე. ი. გიოიტას შთამომავლობას ერთგან აქვს ყველას, ქაქუჩელასი ერთგან, მახუტიას შთამომავლობასაც კიდევ ერთგან. ისინი ერთი თურისანი არიან, მაგრამ არა-ერთი დინოსი. მსგავსი მაგალითია დანელიების გვარი ან თური. დანელიები დინოებად იყოფიან. არის რამდენიმე დინო, მათ შორის **კოჩობასქუაეფი** – კოჩობას შვილები, ე. ი. ის შტო, რომელიც კოჩობასაგან მომდინარეობს; **ბაკოსქუალეფი** – ბაკოს შვილები. ჯორიეშვილები და სხვ. ასეა ჯანაშიებშიაც. ჯანაშიები ერთი თურისანი, ერთი გვარისანი

[1] Грамматика..., стр. 227.

არიან, მაგრამ ექვს დინოდ იყოფიან. მთელ საქართველოში მოსახლე ჯანაშიები მხოლოდ ამ ექვსი ტოტიდან არიან წარმოშობილნი და ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნიან. ეს დინოებია: **მექიაჩე** (ქიაჩის ხატის მიმდგომნი ყოფილან). მათი ძირის ხატი ქიაჩია. ამ დინოს წევრები სამღვდელო წოდებას შეადგენდნენ და ქიაჩის ხატს იცავდნენ, მას ემსახურებოდნენ. ამასთან, ქიაჩის ხატი მთელი ჯანაშიების თურის საერთო სალოცავია, მექიაჩე ჯანაშიები კი ქიაჩის მსახურები არიან.

**მამაშია** – მიწათმოქმედი და ნაყმევი ჯანაშიებია, რომლებიც მამაშის მემკვიდრეებად თვლიან თავიანთ თავს. **გულასქუალეფი** გულას შთამომავალნი არიან. **ჯვარმამა** თამაკონელი ჯანაშიები არიან. ისინი გვიან დადიანთა ყმები გახდნენ, მაგრამ ხშირად ჯანყდებოდნენ და ცდილობდნენ ბატონყმური მდგომარეობის შემსუბუქებას. ისინი ჯვარის მფლობლად, მის მტვირთველებად ითვლებიან. **ჭუკიასქუალეფი** ჭუკიას შთამომავალნი არიან, **ნანელასქუალეფი** ნანელას მემკვიდრეები. ასეთი თურის წევრებს შორის შეუღლებაც კი არ ითვლება ცოდვად. ისინი ახლობელნი, სისხლით ნათესავნი არ არიან. არის შემთხვევა, როცა ჯანაშიას ჯანაშია მიჰყვება, დანელიას – დანელია, თუმცა ძალიან მოსაწონად როდი თვლიან ასეთ საქციელს, მაგრამ საუარყოფოსაც არაფერს ხედავენ ამაში. რომ მოსაწონად არ თვლიან, თავისთავად ცხადია, თურის თავდაპირველ, სისხლით ნათესაობას გულისხმობენ. ჩემი გვარის, ჩემი თურის ქალი ჩემი დაა, ჩემი დედ-მამის შვილი, ან ბიძაშვილი არაა, მაგრამ ჩვენი გვარისაა, ჩემი თურისაა“ – ასე ამბობენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში.

მას ეს ერთიანი შორეული სისხლის ნათესაობა რომ აკავშირებს, ამას ადასტურებს ძირის ხატის – **ჯინჯიში ხატის** არსებობა. ჯინჯიში ხატი მთელი გვარის ერთიანი სალოცავია. მაგალითად, კორძახიებს ერთი ძირის ხატი აქვთ. აქ, შორეული აფხაზეთიდან გადასახლებული კორძახიებიც ჩამოდიან ხოლმე და აქ ლოცულობენ ძირის ხატზე. **ჯინჯიში პატონი** შორეული და საერთოა. ჯინჯიში პატონის საოხვამურო ადგილები მრავალ ადგილას ეკლესიებთანაა. ესენი ძველი ნაოხვამურებია. ასეთი ნაოხვამურები უფრო მეტად მთებში გვხვდება. იგი ცნობილია „ნერჩი პატენის“ სახელწოდებით, ე. ი. ფუძის ბატონისა (ფუძის ღვთაებისა). მისი საოხვამურო სალოცავი დღე ოთხშაბათია. ამიტომ ამ ლოცვას „**ოჯუმაშხურს**“ უწოდებენ კიდეც (**ჯუმაშხა** – ოთხშაბათი).

„ოჯუმაშხური“, ან „ნერჩი პატინი“ აღწერილი აქვს ი. ქობალიას. სიტყვა „ნერჩი“ გაუგებარია. საცხოვრებელ სახლში ამ სიტყვით აღინიშნება საფუძველი, ან ის ნაწილი მიწისა, რომელზეც სახლი დგას. თუ სახლი მაღლა დგას, ე. ი. თუ აქვს იატაკი ხისა, მაშინ აქ „ოჯუმაშხუ-

რი“ არ შესრულდებოდა. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ „ნერჩი“ მიწის ღვთაებაა“[1]. ამასვე ადასტურებს ი. ყიფშიძე.[2] ეს საოხვამურო დამოწმებული აქვს ს. მაკალათიასაც.[3]

ფუძე, ნერჩი, ე. ი. მიწა, რომელზეც დგას სახლი, რომელზეც დაფუძნებულია ოჯახი, მეგრელის თვალში რომ ღვთაებრივს წარმოადგენდა, დასტურდება იმითაც, რომ ნერჩს, ან ფუძეში დიხას, ფუძის მიწას, სახლის გადატანისას, ან ახალ ადგილზე საცხოვრებლად გადასვლისას, დიდი პატივით იღებდა და თან გადაიტანდა ხოლმე და ახალ ფუძეზე, კერიის ადგილას, ჩაფლავდა. 78 წლის მოხუცი ს. კორძახია მოგვითხრობს, რომ: „ფუძეში დიხა, ნერჩი, სქუა, ოჯახიში სიკეთერე, თის გეუდგუ ოჯახიში ბედი დო უბედურობა. ჯგირი ფუძე ჯგირი ბედის წენს ოჯახის. გლახა ფუძე ეთმე ჭყვიდუნს. ფუძე უგნუთირუ დო უმუტებურე. მარა ოჯახის შხვადო გინაარქ ქაცუდა, მუში ნერჩი მეუღუ მუწკუმა. ხვამათ იშმანთხორუნს კებურიშ ადგირს, გეთმედვანს ნისორს, ნეშოთ დოფორუნს და ხვამათ გინიიღანს ახაი ადგიიშა. ცუდეში გედგუმაში ოწოხოე თხორუნს კებურიში ადგირს, დო თაქ ქე გედვანს ფუძეში დიხას, იხვამანს, ზედაშეს მააბუნს დო თხუენს ნერჩის მუში ტიბინს“[4] (ფუძის მიწა, შვილო, ნერჩი, ოჯახის სიკეთეა... მას უდგას ოჯახის ბედი და უბედურება. კარგი ფუძე ბედს სწევს ოჯახს. გლახა ფუძე კი ამოწყვეტს. ფუძე გადაუცვლელი და მიუტოვებელია. თუ ოჯახს ადგილი გადასაცვლელი შეექნა, თავისი ნერჩი მიაქვს თან. ლოცვით ამოთხრის კერიის ადგილს, სახლის დადგმის წინ კერიის ადგილს თხრის. აქ ფუძის მიწას დებს, ლოცულობს, ზედაშეს მოასხამს და სთხოვს ნერჩს, მადლი მოიღოს (მთხრობელები – დონა გეგია, ურუან ადამია, დ. ჯანჯღავა).

სამეგრელოში „**ფუძეში გითოხვამუაც**“ იცოდნენ. თუ ხშირი უბედურება და ჭირი დაატყდებოდა თავს, ან ავადმყოფობა შეაწუხებდა, სახლის პატრონი იტყოდა – „ფუძე გამინაწყენდაო“, და განსაკუთრებული სალოცავით ფუძის გამოლოცვას აწყობდა. ესეც ფუძესთან სრულდებოდა. აცხობდნენ ლობიოიან კვერებს, წმინდა სანთელს ჩამოქნიდნენ, გობზე, სადაც კვერები ეწყო, გარს შემოაწებებდნენ სანთლებს და აანთებდნენ. შემდეგ გობს მლოცველი მარჯვნივ ატრიალებდა და ლოცულობდა: „ნერჩი პატონი, სქანი მარდი დო ტიბინი დუურთინე ჩქიმი უბედური ოჯახის, სქან სახელი ხვამიი დო დიდებული“. მიწაზე ჩაჩოქილი პირჯვარს ისახავდა, კერიის ირგვლივ ზედაშეს ასხურებდა. ან

---

[1] СМОМПК, XXXII, часть III, стр. 97.

[2] Грамматика..., стр. 283.

[3] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 313.

[4] სამეცნიერო ექსპედიციის ჩანაწერები გმმ სამეცნიერო ფონდი, „ე“ ჯგუფი, №115.

კიდევ, თუ საკმაოდ არ მიაჩნდათ ოჯახის წევრთა მიერ შესრულებული ლოცვა, ფუძის მიწის ნაწილს იღებდნენ, მიჰქონდათ სოფლის ყველაზე აღიარებულ კაცთან თუ ქალთან, მლოცველთან, ან გვარის მახვამურთან, გვარის მლოცველთან, თავკაცთან და იგი ასრულებდა ამ ლოცვას. გამოლოცვილი მიწა ისევ უბრუნდებოდა ფუძეს.

ფუძის, მიწის ღვთაების ამ სალოცავზე ფართოდ ჩერდება აკად. ივ. ჯავახიშვილი. „მეგრელებსაც სწამთ ფუძის მფარველი ღვთაება, „ფუძის ბატონი“. მეგრულად ამას „ნერჩი პატენი“ ჰქვია... „ნერჩი“ ნიშნავს ფუძეს, იმ ნიადაგს და მიწას, რომელზეც სახლი სდგას. მაშასადამე, „ნერი პატენი“ ფუძის ბატონს უდრის. ამასთანავე, უმთავრესი გარემოება მიწაა და არა საზოგადოდ ადგილი... სიტყვა „ნერჩი“ ქართულშიაც ყოფილა და მისი მნიშვნელობა საბა ორბელიანსაც სცოდნია და „ქუედა კერძო“-დ აქვს განმარტებული[1].

ეს სალოცავი, მიწის, ან ფუძის სალოცავი, ქართულ ტომებში გავრცელებული და ერთგვარად მტკიცედ დაკანონებულად ჩანს. ფშაველები მას „ადგილის დედას“ ეძახიან. აფხაზები „ადგილ ანხუს“ უწოდებენ. სვანები ადგილის ბატონს ლამზირის სალოცავით ემსახურებიან. იგი მიწის სალოცავს ნიშნავს. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ლამზირ ანუ მიწის სალოცავი ნაყოფიერებისა და ბედნიერების ღვთაებაა.[2] ფუძის ღვთაებისადმი პატივისცემა უნდა იყოს მიწის გაჯერების რიტუალი, რომელიც პროფ. გ. ჩიტაიას ასკანაში აქვს ჩაწერილი; „ეს წესი მდგომარეობს შემდეგში: მშობიარობის შემდგომ, ხოლო ჩვეულების მიხედვით, მშობიარობა უნდა მომხდარიყო მიწაზე, სადაც ჩალა იყო დაგებული, იმ ადგილზე, სადაც ქალი მშობიარობდა, იმის მახლობლად ოჯახის უფროსი მამაკაცი გათხრიდა პატარა ორმოს, შიგ ჩასდებდა გოჭის ძვლებს, შემდეგ ჩადებდა აგრეთვე ყველისაგან გაკეთებულ ბურთს, ღვინოს დაასხამდა ყველაფერს, რაც ორმოში ჩადო და იტყოდა შემდეგ მაგიურ სიტყვებს: „მიწავ გამიჯერებიხარ, კარგი ფერი და ხორცი მიეცი ბაღანასო“... „მიწის გაჯერება“ მიუთითებს იმ ეპოქაზე, იმ ხანასა და დროზე, როდესაც მიწა წარმოდგენილი იყო ნაყოფის მომცემად არა მარტო პურის მცენარის, არამედ ადამიანისთვისაც“[3].

წარმართული ღვთაებები ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ ქრისტიანულმა ხატებმა და წმინდანებმა შეცვალეს და იმ ადგილას, სადაც წინათ თავიანთ ძირის ბატონზე – კერპზე ლოცულობდნენ, შემდეგ ქრისტიანული ხატები დაასვენეს და მასზე განაგრძეს ლოცვა. თუმ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბ., 1960, გვ. 30.
[2] იქვე, გვ.91
[3] გ. ჩიტაია, ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში.

ცა, ზოგიერთი რიტუალი მაინც შეინარჩუნეს, ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნების საფუძველზე გადაკეთებული.

## დასკვნა

ზემოთ მოტანილი მასალის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევი რაიონი ძველთაგანვე ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული, ეკონომიკურად და კულტურულად საკმაო დაწინაურებული იყო სამეგრელოში.

1. აღმოსავლეთ სამეგრელოს ბუნებრივი პირობები და მისი რელიეფი მრავალფეროვანია. იგი იწყება რიონისპირეთის გაშლილი ველიანით, 100 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, და ვრცელდება ეგრისის მთაგრეხილის სამხრეთის კალთებამდე, ასხის მთებამდე, რომელიც 2800 მ-ზე მდებარეობს ზღვის დონიდან. მისი სამხრეთის ზონა ბარია. იგი მდინარე რიონის, ტეხურის, აბაშის, ნოღელას და ცხენისწყლის ნაყოფიერ ჭალებშია გაშლილი. შუა ზონა უნაგირას მთაზე გადადის და ნოქალაქევ-აბედათ-ნახუნაო-მარტვილის ბორცვიან ზეგანზე ვრცელდება, ზედა ზონა კი ეგრისის მთაგრეხილის სამხრეთი კალთების ფერდობებს და მთიანეთს მიჰყვება.

ბარი ნაყოფიერი ჭალებით, გაშლილი ველიანით, ისტორიულად მიწათმოქმედების და მესაქონლეობის დაწინაურებული უბანია. აქ ეწერის, ტურაკელის, ონტოფოს, სამიქაო-მაიდნის, წყლებით უხვი, ქვიშნარი, შავმიწა მასივები ოდითგანვე შხარის პურის ბეღლად იყო მიჩნეული. სირიაჩქონი და ანჯერი კი სამეგრელოსა და გურიის მესაქონლეთა დღემდე მოქმედი საზამთრო იალაღებია.

ზეგანზე მევენახეობა, მეხილეობა და მეფუტკრეობა იყო წარმოდგენილი. აქ აბედათი-ნახუნაოს წაკორტები (წალკოტები), თამაკონი-სალხინო-მარტვილი-ინჩხურის მთელი უბანი ოჯალეშის, ჩეშის და ხარდანის, ადესის და კაჭიჭის მაღლარითაა ცნობილი.

ხოლო მთიანი მხარე, მხარის ზედა ზონა, შერეული და წიწვიანი ტყით, მერქნით მდიდარი, საზაფხულო იალაღებით და მრავალფეროვანი წიაღისეული სიმდიდრით, აგარაკებით და მინერალური წყლებით გამოირჩევა. ალპურ მასივებზე შესანიშნავი საზაფხულო იალაღებია (ასხი, დვირა, დგომი, ტეხირგოლა და ა. შ.). ეს პირობები ძველთაგანვე უწყობდა ხელს მიწათმოქმედების და მეცხოველეობის განვითარებას.

2. მხარის მოსახლეობის მეურნეობის ძირითადი დარგი იყო მიწათმოქმედება, კერძოდ მემინდვრეობა. აქაური მიწათმოქმედი ფლობდა მდიდარ ემპირიულ ცოდნას, შრომით ჩვევებს, საწარმოო გამოცდილე-

ბას. ამ ცოდნის საფუძველზე ჰქმნიდა იგი თავისი დროისთვის შესაფერ აგროტექნიკას, მიწათმოქმედების რაციონალურ და ირაციონალურ საშუალებებს.

მიწათმოქმედი დასამუშავებელ ნიადაგს ყოფდა სახეების მიხედვით (უჩადიხა, ჭითადიხა, ჭუბურდიხა და ა. შ.), დამუშავების სირთულის მიხედვით (ფაქარი, გაჯარი, დიხა მანგარი და ა. შ.). თითოეულ მათგანს ახარისხებდა ნაყოფიერების მიხედვით. ზოგი გამოწოვილი, უმოსავლო იყო, ზოგი – გადაღლილი, ზოგი კიდევ – სავსე და ყოველმხრივ ნაყოფიერი (ეფშადიხა).

შრომის იარაღები შეესაბამებოდა მიწათმოქმედების ძველ ხალხურ სისტემას. ბარში მთავარი სამუშაო იარაღი იყო სახვნელი, მთაში – თოხი. ამის მიხედვით იყო დაყოფილი მიწებიც: **ობერგული** – თოხით დასამუშავებელი ადგილები და **ოხონალი** – სახვნელით დასამუშავებელი ადგილები. ამიტომ მრავალი სახის თოხის თანაარსებობა აქაურ სამეურნეო ყოფაში (ქვის ბარ-თოხიდან მოყოლებული, დამთავრებული თანამედროვე მრავალფეროვანი თოხებით) მოწმობს შრომის ამ იარაღის თვითმყოფად ხასიათსა და მის უშუალო კავშირზე ბრინჯაოს კოლხურ თოხებთან. სახვნელი იარაღით ნიადაგის დამუშავება, როგორც აღინიშნა, უფრო ბარში იყო გავრცელებული და გუთნურ მიწათმოქმედებაზე იყო დამყარებული. აქ დამოწმებულია სახვნელი იარაღების მრავალფეროვანი სახეები, დაწყებული „**ჯაში ოხონალიდან**“, დამთავრებული **სუმქურათი**. მიწათმოქმედების დიდ ტრადიციაზე მიუთითებს, როგორც ნიადაგის განოყიერების და მორწყვის ხალხური წესები (მოტკილუა, მოქვიშუა, „ნაზვინა“, წყლის მიშვება, თხორიი, ღარი და ა. შ.), ისე, მარცვლეულ კულტურათა მრავალფეროვნება. ღომი, პური, ქერი, ჭადაჭადა, ცერცვი, ლობიო, ფეტვი, ბრინჯი და სხვ., მხარეში შორეული წარსულიდან ცნობილი კულტურებია.

3. ოქტომბრის რევოლუციამდე მხარის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა მრავალდარგოვანი იყო. მიწათმოქმედების ერთ-ერთი მთავარი დარგი იყო მევენახეობა. დღემდე შემორჩენილი ვაზის უძველესი და უნიკალური ჯიშები ადასტურებს აქ მევენახეობის სიძველეს. აქაური მევენახე ვაზის 100-ზე მეტ სხვადასხვა ჯიშს იცნობდა, მათ შორის ფართოდ იყო გავრცელებული მაღლარი ვენახები (დობერა, მამული, ნაშენი), ვაზნარი და ხილნარი (წალკოტი, სამოთხე) და ა.შ.

მევენახეობის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს ამ დარგისთვის საჭირო შრომის იარაღების და ინვენტართა მრავალსახეობა (სარსხეი, ხარდანი, გიდეი, ჲაგვანი, ოჭინახუ, ხარხინი, ხირკე, ბუიში და სხვ.), მარნის ტიპები. აქაური მევენახე თვითონვე ამზადებდა ამ

შრომის იარაღებსა და ხელსაწყოებს, არა მარტო თავისი სამეურნეო მოთხოვნილებისთვის, არამედ იგი „ᲐᲐგვანის“, „ოჭინახუს“, „ხარხინის“ და სხვათა, მეზობელი რაიონებისთვის მიმწოდებელიც იყო.

მხარის მშრომელი მოსახლეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი იყო მესაქონლეობა. ბარის საზამთრო და ალპური საზაფხულო ნოყიერი საძოვრების სიმრავლე, მათი გამოყენების რაციონალური წესები, ხალხური სელექცია (კვარაცხელიების მიერ გამოყვანილი წითელი ჯიშის საქონელი, ცაავების მიერ გამოყვანილი მეგრული თხის ჯიშები), საქონლის ბინები (კაიᲐნდიაში კარე, ქობალიაში კარე და სხვ.) მეტყველებს მესაქონლეობის დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობაზე მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში და მის დაწინაურებაზე. მხარის მესაქონლეებს (კვარაცხელიები, ნაჭყეპიები, ცაავები და სხვ.) იალაღებზე მოწყობილი ჰქონდათ დროებითი, ან მუდმივი ბინები (კარე, აგვარა), საქონლის საწყურებლები (აზმახები); შემუშავებული ჰქონდათ საქონლის წველის, ყველის ამოღების, სულუგუნის დამზადების თავისებური ტექნოლოგიური წესები, ითვლებოდნენ მეგრული სულუგუნის ოსტატებად. მთის სულუგუნი ფართოდ იყო ცნობილი მეზობელ რაიონებშიც და მთელ საქართველოშიც.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მხარის სამეურნეო ყოფაში მეფუტკრეობას. აქ გავრცელებული იყო მეტად ძვირფასი კოლხური ფუტკარი, რომელსაც თავისი მაღალი ღირსებებით შორს აქვს სახელი მოხვეჭილი. თაფლს იყენებდნენ, როგორც საკვებად, ისე სამკურნალო მიზნით. მისგან მაღალხარისხოვან არაყსაც ხდიდნენ. ოქტომბრის რევოლუციამდე გლეხს ფუტკარი არა მარტო კარ-მიდამოში ჰყავდა, არამედ კარ-მიდამოს გარეთაც, „ოსკალეზე“, სადაც ფუტკრის ასი და მეტი ოჯახი იყო დაბინავებული. სოფლებში იყვნენ ბუკის (სკის) ოსტატებიც. მათ მებუკეებს ეძახდნენ, ხოლო მთასა და მთის შეფენაზე განსაკუთრებული მასივები ფუტკრის საზაფხულო ბინად ითვლებოდა.

4. მხარის სამიწათმოქმედო კულტურაში ძველთაგანვე ფართოდ იყო ცნობილი ტექნიკური მცენარეები: **სელი** (სუ) და **კანაფი** (კიფი). ეს კულტურები თითქმის მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე იყო გაშენებული. სელისა და კანაფის ბოჭკოსაგან ქსოვდნენ ტილოს (ჯვალო, „სუში ტიო“), ბადეს, გრეხდნენ ბაწარს, ამზადებდნენ ქუდებს, ხვანჯრებს და სხვ. შემონახულია ნაკანაფარი და ნასელავი სოფლების ადგილების სახელები. **ნაესუ** და **ესუე** სელის მოყვანის ტრადიციული სოფლებია. აქ **სულავები** (სუᲐა) და **სუᲐაბერიები** აშენებდნენ სელს და კანაფს და ამზადებდნენ მისგან ბოჭკოს. ისინი სელის და კანაფის მოყვანისა და გამოყენების ოსტატებად ითვლებიან დღესაც. მათ თავიანთი ნაწარმი ხონის, ცაგერისა და სენაკის ბაზრებზეც გაჰქონდათ. მათ განკარგულებაში იყო

განსაკუთრებული მოწყობილობანი და დაზგებიც (დგიმი, ყადა და სხვ.). ამრიგად, ოქტომბრის რევოლუციამდე ტექნიკურ მცენარეთა მოყვანა და სამეურნეო დამუშავება მხარის მშრომელთა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგი იყო.

5. მხარის მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული ხელოსნობის სხვადასხვა დარგი. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მჭედლობა. მთაში საკმაო რაოდენობით მოიპოვება ნედლეული (მარგანეცი, რკინა, სპილენძი და სხვ). აქვეა შემორჩენილი ძველი სახელები – „ნოჭადენი“, „ჭკადუაში“, „წიდა“, „ლეჭეხა“ და სხვ., სადაც მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მეტყველებს ამ ადგილებში მეტალურგიის უძველესი კერების არსებობას (ცივსაბერი ქურიდან ოქტომბრის რევოლუციამდელ ოჭკადურეშამდე – სამჭედლოებამდე). აქ ნაპოვნი მრავალი სახის ინვენტარი: ტიგელი, მილაკები, გრდემლები, ურoები, მარწუხები (მაშები) და სხვ., თვით წარმოების პროდუქტებიც: იარაღები, ზოდები, წიდები, გუნდები, თვალსაჩინოდ ადასტურებს ამას. საკვლევი რაიონის სოფლებში მჭედლობით განთქმული იყვნენ „რკინის კაცები“ – მამფორიები, წოწორიები, ლაგვილავები და სხვ. ისინი დღესაც განთქმული მჭედლები არიან.

6. სამშენებლო მასალათა დიდი სიუხვე, მრავალფეროვნება და მშენებლობის ხალხური ტრადიციები უძველესი დროიდან განაპირობებდა სამშენებლო ხელოვნების განვითარებას. ამაზე კარგად მიუთითებს დღემდე შემორჩენილი ბაზილიკური და გუმბათიანი ქვითკირის ნაგებობანი, ქვითკირის ქონგურებიანი, ორ-სამგალავნიანი კოშკები, ნოქალაქევის, ნოღის ციხე-ქალაქები, გოკირილის, შხეფის ციხესიმაგრე, ჯეგემარიონის, ქუქითის, კადარის, მარტვილის, ტყვირის ეკლესიები და სხვ. ისინი ქართული არქიტექტურული ხელოვნების დიდებულ ნიმუშებს წარმოადგენენ. საცხოვრებელ ნაგებობათა საყურადღებო ტიპია ორ, სამ და ოთხოთახიანი ოდა სახლები, რომლებიც გამოირჩევა თავისებური ფანჯრებითა და აივნით, გადახურვისა და მასალის მრავალფეროვნებით. საცხოვრებელ ნაგებობათა ძველი ტიპებიდან აღსანიშნავია პიტაფიცარა და ჯარგვალა ხის სახლები, აგრეთვე ნაირნაირი ფაცხები. ამ ტიპის ნაგებობათა შორის აღსანიშნავია კონუსური მოყვანილობის მეტად თავისებური კუნჭულა ფაცხები.

ნაგებობის ასეთი მრავალფეროვანი ფორმები სამშენებლო საქმეში და სამშენებლო მასალათა დამზადების ხალხურ ტექნიკაში დახელოვნებას მოითხოვდა. იყვნენ ცნობილი მეკირეები, მეაგურეები, ხის მთლელები და მჭრელები, ქვის მთლელები და ა. შ. გვხვდება მშენებლობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ნაშთებიც, საკირეები, კირის შესანახი

ორმოები (კირის გამოსაწვავი ქურები, აგური და კრამიტი, თლილი და ორნამენტირებული სამშენებლო ქვები და ა. შ.).

7. მახორობა, სახლკარობა გლეხის ოჯახის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისა და ეზო-კარ-მიდამოს ერთიანი კომპლექსია, სადაც თავმოყრილია ყველაფერი, რაც ერთი კომლის, ოჯახის ცხოვრებისთვისაა საჭირო.

კარ-მიდამო, მახორობა ორი ტიპისაა: ჩვეულებრივი და შერწყმული. მათ შორის მსგავსებაც არის და განსხვავებაც. მსგავსება იმაშია, რომ ორივე ტიპი მახორობისთვის (კარ-მიდამოსათვის) საჭირო ყველა ერთეულს აუცილებლად შეიცავს, ხოლო განსხვავება მათი წარმოდგენის მასშტაბებსა და პროფესიულ დანამატებშია მარტო.

8. მხარის მშრომელი მოსახლეობის უძველესი რწმენა-წარმოდგენები („ნერჩი პატენი“, „ჟინანთარი“, „მოსკე“, „ტარეში“, „ქიაჩი“ და სხვ.) გადმონაშთური ფორმით ასახავენ მიწათმოქმედებასთან, მესაქონლეობასთან და მეურნეობის სხვა დარგებთან, აგრეთვე დასახლებასა და სოციალურ ურთიერთობასთან დაკავშირებულ რელიგიურ შეხედულებებს.

# ტოპონიმების საძიებელი და ხალხური განმარტებები

## ა

**აბარწა** – მაქინდორი, წინკარი. ფაცხის, პიტაფიცარა სახლის და ჯარგვალა სახლის ერთგვარი აივანი, მიწატკეპნილი და გადახურული.

**აბანაში წყარი** – ციხის აბანო ყოფილა მოწყობილი.

**აბედათი** – აბუდას თი, აბუდას ოხორი. ვიღაც დიდი ოჯახის მქონე პიროვნება – აბუდა სახლებულა.

**აგვარა** – ქართა, მესაქონლეთა კარავთან საქონლის საჩიხე.

**აგურქურა** – სააგურო ყოფილა გამართული უძველეს დროში.

**ადამნუზუ** – ნუზუონში, „ადამის შობის“ დროინდელი ნუზუ, ნაძვი მდგარა. მას ძველად პატივს სცემდნენ თურმე, როგორც ღვთაებას.

**აზმახი** – წყლის გუბე საქონლის საწყურებლად ალპური ზონის საზღვარზე.

**აკიდონა** – ვაზის ჯიშია.

**ალანიაში გა** – ალანიების სერია.

**ალერტი** – სარიტუალო ადგილია ნოღის სასოფლო საბჭოში.

**ალექსანდრეშ ნაკარუ** – მესაქონლე ალექსანდრე კვარაცხელიას საზაფხულო სადგომი, მისი კარავი.

**ანგარო** – კარ-მიდამოს მწვანე ზღუდარი. კარ-მიდამოს ირგვლივ მიჯნა, მაღალი ხეების უსწორო ხეივნით გამიჯნული.

**ანგესკური** – ვაზის ჯიშია.

**ანთიმონი** – უძველესი სარიტუალო ადგილია. ნაოხვამუსაც უწოდებდნენ. თავშეყრა, ჯარობა იცოდნენ ელიობის დღესასწაულზე.

**ანტონიშ ტები** – ანტონ ჭყონდიდელის ტყე ყოფილა ოდესღაც. დღეს გაშლილი ველიანია.

**ანჯაფარიაშ ნადოხორი** – ანჯაფარიძის ნასახლარი ადგილია.

**არგვანი** – Ააგვანი, ქვევრი. ღია ცისქვეშ მარნის ადგილია.

**არჩვაშკარე** – მესაქონლე ვინმე არჩვას საზაფხულო კარავი. მის წინაპართ აქ მუდმივი სადგომიც კი ჰქონიათ.

**ასხი** – იალაღია სამეგრელოს მთაგრხეილზე, 2500 მ-ზე ზღვის დონიდან. სახელწოდება წარმომდგარია საქონლის ასხმისაგან (ასხმა – ასხი) – ასე განმარტავს ხალხი.

**ასმანცხვარი** – სამანცხვარო ადგილი. მაცხოვრის ხატის სასვენი ადგილი, მესაქონელთა დიდი სალოცავი სააფუნოში.

**აფიცარა** – ფიცრის სათლელი, ფიცრის დასამზადებელი ადგილი.

**აღუნური** – ვაზის ჯიშია.

**აჩიგვარა** – ცხენების საჩიხე, ცხენების ქართა. აჩუ ცხენია, ანგვარა – ქართაა, საჩიხეა.

**ახაიაშ ნოხორი** – ახაია ახალაიების წინაპარია.

**ახაიაშ გა** – ახაიას სერია.

**ახუთი** – ახუს თი.

## ბ

### ბაგე

**ბოგა** – საქონლის საზამთრო ბინაში სპეციალურად დაგებული საქონლის დასაბმელი იატაკი.

**ბათოური** – ვაზის ჯიშია. შავი, მაღლარი.

**ბაირაღი** – 1. ბატონიშვილებს შორის გაყოფილი მიწის მიჯნაზე ბაირაღი – დროშა იყო აღმართული. ეს ერთგვარი სანიშნო მიჯნის ადგილი იყო; 2. სამიჯნო დროშა ყოფილა დასმული. აქ გადიოდა ბატონიშვილების სამფლობელო ადგილთა მიჯნა. წმინდა ბარბალეს დიდი „საოხვამურო ყოფილა“. აქ ბარბალობა დღეს ჯარობა და დღეობა იცოდნენ.

**ბაზარი** – ამ ადგილას, სალხინოში სალომე დადიანს და აშილ მიურატს მოუწყვიათ ბაზარი. აქ იარმაკობაც იმართებოდა დიდხანს.

**ბაბიური** – ვაზის ჯიშია.

**ბართაიაშ მუხური** – ბართაიას ნასახლარი.

**ბაღდუდი** – აქ მეცხოველეთა ბაღუები, ხულები, ბეღლები მდგარა. შესანიშნავი საყანე ადგილებია ბანძაში.

**ბაღუეთი** – ბეღლების ადგილია.

**ბახვაშ ნოხორიი** – ბახვას ნასახლარი.

**ბახო** – უძველესი საოხვამურო-სარიტუალო ადგილია.

**ბედინოური** – ვაზის ჯიშია.

**ბეჟუკიაშ ტყა** – ბეჟუკია ანჯაფარიას საკუთარი ტყე, წაბლნარი და მუხნარი.

**ბეთლემი** – ლეძაძამეს უბანია. დადიანების სასახლე და მშვენიერი წალკოტები ყოფილა.

**ბერიძეშ კლასი** – ბლაღოჩინ ბერიძეს გაუხსნია სკოლა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში.

**ბერიშ დიხა** – ეკლესიის, მონასტრის საკუთრებაში მყოფი მიწა.

**ბერთემი** – ბერის უბანია, ბერის თემი.

**ბერიწყუ** – ბერის წყუ, ბერის წყაროსთვალი. აქ ბერს ჰქონდა კარავი. მის კარავთან ახლოს წყაროს წყლის თვალი ამოუყვანია. დღესაც ხმარებაშია.

**ბერტონა** – იაგოზი, წითელმიწა ნიადაგია. ახალ ნახნავზე ბელტები ცვიოდა, რომლის დასამუშავებლად მძიმე შრომა იყო საჭირო.

**ბეცეში** – ჭეჭყიანი ადგილი, ჭაობიანი და უსარგებლო. იღებდნენ თიხას, ქოთნების დასამზადებლად.

**ბეჭოური** – ვაზის ჯიშია.

**ბიტუიაშ შეკებული** – ბიტუიას შემოკავებული. ბიტუიას საკუთარი საძოვარი.

**ბიჭინიაშ ნადოხორუ** – ბიჭინიას ნასახლარი. მომდინარეობს უხსოვარი დროიდან. დღეს უკაცრიელი ადგილია.

**ბობოთი** – ბობოს თი, ბობოს ოხორი, ბობოს სახლ-კარი. უხსოვარი დროის სახელწოდებაა.

**ბოგვერა** – ბალახია. აქ ყოფილა გავრცელებული.

**ბოგვერონი** – ბოგვერადანაა წარმომდგარი ადგილის სახელწოდება.

**ბოგორონი** – სათიბი ადგილია. ბოგვერა ბალახის გაშლილი ველიანი.

**ბოხტური** – ვაზის ჯიშია.

**ბჟანოური** – ოჯალეშის ჯიშის ვაზია. ობჟალესაც ეძახიან. ბჟანოური სიტყვა-სიტყვით მზიურს ნიშნავს.

**ბუიში** – ბლის ძალიან დიდი კორომები მდგარა. აქ მოდიოდნენ ბლისთავის დასამზადებლად (ქვევრების სარეცხად და თავსახურად ბუიში იყო საჭირო).

**ბუკონა** – საფუტკრეა, სასკო ადგილი. ფუტკრის ბუკები იდგა.

**ბულმენჯი** – ბლიანი მენჯი.

**ბურტყონა** – ბურტყალე ბალახია, რომელსაც საჭმელად იყენებენ, გარეული ფხალეულია. მისგან სამარხვო მისაჭამადს აკეთებდნენ. ამ ადგილას სცოდნია, ამიტომ შეერქვა ბურტყონა.

**ბურღონა** – ფხვიერი და რბილი მიწა. **ობერგესაც** ეძახიან. თოხით დასამუშავებელია.

## გ

**გაბიშ სუკი** – კურზუს სასოფლო საბჭოშია, გაბის თურის, გაბის საგვაროვნო ოჯახის ნოხორია ნასახლარია. გაბის დიდ ოჯახში 18 მელოგინე ყოფილა. ოჯახი უამრავი სულისგან შედგებოდა თურმე. ოჯახის სათავეში მდგარა გაბი. შემდეგ აქედან წარმოსდგნენ გაბისონიები.

**გაგოური** – ვაზის ჯიშად თვლიან. ჯიში აღუწერელია.

**გაფათი** – გაფას თი. გაფას დიდი ოჯახი სახლებულა, მისი „ნოხორიი“ ყოფილა.

**გაჯარი** – გაშლილი, ქვიანი, უბუჩქნარო, უწყლო ადგილია.

**გეგენეთი** – გეგენების ნასახლარი. გეგენა გვარია. დღეს გეგია და გეგენავა.

**გეგინოური** – გეგინას ნაშენი ყოფილა. აქ მაღლარი ჯიშის ვაზი ყოფილა თურმე, ხურმის ხეებზე მიშვებული. ჯიში აღუწერელია.

**გვიმარონი** – გვიმრიანი ადგილი. წითელმიწა, ნაკლებად მოსავლიანი.

**გვაჯაშ ნაკარუ** – გვაჯას ნაკარავი.

**გომარსილი** – მესრით შემოღობილი.

**გიოშ ნაკარუ** – გიო კალანდიას კარავი მდგარა. მისი ჯოგსადგომი ადგილი ყოფილა.

**გიოშ ნადუქანუ** – გიოს ჰქონია თავის ეზოში მოწყობილი დუქანი.

**გინაჩამალი** – უძველესი საოხვამური (სალოცავი) ადგილი. აქ გვიან ხატზე გადაცემა სცოდნიათ. გადასაცემად მუხის ხეს იყენებდნენ თურმე. თითქმის გასულ საუკუნემდეც მდგარა ეს ათასწლოვანი მუხა აქ.

**გინაჩამალი** – ისეთივე მნიშვნელობის ადგილია. აქ ნაპოვნია ცხვრის სახის კერამიკული კერპის ნაშთები.

**გიშახუნაფალი** – გამოსაყვანი ხეობა. აქ ღელე მოედინება, რომელსაც ამ სახელს უწოდებენ. ამ ხეობით გამოჰყავდათ ალპური საძოვრიდან საქონელი.

**გოგიათი** – გოგიას ნასახლარი. მისი თი-ს ადგილი.

**გოკირილი** – მდ. ტეხურის ხეობაში, დგომის ქვემოთ, ვიწრო ადგილია მაღალი კლდისა და ტეხურის ციცაბო ხეობას შორის შეკრული ადგილია ქვითკირით. მტერს მისი

აღება ვერ შეძლებია და შიშიანობის დროს სოფლიდან აყრილი მოსახლეობა მშვიდად განაგრძობდა ცხოვრებას გოკირილის მიღმა – დგომის, ლენჭეხას, დვირას, ლებარდეს მიდამოებში.

**გონაკაკა** – ადგილი, სადაც ხეს ნაჯახით კაკავდნენ, ნაჯახით ამუშავებდნენ ფიცრებად. ფიცრებს კი არ ხერხავდნენ, არამედ თლიდნენ. ნაჯახით დათლილი ფიცრებისაგან აშენებდნენ პიტაფიცარა სახლებს.

**გოშქარი//გოშქანი** – სოფლის განაპირას თავშესაყრელი ადგილი. აქ იკრიბებოდნენ გლეხები სოფლის ყრილობაზე. აქ შეკრებილა უტუს ლაშქრის მონაწილე გლეხებიც საიდუმლო კრებაზე. აქედან გაუგზავნია სოფელს ვაჟკაცთა ჯგუფი უტუს ჯარში.

**გოჭკადირი** – აქ, მდ. აბაშის ხეობის ვიწრო ყელზე, მე-17 საუკუნეში, ქვითკირის ერთთაღიანი ხიდი აუგიათ დადიანებს. ამით გაუჭედიათ აბაშის ხეობის ეს ვიწრო ყელი და დაუკავშირებიათ აბაშის მარჯვენა და მარცხენა სანაპირო. გოჭკადირი გაჭედილს ნიშნავს.

**გუითკარი** – გუითურების კარი (ადგილები, გარდა მუხურებისა, კარებად იყოფოდა. გუითკარი, ურიაკარი, სამოთხეკარი, ვედიდკარი და სხვ.). ამ გვარის დიდი ოჯახის კარ-მიდამოს წინ გაშლილი მეედანი – მოედანი ყოფილა. ამ მოედანს ეწოდებოდა სწორედ გუითკარი (სოფ. ბანძა).

**გუიათურეფიშ ნოხირიი** – გუია ჯანაშიების დიდი პაპაა. იგი ერთ-ერთი დინოს მეთაური გამხდარა. ამ დინოს ეს ადგილი ეკავა ჯერ კიდევ ამ 60 წლის წინათ.

**გურნოხორიი** – დედო ნასახლარად, გულნასახლარად ითვლება. ამ საუკუნის დასაწყისში იგი ტყიანი და უკაცრიელი ადგილი ყოფილა. ახლა შიშველი ფერდობია.

**გურძემი** – გურირძენი, გული ველობი, გაშლილი ადგილი. ფართო მოედანი. რზენი, ან რძენი გაშლილ ადგილს ჰქვია (სოფ.).

## დ

**დადიაშ ნამზითუ** – დადიანს თავისი ყმისათვის კეთილი სამსახურის გამო უმზითვებია მიწის ეს ნაკვეთი.

**დადიაშ ნოხორიი** – დადიანის ნასასახლარი. სარეზიდენციო კარ-მიდამო ყოფილა ოდესღაც (მრავალ ადგილასაა მინიშნული).

**დადიაშ გიორენჯი** – დადიანის კუთვნილი ჯოგის სადგომი, მთავარი ბანაკი. სიტყვა-სიტყვით დადიას სადგომი (სოფ. კურზუ).

**დავითიაშ კარე** – დავითიას კარავი, მისი საზაფხულო სადგომი. აქვე იყო მისი კუთვნილი ჯოგის აგვარაც.

**დაური** – მაღლარი ვაზის ჯიშია.

**დგებიაშ ნოხორიი** – დადიანის კარისკაცთა – დგებიების (დგებია გვარია) ნასახლარი.

**დგომი** – ნადგომი ადგილია ზღვის დონიდან 1600-1800 მ სიმაღლეზე, შერეული ტყიდან წიწვიანი ტყის ზონამდე, მთელ სიმაღლეზე ეგრი-

სის მთაგრეხილის სამხრეთ ფერდობზე, ლებარდეს ქვემოთ.

**დეეფანიშ ნაოხორუ** – დეეფანის ნასახლარი.

**დერეჟანიშ გინაართუ** – დილიჟანსის გადასახვევი. იგი ქუთაისი-ზუგდიდის საფოსტო გზაზეა, აბედათთან.

**დიდკარე** – დიდი კარავი. შესანიშნავი საძოვარია ტყიანის თავზე. კარგი საკარავო ადგილია, მოფარებული და გაშლილი. ამიტომ მესაქონლეთა მთავარი კარავი ყოფილა იგი ოდითგანვე.

**დიდღვანა** – დიდყანა, ვეებერთელა მასივია მარსელის მინდორზე. მას ხნავდა და თესავდა სიგუების გვარი.

**დიეკი** – მთის ფერდობის ქვიან ფლატეზე კარსტული ღრმულია, შემდეგ ქვითკირით ამოშენებულ-პირაკრული. იგი ჭურის მსგავს ღრმულს წარმოადგენს. ირგვლივ ქვიანი კედელი არტყია. გადმოცემით, დამნაშავის დასასჯელად იყენებდნენ თურმე დადიები – დადიანები (ინჩხური).

**დილიჟანიში შარა** – დილიჟანსის გზა, საფოსტო გზა ზუგდიდიდან ქუთაისისკენ. გადიოდა ცხენისწყალზე და ნაჯახაო – ნოჯიხევი – აბედათი – კვაუთი – ლეძაძამე – ფოცხოთი მიემართებოდა ზუგდიდისკენ.

**დინო** – გვარის ერთი შტოს საერთო დასახელება. იგივე **საჯიმალო**.

**დიხაზურგა** – მიწაზურგა, ხელოვნური, ყორღანის ტიპის ბორცვია.

**დიხაკურზულა** – მიწაზურგა.

**დიხაკურძულა** – იგივე. **ნაზონასაც**, **მიწაზვინულსაც** უწოდებენ.

**დიხაჭუბური** – წაბლამიწა. იყენებენ ქვევრის დასამზადებლად.

**დობერა** – დობილოიანი ადგილი. ხშირვაზნარი, ველური მასივია. ხურმის, თხმელისა და ჭუტა ვაშლის ასწლოვანი ხეების ტყეში მასიურადაა ბუნებრივად მიშვებული ვაზი მაღლარზე. ხშირად გაუვალიცაა, ამიტომ **დობერარუმესაც** უწოდებენ. იგი მთის ფერდობზეც და გაშლილ ველიანებშიც გვხვდება ხოლმე. დღეს თითქმის აღარსადაა შემორჩენილი ამ სახით. მხოლოდ სახელწოდება ახსოვს ხალხს.

**დობერარუმე** – იხ. ზემოთ.

**დობერარზენი** – დობერა ველიანზე.

**დორხვეი** – გააზატებულ ყმას ჰქონია მიწა საკუთრად. მას დორხვეის, ე. ი. საკუთარს უწოდებენ.

**დოხორე** – სასახლე. დადიანთა სარეზიდენციო კარმიდამოები და სასახლეები კურზუში, სალხინოში, თამაკონსა და სხვაგან.

**დურქანიში** – დუქანი ყოფილა მესაქონლეების საზაფხულო საძოვრებისკენ სავალ გზაზე, ასხის მთის მისადგომებთან.

**დუქანი** – სასოფლო დუქნები ყოფილა მე-19 საუკუნის დასასრულიდან ოქტომბრის რევოლუციამდე, სოფლებში. მათი უმრავლესობა ვაჭრის კარ-მიდამოს წინაა, ზედ ჭიშკართან, ნაწილი კი სოფლის მოედანზეა.

## ე

**ეჲაგვიე** – ლაგვილავების – გვიების მუხური – უბანი. ლაგვილა-გვია გვარია.

**ეჲაზარე** – ლაზარიების მუხური. აზარია ან დღეს ჲზარია გვარია.

**ეაროსიე** – აროსიების მუხური. აროსია გვარია.

**ეახაიე** – ახაიების მუხური. ახაია ან დღეს ახალაია გვარია.

**ეახვლედიე** – ახვლედიას ან ახვლედიანების მუხური. ახვლედია ან ახვლედიანი გვარია.

**ებართიე** – ბართიების მუხური. ბართია გვარია.

**ებერისქუე** – ბერისქუაჲების ან ბერიშვილების მუხური. ბერისქუა ან ბერიშვილი დღეს გვარია.

**ებეჭვაიე** – ბეჭვაიების მუხური. ბეჭვაია გვარია.

**ეგაბედე** – გაბედავების მუხური. გაბედა ან გაბედავა გვარია.

**ეგაგუე** – გაგუების მუხური. გაგუა გვარია.

**ეგადიე** – გადიების მუხური. გადიია ან დღეს გადილია გვარია.

**ეგაჰეა** – გაჰეების მუხური. გაჰეა გვარი ყოფილა.

**ეგოგიე** – გოგიების მუხური. გოგია გვარია.

**ეგოგაიე** – გოგაიების მუხური. გოგაია გვარია.

**ეგუჲორდე** – გულორდავების მუხური, გუჲ ორდა, ან გულორდავა გვარია.

**ედგებე** – დგებიების მუხური. დგებია, ან დგებუაძე გვარია.

**ევახანე** – ვახანიების მუხური. ვახანია გვარია.

**ეთოფურე** – თოფურიების მუხური. თოფურია გვარია.

**ეკაკასქუე** – კაკასქუაჲების მუხური. კაკასქუა, ან კაკაშვილი გვარია.

**ეკაჭარე** – კაჭარავების მუხური. კაჭარა, ან კაჭარავა გვარია.

**ეკვატაიე** – კვატაიების მუხური. კვატაია, ან კვანტალიანი გვარია.

**ეკეკე** – კეკელიების მუხური. კეკეია გვარია.

**ეკეკუტე** – კეკუტიების მუხური. კეკუტია გვარია.

**ეკვაშიე** – კვაშილავების მუხური. კვაშია, ან კვაშილავა გვარია.

**ეკუპრე** – კუპრავების მუხური. კუპრა, ან კუპრავა გვარია.

**ეკლესუანი** – ნაეკლესიარი (ჩაწერილია კინჩხაში).

**ენანე** – ნანავების მუხური. ნანა, ან ნანავა გვარია.

**ენწერი** – მწირი ნიადაგი. ეწერი ნიადაგი. ხშირად ჩირგვნარ-ბუჩქნარიანი ველობი. დღეს თითქმის ყველგან ჩაის პლანტაციებია.

**ეპატარე** – პატარაიების მუხური. პატარაია გვარია.

**ერუხაიე** – რუხაიების მუხური. რუხაია გვარია.

**ერჯია** – ერჯიების მუხური. ერჯია გვარია.

**ესართანე** – სართანიების მუხური. სართანია გვარია.

**ესუე** – სუების მუხური. სუჲა, ან სულავა გვარია.

**ესიაგე** – სილაგავების მუხური. სიჲგა, ან სილაგავა გვარია.

**ეურიდიე** – ურიდიების მუხური. ურიდია გვარია.

**ეფარუე** – ფარუების მუხური. ფარუ̆ა, ან ფარულავა გვარია.

**ეფაციე** – ფაციების მუხური. ფაცია გვარია.

**ეფიე** – ფიების მუხური. ფიია, ან ფილია გვარია.

**ეფირცხალე** – ფირცხალავების მუხური. ფირცხა̆ა, ან ფირცხალავა გვარია.

**ექვაჩაე** – ქვაჩა̆აიების მუხური. ქვაჩაია გვარია.

**ექიქე** – ქიქავების მუხური. ქიქა, ან ქიქავა გვარია.

**ექობა̆ე** – ქობაი̆ების მუხური. ქობაია, ან ქობალავა გვარია.

**ეშამარსიი** – მესრით შემოღობილი.

**ეჩაგინე** – ჩაგუნავების მუხური. ჩაგინა, ან ჩაგუნავა გვარია.

**ეჩიტიე** – ჩიტიების მუხური. ჩიტია გვარია.

**ეცანე** – ცანავების მუხური. ცანა, ან ცანავა გვარია.

**ეცე** – ცაავების მუხური. ცა, ან ცაავა გვარია.

**ეცერცვე** – ცერცვების მუხური. ცერცვა, ან ცერცვავა გვარია.

**ეძაგანე** – ძაგანიების მუხური. ძაგანია გვარია.

**ეძარიე** – ძარიების მუხური. ძარია გვარია.

**ეწიფურე** – წიფურიების მუხური. წიფურია გვარია.

**ეჭიე** – ჭიების, ან ჭიაიების მუხური. ჭია, ან ჭიაია გვარია.

**ეხაინდრე** – ხაინდრავების მუხური. ხაინდრა, ან ხაინდრავა გვარია.

**ეხვიჩიე** – ხვიჩიების მუხური. ხვიჩია გვარია.

**ეხუხუე** – ხუხუების მუხური. ხუხუა გვარია.

**ეჯახუე** – ჯახუების მუხური. ჯახუა გვარია.

**ეჯღარკე** – ჯღარკავების მუხური. ჯღარკავა გვარია.

## ვ

**ვარდიაშ ნოხორიი** – ვარდიას ნასახლარი.

**ვატაიაში კარი** – საჯარო ადგილი. აქ ჭარკუმის თამაში, ბურთაობა და ჯარობა სცოდნიათ. სიმღერაც არის დაწერილი: „მივშათ ჯარიშა ვატაიაში კარიშა“ (წავიდეთ ჯაროაზე, ვატაიას კარზე).

**ვახანური** – ვაზის ჯიშად თვლიან. ვაზი აღუწერელია.

**ვედიდკარი** – ველდიდკარი. დიდი ველის ზღუდარში შესასვლელი. იცოდნენ ჯარობანა, მარულა და სხვ. (სოფლის სახელია).

**ვედიდი** – ველდიდი. მარულა ეწყობოდა.

## ზ

**ზაკალონი** – ბზის ტყე.

**ზანური** – მაღლარი ვაზის ჯიში. ჯიში აღუწერელია.

**ზენიაგვართა** – რზენი იაგვართუნია. ვაკე ამოწოლილიაო.

**ზუგა** – დიხაკურზუ̆ა, მიწა ზვინული ყოფილა, ყორღანის ტიპისა.

## თ

**თავაზონი** – თავაზონი ერთგვარი ბალახია. საქონელი ძლიერ ეტანება. ალპური საძოვარია.

**თარგამული** – ვიღაც თარგამას სოფელი ყოფილა. თარგამა ძალიან უხსოვარ დროს სახლებულა იქ, სადაც დღეს წმინდა გიორგის ეკლესიაა (ი. ფაცაციას ნაამბობი). აქედან დაერქვა სახელწოდება. **თარგამური** ვაზის ჯიშიც ყოფილა, განსაკუთრებული. აღწერილი არ არის. თარგამას აქ ვაზნარი, ხეხილიანი, წყაროსწყლიანი ბაღნარი – წაკორტი ჰქონია.

**თედოში ნაკარუ** – თედო ნაჭყეპიას ნაკარავი.

**თეროსონი//თოროსანი**. ნაოხვამუა. ჟინანთარის სათაყვანებელი ქვა – ვარცლი, სადაც მის პატივსაცემად ხდებოდა მსხვერპლის შეწირვა და ლოცვა. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ჟინანთარი წმინდა გიორგის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. წმინდა გიორგი კი თოროსან-აბჯრიანი მეომარი იყო. ამიტომ ადგილს თეროსანი, ან თოროსანი დარქმევია. **ნაოხვამუსაც** ეძახიან.

**თითქა** – ვაზის ჯიშია მაღლარზე.

**თურქიში** – თათრისა. აქ მიუვალი ციხესიმაგრე მდგარა, სადაც მტრების შემოსევის დროს ადგილობრივი მოსახლეობა იმალებოდა.

**თხირონა** – თხილნარი.

**თხინა** – თხილნარი.

## ი

**იაზარიონი** – იაზარიას მუხური. იაზარია გვარია.

**იანჯობა** – კოპიტნარი.

**იოსე ანჯაფარიაში ნადოხორუ** – იოსე ანჯაფარიას ნასახლარი.

**ინჩხური** – მეწყერიანი ადგილების გამო უწოდებიათ სოფლისთვის. ინჩხური, სიტყვა-სიტყვით ირეცხება.

**ინჭირონი** – ანწლნარი.

**ირემუი ფერდი** – ირმის ფერდი. აქ გაუვალი ტყე ყოფილა ოდესღაც, რომელიც ირმებით ყოფილა სავსე.

**იშაღობილი** – ღობეთი ამოღობილი. ღობე-წკნელის ტყრუშული.

## კ

**კაბეტი** – ნასვენი მიწა. რამდენიმე წელს გამოუყენებელი, ან ყამირი.

**კადარი** – ქვიანი ფერდობი.

**კაჲანდიაშ ნოხორიი** – კაჲანდიას ნასახლარი. ტყეშია, მთაზე, მესაქონლე კალანდიას მუდმივი საცხოვრისი.

**კაჲანდიაშ კარე** – იქვეა.

**კაკუჲური** – ვაზის ჯიშად თვლიან. ჯიში აღუწერელია.

**კაკუცასქუალეფიშ მუხური** – კაკუცაშვილების უბანი. დანელიების ერთ-ერთი დინოა.

**კაჟონა** – კაჟიანი ველობია.

**კარიში** – ასხის საძოვარზე მისასვლელია, ამ საძოვრის კარია.

**კარე** – კარავია. უფრო მესაქონლეთა საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე ეწყობა დღეს.

**კარობა** – დასაკარებელი, კარვების დასადგმელი ველობია მთებში.

**კაწარი** – ქვიანი ფერდობია.

**კაჯარი** – ქვიანი ველობია ბარში.

**კეხი** – უნაგირასავით ჩაზნექილი და ბოლოები კონუსისებრ აწეული გორაკია.

**კეთილარი** – სოფელია.

**კვადაცონა** – კვადაცას ტყე ყოფილა ოდესღაც. ეკლიანი ხეა კვადაცა.

**კვეციაშ ნოხორიი** – კვეციას ნასახლარი. კვეცია, ან კვეკვეცია გვარია.

**კიბეში** – კიბესავით, საფეხურებიანი ასასვლელი მაღლობია.

**კიბულური** – იგივეა.

**კიბულა** – იგივეა.

**კირიალესონი** – უძველესი ნაოხვამუა.

**კიტონოური** – მაღლარი ვაზის ჯიშად თვლიან.

**კიფკვათარი** – კიფიშ კვათუა კანაფის ჭრისაგან არის წარმომდგარი. ოდესღაც კანაფს თესავდნენ თურმე ამ ადგილზე.

**კიწიშ ნოხორიი** – კიწის ნასახლარი.

**კიჭოური** – მაღლარი ვაზის ჯიშად თვლიან.

**კიჭურიეფიშ თური** –კიჭურიების თური, გვარი.

**კოდიწყარი** – ხის კოდით ან ბუკით თავდაცული წყაროს წყალი.

**კოკათი** – კოკაში თი.

**კოკაიაშ კარი** – კოკაიას კარი. სავაჭრო უბანია. აქ დუქნები და სავაჭრო სახლები ყოფილა ოქტომბრის რევოლუციამდე.

**კოჲოში** – მწარესი. ვაზის ჯიშია. ყურძენი მწარეა, მაჭარიც მწარე დგება. დაღვინების შემდეგ საუკეთესო ღვინო დგება.

**კოჲოშონა** – კოჲო შონური. მწარე შონური. მაღლარი ვაზის ჯიშია.

**კოტორი** – ძველი ნაქალაქარი და ნარონი ადგილია.

**კოჩობასქუალეფიში მუხური** – კოჩობასქუაების უბანი. დანელიების დინოა.

**კურზუ** – სოფლის სახელწოდებაა. კურზუ ძაღლს ჰქვია ძველმეგრულად. აქ დადიანთა მონადირე ძაღლების სადგომი და სანაშენო ყოფილა.

**კურზუკარე** – კურზუ კარავი. ძაღლთა კარავი.

**კურკუზა** – მიწაზურგაა, მიწაზვინულია.

**კურკუცა** – მიწაზურგაა, მიწაზვინულია.

## ლ

**ლაკადა** – ბარია.

**ლაფარა** – ჲაფარა სახლის გვერდებს ეწოდება, საწვიმარი არხის გაყოლებით.

**ლადიშ ნაწისქვილუ** – ლადის ნაწისქვილარი.

**ლებაჩიე (ებაჩიე)** – ბაჩილავების მუხური. ბაჩია, ბაჩილავა გვარია.

**ლეგვიე (ჲეგვიე)** – გვილავების მუხური. გვიჲა ან გვილავა გვარია.

**ლეგოჩოლე (ჲეგოჩოლე)** – გოჩოლების მუხური. გოჩოლა გვარია.

**ლეგუნე (ეგუნე)** – გუნიების მუხური. გუნია გვარია.

**ლუკაშ ჯიხა** – ლუკას ციხე.

**ლეკაკულე (ჲეკაკულე)** – კაკულიების მუხური. კაკუია, ან კაკულია გვარია.

**ლეკალანდე (ჲეკალანდე)** – კალანდიების მუხური. კაჲანდია, ან კალანდია გვარია.

**ლეკოხე (ჲეკოხე)** – კოხიების მუხური. კოხია გვარია.

**ლეკვაშილე (ჲეკვაშილე)** – კვაშილავების მუხური. კვაშია, ან კვაშილავა გვარია.

**ლეკურდღელე (ჲეკურდღელე)** – კურდღეიების მუხური. კურდღეია, ან ყურდღეია გვარია.

**ლემიორე (ჲემიორე)** – მიორეების მუხური. მიორია გვარია.

**ლემირცხვიე (ჲემირცხვიე)** – მირცხულავების მუხური. მირცხუჲ ან მირცხულავა გვარია.

**ლეტეში (ჲეტეში)** – ლეტონა, ტალახიანი ადგილია.

**ლეფეტელე (ჲეფეტელე)** – ფეტელავების მუხური. ფეტეა გვარია.

**ლექობალე (ექობალე)** – ქობალიების მუხური. ქობალია, ან ქობაია გვარია.

**ლექორაიე (ექორაიე)** – ქორაიების მუხური. ქორაია გვარია.

**ლექუთელე (ჲექუთელე)** – ქუთაიების მუხური. ქუთაია გვარია. დღეს ქუთათელაძე.

**ლეშულაიე (ეშულაიე)** – შულაიების მუხური. შუაჲია შულაია გვარია.

**ლეჩილაჩე (ჲეჩილაჩე)** – ჩილაჩავების მუხური. ჩიაჩა, ან ჩილაჩავა გვარია.

**ლეძაგანე (ჲეძაგანე)** – ძაგანიების მუხური. ძაგანია გვარია.

**ლეწურბელე (ჲეწურბელე)** – წურბელიანი ადგილია.

**ლეჭილიე (ეჭილიე)** – ჭიების და ჭილაიების მუხური. ჭიაია გვარია.

**ლეჭითანე (ჲეჭითანე)** – ჭითანავების მუხური. ჭითანა, ან ჭითინავა გვარია.

**ლეჭეიე** – კიწიაში ჭიების დასახლება ყოფილა.

**ლეხაინდრე (ჲეხაინდრე)** – ხაინდრავების მუხური.

**ლეხარბედე (ჲეხარბედე)** – ხარბედიების მუხური. ხარბედია გვარია.

**ლეხაფე (ეხაფე)** – ხაფავების მუხური. ხაფა, ან ხაფავა გვარია.

**ლეხურციე (ეხურციე)** – ხურცილავების მუხური. ხურცია, ან ხურცილავა გვარია.

**ლეჯანაშიე (ეჯანაშიე)** – ჯანაშიების მუხური. ჯანაშია გვარია.

**ლუკაშ კოლოში** – ლუკას მწარესი. აქ კოლოშის მაღლარი ყოფილა გაშენებული. ეს ნაკვეთი ლუკა ქუთაიას საკუთრება ყოფილა.

## მ

**მათმამული** – მამულიანი, ხეხილიანი ადგილი, ვრცელი ტყიანი მასივი. იგი სოფლის საერთო სარგებლობაში ყოფილა.

**მაკეოციე** – (ცე, ან ცა თხას ნიშნავს). ადგილი, სადაც მაკე თხებს აძოვებდნენ. შედარებით გაშლილი, ნაკლებ ხრიოკი ადგილია.

**მამუჲონი** – მამულიანი, ვენახიანი, ვაზიანი და ძვირფასი ჯიშის ხე-ტყიანი ადგილი. უფრო მეტად ვაზნარია მაღლარზე.

**მამუი** – იგივეა.

**მანცხვარი** – ნაეკლესიარია. უძველეს ნაოხვამუსაც ეტყვიან. შემდეგ მაცხოვრის სახელობის ეკლესია ყოფილა ოდესღაც.

**მანჯღარი** – ორკაკვა, ორკაპა. მანჯღარი ჯღა-ორკაპა, ორკაკვა ბარჯგი, მარგილი, ბორზალი. სალოცავი და საოხვამური ადგი-

ლი ყოფილა. ძელი ჯღამანჯღარი მდგარა ოდესღაც.

**მარანი** – ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი. იცოდნენ ქვევრების ჩაყრა ღია ადგილას, ხეების ჩრდილქვეშ, მშრალ ადგილას. ასეთ ადგილს მარანს უწოდებდნენ. მარანი მთელ სოფელსაც ჰქვია. გვიან მარანი განსაკუთრებულ სათავსს ეწოდა, სადაც წურავდნენ ყურძენს, ინახავდნენ ღვინოს და მეღვინეობის ინვენტარს.

**მარსიი** – მთელი ვაკეა მდინარე აბაშის დასავლეთ სანაპიროზე. მარსიი – გომარსიი, ეშამარსიი ფართობი, ე. ი. მესრით შემოღობილი, შემოზღუდული. არის გადმოცემა, მდინარის არე მოსილულიაო. ოდესღაც მდინარე აბაშა ადიდებულა და სულ ერთიანად მოუსილავს მისი ნაპირებიო.

**მარტვიი//მარტვილი** – მონასტრის სახელწოდება. არის გადმოცემა, თითქოს ეს სახელწოდება შერქმევია დედის სასოწარკვეთილი კივილის გამო: მარცვილი, სქუა – მე მოგკალი, შვილო. დედას მსხვერპლად შეუწირავს კერპისთვის ერთადერთი შვილი, შემდეგ ჭკუიდან შეშლილა და უკივლია: მარცვილი, სქუა, მარცვილი.

**მარუჲა მეედანი//მარუჲა მინდორი.** მოედანი, სადაც მარულას მართავდნენ. აქ ჯარობანაც იმართებოდა.

**მასვანჯეში** – მოსასვენი ადგილია, ჩრდილიანი და წყაროსწყლებიანი. მთისკენ მიმავალი მესაქონლეები, მუშები და სხვები შეისვენებდნენ ხოლმე.

**მასიათი** – მასიას თი. შემდეგ გვარი მასია, ან მაისაია.

**მასკური** – მუდმივი მასკური ქარი ქრის. მავნე არ არის, ზემოთ უბერავს. ნიავის მსგავსია, ვაზისთვის სასარგებლო.

**მაფათი** – მაფას თი. მაფას ნოხორი. მაფას მეფესაც ეძახიან. ამბობენ აქ დიდებული სასახლეები ყოფილაო ოდესღაც.

**მაფაწყუ** – მეფის წყალი. წყაროს წყალი, სადაც მეფეებს ჰყვარებიათ წყურვილის მოკვლა. მეფეწყალსაც იტყვიან, ე.ი. ყველა წყაროსწყალზე უკეთესი.

**მაქინდორი** – სახლის აივანია, წინა კარია, ფაცხის, პიტაფიცარას, ჯარგვალას და სხვათა მიწატკეპნილი და გადახურული წინაკარი, ან ოდის აივანი.

**მაღაზა** – სასიმინდეა, სასიმინდეს ადგილია. მას **ნამაღაზუსაც** ეტყვიან.

**მაღარო** – მარგანეცის ბუნებრივ გაშიშვლებულ ფენასთან მისასვლელი ღრმულია. მაღაროს ხელოვნურ ღრმულსაც ეძახიან, რომელიც დასამუშავებელი კირქვის ამოსამტვრევად გაუთხრიათ ოდესღაც.

**მაჭყვადური** – ვაზის ჯიშია. მაღლარზე ყოფილა მიშვებული. ამ ჯიშის ვაზი თითქმის არაა შემორჩენილი. არის ადგილები, რომელსაც მაჭყვადინას უწოდებენ. იმავე ჯიშის ვაზის სახელიდანაა წარმომდგარი.

**მახათი** – მახას თი. მახა დიდი და მრავალრიცხოვანი ოჯახის თავი ყოფილა. მისი ოჯახის ეს მრავალრიცხოვანი შემადგენლობა მთებიდან ჩამოსულა ამ ბარში. მათ სათავეში დიდი პაპა მახა ედგა თურმე. არის სხვა გადმოცემა, რომ შიშიანობის დროს აქ თავშეფარებულ ხალხს მახათი დაკარგვია. გადმოცემის ნაწილი იმასაც ამტკიცებს, რომ თითქოს ისეთი ტყე ყოფილა აქ, მახათს ვერ გაატარებდაო კაცი. ადგილი უძველესი ნარონია.

**მახვატურა** – მაღლარი ვაზის ჯიშია. აქ მაღლარზე ყოფილა ეს ვაზი მიშვებული.

**მახორობა** – კარ-მიდამოა, გლეხის კარ-მიდამო, რომელიც შემოკავებულია ღობით, მასში მრავალი სამეურნეო ერთეული შედის. გარდა ამისა, აქვე მცირე საყანე ნაკვეთიცაა.

**მეედანი** – მოედანი. საზოგადოებრივი შეკრების ადგილი, საჯარო, საჭარკუმო, სამარულო. მას **მედანსაც** უწოდებენ.

**მეენი ოსკალე** – გაღმა საფუტკრე. ჯორწყუს ხეობის ორივე მხარეზე არის ასეთი საფუტკრე ადგილები – **მელენი** და **მოლენი ოსკალეები** (გაღმა და გამოღმა საფუტკრეები). აქ ფუტკრები ჰყოლიათ ხელოვნურ ბუკებში. ასევე, ფუტკრები ბუდობდნენ წაბლის, ცაცხვის, ბლის, წიფლისა და სხვა ფუღურო ხეებში.

**მესარონი** – მისრას, მითრას საკულტო კერა. მისარონის უძველესი სალოცავი. ასეთი კერები ოცდაათ ადგილასაა ჩაწერილი მხარეში. არის ადგილთა სახელწოდება **მისარონიც** (იგივე მნიშვნელობის ადგილებია).

**მესხეფიშ ნოხორიი** – მესხების ნასახლარი. მესხი, მესხია გვარია.

**მექაჲაქეშ შარა** – მექალაქის გზა. ამ გზით დადიოდნენ ბაზარში.სოფელს და დაბას, სადაც იარმაკობა და საერთო ბაზრობა იცოდნენ, **ქაჲაქს** უწოდებდნენ (ქალაქი).

**მოდგუმირი** – მოდგული. ფაცხას, პიტაფიცარა სახლს, ჯარგვალს, ხან კიდევ ოდას უდგამდნენ პატარა ღობურს, ან ფიცრულს საქონლისთვის, ან სხვა საჭიროებისთვის.

**მოსკე წაჩხურა** – მდებარეობს მთა ხირზენის კალთაზე, სოფელ სალხინოდან საკმაოდ მაღლა. სახელწოდება შედგება ორი სიტყვისაგან: **მოსკე**, ე. ი. მეძევე, შეშვილე, და **წაჩხურა** – წყალცივი. წაჩხურა ამ ადგილის საერთო სახელწოდებაა მდინარის გამო, ხოლო წაჩხურუს ხატს მოსკეს უწოდებდნენ. აქ სვენებულა ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ხალხი ნაყოფიერების მომცემად თვლიდა. ამიტომ შვილოსნობას შესთხოვდა მას. დღისით სოფლებიდან ფეხშიშველი უშვილო ქალები ადიოდნენ ეკლესიის ეზოში და დაჩოქილნი შვილოსნობას სთხოვდნენ ღვთისმშობელს. ღამით ხატს უწვებოდნენ, თანაც ოქროსა და ვერცხლის ნივთებს მიართმევდნენ. აქ უძველესი დროიდან ყოფილა მოსკეს კულტი, მოსკეს საოხვამურო. მას ძალიან ძველ საოხვამუროდ თვლიდნენ.

მასზე სალოცავად სამურზაყანო-დანაც კი მოდიოდა ხალხი. იგი დიდ საოხვამუროდ და დიდ ხატად ითვლებოდა.

**მუხური** – უბანი, კუთხე. სოფელში მოსახლეობა მუხურებად, კუთხე-კუთხეებად სახლდებოდნენ. თითო მუხური თითო დინოს ეჭირა.

## ნ

**ნააბანუ** – ბატონიშვილებს მდინარე აბაშის სანაპიროზე აბანო ჰქონიათ მოწყობილი.

**ნაალანუ** – ალანიების ნასახლარი. ალანია გვარია.

**ნაარჩვუ** – მთაში არჩვების (საყავრე ფიჭვის მორების) დასამზადებელი და დასაცურებელი ადგილი.

**ნაბამბუ** – ბამბას თესდნენ წინათ.

**ნაბარქუ** – ბარქაიების ნასახლარი. ბარქაია გვარია.

**ნაბერაღუ** – ბატონიშვილებს მათი კუთვნილი მიწის მიჯნად საზაფხულო საძოვრებზე ბაირაღი – დროშა ჰქონდათ აღმართული. მათ ნაბერაღუს ეძახიან დღესაც.

**ნაბექუ** – დაბექილი, დატკეპნილი ადგილი. უძველესი ნაოხვამუ. საჯარო ადგილი იყო შემდეგ.

**ნაბინეხუ** – ნავენახარი.

**ნაგვაზუ** – გვაზავების ნასახლარი. გვაზა, ან გვაზავა გვარია.

**ნაგაგუ** – გაგუების ნასახლარი. გაგუა გვარია.

**ნაგეჩუ** – სათევზაო, თევზის დასაჭერი ღობური ყოფილა, რომელსაც გეჩას უწოდებდნენ. ამ ადგილზე დგამდნენ თურმე გეჩას.

**ნაგიბერუ** – გიბერიების ნასახლარი. გიბერია, ან გიგიბერია გვარია.

**ნაგოხორუ** – ნოხორიი, ნასახლარი.

**ნადაი,** ან **ნადეი** – დადებული, სახნავ-სათესად გამოყენებული.

**ნადგებუ** – დგებიას ნასახლარი. დგებია, ან დგებუაძე გვარია.

**ნადოხორუ** – ნოხორიი, ნასახლარი.

**ნადუქანუ** – სასოფლო დუქანი ჰქონია ადგილობრივ მეწვრილმანეს.

**ნაეზვარი** – ნაეზოვარი.

**ნაესუ** – ნასუ, ნასელარი. სელს თესდნენ წინათ სუჟები და სუჟაბერიები. აქ დღესაც მრავლად სახლობს ეს გვარეულობა.

**ნაეშმახუ** – შომახიების მუხური. შომახია გვარია.

**ნაზაფანუ** – ნაწიწაკარი. წიწაკას თესდნენ წინათ.

**ნათიფურე** – ნასათიბარი ადგილი. სათიბი ბალახი ყოფილა წინათ. დღეს ტყიანია.

**ნათოფურუ** – თოფურიების ნასახლარი. თოფურია გვარია.

**ნათურქუ** – ნათურქალი. თურქიანობის დროს აკლებული და აოხრებული ადგილები.

**ნათუთუმუ** – ნათამბაქოვარი. თამბაქოს თესდნენ წინათ.

**ნაიპარტუ** – იპარტიას კუთვნილი მამული და ციხე.

**ნაინჭუ** – ჭა ყოფილა წინათ.

**ნაისირუ** – ნაისლარი ადგილი.

**ნაკაზარმუ** – ოქტომბრის რევოლუციამდე, ვაჭრებს აბრეშუმის ფარდული ჰქონიათ სოფლებში. ასეთ ადგილებს ნაკაზარმუს ეძახიან.

**ნაკაკუ** – ტყეში ფიცრების სათლელი ადგილი.

**ნაკარუ** – ნაკარავი მთაში.

**ნაკაროუ** – იგივე.

**ნაკურტანუ** – თეთრი მიწის, გუმბრინის მაღაროა, საიდანაც კურტნიანი, საპალნიანი ცხენებით დაჰქონდათ გასაყიდად იგი მახლობელ ბაზრებში.

**ნაკვათუ** – გზის გასაყვანად გორაკია გაჭრილი.

**ნაკვეცუ** – კვეკვეციების ნასახლარი. კვეცია, ან კვეკვეცია გვარია.

**ნაკიფუ** – კიფი კანაფია. ნაკანაფარი ადგილია.

**ნაკობეშურუ** – კობეშია კვახია. ნაკობეშურუ – ნაკვახარი, კვახის სათესი ადგილი.

**ნაჲეკუ** – ჲეკი, ან ეკი, საღებავი თიხა ამოჰქონდათ ამ ადგილას. ეკი ყვითელი ფერით ღებავდა ქსოვილს და ავეჯს.

**ნამადანუ** – სპილენძისა და რკინის მადანი ამოჰქონდათ თურმე წინათ ოსტატებს.

**ნამარანუ** – ნამარნევი ადგილია.

**ნამანცხვარი** – მაცხოვრის სახელობის ეკლესია ყოფილა. უძველესი ნაოხვამუა.

**ნამაღაზუ** – ნასასიმინდარი ადგილია. ბატონის სასიმინდეები მდგარა წინათ.

**ნამაშინუ** – უცხოელ ვაჭრებს, ბერძნებსა და თათრებს ტყეში, ტეხურის და წაჩხურას ხეობებში მოუწყვიათ „მაშინები“, ხე-ტყის სახერხი მანქანები. აქ დახერხილი მასალა შემდეგ საპალნიანი ცხენებითა და ხოხიელა ურმებით ჩამოჰონდათ ბარად.

**ნამიკოლუ** – მთელი სოფელია. იგი ძველთაგანვე ცნობილია კერამიკული წარმოებით. მთელი ეს ადგილები ეწერი, ონწარე ადგილებია, საქოთნე და საქვევრო მიწებია მხოლოდ. სხვა მხრივ უმოსავლო, უნაყოფო ადგილებია. სახელწოდების შესახებ არის მრავალი გადმოცემა. ერთი ჯგუფი გადმოცემისა გვარწმუნებს, რომ აქ უძველეს დროს გვარად ნიკოლავები სახლებულან. ნიკოჲა – ასე ამბობს მეგრელი. ამიტომ ადგილს ნამიკოჲუ დაერქვაო. ზოგი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ კოლოში ყოფილა აქ გავრცელებული და **ნაკოლუ** ეწოდაო. ყველაზე საინტერესოა გადმოცემა, რომ აქ უძველესი დროიდან **კოლოებს** – პატარა სურებს ამზადებდნენ, რომელსაც დიდი მოწონება ჰქონია ყველგან. მისი პირველი ოსტატები ნიკოჲავები ყოფილან. ამიტომ ამ სოფელს ნაკოჲალო შეერქვაო.

**ნამეშხურუ** – ცხვრის მწყემსის და ფარის სადგომი. **შხური** მეგრულად ცხვარია, **მეშხურე** მეცხვარეა. სიტყვა-სიტყვით ნამეშხურუ მეცხვარის ყოფილი სადგომია.

**ნანდუ** – ნადევარი ადგილია, დევთა სამყოფი, დაწყევლილი და საშიშარი.

**ნანტკილა** – ტკილით განოყივრებული ნიადაგი.

**ნანური** – მაღლარი ვაზის ჯიშია. ჯიში აღუწერელია.

**ნაორტვილუ ნდიიში** – დევის ნაბოსტნარი ადგილი.

**ნაონთხალუ** – მიწის მეპტრონისგან სამეოთხეოდ აღებული მიწა.

**ნაოსხაპუ** – საცეკვაო ადგილი. ჯარობანა სცოდნიათ წინათ.

**ნაოღაენი** – ადგილი, სადაც მხრებით უტარებიათ საშენი ქვა მარტვილის მონასტრის ასაშენებლად.

**ნაოჭკადუ** – ნასამჭედლარი. უძველესი მეტალურგიული წარმოების კერაა.

**ნაოხვამუ** – უძველესი სარიტუალო, სალოცავი კერაა. სიტყვა-სიტყვით ნაეკლესიარია.

**ნაპარტახუ** – ჭირიანობის და მტრის შემოსევების დროს გაპარტახებული ადგილი.

**ნაჟდანოუ** – ჟორდანიების ნასახლარი. ჟორდანია გვარია.

**ნარონა** – ნადგომი. უძველესი ნასახლარია. საპოვნია ნეოლითური ინვენტარი.

**ნარონი** – იგივე.

**ნარსიუ** – ნარსიების მუხური. ნარსია გვარია.

**ნასაცოფუ** – მოსავლიანი ადგილი. კარგი მოსავალი ცოდნია.

**ნასაკირუ** – ნასაკირალი ადგილია. უძველეს დროში ყოფილა საკირე.

**ნასაონტკუ** – არაყს ადუღებდნენ თურმე ამ ადგილებში. წყლისპირზეა, მოხერხებულ ადგილას. აქ უხვადაა ჭუტა ვაშლის ნარგავები.

**ნასიაგუ** – სილაგავების მუხური. სიაგა ან სილაგავა გვარია.

**ნასიადუ** – მოსილული, სილით განოყიერებული ველია.

**ნასია** – იგივეა.

**ნატახა** – ქვის სატეხი კარიერია.

**ნატაბაკუ** – ტაბაკებს ამზადებდნენ ძველად თხმელისა და ცაცხვის ხეებისგან.

**ნატებუ** – ტყე ყოფილა უწინ. **ტები** ტყეა.

**ნაურემუ** – ურმის სავალი გზა ყოფილა.

**ნაურიში** – ურიში საკვები მცენარეა ერთგვარი. იგი მოჰყავდათ აქ თურმე.

**ნაფარიუ** – ფარულავების ნასახლარი. ფარუ̈ა, ან ფარულავა გვარია.

**ნაფარონუ** – ფარონი ღომის გასახმობი ღობური ნაგებობაა. ნაფარონალი ადგილია.

**ნაფაცხუ** – ნაფაცხარი ადგილია.

**ნაფეტეჲუ** – ფეტელავების ნასახლარია. ფეტეა, ან ფეტელავა გვარია.

**ნაქვიშა** – ქვიშით განოყიერებული მასივია.

**ნაქეროუ** – ნაქერალი. ქერის სათესი ადგილი.

**ნაქობალუ** – ნაპურალი. ხორბალს თესდნენ თურმე წინათ ამ ადგილებში.

**ნაღვინჯილუ** – ღვინჯილიების მუხური. ღვინჯია, ან ღვინჯიია გვარია.

**ნაღეჯერა** – ნაღორალი. ღორების გასაშვები ადგილი. ტყიანი, მაგრამ ჭაობიანი და ლაფიანი ადგილი.

**ნაღუმუ** – ნაღომარი. ღომს თესდნენ წინათ.

**ნაცუდერა** – ნასახლარი. სახლი მდგარა.

**ნაშენი** – ვაზნარი, განსაკუთრებით მონაშენებული ადგილი. სანახევროდ და სამეოთხოდ გაცემული.

**ნაშეფუ** – შეფას აწყობდნენ თურმე ყმები დადიანებისთვის ლხინის გა-

სამართავად. შეფა მწვანით შეკრული ფარდულია, დროებით სალხენი და დროის გასატარებელი ნაგებობა. ასეთი შეფას მოწყობა და აქ ლხინის გამართვა ვალდებულებად ჰქონდათ ინჩხურის გლეხებს.

**ნაშხურეში** – ცხვრის სასაძოვრო ადგილი ყოფილა წინათ.

**ნაჩაგინუ** – ჩაგუნავების მუხური. ჩაგინა, ან ჩაგუნავა გვარია.

**ნაჩიჲაჩუ** – ჩიჲაჩების მუხური. ჩიაჩა, ან ჩილაჩავა გვარია.

**ნაჩხვერუ** – ნაღომარი ადგილია. ჩხვერი ღომს ჰქვია.

**ნაჩხოუჲუ** – ძროხების საბალახო ადგილი ყოფილა.

**ნაცანუ** – ცანავების ნასახლარი. ცანა ან ცანავა გვარია.

**ნაძიძოუ** – ძიძისთვის ნაჩუქარი ადგილია. ბატონს თავისი ძიძასთვის უჩუქნია ეს ადგილი.

**ნაწისქვიუ** – ნაწისქვილარი.

**ნაჭვი** – მტრის შემოსევისას გადანაწვავი ადგილია.

**ნაჭვუ** – ჭვავი ეთესა წინათ.

**ნაჭითანუ** – ჭითანავების ნასახლარი. ჭითანა, ან ჭითანავა გვარია.

**ნაჭკიდუ** – ნამჭადარი. ჭადა-ჭადას თესდნენ.

**ნაჭკადური** – ნასამჭედლარი. უძველესი მეტალურგიული წარმოების კერაა.

**ნაჭკირა** – საფოსტო გზის გასაყვანად მდინარისპირია გაჭრილი.

**ნახარანუ** – ხარანის ჯიშის ვაზი ყოფილა წინათ აქ.

**ნახარებუ** – აქ ქრისტიანებს მორწმუნეებისთვის უხარებიათ ჩვენს მხარეში ქრისტიანული სარწმუნოების გამარჯვების შესახებ.

**ნახარდანუ** – ხარანის ჯიშის ვაზის ხარდანი ყოფილა მოწყობილი აქ.

**ნახატური** – ხატის კუთვნილი მამული.

**ნახაჯუ** – ნაცერცვალი ადგილი. **ხაჯი** ცერცვია.

**ნახეკა (ზუგა)** – მიწაზვინულია, ხელოვნური ბორცვია. არის გადმოცემა, რომ აქ თამარი თავის ლაშქრით დაბანაკებულა. ლაშქრის ფეხსაცმლის ნაფხეკი მიწისგან აღმართულა ეს გორაკიო.

**ნახეცუ** – ხეციების ნასახლარი. ხეცია გვარია.

**ნახუნუუ//ნახუხუნუ** – ხუხუნების ნასახლარი. ხუხუნი გვარია.

**ნახურციჲუ** – ხურცილავების ნასახლარი. ხურცია, ან ხურცილავა გვარია.

**ნაჯახუ//ნაჯახაო.** ჯახუების ნასახლარი, ჯახუა გვარია.

**ნაჯარგვაჲუ** – ჯარგვალი მდგარა წინათ. იგი ტყვეთა მსყიდველების და ყაჩაღთა ბუნაგი ყოფილა.

**ნაჯოგუ** – ნაჯოგარი ადგილია, ჯოგის სადგომია.

**ნეძგიდეჲა** – ნიგვზნარი. ნიგვზის ხე, რომლიდანაც ნაყოფი გიდეჲით ჩამოჰქონდათ.

**ნეძმამუი** – ნიგვზნარი მამული.

**ნეძონა** – ნიგვზნარი.

**ნერჩი** – ძირი, ფუძე.

**ნობულევი** – ნაბალარი. ბლის ტყე ყოფილა წინათ.

**ნოდარბაზენი** – დარბაზები მდგარა ოდესღაც. შესანიშნავი ქალაქი ყოფილა აქ, დარბაზებიანი ქალაქი.

**ნოდიკარი** – ნადის კარავი. ნადი აქ ითენებდა ღამეს.

**ნოდიში** – ნადის ადგილი. ვრცელი მინდორი, რომელსაც ნადობის წესით ამუშავებდნენ გლეხები.

**ნოისირუ** – ნაისლარი. ისლი ეთესათ წინათ.

**ნოკარენი** – ნაკარავი.

**ნორინი** – ნადგომი, უძველესი ნასახლარი.

**ნოქაჲაქენი** – ნაქალაქარი.

**ნოღა** – მდინარის პირი. გაშლილი ჭალა, სადაც ჯარობა და საზოგადოებრივი თავყრილობა ხდებოდა.

**ნოხირზენი** – გასახიზნი ადგილი. შიშიანობის დროს აქ იხიზნებოდა ხალხი.

**ნოხორიი** – ნასახლარი.

**ნოხოჯური** – ხარების ჯოგის სადგომი ადგილი.

**ნოხუენი** – ფხალი მოყავდათ წინათ.

**ნოჯიხენი** – ნაციხარი.

**ნუზუონი** – ნაძვნარი.

## ო

**ოაკაცე** – აკაციების ტყე ყოფილა წინათ. სააკაციო ადგილია.

**ობამბე** – ბამბა მოჰყავდათ წინათ.

**ობატე** – ბატების გასაშვები ადგილია. მახორობაშიც ჰქონდათ ობატე ნაგებობა, სადაც ღამე ამწყვდევდნენ ბატებს.

**ობერგული, ობერგე** – სათოხნი, თოხის დასამუშავებელი ადგილები.

**ობინეხე** – სავენახეა.

**ობჟაჲე** – სამზეო. მზისგული ადგილია. აქ ობჟაჲე, ან ოჯაჲე ჯიშის ვაზი ყოფილა მაღლარზე მიშვებული.

**ობჟაჲეში** – ობჟაჲეა, მზისგული ადგილია, ობჟაჲეში ვაზის ჯიშია, იგივე ოჯაჲეშია.

**ობრინჯე** – ბრინჯს თესდნენ წინათ აქ.

**ობრუი** – სამარულო, სარბენი, სადოღო ადგილია.

**ობუკე** – საფუტკრე ადგილი. ფუტკრის სკები, ან ბუკები მდგარა წინათ. აქ ბუკებსაც თლიდნენ თურმე და აქედან ბარში ჩაჰქონდათ.

**ოგინე** – სახბორეა. განსაკუთრებული ადგილია ხბოებისთვის. სახბორე პატარა გადახურულ აგვარაშიც ჰქონდათ გლეხებს.

**ოგირინე** – სასახედრო ადგილია. **გირინი** სახედარია.

**ოგუმარე** – გვიმრიანი ადგილია. გვიმრნარია.

**ოდაჩხირე** – ცეცხლის დასანთები მყუდრო ადგილია მთაში.

**ოჲეკეში** – ეკის, ან მინერალური საღებავის ადგილია.

**ოთაეში** – ოთაეში საჩეჩელია. აქ მატყლის საჩეჩელს ამზადებდნენ თურმე.

**ოთიფური** – სათიბი.

**ოთხაჲე** – სათხო ადგილი. თხის საბალახო იალაღი.

**ოთხოროუ** – სამარხი.

**ოისირე** – საისლო.

**ოკალმახე** – საკალმახო ადგილი. კალმახები სცოდნია ბევრი.

**ოკარიე** – საქათმე. კარიე ქათამია.

**ოკაცე** – საკაცო, ეშმაკეული და დაწყევლილი ადგილი. ოჩიკოჩების სამყოფი.

**ოკებურე** – კერიის ქვის გამოსათლელი ადგილი. კებური კერიაა.

**ოკეეში** – პურის გასამკელი, სალეწი ადგილი.

**ოკელეში** – იგივეა.

**ოკირე** – უძველესი საკირეა. აქ დღეს კირის გამოწვა არ ხდება. ნაპოვნია უძველესი საკირე ორმო.

**ოკიფე** – საკანაფარი. კანაფის სათესი ადგილი.

**ოკოტუე** – საქოთნე. ქოთნების დასამზადებელი წითელი მიწა ამოაქვთ.

**ოკოჩე** – ოკაცე. ოჩოკოჩების, ტყისკაცების, ავსულების ადგილი. დაწყევლილი და საშიში.

**ოჲაგვანე** – საქვევრო. საქვევრო, ქვევრების დასამზადებელ მიწას თხრიდნენ. ოჲაგვანე ადგილებს უწოდებენ კარ-მიდამოებში ისეთ ადგილებს, სადაც ქვევრებს ყრიდნენ ხოლმე. ქვევრების სამანად საუკეთესო ადგილები.

**ოჲაგვანე დიხა** – საქვევრე მიწა.

**ოჲაგე** – ღობეზე მეზობლის კარ-მიდამოში გადასასვლელი. დაბალი ღობე. გადასასვლელად მოსახერხებელი.

**ოლეკე** – ეკის კარიერი.

**ოლობიე** – სალობიო. ადგილია, სადაც ლობიოს თესდნენ.

**ომინჯე** – მეპატრონისა. საპატრონო. მიწა, რომელიც პატრონის კუთვნილებას შეადგენდა.

**ონახუეში** – ადგილი ღელეზე, სადაც სარეცხს რეცხდნენ ქალები.

**ონთხუ** – სამეოთხედოდ აღებული მიწა.

**ონიორე** – სანივრო ადგილი, სადაც ნიორს თესდნენ.

**ონისორე** – ადგილები ტყეში, სადაც ნისორს, გობს თლიან.

**ონოქერე** – ნაქერალი. ქერს თესდნენ წინათ.

**ონოშქვერე** – სანახშირო. ადგილი, სადაც ხის ნახშირს წვავდნენ წინათ. ხის ნახშირს სამჭედლოებში იყენებდნენ.

**ონწარე** – ჭაობიანი, წყლიანი ადგილი.

**ორეკეში** – ადგილი, სადაც სამრეკლო იყო მოწყობილი. ძველად ძელი იყო აღმართული, შემდეგ ზარები ეკიდა ძელზე, ან ხეზე, სათემო, საზოგადო კრებაზე ხალხის მოსაწვევად; სოფელს ახალ ამბებს ატყობინებდნენ, უბედურებას, მტრის შემოსევას აცნობებდნენ ძელის დარტყმით, ან ზარის რეკვით.

**ორიკეში** – ადგილი, სადაც რიკტაფელას თამაშობდნენ.

**ოროდინეში** – ადგილი, სადაც როდინის ქვებს ეძებდნენ.

**ორტვინი** – ბოსტანი. **ორტვიისაც** იტყვიან. უფრო ხშირად უკანასკნელს ამბობენ.

**ორქა** – ადგილი, სადაც საქონელს საბალახოზე შებორკილი – დოქაირი უშვებდნენ. ორქაჲარი შესაბორკი ადგილია. სოფლის სახელწოდებაა.

**ორჩხენა** – ორჩხეშის გასაკეთებელი ადგილი. ორჩხეში ბლის ტყავის განსაკუთრებული ჯაგრისია, ქვევრების სარეცხად. ორჩხეში ხანჯლისა და დანის ბოხჩებიცაა.

**ოსიმინდე** – სასიმინდე. სასიმინდის ნაკვეთები.

**ოსიჲე** – ადგილი, სადაც მდინარის შლამი ამოჰქონდათ ყანების გასანოყიერებლად.

**ოსკაჲე** – საფუტკრე. ადგილი, სადაც ფუტკარი ჰყავდათ მოშენებული.

**ოსკიბუე** – ადგილი, სადაც წისქვილის ქვებს, სკიბუებს თლიდნენ.

**ოსქუ** – საღორეა, საღორე ნაგებობაა. ეზოში, საკარმიდამო ნაკვეთზე, ან კიდევ საღორე საძოვრებზე აგებდნენ.

**ოსხაპუე** – საცეკვაო. ადგილი, სადაც ჯარობა იმართებოდა.

**ოტყაჲმაფე** – ადგილი, სადაც ხალხის რწმენით, ალი, ტყის ქალი ტყაშმაფა, ტყის დედოფალი ბუდობს. ეშმაკეული და დაწყევლილი ადგილი.

**ოტახაი** – ქვის სამტვრევი ადგილი.

**ოფიცარე** – ადგილი, სადაც ფიცრებს თლიდნენ. შემდეგ ხელის ხერხით ხერხავდნენ.

**ოფუცხოი** – ყაჩაღების ადგილი, ძლიერ საშიში. ამიტომ მგზავრი ჩქარა, სირბილით გაივლიდა ამ ადგილებს. **მიიფურცხოჲუდუ** – მიიჩქაროდა, მირბოდა. აქ დღეს აბჰესია აშენებული.

**ოფუჯე** – უშობელების გასაშვები ადგილი. **ფუჯი** უშობელია.

**ოქაბარკე** – ადგილი, სადაც ქაბარკებს დგამდნენ და ხის ჯამ-ჭურჭელს ამზადებდნენ ქაბარკებით.

**ოქაჯე** – ქაჯების ადგილი, უწმინდური და დაწყევლილი.

**ოქერეში** – ნაქერალი.

**ოქობაე** – ნახორბლალი, ადგილი, სადაც ხორბალს თესდნენ.

**ოქოთომე** – საქათმე.

**ოღაჭუე** – ღაჭუების ნასახლარი. ღაჭუა გვარია.

**ოღეჯე** – საღორე, ღორების გასაშვები ადგილი, წაბლნარი, ნესტიანი და წუმპიანი ადგილი.

**ოღუმოი** – საღომო. ადგილი, სადაც ღომს სთესდნენ.

**ოცურძენე** – საყურძნე. ადგილი, სადაც ნარჩევი სამაჭრო ყურძენი იყო მაღლარზე მიშვებული. მის ნაყოფს ყურძნად, ხილად იყენებდნენ.

**ოშხურე** – საცხვრო იალაღი.

**ოჩე** – ჩეშის ჯიშის ვაზის მაღლარი იყო ხურმის ხეებზე. მთელი სოფელია.

**ოჩხოუეში** – საძროხო, საძოვარი, რომელიც მეწველი ძროხებისთვის იყო შერჩეული.

**ოჩხომური** – სათევზაო. მდინარე, რომელმაც თევზი იცოდა უხვად.

**ოჩხონაფუ** – გადმოგვცემენ, რომ ტეხურის ამ მცირე, მაგრამ საკმაოდ გაშლილ და უაღრესად ნაყოფიერ ადგილზე უხსოვარ დროში საოხვამურო ყოფილა. როგორც მოხუცები გვიამბობენ, აქ იმ უხსოვარ დროში ჟინანთარს სწირავდნენო მსხვერპლს და სთხოვდნენო ოჯახის კეთილდღეობას. ვინც ამ ჭალის ნაკვეთს მოხნავდა, იგი ღვთისგან ნაყოფიერებით სავსე ხდებოდა, ე. ი. ჩხონაფირი, ცხონებული. ამიტომ ადგილს ოჩხონაფუ შეერქვა. სოფლის თითქმის ყველა მკვიდრს, უმეტესობას მაინც, ამ ადგილას მცირე ნაკვეთი ჰქონდა სახნავად, საბოსტნედ მაინც. „დალოცვილი მიწაა, კაკალი მარცვალი ზედ რომ დააგდო, გაიხარებს და ნაყოფით

დაიტვირთებაო“ – ამბობენ მოხუცები.

**ოცე** – სათხო ადგილი, თხების საძოვარი.

**ოციე** – იგივეა.

**ოცუმე** – თევზების საყრელ ადგილად ჰქონდათ მინიშული.

**ოცხენია** – საცხენო ადგილი.

**ოცხენე** – იგივეა.

**ოძიე** – თევზის საძებნი ადგილი. აქ, ამ შესანიშნავ, ჭორომიან და კირქვების კიბის მსგავს კალაპოტიან ადგილას იცოდა კალმახმა თავის მოყრა. აქ იჭერდნენ ბევრ თევზს.

**ოწურბეჯე** – საწურბლე. ადგილი, სადაც გუბეებში ბევრი წურბელა იცოდა. მას იჭერდნენ და ბაზარში გაჰყავდათ გასაყიდად. იყენებდნენ სამკურნალოდ, სისხლის გამოსაშვებად.

**ოჭარკუმეში** – საჯარო მოედანი, სადაც ჭარკუმს თამაშობდნენ.

**ოჭარკუმე** – იგივეა.

**ოჭიკეთი//ოჭინკეთი** – ჭინკების თავშესაყარი ადგილი, შემდეგ საჯარო და საჭარკუმო.

**ოჭირე** – საჭირო ადგილი. ჭირისა და უბედურების დროს თავდასაცავი.

**ოჭინუე** – საწკნელო ტყე.

**ოჭკადური** – სამჭედლო. უძველესი მეტალურგიის კერაა.

**ოხარხინე** – ადგილი, სადაც ყურძნის საწურს, ხარხინს დგამდნენ.

**ოხაჩქუე** – ობერგე, სათოხნი ადგილი.

**ოხვამე** – ეკლესია. ეკლესიის კარ-მიდამო.

**ოხვამერი** – სალოცავი.

**ოხორი** – დასასახლებელი; დასახლებულობა.

**ხორინი** – დასახლებულობა. **ოხორი** დასასახლებელი ადგილია.

**ოხონალი** – სახნავი ადგილები.

**ოხოჯე** – ხარების საძოვარი, პირუტყვთა საიალაღო და სანავარდო. ნაკლებად ბალახიანი, მაგრამ ნაკლებად სახიფათო, უფრო გაშლილი ველიანი.

**ოხოჯური** – სახარე ადგილები, ადგილი, რომელსაც ხარები მიუდგება.

**ოხოპე** – ხოპებს ამზადებდნენ. ხოპი მწნილის, საოტკე მასალის, ლობიოს და სხვათა ამოსაღები გრძელი ხის კოვზია – ჯამი; წყლის ამოსაღებადაც იყენებენ. სიგრძით იგი 1,5 მ მეტია. ჯამის სიგანე ხშირად 20-25 სმ-ს აღემატება.

**ოჯალეში** – ამ ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე მიშვებული.

**ოჯარე** – საჯარო, დროის გასატარებელი ადგილი.

**ოჯოღორე** – საძაღლო ადგილები, ძაღლსაშენები.

## პ

**პერტიაშ ნოხორიი** – პერტიას ნასახლარი. პერტია გვარია.

**პერკი** – მაღლარი ვაზის ჯიშია. ამ ვაზის მაღლარი იყო აქ, მრავალწლოვანი ხურმის ხეებზე მიშვებული.

**პანეში** – მაღლარი ვაზის ჯიშია. ამ ვაზის მაღლარი იყო აქ ხეებზე მიშვებული.

**პაპახირზენი** – ჭირიანობის დროს მღვდელი გახიზნულა.

**პატონიშ ნოხორიი** – ბატონის ნასახლარი.

**პატონწყუ** – ბატონის წყაროსწყალი.
**პატონსქუაშ ნადოხორუ** – ბატონიშვილის ნასახლარი.

**ჟ**

**ჟინოთა** – ჭყონის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი უბნის სახელწოდებაა. წინათ საერთოდ სოფელ ჭყონს ასე ეძახდნენ. მას მხოლოდ რევოლუციის შემდეგ ეწოდა ჭყონი. ჟინოთა ორ ნაწილად იყოფა. ჟინო-თა ღვთაება ჟინანთარის, ჟინოს საუფლო სოფელია. აქ სცოდნიათ ამ ღვთაების ხვამა – ლოცვა, დღესასწაული, რომელზედაც შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდა ხალხი. სულ ოხონაჲი ადგილები ყოფილა. მდ. ღვანდარაზე ჟინოში კითები ცოდნია. **ჟინოში კითი** გრძელი თევზია, ძლიერ მოძრავი. ამბობენ – ჟინომ ამ მდინარეში თითი ჩაყო და მისგან წარმოიშვა ეს თევზებიო. ისინიც პატივისცემის საგანი ყოფილა.

**რ**

**რეხა** – ქვიანი, კადარი მდინარისპირი, ჭალა.
**რახა** – ქვიანი, კადარი, გაშლილი ადგილი.
**რზენი კურზუ** – ვაკე კურზუ. ვაკე ადგილია კურზუ.
**რზენი საკირე** – ვაკე საკირე. ოდესღაც აქ საკირე ყოფილა. გაშლილი, ვაკე ადგილია, კადარიანი.
**რკინაწიდა** – ძველი მჭედელი მდგარა აქ.
**რკინანოხორიი** – რკინა ნასახლარი.
**როკონა** – როკნარი. წაბლის როკიანი ტყე.

**ს**

**საანგურო** – სააგურო. აგურის ქურა ყოფილა წინათ.
**საარიკი** – რიკტაფელას სათამაშო ადგილი, საჯარო და სანავარდო.
**სააფუნო//ჯაჲონა** – ტყიანი ადგილი, მთის ტყიანი მასივი, სადაც საქონელს აჩერებენ მესაქონლეები ბარში ჩამოდენისას და ბარიდან საზაფხულო საძოვარზე ადენისას.
**საბეკი** – სამარულო მოედანი. გაშლილი ველი, სადაც ცხენოსნურ ვარჯიშს, თამაშს, მარულას აწყობდნენ. აქ ცხენების სადგომიც იყო. ამ გაშლილ ადგილზე ცხენები დარბოდნენ, თავისუფლად ლაღობდნენ, ბეკავდნენ.
**საგეგეიო** – გეგეჲების მუხური. გეგეჲია გვარია.
**საგორაო** – ხე-ტყის დასაგორებელი ადგილი მთიდან.
**საგუბი** – დასაგუბი და წყლის მოსარწყავად მისაშვები ადგილი მდინარეზე.
**საერქვანიო** – ერქვანიების მუხური. ერქვანია გვარია. ერქვანიები მიწათმოქმედი გლეხები არიან, გუთნის დედები, ოგაფას – კავის ოსტატები.
**საესვანჯიო** – ესვანჯიების მუხური. ესვანჯია გვარია.
**საეჩხომო შარა** – სალეჩხუმო გზა. ლეჩხუმში გადასასვლელი ბილიკი მთაზე და საურმე გზა – ბარში. სალხინო-ბალდა; სალხინო-ინჩხური-სუხჩე-დიდღვაბუნა, გორ-

დი-ცაგერი; მარტვილი-ხუნწი-სუხ-ჩე-გორდი-ცაგერი.

**სალეკია** – მინერალური საღებავი – ეკი ამოჰქონდათ წინათ (გურძემი).

**სამეზობლო//სამეძობლო** – სამეზობლო მუხური. საძმო მუხური. მეძობეᲲის იტყვის მეგრელი. **მოჯიმალე** – მოძმე.

**საკირე** – საკირე ყოფილა უძველესი. ოდესღაც წვავდნენ აქ კირს...

**სალიპარტიანო//ლიპარტიაში** – სალიპარტიანო, ლიპარტიანის სმამული (გურძემი).

**სალური** – მაღლარი ვაზის ჯიშია. ჯიში აღუწერელია (გურძემი).

**სალხინო** – სოფლის ცენტრის სახელწოდება ყოფილა. სალხინო და სანავარდო ადგილი. მას კალმახით მდიდარი წაჩხურა ჩამოუდიოდა. მრავალ ადგილას იყო ცივი წყაროს წყლების თვლები. აქ დიდ მასივზე იყო ოჯალეში და ხეხილნარი. უძველესი დროიდან სალხინოდ, წაკორტად – წალკოტად ითვლებოდა.

**სამარჭო** – ვაზის ჯიშია მაღლარზე.

**სამოთხე** – ბუნებით მშვენიერი და მდიდარი ადგილი, სულ წალკოტი, მთავრის, დიდებულის რეზიდენცია. ირგვლივ წალკოტებით, სანავარდო, სალხენი და სალაღობო ადგილებით, ბაღ-ვენახებით, წყაროსწყლებით, მდიდარი ტყითა და ხოდაბუნებით (ბანძა).

**სამოთხე კარი** – სამოთხის კარი. მოედანი რეზიდენციის წინ, სარიტუალო-საკულტო ადგილით, მოგვიანებით – ეკლესიით (ბანძა).

**სამოხიო** – ერთი დინოს მოსახლეობის მუხური, მგლოვიარე ოჯახის სამახოენი – სამახლობელი, მახლობელთა უბანია. სამოხიო ლხინისა და მგლოვიარობის დროს ოჯახის ჭირისუფალია, მოტირალი და მომლხენია. სოფელი რამდენიმე სამოხიოდ იყოფა.

**სანადარაიო** – ნადარაიების მუხური. ნადარაია გვარია.

**სანავარდო** – ადგილია მარტვილის მონასტრის სამხრეთ ფერდობზე, ნახარებაოს ეკლესიასთან. უძველესი წალკოტი, სალხენი და დროის გასატარებელი ადგილი, სანავარდო ადგილი ყოფილა, ბაღ-ვენახებით დაბურული, ველიანი.

**სანარუსქუო** – ნარუსქუაების მუხური. ნარუსქუა, ან ნაროუშვილი გვარია.

**სანაჭყეპიო** – ნაჭყეპიების მუხური. ნაჭყეპია გვარია.

**სანეში** – მაღლარი ვაზის ჯიშად ითვლიან. ჯიში აღუწერელია.

**სანური** – იგივეა.

**საორტვინე** – საბოსტნე.

**საონდიარო** – საძოვარი, საბალახო.

**საოდიშო** – ოდიშის მთავრის ასაძოვრო მასივი.

**საოტკო** – საარაყო. არყის გამოსახდელი ადგილი.

**საოხაფუ** – მაკე და ახალმოგებულ ძროხათა საძოვარი საზაფხულო იალაღებზე.

**საპატონო** – საბატონო მამული.

**საპირე** – საქონლის ბაგა კარავში.

**სარიკეში** – რიკტაფელას სათამაშო, საჯარო ადგილი.

**სასერო** – ღამესათევი და საჯარო ადგილი.

**საფარონი** – სოფლის ქარისგან დამცველი, საფარი ტყის მასივი. დღეს ველიანია.

**საფაღუე** – ფაღავების მამული. ფაღავა თავადის გვარია.

**საქაცარო** – ქაცარავების მუხური. ქაცარა, ან ქაცარავა გვარია.

**საღვთო საოხორო** – საღვთო სამოსახლო. ღვთით დალოცვილი სამოსახლო. მდიდარი და ნაყოფიერი.

**საცვანო** – საყანე.

**საყარაუჲო** – სოფლის განაპირას, მისასვლელებთან, სოფელი ყარაულებს აყენებდა ტყვეთა მსყიდველების წინააღმდეგ, რადგან ისინი იჭრებოდნენ სოფლებში და იტაცებდნენ ბავშვებსა და ქალებს და გაჰყავდათ გასაყიდად სათათრეთში.

**საჩახუე** – ჩახავების მამული. ჩახავა აზნაურთა გვარია, მათ დიდი უბანი ეჭირათ სერგიეთ-ნახუნაოში. ჰქონდათ კარ-მიდამოები ერთმანეთის მოშორებით, ყმა გლეხების კარ-მიდამოებს შორის.

**საჩეხი** – საჩეხად მიჩენილი ტყის მასივები.

**საჩიქვანო** – ჩიქვანების კუთვნილი მამულები.

**საციო** – აზნაურთა და გლეხთა საცილო მიწა.

**საწერექო** – წერექო იყო მასიურად. წერექო ერთგვარი მაღალი ბალახია. მას ძლიერ ეტანება საქონელი.

**საჭაპანო** – საჭაპანო გზა მთაში.

**საჯვარო** – საოხვამურო, პატარა ნაგებობა ვენახში.

**სერიში** – სასერო, ღამესათევი ადგილი.

**სიბა** – სიბა კარის ადგილი; ხეობის ვიწრო ყელი.

**სიბა კარი** – ლარტყებით შეკრული კარი.

**სოფეი** – სოფელი.

**სტეფაშ ნადუქანუ** – სტეფა დანელიას ნადუქნარი.

## ტ

**ტაბაკური** – ტაბაკივით სწორი ველი მდ. აბაშის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბანძასთან.

**ტაბაკოჲა** – ტაბაკივით გაშლილი თხემიანი მთა, ეშმაკთა თავყრილობის ადგილი. გადმოცემით, აქ ჭინკობა ღამეს სოფლებიდან ამოდიოდნენ საწნახელაკიდებული ეშმაკი ქალები, რომელთაც მოჰქონდათ მათ მიერ მოჯადოებულ ადამიანთა ნივთები. აქ ყრიდნენ მათ განსაკუთრებულ ცეცხლისმფრქვეველ ჭაში, სადაც ეშმაკთა მეფე იჯდა და იწყებდნენ ცეკვასა და როკვას ჭის გარშემო. მთელ ღამეს იქ რჩებოდნენ, დილით კვლავ სოფლებში ბრუნდებოდნენ. ტაბაკია მთაა. ტაბაკი პატარა, ოთხკუთხა, დაბალი, გრძელი მაგიდაა, რომელზედაც სადილობდნენ ხოლმე ამ კუთხის მცხოვრებლები. ხშირად ტაბაკი ერთიანი ფიცრისგან მზადდება. მას ხვრეტენ ოთხივე კუთხეში და ფეხებს უყრიან. ტაბაკთან ჯირკოებზე სხდებიან ხოლმე.

**ტალერი** – ადგილი, სადაც ტეხურს ჩამოჰქონდა მთიდან ჩამოცურებული ხე-ტყის მასალა. აქ უცხოელ ვაჭრებს ჰქონდათ სავაჭრო კარვები. აქ მოიჯარადეები მუშებს შრომის ხელფასს ფრანგული მონეტით – ტალერათი უხდიდნენ. ამიტომ ამ სოფელს **ტალერი** ეწოდა – ადგილი, სადაც ტალერას იძლევიან.

**ტარეში** – კინჩხაში ეკლესუანი, ნაოხვამუა, სადაც დღესაც დგას მრავალსაუკუნოვანი სარიტუალო ხე – ურთხელის ხე. აქ გადმოცემით ტარეშის ღვთაებას სცემდნენ თაყვანს. ტარეში ხის სახით ჰქონიათ წარმოდგენილი. შემდეგ წმინდა გიორგის ტარეშის ხატი სვენებულა აქ. ტარეშს მსხვერპლად ხარს სწირავდნენ თურმე.

**ტები** – ტყე.

## უ

**უნაგირა** – უნაგირასავით გორაკია. ასეთი სახელწოდება მრავალ ადგილასაა. მათ შორის ძველ სენაკთან დღესაც მთას უნაგირას ეძახიან. კინჩხაშიც არის უნაგირა.

**ურიაკარი** – ურიას კარი. მოედანი, სადაც პირველად ვიღაც ფაღავას ჩამოუსახლებია პირველი ებრაელი. აქ მოუწყვია მისთვის სავაჭრო და საცხოვრისი კარავი.

**უშქურონა** – ვაშლნარი.

**უჩადიხა** – შავმიწა, შავნიადაგი. მოსავლიანი, ნაყოფიერი.

**უჩანოხორიი** – შავნასახლარი, ჭირისა და მტრის შემოსევის გამო გადაშენებულ-აოხრებული.

**უჩაშონა** – ვაზის ჯიშია მაღლარზე.

## ფ

**ფაკუთი** – ფაკუს თი. ფაკუს ოხორი.

**ფაქარი** – მსუბუქი, ადვილად დასამუშავებელი მიწა. ხვნისას ნიადაგი სულ მტვერივით ცვივა, საშუალო მოსავალი იცის. უფრო გორაკის ფერდობებია, ხშირად ჯაგნარიც.

**ფაღვაშ ნადოხორუ** – ფაღავას ნასახლარი. ფაღავას სასახლე მდგარა ოდესღაც.

**ფაჲაგე** – კარ-მიდამოს ეზოს განაპირა, ხეებიანი ზღუდარია, ანგაროა. ანგარო მთელი ზოლია, ხოლო ფაჲაგე მცირე მონაკვეთია ამ ზოლში.

## ქ

**ქართა** – საქონლის საზაფხულო, ღამესათევი ჩიხია, ღობით შემოღობილი. გადასაწვიმებლად ჩხანჭის – ისლით დახურულ, ოთხ ბოძზე მდგარ ფარდულს აკეთებდნენ ქართის ერთ-ერთ კუთხეში. მთიან ზონაში ქართას **აგვარას** უწოდებენ.

**ქართაში** – ქართას მოსაწყობი ადგილი.

**ქაცარიშ ნაციდერა** – თიკანი მიუციათ ამ ადგილის საფასურად. **ქაცარი** თიკანია.

**ქაჯიშ ნამარანუ** – ქაჯების ნამარნევი, ქაჯების მარანი. არის გადმოცემა: აქ სამგალავნიანი ციხე-ქალაქი ყოფილა. გვიან აქ ურწმუნო ქაჯები ცხოვრობდნენ, რომლებიც ქრისტეს არ სცემდნენ თაყვანს. ეტყობა, ამ ქალაქში წარმართები მომწყვდეულან, მათი კუთვნილი

ციხე-ქალაქი გამხდარა. მათ აბაშის სანაპიროზე ზვრებიც ჰქონიათ ჩეშის მაღლარით. ამ ადგილს ახლაც **ჩეშონას** უწოდებენ. აქ დაკრეფილი ყურძნის ღვინოს ქაჯები ქალაქის მარანში ინახავდნენო. ქალაქის ერთი, სამხრეთი ნაწილი მარანი ყოფილა.

**ქეჯვარი** – ქვის ჯვარი. ამ ადგილას, უხსოვარი დროიდან ქვის ჯვარი ყოფილა აღმართული, რომელსაც ხალხი თაყვანს სცემდა. ქვის ჯვარი დღეს არსად არის, მაგრამ ხალხი მაინც თაყვანს სცემს ამ ადგილს, წმინდა ადგილად მიაჩნია იგი.

**ქვაითი** – ქვეითად მავალის გზა. ახლა სოფელია. მას ქვეითს, ან ქვაითს უწოდებენ. მასზე უძველესი გზა გადის. ამ გზის ნაპირას ათასწლოვანი ცაცხვი დგას. არის გადმოცემა – ამ ხით იკვლევდნენო გზას. ასეთი ხეები ერთმანეთის პირდაპირ, მთელი გზის გაყოლებაზე მდგარა.

**ქვიბია** – მთათაშორის ქვაბური ადგილი.

**ქვიშნარი** – ქვიშიანი, ნაქვიშა ადგილი.

**ქვიშა** – იგივე.

**ქობალიაში კარი** – მესაქონლე ქობალიას მუდმივი კარავი, მისი მუდმივი საცხოვრისი სააფუნოში, ან ტყიანში, შერეული ტყის ზონაში.

**ქორთნოხორი** – ქართველის ნასახლარი. ქორთუს ეძახიან იმერელს და სხვა კუთხის ქართველებს. იმათ, ვინც სხვა კილოკავზე მეტყველებენ. ასეთი ქართველები, ხშირად ბატონს გამოქცეულები, ჩამოდიოდნენ დადიანთან, ეხიზნებოდნენ მას და დადიანის განკარგულებით სახლდებონენ ამ მხარეში.

**ქოჯოში** – იგივე **კოლოში**, მწარესი. ვაზის ჯიშია.

**ქუაჯონი** – ქვებიანი, ქვიანი ადგილი.

**ქუაჩამური** – ქვის ჩამურის სათლელი ადგილი. ჩამური ღომის საცეხვი, ამოღრუებული ხის მორია, ან ქვის ლოდის ამოღრუებული ვარცხლის მსგავსი დგამია. ქუაჩამური ქვის ჩამურია. აქ სწორედ ასეთ ჩამურებს თლიდნენ.

**ქუთეიაშ ნაციდერა** – ქუთელიას ნაყიდი მიწა. ადგილობრივი მემამულისგან ქუთელიას შეუძენია მიწის დიდი ფართობი. მას დღესაც ამ სახელს უწოდებენ.

**ქუთუშ ნაკარუ** – ქუთუს ნაკარვალი. აქ მესაქონლე ქუთუს მუდმივი კარავი ჰქონია. ადგილზე აიკრიფა უძველესი მეტალურგიული წარმოების და ბრინჯაოს ეპოქის შესანიშნავი მასალები.

**ქუფე** – წკნელით სამმხრივ შემოღობილი დიდი კალათია. ბატების, ფრინველთა, ხბორების დასამწყდევად; ურმით მათ გადასაყვანად იყენებდნენ ამ ინვენტარს.

**ქუქითი** – ქუქის თი, ქუქის ოხორი.

## ღ

**ღაირი სოფელი** – წყალდიდობის დროს მდინარის მიერ წაღებული, წალეკილი სოფელი.

**ღობერი** – წკნელით შემოღობილი, წკნელის ღობე.

**ღუდუშონა** – მაღლარი ვაზის ჯიშად თვლიან.

**ღუჲაცვანა** – მოხრილი ყანა, მოღრეცილი ყანა.

## Ც

**ᲪᲝᲠᲔ** – ქვის ყორე. ეზოს ზღუდედ ავლებდნენ ირგვლივ.

**ᲪᲣᲓᲔ** – სახლი.

**ᲪᲣᲓᲔᲙᲐᲠᲘ** – სახლის წინკარი, აივანი.

## Შ

**შაურკარი** – შაური შეუგროვებიათ ყველა მცხოვრებლისაგან და მით მოედანი შემოურაგვიათ და ეკლესია აუგიათ. ამ მოედანს შაურკარს უწოდებენ, ეკლესიას – შაურკარიშ ოხვამეს (ბანძა).

**შეკებული** – შემოკავებული ადგილი. საძოვრად შემოკავებული, უფრო ხშირად ბარში.

**შიარი** – ნორჩი ნერგების ტყეა, ხშირად კარ-მიდამოს უკანა ეზოში. მას **ჭველობასაც** ეძახიან. ჭველობა მოზარდი ნერგია.

**შიშველი** – ალპური ზონაა, შიშველი მთის თხემია, ალპური საძოვრებია.

**შონა** – შონური. ამ ჯიშის ვაზი ყოფილა აქ მაღლარზე.

**შონიფერდი** – სვანის ფერდობი. სვანი ჩამოსახლებულა და მისი მიწები ყოფილა აქ.

**შონური** – ამ ჯიშის ვაზის მაღლარი ყოფილა აქ გაშენებული.

**შუკა** – ვიწრო, ორღობეში მიმავალი ქუჩაა. უფრო ხშირად ორ კარმიდამოს შორის დატოვებული, ან ქართაში საქონლის შესადენად დარჩენილი.

**შქანთა** – შუამთა (სოფელი).

## Ჩ

**ჩაბური** – მაღლარი ვაზის ჯიშად თვლიან.

**ჩამურონი** – ჩამურის გასათლელი ადგილი.

**ჩაჩიბაიაში** – ჩაჩიბაიას ნასახლარი. ჩაჩიბაია გვარია.

**ჩაჩოური** – მაღლარი ვაზის ჯიშად თვლიან.

**ჩერგვაი** – მაღლარი ვაზის ჯიშია. აქ ხურმის ხეებზე ყოფილა მიშვებული.

**ჩერტიკარი** – ჩერტის კარი ეკიდა. მით ორღობეში შუკა იყო ჩაკეტილი.

**ჩეში** – მაღლარი ვაზის ჯიშია, თეთრი.

**ჩეშონა** – იგივე.

**ჩიქვანიში** – ჩიქოვანის კუთვნილი მამული. ჩიქვანი გვარია.

**ჩორგეი** – ჩორგაია, დაჩორგილი, დაბელტილი ადგილი. ნიადაგს ჩორგავდნენ, შემდეგ ფარცხით აფხვიერებდნენ.

**ჩოხაში** – ჩოხას ამზადებდნენ, ჩოხას ქსოვდნენ. ოსტატებიც ჩოხუები ყოფილან. მათ ნასახლარს **ჩოხათს** უწოდებენ.

**ჩქონი//ჩქონილი** – ნიადაგს პირველად ზღარავდნენ, დაღარავდნენ და შემდეგ ფარცხით აფხვიერებდნენ.

**ჩხანჭი** – ქართაში გადასაწვიმებელი ადგილია. ოთხ ბოძზე შემდგარი გადახურული, სადაც საქონელი წვიმიან ამინდში აფარებდა თავს.

**ჩხოუშია** – ძროხის მდინარე. საქონლის საწყურებელი მდინარე.

## ცა

**ცაშ კარი** – ცეების კარი. ცა ან ცაავა გვარია.

**ცინცაშ მამული** – ცინცას მამული. ცინცა გვარი ყოფილა.

**ცეცხო** – ქაცვიანი ბალახია. მას იყენებენ აბრეშუმის ცოცხად. აქ ცეცხო იცის უხვად.

**ცხემურონი** – ცხმელნარი.

**ცხენწყარი** – ცხენისწყალი (მდ.).

**ცხირიი** – ღობე სახელდახელოდ გაცხირული, სახელდახელოდ გაკეთებული.

**ცქიშონა** – მაღლარი ვაზის ჯიშად თვლიან.

## ძ

**ძაბური** – ვაზის ჯიშად თვლიან. ჯიში აღუწერელია.

**ძეძონა** – ძეძი ნიადაგი, ხორცივით მსუბუქი, უქვო, ადვილად დასამუშავებელი.

## ნ

**ნაკორტი** – წალკოტი.

**ნაჩხურა//წყარჩხურუ** – წყალცივი. მთის მდინარეა, ძალზე გრილი და თევზით უხვი. განსაკუთრებით კალმახი იცის, ოქროსფერფორეჯებიანი, რძისფერი კალმახი.

**ნელამონი** – შალაფოვანი. შალაფმორეული ყანა სცოდნია ხოლმე.

**ნიდა** – რკინაწიდას პოულობენ. უძველესი მეტალურგიის კერაა.

**ნისქვიიკარი** – ნისქვილის კარი

**ნინაკვერკვე** – სოფელი. წმინდა კვირიკეს ეკლესიის სახელობაზე სოფელს ნინაკვერკვე შეერქვა. უძველესი ნაოხვამუ და სარიტუალო ადგილია.

**წყარკარი** – ღელეზე იცოდნენ ჩელტის კარის გადება, რომ ამით ბატების, გოჭებისა და საქონლისათვის გადაეკეტათ გზა.

**წყურგიი** – წყაროსწყლის თვალი ეზოში. წყალცივი – წყურგილი.

**წყუთოი** – წყაროსწყლის თვალი.

**წყუში** – იგივეა.

## ჭ

**ჭაბოური** – მაღლარი ვაზის ჯიშია. აქ მისი მაღლარი ყოფილა აშვებული ხეებზე.

**ჭაბურთა** – ჭალაბურთა. გაშლილველიანი ჭალა, სადაც ბურთაობა იცოდნენ.

**ჭადონა** – ჭკადუადანაა წარმომდგარი; უხსოვარ დროში რკინის დნობასა და ჭედვას ეწეოდნენო აქ, – გვარწმუნებს გადმოცემა. არქეოლოგიური მასალა ადასტურებს გადმოცემის სინამდვილეს.

**ჭაენოცონიი** – ნაყანარი ჭალა.

**ჭითაში** – წითელის, მაღლარი ვაზის ჯიშია – წითელი ყურძენი იცისო. კარგი ღვინო დგებოდა.

**ჭითოური** – იგივეა.

**ჭითა დიხა** – წითელმიწა. ხშირად ლამაზი, ძლიერ წებოიანი, მაგარი და უმოსავლო.

**ჭიშკარი** – ბჭისკარი, ეზოში შესასვლელი კარი.

**ჭველობა** – შიარონა. მოზარდ ნერგთა ტყე.

**ჭკადუერი** – ნამჭედლარი. უძველეს ნამჭედლარად სთვლიან.

**ჭკადუაში** – ჭკადუაშში ჭკადუები ცხოვრობენ. ჭკადუა გვარია. ძველად ისინი მჭედლობას ეწეოდნენ.

**ჭკადურობუ** – ჭკადუხევი. მჭედელხევი. აქ მეტალურგიული წარმოების უძველესი კერაა ჩვენს მიერ მიკვლეული.

**ჭოდინა** – მაღლარი ვაზის ჯიშია.

**ჭუხეთი** – ჭუხი მინერალური საღებავია, თიხაა, რომელიც მატერიას მუქი ფერით ღებავს.

**ჭუბურდიხა** – წაბლამიწა, საშუალომოსავლიანი. იღებენ საქვევრო მიწას. მისგან დამზადებული ქვევრი სუფთა და მაგარია.

**ჭყონა** – მუხნარი.

**ჭყონდიდი** – დიდი მუხა. სოფლის ცენტრში, მაღალ ბორცვზე, დიდი მუხა მდგარა უხსოვარ დროში, რომელიც წარმართთა ბომონი, მათი კერპი ყოფილა. ამიტომ სოფელსაც ჭყონდიდი ეწოდა (მატვიი).

## ხ

**ხარანი** – ვაზის ჯიშია. დაბლარზე, ან ხარდანზე გადაჰყავდათ.

**ხარდანი** – ჭიგოებზე გადაყვანილი ვაზია.

**ხატიში** – ხატის მიწა, ხატის მამული. ეკუთვნოდა მარტვილის მონასტერს.

**ხატმამული** – იგივე. ეკუთვნოდა მარტვილის მონასტერს.

**ხაჯიეთი** – ადგილი, სადაც ცერცვს თესდნენ.

**ხაჯი** – ცერცვია.

**ხერხენა** – ხერხალზე, ხარდანზე ყოფილა გადაყვანილი ვაზი. ხერხალი ჭიგოა, რომელსაც შეუყენებენ ხოლმე დასამაგრებლად ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს, ან კიდევ გასდებენ ხეებს შორის, ვენახის გადასაყვანად.

**ხვანჭკირი** – მთელი უბანია სოფელ სალხინოში. თითქმის მთელი სოფელია. ამბობენ – სახელწოდება ვაზის ჯიშისგანაა წარმომდგარი. ჯიში აღუწერელია.

**ხვიჩარიაშ ნოხორიი** – ხვიჩარიას ნასახლარი. ხვიჩარია სახელია.

**ხიარი** – მთიდან ხე-ტყის ჩამოსაყრელი გზაკაფული, ნაწარღვნარი, შიშველი ლოდების კალაპოტი.

**ხირზენი** – სახელწოდება წარმომდგარია **ხირზუასაგან** (გახიზვნა). აქ შიშიანობის დროს იხიზნებოდა სოფლიდან აყრილი მოსახლეობა. იგი მთათაშორის უნაგირაზე მცირე ტაფობია, ირგვლივ შემოსაზღვრული პიტალო კლდეებით და მიუვალი მთის ციცაბოებით. გზა მხოლოდ საცალფეხო ბილიკს წარმოადგენს. ძლიერ მიუდგომელი ადგილია. ამიტომ, ბუნებრივია, ასეთი ადგილის არჩევა გასახიზნად მეტად გონივრული და უშიშარი იყო.

**ხიტუშ ნაკარუ** – ხიტუს ნაკარავი.

**ხორაშ ნოხორიი** – ხორას ნასახლარი. ხორა დიდი ოჯახის მამა ყოფილა. აქედანაა გვარი ხორა, ან ხორავა.

**ხორეში** – ნასახლარი, უძველესი ნადგომი.

**ხორიათი** – უძველესი ნასახლარი, ნადგომი. სიტყვა წარმომდგარია

**ხორუადან**, რაც დასახლებას ნიშნავს.

**ხონიშ შარა** – ხონის გზა, ქალაქ ხონისკენ მიმავალი ძველი გზა.

**ხურგი** – მიწის მიჯნა. მიწის მესაკუთრეთა შორის მიწა იმიჯნებოდა ქვის დაბალი სვეტებით. მიწაში ქვა და ნახშირი იყრებოდა, ხოლო მიჯნაზე ირგვებოდა სანიშნო ხე. თუ კარ-მიდამოთა შორის გადიოდა ხურგი, მაშინ კეთდებოდა ანგარო. ხეები ირგვებოდა მჭიდროდ, ერთმანეთის გასწვრივ.

**ხურგა** – იგივეა.

## ჯ

**ჯაპონა** – თუთნარი. თუთის ხშირი ტყე, ან ხელოვნური ნარგავი.

**ჯახიერი** – ნაწვალები, დიდი შრომის ფასად დამუშავებული; ნაჯახირა – ნაწვალები, ნაშრომი მამული.

**ჯეგეჲე** – საკულტო-სარიტუალო ადგილია, უძველესი საოხვამურო (ბანძა).

**ჯეგემარიონი** – მისარონის უძველესი სარიტუალო კერაა. შემდეგ წმინდა მარიამის სახელობის ეკლესია და სამლოცველო დაუფუძნებიათ (ლეძაძამე).

**ჯვარი** – ჯვარის ადგილი, საძოვარი. გასამიჯნად და სალოცავად ქვის ჯვარი სვენებულა. ადგილიც გამყოფ ქედს წარმოადგენს, საიდანაც ოთხი მიმართულებით მიემართება გზა.

**ჯვარიში** – ჯვარ-სალოცავი ადგილი. ქვის ჯვარი მდგარა ოდესღაც. მისი მიდამოები ჯვარის კუთვნილება ყოფილა.

**ჯვარფერდი** – ჯვარის ფერდობი.

**ჯვარმამაშ წისქვილი** – ჯანაშიების ერთ დინოს ჯვარმამას, ჯვარის მედგამეს, ჯვარის მომვლელს უწოდებდნენ. აქ ამ დინოს წისქვილი ყოფილა.

**ჯვეში შარა** – ძველი გზა.

**ჯვეში ნოხორიი** – ძველი ნასახლარი.

**ჯვეში ჩეში** – მაღლარი ვაზის ჯიშია. აქ ამ ჯიშის ვაზი ყოფილა ხურმის ხეებზე მიშვებული.

**ჯიხა** – ციხე.

**ჯინჯიშ ხატი** – ძირის ხატი. დინოს თავისი ძირის ხატი ჰქონია. მაგალითად, ბართაიებს ლეხაინდრაოში დიდი ჭყონის ხესთან ჰქონიათ ძირის ხატის სალოცავი ქვევრები.

**ჯიხაშკარი** – ციხის კარი. მის წინ მოედანი.

**ჯორიესქუაჲეფიშ მუხური** – ჯორიეშვილების მუხური. დანელიების დინოა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. როდოსელი აპოლონ, არგონავტიკა, თბილისი, 1957.
2. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, 1957.
3. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
4. ჯავახიშვილი ი., საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემები, თბილისი, 1950.
5. ჯავახიშვილი ი., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1946.
6. ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბილისი, 1930.
7. ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორია", ტ. II, თბილისი, 1935.
8. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960.
9. ჯავახიშვილი ი., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნაწ. I, თბილისი, 1964.
10. ჯანაშია ს., შრომები, ტ. II, თბილისი, 1952.
11. ჯანაშია ს., თუბალ-თაბალ-ტიბარენი-იბერი, ენიმკის მოამბე, 1, თბილისი, 1937.
12. ჯანაშია ს., საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავზე, ენიმკის მოამბე, 1, თბილისი, 1937.
13. ბარდაველიძე ვ., ჩიტაია გ., ქართული ხალხური ორნამენტი, I, თბილისი 1939.
14. ჩიტაია გ., მოხსენება ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა მე-7 საერთაშორისო კონგრესზე, ქ. მოსკოვში. „О некоторых чертах древнеколхской культуры".
15. ჩიტაია გ., დასახლების ტიპი მთიულეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, 1957.
16. ჩიტაია გ., თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IV, თბილისი, 1953.
17. Г. Читая, К вопросу о происхождений абхазских похотных орудий, Сбор. Акад. наук. Груз. ССР, т. II, часть III, 1940.
18. ჩიტაია გ., მთიულური „ქიბორჯი", მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", IX 1957 წ.
19. ჩიტაია გ., „სვეტები", თბილისი. 1952 წ.
20. Г. Читая – «Горное земледелие на Кавказе», მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960.
21. ჩიტაია გ., ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, თბილისი. 1928.
22. ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, ენიმიკის მოამბე, 1, თბილისი, 1937.
23. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1941.

24. ბარდაველიძე ვ., ქართული ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბილისი, 1959.
25. ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953.
26. თაყაიშვილი ექ., ძველი საქართველო, ტ. III, 1913-1914.
27. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბილისი, 1964.
28. მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1965.
29. ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, თბილისი, 1934.
30. ბოროზდინი კ., ერისთავი რ., მურიე ჟ., ბატონყმობა სამეგრელოში, თბილისი, 1927.
31. ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, ტ. I, თბილისი, 1948.
32. L. Myrier, La Mingrelie, 1894.
33. ჩიქობავა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესავალის ისტორია, თბილისი, 1965.
34. ჩიქობავა ა., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.
35. ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938.
36. დონ ჯუზეპე ჯუდიჩი მილანელი, წერილები საქართველოზე, თბილისი, 1964.
37 ორბელიანი ს.ს., სიტყვის კონა, თბილისი, 1949.
38. ყაუხჩიშვილი ს., რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1964.
39. შარდენი უ., მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 1936.
40. დიუმა ა., კავკასია, თბილისი, 1964.
41. დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, თბილისი, 1962.
42. ქართლის ცხოვრება, 1-11, თბილისი, 1955-1959.
43. გეორგიკა, ტ. II, თბილისი, 1965.
44. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბილისი, 1962.
45. კასტელი ქრ., ალბომი ჩანახატებისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული ასლები.
46. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, თბილისი, 1956.
47. სახოკია თ., ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბილისი, 1956.
48. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, I, II, III, თბილისი, 1950, 1957, 1955.
49. Народы Кавказа, том II, Москва, 1962.
50. Куфтин Б. А., Материалы к археологий Колхиды, том I-II, Тбилиси, 1949-1950.
51. ყაუხჩიშვილი თ., ჰიპოკრატე, თბილისი, 1963.
52. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1967.

53. Цагарели А., Из поездки в Кавказский край летом 1877 года.
54. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941.
55. მაკალათია ს., ჯეგემისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1939.
56. მაკალათია ს., ახალი წელიწადი საქართველოში, თბილისი, 1939.
57. მეუნარგია ი., სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბილისი, 1939.
58. მშვენიერაძე დ., Стройтельное дело в древней Грузии, Тбилиси, 1952.
59. Токарев С. А., Этнография народов СССР, Москва, 1958.
60. Кипшидзе И., Грамматика мингрельского (Иверского) языка, С. Петербург, 1914.
61. კეცხოველი ნ., კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957.
62. კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბილისი, 1964.
63. კახიანი კ., გლეხის კარ-მიდამო იმერეთში, თბილისი, 1954.
64. ურუშაძე აკ., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბილისი, 1964.
65. Кобалия И., Из мифическоей колхиды, СМОМПК, XXXII, часть III, 1903.
66. Струмилин С. Т., История черной металургий СССР, Москва, 1953.
67. Стефаненко И., Народные примеры, разные способы гадания и некоторые поверия менгрельцев, СМОМПК, XXXII, часть III, 1903.
68. Сумбадзе Л. З., Дарбази древнейщий тип Грузинского народного жилища и его место в историй архитектуры, Тбилиси, 1964.
69. საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959.
70. გეგეშიძე მ., მეღვინეობის ხის იარაღი-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, თბილისი, 1957.
71. გეგეშიძე მ., მორწყვის ძველი და ახალი სისტემა ტირიფონის ველზე, მიმომხილველი, ტ. I, თბილისი, 1949.
72. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952.
73. გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები, თბილისი, 1962.
74. თოფურია ნ., მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბილისი, 1963.
75. თოფურია ნ., ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემები ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, თბილისი, 1957.
76. თოფურია ნ., ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი გორის რაიონში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბილისი, 1959.
77. რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა რაჭაში, თბილისი, 1953.
78. რუხაძე ჯ., ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, XI, თბილისი, 1960.
79. რობაქიძე ა., მეფუტკრეობა კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბილისი, 1963.

80. რუხაძე ჯ., საცხოვრებელი ნაგებობანი კახეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბილისი, 1959.
81. როდოსელი ა., არგონავტიკა, თბილისი, 1948.
82. საქართველოს მცენარეთა სარკვევი, ტ. I, თბილისი, 1964.
83. სიჭინავა ვ., მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1960.
84. სამეცნიერო სესიის მასალები გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა, I, II, III, IV, V, VI, VII, VIII.
85. ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965.
86. ქორიძე დ., შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. კურზუში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII, თბილისი, 1961.
87. „ძეგლის მეგობარი“, კრებული, I, თბილისი, 1964.
88. „ძეგლის მეგობარი“, VI, თბილისი, 1965.
89. ხარაძე რ., რობაქიძე ალ., მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1965.
90. ჯავახიშვილი გ., დასახლების ტიპი სოფ. შილდაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბილისი, 1959.
91. გედევანიშვილი დ., ტალახაძე გრ., ნიადაგმცოდნეობის კურსი, თბილისი, 1961.
92. Возникновение и развитие земледелия, Москва, 1967.
93. ციციშვილი ი., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბილისი, 1954.
94. საბაშვილი გ., „საქართველოს სსრ ნიადაგურ-გეოგრაფიული დარაიონების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VI, 1949.
95. ჩიქოვანი თ., ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბილისი, 1960.
96. ჩაჩაშვილი გ., ქართული-ადიღური ეთნოგრაფიული პარალელები ხალხურ ფეიქრობაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბილისი, 1963.
97. ჩაჩაშვილი გ., ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX, 13., თბილისი, 1956.
98. ფონდებიდან მასალები:
    1. საქ. ცსია, ფ. 19, საქ. 194, ფ. 515.
    2. საქ. ცსია, ფ. 489, საქ. 5387, ფ. 1.
    3. საქ. ცსია, ფ. 42, საქ. 2, ფ. 4.
    4. საქ. ცსია, ფ. 42, საქ. 93, ფ. 5.
    5. საქ. ცსია, ფ. 42, საქ. 149, ფ. 19.
    6. საქ. ცსია, ფ. 42, საქ. 149, ფ. 18.
    7. საქ. ცსია, ფ. 42, საქ. 78, ფ. 3.
    8. საქ. ცსია, ფ. 42, საქ. 78, ფ. 3.

9. გმმ ხელნაწერ მასალათა ფონდი, ა. ჯგ. 546.
10. გმმ სამეცნიერო ფონდი, ე. ჯგ., გმმ სამეცნიერო ექსპედიციის ჩანაწერები:
1961 წ., 1, 2, 3.
1962 წ., 5, 6.
1963 წ., 4, 5, 6.
1964 წ., 3, 4.
1965 წ., 5, 5, 6.
1966 წ., 1, 2, 3, 4, 5.
99. ელიავა გ., ჭყონდიდი-მარტვილი, თბილისი, 1962.
100. ელიავა გ., გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოცდილებიდან, თბილისი, 1962.
101. ელიავა გ., წალკოტებისა“ და „სამოთხეების“ საკითხისათვის სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილის ტოპონიმიკურ მასალების შუქზე, გმმ III სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1963.
102. ელიავა გ., გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების ტოპონიმიკურ მასალათა ატლასი I ტ., I და II ნაწილი.
103. ელიავა გ., გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების ტოპონიმიკურ მასალათა ნუსხა, ხალხური განმარტებებით.
104. ელიავა გ., ეთნოგრაფიული კრებული: გეგეჭკორის რაიონში გავრცელებული სახნავი იარაღები, 1966.
105. ელიავა გ., ეთნოგრაფიული კრებული: გეგეჭკორის რაიონში გავრცელებული თოხები, 1966.
106. პერიოდიკა:
1. გაზეთი „დროება“, 1853 წ., 13 აპრილი, 76.
2. გაზეთი „დროება“, 1883 წ., 31 დეკემბერი, 266.
3. გაზეთი „დროება“, 1871 წ., 10.
4. გაზეთი „ივერია“, 1878 წ., 38.
1891 წ., 97.
1892 წ., 31.
1892 წ., 114.
1892 წ., 127.
5. გაზეთი „შრომა“, 1882 წ., 12.
6. გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., 4.
1886 წ., 31.
1886 წ., 22.
1886 წ., 7.
1886 წ., 4.
7. გაზეთი „კვალი“, 1889 წ., 47.

1893 წ., 44.
1899 წ., 39.
1899 წ., 28.
1899 წ., 15.
1899 წ., 33.
1899 წ., 32.

# თოხების ნაირსახეობა აღმოსავლეთ სამეგრელოს ეთნოგრაფიული სინამდვილიდან*

აღმოსავლეთ სამეგრელოს ხეობების ტერიტორიაზე თოხების მეტად საინტერესო ნაირსახეობანი დავამოწმეთ. მათი ილუსტრაციები წარმოდგენილია ჩვენს ტაბულებზე.

მხარის მთიან ზონაში გავრცელებულია **ჭკიდიში დო ღუმუში ბერგი** (მჭადისა და ღომის თოხი, იხ. ტაბულა III, ნახატი, I). იგი დამოწმებული გვაქვს სეფიეთსა და კურზუშიც. თოხი დაახლოებით 28 სმ სიმაღლისაა. საკვეთი პირი თანდათან ზემოთ ჩახრილი და ვიწრო ყელად აღმავალი სატარე ყუით ბოლოვდება. ყელის სიმაღლე 6 სმ-ია, საკვეთი ნაწილის სიგანე 12 სმ. გვხვდება ოდნავ წამოხრილიცა და სწორიც. წამოხრილი უფრო მთაში იხმარება, ხოლო სწორი – ბარში. ღომის მსგავსი სათოხნი თოხი ისუნდერში (ცაგერის რაიონი), კინჩხასა და გორდში დავადასტურეთ. ეს თოხი შედარებით ადრეული ფორმაა. ღომის სათოხნი, სამარგლავი თოხი სხვადასხვა სახის იყო და ბევრგან იყო გავრცელებული. მცირე ფორმის ახოს თოხები დამოწმებული აქვთ ჯ. რუხაძეს[1] და ნ. რეხვიაშვილს[2].

ასეთივე ადრეული ფორმაა „**ორტვიიში**“ ან **ბოსტნის თოხი** (იხ. ტაბულა III, ნახ. II), რომელიც საკვეთი პირისა და პირის სწორმხრებიანი ცენტრიდან აღმართული ყუისაგან შედგება. მისი პირი სულ 12 სმ-ის სიმაღლისა და 10 სმ-ის განისაა. იგი მსუბუქი თოხია, რომელიც ზედაპირულად და ხშირმცენარეებიან ნიადაგზე სამუშაოდ იყო გამოყენებული. ასეთი თოხი ჩვენ რაჭაში, კვაცხუთშიც აღვწრეთ. იგი ფართოდაა გავრცელებული ჩხოროწყუს რაიონში.

**ჩენგი** (იხ. ტაბულა IV, ნახაზი I) ორიგინალური ფორმის თოხია, რომელიც დავამოწმეთ სალხინო-თამაკონიდან ლებარდემდე. იგი ბუჩქნარი და მძიმე, ქვიანი ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი ყოფილა. ახლა მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში დაცული ერთი ასეთი თოხი ეკუთვნოდა სოფ. საე-

---

* გ. ელიავა, თოხების ნაირსახეობა აღმოსავლეთ სამეგრელოს ეთნოგრაფიული სინამდვილიდან, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მაცნე“, ისტორიის სექცია, 1972, №3.

[1] ჯ. რუხაძე, ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები სასქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960, გვ. 84.

[2] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 123-124.

ლიავოს მცხოვრებ დ. ხაჟომიას. იგი 1712 სმ განის მქონე, სწორმხრიანი საკვეთია. პირის ყუის ზემოთ, კოპის ადგილას მაღალი ბიბილო (თიკი) აზის, 6,5 სმ სიმაღლისა. პირის სიგანე 5-7 სმ-ზე მეტია. იგი პირისა და ყუის ჭრილის გარდი-გარდმო ადგას ყუას, ტარის პარალელურად. თიკი ბუჩქნარის ფესვებისა და სხვა ნარჩენების საჭრელად ყოფილა მოწყობილი. სახელწოდება ჩენგი გავრცელებულია მთელი სამეგრელოსა და იმერეთში, ოღონდ მათი მოყვანილობა განსხვავდება. იმერული ჩენგი მაღალი ყუის და სწორმხრებიანი საკვეთი პირისაგან შედგება. ხობსა და გალში დამოწმებული ჩენგიც დაახლოებით ასეთივეა.

თოხის ძველ ფორმათა შორის მეტად საინტერესოა **ორჩქონალი ბერგიც** (საჩორგნი, საღარავი თოხი. იხ. ტაბულა IV, ნახ. II). იგი შედარებით მცირე ზომისაა. სიმაღლე რქიანად 18-20 სმ-ს აღემატება. ყუის ქვემოთ წვერწაწვეტებული, ხოლო წელში ფართო (5 სმ სიგანის), რომბის ფორმის საჭრელი პირი აქვს, ბრტყელია და წვეტიანი. ყუის ზემოთ ადგას მაღალ კოპზე აღმართული 6 სმ-ის სიმაღლისა და 2 სმ-ის სისქის ორი რქა. რქებს შორის მანძილი 7 სმ-ზე მეტია. ეს თოხი მთის, ფერდობის ნიადაგის, ქვიანი და ბუჩქიანი ყამირის გასატეხად ყოფილა გამოყენებული: მისი ტარის სიგრძე 70-80 სმ-ს არ აღემატება. წინიდან ხარის შუბლისა და პირის მოყვანილობა აქვს. დღეს იგი არსად გამოიყენება. ჩვენ მაღალმთიან ზონასა და ზეგანზე დავადასტურეთ. ერთი ასეთი ეგზემპლარი სოფ. კურზუდან ჩამოვიტანეთ. მას კეკსაც ეძახიან. აღნიშნავენ, რომ იხმარებოდა უფრო ფართოპირიანი, ურქო კეკიც. ეს სახელწოდება იმერეთშიც გვხვდება და იგი პატარა ზომის საბოსტნე თოხს ჰქვია. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „პატარა თოხს იმერეთში „კეკი“ ეწოდება. ეს ტერმინი „ქექა“ ზმნასთან, სახელდობრ, მის მეგრულ სახეობა „კეკუასთან“ უნდა იყოს დაკავშირებული“[1]. მართლაც, იგი საკეკი, საქექი, სახილავი, ნიადაგის მსხვილმარცვლოვანი სტრუქტურის შესაქმნელი იარაღია, რომელიც სარეველათა გამოსაქექად, ნიადაგის გასაფხვიერებლად იხმარებოდა.

ორივე ნიმუში თოხების იმ სახეობათა რიცხვში შედის, რომელზეც მიუთითებდა პროფ. გ. ჩიტაია. ეს არის „კომბინირებული თოხები, რომლებიც შეიცავენ თოხ-წერაქვსაც და თოხებსაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მათ მიეკუთვნება... „ცულქარჩი“, „თოხწალკატი“, „თოხწერაქვი“, „ბართოხი“ და სხვ.“[2].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბ., 1930, გვ. 15.

[2] გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფისათვის, ტ. I, ნაკ. II, თბ., 1959, გვ. 154.

ამ ერთეულის მსგავსი ინვენტარი აღწერილი აქვს ნ. ბრეგაძესაც. მის მიერ აღწერილი „ცქვიტიანი თოხი“[1] სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი თოხის ერთ-ერთი სახეობა უნდა იყოს.

ზემოაღწერილი ნიმუშები თოხის უძველესი და ამჟამად მხოლოდ იშვიათად შემორჩენილი სახეობანია. ჩვენს ტაბულაზე წარმოდგენილია სიმინდის თოხები და გავრცელების ზონები. ყველაზე გავრცელებული ადგილობრივი მჭედლის მიერ გაკეთებული თოხია, რომელსაც „**ჩქინებურას**“ (ჩვენებურს) ეძახიან. მას „**ყაზახიში ბერგისაც**“ ეტყვიან (ვაჟკაცის თოხი). იგი ხასიათდება ოვალური მხრებით, სწორი პირით, მაღალი ყუითა და კოპით. მის ოვალურ მხრებზე ამბობენ, „ნაბადივით მოხურულიაო“. იგი მეტად მოხერხებულ იარაღად ითვლება (ტაბულა I, ნახ. 1). ასეთი ოვალურმხრიანი თოხი, უმთავრესად, მთაში გამოიყენებოდა. მსგავსი თოხი სოფ. ჯგალში დამოწმებული აქვს ნ. რეხვიაშვილს[2]. ბარში უმთავრესად, გავრცელებულია ყუის ორმხრივად ოდნავ ჩაკეცილი და შემდეგ ოვალურად მხრებჩაჭრილი თოხი, რომელსაც ყუის კოპი საკმაოდ გრძელი – 2-2,5 სმ სიმაღლისა აქვს. თოხიც უფრო გაშლილია, ოდნავ ოვალური ფორმის პირი აქვს. მისი სიგანე 25 სმ-ია, მას „**ოყიან, საყაზახო ბერგს**“ ეძახიან (ოყიანი, სავაჟკაცო თოხი). თოხის ტარის სიგრძე მუშას ცხვირამდე უნდა წვდებოდეს[3], მაგრამ 180 სმ-ს მაინც არ უნდა აღემატებოდეს. მთაში ჩაფერდებული ნიადაგის გამო უფრო მოკლეტარიან თოხს იყენებდნენ (120 სმ). მთხრობელთა სიტყვით, თოხმა სიმინდის თოხნისას ნიადაგი კი არ უნდა მოთალოს, არამედ ღრმად უნდა ჩაჭრას და ააბრუნოს იგი. ამიტომ თოხი „ოყიანზე“ ორ გირვანქაზე მეტი წონისა უნდა ყოფილიყო. „გაიდევი მხარზე ოყიანი თოხი და წადი სათოხნადაო“, – ასე იტყვიან ხოლმე აქ. „ოყიანზე ნაკლები წონის თოხი ბავშვურია. მას უღონო, სუსტ კაცს, ქალებს და ბავშვებს მისცემდნენ სამუშაოდ. ასეთი თოხით თოხნას ხვავი არა აქვსო“, – ამბობდნენ ხალხში[4]. ასეთი თოხი ფართო, არანაკლებ 2520 სმ ზომისა უნდა ყოფილიყო.

თოხის გაჭედვა ყველას როდი შეეძლო. თოხს მაღალი ხარისხის ფოლადისგან ამზადებდნენ დახელოვნებული ოსტატები. ჩვენს საკვლევ ზონაში ცნობილი იყვნენ ლაგვილავები. „მათ მიერ გამოჭედილი რკინა მაგარი, კარგად ასაწყობი და ალესვას დამყოლი იყო. კარგი რკინის პი-

[1] ნ. ბრეგაძე, რაჭა-ლეხჩუმში მივლინების ანგარიში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბ., 1959, გვ. 89.

[2] ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 12.

[3] გმმ სამეცნიერო ფონდი ვ. ჯგ., № 215, მოგონებები და გამოცემები.

[4] იქვე.

რის აწყობას ბევრი ჯაფა არ სჭირდებოდა, მას მიწაც კი კარგად ულესავდა პირსო“, – იგონებდა 80 წლის მოხუცი ალექსანდრე წულაია.

სოფლებში, განსაკუთრებით სეფიეთიდან ნაგვაზაომდე, გვხვდება **გურული თოხი**. იგი ზოგან ოვალური, უფრო ხშირად კი აწურული, სწორი მხრებით ხასიათდება (ტაბ. I, ნახ. II). მას **ეწკურუ ხუჯიანი** – აწურულმხარიანი ეწოდება. ამ თოხს ყუის ზემოთ მოზრდილი კოპი აქვს. იგი ბარში „**ჲაგოზი**“ – თიხნარი, მძიმე ნიადაგის სამუშაოდ ყოფილა გამიზნული. შემოჰქონდათ გურიიდან. მოხუცთა სიტყვით, სეფიეთსა და აბაშაში, გურულ თოხს, რომელიც კარგი რკინისაგან მზადდებოდა, დიდი გასავალი ჰქონდაო.

**ჩუნეშური** თოხი ჩუნეშიდან, იმერეთიდან მოჰქონდათ და მთაგორიანი ადგილების სათოხნად გამოიყენებოდა. იგი ყუასთან ჩახრილი, მკვეთრი, ოვალური მხრებით ხასიათდება. ყუაზე მცირე კოპი აზის, პირი სწორი, ოვალური მხრების ზღუდარით ჩაკვეთილი აქვს (ტაბულა II, ნახ. I).

როცა პირის ფოლადი გაცვდებოდა (დიიშირუუდუნი), გაილეოდა, მჭედელი 6 სმ სიგანეზე ჩამოსდებდა ფოლადის ზოდს, ჩამოაჭედებდა. ასეთ თოხს **გიადვაირს**, „ჩამოჭედილს“ ეძახიან. თოხი ამგვარი განახლების შემდეგ კიდევ დიდხანს იხმარებოდა. (ტაბულა II, ნახ. 3).

თოხების ასეთი სიუხვე და მრავალფეროვნება მიუთითებს საკვლევ რაიონში უძველესი დროიდან მრავალდარგოვანი ინტენსიური მიწათმოქმედების არსებობაზე.

ჩვენებური თოხი (ჩქინებური ბერგი)

მთისა (გოჲში)

გიადვალირი, გიაჭკადირი
(ჩამოდებული, ჩამოჭედილი თოხი)

**ტაბულა I**

გურული თოხი (გურული ბერგი)

ჩუნუშის თოხი (ჩუნეშური ბერგი)

**ტაბულა II**



ტაბულა III



ტაბულა IV

# სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ*

ოჯახის ისტორიის მკვლევართა მიერ დასაბუთებულია, რომ ინდივიდუალური ოჯახის წინამორბედ სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა საოჯახო თემი, რომლის გადმონაშთურ სახეობად მიჩნეულია XIX საუკუნის ბოლომდე შემორჩენილი და მრავალ ქვეყანაში მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილი დიდი ოჯახი[1]. ასევე დადგენილია, რომ ამ ტიპის ოჯახს ყველგან, სადაც კი მისი ფიქსაცია მოხდა, შესაბამისი სახელწოდება გააჩნდა. დიდი ოჯახის ბუნების გამომხატველი სახელწოდებების სიმრავლის მხრივ საყურადღებო მონაცემები დადასტურდა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში (დიდი ოჯახი, დიდი ჯალაბი, დიდი კომი, ერთობის სახლი, გაუყრელი ოჯახი, ერთობის ოჯახი და სხვ.).

ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სამეგრელოშიც ინდივიდუალურ ოჯახს ისტორიულად წინ უსწრებდა საოჯახო თემი. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია მეგრული ლექსიკური ერთეული თი, რომელიც დიდი ოჯახის, სახლის, ოჯახის აღმნიშვნელია.

სამეგრელოს ტოპონიმიკაში გვხვდება სახელწოდება **ჭიითი, კვაუთი, ბობოთი, ქუქითი, გოგათი, გაბითი** და სხვ.[2], რომლებშიც **ჭი, კვაუ, ბობო, ქუქი, გოგა, გაბი** და სხვ., ითვლება ერთ ლექსიკურ ერთეულად, კერძოდ, საოჯახო თემის მეთაურის პირად სახელად, ხოლო **თი** – ოჯახის, სახლის, სახლკარობის, მახორობის აღმნიშვნელ ტერმინად.

---

* ჟურნალი „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია, №3, თბ., 1972, გვ. 177-178.

1 М. Косвен, Семейная община и патронимия, М., 1963; Р. Харадзе, Грузинская семейная община, Тбилиси, I, 1960, II, 1961, ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელთა საოჯახო ყოფა, I. თბ., 1969.

2 იხ. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციათა მასალები, 1960-1962-1964-1967-1970 წწ.; გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი, თბ., 1962, გვ. 109-115; მისივე, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოცდილებიდან, თბ., 1962, გვ. 45; სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ტოპონიმიკა, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის II სამეცნიერო სესიის მასალები, ქუთ., 1961, გვ. 59-60; სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობის ისტორიულ-ეთნიკური ჩამომავლობა და შედგენილობა ტოპონიმიკური მასალების შუქზე, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეხუთე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1965, გვ. 23-30; ტოპონიმიკა, როგორც მოსახლეობის ისტორიულ-ეთნიკური წარმომავლობის და სოციალური აღნაგობის შესწავლის წყარო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს XI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1971, გვ. 20-21.

მეგრულში ეს ტერმინი დღესაც ძალაშია: მიში თიშერექ? სქანთი სორე? ქეგაჭუ თიქ, ვაგიღუნო თი? ვამოზოჯუნქო ჩქიმ თიშა? მახოლო მიღუ თი და სხვ. ეს ლექსიკური ერთეული რომ დღემდე მოქმედია და ოჯახს, სახლკარობას, მახორობას ნიშნავს, დადასტურებულია მეგრულ ტექსტებშიც. „ათე ოსურიში თის ართი ახაიგაზრდა ბოშკოს ქიგიასერუ“[1]. ასევე საყურადღებოა რევოლუციამდელ ავტორთა ჩანაწერები. მაგალითად, ქობალიას მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში ვკითხულობთ: „ოში ანთასი ჩქიმი თის, აკა – მეძობელიში თის“[2]. ამავე ტექსტზე დაყრდნობით ყიფშიძე განმარტავდა: „თი“ – семья, двор“[3]. ხალხის დაკვირვებით ჭი-ი-თი შეიცავს ორ ძირითად ცნებას, რომელთა შორის ჭი პიროვნების (დიდი მამის, ოჯახის უფროსის) სახელია, ხოლო თი ნიშნავს დიდ ოჯახს. ასეთივე შინაარსით იკითხება **კვაუთი, ქუქითი, ბობოთი** და სხვ. ყველა ზემოხსენებული გამონათქვამი გვიჩვენებს, რომ **ჭი, გაბი, კვაუ** ან **ქუქი** არიან ოჯახის მეთაურები. თითოეული მათგანი არის მამა, დიდი მამა ანუ დიდი კაცი, რომელიც ხელმძღვანელობს თის – დიდ ოჯახს.

თითოეული თის სოციალური შინაარსისა და განსახლების არეალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თი რიგ შემთხვევაში დიდ ტერიტორიას ფლობდა. აქედან გამომდინარე, იგი ზოგჯერ არა მარტო დიდი ოჯახის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა, არამედ პატრონიმიული ერთეულისაც, რამდენადაც პატრონიმიული ორგანიზაციის შექმნა ხდებოდა დიდი ოჯახის დაშლის შედეგად[4]. **ჭიითი, ბობოთი** თუ **კვაუთი** დიდი მახორობის შესატყვისიც იყო: ჭიითის საკუთრება ყოფილა საძოვრებიც და სახნავებიც, ტყეცა და ჭალებიც, რომელსაც მისი წევრები ამუშავებდნენ.

ყველა ამ თიების შემადგენლობის დადგენა მელოგინეების მიხედვით ხდებოდა. ჭის ოჯახში 24 მელოგინე ყოფილა, ე. ი. ეს პატრიარქალური ოჯახი 24 საქორწინო წყვილისაგან შედგებოდა. მას ჰყოლია თავისი „დიასახლისი“ და მეთაური. ამას აღნიშნავს **კვაუს თიში**, **ბობოს თიში**, ქუქის თიშიც და სხვ. დროთა ვითარებაში ხდებოდა მელოგინეების გამოყოფა დიდი ოჯახისგან და ცალკე, თუმცა მის მახლობლად, მის ირგვლივ დასახლება. საფუძველი ეყრებოდა პატრონიმიას. „პატრონიმიის საზოგადოებრივი ერთიანობა პირველყოვლისა იმაში გამოიხატება,

---

[1] მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ. 1.

[2] СМОМПК XXXII, გვ. 95.

[3] Грамматика мингрельского (иверского) языка, გვ. 186.

[4] А Робакидзе, особенности патронимической организации у народов горного кавказа, С. Э. 1968, №5, стр.53.

რომ ის ცალკე დასახლებაა“[1]. მაშინ როდესაც ჭის მეთაურობით ჭიითში დიდი პატრიარქალური ოჯახი იდგა და მასში 24 მელოგინე, 24 უჯრედი იყო გაერთიანებული, ყოველ ასეთ უჯრედს თავისი კუთხე ჰქონდა მიჩენილი, მაგრამ ოჯახი ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა. ჭის ოჯახს ერთი კერა ჰქონდა, რომელიც ერთი **ოხორი**, ერთი სახლი, ერთი **თი** იყო. ამ თიში იმართებოდა საერთო, საოჯახო პურობაც, რასაც **დიარა** უნდა რქმეოდა. ახლა დიარა მხოლოდ დიდ სასოფლო ლხინს, ქორწილს და სხვა მსგავს საჯარო პურობას ჰქვია. ლექსიკური ერთეული **დიარუა** (რაც დღეს საქონლის მიერ ძოვას ნიშნავს) სწორედ ასეთ ჭამას, საერთო პურობას ერქვა; რამდენადაც გადმოცემები მიუთითებენ, ყველა ერთად სხდებოდა სადილად დიარაზე, იდიარდეს, დიარენდეს (პურობდნენ, ჭამდნენ). ყველა მელოგინეს თავისი **თია** (წილი) ჰქონდა ამ დიარაზე. მის თიას სხვა ხელს ვერ შეახებდა თურმე. როგორც ჩანს, მელოგინე და მისი ნამრავლი, ან ოჯახში ერთი უჯრედი, სადილზე, საერთო პურობაზე ცალკე იყო წარმოდგენილი და მას თავისი ნაწილი ჰქონდა განკუთვნილი. საერთო პურობა დიდი ოჯახის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება იყო. ჭისთის თავისი მახორობაც ჰქონდა, მეურნეობრივი არეც, სადაც მელოგინეთა მიხედვით იყო მიჩენილი თია – ნაწილი. თითო მელოგინე და მისი ნამრავლი თავის წილ შრომას ასრულებდა, თავისი წილი შეჰქონდა მახორობის საერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პატრიარქალური ოჯახის ამგვარი შედგენილობა დამოწმებული აქვს პროფესორ რ. ხარაძეს თუშეთშიც: „როგორც თუშეთის ეთნოგრაფიულ მასალებში, ისე XIX საუკუნის წერილობით ძეგლებში აღბეჭდილი ოჯახის წევრთა შემადგენლობა ცხადყოფს იმას, რომ თუშური მრავალრიცხოვანი ოჯახი შედგებოდა რამდენიმე საქორწინო წყვილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ნათესაური პრინციპით იყვნენ გაერთიანებული და საერთო წინაპრის სახელს ატარებდნენ. საზოგადოებრივი გაერთიანების ამგვარი სტრუქტურა წარმოადგენდა დიდი ოჯახის ან საოჯახო თემის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს“[2]. ასეთივე ტიპის დიდი ოჯახი შეისწავლა რ. ხარაძემ ბალყარეთშიც, სადაც ერთ დარბაზში ყველა ცოლიან ძმას თავისი ოთახი ანუ **ოტოუ** ჰქონდა[3]. ამ მხრივ საინტერესოა მეგრული ოტოუ, რაც საქონლის, პირუტყვის საბმურ ადგილს ჰქვია.

---

[1] მ. კოსვენი, პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 150.

[2] რ. ხარაძე, საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. თბ., 1950, X, გვ. 186.

[3] რ. ხარაძე, სოფლის თემი ბალყარეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1960, XI, გვ. 123.

დიდი ოჯახისა და პატრონიმიის ლოკალურ თავისებურებაზე ყურადღებაა გამახვილებული არაერთ სხვა ნაშრომშიც, რომელთა დასახელება შორს წაგვიყვანდა. ჩვენ მიერ სამეგრელოში ჩაწერილი და აღრიცხული ტოპონიმიკური მასალა და მასთან დაკავშირებული ლეგენდები და გადმოცემები საინტერესო წყაროს წარმოადგენს საოჯახო ურთიერთობისა და მისთვის ნიშანდობლივი სახელწოდებების შესწავლისათვის.

ტოპონიმიკურ მასალებში შემორჩენილია ცნობები პატრონიმიის ჩამოყალიბების შესახებ. **ჭიითში ჭისა** და **გაბის** ოჯახებს შორის მოხდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომლის შემდეგ ჭის ოჯახი იძულებული გახდა, ამ ადგილიდან გადასახლებულიყო. იგი დაიძრა თავისი პირველი საცხოვრისიდან და უფრო სამხრეთისაკენ წავიდა. მან **გაბითისაგან**, **გაბისაგან** მოშორებით, მის სამხრეთ-დასავლეთით, ზეგანზე შექმნა თავისი ახალი საცხოვრისი. მაგრამ, ეტყობა პატრიარქალური ოჯახი დაიშალა და ოჯახის წევრებმა – მელოგინეებმა ახალ საცხოვრისში, ერთმანეთთან ახლოს, მაგრამ ცალ-ცალკე დასახლებით თავ-თავისი ოჯახები შექმნეს, თუმცა გვარად დიდი მამისა და პაპის სახელი დაიდეს. აქ უკვე **ჭის** მემკვიდრენი **ჭიები** არიან. ასეთ დასახლებას ამ ახალ საცხოვრისზე **ეჭიე-ლეჭე-ლეჭიე** შეერქვა. აქ ჭის თი (ერთი თი თუმცა დიდი, მაგრამ მაინც ერთი) კი არაა, არამედ **ჭიების** გვარის ტერიტორიული საცხოვრისია, პატრონიმიული სამეურნეო ერთეულია, რომლის სახელწოდება უკავშირდება წინაპრის საკუთარ სახელს. ანალოგიური ვითარება აქვს დამოწმებული რ. ხარაძეს თუშეთში, ხაჩისძეთა გვარში, სადაც **ხაჩი** უძველეს წინაპრად, გვარის ეპონიმად ჩანს[1].

ტოპონიმიკური მასალები საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების ერთგვარ საინტერესო სურათსაც წარმოადგენს. მაშინ, როდესაც პატრონიმიული ორგანიზაციის სახელწოდება საფუძვლად დაედო ახალი გვარის სახელს, ხოლო ყოველი დიდი ოჯახის დაშლის შედეგად ახალი პატრონიმიული ერთეულები წარმოიქმნა, ერთი წინაპრის შთამომავალთა ფართო წრეში არაერთი პატრონიმიული სახელწოდებაც გაჩნდა. ასეთი ვითარება შეინიშნება საკუთრივ ჭიების განსახლებაში. ჭის თურის განტოტების შედეგად წარმოიშვნენ: **ჭოჲკები, ჭიაიები, ჭიოკები, ჭაჭიები, ჭაჭუები, ჭოჭუები** და სხვები, რომელთა სახელწოდებები უშუალოდ უკავშირდება მათი ეპონიმების სახელებს. მართლაც **ჭოი, ჭი, ჭია, ჭიო, ჭა, ჭაჭუ** და სხვები მეგრულ-ზანური სახელებია,

[1] რ. ხარაძე, საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1959, გვ. 202.

რომელთა ძირია ჭი, მაგრამ თავისებურად მიქცეული. თითოეულ ამ შტოს მიეკუთვნა განსაკუთრებული ბოლოსართით წარმოებული სახელები: **ჭოჲ-კა, ჭიო-კა, ჭა-ა, ჭია-ია** და სხვ. ამ გზით უკვე მოზრდილი ტერიტორიული ერთეული შეიქმნა, სადაც დასახლდა ერთი ძირიდან ამოსული რამდენიმე თური (გვარი) და ადგილსაც **დედო თურის** სახელი ეწოდა – **საჭია**. სა-ჭიას, ამ ვრცელ საცხოვრისს, ალბათ, მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა პატრიარქალური ცხოვრება დაირღვა და ქონებრივი უთანასწორობის და კლასობრივი ურთიერთობის ფორმირება დაიწყო.

აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე, ძირის ხატის, ძირის ბატონის, ძირის სალოცავის ადგილსამყოფელთა მონაცვლეობაც. ჭიითში ჭის თის ჯვარის სალოცავი ჰქონია. იქვე მახლობლად **ქეჯვარობაა**. არქეოლოგიური მონაპოვარი სავსებით ადასტურებს ჭის ოჯახის ნასახლარზე საკულტო საგნების არსებობას. აქ ჯვრების გამოსახულების ბრინჯაოს ფიბულებია ნაპოვნი, სხვა სარიტუალო გამოსახულებებთან ერთად. **ლეჭეში** ან **ლეჭიეში ქიაჩის** კულტი დიდხანს იყო შემორჩენილი[1]. ქიაჩი შემდეგ, ქრისტიანული ეკლესიის ბატონობის დროსაც ადგილობრივ მკვიდრთა უდიდესი სალოცავი იყო. ლეჭიედან წასულმა ხალხმა ბარად თავისი ძირის სალოცავიც წაიღო. ამას გვაუწყებენ გადმოცემები. აქ მართლაც **ჭილაიას, ჭილაძეთა, ჭიოკების** და **ჭოიკების**, ყველა ჭის ძირიდან ამოსულ თურთა ძირის სალოცავი **ტყვირის ოხვამურთან** დადებულა. დღესაც ყველა ეს გვარეულობა, მათი უხუცესი წევრები თავიანთი ძირის სალოცავად ტყვირს თვლიან. ეს დაადასტურა ჩვენთან საუბარში თავისი მამა-პაპისაგან მოსმენილის საფუძველზე ცნობილმა ქართველმა მწერალმა და კრიტიკოსმა, სერგი ჭილაიამ. მისი წინაპრები კი ნახუნაოში (გეგეჭკორის რაიონი) ცხოვრობდნენ. ჭიოკებიც (ჭიათურიდან) თავიანთი ძირის ხატად ტყვირის ხატს თვლიან. ეს განშტოებები თაყვანს სცემდნენ თავიანთ ერთობლივ ადრინდელ სალოცავს. მათ მამა-პაპას ძირის ხატზე სალოცავად იქ უვლიათ.

ასეა ასახული დიდი, პატრიარქალური ოჯახისა და მისი დაშლის შედეგად პატრონიმიული ორგანიზაციის ჩამოყალიბების სურათი ტოპონიმიკურ მასალებში, რომლის სრული სახით განხილვა მომავლის საქმეა.

[1] ქაჩი-ქიაჩის, ჯვარის ძველი ქართული სალოცავია, წარმართული სალოცავი ამ მხარეში.




ჯის თი
I
ჯიაიას
თუარი
(ეჯ�d)
II
ჯა
III
ჯა
IV
ჯოიკა
III
ჯიაია
III

# ქართულ წარმართულ ავსულთა ცენტრი – ტაბაკონა ფოლკლორულ მასალებში*

გონიერი საქმიანობის გარიჟრაჟზე ადამიანი ბუნების ლაბირინთში საგნებსა და მოვლენებზე ხანგრძლივი დაკვირვებით და მასზე გარკვეული აზრის შემუშავებით მიიკვლევდა გზას. პრიმიტიულ აზრთა ეს პირველი ჯამი ქმნიდა ცოდნას გარემომცველი სამყაროს შესახებ, რომელსაც შემდეგ ადამიანი უფრო წმენდდა, ახალისებდა, ავრცობდა და ავითარებდა საუკუნეების განმავლობაში. ამ დროს მისთვის ბუნების მოვლენებისა და ძალების, მათი წარმოქმნისა და განვითარების შიდა კანონზომიერებანი სავსებით უცნობი და ხელმიუწვდომელი იყო. ამიტომ ადამიანი ყოველივე ამის მიზეზს ღვთიურ ძალაში, მის გარეშე მყოფ სულში – უკვდავსა და მარადიულში ხედავდა. ეს ღვთიური ძალა ადამიანის სამტროდ ან საკეთილდღეოდ მოქმედებდა და თუ ეს სული გაბრაზების გამოავლენდა, მაშინ ლოცვითა და სათაყვანო რიტუალით ცდილობდა მისი გულისწყრომის დაცხრომასა და მის სასარგებლოდ განწყობას. თუ მის საკეთილდღეოდ იმოქმედებდა, მაშინ სამადლობელი რიტუალით უნდა მიეგო კეთილი სულისათვის. ასე მუშავდებოდა ბუნების მოვლენათა და ძალთა შესახებ ათასნაირი მითი, ზღაპარი, სიმღერა. ასე იქმნებოდა მითოლოგიური აზრი ზებუნებრივ, ღვთიურ ძალთა, სულთა შესახებ.

ისე როგორც მსოფლიოს სხვა კულტურულ ხალხებს თავიანთი ცხოვრების გარიჟრაჟზე ჰქონდათ პირველყოფილი პრიმიტიული რწმენები, რომელიც გვიან განვითარებული, ცივილიზებული თაობების კლასიკურ წარმართულ რწმენებს დაედო საფუძვლად, ასევე, ქართველი ხალხის განვითარების სათავეები უხსოვარი, შეიძლება ითქვას, პალეოლითის ხანიდან, ადგილზე შემუშავდა. ეს რწმენები, თაობებთან ერთად გაზრდილ-განვითარებული, თანდათან კლასიკურ წარმართულ რწმენად იქცა, რომელმაც თავისი ადგილი დაიკავა ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონში და ასე მოვიდა ქრისტიანობის დრომდე და შემდეგაც, ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალის, საუნჯის წყალობით.

ამ მდიდარი და შორეული წარსულიდან მომდინარე მასალების საფუძველზე ჩვენთვის ცნობილია, რომ პირველყოფილი რწმენები ორ რიგად იყოფა: რწმენები კეთილი და ავი სულების, კეთილი და ავი

* საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს XII სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1972.

ღვთაებების შესახებ. ხალხის რწმენით, ისინი ერთმანეთის საპირისპიროდ მოქმედებენ: კეთილნი – ადამიანის საკეთილდღეოდ, ავი სულები – ადამიანთა საზიანოდ და სამტროდ. ასეა ეს მსოფლიოს სხვა ხალხებშიც. ორივე ამ დაპირისპირებულ სულებს ცალ-ცალკე აქვთ შესაბამისი პანთეონები. პირველყოფილ ადამიანს ბუნება წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც დაპირისპირებულ ძალთა ბრძოლის, კეთილისა და ავის, საკეთილდღეოსა და საზიანოს ბრძოლის შედეგი, რადგან როცა ბუნებაში ადამიანის მიმართ რაღაც სიკეთე ითესება და მოიმკება, სამტროცა და საზიანოც ხორციელდება ხოლმე, ეს ცხოვრებისეული სინამდვილე იყო და ამიტომ დასაბამიდანვე აღმოცენდა ღვთაებათა ორი რიგი, რომელსაც ადამიანი, თავისი პირველყოფილი, პრიმიტიული აზროვნებით, მიაწერდა ბუნების ამ დაპირისპირებულ ძალთა ჭიდილს ადამიანის საკეთილდღეოდ თუ საზიანოდ.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ავი სულებიც, თავის მხრივ, ორ რიგად იყოფიან: პირველი ეშმაკეულთა რიგია, რომელსაც ეშმაკთა მეფა, მთავარი ეშმაკი, ბელზებელის ტიპისა – როკაპი მეთაურობს. მას თავისი შიკრიკები ჰყავს, რომელთა მეშვეობით ადამიანთა მოდგმის საზიანოდ მოქმედებს, თავისი ღვთიური „ვალის“ შესასრულებლად. ესეც ვალია, ღვთიური ვალი, რადგან ბოროტების გარეშე კეთილიც არაა სრულყოფილი და მადლიანი, ბოროტთან ბრძოლაში კეთილი უფრო სხივმფენ ძლიერებას იხვეჭს, თვით ადამიანს ასწავლის თავისი მაგალითით თავგანწირულ ბრძოლას არსებობის, სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის. მაშასადამე, ბოროტთა არსებობა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, წარმართული რელიგიის მრწმენი ადამიანისათვის ღმერთის მიერ დაწესებული წესი და რიგია. „ეშმაკეფი კოს ოკურცხინუანს, ვარდა ირიათო – ჲრდანი იჯუაფუ, ღორონთიშითიე, სქუა, თენა ხოლო. თაში ვარდასუნი, მითინგ გლახას ვეეიდასუნი, კურცხე ხოჲო ვეჯუაფუ“ (ეშმაკები კაცს აღვიძებენო, თუ არადა სულ იძინებენ. ესეც ღმერთითაა, შვილო. ასე რომ არ იყოს, რამე ცუდს არ ელოდეს, მღვიძარეც არ იქნება, ფხიზელიც არ იქნება). მაშასადამე, ეშმაკეულთა არსებობა ღმერთის ნება-სურვილიცაა, „გამარჩქინე ღორონთქგ“ (გამჩენმა ღმერთმა) ასე დააწესა – ადამიანი ყოველთვის ფხიზელი, მუდამ მებრძოლი და მშრომელი იყოს, რომ ამით თავის ცხოვრებასა და არსობაში აზრი და გემო ჩადოს. მაშასადამე, ეშმაკეულთა, როგორც მას აკად. ივანე ჯავახიშვილი უწოდებდა, კუდიანთა არსებობა სავსებით გამართლებულია. მაგრამ ეშმაკეულთან ერთად ავსულთა მეორე რიგიც არის, გიგანტი ავისულების სახით: დევები, ოჩოკოჩი, ტყაშმაფა. მართალია, ისინი ბოროტი სულებია, ავი და საშინელი, მაგრამ ადამიანთა სამტროდ პირდაპირ კი არ გამოდიან, არამედ შემთხვევიდან

შემთხვევამდე, როცა ადამიანთა ინტერესებს ეჯახებიან, მაშინ ადამიანთა წინააღმდეგობისა და სიძულვილის პასუხად, მის საზიანოდ მოქმედებენ. ადამიანთა ინტერესებს ვიდრე პირდაპირ არ შეხვდებიან, მანამ არ აწუხებენ მათ სისტემატური თავდასხმებითა და ბოროტებით. მაშინ დაისმის შეკითხვა: რატომ შექმნა რწმენა ამ სულთა არსებობის შესახებ ადამიანმა, რამ განაპირობა ეს რწმენა? შეკითხვა სავსებით ბუნებრივი და დროულია. ადამიანზე აშკარად თავდამსხმელი, ბოროტებისა და ზიანის მომტანი მოვლენების გარდა, ბუნებაში ბევრი რამეა ბნელი და ამოუცნობი, რომელიც თავს არ აჩენს, ადამიანი მათგან თავდასხმას არ მოელის, მაგრამ მათთან შეხვედრას ძალიან გაურბის. სუსტი ნებისყოფის ადამიანს მდინარის ვიწრო ხეობებში, მთიან ადგილებში, ათასნაირი უცნაური ხმა ესმის საკუთარი ფანტაზიით შეთხზული, ათასნაირი შავი ძალა იძვრის მის წინააღმდეგ: წყლის ქალი, სრულიად შიშველი და გასაოცრად ლამაზი, მაგრამ ჯადოქარი და ეშმაკეული, რომელთან მიახლებაც კი ჭკუიდან შლის ადამიანს. იგი ბოროტი და საშინელია; უღრან, ბნელ ტყეში საშინელი დევკაცი – ოჩოკოჩი დაქრის, ბოროტი და საზიზღარი, რომელიც შეხვედრისას თავს ესხმის ყველას და ყველაფერს, ვინც ან რაც არ უნდა იყოს მის სტიქიაში შეჭრილი. ნათელ ღამეში ტყის პირას, საოცრება რომ ქმნის უცნაური ხმებისა და შემაზრზენი საკვირველების ილუზიას, ტყაშმაფაა – ტყის მეფე ქალი – საოცარი სილამაზისა, მაგრამ მამაკაცის სქესის მაძებარი და მისი მომჯადოებელი. თუ კაცი გულში ჩაუვარდა, იგი პირობას კრავს მასთან და ცხოვრობს. გარკვეულ დროს აშორებს ოჯახსა და ნორმალურ ოჯახურ ცხოვრებას. ასევე, ტყის და მთის ჯურღმულებში, გამოქვაბულებში საშინელი, მრისხანე ხმები ისმის, ბრაზიანი და ბოროტი – ეს დევია, გორა, ადამიანის სახის არსება, მაგრამ რამდენიმე თავითა და ხელით. მას შეუძლია ერთი დაკვრით მთელი ქალაქი ჩაძიროს, ერთ დამთქნარებაზე ათასობით ადამიანი გადაყლაპოს, ჰაერთან ერთად. იგი მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე ხვდება ადამიანს და მხოლოდ კონკრეტული შემთხვევით იძულებული, ესხმის მას თავს. ასე ესმის ეს ადამიანს. ისინი ავნი არიან, მაგრამ ნაკლებად საშინელნი მისთვის. მხოლოდ მორიდებაა საჭირო. ამასთან, ეს ძალები თავიანთთვის ცხოვრობენ, თავიანთ სამყოფელში, საკუთარ სტიქიაში, ტყაშმაფა ტყეში, ოჩოკოჩიც ტყეში, დევი კი მთის ჯურღმულებში. მათ ერთიანი სამყოფელი, სარეზიდენციო კერა არა აქვთ. ისინი, ერთმანეთისაგან გამიჯნულნი, თავიანთ სტიქიაში, საავსულოში ცხოვრობენ და მოქმედებენ. „ვეშაწუხა და ვეშგაწუხუნს“ (არ შეაწუხო და არ შეგაწუხებსო), ამბობენ მათზე. ისინი სახლში არ მოგვარდებიან უმიზეზოდ.

ქაჯიც ამ რიგის ძალაა. ჯურღმულის, შავბნელი ტყისა და ქვესკნელის მცხოვრებია, ოჩოკოჩისა და დევის ტიპისა, ორივე სქესისა, ისევე, როგორც დევები. ოჩოკოჩი მხოლოდ მამრია, ტყაშმაფა კი – მდედრი. ქაჯები, საკუთარ ჯადოქრულ საცხოვრისში დაბადებულნი და აღზრდილნი, ჯადოქარ მშობელთა მიერ ქმნილნი და შობილნი, მაგრამ წარმოშობისა და განვითარების უცნაური ძალის მფლობელნი არიან. თუკი თავს მოჭრი, ახალი თავი ებმის გაჭრი შუაზე და ისევ ცოცხლდება, ერთს მოსპობ და ნაწილებისაგან ათასი იბადება. მიუხედავად ამისა, ქაჯი მაინც სრულიად განსაკუთრებული სულია, იგი რქებითა და ბალნით შემოსილი, საშინელი თვალებით და ხელ-ფეხით დაფრინავს და დასრიალებს. შეუძლია ბანიდან წამოიჭვრიტოს, უჩინარი გახდეს და უდარაჯოს, მაგრამ მაინც შედარებით უფრო ნაკლებ აგრესიას ატარებს. ისინიც თავიანთვის ცხოვრობენ და ჯადოქრობისათვის დგებიან მხოლოდ გარკვეული მიზეზით აღძრულნი. ეშმაკეულნი, კუდიანები კი სულ სხვა ძალაა. აქ ჭინკები და ეშმაკები ერთიანდებიან და გიგანტ ავისულთაგან განსხავევებით, მუდამ ადამიანის საზიანოდ მოქმედებენ. ადამიანებთან ცხოვრობენ, მათ ოჯახებში, კერასთან ახლოს, ადამიანის სახისანი არიან, მაგრამ უცებ შეუძლიათ მიიღონ ცხოველის სახე, დაპატარავდნენ, ფრთები შეისხან, უმნიშვნელო ბზარებშაც გაძვრნენ და იქიდან უმტრონ ადამიანს. ისინი ყოველთვის დადარაჯებულნი არიან ადამიანთა სიფხიზლის მოდუნების მომენტისადმი და აჯადოებენ, იმორჩილებენ მას, უღებენ გულს-ღვიძლს, გლეჯენ კანს, ადებენ თავანთ დაღს, უხვევენ თმებს, უწვავენ სახის კანს, უჭრიან ტანსაცმელს; კატებად, თაგვებად, ბუებად ქცეულნი ახრჩობენ და აწამებენ. დაძრწიან სოფელ-სოფელ, კარდაკარ, მაგრამ სამოქმედოდ მხოლოდ ღამით გამოდიან. ეშმაკთა მოქმედების დრო ბნელი და საშიში ღამეა. ამ დროს ადამიანს სძინავს, ისვენებს, გაურბის სიბნელეს. ბნელი ღამე მისთვის შეუცნობელი ბუნების მოვლენაა, რომელსაც, მისი აზრით, მორიდება სჭირდება. დღე ნათელი და ღვთიური სიკეთეა, რომელიც მას მოქმედების საშუალებას აძლევს. იგი დღისით ყოველგვარი ბოროტისა და ავსულისაგან დაზღვეულია. მზე მისი მანათობელია, დედაა, რომელიც ათბობს მას და უნათებს გარემოს. დღისით მხოლოდ კეთილი ღვთაებანი დადიან. ისინი ადამიანს ეხმარებიან ცხოვრებისეულ წვრილმანებში, მის სასარგებლოდ ქმნიან დარსა და ავდარს. დღე კეთილია, ღამე – ბოროტი. ღამე ეშმაკეულთა დროა. დღისით რომ ისვენებენ, თავს მალავენ, სახეს იცვლიან, ღამით კი დათარეშობენ. ამიტომ მღერის მეგრელი გლეხი:

„სერი ეშმაკეფიშირე,
დღაშა, ბჟაშა ოშქურუნა,

დოჭუნა დო დოდაღუნა,
ეშმაკობას მუ॥ასუნა“
(ღამე ეშმაკებისაა,
დღისა, მზისა ეშინიათ,
დაწვავენ და დადაღავენ,
ეშმაკობას მოუშლიან).

ეშმაკები, მაზაკვალები ოჯახის წევრთა შორისაც შეიძლება იყვნენ, ადამიანის სახით. შეიძლება ოჯახში ცხოვრობდნენ, ჰყავდეთ შვილები და შვილიშვილები. დღისით ადამიანივით საქმიანობდნენ, ღამით კი საავსულოდ გადიოდნენ. ისინი ოჯახის თანაწევრებსაც მტრობენ, თავიანთ შვილებსაც კი.

მაზაკვალი მილახენი,
ი ოჯახის ვარე ხერი
მოჯგირობა ვაგგგალე,
ოკო გაფუდასი ნტერი“
(მაზაკვალი რომ იმყოფება,
იმ ოჯახში არაა ხეირი.
მასთან მოყვრობა არ გაგივა,
მტრად უნდა გყავდეს მოკიდებული).
„მუში॥ნს მუშენგ ონგ,
შურ წაულირიც რდასგნი“
(თავისიანს რატომა მტრობს,
სულწამხდარი რომ არ იყოს).

ისინი სახეს არასოდეს გამოაჩენენ, თავს არ ამჟღავნებენ, პირდაპირ სამტროდ არ იქაჩებიან. მალულად, ზურგს უკან მოქმედებენ, როცა ყველას სძინავს, უჩუმრად იპარებიან.

„დღაშით თანდაბალი რენა,
სერით რენა ნგერიცალი“
(დღისით თავმდაბალნი არიან
ღამით არიან მგელივით).

ეშმაკებს თავიანთი მეუფე ჰყავთ, ერთადერთი მბრძანებელი, რომელიც მათ ლაშქარს აჯადოებს და აგზავნის ადამიანთა სამტროდ. როკაპი ან როქაფი, ხალხის წარმოდგენით, ღვთის შვილია, ანგელოზად გაჩენილი. ის ანგელოზმა დაბადა, მაგრამ თავიდანვე ბოროტება და მზაკვრობა დაჰყვა, გვიამბობს სოფ. წყემის მცხოვრები თემო დუნგია. ანგელოზმა დაწყევლა ქვეყნის დამაქცეველი შვილი და რომ ვერაფერი მოუხერხა, დაწვა და მცენარის ფოთოლში შეახვია. მისმა დამ ამ ფერფლს ხელი დაადო, უცებ დაორსულდა და მალე დაიბადა ისეთივე როკაპი, რომელიც შემდეგ ვერც ღმერთმა მოსპო და ვერც ანგელოზმა. მისი დაბადე-

ბისას დედამიწა გააპო, ქვესკნელში ჩაძვრა და იქ დაიმალა ტაბაკონას მთაზე. ამასთან იმ წელიწადს, რაც კი ბავშვები დაიბადნენ ქვეყანაზე, ყველა ეშმაკი და ჭინკა გახდა და ასე მომრავლდნენ შემდეგ“.

როკაპი ქალად ჰყავთ წარმოდგენილი მეგრელებს. როდესაც ბრაზიან, ბოროტენიან, ავი გულისა და სულის ქალს ეჩხუბებიან ადამიანები, როკაპს ადარებენ მას – როკაპივით იღრინება, როკაპის გული აქვსო. როკაპი მხოლოდ ბრაზიანი და ავი ქალის სინონიმია. ამდენად, როკაპი ქალია, მდედრობითი სქესის ავსული. იგი ქვესკნელში ცხოვრობს, ემალება ყველას და აქედან თავისი შიკრიკის, ეშმაკეულთა, კუდიანთა მეშვეობით ადამიანთა საზიანო ქსელს აბამს. ეს ქვესკნელი ბელზებლის შავი საცხოვრისია, ჯოჯოხეთის ცეცხლისა და გენიის კერაა მთის გულში, შეუღწეველ და გაუტეხელ ტაბაკონაში. ტაბაკონა გეგეჭკორის რაიონში მდებარეობს, სოფელ ინჩხურთან. იგი სამხრეთის მცირე კალთისეული განტოტებაა ეგრისის მთაგრეხილისა. თხემზე ტაბაკივით გაშლილი, ტაბაკია ადგილი, მცირე ველია, ტაფობით, ოდითგანვე უღრანი ტყით დაფარული, მცირე ღელეთა ღრმა და ბნელი ხევებითა და უფსკრულებით, ღრმა და შავბნელი გამოქვაბულებით. ოდითგანვე როკაპის სამყოფ ადგილად ეს მთა და მისი ქვესკნელი მიუჩენია ქართველ კაცს. ლეჩხუმში, აფხაზეთში (გალში), სამეგრელოს ყველა რაიონში მოხუცებმა იციან როკაპის ადგილსამყოფელი.

გალშიც ასეთ სიმღერას გაიგონებთ:
„ეშმაკი დო მაზაკვალი
მა მპკითხი სო იკათუნა,
ტაბაკონაშა მე უნადო
როკაპწკუმა სხაპუნა“
(ეშმაკი და მზაკვარი
მე მკითხე, სად იკრიბებიან,
ტაბაკონაზე მიდიან და
როკაპთან ცეკვავენ).

ტაბაკონა იმერეთშიც ცნობილია, როგორც ეშმაკეულთა მეფის – როქაფის სამყოფი. ნიკო ლორთქიფანიძე ასე ახსენებს ტაბაკონობას თავის მოთხრობაში – „ივანე და მისი შვილები“. ტაბაკელა როქაფის ადგილსამყოფლად მიჩნეული აქვს თავის „მეგრული ენის გრამატიკაში“ ი. ყიფშიძეს. ი. ქობალია სამეგრელოს წარმართული ადათ-წესების, ელიობის დღესასწაულის აღწერისას ხაზს უსვამს, რომ ტაბაკონა როკაპის ადგილსამყოფელი, ეშმაკთა ცენტრია, მისი თავყრილობის ადგილი.

ჩვენ მიერ წლების განმავლობაში სამეგრელოს რაიონებში მოგზაურობის შედეგებმა დაგვიმოწმა, რომ ტაბაკონა სამეგრელოს ყველა

რაიონში როქაფის ადგილსამყოფელად, ეშმაკთა თავყრილობის ადგილად მიაჩნიათ.

„თე ქიანა მეუცოთამგ
ხარვანობა-ზაკუას,
მაზაკვალეფი სოდე რენი,
ნოტე შურო ვაცუას,
ტაბაკონაშა აპირენა
ორინჯიში რაცუას,
მოლხენასგ თექგ ფიქრენა
ბირა – ლაცაფ – სხაპუას“.
(ეს ქვეყანა დაუღუპავს
მზაკვრობას და სიხარბეს,
სადაც მზაკვრები არიან,
ნეტავ სულ არ იყვნენ,
ტაბაკონაზე აპირებენ
ნახირის გარეკვას,
მოლხენას იქ ფიქრობენ,
მღერას, თამაშს და ცეკვას),

ამოწმებს თავის მასალებში კ. სამუშია.

მასალათა ზერელე მიმოხილვაც კი გვარწმუნებს, რომ როქაფის ადგილსამყოფლად მთელ დასავლეთ საქართველოში ტაბაკონა იყო მიჩნეული. როქაფი კი ეშმაკების მეფეა. ეშმაკები მისი შიკრიკები, მისადმი დაქვემდებარებული ავსულები არიან, რომლებიც მისი დავალებით ადამიანთა საზიანოდ, მის მოსაჯადოებლად მოქმედებენ. მათი თავყრილობის ადგილი, ცენტრი, როქაფის სამყოფი ადგილი ტაბაკონაა.

აქ როქაფი დიდ ქვესკნელში, ღრმულში ზის, საიდანაც მუდმივი, უქრობი ცეცხლის ალი და შავი კვამლი ამოდის განუწყვეტლივ. როქაფი წევს ჯოჯოხეთის ცეცხლის პირას. მას გამოულევად აქვს საზრდო. ეს ეშმაკთა, მაზაკვალთა მიერ მოტაცებულ ადამიანთა გულ-ღვიძლი და სულებია, რომელსაც იგი განუწყვეტლივ ნთქავს. მისი მადის დასაცხრომად, ამოუვსები მუცლის ამოსაყორად განუწყვეტლივ დაძრწიან ეშმაკები, კუდიანები სოფელ-სოფელ, აჯადოებენ ადამიანთა სულებს, უღებენ გულ-ფილტვს და დატვირთული საწნახელით მგელზე ამხედრებულნი, მიეშურებიან ტაბაკონასკენ. ნადავლით დატვირთულ საწნახელს აპირქვავებენ ქვესკნელში, თვითონ კი ქვესკნელის თავზე, იქიდან ამომავალი ჯოჯოხეთური ცეცხლის ირგვლივ, როქაპის მეთაურობით იწყებენ ეშმაკეულ როკვას, რაც დილამდე გრძელდება. დილას როქაფი კვლავ ქვესკნელში ძვრება, ხოლო ეშმაკები – მგელზე ამხედრებულნი, ცარიელი საწნახელით ბრუნდებიან უკან, სოფლებში, და დღის ნათელს ხვდებიან ადამიანის სახითა და საქმიანობით. განსაკუთრებით დიდი

თავყრილობა და ეშმაკთა შემოსევის დიდი საფრთხე ადამიანებისათვის ელიობაა – 20 ივლისი, ძველი სტილით. ამ დღესასწაულს საინტერესოდ აღგვიდენს ი. ქობალია, თავის წერილებში – „Из Мифической Колхиды“: (მითიური კოლხეთიდან) „ეს დღე ითვლება არაწმინდა სულების დღედ და მას დიდი სიფრთხილით ატარებენ, რათა არ მოხდეს რაიმე უბედურება, – წერს იგი, – მზის ჩასვლისას ისმის ყველა სახლიდან 12 საყვირის ხმა. საყვირები წინასწარ მზადდება განსაკუთრებულად ამ დღისათვის ხის ძირისაგან, ისვრიან თოფებს და მთელ ღამეს ტეხენ, ფხიზლობენ. ახალგაზრდობა (ორივე სქესისა) თავს იყრის მინდორში და დროს ატარებს სიმღერასა და მოლხენაში. გათენებამდე ყოველი მხრიდან ისმის თოფის სროლა და სიმღერა. მეგრელთა რწმენით, ავი სულები – ეშმაკები, კუდიანები ყველგან დაძრწიან ამ ღამეს სოფელში მგლის, კატის, ბუს და სხვ. ცხოველისა თუ ფრინველის სახით. ისინი მალულად უღებენ მძინარე ადამიანებს გულებს, ფილტვებს, თირკმელებს და მიაქვთ როკაპთან, რომელიც მათგან ყველაზე უფროსია, ცხოვრობს „ტაბაკონას“ მთის მწვერვალზე“. ეს რიტუალი გვიანობამდე შემორჩა სამეგრელოში. მას „ღამისთევას“, „ტურობანას“, „ეშმაკობა“ ღამეს ეძახიან. მრავალი ლეგენდა და ზღაპარია სოფლებში დღემდე შემორჩენილი, თუ როგორ დაესხა თავს ბუდ გადაქცეული ეშმაკი ქალი ბავშვს, ქალს ან მამაკაცს, როგორ დაუპირა დახრჩობა, როგორ ამოართვა გული ადამიანს, ან კიდევ, როგორ შეხვდა მგელზე შემჯდარი, ზურგზე საწნახელაკიდებული ეშმაკი, კუდიანი, რომელიც გამალებით ტაბაკონასკენ მიეშურებოდა და ა. შ. ერთ-ერთმა დიაკონმა ვითომ როქაპის ჩონგურიც მოიპარა და ჯვეში სენაკის (ძველი სენაკის) ეკლესიის მოედნის წინ დაუკრა. როგორც კი იცნეს როქაფის ჩონგურის ხმა, ეშმაკისკუდიანმა ადამიანებმა, რომლებიც მორწმუნეებში იყვნენ გარეულნი, ცეკვა და როკვა დაიწყესო. არის სხვა უმრავი მსგავსი გადმოცემა, რომელიც ელიობა დღესასწაულის რიტუალზე მოგვითხრობს. ყველა როქაფთან და ეშმაკებთან არის დაკავშირებული. ასეთივე დღესასწაული ეწყობოდა „მარაშონას“, 15 აგვისტოს წინადღეს. ესეც მსგავსი დღესასწაული და ეშმაკეულთა წინააღმდეგ სარიტუალო დღეა. ორივე დღესასწაული ცნობილია „ჭეჭეთობის“ სახელწოდებით. მარაშონობა დღესაც ასეთივე ღამისთევა და ლხინი იცოდნენ. მესამე იყო მესეფობა, რომელიც ოქტომბრის უკანასკნელ სამ რიცხვსა და ნოემბრის პირველ სამ რიცხვში ტარდებოდა. ამასაც ეშმაკეულთა დღედ თვლიდნენ, იელის ჯვრებს აკეთებდნენ და ეზოებსა და კარ-მიდამოებს ჯვარავდნენ. ასევე ღამეებს ტეხდნენ სიმღერასა და ცეკვა-თამაშში.

სამივე დღესასწაული, ეტყობა, ძალიან ადრეული დროიდან უნდა მომდინარეობდეს. ჯერ ერთი, დღესასწაულის შინაარსი ქრისტიანული არაა, იგი ქრისტიანობამდელ რწმენებს ემყარება. როქაფსა და ეშმაკზე დამყარებული რწმენა ისეთივე ძველი უნდა იყოს, როგორც მესეფებზე არსებული; მათ ამოსვლასა და სოფლებში შესევაზე რწმენაც დარისა და ავდრის ძალიან ადრეულ კულტზე უნდა იყოს დამყარებული.

თვით რიტუალიც კი ადრე ქრისტიანობამდელი ჩანს, გარდა ადგილის, ჯვრით დაფრთხობისა. მაგრამ აქ ერთი რამ გვაფიქრებს: ქაჩი, ჯვარი უძველესი ხატი და ღვთაება იყო ჩვენი ერისა. ჯვარი, ქაჩი, ქიაჩი კეთილი ღვთაებაა, ადამიანისათვის სიკეთის, ნაყოფიერებისა და საქონლის სიმრავლის მომტანი. მისი ხატი ჯვრის სახედაა წარმოდგენილი. ჩვენ მიერ ჭიითში ნაპოვნი ჯვრის სახის ფიბულები, ჯვარ-სამკაულები შეიძლება სარიტუალო ერთეულებადაც ჩავთვალოთ. თუ ეს ასეა, მაშინ ჯვარი ძლიერი წარმართული ხატი ყოფილა, რომლითაც ეშმაკის დაშინება, მასთან კეთილის დაპირისპირება სრულიად სარწმუნოდ მიგვაჩნია. ამდენად, ეს მომენტი რიტუალურად შეიძლება ძველი იყოს და უსასრულოდ მისაღები და ხელსაყრელი მომენტი, ადვილად გამოყენებული ქრისტიანული რელიგიის მიერ. ჯვრით ეშმაკეულთა დაშინება, მათ წინააღმდეგ ბრძოლა – უძველესი დროიდან მომდინარე ეს ელემენტები – კარგად შეერწყა, როგორც ჩანს, ახალი რელიგიის მოთხოვნებს.

„ჯვარი – სახე გაუკეთი
შარას ქაშქეცარასუნი,
უკუი მუთუნი ვანებინე
მუდგა გამეცადასუნი“.

ჯვარისახე გაუკეთე,
თუ გზაზე შემოგეყრება,
შემდეგ ვერაფერს გავნებს,
რაც არ უნდა შეეცადოს.

ხალხური ლექსი ჩაიწერა და გამოსცა კ. სამუშიამ. მსგავსი სარიტუალო ნორმა ჯვრის გამოყენებისა დამოწმებულია ჩვენ მიერ ჩაწერილ ყველა მასალაში. ჯვრის სარიტუალო, წარმართული კერები მრავალ ადგილასაა მონიშნული ტაბაკონის ირგვლივ. „ჯვარფერდი“ ქვაითში, „ჯვარდუდი“ ინჩხურში, „ჯვარი“ სუხჩეში. „ქეჯვარის“ სალოცავი ბალდაშიც იყო. აქ ყველგან ქვის ჯვარი ყოფილა აღმართული უხსოვარ დროში, რომელთანაც განსაკუთრებული ლოცვა და რიტუალი სრულდებოდა თურმე. ეს რიტუალი გვარწმუნებს, რომ იგი ქრისტიანობამდელი რწმენა და საკულტო ნორმაა. ჯვრის, ქიაჩის რიტუალის წარმართული ხასიათი და მომდინარეობა სავსებით დადგენილია პროფ. ვ. ბარდაველიძის მიერ. ამდენად, შეიძლება ჯვრის სახის დაპირისპირება ეშმაკეულთან სწორედ უძველესი, პირველყოფილი, წარმართული დროიდან მომდინარე ნორმა იყოს. აღწერილი დღესასწაულებიც შეიძლება ასე ადრეულად ჩავ-

თვალოთ... ამრიგად, წარმართულ ავსულთა პანთეონი ორ რიგად ჩანს წარმოდგენილი: პირველი – ჩვენ მიერ პირობითად გიგანტ ავსულებად წოდებული, და მეორე – ეშმაკეულნი. გიგანტი ავსულები ერთეულნი არ არიან. ცალკეული სახეობა ამ სულებისა მრავლადაა წარმოდგენილი. ოჩოკოჩები ყველა ტყესა და ჭიუხში ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მამრობითი სქესისანი არიან, შეიძლება ერთ ადგილას ორი-სამი და მეტიც დააბოტებდეს. ყველა ტყესა და მთის უღრანებს თავისი ტყაშმაფები ჰყავს. ამ ტყეში ტყაშმაფები ცხოვრობენო, იტყვიან. მათი სამყოფი ერთი ცენტრი არაა, საერთოდ ყველა ტყე და ჭიუხია. ეშმაკეულთა მეფე კი ერთია – როქაფი – ბელზებელი, რომლის რეზიდენცია ტაბაკონაა, სადაც იმართება ეშმაკეულთა სარიტუალო ყრილობა და როკვა. ის მეუფეა ეშმაკეულთა დასისა, მისი შიკრიკებისა, რომელთა მეშვეობით აკეთებს თავის საზიანო საქმეს ადამიანთა მიმართ. ჩვენ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. აპ. ცანავას, რომ ტყაშმაფა და მესეფები დარგობრივი ნადირობის ღვთაებანი ყოფილიყვნენ წარმართობის დროს, რომელთაც შეეძლოთ ადამიანისათვის კეთილიც მიეგოთ და ავიც. ქრისტიანობამ ნიადაგი გამოაცალა მათ სიკეთეს, მათ დარგობრივ არსობას და მაქციად, ავსულად დატოვა. როკაპი, მათგან განსხვავებით, ქრისტიანობამდეც ავი სული იყო, ეშმაკეულთა ბოროტი მეფე და ქრისტიანობის შემდეგაც დარჩა კაენის მსგავსად, ღვთაებრივი, მშობლიური საწყისისაგან განდგომილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთოდ, წარმართული ღვთაებანი ორი რიგისანი არიან. შეიძლება თუ არა ორივე რიგს თავისი ცენტრი, პარნასი ჰქონოდა? კეთილს ბოროტი გაურბის. კეთილი მას ებრძვის და თრგუნავს. ამიტომ მასთან ერთ ცენტრში ყოფნა ყოვლად შეუძლებელია, დაპირისპრებულნი და ურთიერთსაწინააღმდეგონი არიან. კეთილ ღვთაებებს, ეტყობა, თავისი ცენტრი ჰქონდათ. ვფიქრობთ, ბატონ მ. ჩიქოვანის მტკიცება გერგეტ-მყინვარის ოლიმპობის შესახებ სავსებით სარწმუნოა. აქ მართლაც ღვთაებრივი ცენტრია. აქ კეთილი, ღვთაებრივი დააბანაკა მორიგემ, „გგმარჩქინალმა“. ზღვაში კოპალის ჩაგდება და იქიდან დახსნა, ქაჯების ბაზრის აოხრება ხომ იმაზე მიგვანიშნებს, რომ სადღაც შავი ზღვის მახლობლად უნდა ყოფილიყო ეშმაკეულთა ან „ქაჯთა“ ბაზარი, მათი ცენტრი, პარნასი. ტაბაკონა ხომ თითქმის შავი ზღვის გადასახედზეა. ამდენად, კეთილ ძალასთან დაპირისპირებულ ავსულთა ადგილსამყოფელი, ხომ შეიძლება, შავი ზღვის ნაპირას, უკვე საკმაოდ ცნობილი და აღიარებული კერა ტაბაკონაში ვეძიოთ და ვივარაუდოთ, როდესაც იგი საკმაოდ ძლიერ და აღიარებულ კერადაა მიჩნეული ყველა აქ შეკრებილ ფოლკლორულ მასალაში.

როგორც პროფ. მ. ჩიქოვანი წერს: „ქართული თეოგონია“ ღვთის ნასახთა მოღვაწეობასაც ითვალისწინებს, მათი პირდაპირი მოვალეობაა ადამიანების დაცვა ქაჯებისა და დევებისაგან, ყოველგვარი მავნე სულებისაგან“. თუ ეს ასეა, მათი ერთ ღვთიურ ცენტრში მოთავსება არ შეიძლება. ამასთან, ტაბაკონა ხომ თავშესაყრელი ადგილია, ეშმაკეულია. აქ იკრიბებიან ისინი როკაპის სამყოფში. აქ ასრულებენ ეშმაკეულ როკვას, აქვე მოჰყავთ ადამიანთა სულები და ნაწილები, აქვე უდგენენ თავიანთი შავბნელი საქმის ანგარიშს როკაპს. როკაპი ხომ მათი გამრიგეცაა და მეუფეც. ასეთი მეუფის ადგილსამყოფელი, რეზიდენცია ცენტრად უნდა ჩაითვალოს ამ შავბნელი ძალებისა.

ახლა სხვა საკითხიც დგება ჩვენ წინაშე: ტაბაკონაზე რომ ავსულთა, ეშმაკეულთა სამყოფია, ადასტურებს ის ფაქტი, რომ იგი შეჩვენებული და დაწყევლილი ადგილია, ყველა შიშითა და რიდით უვლის გვერდს. ღამით იქ არ რჩებიან. თუ დარჩებიან, თავიანთი სადგომის ირგვლივ ჯვარსახეს აკეთებენ, რაც დაიცავს მათ ეშმაკეულისაგან.

კეთილ ღვთაებათა ერთეული კერებიც კი, მისგან განსხვავებით, სრულიად პატივცემული და აღიარებული იყო. მაგ., სოფელი ჟინოთა ჟინანთარის საკულტო-სარიტუალო კერაა. ხალხის რწმენით, ჟინანთარის საუფლო ადგილი წმინდა ადგილად, ადამიანისათვის კეთილ და უსაფრთხო ადგილად ითვლებოდა უძველესი დროიდან. აქ ადამიანს არაფრის შიში არ ჰქონდა. ხოლო წაჩხურაში – მოსკეს საუფლოში, ალერტში, ჭყონდიდში – კაპუნიას საუფლოში და სხვა ერთეულ კერებზე, კეთილ ღვთაებათა იმედით ადამიანი უშიშრად გრძნობდა თავს. აქაც პირისპირობა იგრძნობოდა. დაწყევლილი ადგილი ეშმაკეულთა საუფლო, შიშისა და უბედურების ადგილი იყო. კეთილ ღვთაებათა ერთეული სამყოფიც კი პატივისცემისა უშიშროებისა და სიკეთის ადგილად იყო აღიარებული.

მავნე სულთა ადგილსამყოფი, მისი ცენტრი ხევსურეთშიც ჰქონია ხალხს. როგორც ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს, „კარატის ხატი“ ხევსურთში, ლიქოკში, მავნე სულების მეუფეა. ლიქოკი მათი თავყრილობის ერთ-ერთი ადგილია. იგიც ეშმაკეულთა თავყრილობის ადგილია, მაგრამ არა ასე მკვეთრად გამოხატული რიტუალით, ყოველმხრივ აღიარებული ბელზებელით, როქაფით. მავნე სულთა კონკრეტული სამყოფელი საქართველოში მრავალ ადგილას უნდა ყოფილიყო. ტაბაკონა კი საერთო კერაა. აქ ტაბაკონობის გამართვა ხდება. ნიკო ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს, ტაბაკონობა ყველა ქართველისათვის საერთო რიტუალად გვევლინება. თუ რიტუალს ტაბაკონობა, ე. ი. ეშმაკეულთა შემოსევა ჰქვია და ასე იცნობენ მას დასავლეთ საქართველოში მაინც, მაშინ ტაბაკონა ის ცენტრი უნდა იყოს, სადაც ეს რიტუალი სრულდება ძირითადად და

საიდანაც ეს საერთო გაგება იღებს სახელწოდებას. თვით ტოპონიმი ტაბაკონაც ტაბაკონობიდან, ეშმაკეულთა ტაბაკზე როკვიდან, ეშმაკეული რიტუალიდან უნდა იყოს წარმომდგარი. „ტაბაკონობა“ ეშმაკეულთა ტაბაკზე ცეკვა, ეშმაკეული როკვა ძირქართულიდან მომდინარე ტერმინი შეიძლება იყოს, შემდეგ როქაფის ადგილსამყოფელისათვის შერქმეული და ასე ცნობილი, შეიძლება ძალიან ადრე, მთელ საქართველოშიც კი.

ამდენად, ტაბაკონა უძველესი დროიდან არა ჩვეულებრივი საკულტო-სარიტუალო კერაა, არამედ ერთი რიგის ღვთაებათა – ეშმაკეულთა ცენტრი.

# ქართა (აგვარა) სამეგრელოში*

მესაქონლეობა სამეგრელოში მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული და დაწინაურებული დარგია, რომლის განვითარებას ხელს უწყობდა შესანიშნავი საზაფხულო და საზამთრო საძოვრების არსებობა. ზამთარში საქონლის გამოსაკვებად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ჭალადიდის მასივებს, რომელთაც დღესაც იყენებენ ამ მიზნით, ხოლო მთიდან ბარში და პირუკუ საქონლის გადარეკვის დროს სარგებლობენ კურზუს, ბალდისა და ჯორწყუს ტყიან-ველიანი საძოვრებით. ამ ადგილებში საქონელს აბალახებენ გაზაფხულის მიწურულს, როდესაც ჯოგი გადაჰყავთ ბარიდან მთაში, და შემოდგომის დამდეგს, როცა მთიდან ბარში ეშვებიან.

მთასა და ბარში საძოვრების სეზონური გამოყენების შესახებ პროფ. ს. მაკალათია წერს: „აქაური ჯოგი ზაფხულობით მთაშია: დვირაში, კემლაკესარში და ოცალუეში (ტეხურის სათავეში, აგარაკ ლებარდეს მახლობლად). საქონელი მეგრელებს ზაფხულობით გადაჰყავთ, აგრეთვე, რაჭაში, ბაღდადში და გურიაში... შემდეგ ჯოგებს ბარისაკენ მიერეკებიან და ზამთრობით საქონელი უყენიათ ჭალადიდში, სირიაჩქონში, აჯამეთში, ხორგა-ხეთაში“[1].

როგორც მუდმივ, ისე სოფლის განაპირა სანახირო საძოვარზე საქონელი დღისით დგას, ხოლო ღამით შეჰყავთ საგანგებოდ შემოკავებულ სადგომში, რომელიც შედარებით მოფარებული და დაცული ადგილია. ასეთი სადგომი მოსახლეს კარ-მიდამოშიც აქვს და საქონელი ვიწრო ორღობეთი შედის შიგ. კარ-მიდამოს ამ ნაწილს ბარში **ქართას** ეძახიან, ხოლო მთაში – **აგვარას**. ი. ყიფშიძის განმარტებით, აგვარა საქონლის სადგომი ბოსელია (Скотный двор, хлев), ხოლო ქართა – საზაფხულო ბოსელი (летний хлев)[2]. ნ. თოფურიას ცნობით, „ზაფხულის პირობებში საკარმიდამო ეზოს გვერდით ან უკან საქონლისათვის შემოღობილი ადგილი ჰქონდათ, რომელიც ქართას ან აგუარას სახელით იყო ცნობილი“[3].

---

* ჟურნალი „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია, №2, თბ., 1973, გვ.129-133.

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 191-192.

[2] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, გვ. 152, 341.

[3] ნ. თოფურია, საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები დასავლეთ საქართველოში, კრებ. „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები“; „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. XV, თბ., 1970, გვ. 22.

აგვარა ან ქართა რამდენიმე განყოფილებადაა გადატიხრული. მწყემსების გადმოცემით, მთაში ამ შემოკავებულ, გამაგრებულ და განყოფილებებად დანაწილებულ სამეურნეო ნაგებობას **კარეს** უწოდებენ ზოგადად. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგან კარე მწყემსთა სადგომ ნაგებობასაც ჰქვია, ზოგჯერ კი მას ჯიხურსაც ეძახიან.

პროფ. ალ. რობაქიძე ტერმინებს – **კარესა** და **საკარეს** ფართოდ იმოწმებს. მისი დაკვირვებით, „მეურნეობის ამ დამხმარე ბაზის მნიშვნელობაზე მიუთითებს ტოპონიმიკური მასალა, რომელშიც მსგავსად გვხვდება ქვარცხსაკარე, მიქაძე კარე, მათეშ კარე ბასას კარე, ტუკის კარე, აგის კარე“. და ა. შ.[1].

**კარეს** (აგვარას) შემოსადენ ნაწილს, სადაც ერთად შემოდის საქონელი, საკუთრივ **აგვარას** უწოდებენ. აგვარაში საქონელი იწველება. ამის შემდეგ იგი ნაწილდება სახეების მიხედვით და იკავებს თავის კუთხეს, თავის საღამურ სადგომს, რომელსაც თ, ფ ეწოდება. ყველა სახეობის საქონელს, წვრილფეხობასაც, თავისი თ, ფ აქვს.

ამგვარად, ეს შემოღობილი არე ორ ნაწილად იყო: თგფგ და აგვარა. შემოღობილის წინა ნაწილში არის **ჯიხური**, სადაც მწყემსი ცხოვრობს. მას ერთ მხარეზე **ოგინე** – სახბორე აქვს მოწყობილი, ხოლო მეორე მხარეს მცირე ჯიხურია მიდგმული ძაღლისათვის (ოჯოღორე). როგორც ვხედავთ, კარე რთული სამეურნეო ერთეულია, რომელშიც შედის თგფგ, აგვარა და ჯიხური.

საინტერესო ჩანს სახელწოდება თგფგ. ამ სიტყვის ფონეტიკური აღნაგობა გვაფიქრებინებს, რომ იგი ტ, ბ-ს სახეშეცვლილი ფორმა შეიძლება იყოს. ასეთი ცვლილება სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ქართულისათვის: ტფილისი – თბილისი, ტბილი – თბილი ან მეგრ. ტ, ბ. „ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას ტაბ-ს დაუკარგავს ა-. უნდა მიგვეღო ტბ. აქედან ასიმილაციით (?) მივიღეთ ტფ (ძველ ქართულში გვქონდა ტფ-ილი, გან-ტფ-ა)“[2], – წერს აკად. ა. ჩიქობავა.

როგორც ვხედავთ, თგფგ ასიმილაციის გზით შეიძლება ტ, ბ-დან იყოს წარმოქმნილი. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ თგფგ სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა თბილი, ტ, ბ (მეგრულად – თბილი) ადგილი, სადაც ღამე დგომა და დაწოლა შეეძლო საქონელს. საკუთრივ აგვარა, ან შემოღობილის ცენტრალური ნაწილი, დიდია. თანაც წველისა და შემოდენის დროს საკმაოდ ატალახებულ-აშლილია. ასეთ ადგილას საქონელი ვერ ისვენებს თბილად. ამიტომ იგი უფრო სუფთა და მოფარებულ ადგილს ეძებს.

---

[1] ა. რობაქიძე, მეფუტკრეობა გურიაში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. V, თბ., 1951, გვ. 37.

[2] ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 327.

იქ იღამებს გამოყოფილად, რადგან ძროხა ხარებთან და ცხენებთან ვერ მოისვენებს. ასევე, ხარიც ცალკე გამოყოფას ირჩევს, უფრო თავისუფალ საწოლს ეძებს, ცხენიც თავის საკუთარ საბეკში დგება, ცხვარიც, თხაც და ა. შ. ამ გამოყოფას მწყემსიც უწყობს ხელს. იგი ერთგვარ ჩვევასაც ნერგავს საქონელში.

ამგვარად, ამ ერთიანი სამეურნეო ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ, აგვარაში, რომელიც გარეზღუდით გამიჯნულია სხვა განყოფილებებისაგან და საკმაოდ ვრცელ ფართობს მოიცავს, საქონელს წველიან, ითვლიან, მკურნალობენ, სინჯავენ და ა. შ. შემდეგ საქონელი თავთავის თ, ფ-სკენ მიდის.

ამ ერთიან სამეურნეო ნაგებობას, როგორც აღვნიშნეთ, მთაში კარეს ეძახიან. აგვარა, ალბათ, მოგვიანებით უნდა დარქმეოდა მთელ ნაგებობას. ბარში ქართა მახორობის, კარ-მიდამოს ნაწილიცაა, ოღონდ, უფრო თვალსაჩინოდ გამოყოფილი. ქართა იმერეთსა და გურიაშიც ამავე მნიშვნელობით იხმარება. რაჭაში, ქვემო იმერეთში, გურიაში (იგულისხმება გურიის მთიანეთი) ქალთა, ქალტა და ქართა გვხვდება, აგვარა კი არ დასტურდება. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს, რომ ქართულში მსგავსი ტერმინი არ გვქონია. იოანე ბაგრატიონის ლექსიკონში ვკითხულობთ: „აგვართა არის საძროხე გომი სადგურად ზამთრობით მინდორში თუ ტყეში აშენებული“[1]. რ. ხარაძეს და ალ. რობაქიძეს აგვართა ფიქსირებული აქვთ გურიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც. „გურიაში იგი აგვართას სახელით არის ცნობილი. ლანჩხუთის რაიონში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით, აგვართა ტყიან ჭალებში იმართებოდა და მიზნად ისახავდა საქონლის გამოკვებას ზამთრის მანძილზე, ე. ი. აგვართა მესაქონლეობის ინტერესებში ეწყობოდა, თუმცა აქვე სიმინდის ყანასაც იმართავდნენ და სათიბსაც. ხელსაყრელ პირობებში აქ დაზამთრებულნი მისდევდნენ ნადირობას, მეთევზეობას და მეფუტკრეობას“[2].

როგორც ვხედავთ, ტერმინი აგვარა ქართულისათვის უცხო ლექსიკურ ერთეულად არ ჩანს. მეგრულში მტკიცედ ზის ლექსიკური ერთეული გვართუა – დაზვინვა, დახორავება, დაყორვა, შემოკავება. აქედან არის ნაწარმოები: გეშავგვართუნქ, გეშავგვართათ, ქუდუოგვართანქ, დოვგვართუნქ, ქუდაგვართი (ამოვგვართავ, ამოვაკავოთ, დავზვინავ, ზვინებად დავდგამ, დავზვინე). ჩანს, გვართუა დაზვინვაა, დაყორვაა, ხოლო ეშაგვართუა – ამოღობვა, ამოყორვა, შემოკავება. ასეთი მნიშვ-

[1] დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 183.

[2] რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 97.

ნელობით იხმარება ეს სიტყვები მთელ სამეგრელოში, ბარისა თუ მთის სოფლებში.

იბადება შეკითხვა: იმერულ და მეგრულ ლექსიკაში ასე მტკიცედ შემორჩენილი ერთეული ქართაც გვართადან ხომ არ არის წარმოქმნილი? ფონეტიკური მსგავსება, გარდამავალი ხმიანობა ასეთ შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ე. ი. გვართა – შემოკავებული, გამაგრებული ადგილი, ხომ არ არის იგივე ქართა? ან პირუკუ, ხომ არ მოხდა ქართას გვართად გარდაქმნა?

ტერმინ კარტ-თან დაკავშირებით, რომელიც ოსურში ეზო-ს მნიშვნელობით იხმარება, ვ. აბაევი აღნიშნავს, რომ იგი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ტერმინი, რომელიც წარმოადგენს ოსური, ზოგიერთი კავკასიური და უნგრო-ფინური ენების საერთო კუთვნილებას. მისი სიტყვით, ამ ტერმინის წარმომავლობის დამაჯერებელი ახსნა არ არსებობს; მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ სკვითურ-სარმატულ სამყაროს შეესრულებინა შუამავლის როლი უნგრო-ფინურ და კავკასიურ სამყაროთა შორის[1].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ტერმინი ქართულიდან უნდა მომდინარეობდეს. დღეს აფხაზურში ამ ტერმინის ასე მტკიცედ არსებობაც შეიძლება ქართულის ნიადაგზე დაფუძნებისა და ქართველობასთან და ქართულ ენასთან ურთიერთობის შედეგი იყოს. ამ მხრივ საინტერესო ფაქტად შეიძლება დავასახელოთ ისიც, რომ აგვართა აფხაზურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც გვხვდება. ალ. რობაქიძეს იგი დამოწმებული აქვს ბზიფის აფხაზეთშიც[2]. ისიც საყურადღებოა, რომ აგვარა ქვის ზღუდეს, ქვით შემოზღუდულ სადგომს წარმოადგენდა მესაქონლე აცნების საცხოვრისში, რომელთაც ლეგენდარულ, მითიურ ხალხად მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ მითი ამ ზღუდეებს „აცანგვარას“ უწოდებს. აცანები ან ცანები, შ. ინალ-იფას მიერ მოტანილი გადმოცემების, ლეგენდების, მითების საფუძველზე, პირველყოფილი მესაქონლე ხალხი ყოფილა, რომელსაც მესაქონლეობის მაღალი კულტურა ჰქონია. ისინი თხების პირველ სახალხო სელექციონერებად ითვლებიან[3].

**ცაა** (ცაავა) გვარია სამეგრელოში. ეს გვარი თხების (ც, ა) სახალხო სელექციონერებად ითვლება დღესაც. თვით გვარს ც, ა-დან წარმომდგა-

---

[1] В. И. Абаев, ИЭСОЯ, I, М.-Л., 1958, 586-587; შდრ. ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 39.

[2] „აქა-იქ ტერმინ აგვარას-თან პარალელურად, მაგრამ უფრო ვიწრო მნიშვნელობით აგვართა-ც გვხვდება“ (ა. რობაქიძე, მეფუტკრეობა გურიაში, გვ. 38).

[3] Ш. Д. Инал-Ипа, Страницы исторической этнографии абхазов, Сухуми, 1971, გვ. 122, 140.

რად თვლიან, რაც კნინობითი არაა. მათი გამოყვანილი თხები XIX საუკუნეშიც დიდად ფასობდა სამეგრელოსა და იმერეთის ბაზრებში.

**ცანა** (ცანავა) მრავალრიცხოვანი ქართული გვარია. ეცანე, ცანათი, ეცე მათი დასახლების აღმნიშვნელი ტოპონიმებია სამეგრელოში, რაც დამოწმებულია ლიტერატურაში (ი. ყიფშიძე, ა. ღლონტი და სხვები).

ამასთან, **გვარა** გორაა. გორა ზღუდედ ითვლება იმერეთში. სამიქაოში, მარანში, ქოლობანშიც კი, მეზობლებს შორის მიჯნას, ზღუდეს მიწის გორებით ავლებენ. ეს ჩემი მეგორავეაო, ამბობენ, ე. ი. ჩემი გორას მომიჯნავეა, ჩემი მეზობელიაო. ამრიგად, **გორას, გვარას**, გვაᲫას გათვალისწინებაც აგვარაზე დაკვირვების დროს, არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

ამ მხრივ მრავალი სხვა საინტერესო ვარაუდიც ისახება, მაგრამ მათი განხილვა შორს წაგვიყვანდა. ერთი რამ ცხადია: ლექსიკური ერთეული **აგვართა** და **გვართუა** ქართული ერთეულებია, რაც ხალხების საუკუნოვანმა ურთიერთობამ საზიარო გახადა. აფხაზურში გვხვდება აგვარა და მთიან სამეგრელოშიც მესაქონლეთა შორის ეს ტერმინია გავრცელებული **ქართას** გვერდით. „რამდენადაც „ქართლში“ „აკროპოლის“, ქალაქის, ციხე-სიმაგრის, გალავანშემოვლებული ადგილის მნიშვნელობა შეიძლება ვიგულისხმოთ, მისი სემანტიკური სიახლოვე დასავლეთ-ქართულ „ქართა“-სთან, რაც შემოზღუდულ ადგილს ნიშნავს, ვფიქრობთ, აშკარაა“[1]. ამრიგად, ქართა ძველი ქართული ტერმინი ჩანს, რომელიც საფუძვლად დაედო „ქართლის“ და „ქართის“ შექმნას.

მაშასადამე, **ქართა** ქართული ტერმინია, სავსებით გასაგები ქართველი კაცისათვის. აქაც საქონელს წველიან, უვლიან და ღამით აყენებენ. მაგრამ ბარის სოფლებში ყველა კარ-მიდამოს შემადგენლობაში არ გვხვდება. მეურნეს, ვისი ძირითადი საქმეც მიწის დამუშავებაა და საქონლის ჯოგი არა ჰყავს, ჯოგსადგომი ნაგებობაც არ გააჩნია, მაგრამ, ვისაც საქონელი მცირე რაოდენობით მაინც ჰყავს, ქართაც აქვს, ოღონდ მარტივი შედგენილობისა. ასეთ ქართში ერთ მხარეს ხშირად ოთხ ბოძზე დაყრდნობილი, ორფრთიანი სახურავით გადახურული ღია ფარდული დგას, რომელსაც **ჩხანჭის** ეძახიან. აქ თავს აფარებს საქონელი წვიმისა და უამინდობის დროს. ქართას ღობის გაგრძელებაზე მოწყობილია **ოღეჯე** (საღორე), **ობატე** (საბატე), **მარაკა** (ქაბარკა) – თხის დასამწყვდევი მცირე ჯიხური. ყველა ეს ჯიხური ძირითადად ორფრთიანი სახურავით

[1] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 239. ამ საკითხს აყენებდა პროფ. ს. კაკაბაძეც (იხ. მისი ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, I, თბ., 1924, გვ. 5).

გადახურული ნაგებობაა და კარი ქართის ღობეში აქვს დატანებული, საიდანაც ღამით შეჰყავთ, ხოლო დილით გამოჰყავთ ღორები, ბატები, თხები.

ვინც ბარად ძირითადად მესაქონლეობას მისდევს, მის ნაგებობათა კომპლექსში **ქართა** უფრო რთული შედგენილობისაა და მნიშვნელოვანი ადგილიც უჭირავს. თ, ფ აქ უკვე აუცილებელია. მაგალითად, კესა ჩიქოვანი (სოფელი კეთილარი) აღნიშნავდა, რომ ქართაში საქონელი სახეობის მიხედვით თავის სადგომზე, თავის კუთხეში დგება. ამავეს ადასტურებს ნაესაკაოში მცხოვრები ყოფილი მესაქონლე, 85 წლის ფილიმონ გაბუნიაც. მაშასადამე, თ, ფ მთაშიც და ბარშიც ქართას შედგენილობაში შედიოდა.

საქონლის სადგომის ასეთი შედგენილობა და ფუნქცია დასავლეთ საქართველოში მესაქონლეობის უძველესი ტრადიციისა და მდიდარი კულტურის არსებობის დამადასტურებელია.




**აბედათში კოლმეურნე დ. ჯანჯღავას ეზოში მოწყობილი ქართა. 1970**




სოფ. ასხში მ. სხულუხიას ადგილას (კარეს) მეგმარი. 1959

# მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და საბჭოთა სოფელში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები[1]

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყოფა-ცხოვრება. მოახდინა რა დიდი სოციალური გარდაქმნა, მშრომელთა ყოფა დააფუძნა სოციალისტურ საფუძველზე, დაამყარა შრომის სუფევა, კოლექტიური თანამშრომლობა და მეგობრობა ადამიანთა შორის. თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელი მოსახლეობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში ამ ცვლილებების შესწავლას და მის კონკრეტულად წარმოჩენას. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერული კვლევის მიზანია, სრულყოფილად წარმოაჩინოს ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, სოციალისტური ცხოვრების წესით გამოწვეული მთელი სიკეთე, რაც ახლა უკვე თვალსაჩინოდაა ჩვენი ხალხის ცხოვრების ყველა უმნიშვნელო ყოფით წვრილმანშიც კი. ეს კი შესაძლებელია ინტენსიურ-კომპლექსური დაკვირვებით და სოციალისტური ყოფის ყველა დამახასიათებელი თავისებურებების, ყველა მომენტისა და ფაქტის, სამეცნიერო ექსპედიციების, ინდივიდუალური სამეცნიერო გასვლების, საარქივო და პერიოდული პრესის მასალების შესწავლის საშუალებით.

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ამ უკანასკნელ ხანებში მტკიცედ დანერგა თავისი მუშაობის პრაქტიკაში სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა დასავლეთ საქართველოს მასშტაბით შედარებითი ხასიათის მასალების შესაკრებად. მან 1972-1973 წლებში ორჯერ შემოიარა საქართველოს საისტორიო საზოგადოების მანდატით დასავლეთ საქართველოს რაიონები. გარდა ამისა, მან პირველად სამუზეუმო პრაქტიკაში დანერგა განვითარებული სოციალიზმის ცალკეული სინამდვილის, პოლიტიკური მოვლენებისა და ფაქტების შესასწავლად სამეცნიერო საგუშაგოების მოწყობა ადგილზე. იქ მეცნიერ-მუშაკი ხანგრძლივი მივლინებით მიდის, აწყობს ადგილზე ხანგრძლივ საგუშაგოს და მივლინების და ფაქტების მიმდინარეობის მთელ პროცესს ადევნებს თვალყურს, აღრიცხავს ყველა დამახასიათებელ ფაქტს, აგროვებს მოვლენის ამსახველ მასალებს და აკეთებს გარკვეულ დასკვნებს. ამ პრაქტიკამ მეტად სერიოზული შედეგები მოგვცა.

---

[1] ჟურნალი „მაცნე“, №2, თბ., 1977.

ჩვენ მიერ შეგროვილი მასალები ხალხის ცხოვრების მრავალ მხარეს მოიცავს. ახლა ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა ადამიანების შრომისა და ცხოვრების, ურთიერთობის საფუძველი კოლექტივიზმია. ამიტომ გასაგებია, რომ ჩვენი კოლექტივი, ჩვენი სოფელი, ნაკვეთი, გეგმები, ჩვენი ინტერესები უკვე სავსებით იკავებს ადგილს ადამიანთა, კოლმეურნე გლეხთა ფსიქიკაში, ყოფა-ცხოვრებაში. დღეს ვერსად შევხვდებით გლეხს, რომელიც მიწის ნაკვეთს თავისას უწოდებდეს, პიროვნულ საუფლოდ თვლიდეს. მიწა გლეხთა კლასის სოციალური სახის განმაპირობებელი იყო ოქტომბრის რევოლუციამდე, 30-იან წლამდეც კი. ახლა საერთოა, ჩვენია. ჩვენი დაკანონდა პიროვნულ ოჯახურ სიკეთეზეც, ადამიანთა ურთიერთობაშიც გაქრა ურთიერთშორის ქიშპი. „ჩვენმა“ „ჩემთან“ ჭიდილში გაიმარჯვა და იგი სოფლის ცხოვრების მტკიცე საყრდენია დღეს.

კოლექტიურმა, საზოგადოებრივმა ერთობამ განაპირობა ადამიანთა ბედნიერი ცხოვრება, და, რაც მთავარია, ჭეშმარიტად გაზარდა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა. ახლა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ჩვენ მიერ შესწავლილ რაიონში 71-72 წელს აღემატება, მაშინ, როცა 1920 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 40 წელს. ამასთან, საგრძნობლად შემცირდა სიკვდილიანობა. იგი მოსახლეობის მატებასთან შედარებით 30-40%-ით ნაკლებია. მოსახლეობის სიკვდილიანობა თანდათანობით პროპორციულად იკლებს. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ განსაკუთრებული ცხრილი შევქმენით. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, წყალტუბოს რაიონის სოფ. მექვენაში 1920 წელს დაიბადა 21, ხოლო გარდაიცვალა 32; 1940 წელს დაიბადა 18, გარდაიცვალა 12; 1950 წელს დაიბადა 16, გარდაიცვალა 10; 1960 წელს დაიბადა 35, გარდაიცვალა 12; 1957 წელს დაიბადა 31, გარდაიცვალა 17; 1972 წელს დაიბადა 39, გარდაიცვალა 13. ასევეა ეს ჩვენ მიერ შესწავლილ რაიონებშიც, კერძო აბაშის, ცხაკაიასა და ჩხოროწყუს რაიონებში.

აღნიშნული ახალი ყოფის შედეგად იკლო ოჯახურმა განხეთქილებებმა. ახლა ჩვენ მიერ შესწავლილ სოფლებში 1920 წელთან შედარებით ოჯახთა რღვევის მხოლოდ 3%-ია აღრიცხული. ყოველწლიურად იკლებს განქორწინებათა რაოდენობა, ოჯახების დაშლა, მაშინ, როდესაც ოქტომბრის რევოლუციამდე განქორწინება, ოჯახების რღვევის რაოდენობა საგძნობლად დიდი იყო. მაგალითად, მარტო გეგეჭკორის რაიონის სოფელ გაჭედილში 1920 წელს იყო განქორწინების 29 შემთხვევა, მაშინ, როდესაც ქორწინება ამ სოფელში 1922 წელს იყო 65.

საბჭოთა სოფელში დღეს შეინიშნება სოფლიდან ახალგაზრდობის მიგრაცია. ეს ფაქტი მიგვითითებს ახალგაზრდებთან მეტი მუშაობის

საჭიროებაზე. ზოგან მიგრაციის შენელებას ცდილობენ გართობისა და დასვენების ახალი, უფრო ქმედითი ფორმების დანერგვით. მაგალითად, სოფელ ლესაში (ლანჩხუთის რაიონი) მოეწყო კეთილმოწყობილი სპორტ-მოედანი და სპორტდარბაზი, გაუმჯობესდა კულტურის სახლის წრეების მუშაობა და ა. შ. ასეთი ღონისძიებები ძირითად ღონისძიებებად მიაჩნიათ ჩვენ მიერ გამოკვლეულ რეგიონებში – ონში, სორში, ხობში, ახალ ხიბულაში და სხვ.

საპირისპირო მოვლენაც შეინიშნება თანამედროვე სოფელში. კერძოდ, აღსანიშნავია ის, რომ სოფელს უბრუნდებიან ქალაქში სახელმოხვეჭილი ადამიანები, სახლდებიან სოფელში და სოფლის კეთილდღეობაზე ზრუნავენ.

სოციალისტურ ყოფას თან მოჰყვა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. თუ ონში სორი, ან ლესა ლანჩხუთში, ახალი ხიბულა ხობში და ა. შ., წინათ ღარიბი და ბნელი სოფლები იყო, დღეს აქ მოსახლეობის 90% ქვითკირის შესანიშნავ შენობებში ცხოვრობს და კარგად მოწყობილი კარ-მიდამოთი სარგებლობს. ახლა სოფელ ლესაში შრომისუნარიანი კოლმეურნე წლიურად 1000 მანეთს იღებს. სულ შრომისუნარიან კოლმეურნეთა შორის 150 კოლმეურნის ოჯახი 1500-დან 2000 მანეთამდე იღებს ყოველწლიურად. 30 კოლმეურნე იღებს 3000-დან 5000 მანეთამდე, ხოლო 15 რიგითი კოლმეურნის პირადი შემოსავალი წლიურად 5000 მანეთს აჭარბებს, ხიბულაში კი 740 კოლმეურნიდან 140 კოლმეურნე ყოველწლიურად იღებს 1000-დან 1500 მანეთამდე, 30 კოლმეურნე – 1500-დან 2000 მანეთამდე, 35 კოლმეურნე – 2000-დან 3000 მანეთამდე, 20 კოლმეურნე – 3000-დან 5000 მანეთამდე, ხოლო 10 კოლმეურნე – 5000 მანეთზე მეტს.

ოზურგეთ-სენაკის მაზრებში თუ 1926 წელს ერთი გლეხური კომლის საშუალო თვიური შესავალი 393 მანეთი და 11 კაპიკი იყო, ლანჩხუთის რაიონში 1940 წელს ერთი კომლის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენდა 650 მანეთს, ხოლო 1970 წელს 125 მანეთს (ფულის ახალი კურსით) მიაღწია. ხობში – 1940 წელს 600 მანეთი იყო, 1970 წელს 125 მანეთს (ფულის ახალი კურსით) მიაღწია.

ცხაკაიას რაიონის საერთო შემოსავალმა მიაღწია 450 მილიონ მანეთს. აქედან მხოლოდ მეცხრე ხუთწლედში 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციაა გამოშვებული. ამასთან, ერთი მოქალაქის საშუალო წლიური შემოსავალი გაიზარდა 1,500 მანეთამდე. ერთი კაცდღის ღირებულებამ 4 მან. და 50 კაპ. გადააჭარბა. აბაშის რაიონში შემოსავალი 1970 წელთან შედარებით 1975 წელს გაიზარდა 150%-ით.

ერთი მოქალაქის საშუალო წლიური შემოსავალი 1550 მანეთზე მეტია, ხოლო 1 კაცდღის ღირებულება 6 მანეთს აჭარბებს.

ჩხოროწყუს რაიონში შემოსავალმა იმატა 1970 წელთან შედარებით 1975 წელს 100%-ით. ერთი მოქალაქის ყოველწლიური შემოსავალი 1450 მანეთზე მეტია. ხოლო ერთი კაცდღის ღირებულება 4 მანეთსა და 50 კაპიკს აჭარბებს. კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ გეგეჭკორის რაიონში. 1960 წელს რაიონის შემოსავალი 30 მილიონი მანეთი იყო, 1965 წელს კი 50 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. 1970 წელს შემოსავალმა 100 მილიონ მანეთს გადააჭარბა, ხოლო 1975 წელს 207 მილიონ მანეთზე მეტია. გაიზარდა ერთი მოქალაქის საშუალო წლიური შემოსავალი. იგი 1960 წელს 908 მანეთი იყო. 1970 წელს – 1142 მანეთი, 1975 წელს – 1550 მანეთს გადააჭარბა. ასევე გაიზარდა ერთი კაცდღის საშუალო ღირებულება. 1960 წელს იგი 2 მან. და 40 კაპ. იყო, 1970 წელს – 3 მან. და 28 კაპ., 1975 წელს – 4 მანეთი და 50 კაპიკი. ეს მონაცემები ასახულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამოფენებზე და დამაჯერებელ წარმოდგენას აძლევს დამთვალიერებელს საბჭოთა ადამიანის ცხოვრების პირობებზე.

მოტანილი მასალა თვალნათლივ ადასტურებს, რომ კოლმეურნეობა გლეხობის შეძლებული ცხოვრების ერთადერთი წყაროა.

სოციალისტურმა ყოფამ შეცვალა სოფლის მეურნეობრივი სახე და სავარგულთა ათვისებისა და დასაქმების მანამდე არსებული პრაქტიკა. სავარგულები თავისებურია გამოყენების შესაძლებლობის და საზოგადოებრივი სარგებლიანობის თვალსაზრისით. ყოველივე ეს სათანადო ასახვას პოულობს ტოპონომიაშიც. ასე, მაგალითად, სოფ. სავანის (საჩხერის რაიონი) ერთ უბანში ორმოცდაათი ტოპონიმი სრულიად შეიცვალა ახალი, ცხოვრებისეული შინაარსის ამსახველი ტოპონიმით. ტომარული შეიცვალა სავენახედ, სასახლე – ბაღად, კვინცხის სახლი – ხილნარად, ნაფუძვარი – შამპანურის სავენახედ, ნაურთევი – მეფრინველეობის ფაბრიკად, იზვევი – თუთნარად, ბუღვათი – საკონსერვო ფაბრიკად, პარტახი – ხოდაბუნად და ა. შ.

დიდი ცვლილებები მოხდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაშიც. ახლა მხოლოდ სავანის კოლმეურნეობას 215 ტრაქტორი, 11 ავტომანქანა, 85 სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა ჰყავს. გლეხის ტექნიკური აზრიც განვითარდა.

სოციალისტური სოფლის ეკონომიკურმა წარმატებამ და კეთილდღეობამ სახე უცვალა სოფელს გარეგნულადაც. დღეს ბევრი სოფელი ქალაქის ტიპზეა მოწყობილი: მცირე საკარმიდამო ნაკვეთებზე დგას გეგმით ნაგები ქვითკირის სახლები, ქუჩები ასფალტმოსხმულია, გაყ-

ვანილია წყალსადენი, მოწყობილია კანალიზაცია, სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებულია, ყველა ქუჩას სათანადო სახელწოდება აქვს მიკუთვნებული.

საინტერესოა გლეხის კარ-მიდამოს მოწყობის სტრუქტურაც. ჩვენ ხელთა გვაქვს გურული და მეგრელი გლეხის კარ-მიდამოს კასტელი-სეული ჩანახატები. ჩვენვე შევადგინეთ გადმოცემებისა თუ ერმაკოვის ფოტოსურათების საფუძველზე რაჭული კარ-მიდამოს სურათ-გეგმარი. კარ-მიდამოები ყველგან, რელიეფური და კუთხური თავისებურებების გათვალისწინებით, შედარებით ვრცელი იყო. გლეხს მხოლოდ თავისი კარ-მიდამო, თავისი მიწა და ეზო აძლევდა ყველაფერს. ამიტომ თავის კარ-მიდამოში, საცხოვრებელი ნაგებობის გვერდით, სამეურნეო სათა-ვსებსაც აწყობდა; ჰქონდა საბძელი, საღორე, ბოსელი, საქათმე, საბატე, ბეღელი, ნალია. მოწყობილი ჰქონდა სამეურნეო უბნებიც: ქართა, სა-ვენახე, საბოსტნე, საყანე. აქვე ჰქონდა საისლე და მცირე ტყეც, ერთი სიტყვით, პირველი საჭიროებისათვის ყველა შესაძლო პირობა. იგი მისი ცხოვრების, შრომისა და არსებობის ერთადერთი საშუალება იყო. ჩვენ შევისწავლეთ ასეთი კარ-მიდამოები ადგილზე და შევძელით, ნაწილო-ბრივ აღგვედგინა მათი თავდაპირველი სახე.

მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას თან მოჰყვა ხალხის კულტურული დაწინაურება. ახლა სოფლის მშრომელი მოსახლეობის 45% საშუალო ცოდნითაა, ხოლო ყოველ 1000 სულ მოსახლეზე 50-52-ს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. სოფლის მშრომელი მოსახლეო-ბის 70%-ს რესპუბლიკური, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები აქვს გა-მოწერილი და სახლში საკუთარი ბიბლიოთეკა აქვთ. საინტერესოა, რომ აბაშის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში 100 ახალ-გაზრდა დაუსწრებლად სწავლობს რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. აქ 65 ახალგაზრდა უმაღლესი განათლებითაა, ხოლო კოლმეურნეთა 60%-ს საშუალო განათლება აქვს მიღებული. დაახლოე-ბით ასეთივე მდგომარეობაა რესპუბლიკის უმეტეს რაიონებსა და სოფლებში.

დიდი ცვლილებები მოხდა ჩაცმულობის გაუმჯობესება-განვითარება-ში. გლეხური ტრადიციული ტანსაცმელი შეცვალა ქალაქურმა, უკანასკ-ნელი მოდის მიხედვით შეკერილმა სამოსმა. უაღრესად სრულყოფილი გახდა ჩაცმისა და ტანისამოსის ტარების კულტურა. ახლა სოფელში იშვიათად შეხვდებით ტრადიციულ ჩოხას, ან გლეხურ პერანგს, ქა-ლამნებს, ან კიდევ ქალის გრძელ, სწორ კაბას და მოქარგულ, ვიწრო მო-სასხამს. ახალი ტანსაცმელი უფრო კოხტა, მოყვანილი და ელეგანტურია, რომელიც უფრო მკვეთრად უსვამს ხაზს ტანის, სახის, სხეულის კეთილ-

შობილებას, გრაციას, მშვენიერებას. განვითარდა ტრანსპორტიც. დღეს ავტომანქანები ისევ ერთადერთი და აუცილებელი ატრიბუტია სოფლის ცხოვრებისა, როგორც წინათ ცხენი და ურემი იყო. ამიტომ სოფლის მშრომელი მოსახლეობის 25%-ს დღეს ავტომანქანა ჰყავს, ხოლო სოფლის მთელ მოსახლეობას ასობით ავტომანქანა და ათეულობით ავტოტრანსპორტი ემსახურება. ცხენი და ურემი დღეს მხოლოდ სამუზეუმო იშვიათობად იქცა.

ცვლილება მოხდა ადამიანთა ურთიერთობაშიც. საბჭოთა ადამიანის ქცევის წესები, ადამიანთა ურთიერთობის კულტურა უაღრესად მაღალი კოლექტივიზმის სულისკვეთებასთანაა შეფარდებული და ამით უაღრესად კეთილშობილურია. ადამიანი ადამიანის მეგობარი, ერთი კოლექტივის, ერთიანი კომუნისტური უჯრედის წევრია. კოლექტივიზმის პრიცნიპი ახლა მძლავრად მოქმედი ფაქტორია ხალხის ყოფასა და ცხოვრებაში. კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფო დავალების შესრულება ერთგვარად საბრძოლო ამოცანაა ყველა კოლმეურნისათვის.

კომუნისტურად შრომობენ და ცხოვრობენ ბრიგადის წევრები. ერთად მიდიან ფილმების სანახავად, ლიტერატურულ საღამოებზე, სამუშაოზე, ლექცია-მოხსენებებზე და ა. შ.

საერთო სიკეთის, კოლმეურნეობის ძლიერების, საერთო სახალხო საქმის გამარჯვებისათვის – ასეთია საბჭოთა ადამიანის შრომითი საქმიანობის დევიზი.

ხალხი დიდად აფასებს ადამიანებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ნაყოფიერად, თავდადებით, უანგაროდ ემსახურებიან სოფლებს. ამ დიდი პატივისცემის გამოხატულების მაგალითს წარმოადგენს ლესიჭინის სასოფლო საბჭოს მიერ პრაქტიკაში დანერგილი ღონისძიება. ამ სასოფლო საბჭომ შემოიღო სოფლის ყველაზე ღვაწლმოსილ ადამიანთა საპატიო მცხოვრებლებად აღიარების პრაქტიკა. 1968 წლის 28 მაისის სესიაზე ლესიჭინის სასოფლო საბჭოს საპატიო მცხოვრებლად გამოაცხადეს ნ. ჯანჯღავა და ვ. ბერაია. ისინი დღესაც სოფლის ყველაზე აქტიური, თავდადებული, ღვაწლმოსილი მშრომელები, სამაგალითო ადამიანები არიან.

სოფლის დიდებას და სიამაყეს ეძახიან გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები სახელოვან გმირ დედას, სოციალისტური შრომის გმირს – მარგო ჩიქვანაიას. იგი 11 შვილის აღმზრდელია. ამასთან, თავდადებულად შრომობს კოლმეურნეობაში, დღეს თავისი ვაჟკაცური შემართებით არავის უთმობს პირველობას ჩაის კრეფაში. გმირი დედა რომ სოციალისტური შრომის გმირიც არის, საამაყოა. ესეც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი შედეგია.

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ღრმად სწავლობს იმ ცვლილებებს, იმ გრანდიოზულ გარდაქმნებს, რომლებიც ასე მკაფიოდ ჩანს განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, იყენებს მას მშრომელ მოსახლეობაში საგანმანათლებლო-კულტურული მუშაობისათვის, ხალხის ცხოვრებაში ახალი ყოფისა და ტრადიციების დამკვიდრებისათვის, ახალი ადამიანის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის იდეურ-პოლიტიკური და მორალური აღზრდისათვის.

## სურსათის წარმოებისა და გამოყენების რეჟიმი და ტრადიცია კოლხეთში*

1. კოლხეთი შავიზღვისპირეთის მიმდებარე მხარეა. მისი ზედაპირი მაღლდება ზღვის დონიდან 30 მ-დან და ვრცელდება 3100 მ-მდე. რელიეფი მრავალფეროვანია. მისი გამოყენების ტრადიციაც უძველესი დროიდან მრავალფეროვნი იყო. რელიეფური წარმონაქმნის თავისებურებანი მოითხოვდა ამ თავისებურების გათვალისწინებას მისი პრაქტიკაში გამოყენებით. ხალხის მრავალფეროვანი შრომა ქმნიდა მეტად ღრმა და მრავალფეროვან ტრადიციებს, რომელიც ინარჩუნებდა და დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას.

2. აქ განვითარებული ნიადაგმცოდნეობის ხალხური პრაქტიკა და ნიადაგის შესახებ გამოყენებული ცოდნა მტკიცედ აპირობებდა განვითარებულ მიწათმოქმედებას, უძველესი დროიდან გამოყენებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, კულტურათა ასორტიმენტს, მათი დამუშავებისა და მოწევის მეტად საინტერესო აგროტექნიკას. ეს ყველაფერი გეგმაზომიერად გამოიყენებოდა, ბუნებრივი პირობებით ნაკარნახევ ცოდნას მტკიცედ ეყრდნობოდა და ყოველმხრივ გამართლებულ მორიგეობას იცავდა. ნიადაგის გამოყენების, მისი სავარგულებად დაჯგუფებისა და გამოყენების პრაქტიკა შეუმცდარად სწორი იყო.

3. გლეხს გამოცდილი და პრაქტიკაში ჰქონდა დანერგილი ნიადაგის ათვისების, ახოდ აღების ტექნიკა „მოჭვარუა“, გადაღლილი ნიადაგის დასვენების პრაქტიკა, ეროზიის წინაღმდეგ ტერასების შექმნა, გამოწოვილი, გაღარიბებული ნიადაგის ბუნებრივი, ორგანული საშუალებებით გამოყენების წესი და რეჟიმი (მოშლამვა, მოტკილვა, ნაკელით განოყიერება), რაც არ ამჟავიანებდა ნიადაგს და წყალს. მხოლოდ ამდიდრებდა მის შედგენილობას და ნაყოფის ორგანულ შემცველობაზე არ ახდენდა არავითარ საზიანო გავლენას. დანერგილი იყო თესლთა ბრუნვის ტრადიცია – თასიში თირა. ეს ყველაფერი საიმედო სასურსათო მარაგს ჰქმნიდა, რაც ყოფნიდა ხალხის სასურსათო საჭიროებას, მიუხედავად სოციალური შეზღუდულობისა.

4. ეს საჭიროება მოითხოვდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მრავალფეროვან ასორტიმენტს, პირველ რიგში მარცვლეულ კულტურათა

---

* საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის VIII რესპუბლიკური სესიის მასალები, თბ., 1986.

სიუხვეს. გამოყენებული იყო ხორბალი, ჭადაჭადა, ღომი, ურიში, კანაფი, ცერცვი, ლობიო, ბრინჯი, სოიო, ქუმელი და ა. შ. მრავალფეროვანი და საინტერესო იყო ბაღჩეულ და ბოსტნეულ კულტურათა ასორტიმენტიც: ფხალეულის მრავალფეროვანი სახეობა, გოგრა, ნესვი, საზამთრო, წითელი ფხალი, პრასი, ნიახური, ოხრახუში, კიტრი, პამიდორი, კამა, ქინძი, პილპილი. ეს კულტურა ისე მორიგეობდა, რომ ზამთარ-ზაფხულ ჰქონდა მწვანილი გამოსაყენებლად კოლხ კაცს. ამასთან, 20 სახის სხვადასხვა ველური ფხალეულის შეგროვება და მაღალი კულინარული კულტურით კერძად დამზადება უძველეს პრაქტიკას წარმოადგენდა. მათ შორის: „ჯუმენე“, „ჯიჯიცალე“ და სხვა, უაღრესად ყუათიანი კერძის წყარო იყო.

5. სასურსათო პორციონში შედიოდა მესაქონლეობის პროდუქტები. მეგრული სულუგუნი საქვეყნოდ იყო ცნობილი. მისი დამზადებისა და გამოყენების ტექნიკა და ტრადიცია ათასწლობით ისტორიას ითვლის. რძე და რძის პროდუქტი სისტემატური, ყოველი ჯერის უპირველესი შემადგენელი ნაწილი იყო. გამოყენებული იყო ხორცეულიც, რისთვისაც ფართო საზაფხულო და საზამთრო საძოვრები იყო მოწყობილი. გამოყენებული იყო ათასნაირი საინტერესო ხილეული: მსხლის, ვაშლის, ატმის, ყურძნის მრავალი სახეობა, ძალიან ზომიერად ღვინოც. გამოიყენებოდა თაფლი, ხოლო მისი არაყი დელიკატესად ითვლებოდა.

6. სასურსათო ასორტიმენტი თავიდანვე მტკიცედ იყო გათვალისწინებული, ნორმადაწესებული. გეგმაზომიერად ხორციელდებოდა მისი მოწევა და შენახვა, რისი წესებიც უაღრესად ფაქიზად და მიმზიდველად იყო შემუშავებული. გაანგარიშებული იყო: ერთ საშუალო ოჯახს წელიწადში 20-30 ფუთი ლობიო, ასი ფუთი სიმინდი, 30-40 ფუთი პური და ამის შესაბამისი სხვა საკვები ყოფნიდა. ყოველი მეგრელი იმისათვის ზრუნავდა, რომ ბეღელი, ფარონი, სასიმინდე, ხულა, ქაბარკა სავსე ყოფილიყო საჭირო პროდუქტით.

7. ეს მრავალფეროვანი ასორტიმენტი საკვებისა ქმნიდა მეგრული კულინარიის საოცრების საფუძვლებს. სამეგრელოში კერძთა ასამდე სახეობა იყო ცნობილი. ყველა მათგანს თავისი წესები, ნორმები, რეჟიმი და გამოყენების მორიგეობა ჰქონდა. გამოყენების მორიგეობა ტრადიციას მტკიცედ ეფუძნებოდა.

8. სურსათის გამოყენებაც განსაკუთრებული წესებით ხორციელდებოდა, პრაქტიკის ჯერად გამოყოფისა და აწყვის პრაქტიკა მტკიცედ იყო განსაზღვრული. ოჯახის სულადობრივი შედგენილობით გლეხს საშუალება მიეცა, ჯერი განესაზღვრა და მისი დღიური ჯამით შეექმნა მარაგი. ჯერი თითოეული სულის წილით აიწყვებოდა. წილს „**თია**“ ერქვა. ჯერში იმდენი „თია“, იმდენი წილი იყო, რამდენი ოჯახის წევრიც იყო

ოჯახში და კიდევ ერთი „თია“ ზედმეტად, სასტუმროდ, შემოსწრებული სტუმრის გამასპინძლების უხერხულობა რომ არ გამოეწვია და სუფრა არ აშლილიყო, უხერხულება არ გამოეწვია სტუმრის სახელდახელოდ გამასპინძლებისას. „თია – ორთია სულთა გამოყოფილი ჯერი მტკიცედ ხორციელდებოდა. მის გასამზადებლად ოჯახს ჰქონდა „საინჯრო-საჯერო-ჯანირი, სადაც ორთიად იყო ბარქაში (ხის პატარა გობი) და ტაბაკიც. ხშირად ტაბაკზე ზედ იყო ამოთლილი კობიტა. ტაბაკი ერთი კაცით მეტს ითვალისწინებდა; ტაბაკის ირგვლივ ოჯახის წევრთა სრული შემადგენლობისა და კიდევ ერთი დამატებითი ადგილი იყო.

9. ყურძენიცა და ღვინოც სასურსათო პორციონსა და რაციონში მტკიცედ შედიოდა. ყურძენი ახალი და უაღრესად გამოყოფილი ხილი იყო. იგი ყოველ სუფრას ამშვენებდა ივლისიდან ვიდრე დეკემბრამდე. მისგან მზადდებოდა ტკბილი ჩირი, ჩამიჩი, ჩურჩხელა. ასევე, ტკბილი გამოიყენებოდა სამკურნალო დანიშნულებითაც. ღვინო არასდროს ყოფილა თრობის მიზნით გამოყენებული. მთვრალ, გალეშილ კაცს სოფელი კარს უკეტავდა.

10. ამრიგად, ამ კუთხის მცხოვრებთა სასურსათო პრაქტიკა და კულტურა უაღრესად მრავალფეროვანი, საჭირო და ყოველმხრივ სრულყოფილი იყო. მისი შესწავლა და მათ შორის ყველაზე საუკეთესოსი თანამედროვე პრაქტიკაში აღდგენა ყოველმხრივ სასარგებლო და გამართლებულია.

## მეგრული შვიდდღიური სისტემის ერთი წევრის შესახებ*

1. სამეგრელოში, სვანეთსა და ლაზეთში, ზანურმა და სვანურმა ენობრივმა სამყარომ შემოგვინახა დღემდე უძველესი, წარმართული დღიური სისტემა მთელი თავისი სტრუქტურული აღნაგით, რაც დაიკარგა საქართველოს სხვა კუთხეთა სინამდვილეში. ვფიქრობ, მესხეთში მეგრული (ჩვენ მას ძველ ქართულ სისტემას ვუწოდებთ) შვიდდღიური სისტემა უცხო არ უნდა ყოფილიყო. იგი მტკიცედ იჯდა ალბათ, ხალხის ლექსიკაშიც და ყოფაშიც. ამას გვიდასტურებს ის, რომ თახას, ჯუმას, ცას, ობის კულტი საყოველთაოდ ცნობილია და თახა, ჯუმა და ობი, თუთა-მთვარე, ამ ლექსიკური ერთეულებით მიღებულია. კულტიც და კულტურული ცხოვრებაც აღიარებულია, დღეთა მორიგეობაც ადეკვატურია. კვირა მესხურ ლექსიკურ სამყაროში თავპირველ ღვთაებადაა მისაჩნევი, რასაც ეს ყოფითი და ლექსიკური მასალები მიგვანიშნებს. ამდენად, მეგრულენოვან რეგიონში შემორჩენილი შვიდდღიური სისტემა მესხური რეგიონისათვის უცხო არაა. ეს კი, თავის მხრივ, გვაფიქრებინებს, როგორც ამას აკად. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ იგი საერთო ქართული ძირიდან ამოსული მოვლენაა, შემდეგ დროთა ორომტრიალში ჩაკარგული და მხოლოდ ზანურ სამყაროში შენარჩუნებული.

2. მეგრულენოვან რეგიონში მტკიცედ ზის და დღესაც მოქმედებაშია შვიდდღიური სისტემა: **ჟაშხა-ბჟაშდღა, თუთაშხა-თუთაშდღა, თახაშხა-თახაშდღა, ჯუმაშხა-ჯუმაშდღა, ობიშხა-ობიშდღა** და **საბატონი**. ექვსი პირველი გასაგებია და იგი ექვსი ძირითადი ღვთაების სარიტუალო დღეებია. მაგრამ **საბატონი** ან **საბტინ** სვანურში და ევროპულ ენებში, რას ნიშნავს, ამ საკითხზე ბატონი ივანე აღნიშნავდა, რომ იგი ებრაული სისტემის გავლენითაა შემოსული და ერთი ღვთაება დაკარგულია, რომლის დაძებნვა მომავლის საქმეაო.

3. ჩვენმა ექსპედიციამ სამეგრელოს ყველა კუთხეში იმ სისტემის ასეთი მორიგეობა დაადასტურა: კვირა, რომელიც იწყება „ართი მარუა“ – „ერთი კვირეული“, ერთი ციკლი შვიდდღიურისა. „შქვითი დღა – შქვითშახ ხვამილი“, შვიდი დღე, შვიდჯერ დალოცვილი. კვირა პირველი დღეა. იგი მზის დღეა, მზე დედაა, დედა კი პირველი ფენომენია. მეორე

* საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის IX რესპუბლიკური სესიის მასალები, 1987.

მთვარეა – თუთაშდღა, მთვარის დღე. მესამე – თახაშდღა, თახას დღეა, მეოთხე ჯუმას დღეა, ჯუმაშხა. მეხუთე ობიში დღეა – ობის, ნესტის დღე. ხოლო მეშვიდე დღეს საბატონის პარალელურად **შერპატონს**, **შურიშხას, შურიშდღას** – სულის დღეს ეძახიან. ჩვენი აზრით, გაბატონებული ებრაული რელიგიის გავლენით ამ დღის მისეულ სახელწოდებას – **საბატონს** შეეპასუხა **შურპატონი**. მოხდა ბგერათა ასიმილირება და თავდაპირველად ეწოდა ალბათ **საპატონი**, შემდეგ **საბატონი** და ასე მოვიდა დღედე. მაშასადამე, ამ დღის სახელწოდებასაც მეგრელი ლექსიკა უდევს საფუძვლად. ეს დღე სულის დღეა, დიდი გეკულა დღე – დიდი გეცვილუა დღა, დიდი დაკვლის დღე. ყველაზე ძლიერი იმ სამ გეკულას შორის, რაც ამ შვიდეულში არის, დღესაც ხალხი ამ დღეს შურიშდღას-შურიშხას ეძახის. ეს დღე სულის ყველაზე დიდი სალოცავი დღეა მთელ ქართულ სამყაროში. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ ღვთაება და სისტემაც გამთლიანდა: ბჟაშდღა, თუთაშდღა, თახაშდღა, ჯუმაშხა, ცაშხა, ობიშხა, შურიშხა. აღმოჩნდა ბატონი ივანეს მიერ პრობლემად დასახული ღვთაება. ამას არ უარყოფს მესხური მასალაც. ასე სრულყოფილი წარმართული შვიდდღიური სისტემა მსოფლიოს მრავალი ერის ყოფით და ლექსიკურ პრაქტიკაში შეუდარებელია. ასეა ეს მეტ-ნაკლები მსგავსებით ლაზურსა და სვანურშიც.

4. ამრიგად, აღდგენილია უძველესი ქართული წარმართული შვიდდღიური სისტემა, თავისი მორიგეობით, შედგენილობით, სტრუქტურული თანმიმდევრობით და რიტუალური შინაარსითაც. ნაპოვნია ერთი დაკარგული ღვთაება – შური-სული და მისი შესაბამისი დღის სახელწოდება – **შურიშხა-შურიშ დღა** – სულის დღე.

# ეთნოგრაფიული სამეგრელო*

## შესავალი

სამეგრელო საქართველოს ერთიანი სხეულის ერთი ნაწილია, რომელიც მშობლიური ქართველი ერის ერთიანი სხეულიდანაა წარმოქმნილი. იგი ტერიტორიულად საკმაოდ ორიგინალურ რეგიონშია განლაგებული – უჭირავს ზღვისპირეთი და რელიეფურად მაღლდება ეგრისის მთაგრეხილამდე. ამაღლება იწყება ზღვის დონიდან 30 მ-დან და ვრცელდება ლანდშაფტური გადასვლებით, 2800 მ-მდე. მდინარე რიონის და მისი შენაკადების – ცხენისწყლის, ტეხურას, ნოღელას და ხობისწყლის, ჭანისწყლის, ენგურის ხეობათა გაშლილი ველიანები ბარია, ზღვისპირია, გაშლილი ერთიანი ველიანია, რომელიც ხშირად დაბურულია ჭალის საოცრად მრავალფეროვანი ტყიანით. ზღვის დონიდან 60 მ-ის სიმაღლიდან ველიანში ზიგზაგოვანი ბორცვები იქმნება, ხოლო ტეხურსა და აბაშას შორის, ეგრისის მთიანეთიდან ეშვება და სახარბედიოს ჩაივლის უნაგირას საკმაოდ მაღალი მთის გრეხილი. იგი ამ მდინარეთა წყალგამყოფი ქედია. შემდეგ ნახარებაო, აბედათი, მენჯი, ბია, ცაიში; ოქუმიდან მთისწინი იწყება და იგი ზღვის დონიდან 200-250 მ-დან 500 მეტრამდე მაღლდება. ამის შემდეგ ათას მეტრამდე შერეული ტყის ზონაა, ხოლო 1500 მ-დან, ვიდრე 2000 მ-მდე წიწვიან-ტყიანია. 2000 მ-ის ზემოთ სუბალპებია, ხოლო ეგრისის მთიანეთის მთელ სიგრძეზე 2300 და 2500 მეტრამდე გაშლილია ალპური ზონა. 2800 მ სიმაღლეზე შიშველია. ასეთი ლანდშაფტური მონაცვლეობა ქმნის პირობებს რელიეფის შესაფერისი სამეურნეო, ყოფითი თავისთავადობისა და ძალიან შორეული დროიდან მომდინარე ტრადიციებისათვის.

ჩვენ 1957 წლიდან ვსწავლობთ ამ რელიეფურ თავისებურებებს და ტრადიციებს. ვაკვირდებით მათს შემქმნელ პირობებს, ბუნებრივ-გეოგრაფიულ მოთხოვნებს და მის საფუძველზე ვცდილობთ, ერთგვარ სტრატიგრაფიულ სისტემაში მოვაქციოთ ყველა ამ ტრადიციათა შესაბამის ეთნოგრაფიულ ერთეულთა თავისებურება და ადგილმონაცვლეობა. ამის შესაბამისად ვადგენთ ამ ალბომს, რომელიც ადგილობრივ მასალებზე ჩვენს დაკვირვებებთან ერთად, შედგენილია ადგილობრივ მკვიდრ

* გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო, ქუთ.,1989.

მეურნეთა, ხანსრულ ინფორმატორთა ცნობებისა და დღემდე შემორჩენილი ფორმების გამოყენებით.

ჩვენ არ ვკმაყოფილდებით მხოლოდ სამეურნეო-ყოფითი, საოჯახო-ყოფითი, სოციალურ-მატერიალური მოწმეებით. მათ გვერდით ვცდილობთ საზოგადოებრივ-სოციალური ყოფის სქემატური სურათიც წარმოვადგინოთ (საზოგადოების განვითარების მიმდინარეობის ეტაპები უძველესი დროიდან დღემდე – თი, თური, დინო, სამოხიო, ხალხური თვითმართველობის დაუწერელი კანონებით დაკანონებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები: ჯარალუა (კათუა), სხუნუ (დუდკათა), წარმოვადგინოთ საკულტო-რიტუალური ყოფაც, შვიდდღიური სისტემის კალენდრის ფონზე მეგრული წარმართული შვიდდღიური სისტემა. წარმოვადგინოთ დროის (ბორჯი) ცვლის, მთვარის მოქცევის სქემატური ხალხური სურათი. მოვიტანოთ ზოგიერთი საყურადღებო კოსმონიმიც. ყველაფერი ეს დამოწმებულია სურათ-ხატებით, გრაფიკული სქემებით და თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა ცალკეულ დანაკვეთებზე.

ვფიქრობთ, ასეთი სახით, რაც უნდა ნაკლოვანი იყოს იგი, მისი შედგენა და მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება საინტერესო და საყურადღებო იქნება. ბევრი რამ, ვფიქრობ, სრულიად ახალია, ბევრი კი ადრეც ჩვენი სახელგანთქმული ეთნოგრაფიული სკოლის ქურაშია გადახარშული.

ალბომს დავურთეთ ჩვენ მიერ საერთოდ გამოყენებული ლიტერატურის სიაც. ვიცით, იგი უნაკლო არაა, მაგრამ იქნებ ჩვენს საერთო ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში ერთგვარი წვლილი შევიტანოთ. ამად გავბედეთ მისი ასე ფართო საზოგადოების წინაშე წარმოდგენა. ჩვენ ქვემოთ ცალ-ცალკე დანაკვეთების მიხედვით წარმოვადგინეთ ტაბულები. ამიტომ მათი ახსნითი ტექსტებიც ასე დავალაგეთ ამ შესავალში, ტაბულების მიხედვით.

ამასთან ალბომს ერთვის მეგრულ სოციალურ-ეთნიკურ ტერმინთა კატალოგი, რაც ანბანური თანმიმდევრობით განმარტავს დღემდე ენაში, მის ცოცხალ ლექსიკურ ფონდში არსებულ ყველა ტერმინს. იგი სახიერად წარმოგვიდგენს სამეგრელოს სოციალურ-ეთნიკურ ყოფით თავისებურებებს. ვფიქრობთ, ესეც ალბომის შემადგენელი ნაწილია და დაეხმარება მკითხველს.

## მეგრული კარ-მიდამო

კარ-მიდამო ხასიათდება ინდივიდუალური, გაშლილი სტრუქტურით, სადაც თავმოყრილია ყველა საოჯახო ერთეული, საჭირო ტერიტორიუ-

ლი განფენით, წინა ეზოთი და უკანა, სამეურნეო დანიშნულების ნაწილით, ერთმანეთისაგან გამოყოფილი ნაკვეთებით, რომელიც შემოზღუდულია ღობურით ან ანგაროთი და გამოყოფილია მეზობლის მსგავსი ეზოსაგან. იგი სტრუქტურულად განსხვავებულია სწორედ ამის გამო აღმოსავლურ-ქართული კარ-მიდამოსაგან. ეს გაშლილი სტრუქტურა კარ-მიდამოს შემადგენელი ერთეულებისა მაინც ორი ფორმით გამოირჩევა. მათში ეზო გაშლილია და სტრუქტურული ერთეული დაცულია, მაგრამ ზიგზაგოვანი ან ლანდშაფტური თავისებურება ზღუდავს წინა და უკანა ეზოს სივრცეს, ცვლის მას უფრო ვიწრო ნაკვეთურებით, ან სრულიად ხსნის მას ეზოს შემადგენლობისაგან, მაგრამ საყოფაცხოვრებო ნაგებობანი და სხვა ერთეულები ისევეა დაცული და დასახელებული, იქნებ სივრცით შეზღუდული ან გადაადგილებული, მაგრამ, მაინც სრულად დაცული. დაცულია გამოყენების, მოხმარების სიხალვათით და შესაძლებლობებით. ბარისა კი გაშლილი და სრულია. ჩვენ აქ წარმოვადგინეთ მთისწინაში არსებული კარ-მიდამოს სტრუქტურული სურათი (სერგიეთი, კიმოთე ინჯგიას კარ-მიდამო). იგი ამ ორივე ფორმის ერთგვარ გაერთიანებას წარმოადგენს.

**ტაბულა 1. მეგრელი გლეხის კარ-მიდამო 1930 წლამდე**

კარ-მიდამო ერთიანი ერთეულია, კარიცაა და მიდამოც, მეგრულად „მახორობა“ – დასახლებულობა. იგი რელიეფური თავისებურების მიხედ-

ვით სხვადასხვა ფორმისაა. არის მრგვალი, ოთხკუთხა, წელში შეწეული, რელიეფურად გადაწოლილი, წაგრძელებული, განზე გაშლილი და ა. შ. მეგრული ეზოს მშვენებაა წინა ეზო. მწვანით შემოსილი ეზოს ეს ნაწილი შედარებით ვრცელია, დაახლოებით 500 ან 1000 მ2. ეზოს ცენტრში დგას საჩრდილობლად ცაცხვის, მუხის ან კაკლის მაღალი კორომი. ალაგ-ალაგ ჩართულია ყვავილის ბუჩქები ან ვიწრო, ეზოს პირის არშიად გაყოლებული სკვერი. ეზოს მთლიანად ირგვლივ უვლის ღობური ან ხორგი ღობე, ან მესრული. წინა ეზოს ცენტრში რელიეფური შესაძლებლობის მიხედვით არის მოწყობილი ლამაზი ჭიშკარი (ბჭისკარი), ან ხარატული, ან კიდევ სორგი კარით. იგი ხშირად სამ დედაბოძზე მდგარი მაღალი, ლამაზი სახურავითაა გადახურული. ლარტყული, ან სორგი კარია. ერთი დიდი, ფარდი ფართო 2,30 სმ სიგანისა და 1,90 სმ სიმაღლისა და კუტკარი – 1 მ სიგანისა. კუტკარი ხშირად იღება, ამიტომ თაჯიანი საკეტი აქვს. თაჯში რიკია გაყრილი, რომელიც ურდულს წევს სასურველი მიმართულებით: ქვევით, ზემოთ, განზე და აღებს ან კეტავს კარს. ფარდი კარი კი ბურეხის ღვლეჭის რგოლითაა შეკრული დედაბოძთან, ან ლითონის რგოლით. უფრო ხშირად კარი ჩარხული ღეროებისაგანაა შეკრული. ასეთი კარი ორფრთიანია და შუაში მაგრდება ღვლეჭით. კუტკარიც ჩარხულია. ასეთი კარი ძალიან ლამაზია. კუტკარიდან სახლისაკენ მიდის საცალფეხო ბილიკი, რომლის ორივე პირი ყვავილნარის ლამაზი არშიითაა დამშვენებული. ბილიკის ერთ მხარეზე, ჭიშკრის ცოტა მოშორებით არის ჭა და წყლის ამოსაღები ოწინარი (წოწინარი). წინა ეზოს ცალ მხარეზე, საკმაოდ დიდ მასივზე, არის დაბალი ვაზის სავენახე. შემდეგ კი შუა ეზოა, სადაც დგას **ოდა სახლი** ან **მაქდორა** (უკანასკნელი ადრეული ფორმა უნდა იყოს სამეგრელოში ოდა სახლისა). მის გვერდით, 30 საჟენის მოშორებით, არის **ჯარგვალა**, ან **პიტაფიცარა**, ან **ფაცხა** სამზადისი. მათ უკან დგას სასიმინდე (**მაღაზა**), მარანი, საქათმე, საღორე და სხვა ერთეულები. ხოლო ეზოს ერთ მხარეზე, საიდანაც მოხერხებულია შუკის (მცირე, ორმხრივ შემოღობილი ბილიკი) გაკეთება, არის **ქართა**, ან მთაში **აგუარა** (საქონლის საჩიხე). შუა ეზოს უკან არის ეზოს დიდი მასივი, სამეურნეო დანიშნულებისათვის, საყანე მასივი. ხოლო სამზადი სახლის გვერდით **ორტვინია** (ბოსტანი) მოწყობილი. სახნავი ნაწილის უკან არის მცირე ტყიანი **საჩეხი**, ოჯახის სახელდახელო საჭიროებისათვის, შეშისა და მასალის მისაღებად. მის ერთ მხარეზე ყოველ ოჯახში იყო საისლე ნაკვეთი (სახლის სახურავის საჭირო მასალის მისაღებად). მის გვერდით საფუტკრე ჰქონდა, სადაც წინათ გლეხს 30, 50, 100 ბუკამდე ფუტკარი ჰყავდა.

ეზოს ირგვლივ შემოვლებულ ღობურს ან ყორეს მიუყვება **ანგარო** – ხეთა მაღალი კორომების მწკრივი, სადაც ჩართულია მაჟალო ვაშლის, მსხლის და ხურმის მაღალი ხეები, რომლებზედაც მიშვებულია მაღლარი ვაზი. კარ-მიდამოს ეს სტრუქტურა ოქტომბრის რევოლუციამდელი პერიოდისათვის არის დამახასიათებელი და დღეს იგი ძლიერ შემცირებული და შეცვლილია, მაგრამ საოჯახო საჭიროების ერთეულები მაინც ამ რიგით და წყობითაა ეზოში განლაგებული. თუმცა ეზო მოცულობით მცირეა და ძალიან შეზღუდული.

## საცხოვრებელი სახლის ფორმები

**ტაბულა 2. სამეგრელო. საცხოვრებელი სახლის ფორმები**

მეგრელი კაცის კარ-მიდამოს მშვენება იყო მაღალი ოსტატური გემოვნებით ნაგები, დანიშნულების მიხედვით განლაგებული საცხოვრებელი თუ სხვა სამეურნეო ნაგებობანი. მათ შორის თვალსაჩინო ადგილას იდგა ოდა სახლი, რასაც ადგილობრივ „მაქდორას“ ეძახიან. ეტყობა, ოდას, ასე გავრცელებულ ტერმინს, ადრე წინ უსწრებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ტერმინი. მაქდორას აღწერილობა თითქმის ემთხვევა ოდის სტრუქტურულ-არქიტექტურულ შედგენილობას. ოდა სახლი ან მაქინდორა სასტუმრო სახლია, სადაც სტუმარს პატივით მოასვენებენ ხოლმე. იგი ხშირად ორთვალიანია, ორი ფანჯრით და ერთი გარეთა კარით. ნაგებობა სუფთად გამოყვანილი ფიცრებისაგან არის ნაგები,

**ტაბულა 3. ათაბოგი**

აქვს ხარატული რიკულები და სვეტებს შორის ხარატული თაღედები. სასტუმრო ოთახში არის ბუხარი. გვიან ოდა უფრო გამრავალფეროვანდა, სამი-ოთხი ოთახის გამოყოფა დაიწყეს. კედლების საგები ფიცარი ბოყვებში ჩასვეს. თუ თავდაპირველად ისლით ხურავდნენ, გვიან ყავრით გადახურვა დაიწყეს. უფრო გვიან კრამიტითაც დახურეს. თუ თავდაპირველ მაქინდორას სასტუმროდ აგებდნენ, შემდეგ ოდაში ერთი თვალი სასტუმრო გამოყვეს. დანარჩენში თვითონ დაიდეს ბინა. ოთახებსაც დანიშნულება მიუყენეს. დიდ დარბაზში მისაღები მოაწყვეს; მის უკან სასადილო ოთახია, ხოლო გვერდებზე უფრო სასტუმრო სასვენი ოთახია. ორ შედარებით უკანა და მცირე ოთახში თვითონ ცხოვრობენ.

ოდის გვერდით არის სამზადი სახლი; იგი ან ფაცხაა, ან პიტაფიცარა, ან ჯარგვალა, ერთთვალიანია და უკან „მიდგმული“ აქვს საქონლისათვის, დახურულია ისლით. შუა კერაზე ცეცხლი ანთია. არის დახერხილი და სათანადოდ დამუშავებული ფიცრებისაგან ნაგები **განიში ცუდე** (სახლი). იგი ერთ, ოთხფრთიან სახურავქვეშ მოწყობილი, განივი სახლია ორი თვალით, შუაში საკმაოდ ვრცელი ღიობით. ცალ-ცალკე გვერდითი ოთახები საძმოს საცხოვრისია, ხოლო შუა ღიობი კერიის მოსაწყობი, საერთო კომუნალური დანიშნულებისაა.

ეზოში არის სასიმინდე (**მაღაზა**) – ოთხ მაგარ ბოძზე შეყენებული ოთხკუთხა ნაგებობა, ორფთიანი სახურავით, სიმინდის შესანახად და გასახმობად.

სამზად სახლს, გარდა ფაცხისა, აგებდნენ პიტაფიცარასაც. ხელით დათლილი მოკლე ფიცრები ხშირ ბოყვებშია ჩაწყობილი. ასეთ სახლს ხშირად ყავრითაც ხურავენ. მას უფრო სამზადად და მუდმივ საცხოვრებლად იყენებდნენ. ასეთივე იყო ჯარგვალაც. იგი ან საცხოვრებლად, ან მარნის მოსაწყობად გამოიყენებოდა.

ჩვენ ახლახან დავამოწმეთ გალში, ხობში, ზღვისპირა სოფლებში „**ათაბოგის**“ არსებობა. ამაზე გვიამბო ბესარიონ ქებურიამ, დიდად განათლებულმა მოღვაწემ, პედაგოგმა, ჟურნალისტმა, იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმის შექმნელმა, ფოლკლორისტმა. მან გვიჩვენა კიდეც ეს

ეგზემპლარი. იგი ოთხ მაღალ ბოძზე მდგარი, ერთი საკმაოდ მოზრდილი ჯარგვალა, ან პიტაფიცარა სახლია. ბოძების სიმაღლეზე ასვლა ხდება ხვეული კიბით, რაც ადგილობრივი ხელოსნის მიერ ხისგანაა დამზადებული. ათაბოგის სიმაღლე საფუძვლიდან ოთახის იატაკამდე ხშირად 5-6 მ-ზე მეტი იყო. აქ, ამ ადგილებში მცხოვრები მოსახლის ოჯახი ღამე ადიოდა დასაძინებლად. ჭაობიან ადგილებში კოღოები თავს აბეზრებდა და არ აძინებდა ქოხებში ხალხს. ამიტომ ათაბოგს მართავდნენ საცხოვრებლად. ეს ძალიან საინტერესო საცხოვრებელი სახლის უძველესი ფორმაა.

## მიწის დასამუშავებელი ინვენტარი

**ტაბულა 4. თოხები და ნამგლები (პრეისტორიული ფორმები)**

მუზეუმში დაცულია კირქვისაგან გამოთლილი ბარ-თოხი (15X20 სმ). ეტყობა ყელზე ტარს მოარგებდნენ და ასე იყენებდნენ, თავდაპირველ ნეოლითის შუა და გვიან პერიოდში, როდესაც შეგროვებითი მიწათმოქმედება თანდათანობით იცვლებოდა და დამუშავებითი მიწათმოქმედებით. ამ იარაღს პირდაპირ ყელზე ხელს ავლებდნენ და მიწას ჩიჩქნიდნენ. ბრინჯაოს ეპოქაში ძლიერ ორიგინალური თოხები გამოიყენეს, რომელთაც სატარე ყურებიც აქვთ, სადაც ტარს ამაგრებენ და უკვე ტარით იყენებენ. ძალიან საინტერესო ერთეულებია კაჟის ჩასართავები, ნამგლის პირები და ბრინჯაოს ნამგლები. ჩვენმა ექსპედიციამ იგი იპოვა მახათის ბრინჯაოს მასალათა შორის. 1,2X5 სმ, ოდნავ ოვალური საჭრელი პირით, რომელსაც პირდაპირ, პირის ერთ წვერზე აქვს სატარე მანჭვლები, ხოლო მეორე პირი წაწვეტებულია და ოვალის ბოლოს ქმნის. ამ ინვერტართა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფორმები და ერთეულები ინახება მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

## თოხის მრავალფეროვანი სახეობანი

მჭადისა და ღომის თოხი

ბოსტნის თოხი (ორტვიიში ბერგი)

ძძიძე ხიადაგის დასაძუძავებელი თოხი (ჩენგი)

საღარავი, საჩიჩქხი თოხი (ორჩქონაი ბერგი)

**ტაბულა 5. მჭადისა და ღომის თოხები**

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცულია თოხის მრავალფეროვანი კოლექცია, რაც მთელს სამეგრელოშია შეგროვებული. თოხები აქ დანიშნულების მიხედვითაა დახარისხებული და გამოყოფილი.

**ჭკიდიში დო ღუმუში ბერგი** (მჭადამჭადის და ღომის თოხი).

პირის ფართი 12 სმ-ია, წელის სიმაღლე 15 სმ. ტარის სიგრძე 1 მ და 10 სმ. იგი არის წელში ჩახრილიც და სწორი ტარითაც. სწორტარიანს უფრო გრძელი ტარიც ჰქონდა. ყუას მაღალი ბიბილო, კოპი ადგას. იგი საბოსტნე და წვრილ მარცვალთა – ღომისა და მჭადას ნათესებში სამუშაო თოხია, რაც, უდავოდ, ბრინჯაოს თოხის მემკვიდრეა და ძალიან ადრეული დროიდან მოდის ალბათ.

**ორტვიიში ბერგი** (ბოსტნის თოხი). იგი ოთხკუთხედის ფორმისაა. ყუაზე მაღალი კოპი აზის. ტარიც უფრო გრძელია. პირი ოვალური აქვს. მისი ზომა 12X10 სმ-ია.

**ჩენგი** ბუჩქნარის და მძიმე ნიადაგის დასამუშავებელი თოხია.ოთხკუთხა ტანზე საკმაოდ სრული ყუა ადგას, სატარე ხვრელით. ყუაზე აღმართულია შებრუნებული ბიბილო, საკმაოდ ბასრი პირით. ეტყობა, იგი თოხიც იყო და ცულიც.

**ორჩქონაი ბერგი** (საღარავი, საჩიჩქნი თოხი). მას სამკუთხედის ფორმის წვეტიანი პირი აქვს. ყელის ზემოთ ყუაა. სატარე ხვრეტილით

და მასზე აღმართულია ოვალური ფორმის ორი რქა. მას ტარი შედარებით მოკლე აქვს. ისიც მაგარ მიწაზე სამუშაოა; ასევე, ახოს ასაღები ინვენტარიცაა.

### სიმინდის თოხები

სიმინდმა, გვიან გაბატონებულმა მარცვლოვანმა კულტურამ, მოითხოვა თოხთა უფრო მოხერხებული ფორმები. მეგრელმა გლეხმა დაამზადა და გამოიყენა მრავალი ასეთი თოხი, მათ შორის „**ჩქინებურა**“ – „ჩვენებური“ ყველაზე მიღებულია. იგი ოვალური მხრებით ხასიათდება, რომლებიც სწორი პირისკენ ეშვება. ოვალური მხრების შესაყარზე არის ყუა, სატარე ხვრეტილით. ყუას წამოწეული კოპი ადგას. თოხის ზომა 30X10 სმ. ასეთი, ოღონდ ოვალურხვრელიანი თოხი უფრო მთაში და ფერდობებზე გამოიყენება, მას მოკლე ტარი აქვს. ბარში სახმარი „ჩქინებურა“ ან ჩვენებური სწორმხრიანია. გონიო ოვალურად ჩახრილი, პირი ოდნავ ოვალური, მისი ტარი 1,70 სმ-ია.

ჩვენებური თოხი (ჩქინებური ბერგი)

გურული თოხი (გურუი ბერგი)

მთისა (გოჟში)

ჩუნუშის თოხი (ჩუნეშური ბერგი)

გიადვალირი, გიაჭკადირი (ჩამოდებული, ჩამოჭედილი თოხი)

**ტაბულა 6. სიმინდის სათოხნი თოხები**

მეტ ხმარებაში იყო „**გილადვალირი**“, ჩამოდებული, ჩამოჭედილი. თოხის პირის ნაწილი რომ გაცვდებოდა, მას ცივად მჭედელი ჩამოაჭედებდა ფოლადს. ჩამოჭედილი თოხი სწორი მხრებით, სწორი გონიოთი და სწორი პირით ხასიათდებოდა. იგი ძალიან მოქნილი და მჭრელი იყო. ამიტომ კარგად ჩამოჭედილი, კარგი ლითონისაგან დამზადებული პირი ორ-სამ წელიწადს მაინც ძლებდა.

ჩვენს მხარეში მასიურად გამოიყენებოდა **გურული** (გურული) თოხი, რომელიც გურიიდან შემოჰქონდათ. იგი სწორმხრიანია, სწორი გონიოებითა და ოვალური პირით. მისი ზომები 35X5 სმ-ს აღემატებოდა. ტარის სიგრძე 1,70 სმ იყო.

ასევე ძალიან მიღებულად ითვლებოდა **ჩუნეშური**, იმერული თოხი. იგი ძირითადად მთის მასივების სათოხნად იხმარებოდა, მას ოვალური მხრები და გონიოები ჰქონდა. მხრები ნაბადივით მოხურული იყო, სწორი პირით, მხრები კოპთან ჩახრილია, კოპი ამოზიდულია და სატარე ხვრელის ზემოთ მაღალი კოპი ადგას. ტარის სიგრძე 1,50 სმ უდრის.

## სახვნელი იარაღის განვითარების ეტაპები

ხონუა ანუ **ხვნა** ამ მხარის მიწათმოქმედთა უძველესი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა. ხონუა, ხვნა სახვნელით, ან ოხონალით ხდებოდა. ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალით დგინდება, რომ თავდაპირველად გავრცელებული ყოფილა „**ჯაში-ოხონალი**“, ხის სახვნელი – **ერქვანი**. იგი ხის ორკაპა ტოტის სახვნელად დამუშავებული ნაწილია. ორკაპა ტოტის გრძელი ნაწილი ტარადაა გამოყენებული, მეორე, მოკლე, 60 სანტიმეტრზე წაჭრილი და წათლილ-წაწვეტებული საღარავად, სახვნელად. ტოტის დედო (ძირი) სახელურადაა ჩაკოპიტებული. ეს ორკაპა იგივე კავიანი ტოტია. ქართული სახელწოდება „კავიც“ სწორედ ამ კავიანი ტოტიდან უნდა იყოს წარმოშობილი. პირველ საწყისში ეს იარაღი წარმოადგენდა ხის მთლიან კავს, ხის ნაწილს ძირიანად ან ტოტიანად, რაზეც მიგვითითებს მისი სახელწოდება კავი, სიტყვა-სიტყვით „კაკვი“, ხოლო მისი სხვა სახელწოდება „საწერა“ გამოხატავს მის ფუნქციას – „ხაზოს“, „წეროს“ – ვკითხულობთ კრებულში. ეს ერქვიანი – კავი – საწერა სახვნელი იარაღის განვითარების გარკვეულ საფეხურს წარმოადგენს ხათი ღარვის შემდეგ. 1965 წელს, სოფ. კურზუში, სოფრო ნაჭყეპიამ, ნესტორ გაბისონიამ, თამაკონში ი. კვაშილავამ და სხვა ხანდაზმულმა გლეხებმა გვითხრეს, რომ მათი წინაპრები ყოველი სახის სახვნელს, საერთოდ, ერქვანს უწოდებდნენ. ისინი დღესაც, ოგა-

ფას გარდა, ერქვანსაც ამბობენ და ხელნასთან ერთად ოგაფას საერთო სახელწოდებად მიაჩნიათ.




**ტაბულა 7. სახვნელი იარაღის განვითარება ხალხური გადმოცემებით**

ხის სახვნელისა და ერქვანის დღემდე შემორჩენილ სახეს, თუმცა ძლიერ ფორმაცვლილსა და განვითარებულს, რაჭული საწერა წარმოადგენს. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თვით ტერმინი წარმომდგარი უნდა იყოს ნიადაგის წვეტიანათი ღარვისა და წერისაგან.

ერქვანის ქუსლზე მორგების, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საინტერესო ფაქტს წარმოადგენს მხარეში გავრცელებული ტერმინი **ოგაფა**. ჩვენ მიერ ადგილზე ჩაწერილი გადმოცემით სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს დაგებისაგან, მორგებისაგან. **გეგაფა, დოგაფა, ოგაფა, აკოგაფა, აკაგაფაი, დააგაფაი, იოგაფაი** ნიშნავს დაგებას, მორგებას. მართლაც, აქ ეს სახელწოდება სავსებით უდგება ერქვანის განვითარების ამ პროცესს.

სოფ. თამაკონში 70 წლის მოხუცმა ბიქტორ ნადარიამ ჩვენთან საუბარში თქვა: „ოგაფა, შვილო, დასაგებია, ასაგებია, ტარი დაგებულია ქუსლზე“. დასტურდება, რომ ოგაფა აგებული, შედგენილი, მორგებული ინვენტარია, რომელსაც მოგვიანებით რკინის სახნისი წამოაცვეს.

ამასვე ადასტურებს ქვაითში ჩაწერილი ხალხური სიმღერა:

„ჩქინი ჯვეში ცათ ხონუნდუ
მიშაჲონტყირიში ტყას,

პაპუქ რკინა დოჭკადუ დო
ბაბუქ ხონუ ოგაფათ“.

თარგმანი:

ჩემი ძველი ხის ტოტით ხნავდა
ჩამობურულ ტყეს,
პაპამ რკინა გამოჭედა,
ბაბუმ მოხნა ოგაფათი“.

ამ ზეპირსიტყვიერმა მოწმემ შემოგვინახა ცნობა **ჯა** ან **ხა** სახვნელის შესახებ. თანაც მიუთითა, რომ იგი სახვნელ იარაღთა შორის პირველი იყო. შემდეგ პაპამ, ანდა უფრო სწორად, პაპისპაპამ რკინის ჭედვა დაიწყო და სახნისის შექმნის პირობები მოამზადა, ბაბუამ კი ქუსლზე მოარგო **ჯა**, ან **ხა**, რკინის სახნისი გაუკეთა და ოგაფათი დაიწყო ხვნა. ე. ი. პირველად ჯა ან ხა იყო სახვნელი იარაღი, ხოლო შემდეგ გაუმჯობესდა, მხარი ქუსლში იქნა მორგებული და რკინის სახნისიანი ქუსლის წვერით დაიწყო ხვნა. ამ იარაღის განვითარება უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად:

ოგაფა
კინახონაში ერქვანი
ერქვანი
ოხონალი
ხეში ოხონალი
ხაბარჯგა ჯა
ბარჯგი (იხ. ტაბულა 7)

წყაროებში ოგაფის ან აგაფის რამდენიმე სახეა სამეგრელოში მინიშნებული. XVII საუკუნის მისიონერს, მოგზაურსა და მხატვარს – კასტელს თავის ალბომში ჩაუნიშნავს მეტად საინტერესო კომპლექსური გუთანი. მისი არსებობა ოგაფის, აგაფის განვითარების ახალ საფეხურზე მიუთითებს. სახვნელის საინტერესო სახე ჩახატული აქვს ერმაკოვსაც. XIX საუკუნის 80-იან წლებში მსგავსი გუთანი ჩაუხატავს სეროვსაც. ეს სახვნელი მოკლემხრიანი, ფრჩხილზე დაყრდნობილი ორხელაა, რითაც იგი სრულიად განსხვავდება ერქვან – ოგაფის დღემდე შემორჩენილი ერთხელა – ერქვანის ტიპისაგან, რაც უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ სამეგრელოში ძველად ყოფილა არაერთი, არამედ რამდენიმე სახის სახვნელი. თუმცა, შესაძლოა, ისინი ამ პირველი ერქვანის, კავის, ოგაფის განვითარებისა და სრულყოფის გვიან ფორმებს წარმოადგენდნენ. ამ აზრს ადასტურებს ის მეგრული სახვნელი, რომელიც ჟან მურიეს აქვს ფოტოგრაფირებული. იგი ეტრუსკული სახვნელის ადეკვატია და

ეტრუსკული სახვნელი კი თითქმის ყველა დეტალში ემთხვევა მეგრულ სახვნელს – ოგაფას, რაც ამ სახვნელთა უძველესი დროიდან მიმდინარეობასა და ეტრუსკულთან ნათესაურ კავშირზე მეტყველებს.

## მეგრული სახვნელი და სხვა ინვენტარი

ლებარდედან კურზუ-სალხინო-გაჭედილი – სუხჩეს ხაზით, მთაში, ზღვის დონიდან 800-დან 1500 მ-ის სიმაღლეზე გლეხი იყენებს განსაკუთრებულ კავს – **ოგაფას**, რომელსაც მთის კავს ეძახიან. მისი ტარი, მხარი, რვილე წელში ჩაზნექილია. ტარის ან რვილეს მხრის სიგრძე 2 მ-ია. ჩახრილ ადგილას ტარიდან ან მხრიდან ქუსლის ცხვირის დონემდე, სიმაღლე 50 სანტიმეტრს უდრის, ხოლო წვეროში, კბილანასთან – 1 მეტრსა და 10 სანტიმეტრს. იგი ზიგზაგიან და ბორცვიან, ტალღოვან გადასასვლელებს კარგად ყვება და მხვნელს არ სჭირდება კავის მთლიანი წამოწევა და გადაადგილება. ქუსლიც შედარებით ვიწრო და მოკლეა. მისი სიგრძე 50 სანტიმეტრს უდრის, განი – 20 სანტიმეტრს. ასეთ კავს უღელი შედარებით მოკლე და დათაჯული აქვს. მსგავსი კავი მინიშნული გვაქვს ჯვარში, თაიასა და კინჩხაშიც, ე. ი. დასავლეთ საქართველოს მთიან მხარეში.

ფერდობზე, მთის ბორცვიან კალთებზე იყენებენ ფერდობის ოგაფას. ფერდობის კავი, რომელსაც ტარის წვერი საკმაოდ აწეული აქვს, თითქმის ერთ მეტრ სიმაღლეზე, მხვნელს საშუალებას აძლევს მსუბუქად გაატაროს იგი რელიეფურ გადასასვლელებზე და ადვილად დაჰყვეს ტალღოვანი ნიადაგის ზედაპირს. ასეთ კავს იყენებენ კურზუში, ინჩხურში, გურძემში, სერგიეთსა და ხუნწში. მსგავსი კავები ჩავინიშნეთ აგრეთვე გორდში, კინჩხაში, ჯვარსა და სხვაგან.

ბარში კი ბარის ოგაფას – ბარის კავს იყენებენ. მისი მხარი სწორია, რადგან ბარში ნიადაგი ტალღისებური რელიეფური თავისებურებით არ ხასიათდება. იგი თანაბრად მიდის ნიადაგის ზედაპირზე. ტალღოვან გადასვლას აქ ადგილი არა აქვს. ასეთი კავი ვრცელდება აბედათ-ხუნწიდან ვედიდკარ-მუხურჩამდე, თვით რიონისპირეთამდეც კი. ამ კავის ქუსლიც შედარებით დიდია. მისი განი 30 სანტიმეტრს აღემატება, ხოლო სიგრძე 60 სანტიმეტრს უდრის. ერქვანის სიმაღლე 90 სანტიმეტრია, მხარის სიგრძე – 2 მ და 40 სანტიმეტრი. უღლის სიგრძეა 170 სანტიმეტრი.

აქ დამოწმებული სახვნელი იარაღები ქართული სახვნელი იარაღების ადგილობრივი ვარიანტებია, ზოგჯერ მეტად ორიგინალური სახით შემონახული, რაზეც, სახვნელთა კონსტრუქციისა და ფუნქციის გარდა, მათი სახელწოდებებიც მიუთითებენ.

კაბტო

ოღარაი (საღარავი) უსახსნისოდ

ჩარტი (ფარცხი)

სუმქურა (სამქუსლა) უსახსნისოდ)

**ტაბულა 8. სახვნელი იარაღის ფორმები.**

ჯაში ოხონალი
(ერქვანი)

გოჟში ოგაფა
(მთის კავი)

გოჟში უღუ

ფერდიში ოგაფა
(ფერდობის კავი)



ოგაფაში უღუ
(კავის უღელი)

რზენიში ოგაფა (ბარის კავი)

**ტაბულა 9. ნიადაგის დასამუშავებელი სხვა იარაღი, დამხმარე სახვნელები**

სამეგრელოში მიწათმოქმედებს ფრთიანი ერქვანიც გამოუყენებიათ. აბედათსა და თამაკონში ჩავიწერეთ გადმოცემები, რომლებიც აქ ფრთიანი ქუსლის არსებობაზე მიუთითებენ. „ნიადაგის უფრო სრულყოფილი დამუშავებისათვის, აჭრილი მიწის გადასაბრუნებლად ქუსლებს ფართო გონიოებს ვუტოვებდით, ან განსაკუთრებულ ფრთებს ვაჭედებდით“ – აღნიშნავენ ხანდაზმულები.

ამის გარდა, აქ ცნობილი იყო უფრო სრულყოფილი სახვნელებიც, განსაკუთრებით XIX საუკუნის II ნახევარში. ეს, თავის მხრივ განპირობებული იყო ბატონყმობის გაუქმებით და სოფლად კაპიტალიზმის შეჭრით. იზრდება მოთხოვნილება მიწათმოქმედების პროდუქტებზე. სოფლის მეურნეობაში ინერგება სამეურნეო საქმიანობის ახალი დარგები. გლეხი ამ მოთხოვნილებას ძველებური იარაღით ვერ აუდის და ცდილობს მამაპაპური იარაღი განავითაროს, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს, ნიადაგი უკეთ დაამუშავოს. ეს განსაკუთრებით ბარში და მთების ფერდობზე შეფენილ სახნავ-სათეს ადგილებში შეინიშნება.

მძიმე ნიადაგის უფრო ეფექტურად დამუშავებისთვის, ნახნავის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, ბარის სოფლებში (გაჭედილ-აბედათი-ხუნწიდან ვიდრე მუხურჩამდე) სამქუსლა (სუმქურა) ოგაფას ხმარობენ. ასეთი კავის ორი ქუსლი დედოს კიდურებზეა გაჭრილი, განსაკუთრებულ კოტებში (დედოს სიგრძე 55 სანტიმეტრია), ხოლო მესამე ქუსლი – ტარში, მხარში გაჭრილ კოტაში. ქუსლის სიგრძე 30 სანტიმეტრია, განი 13 სანტიმეტრი. იგი უსახნისოდ იხმარება. სამქუსლა კავს მეორედ მოხვნის შემდეგ, ნიადაგის მოსასწორებლად და მეორე ხვნისას იყენებენ – ნიადაგის ყოველმხრივ ასაჩეჩად და გასაფხვიერებლად. ასე დამუშავებულ ნიადაგში უფრო ადვილია თესვა. იგი სახვნელი იარაღის ხალხური განვითარების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ანალოგიური სახვნელი ჩვენ დავამოწმეთ რიონისპირეთში, აბაშისა და სენაკის რაიონებში.

აქვე გამოყენებული იყო აგრეთვე საღარავი კავი, მცირე ფორმის ბრტყელი კავი, მხრითა და ქუსლწამოცმული ერქვანით. ქუსლის განი 13 სანტიმეტრია, სიგრძე 30 სანტიმეტრი. იგი იხმარება უსახნისოდ, ნახნავის შემდეგ ნიადაგში წყალსაწრეტი არხების (თხორიი, ღარი) ამოსაღებად. მას აბედათში ფრთასთან უკეთებენ განიერი თხრილების გასაკეთებლად.

ნახნავი ნიადაგის მოსასწორებლად და გასაფხვიერებლად (მძიმე ნიადაგებზე) კაბდოს იყენებდნენ. იგი დედოზე (რომლის სიგრძე 1,5 მ-ია, განი 39 სანტიმეტრი) ამოჭრილ კოტებზე ჩაყრილი, სავარცხლის ფორმის მსხვილი კბილანაა. კბილანის სიმაღლე 30 სანტიმეტრია. თითო კბილანის განი 6 სანტიმეტრს უდრის. დედოს მორგებული აქვს 2 მ-ისა და 25 სანტიმეტრი სიგრძის ტარი, მხარი. კაბდო იხმარება პირველად და მეორედ მოხვნის შემდეგ, მძიმე ნიადაგის აცვენილი ბელტების გასაფხვიერებლად, ოღრო-ჩოღრო ადგილების მოსასწორებლად. ამის შესახებ ასეთი ქართული ანდაზაც არსებობს: „კაბდომ იცის სამართალი, მაღალ-დაბალს გაასწორებს“.

ნახნავის დასაფარცხავად იხმარებოდა ხის ფარცხი, **ჩარტი** – წკნელით შემოღობილი მცირე ღობური, რომელსაც დედოებად დატანებული აქვს ხის კაკვიანი ტოტები, კაკვების ან ნეკების მიერ აყრილ ბელტებს სრესს და აფხვიერებს, ნახნავ ღარებს ასწორებს.

მეტად საინტერესოა კინჩხაში გამოყენებული სახვნელის – **კინჩხური კავის** ქუსლი. ამ ქუსლის ზედაპირი ბრტყელი, ცხვირისაკენ გლუვად წაწვეტებული და წაფერდებულია, გონიოები გლუვი, ხოლო ქუსლის უკანა მხარი სწორად ჩაკვეთილი. ქუსლის ქვემო ნაწილი ამოღარულია. გული, რომელშიც გაყრილია მხარის მუხლი და ერქვანი ნახნავში ცურავს, ხოლო ამოღარულ არხს ქუსლის გონიოები ფრთებით ფარავს, მიცურავს ნახნავზე. „ასეთი ქუსლი მსუბუქიცაა, თანაც ფაქარ, მსუბუქ ნიადაგს ღრმად არ კბეჩს, ღრმად არ სჭრის“, – გვიამბეს იასონ და დავით კირთაძეებმა, ილია გედენიძემ და სხვებმა.

მშრომელი, მხვნელ-მთესველი კაცი მიწის სახვნელით დამუშავებისას ქუსლის რეგულირებას ახდენდა. თუ მიწა მაგარი, მძიმედ დასამუშავებელი იყო, ქუსლის სოლებს ამოყრიდა და ქუსლს ცერად – მარჩხად დააყენებდა. რაც ღრმად კბეჩდა მიწას და ღრმად ჩასობილი ქუსლის წვერი ჭრიდა მძიმე ნიადაგის ღრმა კვალს. მას **წკვიპის** ან **მარჩხას** ეძახიან. ხოლო თუ მსუბუქი, ფაქარი იყო და ღრმად დამუშავებას არ საჭიროებდა, ქუსლს სოლების მეშვეობით ასწორებდნენ, რვილეს ან მხრის პარალელურად აყენებდნენ, რაც მხოლოდ ზედაპირულ ფენას აბრუნებდა. ქუსლის ასეთ მდგომარეობას **ჩოჩის** ეძახიან (მცოცავს, მჩოჩავს, ზედაპირულად მოსრიალეს).

## ნახნავის კონფიგურაცია

ნიადაგის თავისებურებათა გათვალისწინებით ხვნის წესებიც თავისებური იყო. რადგან მთაში ნიადაგი მსუბუქია და ბელტიანობა არ ახასიათებს, ნიადაგს ორჯერ მოხვნაც არ სჭირდება, ერთხელ მოხვნაც კი ნიადაგის ზედაპირს საკმაოდ აბრუნებს და აფხვიერებს. ასეთ შემთხვევაში მეორედ მოხვნა ნიადაგს სტრუქტურასაც უკარგავს და ხშირად ეროზიის წყაროც ხდება. მთაში ხვნა სწორხაზოვანად არ შეიძლება და ამიტომ განივ ხნავენ, მთის ძირიდან ზემოთ აჰყვებიან განდაგან და ამგვარად ადიან სახნავ სიმაღლემდე. ასეთნაირად ხნავდნენ ზღვის დონიდან დაახლოებით 1500 მ-ის სიმაღლემდე და მის ზემოთაც კი.

ფერდობებზე, მთებისა და ბორცვების შედარებით ნაკლებად დახრილ კალთებზე ნიადაგი გაცილებით მაგარია და ამიტომ მიწოლილად ხნავენ. პირველ ხვნაზე მიჰყვებიან განივად – ძირიდან ზემოთ, მეორეზე ოდნავ

ჩახრილ ბრუნს აკეთებენ. ქვემოდან, ძირიდან, მესამე, მეოთხე ღარიდან ჩახრილად მიდიან პირველ ღარამდე და ასე კვეთენ თანდათან პირველი ხვნის ღარებს.

ბარში კი მეორედ მოხვნა აუცილებელია, რადგან აქ ნიადაგი მძიმეა და მისი სტრუქტურული სრულყოფისათვის ნიადაგს მეორედ დამუშავება სჭირდება. ამიტომ აქ გარდიგარდმო, ჯვრულად ხნავენ, ჯერ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მეორე ხვნისას – სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მომავალ წელს კი – პირუკუ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხარის ტერიტორია მთაგორიანია და ნიადაგიც სხვადასხვაგვარია. დამუშავების თავისებური მეთოდები გლეხს სწორედ ამის მიხედვით ჰქონდა შემუშავებული ყველა ნიადაგის მიმართ.

**ტაბულა 10. ნახნავის კონფიგურაცია**

1. მთის ნახნავი. ხნავდნენ ერთხელ. ხვნას იწყებდნენ  გორაკის ძირიდან განივად და თანდათანობით ადიოდნენ თხემამდე.

2. ფერდობის ნახნავი მიწოლილად.

3. ბარის გარდიგარდმო ნახნავი, ჯვრულად. პირველი ხვნა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, მეორე – ქვევიდან ზემოთ.

## დარგობრივი ინვენტარი, იარაღები, საცავები. სამეგრელოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები და საცავები

ტაბულაზე წარმოდგენილია ყველა ზემოთ აღწერილი ინვენტარი: **კავი (ოგაფა), მისი უღელი, ფარცხი, კაბდო**. ასევე წარმოდგენილია **სიმინდიში ოჩაჩეში** (სიმინდის საფშვნელი). იგი ოთხი მოკლე, 80 სმ სიმაღლის ფეხზე მდგარი, გვერდებ და ძირამოღობილი ოთხკუთხა, თავღია ღობურია, სადაც ჩაყრილ სიმინდს ფშვნიან კაკუტებით. კაკუტი – ხის შედარებით წვრილ ღეროზე, ტარზე მრგვალი და მსხვილი წამოხრილი თავით, ურო, ორი-სამი ასეთი ურითი ფშვნიან სიმინდს **ოჩაჩეშში**. ჭერის ღობურიდან დაფშვნილი სიმინდის მარცვალი ფეხებს შორის სივრცეზე ცვივა, საიდანაც დაფშვნის დამთავრების შემდეგ იღებენ, ანიავებენ და ტომრებში ან **ბუღუნში** (ხის საკმაოდ სრული გეჯა) ყრიან.

აქვე არის ზვინი ჩალისა. იგი პრიზმული ფორმისაა. თავზე წამოხურულია მსხვილი ქოთანი ან დერგი, რომ წვიმამ ჩალის თავში არ ჩაჟონოს და არ დაალპოს. ზვინის დიამეტრი ხშირად 3-4 მეტრამდეც კი აღწევს. მისი სიმაღლე წვერამდე 6-8 მეტრსაც კი აღემატება. ზვინი დადგმულია ჩალის ღეროსა და აკაციის ხის ლარტყულთა დედოზე, რომ მიწიდან ნესტი არ აიღოს.

მის ქვემოთ **ოფურჩეა**. წინასწარ მრგვალი, 3 მ-ის დიამეტრის ღობურს შეღობავენ. შიგ ჩააფენენ ხის ლარტყულებს და ჩალის მსხვილ ღეროებს, შემდეგ კი ყრიან სიმინდის ნაფცქვენს (**ფურჩას**) და ტკეპნიან. ღობურს მტკიცედ დატკეპნილი ფურჩათი აავსებენ. მის თავზე ჩალის ზვინს აღმართავენ. იგი პროზმული ფორმისაა. დაახლოებით 5 მ-ის სიმაღლისა. ჩალის დასაზვინად ოფურჩედან ამოშვერილია 5 მ სიმაღლის დედოხე – „გუხუ“. გუხუს წვერამდე რომ ამოიყვანენ ზვინს, თავზე გუხუს წამოაცვამენ ქოთანს ან დერგს.

ეს ინვენტარი და საცავები თვით ტაბულაზე ზომებითაა მინიშნული და საკმაოდ სრული სურათ-ხატია ჩახატული.

ამ ტაბულაზე თოხთა რამდენიმე სახეობაა ნაჩვენები. მათ შორის მთის თოხია, რომელსაც სამკუთხედის ფორმა აქვს, გაშლილი პირით. ყუა უკოპოა. აქვე წარმოდგენილია **ეჩვა** – ნიადაგის ასაჩიჩქნი, ფიცრების სათლელი ინვენტარი. აქვე არის **ნამგალიც**. იგი სხვადასხვა ზომისა და ფორმისა გვხვდება.

აქ წარმოდგენილი ჩამური ღომის საცეხვი ინვენტარია. იგი ხისგანაც მზადდება. ხის ტარს გადაჭრიან, ერთ ბოლოს ამოუღრუებენ 50-50 სმ სიღრმეზე, მეორე ბოლოს ოდნავ უვიწროვებენ და ამ ვიწრო ნაწილით აყენებენ მიწაზე. ტაბულაზე ქვის ჩამურია, რომელშიც ღომს ყრიან და კაკუტის საშუალებით ცეხვავენ.

აქვე არის **ფარონი**. იგი ორფარდი ღობურია, თავ-ბოლო ღია აქვს. გადახურულია ორფთიანი ისლის სახურავით. ასეთ ღია ღობურში ორპირი ქარი აშრობს ღომის თავთავის კონებს.

ღომის გასაშრობად იყენებენ აგრეთვე **ოლეს**. ოლე ირგვლივ და ძირშემოღობილი მრგვალი ერთეულია. ღობურიდან ამოსული, შემოუღობავი წკნელების თავში იკვრება და ღვლეჭით ან ნაჭეთი იკიდება ცეცხლის ზემოთ, ომპაზე. ქვემოდან ნელ ცეცხლს უნთებენ. ცეცხლი აშრობს ღომის თავთავს. აქედან აღებული თავთავები შემდეგ იყრება ჩამურში და იცეხვება.

სიმინდის შესანახად კი **მაღაზას, ნალიას, სასიმინდეს** იყენებენ. იგი ოთხ ბოძზე დგას. ოთკუთხა ღობური კედლები 1,5-3 მ-ის სიმაღლეზე წინ, ხოლო უკან და გვერდებში 80 სმ სიმაღლისაა, ორფრთიანი ისლის

**ტაბულა 11. სასოფლო-სამეურნეო იარაღები და საცავები**


ულუ (ულელი)
ულელი
წიბები
ცაგი
ბეჭი
ბიბინდოს ოსტატი (ოსტიოლეში)
(ბიბინდოს ბაბუაჩალი)
ეკალი
ეკალი
ოტარ
(ეკალი)
ეკალი
ეკალი
ეკალი

სახურავით იხურება, შიგ ყრიან სიმინდს, ღობურის თავისუფალი სივრცე ქარს და მზის სხივებს თავისუფლად ატარებს და სიმინდი ხმება, შრება.

აქვე ნაჩვენებია **ბარი**. იგი სამკუთხედის ფორმისაა. ტარზე აქვს რიკი, რომელზე ფეხის დაჭერით მიწის მუშა ღრმად ასობს მიწაში ბარს და აბრუნებს. ასეთი ბარი ერთ-ერთი საკმაოდ ძველი ფორმაა.

მსგავსი ინვენტარი ჩვენ დაცული გვაქვს მუზეუმის ფონდებში.

## სამეგრელოს მევენახეობაში გამოყენებული ინვენტარი

განვითარებული და საკმაოდ სრულყოფილი სამევენახეო კულტურა სამეგრელოში ძალიან შორეული დროიდან მომდინარე ჩანს.

ღვინის უძველესი მარანი ყველგან გავრცელებულია ღია ცისქვეშ, მარნის გვერდით. ღია ცისქვეშ მარანი ასწლოვანი ცაცხვის, მუხის, თელის ხეების ქვეშაა მოწყობილი. აქ ადგილი გადაწმენდილია, შემოკავებულია დაბალი, ტყრუშული ღობურით, შიგ ქვევრებია ჩაყრილი. ქვევრები დახურულია **ლოფოჩოთი** (ბლის ტყავის მრგვალი სახურავი) და მრგვალი ქვებით. შემდეგ აყალო მიწითაა თავი მოგლესილი და დაცული. ქვევრი ან ꙁაგვანი სხვადასხვა ზომისაა, დაწყებული პატარა, ერთბათმანიანი „იახუტით“, რომელშიც „ოდუდიას“ სალოცავის ღვინოს ასხამენ, და 20-კოკიანი მსხვილი ქვევრები, რაც მრგვალი და პრიზმული ფორმისაა. ქვემოთ კუნკულით თავდება. ყელიც ვიწროა და გონიოდ გადმოკეცილი თავი ადგას.

მარნის მეორე სახეობა – **ღობური ფაცხა**, ჯარგვალა და პიტაფიცარა, ოთკუთხა სათავსია, რომელიც უფრო ხშირად ისლითაა დახურული. მარნის ერთ მხარეს საწნახელი დგას (**ოჭინახუ**). აქ იჭეჭყება და იწურება ღვინო. ოჭინახუ უფრო ცაცხვის მრგვალი ხისგან მზადდება. უკუნძო და უბზარო ხის ტანი 3-4 მ სიგრძეზე გადაიჭრება, შემდეგ მთელ სიგრძეზე, ზედა მხარეს, ოთხკუთხა ღიობი კეთდება. ღიობის შიგნით გული ამოიწვება. შემდეგ ოსტატი ამომწვარ გულს ამოჭრის, ამოასუფთავებს, ხვეწით ამოხვეწს, გამზადებულ საწნახელის ორივე მხარეზე ღია ხვრელებს ამოუვსებს, ისევ ცაცხვის ან თხილის ფიცრებით. თავებში რკინის სალტეებს შემოაჭერს და გაამაგრებს, ამის შემდეგ საწნახელი, რომლის დიამეტრი ხშირად 1,5 მ-ზე მეტია, მიაქვს მარანში და იქ მიუჩენს ერთ მხარეს. საწნახელს გამორეცხვის, გასუფთავების შემდეგ ამოწმენდენ, შიგ ყურძენს ჩაყრიან და ფეხებით ჭყლეტენ. დაჭყლეტის შემდეგ ღვინოს გამოცვლიან და ჭაჭას სიმძიმის ქვეშ წურავენ.

უფრო მეტად, როცა ყურძნის საკმაოდ დიდი მოსავალი აქვთ, აწყობენ **ხარხინს** – საწნეხს, პრესს (რუს.) და მით წურავენ ჭაჭას. ხარხინი

შედგება ხრახნილი ღეროსაგან, რომელზეც წამოცმულია **სკიბუს** დიდი ქვა. მისი თავი გრძელი ხის გაშია გაყრილი, გა კი მსხვილი ხის ტარშია გაყრილი. მისგან **როფეში** ეშვება საბჯენები; იგი როფეში ჩაყრილ ჭაჭას აწვება ხარხინის ტრიალით და წურავს ყურძენს. ასეთი ხარხინი უძველესი ხალხური ტექნიკური აზრის დიდ მიღწევად შეიძლება მივიჩნიოთ. მარტვილის მუზეუმში ინახება XVII საუკუნეში დამზადებული ხარხინი. იგი დღესაც გამოყენებაშია.




**ტაბულა 13. მევენახეობაში გამოყენებული ინვენტარი**

ქვევრის სარეცხად გამოიყენებოდა **ორჩხეში ბუიში** (სარეცხი ბლისა). ბლის ტყავის რამდენიმე ფენა მჭიდროდ წამოცმულია ღეროზე და ცოტათი გამაგრებულია. ქვევრში წყალს ასხამენ და ორჩხეშით რეცხავენ. ასევეა თაგვისარაც (**მარწკვენია**). მასაც ღეროზე ამაგრებენ, კრავენ, ქვევრში უშვებენ და კედლებს რეცხავენ. ამორეცხილ ქვევრს წყლისგან დაცლიან, **პინტით** (საქოსით) ამოამშრალებენ, შემდეგ თაფლის გამდნარი ცვილით ამოლესავენ კედლებს, ცოტას აცლიან, შეაშრობენ და შემდეგ ასხამენ ღვინოს. იგი საკმაოდ უჭუჭყოდ ინახავს ღვინოს. ქვევრში დაცული ღვინო სურნელოვანი, ცივი, საოცრად გამჭვირვალეა.

ღვინის ამოსაღებად როფედან, ქვევრიდან და ა. შ. იყენებენ **ხირკას** (ორშიმო). ხირკა სხვადასხვა ზომისაა, ქვევრის ზომების გათვალისწინებით. მას განივ ტანზე ორ ხვრეტილს უკეთებენ და მასში მჭიდროდ უყრიან თხილის ღეროს. ღვინის სასმისად უძველეს დროში გამოიყენებოდა ჭიქის ფორმის **კალამი**. იგი ჩალამ-კალამის (ლერწმის) გადანაჭერი ღეროა. იგი ერთ მხარეზე აჭრილია და აქედან ისმება ღვინო. ასევე, იყენებენ სხვადასხვა ზომის ყანწებს. იგი ერთი ჭიქიდან ორი-სამი ბოთლის მოცულობით, ხის და რქის სასმისია. რქა იჭიმება, მუშავდება და მზადდება ლამაზი ყანწები.

ეს ინვენტარი მუზეუმს თავის ფონდებშიც აქვს დაცული მრავალფეროვანი ასორტიმენტით.

## ხელოსნური წარმოების ინვენტარი

სამეგრელოში ხელოსნური წარმოების მრავალფეროვნებასა და განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს მხარეში დღემდე შემორჩენილი ინვენტარი და ტრადიციები.

ყველაზე საინტერესო ქსოვის კულტურაა. აქ უძველესი დროიდან აშენებდნენ ცხვარს და მატყლს იყენებდნენ შალის დასამზადებლად. თესავდნენ და მოჰყავდათ სელი და კანაფი და მათი მერქნისაგან იღებდნენ ძაფს. ქსოვდნენ სელის უნატიფეს ტილოს, ხოლო სელისა და კანაფის ძაფისაგან გრილ და სასიამოვნო, ჩასაცმელი კვართისა და საწმერთულის მასალას – ჯვალოს. უვლიდნენ აბრეშუმის ჭიას და მისგან ამზადებდნენ ძალიან ძვირფას „დარაიას“ ქსოვილს. ბამბის ნართისაგან ამზადებდნენ ხამიანს, ტილოს და ა. შ. შალის და ხამიანის ნარევი ნართისაგან მზადდებოდა ხვანჯრები (ყანთარები), გამაშები, პაჭიჭები; მზადდებოდა ბადეები, გრეხდნენ ბაწარს და ა. შ. ტილოს, შალს, ხამიანს, ჯვალოს ქსოვდნენ **დგიმზე**. ეს ერთეული ერთიანი დგამია. წინა ფეხებზე **რვილეს** ამაგრებდნენ. უკანა, მაღალ დგამზე, რომელსაც მკლავები ჰქონდა წინ გად-




ტაბულა 14. ხელოსნური წარმოების ინვენტარი




**ტაბულა 15. ხელოსნური წარმოების ინვენტარი**

მოშლილი, გარდიგარდმო ლარტყულები იყო გადებული; მასზე მიბმული იყო ბაწრები, რომლებიც არეგულირებდა დგიმის ძაფებისაგან შეგრეხილი მსხვილკბილიანი სავარცხლის და ხის წვრილი კბილებისაგან შეკრულ სავარცხელს (ორცხონჯს). მქსოველი ბაწრების ქვედა ბოლოებზე ფეხის დადებით არეგულირებდა დგიმისა და სავარცხლის მორიგეობას. მორიგეობით იღებოდა ძაფის პირი და **მარქვათი**, რომლის მასრაზე დახვეული იყო ძაფი, გარდიგარდმო გადიოდა და ძაფი კრავდა პირს. შემდეგ მორიგეობით ქვედა კბილი ადიოდა ზემოთ და ახლა მასში ბრუნდებოდა მარქვა და ასე გრძელდებოდა ქსოვა. მარქვადან ძაფგაყრილ პირს შეკრავდნენ და ორცხონჯით მიაბეჭავდნენ. ქსოვილი იხვეოდა რვილეზე თოფებად. ქსოვის დამთავრების შემდეგ რვილედან აიჭრებოდა ნაქსოვი და ირეცხებოდა. გარეცხილი ქსოვილი შრებოდა. ამის შემდეგ იგი **ჭურიათი**, **ეკით** და სხვა საღებავით სასურველ ფერად იღებებოდა.

განვითარებული იყო ჯამ-ჭურჭლების დამზადებაც. კოპიტის, თელის, ცაცხვის მსხვილი ფიცრებისაგან **ქაბარკაზე** (სათლელი დაზგა), **გუგუესა** და **კბილას** შუა ჩაჭრილი სათლელი ფიცარი ტრიალებდა ხელეულით, რომელიც კბილის დედოზე იყო გაყრილი. სათლელ ფიცარს ამარჯვებდა **ძემლარი** და **ხვეწი** და იხვეწებოდა, ფორმა ეძლეოდა. გული ძემლარით ითლებოდა და სასურველი ფორმა ეძლეოდა ნახელავს. სანამ ფიცარს სათლელად მიიტანდნენ, მანამ მას ძემლარით (ეჩოს მსგავსი რკინის ინვენტარით) თლიდნენ და ასუფთავებდნენ.

ასევე განვითარებული იყო კერამიკული წარმოება, აგურის დამზადება. მისი ყალიბები ახლაც მრავლად ინახება სოფლებში. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ მრავალ ადგილასაა ნაპოვნი ცივსაბერი ქურები, სადაც ცივად ბერვით, თვითმიქშენით ადნობდნენ ლითონს, ქოთანს. ამ მცირე ზომის ტიგელებს რამდენიმე ადგილას ჰქონდა გარჭობილი მილაკები, რომელსაც გარედან თვითქშენით შეჰყავდა ჰაერი და ხელს უწყობდა ცეცხლის გაღვივებას.

მეტალურგიული წარმოების უშუალო თანამგზავრი იყო სამჭედლოც, საბერველით და გრდემლით, რასაც მეგრელები **ქუჲამურს** უწოდებენ. ქუჲამური სიტყვასიტყვით ქვის მორსას ნიშნავს. ასეთი ქუჲამური ჩვენ ვიპოვეთ ლებარდესთან, „ლეჭეხაში“. აქ გავთხარეთ უძველესი მეტალურგიული კერა. აღმოჩნდა რამდენიმე ცივსაბერი ქოთანქურა და მათთან ერთად ქვის ქუჲამური. ეს იყო ერთ-ერთი შესანიშნავი აღმოჩენა. მჭედელი ლითონის გრდემლზე გასასწორებლად იყენებდა მაშას. მარწუხებს, ხოლო ფორმის მისაცემად, საჭედად – ურუოს, რომელთა უამრავი ეგზამპლარი მუზეუმის ფონდებშია დაცული.

საქსოვად, ბამბის დასამზადებალდ იხმარებოდა **ჩიჩიხი**. იგი მარცვლისაგან ათავისუფლებდა, ფთილად და ქულად თელავდა. შემდეგ მოთელილი ქულა საპენტით (**შქვინდით**) იპენტებოდა. კვლავ იკვრებოდა და ახლა დაწმენდილი, დასუფთავებული ქულა ჩერიათი იწმინდებოდა და ძაფად იხვეოდა. ძაფს სასურველ ზომაზე წმენდნენ და შემდეგ ძაფის შულოებს ამზადებდნენ.

ხვანჯრების საქსოვად გამოყენებული იყო **ყადა**. იგი სქელ ფიცარზე დამაგრებული იყო ორი ლარტყულით, რომელიც საფუძვლიდან 20-25 სმ სიმაღლეზე შეიკვრებოდა ლარტყულით ხოლო 80 სმ სიმაღლეზე კეთდებოდა ხვრეტილები. გარდიგარდმო გაყრილი ლარტყულა მორიგეობით იწეოდა, ზემოთა ნაქსოვის ლენტის ქსოვის ნამატთან ერთად. კერამიკულ წარმოებაში იყენებდნენ **ბორბალს**. ბორბალი გუგუეზე იყო შეყენებული. გუგუე ფართო ფიცრის საფუძვლიდან იყო ამოზრდილი. ბორბალს ხელით ატრიალებდა კერამიკული ჭურჭლის ოსტატი და ფორმას აძლევდა ჭურჭელს. აქ ჩამოთვლილი და უამრავი სხვა ინვენტარი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ხელოსნური წარმოების მრავალფეროვნებას, მისი ტრადიციის საკმაოდ ხანსრულობას და განვითარების მაღალ დონეს.

## მესაქონლეობის ინვენტარი და სათავსები

მესაქონლეობა სამეგრელოში სამეურნეო საქმიანობის უძველესი დარგია. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ აქ უძველესი დროიდან მცხოვრები მესაქონლეები მისდევდნენ ხალხურ სელექციას, რომლის საუცხოო ნიმუშია „ეცეში თხა“, რომელიც ცაავებმა გამოიყვანეს სალხინოში, და „კვარაცხელიას წითელი“ – კვარაცხელიას მიერ გამოყვანილი სრულიად საინტერესო და მაღალპროდუქციული ჯიშის ძროხა.

მესაქონლეობაში გამოყენებული იყო მრავალი საინტერესო ინვენტარი: **ნიგა**, რითაც წველიან საქონელს. საკვეთეში კვეთს აყენებენ. ბუცუნში (ხის დიდ საცავში) ყველს ინახავენ. **ნისორზე** ამზადებენ სულგუნს; ატარით და კოპიტათი მიირთმევენ მაწონს, რძეს. მაწონი და რძე ამოაქვთ **ჩაყვათი** და **მურზგათი**. ყველს აშრობენ ჩეჩოში; რძეს წურავენ **მაწურით**; მაწური წვრილი, მაღალი, ხის ამოღრუებული ღეროა, რომელშიც გარდიგარდმო კედელზე უყრიან ჯოხებს და ზედ გვიმრას აფენენ. გვიმრა წურავს რძეს. ყველი ლაგდება ხონჩაზე და მიაქვთ ბუცუნში ჩასაწყობად. ყველი გასაყიდად გააქვთ ან **ოხუჯალე** გოდრით, **ოსადილეთი**, ან **ცორობე კალანჩხათი**. მწყემსის კარავში, შუა ცეცხლზე, ანთია ცეცხლი; **ომპაზე** (დედოხეზე) მოწყობილია **ობერტეში** (ოგინჯალე) და ჰკიდია ხის **ნაჭე**, **კაჩა**, რომელზედაც ჭანური ქვაბი – **ჩუანია** ჩამოკიდე-




**ტაბულა 16. მესაქონლეობის ინვენტარი და სათავსი**




ტაბულა 17. მესაქონლეობის ინვენტარი და სათავსი

ბული. თუ მომთაბარე პირობებშია მწყემსი, იგი ცეცხლის მახლობლად, მიწაში ასობს ჩხვინდის. ეს არის ხის კავიანი ტოტი, რომლის კავს თაჯები აქვს ჩუანის დასაკიდებლად.

მესაქონლეს მთაში **კარავი** აქვს მოწყობილი. კარავი ხშირად 5-10 მ სიგრძისაა. კარვის ცენტრში ცეცხლი ანთია, ხოლო აქეთ-იქით, ორივე მხარეზე, ხის ფიცრებისაგან შეჭედილი კედლიდან კედლამდე ლოგინია მიმაგრებული. ხშირად კარავი ფაცხისაგან კეთდებოდა, უფრო მეტად კი ქვაღორღის მშრალი წყობით შენდებოდა. კარვის ახლოს მოწყობილი იყო **ოსქუ** (საღორე). იგი ოთხკუთხა, 2X2 მ ზომის ღობურია, ხშირად ისლით გადახურული. ფაცხაში, ჯარგვალში ან კარვის ცალკე განყოფილებაში ბოგურია მოწყობილი ახლადმოგებული ძროხისათვის. ასეთ ბოგაზე, ბარში, რამდენიმე საქონელი აბია. ბოგის თავთან **ფინახარია** (საპირეა) მოწყობილი, სადაც ჩალა, თივა ან სხვა სახის საკვები იყრება. აქვე მესაქონლეს აქვს **მაღაზაც** (სასიმინდე). იგი ღობურია, ისლით გადახურული. მას მიყუდებული აქვს **ჩართი**, ან **ტკვა** (თაჯული), მასიური კიბე, ასასვლელად. ასეთივე ასასვლელი აქვს ქათმის **ქაბარკასაც**, საქათმესაც, ოკარიესაც.

მუდმივ საცხოვრისში გლეხს ფართო ქართა აქვს ეზოს უკან, მოხერხებულ ადგილას, საიდანაც შუკით შემოდის და გადის საქონელი. შუკაზე კიდია ლარტყული სიბაკარი. ქართის ერთ კუთხეში არის **ჩხანჭი**, რომელშიც თავს აფარებს საქონელი ავსა და ცხელ დარში. ამიტომ ჰქვია „ჩხანა“-„ჭვიმა“. იგი კომპოზიტშია გაერთიანებული – „**ჩხანჭი**“.

საინტერესოა მესაქონლის მთაში საცხოვრებელი სადგომი. იგი სხვადასხვა ფორმისაა. ირგვლივ შემოზღუდულია ქვა-ღორღის 1,30-1,50 მ-ის მშრალი წყობის ხორგით. შესასვლელში **ჯიხურია** მოწყობილი მწყემსებისათვის. ჯიხურის ორივე მხარეზე მოწყობილია მცირე სათავსი ძაღლებისა და ხბოებისათვის. **აგვარას** შესარეკ მხარეზე საკმაოდ ვრცელი მასივი შემოზღუდულია ქვა-ღორღის 1 მ-ის სიმაღლის ზღუდარით. აქ საქონელს წველიან, წამლობენ, წმენდენ და სხვ. ამის შემდეგ საქონელს უშვებენ აგვარის ცენტრისკენ. საქონელი სახეობის მიხედვით თავის ადგილს, ღამის სადგომს – **თგფგ**-ს იკავებს. ამას ისეა შეჩვეული საქონელი, რომ თავის სადგომს არ ასცდება, არ შეერევა, სხვა სახეობის საქონლის ადგილს არ იკავებს. აგვარა თავის პარალელს პოულობს აფხაზურ „აცანგუარასთან“. ისიც საქონლის საზაფხული სადგომია, ისიც ასე მშრალი წყობით შემოზღუდული და განყოფილებებად დაყოფილი. ეს პარალელი ძალიან ხანსრულია. იქნებ, „აგუარა“ და „აცანგუარა“ ერთმანეთთან ნათესაურ კავშირშია.




**ტაბულა 18. მესაქონლეობის სათავსი (აგვარა)**

## ნორჩის, ყრმის საწოლები სამეგრელოში

ადამიანთა ყოფის თავდაპირველი სახეები ამომდინარდა ბუნებრივი ფორმებიდან. თუნდაც გართობის საინტერესო ხალხური ფორმები – სარწეველა, ბურთაობა და ა. შ., გვიან საფუძვლად დაედო უფრო ღრმა ყოფით ერთეულებს. მათ შორის სარწეველა, რომელიც წინა ეზოს კოინდრიან ცენტრში მდგარი საჩრდილობელი ცაცხვის, მუხის თუ კაკლის მაღალი კორომის მაგარ, ყველაზე ქვედა, გადმოხრილ ტოტზე იყო ჩაბმული. მკვიდრი თოკით ან ღვლეჭით დამაგრებული იყო სწორი საჯდომი. იგი სასიამოვნო სარწეველაა. მისი საკმაოდ მაღლა აქანებაც შეიძლება, სარწეველას საჯდომ თოკზე ხელის ჩავლებით და აქანებით, ან ნელი, ნარნარი რწევა, გასართობად, საამოდ გულგასაყოლებლად, დასამშვიდებლად, ოცნებაში სახეტიალოდ, რაც ასე საამოდ და და თავისუფლად ხერხდება ნელი რწევა-ქანაობით. ამ ერთეულს – „**ოკიოწეს**“ ძალიან ადრე აქვს საფუძველი ჩაყრილი ხალხის ყოფაში.

**ტაბულა 19. ონწე**

სწორედ ასეთი სარწეველიდან – „ოკიონწედან“ თვლის ხალხი ბავშვის, ნორჩის პირველ საწოლს წარმოშობილს. მას „ონწეს“ ეძახიან. იგი სარწევია, სარწეველაა, რადგან მეგრელ კაცს ცხოვრების მეტი დრო გარეთ, ღია ცისქვეშ უხდებოდა ცხოვრება და მხოლოდ ღამით, დასაძინებლად შედიოდა შინ. სწორედ ასეთ საჩრდილო, საიმედო და საამო ადგილას დედას ან მის შედარებით წამოზრდილ შვილებს „ოკიონწე“ ჰქონდათ ჩაბმული. ასეთი „ოკიონწეს“ გვერდით მისი მსგავსი საწოლი ჰქონდათ მოწყობილი ჩვილისათვის – „ონწე“. „ონწეც“ იმავე პრინციპზე იყო აგებული. ხის ასეთივე დაბალ ტოტზე ჩაბმული იყო ორი მაგარი მკედი, თოკი და მასზე დაკიდებული იყო საკმაოდ მაღალი, 20-30 სმ სიმაღლის გონიოებით, ფიცრის ოთხკუთხა, წინ წაგრძელებული კოლოფი, რომელშიც ჩაფენილი იყო სელის რბილი ღეროების ფენილი, რასაც სელის შალითა და რბილი საბანი ეფარა. მასში ჩაკრული იყო შვილი. დედა არწევდა და ტკბილ ნანას უმღერდა ჩვილს. სუფთა ჰაერი, მაცოცხლებელი, ნელთბილი სიო, ნელი რწევა საამოდ აძინებდა ჩვილს. ასეთი ონწე ჩვენ აღგვიწერეს ქალბატონმა ჭოტო ახალაიამ – 90 წლის მოხუცმა ქალმა, ქუთუ ახალაიამ (კურზუ) და სხვებმა.




**ტაბულა 20. ახალდაბადებული ბავშვის პირველი საწოლი**

შემდეგ უფრო მოძრავი და სრულყოფილი საწოლები შეიქმნა; მათ შორის – ჩვილის თავდაპირველი, პირველი დღეების ჩასაწოლი რამდენიმე სახის საწოლი. პირველი „**ორდგა**“ იყო. იგი სელის ღეროებისაგან, სელის მკედითვე შეკრული, ოვალური ფორმის შესაკრავი იყო. ბავშვი რომ დაიბადებოდა, პირველ დღესვე სწორედ „ორდგაში“ ჩაფუთნავდნენ, შეკრავდნენ, გაასწორებდნენ, მასში ამყოფებდნენ რამდენიმე საათს. შემდეგ ახსნიდნენ ორდგას და დედა ხელით ართობდა, გულში ჩახუტებულს ანებივრებდა – „ობაჯალუანდუ“. შემდეგ კმაყოფილ და რულდაკრულ ჩვილს ისევ ორდგაში ახვევდა. ასე დაგვიმოწმეს ხობში, ზუგდიდში, აბაშაში და ა. შ., მთხრობელებმა.

**ჩაჩაბე** კი უფრო ოთხკუთხაა, საკმაოდ წაგრძელებული სელის რბილი ღეროებისაგან დამზადებული. სელის მკედით შეკრულ საფენში შეკრა-

ვდნენ ყრმას და ამ საწოლში ამყოფებდნენ ათ დღეს და უფრო მეტს, ხშირად ამოყვანით და თავისუფალი „ბაჯალით“.

იყო მოთელილი მუხის ტყავისგან აჭრილი, საკმაოდ გრძელი და ფართო, ელასტიური და დამყოლი საფენი „**ტეფია**“, რომელშიც ისევ ტილო იყო ჩაფენილი. მით კრავდნენ ყრმას და ასევე შეკრულს ამყოფებდნენ ათ დღეს, თუ უფრო მეტ დროს, ხშირი ამოყვანით და „ბაჯალით“. ორდგას, ჩაჩაბეს და ტეფიას განი ერთნახევარ არშინს უდრიდა. სიგრძით იგი ხშირად ორი არშინი იყო. სამივე ეს ერთეული რბილი, ელასტიური, საკმაოდ დამყოლი იყო და მასში ჩაკვრა შვილისა ისევე მსუბუქად ხდებოდა, როგორც ტილოს ან დარაიას საბანში. ეს იყო დროებითი, მხოლოდ პირველი დღეების საწოლი.




**ტაბულა 21. აკვნის სახეები**

შემდეგ საწოლის განვითარებული ფორმები შემოიღეს. პირველი, უფრო მოძრავი და ადგილიდან ადგილზე გადასატანი, უფრო ხანგრძლივი დროით გამიზნული საწოლი იყო დასადგმელი „**ონწე**“. ისიც სარწევია; მას ოვალური ქუსლები აქვს მორგებული. ქუსლზე შეყენებულია ფიცრის ვრცელი, ლამაზად დათლილი და დამუშავებული ტანი. ეს ორი, თავ-ბოლოს ტანის ფიცრები, შეკრული იყო საწოლის ორივე ტანში ჩაყრილი ლარტყულით, რომელზეც საწოლი ფიცარი იყო მოწყობილი. ტანის ზედა ნაწილი შეკრული იყო მრგვალი, საკმაოდ მაგარი რვილეთი.

ტანის ორივე ფიცარი შემკული იყო მზის, მთვარის და ვარსკვლავების გამოსახულებით. საწოლს ჰქონდა ხვრეტილი, სადაც გაყრილი იყო შიბაქი მოსასაქმებლად. ამ ძალიან ლამაზ, თავდაპირველ აკვანს „ონწეს“, სამეგრელოში ლაზურ, ჭანურ ონწეს ეძახიან. შემდეგ უფრო განვითარდა „ონწე“ – მისი ტანი და ლარტყულები, ასევე რვილე, ჩარხულა, ლამაზი რიკულებით იქნა გაწყობილი. რიკულების ზემოთ იყო კოჭები, რაც რწევის დროს გამოსცემდა საამო ხმას. ასეთ აკვანს **ჩარხულ აკვანს** ეძახდნენ. ეს ონწე გვიანდელია, ხოლო უფრო გვიანი, უფრო თანამედროვე აკვანი სარწეველაა. რიკულზე ჰკიდია ლამაზად დამუშავებული სარწეველა საწოლი, მაღალი გონიოებით.

ასეთ აკვნებს აკეთებდნენ „მეაკვნეები“, რომლებიც აკვნების გასაკეთებლად ირჩევდნენ განსაკუთრებულ ხის ფიცრებს. მეაკვნე ძალიან სუფთა, საკმაოდ მთვარემოცვლილ, ძველ თვეში მოჭრილ, გამხმარ ფიცარს არჩევდა. ფიცარს არ უნდა მოსდებოდა ოდნავი ჭუჭყი. თუ ხელს გაიჭრიდა მისი დამზადებისას მეაკვნე და სისხლით შეისვრებოდა ფიცარი, მას გადააგდებდა – „ვაშინერს“ – არ შეიძლება მისი გამოყენებაო!... ბავშვის, ნორჩის აღმზრდელი საწოლი შეუბილწველი, მოუსვრელი, სუფთა და ხელუყოფი უნდა იყოსო – გვარწმუნებდა ცნობილი მეაკვნე თომა ინჯია.

## ტრანსპორტი

სამეგრელოში ტრანსპორტის ყველაზე არსებითი სახეობაა **ურემი**. იგი ორი სახისაა – **ბარისა** და **მთისა**. ბარის ურემი მაღალ ბორბლებზე დგას. წინა ხიდი სწორია, რომელშიც გაყრილია უღელი. **გაშ დუს** – გასთავს, ან წინახიდს თავს უდგას ქვესადგომი, რომელზეც შეჩერებისას დაყრდნობილია ურემი და უღელს უმსუბუქებს ხარებს. უღელი ორ მეტრამდე აღწევს. კოფო ორივე მხარეზე აკრულია მაღალი **საცხირეთი**, ან **ფარდით**, რათა ზედ დაწყობილი ტვირთი არ დაცვივდეს. ფარდი წინ და უკან შეკრულია ფიცრებით, რაც საცხირეს წინ და უკან, ორივე მხრივ, კოტეებშია ჩამჯდარი. ურემი გლეხკაცის ღირსებას წარმოადგენდა. ამიტომ შესაძლებლობის მიხედვით იგი ყველა ოჯახს ჰქონდა და იყენებდა. ჰყავდა მუშა გამწევი ძალა, განსაკუთრებით ხარები. ხარი ოჯახის სამშვენისი და სიმდიდრე იყო. ამიტომ ოჯახი ცდილობდა, რომ კარგი ჯიშის ხარები ჰყოლოდა.




**ტაბულა 22-23. ხალხური ტრანსპორტი**

მთის გოგორა ურემი შედარებით დაბალ, მასიურ ბორბლებზე დგას. მას საცხირე ლარტყულები აქვს ფარდის გარეშე. წინა ხიდი სათრეველაზეა დაყრდნობილი. სათრეველა მაგარი ხის კავიანითა. შეკრული ორი ტოტია. იგი რელიეფური გადასვლებისათვის სჭირდება ურემს. არის „სართიელი“, სათრეველა. იგი უბორბლოა. ორი დედო შეკრულია უკანა ლარტყულით. წინა ლარტყული კი სათრეველა ტოტზე ზის, რაც ღვლეჭითაა გადაკრული. სათრეველა მხოლოდ მთისა და მთისწინა რელიეფური მოთხოვნილებებისათვისაა გამზადებული.

არის ცალკე **სართიელი**, უკანა სათრეველა ბოგურის გარეშე. იგი ორი სათრეველაა, როდესაც ტოტები გარდიგარდმო ლარტყულით აქვს გადაკრული. ტოტები ღვლეჭით იკვრება. ამ ლარტყულზე აკრავენ ხეს, ან სხვა ტვირთს და მიწაზე თრევით ჩამოაქვთ მთიდან. იგი სახელდახელო ერთეულია.




ტაბულა 24. ტრანსპორტი და მისი ინვენტარი




**ტაბულა 25. ჩალანდარი და უნაგირიანი ცხენი**

ყველაზე მიღებული ცხენია. ცხენი ყოველი ოჯახის მშვენება იყო. კარგად მოვლილი, კარგი ჯიშის, გაწვრთნილი ცხენი საამაყო სამშვენისსაც წარმოადგენდა, ამასთანავე, საიმედო სატრანსპორტო საშუალებასაც. მას კაზმავდნენ საგანგებოდ ნამზადი უნაგირით. უნაგირი მზადდებოდა ყველგან, მაგრამ ყველაზე უფრო მიღებული და ცნობილი იყო აჩიგვარული უნაგირი. იგი ირთვებოდა სპილოს ძვლით, ვერცხლის მოოქროვილი ერთეულებით (ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით). უნაგირს ქვეშ უფენდნენ **თოქალთოს**, რაც შესაძლებლობის მიხედვით იკერებოდა საუკეთესო ქსოვილისაგან. მანდილოსნის სედლოს, ცალუზანგიან უნაგირს, თოქალთოს ქვემოთ უფენდნენ **ასალს**. ასალი ხავერდის ან სხვა ძვირფასი ქსოვილისაგან მზადდებოდა, იქარგებოდა, ძვირფასი ქვებით იმკობოდა (ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით). თვით ცხენზე შემჯდარ მანდილოსანს მუხლებზე და ცხენის ქვედა ნაწილზე ეფინა **ამაზონკა** – უნაგირისა და მხედრის ზედა შემოსაფენი. ისიც საოცრად ლამაზი და ძვირფასი მზადდებოდა. ეს ყველაფერი ქალის ღირსების ხაზგასასმელად იყო.

სატვირთო უნაგირი იყო  თავისუფალი ხის კეხი, რომელსაც თოქალთოს ზემოთ ადგამდნენ. კეხი ტვირთის საზიდად იყო გამიზნული. ფეხზე ხშირად ჩალანდარი; ორმხრივ შეკრულ, რბილ კეხზე მოსარგებ ზურგულას აკეთებდნენ. მასზე ორივე მხარეს ჰკიდებდნენ ტვირთს მთიდან ჩამოსატანად. ჩალანდარი დღესაც მიღებულია.




**ტაბულა 26. დილიჟანსი და ეტლი**

ტრანსპორტის მიღებული ფორმა, ოღონდ შედარებით ძალიან გვიან შემოღებული (ალბათ რუსეთის გზით ევროპიდან), **ეტლი** იყო. იხმარებოდა აგრეთვე **დილიჟანსიც**. დილიჟანსი შედარებით შორ და სოშე მაგისტრალებზე იხმარებოდა. ამ მაგისტრალებს „დილიჟანიში შარას“ ეძახდნენ. დღესაც ასეთი სახელწოდება ტოპონიმად დარჩა.

## საძმო მარნები

ყოფის იშვიათი ელემენტია, რამაც ტრადიციულად გადმონაშთის სახით მოაღწია ჩვენამდე. საძმო მარნები, მარანი ყველგან, ოჯახის თუ სოფლის ღირსებაა. იქნებ შორეული წარსულიდან დღემდე მოღწეული გადმონაშთური ფორმები გვარის ერთობის, მისი სარიტუალო ერთობის საჭიროების მოთხოვნილების საფუძველზე შექმნილი ერთეული იყო **საძმო მარანი**. ჩვენ დავადასტურეთ სანაჭყეპიოში ნაჭყეპიების საძმო მარანი, ასევე ინჩხურში – უჩავების საძმო მარანი. დავადასტურეთ ასეთი საძმო მარნები ხობში, ბიაში, ჩხოროწყუში, ახუთში და ა. შ. ჩვენ აქ წარმოვადგინეთ სამეგრელოს საძმო მარანთა შორის ჩვენ მიერ გადმოცემით რესტავრირებული უჩავების მარანი, რომელიც მდებარეობს უჩავების უბანს ზემოთ, ტაბაკელას ჩავაკებულ ფერდობზე, სადაც დღესაც ხურმისა და მაჟალო ვაშლის მაღალ ხეებზე მიშვებულია შონურის მაღლარი. იგი 100 კვ. მ-ის ფართობის ჩახრილი ვაკეა, რომლის ცენტრში მდგარა ცაცხვის უზარმაზარი საჩრდილობელი ხე. მარნის ტერიტორია

შემოზღუდული ყოფილა ქვაღორღის 1,20 სმ სიმაღლის ზღუდარით. მას სამხრეთით ჰქონია კარი. აღმოსავლეთის მხარეზე, ღია ფარდულში სამი დიდი საწნახელი მდგარა, სადაც უჩავები ყრიდნენ ყურძენს და ჭეჭყავდნენ და წურავდნენ. ცენტრალურ ნაწილში, ცაცხვის ქვემოთ და ირგვლივ, 35 დიდრონი, 30-კოკიანი და საშუალო ზომის 15-10-კოკიანი ქვევრები იყო ჩაფლული. ასევე იყო მცირე ქვევრები – „**იახუტები**“, ერთი, ორი, სამი და ხუთი ჩაფის მოცულობით. მცირე ქვევრები „მცირე ოდუდია“ დღესასწაულების, საოჯახო სალოცავებისათვის იყო მიჩნეული, ხოლო უფრო დიდი – 10-20-30-კოკიანი ქვევრები უჩავების ძირის ხატის სასოფლო სალოცავი იყო. მას ადრე გაზაფხულზე, აპრილის მეორე კვირას, კვირა დღეს ხსნიდნენ. ყველა უჩავა თავს იყრიდა საძმო სალოცავებზე და იმ დღეს აქ იმართებოდა საძმო-სარიტუალო სუფრა და ისმებოდა ეს ღვინო. დასავლეთ მხარეს იყო ფარდული, ორფრთიანი სახურავით, სადაც წვიმიან ამინდში ეწყობოდა საძმო სუფრა. ეს საინტერესო ნანგრევი დღესაც უჩავების მხრიდან დიდ პატივშია. უხუცესი უჩავები დღემდე ადიან იქ და იხდიან საძმო ძირის ხატის – „ნერჩი პატენის“ ლოცვას. ახლა, მოხუცთა გარდაცვალების გამო, 1950 წლიდან ასეთი ლოცვა შეწყვეტილია. უჩავებში დღესაცაა შემორჩენილი სიმღერა-სალოცავი – „უჩიფიში ოხვამური“.

**უჩეფიში ოხვამური**
ღორონთი, სი გამიხარი
ჩქიმი თური, ჩქიმი დინო,
ათე მარანიში ალმარინგ
უჩას გგმორძგვი, ღორონთ, ირო!
გილეცუნი გუმორძგვილო,
გურეფშა დო კუნთხხვამილო,
ღორონთ, სი ქაპატილი,
მუთუნ უღუდა უნაწილო!
უჩაში ჯინჯიში ოხვამური,
ამდღარი დღა ხვამირი,
სქუაშქუას, მორთელიშ მორთელს
უხვამუდას მენწყეირო.
იმედი მიღუდან, ეფშა ვორდათ
სიკეთეთ და მარდით ირო!
ღორონთ ხვამილი, ღორონთ ხვამილი,
სი ქომინჭეთ ჩხორია ირო!

მთქმელი ა. უჩავა

ჩაიწერა გ. ელიავამ ინჩხურში, 1964 წლის 25 ივნისს.

ტაბულა 27. უჩავების საძმო მარანი



ტაბულა 28. ყავლაშვილების საძმო მარანი (ჭიათურა, ჭალისუბანი)

ჩვენ მთელი დასავლეთი საქართველო შემოვიარეთ ადეკვატური ფორმების დასაძებნად და ვიპოვეთ ჭიათურაში, ზოდში, ჭალისუბანში ყავლაშვილების საძმო მარანი. ისიც თითქმის ამ პრინციპზეა აგებული. (იხ. ტაბულა 29).



**ტაბულა 29. შარვაძეების მარანი (ქორეთი, საჩხერე)**

მარანი დღემდე სრულადაა შემორჩენილი და ყავლაშვილები დღესაც აქ ასრულებენ თავიანთ თავსალოცავს.

ასეთივე ერთეული დავადასტურეთ საჩხერის რაიონში, სოფ. ქორეთში – შარვაძეების მარანი. ცხრა ოჯახის ცალკ-ცალკე მარანი დღესაც მოქმედებს. ცენტრში სარიტუალო მოედანია. დამოწმებული მასალები დასავლეთ საქართველოდან ადასტურებს აზრს, რომ ასეთი ერთეულები წარსულიდან მომდინარეობს დღემდე და დღესაც ტრადიციიდან არც კი ამორიცხული, ერთგვარ ცოცხალ მოწმეს მაინც წარმოადგენს. ჩვენ ამ ორი მოწმის დამოწმება მისანიშნად მიგვაჩნია, მთელი დასავლეთ საქართველოს ყოფის ერთიანი მახასიათებლის დასტურად მიგვაჩნია, და ამიტომ დავამოწმეთ კიდეც.

## სხვა ყოფითი ერთეულები, ლექსიკური მოწმეები

### კვირის დღეები (მარუა-კვირა)

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა ქართული წარმართული შვიდდღიური სისტემა. მათ შორის ყველაზე არქაული – მეგრული წარმართული შვიდდღიური სისტემა. იგი სვანურ და ზანურ შვიდდღიურ სისტემასთან ერთად, ძალიან საინტერესო და თავდაპირველ სისტემას წარმოადგენს. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის კვლევით, სისტემა იწყებოდა კვირით, ანუ „ბჟაშ დღით“ – მზის დღით და სრულდებოდა მეშვიდე ღვთაების დღით, რომელსაც საბატონი ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ შეენაცვლა ადგილობრივ, ნამდვილ სახელწოდებას და საბატონად იწოდა, ებრაული შაბათის გავლენით. ჩვენ 1970 წლიდან ვსწავლობთ ამ მასალას. ბატონმა ივანემ აღნიშნა, რომ ერთი ღვთაება დაკარგულია, მისი სახელწოდება შეცვლილია, მომავალ ძიებას შეუძლია მისი აღმოჩენა და ამით შვიდდღიური სისტემის გაერთიანებაო. ამან წაგვაძალა, გვეძებნა და მართლაც, საკმაოდ ხანგრძლივი ძიების შემდეგ, მივაკვლიეთ კიდეც ამ ღვთაებას და ამ დღის თავდაპირველ სახელწოდებას, რაც დღესაც აქა-იქ მოხუცებში ხმარებაში არის შემორჩენილი. ამდენად, გამთლიანდა სისტემა და სრული სახით წარმოსდგა. ჩვენ ვაჩვენეთ ეს სისტემაც და მისი სქემატური სურათიც. ამის შესახებ არაერთხელ ვუამბეთ კიდეც მასობრივ პუბლიკაციებში მკითხველებს და ჩვენ მას არ გავიმეორებთ.




**ტაბულა 30. კვირის დღეები – მარუა (ერთი კვირა)**

## ჰორიზონტის მხარეები – ბორჯიში ღურე

ჩვენ აქვე, რადგან ყოფისათვის ძლიერ დამახასიათებელია, ლექსიკური მოწმეებიც ჩავრთეთ. ჰორიზონტის მხარეები მეგრელს მინიშნული ჰქონდა მზის ტრიალის ან დღის, დროის ცვალებადობის მიხედვით. „ჩხანაში რსიოლს“ – მზის ტრიალს ეძახდა მას. ღამე – სერი იწყებოდა **ბჟაში დილულათი** – მზის ჩასვლით. მზის ჩასვლის მხარე **ბჟადალით** იყო მინიშნული; ჩრდილოეთი მხარე – მუდმივ ბნელი, საბნელო მხარეა. მას **ორუმეს, ორგმეს** – საჩრდილოს ეძახდნენ, ხოლო მზის ამოსავალ მხარეს **ბჟაიოლს** – აღმოსავლეთით, მზის ამოსავლით მიინიშნავდნენ. სერი უფრო ორუმესაკენ, საჩრდილოსაკენ იყო. **დღა** – დღე უფრო სამხრეთ ნაწილს ადგა. მას „**ობჟაეს**“ ეძახიან. ტაბულაზე ეს კარგადაა სქემატურად ჩვენ მიერ მითითებული. ალბათ, მათ შორის თანდათანობით მზის მონაცვლეობას თავისი სახელები ჰქონდა, მაგრამ იგი დღეს დაკარგულად ითვლება.




**ტაბულა 31. ჰორიზონტის მხარეები**

## დრო – ბორჯი; დღე და ღამე

ამ სქემაზე სქემატურად გვაქვს წარმოდგენილი დღისა და ღამის მონაცვლეობის თანდათანობითი პროცესი, მისი შესატყვისი ტერმინებით, იგი აქვე მიწერილი გვაქვს, დილიდან დაწყებული, გოთანამდე – გამთენიემდე. ამასთან, ჩვენ ამ ტაბულაზე საჭიროდ ჩავთვალეთ ჩვენება

დროის უფრო სრული მისანიშნებისა, ლექსიკური მოწმეებით: წარსული, აწმყო და მომავალი, **მითაჟამი** – წარსული, **ათეჟამი** – აწმყო და **დღამუში** – მომავალი, – ვარიანტებით. ვფიქრობ, ყოფის ეს ცოცხალი მოწმეები, რაც ასე თვალსაჩინოდაა შემორჩენილი ლექსიკაში, ინტერესს იწვევს ყოფითი სურათების აღსადგენად.

**ტაბულა 33. დრო-ბორჯი**

## თუთაში მორთა – მთვარის მოქცევა

ესეც ძალიან საინტერესო ყოფითი მახასიათებელია. მთვარის მოქცევის ყველა მომენტი დასახელებულია. იგი ჩვენ სქემატურად განვალაგეთ თანდართულ ტაბულაში. იგი იწყება **თუთა ახალით** და მიდის **დალურ თუთამდე** – დალეულ მთვარემდე. სქემას აკლია ჯვეშ თუთასა და **თუთა მართუს** შორის, ასევე **ახალ თუთასა** და მის მოქცევამდე არსებული მოწმეების სახელები, რაც ლექსიკურ ფონდს დღემდე ცოცხალი არ შემორჩა, მაგრამ ის, რაც დღემდე შემორჩა ხალხის მეხსიერებას, უდავოდ, საინტერესო ჩანს; ამად ჩავრთეთ ამ ალბომში. მთვარის მოქცევა იმითაცაა საინტერესო, რომ გლეხი ამ მოქცევას ყოველთვის უკავშირებს ძალიან საინტერესო მისანიშნს. მაგ., ახალ მთვარეზე არ ჭრიან ხეს – იგი გაჭიანდებაო, არ წურავენ ღვინოს – იგი წახდებაო; არ უცვლიან ბავშვს ტანსაცმელს – ავ თვალს მიიკრავსო; არ იწყებენ მიწის დამუშავებას – ნაყოფს არ მოგვცემსო და ა. შ. ბევრი აქედან მცდარია, მაგრამ ბევრი მართლდება კიდეც. მაგ., ხე – ახალ მთვარეზე მოჭრილი,

ადვილად ჭიანდება და ფუჭდება. ღვინოც ძმარდება, ბრუნდება, ფერს იცვლის. ძველი მთვარე ყოველმხრივ სასიკეთოდ მიაჩნიათ. მომქცევი მთვარე და დალეული მთვარე შეიძლება გამოყენებული იქნას სასარგებლო საქმიანობისათვის, ხოლო ახალი თუთიდან მართუმამდე პერიოდი ცუდადაა მონიშნული. ესეც ძალიან საინტერესო მოწმედ ჩანს ხალხურ ყოფით ტრადიციებში. ხშირად იგი ცრუ რწმენად არ ჩანს. დაკვირვებული გლეხის თვალმა შენიშნა ბუნების ცვლილებები და ამ ცვლილებებს დროც მოუძებნა, ისე, როგორც ხალხური მედიცინის საყოველთაო მიღწევა არაა უნიადაგო და უსარგებლო.




**ტაბულა 34. მთვარის მოქცევა (თუთაში მორთა)**

## კოსმონიმები

რადგან ყოფით მახასიათებლებს წარმოვადგენთ, ერთ-ერთ საინტერესო მოწმედ კოსმონიმები ჩავთვალეთ. ხალხს ყოველი ციური სხეული მინიშნებული აქვს თავინთი სახელებით: ცა, ვარსკვლავი, მზე, სხივები, მთვარე, გამთენი ვარსკვლავი, მწყემსის ვარსკვლავი, კუთხის ვარსკვლავი, კრებული ვარსკვლავი. ყველა ამათ თავისი ადგილი აქვს ცაზე მიკუთვნებული. ამასთან მითითებულია მათი გამოჩენის დროც.

ასევე, ყველაზე გავრცელებულ და სახელდებულ ღრუბლებსაც მივინიშნავთ (მუნაფეფი): **გოჩას, პალიასტომის, ენგურთავის, მინგარიეს ღრუბლები**. ყველა ამ ღრუბელს თავისი ავი და დადებითი მოვლენები

ახლავს თან. ქარებიც თავისი სახელებითაა დასახელებეული და ხალხს მათთვისაც დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი მოვლენები მიუნიშნია. მაგ., **მასკური** მსუბუქია; იგი მთიდან ქრის საღამო ჟამს, გრილი და საამოა. ზამთარში შედარებით თბილია, ზაფხულში – გრილი. იგი ვაზის მოსავლიანობას ზრდის. **ზღვაურიც** შედარებით ნაკლებად ავია. მაგრამ, ქარ-ბორია საშინელი ქარიშხალია. ამიტომაა ყველაფერს ავს ყოფაში **ქარბორიას** ეტყვიან. დოჭყუას ღორონთქ, ქარბორიას მიდუღალუდას (დაწყევლოს ღმერთმა, ქარბორიას წაუღია); ვათქუა თენა, ქარბორიას, სქუა! (არ თქვა ეს, ქარბორიას, შვილო). ქარბორია ყველა ავის სინინომია, მაგრამ ამასთან ეს ავი ქარი ყოველ უბედურებას და ავს წმენდს თვითონ. ამიტომ მისი ეშინია კიდეც მეგრელ კაცს. თანაც იმედი აქვს, ქარბორია წალეკავს ყოველ ავს, ბოლოს მოუღებს მას. „ქარბორიას, ქარბორიას“ საერთო სალოცავადაა ყოველი ავის მიმართ.




**ტაბულა 35. კოსმონიმები**

## სოციალური და ეთნიკური მოწმეები

თვითმმართველობა სახალხო ხელისუფლებაა. მას პირველყოფილი თანასწორობის დროს ჩაეყარა საფუძველი. შემდეგ კლასობრივმა წყობამ აკრძალა ბარში, მთაში კი დიდხანს შემორჩა გადმონაშთის, ყოფითი ფორმის სახით. თუმცა მთავარიც იყო, პოლიტიკური ხელისუფლების მოხელეებიც ბატონობდა, მაგრამ მთის მოსახლეობის თვითმმართველობას მაინც ანგარიში ეწეოდა. თუმცა მიღებული არ იყო. მისი მსჯავრი სავალდებულოდ არ ითვლებოდა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის,

მაგრამ მის გვერდით ხალხის ნება-სურვილის გამოხატულებას წარმოადგენდა უდავოდ. ბარში კი იგი აკრძალულიც იყო. თუ სოციალური უკმაყოფილების დროს მიმართავდა და თავისას გაიტანდა, თორემ პოლიტიკურ ხელისუფლებას მისი იგნორირების და აკრძალვების ყოველგვარი საშუალება ჰქონდა გამოყენებული. მიუხედავად ასეთი მკაცრი იგნორირებისა, ხალხის თვითმმართველობა მტკიცედ არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ხელისუფლების დეფორმაციამ და მკაცრმა დიქტატორულმა რეჟიმმა მოშალა დემოკრატიზმი. ჩაქრა ხალხური სახელისუფლებო ტრადიციაც. თუმცა ერთხანს თვითმმართველობის ინსტიტუტი ხალხის მეხსიერებაში მტკიცედ არსებობდა და საჭიროების შემთხვევაში ისევ შეეძლო ფუნქციონირება. ეს სისტემა საოცრად დიფერინცირებული და ფუნქციონალური იყო. იყო საკანონმდებლო ორგანო, ხალხი ზარის დარისხვით, ან ოცეს – სათემო საყვირის მოწოდებაზე თავს იყრიდა სოფლის მოედანზე. ასეთ თავშეყრას **ჯარალუა** ან **კათუა** ერქვა. კათუა ირჩევდა მოწესეს, „**დუდკოს**“ – თავკაცს. თავკაცი კათუას უხსნიდა და ამცნობდა ხალხის საერთო სატკივარს, გასაჭირს თუ გასახარს. იწყებოდა მისი საერთო განხილვა. ყველაზე „**მენცარი**“, გამოცდილი, საკმაოდ ხანსრული, ცხოვრებანანახი და დაბრძენებული ხალხი მსჯელობდა საერთო გასაჭირზე. შემდეგ „**დუდკოჩი**“ აკეთებდა დასკვნას, აყალიბებდა საერთო სურვილის შესაბამისი გადაწყვეტილების ფორმულას, რასაც კათუა ან მიიღებდა საერთო მოწონებით, ან უარყოფდა. თუ უარყოფდა, მაშინ ისევ ხელახლა ყალიბდებოდა ახალი ფორმულა, ახალი რედაქცია გადაწყვეტილებისა. ახლა იგი განიხილებოდა სათანადო წესით. მიღებული გადაწვყეტილება საერთო-სათემო განაწესი იყო, რომელსაც თითოეული მონაწილე თავს ანაცვლებდა. იგი ვალდებული იყო, თავი გაეწირა მისი შესრულებისათვის. ამიტომ იყო, მისი შესრულებისათვის ბრძოლის მსხვერპლი ხშირად წმინდანადაც კი ითვლებოდა, დავითის და კონსტანტინეს მსგავსად. თაობიდან თაობას გადაეცემოდა მათი თავდადების ამბავი. მოღალატე ჩაქოლვით, ან ლაფის დასხმით ისჯებოდა. ყველაზე ბოროტს თემი ქოლავდა, ქვების გორას აყენებდა მის სხეულზე. ასეთ ადგილს „ნაქოლა“, „ქოლირი“, „ქოლობანი“ ჰქვია დღესაც, ტოპონიმის სახით. თუ იგი მსხვერპლს არ მოითხოვდა, თუ ლაჩრულად უკან დაიხევდა და საიდუმლოს ვერ გასცემდა, მაშინ ხალხი ცოცხლად მარხავდა დამნაშავეს, თავზე ლაფს დაასხამდა, შეურაცხყოფილს ამოთხრიდა და თემიდან მოჰკვეთდა. ასე ხდებოდა ეს სკურში – „**გითალთან**“, კურზუში – „**გოკირილთან**“, ბიაში – „**ბჟეთში**“ და ა. შ. ეს ტრადიცია იცავდა მიღებულ გადაწყვეტილებას, ნაკაზს ღალატისაგან. ერთგულებას ჩააგონებდა კათუას ყველა წევრს.




**ტაბულა 36. თვითმართველობის ხალხური ინსტიტუტი სამეგრელოში**

კათუას დღის წესრიგის მეორე საკითხი იყო – ვისთვის მიენდო ხალხს ნაკაზის შესრულება. თუ იგი ერთპიროვნულ ხელისუფლებას ითხოვდა (მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, თემის ღალატის დადგენა და სხვ.), მაშინ ირჩევდა „**დუდკოს**“ – თავკაცს, აღმასრულებელ პიროვნებას. თუ უფრო თავისუფალი და საჭირო საქმე იყო და ერთი პიროვნება ვერ შეძლებდა ნაკაზის შესრულებას, ირჩევდნენ „**სხუნუს**“ – ნარჩევს, საბჭოს. სხუნუ კი დუდკოს ირჩევდა თავისი შემადგენლობიდან. ეს იყო აღამსრულებელი სახელისუფლებო ორგანო. სხუნუში ყველას თავისი ფუნქცია ჰქონდა: „დუდკოჩიში“ – თავკაცის „ალმარინს“, გვერდში მდგომებს ეძახდნენ მათ. თითოეული ეს წევრი განაგებდა ხელისუფლების შესაბამის დარ-



ცხრილი 37. ჭის ბაბრიანქალღური ოჯახის, დიდი ოჯახის გამლის და ჭისთურის (გვარის) შექმნა

გობრივ უწყებას. იგი ძალიან პრიმიტიული, მაგრამ საკმაოდ ფუნქციონირებადი ერთეული იყო; „მახვამური“– მოწესე იყო, სარიტუალო წესის გამგე; „მენცარი“ – ბრძენკაცი, ადათ-წესის მრჩეველი იყო. მას „მენამუსესაც“ ეტყვიან. მენამუსე-მონამუსეა, ნამუსის შემნახველი, დამცველი; „**ოშიშდუდი**“ ასისთავია, შეიარაღებული რაზმის გამგე, ხოლო **მაჯინი** მზირია, მეთვალყურე, მზვერავი, შინაგან საქმეთა გამგებელი. ამრიგად, ეს ინსტიტუტი ხალხური ხელისუფლების საკმაოდ სრულყოფილი, დიფერენცირებული და ფუნქციონირებადი იყო. ვფიქრობ, ეს ტაბულაც ჩვენს ალბომში ხალხის წარსული ყოფის სრულყოფილად წარმოდგენისათვის მეტად საჭირო და აუცილებელია.

## სამეგრელოს მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის ისტორიული მოწმეები

1957 წლიდან ჩვენ ყურადღების ცენტრში გვაქვს მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის ისტორიის შესწავლა. ამ ტაბულაზე ჩვენ ვუამბობთ **ჭის თის**, პატრიარქალური, დიდი ოჯახის პატრონიმული გაშლის, **ჭის თურის**, გვარის შექმნის ისტორიას. ეს სქემატური სურათი შექმნილია ხალხის მეხსიერებაში მტკიცედ დაცული მოგონებების, გადმოცემების საფუძველზე და სამეგრელოში მოსახლე ტომების განვითარების მიმდინარეობის რეალური სურათის რესტავრაციის ცდას წარმოადგენს.

**ჭისთი** თავდაპირველი პატრიარქალური დიდი ოჯახი კურზუში, დიდ სერზე სახლობდა. აქ ჰქონდა ამ „თი“-ს, ამ დიდ ოჯახს თავისი კარ-მიდამო – „მახორობა“ და აქ ამზადებდა ჯერს ოჯახის წევრთა საერთო პურობისათვის, რასაც „**დიარა**“ უნდა რქმეოდა. მახორობას საერთო პურობაში ოჯახის მსხვილ ერთეულს, მელოგინეს თავისი წილი ჰქონდა. შემდეგ, პატრონიმიის პირველ ეტაპზე, I პატრონიმიით პირველ მელოგინეთა ცალკეულ თი-ებად გამოიყო და ცალკე ოჯახად დასახლდა. პატერის სახლი, ეპონიმი თურის ფამილიად დაიდო. ახლა ეს დასახლება **ეჭიეა**, სადაც ჭის თური ან ჭიაია ცხოვრობს. შემდგე ჭიაიას თური უფრო გამრავლდა, უფრო მრავალფეროვანი გახდა; ახლა, მეორე პატრონიმიით გაიყო ეს ერთიანი გვარი, ერთიანი თური. მათთან ახალი თურები, გვარები წარმოიქმნა, ასე მოხდა მესამე და ასე შემდეგ პატრონიმიით. წარმოიქმნა ახალი თურები – ჭითანა, ჭიოკა, ჭოიკა, ჭიაია, ჭოჭუა და სხვ. შეიქმნა უფრო ვრცელი სატომო საცხოვრისი – საჭილაიო. აქაც კიდევ ახალი გვარები წარმოიქმნა, ხოლოდ გვიან, იქნებ გვიან შუა საუკუნეებში, გვარების ახალ გვარებად გამოყოფა შეწყდა. ახლა გვარების შიგნით

პაპის, დიდპაპის მემკვიდრეებმა ახალი ტოტი „გგმნარყი“, „საჯიმალო“, დინო შექმნეს, ხოლო პაპის გვარი გვარად წაიღეს. ეს საინტერესო სოციალურ-ეთნიკური ისტორიის სურათი წარმოდგენილი გვაქვს ამ ტაბულაზე, სქემის სახით. რადგან იგი ძალიან სქემატურია, ბევრია მასში შემცირებული, ბევრია მიზნობრივი გადასვლა, გადახრაც, გამოტოვებაც, ალბათ მკითხველი სქემის სქემატური, თანაც მოცულობითი სიმცირის გამო, გაგვიგებს ამ გადასვლებს და არ ჩაგვითვლის ნაკლად ამ სქემას. მეტად სრულყოფილი ისტორია ჩვენ ცალკე, უფრო დიდ შრომაში გვაქვს მოთხრობილი. იქ სქემაც უფრო მრავალფეროვანია და დეტალური.

იმედი გვრჩება, რომ მკითხველი, ამ ალბომით მოსარგებლე მკითხველი, გაგვიგებს ჩვენს ამ მცირე სქემატურ თხრობას, სათანადოდ აღიქვამს ჩვენ სურვილსაც და ნაბიჯებსაც, რისთვისაც უაღრესად მადლობელი დავრჩებით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1935.
2. გიულდენშტედტი, მოგზაურობა სამეგრელოში, ტ. 1, 1962.
3. ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935.
4. ქ. კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977.
5. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბ., 1956.
6. თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950.
7. Народы Кавказа, том. II, М., 1962.
8. Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, том. I-II, Тб., 1949-1950.
9. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
10. ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939.
11. დ. მშვენიერიძე, Строительное дело в древней Грузии, Тб., 1952.
12. Кипшидзе И., Грамматика Мингрельского (Иверского) языка, С.-П., 1914.
13. კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, 1, თბ., 1964.
14. კ. კახიანი, გლეხის კარ-მიდამო იმერეთში, თბ., 1964.
15. მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, თბ., 1957.
16. გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962.
17. ნ. თოფურია, მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1963.
18. ჯ. რუხაძე, ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960.
19. თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1960.
20. გ. ჩიტაია დასახლების ტიპი მთიულეთში (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI), თბ., 1960.
21. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 1, თბ., 1935.
22. ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.
23. გ. ელიავა, საკანდიდატო დისერტაცია, „აღმოსავლეთ სამეგრელოს მოსახლეობის ოქტომბრის რევოლუციამდელი სამეურნეო ყოფა“, თბ., 1968 წ.
24. გ. ელიავა, მხარეთმცოდნის თვალით, თბ., 1978.
25. გ. ელიავა, Хозяйственный бит населения Вост. Мегрелии, თსუ-ს გამოცემა, 1970.
26. გ. ელიავა, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (მეგზური), თბ., 1968.

27. გ. ელიავა, სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობის ისტორიულ-ეთნიკური წარმომავლობა და შედგენილობა ტოპონიმიკური მასალების შუქზე, გმმ V სამეცნიერო სესიის მასალები, 1965.
28. გ. ელიავა, ხაჩქუასა“ და „ოგაფას“ საკითხისათვის, გმმ XII სამეცნიერო სესიის მასალები, 1968.
29. გ. ელიავა, ქართას (აგარას) შედგენილობის საკითხისათვის, გმმ XVII სამეცნიერო სესიის მასალები, 1972.
30. გ. ელიავა, დინო, ნათესავი, სამოხიო სამეგრელოს წარსულის სოციალურ-ისტორიულ ყოფაში, ჩხოროწყუს მუზეუმის II სამეცნიერო სესიის მასალები, 1979.
31. გ. ელიავა, აღზრდის ხალხური ტრადიცია ძველ საქართველოში (ადგილობრივი მასალების შუქზე), გმმ XXV სამეცნიერო სესიის მასალები, 1979.
32. გ. ელიავა, თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სამეგრელოში, გმმ XXVI სამეცნიერო სესიის მასალები, 1980.
33. გ. ელიავა, ხალხური ზეპისიტყვიერი მასალები თის, თურისა და დინოს შესახებ, გმმ XXVII სამეცნიერო სესიის მასალები, 1981.
34. გ. ელიავა, ქართული წარმართული შვიდდღიური სისტემის ერთი წევრის შესახებ (საბატონი), გმმ XXIV სამეცნიერო სესიის მასალები, 1983.
35. გ. ელიავა, მეგრული შვიდდღიური სისტემის ერთი წევრის შესახებ (საბატონი), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექციის IX სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 1987.
36. გ. ელიავა, ქართული წარმართული შვიდდღიურის შესახებ, ალმანახი „რიწა“, 1984.
37. გმმ ფოლკლორულ მასალათა კრებული, 1964, 3-4.
38. გმმ ხელნაწერ მასალათა ფონდი ა, ჯგ., 115.
39. გმმ ხელნაწერ მასალათა ფონდი ა, ჯგ., 546.
40. გმმ სამეცნიერო ექსპედიციის ჩანაწერები, ხმფ. ვ ჯგ. 16.

## განმარტებები ანბანის მიხედვით

**ა**

**აბანო** – ადგილი. აქ ოდესღაც აბანო იყო მოწყობილი.

**აბნუალა** – აბნევა, არევა, შერევა. „საზოგადო აბნუალა ქგდგჭყგ“ – საზოგადო აბნევა დაიწყო.

**ათაბოგი** – ოთხ სვეტზე მდგარი მაღალი საცხოვრებელი, კოღოებიან ჭაობიან ადგილებში.

**აკოკინა** – შევიწროება. „ნათესემქ დუდს აკუკინეს“ – ნათესავებმა თავი მისწიეს, ერთმანეთს მიუახლოვეს.

**აკოკირუა** – შეკვრა. „ჯიმალეფი, აკივკირათ ართი ოხვამურით“ – ძმებო, შევიკრათ ერთი სალოცავით.

**აკორთალა** – წაქცევა. „ცუდექ დოცორდუ აკორთალა ქგდგჭყგ“ – სახლი დალპა და წაქცევა დაიწყო.

**ამხარა** – ახალდაქორწინებულთა სახლი, პირველი დღიდან ერთი თვის და იქნებ უფრო ხანგრძლივ პერიოდში. ფაცხა ან ჯარგვალა, მრგვალი, კუნჭულა.

**ამაზონკა** – ცხენზე მჯდარი ქალის მუხლისთავებზე საფენი, მოქარგული, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი.

**არაბა** – უღელში შებმული ხარი. „მა დო ჩქიმი არაბა“ – მე და ჩემი ხარი.

**არება** – არევა. „თურქ არება ქგდჭყგ“ – გვარმა არევა დაიწყო“.

**ასალი** – ქალის უნაგირის ქვემოთ ზურგზე დასაფენი. საკმაოდ გრძელი, ფოჩებიანი, მოხატული.

**აწოხუნაფა** – წაგდება. „თე ბაღანა აწოხუნაფილიე“ – ეს ბავშვი მიგდებულია. იმას მიუსვეს, მიუგდეს.

**ბ**

**ბაბა** – მამა. „ჩქიმ ბაბა მომიღანს“ – მამაჩემი მომიტანს.

**ბაბაჩაფილი** – „თე კოჩი ჩქიმი ბაბაჩაფილიე“ – ეს კაცი მამად მოგებულია, მამად ნაფიცია.

**ბაბათი** – ბაბას სახლი, მამის ოჯახი. არის გადმოცემა, რომ ბაბა დიდი ოჯახის მამა ყოფილა. ბაბათი – ბაბას ოჯახი.

**ბაბუ** – ბაბუა. „მა ჯგირი დო ჯანმრთელი ბაბუ პუნც“ – მე კარგი და ჯანმრთელი ბაბუა მყავს.

**ბაკურათი** – ადგილია. ბაკურას თი, ბაკურას სახლი, ოჯახი. ბაკურა დიდი კაცი იყო, მისი თი 18 მელოგინისგან შედგებოდა.

**ბარბალე** – უძველესი წარმართული ღვთაება ჩხოროწყუში, ლესიჭინეში. ეს იყო მეძევე, მეშვილე ღვთაება. „ბარბალობა დღას ბარბალეში ოხვამუშა მოცუნდეს ძღაბი, სქუა ქემეჩუკონი“ – ბარბალობა დღეს ბარბალეს სალოცავზე მოჰყავდათ გოგო, რომ შვილი მიეცა.

**ბარბალობა** – ნაყოფიერების მომცემი ღვთაების დღესასწაული.

**ბები** – ბებია. „ბები ჯანჯუხას მიკეთენს“ – ბებია ჩურჩხელას მიკეთებს.

**ბიცო** – ბიცოლა, ბიძის ცოლი. „ბიცოს მურც ვახუტოლუქგ გურც“ – ბიცოლა მოდის, ჩავეხუტები გულში.

**ბობოთი** – ბობოს თი, ბობოს ოჯახი, სადაც 16 მელოგინე იყო.

**ბოხვარი // ბოხვათი** – ბოხვას ოჯახი. ადგილია. ბოხვა სახლებულა, დიდი ოჯახის პატრონი. ბოხვეთი, შემდეგ – ბოხვები და ბოხუები.

**ბუნტი** (რუს.) – აჯანყება, ამბოხება.

**ბუნტალა** (რუს.) – ამბოხება, აჯანყება.

**ბჟაშხა ჟაშხა** – მზის დღე. კვირა. კვირას, მზის დღეს, მზე ღვთაებაზე, მზე-დედაზე ლოცულობდნენ. მეგრულ წარმართულ შვიდდღიურ სისტემაში, რომელიც დღეებით ფუნქციონირებს, პირველი დღეა ბჟაშდღა – მზის დღე.

## გ

**გაბითი** – ადგ. გაბის სერი, სადაც გაბის თი ესახლა. დიდი ოჯახი, რომელსაც დიდი მამა – გაბი ედგა სათავეში. ამ თიში, ოჯახში 24 მელოგინე ყოფილა. „თე თის 24 მელოგინე ცოფერე“ – ამ სახლში 24 მელოგინე ყოფილა.

**გათხუალა** – გათხოვება. „თე ძღაბის გათხუალაშ დრო ქოდორინუ“ – ამ გოგოს გათხოვების დრო დადგომია.

**გიმორთუალა** – გამოყოფა, ოჯახიდან გასვლა თავისი წილით. „თე ბოშის ბაბაშ თიშე გგმორთუალა ოკო“ – ამ ბიჭს მამის სახლიდან გამოყოფა უნდა.

**გიწოლალუა** – გამოტყუება. „თის ფარაში გიწოლალუა ოკო“ – იმას ფულის გამოტყუება უნდა.

**გგმნართი** – გამონაყოფი. „თენა თიში თიშე გგმნართიე“ – ეს იმისი ოჯახიდან არის გამონაყოფი.

**გორთუალა** – გაყოფა. „ჯიმალემქ გორთუალა ქგდიჭყეს“ – ძმებმა გაყოფა დაიწყეს.

**გეშხომაფა** – დაბადება, დაფეხურება, დაცდა. „ათეს გეშხომაფა ოკო“ – ამას დაცდა უნდა“; „კალანდას ხვამა გეუშხუმინუეოკო“ – კალანდას ლოცვა უნდა დაუფეხურო.

**გეშხომაფილი** – დაფეხურებული, დაცდილი.

**გოკირილი** – შეკრული, გაკრული, გამაგრებული ადგილი, სადაც ქვითკირითაა ხეობა გადახერგილი, მტრისაგან თავდასაცავად.

**გოშქანი** – ადგილი. თავშესაყარი, საჯარო შესაკრები. უტუ თოდუას სხუნუს საბჭოს შესაკრები.

**გოცუნა** – გაყოლა, ირგვლივ შემოვლა. „თინა თის გოცუნს“ – თინა სახლს გარს უვლის.

**გოცონაფა** – გატანა. „ჯიმას ჯიმაწკუმა მუშიში გოცონაფა ოკო“ – ძმას უნდა, ძმასთან თავისი გაიტანოს.

**დ**

**და** – და. „ჩქიმ დარე“ – ჩემი დაა.

**დადა** – დადაია, დაიკო.

**დაცონილი** – გერი და, დაცონირი. „თენა ჩქიმი დაცონირირე“ – ეს ჩემი გერი დაა.

**დადია** – დადიანი. სათავადო, სახელისუფლო წოდება, დადიდან წამოსული. ეტყობა, დადი ერისკაცს, მეთაურს, კუთხის მეთაურს ერქვა (ხალხური).

**დადე** – პატარძლის გამყოლი, მისი ხელისმომკიდე.

**დალუა** – დალევა, დასრულება. „დალუა ვათქუა“ – დასრულება არ თქვა.

**დალირი** (დაირი) – დალეული. „თე ძღაბი გვალო დალიერე“ – ეს გოგო სულ დალეულია.

**დადოჯიმა** – და-ძმა. „დადოჯიმაში უჯგუში მუ რე“ – და-ძმაზე უკეთესი რა არის.

**დადოჯიმალობა** – დაძმობა.

**დაჯიმალება** – დაძმობილება.

**დედოფალი** – დედოფალი. „დედოფალიცალი რე ათე უხანო“ – დედოფალივითაა ეს უხანო.

**დიარა** – საერთო პურობა, ახლა საქორწინო სუფრა. „გაბიში თი ართო იდიარდუ, ართო უღუდუ დიარა“ – გაბის თი ერთად პურობდა, ერთად ჰქონდა საერთო პურობა. დიარა საქონლის ძოვაა. დია – ბალახის სახელი ყოფილა. დიარა, საერთო პურობა, საქონლის დიარას მსგავსად, ადამიანთა მახასიათებლად ითვლებოდა უძველეს დროში. მთქმელები: პროფ. ს. დანელია, პედაგოგი ი. ბერულავა, მწყემსი დ. ნაჭყებია და სხვ. პედაგოგი, 80 წლის ი. ბერულავა გვიამბობდა, რომ „დიარა ჭიითისა და გაბითის საერთო პურობას რქმევია. ისინი პურობაზე ერთად სხდებოდნენ და ყოველ მელოგინეს ამ დიარაში თავისი თია, ორთია – წილი ჰქონია“. „ართო იდიარდეს“ – ერთად პურობდნენ.

**დია** – დედა. მოფერებითი შეძახილი. „დია, სი ქჷგალე“ – დედა, შენ შემოგევლე.

**დიდა** – დედა. „დიდა მიცორს, ჩქიმი დიდა“ – დედა მიყვარს, ჩემი დედა; „დიდაქ ვადომიღურასინი“ – დედა არ მომიკვდეს“ (ფიცია).

**დიდაცონილი** – დედინაცვალი. „დიდაცონილი ცუნს ბაღანას“ – დედინაცვალი ჰყავს ბავშვს. დიდაცონერსაც იტყვიან.

**დიდასქუალობა** – დედაშვილობა.

**დიდაჩაფილი** (დიდაჩაფიი) – დედად მოგებული, დედის ნაცვლად, დედად დაფიცებული.

**დილულა** – ჩასვლა. „დილულა გინოჭყვიდუ“ – ჩასვლა გადაწყვიტა.

**დინორჩინელი** – ჩაბერებული. „თე ძღაბი დინორჩინელი რე“ – ეს გოგო ჩაბერებულია.

**დინოცუნა** – ჩაყოლა. „დიდა სქუას საფულეშა დინმოცუნს“ – დედა შვილს საფლავში ჩაყვება.

**დინოხოლენი** – შინაურები, ახლობლები. „ათე ხალხი დინოხოლენიე“ – ეს ხალხი შინაურია.

**დინო** – გვიან შეწყდა პატრონიმული თურის დაყოფის პროცესი.

ახლა თურიდან – გვარიდან წამოსული ნაცარი, ნაგრამი, ნამრავლი ისეთი მარტივი ერთეულებია, რომ მათი ახალი გაყოფა გვარებად არ ხდება. ახლა მოთა (შვილიშვილი) და მორთელი (მოქცეული, შვილთაშვილები) ერთი მეთაურის მემკვიდრენი არიან. ისინი ნოცონი, ნაცარნი ან ნაგრამნი, ნამრავლნი არიან, იმის მეთაურობით, ვინც გვარიდან გამოსულ ცალკე ტოტს ჩაუყარა საფუძველი. ამიტომ ამ ნოცოს ახლა ცალკე გვარად არ თვლიან, მეხუთე თაობამდე სისხლით ნათესაური ერთობა მტკიცეა და ქორწინება „ვაშინერს“ – არ შეიძლება. ეს ტოტი „თურის“ შიგნით „დინოა“, „საჯიმალოა“, „სამხუბია“ (სვ.). დინოს ახლა საერთო ჯინჯიში ხატი აქვს. მაგ., ადამიებს „ჭყონზუგაში“ აქვთ ჯინჯიში ხატი – თურის ხატი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დინოს საკუთარი ჯინჯიში ხატიც არ ჰქონდეს, მაგ., გეგიებს „დოხორეში“ აქვთ საერთო ძირის ხატი – თურიში ჯინჯიში ოხვამური (გვარის ძირის სალოცავი). ამასთან, კოჩიაშ თურის დინოს გეგიებს, კიკოსქუალეფიში დინოს გეგიებს და ა. შ., თავიანთ დინოში (დინოხოლენიში) საკუთარი დინოს ოხვამური აქვთ. გვხვდება ერთგვარი გაუბრალოება: დინოს ეძახიან ჩხოროწყუში, წალენჯიხაში და სხვაგან, თურს. მაგ., გეგიების ერთ დინოს კოჩიასქუალეფიში დინოს, კოჩიათურემს ეძახიან. მაგრამ ისინი ხომ გეგიები არიან, კოჩიათი თური – გვარი არ შეცვლილა. ეს პირობითი ტერმინია და ამ პირობითი ტერმინის გამო დინოს სხვა განმარტება რომ მიეცეს, არ შეიძლება. თვით სახელწოდება დინო შიდა სიახლოვეზე, შიდა ახლობლობაზე მიუთითებს, აღმატებულ ახლობლობაზე. ამ თურის შიგნით უფრო ახლო ნათესაობას, ახლობლობას – მახორობას, ჯინჯიში მეზობლობას, ფუძის მეზობლობას დინო ჰქვია, ოღონდ სისხლით ნათესაურ მეზობლობას.

**დოხორინი** – დასახლება. „ჩხაკაქ თაქ დოხორინი გგნუჭყვიდუ“ – ჩხაკას აქ დასახლება გადაუწყვეტია“. დოხორინი ხორუადანაა წარმომდგარი. ხორუა დასახლებაა, სახლობაა.

**დოხორე** – სასახლე. უჩა პატონსქუაშ დოხორე გედგგ თაქ“ – აქ უჩა ბატონიშვილის სასახლე დგას.

**დოცუნა** – დაყოლა. „თეში დოცუნაფა ადვილი რე“ – ამისი დაყოლიება ადვილია.

**დუდკოჩი** – თავკაცი. სოფლის საზოგადო კრების მიერ არჩეული. გგმოსხუნილი, გამორჩეული. თავკაცი მეთაურობს სოფლის, ხალხის, ყველა საჭირო საზოგადო საქმეს.

**დუდმანჯღვარი** – წინამძღოლი. სოფლის საზოგადო კრება ირჩევს წინამძღოლს. იგი ურდუმს (ჯარს) უდგას სათავეში. არჩეულ მოთათბირეთ, შემთანხმლებლებს უდგას სათავეში.

**დუდმახვენჯი** – თავში მჯდომი, თამადა, რომელიც უძღვება სუფრას, საერთო სათემო ყრილობას, საზოგადოში კათუას – საზოგადოე-

ბის თავშეყრას. იგივე დუდკოჩია, იქნებ დუდმანჯღვარიც.

**დუდერი** – ნათავები. „თენა დუ-დერო კეთებულიე“ – ეს თავიანი საქმეა“.

**დუდცუდე** – თავსახლი, მთავარი სახლი. ნაცართი-ნაცარის, განაყარის, გამოთხოვილის ძირი სახლი.

**დუდფანია** – მომშობიარებელი, ექიმბაში.

**დღამუში** – მისდღემში, მომავალში, მუმალბორჯი, მომავალი დრო.

**დღემუში** – მომავალში, იმ დროში.

**ე**

**ებნუალა** – აბნევა. „თე საქმე ებნეულიე“, „თე ძღაბი ებნეულიე“ – ეს საქმე აბნეულია, ეს გოგო აბნეულია.

**ეკინა** – აწევა. „ეკინა გიპირებუნო, სი კოჩი?“ – აწევა გადაწყვიტე, შე კაცო?

**ეკოკინელი** – შევიწროებული, თავდავიწროებული. „გვალო ეკოკინელი რე“ – სულ შევიწროებულია.

**ეკოკინა** – დავიწროება.

**ეკონია** – წარღვნა. „ეკონია ქუმორჭიშაფუდას“ – წარღვნა მოგსწრებოდეს.

**ეკოხუნა** – შემოჯდომა, თავშეკრება. „თე ჯიმალემც ეკუხუნუნა“ – ამ ძმებს თავი მოუყრიათ, (ერთად) შემომჯდარან.

**ეკოღალა** – აზიდვა, ატანა. „ეკოღალა ქგდგჭყეს“ – აზიდვა დაიწყეს.

**ეკოხონა** – აღმართი. „ეკოხონც ქადირთი“ – აღმართს შეუდექი.

**ერაცუა** – აყრა, აფერთხვა. „ნიკოს ქოთომეფიში ერაჯუა უპირებუ“ – ნიკოს ქათმების აყრა, აფერთხვა გადაუწყვეტია.

**ეფშა** – სავსე. „გური ჯარით ეფშა მაფუ, ეფშარე“ – გული ჯავრით მაქვს სავსე.

**ეშაფა** – ავსება, ამოვსება. „ეშაფა ქგდიჭყეს“ – ამოვსება დაიწყეს.

**ეჩ-ეჩო** – ოც-ოცად. სოფლის, სამოხიოს ოც-ოცად დაყოფა. გალში იციან საჭირისუფლო დაყოფა, მიტანა და სხვ. კვირაში ერთი დღე სამსახურისათვის ერთ ოცეულს აქვს მინდობილი.

**ეჩობა** – ოცობა. ოც-ოცად მომსახურება. „ეჩობა წესი რე“ – ოცობა წესია.

**ეჩაჲა** – ოცობა. ესეც იგივეა. „კოჩქ დოღურუ, ეჩაჲა ოკო დუაწესათუ,“ – კაცი მოკვდა, ოცობა უნდა დავაწესოთ. ასე იციან გალში, ოჩამჩირეში, ხობში.

**ვ**

**ვადინაფა** – არდაკარგვა.

**ვაკეთე** – ვაკეთო უნდა.

**ვარე** – არ არის. „თენა შურო ვარე ორაგადე“ – ეს სულ არაა სათქმელი.

**ვარი** – უარი. „ვარი უწუეს“ – უარი უთხრეს.

**ვარდიი** – გაუზრდელი. „ვარდიი რექ, სქუა“ – გაუზრდელი ხარ, შვილო.

**ვაშინერს** – არ შეიძლება, ტაბუ ადევს, აკრძალულია. ვაშინერის დარღვევა საშინელ გულისწყრომას

იმსახურებს ჩაქოლვამდე, ლაფის დასხმამდეც კი. ასეთი წესი იყო წინათ სამეგრელოში.

**ზ**

**ზადილი** – შეკმაზული. „ხარჩო ზადილი რე“, – ხარჩო შეკმაზულია.

**ზაკუა** – გათვალვა. „ენა ზაკუა რე ნანდული“ – ეს ნამდვილად გათვალვაა.

**ზანდი** – ჩირქი.

**ზანათი** – ადგილი. გადმოცემით, ეს ადგილი ზანების ნასახლარია. ზანები სახლებულან აქ. „ზანა დიდკოჩი ყოფე. თიში თი გენორვე თაქ, უკული თიში ნოყო – ზანეფი“ – ზანა დიდკაცი ყოფილა. მისი სახლი, ოჯახი მდგარა აქ, მერე მისი ნაყარი, მისი ნაგრამი – ზანები“.

**ზანა** – სოფელია. ზანების ნასახლარი.

**ზარი** – ზარი. ორეკეშსაც (დასარეკს) უწოდებენ.

**ზახალი** – მამამთილი, დედამთილი ორივე მხრივ. შემოსულის, მოყვანილის დედისა და მამისათვის.

**ზუგა** – მიწაზურგა, დიხაზურგა. ხელოვნური, მაღალი ბორცვი.

ზუგა ნოხორიი – მიწაზურგა ნასახლარი. „თე ზუგა ნოხორიი რე“ – ეს ზუგა ნასახლარია.

**თ**

**თახა** – ტაროსის ღვთაება, ტარხონი, ტარეში, თახა, ტახა.

**თახაშხა** – ტაროსის ღვთაების სარიტუალო დღე სამეგრელოში, სვანეთსა და ლაზეთში. სამშაბათი – თახაშდღა.

**თი** – სახლი. დიდი გვაროვნული ოჯახი, პატრიარქალური ოჯახი.

ჩვენ მელენტი მხეიძისაგან 1965 წელს კიწიაში ჩავიწერეთ ლექსი. „დემეთხილი, რთხულენქ:“

| | |
|---|---|
| | თარგმანი |
| მა მეურქ ჩქიმ თიშა, | მე მივდივარ ჩემს სახლში, |
| სი მუგოკო, მუს მაკენქ, | შენ რა გინდა, რას მაკავებ, |
| მუს გოფთხოზუქ, მუკილ-მუკილი, | რას დამსდევ ირგვლივ, |
| სი უხანო, ვაი სქან მინჯეს. | შე უხანო, ვაი შენს პატრონს. |
| ჩქიმ თის ბაბა მკითხენსგნი. | ჩემს სახლში რომ მამა მკითხავს, |
| ქუწულენქ თე ამბეს, | ვეტყვი ამ ამბავს, |
| სქანთიშა ვემგართასინი თეში | შენს სახლში რომ ვერ მიხვიდე, |
| გგნოგირთინუანქ საქმეს. | გაგიხდი ისე საქმეს. |
| ჩქიმ თურ ხალხის აკოვკათანქ, | ჩემს გვარ ხალხს თავს მოვუყრი, |
| გახარიაშ თურიშ კათას; | გახარიების გვარის ხალხს, |
| ჩქიმ დინოს იშო ქუდუძახუქ, | ჩვენს დინოს იქით დავუძახებ |

| | |
|---|---|
| ჩქიმ თურიშ ირ ნაფალას. | ჩვენი გვარის ყველა ნაყარს. |
| დემეთხილი, რთხულენქგნგ, | ჩამომეხსენ-მეთქი, გთხოვ, |
| ქგგამიგი, სი უხანო, | გამიგე ეს, შე უხანო, |
| სით წაურქ, მათ მებდინუქგ, | შენც წახდები, მეც დავიკარგები, |
| თე ცოდაც გურს ვაგუჩანქო. | ამ ცოდვას ვერ გაიგებ? |

არის სხვა ლექსიც:

| | |
|---|---|
| | თარგმანი |
| „ოჭკუმალი ინჯრათირე | საჭმელი ინჯრობითაა |
| დორთილი დო დონწყილირი, | დაყოფილი და დაწყობილი |
| თის მუდა მილარენი | სახლში რამდენიც დგას, |
| ორთიათირე დოინჯრილი“. | ორთიათია დაინჯრილი. |

არის სხვა ლექსიც, ქეთუ ახალაიასაგან ჩაწერილი:

| | |
|---|---|
| | თარგმანი |
| „ღორონც ათეს ვთხულენქ, ცირა, | ღმერთს ამას ვთხოვ, გოგოვ, |
| ჩქიმ თის მილეკვანწუდე, | ჩემს სახლში კოხტაობდე, |
| ბჟაშ ჩხორიას ჩქიმოთ ხვალე | მზის სხივებს ჩემთვის მარტო |
| ორძანდე დო თასუნდე. | ანათებდე და თესავდე, |
| ჩქიმ ჩქიჩქუემს დაბადენდე, | ჩემს ნორჩებს დაბადებდე, |
| თინემს მიკიფაფუდე, | იმათ უვლიდე, |
| ჩქიმ თურიში დო ჩქინ დინოში | ჩემი გვარის, ჩემი ტოტის |
| ხვიჩა პირს ფაჩუნდე. | ბრდღვიალა ყვავილს შლიდე. |

აქ **თი** ოჯახია, სახლია. პედაგოგმა ი. ბერულავამ 1958 წელს გვიამბო: „**ჭისთი**, **ჭიითი** დიდი ოჯახი ყოფილა, სადაც დიდი მამა – ჭი მდგარა ოჯახის სათავეში. ამ ოჯახში 16 მელოგინე ყოფილა“. ასევე გვიამბო გაბიას თიზე, სადაც 24 მელოგინე მდგარა და ა. შ.

თუმცა არა ასე პირდაპირ, მაგრამ მაინც მსგავს მნიშვნელობას მიუთითებს ლ. გვენეტაძე, წერილში: „ტოპონიმთა ოდენსუფიქსური წარმოება ოკრიბის ტოპონიმიის მიხედვით“. კრებული „ონომასტიკა“ 1. 1987 წლის, თბილისი, გვ. 53-54. „ზემოთ აღნიშნული სახელები ეწოდებოდა უდავოდ იმ ადგილებს, სადაც სოლომონის, გოგოლის, კაციას, ბეჟანას, გიოს, გოგუნას (გოგონას) შთამომავლები ცხოვრობდნენ“. ასევე განმარტავენ **თის** მნიშვნელობას გ. მამულია, პ. ცხადაია, ი. მაისურაძე და სხვანი.

ამრიგად, თი უძველესი წარმოშობის ლექსიკური ერთეულია. იგი არა მხოლოდ სუფიქსია, არამედ კომპოზიტის ერთი სრულუფლებიანი წევრია და უძველესი დროიდან ნიშნავდა ადამიანთა სისხლითნათესაური ერთობის ჯგუფს – დიდ, პატრიარქალურ ოჯახს, რომლის შემადგენლობა აღირიცხე-

ბოდა მელოგინეთა რიცხვის მიხედვით. შემდეგ, პირველი და შემდგომი პატრონიმიის დროს, თი დაიშალა ცალკე ოჯახებად, მელოგინეთა წყვილებად, მათ ნამრავლებად და ახალი გვარის – **თურის** შექმნას დაედო საფუძვლად.

**თური** გვარია, თავდაპირველად პატრონიმიის პირველ ეტაპზე – კლანი, გენი, შემდეგ სისხლითნათესაური ერთობის უფრო წვრილი ერთეულის სახელი, შემდგომი გვარის სახელწოდება, ე. ი. ფამილია ერთი სისხლნათესაური მსხვილი ერთეულისა – გვარისა. თური გვიანაც არ არის ნარევი. იგი არაა შერეული. აქ ერთი სისხლითნათესაური კავშირია, მტკიცე გენია, კლანია. ამას ნიშნავს, მაგრამ იგი არაა პირველყოფილი გენი, კლანი. შემდეგ, შუა საუკუნეებში, კაპიტალიზმის ეპოქამდე და უფრო ადრეც, გვარი ან თური მტკიცე სისხლითნათესაური ერთობაა. ჩასიძება და ცოლად მოყვანა იყო და იქნება, მაგრამ იგი თურის ერთობას არ არღვევს. ჩასიძებული მაინც სხვაა, სხვა თურის კაცია. იგი ვერ აქცევს თურს დარღვეულად. იგი თავისი თურული წარმოშობით გამოჰყოფს თავის ოჯახს – თის, მისი მოყვარე თურისაგან, ხოლო მოყვანილი ქალი იმ თურის ხდება. ქალი თავისი გვარისაგან გამოყოფილად ითვლება. დღესაც ადამიების თური მხოლოდ ერთ, სისხლით ნათესაური ადამიების გვარისკაცებს აერთიანებს. ჩასიძებული ჭაავა ჭას გვარს აგრძელებს და ახალ ტოტს ქმნის ჭას თურიში და არა ადამიების თურიში. თური დღესაც გენუსია, სისხლითნათესაური ერთობა, ოღონდ უფრო მრავალრიცხოვანი, შემდგარი წვრილი ერთეულებისაგან. ამიტომაა, რომ ამ თურის შიგნით ახალი ტოტები ახალ თურს არ ქმნიან. თუმცა გვარის, ფამილიის წევრებს შორის ქორწინება ისევ მტკიცედ ვაშინერს, ისევ არ შეიძლება. ჩვენ აქ ვრთავთ მთხრობელებისაგან მოთხრობილ გადმოცემებს, თქმებს, ხალხურ განმარტებებს.

**1. ნადარეიშვილი ბურდღუ ბესარიონის ძე**,ონტოფო, 89 წლის: „ნადარეიშვილები ერთი თური ვართ, ერთი გვარისანი ვართ, თური კათა ვორეთ (გვარი ხალხი ვართ), რომლის შიგნით ვიყოფით დინოებად – „ვირთუუთ დინოეფო“, ვიყოფით ნაყარად, ტოტად. ჩემი დინო ხოსიკიაშვილების დინოა, გვარად ნადარეიშვილები, ნადარეიშვილის თური, ხოსიკიასქულეფიში დინო. ხოსიკია ჩვენი ნოცოს, ჩვენი დინოს წინაპარია, დიდპაპაა. აქედან წამოვიდა ჩვენი დინო. ნადარეიშვილები დინოდ ვიყოფით. ხშირად ხოსიკიასქუალეფიში თურს, ხოსიკიათურებსაც ვიტყვით, ისე დიდია ჩვენი დინო; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხოსიკიათურეფი ცალკე გვარი იყოს. იგი ნადარეიშვილების თურის ხოსიკიას ტოტია, დინოა“.

**2. თოფურია ჯონდო ისიდორეს ძე**, ონტოფო, 63 წლის: „თური მოგვარეა. თურის, მოგვარეს შიგნით არის განსხვავება. მას ჩვენ დიდპაპის სახელით აღვნიშნავთ და პეტრეია თურეფიში ან პეტრეიას შთამომავალთა ტოტს ვეძახით. იგი დინოა თურის შიგნით“.

**3. პერტენავა ლავრენტი ზოსიმეს ძე**, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, 70 წლის, ონტოფო: „პერტენავების გვარი, თური იყოფა სამ შტოდ (დინოდ), რომელსაც ჩვენში პირობითად თურსაც ეძახიან, ისე დიდი და მრავალრიცხოვანია ეს შტო. პერტენავების გვარი, თური იყოფა 3 დინოდ. ჩემი წინაპარი ხიტიეა. მის ტოტს, მის შთამომავალთ, მის დინოს პირობითად ხიტიეთურებს ვეძახით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ახალი თური იყოს. იგი დინოა. ჩვენ ხიტიეს მეხუთე და მეექვსე თაობა ვართ. მეექვსე თაობა 70 ოჯახს ითვლის. მე ჩვენი დინოს – ხიტიეთურების გენეალოგიური სქემა შევადგინე, რაც გადავეცი დასაცავად მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ხიტიეთურები გვარად პერტენავებია“.

**4. გოჩოლეიშვილი ტარასი ივანეს ძე**, ონტოფო, 72 წლის: „თური ჩემი გვარია – გოჩოლეიშვილების გვარი. ხოლო მას შიგნით ვიყოფით ჯიმაკოჩებად – საჯიმალოებად, საძმოებად. „ჩქიმი ჯიმაკათა ჩქინი დინორე, ჩქინი გგმნართიე თურიშე. „ჩემი ძმა ხალხი ჩვენი დინოა, ჩვენი გამონაყოფია თურიდან“. დინო – დინახალენი ჯიმაკათა, დინოიანი, ძაჲამი ხოჲბერი, ზისხირით ჯიმაკათა „დინო – შიგნითა ძმა ხალხი, შინაგანი, ძალიან ახლობელი, სისხლით ძმა ხალხი“.

**5. ლაბარტყავა აკაკი ლეონტის ძე,** 58 წლის, ონტოფო: „გვარი თურია. ლაბარტყავა ართი თურირე – ლაბარტყავები ერთი გვარია. ის იყოფა დინოებად, გამონაყოფად, საძმოდ. ნამუთინე დინო თეში შორირე, ნამდა, სამოხიოშა ვაუძახუთუ (ზოგიერთი დინო ისე შორია, რომ სამოხიოშიც ვერ ვეძახით). ხანდახან დინოს, თავისი მრავალრიცხოვნობის გამო თურსაც ვუწოდებთ, მაგრამ ცალკე გვარი არაა. იგი გვარად ლაბარტყავაა, ერთი თურის, გვარის ხალხი. ერთი გვარსახელის ხალხი“.

**6. სიჭინავა ეზიკო პეტრეს ძე,** 58 წლის, ლესიჭინე: „ბაბკოთი ბაბკოჩის გამონაყოფი და დასახლებული ადგილია. მისი თი, მისი ოჯახი სახლობდა აქ, დიდი ოჯახი“.

**7. ბერულავა იასონ სიკოს ძე**, 75 წლის, კურზუ: „ჭიითი – აქ ჭის, დიდკაცის ოჯახი – თი ყოფილა. ამ ოჯახში 16 მელოგინე და მათი ნამრავლი ნაცხოვრება. მეორე სუკზე გაბითია – გაბის დიდი ოჯახია. იქაც 24 მელოგინე ყოფილა, თავისი ნამრავლით. გაბის თიდან ქალიშვილს გამოუვლია ჭის თის ტერიტორიაზე. აქ ჭისთის ოჯახიდან ერთ-ერთს ეს ქალიშვილი გაუუპატიურებია, რის გამოც მომხდარა გვაროვნული ომი. ჭის ოჯახი დაუმარცხებიათ, გადაუწვავთ. ჭის შვილები და შვილიშვილები კიწიაში, ეჭიეში დასახლებულან ცალკე თიებად, ცალკე ოჯახებად. ესეც ძალიან შორეული დროის ამბავია. მარტო ეს ლეგენდა ახსოვს ხალხს და გაბითსა და ჭიითზე ბრინჯაოს იარაღებს, ძვლებს და ქოთნებს ვპოულობთ ხვნის დროს“.

**8. ხორავა ალექსანდრე ბაგრატის ძე**, 60 წლის, ლესიჭინე: „ხორავა ერთი თურია. იგი 7 დინოდ, 7 განაყოფად, 7 ტოტად იყოფა: **ოჯაკუთურეფი, ბაკიჩათურეფი, ბაბშელათურეფი, კოჩარდიათურეფი, გულუნთური, მორდელათურეფი, პაპათური**. ხორავას თურის ყოველი ოჯახი ერთ-ერთი ამ დინოში შედის. აქ პაპის, დინოს შემქმნელის სახელი და თურია შეერთებული. თური აქ პირობითია. წინათ დინოები ერთ უბანში, ერთ სოფელში ესახლნენ. შემდეგ გაიფანტნენ სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ დინოს ერთობა ამით არ მოშლილა. ჩვენ ახლაც ვამბობთ მასზე – ჩვენი დინოა, ჩვენი ჯიმაკათაა, და ვიწვევთ ჭირსა და ლხინში. სამოხიოში ისინი არ შედიან, სხვაგან სახლობენ, მაგრამ დინოს წევრები და ჩვენი მეჭირისუფლენი არიან. თქვენ მკითხავთ – მის ნასახლარს, მაგ., ოჯაკუთურემს, ამ ტოპონიმით მინიშნულ ადგილს ხომ არ ვეტყვით ჩვენს დინოს. ეს ოდესღაც ოჯაკუთურების სამოსახლო იყო. ახლა აქ ამ დინოს მხოლოდ რამდენიმე ოჯახი სახლობს. სხვა თურის სხვა დინოები ბევრია; ამიტომ ისტორიული მინიშვნით შეიძლება ვთქვათ, ახლა იგი დინოს ერთიანი სამოსახლო არაა“.

**9. გერსამია გუია**, ახუთი, 75 წლის: „ახუ ვიღაც ჯაიანების თურის დიდკაცი ყოფილა. ამ ტყის ცენტრში მოსულა, აქ ტყე გაუჩეხია და თავისი დიდი ოჯახი – თი, კარ-მიდამო შეუქმნია. ამიტომ ამ ადგილს ახუს-თი – ახუთი შერქმევია“.

**10. მიქავა ჯაგუ კალის ძე**, 86 წლის, ზემო ჭალადიდი: „ჩვენი თური მიქაიებია, მიქაში თური. იგი თავის შიგნით იყოფოდა რამდენიმე დინოდ. დინო თურიდან გგმნართი, გგმნარყიე. ჩვენ გურკოჩასქუალეფიშ დინოს ვეკუთვნოდით“.

**11. სალაყაია ამირან ალექსანდრეს ძე**, 75 წლის, მენჯი: „სალაყაია ერთი თურია, ერთი გვარია. მის შიგნით გგმნაართი, გგმნარყი, განაყოფი, ტოტი, დინოა. „ართი ბაბუში გგმნაჭყანქგ გგნირთგ ახალ ნოცოთ. ათენა რე დინო (ერთი ბაბუის შთამომავლობა გადაიქცა ახალ ტოტად, ახალ განაყოფად. ეს არის დინო). აქ მოთები და მორთეები – შვილიშვილები და შვილიშვილისშვილები შედიან“.

**12. გვასალია ბიჭუნა ევგენის ძე**, 50 წლის, ხორშის სას. საბჭო: „ხვიჩაია თურეფი ჯიქიების თურის ერთ-ერთი გგნაყარია, ერთ-ერთი დინოა. ხვიჩარია ჯიქია იყო. მისი მოდგმა, მისი ტოტი, მისი დინოა. ხვიჩარია თურეფი, ან ხვიჩარიასქუალეფიში დინოა, ჯიქიას თურისა“.

**13. ადამია დურუ დავითის ძე**, 92 წლის, ეკის სას. საბჭო: „ბოშიათურეფი. ამ ადგილზე ბოშია ადამიას მემკვიდრენი, ნოცო ესახლა. ბოშიათურების დინო იყო. ადამიები ერთი თურია. მას რამდენიმე ტოტი აქვს, რამდენიმე გგმნარყი, დინო. ერთი მათ შორის ბოშია თურებია. ბოშია ახალი თურის

მეთაური არაა. იგი ადამიების ერთი ტოტის მეთაურია. მისი დინო მრავალრიცხოვანია და პირობითად თურადაა მინიშნული“.

**14. ჩიქობავა მიხეილ უშანგის ძე**, 62 წლის, ძველი სენაკი: „ჩიქობა თურია, ერთი გვარია. იგი იყოფოდა შემდეგ დინოებად: ლევანიში თური, ხონკაში თური, ნიკოში თური, ჯოღორიაში თური, ლუკაიაში თური. ბატონი არნოლდ ჩიქობავა ხონკაშ თურს, ხონკას დინოს ეკუთვნოდა. ამ ტოტებს თური პირობითად ეწოდება. იგი ჩიქობავას გვარისაა, თურისაა“.

**15. ხუხუნი გედეონ ივანეს ძე**, 85 წლის, ლეძაძამე, კვაუთი: „კვაუ ყოფილა ვიღაც დიდკაცი. მას დიდი ოჯახი – თი ჰქონია. ამიტომ ადგილს კვაუთი შერქმევია“.

**16. პროფესორი სერგი დანელია**, 74 წლის, ს. ნაჯახაო: „ეს ეკლესია დანელიების იყო. აქ დანელიებს ეკლესიის შიგნით ვეებერთელა ქვევრი ჰქონდათ ჩამარხული, რომელსაც შონურით ავსებდნენ. აღდგომა დღეს მოხსნიდნენ მას. ჯერ „ოდუდიას“ საოხვამუროს ყველა წესს შეასრულებდნენ. შემდეგ აქვე, ეკლესიაში მიუსხდებოდნენ სუფრას. ამ რიტუალს ხელმძღვანელობდა გვარის თითო მხცოვანი წევრი მორიგეობით. დანელია ერთი დიდი თურია (გვარი), რომელიც რამდენიმე დინოდ (შტოდ) იყოფა. მაგ. ჯორიეშვილები დანელიები არიან, მაგრამ ჯორიეს შტოს ეკუთვნიან. ამიტომ **ჯორიესქუალეფიში დინო** შექმნეს. ასეა **კოჩობასქუალეფიში დინო, კიჭურიეფიში დინო, კაკუცასქულაეფიში დინო** და ა. შ. ასეთი შტოები ამ თურს 10-ზე მეტი ჰქონდა. ამ თურის (გვარის) ყველა დინოს – ტოტის წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა აუცილებლად ამ დღესასწაულს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა დინოს, თავისი დინოს სალოცავი ჰქონდა. ხოლო ნაჯახუს ოხვამური თურის ძირის სალოცავი იყო“, და ა. შ. ეს ნაწილია, მხოლოდ მცირე ნაწილი ჩვენს ხელთ არსებული სხვა, მსგავსი მასალებისა.

**თია**. ჯერის ნაწილია, ოჯახის წევრის ჯერში სამყოფი წილია. გადმოცემის თანახმად, ჭიითი იყო ერთი დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომელშიც 16 მელოგინე შედიოდა, თავისი ნამრავლით, ნოცოთი. თითოეულ ამ მელოგინეს თავისი კუთხე ჰქონდა საერთო საცხოვრისში – თგფგ, მისი თბილი ადგილი, მისთვის გამოყოფილი თია. მაშინ, რადგან დიდი სოციალური ერთეული იყო, თავისი მეურნეობა ჰქონდა, რასაც ხალხი მახორობას ეძახის – რობა მახურუ – ხევი, ხეობა, ამოუვსები ღრმული სახლობა. ამ მეურნეობრივ ერთეულში თითოეულ მელოგინეს თავისი წილი – თია ჰქონდა. იგი ამ თავის კუთვნილ წილს ამუშავებდა და ჭირნახულს სერთო ბეღელში – ბაღუში ყრიდა. ართი საზოგადო ბაღუს მგლმარღვანდგ „ერთ საერთო ბეღელში ყრიდა“. თის დიდი საერთო პურობა, სადილობა – „დიარა“ ჰქონდა. პატერის განკარგულებით იმ საერთო ბეღლიდან იღებდნენ ჯერის სამყოფ ორთიას, იმდენი რაოდენობით, რამდენი თიაც იყო წინასწარვე დადგენილი თის მელოგინეთა

შედგენილობის რიცხვის მიხედვით, და ამზადებდნენ ჯერს. როგორც ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიდან ირკვევა, თი-ს მეურნეობრივ და სასურსათო წინასწარ განზრახულობაში შრომაც და ჭამაც, ჯერის მზადებაც თიი-ობით ირიცხებოდა და ორგანიზდებოდა. ჩვენ საინტერესო ხალხური ლექსი გვაქვს ჩაწერილი ამაზე:

„ოჭკუმალი ინჯრათირე
დორთილი და დონწყილირი,
თის მუდა მილარენი,
ორთიათირე დოინჯრილი.
თია, ართი კოჩიშ ინჯრა
ორთიათ გუმორთილი,
ეთიშა აშაკოროცხილი,
ინჯრას ართი მეძინელი,
სტუმარიში მეტი თია,
ჩქიმი თი ირო ელგ
სტუმარიში მუშაძინას,
ათეში გურიშენი ირო ვორეთ
ხაზირელი თიში თიათ!“

თარგმანი

„საჭმელი ჯერობითაა
დაყოფილი და დაწყობილი,
ოჯახში რამდენი სულიცაა
ორთიათია დაჯერილი.
წილი, ერთი კაცის ინჯრა,
საინჯროში ჩაწყობილი,
და იმაში ამოთვლილი,
ჯერს ერთი მიმატებული,
სტუმარს ერთი მეტი წილი.
ჩემი ოჯახი ყოველთვის ელის
სტუმრის შემომატებას,
ამიტომ ყოველთვის ვართ,
მზადმყოფი მისი წილით!“

ეს ლექსი ჩაგვაწერინა ცნობილმა მთქმელმა დავით ჯანჯღავამ.

თია – იოსებ ყიფშიძესაც აქვს განმარტებული: თია **долия, часть, кусок** (Граматика..., стр. 244).

**თიშიანი** – მისიანი. „კიკო თიშიანი რე, ბესაშიანი რე“ – კიკო მისიანია, ბესოსიანია.

**თიშიანეფი** – მისიანები. ჩახუში ოჯახი თიშიანეფი რე „ჩახუს ოჯახის წევრები მისიანებია, თისიანებია“.

**თურკოჩობა** – გვარკაცობა. დანელია ერთი თურია. ბაკოსქუალეფი, კოჩობასქუალეფი და ყველა დინოს, ტოტის შვილები თურკაცებია. ხშირად შეცდომაა ამ მხრივ: ბეკოში თურებს ამბობენ, მაგრამ ისინი დანელიები არიან, ერთი თურისანი. აქ დანელიები ბეკოს ტოტისიანებია, ბეკოს დინოს წევრებია.

**თგფგ** – ადგილი, რითაც საქონლის სახეობის მიხედვით „აგვარაში“ სადგომებია გამოყოფილი. გადმოცემით, თი-ში ცალკე მელოგინეს თავისი სადგომი კუთხე, ადგილი ჰქონდა, მას თგფგ ერქვა.

**თუთა** – მთვარე. მთვარე ან თუთა დიდ ღვთაებად ითვლება. თუთაში დღა ორშაბათია – თუთაშხაა. ეს მთავარი სარიტუალო სალოცავი

დღეა. თუთა მამაკაცის სახით ჰყავთ წარმოდგენილი. „ბჟა დიდა ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი“ (მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი). ეს იმ დროიდან მომდინარე რწმენაა ალბათ, როცა დედა პირველი, თავპირველი წყარო იყო ადამიანის არსებობისა და არსობისა. ახალი მთვარის გამოჩენას ხალხი ლოცვით ხვდებოდა. „თუთა ახალი, სი გგმახარი (ახალო მთვარევ, შენ გამახარე) და ა. შ.

**თუთა ახალი** – ახალი მთვარე. იგი სიცოცხლის განახლების, სიხარულის და ბედნიერების სიმბოლო იყო „თუთა ახალი, სი გგმახარი“ – ამითაა განპირობებული.

**თუთაშხა//თუთაშ დღა** – მთვარის დღე. მეგრული წარმართული შვიდდღიურის მეორე დღე, დიდი დღე, დიდი გეკულა, ორშაბათი.

**თუთაშა დგნორინა** – თვეში ჩადგომა. ორსული ქალის თვეში ჩადგომა, ორსულობის დასასრული, მომშობიარების წინა პერიოდი. ამ დროს ქალი თავისუფლდება ყოველგვარი საოჯახო საქმისაგან. მამაკაცს ეკრძალება ქალთან ურთიერთობა: „ვაშინერს“ – ტაბუ ადევს.

**თოლიგე** – ცოლ-ქმრის მიმართვა ურთიერთისადმი. სიახლოვის, მოფერების, უაღრესად ახლო დგომის სიმბოლო.

**თხიირი** – 1. ნათხოვი. „თენა თიშე მაფუ თხიირი“ – ეს მისგან მაქვს ნათხოვი; 2. ნათხოვი, შერთული. „თე ძღაბი მა ვითხიი ასე“ – ეს გოგო მე ვითხოვე ახლა.

**თხუალა** – შერთვა. „თე ძღაბი ჩქიმ ბოშის აფუ ნათხუა. ჩქიმ ბოშის თეში თხუალა ოკო“ – ეს გოგო ჩემს ბიჭს ჰყავს ნათხოვი. ჩემს ბიჭს ამის შერთვა, თხოვა უნდა.

**ი**

**იაკინა//ილაკინა** – ჩაწევა. „ათაქ ჭიჭე ილაკინა ოკო“ – აქ ცოტა ჩაწევა უნდა.

**ილაცუნა** – გვერდში ადევნება, აყოლა.

**იანჯირაფა** – გვერდში ამოწოლა. „მა თეში ალანჯირაფა ვადმოკორდუ“ – მე ამის ამოწვენა არ დამაკლდება.

**ინჯრობა** – ინჯრობა; პურის ჭამა ერთ ჯერზე. ქივინჯრათ „ვიინჯროთ“.

**ინოხონი** – ჩაღმართი. „თე ადგილი ინოხონი რე“ – ეს ადგილი ჩაღმართია.

**იარინაფა** – გვერდში ამოდგომა, ამოყენება. „მა თე ბოშის ხასილაშა ქალევრინუანქგ“ – მე ამ ბიჭს გვერდში ამოვიყენებ.

**იარძამა** – ამონთება, გვერდით ცეცხლის ანთება. „ჩქიმ ხასილას დაჩხირიში ილარძამა ქგდიჭყეს“ – ჩემს გვერდით ცეცხლის დანთება დაიწყეს.

**იმპუ** – ცარიელზე დაგსვი. იმპუს ქგგოხუნე“ – ცარიელზე დაგსვი, უფრო მართებულია – ცერზე დაგსვი. როცა ამას ამბობენ, ცერ თითს აჩვენებენ, ამაზე დაგსვიო, ყველაფრისაგან გაგწმინდე, ცარიელი გაგიშვიო.

**კ**

**კათუა** – თავშეყრა. საერთო სამჭირნოს განსახილველი თავშეყრა. ოცეს ყვირილზე, საყვირის დაძახებაზე ან ზარების რეკვით იკრიბებოდა ხალხი „კათუაზე“.

**კართა** – კალთა. „კართე ხვამილი“ – კალთადალოცვილი. ხშირად უწესო ქალზე იტყვიან „კართე მარდიანი“ – კალთა დალოცვილიო, კალთა ყოველთვის ღია აქვსო. კართე ჰქვია მთის ფერდობს, გოლაში კართე, სუკიში კართე და ა. შ.

**კარი** – კარი, შესასვლელი და გამოსასვლელი, ბჭის კარი, სახლის კარი. ბჭის კარს ჭიშკარს ეძახიან, სახლის კარს – ცუდე კარს. ყველა საგნობრივი კარის სახელი. კარი არის დაწნული, ლარტყებით შეკრული, ჩუქურთმებით ამოქარგული. კარი იკეტება ურდუმით (ურდულით), ბურცხიში კილათი (ფოცხის გასაღებით) და ა. შ.

კარი დალოცვილია. იგი ეზოს მშვენებაცაა და სოციალური ერთეულიც. კარის შეღებისას და შესვლისას სტუმარი და მასპინძელი ილოცებოდა: „ღორონთ, ბედნიერი მიცილი ათე კარიში გონჯამა (კილუა)“ – ღმერთო, ბედნიერი მიქენი ამ კარის გაღება (დაკეტვა). „კარბედნიერი“ – იტყვის მეგრელი კაცი სიმბოლურად.

**კარე** – კარავი. წინათ საცხოვრებელი წნული ფაცხა, შემდეგ მესაქონლის სადგომი, მათი საერთო სახლიც. „კარექ დგგაჭუ“ – კარე დაგეწვა. „ჭყეშიში კარე თაქრე“ – მწყემსის კარავი აქაა. უძველეს დროში კარე საცხოვრებელი იყო. „კარე ვაგიღუნო? ათე ბედნიერ კოს ეფშა კარე უღუ“ – კარე არა გაქვს? ამ ბედნიერ კაცს სავსე კარავი აქვს“.

**კარნოხორიი** – ნასახლარი კარი. ადგილი, სადაც დიდი ნასახლარი, კარ-მიდამო იყო და კარი ჰქონდა. ხშირად „კარენოხორიისაც“ იტყვიან. ნაკარავი, ნასახლარი კარე, ან კარავი.

**კარ-კარო** – კარდაკარ სიარული. კარკარო მუს გილურქ „კარდაკარ რას დადიხარ“. ღატაკი, უქონებელი, საწყალი. ზოგს ჩვევად აქვს ქცეული კარდაკარ სიარული, მათხოვრობა.

**კერია** – კერია. „კერია შქირატილი“ – კერაჩამქრალი – წყევლაა. კერია – შუაცეცხლის ადგილი. ფაცხაში, ჯარგვალაში, პიტაფიცარა სახლში კერია ყოველთვის შუა ადგილასაა.

**კებური** ან **ყებური** – კერიას ფილაქანი. კერიაზე დაგებულია ქვიშაქვის, საკეცე ქვის ფენილი, საკმაოდ ფართო, სწორი. მასზე ნაცარი ყრია და ზედ ცეცხლი ანთია.

**კველა** – ჯირკო. ხის, ხელით დათლილი საჯდომი, ერთი კაცისთვის, ფეხებიანი. ფიცარზე ოთხ ან სამფეხჩაყრილი.

**კიწია** – სოფელია. მას განმარტავენ „კი სქილად“. კი სახელია, სქილი – შვილი, ანუ კის შვილი.

**კირილი** – 1. შეკრული. „თე ღობერი კირილიე“ – შეკრულია ეს

ღობე; 2. დახრუკული. „ჭკიდი კირილი რე“ – მჭადი დახრუკულია“.

**კოკათი** – ადგილი, სადაც კოკას ოჯახი მდგარა. კოკა დიდი კაცი ყოფილა. მის ოჯახში 18 მელოგინე მდგარა.

**კორინება** – სურვილი. „კორინება (ან კორინაფა) ვანოჩქვე“ – სურვილი არ სცოდნია.

**კორინი** – ნდომა. „კორინი შენორლებუე“ „ნდომა შეგძლებია“.

**კორინელი** – ნასურვები.

**კოჭობი** – ნავთის სანთებელა. მრგვალი, თავბოლო დახურული თუნუქის ერთეული, რომელსაც ზედა მხარეზე ამოხვრეტილი აქვს 1 სმ სიგანის ხვრელი და ზედ მაღალი ყელია თუნუქისა, ამოყვანილი. მასში ჩასმულია მოძრავი, ყელიანი თაჯი, ხვრელით. თაჯში ფითილია გაყრილი და ნავთით გაჟღენთილი ანთია.

**ლ**

**ლარი** – სწორი, სასწორებელი. „ლარიცალი რე ათე კვალი“ – ლარივით სწორია ეს ღარი, კვალი (მიწა, გზა) და ა. შ.

**ლარუა** – დასწორება. „დოლარი აკა“ – გაასწორე ერთი.

**ლარიი** – გასწორებული. ლარილიე ათე ფიცარი „გასწორებულია ეს ფიცარი“.

**ლარგეშქუმალირი** – ლარდარტყმული. სწორად დარტყმული, გასწორებული. „ლარგეშქუმალირიე ათე ადგილი“ – ლარდარტყმული, გასწორებულია ეს ადგილი.

**ლაფიშ გებუნა** – უძველესი წესია: ყველაზე ბოროტ დამნაშავეს ყელამდე მიწაში ჩაფლავდნენ და თავზე ლაფს ასხამდნენ. შემდეგ ამოთხრიდნენ და სოფლიდან აძევებდნენ.

**ლაღა** – პირსწორი. ლაღა გინოსუმალირი – ლაღაგადასობილი, პირგასწორებული, ლაღაგადასმული.

**ლაღაკონი** – ერთტარიანი სასწორი. სასწორის ტარს ცალ მხარეზე აქვს ქვის მრგვალი გირა, რომელშიც ჩასმულია ტარი. ტარზე შუა ადგილას მკედია შებმული. გირა ათი კვერცხის ტოლია და ტარზე ათი კვერცხის ტოლი ასაწონი ნივთი, მარცვალი თუ სხვა იდება და იწონება.

**ლამბი** – ძაფის ერთი შენაკერი. ლამბი ერთი ღერი ძაფია, რომელიც ერთ ხაზს არტყამს. ლამბი ერთი ხაზია, ცალი ძაფია.

**მ**

**მაგინაფალი** – შემტყობინებელი. „მაგინაფალი მეუჩქვეს„ – შემტყობინებელი მიუგზავნეს.

**მაინა** – შეძახილი ცხენის მიმართ. ეტლზე, ტაჭკაზე გაბმულ ცხენს შესძახებენ. ან კიდევ მორბენალი ცხენის შემფერხებელ კაცს თუ ცხენს შესძახებენ – „მაინა!“ – გზა!

**მანგიორი** – მაგიერი. გარდაცვლილის მაგივრად მოგებული.

**მანგიორობა** – მაგიერობა.

**მარაგადგ** – მოლაპარაკე, მოქალაქე, მარებელი, მაჭანკალი.

**მაქდორა** – ძველი ოდა სახლი. სასტუმრო სახლი.

**მაღულარი** – მახვილი; ხმალი.

**მახორობა** – სახლობა. თი-ს, ოჯახს მახორობა აქვს, მეურნეობა, სამოსახლო მეურნეობა. ოჯახის ყველა წევრი თანაბრად საქმიანობს მახორობაში. თითოეულ წევრს თავისი წილი – თია, სასაქმო ნაწილი აქვს მიჩენილი.

**მახოჲენი** – მახლობელი, ახლომყოფი. ძირის მეზობელი. სისხლით მახლობელი.

**მახვამური** – ხვამა ლოცვაა, მახვამური მლოცველია. ლოცვა ან ხვამა წარმართული ღვთაებისადმი, წარმართული კულტმსახურებითაც იცოდნენ.

**მაწვიი** – მომწვევი. მაწვიი მაჩქვეს „მომწვევი გამოაგზავნეს“.

**მაწვიჲარი** – მომწვევი. მაწვიჲარქ ქომორთგ „მომწვევი მოვიდა“.

**მეგორავე** – ტერმინი ჩაწერილია მარანში, სამიქაოში, გეზათში, ქოლობანში. მეგორავე იქ მეზობელს, ახლო, ძირის მეზობელს ნიშნავს. ხალხი განმარტავს, რომ ოდესღაც გორაზე სახლობდა ჩვენი წინაპარი. იქიდან ჩამოსულ ძმებს და სისხლით ახლობლებს, რომლებიც მეზობლად ცხოვრობდნენ, „მეგორავეს“ ეძახდნენ თურმე. ასე ვეძახით ახლაც ძირის მეზობელს.

**მენცარი** – ყოვლისმცოდნე, დიდად მცოდნე კაცი, მეცნიერი კაცი; მოძღვარი; განმანათლებელი, მასწავლებელი.

**მესკუალაფა** – მიშვილება. „პეტრეს ბაღანა მესკულაფირი აფუ“ – პეტრეს ბავშვი მიშვილებული ჰყავს. უშვილო ქალი, უშვილო ოჯახი იშვილებს სხვის ბავშვს. ხშირად მადლის გამო უპატრონო ბავშვს იშვილებენ და თავინთ ბავშვთან ერთად ზრდიან.

**მეძობლობა** – მეზობლობა.

**მეძუძური** – მეძუძური ქალი. ძუძუს მწოველი ქალი. ხშირად ასეთ ქალსაც ქირაობდნენ, მათ უხვღალიანობა ახასიათებდათ. ამიტომ უძუძური, ურძეო, რძეგამშრალი ქალი ეძებდა და ქირაობდა, ან კიდევ ნათესაური, კეთილი გრძნობით უდგებოდა ასეთი ქალი. იგი შემდეგ „ძიძედ“ – გამზრდელად ითვლებოდა.

**მეჩინა** – შეთვლა. „მეჩინა მუშოთ გოკო“ – შეთვლა რისთვის გინდა.

**მეჩიათა** – გადაცდომა. „მეჩიათერე თე ჭყვადირი“ – გადამცდარა ეს ამოწყვეტილი.

**მითორგინაფა** – შეგორება. ქალს ახალშობილ ბავშვს შეუგორებენ.

**მინოცონაფა** – შემოყვანა. პატარძალს შემოიყვანენ. „მინოცონაფილი მოჭყუდუ“ – შემოყვანილი პატარძალი.

**მინორინაფა** – სიძედ ჩადგომა. მინორინაფილიე ათე ბოში ათე ოჯახიშა, „ეს ბიჭი ამ ოჯახში ჩამოდგომილია“.

**მინჯე** – პატრონი. „ათე ბაღანაში მინჯე ათე კოჩი რე“ – ამ ბავშვის პატრონი ეს კაცია.

**მინჯობა** – პატრონობა. „ათე ბაღანას მინჯობა ოკო“ – ამ ბავშვს პატრონობა უნდა.

**მორდუ** – აღმზრდელი კაცი. ის მამა, რომელმაც აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი.

**მორთელი** – მოქცეული, შვილთაშვილის შვილის შვილი. ეს უკვე ახალი ტოტის დაწყებაა, დინოს, საჯიმალოს დაწყებაა თურში, გვარში.

**მოთა** – შვილიშვილი. ჩქიმ მოთა ჯგირი ბაღანა რე „ჩემი შვილიშვილი კარგი ბავშვია“.

**მოთმენა** – მოთმენა, მოთმინება.

**მოკათაფა** – მოვარდნა.

**მოკათობა** – ორსულობა.

**მოკათრე** – ორსულადაა.

**მორდია** – ნათლია.

**მორდილი** – გაზრდილი.

**მოსკე** – მეძევე. ეკლესია წაჩხურაშია. აქ ხატს ღამეს უთევენ უშვილო ქალები და ძეობას სთხოვენ.

**მოცონაფა** – მოყვანა.

**მოშინაფა** – მოხსენიება, ლოცვაში მოხსენიება.

**მოწილე** – მოცილე.

**მოწილე** – მონაწილე.

**მოჭყუდუ** – პატარძალი.

**მოჭვარუა** – ახოდ აღებული.

**მუანთილი** – მამამთილი. მუმათილი.

**მუმა** – მამა.

**მუმასქუალობა** – მამაშვილობა.

**მუმანთილი** – მამამთილი.

**მუმაცონერი** – მამინაცვალი, მამინამყენი (პირდაპირ), მამად მიღებული.

**მუმაჩაფირი** – მამად მოგებული წესი იყო – მამის გარდაცვალებიდან 40 დღის შემდეგ ირჩევენ მამის მაგიერს, ჭკვიანს, ახლობელს, ღირსეულს. ასე იცოდნენ დედის მაგიერის, ძმის მაგიერის, დის მაგიერის მოგება და ა. შ.

**ნ**

**ნაეჩუ** – ნაოცარი

**ნავსი** – ნავსი, მჩხიბავი კაცი. მასთან შეხვედრას გაურბიან.

**ნათესე** – ნათესავი, სისხლით ნათესავი. „თენა ჩქიმი ნათესე რე“ – ეს ჩემი ნათესავია. თი-სიანად ნამყოფია, ერთი თიდან გამოსულია, მისიანია – ასე განმარტავენ მეგრელი მთხრობელები.

**ნათისე // ნათესე** – სვანურად ნათი. ნათისავი, ნათესავი.

**ნათუა** – მონათვლა, ნათლობა.

**ნათირი** – მონათლული. „ათე ბაღანა ნათირიე“ – ეს ბავშვი მონათლულია.

**ნანათა** – მონათლული; ნათლული. „თე ბაღანა ჩქიმი ნანათარე“ – ეს ბავშვი ჩემი ნათლულია.

**ნანა** – დედა, საყვარელი. საალერსო.

**ნართი** – ნართავი, ერთი შულო.

**ნარდი** – გაზრდილი.

**ნაოხვამუ** – ნასალოცვარი.

**ნაჯარი** – ნაყარი, ნაგრამი.

**ნაჯართი** – ნაყარი ოჯახი. ოჯახი, საიდანაც გამოვიდა პატარძალი.

**ნაძუძური** – ნაძუძური, მისი ძუძუნაჭამი.

**ნახატური** – ნახატარი.

**ნახატუ** – ნახატარი.

**ნერჩი** – ძირი, ფუძე.

**ნერჩი პატენი** – ძირის ბატონი, ძირის ღვთაება.

**ნერჩიში მარდი** – ძირის მადლი.

**ნოსა** – რძალი, პატარძალი. იტყვიან „ნისასაც“.

**ნოსადი** – უფროსი რძალი, ან „ნისადი“.

**ო**

**ობიშხა** – პარასკევი, ობიში დღა. ობი ნესტის, ჭენჭყოს ღვთაებაა, პარასკევი. მეგრული შვიდდღიური სისტემის მეექვსე დღე, როცა თვლა მზის დღით, ბჟაშ დღათი იწყება.

**ობჟალეში // ობჟალე** – სამხრეთი, სამზეთი, სამზეო.

**ორთია** – თიად ასაღები, წილად დასადები.

**ორზოლი** – საგზალი.

**ორკე** – სარკმელი. ოსიანათესაც იტყვიან, სასინათლოს.

**ორუმეში** – ჩრდილოეთი. ორმესაც იტყვიან. საჩრდილეთი, საჩრდილო.

**ოჭკუმალი** – საჭმელი.

**ოჭყუდური** – სამზითვო. ჭყუდა მზითევია.

**ოჩხანეში** – სამზეოა. უფრო სამხრეთი ფერდობი, სამხრეთი მხარე.

**ოშიშდუდი** – ასისთავი. ხალხის მიერ საზოგადოშ კათუაზე არჩეული, ხალხში წესრიგის გამრიგე.

**ოჩოკოჩი** – ავსული, ოჩოკაცი. დევკაცი, ტყის ყველაზე საშიშარი ავსული.

**ოხორასკილი** – მული. ცოლის და, ცოლის ძმა. მაზლი კაცისათვის.

**ოხვამე** – სალოცავი, სამლოცველო. წარმართულ სალოცავ ნაგებობასაც ასე ეძახიან.

**ოცურია** – საყარაულო, სადარაჯო. „ოცურიას ცურსალიში მაჭოფალი, მაჯინგ გერდგ“ – ოცურიაში (საგუშაგო) კაცის გამყიდველთა დასაჭერად მზირი იდგა“.

**პ**

**პაპუათი** – პაპუას ოჯახი. პაპის ოთახი.

**პატონსქუა** – ბატონიშვილი.

**პატონშური** – ბატონისული. სული ღვთაებად, ღვთიურ ძალად იყო აღიარებული. მას შაბათ დღეს პატივს სცემდნენ. ამიტომ შაბათს მეგრელები შურიშდღას ეძახდნენ. სულის პატონად, ბატონად იყო მიჩნეული. ასე იტყოდნენ: პატონიშური – ბატონისული.

**პატონი** – ბატონი.

**პატონობა** – ბატონობა.

**პახუში დინო** – პახუს დინო, საძმო.

**პირსელი** – ნათლულის დედა, ნათლიდედა.

**პიტაფიცარა** – სახლია, ხელით ნათალი ფიცრებისაგან ნაგები.

მოკლე ფიცრები ჩაწყობილია სქელ და ფართო ბოყვებში.

**ჟ**

**ჟარნეჩი** – ორმოცი. მიცვალებულის დაკრძალვიდან მეორმოცე, ჩამოტირების დღე.

**ჟაშხა // ბჟაშდღა** – მზის დღე, კვირის, ერთი ეკერეცხის, მარუას პირველი ღვთაება, მისი სალოცავი პირველი დღე. მეგრული წარმართული შვიდდღიური იწყება ამ დღით და მთავრდება შურიშდღათი – შაბათით. ასეა ეს სამეგრელოში.

**ჟამი** – დრო, ათეჟამი – ეს დრო.

**ჟამირი** – მოჟამული, ციებით დაყვითლებული, დამძიმებული, დასიებული.

**ჟი** – მაღლა.

**ჟინანთარი** – მაღალი ანთარი. ღვთაება ნაყოფიერებისა, საქონლის სიმრავლისა.

**ჟინოთა** – ადგილია სოფ. სალხინოში, სადაც ჟინანთარზე ლოცულობდნენ წინათ.

**ჟინო** – ჟინანთარი, ზედა ღვთაება. საქონლის სიმრავლის, ნაყოფიერების ღვთაება.

**ჟიჟირო** – ორ-ორად. ხალხის საბეგროდ, საჭირისუფლოდ, სამსახურად გასვლა. ასე იცოდნენ დასავლეთ სამეგრელოში (ხობი, გალი, ოჩამჩირე და ა. შ.)

**ჟამუა** – მოჟამვა, დაყვითლება, დასიება.

**ჟამკოჩი** – ნავსი კაცი. მას არ ხვდებიან, გაურბიან. მისი ფეხი და ხელი უბედურების მომტანად ითვლება.

**რ**

**რია-რია** – აურზაური, არეულობა.

**რინი – ყოფნა**. „ათაქ რინი ირფერს უჯგუ“ – აქ ყოფნა ყველაფერს სჯობია.

**რგინი** – კოტრიალი, გორება. „რგინა ქიდიჭყგ“ – კოტრიალი დაიწყო.

**რინტუ** – უგუნური, მოსულელო. რინტუს ბატზეც იტყვიან და თხაზეც.

**როფე** – ხის ვარცლი.

**რჩხუალა** – რეცხვა.

**რჩქინა** – ცოდნა.

**ს**

**სადიარო** – სასადილო, საპურო; დიარას მოსაწყობი ოთახი.

**საეჩო** – ოცად გასაყოფი, ოცად მისაჩენი, ოცად ასაღები ზომაა.

**საინჯრო // საიჯრო** – საინჯრო. ინჯრად ასაწონი. ხშირად ქვაბზეც იტყვიან, ინჯრას საზომზე.

**სამეძობლო** – სამეზობლო. ირგვლივ, ახლომახლო.

**სამოხიო** – სამახლობლო შინაცა და გარეთაც, ძირისა და უფრო შორისა. სამოხიო ტერიტორიულად უფრო ვრცელია – სოფელია, ან სოფლის ერთი ვრცელი კუთხეა, ერთი მეჭირისუფლე უბანია. მასში შედიან რამდენიმე თურის სხვადასხვა დინოს წარმომადგენლები. აქ მეზობლობაა უპირველესი პირო-

ბა და არა სისხლით ნათესაობა. წინათ, ძალიან შორეულ დროს, როცა თური არ იყო განსახლებული და ერთ ადგილას სახლობდა, ერთ სამოხიოდ ითვლებოდა. როცა თური დინოებად დაიყო და განსახლდა, ახლა ერთი თურის სხვადასხვა დინოს მეზობლად სხვა თურის რამდენიმე დინო დასახლდა. ისინი დამეზობლდნენ და შეადგინეს სამახოენი – სამახლობლონი, მეზობლობით საჭირისუფლო.

**სანაონთხო** – სამეოთხედოდ აღებული. ივჯარის განსაკუთრებული ფორმა, თავადისაგან ან კულაკისაგან მიწის აღებისა.

**სარჩი** – პირგასახსნელი; სასინჯი, საჩვენებელი.

**საოშდუდო** – სოფელი ან რამდენიმე სოფელი ერთი საოშდუდო, საასისთავო იყო. ეს უფრო კაპიტალიზმის ეპოქაში და გვიანაცაა.

**საჯიმალო** – საძმო, დინო; სვანურად სამხუბი. მურადი მჭედლიანმა მიამბო: მესტიაში მჭედლიანები ოთხ სამხუბად, საძმოდ, დინოდ იყოფიან: ბაღაშა მჭედლიანები, თებუშა მჭედლიანები, თემირშა მჭედლიანები და ხასილშა მჭედლიანები. აქედან ბაღაშა მჭედლიანები შინაომში ამოწყვეტილან. მათი მოსახლეობა მუხამარაობად, საძმოებად იყო. მუხამარა – როგორც მურადი მარწმუნებდა, მუხური კუთხეა. აქედან უნდა იყო წარმომდგარი მუხამარობაც.

**სინჯა // სინდა** – სიძე.

**სკილი** – სკი-ძე.

**სკუა** – შვილი.

**სკიშსკი** – ძის ძე.

**სრუება** – სურვილის ქონა.

**სურება** – გასტუმრება. ისურენს – ისტუმრებს.

**სურება** – სტუმრობა. „ძნელი რე ნიკო დადიაში სურება“ – ძნელია ნიკო დადიანის სტუმრობა.

**სხუნუ** – საბჭო. სხუნუ მარჩიელიცაა.

**სხუნუა** – რჩევა, გარჩევა.

**ტ**

**ტაბაკი** – გრძელი მაგიდა, რომელზეც აწყობდნენ საჭმელს, აგებდნენ ღომს.

**ტაბაკონა** – მთაა სამეგრელოში, მარტვილის რაიონში, სოფ. ინჩხურში. გადმოცემით, აქ ღრმა ხვრელში ზის ეშმაკთა მაფა როკაპი. იგი ღამღამობით მართავს თავის ხვრელის პირზე ეშმაკურ ტაბაკონობას, სერობას. ეშმაკები მის კერაზე ყრიან დღისით მოტაცებულ ადამიანთა სულებს და ცეცხლისპირას, როკაპის მეთაურობით ცეკვავენ. ასე სწამს ხალხს.

**ტაიკონი // ჭაიკონი** – ქარაშოტი, ქარიშხალი, ქარბორბალა.

**ტარეში** – სოფელ კინჩხაში ტარჩუს, ტარხონის სალოცავია. აქ დიდი, საკმაოდ ხანსრული ურთხელის ხე და მაღალ არქიტექტურულ სტილზე აგებული ეკვდერი დგას.

**ტარგუდა** – თავდაპირველი, უძველესი სამშობლო. „სონ ტარგუდაშე მოგიზოჯუ“ – სადაური უძველესი სამშობლოდან მობრძანებულხარ – იტყვიან; „ტარგუდა

ქგშერჭყოჲადუ“ – უძველესი სამშობლო დაგვიწყებია.

**ტარჩუ** – ადგილი აბედათში. ტარჩის, ტარხონის ღვთაებას სცემდნენ თაყვანს. აქ მდგარა დადიანის დიდებული სასახლე.

**ტაროზი** – ტაროსი, კარგი ამინდი.

**უ**

**უგმურთუ** – გამოუყოფი ოჯახის გაუყოფი ბირთვი, რომელიც არ იშლება.

**უგურთუ** – გაუყოფი. ქონება, რომელიც გაუყოფელია.

**ურთუ** – გაუყოფი. ადგილია, რომლისთვისაც დადიანთა და გლეხთა შორის დავა ასეულ წელს გრძელდებოდა. ადგილი მაინც ვერ გაიყო.

**ურაგადუ** – ულაპარაკო, ნამდვილი, სამართლიანი. ყოველგვარი კაპრიზით და მოთხოვნილებით დაუყვედრებელი.

**ურდუმი** – ლაშქარი, ამბოხებულთა საბრძოლო რაზმი, სამშობლოს დამცველთა მებრძოლი ლაშქარი. უტუ მიქავას აჯანყებული გლეხების ლაშქარს ურდუმი ერქვა.

**უშულებელი** – შეუძლო, ორსულობის გამო შეუძლებელი. ორსული.

**უხენო** – ორსული.

**უსკე** – უშვილო. „თე ოსური უსკე რე“ – ეს ქალი უშვილოა.

**ფ**

**ფანია** – კუთხის საზოგადო კრებული.

**ფარდი** – ზღვარი, მიჯნა; ზომა.

**ფაცხა** – ღობური სახლი. იგი სხვადასხვა სახისაა. არის კუნჭულა, მრგვალი, ოთხკუთხა და ა. შ.

**ფეიკარი** – ჩქარი, ენერგიული, სწრაფი, სწრაფმოქმედი.

**ფეკარუა** – გადაწვა, მოჭვარვა, ახოდ აღება.

**ფინახარი** – ბოგა, საქონლის საპირე.

**ფულუა** – მალვა, გადამალვა.

**ფურკუა** – ბოლვა. „ᲪᲔᲑᲣᲠᲡ ჭას ფურკუა ქგდუჭყაფუ“ – კერიაზე ჩალას ბოლვა დაუწყია.

**ფურკი** – გაბედული, ვაჟკაცი, სწრაფი.

**ფურნე** – ფურნე.

**ფუჩი** – დაფიცება. „თეს ფუჩა ვააკო“ – ამას ფიცი არ უნდა.

**ფუჩერი** – დაფიცებული. „ენა ფუჩერი მაფუ, ფუჩიში ღალატი ვაშინერს“ – ეს დაფიცებული მაქვს, ამის ღალატი არ შეიძლება.

**ქ**

**ქაჩი** – ჯვარი. „ქაჩი ქიაჩიში ხატირე“– ქაჩი ქიაჩის ხატია.

**ქვირთუ** – ქურდი, აცაბაცა, მტყუანი.

**ქვიშილი** – სინჯაᲪა. დის ქმარი.

**ქიაჩი** – ადგილი სოფ. კიწიაში, სადაც ქიაჩზე ლოცულობდნენ.

**ქიმინუა** – ქმნა. „ათე კოს ქიმუნუას მინ ოჭიშუანს“ – ამ კაცს ქმნას ვინ დაასწრებს.

**ქომონჯი** – ქმარი. „ენა ჩქიმი ქომონჯირე“ – ეს ჩემი ქმარია.

**ქორთუ** – ქართველი, ქართლიდან გადმოსახლებული.

**ქორთსქუა** – ქართველიშვილი, გვარია. ჩოლოყაშვილები XVIII ს-ში გამოქცეულან კახეთიდან. დადიანს მათთვის თავადობა შეუნარჩუნებია და ინჩხურში მამული მიუცია.

**ქონება** – ქონება.

**ქოცო** – კი, ქმნა.

**ქოცოფირი** – ნამყოფი, შენაძლები.

**ქუქითი** – ადგილი. არის გადმოცემა, რომ აქ ქუქის დიდი ოჯახი სახლებულა, რომელშიც 25 მელოგინე ყოფილა, იგი „უგურცუ“, ანუ გაუყრელი ოჯახი ყოფილა. მას სათავეში დიდი მამა ქუქი ედგა.

**ქუთათი** – ადგილია. აქაც ქუთას დიდი ოჯახი მდგარა. ოჯახში 21 მელოგინე ყოფილა. ოჯახს სათავეში ქუთა ედგა თურმე.

**ქუთაია** – გვარ-სახელია. მას ქუთათის მემკვიდრედ თვლიან, ქუთას მემკვიდრედ. დღეს ქუთათელაძესაც იტყვიან ზოგან.

**ღ**

**ღარიბი** – ღარიბი, უქონელი.

**ღაბუ** – თავმომაბეზრებელი, ჯიუტი მთხოვნელი, მქონებელი, მაგრამ კიდევ მეტის მდომელი.

**ღაირი** – წაღებული ადგილი.

**ღარღი** – ღერღილი, დაღერღილი.

**ღარ-ღარო** – ღარ-ღარად, სწორ-სწორად, ლარ-ლარად.

**ღუტუტა** – უსაქმური, ეშმაკი, ზარმაცი. მხოლოდ სხვისი ნაოფლარით რომ ირჩენს თავს.

**ღვინ დო ქობალიში მარდიქ** – ღვინისა და პურის მადლმა. ლოცვაა.

**ღირთუ** – მიმთვისებელი, მქაჩავი, უძღები.

**ღირუ** – ღირს; ღირება.

**ღირება** – ღირება.

**ღორონთი** – ღმერთი. წარმართული ღვთაებიდან ქრისტიანულ ერთღვთაებამდე. ყველა დიდია, ყველა სალოცავია, განსაკუთრებით – ასტრალური ღვთაებანი.

**ღორება** – მოტყუება. „ღორება ვეკადრა, ვაშინერს“ – მოტყუება არ იკადრო, არ შეიძლება.

**ღორალა** – ყვირილი.

**ღორონთიში მარდი** – ღვთის მადლი.

**ცჷ**

**ცებური** – კერია. კერიის დედო ნაწილი, სადაც სილაქვის ქვაფენილია. მასზე ნაცრის ფენაა და ანთია ცეცხლი.

**ცუდე** – სახლი, ფაცხა, ჯარგვალა, პიტაფიცარა, ამხარა, ოდა და ა. შ.

**ცუდეკარი** – სახლის კარი.

**ცუნაფა** – წაყვანა. „თენა კიკოს მეცუნც“ – ეს კიკოს მიყვება.

**ცუნა** – გაყოლა, ცოლად გაყოლა.

**ცონაფილი** – ცოლად წაყვანილი.

**ცონილი** – ნამყენი.

**ცონილი** – გერი.

**ცოროფა** – სიყვარული.

**ცუდეშარეფი** – ქმარი იტყოდა ცოლზე, შინაურნი, სახლისიანნი.

**ღურსალი** – ქურდი, კაცის გამყიდველი.

**შ**

**შაირი** – შაირობა.

**შანუა** – შანვა, ნიშნობა, ნიშნის დადება. ნიშნის მიღება, დანიშვნა.

**შანა** – ნიშანი; დასანიშნი ნივთი.

**შაცარუა** – თავშეყრა. „საზოგადოში კათუაზე“ თავშეყრა. საზოგადო თავშეყრაზე, შეკრებაზე თავშეყრა.

**შეცხადალა** – შეცხადება. მიცვალებულის წინასწარ დატირება.

**შეცხადაფილი** – შეცხადებული.

**შემაცხადაფალი** – შემცხადებელი.

**შერუა** – გიჟობა.

**შეტყობინაფა** – შეტყობინება.

**შილა** – დროშა. მეგრული უძველესი დროშა.

**შინაფა** – მოხსენიება.

**შურპატონი** – სული ბატონი, სულბატონი. სულის ღვთაება.

**შური** – სული.

**შურიშდღა** – სულის დღე. სარიტუალო დღეა – შაბათი. მასზე შურიშხასაც ამბობენ. მეგრული წარმართული შვიდდღიური სისტემის მეშვიდე დღე – შაბათი, საბატონი.

**ჩ**

**ჩაფათი** – ჩაფას თი. თიში 20 მელოგინე ყოფილა. ჩაფა იყო სახლის მეთაური.

**ჩაფილი** – მოგებული. მუმაჩაფილი – მამად მოგებული, მამად დაფიცებული. დიდაჩაფილი – დედად მოგებული და ა. შ. ჩაფილობა იცოდნენ მიცვალებულის ორმოცზე და იგი სამუდამოდ ნათესავად ითვლებოდა.

**ჩაფილობა** – ნათესავად მოგებულობა.

**ჩაფილსქუა** – შვილად მოგებული, შვილად დაფიცებული, შვილის მაგიერი.

**ჩაფლა** – ფეხსაცმელი. ქალამანიც, წუღაც ჩაფილაა.

**ჩქიმ მინჯე** – ჩემი პატრონი. ასე ქმარზე იტყვიან.

**ჩხვინდიშა მანჭუ ქორა** – მუცელი ცხვირამდე წვდება, ორსულია.

**ც**

**ცაშხა // ცაშდღა** – ცის დღე, ხუთშაბათი. ცის ღვთაების სალოცავი დღეა.

**ცაშხადიდი** – დიდი ხუთშაბათი. დიდი ცაშ დღა. დიდი სალოცავი დღეცაა, დიდი ღვთებაა. დღეს კვირის მეხუთე დღეა.

**ცაავა** – გვარ-სახელია. გადმოგვცემენ, რომ მესაქონლეები ყოფილან – ძვირფასი თხის ჯიშის გამომყვანნი. ეცეში თხა // ეცეში ცა ყველაზე უხვი, პროდუქტიული იყო და ტანად ლამაზი, უფრო თვინიერიც.

**ცაი ხუჯი** – ცალი მხარი.

**ცანავა** – გვარსახელია. ცანავები მესაქონლეებად ითვლებოდნენ. უძველესი დროიდან დიდი ჯოგის პატრონი.

**ცაღა** – გაზრდილის მამა.

**ცანდი** – თაჯი. გადაცანდვა – გადათაჯვა, უღლის უფრო ძლიერისაკან გადაწევა.

**ცანდირი** – გადათაჯული, გაცალუღლებული ხარი.

**ცარგი** – თარგი ორნამენტის გამოსაჭრელად.

**ძ**

**ძალო** – ძალად.

**ძალური** – ძალიერი, ნაძალევი.

**ძალუა** – დაძლევა, ძლევა.

**ძახილი** – ძახილი. დაძახება.

**ძაიერი** – ძლიერი.

**ძაჲუა** – ძალვა, ძლევა.

**ძირაფა** – ნახვა, გადანახულება, თვალის შევლება.

**ძიძე** – ძიძა.

**ძიძესქუა** – ძიძიშვილი. იგი გაზრდილის ძლიერ ახლობლად ითვლება.

**ძუძუშა კიბირიში გედგუმა** – უმაღლესი ფორმა დაძმობილებისა, ქალის, დედა ქალის მიერ შვილად მიღებისა. ყველაზე წმინდა, ყველაზე უმაღლესი, შეულახველი.

**ძინა** – მატება.

**წ**

**წანება** – წამება. რწმენა რაიმესი.

**წანა** – წელიწადი, წელი.

**წანუა** – მოწელიწადვა. მიცვალებულის წლის განმავლობაში გლოვა.

**წანწალი** – წანწალი.

**წალიკონი** – ჭაიკონი, ქარბორბალა.

**წილი** – წილი ოჯახის საერთო ქონებაში, პურობაში, ყოველ საერთოში. იგივე თია.

**წიმორთი** – მაჯა.

**წიმინდუა** – გაწმენდა.

**წირიხუა** – დაწურვა.

**წორო** – სწორად, მის თანაბრად, ერთად.

**წორო-წორო** – თანაბრად, სწორ-სწორად, ერთბაშად.

**ჭ**

**ჭანური** – მსხლის ჯიშია. ქვაბის სახელწოდებაცაა, საინჯრო ქვაბისა. ჭანური აკვანიც იციან. ყველაფერი, რაც ჭანეთიდან, ჭანიდან იღებს ძირს.

**ჭანიორი** – ადგილია. ჭანთა საცხოვრისი.

**ჭანირი** – ადგილია. ჭანთა ნასახლარი.

**ჭანკარი // ჭანიაკარი** – ნასახლარი.

**ჭანნოხორი** – ჭანნასახლარი; ჭანების ნასახლარი.

**ჭანნაკარუ** – ჭანების ნაკარავი.

**ჭარაია** – გვარსახელია.

**ჭვარუა** – ახოს აღება, მოჭვარვა. ახლაც ჭვარავენ მიწას. კაბეტს, ყამირს იღებენ, ტეხენ. ირიკოჩი მუშოთ ჭვარუნც „ყველა თავისთვის იღებს ახოს“ – არის ანდაზა.

**ჭვიტე** – სასინათლო ხვრელი. კედელში დატანებული მცირე ხვრეტილი, საიდანაც ბჟა იჭვიტინანც „მზე იჭვრიტება“. ნ. ორკე.

**ჭვიტინია** – სანათი სადგომისა. იგივე კოჭობი.

**ჭიითი** – ჭის თი. ჭის ოჯახი მდგარა ამ სერზე. მასში 16 მელოგინე

ყოფილა. მას სათავეში დიდი მამა ჭი ედგა.

**ჭიაია** – ჭილაია. გვარსახელია. მოდის ჭის თიდან; არის ცალკე თური. ძირის სალოცავი ნახუნაოშია.

**ჭიოკა** – გვარსახელია. ცხოვრობს კურზუში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში. ერთი ტოტი ჭიათურაშიცაა. აქ მათ ჭიოკაძეს ეძახიან. მათი ძირის საერთო ხატი ტყვირშია, ხოლო ზოდში აქვთ საძმო ძირის ხატი.

**ჭოიკა** – გვარსახელია, ჭიითის ძირიდან ამოსული პატრონიმიული ერთეული.

**ჭყუდა** – მზითევი.

**ხ**

**ხარება** – რაიმეს უწყება, რაიმეთი გახარება. პირველი ამბის უწყება.

**ხარგუა** – დატვირთვა. ურმის დატვირთვა. კაცის სიკეთით ან უბედურებით დატვირთვა – გადატანითი მნიშვნელობით.

**ხაზირუა** – მომარაგება. გაჭირვებისათვის შენახვა, გადადება. „იხაზირენს“ – ინახავს.

**ხაზუა** – გახაზვა.

**ხაციცი** – ორი მნიშვნელობისაა: 1. პატარძლის სახელი; 2. კალანდის პირველი ლუკმა. საერთოდ, დილის პირველი ლუკმა.

**ხე** – ასული. გაბეიხე – გაბელიას ასული.

**ხვისტა** – ტახტის მაგიერი. სკამლოგინი, ბოლოებში ხის მუთაქით.

**ხონჩა** – ხელიანი ოთხკუთხა გობი, მაღალი გონიოებით, ხორცის დასარიგებლად.

**ხორათი** – ხორავას ოჯახი. აქ ხორას დიდი ოჯახი სახლებულა. ხორა დღესაც გვარსახელია, ხორავა.

**ხორინი** – დასახლება. „თაქ მოკო ხორინი“ – აქ მინდა დასახლება.

**ხორიათი** – ადგილია. ამბობენ, ხორავას დიდი ოჯახი იდგაო.

**ხორში** – დიდი ნოხორია. ხორში, ხორინიში, ნასახლარში.

**ხორუა** – დასახლება.

**ხორხუა** – გახერხვა; გამიჯნვა.

**ხურგი** – მიჯნა, ქვა-ღორღით ყორის აგება.

**ხორგი** – ქვა-ღორღის ზვინული. ხშირად ჩაქოლვის შედეგად შეგროვილი ზვინული. დაწყევლილი ადგილი. იცოდნენ ჩაქოლვა, ქოლვა, დასჯა. „თაქ ქუათ ქოჟუნდეს ჭყერ კოს“ – აქ ქვით ქოლავდნენ დაწყევლილ. ბოროტ, ავისმქნელ კაცს.

**ხუგეგი** – მეტად მოხუცი ქალი.

**ხურეკი** – ძალზე მოხუცი.

**ჯ**

**ჯანაშია** – გვარსახელია, თური. იყოფა ხუთ დინოდ.

**ჯარი** – შეყრილი ხალხი, ხან სალხენად, ხან – მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ჯარალუა** – ჯარობა. გასართობად თავშეყრა.

**ჯარობა // ჯარალუა** – გასართობად თავშეყრა.

**ჯარგვალი** – ხის გათლილი ღეროებისაგან აგებული სახლი.

**ჯიმა** – ძმა.

**ჯიმასქუა** – ძმის შვილი.

**ჯიმაჩაფილი** – ძმად მოგებული, ძმად დაფიცებული.

**ჯიმადი** – მამის ძმა, დედის ძმა.

**ჯიმაცონირი** – გერი ძმა.

**ჯინჯიში მეძობელი** – ძირის მეზობელი, ახლობელი მეზობელი.

**ჯინჯიში პატენი** – ძირის ბატონი, ნერჩის პატონი. ძირის, კერის ღვთაება. საფიცარია. დღესაც პატივს სცემენ.

**ჯინჯი პატენი** – ძირის ბატონი. მისი განაწყენება უბედურებად მიაჩნიათ.

**ჯინჯიში ხატი** – ძირის ხატი, უპირველესი ხატი.

**ჯუმა** – ნაყოფიერების, საქონლის სიმრავლის ღვთაება.

**ჯუმაშხა** – ჯუმას დღე. მეგრულ წარმართულ შვიდდღიურში მეოთხე დღეს, ოთხშაბათს იციან დიდი ლოცვა ჯუმას პატივსაცემად.

# დედამიწის ღვთაებრივი თაყვანისცემის რიტუალი და სათაყვანო შრომის ჰიმნი „ოდოია“ (ოდოდია)*

დედამიწა უძველესი დროიდან ადამიანის ღვთაებრივი პატივისცემისა და თაყვანისცემის ობიექტი იყო. იგი მას დედას უწოდებდა, მის განსაკუთრებულ სალოცავს აწესებდა და მისი სიკეთის სათხოვნელად და მოსაპოვებლად მრავალგვარ რიტუალს ატარებდა.

ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერ საუნჯეში უძველესი დროიდან არსებობს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინფორმაცია (გადმოცემები, ლეგენდები, ზღაპრები, ანდაზები, ხალხური თქმები) კულტის შესახებ, რომელიც დედის მსგავსად და მის სახედ წარმოადგენს მიწას. იგი დედაა, ნაყოფის მომცემი, რადგან მსხვნელ-მთესველი ღარავს მის მადლიან გულს და ამ დაღარულ, სურნელოვან, ნაყოფიერ საშოს აბარებს თესლს. დედამიწა ინახავს მას, ათბობს და ალღობს, უვლის ნორჩ ნაზარდს, ხოლო ხანსრულ პირმშოს ასაზრდოებს, აღონიერებს და ამწიფებს ადამიანის სასიკეთოდ. დედაა იგი ნაყოფისა, მისი მშობელი, მასაზრდოებელი, მამწიფებელი. დედაა იგი ადამიანის მასაზრდოებელი, მისი აღმომცენებელი, მამწიფებელი, მისი სიკეთის წყარო, დაბოლოს, მისი განსასვენებელი. აკადემოკოსი გ. ჩიტაია[1] ხვნის პროცესის აღმნიშვნელ ტერმინს, სქესობრივი აქტის მიმნიშნებელი პროცესის სახელწოდებად მიიჩნევს. ამ აზრს აყენებს პროფ. ს. მაკალათიაც[2]. გ. ჩიტაიას აღწერილი აქვს აჩაჩას განბანვის რიტუალი აღბულაღის რაიონში, სადაც აჩაჩას ტიტველი ქალები სქესობრივი აქტის იმიტაციაში რთავენ[3]. ეტყობა, მეგრული **ხონუა** (ხვნა) და სქესობრივი აქტის აღმნიშვნელი მეგრული ტერმინი ერთი ძირიდან ამომდინარეა. ასე ფიქრობს აკადემიკოსი გ. ჩიტაია. ეს მეცნირული ვარაუდი ხალხური რწმენით და მისი შესაფერისი რიტუალით სავსებით დამოწმებულია.

მიწის გარეშე ადამიანის არსი და არსებობა წარმოუდგენელია. მისი არსობა მიწით, ნაყოფიერებით, რელიეფის თავისებურებით, ჰაერისა

---

* გ. ელიავა, ძიებანი, ქუთ., 1994.

[1] გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობა აღბულაღის რაიონში, საქ. მუზეუმის მოამე, IV. 1928, გვ. 224.

[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ, 274.

[3] დასახელებული ნაშრომი, გვ. 224.

და წყლის სიკეთითაა განპირობებული. ადამიანის არსობის მრავალფეროვნება (სახის ფერი, სახისა და თავის ქალის კონსტრუქცია, თმის ფერი და ფორმა, მისი მიდრეკილება, ხასიათი, ჩვევები) სწორედ მიწის სიკეთის მრავალფეროვნებითა და მრავალსახოვნებითაა განპირობებული. ასევე, მიწა აპირობებს ადამიანის არსებობასაც. მისი ცხოვრების წესები, მოსახლეობის არეალი, საქმიანობის მრავალფეროვნება, ყოფა და კულტურა, მისი არსებობის დრო, ასაკი და ხანგრძლიობა, სწორედ მიწის სიკეთითაა განპირობებული. ამიტომ ადამიანი, ბუნებრივია, ასეთ პირველად ფენომენს, ოდითგანვე, მისი პრიმიტიული ცხოვრების აზრისა და ცოდნის პირველყოფილი პერიოდიდან ღვთაებრივ სახედ და ძალად წარმოიდგენდა და ასეც იყო. მიწა ღვთაებად დასახა – ყველაზე პირველ და არსებით ღვთაებად, და მას უწოდა მისთვის ყველაზე ძვირფასი სახელი – „ნანა“, „დედა“. ლეონტი მროველი წერდა: „და დაჯდა საურმაგ მცხეთის მეფედ და უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისა და ქართლისათა, და მან შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა, და აჰმართნა გზასა ზედა მცხეთისასა“[1]. მ. წერეთელს ეს ღვთაებანი წარმოდგენილი ჰყავს შუმერთა ღვთაების – იშტარის განსახიერებად – ნინა ან ნანა[2], შუმერთა მსგავსად ქართველებს, საერთოდ, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, მიწა ღვთაებად, ღვთიურ სუბსტანციად მიაჩნიათ. იშტარი იქ საერთო და საყოველთაო სალოცავია. ასეა ჩვენთან, საქართველოში. ამიტომაა, რომ თვით ზედა პალეოლითის ხანიდან მოკიდებული, ადამიანი ამ სუბსტანციის ამსახველ ბომონებს და სათაყვანო, სარიტუალო ნივთებს აკეთებს და იყენებს. თუნდაც ის ტლანქი ქვის გამოსახულებანი, ქალისა და მამაკაცის სტილიზირებული ფიგურები, სადაც მკვეთრადაა გამოყოფილი და ხაზგასმული საშო, მუცელი და მკერდი, ან გვიანი ხანის უფრო სრულყოფილი მზის გამოსახულებანი, სასამკაულო ქვის ლარტყულები და მძივები, თვით კვირისთავების შესანიშნავი, გ. ჯავახიშვილის ვარაუდით, მზის გამოსახულებიანი ერთეულები, თუნდაც, სამელე კლდეში აღმოჩენილი კოლექციიდან[3]. ან ჩვენ მიერ ნახუნაოსა და კურზუში აღმოჩენილი ქალის ქვისა და ბრინჯაოს ფიგურები. ლეხაინდრაოში ნაპოვნი ფართონერჩიანი, საკმაოდ ჯავარიანი ფალოსის გამოსახულება ქვისა და ა. შ. ი. კიკვიძის მიერ განხილული უამრავი მსგავსი არქეოლოგიური მასალა[4] განა

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, 1, თბ., 1955, გვ. 27.

[2] მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, გვ. 101.

[3] გ. ჯავახიშვილი, დასავლეთ საქართველოს ადრეასამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1971, გვ. 49.

[4] ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1974, გვ. 152-168.

საფუძველს არ გვაძლევს, რომ „დედამიწის“, „ნანას“ კულტი საერთო ქართული იყო?! რასაკვირველია, გვაძლევს და საკმაოდ ხატოვნადაც. როგორც ჩანს, მთელ ქართელ ხალხს მიწა იმ უძველეს დროში საერთო სათაყვანოდ მიაჩნდა. „უფრო მეტი ყურადღების ღირსია საზოგადო ქართული სიტყვა „დედამიწა“, რომელსაც ახლა ჩვენ ჩვეულებრივ მიწის აღსანიშნავადა ვხმარობთ, – წერს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, – ძველ დროს, ძველ ქართულ მწერლობაში ამ სიტყვას ამ მნიშვნელობით არ ხმარობდნენ, არამედ მარტოდენ სიტყვას „ქვეყანა“. ალბათ იმიტომ, რომ მაშინ სიტყვა დედამიწას მიწის ღვთაების „დედას“ ეძახდნენ“.[1] მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ პატივისცემას იგი ადგილის დედისადმი, „ნერჩი პატენისადმი“ პატივით გამოხატავდა. ქართველი ხალხის ყველა ტომი „ადგილის დედას“, „ნერჩი პატენს“ თავისებური რიტუალით ემსახურებოდა. იგი წარმოიდგენდა დედამიწას ერთიან დედად; ამასთან, ცალკეულ კონკრეტულ ადგილზე, იგი ადგილის მფარველ ანგელოზად, ადგილის ღვთაებად ჰყავდა წარმოდგენილი და თაყვანს სცემდა მას. „ფშაველების წარმოდგენითაც თითოეულს ადგილს: მთას, გორას, ხევს, ჰყავს დედა, რომელსაც ადგილის დედას ეძახის ხალხი. „ადგილის დედავ, შენ გებარებოდე, შემინახე შენი მადლითო“.[2] ღვთაება „ადგილის დედა“ აფხაზებს „ადგილ ანხუს“ სახით სწამთ (მიწის დედოფალი). ოჯახის მფარველ ღვთაებას ისინი „აჟაჰარას“, „შაჰარას“ უწოდებენ. მეგრელები „ნერჩი პატენით“ განასახიერებენ ამ ღვთაებას. სვანეთშიც „ლამზირი“ მიწის სალოცავს ნიშნავს... „ცხადია „ლამზირი“ აქ მიწის სალოცავი, ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი ღვთაებაა“,[3] – წერს ივ. აკადემიკოსი ჯავახიშვილი. გ. წერეთლის აზრით, აფხაზური „აჟაჰარა“ ან „შაჰარა“ ენათესავება ხეთურ ქალღმერთს – იშხარას, რომლის კულტი გავრცელებული იყო მთელ მცირე აზიასა და შუამდინარეთში. მართალია, ივანე ჯავახიშვილი უსაფუძვლოდ არ მიიჩნევდა ამ შედარებას, მაგრამ იგი უცილობლად თვლიდა ამ ვარაუდის დადასტურებისათვის მომავალი შრომატევადი კვლევის საჭიროებას.[4] ჩვენთვის ამჟამად ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ადგილის დედის, ადგილის ღვთაების პატივისცემის რიტუალი შორეული დროიდან მომდინარე და საქართველოს ყოველ კუთხეში მტკიცედ გავრცელებული ტრადიციაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწის ღვთაებრივი თაყვანისცემის უძველესი დროიდან მომდინარე რიტუალია „ნერჩი პატენის“ კულტი

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ, 92.
[2] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.I, თბ., 1951, გვ. 88.
[3] იქვე, გვ. 92.
[4] იქვ, გვ. 103.

ძველ სამეგრელოში. ნერჩი პატენი ადგილის ღვთაებრივი სულია, რომელიც მასზე მდგარ, დასახლებულ, დაფუძნებულ კარ-მიდამოს და ადამიანის **საოხორო** და **სამახორობო** საქმიანობის ღვთებრივი ფუძე, მადლი და სიკეთეა, **საოხორო დიდებული პატენია**. ნერჩი პატენის კულტი დიდი „ოხვამურით“ აღინიშნებოდა წლის დასაწყისში. „დიდი ოხვამური“ კალანდა დღეს სრულდებოდა. კალანდა, ახალი წლის დაწყებასთან ერთად, მთელი წლისათვის სიკეთისა და სიუხვის დაბადების დღესასწაულად ითვლებოდა.[1] სიუხვის დაბადება კი საოხორო დიდებულისადმი ლოცვით უნდა დაწყებულიყო. საოხორო დიდებულის ოხვამური დინოს ცენტრალურ ოჯახში იყო, მედუდე (მეთაურ) ოჯახში, ე. ი. იმ ძირზე, სადაც დინოს მეთაურმა ჩაუყარა საფუძველი „ოდუდიას“ (სათაურ ფუძეს და სალოცავს). მახვამურიც ან მლოცველიც ამ მედუდე ოჯახის, ამ ძირის, კერიის მეთაური დიდპაპა, ან უხუცესი წევრი უნდა ყოფილიყო. „დიდი ოხვამური“ აერთიანებდა ჩვენი დინოს ყოველ ოჯახს მესამე მოდგმიდან, თუმცა ისინი ამ მედუდე ოჯახიდან ცალკე ესახლნენ[2], – აღნიშნავს დავით ჯანჯღავა. საოხორო ქვევრი საერთო სალოცავი იყო. მახვამური ამ დღეს სწორედ ამ ქვევრთან ასრულებდა „საოხორო დიდებულის“ ოხვამურს. აქვე იშლებოდა **საოხორო ტაბაკი** – „**დინოში ტაბაკი**“. ეს ერთეული ჩვენ აღგვიწერა დავით ჯანჯღავამ. იგი სიგრძით 2 მ ყოფილა, განი კი არშინზე მეტი ჰქონია. ზედაპირის, ე. ი. შუბლის ორივე მხარეზე კოპიტები ყოფილა ჩათლილი საწებლის ჩასასხამად და საჭმლის ჩასაწყობად. კოპიტა ან ჯამი იმდენი იყო ჩათლილი, რამდენ სრულწლოვან წევრსაც ითვლიდა დინო. ეს ტაბაკი იშლებოდა მხოლოდ **ოხვამური სადილის** დროს.

„ნერჩი პატენი“, ჩემი ბაბუის რწმენით, თითქოს ფუძის ადგილის დიდი ბატონი იყო და საოხორო დიდებულის სახით ადგილის სიკეთისათვის ზრუნავდა. „იგი ადგილის ფუძედ ედო ოჯახს და დინოს სიკეთესო“ – გვიამბობდა მელიტონ მხეიძე. ჩვენი აზრით, ეს სწორედ პატრონიმიის მეექვსე, მეშვიდე თაობის დროს შექმნილი „საოხორო დიდებულია“, მაგრამ თურს, გვარს თავისი ძირის ხატიც აქვს. ეს ის ხატია, რომელზედაც ფუძის სიკეთე დააფუძნა პატრიარქალური ოჯახის პატერმა, თუნდაც ჭიამ, ქუქიმ, გაბიმ, ქუთამ და ა. შ. ან უფრო სწორედ, ასეთი ძირის სალოცავი დააფუძნეს, ნერჩი პატონი დათქვეს პატრონიმიის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე თაობის გვარებმა – თურებმა. საერთო გვაროვნულ სალოცავში, მაგ., ქეჯვარობაზე სანაჭყეპიოში

[1] დ. ჯანჯღავა, გმმ. ხმფ. ა. ჯგ. №123, ძველი საკულტო და საყოფაცხოვრებო ზნე-ჩვეულებანი ჩემს სოფელში, გვ. 2.

[2] იქვე, გვ. 2.

(კურზუ, გეგეჭკორის რაიონი), ნაჭყეპიების მთელი თური, გვარი იკრიბება, ნაჭყეპიების ყველა დინო იყრის თავს ძველი სტილით 20 ივლისს და ურთხელის ძელთან, ათასწლოვანი ცაცხვის ხის ქვეშ, მახვამურის ხელმღძღვანელობით სრულდება **ხვამა**. აქ ნაჭყეპიების ძალიან შორეული წანაპარს ჰქონია თავისი **თი**. აქ მდგარ დიდ მუხასთან თავისი ქვის ჯვარი და ლოცულობდა მასზე **ნერჩი პატენის** სალოცავს. ეს ოხვამური თურის ოდუდიად, თურის **საოხორო დიდებულად** გადაეცა მთელ გვარს უხსოვარი დროიდან და დღესაც ასრულებენ მას.

როგორც სოფრო ნაჭყეპიამ აღგვიწერა, საოხორო დიდებული თოდუებს, ბერულავებს, ახალაიებს „ოჩხონაფუში“ ჰქონდათ – აქ უნდა ყოფილიყო მათი ძირის ხატიო. აქ, პატარა ნაკვეთებზე, ისინი დგამდნენ მიწის დამუშავების პირველ ნაბიჯს. ვიდრე ამ აქტს შეუდგებოდნენ, მანამ ასრულებდნენ საკმაოდ საინტერესო რიტუალს – **მიწის გაჯერების**, მიწის ღვთაებრივი მადლის მიგების რიტუალს. ეს რიტუალი აღწერილი გვაქვს ჩვენს შრომებში.[1] ამასთან, იგი დამოწმებული აქვს ჯ. რუხაძეს.[2]

„ნერჩი პატენის“ შემდგომი, საკმაოდ ღრმა რიტუალი **ოჯუმაშხური** ოხვამური, საოთხშაბათო ოხვამური იყო. ამ ოხვამურით მლოცველი მადლს უხდიდა ნერჩი პატენს გასული წლის კარგი მოსავლისა და ოჯახის წევრთა ტანის სიმრთელის გამო და სთხოვდა ახალი წლის კარგ მოსავალს. დ. ჯანჯღავა, ურუან ადამია, სოფრო ნაჭყეპია, დონა გეგია გვიამბობდნენ, რომ თესვის დაწყების წინ განსაკუთრებული ოხვამური სრულდებოდა: **მახვამური** სალოცავი გობით პურის კვერებს, ღვინოსა და წმინდა სანთელს გამოიტანდა, სანთელს აანთებდა, გობს მარჯვნივ მოატრიალებდა სამჯერ, მიწაზე ზედაშეს მოასხამდა, მიწას აკოცებდა და ნერჩი პატენის სთხოვდა, მიეღო მისი ეს ლოცვა და კარგი თვალით შეეხედა მისი ოჯახისათვის, კარგი მოსავალი მიეცა მისთვის, და „ოხოხოიას“ სიმღერით შეუდგებოდა ხვნას. სალოცავის ტექსტი ასეთი იყო: „ნერჩი პატენი, ღორონთ, სქანი სახეი ხვამილი დო დიდებუი, ეფშა წანა გუუტიბინე ჩქიმი ოჯახის, სქანი მარდი ვამაარკა ჩქიმი ჩიი დო სქუას, სქანი სახეი ხვამირი დო დიდებუი“ (ნერჩი ბატონო, ღმერთო, სახელდალოცვილო და დიდებულო, სავსე წელი სულ სითბოთი გაუტარე ჩემს ოჯახს, შენი მადლი არ დააკლო ჩემს ცოლსა და შვილს, სახელდალოცვლილო და დიდებულო!). ხვნის დაწყების წინ აუცილებელი რიტუალი იყო მიწაზე დაჩოქება და მიწის გულის კოცნა. ამ რიტუალს მხვნელი ასრულებდა. იგი მახვამურიც იყო ამ დღეს და ყოველი სხვა რიტუალის

[1] გ. ელიავა, აბაშის და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, თბ., 1971, გვ. 90; მისივე, მხარეთმცოდნის თვალით, თბ., 1978, გვ. 145.

[2] დასახელებული ნაშრომი, გვ. 158.

შემსრულებელიც. მახვამური დინოს ცალკე ჰყავდა, მაგრამ ხვნის დაწყების ლოცვას მაინც გუთნისდედა, მხვნელ-მთესველი კაცი ასრულებდა. ეს კაცი ოჯახის უფროსი წევრი ან შედარებით ხანსრული კაცი უნდა ყოფილიყო. ხვნა შეეძლო შემდეგ სხვას გაეგრძელებინა, მაგრამ პირველი ხნული, პირველი ღარვა მაინც მახვამურს უნდა გაევლო. დ. ჯანჯღავა გვიამბობდა: „ასეთი დამწყები, პირველი მხვნელი ხშირად ჩემი ბაბუა გამოდიოდაო, რადგან იგი იყო დინოს საერთო მახვამური და საკმაოდ ჯანმაგარი კაცი, რომელიც თავისუფლად მიყვებოდა კავს და ხნავდა, ამიტომ პირველად სახვნელი, ოგაფა მას გაჰქონდა სახნავ მიწაზე“.

მიწის ადგილის, ფუძის მსგავსი სალოცავი საკმაოდ სრულად აქვს აღწერილი ჯ. რუხაძეს წიგნში: „ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში“: „ახალი წლიდან დაწყებული ერთმანეთს მოსდევდა დღეობები, რომლებიც მიწის მოსავლიანობის გადიდებისა თუ გვალვა-დელგმის საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი და რომელთა სალოცავი და შესაწირი ფრინველი კვლავ მამალი იყო“.[1] იგი ამ შრომაში საკმაოდ ხატოვნად და საფუძვლიანად აღწერს ამ სალოცავს მთელ დასავლეთ საქართველოში. ასევე, ნ. ბრეგვაძე საფუძვლიანად შეისწავლის „ბოსლობის“ დღესასწაულს. აღწერს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მისი შესრულების რიტუალს და აღნიშნავს, რომ „ბოსლობა“ ღვთაება ბოსლისადმია მიძღვნილი. ბოსელი არა მარტო შინაურ ცხოველთა, არამედ მიწათმოქმედების მფარველი ღვთაებაა“.[2] აქვე იგი განიხილავს „თედრობას“ // „თერდობას“ და სხვა სალოცავებსაც. ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დამოწმებულია მთელ საქართველოში მიწის ღვთიური თაყვანების ტრადიცია, აღწერილია სხვადასხვა რიტუალი და მათი შესრულების წესებიც. ასევე, საკმაოდაა ყურადღება გამახვილებული „ნერჩი პატენზეც“.

„ნერჩი პატენი“ რომ ფუძის სიკეთის დედაა, მისი ანგელოზი და მფარველია, დასტურდება თუნდაც იმით, რომ ყველაზე აუცილებელი აქტი, ყველაზე წმინდა და პირველი რიგის ადამიანური აქტი – მშობიარობა მიწაზე ხდებოდა. კერიის წინ, ჩალით მოფენილ მიწაზე შობდა დედა შვილს. ეს სავალდებულო რიტუალი იყო. თედო ნაჭყეპია გვიამბობდა: სანამ შობისათვის მოამზადებდნენ კერიის პირს, მანამ ოჯახის უფროსი ქალი დალოცავდა მიწას, სთხოვდა დედისა და ბავშვის ბედნიერ გადარჩენას. ამის შემდეგ მოასუფთავებდა მას, ზედ სელის ან ღომის რბილ ჩალას დააფენდა და მშობიარეს აწვენდა. მშობიარობის, მოლოგინე-

[1] გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, თბ., 1971.
[2] ნ. ბრეგვაძე, მითი მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 236.

ბის შემდეგ დედა აქვე აღავლენდა ნერჩი პატონისადმი სამადლობელ ოხვამურს. იჩოქებდა და მადლს ეუბნებოდაო მიწას“. გიორგი ჩიტაიას მიერ ასკანაში ჩაწერილი „მიწის გაჯერების“ რიტუალი მიწის, ნერჩის პატივისცემის, მისი გაჯერების სწორად პატივის საუკეთესო ილუსტრაციაა. ეტყობა, მისი მსგავსი რიტუალი საქართველოს სხვა კუთხეშიც იყო, ოდნავ შეცლილი ცერემონიალით, მაგრამ სულით და აზრით ერთნაირი.სამეგრელოში ეს რიტუალი დამოწმებული აქვს სერგი მაკალათიასაც.[1]

„ნერჩი პატონი“ რომ ნამდვილად ფუძის ბატონია, მისი დედაა, ფუძის დედაა, დამოწმებული აქვს ი. ქობალიას, რომელიც წერს: „შეიძლება დავასკვნათ, რომ ნერჩი მიწის ღვთაებაა.[2] ამასვე იმოწმებს ი. ყიფშიძე თავის „მეგრული ენის გრამატიკაში“.[3] ასევე ნერჩი მიწად და მის ღვთაებად მიაჩნია სერგი მაკალათიასაც[4].

„ნერჩი პატონი“ – ფუძის ბატონი, მიწა – დედა, რომ შეუცვლელი სათაყვანოა, ჩანს „**ნერჩიში გითოხვამუას**“ წესიდან. „ნერჩიში გითოხვამუა“ მეგრელ გლეხს ოჯახის უბედურებისაგან დახსნის, სიკეთის მიმნიჭებელ სავალდებულო რიტუალად მიაჩნდა. თუ ოჯახი სხვაგან გადასახლდებოდა, ნერჩს ამოთხრიდა, გობზე დადებდა და დიდი პატივით ახალ ადგილას გადაიტანდა და იქ ახალი კერიის ფუძეზე ჩაფლავდა. „თუ ნერჩი გაუნაწყენდებოდა, „გამოლოცვით“ მისი გულის მოგებას შეეცდებოდაო“, – გვიამბობდნენ დ. ჯანჯღავა, ს. კორძაია, დონა გეგია, მ. დარსალია, მ. კვირტია, ჩ. ქვაჩახია და სხვ. ეს რიტუალი სავალდებულო იყო. ფუძე და ფუძის მიწა ამდენად უაღრესად სათაყვანო და პატივსაცემია. იგი ოჯახის დედაა, რომელსაც ეყრდნობა ოჯახის სიკეთე და ბედნიერება. გამოლოცვის რიტუალს ოჯახის უფროსი კაცი ან დიასახლისი ასრულებდა. გამოლოცვის საიდუმლო რიტუალი სრულდებოდა მახვამურის წინასწარი მომზადებით. იგი დილით ადრე დგებოდა, სუფთად იცვამდა, ხელ-პირს იბანდა, შემდეგ წინასწარ გამზადბულ საოხვამურო, მრგვალ წრეებად გულამოხაზულ კვერებს, საზედაშე ღვინოს და მრგვალად მოხარშულ მამალს დებდა ხონჩაზე. შემდეგ  დაითხოვდა საოხვამურო კერიის ნაგებობიდან ოჯახის ყველა წევრს, თვითონ რჩებოდა მარტო, იჩოქებდა კერიის პირას და ლოცულობდა. ლოცვისას მიწას ზედაშეს ასხურებდა, ხონჩას მარჯვნივ ატრიალებდა. წმინდა სანთელი ხონჩის ოთხივე კუთხეზე მაგრად იყო დამაგრებული და იწვოდა. როცა მახვამუ-

---

[1] ს. მაკალათია,  სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941,  გვ. 271.

[2] XXXII. III გვ. 971.

[3] ი. ყიფშიძე, მეგრული ენის გრამატიკა, გვ. 276.

[4] დასახელებული ნაშრომი, გვ. 276.

რი მორჩებოდა ლოცვას, ადგებოდა, აიღებდა პირველ ლუკმას და შეჭამდა. ამის შემდეგ საოხვამურო ტაბაკს გააწყობდა და მთელ ოჯახს დაალოციებდა ფუძეს“[1] – გვიამბო დათიკო ჯანჯღავამ.

თუ ფუძე განაწყენდებოდა, ამით არ შეჯერდებოდა, ე. ი. უბედურება გრძელდებოდა, საოხვამურო ხონჩა მიჰქონდა დიასახლისს ან მამასახლისს **დინოს მახვამურთან**, ან სოფლის ყველაზე კეთილ და სახელოვან მახვამურთან და მას ასევე საიდუმლოდ ასრულებინებდნენ ლოცვას. **ნერჩიშ გათოხვამუა** საიდუმლო წესიც თვალის მოხვედრის, ეშმაკეულისაგან გათვალვის, თავიდან აცილების ზომა უნდა იყოს ამ რიტუალში. ურუან ადამია გვიამბობდა: „ეშმაკი, ჭინკე კოს უჭვიტინანს დო ქოძირუნს ხვამასინ, ოცად ხვამაში მოლასუას, ვარდა შარაში იკოკვარჩხუასია“ (ეშმაკი, ჭინკა კაცს უჭვრეტს, საიდუმლოდ ზვერავს და ნახავს რა ლოცვას, ცდილობს ლოცვის მოშლას, სალოცავის მადლის შეშლასო). ეს რიტუალიც მიწის, ნერჩი პატენის თაყვანების ძალიან საინტერესო წესია და უძველესი დროიდან მომდინარე რიტუალი უნდა იყოს.

ამრიგად, მიწა უძველესი დროიდან ქართველი კაცის ყველაზე თვალსაჩინო ღვთაებრივი ფემომენია, რომელსაც იგი მრავალმხრივ საინტერესო და მრავალფეროვანი რიტუალით ემსახურება, ეთაყვანება.

ეს თაყვანისცემა მარტო ლოცვით და სალოცავი რიტუალით კი არ იფარგლება, არამედ იგი სარიტუალო ხოტბის შესხმით, ღაღადისით, ჰიმნითაც აღინიშნება. უდავოა, ძალიან შორეულ წარსულში, ამ ღვთაებას მისტერიებსაც უწყობდნენ, მაგიურ ცეკვებსაც კი უმართავდნენ და ამ ცეკვით, მისტერიით ასრულებდნენ ჰიმნს და განასახიერებდნენ თავიანთ თაყვანისცემას ღვთაებისადმი. უამისოდ დიდი ღვთაებისადმი პატივისცემა პირველყოფილ ადამიანს არ შეეძლო გამოეხატა, როგორც ეს საერთოდ დამოწმებულია პირველყოფილი კულტურის ხალხთა თანამედროვე ყოფაში, მაგრამ იგი ძალიან შორეული წარსულის ამბავია. მას შემდეგ ქართველმა ხალხმა მრავალათასწლიანი კულტურული პროგრესი განიცადა, პრიმიტიული პირველყოფილი მისტერიები ჩამოსცილდა რიტუალს, სარიტუალო ჰიმნს და „გაკეთილშობილდა“. ისე, როგორც მრავალი, ოდესღაც უაღრესი თაყვანისცემის ობიექტი, დიდი ღვთაებანი – დელი, ვარადა, დიოვ, ჰარირა, ჰარალე და სხვა მრავალი. დღეს ღვთებრივი თაყვანისცემის რიტუალმოშლილი ჰიმნი მაგიური მისტერიის სახით, ცეკვით, ფერხულით სრულდება. აქ ღვთაება რეფრენში, მისამღერში ან სათხოვარში იხსნება, მაგრამ სიმღერა და ცეკვა სრულდება. ამით სახიერდება ეს ოდინდელი თაყვანისცემა. აქაც უხსოვარი

[1] დ. ჯანჯღავა, გმმ, ხმფ, ა, ჯგ. 123, „ძველი საკულტო და საყოფაცხოვრებო, გვ. 3.

დროიდან მომდინარე განვითარებითი წინსვლის გავლენა ჩანს. რწმენა და სარიტუალო ცერემონიალი იკარგება, მაგრამ მისტერია, სიმღერითა და ცეკვით შესრულებული, დღემდე შემორჩენილია. მიწის ღვთაების სათაყვანებელი სიმღერა, მიწის ღვთაებისადმი მიძღვნილი შრომის სიმღერა უნდა იყოს ცნობილი მეგრული სიმღერა **ოდოია**. იგი, მთქმელთა რწმენით, კომპოზიტი უნდა იყოს, სადაც მიწის ღვთაების სახელი ოდი გაერთიანებულია მისდამი დედობრივი მიმართვის ტექსტთან – დიასთან და, როგორც მთქმელები ირწმუნებიან, გამოითქმოდა ოდოდიად.

დედა მეგრულში ჩვეულებრივად ისმის – **დიდა და დია**: **დიდა ქომიორსიდა, დიდა ქოვძირი, დიაჩქიმი** (დედა თუ მიყვარს, დედა ვნახე, დედაჩემი) და ა. შ. „მეგრულში დედისათვის ჩვეულებრივია დიდა (დია-დეა), დიდაკუნს-დედა ჰყავს, დიამუში – დედამისი, დია-სქანი – დედაშენი, დია-ჩქიმი – დედაჩემი. დია შეიძლება იხმარის შვილმა, დედას თუ ეძახის (ვო, დია!), მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივია ნანა: ვო, ნანა! აღსანიშნავია აგრეთვე გამოთქმა: „ნანა-სქუა! – დედა-შვილო!“[1] – წერს აკად. არ. ჩიქობავა. „ოდოიაში“ **ოდის** ცალკე სიტყვად თუ მივიჩნევთ, მაშინ ია ბგერანაკლული, გვიან სამეტყველო სიტყვათწარმოებაში ბგერაამოვარდნილი სიტყვა უნდა იყოს, კერძოდ, **დია**. თუ ეს ასეა, მაშინ **ოდო დია**, ან **ოდო დედა**, ან **ოდო დედავ**, **მიწა დედავ**, ან, ჩვეულებრივ, დღეისათვის დამკვიდრებულ **დედამიწად** უნდა ვივარაუდოთ.

ასეთი ვარაუდის წამოყენების და ამ მხრივ დაკვირვების და მსჯელობის საბაბი გახდა 1978 წ. ივნისში მხცოვანი კორესპოდენტის, დავით ჯანჯღავას წერილი, სადაც იგი განიხილავდა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ 1976 წლის 11 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ ლადო ბახტრიონელის წერილს – „ოდი და დეა“. დ. ჯანჯღავა ამასთან დაკავშირებით გადმოგვცემს, რომ ოდო ან ოდი მიწის ღვთაებაა. ბევრჯერ გამიგონია და მსმენია ჩემი მოხუცებისაგან, რომ ოდოია ოდისადმი ვედრებაა. ოდი კი მიწის, ნერჩის ღვთაებააო. იგი აღნიშნავს, რომ მე ხშირად მსმენია, ოდოიას ოდოდიად გამოთქვამდნენო. ჩვენს მასალებში ვიპოვეთ 80 წლის მოხუცის – მელენტი მხეიძის ნაამბობიც, რომელიც სახალხო მთქმელი, მომღერალი და საოცრად მახვილგონიერი კაცი იყო. მან გადმოგვცა, რომ ოდოიაში „ოდოდია“ უნდა გვესმოდეს, რადგან იგი დედამიწის, მიწა დედის საგალობელი, საოხვამუროა. ოდო დო დია დედამიწაა. მისი გადმოცემით, იგი მიწის სალოცავი ჰიმნია, ღვთაების მიმართ სიკეთის მთხოვნი, მისი პატივისცემისა და აღიარების ჰიმნი. ამიტომ იგი მიწის მუშაობისას აუცილებელი სარიტუალო სიმღერაა. მიწის მუშას ამ სიმღე-

[1] არ. ჩიქობავა, „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, თბ., 1938, გვ. 18.

რის გარეშე შესრულებული სამუშაო უმადლოდ მიაჩნდა. ამ სიმღერის ტექსტს მელენტი მხეიძე (კიწია) და ურუან ადამია (ეგეგიე) ასე ამბობდნენ: **„ოი დო ოდო, ოდო დო დია, ოდოი კურთხეული, ეფშა დო კეთიი, ოდო ხვამილი, ჩქიმი ჭირიში მინჯე დო ჩქიმი სიკეთეში პატონი, ოდოი დო დია, ოდო დო დია, ხვამილი, ხვამილი!**“ (ოი და ოდო, ოდო და დია, ოდოი კურთხეული, სავსე და კეთილი, ოდო დალოცვილი, ჩემი სიკეთის ბატონი, ჩემი ჭირის პატრონი, ოდო და დია, ოდოი დია, დალოცვილი, დალოცვილი!). ეს ტექსტი, პირველად ჩვენ მიერ ჩაწერილი, უდავოდ, მიწის თაყვანების, მიწის დედად აღიარების საინტერესო სალოცავია და შრომის სიმღერათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო, მრავლისმთქმელი და მიმნიშნებელია.

მიწის ამ ღვთაების შესახებ პირველად მოსაზრება გამოთქვა პროფესორმა ვუკოლ ბერიძემ. „ოდო“ ღვთაებაა, „ოდიში“ ოდის ქვეყანაა, ოდი-შარნი – ოდიშის მცხოვრებნი. რა ღვთაება უნდა ყოფილიყო ოდი?! ოდი მიწის ღვთაებაა. იგი მოსავლისა და ჭირნახულის ღმერთია. ოდი ღვთებაა როგორც მოსავლის, ისე მოუსავლობისა. საჭიროა, რომ ოდი (ღვთაება) მოლბეს და ქვეყანას სიკეთე მოჰფინოს! საჭიროა მისი მოლმობიერება. როდის? მაშინ, როდესაც მოსახლეობის კეთილდღეობას ფუძე ეყრება, სახელდობრ ხვნის, თესვისა და, განსაკუთრებით, თოხნის დროს და სწორედ ამ საფუძველზეა აღმოცენებული შრომის სიმღერა „ოდოია“ (სამეგრელო), „ოდური (კახეთი)“.[1] ს. ჭანტურიშვილი იკვლევს ამ შრომის სიმღერის ამოსავალ საწყისებს და „ოდის“ მიიჩნევს სვანური ღვთაება „ვობის“ მეგრულ ვარიაციად, სადაც „ვობის“ „ოდი“-ს ფონეტიკურ სახეცვლილებად წარმოადგენს. ვობი კი ცა-ღრუბლის ღვთაებაა. ამდენად, ოდი ცის, ღრუბელ-წვიმისა და ავდარ-კარგდარობის ღვთაებად მიაჩნდა მეცნიერს.[2] ოდოია და, მისივე შესწავლით, სვანური „ოდოეჰაც“, ცისა და ამინდის ღვთაების სადიდებელ ჰიმნად მიაჩნია მოსაზრების ავტორს.[3] იგი ძირითადად დგას საბა-სულხანის ლექსიკურ მასალაზე: „ოდი წვიმა-მზის ნაწყენობა“. ვფიქრობთ, ეს აზრთა სხვადასხვაობა სათანადო ტექსტის უქონლობით იყო გამოწვეული. ახლა, როცა ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული ტექსტი გვაქვს, ეს დავა შეიძლება შეწყდეს. ტექსტში „ოდი მიწის ნაყოფიერების ღვთაებად, მიწის ღვთაებად ჩანს. აქ ოდი სავსედ და კეთილად მიაჩნიათ. მას მზიანობას, დარს კი არ სთხოვენ, მისი სისავსისა და სიკეთის მადლით ხარობენ და ლოცულობენ. ამიტომ ამ და-

[1] „მნათობი“, 1959.

[2] მაცნე, 1970, №6., ს. ჭანტურიშვილი, ნადური სიმღერა „ოდოიას“ საკითხისთვის, გვ. 103.

[3] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1969, XXVIII, ს. ჭანტურიშვილი, „შრომის სიმღერის კულტის საკითხისათვის სვანეთში, გვ. 247.

ლოცვილ ღვთებას დედას უწოდებენ, დედად აცხადებენ. დედა კი მიწაა, დედამიწა, ნანა მიწა, ოდი ნანა, **ოდი დია**. ვფიქრობ, ამ ტექსტში ეჭვის შეტანა ძნელია. იგი ბაბილონური „**ადადის**“[1] (სეტყვის და წვიმის ღვთაება) ადეკვატი არაა, რომ ფონეტიკური ცვლილებებით ოდოდიად წარმოვიდგინოთ. იგი ამ სალოცავი ტექსტის მიხედვით სრულიად გარკვეულად ჩანს მიწის ღვთაებად, მიწის ნაყოფიერების ღვთაებად. ჩნდება კითხვა: ოდი არის თუ არა ქართული ლექსიკური ერთეული, ქართული წარმოშობის სიტყვა? **ოდი** რომ დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია და იგი ქართული წარმოშობისაა, ქართული ძირ-სიტყვაა, ადასტურებს ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ამ სიტყვის ადგილი – **ოდოში** ქართულში საკმაოდ მტკიცედ ზის. ასევეა **დაოდვილი, დაოდვა** და ა. შ. სვანურში იგი სიტყვაა, სიმღერაში „ოდიეჰა“ (ს. ჭანტურიშვილი)[2] და **შაი ოდი შამორერა**, ან კავშირადაც იხმარება. „ცხორი ოდი ო. ცხორი, ოი, აში ლეშა“ და ა. შ. ასეა ეს სიტყვა მეგრულშიც. ორდო დილაა, ოდო შორისდებულია, „თენა გეპუნდუა, ოდო თიქ ქასკუა“ (ეს მომყვებოდა და ის შეებაო). აქ **ოდო** კავშირია და ა. შ. ოდი და ოდო ასე ისმის ზანური ენის სხვა დიალექტშიაც. პროფ. ვუკოლ ბერიძის მტკიცებისა არ იყოს, **ოდი, ოდიში** დამოუკიდებელი სიტყვაა, დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია, სადაც ო პრეფიქსი არაა, რადგან პრეფიქსობის შემთხვევაში იგი სათანადო სუფიქსსაც მოითხოვს. ასეთი სუფიქსი კი მას არა აქვს სა-ინდიარო, ო-კარი-ე, ო-ქარ-ე და ა.შ. ოდი ასეთი აღნაგობის ერთეული არაა, იგი **ორდოს**, **ოკოს** მსგავსად, დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია, მტკიცება, რომ ასეთი ერთეული მეგრულისათვის დამახაიათებელი არაა და ძიება ძირისა სხვა ენებში, ვფიქრობ, ზედმეტი სიფრთხილეა.

ამგვარად, მიწის თაყვანების ღვთაებრივი რიტუალი ქართველ ერს უხსოვარი დროიდან მოჰყვება ტრადიციად. იგი სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სახითაა, მაგრამ ერთი შინაარსითა და აზრით ხორციელდება. ყველგან მიწის ღვთაების სადიდებელი რიტუალი და ჰიმნი სრულდება, რომელთაც ზოგან მისტერია, მაგიური ცეკვები არ ახლავს. იგი ლოცვითა და სიმღერით გამოიხატება, ზოგანაც სიმღერას გაკეთილშობილებული ფერხულიც ერთვის, ზოგან თვით სახვნელიც კი ირთვება მისტერიაში (გ. ჩიტაიას მიერ აღბულაღის რაიონში აღწერილი რიტუალი) და ა. შ. მაგრამ მიწის ღვთაების თაყვანისცემა საერთო, ოდიც საერთო ქართულ ღვთაებად გვევლინება და „ოდოიაც“, ან „ოდოდიაც“ მისი სარიტუალო ჰიმნია.

---

[1] დასახელებული ნაშრომი, გვ. 5.

[2] დასახელებული ნაშრომი, გვ. 168.

# თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სამეგრელოში*

ხალხი, ხალხის მშრომელი მასა, ხალხის უმრავლესი ნაწილი, მისი ჩაგრული, დაბეჩავებული ნაწილი, სოციალური შეზღუდვისა და ძალადობის მსხვერპლი, სოციალურად გაბატონებული უმცირესობის სახელმწიფო ხელისუფლების ვითარებაში, როდესაც იკრძალება ყოველგვარი თვითმმართველობა ხალხის ამ ნაწილის საზოგადოებრივი სუვერენი მისი ნება-სურვილით, მისი ინიციატივით წარმოქმნილი ყოველი უმნიშვნელო სახელისუფლებო აპარატის ფუნქციონირება სასტიკად იდევნება, მაინც ქმნის თავის სახელისუფლებო სუვერენის განმახორციელებელ აპარატს. იგი იმდენად მძლავრი და თვალსაჩინო ხდება, რომ ხანდახან სახლმწიფო ხელისუფლება იძულებულია, თვალი დაიბრმავოს, თითქოს ვერ ამჩნევს, ბრძოლაში მარცხი განიცადოს და დროებითი ზავით სცნოს მისი დროებითი სუვერენი, როგორც ერთდროული და ხანმოკლე მოვლენა. ბარში ეს ასე ხდება, ხოლო მთაში ასეთი სახელისუფლო თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციონირება თითქმის გაბატონებული და ხელშეუხლებელია, ხშირად სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოყენებული, პირობითად მაინც მის სამსახურში ჩაყენებული, „ხევის ყრილობა“, „ხევის კრება“, „საზოგადოებრივი თავშეყრა“ „საზოგადოში კათუა“ და ა. შ. სრულიად აღიარებული და თუმცა კანონით დაკანონებული, მაგრამ მაინც სათანადოდ გამოცხადებული სუვერენია ბარში, სადაც გაბატონებული კლასის სოციალური მდგომარეობა მატერიალურად და იდეოლოგიურადაც სრულიად გაბატონებულია და სავსებით სრულყოფილი, ხალხის მშრომელი მასის სუვერენულ აპარატზე, მისი თვითმართველოების ყოველგვარ უმცირეს გამოვლინებაზეც კი სახელმწიფო სასტიკად რეაგირებს. ასეთ პირობებში ხალხის ოდითგანვე შექნილი თვითმმართველობის ხალხური სისტემა, ყოველგვარ ზედმეტ ორგანოთა ამ გაბატონებული კლასის პიროვნულ სოციალური სუვერენის მიერ კატეგორიულად აკრძალული მაინც განაგრძობს არსებობას და საჭირო შემთხვევაში, ფუნქციონირებას. ამდენად, იგი თვითნებურია, თვით ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი და ხალხური თვითმმართველობითი ფენომენი. ტრადიციულად მომდინარე, ახალი გამონაგონი კი არაა, არამედ უძველესი თვითმმართველობის გვაროვნული ცხოვრების სიღრმიდან მომავალი

* გ. ელიავა, ძიებანი, ქუთ., 1994.

თვითმმართველობის მტკიცედ აღებული ხალხური სუვერენული აზრის მიერ მტკიცედ დაკანონებული ტრადიციაა. პროფ. მ. კოსვენი აღნიშნავს ასეთი თვითმმართველობის სისტემის არსებობას პატრონომიის გარიჟრაჟიდან: „პატრონიმიას გააჩნდა თავისი თვითმმართველობა, თავისი ყრილობა, თავისი მეთაური, პატრონიმიის ყველა წევრი შეკავშირებული იყო სოლიდარობით, ურთიერთმხარდაჭერითა და თავდაცვით“.[1] ეს იყო უაღრესად საყურადღებო და საინტერესო ტრადიცია, რომელიც ხალხის დაბალ ფენებს შემდგომშიც გადმოჰყვა და საჭიროების შემთხვევაში სოციალური თუ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გზაზე იყენებდა მის მეხსიერებაში და მორალური მრწამსში მტკიცედ დაცულ ტრადიციას. ეს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი ტრადიციაა. მასზე წერდა სწორედ პროფ. ე. ი. კოზლოვი თავის სტატიაში „ეთნოსი და ეთნოგრაფია“: „დამახასიათებელია, რომ მსოფლიოს უმრავლეს ხალხებში ისტორიულად აღმოცენებული გვაროვნული თემის და მისი თვითმმართველობის ორგანო (სასოფლო ყრილობა) ეფუძნება უპირველს ყოვლისა ბუნებრივ საფუძველს: ინტერესების ერთობას“.[2] ოქტომბრის რევოლუციამდე სამეგრელოში ეს ტრადიცია თვალსაჩინოდ ფუნქციონირებდა და თავის როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ორგანოები, თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი აგებული იყო ხელისუფლების სტატუსის სრული შესაბამისობით, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების სახით, თუმცა თვითნებური და არსებული ხელისუფლების საკანონდებლო, იურიდიული მოთხოვნებით კატეგორიულად უარყოფილია.

## ხალხური თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანო

თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ხელისუფლების სტატუტს სათანადო იურიდიული პასუხისმგებლობით აგებდა. დაწესებული იყო საკანონმდებლო ორგანოს იურიდიული სახეცა და უფლებამოსილებაც. საკანონმდებლო ორგანო ხალხის მშრომელი მასის, მისი ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილის საერთო, საზოგადოებრივი ნების გამომხატველი იყო. მაგ., სოფელ ძიმითში ი. ჭყონიას დამოწმებული აქვს „ხევისკაცობის“ ინსტიტუტი. ხევისკაცებში გამომუშავებული იყო „ჭირის თუ ლხინის ერთობით გასასტუმრებელი სავალდებული წესები“.[3]

---

[1] მ. კოსვენი, პირველყოფილი კულტური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 150.

[2] Советская этнография, 1971, №6., გვ. 93.

[3] მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1963, გვ, 13.

ეს ორგანი თავდაპირველად ალბათ მთელი ხალხის განუყოფელი და ერთიანი, სოციალურად ერთიანის უმაღლესი ორგანოს ფუნქციის შემსრულებული, შემდეგ ამ ფუნქციის ტრადიციის გამაგრძელებელი და სახელმწიფო ხელისუფლების არსებული ორგანოების მიმართ საპროტესტოც და საპირისპიროც იყო. ასეთი ორგანო ხალხის არჩევით უფლებებზე იყო დამყარებული, დემოკრატიული თანასწორობა და თავისუფლება გამოხატული იყო ამ ორგანოს საყოველთაობით, საყოვალთაო თანადგომითა და მონაწილეობით, სადაც თემის, საზოგადოების ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობდა მის საკანონმდებლო საქმიანობაში, თანაბარი ხმის უფლება, ვალდებულება და პასუხისმგებლობა ეკისრა მის წინაშე. ამიტომ მის გადაწყვეტილებას, მის დადგენილებას თუ განჩინებას უსიტყოდ და გაუსაჩივრებლად ემორჩილებოდა. იგი ამას გარდუვლად თვლიდა, „ხმა ერისა და ხმა ღვთისაო“, – ეს რწმენა დიდებული დუღაბი იყო ამ ეროვნული თანადგომისა, საზოგადოებრივი ქველმოქმედებისა. „თემის ერთობას“ ხალხი ასე განმარტავს, – წერენ პროფესორები რ. ხარაძე და ა. რობაქიძე, – „თემი რომ შეიყრებოდა ერთი პირი ჰქონდა თემს, ერთკაცობა ჰქონდა, გაგზავნაზედაც ერთნი ვიყვენით, პირიც ერთი გვქონდა, სიმართლე ერთი გვქონდა“, ან კიდევ „წინაშე თემის ერთობა იყო, ერთი ხელის გვქონდა გარეშე მტრისათვინა“[1].

ასეთი საზოგადოებრივი ნების გამოხატულება იყო სამეგრელოში „საზოგადოში კათუა“. ასეთ შეკრებაზე ქუდზე კაცი გამოდიოდა. „საზოგადოში კათუა“ იწვევდა „საზოგადოში ოჯეში“ (საზოგადოების საყვირის) ხმაზე თურის, სამოხიოს, მუხურის, თემის საზოგადოების თავკაცობა ავალებდა მესაყვირის განსაკუთრბული „საზოგადოში ოჯე“ დაეყვერებინა, როგორც ეს სვანეთში და მთიულეთში ხდებოდა ან სვანეთში ლაშარის ზარის დარიცხვა საზოგადო შეკრებაზე იწვევდა ხევის ან საზოგადოების მცხოვრებლებს. ამ ხმას ყველა უსიტყვოდ მოჰყვებოდა „კათუაზე, საზოგადოში ოჯეს“ ყვირილს თან სდევდა სოფლის ეკლესიების ზარების რიტმული გუგუნი. სოფელი სოფელს გასასცემდა ამ ხმის ექოს და დღისით თუ ღამით მის ხმაზე „საზოგადოში ოკათურერეშიშა“ (საზოგადოების თავშესაყრელისაკენ) მიდიოდა ხალხი, შეიარაღებულნი თუ შეუიარაღებელი, ქუდზე კაცი, ხნიანი თუ ახალგაზრდა, „ოკათურეში“ სოფლის ცენტრში, ან ეკლესიის ეზოში, ან სოფლის თვალსაჩინო უბანში იყო. „ყოველ სასოფლო თემს ჰქონდა თავისი განსაკუთრებული ყრილობის ადგილი, ყრილობის საბჭო პერიოდულად იკრიბებოდა ცალკეული

[1] რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 62.

სოფლის წარმომადგენლებთან“[1] – წერს რ. ხარაძე. აქ ათასწლოვანი ხის კორომები იდგა. ხშირად მის ქვემოთ ძელი და ნიშიც იყო აღმართულ. მაგ., სანაჭყეპიოში დღესაცაა დაცული ასეთი „ოკათურეში“ ქეჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში. იგი ასეთი ოკათურეშის სტრუქტურულ აღნაგობაზე თვალსაჩინო წარმოდგენას გვიქმნის. აქ დაცული ქვის სავარძელი „მახვამურის“ ან „დუდკოჩის“ სავარძელია, სადაც იგი ან ზის, ან დგას და ქადაგებს, აწესრიგებს „საზოგადო კათუაში“ მსვლელობას. აქვე არის ურთხელის ძელი აღმართული, შეწირვის რიტუალის შესასრულებლად. იგი დღეს თაფლის სანთელთა მიწებებით და დაწვით საკმაოდ ტანდამწვარი, განახშირებული და გარუჯულია. აქვეა ცაცხვის ათასწლოვანი კორომები. აქვე ყოფილა მცირე ნიშიც საერთო სალოცავის – ქვის ჯვარის, შემდეგ წმინდა გიორგის ხატის დასასვენებლად. ასეთ „კათუას“ – შეკრებას აქ „მახვამური“, „დუდკოჩი“ ხელმძღვანელობს და არა მღვდელი ან საეკლესიო ან სახელმწიფოებრივი ხელისუფალი.

„საზოგადოებაში კათუაზე“ მოწვეული ხალხი ერთი თემის, გვარის, ერთის საზოგადოების წევრები „დოდკოჩიში“ თავკაცის, ხშირად მლოცველის, „მახვამურის“ მეთაურობით იწყებდა განხილვას იმ საკითხისა, რის გამოც იქნა მოწვეული „საზოგადოში კათუა“. მართალია ეს ადგილი, „ოკათურეში“ ქეჯვარობის სარიტუიალო – სადღესასწაულო ადგილი იყო, აქ რელიგიური რიტუალიც სრულდება, მაგრამ თემი „თურიში მუხური“, „სამოხიო“ საზოგადოება მას საზოგადოების შეკრების, „საზოგადოება კათუაში“ ადგილად თვლიდა უძველესი დროიდან, ფუძე დალოცვილს, ქეჯვარის ან ქვის ჯვარის მადლის ძალაუფლებამოსილს. მსგავსი კრებები და მის მეთაურთა – ხევისბერთა ინსტიტუტი დადასტურებულია საქართველოს თითქმის უმრავლეს კუთხეში: „სახალხო კრება, – წერს პროფ. რ. ხარაძე, – არჩეული ხევისბერის (სვანებში – ხევის მახვშვთა) მეთაურობით არჩევდა მთელი თემისათვის საჭირო საკითხებს“.[2]

„საზოგადოში კათუა“, საზოგადოების ყრილობა ან გადამთიელ მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლის, ან ბატონების განუკითხავი, უსამართლოთა მოქმედების, ან დიდი ჭირიანობის ხევისბერის, მთავარის[3] ან ძველ სამეგრელოში „დუდკოჩის“ მოწოდებაზე იკრიბებოდა. „დუდკოჩი“ მცირე

[1] რ. ხარაძე, ქართველ მთიელთა სასოფლო თემის ხასიათი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ანთროპოლოგია და ეთნოგრაფია, VII საერთაშორისო კონგრესის მასალები, მ., 1964, გვ. 5.

[2] იქვე, გვ. 5.

[3] ავტორს მხედველობაში აქვს ილია ჭავჭავაძის აღმზრდელი სოფლის „მთავარი“ თავკაცი. სოფლის უბრალო, მაგრამ ბრძენკაცი, ასეთი ნარჩევი კაცი „მთავარკოჩი“, „მთავარი კაცი“, სამეგრელოში, ქართლსა და იმერეთშიც არის.

შესავალს უკეთებდა შეკრებას და სთხოვდა შეკრებილთ, განეხილათ და თავიანთი მოსაზრებანი გამოეთქვათ ამ საკითხის გარშემო. იწყებოდა საკითხის ფართო და შეუზღუდველი განხილვა. სოფლის თავკაცები „რჩქინეი, ხანერი კათა“ (მცოდნე, ხნიერი ხალხი) ითხოვდნენ სიტყვას და დარბაისლური სჯა-ბაასით განიხილავდნენ საკითხს. ხალხი შეძახილით რეაგირებდა, დადებითად ან უარყოფითად მის სიტყვასა და წინადადებაზე. ადგილიდან რეპლიკებით, ასწორებდნენ, ან იწონებდნენ, უმატებდნენ ან განმარტავდნენ თავკაცთა მიერ წამოყენებულ აზრს, დასკვნას თუ წინადადებას. განხილვა შეუზღუდავი იყო, ხალხი გულისყურით უსმენდა ყოველ გამომსვლელს, მოსაუბრეს, შემდეგ ხევისბერი „დუდკოჩი“ აყალიბებდა წინადადებას და საერთო განხილვაში წამოაყენებდა მას. ხალხი ხმამაღალი შეძახილით ან იწონებდა, ან უარყოფდა წინადადებას, ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ყველა ერთხმად არ მოიწონებდა აზრს. ეს აზრი კი განჩინებად, გადაწყვეტილებად მტკიცდებოდა. ამის შემდეგ ხალხი მის განსახორციელებლად ირჩევდა: „რჩქინეი დუდ კოჩეფიში სასაჩიარო სხუნუს“. „სხუნიი კათაში სასაჩიაროს“ (მცოდნე თავკაცი საბჭოს, რჩეულ კაცთა სასაუბრო, საბჭოს) და ავალებდა მის განხორციელებას, კანონი მიღებული იყო, ამის შემდეგ დუდკოჩის მეთაურობით იწყებოდა დაფიცება. მსგავსი ხევისბერთა ან ხევის საზოგადოების რჩეულ კაცთა საბჭო დამოწმებულია პროფესორის ვ. ბარდაველიძის მიერ ფშავში[1], პროფესორ რ. ხარაძის მიერ მთიულეთში.[2] დაფიცებისას ხალხი საერთო სალოცავის წინაშე აღთქმას დებდა, რომ ერთგული იქნებოდა ამ გადაწვეტილებისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ თემის სიკეთეს ან უბედურებას ეხებოდა საქმე, მსხვერპლსაც კი სწირავდნენ ღვთაებას, ხარს კლავდნენ და ასე ცდილობდნენ ღვთაების გულის მოგებასაც. მსხვერპლის შეწირვაც ამტკიცებდა გადაწვტილების განხორციელების რწმენასა და ერთგულებას მისადმი. მაგ., სარა ნაჭყეპიამ გვიამბო მისი პაპის ნაამბობი: „როცა უტუს ურდუმი შეიკრიბა „საზოგადოში კათუზე“ შეკრებილი ყველა კაცი ხატზე დაფიცებით შეიკრა. ასევე ორი ხარი დაიკლა, და მსხვერლად შეეწირა ქეჯვარის სალოცავს, რათა მას ხალხის სამართლიანი საქმისათვის მიეხედა და იგი გამარჯვებით დაეგირგვინებია. სარა გვარწმუნებდა, რომ თავს მოიკლავდა რიგითი მეთაური „დუდკოჩი“, „სამოხიო“, „საზოგადოში კათუას“ წევრი და ფიცსა და „საზოგადოში განაჭყვიდას – არ უღალატებდა. იგი მზად იყო მისთვის თავი დაედო. ასე აგვიღწეროს იგი სალხინოს, ნაკიფუს, ხაბუმის თემში.

[1] ვ. ბაღდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივი საკულტო რწმენები, ტ. 1, თბ., 1974.

[2] რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

ასე აღგვიწერეს იგი ფილიებმა ჩქვალერში, ჯვარში და ა. შ. აჯანყებული გლეხები იკრიბებოდნენ თემების, მუხურების მიხედვით, ტეხდნენ ეკლესიებს, გამოჰქონდათ ხატები და საერთო საქმის სიმტკიცის ფიცსა დებდნენ. ისინი ამის შემდეგ ირჩევდნენ „დუდკოც“ და მის მოადგილეებს და ადგენდნენ „ურდუმს“, რომლის საინტერესო მოწმობას წარმოადგენს სხვა მრავალთა შორის ერთ-ერთი „ჩვენება“ რომელიც გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდშია დაცული.

„ჩვენება ჩამორთმეული 1857-ს წელს ივნიის 22-ს დღესა.

მაქალაქევის სოფლის წმ. კვირიკეს ეკლესიის მღდუელი ლაზარე შალამბერიძე, უშუფათის სოფლების ხალხი გამოვიდნენ მოწოდებისამებრ ამ ნაქალაქევის სოფლებით მცხოვრებთა მდაბალთა ხალხთა, ეს ჩემსა სამრევლოსა გაუქმებულსა კონსტანტინე და ელენეს საჯვარზე. შეიკრიბენ ზოგნნი ხალხნი სხუა სოფლებიდანაც და შეფიცეს ერთმანეთს. გასაღები მაგ საჯვარე ეკლესიისა თუით ქონდა იქაურს სტაროსტას დათიკა გრიგოლიას, იმ დროს თავკაცი ყოფილა უშაფათის მცხოვრები დათუნიკა გოგინავა. თუით პირისპირ დასაფიცებლად ხატი გამოუსვენებია და დაუფიცებია მიქულიჩა წულიას და შდ ფიცის აღსრულებისა წყობილებისამებრ მათისა თუით ნაჩალნიკად დაყენებულა ამ ნოქალაქევის სოფლებით ხალხთდამი განცხადებულნი მიქულიჩა წულაია და თანაშემწედ მისსა სიკო ფაჩვაშვილი. ურიადნიკებად უწოდნიათ გუძაია კილასონია და სხუათაც, მაგრამ მე არ ვიცი შემდგომში ურიადნიკები მათი. შდ. უსრედ სრულყოფასა შემასწროეს მე ლახორსა ოჯახში შემოსევითა, რომ მოახლე ქალისადმი მოძღვრულის მოწმობის მიცემისათვის (ქორ)წინებისაა, იმ დროს, როცა ოჯახის დასაოხრებლად შემომესიენ უწია ოდნი ერისთავი და მიქელაძე და დამიფარეს დაწვასა და დაოხრებისაგან ლახორთასა, გარნე ესე ვითარსა მემუქრებოდნენ და მიშობდნენ თხოვნისა გამო ოთარიკა წულაიასა ზემორე განცხადებულნი თავკაცენი, რაიცა ვაჩუენე თვით ნამდვილი მართალი, მას შა ხელი მოვაწერე, რადგან წერა არ იცის ძუელის წესისამებრ ჯვარს სვამს მღვდელი ლაზარე შალამბერიძე“.[1]

ამრიგად, „საზოგადოში კათუა“ თვითმმართველობის, ხალხის თვითნების უმაღლესი გამოხატულება, უმაღლესი ორგანო იყო, საკანომდებლო ორგანო, მისი გადაწყვეტილება ყველასთვის სავალდებულოსა და გარდაუვალს წარმოადგენდა, ამ ორგანოს სახელწოდებები გარდა „საზოგადოში კათუასი“, „ჯარალუაც“ იყო სამეგრელოში.

[1] გმმ, ხმფ, „ა“ ჯგ., № 266.

„ჯარობა“, „ჯარალუა“ ნ. რეხვიაშვილს წარმოდგენილი აქვს, როგორც სარიტუალო ან გართობითი ხასიათის შეკრებები, საჯარო დღესასწაულების სახით.[1] მართლია, ამ ტერმინის ქვეშ გართობითი ღონისძიება იგულისხმებოდა, მაგრამ უფრო მეტად და უპირველესად იგი ხალხთა ნება-სურვილის გამოცხადებისა და გამოხატვის ორგანო იყო, რომელიც ყოველ შესაძლო მომენტში შეიკრიბებოდა, ოღონდ ნიშანი მიეცათ დათქმული საშუალებით და წესით. ამრიგად, ამ ტერმინის ქვეშ ასეთი ორგანოს დაუნახაობა, ვფიქრობ, მეცნიერული თვალსაზრისით არასრულია. რასაკვირველია, „ჯარალუა“ გარდა საზოგადოებრივი შეკრებისა ან „ყრილობისა“ საზოგადოებრივი საჯარო გართობის და დასვენეის ფართო ღონისძიებასაც წარმოადგენდა. მას გარდა, საკანონმდებლო, გართობითი ფუნქციაც ეკისრა. „ჯარალუა“ იმავე თავშესაყარში იკრიბებოდა, მაგრამ წინასწარ შეთანხებული პერიოდულობით. ფორმითაც და შინაარსითაც იგი წელიწადში სამ-ოთხჯერ იმართებოდა სოფლის ცენტრში, ხოლო თვეში ერთხელ ან კვირის ბოლოს კი ცალკეულ უბანში, ცალკე კუთხეში, მუხურში. ასეთ ყრილობაზე ხალხი გამოწყობილი, გასართობად და დასასვენებლად გამოდიოდა მზად. იგი მღეროდა, ცეკვავდა, იმართებოდა მარულა, დოღი. აქვე მოხუცები ზღაპრებსა და თქმებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. წყვილები შემდეგ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და მათი სიყვარული ქორწილით გვირგვინდებოდა, მაგრამ „ჯარალუა“ გარდა ამ გართობითი მხარისა, სოფლის საერთო საზრუნავისა და საჭიროებისას განიხილავდა, ეს ნებითა და საკუთარი სურვილით შეკრებული ხალხი მწვანეზე, მრავალწლიანი ხეების ქვეშ, განსაკუთრებულ საქადაგოსთან იკრიბებოდა და იმართებოდა იმავე წესით სჯაბაასი, ეს ორგანო და საერთოდ, ყოფა-ცხოვრების ეს წესი ძველი და ტრადიციული წარმოშობის და მომდინარობისაა. იგი ოქტომბრის რევოლუციამდე მტკიცე წესად, ჩვეულებად რჩებოდა, სწორედ ამაზე წერს პროფ. მ. გეგეშიძე: „თანამედროვე ხალხური (ეთნიკური) ზნე-ჩვეულებები თავისთავად ძველი და ტრადიციული წარმოშობისაა და ისტორული განვითარებისა და მოქმედების პერიოდის ქრონოლოგიურ განსაზღვრას საჭიროებს“[2]. ასეთმა შეკრებებმა თავის სრულყოფის საფეხურს მიაღწია 1905 წლის რევოლუციის წლებში. თუნდაც 1905 წლის 26 მაისს წყემისა და ნოსირის „საზოგადოში კათუას“ შედეგები ავიღოთ. გაზეთი „მოგზაური“ წერს: „ხალხის თვითმმართველობამ დიდი ნაყოფის მოიტანა. ისეთი საქმეები მოიყვანეს სამართლით სისრულეში, რომელნიც პალა-

[1] ნ. რეხვიაშვილი, ჯარობა სამეგრელოში, კრებული „თედო სახოკია“, 1969.

[2] მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978, გვ. 74.

ტის კრებამაც კი ვერ შესძლო. დამბა, რომელიც მთავრობის ანგარიშით 6-8 ათასი მანეთი უნდა დამჯდარიყო, ორ დღეში გააკეთეს“. ამ „კათუამ“ აირჩია რა რევოლუციური კომიტეტი „სხუნიი კათაში საბჭო“ და შეიქმნა შეიარაღებული წითელი რაზმი გედე კაჭარავას მეთაურობით. გარდა მთავრობის ჯარებთან შეიარღებული შეტაკებებისა, დიდი აგრალური, სოციალური საკითხებიც მოაგვარა“[1]. ასე იყო ეს საქართველოს ყველა კუთხეში. მშრომელთა თვითმმართველობის ორგანოები მთელი ძალით ამოქმედნენ. საკანონმდებლო ორგანო „საზოგადოში კათუა“ სათემო ყრილობა, ერთობის კრება ყველგან ხელში იღებს ძალაუფლებას, ირჩევს თავის აღამსრულებელ ორგანოს, და ხდება ადგილობრივ ხელისუფლების ერთადერთი, ახალი, უაღრესად განვითარებული და სრულყოფილი ტიპი.

## ხალხური თვითმმართველობის ინსტიტუტში აღმასრულებელი ორგანო, სხუნუ, საბჭო

როგორც აღვნიშნეთ, ხალხური თვითმმართველობის საწყისები გვაროვნული წყობის წიაღში ჩაისახა. შემდეგ, როცა ჯერ კიდევ არ იყო მკვეთრად დარღვეული ხალხის თვითმმართველობა, საზოგადოებრივი თანადგომა, გვარის, თემის, ტომის ყოველი წევრის სუვერენული თანასწორუფლებიანობა, სახალხო ხელისუფლება, საზოგადოების ორგანიზებული მმართველობა, მტკიცე საჭიროებად ჩანს. რასაკვირველია, სოციალური გათიშულობა და კლასობროვი უთანასწრობის ელემენტები კი იკიდებს ფეხს, მაგრამ ჯერ კიდევ გვაროვნული წყობის საზოგადოებრივი, სოციალური ერთობა და თვითმმართველობის პრინციპები ძალაშია. მისი ბატონობის სოციალური სინამდვილის შიგნით საზოგადოების სოციალურმა გათიშვამ, კლასებად დაყოფამ და მკვეთრმა წინააღმდეგობამ დააფუძნა, თანდათონობით გამწვავდა და გადატრიალება მოახდინა საზოგადოების სოციალურ ყოფაში. აქედან მოყოლებული თვითმმართველობის, საზოგადოების ნება-სურვილის გამოხატვის ხალხური ორგანიზაციის ინსტიტუტი მაინც შემორჩა ხალხის თვითნებურ სამართლებრივ ნორმად, მართალია, შეზღდუელი და დევნილი, მაგრამ ხალხის, მშრომელი მასის სულისკვეთებაში მტკიცედ დაცული, საზოგადოებრივი კერიის ღადარში დაცული და საჭიროების შემთხვევაში კვლავ აგიზგიზებული ჩირაღდანი.

ეს ტრადიციული ინსტიტუტი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოსთან ერთად აღმასრულებელ ორგანოს ირჩევდა და ამ სახელისუ-

[1] გაზ. „მოგზაური“, 1905, №23.

ფლებლო ერთეულს მტკიცედ ინახავდა. ამ ინსტიტუტში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები სათანადოდ მორიგეობდა. საკანონმდებლო ორგანო ირჩევდა აღმასრულებელ ორგანოს „საზოგადოში კათუას“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილების, დადგენილების განსახორციელებლად და მისი განხორიცელების მიმდინარეობის სამეთვალყურეოდ.

ამ არჩევით აღმასრულებელ ორგანოს ხევის მახვშთა საბჭოს, ხევისთავთა საბჭოს მსგავსად, სამეგრელოში „სხუნუს“ (ნერჩევთა საბჭო) „რჩქინეი, სხუნიი კათაში საჩიაროს“ (მცოდნე ნარჩევი ხალხის სასაუბრო, სამასლაათოს) უწოდებდა ხალხი.

„საზოგადოში კათუა“ საზოგადოების, თემის ყრილობა მიიღებდა სათანადო გადაწყვეტილებას, მოიწონებდა და დაამტკიცებდა მას, შემდეგ შეუდგებოდა იმაზე მსჯელობას, თუ ვის უნდა შეესრულებინა ეს გადაწყვეტილება. თუ იგი შესასრულებლად ადვილი იყო, თანაც საერთო განსჯას არ მოითხოვდა, მისი განხორციელების ფაქტის გამო, ან თუ ძალიან მკაცრი, უაღრესად ოპერატიული იყო დადგენილება და ერთი პირის შეუზღუდველ ძალას მოითხოვდა, მაშინ ერთ პირს „რჩქინეთ დუდკოს“ (მცოდნე თავკაცს), ხევისბერს, მთავარს და ა.შ. ირჩევდა და ანდობდა მის განხორცილებას, მაგრამ მას სათათბირო უფლებით მრჩეველთა საბჭოს უყენებდა გვერდში, რომელსაც იგი საჭიროების შემთხვევაში უნდა დაკისრებოდა, რჩევა მიეღო. უმეტეს შემთხვევაში „კათუა“ ყრილობა ირჩევდა კოლექტიურ ორგანოს, საბჭოს, „სხუნუს“. საკითხს – „ვის მინდობოდა „კათუას“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება? – წყვეტდა მხოლოდ „საზოგადოში კათუა“, ყრილობა. ყრილობა იწყებდა კანდიდატის წამოყენებას და ცალ-ცალკე მის შეფასება-შემოწმებას. აყენებდნენ რამდენიმე კანდიდატურას. აქ მხოლოდ საზოგადობრივი ინტერესი იყო და კერძო, პიროვნული ინტერესები არ ასრულებდა არავითარ როლს. თუ ვინმე მიკერძოებას გამოიჩენდა, მაშინ ხალხი კიცხავდა და ყრილობიდან ითხოვდა. ამის საინტერესო მაგალითია მთიულეთში პროფესორების – რ. ხარაძის და ა. რობაქიძის მიერ აღწერილი „გაბუდაყვების“ ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლის ფაქტი – თემიდან მოკვეთა (თემი იკვეთდა ისეთ წევრს საზოგადოებისა, რომელიც ქონების დაგროვებისაკენ ისწრაფვოდა და თემისაგან გამოცალკევებას ცდილობდა).[1] ასე ხდებოდა ეს სვანეთში, მთიან სამეგრელოში, საქართველოს მთასა და ბარში. დასჯისა და თემიდან მოკვეთის საინტერესო წესი იყო ლიაში (წალენჯიხის რაიონი), მთელ სამეგრელოში. „საზოგადოში კათუამ“ ლაყორიას ციხის საიდუმლოების გაცემის გამო ერთი ადგილობრივი

[1] რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, მთიულეთი ძველად, თბ., 1965, გვ. 64.

მკვიდრი, რომელიც „გითოლთან მაჯინედ იდგა, ცოცხლად დამახვის წესით დასაჯა და შემდეგ „თეშიშე, ფანიიდან მოჭკირუ“ (თემიდან მოიკვეთა). ცოცხლად დამარხვის წესით ორმოს თხრიან, სადაც დამნაშავეს ყელამდე ჩამარხავენ ცოცხლად და ლაფს ასხამენ, ამის შემდეგ ცოცხლად დამარხულს ამოიყვანენ და თემიდან, ფანიიდან მოკვეთენ, გააძევებენ – „მოჭკირუნა“.[1] „ცოცხალი თხორილი!“ სამეგრელოში დღესაც შეურაცხმყოფელი მიმართვის მაღალ ფორმად ითვლება. ასეთი მიმართვის არსებობა იმაზე მიგვითითებს, რომ დასჯის ეს წესი მთელ სამეგრელოში უნდა არსებულიყო, „მიჯინეი“ კი „სხუნუს“ შემადგენლობაში შედიოდა, ერთადერთი „დოდკოჩი“ იყო, ასე დაემართა ერთ-ერთ „დუდკოჩს“ კურზუშიც, გოკიელის ციხის საიდუმლოების გამხელისათვის. ეს იყო პირადი ინტერესების, სილაჩრის, სისუსტის გამომჟღავნების გამო სასტიკი პასუხი. ასე მწვავედ და მთელი პასუხისმგებლობით იცავდა ხალხი საზოგადობრივი ინტერესისადმი ერთგულების სულისკვეთებას.

გარდა ამისა, რომ კანდიდატურა მკაცრ განხილვას გადიოდა, იგი არასოდეს იდებდა გულში ბოროტებას, გაკიცხვის, აურჩევლობის გამო, არჩეულიც არასოდეს თვლიდა მის შეუცვლელ არჩევას. ხალხის გადაწვეტილება მისთვის შეურაცხმყოფელი არ იყო. იგი ემორჩილებოდა ხალხის ნებას და უპროტესტოდ იღებდა მსჯავრს, იმახსოვრებდა კიდეც მას, რომ თავისი ხასიათები გარდაექმნა. საბჭოს შემადგენლობის რიცხობრივი რაოდენობა არ იყო განსაზღვრული, მას კრება, ყრილობა თვითონ ადგენდა ყოველ შემთხვევაში.

„სხუნუ“ ან საბჭო იკრიბებოდა განსაკუთრებით მისთვის აღიარებულ „ოკათურეშში“ (თავშესაყარში), ასეთი ადგილი, საბჭოს, სხუნუს ადგილსამყოფელი საყოვალთაოდ აღიარებული იყო. გარდა თავდაცვითი ღონისძიებების გამო სტრატეგიული თვალსაზრისით საჭირო შემთვევებისა, როცა სხუნუს ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებული იყო და იგი მხოლოდ საბჭოს წევრებმა იცოდნენ. მ. სურმავას მოგონებით, ხშირად ასეთ შემთხვევაში ადგილსამყოფელს „დუდკიჩი“ ირჩევდა და შიკრიკების მეშვეობით საჭირო დროს აცნობდა „სხუნუს“ წევრებს. ასე იქცეოდა თურმე მართალი თოდუაც. ფართოდ აღიარებული შესაკრებები და წინასწარ ყველასათვის ცნობილი იყო. მსგავსი ადგილსამყოფელი აღწერილი აქვს ბჭეხევისბერთა შეკრების ადგილსამყოფელის სახით პროფ. ვ, ბარდაველიძეს ფშავში.[2]

---

[1] იხ. ჩვენი საველე დღიურები და ანგარიში გმმ სამეცნიერო მასალათა ფონდში, 1980, აპრილი.

[2] დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.

„სხუნუს“ საბჭოს სხდომები საჯარი იყო. ყოველ მსურველს შეეძლო დასწრებოდა მის „კათუას“, მიეღო საკითხის განხილვისას მონაწილეობა. სხუნუ თვითნებურად ვერ იმოქმედებდა, ხალხის საერთო სურვილს ვერ გადავიდოდა. მსგავსი მოთხოვნა იყო მთიულეთშიც. პროფ. რ. ხარაძე წერს, რომ „უფლება ხევისბერთა და საბჭოსი, შეზღუდული იყო სოფლის, თემის, ყრილობის მიერ, თემის ყველა წევრი სარგებლობდა თვითმმართველობაში მონაწილეობის უფლებით“[1], ასე იყო ეს საქართველოს ყველა კუთხეში, ასე იყო ეს სამეგრელოში. საზოგადოების ყოველი წევრი, თავისუფლად აპროტესტებდა საბჭოს უკანონო ნაბიჯს და ითხოვდა მის იგნორირებას. „საზოგადოში კათუა“ ისმენდა ამ პროტესტს, გულდასმით იკვლევდა მას, შლიდა ძველ „სხუნუს“ და ირჩევდა ახალს. დამნაშავეს თემიდან, საზოგადოებიდან მოჰკვეთდა: „სხუნუ“ იძლეოდა განკარგულებას, აგზავნიდა შიკრიკებს, აყენებდა მეთვალყურეს – „მაჯინ“ ჰქმნიდა რაზმს, ხელმძღვანელობდა ბრძოლას, ამუშავებდა ბრძოლის სტარატეგიულ და ტაქტიკურ გეგმებს, იბრძოდა ხალხის საერთო ინტერების დაცვისათვის.

„სხუნუ“ სამეგრელოში გლეხთა 1857 წლის აჯანყების ერთ-ერთი სერიოზული აღმასრულებელი ორგანო, აჯანყების შტაბი იყო.[2]

## აღმასრულებელი პიროვნების ინსტიტუტი

„სხუნუ“ ყოველთვის ირჩეოდა „მენცარი“, „მართალი“, „ქუმული“, „ქივანაშოთ მოხანდე“ (მეცნიერი, მცოდნე, მართალი, ვაჟკაცი და ქვეყნისათვის მშრომელი) ადამიანებისაგა., ისინი ყველანი „დუდკოჩები“ იყვნენ. „სხუნუ“ ამათ შორის თვითონ არჩევდა „დუდკოჩები“ იყვნენ, „სხუნუ ამათ შორის თვითონ არჩევდა „დუდმანჯღვარს“ (წინამძოლს). „მახვამურს“ – მლოცველს, სამღვდელო პირს, სარწმუნოებრივ მაერთებელს, სარწმუნოებრევ ერთპიროვნებად შემკვრელს, მენცარს – მეკანონეს – მენამუსეს მეცნიერს, განათლებულ, ერისა და კანონების დაუფლებულ პირს, მაჯინს – მეთვალყურეს, მზირს, შინაგანი წესრიგის მეწესეს. „ოშიშდუდს“ (ასისთავს), რომელიც ცალ-ცალკე კუთხეში, მუხურში ავრცელებდა სხუნუს გადაწვეტილებებს. რაზმავდა ხალხს მის განსახორციელებლად. „ოშიშდუდი“ მთლიანად სხუნუს ემორჩილებოდა. მართალი თოდუას „სხუნუ“ ხშირად იკრიბებოდა „ოფოცხოში“ – გოშქანში (ლებაჩიეს ზემოთ, კალამუნას მთის აღმოსავლეთ ჩავაკებაზე

[1] რ. ხარაძე, ქართველ მთიელთა სასოფლო თემის ხასიათი, 1964, გვ. 5.

[2] მ. კოლხიდელი, გლეხთა აჯანყაბა სამეგრელოში 1857 წ. და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა, თბ., 1926, გვ. 67.

(ნათურქუს სამხრეთით). „სხუნუ“ მიჰყავდა „დუდმანჯღვარს“ – მართალი თოდუას. იგი ხალხში ამ ეპითეტით იწოდებოდა. მას მართალ, პირდაპირ, სამართლიან, მამაც კაცად იცნობდნენ. ისინი მისგან ღალატს ან უპატიოსანი საქმეს, ნაბიჯს არ ელოდნენ. მის მოწოდებას უყოყმანოდ მიჰყვებოდნენ, სხუნუს სხვა წევრებიც მის პატიოსნებას, სიმართლეს და ვაჟკაცობას დიდ პატივს სცემდნენ. ამიტომ მის „სხუნუში“ სრული ურთიერთგაგება, ნდობა და პატივისცემა ყოფილა გაბატონებული. ამ ფაქტს ბოროზდინიც ადასტურებს.[1] უტუს პირად ღირსებაზე ჩერდება დიმიტრი ლემონჯავა. „უტუ თოდუა იყო სოფელ წაჩხურუს მცხოვრები, ჯამ-ჭურჭლის ხელოსანი. მთელ სამეგრელოში დიდი ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდა. იგი უაღრესად სამართლიანი ადამიანი იყო და ამიტომ ხალხში უტუს მეტსახელად „მართალს“ ეძახდნენ“.[2] ასე ხასიათდებოდნენ „სხუნუს“ საბჭოს სხვა წევრებიც ერთგულება, პატიოსნება, ხალხის საქმისადმი თავდადება – აი, რა იყო მათი დამახასათებელი თვისებები. „ოშიში დუდუც“ დიდად პატიოსანი, თავდადებული, სანდო კაცი უნდა ყოფილიყო. ამიტომ მათი შერჩევა დიდი პასუხისმგებლობით ხდებოდა. ხალხის რჩეული „ოშიშდუდიშის“ საინტერესო მაგალითია გოგია ჭოჭუა ნაოღალევიდან. იგი უსამართლო ნაბიჯს ძმასაც არ აპატიებდა და სახალხო კრებაზე ამტყუნებდა საკუთარ ძმას. მასთან ხალხი რჩევისა და სამართლიანობისათვის მიდიოდა, ყველა უყოყმანოდ მორჩილებდა მის მსჯავრს. თვითონ გოგია ძალიან მშრომელი, არც ღარიბი, მაგრამ არც გაკეთებული გლეხი იყო, მისი კარი ყოველთვის ღია იყო ყველა მთხოვნელისა, გაჭირვებულისა და შეწუხებულისათვის, ამიტომ სოფელში მასზე იტყოდნენ „იგი ჩვენი მამაო!“.

გარდა ამ ორი პიროვნებისა, საბჭო ან (სხუნუ) საჭიროების შემთხვევაში ირჩევდა „მაჯინეს“ (მეთვალყურეს, მზირს, დარაჯს). იგი იგზავნებოდა საიდუმლო დავალებების შესასრულებალდ, იცავდა ხევის კარს, სტრატეგიულ სიმაგრეებს, იცავდა გზებს ყურსალებისაგან (კაცთა გამყიდველებისაგან). მაჯინეც დიდად სანდო, პატიოსანი და ერთგული ხალხისაგან უნდა ყოფილიყო შერჩეული. მაშასადამე, „სხუნუ“ კოლექტიური ორგანოა და ცალკეული წევრები „დუდკოჩები“ – „დუდ მანჯღვარი“, „ოშიშ დუდი“ და „მაჯინე“, გარკვეული აზრით, აღმასრულებელი უფლებით აღჭურვილ პიროვნებას წარმოადგენენ, რომელთაც ენდობოდნენ, მაგრამ დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებდნენ და პრინციპულად სჯიდნენ მათ ყოველ ნაბიჯს. ეს იყო ნდობისა და კონტროლის

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934, გვ. 136.

[2] დ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში, თბ., 1957, გვ. 59.

საუკეთესო შეხება. ასეთი შეხება „გაუტეხელი ციხის“ სიმტკიცით მოსავდა „საზოგადოში კათუასა“ და მის აღმასრულებელ ორგანოს – „სხუნუს“. „სხუნუს“ წამყვანი წევრი, ერთ-ერთი თვალსაჩინო „დუდკოჩი“ იყო „მენცარი“ ან „მენამუსე“, „მეკანონე“, რომელსაც აზრი და გონიერების სიკეთე შეჰქონდა სხუნუში. „მენცარი“ უფრო განათლებული, მასწავლებელი და მღვდელმსახურთა რიგიდან ირჩეოდა. ამრიგად, სხუნუს ასეთი შედგენილობა ყოველი ღირსებით მოსავდა ამ ორგანოს. მაშასადამე, აღმასრულებელი ორგანოში – „სხუნუში“ აღმასრულებელი ფუნქციები განაწილებული იყო: „დუდმანჯღვარი“ – საერთო ხელმძღვანელი, მახვამური – სარწმუნოებრივი ერთობის გამრიგეს წარმოადგენდა, მანცარი – ადათისა და სჯულის მეკანონე, ოშიშდუდი – შეიარაღებული რაზმის მეთაური, მაჯინე – მზირი, შინაგან საქმეთა გამგე. ასეთი იყო ამ ორგანოს ფუნქციონალური შედგენილობა, რაც ძალიან გონივრულად იყო განსაზღვრული და პრაქტიკულად ფუნქციონირებდა შორიული წარსულიდან.

ასეთი ერთგული, აღმასრულებელი უფლებით აღჭურვილი, სპეტაკი კაცების მეთაურობის გამო ხალხი დიდ ნდობას უცხადებდა ამ ორგანოებს, სწამდა მათი, ერთგულებდა მათ: უყოყმანოდ ასრულებდა მის ყოველ გადაწყვეტილებას. საზოგადოება ხალხს, საზოგადოების წევრს ზრდიდა სულისკვეთებით, ებრძოდა საერთო საქმის სიკეთისათვის, თავდადება, ერთგულება გამოეჩინა ამ საქმის მიმართ. ამიტომ იყო, რომ გადაწყვეტილებას ხალხი ემორჩილებოდა, ენდობოდა, ასრულებდა, თავს სწირავდა მას. „ხმა ერისა და ხმა ღვთისაო“ – იყო ამ დაუწერელი ვალდებულების მტკიცე საფუძველი, მაგრამ ბრმად, განურჩევლად არ მისდევდა მას. მაგ., როცა ფაცაციების და ჯანაშიების საზოგადო კრებამ აირჩია „სხუნუ“, სხუნუში გაერია ვინმე რუხაია, რომელიც ჯოღორია მოურავის კაცი ყოფილიყო. ამ კაცს ჯოღორიასათვის მიეტანა სხუნუს გადაწყვეტილება. ხალხმა მოითხოვა მისი გაძევება. როცა სხუნუ წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას, მაშინ ისევ შეიძრება „საზოგადოში კრება“, აირჩია „სხუნუს“ ახალი შემადგენლობა, გააძევა საზოგადოებიდან გამცემი რუხაია და „დუდმანჯღვრად“ კოჩია ჯანაშია აირჩია.[1] ეს ისე ღრმად ზის ხალხის ხსოვნაში და ისე მტკიცედ სწამს ამ ცვლილების და მოვლენის გარდუვალობა და სამართლიანობა, რომ თვალნათლივ რწმუნდები კაცი, რაოდენ მტკიცე იყო საზოგადოების საერთო ნება, რამდენად სუვერენული და ხელშეუხებლად წმინდა იყო იგი, რაოდენი პასუხისმგებლობა.

[1] გმმ ხმ ფბ., ფაცაციას მოგონება, №86.

ამრიგად, ხალხის თვითმმართველობის ინსტიტუტი, მტკიცედ დაკანონებული ხალხის მიერ და სახალხო მორალის ნორმად ქცეული, უხსოვარი დროიდან დიდხანს გადმოჰყვა ხალხს. ყოველ ქვეყანას, მართალია, თავისი არსებითი, ეროვნული, მორალური ნორმები აქვს და ამიტომ მოთხოვნებიც თავისებური და განსხვავებულია, მაგრამ ხალხის თვითმმართველობის ინსტიტუტი და მისი სუვერენიის პრინციპები ყველას აქვს, როგორც ძირითადი ეროვნული ფენომენი, საერთო და მსგავსი.

დღეს დემოკრატიული რესპუბლიკის ვითარებაში სწორედ ეს სტრუქტურა და ფორმები უნდა დაფუძნდეს, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საფუძველზე გაკეთილშობილებული და ამაღლებული, თუმცა ეროვნული მახასიათებელით გამორჩული. ამას აყენებს სადღეისო მოთხოვნები.

# ჩაფილობა მეგრულ ყოფაში*

(ნაცვლად მოგება, ნაცვლად მიღება, ნაცვლად გამოცხადება)

საქართველოს ერთ-ერთმა რეგიონმა – სამეგრელომ და მისმა მოსახლეობამ – მეგრელებმა ყოფაში უძველესი დროიდან ბევრი საინტერესო ტრადიცია შემოგვინახეს. ყველა მათგანი თავიანთი ძირითა და შინაარსით საერთოქართულია, ოღონდ რეგიონული მახასიათებლით გამორჩეული. ზოგჯერ საქართველოს სხვა კუთხეში დავიწყებული, ყოფიდან გასული, ან კიდევ სახეცვლილი, რეგიონული მახასიათებლით თავისთავად გამორჩეული, სამეგრელოს ყოფაში კვლავ ფუნქციამოუშლელია. ავიღოთ თუნდაც ასე მკვეთრად შემორჩენილი მეგრული წარმართული შვიდდღიური სისტემა, ქართული სელექციის საკვირველი პრაქტიკა, სოციალურ-ეთნიკური ტერმინოლოგია და მათი გამოყენებისა და სიცოცხლისუნარიანობის ფაქტი, ხალხური თვითმმართველობის საოცარი ინსტიტუტი, ტაბუს – „ვაშინერსის“ ეთნიკური ნორმის ასე მფეთქავი სიცოცხლისუნარიანობა და სხვ.

სისხლით ნათესაობა, ხალხის ყოფის მაკავშირებელი, მაახლოებელი და ურთიერთობის განმაახლებელი ფენომენია. იგი პირველყოფილი პატრიარქალური ოჯახიდან, შემდეგ პატრონიმიის დროს წარმოქმნილი ახალი გვარების, სისხლით ნათესაური კავშირების დედოა. გვარი (მაგ., თური) სისხლით ნათესაური კავშირით და გვარ-სახელით შედუღაბებული, ერთმანეთთან შეუღლებააკრძალული, „ვაშინერსის“[1] ტაბუდადებული კავშირი ადამიანთა ყოფის მარად ცოცხალი, მარად მოქმედი ყოფითი ერთობაა. მისი გადარქმევა, მისი შეცვლა და მოშლა არ შეიძლება – ესაა ადამიანთა ცხოვრების, საზოგადოების მაცოცხლებელი, გარდუვალი ნორმა.

ადამიანი სისხლით ნათესავის, ახლობლის გარდაცვლების გამო დანაკლისს ძლიერ განიცდის. მამის, დედის, დის, ძმის და ა. შ. დანაკლისი ძლიერ აწუხებს და ამარტოხელებს კაცს. მას უჭირს მის გარეშე ცხოვრება. ასეთი დასაყრდენისა და საიმედოს გვერდში დგომა, მისი ნათესაური სითბო ყოველ ჟამს სჭირდება და ასე დასჭირდება ყოველთვის ადამიანს.

---

* გ. ელიავა, ჩაფილობა, კრებული „ძიებანი – 2“, ქუთ., 1995, გვ. 65-70.

[1] იხ. მარტვილის მუზეუმის ფონდებში დაცული ექსპედიციის მასალები, გმმ, 15959/1.

ამიტომ უძველესი დროიდან წესად იქნა შემოღებული ახლობლის ნაცვლად მიღება, ნაცვლად მიღება არა სისხლით, ხორციელად, არამედ სულიერად ახლომდგომი ადამიანისა. მას სამეგრელოში „ჩაფილობას“ უწოდებენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაძმობილება, ძმად შეფიცვა და ა. შ. დღესაც არის დაცული ყოფაში. მსგავსი, ოღონდ უფრო გავრცობილი და მახასიათებელი ნორმებით გამორჩეული წესი ამ რიტუალისა, შემორჩენილია სამეგრელოში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი წესი ქართველი ხალხის ყველა კუთხის მცხოვრებთა ყოფაში „ჩაფილობის“ მსგავსი იყო და მხოლოდ მეგრული ყოფისათვის არ იყო დამახასიათებელი. ამის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს სვანური „მამად აღიარება“, „მამად მიღება“, მსგავსი აფხაზური წესია იმერეთში „მამად დასახვა“ და ა. შ.

ამიტომ, ჩვენი აზრით, „ჩაფილობა“ ზოგადქართული ფენომენია, ასე გამორჩეულად დღეს მხოლოდ სამეგრელოში შემორჩენილი, მსაგავად წარმართული შვიდდღიური სისტემის დღემდე თითქმის შეულახავად არსებობისა.

„ჩაფილი“ (ნაცვლად მოგებული) დღემდე აღიარებული, ადათად ქცეული და ნათესაობის დაცდილი გზაა, ხორციელი ნათესავის თანაფარდი, მეხუთე მუხლამდე, მეხუთე თაობამდე დაურღვეველი, ისევე ახლობელი, საფიცარი და მოსაფრთხილებელი, როგორც სისხლით ნათესავი. ეს ასეა მთელ საქართველოში. სვანეთში იციან „შეფიცვა“, მთიულეთში „ფიცის ვერცხლის“ მიღება, სისხლით შეფიცვა, დედმამიშვილად შეფიცვის რიტუალის შესრულება და ა.შ. ასე ხდება ეს აფხაზეთში, ქართლში, კახეთში, და ა. შ. ამის შემდეგ ნაცვლად მიღებული ნათესავი ხდება. ახლო ნათესავი ხდება დედის, მამის, დის, ძმის, ცოლის ნათესავი.

სამეგრელოში „ჩაფილობას“ საკუთარი რიტუალური ნორმა და წესი აქვს. აქ ჩაფილი ან მაგივრად მიღებული ხდება მამის, დედის მაგიერი და არა მხოლოდ ძმისა და დის მაგიერი. „ჩაფილობის“ კანონით იგი იგივე დედაა, იგივე მამა და ორივე მხრივ, როგორც მაგივრად მიმღების, ასევე მიღებულის მხრივაც, დაურღვეველი სისხლით ნათესაობის თანატოლი და მორალური კოდექსით უფრო მეტი, მტკიცედ დაცული ვალდებულების ყოფითი აუცილებლობაა. „ჩაფილობა ბრერს გავალენს კოს“ (ნაცვლად მიღება ბევრს გავალებს კაცს), ეს ვალდებულება მტკიცედ ტაბუდადებულია – ვაშინერს.

ჩაფილი, მართალია, სისხლით ნათესავი არ არის, მაგრამ სისხლით შეკრულია, გაჭრილი, თითით ერთმანეთისათვის სისხლშენაჯვარია (როგორც ეს მთიულეთში იციან), ფიცვერცხლნაჭამი ან დაფიცებულიაო, რაც შემდეგ ხალხის დაუწერელი კანონით, ადათით გაუტეხელი და

დაურღველია. იმისათვის, რომ მას ძალა მისცენ, ადათით აკანონებენ. იგი რომ სისხლითნათესაობით კავშირზე უფრო მეტია, მასზე უფრო მტკიცეა, უფრო ახლობლურია, ამიტომაცაა გადაულახავი და გაუტეხელი. სხვადასხვა კუთხეში ამას სხვადასხვა რიტუალური ნორმა აქვს. სამეგრელოში იგი რიტუალითაც გამორჩეულია, მაგ., ნაცვლად მოგება ხდება მიცვალებულის დატირების მეორმოცე დღეს, ან უკიდურეს შემთხვევაში – წლისთავზე. მანამდე ირჩევა თვითონ მამღების მიერ კანდადატი, მოწმდება მისი ერთგულება და ღირსება. შემდეგ ხდება მისი გამოცხადება და გამოტირების დღეს ცხადდება რიტუალის შესრულება. ამ რიტუალს ესწრებიან ახლო ნათესავები, ახლობლები. მოგებულად, მიღებულად, ჩაფილად მიჩენილი კაცი ჭრის სამგლოვიარო თმას და ხსნის მგლოვიარობის ტაბუს. იგი ვალდებულებას კისრულობს რომ ფიცით იქნება მისი დედის, მამის თუ სხვათა შემცვლელი, ერთგული წევრი ოჯახისა, მამა, დედა, ძმა შეფიცულისა. დედად მიღების დროს შვილად მიღებული დედას ძუძუზე კბილს ადგამს, თითქოს მისი დედური მადლის, ძუძუს რძის მადლის თანაზომი ხდება. ამის შემდეგ იდება მათ შორის სისხლით ნათესაური ტაბუ და იგი მეხუთე მოდგმამდე ვრცელდება. ახალი ნაცვლად მიღება, „ჩაფილობა“ მათ გვარებში არ შეიძლება მეხუთე მოდგმამდე. ეს გვარი, ან ეს შთამომავლობა მიღებულთან სისხლით-ნათესაურ კავშირშია.

ჩაფილის და მის მიერ შვილად, დედად, ძმად მოგებულის ვალდებულება ადათით დაწესებული და დაცულია. ჩაფილი ვალდებულია, ქომაგი გახდეს მისი. იგი ერევა მისი ბედის ყოველი საჭიროს გამორჩევისას, მისი დაოჯახების, სწავლის, საზოგადოებაში გასვლის ყოველ ნიუანსში ამბობს თავის გადამწყვეტ სიტყვას. სიტყვა საბოლოოა და გაუტეხელი. იგი ამოწმებს და ირჩევს სასიძოსა და სარძლოს. არჩევს და ყოველმხრივ აპირობებს სამოსახლოს, სახლის ფუძეს, ერევა ოჯახის წევრთა დავაში და იცავს მის მიერ მიღებულის ინტერესებს. იგი ვალდებულია, წარუდგეს საზოგადოებას და დაიცვას მისი მიღებულის ინტერესები. მატერიალურადაც ვალდებულია სქუა ჩაფირის, დაჩიფირის, ჯიმაჩაფირის მიმართ. მათ მატერიალურ ნაკლებობას და საჭიროებას თავზე იღებს. ეს იმედი ადათით დაკანონებულია და მისი გატეხვა თემიდან გარიცხვას, ჩაქოლვას ან ცოცხლად ლაფის დასხმას იმსახურებს.

სქუა ჩაფილიც ან მიღებულიც, მაგივრობადადებულიც ვალდებულია, რჩევა ჰკითხოს ჩაფილს, გაიზიაროს მისი რჩევა, წინ არ აღუდგეს მის სიტყვას, ფიზიკური შეურაცხყოფაც აიტანოს მისგან; მისი დასკვნა უყოყმანოდ შეასრულოს, მატერიალური თანადგომაც გაუწიოს, მის

უკითხავად ნაბიჯი არ გადადგას, პატივი სცეს მამის, დედის, დის, ძმის ტოლს, ვის ნაცვლადაც ითვლება იგი.

ეს ვალდებულება „ჩაფილებს“ შორის გარდუვალია, ადათით სავალდებულოა. ეთიკური ნორმა „ვაშინერს“, აკრძალვა დადებულია ყოველი ისეთი ნორმის დარღვევის მიმართ. ეს დარღვევა სასტიკ მსჯავრს იწვევს საზოგადოებისაგან და საქმე თვით თემიდან მოკვეთამდეც, ჩაქოლვამდეც კი მიდის.

ჩაფილობის ყველაზე ახლობლური, ყველაზე უპირველესი მაინც დედ-მამის მაგივრად მიღება, მოგებაა. დიდაჩაფირი დედის ნაცვლად მოგებული, მიღებულია. იგი დედინაცვალი კი არაა, არამედ სულიერი დედა, მოგებით დანათესავებული. მათ შორის დედაშვილობის სიახლოვე გაუტეხელია. დედინაცვალი მამინაცვლის მეუღლეა, ან მამის ასეთივე მოკავშირეა, ხოლო დიდაჩაფირი მისი დედის ძიძისმიერი შემცვლელია. მისი ვალდებულება ჩაფილის მიმართ უცვლელია. იგი ვალდებულია, იზრუნოს მასზე და პასუხისმგებელია, რომ ასეთი ვალდებულება მტკიცედ დაიცვას.

1965 წელს სოფელ კურზუში ქეთუ ახალაისაგან (მაშინ 85 წლისა იყო) გიტარაზე დამღერებული ტექსტიც გვაქვს ჩაწერილი, რაც ამ სიახლოვეს და სიკეთეს დიდ მადლად თვლის.

„დიდაჩაფილი დიდას მიცოცხლენს
დიდაში მარდით ძუძუშა მაფგ
კიბირი გენადგუმა.
ჭირს დიდათ მიცუნს,
ლხინს დიდათ მიცუნს,
ირ ბორჯის დიდაშ სიკეთეთ
ჩაფირი ეთადგუმუ,
ჩაფირიში საქვარს
მარდი ვაარკუ,
ჩაფირი ირ გაჭირებას
წოხილე იწაბიჯუ.
სქან სანთელო
დუს ქიშეწირენს,
დიდაჩაფილი ეფშარე
ღორონთიში შეწეთ!“.

დიდაჩაფირი იმედია, სვეტია, ბჯენია „სქუაჩაფირისა“. დედის გარდაცვალება დიდი ტრამვაა, მისი მადლი დაუვიწყარია. ეს ტკივილი „დიდაჩაფირით“ იოლდება და ამ სატკივარით გამოწვეული ხარვეზი ივსება. ასევეა „მუმაჩაფილი“ (მამად მოგებული), „ჯიმაჩაფილი“ (ძმად მოგე-

ბული), „დაჩაფილი“ (დად მოგებული) და ა. შ. მათ შესახებ ჩვენ მრავალი მასალა გვაქვს ჩაწერილი ჩვენი ექსპედიციის მასალებში, კორესპოდენტების – გედეონ ხუხუნის, დავით ჯანჯღავას, როდიონ ფაღავას, მართა ჩიქოვანის, ალექსანდრე გაბუნიას და სხვათა ეთნოგარფიულ კრებულებსა და მასალებში, რაც ჩვენი მუზეუმის და, ძირითადად, ჩვენს არქივში ინახება.

ჩაფილობა არ გამორიცხავს სხვა ერის შვილთა დაძმობილებას, ჩაფილად მიღებას, თუმცა ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ მაინც დასაშვებია. ერთხელ, იყო შემთხვევა, რუსი კაცი მამად მოგებულად გაუხდა ოჯახს და მას სულიერ, მამობრივ მზრუნველობას უწევდა. ბევრი შემთხვევაა, როცა რუსი უპატრონო ბავშვი შვილად მიიღო, ან სრულიად დაობლებული ბავშვი შვილად მიიღო ოჯახმა და უპატრონა მას, როგორს „სქუაჩაფილს“. თუმცა ჩაფილობის უფლების მატარებლად არასდროს ყოფილა რელიგიურად განსხვავებული კაცი ან ქალი, თუმცა ადათით ესეც არაა გამორიცხული. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რაოდენ ღრმაა ინტერაციონალური ურთიერთგაგება. ნათესაური განწყობა უდავოდ ქართველი ხალხის მახასიათებელი ფენომენია უხსოვარი დროიდან.

ამრიგად, ჩაფილობა მეორედი, ახლადმიღებული, ჩართული, მაგრამ მტკიცე ნათესაობაა, ნათესაობის გამამრავლებელი და ხალხის დაუწერელი კანონით მტკიცედ დაცული, რომელიც უხსოვარი დროიდან ყოფის მახასიათებელ თვისებად მოჰყვება ხალხს. იგი ხალხის სიკეთის, მისი კეთილმოსურნეობის, გამრავლების, კეთილშობილების მახასიათებელი და წარმმართველია.

# აგვარეგისა და აცანგუარეგის საკითხისათვის*

აფხაზეთის მთიანეთში, როგორც ამას მეცნიერები ნ. ალბოვი, მ. ივაშჩენკო, ც. ბჟანია, ნ. კვეზერელი-კოპაძე აღწერენ, როგორც ამას თავის მონოგრაფიაში ცნობილი მეცნიერი შ. ინალ-იფა იკვლევს, აცანგუარები აფხაზეთის მთიანეთისათვის დამახასიათებელი მოვლენაა და ვრცელდება სამურზაყანოშიც, გალის მთიანეთში. აცანგუარები დაკავშირებულია აცანების სამესაქონლეო კულტურასთან. ამ ერთეულის სტრუქტურა, მიზნობრივი დანიშნულება, აგების არქიტექტურა თითქმის იმეორებს, მეტ-ნაკლები რაოდენობით, სტრუქტურულ იგივეობას, თუმცა გეგმარში განსხვავებულია, რაც სტრუქტურულ მიზანდასახულობას, მათ იდენტურობას არსად ღალატობს.

აცანების ეთნიკური წარმომავლობა ბოლომდე დაუდგენელია. იგი არაა მიჩნეული დღემდის ცნობილი რომელიმე ხალხის ეთნიკურ მემკვიდრედ. მეტ-ნაკლები რაოდენობით აცანები იქნებ აფხაზეთის ან მთიანი კოლხეთის ერთ-ერთი აბორიგენი ტომია. გადმოცემებში, ლეგენდებში მითითებულია, რომ ისინი ჯუჯა ხალხი იყო, ძალიან მოძრავი, შრომისმოყვარე, მომთაბარე, მესაქონლე ხალხი, რომლებიც არსებულ სამესაქონლეო კულტურას ავსებენ ხალხური სელექციის უნიკალური მიღწევებით. მათი საქონელი ყოველთვის გამოირჩეოდა ღირსებით, აღნაგობითა და პროდუქტიულობითაც. როგორც პროფესორი შ. დ. ინალიფა იმოწმებს მოხუცი აფხაზის მკალბას გადმოცემას, აცანების... „ჯოგში მთავარი ადგილი ეჭირა თხებს, რაც ხალხს გადმოეცა აცანებისაგან. მათ გამოიყვანეს განსაკუთრებული ჯიშის გრძელწვერიანი თხა. თავის ჯოგს ისინი აყენებდნენ სპეციალურ ქვით შემოკავებულში. ამ მცირე შემოკავებულს, აცანების მიერ აგებულს, ცალკე თავიანთვის და თხებისათვის და ცხვრებისათვის, ეწოდებოდა „**აცანგუარები**“, ე. ი. „აცანების შემოკავებული“.[1] აცანები რომ რომელიმე დღემდის ცნობილი ხალხის უდავო მემკვიდრეები არიან, ან თავტომია, არაფრით დასტურდება. იგი განიცდის შემოსული ხალხის მხრივ დევნას. ამიტომ მოხდა, რომ აცანები ამ ადგილებში ქრებიან, რჩება მხოლოდ მათი მატერიალური კულტურის მემკვიდრეობა, აცანგუარების სახით.

---

* იბეჭდება პირველად (რედ.).

[1] შ. ინალ-იფა, აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის ფურცლები, 1951, გვ. 126.

როგორც მკვლევრები აკვირდებიან, გადმოცემებით, აცანები აფხაზეთსა და სამურზაყანოში ქვის ხანის მკვიდრნი არიან, მრავალრიცხოვანი, როგორც ჭიაყელა, და ისეთი ჯუჯა, რომ მიწის ზედაპირზე, მაღალ ბალახთა შორის ძლივს ჩანდნენ, მაგრამ ისე ძლიერნი იყვნენ ფიზიკურად, ისე შრომისმოყვარენი, რომ ძნელია სხვა ხალხის მათთან შედარებაო.

პროფ. ინალ-იფა იმოწმებს გადმოცემებს და აღნიშნავს, რომ „თავდაპირველი მთიანი აფხაზეთის მცხოვრებლები იყვნენ საკვირველად პატარა ადამიანები, უმცირესი აცანები“. ოდესღაც ქვეყანაში მათ ეკავათ მთელი ჩვენი მთები. ეს იყო ჯერ კიდევ თანამედროვე მოსახლეობის გამოჩენამდე... ამბობენ, რომ ისინი ისე მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ მათ მიწა არ ყოფნიდათ... მათ ჰქონდათ ფართო მკერდი და ძლიერი მხრები. ისინი საერთოდ გამოირჩეოდნენ მძლავრი ფიზიკური ძალით, ასევე გამბედაობითა და მამაცობით. ყოველ მათგანს, რომელიც იმყოფებოდა სანადიროდ, შეეძლო, მაგალითად, მხარზე გადაედო და წაეღო საცხოვრებელ ბინაში ყოველგვარი მოკლული ნადირი“.[1] აცანები, როგორც ჩანს, ეტყობა არა მხოლოდ მესაქონლეები იყვნენ, არამედ ისინი მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ. მათ გამოჰყავდათ ხორბალი, რომელიც შემდეგ გადაეცა თანამედროვე მოსახლეობას. „აცანებს მოჰყავდათ ხორბალი“[2] – შენიშნავს ინალ-იფა. ამრიგად, თუ გავრცელებულ გადმოცემებს და ცნობილ მეცნიერთა მიერ გულდასმით შესწავლილ ცნობებს დავეყრდნობით, მაშინ, უდავოა, რომ აცანები მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას დაუფლებული და აბორიგენი ხალხი იყო, რომლებმაც მრავალი სასარგებლო საქმე შეასრულეს, ბევრი საინტერესო ტრადიცია დაგვიტოვეს, განსაკუთრებით მესაქონლეობის, მიწათმოქმედებისა და საცხოვრებელ ნაგებობათა აგების დარგში. მაგრამ ამ მრავალრიცხოვან ტომს რადგან მიწა არ ყოფნიდა, არ შეეძლო ერთ ადგილას გაშლილიყო; მას უნდა ეძებნა ახალი მიწები. ნ. ალბოვის ცნობას თუ დავეყრდნობით: „ამ ძეგლებს (აცანგუარებს – გ. ე.) ეპყრა ფართო ტერიტორია მთელს აფხაზეთში, ბზიფიდან ენგურამდე“.[3] და მაინც, ამ ტერიტორიაზე არ ეტეოდა ეს ხალხი. ც. ბჟანია აღნიშნავს, რომ აცანათა ფოლკლორმა ჩვენს დრომდე მოიტანა ამბავი ოდესღაც მათი კონსოლიდაციის დროს გვაროვნულ ნათესაურ ჯგუფებსა და ეთნიკურ კავშირებს შორის მიმდინარე ბრძოლების შესახებ, რაც დაკავშირებული იყო მიწების დაპა-

[1] იქვე, გვ. 124-125.
[2] იქვე, გვ. 126.
[3] ნ. ალბოვი, ბოტანიკურ-გეოგრაფიული კვლევა დასავლეთ ამიერკავკასიაში, თბ., 1984, გვ. 144.

ტრონებასთან, ერთი ეთნიკური ჯგუფის ტერიტორიების მითვისებასთან მეორის მიერ“.[1]

ეტყობა, რომ ეს ხალხი მეზობელი ხალხების კეთილმოყვრულ დამოკიდებულებას არ განიცდიდა. იყო საშინელი ბრძოლები. ზოგი ადგილზე დარჩა და შეეთვისა აფხაზ მოსახლეობას (იქნებ მშობლიურს), თუნდაც ლეგენდა ნართებთან დანათესავების შესახებ და ა. შ., მიგვითითებს იმაზე, რომ ადგილზე დარჩენილი აცანები შეერწყნენ სხვა ეთნიკური ერთეულის ხალხს, რომლებიც უტევდა მათ, ხოლო უმეტესობა, როგორც გადმოცემები ამტკიცებენ, ადგილიდან გაქრა, გაიშალა ალბათ მთელს კოლხეთში – ბარშიც და მთაშიც.

ნ. ალბოვის თქმით, „ძალიან შორეულ დროში ამ მთებში ცხოვრობდნენ ჯუჯები, რომლებიც ეკუთვნოდნენ ცანების მოდგმას (აფხაზური გამოთქმით) და ცანიებს (სამურზაყანოდან), რომლებიც იყვნენ უღმერთო ხალხი, ამიტომ ღმერთმა მათ ცეცხლი გაუჩინა და დაწვა, ასე გაქრა ალბათ ეს ხალხი მიწისაგან პირისა“.[2] გაქრა ხალხი, მაგრამ დარჩა მათი კვალი, დარჩა ძეგლები, მათი სადგომები და ნაბანაკარები, რომლებიც მთელს აფხაზეთში ცნობილია „აცანგუარების“ სახელწოდებით. ამდენი მიმოხილვა, რაც წინ დავურთეთ ჩვენი მოხსენების ამ ნაწილს, სწორედ ამ საინტერესო ძეგლთა ისტორიამ, მისი შემქმნელი ხალხის საქმიანობისა და ყოფის დახასიათების საჭიროებამ გამოიწვია.

რა არის **აცანგუარა**? იგი იქნებ კონკრეტული, აფხაზური მოვლენაა, იქნებ აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიული წარსულისათვის დამახასიათებელი და მარტო აფხაზეთში არსებული? ვფიქრობთ, ეს აცანები აფხაზური თუ წინარეაფხაზური, ან, საერთოდ, კოლხური ტომი, ხანგრძლივი შინაბრძოლისა და მეზობელი ხალხების მოძალების გამო გაიფანტა მთელ კოლხეთში, დარჩა მხოლოდ მათი კვალი.

ცნობილი აფხაზი მეცნიერი შ. ინალ-იფა წერს: „დიდი რუსი სწავლული ნ. ა. ალბოვმა, რომელმაც გაიარა დასავლეთ კავკასიის მთელს გაყოლებაზე, 1893 წელს, პირველმა მიაქცია ყურადღება ძველი ქვის ნაგებობებს, „აცანგუარას“ სახელწოდებით არსებულს, რომელიც არსებობდა აფხაზური ალპური საძოვრების ზონაში. ის წერს, რომ აფხაზეთის თითქმის ყველა მთაზე სიმაღლიდან 7000-7500 ფუტისა (1233-2236 მეტრისა), შეიძლება ვნახოთ ორიგინალური ნაგებობა, რომელსაც აქვს ცნობილი შემორაგვის სახე, ცემენტის გარეშე, ქვის უხეში წყობით“, ხოლო არქეოლოგი მ. ივანშჩენკო განიხილავს რა გარეგანი ოვალის არსებობას და

[1] ც. ბჟანია, აფხაზთა მეურნეობის ისტორიის შესახებ, სოხ., 1962, გვ. 119.
[2] ნ. ალბოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 145.

შესავალს აღმოსავლეთის მხრიდან, სხვა ნიშნებითაც მას სარიტუალო დაწესებულებად თვლის.[1] ინალ-იფა უარყოფს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ აცანგუარები შენდებოდა არა საკულტო, ან სხვა სათაყვანო ადგილებში, არამედ იქ, სადაც არის მდიდარი საკვები საქონლისათვის და მწყემსებისა და მათი ჯოგების მოხერხებული სადგომები".[2] ამრიგად, გადმოცემებისა და ძეგლების შესწავლის საფუძველზე ისინი უნდა იყოს მხოლოდ მწყემსთა და მათ ჯოგთა სადგომი. ნ. ი. კვეზერელი-კოპაძე ამტკიცებს, რომ მათი მშენებლები იყვნენ ადგილობრივი აბორიგენები ქვეყნისა და არა უცხო ქვეყნის ვაჭრები.[3]

აფხაზური ფოლკლორი ამტკიცებს, რომ აცანგუარებს აშენებდნენ მესაქონლე აცანები. ამ აზრს იზიარებენ ცნობილი მეცნიერები. ამ აზრს ადასტურებს ცნობილი მეცნიერი შ. ინალ-იფაც. მათი რიცხვი აფხაზეთში, მისი დათვლით, 100-ზე მეტია. იგი დღეს, გარდა ამ ძეგლების დასახელებისა, ტოპონიმებად ქცეულია და ფართოდ გამოყენებული კიდეც.

აცანგუარები ქვა-ღორღის მაღალი ყორით შემოზღუდული უძველესი ნაგებობაა. მას სხვადასხვა ფორმა აქვს, არის წრიული, წელში მოჭერილი, ოვალური, სწორკუთხედი და კვადრატის ფორმისა, რომლის ცენტრში თუ განაპირში არის ცალკე გამოყოფილი განყოფილება. მასში შესასვლელი, უფრო მეტად აღმოსავლეთიდან, ისე კი ხშირად დასავლეთით და სხვა მხრივაც გვხვდება. კედლის სისქე 1 მეტრს აღემატება, ხან მასზე ცოტა ნაკლებია. აცანგუარას არც ცენტრში და არც შესასვლელთან, არც რომელიმე ადგილას, არ შეინიშნება ხის ან ქვის ნაგებობის კვალი, რომელიც გადახურვის ქვეშ გამოიყენებოდა. ყველგან მას აცანების ნასახლარად, ნაბანაკარად, ნადგომად თვლიან. მათი ზომები ხან 5 X 5,5 მეტრის სიფართისაა, ხან ცოტა მეტი, ხან ნაკლები, მაგ., შ. ინალ-იფას აღწერილი აქვს ბაგნა ბლაბურხვის მთის აცანგუარა. იგი სწორკუთხედის ფორმისაა, აღმოსავლეთიდან შესავლელი კარით. სწორკუთხების გვერდების სიგრძე 5 მ-ია, განი 1,2 მ, კარის სიგანე 0,5 მ-ია, კედლის სისქე 1,5 მ, საერთო ფართობი უდრის 16,5 მ-ს.[4] „აცანგუარები" ჩვენ მტკიცედ გვარწმუნებს, რომ აცანათა სამესაქონლეო სადგომების არქიტექტურას გავლენა უნდა მოეხდინა კოლხეთის მთიანეთის სამესაქონლეო ნაგებობათა მშენებლობის მშენებლებზე. მისი გავლენა კოლხეთის მთიანეთში გარდუვალად მიგვაჩნია. ამან დაგვაინტერესა და გაფიქრებინა, რომ გვეცადა ასეთი გავლენის დაძებნა. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ჩავუფიქრ-

---

[1] შ. ინალ-იფა, დასახელებული ნაშრომი გვ. 29.

[2] შ. ინალ-იფა, დასახელებული ნაშრომი გვ. 50.

[3] ნ. კვეზერელი-კოპაძე, საგზაო ნაგებობანი.

[4] შ. ინალ-იფა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 90.

დით ამ ძეგლთა მშენებლების განსახლებულობის მოწმეებს. ვფიქრობთ, ასეთი მოწმეები მთელ კოლხეთში მტკიცედ უნდა იყოს დაცული.

ჩვენ ვფიქრობთ, სამურზაყანოელი **ცანია** ანუ **ცანა** (მეგრულად) გვარია, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე. თვით ტოპონიმი **აცანა** მრავალ ადგილას მიინიშნება. იგი ცნობილია გურიაში. ასევე, ჩვენ იგი ლეჩხუმში, საჩხერესა და ჭიათურაშიც დავამოწმეთ. **აცანა-აცანების** გვარად ქცეული ეთნიკური ტერმინის გავრცელება თვით აცანათა სამოსახლო ადგილებს უნდა რქმეოდა, ასე გვიამბო გიორგი ჩხეიძემ აცანაში – აქ აცანები ცხოვრობდნენ ოდესღაც, ეს ადგილები აცანების დასახლებაა. აცანები დღეს ამ ადგილებში არ ცხოვრობენ. ასევეა ლეჩხუმსა და ზემო იმერეთში. დარჩა მხოლოდ ტოპონიმი, ხოლო გვარი აცანა ძნელად შემოგვხვდება. სამეგრელოში გვხვდება ცანას და ცას გვარი. ცანები, ან ცანავები ძველი მესაქონლე ხალხია, საკმაოდ ძლიერი გვარი, რომელსაც თავისი დამახასიათებელი სამეურნეო დარგი აქვს. ისინი, გარდა მესაქონლეობისა, მიწათმოქმედებასაც ეწევიან. არიან შრომისმოყვარე მიწათმოქმედნი. მათი ჯოგი, როგორც გრიშა ცანავამ გვიამბო, მთელ გურიაში, აფხაზეთსა და სამეგრელოში დადიოდა, სადაც საზაფხულო ბანაკები ჰქონდათ მოწყობილი. ცანები ითვლებიან მეგრული შავი ძროხის გამომყვანებად, რომელთაც, დარსალიების შავ ძროხასთან შედარებით, განსაკუთრებული ნიშანი აქვთ და, მათ შორის, ისინი უფრო მაღალნი არიან, უფრო მოქნილი და დიდი ტანისა, ლამაზი ფერებით, კარგი წველადობითა და მაღალი ცხიმიანობით. ისმის კითხვა: ეს გვარი ხომ არ არის მემკვიდრე აფხაზეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობისა – აცანებისა, რომლებმაც თავისი საცხოვრისიდან განდევნა განიცადეს და გაიფანტნენ მთელ სამეგრელოში?

ამასთან, მეორე გვარი, ეს დღემდე მხოლოდ მესაქონლე გვარია, ცა ან ცაავა, დღეს სახლობს სალხინოში, ლეცავესა და კურზუში. ისინი მხოლოდ თხის მწყემსებად ითვლებიან. ცა თხასაც ჰქვია. „რამდენი ცა გყავსო“, – ეტყვიან კიდეც მეგრელები ერთმანეთს. ცები ან ცაავები „ეცეში თხის“, „ეცეს თხის“ გამომყვანი მეთხეები არიან. „ეცეში თხა“ ან ეცავეს თხა დაახლოებით 1 მეტრის სიმაღლისაა, სწორ, მაღალ ფეხებზე მდგარი. ხშირად მისი ტანის სიგრძე 1,30 მ-საც კი აღემატება. აქვს გრძელი, ფაფუკი წვერი, სწორი, მაღალი რქები, უფრო მეტად თეთრ-ნაცრისფერი შეფერილობისანი არიან. გამორჩეულია დიდი ჯიქნებით, იწველის 6-7 ბოთლს. ბადებს 2 და ხშირად 3 ციკანს. ეს თხა ცების, ან ცაავების სიამაყე იყო, ჩვენი საუკუნის 40-იან წლებამდე. საიდან მოვიდა ეს გვარები, ამის შესახებ ჩვენ დაბეჯითებით არ შეგვიძლია არაფრის თქმა. ოღონდ

თვით გვართა ფონეტიკური დამთხვევა და მათი ყოფითი მხარეები და მეურნეობრივი დასაქმებულობა გვავარაუდებინებს, რომ ისინი იქნებ აცანათა შთამომავალნი იყვნენ. თუმცა ძალიან ძნელია, ამტკიცო, ამდენი ხნის განმავლობაში გაძლებდა გვარის ეს გამორჩეული და თანმთხვევი სახელი. მაგრამ აქ სხვა მოწმესთანაც გვაქვს საქმე. აცანგუარების გავრცელების ზონა ბზიფიდან ენგურამდე მიინიშნება. ენგურის შემდეგ, სამეგრელოს მთიანეთში, ცაგერამდე, მესაქონლეთა სადგომებს აგუარებს ეძახიან. აგუარები სავსებით შესაბამისი ფორმებით, შესაბამისი სტრუქტურით ხასიათდებიან. არის მრგვალიც, ოვალურიც, კვადრატულიც, სამკუთხედისა და ოთხკუთხედის ფორმისა. აგუარა ჩვენ იმ გვარიდან მომდინარედ მიგვაჩნია, ფონეტიკური მსგავსება სავსებით შესაბამისია. ჩვენთან **აგუარა**, **აგუართა** საქონლის საზაფხულო სადგომია მთაში. აგუართა სიტყვასიტყვით გვართუასაგან არის წარმომდგარი, „თაქ გვართუ“, „ქუა გუართუ“, „ქუა ქუდაგვართი“ – იტყვის მეგრელი. ამრიგად, **გვართუა** ქვის გროვის დაგვართვაა, სწორედ, ფორმისამებრ დაგვართვა. მართლაც, აგუარა ქვის გვარაა, „ქუაში გვარაა“, ქვის გორაა, ქვის ხორგაა. აგუარა ქვის ხორგით შემორაგული მასივია, სადაც მესაქონლე ღამე თავის საქონელს წველის, მკურნალობს და სახეების მიხედვით აყენებს. აქვეა მისი ღია და გვიან კი დახურული სადგომი, სადაც შუაცეცხლის ორგვლივ არის ქვის სადგამები და ხის ჯირკოები. ზოგჯერ ეს ჯიხური გადახურულია, ზოგჯერ არცაა გადახურული. ასე იყო წარსულში. დღეს კი ჯიხური საერთოდ დახურულია ორფრთიანი სახურავით. მის გვერდით, ერთგან სახბორეა და მეორეგან საძაღლე. შემდეგ გაშლილი აგუარაა. აგუარას უკანა ნაწილი გამოყოფილია საერთო სამსახურის ეზოთი. საქონელი პირველად აქ შემოდის, აქ წველიან, უტარებენ სამკურნალო ღონისძიებებს და შემდეგ შუა ნაწილში შედენიან, სადაც საქონელი თავის სახეობრივ სადგომზე – „თგფგ“-ზე დგას. „თგფგ“ მოხსენებული აქვს თედო სახოკიას სამურზაყანოში.[1] იგივე დასახელებული აქვს შარდენს. ორივე ავტორი მიუთითებს, რომ ეს ბანაკი საერთოდ „თგფგ“-დ იწოდება. ვფიქრობთ, ეს კორესპონდენციის უზუსტობაა. თგფგ მთლიანად სადგომს კი არა, კერძოდ, მწყემსისა და საქონლის სახეობრივ სადგომს, მის კუთხეს, მის სპეციალურ უბანს ნიშნავს, აგუარას შიგნით. ამას ადასტურებენ მწყემსები წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის მთიანეთში. აქ აგუარა ამ თგფგ-ებად იყოფა.[2] ჩვენ ჩვენს პუბლიკაციაში ფართოდ გვაქვს აღწერილი მწყემსთა ეს საზაფხულო სადგომი. იგი

[1] თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 278.

[2] ჟ. შარდენის მოგზაურობანი სამეგრელოში, მაცნე, ისტორიის... სერია, 1973, №2; გ. ელიავა, ქართა (აგუარა) სამეგრელოში.

ზომებშიც თითქმის ემთხვევა აცანგუარებს: 5 ან 8 X 6 X 14 მეტრთან. იგიც 1 მ სისქის ქვის უბრალო წყობით შემორაგულია, დაახლოებით 1,5 მ სიმაღლეზე. აქვს შესასვლელი და *თგფგ*-ებად დაყოფილი აცანებიც. იგი დღესაც გამოიყენება. მაგ., დოდო წულაიას აგუარა 5 X 2 მეტრი სიდიდისაა. ასევე, გრიგოლ სხულუხიას, ისაკი, იაკინთე, კაკო, ლადი და სხვა ცაავების, დავითი, გერა, ონისიმე თოდუებისა და სხვათა აგუარები. ამრიგად, მოცულობითი, სახეობრივი, დანიშნულებითი შესატყვისობანი სავსებით შესაბამისია. თვით ტერმინის ფონეტიკური აღნაგობაც იგივეა. უფრო მეტიც, თვით ტერმინი **ლაგუარტა** ხომ არ იმეორებს აგუართას? ლაგუარტა ან აგუართა ასევე სადგომია, ოღონდ ქალებისა.[1] ასევე აგუარა აფხაზეთში უცხო არაა, მას დღესაც იყენებენ. მაგ., აჩაგვარა აჩუსაგვარა უნდა იყოს. აგუარა სამურზაყანოშიც ისმის.

აგუარასთან ყოველთვის არის **აზმახები**, ხელოვნური ტბორები, საწყურებლები. მაგ., გალის რაიონში შ. ინალ-იფა ასახელებს **ანვარა-აზმახ** ტოპონიმს და განმარტავს: „აზმახი ნიშნავს ტბორს“.[2] ყოველ აგუარასთან აუცილებლად არის აზმახი, ხელოვნური ტბორი, სარწყურებელი. ესეც აცანგუარას ან აგუარას ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. აზმახი კი მხოლოდ ის ფონეტიკური წარმონაქმნია, რაზედაც ალბათ თავის დროზე მეტყველებდნენ აცანები.

მაშასადამე, აგუარა, თავისი სტრუქტურული შემადგენლობით, და აზმახი, პირდაპირ მემკვიდრედ უნდა მივიჩნიოთ აცანგუარებისა. ეს აზრი კი იმას გვიდასტურებს, რომ აცანების სამესაქონლეო კულტურა და თვით მოსახლეობა მთელს კოლხეთში გაბატონებულ ფორმად იქცა.

იტყვიან, კულტი და კულტმსახურებიც ხომ უნდა აერთიანებდეს ამ ერთობას?! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მტკიცე სულიერი, რელიგიური ერთობაც არის. ჟინანთარი, და საერთოდ, ანთარი, მთელ სამეგრელოში მესაქონლეთა უმაღლესი ღვთაება და სალოცავია. იგი მზის დიდებული ღვთაებაა. მისი აღსავალი აღმოსავლეთია. ამიტომ აცანგუარებს, ასევე, აგუარებს, არეული ფორმების გარდა, უფრო ხშირად აღმოსავლეთით აქვს შესასვლელი. ეს კი მზის თაყვანების რიტუალური მხარეა, რაც ც. ბჟანიას გამოკვლევით, ანთარის სახითაა განსახიერებული. ანთარი დიდი ღვთაებაა. ეს ღვთაება თანაბრად სათაყვანოა აფხაზეთსა და სამეგრელოში.

ჩვენ შევამოწმეთ სამურზაყანოში ანთარის თაყვანების რიტუალი და დადგინდა, რომ ჟინანთარსა ან ანთარს, საერთოდ, მზის გამოსახულების

---

[1] შ. ინალ-იფა, დასახელებული შრომა.

[2] იქვე, გვ. 76.

კვერებს უცხობენ, მზის დღეს აღუვლენენ თაყვანებას. ასე აღვრიცხეთ ეს ფაქტი ოჯახებში. ასევე აღირიცხა ეს კულტი ხობსა და ბანძაში. ხობში ანთარის ლოცვა **ბჟეეთში** ხდება. ბჟეეთი აქ გორაა, სადაც ოდესღაც მზის სალოცავი სვეტი მდგარა, ანთარის სადიდებელი და მასზე ლოცვა 1920 წლამდეც კი ხდებოდა თურმე.

ამრიგად, **აცანგუარა** და **აგუარა** ერთი შესატყვისი, შესაბამისი ტერმინია და მესაქონლეთა სადგომს ნიშნავს აფხაზეთშიც და სამეგრელოშიც. იგი აცანების მიერ არის კონსტრუირებული. აცანების ეს ეთნიკური ერთეული არ დაკარგულა, იგი მთელს კოლხეთში გავრცელდა და საფუძვლად დაედო ყველგან აცანების სოფლების შექმნას, ცანების, ცებისა და აცანების გვარის გავრცელებას, რომლებიც დღემდე ცოცხლობენ და დამახასიათებელ პროფესიულ დასაქმებულობას მისდევენ.

# ეთნოგრაფია სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილის ტოპონიმიკურ მასალებში*

სამეგრელო (დღევანდელ ტერიტორიულ საზღვრებში) საქართველოს ერთ-ერთი განუყოფელი კუთხეა, ისტორიული კოლხეთის ძირითადი ნაწილია. იგი ოდითგანვე, უხსოვარი დროიდან დასახლებულია ქართველი ხალხის ერთი მრავალრიცხოვანი ტომით – მეგრელებით, რომლებსაც ყოფა-ცხოვრება, თავისებურება, ენა და ზნე-ჩვეულებანი მხოლოდ ქართული, განუყრელად ქართული აქვთ, მაგრამ როგორც დედო ხალხის ყველა შტოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი გარემოს, დასახლებულობის თავისებურების, მოსაზღვრე ხალხთან ურთიერთობის და სხვა ისტორიული პირობების გამო, აქვს ზნე-ჩვეულებაში, ყოფა-ცხოვრებაში და ენაშიც, თავისებურება, კუთხური, კონკრეტული, უდავოდ მეორეხარისხოვანი, მაგრამ ხალხის ისტორიის შესასწავლი, გასათვალისწინებელი, ყურადსაღები თავისებურებანი. ეს განსაკუთრებული ნიშნები მიგვითითებს ჩვენი ხალხის ცხოვრების სიძნელეებზე, მისი მორალურ თავისებურებათა ჩამოყალიბების ეტაპებზე. ერთი სიტყვით, მოგვითხრობს ხალხის განვითარების თავგადასავალს უძველესი დროიდან დღემდე. ყველა კუთხის, დედო ხალხის ყველა შტოს ეს თავისებურებანი, ეს ნიშნები შეკრებილი და გაანალიზებულია; ხალხის მთელი ისტორია, მისი წარსული ერთ ისტორიულ ასპექტშია განხილულ-წარმოდგენილი.

ხალხის ისტორიის შესწავლისას დიდი ადგილი უჭირავს მათი ყოფისა და კულტურის შესწავლას, რაც ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგის – ეთნოგრაფიის კვლევის საგანს შეადგენს. ეთნოგრაფიის საკითხების შესასწავლად ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და ჯერ კიდევ საკმაოდ ყამირი წყარო ტოპონიმიაა. „ამა თუ იმ ხალხის წარსულის შესწავლისას ეთნოგრაფი, – წერს ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ს. ა. ტოკარევი, – იჭრება წმინდა ისტორიულ სფეროში, ხდება მეურნეობის, კულტურის და სხვათა ისტორიკოსად. სწავლობს რა ხალხის თანამედროვე ყოფას, ეთნოგრაფი ეხება საკითხებს, რომელიც აინტერესებს აგრეთვე ეკონომისტს, აგრონომს, არქიტექტორს, ექიმს, კულტურული ფრონტის ყველა მუშაკს“ („საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფია“, 1958 წ., მოსკოვი, გვ. 4). ცხადია, რომ ტოპონიმია ხალხის

* გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №69, 6. V. 1963.

ცხოვრების ყველა სფეროში თავის სიტყვას ამბობს. იგი გვაძლევს ძვირფას ცნობებს ხალხის ყოფაზე, ცხოვრებაზე, მეურნეობასა და კულტურაზე, ხალხის სულიერი ყოფის, მისი ისტორიული წარსულის სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე. ამიტომ ეთნოგრაფი ვერ შეასრულებს თავის მისიას, ვერ გახდება ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიკოსი, თუ ისტორიული მეცნიერების ამ მადლიან წყაროს არ გამოიყენებს.

ტოპონიმია უხვ და უტყუარ ცნობებს იძლევა მხარის ისტორიის ყველა საკითხზე, თუ იგი კარგად, მიგნებულად, სწორი მეცნიერული თვალთახედვით იქნა გაშიფრულ-ამოხსნილი, რადგან ადგილის ყოველ სახელწოდებას თან ახლავს უამრავი ლეგენდა, ანდაზა, გამოცანებიც კი. უმეტესი მათგანი სარწმუნოა და ხელს გვიწყობს, გავშიფროთ, ავხსნათ ადგილის სახელწოდება და ამით ამოვიკითხოთ ჩვენი ხალხის ცხოვრების დამახასიათებელი მხარეები; ამოვიკითხოთ ისტორიის საინტერესო მოვლენები და მომენტები. ზოგი და უფრო ხშირად, დიდი ნაწილიც კი, მოგონილის, გაზვიადებულის, არაობიექტურის გარესამოსელით მოსავს სახელწოდებას და შეცდომაში შეჰყავს ხოლმე მკვლევარი ადგილის სახელწოდებათა გაშიფვრისას. ზოგჯერ თვით სახელწოდებაა ბუნდოვნებით გარემოსილი, ათასჯერ გადაკეთებული, შეკუმშულ-ჩაჭრილი, შემცირებულ-გადახალისებული. ამიტომ ხანგრძლივი და სწორი თეორიული ანალიზით შესაძლებელია მათში თავდაპირველი შინაარსის წაკითხვა.

## სახვნელი იარაღი*

მთაშიც და ბარშიც, უფრო გაშლილ, შედარებით მცირე დაქანების და შედარებით ვრცელ მასივებზე გვხვდება სახელწოდება „ოხონალი“, ე. ი. სახვნელი. ასეთ ადგილებს კავით ამუშავებდნენ ხოლმე. ეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი – კავი ან მეგრულად „**ოგაფა**“, ძველი ქართული სასოფლო-სამეურნეო იარაღია. იგი „ოქოქას“ შემდგომ განვითარებას და სრულყოფას უნდა წარმოადგენდეს. თვით სახელწოდებათა ფონეტიკური მსგავსება გვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენი მხარისათვის არც „აჩაჩა“, არც „ოქოქა“ და არც „ერქვანი“ უცხო არ არის. ამას ადასტურებს „ოგაფას“ ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის – „ხელნას“ სახელწოდება – „ერქვანი“. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის – გ. ჩიტაიას დამოწმებით, „ერქვანს აჩაჩა-სახვნელის სახელურს უწოდებენ“. სახელური ან „ხელნა“ – ასე უწოდებენ მთიულნი და ხევსურნიც კი. მაშასადამე, ეს ერთეული შემდეგ გავრცელებული როდია, არამედ იგი ძალიან ადრე უნდა იყოს წარმოქმნილი, მაშინ როცა დედოენა, ან ძირი ენა საგრძნობლად არ იყო გათიშული კუთხურ, ან სატომი ენებად, ან განსხვავებულ ტოტებად. თუ ეს ასეა, მაშინ ტომების ასეთი სიახლოვე გვაროვნული წყობილების წიაღში უნდა ყოფილიყო, და სახვნელის და მათი ძირითადი სახეების წარმოშობაც იქვე უნდა მომხდარიყო. იქიდან წამოსული ეს ტერმინი შემდეგ დედოენის ყველა ტოტს და საქართველოს ყველა კუთხეს შემორჩა. „ერქვანი“ რომ მკვიდრი, საკმაოდ აღიარებული ტერმინია ჩრდილო-აღმოსავლეთ სამეგრელოში, ამაზე მიუთითებს თუგინდ გვარ **ერქვანიას** არსებობა. ერქვანიები მიწათმოქმედი და ხელოსანი გლეხები ყოფილან თავიდანვე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ გვარს რაიმე ურთიერთობა ჰქონდეს ამ სასოფლო-სამეურნეო იარაღთან და მისგან იყოს წარმომდგარი.

ამ მხრივ საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის მითითება. „ერქვანის“ თვისტომთა და ეტიმოლოგიის ძიების დროს ეგების უმნიშვნელო გარემოება არ იყოს, რომ სუმერულად „**ენგარ**“ მხვნელსა და მიწის მომქმედს ნიშნავდა (საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტ. I, გვ. 219). ჩვენს მაგალითშიც შეიძლება ერქვანია ერქვანის დედას, გუთნის დედას, მხვნელს და მთესველს ნიშნავდეს.

---

* გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №76, 27. VI. 1963.

ასეა თუ ისე, ჩვენს მხარეში ხვნა და სახვნელი იარაღი უძველესი წარმოშობისაა. „**ოხონალი**“ ნაკვეთებიც უძველესი დროიდან სახელ-დახელოდ მიჩენილი ნაკვეთებია. ჯერ კიდევ ლეგენდარული აიეტის კარზედაც კი ხვნას ეწეოდნენ სპილენძის სახვნელით, ხოლო **ოხონალ** ადგილად მიჩნეული იყო ჭალა, გაშლილი ველიანი. დღეისათვის მთასა და ბარში „ოხონალი“ ადგილების ასე მასიურად გავრცელება ნაკარნახევია სიმინდის კულტურის დანერგვით და გაბატონებით.

# ზოგი რამ რევოლუციამდელ ეწერზე*

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკთა ექსპედიცია 1965 წლის აგვისტოში მუშაობდა აბაშის რაიონში. მან რაიონის სხვა სოფლებთან ერთად გულდასმით შეისწავლა სუჯუნის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლები და ადგილები, შეხვდა მოხუც კოლმეურნეებს, ჩაიწერა ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალა. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ტოპონიმიას და ეთნოგრაფიულ მასალებს დაუთმო. მთხრობელთა შორის ექსპედიციის წევრები შეხვდნენ 85 წლის კოლმეურნე ფილიმონ კოსტას ძე გაბუნიას. მან ამ მიდამოების ისტორიული ძეგლების, ადგილებისა და ეთნოგრაფიულ მასალათა შესახებ მეტად საინტერესო ცნობები მოგვაწოდა.

ექსპედიციის მუშაობის დამთავრების შემდეგ ფილიმონ გაბუნიამ ექსპედიციის წევრებს წერილი გამოგვიგზავნა. ვაქვეყნებთ ამ წერილის ნაწილს.

**გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს!**

ძვირფასო, ჩემო შვილიშვილის თანატოლო ამხანაგებო!

თქვენთან საუბარმა ჩამაფიქრა, რომ ადგილების და მათ შორის პირველი-მეორე ეწერის ძველი სახელების აღწერას საქმე თხოულობს. გადავწყვიტე, ამ წერილით აღგიწეროთ ამ ადგილების ძველი სახელწოდებანი.

დავიწყოთ აბაშიდან ეწერში მიმავალი გზით, ე. ი. **გედერულიდან**. თვით **გედერული** ერთი კილომეტრია ფილუ მელაძის კარამდის. ამ დიდი გზის მარჯვენა მხარეს **ლიმნოხორას** ეძახდნენ, მარცხენას – **ანგარას**. აქ გზა ორღობეში გადიოდა და ღაჭუწყალში ჩადიოდა, რომელიც რიონს ერთვის. ლომნოხორი დიდი ტერიტორიაა, დაახლოებით 100 ჰა. მის უკიდურეს სამხრეთ საზღვარს რუსის შანს ეძახდნენ. აქ მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდის ფიცრის სახლი იდგა, მიწით შელესილი. ეწერიდან სუჯუნაში პირდაპირი გზა ლომნოხორით იყო, რაც ჩემი თვალით მინახავს, ახლა იმ რუსის შანში ექსკავატორით დიდი თხრილია ამოთხრილი, რომელიც შუა წალიკარით რიონს ერთვის.

---

* გაზ. „განახლებული აბაშა“, № 66, 18.VII.1968.

ახლა ეწერის კლუბიდან დავიწყოთ. ერთი გზა წინ გაუარს და საბჭოში მიდის. კლუბიდან ცოტათი დაცილებით, სულ ორას მეტრზე **ამაღლების ნაეკლესიევს – შუასოფელს** შეხვდებით. შემდეგ პირველად **ოლეკეშია**, ცოტათი მარჯვნივ **ზუგაა**, მერე **ბერძნის ნაფურნალია**. ახლა მარცხნივ გაუართ კლუბს და რიონისაკენ გაშლილ ველს **კოდორქალაქს** ეძახდნენ. კოდორქალაქში იტვირთებოდა ფოთისაკენ მიმავალი ნავები სიმინდითა და სხვა საქონლით: რა თქმა უნდა, დუქნებით გაჭედილი იყო ის ადგილი. მის პირდაპირ **გუგუშვილის ფონს** ეძახდნენ. მერე **ნაცვარაა**, მისი მომდევნოა: **ნატებუ**, **ელაგირდე**, **ნახელუ**, **წალიკარი**. აქვე დიოდა **ასათიანის შანი**, რომელიც რიონს ერთვოდა.

ახლა **კიკოსფონით** გაღმა გავალთ. აქ პირველად **საღლამოა**, მერე **თელაფონი, ნაჭილუ, ხომაჯინჯი, ნაციცუ, ნახატუ, კუტკარიში ნოტეხი, ჭითა ღელე** და **ნამარანუ.** აქ ჭილაიებს მარანი ჰქონიათ. აქ ძველი ნაწისქვილუცაა. ზუგადან მოდის ფიჩორი, რომლის სათავეში მონასტერია აშენებული **ჭითაგორას** ზევით.

ვინაითგან გურიის საზღვარზე ვართ, დავიწყოთ ამ **მუხურიდან.** აქ **საგუბია, ნოტეხია, ჯეგორე, ლუღიფონი, საგოჯოლე, როტონე, ნარისუ, თომაში, ნოდვეი და ნაოხვამუ,** რაც უხსოვარი დროის ნაეკლესიარია. აქვე არის **ფილიმონ გაბუნიას ნაკარუ, კირცხალიაში ღელე** და **ჩიქვანიში ტყა.** ამით თავდება სოფელ ეწერის ტერიტორია. დასავლეთით კი **გაასხაპუა.** იგი პატარა ღელეა და ჩადის ფიჩორაში.

მინდა ცოტა რამ მესაქონლეობის ხელსაწყო-ინვენტარზე გიამბოთ. მესაქონლეები ვიყენებდით შემდეგ ინვენტარს: **ნიგა, ხარაძგა, ჩერხუ, აბშირა.** დიდი და პატარა კალაპოტები მოხარშული ყველისათვის, მურძგები, ჩაყვა დიდი და პატარა. რძის ჩასაქნელი **ბუყუნი, საწყითარო,** ე. ი. სამარილო. მათი გასაკეთებელი ხელსაწყოები იყო: **წკეპარი, ძემარი, ხვეწი, ღვეჭი, ორხელი.** მას ორი სახელური ჰქონდა და ასე წმენდნენ ბუყუნს და სხვა დიდ ინვენტარს. იყო **ეჩოც.** იგი ცოტა ძვირი ჯდებოდა.

ყველის სახარშად **ნიგას** ვიყენებდით. მას სხვაზე არ ვხმარობდით, ის სუფთად ინახებოდა და მარტო მოხარშვის დროს ვხმარობდით.

ბევრი საინტერესო ზნე-ჩვეულებანიც იყო ჩვენს კუთხეში...

## საშვილიშვილო საქმე*

ხალხის წარსული ყოფისა და კულტურის შესწავლა დიდი, მეტად საშვილიშვილო საქმეა. ხალხის მეხსიერებაში, მათ ადათ-ჩვეულებში დღემდე შემორჩენილი ცნობები სასარგებლო, სამეურნეო და კულტურულ ტრადიციათა შესახებ ბევრ საყურადღებო მასალას გვაძლევს მეცნიერების, კულტურის, ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმისათვის. ბევრი მათგანი, თუმცა უკვე ძალადაკარგული და ამოვარდნილი ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან, ახალი მეცნიერული მიღწევებით აღდგენილი, კვლავ სასარგებლო საქმიანობად იქცევა. ბევრიც ხალხის ისტორიის შესწავლის საპასუხისმგებლო საქმეს უწევს სამსახურს. ამდენად, ყოფისა და კულტურის ყოველი მოწმე ზეპირსიტყვიერიცაა და მატერიალურიც. მეტად საინტერესოა მათი აღწერა და მიტანა მკითხველამდე.

მკითხველი საზოგადოების ჩარევა ლაშქრობაში ამ მასალების შესაგროვებლად საჭირო საქმე. ამიტომ გაზეთ „განახლებული აბაშის“ ფურცლებზე „ეთნოგრაფიის კუთხის“ შემოღება საშვილიშვილო საქმედ მიგვაჩნია. მკითხველს, რაიონის ინტელიგენციას, კოლმეურნეებს, ყველა მშრომელ ადამიანს, უმორჩილესად ვთხოვთ, „განახლებული აბაშის“ რედაქციის ეთნოგრაფის კუთხის შტატგარეშე განყოფილებას მიაწოდოს ისეთი მასალები, რომლებიც განყოფილებაში განხილვის შემდეგ გამოქვეყნდება გაზეთის ცალკეულ ნომერში. მათ დიდ ნაწილს განიხილავს ცნობილი მეცნიერი, ეთნოგრაფი, საქართველოს ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გ. ჩიტაია. ჩვენ მადლობას მოვახსენებთ რედაქციას ასეთი განყოფილების დაარსების გამო.

---

* გაზ. „განახლებული აბაშა“, 30. III. 1968.

## სოფლის იდილია*

თაფლივით ტკბილი და დედის რძესავით მარგებელია სოფლის სიკეთე, ხალისიანი შრომითაა სავსე სოფლის ყოველდღიურობა.

ყანაში თუ პლანტაციაში მშრომელ კაცს მდინარეთა ხეობებიდან მონაბერი მთისა და ტყის მაცოცხლებელი, საამოდ გრილი ნიავი ეალერსება. მის სმენას ატკბობს ტყის სიღრმიდან მომდინარე მაფშალიას საოცრად ტკბილი მუსიკა, წყურვილს უკლავს და გულს უამებს ყოველ ნაბიჯზე მიწის წიაღიდან მომჩქეფარე ნაკადული. ეს სიამითა და სიტკბოთი ჩაშაქრული გარემო ხალისსა და შრომის წყურვილს აძლიერებს მუშა კაცში. დაღლას ვინ იგრძნობს ასეთ გარემოში. იგი თვითონ ქმნის ადამიანში ღრმა ოპტიმიზმს, სიცოცხლის, შრომის, სიხარულს მძლავრ წყურვილს.

„შრომის ოფლიც კი სურნელოვანი და ტკბილიაო“, – იტყვის ხოლმე ქართველი მშრომელი. აბა, რომელი მშრომელი კაცი ყოფილა საძრახისი. განა ვაჟა, დიდი ვაჟა, სოფლის იდილიით არ ხარობდა, არ დღეგრძელობდა?.. განა შრომამ და სოფლურმა უბრალოებამ მას დიდების შარავანდედი ჩამოაგლიჯა, ან ლევ ტოლსტოის ცელმა და გუთანმა სახელი და დიდება დაუჩრდილა? პირიქით, ამ ტიტანებს და სხვა მათებრ მრავალს სოფლის იდილიამ და მის ორომტრიალში ცხოვრებამ გაუცისკროვნა სახელი და ღვაწლი.

აბა, ვის არ დაატკბობს დღის შრომა-გარჯით დაღლილი კაცის საამოდ დაჩრდილული კარ-მიდამოს ეზოში, ღის ცისქვეშ, ტაბაკთან ვახშმობა. აქვე, ან სოფლის ცენტრში საბაასოდ გასვლა და გართობით თავშექცევა. რომელი სხვა სანახაობა და გასართობი შეედრება ამ საოცრად ტკბილ, მამაპაპურ ტრადიციას. თვით მოგონებაც კი ტკბილი ჟრუანტელით გავსებს კაცს.

აბა, რატომ დავივიწყოთ ეს მშობლიური, სიამით სავსე ტრადიცია, სოფლის თაფლივით ტკბილი იდილია. ჩვენი ვალია, მტკიცედ აღვადგინოთ იგი და გავიხაროთ მისით.

მაგრამ არა ფასიანი საღამო-კონცერტებისა და შაბლონადქცეული საღამოების გამართვით, არამედ მშრომელი მოსახლეობის თვითშემოქმედებაზე დამყარებული თავყრილობით, სადაც თვით სოფლის მშრომელი ადამიანი იქნება შემოქმედიცა და მსმენელიც.

---

* გაზ. „შრომის დროშა“, 19. X.1972.

განა ახლა რაიმე ზიანს მოგვიტანდა თვეში ერთხელ მაინც, მთვარიან ღამეს, სოფლის ცენტრში ასეთი სეირნობა და გართობითი თავშექცევის ტრადიციის დანერგვა, სადაც ახალგაზრდობა უფროს თაობას შეხვდებოდა, მათ ჭკვიანურ ბაასს მოისმენდა, მათ ზრდილობიან, დარბაისლურ ქცევას თვალყურს მიადევნებდა. ქცევის დადებით, ეროვნულ, ჩვენი მოთხოვნილებისადმი მისადაგებულ ნორმებს გადაიღებდა, სადაც მოისმენდა ზღაპრებს, ნახავდა ხალხურ სახიობას, ჩაებმებოდა ლაღ შაირობაში, ჩაერთვებოდა ახალი ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შექმნისა და გავრცობის საქმეში. ეს იქნებოდა თავისებური სახალხო აღზრდის კერა, სადაც, მიხეილ კალინინის სიტყვებისა არ იყოს, „თვით ცხოვრება უწყობს ხელს აღზრდას“. განა არ სჯობია, ქელეხებსა და უცნაურ სალხინო წვეულებებს, რომელშიც ხშირად ეროვნული მორალური წესების დარღვევაა და უაზრო ჭირვეულობაც კია გამოხატული, დავუპირისპიროთ ეს ლაღი, მიმზიდველი და ყოველგვარი მატერიალური გამოძალვისაგან თავისუფალი ღონისძიება?

საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის იდეოლოგიურ კომისიას, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და რაიონულ სახალხო უნივერსიტეტს გადაწყვეტილი აქვს, მოაწყონს ასეთი ღონისძიება „გამარჯვების დღესასწაულის“ სახელწოდებით, მრავალფეროვანი პროგრამითა და შინაარსიანი სანახაობებით. იგი ერთ-ერთი და მეტად საინტერესო ღონისძიება იქნება, რაც ალბათ, მიბაძვისა და ტრადიციად ქცევის სურვილს აღძრავს მშრომელ მოსახლეობაში. ესაა ამ ღონისძიების მიზანი, სასურველი და მოსალოდნელი შედეგიც.

ხალისით ვიცხოვროთ და შინაარსიანი ზეიმით აღვნიშნოთ ჩვენი დიადი სინამდვილის გრანდიოზული შედეგები!

## რისთვის მპატიჟებ?*

საქართველო უძველესი დროიდან სტუმარ-მასპინძლობითა და პურ-მარილით ცნობილი და აღიარებული ქვეყანაა. ამაზე წერდნენ და წერენ უცხოელი და ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ცნობილი და რიგითი ადამიანები, რომელთაც უმოგზაურიათ ჩვენს ქვეყანაში. მტერსაც კი არ შეეძლო ამის უარყოფა.

— სტუმარი ღვთისაა! – იტყვის ქართველი და კარი ფართოდ იღება სტუმრის წინაშე. ოჯახის ყველა წევრი სტუმრისადმი გულწრფელი პატივისცემის გრძნობით იმსჭვალება.

„კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებისო“, – ამბობს ქართული ანდაზა და მასპინძელი იმას სთავაზობს სტუმარს, რაც გააჩნია: პურსა და მარილს, მწვანილსა და ხილს, ნამდვილ ღვინოს – ყურძნის დედონაჟურს მიართმევს, ოჯახს დაალოცვინებს. მის მობრძანებას დალოცავს, შემცივნულს გაათბობს, ტკბილად მოასვენებს. იგი ამას მხოლოდ კეთილი განზრახვით აკეთებს. არავითარი ქვენა აზრით, არავითარი სასყიდლით არ მოქმედებს. პირიქით, სასყიდელი შეურაცხყოფს მასპინძელს. იგი გულდაწყვეტით შენიშნავს, რომ სტუმრის პატივისცემა სასყიდელს არ ითხოვს, იგი შეურაცხმყოფელიაო. მართალია, უკადრისად არ მიმართავს, მაგრამ უკმაყოფილებას კი აგრძნობინებს.

ასე იყო ძველად, ასე არის დღესაც.

მაგრამ ამ ლამაზ ადათთან არაფერი აქვს საერთო უკანასკნელ ხანს ზოგიერთის მიერ გამართულ მცირესაბაბიან დიდ „ლხინს“. აბა, რა ლხინი უნდა ერქვას 600-700 კაციან სუფრას (ზოგი კი 1000 კაცისათვის შლის სეფას), სადაც მიწვეულნი არიან ისეთი პირებიც კი, რომელთაც, შორეული ნაცნობობის გარდა, არავითარი კავშირი არა აქვთ ოჯახთან. „გულუხვი“ მასპინძელი კლავს საქონელს, გოჭებს, ასობით ფრინველს, იძენს სხვადასხვა სახის სანოვაგეს, უზომო ღვინოს და... „ლხინის“ დღეს განსაკუთრებულ მაგიდას დგამს მათხოვრული სიგლახაკით მოწყალების სათხოვრად. ოღონდ ყულაბა აივსოს, ოღონდ რაიმე გამოდნეს და ვინ რას ეძებს, ლხინი ლხინად წავა თუ არა.

ახლა შედეგები: ასეთი ლხინი რომ იმართება, საიდან მოდის სურსათ-სანოვაგე? ბაზრიდან. ბაზარში უბრალო მყიდველს ყოველდღიური საჭიროებაც კი აკლდება ამის გამო. მერე განა ლხინზე მოიხმარება

---

[1] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, № 228, 28. IX. 1972.

ყველა ეს პროდუქტი? არა. მეორე დღეს იგი გადასაყრელი ხდება და თვის განმავლობაში მეზობლისას ვერ გაგივლია, ისე ყარს წამხდარი ხორაგი. ახლა ღვინოს არ იკითხავთ? რას ეყოფა ყოველ მეორე-მესამე დღეს სოფლებში გაწყობილ ასეთ სუფრას გლეხის მარჯვენით მოწეული ღვინო. ამიტომ ფართო გასაქანი ეძლევა ფალსიფიკაციას, „კეთდება“ ყოველგვარი საზიზღრობისგან. მისით დამთვრალი კაცი კი ავადდება ათასნაირი ავადმყოფობით. ზოგიერთი იწამლება კიდეც.

მერე რისთვის მპატიჟებ, შე კაცო? თუ მათხოვრობა გინდა, რა გაქვს სამათხოვრო ჩვენს ბედნიერ დროს, როდესაც სახელმწიფო და ხალხი ყოველმხრივ გიდგას გვერდში, ყველგან იპოვი შენს შესაფერის სამუშაოსა და საზრდოს. რატომ არცხვენ ან კოლექტივს, ან თავს, ან შენს მიერ ყბადაღებულ „ქართველობას“? ვაი, სირცხვილო!

გვეყოფა!

თუ დამპატიჟებ, უანგაროდ, მეგობრულად, სიყვარულით დამპატიჟე; თუ არადა, შენთან მომსვლელი არა ვარ, არც ჩემთან მოგიწვევ. უკეთური ნაბიჯისათვის კი ყველგან გაგკიცხავ!

ან კიდევ, მიცვალებულს ყიდი, 2000-3000 კაციან ქელეხს მართავ და ისევ ყულაბას ხსნი, არ გრცხვენია?!

არა, არა, შორს ეს უხამსობა! ვებრძოლოთ მას მთელი ჩვენი შეგნებით, მთელი ძალით, მთელი შესაძლებლობებით. აი, ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი სინდისი.

## გულუხეთი*

ჩვენი გაზეთის ეთნოგრაფიის განყოფილებას და გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს თხოვნით მიმართა პიონერმა მელიტონ გიგინეიშვილმა (ს. გეზათი), განგვემარტა მისთვის, საიდან წარმოსდგა ტოპონიმი „**გულუხეთი**“. უეჭველია, ეს საკითხი დააინტერესებს მკითხველთა ფართო საზოგადოებას.

გულუხეთი გეზათის სასოფლო საბჭოს ერთ-ერთი ცენტრალური უბანია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამდე იგი ცალკე სოფლად იყო ცნობილი. მაგალითად, 1920 წლის 19 ივნისს გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“ წერდა: „სოფ. გულუხეთში (სამეგრელო) შესდგა კომუჯრედის კრება“. კიდევ მეტი, იონა მეუნარგია სუჯუნის მაზრის შემადგენლობაში სოფ. გულუხეთს იხსენიებს. სუჯუნის მაზრა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს შექმნა დ. დადიანმა. ამდენად, გასულ საუკუნეში ეს მიკროტოპონიმი ამ ადგილას საკმაოდ ცნობილი და აღიარებული იყო. გულუხეთი კი იმერულ კილოკავზე მოქცევაა ამ ტოპონიმისა, თუმცა ჩვენს მასალებში იგი ყველგან გულუხეთადაა აღრიცხული. ასე ჩაგვაწერინეს აგრეთვე ეს ტოპონიმი გულუხეთისა და გეზათის მოხუცებმა. გულუხეთი აღრიცხულია „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაშიც“ (იხ. „დასახლებული პუნქტის სახელწოდება“, გვ. 194, თბილისი, 1966 წ.). ამდენად, სასოფლო საბჭოს ამ უბნის, ამ ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება გულუხეთია და არა **გულიხეთი**. ეს ოფიციალურ მასალებში, წყაროებში და ხალხის გადმოცემაში ასეა. თუკი ზოგან მას ისევ გულიხეთად იხსენიებენ, რასაკვირველია, ეს ზემოთ გამოთქმული მიზეზითაა გამოწვეული.

გულუხეთი წარმოქმნილია ორი ქართული სიტყვისაგან: **გულ** (გურ) და **უხვი**. თითოეული მათგანი დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია, გაერთიანებული ერთ კომპოზიტში და მაწარმოებელი სუფიქსით – **ეთი**-თ დასრულებული. აქ **თი**-სთან საქმე არა გვაქვს. ყველგან, სადაც **თი** დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია, მასთან ერთი სხვა სიტყვაა კომპოზიტში გაერთიანებული. **ზანა-თი, ფო-თი, ქუთა-თი, გეგუ-თი, კვაუ-თი** და ა. შ. აქ ეპონიმი ან სხვა მაწარმოებელი ლექსიკური ერთეული წინ დგას და მისი სახლობა, მისი ოჯახი, მისი თი უკავშირდება და ამით სრულდება კომპოზიტი. გულუხეთი, მსგავსად **სარკინეთი, ოჭინკეთი** და სხვა ტო-

* გაზ. „განახლებული აბაშა“, №155, 1972.

პონიმებისა, მაწარმოებელი სუფიქსით სრულდება. **-ეთი** მიუთითებს სადაურობას.

მართლაც, გატარებულია თუ არა ეს აზრი ამ ტოპონიმში? ვფიქრობთ – კი. ამას გვიდასტურებს ხალხური გადმოცემები, ლეგენდები. მართალია, ყოველთვის ხალხურ განმარტებებზე დაყრდნობა არ შეიძლება, მასში ბევრია ზღაპრული, გაყალბებული, გაზვიადებული, მაგრამ სიმართლის ნაწილი მაინცაა. ერმილე მიხეილის ძე ჯიბლაძემ (81 წლის მოხუცი), გიორგი პავლეს ძე ნადარეიშვილმა (80 წლის მოხუცი), ნესტორ სერაპიონის ძე კიკაბიძემ, ლავრენტი პავლეს ძე კაჭარავამ და სხვა მოხუცებმა, 1965 წელს ჩვენ ეს ტოპონიმი **გულუხეთად** ჩაგვაწერინეს და ყველამ ერთი და იგივე გადმოცემა გვიამბო: „სოფელი ბარაქიანი, უხვი და ნაყოფიანი, ხალხიც გულუხვი, სტუმარმასპინძლიანი და პატივისცემით სავსეა. ამიტომ ძველებს, გულუხვეთი, გულუხვი ხალხის სოფელი უწოდებიათო მისთვის“.

ჩვენც ასე ვფიქრობთ, რადგან ყველა სოფელს თავისი დამახასიათებელი ნიშნებით იცნობდა და მიინიშნავდა ხალხი. პირველ მაისში ხომ გაუწყინარია, რიონის გაღმა ხომ კეთილარია და ა. შ. **გაუწყინარი** სასოებით, სიმშვიდით სავსე კუთხე, გაუწყინარი კუთხე. **კეთილარში** კი სიკეთე და ბედნიერებაა ფუძე და დედო ადგილისა. **ოჭირეთი** ხომ ჭირით და უბედურებით დაწყევლილი უბანია. **განარჯიას მუხური** განარჯი, დიდ ტანჯვა და გარჯაგავლილი უბანია. **სანავარდო** სალხენი  და წალკოტი ადგილია, **ნაპარტახუ** – განადგურებული, გაპარტახებული, ჭირითა და უბედურებით მოსრილი. **ქოლობანიც** ჩაქოლვის და სოფლის მიერ განკიცხულთა დასჯის ადგილადაა მინიშნული. **მარანიც** ხომ მევენახეობის ადგილია. **ნახარდანუ**, **ნაპუმპულუ** – ხარდანისა და პუმპულას ნაშენი ადგილი და ა. შ. რაც შეეხება მოსახლეობის გვართა მიხედვით უბნის სახელწოდებას, იგი უფრო სხვა ხასიათისაა – **სამიქაო, სამიქელაო, საჭილაო** – ამ დიდებულ გვართა სამემკვიდრო მამულია. **სანოდიო, საგვაზავო, საკუპრავო** და ა. შ., ამ გვარის მოსახლეობის დასახლების უბანია. ასეთი უბნები გულუხეთის შიგნითაც მრავალია.

და ბოლოს, ამ ტოპონიმის წარმოქმნის შესახებ ისტორიული წერილობითი წყაროების მონაცემები არსად არ მოიპოვება, რადგან არათუ მსხვილ და მნიშვნელოვან ცენტრთა სახელწოდებისა და სხვათა წარმოქმნის განმარტებას ისტორიული წყაროები არ იძლევიან. ასეთი განმარტებები მხოლოდ ხალხურ ზეპირსიტყვიერ საგანძურშია დაცული. ტოპონიმი კონკრეტულად კუთხის მშრომელი ადამიანის ყოფაცხოვრებითი საქმიანობით გამოწვეულმა შემოქმედებითმა გენიამ შეიმუშავა და ამ კუთხის მშრომელთა ხალხურმა ზეპირსიტყვიერმა მასალებმა შემოინახა მის შესახებ ცნობა დღემდე. თუმცა, ხშირად იგი ძლიერ გადაკეთებული, გაზვიადებული და გაყალბებულია.

## „ჯარალა“*

ქართველი ხალხი ოდითგანვე შრომასთან ერთად გართობისა და დასვენების მდიდარ სახალხო ტრადიციას ნერგავდა. მშრომელი, შემოქმედი, ქართველი კაცი, მიუხედავად სიდუხჭირისა, ყოველმხრივ ცდილობდა ესარგებლა სოფლის იდილიით – ბუნების სიკეთით, ცივი წყაროს წყლებით, ტყის მშვენიერებით, ყვავილებით მოფენილი ველ-მინდვრებით, ნაყოფით დახუნძლული ბაღებით, სიკეთით სავსე ყანებითა და ზვრებით, შრომის მადლითა და ხალისით, გულღია მშრომელი კაცის სევდიანი, მაგრამ ფაქიზი, გრძნობებით აღსავსე სიმღერებითა და ცეკვებით, საკვირველი სახალხო სახიობით. იცოდა გულდადებული ნაყოფიერი შრომა, იცოდა ხალისიანი დასვენებაც, შრომაც მისი მოთხოვნილების საგანი და ნორმა იყო. „უშრომელი კაცი ცოდვააო“, – ამბობს ხალხი ანდაზით. მუქთახორა და ნაცარქექია დაცინვისა და გაკილვის საგანია ზეპირსიტყვიერ მასალებში, მშრომელი კაცი კი ხალხის თვალში ვაჟკაცია, სახელოვანი და გამორჩეული. „ცოლს დაარჩენსო“, – იტყოდნენ კარგ მშრომელზე და ცოლის შერთვის ღირსად თვლიდნენ. ეს სოფლელი მშრომელი კაცის მხრივ უმაღლესი აღიარება იყო, მაგრამ დასვენებაც და გართობაც მისთვის, ასევე, სავალდებულო, წლების განმავლობაში დაცდილი, შემუშავებული, პრაქტიკაში მტკიცედ დანერგილი. ეს იყო „საზოგადოში კათუა“, „ჯარობა“ – საზოგადოების შეკრება, ჯარობანა.

**ჯარი,** საბას განმარტებით, „მრავალნი კაცნია“, ე. ი. საზოგადოებრივი თავყრილობაა ხალხისა. მას ორი მიზანი აქვს: საზოგადოებრივი სამჭირნოს განხილვა, საზოგადო საწუხარის განსჯა, ან თავისუფალი, ლაღი, ყოველდღიური, დამქანცველი შრომის შემდეგ ხალისიანი საზოგადოებრივი გართობა. ასეთი თავშეყრის, გართობის ცენტრები სოფლებში რამდენიმე იყო. ყოველ დიდ უბანს თავისი **„ოჯარე“, „ოსხაპეში“, „ობურთე“** და სხვა მსგავსი სახელწოდების ადგილი ჰქონდა. ასეთი ტოპონიმები დღესაც მრავლადაა შემორჩენილი. მაგალითად, გეჯეთის უბანში სამი „ოჯარე“ და „ოსხაპეში“ ადგილია მონიშნეული. მსგავსი ტოპონიმები მრავლადაა შემორჩენილი ფოცხოში, ლეძაძამეში, ნოქალაქევსა და სხვაგან. გარდა ამისა, სოფლის ცენტრშიც არის „ოკათურეში“, „ოჯარეში“, „ობრუი“, „ობურთე“ ადგილები, მტკიცედ გამოყოფილი ტოპონიმებით; თუმცა ეს ადგილები ახლა სრულიად წაშლილი და და-

* გაზ. „კოლხეთი“, №142-143, 29. XI-3. XII. 1975.

კავებულია ადამიანის ტრადიციული ნაგებობებით, ან სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებით. ხალხი ხალხურ ლექსშიც მღერის: **„აბა, ულა ჯარიშა – ედემიაში კარიშა“** (აბა, წასვლა ჯარობაზე – ედემიას კარზე). აქ მოხსენებულია მოსახლე, რომლის წინ საჯარო მოედანი იყო გაშლილი. ასეთი კარები მრავლადაა ხალხურ ზეპირსიტყვიერ მასალებში, საჯარო, საზოგადო კათუას, თავშეყრის ადგილად მონიშნული.

**„ჯარობა“, „ჯარალუა“** სიხარულის, გულით გახარების და გართობის საღამოა. **„ამდღარ ჯარალუა დღას გომიძიცი, ჩქიმი ვარდი, ქოსხაპი დო დოფიგურე, გამიქარი გურიში დარდი“** (დღევანდელ ჯარობის დღეს გამიცინე, ჩემო ვარდო, იცეკვე და დააფიგურე, გამიქარვე გულის დარდი). იქნებ ჯარობით, ცეკვითა და თამაშით დაგვავიწყდეს ეს სატკივარი, დავისვენოთ და გავიმეოროთო: **„მივშათ, მივშათ ჯარიშა, ვსხაპათ დო ვიბირათ, იშენ მალას დოვღურუთუ, ჯარით ვარა ვიხარათ“** (წავიდეთ, წავიდეთ ჯარობაზე, ვიცეკვოთ და ვიმღეროთ, ისედაც მალე მოვკვდებით და ჯარობით მაინც გავიხაროთ).

ჯარი ყოველ შაბათ საღამოს იცოდნენ. ეს უბნის, მუხურის, კუთხის გართობის დღე იყო. სუფთად გამოწყობილი ქალ-ვაჟები, მოხუცები და ახალგაზრდები ნება-ნება გამოიკრიფებოდნენ მოედანზე, ერთად და ცალ-ცალკე, მოდიოდნენ და მოიმღეროდნენ. ზოგს ჩონგური მოჰქონდა, ზოგს დაირა, ზოგ თავმომწონე ვაჟკაცს თავისი გამორჩეული ბედაური მოჰყავდა. ნელა, დარბაისლურად შემოდიოდნენ მოედანზე; ყველას რაიმეთი უნდოდა, თავი მოეწონებინა შეკრებულობაში. სიტყვაკაზმობით, წრეს გადაუსვლელი ოხუნჯობით, კაფიებით იწყებდნენ უბან-უბან შეჯიბრს. მოხუცები, დიდი მუხის ან ცაცხვის ხის ძირას ჩამომჯდარნი, ახალგაზრდებით გარშემოხვეულნი, ყვებოდნენ ძველ ამბებს, ზღაპრებს, ან კიდევ გასული კვირის ამბებს სჯიდნენ, გასაკიცხს კიცხავდნენ, დარბაისლურად განსჯიდნენ. ახალგაზრდების ერთი ჯგუფი წრეს შეკრავდა. სიმღერას იწყებდნენ, წყვილნი ცეკვავდნენ, ეს იყო თავისებური სკოლა-თეატრი ყოველგვარი სასყიდლის, თავზე მოხვევის გარეშე, ხალხის სურვილით, თვითშემოქმედებით ორგანიზირებული. ამ დროს ხდებოდა ქალ-ვაჟის ურთიერთგაცნობა, ამ დღეს ხვდებოდა სატრფო თავის სწორს და აჩვენებდა თავის ვაჟკაცობას, შემართებას, კარგ ქალობას თუ კაცობას. ჯარში გამოუსვლელი ან ავადმყოფი და მისი პატრონი სოფლის მიერ დაწყევლილი და გაკიცხული თუ რჩებოდა ხოლმე. ლექსში, რომელიც ი. ყიფშიძეს ჩაუწერია და გამოქვეყნებული აქვს, ვაჟკაცი მღერის თავის სატრფოზე: „თინა გიშნაგორა მაფუ საზოგადოში კათუას“ (ის გამორჩეული მყავს საზოგადო შეკრებაზე), და თავი მოსწონს აქ შერჩეული და გამორჩეული გულისსწორით. ამ ჯარობით გულგახარებული,

გახალისებული, აღელვებული, ამაღლებული მშრომელი შემდეგ მთელი კვირა შრომობდა, რომ მორიგ შაბათს კვლავ ჯარობით დაეტკბო გული.

ჯარობა საღამოსთვის ხალხი ემზადებოდა. საგარეო ტანსაცმელს აწესრიგებდა. ისე აგვარებდნენ ვალდებულებებს, რომ გულში დარდი არ ჩაჰყოლოდათ და მხიარულად ეტარებინათ ღამე. ჯარობაში მონაწილეობა ხშირად ჯილდოდაც უწესდებოდათ ახალგაზრდებს, კარგად შესრულებული სამუშაოს, კარგი და სამაგალითო ქცევის გამო. ასეთ შემთხვევაში მშობელი ნებას რთავდა ოჯახის წევრს, ჯარში წასულიყო და გულით ელხინა და დაესვენა. უფრო მეტიც, ცალკე კუთხის ჯარი თავის საუკეთესო მოჯარეებს აგზავნიდა მეზობელი კუთხის ჯარში და მათთან შეჯიბრში აქ იცვლებოდა და ზოგადდებოდა ცალკე კუთხეში ჩაფიქრებული სიმღერები და სახიობანი. ასე ვრცელდებოდა ერთ კუთხეში ჩაფიქრებული დადებითი ტრადიცია სხვა კუთხეშიც და საზოგადო კუთვნილებად ხდებოდა იგი. **ჯარობა, საზოგადოებაში კათუა** ომის დაწყებამდეც კი იცოდნენ ჩვენთან. შემდეგ წაიშალა ეს დიდებული ტრადიცია.

ეს მხოლოდ უბნობრივი თავშეყრა იყო. სოფელს საერთო თავშეყრის საღამოც ჰქონდა. თვეში ერთხელ ისინი სოფლის ცენტრში – **„მეედანში“**, ან **„საზოგადოებაში ოჯარეშში“**, საზოგადო საჯაროზე იკრიბებოდნენ. აქ უკვე მთელი სოფლის საერთო დღესასწაული იყო. ასეთ შეკრებაზე ჩხუბი, აყალ-მაყალი დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ვინც ჯარობის ამ წესს დაარღვევდა, მას სოფლის თავკაცები გაკიცხავდნენ და დიდხანს პატივაყრილნი რჩებოდნენ, შერცხვენილნი და შეურაცხყოფილნი. სათემო ჯარობა უკვე უბნების, მუხურების შეჯიბრი იყო სიმღერაში, ცეკვა-თამაშში, მახვილსიტყვაობაში. ჯარობა ხშირად გვიან შუაღამემდე გრძელდებოდა. ზოგჯერ მას წინ უსწრებდა მარულა, დოღი, ცხენბურთი, ჭარკუმობა, თარჩია, ლელობურთი. საერთო შეჯიბრი, ხალისიანი სპორტული ასპარეზობა იყო. თუმცა გულფიცხ ვაჟკაცთა შეჯიბრს ხშირად ფიზიკური შეხლა-შემოხლაც ახლდა. თუმცა თავკაცთა ჯგუფი ყოველთვის ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მსგავს შემთხვევას და ცდილობდა, შეეჩერებინა და შეეზღუდა იგი. ეს სპორტული გართობა მხოლოდ დღისით და ისიც დღესასწაულების დღეს ხდებოდა, ჯარობას კი ასეთ თამაშობაში ნაკლებად ერთვოდა. იგი მხოლოდ გასართობად, დარდისა და შრომით დაქანცვის გასაქარვებელი იყო და არა ურთიერთდაჯაბნვისა და დამცირების.

ზამთრის გრძლივ ღამეებშიც იცოდნენ **„საზოგადოში კათუა“** უფრო მცირე უბნებად, რომელიმე კეთილი და სამაგალითო გლეხის დიდ ფაცხაში. აქ, კერიის პირას, გრძელ სკამზე ისხდნენ მამაკაცები და ქალები, ახალგაზრდები და მოხუცები, მღეროდნენ, შაირობდნენ, ზღაპრებს ყვე-

ბოდნენ, ჭკვიანური მახვილზმობით ირთობდნენ თავს, სწავლობდნენ და ასწავლიდნენ. ახალგაზრდები აქაც სწავლობდნენ უფროსების პატივისცემას, კეთილ სიტყვა-პასუხს. აქ ეწაფებოდნენ ხალხურ სიბრძნეს, სიმღერებს. ესეც დიდებული სახალხო სკოლა-თეატრი, აკადემია იყო. ამ აკადემიაში აიდგა ფეხი და დავაჟკაცდა სულიერად და ფიზიკურად ჩვენი კუთხის მრავალი სახელოვანი ადამიანი, რომლებმაც შემდეგ თავიანთი დიდი ნაბიჯები, კარგი აღზრდა და სამაგალითო მამულიშვილობა საქვეყნოდ დაამტკიცეს.

ამდენად, ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში ასე დაცდილი, დახვეწილი და საშვილიშვილო ტრადიციად ქცეული გართობისა და დასვენების ღონისძიებები შნოსა და სითბოს ჰმატებდა სოფლის იდილიას.

# მეცნიერის თვალთახედვა სწორია და გასაზიარებელი*

ახლახან მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო პროფ. მ. გეგეშიძის მეტად საინტერესო და საჭირო წიგნი – „ეთნიკური კულტურა და ტრადიციები“. პროფ. მ. გეგეშიძე ცნობილია თავისი მეცნიერული მოღვაწეობითა და დამსახურებით ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიის შესწავლის დარგში. იგი ათეული წლების განმავლობაში ღრმად და დიდი მეცნიერული გულითადობით სწავლობს ჩვენი ხალხის ეთნიკურ კულტურას და ტრადიციებს, თვალს ადევნებს მისი განვითარებისა და სრულყოფის საკითხებს. მონაწილეობს რესპუბლიკურ ცენტრებში ამ საკითხების შესწავლის, ეთნიკური კულტურისა და ტრადიციების დანერგვის საქმეში. ეს წიგნიც მისი ხანგრძლივი მეცნიერული შრომის შედეგია, რომელიც სამეცნიერო და მკითხველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში გამოსვლისთანავე მოექცა.

წიგნი ხასიათდება პრობლემების ახლებურად დაყენებისა და გადაწყვეტის გზების მეცნიერული სურვილით. იგი იმდენად აქტუალურ თემაზე დაწერილი, ღრმა მეცნიერული შრომაა, რომ არ შეიძლება მკითხველმა გვერდი აუაროს და ბოლომდე ინტერესით არ წაიკითხოს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ თემებზე დღემდე სრულყოფილი მეცნიერული კვლევა არ გამოცემულა. იგი ამ გზაზე პირველი, უაღრესად ნაყოფიერი მცდელობაა.

პროფ. მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურის აქტუალური პრობლემების ღრმა მეცნიერულ კვლევასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს მეტად აქტუალურ საკითხებზე სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში, როცა იგი განიხილავს ახალი დღესასწაულების, ახალი სახალხო გართობითი ღონისძიებების ტრადიციად დანერგვის საკითხებს, რათა ამ ახალი დღესასწაულების, ღონისძიებების პრაქტიკამ მოიცვას სოფლის მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენები, როგორც ეს მითითებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში – „მავნე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან ბრძოლის ღონისძიების გაძლიერების შესახებ“. იგი ფართოდ ჩერდება რა მშრომელთა თავისუფალი დროის კულტურულად გამოყენებისა და კულტურის სახლების, კლუბების მუშაობის ამ მხრივ პასუხისმგებლობის

---

* გაზ. „განახლებული აბაშა“, № 70, 16. VI. 1979.

საკითხებზე, აღნიშნავს, რომ „წრეობრივი მუშაობა, რომელიც ამ სახლეების მასობრივ საქმიანობაში ფაქტობრივად ერთადერთი ფორმაა, ვერც მასშტაბით და ვერც შინაარსობრივი მიზიდულობით ვერ განიხილება საყოველთაო დაინტერესების რეალურ ფორმად“ (გვ. 184). ეს სავსებით სწორი და დროული შენიშვნაა. იგი სწავლულის ამ მიმართულებით ხანგრძლივი დაკვირვებისა და ამ მხრივ მუშაობის ახლებურად დაყენების აქტუალურ პრობლემებზე მუშაობის შედეგია.

მართალია, თანამედროვე პირობებში თავისუფალი დრო მეტად შეზღუდულია, მშრომელი ადამიანი უაღრესად დასაქმებულია, მაგრამ ჩვენ მიერ დასავლეთ საქართველოს 8 რაიონში ჩატარებულმა კვლევამ დაგვარწმუნა, რომ თავისუფალი დრო მშრომელს მაინც რჩება (7-8 საათი დღეში), გარდა იმისა, რაც მას საზოგადოებრივი და საოჯახო საქმის შესასრულებლად, ასევე ძილისათვის სჭირდება. კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ თავისუფალი დროის 30% მაინც დაუტვირთავია. ახალგაზრდობის მხოლოდ 40%-ია დატვირთული. მაშასადამე დრო არის და, მით უმეტეს, ახალგაზრდობას, აქვს დრო. გარდა ამისა, ინტელექტუალური დონეც სოფლის მშრომელისა ახლა გაცილებით მაღალია, თითქმის ქალაქის დონისაა. ჩვენ 2000 კაცს დავუსვით შემდეგი კითხვები:

აკმაყოფილებთ თუ არა კლუბებისა და ბიბლიოთეკების ღონისძიებები?

არის თუ არა მათი კულტურული მოთხოვნების შესაბამისი ეს ღონისძიებები.

20%-მა კმაყოფილება გამოთქვა; 70% არადამაკმაყოფილებლად ცნობს ასეთ მუშაობას და მოითხოვს აქტიურ ფორმებს, უფრო მაღალ შინაარსობრივ და ინტელექტუალურ დონეს; 10% კი სრულიად არ იცნობს ასეთ მუშაობას, არაა დაკავშირებული ასეთ დაწესებულებებთან.

იბადება კითხვა: რას უწუნებენ ისინი ასეთ წრეებს? იმას, რომ ღონისძიებები არ პასუხობს მათ ინტელექტუალურ მოთხოვნებს, ღარიბია რეპერტუარი, ხშირად კი სრულიად ფორმალურ ხასიათს ატარებს, იწერება ქაღალდზე და რეალურად არაფერი ხორციელდება. მეორე, ამ წრეებისა და ღონისძიებების რეპერტუარი და პროგრამები დგება მშრომელი მოსახლეობის სურვილისა და უნარის გაუთვალისწინებლად, მოვალეობის მოხდის მიზნით. სოფელში კი არიან შემოქმედებითი უნარით გამორჩეული ადამიანები, რომელთა შემოქმედების აღრიცხვა, ამოქმედება, სახალხო განხილვაში გამოიტანა არ ხდება, ე. ი. ღონისძიებები არაა საჯარო, სახალხო, სადაც თვით რიგითი მშრომელიც იქნება ავტორი და შემსრულებელი ღონისძიებებისა. მესამე, ხშირად ღონისძიებები გარედან ინიციატივითა და მითითებებითაც კი ხორციელდება, რაც

ფორმალურ ხასიათს ატარებს და არავითარ ინტერესს იწვევს. ამდენად, ვერც ართობს და ასვენებს მშრომელებს.

პასიურობა, როგორც პროფ. მ. გეგეშიძე აღნიშნავს, ამ საკითხებში ინერტულს ხდის წრეების მუშაობას, ღონისძიებებს, არაფერს აძლევს მშრომელებს.

ამიტომ ავტორი რჩევას იძლევა, მეთოდურ გზებს სახავს ახალი, სახალხო, საჯარო დღესასწაულების ტრადიციად დანერგვის გზაზე, რადგან ყოველი საჯარო ღონისძიება, რაც ფასითა და სასყიდლით არაა გამიჯნული, როცა მისი განხორციელება სახალხო ინტერესს, ინიციატივას და თვითშემოქმედებას დაეფუძნება, უდავოდ, აქტიური, დიდი აღმზრდელობითი გავლენის მქონეა. კომუნისტური საზოგადოების ადამიანი ასეთი თვითშემოქმედების, თვითმმართველობის, თვითინიციატივისა და თვითშემოქმედების ადამიანია; ასეთი ადამიანი კი მაღალ პოლიტიკურ და კულტურულ დონეზე ჩაფიქრებულმა საჯარო ღონისძიებების მტკიცე პრაქტიკამ და ტრადიციამ უნდა აღზარდოს.

ასეთი კუთხით გამიზნული ეს ღონისძიებები ხელს შეგვიწყობს საწარმოო-სამეურნეო, კოლექტიური შრომისა და ცხოვრების ამოცანების განხორციელებაში, მორალურ- პოლიტიკური ერთობის, კოლექტიური სულისკვეთებისა და თანადგომის შემდგომ გაღრმავებაში.

ასეთი ღონისძიებები, მაღალი შრომითი შედეგების მოპოვების სულისკვეთებაზე დაფუძნებული, მშრომელთა შრომით გააქტიურებას, გმირული გაქანების შემდგომ გააქტიურებას გამოიწვევს, ხელს შეგვიწყობს მშრომელი მოსახლეობის ინტელექტუალური დონის შემდგომ ამაღლებაში. ამასთან, ყოველმხრივ შეაფერხებს და ბოლოს მოუღებს სოფლიდან მიგრაციის მზარდი ტენდენციების გაძლიერებას.

ღრმა ინტერესით განგვაწყობს და ამ გზაზე ღრმა ჩაფიქრების, პოლიტიკური თვალთახედვის შემუშავების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს პროფ. მ. გეგეშიძის ამ შესანიშნავი წიგნის ყურადღებით წაკითხვა. ეს კი აუცილებელი და საჭიროა თანამედროვე პირობებში.

## პირველყოფილი მაგიის სათავეებთან*

პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების ყოფისა და კულტურის მოწმეები, რაც უხვადაა ნაპოვნი, თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მათი ცხოვრების განვითარების დონეს, მათი აზრის, მისწრაფების, სამეურნეო საქმიანობის, კულტურული საზრიანობის გაქანების მასშტაბებს; მათ იდეურ და რელიგიურ მრწამსს და სულისკვეთებას, ბუნების მოვლენებისა და ძალების აღქმის, მის წინააღმდეგ ბრძოლის თუ მათ მიერ სტიქიის დამორჩილების სულისკვეთებას და მისწრაფებას. ამ მხრივ უდავოდ საინტერესოა პირველყოფილ საცხოვრისებზე ნაპოვნი მაგიური, იდეოგრამიული გამოსახულებანი. ასეთი გამოსახულებანი ნაპოვნია და აღწერილია ქართველ მეცნიერთა მიერ საქართველოში (შ. ამირანაშვილი, გ. ნიორაძე, ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე, ა. ჩუბინაშვილი და სხვ.).

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცულია იდეოგრამული ნიშნებით აჭრელებული ათეულობით ქვის ხვინჭკები, ფირფიტები, რიყის ქვები, კვირბების ნაფლეთები და ვეებერთელა ლოდები, სვეტები და სვეტისთავები, რომელზედაც ამოღარულია ერთეული თუ რამდენიმე ხაზობრივი ნიშანი. ისინი მუზეუმის მუშაკებმა აკრიფეს ვედიდკარის, კადარის, ოფაჩაფუს, ქვიტირის, კოტორის მასივებზე (აბაშის, გეგეჭკორის, წულუკიძის, ცხაკაიას თუ სხვა რაიონებში).

ახლახან ამ მასალას დაემატა უხვი იდეოგრამული ნიშნებით საკვირველად დათაჯული, სხვადასხვა ფორმის სილქვის უამრავი ფრაგმენტი. იგი აღმოჩნდა „ალანიაშ გას“ სამხრეთის ჩავაკებაზე. აღმოჩენა დაიწყო საკვირველად სახიერად გამოსახული ვეშაპის და კაც-ღვთაების კომბინირებული გამოსახულებით. ვერტიკალურ მდგომარეობაში სტილიზირებული ქანდაკია მითოლოგიური პიროვნებისა, რომელსაც შუბლზე ორი ღრმა თვალი აზის. თვალები ამოხაზულია ღრმა ღარის უპეებით. შემდეგ სამკუთხედად გამოკვეთილია საკმაოდ ფართო და ბრტყელი ცხვირი, ოდნავ წამოწეული ზედა ტუჩით და ღრმად ამოკვეთილი ტუჩის ნაპობით. ქვემოთ საკმაოდ ამობურცული ნიკაპია. ნიკაპის ქვემოთ ღრმა ღარია. მის ქვემოთ საკმაოდ სრული ბორცვია, ხოლო ბორცვის ქვემოთ ფალოსის 2,5 სმ სიგანის და 1,5 სმ სისქის ნამტვრევია, 1 სმ სიმაღლეზე გადამტვრეული, რომელსაც ღარით გამოყოფილი, ორივე მხარეზე ცენტრში ხვრეტილით, 1 სმ სიფართის და 0,5 სმ სიმაღლის კვანძები

* გაზ. „შრომის დროშა“, №80, 1981.

უზის. მის შემდეგ კუნთები იშლება და ეტყობა წვივთან გადამსხვრეულია. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ქანდაკება წარმოადგენს ვეშაპის გამოსახულებას, საკმაოდ გამოკვეთილი ტუჩებით, თვალებით, შუბლით და ქედზე იქნებ რქით, ან წყლის შადრევნით. რქების ან შადრევნის ორივე მხარეზე არის ყურის ნიჟარები, ხოლო შუბლზე, ან უკანა მხარეზე არის იქნებ ვეშაპის კუნთოვანი მუცელი, ან ამ მუცლის ხაზებში გაცხადებული აზრი იქნებ იდეოგრამაა, რადგან მუცლის კუნთები ასე არ იკვეთებიან. იგი სამ პარალელურ ხაზში ჩასმული უჯრედებია. **ეტყობა, იგი „მესეფის“ სარიტუალო, მაგიური ქანდაკებაა. ამით გამოხატავდნენ წყლიდან მისი ამოსვლის ამბავსაც და მის პატივსაც.** რადგან მესეფის მიმართ პატივი რიტუალური ნორმა იყო სახალხო კულტსა და კულტმსახურებაში. **მესეფი წყლიდან ამოდის. იგი თევზია, ვეშაპია, ხოლო ამოსვლის შემდეგ ან კაც-, ან ქალღვთაებაა. ესაა სწორედ განსახიერებული ამ ქანდაკებაში.**

ეს ქანდაკება ამ პრეისტორიული ხელოვნების შესანიშნავ, უნიკალურ ნიმუშად გვევლინება.

აქვე ნაპოვნია საინტერესო ერთეული, რომელშიც გამოხატულია სიცოცხლის დაბადების საინტერესო პროცესი, კვერცხის ნაჭუჭიდან ცოცხალი არსების გამოსვლის პროცესი. აქ, ალბათ, მის ირგვლივ არსებული ხაზობრივი ნიშნები განმარტავენ ამ მოვლენის შინაარსს.

აქვეა ბრტყელი სილქვის ფირფიტიდან ამომართული ფრინველისა თუ სხვა ცხოველის თავის ქანდაკება, თვალი, ცხვირი და ტუჩები მეტყველებს მისი ნაჭუჭიდან ამოფრენის პირველ სიხარულს. ირგვლივ, გაშლილ ქვის ფილაზე, ამოხაზულია ფრთის ჩონჩხის ანახაზები.

ექსპედიციამ აქ 20-მდე ფრინველისა და ცხოველის ანახაზები ან იდეოგრამა იპოვა. სულ აღმოჩენილია 50 იდეოგრამული, ხაზობრივი ნიშნიანი ქვა. ყველა ისინი შესანიშნავად, მეტყველად გამოხატავს პირველყოფილ ადამიანთა შემოქმედებას, სულიერ წვასა და დახელოვნებას.

თუნდაც დაახლოებით ოთხკუთხედი ქვა ავიღოთ. მის შუბლზე არის მზის ცალი მხარი. მისი სხივები გადაკვეთილია ირიბი ხაზით და მის ქვემოთ ხაზობრივი პარალელები იშლება. ამ ქვის გონიოებზე გადადის ხაზები, გადამკვეთი ირიბები და ზურგზე ქმნის რთულ ხაზობრივ ანასახს. ჩვენ გვეჩვენება, რომ შუბლზე მზის გამოსახულება გასაღები უნდა იყოს მთელი იდეოგრამისა. იგი, ვფიქრობთ, ზურგზე გადადის და აქ სამხრეთით ამოხაზული სხივის ნაკვეთები იმ წინა სხივის ზურგისმიერი ნაკვეთებია ალბათ. ჩვენ წინასწარი ვარაუდით ასე ვკითხულობთ: აღმოსავლეთით სოფელი, ან თემი გადაკვეთილია ირიბად გაჭრილი მაგისტრალით, რომლის დასავლეთით იშლება უბნები და გზები. მზე ანათებს

მათ. მზის სხივი გადიოდა ზურგის დასავლეთ კიდურზე და ანათებდა. იქნებ აქ მოთხრობაა მზის ამოსვლისა და მისი სხივის სიკეთით დასავლეთის გაცოცხლებისა. ეს აქოჩრილი ხაზები, იქნებ გაცოცხლებულ ყოფას ნიშნავდეს ხალხისა, ვინც ამ მაგიას აწარმოებდა.

ასევე 21 ქვაზე ამოხაზულია ცხოველის სახის, ტანის, ფალოსის ქანდაკებები, სადაც, როგორც ჩანს, საუბარია ამ სიცოცხლისმიერ სინამდვილეზე, მის სიკეთესა და სიცოცხლისუნარიანობაზე.

ვფიქრობთ, ეს აღმოჩენა ქართული კულტურის საგანძურში, უდავოდ, მისასალმებელი და საინტერესოა.

# საძიებლები

## პირთა


აბაევი ვ. 672
ადამია გიორგი 162
ადამია როლანდ 423
ადამია ურუან 272, 499, 603, 772, 775, 777
ავგენიკოსი კირმანუელ 247
აზო 31
ათათია სოსო 423
აიეტი (მით.) 229, 249, 295, 296, 514, 515, 526, 809
ალასანიები 171
ალბოვი ნ. 798, 799, 800
ალექსანდრე პავლეს ძე 80
ალიხანოვ-ავარსკი 143
ალფენიძე ვ. 400
ამირანაშვილი შ. 247
ამირანი (მით.) 104, 251
ანდრია მოციქული 63, 67, 68, 117, 150
ანტონ გნოლისთავის ძე 93
ასათიანი 811
ასათიანი ივანე 119
ასკურავა შალვა 143
აღმაშენებელი დავით 37, 91, 92, 104, 158, 196, 200-203, 211, 212, 214, 217, 218, 230
აშოტ კურაპალატი 208
აცანგუარები 798, 803
აცანები 799-801, 804, 805
ახაია 258
ახალაია ა. კ. 16, 27, 258, 275, 412
ახალაია ქეთუ 796
ახალაია ჭოტო 719
ახალაიები 772
ახვლედიანები 40

ბაგრატ III 70, 207-210
ბაგრატ IV 37, 87, 91, 111, 158, 208, 210, 211, 214, 230
ბაგრატ რეგვენი 209
ბაგრატიონები 208
ბაგრატიონი იოანე 671
ბაგრატიონი მართა ბაგრატის ასული 200, 202
ბაგრატიონი მარიამ 202
ბარამიძე მ. 310
ბარდაველიძე ვ. 229, 550, 665, 783, 788
ბართაია ნომადი 420
ბართაია სარდიონ 519
ბართია დრიმი 503
ბართია თომა 494, 503
ბარისაშვილი რომანოზ 119
ბარნაბიშვილი დ. 565
ბარნაველი თეიმურაზ 138
ბაქრაძე დ. 31, 64
ბაჩილავა 566
ბაჩილავა პავლე 102, 106, 164
ბახტრიონელი ლადო 776
ბებია ოთარ 457
ბებუთოვი 521
ბებუთოვი 61
ბედიანთა 198, 201, 202, 205, 206, 208, 211
ბერაია ვ. 681
ბერიძე ბლაღოჩინ 180

ბერიძე ვუკოლ 777, 778
ბერიძეები 65
ბერულავა მიხეილ 552
ბერულავა ხუტა 420
ბერულავები 7723
ბერძენიშვილი ნ. 112, 199, 230, 434, 461
ბობო 468
ბოლქვაძე ზაურ 420
ბორისოვი რომანოზ 161
ბოროზდინი კ. 41, 51, 484, 526, 527, 790
ბოროსოვი რომანოზ 120
ბჟალავა ც. 391
ბჟანია ც. 799, 804
ბრეგაძე ნ. 507, 547, 773
ბროსე მარი 35, 69, 70, 155, 387

გაბელაია ა. 131
გაბი 653
გაბისონია ა. 64, 489
გაბისონია გ. 62, 64, 95
გაბისონია გუდუ 164
გაბისონია ნესტორ 295, 515, 552, 697
გაბისონიები 192
გაბისულავა ანდრონიკე 247
გაბუნია ალექსანდრე 797
გაბუნია გურამ 249, 250
გაბუნია ფილიმონ 674, 810, 811
გაბუნია ს. 103
გაბუნიები 143
გაგუხე მაია 188
გამსახურდია კონსტანტინე 420
გარდაფხაძე 563
გარჩაგუდაშვილი მ. 453
გარჩაგუდაშვილი მიხეილ 455
გასიტაშვილი გ. 561, 562, 566, 567
გაწერელია ეპიფანე 120
გაწერელია პეტრე 119
გეგელია ბ. 536
გეგენავები 171
გეგეშიძე მ. 520, 537, 539, 785, 823, 825
გეგეჭკორი იოვანე 129
გეგეჭკორი მიშა 164
გეგეჭკორი ნესტორ 266
გეგეჭკორი საშა 100, 101, 162, 164, 499
გეგია ელისაბედ 94, 101, 106
გეგია ონისიმე 547
გეგია-ელიავა დონა დიმიტრის ასული 498, 499, 542, 603, 772, 774
გედენიძე გიორგი 51, 52
გედენიძე ილია 703
გეჯეშვილები 470
გვალია კლიმენტი 164
გვილავა ათანასე 539
გვილავა ქ. 273
გიგინეიშვილი 130, 131
გიგინეიშვილი მელიტონ 817
გიოიტა 601
გიორგი (აფხაზთა მეფე) 209, 210
გიორგი 40, 198
გიორგი II 34, 70, 72, 90, 109, 110, 134, 155, 203, 208, 210, 212, 214, 226, 230, 235, 245
გიორგი III 241
გიორგი ათონელი 198
გიორგი მერჩულე 90
გიორგი მწირველი 197, 198, 200, 211
გიორგი ხუცეს-მონაზონი 111, 196, 198-202
გიულდენშტედტი 483

გოგაძე ე. 307, 359
გოგებაშვილი ი. 97, 98
გოგია 268
გოთუა ლევან 420
გორგასალი ვახტანგ 210
გოჩა 733
გრიგალავა 266
გრიგოლ 198
გრიგოლია გ. 390
გუგუშვილი 811
გულაბერიძე ნიკოლოზ 536
გულორდავები 185
გურგენი (ქართლის მეფე) 209, 210
გურგენიძე გიორგი 119
გურიელი 135

დადან 208
დადიანები 40, 124, 185, 189, 191, 244, 602
დადიანი 51, 56, 106, 136, 142, 147, 163, 184
დადიანი ანდრია დავითის ძე 87, 161
დადიანი არჩილ 101
დადიანი ბეჟნისძე 129
დადიანი ბესარიონ კაციას ძე 80
დადიანი გიორგი 36, 85, 156 ,192
დადიანი გრიგოლ 124
დადიანი დავით 36, 40, 41, 61, 94, 99, 156, 214, 486, 521, 529, 530, 535, 552, 817
დადიანი დავით ლევანის ძე 86, 87, 160, 524
დადიანი ელიზბარ გრიგოლის ძე 87
დადიანი ვამეყ 247
დადიანი ვარდან 212
დადიანი თამარ 86
დადიანი იოსებ 36, 85, 156
დადიანი კაცია II 185, 192
დადიანი ლევან 40, 86, 112, 119, 160, 186, 246
დადიანი ლევან გრიგოლის ძე 87
დადიანი ლეონ გრიგოლის ძე 80
დადიანი მამია 170
დადიანი ნიკო 41, 87, 135, 177, 207, 420, 433
დადიანი ნიკოლოზ გრიგოლის ძე 87
დადიანი ნიკოლოზ დავითის ძე 161
დადიანი ნინო 86
დადიანი ოტია 36, 85, 156
დადიანი სალომე 189
დადიანი შალვა 177, 207, 420, 433
დადიანი შერგილ 212, 230, 231
დადიანი ცოტნე 204, 212, 230
დავით ბატონიშვილი 177, 433
დავით კურაპალატი 209, 210
დანელია 602
დანელიები 144, 179, 601
დარსალია მ. 774
დარსალიები 802
დგებუაძე 124
დე მონპერე დიუბუა 33, 66, 69, 79, 154, 213
დევდარიანი გ. 164, 391
დემეტრე II 90
დიმიტრი 198
დისტერვეგი 97
დოდაშვილი სოლომონ 387
დომნასი იულია 243
დონდუა ვარლამ 240, 241
დუნგია თემო 661

ეგროსი (ლეგენდ.) 205, 401, 485
ელენე (დავით აღმაშენებლის დედა) 201, 211, 212

ელიავა გივი 307, 727
ელიავა დათო 423, 424
ელიავა ვ. 102
ენგელსი 18, 302
ერისთავი ოდნი 784
ერისთავი რაფიელ 116, 142, 486
ერმაკოვი 680, 699
ერქვანია 808
ერქვანიები 564
ესიავა ნიკოლოზ ერმილეს ძე 242

ვაჟა-ფშაველა 813
ვართაგავა ი. 120, 161
ვასილევი 40
ვაჭრიძე პეტრე 249, 250
ვახტანგ VI 241, 386
ვახუშტი ბატონიშვილი 31, 64, 70, 93, 116, 124, 143, 170, 185, 206, 217, 246, 462, 483, 484, 528, 535, 552
ვიტტელი ვ. 22, 284

ზაქარაია პ. 170, 459, 461, 462

თადეოსი (აფხაზეთის მეფე) 209, 210
თათარაშვილი კ. (უიარაღო) 120, 161
თამარ 36, 85, 156
თამარ მეფე 88, 92, 93, 113, 144, 162, 230, 236, 241, 266
თარგამოსი (ლეგენდ.) 205
თარგამოსი 401
თაყაიშვილი ექვთიმე 66, 69, 76-79, 127, 128, 132, 133, 136, 138, 139, 159, 223, 225-227, 237-239, 243, 244, 247
თეიმურაზი 105
თოდუა გერა 804
თოდუა დავითი 804
თოდუა თედო 552
თოდუა მართალი 788-790
თოდუა ონისიმე 804
თოდუა რეზო 224
თოდუა უტუ 100, 790
თოდუები 185, 276, 544
თოფურია 244, 245
თოფურია ვ. 496
თოფურია ნ. 536, 540, 541, 571, 589, 669
თოფურია რ. 423
თოფურიძე 139

იაზონი (მით.) 249, 295, 514
იესე მესვეტე 79
ივაშჩენკო მ. 798, 800
ინალ-იფა შ. 672, 789, 799-801, 804
ინგოროყვა პავლე 72, 90, 110, 114, 208, 235, 470
ინჯგია 278
ინჯგია თომა 574, 722
ინჯგია კიმოთე 574, 590, 598, 690
ინჯგია რეზო 301, 411, 423
ინჯია 278
იოანე ბატონიშვილი 484
იოანე მინჩხი 90, 109, 110, 114, 230, 235
იოსელიანი ოტია 420
იური რუსი 93

კაენი (ბიბლ.) 666
კალანდარიშვილი მელიტონ 574
კალანდია 548

კალინინი მიხეილ 814
კაპანაძე დ. 457
კარაკალასი 243
კარტოზია ივანე 188
კარტოზია ლეონტი 175
კასტელი ქრისტოფორე 462, 480, 481, 496, 517, 699
კაჭარავა გედე 786
კაჭარავა ლავრენტი პავლეს ძე 818
კახიანი კ. 573, 587
კეკელია ნ. 535
კეკელიები 143
კეკელიძე კ. 112, 118
კენჭაძე თევდორე 192
კესარიელი პროკოპი 122, 128, 172, 476, 526
კეცხოველი ნიკო 487, 491, 492, 527
კვარაცხელია ემელიანე 549
კვარაცხელიები 544, 549, 607, 714
კვაუ 469
კვაშილავა ი. 515, 697
კვაშილავა მ. 491
კვეზერელი-კოპაძე ნ. 798, 801
კვირტაია მამანტი 432
კვირტია მ. 774
კიკაბიძე ნესტორ სერაპიონის ძე 818
კიკვიძე ი. 769
კიკნაძე ზ. 402
კიკნაძე პ. 224
კილასონია გუძაია 784
კირთაძე დავით 703
კირთაძე იასონ 703
კირთაძეები 46
კირკე (მით.) 306
კიტოვანი გ. 102
კოზლოვი ე. ი. 780
კოკაია გიგო 556
კოლუბინსკი დიმიტრი 119
კოლუები 183
კომენსკი 97
კონუშევსკი 297, 428
კოპალაძე ჭყონდიდელი ზოსიმე 86, 244
კოპალიანები 454
კორძახია ს. 94, 131, 497, 603, 774
კორძახიები 601, 602
კოსვენი მ. 780
კოცოვსკი 297
კუიბიშევი 260
კურზუვალი კიკოლა 51
კუფტინი ბ. 21, 22, 24, 25, 262, 264, 270, 285, 287-289, 318, 319, 335, 336, 342, 343, 439, 440, 444, 509
კუჭუხიძე ალექსანდრე 420

ლაგვილავა მიხა 553, 559
ლაგვილავები 509, 558, 608, 647
ლამბერტი არქანჯელო 480-483, 487, 496, 503, 526, 552, 584, 585, 595
ლევან იმერეთის მეფე 170
ლეკიაშვილი ა. 537, 538
ლელა 211, 212
ლემონჯავა დიმიტრი 790
ლენინი ვ. ი. 98, 100
ლეონ I 206, 208
ლეონ II 206-208
ლექვინაძე ვ. 459, 462, 463
ლომია ლევთერ ქიშვარდის ძე 450, 451
ლომოური ნ. 459, 461, 462
ლორთქიფანიძე მარიამ 199, 202
ლორთქიფანიძე ნიკო 662, 667

ლუკა მახარებელი 77
ლუკინი 24, 287

მაგოია 258
მათე მახარებელი 77
მაკალათია ს. 26, 71, 115, 128, 139, 140, 142, 150, 171, 183, 191, 239, 243, 290, 395, 544, 545, 564, 567, 569, 571, 591, 603, 669, 768, 774
მამულია სამსონ 171
მამფორიები 558, 608
მართა დედოფალი 41, 160
მართა ზურაბის ასული 87
მარი ნიკო 485
მარუშისძე იოანე 209
მასსონი ვ. მ. 504, 510
მასხულია ლევან 574
მაჭავარიანი დავით 120
მახსონი ე. ი. 500
მახუტია 601
მგალობლიშვილი სოფრომ 116, 142, 697
მედეა (მით.) 249, 295, 306
მელაძე ფილუ 810
მელია ს. 496
მელიქიშვილი გ. 476
მენთეშაშვილი ს. 534
მეტრეველი როინ 199, 200
მეუნარგია იონა 40, 41, 94, 120, 161, 186, 486, 693, 817
მეფერტი 297, 428
მეშიკო 260
მთაწმინდელი ექვთიმე 198
მთაწმინდელი გიორგი 37, 91, 110-112, 158, 198-202, 204, 211, 230
მილანელი ჯუდიჩე 480, 482
მურიე ჟან 484, 589, 699
მურიე ჟიულ 518
მიურატი 184, 530
მიქავა უტუ 99, 101
მიქელაძე 784
მიშველაძე რევაზ 420
მკალბა 798
მობინი 391
მოწერელია ი. ა. 462
მოწერელია ლ. 39
მოწერელია პეტრე 112
მროველი ლეონტი 68, 240, 241, 769
მურავიოვი 79
მურვან ყრუ 35, 71, 104, 155, 230
მხეიძე დავით 735
მხეიძე კონსტანტინე 735
მხეიძე მელენტი (კიწია) 776, 777
მხეიძე მელიტონ 771

ნადარაია ბიქტორ 516, 698
ნადარეიშვილი გიორგი პავლეს ძე 818
ნაკაშიძე ერმ. 490, 563
ნაჭყებია ჩხ. 453
ნაჭყეპია თედო 454, 549, 557, 571, 773
ნაჭყეპია ნესტორ 548, 552, 571, 580, 581, 597
ნაჭყეპია პროფი მიხას ძე 499, 502
ნაჭყეპია სარა 783
ნაჭყეპია სოფრო სოსოს ძე 497, 498, 502, 515, 772
ნაჭყეპია ჩხაკა 455
ნაჭყეპიები 193, 276, 544, 552, 571, 607, 726, 772
ნიკოლეიშვილი მ. 250

ნინელა 602
ნოე (ბიბლ.) 401, 482
ნუცუბიძე შალვა 420

ომერფაშა 243
ორბელიანი სულხან-საბა 69, 153, 204, 276, 394, 536, 586, 593, 604, 777, 819
ოსიძე ნიკოლოზ 64, 66, 94
ოჩიაური თ. 590
ოჩიგავა ელაჭიში 139, 245

პავლე მოციქული 83
პატარიძე რამაზ 420
პესტალოცი 97
პეტრე მოციქული 83
პლინიუსი 130
პლუტარქე 526
პომპეუსი 47, 48, 146, 432
პოჩებსკი 265
პოხომოვი ე. ა. 22, 285
პრომეთე (მით.) 104

ჟინი ანთარი (მით.) 408
ჟორდანია თედო 110, 198-201, 208, 211

რეხვიაშვილი ნ. 506, 508, 555, 556, 566, 567, 645, 647, 785
რიტტერი კ. 306
რობაქიძე ა. 553, 670, 671, 672, 781
როდონაია ვ. 432
როდოსელი აპოლონ 144, 526
რომანოზ მესვეტე 79
რუსთაველი შოთა 229, 231-236
რუსუდან დედოფალი 116, 190
რუსუდანი (თამარ მეფის და) 241
რუხაია 791
რუხაძე ჯ. 505, 522, 587, 645, 773

სააკაძე პაატა 204
საბაშვილი მ. 492
სამუშია კ. 663, 665
სანანოიძე სტაფანე 110
საურმაგი 769
სახოკია თედო 116, 120, 143, 161, 486, 520, 803
სევერი ალექსანდრე 140, 243
სევერის სეპტიმუს 243
სევეროვი ნ. 73
სელიმ-ხანი 105
სერგი 105
სვიმეონ მესვეტე 79
სვიმონ 198
სიაონძი 260
სიგუა 576
სილაგაძე ნ. 497, 502
სტაროსელსკი 526
სტრაბონი 60, 64, 131, 194, 523
სტრუმილინი ს. გ. 299
სუები (სულავა) 61, 524
სუიაბერია 524, 607
სულაბერია 61, 524, 525
სულაბერიძეები 428, 524
სულავა სოსო 423
სულავები 428, 525, 607
სურმავა მ. 788
სხულუხია გრიგოლ 675, 804
სხულუხიები 544

ტაბაღუა ილია 420
ტბელი დავით 110
ტოკარევი ს. ა. 479, 806
ტოლსტოი ლევ 813
ტრაიანე 139

უგულავა 58
ულუ 211, 212
ურიდია მამია 427
ურიდია სერგო 456
უშინსკი 97, 107
უჩავა ა. 497, 502
უჩავები 726, 727

ფაილოძე ამბროსი 423
ფაინრიხი ჰანც 403
ფარნავაზი 207
ფარსმან ქველი 208
ფარულავა გ. 453
ფაღავა 94, 535
ფაღავა დარია 115
ფაღავა დარია 142
ფაღავა კიკუ 115, 141
ფაღავა მექი 115, 116, 142
ფაღავა პეტრე ლევანის ძე 542
ფაღავა როდიონ 797
ფაღავა შალვა 411
ფაჩვაშვილი სიკო 784
ფაჩულია რევაზ 420
ფაცაციები 791
ფილიები 784
ფომინი დიმიტრი 119
ფოჩხუა პეტრე 306
ფოჩხუა ხუტა 435

ქაფიანიძე ზურაბ 408
ქაქუჩელა 601
ქაქუჩია 258
ქაცარავა 107, 597
ქებურია ბესარიონ 693
ქვაბალია მახარობელი 247
ქვაჩახია ჩ. 774
ქობალია 453, 454, 548, 651
ქობალია ი. 486, 509, 522, 540, 549, 551, 554, 557, 558, 571, 573, 600, 602, 662, 664, 774
ქობალიანები 454
ქობალიები 276
ქორაია იორდანე 162
ქორიძე დ. 19, 281, 309, 445, 508
ქოჩაქიძე გ. (ჭალადიდელი გ.) 120, 161
ქსენოფონტე 60, 144, 525, 526
ქუთელია რ. 103

ღლონტი ა. 673

ყავლაშვილები 728, 729
ყაუხჩიშვილი ს. 146, 166, 175, 434, 450
ყიფშიძე ი. 108, 179, 229, 485, 486, 491, 516, 522, 531, 538-541, 547, 548, 551, 553, 554, 566, 572, 573, 588, 601, 603, 651, 662, 669, 673, 774, 820
ყუფარაია 590
ყუფარაია სარდიონ 581

შავთელი 536
შალამბერიძე ლაზარე 784

შანავა აკაკი 248
შანიძე აკაკი 420, 470
შარდენი 462, 483, 527, 803
შარვაძეები 729
შექსპირი უილიამ 116, 142
შმერლინგი რენე 138, 243

ჩაჩაშვილი გ. 523, 524, 525
ჩემია კატრიბი 164
ჩიტაია გიორგი 224, 229, 479, 480, 483, 495, 500, 503-505, 507, 510, 514, 517-520, 572, 589-591, 604, 646, 768, 774, 778, 808, 812
ჩიქვანაია მარგო 681
ჩიქვანები 77
ჩიქვანი თამარ 85
ჩიქვანი იესე 83, 85
ჩიქვანი კაცია 36, 83, 85, 96, 156
ჩიქობავა არნ. 516, 776
ჩიქოვან-დადიანი 83
ჩიქოვანები 40, 51
ჩიქოვანი ა. 670
ჩიქოვანი ბესარიონ 118
ჩიქოვანი გიორგი 77
ჩიქოვანი ვ. 536
ჩიქოვანი მართა 667, 797
ჩიხლაძე გიორგი ივანეს ძე 49
ჩოჩია მ. 589
ჩუბინაშვილი გ. 33, 73, 154, 247
ჩხეიძე გიორგი 802

ცაავა 672
ცაავა იაკინთე 804
ცაავა ისაკი 804
ცაავა კაკო 804
ცაავა ლადი 804
ცაავები 185, 544, 549, 607, 714, 802
ცაგარელი ა. 478, 485
ცაგარელ-ჭყონდიდელი ანტონ 112, 117, 118, 127, 161, 230, 238
ცანავა ა. 666, 673
ცანავა გრიშა 802
ცანავა დ. 538
ცანავა კაჯი 149, 276, 298, 300, 557, 558
ცანავა ჟორა 356
ცანავა ჯემალ 423
ცანები 805
ცანია (ცანა) 802
ცანიები 800
ცები 805
ციცხვაია ა. 453
ცხაკაია მიხა 100, 120, 162

ძაძამია ა. 248
ძიგუტია 258
ძიმისტარაშვილი ს. (კორტოხა) 120

წერეთელი აკაკი 116, 142
წერეთელი გიორგი 420, 770
წერეთელი მ. 769
წიფურიები 559
წოწორია ბეხუ 597
წოწორია გ. 113
წოწორია გახუ 597
წოწორია გიო მარტიელას ძე 597
წოწორია გიორგი გიორგის ძე 231, 235
წოწორია დათა 597
წოწორია იესე 597
წოწორია მიქე 597

წოწორია მურმან 423
წოწორია პ. 102, 164
წოწორია ქაქუჩია იოსეს ძე 597
წოწორიები 608
წულაია 538
წულაია ალექსანდრე 502, 509, 539, 564
წულაია აპ. 403, 494, 593, 597
წულაია დოდო 804
წულაია მიქულიჩა 784
წულაია ოთერიკა 784
წულაიები 544

ჭავჭავაძე ალექსანდრე 40
ჭავჭავაძე ეკატერინე 40, 41
ჭავჭავაძე ილია 116, 142
ჭავჭავაძე-დადიანი ეკატერინე 87, 161, 170
ჭაიები 238
ჭანტურიშვილი ს. 777, 778
ჭარაია პ. 120
ჭარაია პ. 161
ჭაჭიები 653
ჭაჭუები 653
ჭიაები 653
ჭიაძეები 258
ჭითანავა ნოდარ 420
ჭილაია 126
ჭილაია სერგი 654
ჭილაიები 257, 811
ჭილაძე 124-126, 132, 258
ჭილაძე აბრამი 134, 135, 138, 139, 223, 224, 226, 227, 244, 245
ჭილაძე გიორგი 124
ჭილაძე კახაბერი 133-135, 226, 227
ჭილაძე ქუველი 133-135, 226, 227
ჭილაძე შედანი 134, 135, 223, 224, 226, 227, 245
ჭილაძე ჩუბინი 133-135, 226, 227
ჭილაძე ცვატა 223, 226
ჭილაძე ჯავახ 124, 134, 135, 226, 227, 245
ჭილაძეები 228
ჭიოკაძე ვ. 505
ჭიოკები 653
ჭიჭაღუა ანატოლი 423
ჭიჭინაძე ივანე 120, 161
ჭკადუები 454
ჭოიკები 653, 654
ჭოლოკავა გლახუა ნიკოს ძე 530
ჭოჭუა გოგია 790
ჭოჭუები 653
ჭუკია 602
ჭყონდიდელ კოპალაძე ზოსიმე 138, 139
ჭყონდიდელ-ბედიელი იოანე 200-202
ჭყონდიდელი ბესარიონ 79
ჭყონდიდელი გიორგი 37, 91, 92, 104, 158, 159, 196, 200-202, 204, 214, 217-219, 230
ჭყონდიდელი გრიგოლ 129
ჭყონდიდელი იერემია 132, 225
ჭყონდიდელი სვიმონ 201, 202, 211
ჭყონდიდელი სტეფანე 109, 110, 230
ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი მიქაელი 92, 230
ჭყონია ი. 780

ხაინდრავები 144, 179
ხაჟომია დ. 506, 646
ხარაძე რ. 652, 653, 671, 781-783, 789

ხარებავა ამბაკო ბურდღუს ძე 178, 179
ხარებავა კ. 293
ხაჩისძე 653
ხელაია მიხა 58, 64
ხვიჩია იაკობ 564
ხოხლენკო 99
ხუნწელია ე. 569
ხურცილავა 65
ხურცილავა ც. 164
ხუხუია 258
ხუხუნები 148
ხუხუნი გედეონ 189, 190, 468, 797

ჯავახია ნ. 120
ჯავახიშვილი გ. 769
ჯავახიშვილი ივანე 61, 63, 68, 128, 150, 199, 205, 206, 208, 223, 229, 261, 387, 394, 489-493, 496, 505, 507, 532, 534-538, 563, 597, 604, 646, 658, 667, 686, 730, 770, 808
ჯაიანები 193
ჯანაშია კოჩია 791
ჯანაშია ნ. 120, 121, 161
ჯანაშია ს. 130, 199, 223, 307, 475
ჯანაშიები 193, 564, 602, 601, 791
ჯანჯღავა დ. 674
ჯანჯღავა დავით დიმიტრის ძე 498, 603, 771-776, 797
ჯანჯღავა კირილე 51
ჯანჯღავა ნესტორ 501, 511, 681
ჯანჯღავა პავლე 102, 501
ჯანჯღავა სალომე 188
ჯაფარიძე ო. 390, 391
ჯაში ლ. 65
ჯაშიები 193
ჯიბლაძე ერმილე მიხეილის ძე 818
ჯიქია ნესტორ 500
ჯიშქარიანი ი. 531
ჯორიეშვილები 601
ჯოღორია 791
ჯუბინაძე გიორგი 80
ჯღარკავა ომარ 291, 428

ჰეროდოტე 60
ჰეფესტო (მით.) 229, 515
ჰიპოკრატე 60

## გეოგრაფიულ სახელთა


აბაშა 35, 55, 93, 95, 126, 131, 136, 144, 145, 150, 155, 164, 194, 228, 243, 258, 413, 434, 483, 487, 489, 492, 493, 496, 510, 511, 521, 524, 525, 533, 551, 564, 648, 677, 678, 680, 702, 720, 810
აბაშა მდ. 55, 58, 113, 115, 116, 124, 125, 128, 136, 142, 143, 152, 153, 163, 166, 170, 238, 296, 304, 450, 487, 508, 509, 527, 535, 539, 560, 605, 688, 826
აბაშა-გეგეჭკორი 136
აბაშა-ტეხურის ხეობა 195
აბაშის ხეობა 95, 96, 121, 122, 123, 141, 162, 165, 185, 220, 428, 434, 461, 476, 478, 480, 483, 489, 490, 505
აბედათი 30, 40, 54, 59, 146, 147, 148, 175, 177, 215, 393, 412, 420, 459, 461, 462, 484, 490, 497, 512, 513, 536, 539, 566, 674, 688, 701
აბედათი-ნახუნაო 605
აბედათ-ხუნწა 511, 700
აბჰესი 276, 295, 430, 456
ადლერი 205
ათონი 200
აკეთი 538
ალავერდი 197, 211
ალანიას სერი 420, 421
ალანიაშ გა 222, 223, 395, 424
ალბანეთი 64
ალერტი 30, 54, 179, 181, 215, 667
ამიენი 389
ამიერკავკასია 386, 388, 389, 392
ანაკლია 292, 429, 567
ანგარა 810
ანჯერი 605
არგუეთი 37, 41, 47, 48, 87, 156, 175, 210
არგუეთ-კლისორი 461
არგუეთ-კოტორი 461
არეას ჭალა 477
არეთი 506
არტანუჯი 37, 88, 156
არქეოპოლისი (ციხე-გოჯი) 35, 71, 145, 146, 155, 172, 175, 220, 434
ასათიანის შანი 811
ასკანა 774
ასხი 46, 51, 55, 71, 190, 195, 675
ასხის მთა 189
ატაბუნა 45
ატენის სიონი 33, 70, 73, 154
აფრიკა 389, 390,390
აფხაზეთი 19, 26, 30, 59, 72, 90, 104, 177, 193, 205-207, 209, 210, 230, 281, 290, 477, 478, 492, 522, 524, 589, 602, 662, 672, 794, 798-800, 802, 804, 805
აღმოსავლეთ საქართველო 26, 65, 188, 276, 290, 294, 438, 471, 520, 589
აღბულაღის რაიონი 768, 778

აღმოსავლეთ სამეგრელო 146, 486, 487, 510, 526, 528, 535, 605, 645
აშელი 389, 390
აჩიგვარა 547
აცანა 538, 802
აჭარა 37, 87, 156, 522, 524
აჭარა-გურია 491
ახალი ხიბულა 678
ახალსენაკი 297
ახუთი 178, 179, 726
ახუთი მდ. 179
აჯამეთი 545, 669

ბაბილონი 442
ბაგნა ბლაბურხვის მთა 801
ბალდა 29, 40, 53, 177, 215, 430, 490, 511, 544, 591, 669
ბალდა-სალხინო-კურზუ 122, 476
ბალდი 164, 165, 256
ბალყარეთი 652
ბანძა 103, 113-116, 120, 141, 143, 147, 223, 256, 461, 483, 484, 489, 497, 511, 530, 532, 535, 536, 539, 551, 564, 805
ბარდა 560
ბაღდადი 669
ბახტრიონი 105, 106
ბედია 205-208, 210, 211
ბეთლემი 207
ბერთემი 176
ბეღელი 46
ბზიფი 672, 799, 803
ბია 688, 726, 735
ბიზანტია 67, 68, 72, 109, 144, 200, 202, 241
ბიჭვინთა 68
ბობოთი 40, 56, 59, 468, 524
ბოგა 45, 49, 125,487
ბოგას ხეობა 42
ბოგვი (თეთრიწყარო) 99
ბოლნისი 66
ბორჯომის ხეობა 561, 562, 566, 567
ბჟერის მთა 148, 462
ბრეთი 198
ბუმბუას ხიდი 41, 46, 56, 195, 461

გაასხაპუ 811
გაგიდა 503
გაგრა 491
გაზუ 434
გალი 491, 506, 646, 662, 693, 798, 804
განარჯიას მუხური 818
გარახას ჯიხები 431
გარეჯი 93
გაუწინარი 818
გაჭედილ-აბედათი-ხუნწა 512, 702
გაჭედილ-ბალდი 108, 123
გაჭედილი 29, 53, 99, 162, 164, 215, 224, 391, 487, 560, 677
გეგეჭკორის რაიონი 16, 19, 29, 30, 39, 55, 57, 59, 61, 67, 76, 93, 99, 101, 103, 104, 108, 112, 117, 118, 120, 122, 129, 132, 138, 141, 143, 152, 153, 160, 162, 213, 215, 216, 220-222, 224, 235, 255, 256, 271, 272, 274, 281, 295, 305, 307, 309, 356, 426, 431, 435, 453, 456, 459, 462, 491, 496, 497, 506, 508, 510, 524, 525, 531, 562, 563, 574, 597, 645, 654, 662,

676, 677, 679, 682, 772, 784, 803, 810, 817, 826
გეგუთი 471, 817
გედერულო 810
გეზათი 817
გელათი 92, 197, 203, 211, 471
გერგეტი 666
გეჯეთი 171, 434, 819
გოგოლეთის ეკლესია 431
გოდოგანი 177, 192
გოკიელის ციხე 788
გოლეინის მთა 42
გორდი 39-42, 45, 47, 48, 50-52, 55, 87, 95, 99, 113, 472, 505, 511, 645, 700
გორდიდი 47
გორდი-კინჩა 50, 195
გორი 262, 589
გორისა 99
გორმაღალი (მელოურია) 47
გოსტიბის ხიდი 41
გოშქანი 789
გუგუშვილის ფონი 811
გუდაუთა 24, 287, 491
გუდაყვა 207, 208
გულუხეთი 817, 818
გუმისთა 392
გურია 99, 134, 205, 227, 471, 489, 492, 496, 506, 522, 524, 537, 538, 553, 589, 605, 669, 671, 802, 811
გურძემი 124, 166, 293, 412, 430, 487, 490, 508, 700

დაბლაგომი 264
დადღვაბუნა 40
დავითგარეჯი 200
დას. კავკასია 800
დასავლეთ საქართველო 17, 19, 21, 23, 26, 30, 34, 35, 38, 54, 65-68, 70, 88, 90, 104-107, 109, 124, 146, 153, 159, 161, 162, 179, 181, 213, 214, 221, 230, 244, 249, 275, 276, 279, 281, 283, 286, 290, 291, 391, 401, 483, 505, 509, 519, 520, 526, 533, 589, 663, 667, 668, 674, 676, 700, 729, 773, 824
დგომი 571
დედამოკა 175
დვანი 26, 290
დვირა 530, 549, 552, 669
დვირა-ლებარდე 195
დიდღვაბუნა 95
დიოსკურია-ცხუმი 220
დიხაგუძუბა 440, 453, 458, 474
დობერა 533
დობერარზენი 194
დობერას მასივი 501
დოშაყე 29, 53, 99, 123, 166, 179, 182, 215, 256, 276, 430, 487, 558
დღვანა 177
დღვანის ბორცვი 192

ეგრისი 31, 47, 63, 71, 113, 122, 125, 166, 176, 205, 208, 210, 401, 413, 414, 476, 487, 511, 528, 605, 662, 688
ევრაზია 386, 389
ევროპა 390
ეკი 123, 220
ეკის მთა 56
ეკლესუანის გორა 44, 50, 474

ელაგირდე 811
ენგურთავი 733
ენგური მდ. 492, 799, 803
ენგურის ხეობა 688
ეპანეთი 504
ესუე 524, 607
ეწერი 45, 605, 810, 811

ვარდციხე 146
ვარიანი 98
ვახა 560
ვედიდკარი 140, 179, 259, 304, 356, 387, 395, 396, 420, 426, 434, 493, 536, 826
ვედიდკარ-მუხურჩა 511, 512, 700
ვიჩეგდა მდ. 263

ზანათი 125, 817
ზანათი მდ. 124, 126
ზედა ხუნწი 56
ზედაკინჩა 42
ზემო იმერეთი 802
ზემო სვანეთი 251
ზოდი 729
ზუგდიდი 41, 99, 116, 142, 432, 563, 720
ზუგდიდი-სალხინო-მარტვილი 41

თაია 432, 508, 511, 554, 591, 700
თაკვერი 40
თამაკონი 30, 54, 99, 100, 104, 166, 177, 215, 221, 296, 410, 487, 512, 515, 516, 697, 698, 701
თამაკონის ციხე 461, 487, 490
თამაკონი-სალხინო-მარტვილი-ინჩხ-ური 605
თამარის ციხე 48
თბილისი 119, 203, 294, 472, 670
თეკლათი 167, 471, 489
თელავი 99
თელაფონი 811
თომაში 811
თრიალეთი 259
თური 781
თურქეთი 504
თურჩუ 45, 51, 95
თუშეთი 652, 653

იალბუზი 388
იანიში 251
იაშთხვა 389
იბერია 121, 475, 476
იმერეთი 36, 40-42, 92, 104, 116, 124, 134, 135, 145, 156, 170, 199, 205, 206, 227, 245, 258, 471, 478, 492, 496, 506, 507, 509, 516, 522, 534, 538, 553, 573, 585, 589, 646, 648, 662, 671, 673, 794
ინდოეთი 122, 477
ინტოფო 496
ინჩხია მდ. 55, 57, 95, 57, 153, 487
ინჩხური 40, 90, 95, 101, 104-107, 111, 113, 114, 125, 162, 231, 235, 497, 532, 553, 556, 559, 566, 597, 662, 665, 700, 726, 727
იოსირე 45
ირან-ბიზანტია 140
ირანი 106
ისკია მდ. 300

ისკიას ხეობა 421
ისულა 125, 131, 146, 166, 167, 450, 487
ისულეთი 39, 95, 450
ისუნდერი 505, 645
ისქია მდ. 574
იყალთო 92
იშთარი 442

კადარი 44, 50, 136, 237, 496, 608, 826
კავკასია 40, 41, 60, 203, 205, 246, 386, 388, 391, 461, 463, 484, 500, 510, 650
კავკასიონი 39, 48, 122, 386, 476, 492
კალამუნუას მთა 62, 428, 430
კასპი 310, 311
კასპიის ზღვა 122, 477
კაცხი 197
კახეთი 70, 105, 106, 276, 537, 553, 589, 591, 777, 794
კეთილარი 674, 818
კელასური 461, 463
კემლაკეისარი 195
კემლაკეისრის ციხე 461, 669
კენჭეხა 45
კერასუნტი 121, 475
კვარცხეთი 506
კვაუთი 177, 468, 469, 817
კვაცხუთი 645
კვირკვალი 177
კიბულა 43-48, 473
კიკოსფონი 811
კინჩხა 39-43, 45, 47, 50-52, 95, 472, 473, 505, 511, 513, 585, 645, 700, 703
კინჩხაფერდი 42
კირცხალიაში ღელე 811
კისისხევი 93
კიწია 120, 124, 166, 177, 178, 181, 182, 276, 487, 490, 491, 493, 539, 559
კლარჯეთი 37, 68, 87, 156
კლდეკარის ციხე 461
კლეიდა (კლდე) 42, 46
კლისორი 56, 145, 175, 270
კობანი 22, 23
კოდორეს ველი 125, 168
კოდორი 532
კოდორი მდ. 492
კოდორქალაქი 811
კოკათი 55, 58
კოლოშონა 62
კოლხეთი 17, 25, 60, 66, 67, 109, 121, 122, 145, 146, 150, 166, 177, 194, 204, 205, 220, 229, 246, 270, 275, 296, 303, 306, 311, 318, 319, 326, 328, 331, 335, 336, 343, 344, 346, 359, 360, 401, 420, 434, 450, 475, 476, 477, 486, 500, 509, 514, 519, 520, 523, 526, 528, 552, 555, 664, 683, 798, 801, 802, 804-806
კოლხიდა 289, 481, 482, 488, 490, 526
კონსტანტინეპოლი 247, 552
კორცხელი 538
კოტიორა 144, 145
კოტორი 146, 270, 270, 305, 826
კურზუ 15-17, 19, 26, 55, 99, 124, 142, 191, 192, 258, 274-276, 279, 281, 290, 293, 295, 393, 412, 430, 467, 490, 497-499,

505, 507, 508, 515, 541, 544, 554, 591, 645, 646, 669, 697, 700, 735, 738, 769, 788, 796, 802
კურზუ-ინჩხური-გურძემი-სერგი-ეთი-ხუნწა 511
კურზუ-ლებარდე 16, 275
კურზუ-სალხინო-გაჭედილი-სუხჩე 511, 700
კუტკარიში 811

ლაზეთი 686
ლაზიკა 122, 172, 477
ლანჩხუთი 671, 678
ლატალი 251, 252
ლაყორიას ციხე 787
ლაშთხვერი 251
ლებარდე 16, 19, 20, 55, 194, 195, 274, 281, 282, 299, 454, 506, 511, 549, 552, 571, 580, 669, 700, 713
ლებარდე-დვირა-ასხი 122, 476
ლებაჩიეს ღელე 428, 491, 789
ლენძუხა 44, 50, 474
ლენჯერი 251
ლესა 678
ლესიჭინე 681
ლეჩხუმი 19, 36, 40, 85, 156, 281, 535, 563, 662, 802
ლეცავე 802
ლეციცხვაიე 581
ლეძაძამე 124, 166, 176, 177, 431-434, 487, 520, 564, 819
ლეჭეში (ლეჭიეში) 654
ლეჭეხა 276, 295, 453, 454, 557, 713
ლეჭეხა მდ. 454
ლეხაინდრაო 145, 268, 395, 420, 769
ლეხაინდრე 144
ლია 787
ლიმნოხორა 810
ლიქოკი 667
ლიხთიმერეთი 230
ლიხის მთა 205
ლონდონი 387
ლუღიფონი 811
ლუღონა 126

მათხოჯი 56, 105, 106
მამულონი 533
მანგლისი 263
მარანი 673
მარანი მდ. 389
მარიანეთი 176
მარსილი 124, 489
მარტვილ-აბედათი 122, 476
მარტვილი 29, 30, 33, 34, 37-40, 54, 55, 58-61, 63, 66, 67, 69-73, 76, 80-82, 87-93, 99, 104, 108, 109, 111, 112, 114-117, 119, 120, 138, 142, 145, 149-156, 158, 161, 162, 193, 210, 211, 213-215, 218, 220, 229, 244, 262, 271, 388, 395, 398, 402, 476, 497, 529, 532, 542, 551, 560, 562, 565, 608, 694, 695, 713
მარტვილი-ბანძა-ნოქალაქევი 122, 476
მაქალაქევი 784
მაცესტა 175
მაჭყვადური 62
მახათას ველი 140, 144, 257, 259, 265, 304, 305, 395, 426, 444, 456, 508, 694
მახარაძე 99

მახვატელი 62
მელენ-ლეჭეხა 455
მენჯი 175, 688
მენჯირობუში 176
მეორე ნაგვაზოუ 40
მესხეთი 686
მექაიაქეში შარა (მარტვილიში შარა) 130
მექვენა 677
მთიულეთი 781, 783, 787, 789, 794
მინგარიეს მთა 220
მისარონი 431
მტკვრის ხეობა 122
მუსტიე 390
მუხერისი 122, 129, 450, 476
მუხური 538, 544, 591, 781, 789, 811, 820
მუხურჩა 140, 304, 307, 309, 434, 512, 702
მცირე აზია 770
მცირე ხაზარეთი 205
მცხეთა 66, 70, 73, 81, 109, 769
მცხეთის ჯვარი 33, 35, 109, 154, 155, 213, 214

ნაბეჩო 45
ნაბეჩოს ღელე 41
ნაგვაზაო 245, 265, 509, 581, 648
ნაგობუე 47
ნადოხორუ 148
ნადუქანუ 126
ნაესაკაო 674
ნაესუ 152, 524, 607
ნათურქალი 47
ნათურქუ 45, 47, 143, 147, 149, 163, 182, 194, 790
ნათუქუ 46
ნაკანაფარი 46
ნაკარუ 811
ნაკიფუ 525, 783
ნალეპსაო 40, 59, 152, 256, 276, 295, 297, 428, 430, 497
ნამანცხვარუ 113
ნამარანუ 99, 413, 811
ნამიკოლუ 184, 490, 563, 564
ნამკოლი (ნამიკოლავო) 538,539
ნამკოლუ 183
ნაოღალევის ველი 55, 57, 95, 152, 153, 221, 226, 564, 565, 790
ნაოჩუ 167, 450
ნაოხვამუ 44, 57, 162, 175, 177, 231, 270, 811
ნაოჯალუ 62
ნაპარტახუ 818
ნაპუმპულუ 818
ნარინი (ნარონი) 571
ნარიონალი ჭალა 166, 487
ნარისუ 811
ნარონი 56
ნასაკირები 46
ნასენაო 45
ნატახას მასივი 126
ნატებუ 811
ნაფაცაცუ 55, 58, 175
ნაქალაქევი (ნოქალაქევი) 54, 56, 58, 123, 124, 146, 166, 171, 175, 306, 433, 449, 459, 461-463, 487, 551, 608, 819
ნაქეროუ 521
ნაღუმუ 61
ნაყვარა 811
ნაშენი 533
ნაცარგორა 264
ნაცაცხვერი 149, 558, 562
ნაცაცხვუ 281

ნაციცუ 811
ნაჭარხლი 45, 46
ნაჭვი 434
ნაჭილუ 811
ნაჭკადუ 56
ნაჭკადური 304
ნაჭკიდუ 61
ნახარდანუ 62, 818
ნახარებაო 30, 54, 68, 113, 115-118, 142, 161, 162, 215
ნახატუ 811
ნახაჯაო 490
ნახელი 811
ნახუნაო 19, 30, 54, 59, 149, 150, 215, 262, 276, 281, 295, 296, 297, 300, 393, 422, 430, 457, 490, 505, 532, 542, 557, 558, 562, 566, 574, 654, 769
ნახუნაოს ნაჭკადუები 59
ნახუნაოს ციხე 461
ნახუნუ 148
ნაჯავახოუ 40
ნაჯახაო 144, 145, 177, 434
ნაჯიხუ 143, 259
ნესოსი 166
ნეფის ნაბარგი 46, 48
ნეფისნაბარგი 45
ნილოსი 519
ნიოხვამუ 126
ნოდარბაზენი (ნოდაბაზენი) 58, 153
ნოდვეი 811
ნოისური 295
ნოტეხი 811
ნოქალაქევ-აბედათ-ნახუნაო-მარტ-ვილი 605
ნოქალაქევ-კელასური 461
ნოქალაქევ-ლეძაძამე-გეჯეთი 176
ნოღა 42, 45, 131, 178, 276
ნოღელა 116, 124, 125
ნოღელა მდ. 144, 146, 268, 304, 487, 490, 605, 688
ნოღის ციხე 30, 54, 99, 179, 181, 182, 215,608
ნოღის წყალი 131
ნოჯიხევი 41, 116, 143
ნოჯიხევის ჯიხა 99
ნოჯიხუ 56

ობჟალე (სამზეო) 62
ოდიში 36, 39, 40, 42, 45, 156, 205, 206, 267, 268, 472, 477, 537, 538, 552, 777
ოდოწიერი 530
ოზნი 259, 262
ოზურგეთ-სენაკი 678
ოისირე 46, 525
ოკაცე 39, 41, 46, 47
ოკაცე მდ. 42
ოკაცეს კანიონი 49
ოკაცეს ხეობა 43, 473
ოლებიე 523
ოლეკეშია 811
ოლობიე 45, 46
ონი 678
ონოგური 146
ონოღია 145, 146, 179, 434, 461, 490
ონოშქვერე 19
ონჟალეში 62
ონტოფო 605
ორკეში 117
ორპირი 130
ორქა 304
ოსეთი 219
ოსმალეთი 101, 104, 106
ოსუე 524

ოფაჩაფუ 167, 450, 489, 826
ოფოცხო 789
ოფუცხოო 162, 163, 487
ოფუცხოოს ღრმული 125
ოქუმი 688
ოღუმოლი 61
ოჩამჩირე 262, 264, 491
ოჩე 531
ოჩეში 124
ოჩხამური 124
ოცალუე 669
ოცინდალე 177, 431, 432, 529
ოჭინკეთი 45, 46, 817
ოჭირეთი 818
ოხაჯე 523
ოხვირი 45

პალესტინა 67
პალიასტომი 733
პარიზი 387
პერკი 62
პეტერბურგი 241
პეტრა 130
პეტრა-ჭყონდიდი 477
პეტროგრადი 387
პირველი ნაგვაზოუ 40
პირველი ნახუნოუ 40
პიტიუნტი 121, 475
პომპეუსის ხიდი 99
პომპიას გზა 431, 432

ჟინანთარის ჭალა 410
ჟინოთა 166, 189, 408, 410, 487, 667
ჟუშკი 40

რაჩხი 108, 123, 125, 487
რაჭა 19, 281, 506, 567, 645, 669, 671
რაჭა-ლეჩხუმი 195, 507, 522
რიონ-აბაშა 477
რიონი მდ. 54, 56, 124-132, 166, 181, 220, 235, 238, 450, 484, 487, 519, 605, 688, 810, 818
რიონისპირეთი 39, 48, 122, 126, 129, 130, 132, 142, 145, 146, 166, 223, 225, 270, 476, 512, 521, 532, 605, 700, 702
რობი 45
რობუე 47
რომი 68, 93, 243, 527
რონდი 40, 42, 46
როტონე 811
რუის-ურბნისი 110, 199, 200
რუსეთი 41, 477, 483, 485, 726

საბატონო 46
საბედიანო 205, 206, 208
საბერძნეთი 121, 247, 296, 527
საბჭოთა კავშირი 99
საგვაზაო 818
საგვარჯილე 392
საგოჯოლე 811
საგუბია 811
სადადიო 46, 51
საელიავო 40, 59, 150, 152, 222, 506, 645, 646
სავანე 679
სათიბი 46
საინასარიძო 85, 156
საკაჟია 117
საკუპრავო 818

სალიპარიტიანო 36, 77, 85, 96, 123-125, 156, 220, 255, 271, 291, 484
სალხინო 30, 42, 54, 55, 99, 113, 142, 184, 186, 188-191, 215, 223, 224, 256, 393, 395, 408, 409, 487, 490, 560, 564, 714, 783, 802
სალხინო-თამაკონი 506, 645
სამანჭრო 62
სამეგრელო 19, 30, 39-42, 45, 53, 54, 59, 63, 68, 69, 77, 80, 86, 87, 92, 93, 102, 112, 119, 124, 129, 131, 144, 145, 150, 156, 160, 161, 179, 184, 185, 189, 191, 192, 205, 206, 212, 220, 221, 243, 246, 247, 255, 265, 277, 278, 281, 296, 394, 431, 471, 477, 478, 480-487, 489, 492, 493, 496, 500, 503, 505, 506, 516, 517, 520-522, 524, 525, 527-529, 533, 535-538, 542, 544, 553, 558, 560, 567, 569, 571, 587, 589, 591, 593, 603, 605, 646, 650, 653, 662, 664, 669, 672, 673, 686, 688, 691, 692, 695, 699, 701, 704, 708, 710, 714, 718, 722, 726, 736, 738, 771, 777, 779-781, 784, 787-790, 793-795, 802-806, 817
სამეგრელო-აფხაზეთი 491
სამთავისი 93
სამიქაო 145, 605, 673, 818
სამიქელაო 818
სამოთხეკარის ეკლესია 115, 141, 535
სამოთხის უბანი 115, 142
სამოქალაქო 156, 270, 450, 476
სამოხიო 781
სამტრედია 122, 476, 492
სამურზაყანო 39, 589, 798-800, 803, 804
სამშვილდის ტბა 87
სამცხე 37, 87, 156, 199
სამხ. ოსეთი 23, 26, 286, 290, 438
სამხ. საქართველო 67, 82
სანავარდო 818
სანაჭყეპიო 193, 276, 412, 726, 782
სანოდიო 818
სარკინეთი 817
საფინია 45
საფრანგეთი 389, 390
საქართველო 15-19, 21-23, 26, 27, 29, 31, 37, 38, 40, 43, 46, 53, 55, 60, 63-65, 67, 68, 72, 87, 89, 91-93, 96, 99, 101, 104-106, 108-111, 116, 117, 119, 120, 124, 142, 144, 149, 150, 155, 156, 158, 160, 170, 196, 198, 199, 203-212, 214, 217-219, 221, 224, 229, 231, 240, 241, 248, 249, 255, 261-263, 274, 276, 278, 279, 281, 284-286, 288, 290, 292, 303, 307, 386, 387, 389-392, 395, 396, 398, 401, 421, 429, 433, 473, 474, 477, 480, 482, 483, 485-488, 514, 520, 522, 527, 537, 539, 541, 602, 607, 650, 667, 668, 676, 686, 688, 769, 774, 786, 787, 789, 793, 794, 806, 815, 826
საქარია (ადგილი) 48
საღლამო 811
საჩიქვანო 46, 195, 496

საჩხერე 679, 729, 802
საძაღლია 46
საწისქვილო 40, 42, 46
საჭია 654
საჭილაო 123-125, 132, 225, 227, 532, 535, 818
საჭყონდიდლო 55, 95, 96, 116, 123, 125, 220, 235, 255, 271, 291, 532
სახარბედიო 56, 123, 688
საჯავახო 134, 227
სენაკი 179, 476, 484, 542, 551, 564, 600, 607, 702
სენტ-აშელი 389
სერგიეთი 56, 59, 125, 175, 393, 487, 532, 690, 700
სეფიეთი 123, 131, 132, 135, 136, 140, 225, 227, 228, 243-245, 304, 496, 505, 509, 345, 648
სვანეთი 71, 188, 195, 276, 281, 394, 525, 554, 686, 770, 781, 787
სირია 67
სირიაჩქონი 545, 605, 669
სკანდა-ქუთაისი-ონოგურისი 146, 434
სკური 735
სორი 678
სოჭი 205
სოხუმი 21, 25, 284, 288, 316, 389
სურჩა 530
სუჩხე 40, 45, 56, 95, 665
სუჯუნა 126, 127, 128, 130, 131, 145, 146, 223, 238, 239, 810, 817
სუჯუნის არხი 95
ტაბაკელას მთა 113, 152, 195
ტაბაკონა 55, 600, 662, 664, 666, 667
ტაბაკონას მთა 55, 95, 125, 487
ტაბაკურია 115, 142, 223
ტათუღალის ღელე 428
ტალერი 487
ტაო 206, 210
ტაო-კლარჯეთი 209
ტარეშის ეკლესია 43, 44, 474
ტარჩენი 147
ტარჩუს ციხე 462
ტეხურა მდ. 56, 125, 126, 166, 168, 170, 172, 174, 177, 181, 184, 194, 215, 296, 408, 409, 410, 450, 490, 499, 527, 544, 580, 605, 669, 688
ტეხურა-აბაშის აუზი 122, 476
ტეხურის ხეობა 53, 96, 121-124, 171, 176, 191, 220, 432, 476, 478, 480, 489, 505, 510, 511
ტეხურისპირეთი 123
ტინი 487
ტოლები 146
ტრაპიზონი 68
ტურაკელის ჭალა 125, 126, 166, 168, 605
ტყვირი 128, 135, 136, 223, 225, 227, 228, 245, 258, 529
ტყვირის ეკლესია 54, 132, 608

უბნისი 262
უნაგირა 44, 46, 57, 93, 113, 123, 124, 146, 148, 166, 170, 235, 300, 301, 461, 462, 474, 487, 605

უქემერიონის ციხე 195
უშუფათი 784

ფაზის-კოტაი 238, 450, 477
ფასისი (ფაზისი) 72, 121, 131, 166, 220, 270, 450, 475, 477, 519, 526
ფახულანი 538
ფიჩორა მდ. 811
ფიჩხერი 434, 437, 440, 448
ფოთი 122, 126, 127, 130, 131, 145, 146, 166, 230, 238, 434, 450, 470, 567, 817
ფოთი-ქუთაისი 122, 145
ფოცხო 520, 819
ფშავი 788

ქართლი 37, 87, 92, 96, 156, 206-210, 276, 420, 438, 589, 673, 769, 794
ქაჯიშ ნამარანუ (ქაჯის ნამარნევი) 58, 153
ქაჯიში 99
ქეჯვარი 412, 455, 782, 783
ქვათახევი 198
ქვაითი (ქვეითი) 40, 57, 145, 162, 295, 461, 516, 665
ქვედაკინჩხა 42
ქვეითის ნაჭკადუები 59
ქვემო გომი 444
ქვემო იმერეთი 671
ქვემო სვანეთი 19, 195
ქვიბიის მთა 190, 295
ქვიტირი 444, 826
ქიზიყი 534
ქობულეთი-ფიჭვნარი 269
ქოლობანი 673, 818
ქორეთი 471, 729
ქუთათი 817
ქუთაისი 37, 56, 88, 122, 126, 130, 131, 146, 156, 164, 166, 177, 210, 220, 249, 250, 450, 471, 472, 476, 490, 529, 600
ქუქითი 608
ქუცურათი 45
ქუჯის ციხე 175, 434

ღალდიდა 43, 473
ღაჭუსწყალი 810
ღვედი 40

ყვირილა მდ. 492
ყუბანისპირეთი 391

შავი ზღვა 48, 67, 166, 402, 450
შავშეთი 37, 87, 156
შარვანი 202
შელი 389, 390
შვეიცარია 41
შიდა სამეგრელო 126, 238
შილდა 589
შონური 62
შორაპანი 146, 166
შუა აზია 390
შუამდინარეთი 229, 401, 402, 770
შუამთა 33, 70, 73, 109, 154, 211
შუასოფელი 811
შუაქალაქი 128-131, 145, 146, 220, 223, 270, 450, 532
შხეფის ციხე 54, 168, 170, 434, 608

ჩერგვალი 62
ჩეში 62
ჩეშონას ველი 58
ჩეჩონა 17, 19, 276, 281
ჩრდ. კავკასია 205, 391
ჩრდ. კავკასიონი 19, 281
ჩრდ. სამეგრელო 126, 238
ჩრდ. საფრანგეთი 389
ჩრდ.-აღმ.სამეგრელო 146, 518, 808
ჩუნეში 509
ჩუნეში 648
ჩქვალერი 784
ჩხორონჭყო 45, 46
ჩხოროწყუ 177, 431, 432, 455, 491, 496, 506, 524, 525, 530, 549, 552, 645, 677, 679, 726, 803

ცაგერი 195, 505, 564, 585, 607, 645, 803
ცაიში 247, 688
ცივი მდ. 532
ციციბურას კლდე 41
ციხისკარი 46, 49
ციხისძირი 21, 22, 130, 284, 285
ციხისძირ-ჭყონდიდი 122
ციხფერდი 45
ციხფერდის ციხე 48
ცხაკაია 93, 122, 166, 169, 221, 431, 450, 496, 508, 520, 524, 525, 677, 678,826
ცხენისწყალი 39, 41, 42, 47, 56, 93, 116, 123-125, 144, 181, 195, 206, 268, 270, 434, 461, 487, 492, 527, 528, 532, 605, 688
ცხენისწყლის ხეობა 48, 144, 220
ცხენისწყლისპირეთი 35, 155, 487, 490, 511

ძეძიათი 471
ძველი აბაშა 136, 237, 497
ძველი სამეგრელო 782
ძველი სენაკი 123, 538, 664
ძიმითი 780

წალენჯიხა 246, 247, 432, 491, 525, 787, 803
წალიკარი 811
წაჩხურუ 55, 184, 188-190, 490, 667, 790
წაჩხურუ მდ. 184-186
წესი 506
წვინარა 45
წითა ღელე 811
წინა აზია 389, 390, 392, 402, 420
წკირღალის წყარო 297
წკირღალის ხევი 297
წმ. ლიანის გამოქვაბული 44, 49, 50, 474
წულუკიძე 491,826
წყალტუბო 175, 490, 677
წყემი 661

ჭადონას ღელე 428
ჭალადიდი 545, 669
ჭალე 538
ჭალისუბანი 729
ჭანეთი 128, 129, 394, 520
ჭანისწყალი 688
ჭვენიას სერი 55, 57
ჭიათურა 193, 258, 505, 654, 728, 729, 802
ჭიას ჯიხა (ციხე) 140
ჭიითი 652-654, 665

ჭიოკას ჯიხა (ციხე) 140, 304, 387, 396
ჭიტაგორა 811
ჭიტადიხა 490
ჭიშთა 258
ჭკადუაში 538
ჭკადუერი 179
ჭკადურობუ 281
ჭკადურობუში 149
ჭოდინა 62
ჭოროხის ხეობა 82
ჭყონდიდი 30-32, 35, 37, 38, 48, 56, 57, 59-61, 63, 64, 66-68, 70-72, 87, 88, 90-93, 104, 109, 111, 113, 119, 123, 130, 145, 146, 149, 150, 153, 155, 156, 158, 161, 199, 200, 202, 214, 218, 229-231, 235, 270, 461, 667
ჭყონდიდ-მარტვილი 62, 89, 93, 108, 110, 120, 229
ჭყონდიდ-ნაქალაქევი 59
ჭყონი 490, 511

ხაბუმი 783
ხაზაანთ გორა 259
ხამნოხორი 176
ხევი 781, 787, 790
ხევსურეთი 188, 667
ხეთა 313
ხიდი 45, 195
ხიდიკარი 270
ხობი 506, 525, 646, 678, 693, 720, 726, 805
ხობისწყალი 544, 560, 688
ხომაჯინჯი 811
ხონი 41, 55, 56, 146, 177, 607
ხორგა-ხეთა 545, 669
ხორიათის ფერდობი 57
ხოფა 564
ხოჩოლი 44, 50
ხუდონი 569
ხუნწა 40, 145, 490, 532
ხუნწი 45, 393, 700
ხურუნმი 45

ჯგალი 508, 544, 647
ჯეგემარიონი 608
ჯეგორე 811
ჯვარი 511, 538, 544, 569, 591, 700, 784
ჯვარფერდი 56
ჯვეში შარა / ბერძენიში შარა 125, 126, 145, 146
ჯვრის მონასტერი 66, 70, 73, 81, 109
ჯიხა 463
ჯიხის ფერდობი 177
ჯიხფერდი 56
ჯოდო 145
ჯორწყუ 165, 184, 222, 256, 391, 669
ჯოწყუ (ნაკადული) 164

GIVI ELIAVA

# SAMEGRELO

## STUDIES OF THE LOCAL LORE

**volume I**

ARTANUJI PUBLISHING
2022

## საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ეთერ კვანჭიანი
მართა წიკლაური
ილია ხელაია
ალექსანდრე ჯიქურიძე

გამომცემლობა **არტანუჯი**

✉ თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5.

☎ 2-25-05-22, 2-91-22-83, 5(93) 25-05-22.

www.artanuji.ge info@artanuji.ge

f გამომცემლობა არტანუჯი / Artanuji Publishing